

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული გალობის ქრონიკა

1861-1921

წლების პერიოდში

თბილისი

2015



**ქართული გალობის ქრონიკა
1861–1921 წლების პერიოდიკაში**

წიგნი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის
ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის
სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების
განყოფილების მიერ.

მთავარი რედაქტორი და შემდგენელი:
დავით შულღიაშვილი

რედაქტორი: **მაგდა სოლოლაშვილი**

წიგნზე მუშაობდნენ:
**ნინო კიკვაძე
აკაკი მარგიანი**

კორექტურა: **ნელი გიორგაძე
ნელი კაციტაძე
თეა შუბითიძე**

დაკაბადონება და დიზაინი:
გიორგი ბაგრატიონი

მასალების მოძიებაში დახმარება გაგვინიეს:
**ლუარსაბ ტოგონიძემ
გიორგი მაჩურაშვილმა**

სარჩევი

წინასიტყვაობა	29
1. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი – ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი	35
2. დავით მაჩაბელი – ქართუჭლთა ზნეობა, გალობა	41
3. მლუდელი ფილიმონ კარბელოვი –სიტყუა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის წინას სობორსა შინა, ბოდბეს	49
4. იოსებ ბერიევი – პასუხი	52
5. ანდრია მრევლოვი – წერილი რედაქტორთან	53
6. ქართველი – ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღება	54
7. მ. მაჭავარიანი – წერილი რედაქტორთან - უფ. ანდრია მრევლოვის ნოტებზედ	56
8. არაგველი – ქართულს გალობაზედ	56
9. * * * [ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული გალობის ნოტებზე გარდასაღებად ამ ჟამად თფილისში კომისია არის შემდგარიო]	59
10. N.N. – წერილი რედაქტორთან	59
11. * * * [მ. მაკარი არხიმანდრიტმა ჩამოიყვანა ქალაქში გურული მგალობლები]	60
12. * * * [ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. პეტრე უმიკაშვილი ქართულს სანერ რვეულს, დედანს (пронись) აბეჭდინებს ტომსონის ლიტოგრაფიაში]	60
13. კომიტეტის წევრი – წერილი რედაქტორთან	61
14. * * * [ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი]	62
15. N.N. – [„დროების“ მე-178 №-ში, დღიურის განყოფილებაში ესრე სწერია]	63
16. მამათელი – [მოგესხენებათ „დროების“ მკითხველებს, რომ აღმოჩნდნენ თბილისში ისეთი კეთილი პირნი, რომელნიც ზრუნავენ ამჟამად ქართული გალობისთვის	64
17. * * * [გუშინ, ხუთშაბათს, ჯვართამაღლების დღეს, ყოვლადუსამღვდელოესის ეპისკოპოსის ალექსანდრეს თაოსნობით, სიონში იყო ქართული წირვა]	65
18. ლ. ივერიელი – ქართულს გალობაზედ	65
19. არხიმანდრიტი მაკარი – მოწოდება	69
20. პ. უ. – ქართული საეკლესიო გალობა	71
21. * * * [ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ, უფ. მ. მაჭავარიანის თაოსნობით, შეადგინეს ზოგიერთ ქართული სიმღერების ნოტები]	74
22. * * * [გუშინწინ, კვირას, სიონში კიდევ იყო „გამოსაცდელი“ გალობა გურულებისა]	74
23. არხიმანდრიტი მაკარი – [ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი]	75

24. არხიმანდრიტი მაკარი – * * * [გურიიდგან მოწვეულმა ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებელმა თავ. მელქისედეგ ნაკაშიძემ]	75
25. ქართულის გალობის მოყვარე – კიდევ ქართულს გალობაზე	76
26. პ. უ. – რამოდენიმე შენიშვნა ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის	78
27. * * * [ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეკლესიის გალობის ნოტებზე გადაღება მიუზღვიათ უფ. მაჭავარიანისათვის]	80
28. არხიმანდრიტი მაკარი, მღვდელი გრიგოლ მღებრიევი, მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი – განცხადებანი	81
29. მ. მაჭავარიანი – წერილი რედაქტორთან	82
30. ილ. მ–ლაძე – წერილი რედაქტორთან	83
31. არხიმანდრიტი მაკარი, მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი, მღვდელი გრიგოლ მღებროვი – წერილი რედაქტორთან	83
32. არხიმანდრიტი მაკარი – წერილი რედაქტორთან	85
33. მიხეილ მაჭავარიანი – წერილი რედაქტორთან	86
34. [არხიმანდრიტი მაკარი] – წერილი რედაქტორთან!	87
35. არხიმანდრიტი მაკარი – [წერილი რედაქტორთან!]	87
36. მელქისედეგ ნაკაშიძე – თქვენო მაღალ ღირსებავ, მამაო არხიმანდრიტო მაკარი!	88
37. * * * [თითქმის ოცმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც მე ქართული გალობა არ გამეგონა...]	89
38. ალექსანდრე ეპისკოპოსი – ქართული ეკლესიური გალობის საქმე	89
39. ალექსანდრე ეპისკოპოსი – ქართული საეკლესიო გალობის საქმე	90
40. ეპისკ. ანთაძე – ქართულ ეკლესიურ გალობაზედ	91
41. ალექსანდრე ეპისკოპოსი – ქართულ ეკლესიურ გალობაზედ (დასასრული)	93
42. ალექსანდრე ეპისკოპოსი – ძველი ქართული ეკლესიური გალობის და ხორის პირობაზედ	95
43. არაგველი – ორიოდ სიტყვა ძველი ქართული გალობის აღდგინების თაობაზედ	95
44. რომან ძამსაშვილი-ცამციევი – * * * ბიბლიოგრაფია [რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზედ და „სამშობლო ხმები“]	96
45. ანჩხატელი – ქართული საეკლესიო გალობა	103
46. პ. ცხვილოელი – კიდევ ქართულ გალობაზე	106
47. ქართული გალობის მასწავლებელი, ლოტბარი მელქ. ნაკაშიძე – წერილი რედაქტორთან	107
48. ქართული გალობის მასწავლებელი, ლოტბარი მელქ. ნაკაშიძე – წერილი რედაქტორთან (დასასრული)	109

49. რომან ცამციევ-ძამსასვილი – ბატ. ანჩხატელს	109
50. * * * [ჩვენ მივიღეთ შემდეგი შეცდომების გასწორება ბ. დ. ივერიელისაგან]	111
51. * * * [წარსულს კვირას, 25 აპრილს აქაურს საკთედრო ეკლესიაში იყო ქართული გალობა...]	112
52. ნარი ივერიელი – უნდა ვსწავლობდეთ ქართულს გალობას	113
53. ანდრია ბენაევი – ბატონო რედაქტორო!	114
54. ანჩხატელი – გალობის გავრცელება	115
55. * * * [ტფილისის სასულიერო სემინარიის შაგირდებისაგან მივიღეთ შემდეგი შენიშვნა]	119
56. ქართლელი – * * * [გორი, 15 ივნისს. ამ ცოტა ხანში ორჯერ მოვისმინეთ გორის სობოროს ეკლესიაში ქართული გალობა ხოროთი]	119
57. შინაური ქრონიკა [როცა პირველად გავრცელდა ხმა, რომ ბ. ქორიძეს სრული ქართული წირვის წესი და რაოდენიმე იმერული და გურული სიმღერები ნოტებზედ გადაუტანიაო]	120
58. შინაური ქრონიკა [ბ. ქორიძისაგან შედგენილი ხორო]	121
59. რაფ. ერისთავი – ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით	122
60. სხვადასხვა ამბები და შენიშვნები [როგორც გვაცნობებენ თფილისიდან, გალობის აღდგინების თაობაზე დანიშნულა კომიტეტი]	123
61. არხიმანდრიტი მაკარი, არხიმანდრიტი გრიგორი – წერილი რედაქტორთან	123
62. მ. ფ. – საეკლესიო გალობის წარსული და აწმყო	124
63. თავმჯდომარე კომიტეტისა არხიმანდრიტი მაკარი – წერილი რედაქტორთან	126
64. * * * [ჩვენი სასულიერო წოდება თითქო ერთგულად შეუდგა ქართული გალობის აღდგენას]	126
65. * * * [17 თებერვალს, დილის 11 საათზედ, საქართველოს ეგზარქოსის ეზოში უეცრად გარდაიცვალა მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი.]	127
66. აკაკი – რამოდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგინების გამო	127
67. ცოტა გალობის მცოდნე – წერილი რედაქტორთან	129
68. სვიმონ გუგუნავა – ქართული გალობის გამო (წერილი ქუთაისიდან)	132
69. რ. ხუნდაძე – ქართული საეკლესიო გალობა	133
70. ეურნალ-გაზეთთა მიმობილვა [„დროებაში“ ვკითხულობთ: „ბ. ქორიძემ თავის ხორით გამართა ქ. ქუთაისში ორი კონცერტი]	134
71. დამსწრე – ქართული გალობის შესახებ	136
72. საჭიროა თუ არა საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება?	137
73. გალობის ერთი მოყვარულთაგანი – ჩვენი საეკლესიო გალობა	139

74. გურიიდან (წერილი რედაქციისადმი)	140
75. ნოტებით ქართული გალობა ეკკლესიაში	141
76. სიმართლის მომხრე – წერილი რედაქტორთან	142
77. ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო	143
78. შორაპნის საბლალოჩინო მაზრის მღ. ი. ხ-ძე – წერილი რედაქტორთან	144
79. შორაპნის საბლალოჩინო მაზრის ბლალოჩინი მღ. დ. ლ-ძე – წერილი რედაქტორთან	145
80. ს-ის მღ-ლი –სასიამოვნო და სამწუხარო ფაქტი	146
81. ბლ. მღ. დ. ლ-ძე – [შესახებ გალობის აღდგინებისათვის ფულის მოგროვებაზე ჩვენ ვკითხულობთ „დროება“-ში შემდეგ წერილს]	147
82. * * * [ქუთაისში დაარსებულ ქართული საეკლესიო გალობის აღმადგენელ კომიტეტს განუზრახავს]	148
83. * * * [ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ პირველი შეკრებილება ქართული-იმერული საეკლესიო გალობის აღმადგინებელ კომიტეტს]	148
84. * * * [ქ. ქუთაისი, თებერვლის 12-ს. ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების საქმეს ახალი ხანა დაუდგა.]	148
85. * * * [ბ-ნს ბენაშვილს შეუდგენია ქართული საეკლესიო გალობათა]	149
86. ახალი ამბები და შენიშვნები [თვრამეტს დეკემბერს გალობის აღდგინების კომიტეტმა]	150
87. ნიკოლა – მოწერილი ამბავი	150
88. ახალი ამბები და შენიშვნები [ექვს აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა განახლებული ყვირილის ნათლისმცემლის ეკკლესია.]	151
89. * * * [როგორც შევიტყვეთ, კარგა ხანია ალექსანდრე ეპისკოპოსს ფული შეუწირავს ქართულის გალობის ნოტებზე გადასაღებად.]	151
90. ს. ჩხერელი – მოწერილი ამბავი	152
91. ყვირილიდან მარტვილამდე	153
92. * * * [უნწინდესის სინოდის ობერპროკურორის კანცელარიის დირექტორს]	154
93. * * * [ამას წინად ჩვენ დავესწართ წირვაზე წმ. მარინას ეკკლესიაში]	154
94. * * * [გაზეთს „ივერიაში“ ვკითხულობთ: ამას წინედ ჩვენ დავესწართ წირვაზე]	155
95. * * * [ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს]	155
96. ილია ჭავჭავაძე – * * * [შაბათს, 15 ნოემბერს, ერთი ფრიად სასიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა.]	156
97. თეატრის კვირა [ოზურგეთიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ ყოფილა და კონცერტი გაუმართავს ჩვენს გამოჩენილს მომღერალ არტისტს]	158

98. ჭავჭავაძე ილია – * * * [რომ ქართული სიმღერა და გალობა ევროპიულს არა ჰგავს, ეგ აშკარაა]	158
99. * * * [დეკემბრის 6, კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიაში ქართულად იგალობა წირვის წესი ბ-ნ ნ. ბერიშვილის ხორომ]	160
100. * * * [ქართულის საეკკლესიო გალობის გადაღება ნოტებზედ ნელ-ნელა წინ მიდის]	160
101. * * * [ხვალ, ბ-ნი ბერიშვილი აპირობს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებისაგან შემდგარი ქართული ხორო აგალობოს]	160
102. * * * [გუშინწინ ქაშვეთის ეკკლესიაში, საცა წირვაზე გალობდა ქართული ხორო]	161
103. * * * [ჩვენ გვითხრეს, რომ ტფილისში ჩამოსულა მღვდელი პ. კარბელაშვილი]	161
104. ქართულის გალობის მოყვარე – * * * [დღეს ტფილისში ქართული გალობის მოყვარენი მრავლად არიან]	161
105. * * * [ოდესის სასულიერო სემინარიაში 12 თებერვალს იყო გამართული საღამო]	162
106. ანდრია სიმონის ძე ბენაშვილი – პასუხად „ქართული გალობის მოყვარესა“	163
107. მღვდელი ვასილ ქუთათელაძე, აზნაური ნიკო მეძმარიაშვილი, აზნაური ნიკოლოზ კანდელაკი – ქართული გალობის შესახებ	166
108. მღვდელი ვასილ ქუთათელაძე, აზნაური ნიკო მეძმარიაშვილი, აზნაური ნიკოლოზ კანდელაკი – ქართული გალობის შესახებ	168
109. ამერ-იმერელი – ქართული სიმღერები და კონცერტები ქ. ქუთაისში	169
110. * * * [სასიამოვნო ამბავი გვესმის იმერეთიდან]	171
111. ქუთათური დათიკო – მონერილი ამბავი	171
112. * * * [ქუთაისიდან გვწერენ]	172
113. [პ.] – ქართველ მგალობელ-მომღერალ[თა] გუნდს [რა ეჭირვება?]	172
114. პ. – ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს რა ეჭირვება? (დასასრული)	176
115. დეკ. დ. ლამბაშიძე – ჩვენი ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინების ისტორია	180
116. * * * [თელავი: განსვენებულ იოსებ ელიოზიშვილს, რომელიც იყო მასწავლებელი გალობისა]	183
117. მთავარდიაკონი რ. ხუნდაძე – წერილი რედაქტორთან	183
118. მღვდელი ეფ. შ-ძე – წერილი რედაქტორთან!	185
119. * * * [მკითხველებს ეხსომებათ, რომ დირექტორს ტფილისის სამუსიკო საზოგადოებისას ბ-ნს ივანოვს ნოტებზედ გადააქვს ქართული საეკკლესიო გალობა]	186
120. * * * [წმ. ნინობასა, 14 ამ თთვისას, ჩვეულებისამებრ წირვა იქნება ქართულად]	186
121. * * * [წმინდა ნინობას სიონის ტაძარში სწირა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ ქართულად.]	187

122. ჯრუჭის პირველ კლასის მონასტრის არქიმანდრიტი სიმეონი – განცხადება	187
123. * * * [ბევრი რამ გვაკლია ქართველებს და ბევრი რამ მეტად საჭირო საქმეა ჯერ გასაკეთებელი.]	188
124. განცხადებანი [ბ-ნი რატილი აუწყებს ქართულის ხოროს მგალობელთ, რომ უკვე დაბრუნდა ტფილისს]	188
125. * * * [სოფ. წყალტუბო (იმერეთი): წყალტუბელები ღვთიშობლობას დღესასწაულობენ]	188
126. ს. მოქალაქე – საახალწლო წერილი კახეთიდან	189
127. გალობის მასწავლებელი ზაქარია ჩხიკვაძე –წერილი რედაქციის მიმართ	190
128. * * * [კვირას, 18 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში იგალობა წინანდლეღმა ქართულმა ხორომ]	191
129. მოქალაქე – პასუხი ბ-ნ ჩხიკვაძეს	191
130. სემინარიის ქართული ხოროს ლოტბარი გ. ლ-ლი – წერილი რედაქციის მიმართ	195
131. თბილისის მოქალაქე მამნივეი – წერილი რედაქციის მიმართ	196
132. * * * [ტფილისის სამღვდელოების ახალ ბლალოჩინი მ. სოლომონ შოშიაშვილი ძალიან ცდილობს ეკკლესიების გაუმჯობესობას]	196
133. მთავარდიაკონი ილ. მათიკაშვილი – საეკკლესიო კითხვა-გალობის შესახებ	197
134. ქართული ხმების მოყვარე – წერილი ბ. ა. ს. ბ-შვილის მიმართ!	198
135. * * * [თელავი: 15 მკათათვეს თელავის ღვთაების ეკკლესიაში იყო წირვა]	200
136. ანდრია სიმონის ძე ბენაშვილი– პასუხად ქართული ხმების მოყვარეს	200
137. ქართული ხმების მოყვარე – ბ. ან. ს. ბენაშვილს (მისის პასუხის გამო)	203
138. X. X. - ფილიმონ ქორიძის და საეკკლესიო გალობის შესახებ	206
139. ანდრია სვიმონისძე ბენაშვილი – პასუხად ქართული ხმების მოყვარეს	209
140. * * * [თოთხმეტს იანვარს, სიონის ტაძარში დიდის ამბით იდღესასწაულეს მოციქულთა განმანათლებლის წმიდის ნინოს დღეობა.]	213
141. * * * [სამღვთო წიგნთსაკითხავში, რომელიც იარმურკივამ გრუზინსკისეულს სახლებში იქმნა გადატანილი]	214
142. * * * [სოფ. სნოში ადგილობრივმა მღვდელმა მ. გ. სირაძემ და დიაკვანმა ზ. რობიტაშვილმა თავიანთსავე მრევლში 25 ყმაწვილს მოუყარეს ერთად თავი]	214
143. * * * [სოფ. თერჯოლა (შორაპნის მაზრა): სოფელს თერჯოლაში ძვირად შეხვდებით მისთანა კაცს, რომ ქართული საეკკლესიო გალობა არ იცოდეს.]	214
144. სახელმწიფო ოპერის თეატრში	215
145. * * * [როგორც გავიგეთ, ამ თთვის 12-ს, პარასკევს, გორის „სობრანიის“ დარბაზში ბ-ნი ფ. ქორიძე თავის ხოროთი გაჰმართავს კონცერტსაო.]	215

146. * * * [გალობის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ამას წინედ შეადგინა მთავარ-დიაკვანმა მ. იოსებ შარაბიძემ]	215
147. * * * [უნწმინდესი სინოდი ცირკულიარით სწერს სასულიერო სემინარიების გამგეობათ]	215
148. ნ. დადიანი – ჩვენის გალობის აღდგენის „სიტყვა“ – „საქმედ“	216
149. ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის თავმჯდომარე ყოფილი დეკ. დ. ლა-ძე – კიდევ ქართული საეკლესიო გალობის შესახებ	218
150. ფ. ქორიძე – მეათე საუკუნის საგალობელი ნიშნები	220
151. * * * [მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მისს ყოვლადუსამღვდელოესობას ეპისკოპოს ალექსანდრეს]	221
152. მღვდელი რ. გორგაძე – მკითხველთა და მგალობელთა საყურადღებოდ	221
153. * * * [თელავი. ჩვენთა ქართველების სასიამოვნოდ, ქართული გალობა ეკლესიებში თანდათან ხშირდება აქეთ მხრეს.]	224
154. * * * [შაბათს, 20 ივნისს, ქართული ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტს]	225
155. ფილიმონ ქორიძე – ორიოდ სიტყვა ქართულის მუსიკისა და გალობის მოყვარულთა მიმართ	225
156. ს. გოგლიჩიძე – წერილი რედაქციის მიმართ	226
157. * * * [ქართული საეკლესიო გალობის საქმე ნელ-ნელა წინ მიდის.]	226
158. ნოტებით ქართულ გალობის სწავლა	227
159. ფ. ქორიძე – ორიოდ სიტყვა ქართულ გალობა-სიმღერისა და მუსიკის შესახებ	227
160. მოწერილი ამბავი [სოფ. სუჯუნა (სამეგრელო) ...ზედ გიორგობა დღეს საყდარში ხალხის ტევა არ იყო.]	228
161. დათიკო ვერმიცანაშვილი – საკუთარი რამე-რუმე (წერილი გურიიდან)	229
162. გალობის ერთი მოყვარულთაგანი – ბ-ნ ანტონ დუმბაძის საეკლესიო გალობის შესახებ	230
163. ამერ-იმერელი – მოწერილი ამბავი [მარტვილი (სამეგრელო) სასულიერო სასწავლებლები ამა ეპარქიისა ერთი ოზურგეთშია და მეორე ახალსენაკში]	231
164. გალობის ერთი მოყვარულთაგანი – გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ	232
165. მთ. ი. მ-შვილი. – ქართული წირვა-ლოცვის და გალობის შესახებ	232
166. ახალი ამბავი [ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, ბ-ნი ანტონ დუმბაძე და მისი შვილი ბლალოჩინი მ. დავითი]	234
167. გრ. ვოლსკი – წერილი რედაქციის მიმართ	235
168. მეველე – ნაციონალური მუსიკა	235

169. * * * [ქ. ბათუმი: ბათუმში ტფილისიდან მონვეულს ბ-ნ ქორიძეს მშენიერი ხორო ჰყავს გამართული.]	236
170. * * * [თელავი. 31 აგვისტო. ქართულ საეკლესიო გალობის გაგონება ძალიან იშვიათი მოვლენაა.]	236
171. * * * [მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად]	237
172. * * * [მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა ფ. ქორიძისაგან ანტონ დუმბაძისა და იმისი შვილის, დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული საგალობლები.]	237
173. * * * [ივერიის მკითხველთ მოეხსენებათ, რომ ყოვლადუსამღვდელოესი ალექსანდრე ეპისკოპოსის სურვილითა და თხოვნით]	238
174. * * * [ს. ქსოვიისი (ქართლი): ბ-ნ კოტე რატიშვილს შეუდგენია ქართულ მგალობელთა დასი]	238
175. * * * [მოსკოვი: აქ ჩქარა გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო]	238
176. მღვდელი ბათუმის საკრებულო ეკლესიისა, სიმონ თოთიბაძე – ბათუმის საკრებულო ეკლესიის ქართულ სამწირველოს მზრუნველობის ანგარიში	239
177. * * * [დღეს, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეობას სიონის ტაძარში იქნება ძველი ქართული საეკლესიო გალობა]	240
178. * * * [მცხეთა: 6 ამ თვისას წმ. ნინოს მონასტერში, სადაც დაარსებულია ქალთა სკოლა]	240
179. მგალობელი ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე – წერილები რედაქციის მიმართ	241
180. მეწვრილმანე – რა დროს არის შემოდებული „მრავალჟამიერ“-ი?	241
181. * * * [კავთისხევი (ქართლი): ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ შ. ცხვედაძემ შეადგინა მგალობელთა გუნდი]	242
182. ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანი – წერილები რედაქციის მიმართ	242
183. კოჩი – კორესპონდენცია	242
184. * * * [ქუთაისი: აქ შესდგა წრე ახალგაზრდა მანდილოსანთა]	243
185. ნ. ნ. – სასიამოვნო შემთხვევა (გუძღვნი ხონის ტაძრის მსახურთ)	243
186. * * * [როგორც შევიტყუეთ, ბ-ნი რატილი თავისის ქართულის ხოროთი აპირებს იმ კვირას გამგზავრებას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ]	244
187. გალობის ერთი მოყვარულთაგანი – ჩვენი საეკლესიო გალობა	244
188. აკაკი – მოგონება (ფეხთა ბანა)	245
189. * * * [ოზურგეთი: ოზურგეთში იმყოფება ამ ჟამად ბ-ნი ფილიმონ ქორიძე]	247
190. ნ. პ. – ბათუმის ავკარგიანობა	247
191. * * * [ბოლბისხევი (სიღნაღის მაზრა). დადგა მარიამობის მარხვა და ხალხიც შეუდგა ზიარებას.]	250

192. მარიობა, ან მიძინების დღესასწაული ღვთის მშობლისა	250
193. * * * [დიდი ხანია, რაც ტფილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებულია ქართული საეკლესიო გალობა ქართლ-კახურ და გურულ კილოზე]	251
194. * * * [მ. შარაძისა და ამხ. სტამბაში დაინყო ნოტებად ბეჭდვა ქართულის (გურულ-იმერულ კილოზე) საეკლესიო საგალობლებისა.]	252
195. მ. შარაძე – ჩვენი საეკლესიო საგალობელთა ნოტებად გადაღებისა და ბეჭდვის გამო	252
196. * * * [ს. ჩხარი: მთელმა კრებამ ყმანვილკაცებისამ, რომელთაც გალობის სურვილი აქვთ, დაიქირავეს ქართულის გალობის მცოდნე პეტრე კიკნაძე]	254
197. X. X. – პასუხად მ. ვ. კარბელაშვილს	254
198. * * * [გუშინდელ №-ში გვქონდა მოხსენებული, რომ ჟურნ. „არტიტის“ იანვრის ნომერში ბ-მა იპოლიტოვ-ივანოვნმა ქართულის გალობის]	255
199. დეკ. დ. ღამბაშიძე – საყურადღებო ამბები [გუშინ მე შემთხვევით დავესწარი თფილისში კალოუზნის ეკლესიაში წირვაზე.]	255
200. ილ. კარგარეთელი – ქართული მუსიკა	256
201. ინ-ანი – „ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა	257
202. ქართული გალობის მოყვარე – ქართული გალობის გამო ქუთაისში	259
203. ივლიანე წერეთელი – პასუხი ბ-ნს „ქართულ გალობის მოყვარეს“	259
204. მგალობელი ივლიანე ნიკოლაძე – წერილი რედაქციის მიმართ	261
205. ი. – კახური სიმღერა-გალობანი და დირექტორი ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლისა, ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი	261
206. ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე	264
207. დეკანოზი პეტრე კვანჭოშვილი – საყურადღებოდ მეფსალმუნეთა და მგალობელთა	266
208* * * [ბატონს რატილს განზრახვა აქვს, შეადგინოს ქართველ მომღერალთა რიგიანი გუნდი]	268
209. * * * [იოსებ ივანეს ძე რატილისთხოვს ყველა მსურველთ ახლავე შეატყობინონ]	268
210. დეკანოზი დ. ღამბაშიძე – * * * [მე შემთხვევით დავესწარი წირვაზე თფილისში კალოუზნის ეკლესიაში.]	269
211. ქართული გალობის გამო	269
212. * * * [მისის მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ექსარხოსის ვლადიმირის განკარგულებით ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში]	270
213. მლ. პ. კარბელოვი, მლ. ა. მოლოდინოვი – * * * [როგორც გამოცხადებული იყო „ივერია“-ში (№264), 7 დეკემბერს, ქართულს ენაზე შესრულებულ იქმნა ოქროპირის წირვა]	270
214. გ. წყალტუბელი [გიორგი იოსელიანი] – ქართლ-კახეთის გალობის კილო, გადაღებული ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვისაგან	271

215. * * * [ახლად გამოვიდა და იყიდება „ქართული გალობა“ ...]	272
216. ლალი – სამაგალითო შრომა	272
217. * * * [მხიარულებით აღვნიშნავთ, რომ ამ წელს დაედვა მტკიცე საფუძველი ჩვენი საეკლესიო გალობის აღდგენას.]	274
218. შინაური მიმოხილვა [... ამ ქრისტეშობისთვეში განხორციელდა ერთი დიდი ხნის დაწყებული საშვილიშვილო საქმე]	274
219. * * * [დღეს, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეობას სიონის ტაძარში იქნება ძველი ქართული საეკლესიო გალობა.]	275
220. ქართული საეკლესიო გალობა	275
221. კვირიდან კვირამდე [კვირას, იანვრის 14-ს, ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში ქართველობამ ბლომათ მოიყარა თავი.]	276
222. არტისტი მომღერალი ფილიმონ ქორიძე – * * * [განვიზრახე შევადგინო რამდენიმე გუნდი ქართული გალობისა და ყველა კუთხის საქართველოს სიმღერებისა]	277
223. ნარკვევი [პეტერბურგის ჟურნალში „რუსკ. მუზიკ. გაზ“-ის წარსულ წლის უკანასკნელ ნომერში დასტამბულია ორი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ქართულ სიმღერების შესახებ].	277
224. ათონის მთის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანის მღვდელ-მონაზონი იონა – წერილი რედაქციის მიმართ	278
225. ლოტბარი დაბა ყვირილის წმინდა ნინოს ეკლესიის ქართულ მგალობელთა გუნდისა, სერგი ჯინჭველაშვილი – მღვდელთა საყურადღებოდ	278
226. ბ. ბალანჩივაძე – წერილი რედაქციის მიმართ	279
227. * * * [როგორც ქართველს საზოგადოებას მოეხსენება, ქართული საეკლესიო გალობა სამ ხმაზეა დაწყობილი.]	279
228. ფილიმონ ქორიძე – ქართული გალობის მდგომარეობა	280
229. ახალი ამბავი [13 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ბ-ნის ანდრ. ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაღებულ ნოტებზედ იგალობა მთელი წირვა ბ-ნის ი. მონადირიშვილის ქართულმა ხორომ.]	281
230. ფილიმონ ქორიძე – ქართული გალობის მდგომარეობა (დასასრული)	282
231. ახლად გამოვიდა და იყიდება ქართული გალობა, ლიტურგია იოანე ოქროპირისა	283
232. ილ. აბაშიძე – ნოტებით ქართული გალობა ოზურგეთის საკრებულო ტაძარში	284
233. * * * [ქართული გალობის საქმის დამკვიდრება. ჩვენ მივიღეთ თავ. ნიკო თავდგირიძისაგან შემდეგი წერილი]	285
234. * * * [ქართული წირვა ნინოობას სიონის ტაძარში]	286
235. * * * [ქართული წირვა-გალობა ტფილისის სასულიერო სემინარიაში]	286
236. ი. კარგარეთელი – ქართული საეკლესიო გალობა	287

237. * * * [ქ. ოზურგეთი. 26 იანვარს განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების წლისთავზედ]	289
238. ფ. ქორიძე – ბ-ნო რედაქტორო	289
239. * * * [ორიოდე სიტყვა ქართული გალობის შესახებ]	290
240. * * * [ოზურგეთი. ხალხურ სიმღერების ნოტებზე გადაღება.]	291
241. * * * [ქუთაისი. თითქმის ორი წელიწადია, ქუთაისელებს თუმცა ქართული წირვა-ლოცვა გვაქვს, მაგრამ მოკლებულნი ვართ ქართულს გალობას.]	291
242. * * * [ქართლ-კახური საეკლესიო საგალობლები ნოტებზედ]	291
243. ტოტი – * * * [ქართულ საგალობლების ბეჭდვა.]	292
244. ქუთაისის არქიელის რუსულ ხოროს ლოტბარი, მასწავლებელი, კორნელი მალრაძე – წერილი რედაქციის მიმართ	293
245. კახელი – წერილი კავკავიდან	294
246. ელეონორა გურიელისა – * * * [სუფსა (გურია). ქართულის გალობის გამო]	294
247. ლ. ბოცვაძე – წერილები რედაქციის მიმართ	295
248. * * * [ქ. გორი. ქართული გალობა.]	296
249. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის მოძღვრად ნამყოფი მღ. სოლომონ შიოშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	297
250. * * * [სუფსა. (გურია) მგალობელთა გუნდი.]	298
251. კახელი – ბ-ნ ლ. ბოცვაძის პასუხად	298
252. * * * [კომპოზიტორის ა. კორეშჩენკოს მიერ ქართულის ხმების შეგროვება.]	299
253. მგალობლიძე – * * * [სიმღერა, მისი წარმოშობა, მნიშვნელობა და დაფასება ქართველ საზოგადოებისაგან]	300
254. * * * [ოზურგეთი. ქართულ სიმღერა-გალობის საქმე გურიაში]	302
255. ახალი წიგნები [ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „ქართლ-კახური“ გალობა, კარბელაანთ კილოთი]	303
256. * * * [ქართლ-კახური გალობის ნოტები.]	303
257. * * * [ახალი გუნდი მგალობელთა.]	304
258. ჯამბაკურ გურიელი – ორიოდე სიტყვა ქართული გალობის გავრცელების შესახებ	305
259. * * * [ქ. ფოთი. კვირას 20-ს ივლისს ბ. ნ. ალ. კავსაძის ლოტბარობით და თაოსნობით გამართულ იქნა კონცერტი]	305
260. დეკ. დ. ლამბაშიძე – არ მოსპობილა, მადლობა ღმერთს, და აღარც მოისპობა!	306
261. გურულ-მეგრელი – ქართული საეკლესიო გალობა	307

262. * * * [ოზურგეთი. კომპოზიტორის კორეშჩენკოს წასვლა გურიიდან.]	307
263. X. – ქართველ მგალობელთა გუნდები და მათი გავრცელება	308
264. * * * [დ. ხონი. (იმერეთი). ბ. ფილიმონ ქორიძე ხონში.]	310
265. ლანჩხუთელი – * * * [დ. ლანჩხუთი (გურია). გალობის საქმე.]	311
266. * * * [ალილოსათვის შემდგარი ხორო.]	311
267. გ. იესევი – გალობის შესახებ	311
268. მლ. ვასილ კარბელოვი – გალობა და მისი მიმდინარეობა	312
269. დამსწრე – * * * [ს. მიწიეთი (გურია), კეთილი საქმე.]	314
270. აქაური – * * * ოზურგეთი. ქართული გალობა.	314
271. მ. ჯანაშვილი – საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები	314
272. ს. ნატოჩაოს სამრევლო სკოლის მასწავლებელი, ტრიფონ კალანდარიშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	315
273. ივ. ვერმიცანა – ქართული გალობის ბედ-ილბალი ჩვენში	315
274. მლ. პ. კარბელაშვილი – ქართული გალობა 4 ხმაზედ 23 აპრილს	316
275. გალობის მოყვარე – ქართული გალობა ხონში	317
276. გიო – ახალი გუნდი მგალობელთა	318
277. ხოროს გამგე ი. მონადირიშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	319
278. ქართული გალობა მეტეხის ტაძარში	319
279. * * * [იოსებ შარაბიძე. ქუთაისში გარდაცვლილა საკრებულო ტაძრის მთავართ-მთავარი მამა იოსებ შარაბიძე]	319
280. შავია-დია – წერილი ხონიდან	320
281. დამსწრეთაგანი – * * * [ს. მარტვილი (სამეგრელო). კონცერტი და საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ.]	320
282. ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევკტო კარბელაშვილი – ქართულის გალობის სამუდამო გუნდი	321
283. ნადიკვრელი – ორიოდ სიტყვა ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ	321
284. ნადიკვრელი – ორიოდ სიტყვა ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ (გაგრძელება)	323
285. * * * [ქუთაისი. აქ ჩამოვიდა ჩვენი საზოგადოების მიერ კარგად ცნობილი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე.]	324
286. მართალაძე – * * * [გორი. ეგზარხოსის ფლაბიანეს ჩამობრძანება.]	324
287. * * * [ნოტები ქართულის გალობისა.]	325

288. კორ. მალრაძე – მოსაზრებანი ქართულის საეკლესიო გალობის შესახებ	326
289. კორ. მალრაძე – მოსაზრებანი ქართულის საეკლესიო გალობის შესახებ (დასასრული)	328
290. მასწავლებელი დავით ფოცხვერაშვილი – ქართული გალობის საქმე	331
291. * * * [საეკლესიო სამრევლო სკოლის შეგირდების გამოცდა.]	331
292. მათე – სასარგებლო განზრახვა	332
293. დევ. დ. ლამბაშიძე – ჩემს შვენიერ შთაბეჭდილებას შენც გაგიზიარებ, მკითხველო!	333
294. * * * [დუშეთი. ქართული სასულიერო გალობა]	335
295. * * * [კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნი ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ.]	335
296. განცხადება [კვირას 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქმნება ბ-ნი ი. გ. მონადირაშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი.]	336
297. ერგნელი – * * * [სასულიერო კონცერტი. კვირას 4 აპრილს ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იყო ბ-ნი მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი]	336
298. პ. ცხვილოელი – დიდი საქმე	337
299. N. N. –სასულიერო კონცერტი	339
300. * * * [ხაშური. მგალობელთა გუნდი.]	340
301. * * * [კვირას, ორ მაისს, ანჩხატის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი.]	340
302. მ.-ლი – * * * [ქ. ოზურგეთი. გალობა აქაურ ეკკლესიაში.]	341
303. მონერილი ამბავი [დ. ლანჩხუთი, (გურია). ეს ორი თვე იქნება, რაც ლანჩხუთში, ბლალოჩინის მამა ეპიფანე ჩხაიძის თაოსნობით, მონვეულ იქმნა საეკლესიო გალობის სასწავლებლად პატივცემული ფილიმონ ქორიძე]	341
304. * * * [პროფესორი მარის შრომა.]	342
305. * * * [ახალი წიგნი. დაიბეჭდა ახალი წიგნი: „ქართული გალობა ქართლ-კახური კილოთი) ლიტურღია.]	342
306. სერგი – * * * [ტფილისის სამღვდელოებათა საყურადღებო კრება.]	342
307. ფილიმონ ქორიძე – ქართული მუსიკა	343
308. უცნობი – საეკლესიო მგალობალთა სამუდამო გუნდი	345
309. ფილიმონ ქორიძე – ქართული მუსიკა	346
310. * * * [რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები]	346

311. ი. გომელაური – ზ. პ. ფალიაშვილის კონცერტი	347
312. * * * [ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს, გურია-მეგრელიის ეპისკოპოსს, ერთი ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს]	348
313. * * * [კვირას, 26 მარტს, ტფილისს „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი]	348
314. * * * [15 მარტს ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, დაპირებისამებრ, მობრძანდა ქალაქ ოზურგეთში საგალობელი კაბინეთის დასაარსებლად.]	349
315. დამსწრეთაგანი – ქართული მეორე სასულიერო კონცერტი	349
316. ქართველი – სასულიერო კონცერტი	350
317. ახალი ამბავი [მოზდოკიდან გვწერენ, რომ იქაურს ეკლესიაში, ბ-ნ ბოცვაძის მეცადინეობით, რომელმაც ქართული ნოტები გამოუგზავნაო ეკლესიას]	351
318. რაფიელ ნიკოლოზის ძე ყაზიბეგი – შევეგებნოთ გაღვიძებას	351
319. ახალი ამბავი [ტფილისის საგალობელ კაბინეტის ერთის წევრისაგან მოგვივიდა დასაბეჭდათ შემდეგი წერილი]	353
320. ქიზიყის სამღვდელოების ცხოვრებიდან	353
321. ი. კარგარეთელი – ქართული საეკლესიო გალობა	355
322. ს-გო – ჩვენი საეკლესიო გალობა	356
323. ს-გო – ჩვენი საეკლესიო გალობა	358
324. თფილისის სამღვდელოებათაგანი, სერგი – ქართული გალობის ახალი გუნდი	359
325. დამსწრე – * * * [ოზურგეთი. 10 ამ სექტემბერს, კვირას, ოზურგეთის საკრებულო ეკლესიაში ჰგალობდა გასათხოვარ ქალთა გუნდი]	360
326. პეტრე მირიანაშვილი – ცდა ბედის მონახვერვა	361
327. კაბინეთის ერთი წევრთაგანი – წერილი რედაქციის მიმართ	361
328. * * * [ჩვენ გადმოგვცეს, რომ დედათა პირველ გიმნაზიის გალობის მასწავლებლის ბ-ნ იაიჩკოვის თაოსნობით ტფილისში არსდება „ძველ საეკლესიო გალობის აღმდგენი საზოგადოება“.]	362
329. პეტრე მირიანაშვილი – დავედრებული კილო	363
330. ქართული თეატრი [კვირას, 18 მარტს, მომღერალ არტისტის ფილიმონ ქორიძის მიერ გამართულ იქმნება კონცერტი]	364
331. ფილიმონ ქორიძე – ქართული მუსიკის შესახებ	364
332. მოწერილი ამბავი [სოფ. ფარცხმა (გურია). ადგილობრივის კრებულის მიერ აქ იქმნა გარდახდილი ორმოცის წირვა]	365
333. მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე – წერილი რედაქციისადმი (ქართული გალობის შესახებ)	366

334. პარმანი – კორესპონდენციები [21 ამ თვეს გაიხსნა ჭიათურის „სახალხო თეატრი“.]	368
335. ფილიმონ ქორიძე, ან. თ. წერეთლისა – წერილი რედაქციის მიმართ	368
336. პ. ყ-ნი – ქართული თეატრის ავ-კარგი	369
337. * * * [ჩვენმა მომღერლებმა ბ-მა კავსაძეებმა და ბ-მა კარგარეთელმა შეიტანეს გუმბინ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში განცხადება]	370
338. ქართული თეატრი [შაბათს, 1 დეკემბერს, 1901 წ. გამართულ იქმნება ქართული კონცერტი.]	370
339. * * * [1 დეკემბერს იმავე ქართულ თეატრში ბ. ფ. ქორიძემ გამართა კონცერტი]	371
340. ა. ხახანაშვილი – ქართული და ბერძნული გალობათა დამოკიდებულების შესახებ	371
341. მღ. პ. კარბელაშვილი – ქართული და ბერძნული გალობის გამო	372
342. * * * [ქუთაისი. კვირას, 3 თებერვალს, ქუთაისის მიხაილ მთავარანგელოზის ტაძარში, ლიტურგიაზედ ქართულმა ახალმა ხორომ იგალობა]	374
343. * * * [10 ამ თვეს, სალამოს შვიდ საათზე, ქალთა ტფილისის 1-ლ გიმნაზიის დარბაზში შესდგა კრება ქართულ და რუსულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა ახლად დაარსებულის საზოგადოებისა.]	374
344. ქართული თეატრი [შაბათს, 30 მარტს, 1902 წელს ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში გამართულ იქნება კონცერტი]	375
345. * * * [ტფილისი. ამას წინეთ, როგორც უკვე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, კავკასიის მთავარმართებელმა დაათვალიერა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა.]	375
346. * * * [ტფილისი. ცნობილ მეცნიერს, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ჰარნაკს, გაუცვნია საიუბილეო წიგნი ყოვლადსამღვდელო კირიონისა]	375
347. ა. ყუმისთაველი – ქართულ საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	376
348. დეკ. დ. ლამბაშიძე – ქართული საეკლესიო გალობის მოკლე მიმოხილვა	378
349. დ. ყვირილაში [მასწავლებელი სერგი ჯინჭველაშვილი ოც ივნისიდან ასწავლის ქართულს გალობას]	380
350. დეკ. დ. ლამბაშიძე – ქართული საეკლესიო გალობის მოკლე მიმოხილვა (დასასრული)	381
351. დიმიტრი არაყიშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	382
352. ქრისტეფორე – სოფლური შთაბეჭდილებანი და ფიქრები	383
353. მღვდელი ვასილ კარბელაშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	384
354. დიმიტრი არაყიშვილი – ბიბლიოგრაფია, И. Г. Каргаретели–Краткий очерк грузинской народной музыки	385
355. * * * [ტფილისი. გამოვიდა და ისყიდება ქართული საეკლესიო საგალობლები]	385
356. დამსწრე – ქართული გალობა ყვირილის ეკლესიაში	386

357. ი. კარგარეთელი – ჩვენი საეკლესიო გალობა	387
358. * * * [სახელმწიფო ბანკის მმართველი ბ-ნი პლეზკე, რომელიც გუშინნინ ტფილისს ჩამოვიდა]	390
359. დეკ. დ. ლამბაშიძე – ქართული საეკლესიო გალობის შესახებ	390
360. მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე – წერილი რედაქციისადმი	392
361. ზ. ი. ჩხიკვაძე – ბიბლიოგრაფია, Песнопения на литургию св. Иоанна Златоустого. Грузинского (кахетинские) распева Н. Кленовского	393
362. დიმიტრი არაყიშვილი – Н. Кленовский – Песнопения на литургии Св. Иоанна Златоустаго, Грузинского (кахетинские) распева.	395
363. ალექსანდრე ხახანაშვილი – ათონის ნოტებიანი ხელნაწერი	397
364. * * * [მარტის 9 კვირა სალამოს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მწუხრი ილოცა ყოვლადუსამღვდელოესმა დიმიტრი ალავერდელმა]	398
365. * * * [ტფილისში არსებობს „ქართულ-რუსულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა გუნდი“.]	398
366. კ. ფოცხვერაშვილი – ორიოდე სიტყვა ქართულ მუსიკის შესახებ	399
367. * * * [რაც ხანი გადის, თანდათან უფრო ქართულ გალობისა და სიმღერის საიყვარული ფეხს იდგამს.]	404
368. გალობის მოყვარე – ქართული საეკლესიო გალობა	405
369. მ. ელიზბარიშვილი – ცოტა რამ ქართულ გალობის შესახებ ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში	406
370. * * * [ტფილისში არსდება ახალი ქართული საზოგადოება]	407
371. * * * [ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ-ნი ჩახნიაშვილი, რომელიც სამრევლო სკოლებში გალობას ასწავლის]	408
372. * * * [ქართული საეკლესიო გალობა ისეთივე ძვირფასი განძია ქართველთათვის, როგორც სამშობლი ენა და მწერლობა.]	408
373. გ. ჩახნაშვილი – წერილი რედაქციის მიმართ	409
374. პ. უ. – სვანური მელიოდიები (ახლადჩანერული ფონოგრაფით)	410
375. ქართული გლეხი – ძნელია მართლა ქართულ გალობის მკვიდრ ნიადაგზედ დამყარება ჩვენს ეკლესიებში?	411
376. მელქისედეკ მიდოსვაჟი – გალობის კურსი სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის ქუთაისში	414
377. კიკო – თელავის საკონცერტო განყოფილების გამო	414
378. გალობაშვილი – კიდევ სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა და ქუთაისში მათთვის გალობის საზაფხულო კურსების შესახებ	416

379. * * * [ინგლისური საეკლესიო გალობა.]	418
380. ფილიმონ ქორიძე – ქართული მუსიკა	318
381. ლადიკო – [ს. ალის-უბანი (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში არის დაარსებული ორკლასიანი საკოლა.]	419
382. კოტე გრძელი – საეკლესიო გალობა	420
383. კოტე გრძელი – საეკლესიო გალობა (დასასრული)	422
384. განვრთნა და განათლება გვაკლია წაკითხულისა და გაგონილის გამო. ბერიკაცის წერილები.	423
385. მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე – წერილი რედაქციის მიმართ. პასუხად (ბ-ნს ლადიკოს)	424
386. მღვდელმონაზონი ტარასი – * * * [ბრიანსკი. (ორიოლის გუბერნია, საკუთ. კორესპოდენტისაგან). თიბათვის 22-ს ყოვლადსამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა, გაემგზავრა ბრიანსკის მაზრის სარევიზიოდ.]	426
387. * * * [როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, ჩვენს ახალგაზრდა მემუსიკეს ბ-ნ დიმიტრი არაყიშვილს ფონოგრაფზე უკვე გადაუღია წირვის საგალობლები]	426
388. * * * [პეტერბურგში დაარსდა ამ აგვისტოში ეკლესიები მუსიკალურ თეორიისა]	427
389. ბერიკაცის წერილები	427
390. * * * [სათავადაზნაურო სკოლის სიმღერა-გალობის და მუსიკის მასწავლებელი ზაქარია ფალიაშვილი მიწვეულ იქნა საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებელში]	428
391. * * * [დღეს, 5 ოქტომბერს, ტფილისის მისსიონერთა ეკლესიაში, ანდრეევის ქუჩაზედ, გაიმართება პატრიოტული საღამო]	428
392. ანდრია სანონის ძე ბენაშვილი – ქართულ საეკლესიო სამხმთან და ოთხხმთან საგალობლებისათვის	429
393. * * * [კრების დასრულება.]	431
394. * * * [ფილარმონიულ საზოგადოებას, სხვათა შორის, წესდების ძალით დავალებული აქვს სასულიერო გალობის მოწყობის საქმეც]	432
395. * * * [ერევნიდან გვწერენ: „14 იანვარს ქ. ერევნის ქართველმა საზოგადოებამაც იდღესასწაულა“]	432
396. ფილიმონ ქორიძე – წერილი რედაქციის მიმართ	432
397. ფილიმონ ქორიძე – ქართული მუსიკა	433
398. საქართველოს სამღვდელთა და რუსის ეგზარხოსები	434
399. საქართველოს სამღვდელთა და რუსის ეგზარხოსები	435
400. ა. კავსაძე – * * * [ამა 1907 წ. 1 თებერვლიდან მსურველთ ვასწავლი ხალხურ სიმღერებს და გალობას.]	436

401. * * * [კვირას საღამოთი სამღვდელოებამ ქვრივ-ობოლთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართა სასულიერო კონცერტი]	436
402. * * * [ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო დიმიტრი არაყიშვილის შემდეგი წიგნები]	437
403. ზ. ჩხიკვაძე – მომავალი სამუსიკო სკოლა	437
400. * * * [მივიღეთ ერთხმიანი საეკლესიო გალობა „მწუხრი“]	438
405. დ. ა. – ქართული საეკლესიო გალობა ქუთაისში	438
406. ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა – ცრუ ცნობები ქუთაისში ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ	440
407. * * * [სასულიერო კონცერტი.]	441
408. კინკილეთელი – მწარე სიმართლე	442
409. ი. კარგარეთელი – ქართლ-კახეთის სამღვდელოების საყურადღებოდ	443
410. ზაქ. ფალიაშვილი – მცირე მიმოხილვა ქართული სიმღერა-გალობის	445
411. სასულიერო კონცერტი	446
412. * * * [შესდგა ქართული ეროვნული ხორო]	447
413. ლოტბარი ნ. ი. ლაბაძე – * * * [ქართული ოთხხმიანი საეკლესიო ხორო, რომელიც შესდგება ოცდაორ კაცისა და ქალისაგან]	447
414. * * * [მომღერალთა გუნდი ნაძალადევაში.]	447
415. ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლის მსურველთა ამხანაგობის გუნდი ნაძალადევაში	448
416. დეკანოზი იოსებ წერეთელი – საზოგადოების საყურადღებო!	448
417. დ. ფ-ლი – * * * [სოფ. როხი. ამ სოფლის მღვდელმა ტარასი ყუბანიშვილმა მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია მღვდელს თავის სოფელში]	449
418. ქართული კონცერტი	449
419. ი. კარგარეთელი – ქართული გალობა ეკლესიებში	450
420. მღვდ. რ. ხუნდაძე – ქართული გალობა. რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა, წინეთ და რა მდგომარეობაშია დღეს	450
421. მღვდ. რ. ხუნდაძე – ქართული გალობა. რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა, წინეთ და რა მდგომარეობაშია დღეს	453
422. მღვდ. რ. ხუნდაძე – ქართული გალობა. რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა, წინეთ და რა მდგომარეობაშია დღეს (დასასრული)	455
423. * * * [ყოვლადსამღვდლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით გურიას უკვე ეფინება საეკლესიო გალობა]	458

424. კლერიკალი – მოწერილი ამბები	459
425. ძველი – წერილი ხონიდგან	460
426. ახალი ამბავი. გიორგი ნატრაძე	462
427. * * * [პანაშვიდი. დღეს, 4 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში]	462
428. * * * [საეკლესიო გალობა.]	462
429. * * * [გორი. 1887 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად დაინიშნა ერთი ახალგაზრდა]	462
430. ჭირს დამალვა არ არგებს	463
431. დამსწრე – მცირე შენიშვნა	464
432. არჩილ ჯორჯაძე – ქართულ მუსიკის შესახებ	465
433. * * * [ქართველ მომღერალთა ახალი ჯგუფი]	467
434. სასულიერო კონცერტი	467
435. სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. სიმღერა – გალობა	467
436. * * * [დაიბეჭდა და იყიდება თფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი]	468
437. * * * [წირვა. 14 იანვარს, ნინოობას, სიონის საკრებულო ტაძარში] ტფილისი, არტისტული საზოგ. საკონცერტო დარბაზი	469
438. დიმიტრი არაყიშვილი – ბიბლიოგრაფია ტფ. ქართ. ფილარმონიულ საზ.-ების მიერ გამოცემული	469
439. * * * [ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორის მოადგილეს...]	470
440. შალვა ტატიშვილი – ტფ. ქართულ ფილარმონ. საზოგადოების გამოცემათა გამო	470
441. ტფილისი არტისტული საზოგ. საკონცერტო დარბაზი	472
442. * * * [საეკლესიო მგალობელთა საზოგადოება 27 მარტს საარტისტო თეატრში სასულიერო კონცერტს გამართავს.]	472
443. ილიკო აბაშიძე – ტფ. ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების გამოცემების გამო	472
444. ხელი – * * * [ქუთაისი, 24 აპრილი. მაშ ასე და ასე! არ იქნა და არა, რომ ჩვენ ქალაქის ეკლესიებში ქართული გალობა გაგვეგონა.]	474
445. ძირითადი დიდუბელი – ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე	475
446. ახალი ამბები. ზ. ფალიაშვილის „ლიტურგია“	476
447. ქაჯეთელი – ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისსიონერს თავადს მელქისედეკ ნაკაშიძეს	476
448. ხორისტი – * * * [„შინაური საქმეები“-ს მეტერთმეტე ნომერში ხელის ფსევდონიმით მოთავსებულია შემდეგი წერილი]	477

449. დევ. კ. ცინცაძე –მცირე შენიშვნა დიდუბის ეკლესიის გამო	478
450. ხელი – ბ. ხორისტს	479
451. ძირითადი დიდუბელი – მცირე შენიშვნაზე შენიშვნა დიდუბის ეკლესიის გამო	480
452. * * * [30 მაისს ტაძრის დღესასწაულის გამო მისმა მეუფებამ წირვა საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ტაძარში შეასრულა.]	483
453. მედავითნე ივლიანე ივანეს ძე ნიკოლაძე – წერილი რედაქციის მიმართ	483
454. ტიტო ვარდიაშვილი – დიდუბის ეკლესიის გარშემო	484
455. დეპეშა	485
456. სამგლოვიარო განცხადება ფ. ქორიძის შესახებ	485
457. მეგობარი – ფილიმონ ქორიძე	485
458. * * * [14 ივლისს ბახმაროს სააგარეკო მთაზე გადაიცვალა ცნობილი მომღერალი]	486
459. * * * [ქუთაისის საკათედრო ტაძარში განსვენებულ ფილიმონ ქორიძის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს]	486
460. მუცუცა ჯაყელის ასული, ლ. გაგუას ასული – * * * [დაუფინყარ ფილიმონ ქორიძის ბახმაროელ პატივისცემელთ განზრახვა ჰქონდათ გვირგვინით შეემკოთ მისი ძვირფასი ცხედარი]	486
461. მელ. ნაკაშიძე – პასუხათ ბ-ნ ქაჯეთელს	487
462. ი. ჩხარელი – სოხუმის ცხოვრება	489
463. ნ. კლენოვსკი – ბ. კლენოვსკის აზრი ზ. ფალიაშვილის ქართულ საგალობლებზე	490
464. ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას	490
465. ახალი ამბავი [კვირას, 9 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის ფილიმონ ქორიძის სულის მოსახსენებლად.]	491
466. * * * [ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამგეობა აუწყებს...]	491
467. * * * [ქართული საეკ. გალობა.]	491
468. * * * [ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებლად იყო მღვდელი ვასილ კარბელაშვილი]	491
469. ქაჯეთელი – კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედექ ნაკაშიძეს	492
470. ქაჯეთელი – კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედექ ნაკაშიძეს (დასასრული)	494
471. ტფილისის ქართულ მომღერალ-მგალობელთა გუნდი	496
472. * * * [გასულ კვირაში ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების კრება მოხდა]	496

473. ა. ხახანაშვილი – ქართული სამღვთო წერილის შესახებ	497
474. დეკ. ი. წერეთელი – „დიდი რამ არი, ვინც იცის, წაკითხვა წასაკითხვისა“	498
475. ხელი – სიჩუმე ყოველთვის თანხმობის ნიშანი არ არის	500
476. № – * * * [სადგური სუფსა.]	500
477. მონაფე – ქართული საეკლესიო გალობის დამახინჯება	501
478. იოთამ თარხანიძე – ჩვენი მაიმუნობა	502
479. * * * [ქუთაისში ამ ჟამად ქართული საეკლესიო გალობის კურსებია.]	504
480. მასწავლებელი – ხმა სამრევლო შკოლის მასწავლებლისა	504
481. დამსწრე – მუსიკ[ოს]ის მოგზაურობა ქიზიყში	505
482. მასწ. იონა გაბეხაძე – პასუხად ბ. მონაფეს	505
483. * * * [მედავითნეთა კურსებზე, დარიის მონასტერში ქართულ გალობისა და მუსიკის მასწავლებლად მიინვიეს ნ. პ. სულხანიშვილი.]	506
484. მღვდელი იასონ აბესაძე – მამაო რედაქტორო!	506
485. ონოფრე მწირი – მაქსიმე როსტომის ძე შარაძის ხსოვნას	508
486. * * * [აღდგომის კვირაში თბილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, ემგზავრება]	511
487. * * * [ახლად დაარსებული მიხეილ კავსაძის მიერ „თბილისის ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ პირველად ჰმართავს კონცერტს]	511
488. * * * [დღეს, თბილისში, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში „პირველ ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს სახალხო კონცერტს.]	512
489. ქართულ სიმღერა-გალობის მოყვარულთა საყურადღებოდ	512
490. დ. ჯავახიშვილი – ს. გურჯაანში არსებული მგალობელთა გუნდი	513
491. კორდელი – ქართული ეკლესიები და ქართული გალობა	513
492. * * * [ბაქო. ნელს ბაქოს ქართულ სკოლაში მეოთხე განყოფილება გახსნეს]	514
493. ლადო ზზვანელი – საეკლესიო გალობის აღდგენა ძველ იმერულ კილოზე	514
494. კადემიკოს ნ. მარის წერილი ქართული გალობის შესახებ	515
495. აკადემიკოს ნ. მარის წერილი ქართული გალობის შესახებ (დასასრული)	517
496. ლ. იმერელი – ს. მათხოჯის დედათა სავანე	518
497. გ. ლეონიძე – მიქელ მოდრეკილი და მისი საგალობელნი	520
498. ი. მარალიძე – მუსიკა და ქართველი მემუსიკენი	521

499. დ. არაყიშვილი – ქართული საეკლესიო მუსიკის გამო	522
500. ი. მარალიძე – [მუსიკა და ქართველი მემუსიკენი] (გაგრძელება)	523
501. ი. მარალიძე – [მუსიკა და ქართველი მემუსიკენი] (დასასრული)	524
502. * * * [მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი, 20 კაცისაგან შემდგარი]	526
503. მღვ. რ. ხუნდაძე – სიმღერა სკოლებში	526
504. წირვა და პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად	528
505. სამძიმარი	528
506. გ. საყვარელიძე – კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი	528
507. ქართული სახიობა [ქართ.-რუს. სასულიერო კონცერტი ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გაიმართა]	530
508. სოგოლი – კომპ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო	530
509. გ. საყვარელიძე – კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი	531
510. ქართული სახიობა [კომპოზიტორ კ. გ. ფოცხვერაშვილის სასულიერო და საერო კონცერტი გაიმართა]	533
511. * * * [სასულიერო საგალობელთა კრებულის გამოცემა განუზრახავს (გასულ კვირას გამართულ კონცერტის შემოსავლით) კომ. კ. ფოცხვერაშვილს.]	533
512. * * * [დიდი სახალხო კონცერტი გაიმართება დღეს სახალხო სახლში]	534
513. * * * [ხაშმელ გლეხთა მგალობელმა გუნდმა დაკრძალვის დღეს საერთო ყურადღება დაიმსახურა.]	534
514. * * * [პირველად თელავში სასულიერო კონცერტს გამართავს ნ. კ. ს.]	534
515. გ. საყვარელიძე – დილაზე, 8 მარტს	535
516. თომა მალაროელი – ქართული საერო და საეკლესიო გუნდები	536
517. * * * [შესდგა გალობის მსურველთა გუნდი..]	537
518. * * * [ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია დღეს, თავის დღესასწაულს უქმობს]	537
519. * * * [სიმღერა-გალობის მასწავლებელს ნ. კავსაძეს განუზრახავს შეაერთოს ყველა ქართული გუნდები]	538
520. * * * [ანჩისხატის ტაძარში]	538
521. * * * [მუსიკოს-ლოტბარი სანდრო კავსაძე ამ მოკლე ხანში აპირებს პირველი დიდი ქართული ეროვნული კონცერტის გამართვას.]	538
522. * * * [ბორჯომის ქართ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი შაქ. ტალიკაძის ლოტბარობით]	538
523. შ–რო – სახალხო მოღვაწენი	539
524. * * * [მგალობელ-მომღერალთა ლოტბარის ი. გოძიაშვილის ორმოცის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია სადღეისოდ წმ. მარინეს ეკლესიაში.]	539

525. ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო	539
526. * * * [ფერისცვალება. დღეს დარიის ფერისცვალების მონასტერი თავის დღესასწაულს უქმობს]	540
527. * * * [ფერისცვალობას დარიის მონასტერში ანტონ ეპისკოპოსის მწირველობით მრავალი ხალხი შეიკრიბა.]	541
528. სამ. მ-ლი – ქართული გალობის გარშემო	542
529. * * * [ხაშმელ გლეხ-მგალობელთა გუნდი ლეონიდე ეპისკოპოსმა შიო-მღვიმეს გაიხმო.]	544
530. * * * [ჩვეულებრივ ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს]	544
531. დამსწრე – ქართული გალობის საკითხი	545
532. დამსწრე – ქართული გალობის საკითხი (დასასრული)	546
533. * * * [ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდი (ქულაჯებში) ალ. მაისურაძის ლოტბარობით]	547
534. ასო – საეკლესიო გალობა და თელავის სამღვდლოება	547
535. ახალი ამბავი [წმ. ნინოობა]	548
536. ნამი – საკითხი ძველი ქართული გალობის შესახებ	549
537. * * * [ჩვეულებრივ ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს]	552
538. დაბა-სოფლები [ს. უკანეთი (ქუთაისის მაზრა)]	552
539. უსავანო – * * * [ქართველ მუშა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა მ. კავსაძის ლოტბარობით, სახ. სახლში კვირას 31/1, გამართა კონცერტი]	552
540. * * * [მლ. პ. კარბელაშვილს შეუკრებნია და გადაუღია ქართული ეროვნული სიმღერა-საგალობელნი.]	553
541. ერთი წევრთაგანი – მცირე განმარტება	553
542. ექსარხოსის ლექცია	554
543. სასულიერო კონცერტი. [ბ-ნი ია კარგარეთელი ამ დღეებში...]	554
544. სასულიერო კონცერტი	554
545. ნ. შიუკაშვილი – გაფრთხილება	555
546. * * * [სასულიერო კონცერტი, ჩვენი დამსახურებული მუსიკოსის ია კარგარეთელის ხელმძღვანელობით]	556
547. იოსებ მონადირიშვილი	556
548. ს. კ-ძე – მოგონება (ი. გ. მონადირიშვილის გარდაცვალების გამო)	556

549. იოსებ მონადირიშვილი	557
550. ი. მონადირიშვილის დაკრძალვა	558
551. ი.-ი. – მუსიკოს-მასწავლებელი † იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილი	558
552. ექიმი შტოკმანი – ცაცია ხელი	559
553. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა), მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება	560
554. სიმი – * * * [კომპ. კ. ფოცხვერაშვილი, როგორც სჩანს, მშობლიურ მუსიკას ამირანად მოვლენია]	561
555. * * * [დიდუბის ეკლესიაში ქართული გუნდი ხელახლად შესდგა და გალობა დაიწყო]	562
556. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)	562
557. თამარობა დიდუბეში	564
558. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) (გაგრძელება)	564
559. გრ. ქავთარაძე – ქართული წირვა-ლოცვა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში	566
560. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) (დასასრული)	567
561. გ. მუმლაძე – ღია წერილი რედაქციის მიმართ	568
562. კ. ჩუტკერაშვილი – პატარა საუბარი ქართულ მუსიკაზედ	568
563. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა), მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება (თავი მეორე)	570
564. მ. კავსაძე – წერილი რედ. მიმართ	572
565. მ. კავსაძე – ქართული მუსიკა	572
566. * * * [ქართული საეკლესიო გალობისა და დიაკვნობის კურსებს აფუძნებს სამების მონასტერში (ს. ხაშმთან) მწირი გიორგი ეპიტაშვილი.]	573
567. თ. ყორდანია – ჩვენი ძველი წესები და მათი მნიშვნელობა	574
568. ლონგინოზ მღვდლისშვილი – ქართული გალობა და ჩვენი სამღვდლოება	576
569. მ. კავსაძე – 3 და 4 ხმიანი ქართული სიმღერა-საგალობელი	577
570. ნიკო ასლამაზაშვილი – ქართული ეკლესია პეტროგრადში	579
571. ს. მგალობლიშვილი – ქართული ეკლესია და სამღვდლოება	579
572. ლონგილოზ მღვდლისშვილი – ქართული სიმღერა-გალობის ბედი	581
573. იოსებ არიმათიელი [იოსებ იმედაშვილი] – ქართული საეკლესიო კითხვა-გალობა	582
574. * * * [მგალობელთა გუნდი შესდგა თბილისის მილიციონერთაგან]	584

575. სვ. წერეთელი – წერილები ხელოვნებაზე. მუსიკა	584
576. წინამძღვარ-ი – * * * [კ. ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა რაოდენი ორგანიზატორული უნარი შესწევს.]	585
577. ს. წერეთელი – წერილი ხელოვნებაზე	585
578. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ მეორის დაკრძალვის ცერემონიალი	586
579. ილიკო აბაშიძე – კირიონ მეორის დაკრძალვა	587
580. კ. გრძელი – ხელოვნება რელიგიაში	588
581. მლ. ფ. კარბელაშვილი – ფხიზელი ნაბიჯი ქართული გალობის საქმეში	590
582. დიდი ლიახველი – საეკლესიო გალობის ბედი	591
583. დეკანოზი რ. ხუნდაძე – ქართული საეკლესიო გალობა	593
584. დეკ. ვას. გრიგ. კარბელაშვილი – ქართული გალობისათვის	594
585. სასულიერო კონცერტი [პარასკევს, მაისის 16-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ახლადდანიერილი ლიტურდია, მუსიკა დ. არაყიშვილისა]	596
586. ზ. ჩხიკვაძე – დ. ი. არაყიშვილის ახალი ლიტურდია	596
587. სახალხო სიმღერა-გალობის კურსები	597
588. ძუკუ ლოლუა – პატარა საუბარი ხალხურ სიმღერასა და გალობაზე	597
589. დავ. კარბელაშვილი – ლევან მულალაშვილი და მისი მომღერალი გუნდი	598
590. ა. მაისურაძე – სახალხო მომღერალ-მგალობელთა შესახებ	599
591. დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი – ქართული საეკლესიო გალობის შერყვნა	600
592. დ. ო-ძე – საქართველოს საეკლესიო გალობა	601
593. ს. დ. პ. – მცხეთობა	602
594. * * * [მგალობელთა გუნდი შესდგა თბილისის მილიციონერთაგან]	603
595. სახალხო სიმღერა-გალობის კურსები ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის	603
პერიოდიკის საძიებელი	605
პირთა საძიებელი	606
ტოპინიმთა საძიებელი	624

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემა ქართული საეკლესიო გალობის შესახებ გასაბჭოებამდე ქართულ პერიოდულ გამოცემებში (ჟურნალ-გაზეთებში) არსებულ სტატიებს, წერილებს, განცხადებებსა და ამონარიდებს უყრის თავს. აღნიშნული მასალების შეკრება, დიდი ხანია, ქართული გალობის მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სტატიები ან საყურადღებო ინფორმაციის შემცველი ფრაგმენტები კერძო ინიციატივით აქამდეც გამომზეურებულა ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომში, როგორც მკვლევართათვის, ისე ქართული გალობით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის ეს კრებული მრავალი საინტერესო მასალის გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით, ეს წიგნი გალობის შესახებ ქართულ პერიოდიკაში გაბნეული მასალის პირველ მოცულობით პუბლიკაციას წარმოადგენს, რომელიც ქრონოლოგიურად განლაგებულ სტატია-წერილთა ხუთას ოთხმოცდათხუთმეტ ერთეულს შეიცავს.¹

საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებში შეწყვეტილი ტრადიციული ქართული გალობის დღევანდელ საღვთისმსახურო წიაღში დაბრუნება-აღდგენას არცთუ დიდი ისტორია აქვს; იგი ორ-სამ ათეულ წელს არ აღემატება. შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ქართული ქრისტიანული კულტურის ამ საუნჯის ისტორიულ-მუსიკოლოგიური ასპექტით კვლევამ სწორედ ამ პერიოდში შეიძინა ახალი იმპულსი. ამ კონტექსტში, უძველეს წყაროებთან ერთად, უაღრესად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულებით ქართული გალობის ისტორიისა და მისი მდგომარეობის ამსახველი ცნობები.

ქართული გალობის მეცნიერული შესწავლის, ქართული ჰიმნოლოგიის ისტორია დაახლოებით საუკუნენახევარს ითვლის. ყოველი ჰიმნოგრაფიული ხელნაწერი, უძველესი ნევემირებული კრებულებიდან მოყოლებული, XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე ნოტებზე ჩაწერილი ათასობით საგალობლის კრებულების ჩათვლით, უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ქართული ჰიმნოლოგიის, ჰიმნოგრაფიის ისტორიისა და საეკლესიო მუსიკოლოგიის დარგებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისათვის. უშუალოდ ჰიმნოგრაფიული მასალის გარდა, რიგ შემთხვევებში, ზემოაღნიშნულ ხელნაწერებში არსებული მინაწერები ქართული სამგალობლო ხელოვნების, მისი ტრადიციისა და ისტორიის შესახებ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, რომელთაგან ამოკითხული ინფორმაცია მრავლისმეტყველ, მრავალგზის გასააზრებელ და, ზოგ შემთხვევაში, საიდუმლოებით მოცულ, დღემდე ამოუხსნელ ობიექტს წარმოადგენს მკვლევართათვის. ქართული ჰიმნოგრაფიული ხელნაწერების სიმრავლის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული გალობის შესახებ, მისი ისტორიული, თეორიული და, მითუმეტეს, მუსიკოლოგიური ასპექტების შესახებ ძველი ლიტერატურულ-

1 პერიოდიკაში არსებული გალობასთან დაკავშირებული სტატიების თავმოყრის ინიციატივა ახალი არ არის. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მუსიკისმცოდნე ფოლკლორისტის გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ 1960-იან წლებში შეგროვებული მასალა (ასზე მეტი სტატია), რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ხალხური შემოქმედების კათედრის ბიბლიოთეკაში ინახება. ასევე, უნდა აღინიშნოს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევრების, ლუარსაბ ტოგონიძის მიერ ამავე მიზნით ჩატარებული შრომა, რომლის დახმარებითაც არის მოძიებული წინამდებარე გამოცემაში შესული სტატიების გარკვეული ნაწილი. გვერდს ვერ ავუვლით მერაბ კეზევაძის მიერ შედგენილ და 2006 წელს გამოქვეყნებულ წიგნს „დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის (1821-1920 წწ.)“, რომელშიც ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული, გალობის მდგომარეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტებია გამოქვეყნებული. ეს პუბლიკაცია, ამ მხრივ, „პირველ მერცხალს“ წარმოადგენს ქართულ გალობასთან დაკავშირებული მასალის თავმოყრილი სახით გამოქვეყნებისა.

ლი წყაროები საკმაოდ მწირია. ზემოთქმული უძველესი ხელნაწერების გვერდზე, მეტად ფასეულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დაფანტული სამგალობლო ტერმინები და მათი განმარტებები. ქართველი ენციკლოპედისტის, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ სპეციალურად გალობისათვის დათმობილი პატარა ქვეთავი, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. უფრო მოგვიანებით დეკანოზი პოლიექტოს კარბელაშვილი წერს და აქვეყნებს წიგნს „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, რომელიც ქართულ გალობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო კვლევად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სიის გაგრძელებად სხვა წყაროთა დასახელებაც არის შესაძლებელი, თუმცა უნდა ითქვას, მათი რიცხვი არცთუ დიდია, და აშკარაა, რომ ქართული გალობის სისრულით შესწავლისა და გაგებისთვის ეს წყაროები საკმარისი არ არის. ამის გათვალისწინებით, გალობის სფეროსთან დაკავშირებული ყოველი ინფორმაციული წყარო აქტიური მოძიებისა და შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

ძველ წყაროებში ქართული გალობის შესახებ ლიტერატურის ზემოაღნიშნული სიმწირის კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ პერიოდულ გამოცემებში არსებული გალობისადმი მიძღვნილი ყოველი წერილი. ასეთი კი, საბედნიეროდ, არც თუ ცოტაა.

XIX საუკუნეში, ანექსირებულ საქართველოში, ჩრდილოელი მეზობლის რუსიფიკატორული პოლიტიკა უხეშად შეეხო ქვეყნის თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ყველა ინსტიტუციას, მათ შორის, ცხადია, საქართველოს ეკლესიას. ავტოკეფალიის გაუქმებით და მასთან ერთად, ქართულად ღვთისმსახურების შესრულების შეზღუდვით, დიდძალი ხელნაწერების განადგურებით, ძვირფასი საეკლესიო განძეულობის მიტაცებით და ქვეყნიდან გატანით რუსეთი ცდილობდა ნაშლილიყო და დავინყებას მისცემოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული ქრისტიანული საუნჯე. ასეთ ვითარებაში, ქართული გალობის, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი გამოხატულების გადარჩენის საკითხი, მკვეთრად იქნა დასმული მაშინდელი ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელთა მიერ, რამაც გარკვეულწილად განაპირობა 1860-იანი წლებიდან ქართულ პრესაში გალობისადმი ყურადღების გამახვილება.

პირველი სტატია, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა, გახლდათ 1861 წლის ჟურნალ „ცისკრის“ იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა – „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი“. სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს ვრცელი სტატია გალობასთან ერთად სიმღერა-ლილინსაც ეხება. ავტორი ამ მუსიკალური საუნჯის დაკარგვის საშიშროებას ხედავს და საზოგადოებას ასე მიმართავს: „ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ჳმებზედ ჳელი. რა შეედრება ჩუჳნს მამა-პაპის სიმღერისა ჳმებსა, რომელიცა ჩუჳნი ავდენი ათასობითი წლების ჳმოვანებაა.“ ამ საუნჯის გადარჩენის სურვილი ათქმევინებს მასვე მოწოდებითა და ნატვრით აღვსილ სიტყვებს: „ღირსსახსოვრად დარჩება იმისი სახელი მარადის, ვინც ავდენსა ჳმებსა ერთად შემოჳკრებს და ნოტებზე დაანყოზს სულ ერთიანათ! ის შეიქნება ისტორიის პირი, საჩენი!“

მეორე სტატია, რომელიც გალობას მიეძღვნა, დავით მაჩაბელს ეკუთვნის. იგი იმავე ჟურნალ „ცისკარში“ 1864 წელს დაიბეჭდა, სახელწოდებით „ქართველთ ზნეობა. გალობა“. ავტორს განზრახული ჰქონდა შეედგინა სტატიების ციკლი, რომელშიც ქართველთა სხვადასხვა „ზნეობას“, ნეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს აღწერდა, და აღსანიშნავია, რომ ამ ციკლის პირველ თემად მან სწორედ გალობა აირჩია:

„რადგან გალობა არის წმიდა საგანი, ამისთვის პირველად ეს ზნეობა დავსთხზეთ. უკეთუ პირუჳლი მადგობა ესე ჩუჳნი მოეწონებათ წარმკითხველთა, მაშინ ჩუენ გაუგზავნით უფალს რედაქტორს სხუათაც, ჩჳენთა თხზულებათა ქართუჳლთა ზნეობაზედ, და იმედი გუაქჳნ,

რომ მსწავლულნი წარმკითხველნი მოიცლიან გასინჯონ თხზულება ჩუჴნი და კრიტიკულად გაარჩიონ. რაც უფრო მკაცრი კრიტიკული შენიშვნა იქნება, ის უმეტესი სასიამოვნო და გასამხნეველებელი იქნება ჩემთვის.“ – წერს დავით მაჩაბელი.

„ცისკრის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა მღვდელ ფილიმონ კარბელაშვილის „სიტყუა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის ნინას სობორსა შინა, ბოდბეს“, რომელშიც კარბელაშვილთა მგალობელი საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების უფროსი ძმა, ხატოვნად ხსნის გალობის მნიშვნელობა-დანისწულებას და ასევე გამოხატავს მადლიერებას ბოდბეში გალობის მოსწავლეთაგან მოსმენილი საგალობლების გამო.

მამა ფილიმონის სიტყვას უშუალოდ მოსდევს წმ. ნინოს „სობოროში“ ეკლესიის „პრეჩენიკის“, იოსებ ბერიევის პასუხი, სადაც აღნიშნულია არქიმანდრიტი მაკარის (ბატატაშვილის) დამსახურება ბოდბის მონასტერში გალობის აღდგენის საქმეში.

1864 წლის შემდეგ ქართულ პერიოდიკაში წერილები გალობის შესახებ თოთხმეტწლიანი შუალედით აღარ ჩანს, მაგრამ 1878 წლიდან გალობა მნიშვნელოვანი თემა ხდება გაზეთ „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე. ცოტა დაგვიანებით, ამ ინიციატივას ჟურნალი „მწყემსიც“ უერთდება.

ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაში, რომელიც 1940-1975 წლებში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის (მაშინ საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის) მიერ თერთმეტ წიგნად გამოიცა, შვიდ მათგანში აღწერილია 1861-1905 წლების ჟურნალ-გაზეთებში შესული სტატიები გალობის შესახებ,² თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბიბლიოგრაფიული აღწერილობები ამ წლების პერიოდულ გამოცემათა მხოლოდ ნაწილს მოიცავს. მასში აღწერილი გალობასთან დაკავშირებული სტატიების შემცველი ჟურნალ-გაზეთების ჩამონათვალი ასეთია: ჟურნალები – „ცისკარი“, „მწყემსი“; გაზეთები – „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „თეატრი“. აღსანიშნავია, რომ გალობის შესახებ სტატიები იმავე პერიოდის სხვა არაერთ ჟურნალ-გაზეთშიც იბეჭდებოდა, რაც სამწუხაროდ, არ არის ასახული ზემოჩამოთვლილ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა გამოცემებში. მართალია, მათი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მოძიება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგების დახმარებით დღეს უკვე გამარტივებულია, მაგრამ აღნიშნული კატალოგიზაცია ჯერჯერობით შევსების პროცესშია და ამდენად, სრულად ვერც ეს კატალოგები ასახავს როგორც 1905-წლამდე გამოქვეყნებულ, მით უფრო, 1906-1921 წლების პერიოდიკაში გალობის შესახებ არსებულ მასალებს. მათი ნაწილის მოძიება ჟურნალ-გაზეთების ფურცელ-ფურცელ შემოწმებითა და დაძებნით გახდა შესაძლებელი.

1921 წლიდან, კერძოდ, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, ათეისტური რეჟიმის პირობებში, გალობის შესახებ სტატიები პრესის ფურცლებიდან თითქმის სრულიად ქრება. მართალია, 1920-ან წლებში გარკვეული გამოწვევების სახით მაინც გვხვდება რამდენიმე სტატია, რომელიც ქართულ გალობას ეხება, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგადად ეკლესია და მასთან ერთად გალობაც და მგალობლებიც რეპრესიის ობიექტად იქცნენ, მაშინდელ პრესას, ბოლშევიკური ცენზურის გამო, ამ თემაზე თითქმის სრული დუმილი უწევდა. სწორედ ამ ისტორიული რეალობით არის განპირობებული წინამდებარე გამოცემაში ქრონოლოგიური პერიოდის 1861-1921 წლებით შემოფარგვლა.

2 იხ. ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია – ტომი 1. ნაკვ. 1: 1852-1877 – საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა; – თბ. 1940; 2) ნაკვ. 2: 1877-1892 – თბ. 1941; 3) ნაკვ. 3: 1893-1905 – თბ. 1944; 4) ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 5) ტომი 2. – თბ. 1952; 6) ტომი 3, ნაკვ. 1. – თბ. 1963; 7) ტომი 3, ნაკვ. 2. – თბ. 1964.

საინტერესოა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, გალობასთან მიმართებაში, რა თემატიკა წარმოადგენდა საზოგადოებისათვის მთავარი ინტერესის საგანს და ამ თემატიკასთან დაკავშირებულ სტატიებში რაზე კეთდებოდა აქცენტი. ცნობილია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი საგალობელთა ნოტებზე ჩანერა და ამ გზით მის გადარჩენაზე ზრუნვა გახლდათ. 1860-იან წლებში შექმნილი „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ მთავარ ამოცანასაც სწორედ ეს წარმოადგენდა. პირველი საგაზეთო სტატიების სათაურებიც ამას ასახავენ: 1878 წლის „ივერიის“ №8-ში „ქართულის გალობის ნოტებზე გადაღება“, იმავე წლის „დროების“ №45-ში: „წერილი რედაქტორთან. უფ. მრევლოვის ნოტებზე“, რომლის ავტორია მიხეილ მაჭავარიანი, ავტორი ქართული ხალხური სიმღერების პირველი გამოქვეყნებული სანოტო კრებულისა „სამშობლო ხმები“, რომელშიც სიმღერებთან ერთად, ერთი საგალობელი „ქრისტე აღსდგა“ არის შესული.³ შეგახსენებთ, რომ სწორედ მ. მაჭავარიანი გახლდათ გალობის აღმადგინებელი კომიტეტის მიერ არჩეული ის მუსიკოს-სპეციალისტი, ვისაც საგანგებოდ შერჩეული მგალობლებისგან გადმოცემული საგალობლები უნდა ჩაენერა ნოტებზე. ამ საკითხს, მაშინდელ პრესაში, არაერთი სტატია ეთმობა. ზოგ მათგანში საგალობელთა ნოტებზე გადატანის საჭიროებასა და აუცილებლობაზე მსჯელობასთან ერთად, კრიტიკულად არის შეფასებული მ. მაჭავარიანის მიერ საგალობელთა ნოტებზე გადაღების ხარისხი.

სერიოზული პოლემიკის საგანს წარმოადგენდა საკითხი, თუ ქართული გალობის რომელი კილოს გალობა უნდა ყოფილიყო ჩანერილი პირველ რიგში ნოტებზე – ქართლ-კახური თუ იმერულ-გურული? ამ კამათს დაეთმო „ივერიისა“ და „დროების“ არაერთი ფურცელი. აქვე თავს იჩენს საკითხი თუ კონკრეტულად რომელ კუთხეს ეკუთვნის ესა თუ ის კილო: დასავლეთის შემთხვევაში – კერძოდ, იმერეთს თუ გურიას; აღმოსავლეთში – კახეთს თუ ქართლს. ასევე, პრობლემად არის ზოგან წარმოჩენილი ქართლ-კახური გალობის, ამ ტრადიციის დამცველი ოჯახის, კარბელაშვილების საგვარეულო სახელით – „კარბელაანთ კილოთი“ მოხსენიება.

დიდი მწყემსმთავრების – გაბრიელ ეპისკოპოსისა (ქიქოძის) და ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) თანადგომითა და მხარდაჭერით უმთავრესი საკითხი – ქართული გალობის ნოტებზე ჩანერისა ისე გადაწყდა, რომ ორივე შტოს – იმერულ-გურული და ქართლ-კახური კილოს სამგალობლო ტრადიციის ჩანერა განხორციელდა, რაც უდავოდ საუკეთესო გადაწყვეტა გახლდათ ამ პოლემიკური საკითხისა. შესაბამისად, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნოტებზე ჩამწერთა – დასავლეთ საქართველოში საგალობელთა უმთავრესი ჩამწერის, ფილიმონ ქორიძისა და აღმოსავლეთში – ძმები ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების მოღვაწეობა, რასაც მრავალი წერილი დაეთმო პრესის ფურცლებზე. წერილებს კი წერდნენ დიდი ქართველი მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, მაქსიმე შარაძე, რაფიელ ერისთავი, მოსე ჯანაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და სხვანი. სასულიერო პირთაგან აღსანიშნავია: გაბრიელ ეპისკოპოსის, ალექსანდრე ეპისკოპოსის, არქიმანდრიტი მაკარის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის წერილები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თვით მგალობელთა და საგალობელთა ნოტებზე ჩამწერთა წერილები. მათ შორის: ფილიმონ ქორიძისა და ძმები კარბელაშვილების სტატიები, რაჟდენ ხუნდაძის, ანტონ დუმბაძის, მელქისედეკ ნაკაშიძის, ანდრია ბენაშვილის, მიხეილ მაჭავარიანის, ზაქარია ჩხიკვაძის, ივლიანე წერეთლის, ივლიანე ნიკოლაძის, კორნელი მალ-

3 აღსანიშნავია, რომ სწორედ იმავე 1878 წელს გამოიცა ქართული საეკლესიო საგალობლების პირველი სანოტო კრებული „ქართული ხმები“, შედგენილი ანდრია ბენაშვილის მიერ.

რადის, იოსებ მონადირაშვილის, მიხეილ ელიზბარაშვილის, მიხეილ კავსაძის, ძუკუ ლოლუას და სხვათა წერილები.

ასევე ყურადღებას იქცევს ფსევდონიმებით აღნიშნული ის სტატიები, რომელთა ავტორებიც სინამდვილეში არიან: ნიკო სულხანიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა დიდი ქართველი მოღვაწე.

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი 595 ერთეული დოკუმენტიდან მთლიანობაში არცთუ ცოტაა ისეთი სტატია, რომლის ავტორი ფსევდონიმით ან კრიპტონიმით არის წარმოდგენილი. ამ სახით, ოთხმოცზე მეტ ავტორს აერთიანდებს კრებული (მათ შორის 60-ზე მეტი ფსევდონიმია და 20-მდე კრიპტონიმი). ნაწილი ფსევდონიმებისა დიდი ხანია ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. მაგალითად, პოლიევქტოს კარბელაშვილის ფსევდონიმი – ცხვილოელი, პეტრე უმიკაშვილისა – ანჩხატელი (იგი აგრეთვე იყენებდა კრიპტონიმს – პ. უ.), ფილიმონ ქორიძისა – კორიჯიო და სხვ. ამავე დროს ნაკლებად ცნობილ ფსევდონიმთა გახსნისათვის ვისარგებლეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე (www.nplg.gov.ge) განთავსებული ფსევდონიმების ლექსიკონით, რომელშიც შესულია როგორც სხვადასხვა დროს წიგნებად გამოცემული⁴ და ხელნაწერის სახით დაცული⁵ მოცულობითი ლექსიკონები ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმებისა, ისე ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მიერ წლების განმავლობაში მოძიებული, მეცნიერთა ნაშრომებში მიკვლეული ფსევდონიმები.

ზემოაღნიშნულ ლექსიკონებში, დიდადი მასალის თავმოყრის მიუხედავად, წინამდებარე კრებულში გვხვდება ცალკეულ პირთა (უმეტესად ძველ მაგალობელთა) ისეთი ფსევდონიმები, რომელნიც არცერთ აქამდე არსებულ ლექსიკონში არ არის შესული, მაგრამ ჩვენთვის სათანადო დოკუმენტური წყაროებიდან არის ცნობილი. მაგალითად, ასეთებია: ქაჯეთელი – რაჟდენ ხუნდაძისა, სიმონ კუტი – სიმონ ფირცხალავასი, ლონგილოზ მღვდლისშვილი – მიხეილ კავსაძისა, ქართველი – რომან ცამცივე-ძამსაშვილისა და სხვ.

სტატიების ავტორთა ნაწილის ვინაობა უცნობი რჩება, რადგან ისინი ჯერ კიდევ გაუხსნელი ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით არის აღნიშნული. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ავტორები თავად ხდებიან ჩვენთვის წარმდგენნი ამა თუ იმ სოფელსა თუ ქალაქში მოღვაწე ლოტბარისა, გალობის მასწავლებლისა ან მაგალობელთა გუნდისა, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სხვა წყაროდან არ მოგვეპოვება.

პუბლიკაციისათვის ტექსტების მომზადება-რედაქტირებისას შენარჩუნებულია დედნი-სეული ენობრივ-სტილისტური თავისებურებები. ჩასწორებები ძირითადად ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას შეეხო. ტექსტებში ხშირად გვხვდება შემოკლებები, რომელთა მნიშვნელობა, კონტექსტიდან გამომდინარე, სწორად უნდა ამოვიკითხოთ. მაგალითად, ხშირია ამა თუ იმ გვარის წინ (სახელის გარეშე) დასმული „ბ.“, რაც „ბატონს“ აღნიშნავს და სახელის ინიციალად არ უნდა მივიჩნიოთ. ასევე ხშირია ასო „უ.“ – „უფალი“-ს (ანუ „ბატონის“ მნიშვნელობით), ასო „მ.“, რაც „მამა“-ს (მღვდელმსახურს) ნიშნავს და სხვ.

სტატიებში არსებული სქოლიოები, არა გვერდის დასასრულს, არამედ უშუალოდ სტატიის ბოლოს გვაქვს მოტანილი (გამონაკლისია მხოლოდ მეორე სტატია).

კრებულში შესული სტატიების უმრავლესობა მთლიანად ქართული საეკლესიო გალობის

4 იხ. იოსებ გრიშაშვილი – ფსევდონიმების ლექსიკონი – გამ. „მეცნიერება“, თბ. 1987; იხ. გივი მიქაძე – ფსევდონიმების ლექსიკონი – გამ. „მეცნიერება“, თბ. 1984.

5 იხ. დავით შულღიაშვილი – ქართული ფსევდონიმები (ხელნაწერი, 1950-1975 წწ.) – დედანი ინახება საოჯახო არქივში; ქსეროასლები დაცულია საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

საკითხებს ეძღვნება, თუმცა, ზოგი მათგანი გალობასთან ერთად, სხვა თემების შემცველი ვრცელი სტატიებიდან ამონარიდს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში სტატიის გამოტოვებული ნაწილები აღნიშნულია ნიშნით: [...]

კრებულს დართული აქვს სამი სახის საძიებელი: პერიოდიკის, პირთა და ტოპონიმური. სამივე მათგანში ყოველი საძიებო ობიექტი იმ სტატიის რიგითი ნომრით არის მითითებული (და არა გვერდებით), რომელშიც ეს ობიექტი ერთხელ ან მეტჯერ გვხვდება. პირთა საძიებელში გამუქებული ციფრებით მოცემული ნომრები ამ კონკრეტული ავტორის სახელით გამოქვეყნებულ სტატიებს აღნიშნავს. ტოპონიმთა საძიებელში გარდა გეოგრაფიული სახელებისა შევიყვანეთ ინსტიტუციათა (ეკლესია-მონასტრების, სასწავლო დაწესებულებების და სხვ.) დასახელებები.

ნიგნის მომზადებისათვის ჩატარებული ხანგრძლივი სამუშაოს მიუხედავად, ნაშრომს არა აქვს ქართული პერიოდიკის პუბლიკაციათა სამოცნლიან მონაკვეთში (1861-1921) გალობასთან დაკავშირებული მასალების სრულად ასახვის პრეტენზია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ კრებულში თავმოყრილი მასალა დიდ ინტერესს გამოიწვევს მკითხველში და დახმარებას გაუწევს ქართული გალობის მკვლევართ და მისი ისტორიით დაინტერესებულ პირებს. იგი შესაძლებლობას იძლევა თვალნათლივ დანახული და გათავისებულ იქნას მრავალი დაბრკოლებითა და წინააღმდეგობით აღსავსე გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ქრისტიანული ხელოვნების დიდებულმა საგანძურმა – ტრადიციულმა ქართულმა გალობამ.

აქვე დავძენთ, რომ ამ პუბლიკაციის აქტუალობას ძველ სტატიებში ასახული პრობლემატიკის დღევანდელობაში კვლავ არსებული ანარეკლებიც განაპირობებს.

*საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის
სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით
მომსახურების განყოფილების უფროსი,
მუსიკოლოგიის დოქტორი*

დავით შულღიაშვილი

1. ცისკარი, 1861, იანვარი, №1, გვ. 141-160

ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი

მე მგონია, ეგოდენი ისტორიული სხუადასხუა გვარი შემთხვეულებანი არავის არ გადახდენია თავსა, როგორათაც ძუჭლსა ივერიანელებს, ჩუჭნს წინაპართა, რომელნიცა არა საშინელს შემთხვევაში თავიანთსა ათასობითსა წლებისა, ყოველს კარგსა ღირსებასა, ანუ ხასიათსა, ანუ ჩვეულებასა, ანუ ზნეობასა, არა ჰკარგავდნენ და არც ივინყებდნენ არასდროს.

მართალია, როსტომ მეფეს სპარსეთის ჩუჭულება შემოუტანია საქართველოში და ის ჩუჭულება ასე ეგრგვინა მთელს საქართველოს ერსა, რომ საერთოდ იძახდნენ თურმე: ყიზილბაშებმა წაგვპილნეს და გაგვრყვესო. ამას ვახუშტიცა სწერს, მაგრამ მაინც ჩემი აზრი უფრო სხუა არის ამაზე. აი, როგორ? რაც დრო უნდა ყოფილიყო ხოლმე საქართველოში, მაინც ჩუჭნთა მამა-პაპათა უყუარდათ თავიანთი დამინებულნი მამა-პაპანი; კეთილმონივნებით ახსენებდნენ ყოველთვის.

ვინ იცის, რავდენს საუკუნოს მკუდრებსა მოიგონებდნენ თავიანთსა წინაპართა, თორემ ახლო ხანისას ხომ, რასაკვრველია, მოიგონებდნენ და დიდის პატივისცემით იტყოდნენ იმათსა ადამიანობასა. ყოველს ლხინში, ყოველს შეყრილობაში, როგორ განყდებოდა თავიანთ წინაპართა ანბავი, როგორც იმათში ყოფილიყვნენ ცოცხალნი? ასე და ამ სახით იყო ჩუჭულება ჩუჭნი მამა-პაპებისა. სადაც ესენი იქნებოდა, იქ არ დაავინყდებოდათ არასდროს. იყო და კიდევ ჰქონდათ მიღებული.

ღიას, კარგი, უთუოთ მაშინ ისე უნდა ყოფილიყვნენ ჩუჭნი წინაპარნი, რომ გარეშე უცხო თესლების ჩუჭულება არა მიეღოთ რა იმათ, გარემოებისა გამო, მაგრამ ძნელი ეს არი, თითქმის ეხლაც ისეა ჩუჭნი გლეხები, რომელნიცა არავისგან არ სწავლობენ, ახლანდელსა კარგსა არავისას. მაგალითებრ, ჩემს გლეხებს ვკითხვ ნემეცების ყოფაქცევა და იმათი ცხოვრება. აი, იმათი პასუხი:

– ბატონო, რა კარგნი არიან ნემეცები, და იმათი დანყობილება ხომ რალა მოგახსენო?

– მერე რატომ არა სწავლობთ იმათ დანყობილებასა თქუჭნც, თუ აგრე მოგწონთ? – მე ვკითხე.

იმათ ეს ჩემი სიტყვა არ მოეწონათ და უკმაყოფილოდ მითხრეს: „ეჰ, ბატონო, რაც ჩუჭნს მამა-პაპას არ უქნია, ვერც ჩუჭნ გადავალთ იმათ ჩუჭულებასაო.“

მაშინდელი დრო სხუა იყო, უთუოთ ისე უნდა ყოფილიყვნენ ჩუჭნი მამა-პაპანი. მაგრამ ახლა ასეთი სინათლე აივლის და ჩამოივლის ქუჭყანაზედ, რომ უთუოთ ჩუჭნც იმას უნდა დაუწყოთ დევნა, იმ ნათელსა დროსა. მადლობა ღმერთსა, ახლა ბევრნი მოვედით გონებაზედ და ახლანდელსა განათლებასა ანუ განვითარებასა მივმართეთ ბევრმა, ბევრმა კეთილმოზილებმა, და ნურც მოგვეშლება ეს ფიქრი ნურავის.

წარსულს წელიწადის „ცისკარში“ ჩემს აღწერაში წაიკითხავდით: უწინდელს ჩუჭნს ბატონყმობას საქართველოში, იმ უწინდელს ჩუჭნს ბატონყმობას და იმ უწინდელს ჩუჭნს უმანკოებას, ახლანდელი ევროპიული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და ერთს ზნეობად გაკეთდეს, მაშინ იტყვან: „აი, ზეციური ცხოვრება ქუჭყანაზე გადმოვლენილიო!“ მაშინდელის გარემოების მიხედვით, მართლად შესანიშნავი არიან ჩუჭნი წინაპარნი, უცხო ქვეყნიერებთან, რომელნიცა სრულიად განსხვავებულნი იყვნენ ყოველს ფერში იმასთან.

სხუათა შორის, ჩუჭნი გალობა, ანუ სოფლების სიმღერის ხმები სხუა ქუჭყნებისას არ

მიემსგავსება, რომ ჩუჭნი გალობა ანუ სიმღერა, იმათ გალობასა ანუ სიმღერასა ეგვანებოდეს. მე არსად არ მეგულება! იქნება ბარამინების ჳმა იყოს ჩუჭნი გალობა ანუ სიმღერა? მე ამისი დამტკიცება არ შემძლიან და იქნება სხუა გამოჩნდეს ვინმე?

ჩუჭნს ეკლესიურს გალობასა: თქმასა, მოძახილსა, ბანსა, კრინსა და დვრინსა, სად არ იგალობებდნენ ერთიანსა შეწყობილსა გალობასა ამას სხვსა და სხვს ჳმებით? ყველგან, თავადი, აზნაური და ბევრი გლეხი გალობდა, ეხლა ევროპიელებს არ მოეწონებათ, მაგრამ მე კი მინახავს, რომ ჩუჭნს გალობაზე, სულის საამო ცრემლები უბრქვევიათ მშუენიერს თავლებიდან სპეკალს ლოყებზედ. საკუთრება არის მეტი კარგი გულისათვს.

რად დავივინყეთ ის ჩუჭნი მამა-პაპების კარგი გალობა, სადაც გნებავდათ ის ჳელად სათქმელი? სად არ გაგვატარებინებდა დროსა და სად განგებასა ლუთისასა, არ მოგვაგონებდა, ის იმისი მიმოხვრილი გალობა?

გამიგონია გურიელები კიდევ თურმე გალობდნენ მამა-პაპის გალობასა! ლუთის გული-სათვს გურიელებო, ჩუჭნი დიდი ჳელმნიფის სადღეგრძელოთ, თქუჭნ მინც ნუ დავივინყებთ თქუჭნი მამა-პაპის ეკლესიების გალობასა: იმ ლუთის სასიამოვნოსა, წყნარსა და მშუდობიანსა გალობასა, რომელიცა ის ჳმა მოგვაგონებს, ჩუჭნსა კეთილსა ქრისტიანობრივსა ნამდვლსა.

სულხან საბა ორბელიანი ანბობს გალობისათვს თავის ლექსიკონში: „გალობა არს თვსი-სამებრ უკუჭ სიტყვსა ჳმა რამე ტკბილად თქმული, მადლობა; გალობა არს ლუთისმეტყველებისა მადლისა ხედვისა მქონებელი იყოს, გალობა ჳმა ავაჯიანი შეწყობით ალტევებული, თვნიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობართა. გალობა არს მართლმადიდებლობითთა მიერ ლუთისმეტყველებაჲ, რომელი თავით თვსით ინურთის. შეწირვასა ლუთისასა, სულისა სრულისა ვისიმე.“

გადმოვიდეთ ახლა ჩუჭნი სოფლებისა სიმღერებზედ, თუ რავდენ რიგათ გაიყოფა. ჯერ რაც მე ვიცი და რაც არ ვიცი, ის კიდევ სხუა არის. მოვყვეთ აქედგან ანუ პირველ ყმანვლის დაბადებიდგან: უწინდელს დროს ჩვლი ყმანვლი რო დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქოთ ეს ლექსი, ქალებს და ყმანვლკაცებს. „მზე შინაო, მზე შინაო, მზეში შამოდოო.“ – და სხუანი. ეს ერთიანი ლექსი ასეთი შესაფერი ლექსია ძეობისა, უკეთესი აღარ იქნება.

მეორე: მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდანიერლებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაცურულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორნილებით და სალხინოს სახლში შემოიყვანდნენ მღერით, იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო, სხუადასხუა სოფლიურის სიმღერებით და ლიღინებით, თან თუ მესტვრე ეყოლებოდათ, იმის სტვრის დაკვრაზე როკუას დაიწყებდნენ ქალნი და კაცნი და თუ მესტვრე არ ეყოლებოდათ, როკვს სიმღერასა იმღერებდნენ მომღერალნი და იმ ჳმაზედ ჳყვებოდნენ დიახ, კარგათ. ამასთან, თუ მესტვრით იყო ხოლმე ქორწილი, ის მესტვრე მრავალს ქებას შეასხამდა მექორნილებს, სხუა და სხვს სიმღერის ხმებში, რომელნიცა ამისათვს მიიღებდა საჩუქარსა ყველასაგან.“

მესამე: სადაც დიდი სადილი იქნებოდა, ნადიმი; სადაც იქ პირველი გუამი იჯდებოდა თავზე, იმის პატივისცემისათვს, იმის სუფრის წინ პირდაპირ, უნდა მოსულიყვნენ მგალობლები და სალხინოსა გალობასა მოჰყოლოდნენ დაჩოქილნი: „დღეს საღმთომან მადლმან წმინდისა სულისამან შეგვკრიბნა ჩუჭნ“ და სხუანი. ჯერ პირველად ამ ლუთის დიდებით მოილხენდნენ გულით და სულით, მასუკან მომღერალნი მოვიდოდნენ, სოფლიური სიმღერების მთქმელნი; სხუასა და სხუას სიმღერასა იტყოდინ, თავის ლიღინებით, თავის სადღეგრძელოს მრავალჟამიერით და სამადლობელის გადახდით. ამისთანა ნადიმზე, ავდენი წართქმებოდა და ავდენი სიმღერა სულ სხუადასხუა, რომ ოთხი საათი თუ მეტ-ნაკლები, გაგრძელებოდა მოლხენილი ნადიმი, რომელნიცა დასასრულზე გულკეთილიანი ადგებოდნენ ნადიმიდგან და თავ თავისად წავიდოდნენ ყველანი, ურთიერთის მადლობელნი. უწინდელი ლხინების ანბავი დიახ ბევრია, მაგრამ მე ეს მოკლეთა ვსთქვ, რადგან გალობისას და სიმღერისას ვლაპარაკობ.

მეოთხე: ბევრი რიგი თამაშობა არის ჩუქნში მღერით, მაგრამ ერთს იმათგანს ვიტყვ, იმ თამაშობას და იმ შექცევას. „სამაია“ ქალნი და კაცნი ორ დასად გაყოფილი ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ჴელი ჴელს გაბმულები მწკრივით; ჯერ ერთი გაბმული დასი წარმოვიდოდა თავის პირისპირ დასისა, წყნარად მომავალნი და თან ამას მღეროდნენ: „სამაია სამსგანა რა ტურფა რამ ხარო...“ და სხუანი ასე უნდა მოსულიყვნენ მოპირდაპირე დასთან, ეს მომღერალი დასი, მასუკან მღერითვე გატრიალებულიყვნენ და თავის ადგილს მისულიყვნენ ეგრეთვე მღერით. იქ მწკრივით დადგებოდნენ ჴელებგაბმულები პირველისავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივით, დადგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე, ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერასა პირველს დასსა; თან პირველის დასის რიგით წამოვიდოდა და იმათის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მოვიდოდა მეორესთან, ხან მეორე პირველთან, მაგრამ თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერასა თავის შეწყობილის ლექსებითა. ბოლოს დროს ასე უნდა აეჩქარებინათ სიმღერა, რომ სალალთ გარდექციათ და ერთმანეთისათჳს ბაღდადის ხელსახოცები ესროლათ ანუ წყნარა დაეკრათ ეგრეთ მღერით. ჩემ სიყმანჯლეში, ერთს გამოჩენილს ქორწილში დააბეს „სამაია“ ორმოცმა მეტმა მახლობლად ქალებმა, გათხოვილებმა და გაუთხოვრებმა. მე ეს ისე მამენონა, რომ როცა მოვიგონებ ხოლმე, იმ დართულ-დაკმაზულს ქალებს, იმათ საუცხოოს შეწყობილს მღერას და იმათ მშუქნიერსა წარწარსა მიმომსვლელობას მღერითვე, ოჰ! მეტად მესიამოვნება. არ ვიცი, ეს ამ გვარები რომ დაიკარგოს ჩუქნში, რისთვის და რათა?!

მეხუთე: ბევრჯელ მახსოვს ესეც: ერთი სოფლის დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები, ერთათ შეყრილნი სალამო ჟამს, წყალზე მიმავალნი, კოკებითა მხრებზედ შედგმული, თან შეწყობილსა სიმღერასა ანობდნენ ამას მეტად კარგად: „თინა მიდის წყალზედა ას თინანო თინანო.“ და სხუანი ესეც წყალის მოსატანი სიმღერა არის.

მექუთე: ავათყოფის სიმღერა „ნანა“ უკეთესი ჴმა რალა უნდა. თვთქმის არაფრისთან საქმე არა გაკეთდებოდა რა უწინდელს დროს ჩუქნში, თუ თავისი საკუთარი სიმღერა არა ეთქოთ რა, არ იქნებოდა, სწორეთ იმ საქმის მიმსგავსებული, იმისი სიმღერა. აი, ამითი სჩანს, რომ ჩუქნსა ერსა უღრმეს და უძველეს დროში თავის საკუთარი ჴმის მუსიკა ანუ, ახლანდელს გვარზედა ვსთქუათ: პოეზია ჴქონიათ, რომელთაცა დღესაც ზოგიერთმა იციან ის ათასობითი წლების გალობანი ანუ სიმღერანი; ის იმათი დამინებული ჩუქნი მამა-პაპების ჴმები, ანუ მაშინდელი ბუნებითი ძველი მუსიკა, რომელნიცა ჩუქნი ქუჭყნის დაარსებაშივე, როგორც ვხედავ, მე მგონია, რომ იმ პირუჭლს ჩუქნს მამასა უნდა შემოელო, სადაც ჯერეთ კიდევ ცხოვრობდა ჩუქნში. რასაც ვანბობ, ნურავინ ნუ გაიკრვებს, ეს ტყუილი იყოს, ამისთვის, რომ ის პირველი ჩუქნი ძმა ამ საკვირველს უშუშუქნიერესს ქვეყანას რო ნახავდა, ამთენს განსხვავებულს საუცხოოვს ბუნებას, რა საკვრველი იქნება, რომ იმისი გრძნობა აღელვებულებოდა და თავის კლდეში, ჯერ ფუტკარსავით ბზუილი შეექნა, მასუკან ის ბზუილის ჴმა, თანდათან გაელამაზებინათ, გალობად ანუ სიმღერად? თუ ჩუქნი ქვეყანა, პირველკაცის ბუდე არის მართლა, მამ უთუოთ ესეც ასე უნდა იყოს, როგორც ვანბობ. ერთს ანბავს გიამბობთ, სასაცილოც არის და შესანიშნავიც: ჩემ ყმანჯლობაში, როგორც მახსოვს, მგონია ან 1824 წელი იყო და ან 1825, ამ რომელსამე დროს ჩუქნ ორბელიანთ მთაზე ვიყავ ზაფხულს, სადაც ჩუქნი ყმები თათრები იდგნენ აგრიყარზე; იქ იმათში შევექცეოდი მთიანობით. საქმე გამიჩნდა ბორჩალოს მოურავთან, პრისტავთან, რომელიცა იმ დროს იდგა ყარახაჩსა ჩუქნ ორბელიანების კუთვნილს მთაზედვე. დილა ადრიან ორი ჩემი კაცით შევსხედით ცხენზე და მთა-მთა ვიარებოდი ყარახაჩისაკენ: მზე რო დაენვერა, ხუთი თუ ექუსის შუბის სიმაღლეზე სალამოსი, ყარახაჩის მთაზე მივედით. იქ იმ ყარახაჩის მთაზე, ერთი მრგვალი მაღალი ბორცვია ამოსულსავით მოსაწონი, რომელზედაც შეუდევით იმ კლდიანს ბორცვსა, მცირე ადგილი ცხენებით, დანარჩენნი დაქვეითებული, მაგრამ რას ყოფით და წვალებით მივიდოდით, რადგან ძნელი ასასვლელი იყო მეტად. ბოლოს

ავედით, და იმის ნვერზედ დავდექით. მეტი მშუჭნიერი სანახავია იქიდგან ოთხსავ კუთხივ. სად იყო და სად არა, თეთრი დიდრონი ღრუბლები წამოვიდნენ სამხრეთის მხრიდგან, დიას უსწრაფესად და სადაც ჩუწნ ვიდექით, გარს შემოერტყა იმ ბორცვს. დავრჩით შუა დიდრონს ღრუბლებში. ამ დროს ელვა დაიკლაკნა ჩუწნს გარეშემო ღრუბლებში, თან გრიალი დაიწყო საზარად და ამ დროსვე დიდრონი კაკლების ტოლი სეტყვა ჩამოყარა რავდენიმე, რომელნიცა მაშინვე ცხენებზე შევსხედით, ჴელიდგან არ წავგვსვლიყო და დავრჩით იმ მაღალს გორაზედ, და ან სადღა უნდა წავსულიყავით, თუ წამოვიდოდით უარესი დაგვემართებოდა, ამისთვის სამნივ მწკრივით დავდეგით, ამის მეტი ღონე არ იყო, თავზე ყაბალახიანებმა და ნაბად წამოსხმულებმა ზურგი სეტყვს მხარეს მივეციით, ცხენებმაც თავები დაბლა დაიხარეს, ყაჯრებიანმა და ისე გვრეგა რაც შეეძლო იმ ძლიერმა სეტყვამ. ამასთან, ძლიერი და ძლიერი ქექა ჩამოსქდებოდა ჩუწნს თავზე. ორჯელ თუ სამჯერ მეხიც შემოსტყორცა, სპილენძის ფერის ელვით და სრიალით გაირბინა საყვრის ძახილსავით ჩუწნს მახლობლად. ჰაერის აღრეულობის საშინელებაში, ჩემი ორი კაცი აქეთ-იქით გვერდებზე მიდგნენ ცხენებით მარჯვნივ მხარეს – ჩემი გამზდელი ლალა და მარცხნივ – ჩუწნი სოფლის ქემსა, ორივ ხნიანი კაცები, ორივ ძველს დროს, ძველს ანბებში გამოვლილნი და მაშინდელს ვაებაში გამოქანჯულნი. მკვდრად იდგნენ და ჰაერის საშინელებას ეცინოდნენ მხიარულად. მართლად როგორღაც არის, ამგვარი საშინელი ზარი, შეუპოვარს გულსა როგორღაც ესიამოვნება, ნამეტნავად, თუ კიდევ უყვარს ვინმე. როგორც პირველი ნაპალიონი ანბობს: „მსურს, ყოველსა ჩემს სალდათსა ჰყვანდეს სიყუარული, ის იქნება დიდი შრომის მზიდავი ადვლად და საშინელებაში ძლიერი ვაჟკაცი.“ კიდევ ერთი სწორეს საყვარელსა საშინელებაში ვიყავ, ასე მეგონა მეორეთ მოსვლა არისო, მაგრამ რადგან შენი სიყვარული, ჩემს სულს გადახვეოდა და ტკბილად ეკონებოდა, ეს საშინელება იყო ჩემი საამო შექცევო? მგონია, ეს სიტყუა დასანუნი არ იყოს გულთა მგრძნობელთათვის. ადამიანი მანამ ცოცხალია, რას არ ნახავს, რას არ გაიგონებს და რას არ გამოსცდის ქუწყანაზე? ვინ იცის რავდენ გვარს რასმე?.. რალა უნდა ითქუას, იმ ჰაერის საშინელებამ დაბლა დაიწია ზედ ვაკე მთაზე იმ ბორცვის გარეშემო და სრულიად ჴელში დაიჭირა ყარახარის მთა. აბა ეს იყო კარგი და საკურველი სახე! ასეთი ყოფა შეიქნა ქვევით ერთიანს ვაკე მთაზედ, რომ გვეგონა ზეციდგან რისხვა რამ დასცემია და ფურთნის დედამინასო. ბევრი საშინელება მინახავს ხმელზე და, ასე გაშინჯეთ, ზღვაშიაც, მაგრამ მე იმისთანა სახე არსად არ მინახავს. სადაც ჩუწნ, მაღლა, ვიდექით, იქ სრულიად გამოიდარა მზემ, რომ ერთი პატარა ღრუბელი არსად არ იყო, ჩუწნთან თუ ჩუწნ ზევით და მონმენდილი ციდგან მზე იცქირებოდა თავისებურათ, მაგრამ ამ ჩუწნ გარეშემო ქვევით, დულდა ღრუბლები თეთრად და თეთრად; ზედ დაგველებულის მოხშირებულის ელვებითა და ერთი ერთმანეთზედ დანახეთქის ქექებითა, ასეთი სეტყვს გრიალი და ბუნების აშვებული ზარი იყო, იმ ჩუწნს გარშემო ქვევით დიდს ვრცელს ვაკეზე. ასე ეგონებოდა კაცსა, რომ იმ არემარეს დანთქმას უპირებსო. უფრო თუ სწორეთ ვიტყვთ: თუ ჯოჯოხეთი იმას ეგვანება, ვაი კაცობრიობაო, ჩუწნი ბრალი!

აქამდისინ ჩუწნსა თავზე იყო ის ანბავი, აგრერიგათ ვერა გავიგეთ რა, ახლა ზევიდგან რო დავყურებდით ქვემოთ, დიდად გვიკრდა! უყურებდით იმ აღრეულებას საკვრველის შეზარებით და გვიამებოდა კიდევ როგორღაც.

მცირე ხანს უკან, ერთმა პატარა ნიავმა შემოჰკრა იმ საშინელებას და ის საშინელება ადვლად გაიტაცა აღმოსავლეთის მხრისაკენ, რომ თვთქმის თავგადაგლეჯილსავით: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვრველ არიან საქმენი შენნი.“ – მეც ასე ვანბობდი ღმერთისადმი. რა მცირე ხანი კიდევ გამოხდა, აღარც აღრეულობა იყო, აღარც ღრუბლები, ხოლო ბუნება დამშვდებული და ჰაერი კეთილი, მაგრამ ის ჩუწნი გარშემო მთა, სულ ერთიან გადალენილსავით იყო სეტყვთ და ბუნება საუცხოვოთ ბზინავდა განსპეტაკებული. აი ახლა მოვედით პირველს საგანთა თანა, რაზედაც გვქონდა ჩუწნ ლაპარაკი, იმ პირველს სიმღერასთან, და

იმის მიზეზთან. მაგალითებზე, იმ აღრეულობის შემდეგ, ოთხსავე კუთხივ ვიყურებოდით, საიდგანაც უუმშენიერეს სხუადასხუა ბუნებას ვხედავდით და საკრველებით უყურებდით!

იქ შორის გამწვანებული მთები, ველები და მინდვრები გაბიბინებული, აქ ჩუქნს გარშემო სეტყვით მოფენილი თეთრად, რაღასაც განსხვავებას აძლევდა ერთიანს ბუნებას და მეტად აშვენებდა კარგად.

იმ ავდრის შემდეგ, ის მშუჭნიერი ბუნება რომ დაინახა ოთხსავე მხარეს ჩემმა გამზდელმა, რაღაც უცნაური ყვრილი დაინყო, ვითომ სიმღერის ჳმა იყო. ჩუქნს გაკრვებით კითხვა დაუწყეთ:

– რა დაგემართაო?

იმან გაიცინა და მას უკან გვითხრა:

– ჩემ დღეში არ მახსოვს სიმღერა მეთქოს როდისმე და არც ვცდილვარ არას დროს, მაგრამ ესლა ამ ავდრის შემდეგ, ეს მშუჭნიერი ადგილები რომ დავინახე, რაღაც სიამოვნებამ გულში გამიარა და ყვრილი შევექენ, ვითომ ვიმღერი მეთქი. ამასთან შექნა ყვრილი, ძლიერ ძახილი და ამაში ოთხსა მხარეს იყურებოდა და თან ვკასკასებდით სიცილით. აჰა დამტკიცებდა პირველი ჩუქნი სიმღერის საფუძველისა, როგორცა ვთქვ და დავნერე ზევით.

სეტყვსაგან დარეგვილებმა ბორცვიდამ ჩამოვიარეთ კიდეც რის ყოფით, მასუკან გადავხედით ცხენებზე და გავემართენით ჩუქნსა გზას და ბორჩალოს მოურავს ვენჯე ყარახაჩზე, სადაც ალაჩუხები ედგა რავდენიმე. მაშინ ბორჩალოს მოურავათ იყო თავადი ლუარსაბ სუმბათაშვილი,**) ძველი დარბაისელი და მართებული კაცი, რომლისაცა განთქმულ იყო ვაჟკაცობა, ძველს დროებში.

იმის ალაჩუხებს რო დაუახლოვდი, იმის ალაჩუხის კარზე თათრები იდგნენ. რა წამს დამინახეს – მიცნეს, უმაღ აცნობეს ჩემი მიმავლობა, რომელიც მაშინვე გამოვიდა კარზე. ამასობაში მეც მივედი. იმ გმირმა ხნიანმა კაცმა აღარ დამაცალა ცხენიდგან ჩამომხტარვიყავ, მომვარდა, თავის გმირული ჳელები მომავლო ტანზე და ჳელ და ჳელ ამიტაცა ცხენიდგან. წამილო, თავის კრაოტზე დამსო, თვითონ გვერდით დამიჯდა და გაკრვებით კითხვა დამინყო:

– ამისთანა საშინელს სეტყვაში სად იყავიო.

მეც ყოველი ვუანბე, მაგრამ ზოგიერთს ადგილს ტანი მტკიოდა სეტყვსაგან, ის კი არ უთხარ სირცხლით. ამაში, სეტყვაში არეული რავდენიმე ვარიის კვერცხის ტოლა სეტყვა შემოიტანეს თათრებმა, ლ[უარსაბს] მოართვეს. იმან აილო და მასუკან მე მითხრა:

– აი, ღმერთს როგორ დაუფარავხარ, თუ სულ ამისთანა სეტყვა ყოფილიყო, არ ვიცი, რა დაგემართებოდა. ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, ჩემო ა[ლექსანდრე].“

სამი დღე დავრჩი იმასთან. აღარ გამომიშო, რომელიცა არც შეიძლებოდა. უცხოთ შევექეცით მთის კვალობაზედ. შემდეგ გამოვეთხოვე და მეოთხე დილაზე წამოველ ჩემი მხრის, ჩემი ბარის სოფლისაკენ, სადაც გახშირებული იყო ყანების მკა და ქართველი გლეხებისაგან სიხარული დიდი მკის სიმღერებით.

ახლა მოვედი სხუადასხუა მუშაობის სიმღერებთან: 1) სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2) ქვევრის გარეცხისა, 3) ყურძნის დაწურვისა, 4) სახლის აშენებისა, 5) მინის ხვნისა, 6) მინის დაფარცხისა, 7) ყანის მომკისა და ნამგლის გაღვისა, 8) ძნის მოტანისა, 9) კალოს ლენვისა, 10) ხვავის განიავებისა, 11) საბაროს ურმით წასვლა-მოსვლისა, 12) სიმღერა „ჭონა“;***) ბზობის კვრაში დადიან მომღერალნი კაცნი, ჭონა სიმღერას ანბობენ და კვერცხებსა ჰკრეფენ სააღდგომოთ, 13) სხუა და სხუა გვარი ფერხულის სიმღერები, მაგრამ სალხინო ჳმები უფრო მრავალი მეტათ, 14) შობის წინაღამეს სიმღერა „ალილო“: სახლით სახლათ დადიან კაცნი და ფულებსა ჰკრეფენ ამ „ალილოს“ მომღერალნი.

ერთს შობის წინაღამეს მახსოვს ამ ოცდაათის წელიწადის წინათ ჩუქნი სახლის ფანჯრების ქვემოთ ქუჩაში, უეცარი სიმღერა დაიწყეს – „ალილო“: თქმა, მოძახილი და ბანი. ასე

განყოფილის მშვენიერის წმით ანობდნენ იმ „ალილოს“, რომ ყოველი ჩუქნში გონება იმ სიმღერამ მოიტაცა. ვინც იმ დროს შინ ვიყავით და გაჩუმებული ყურს უგდებდით იმ ხმოანების მეტის სიამოვნით. იმათ რომ ის თქმა დაასრულეს, აქ ჩუქნ შევწუხდით, გარდა ბატონიშვილი დედიჩემისა,****) რომელმაც ბრძანა:

– ეს უთუოთ იმერლები არიანო.

ამ სიტყვასთან ჩემი უმცროსი ძმა წამოხტა და საჩქაროთ მოსამსახურეს ამოაყვანინა სამნი. გამოვიკითხეთ – მართლა იმერლები იყვნენ. კარგახანი აღარ გაუშვთ, ბევრი კარგი სიმღერები და ლილინები ვათქმევინეთ, იმერული. იმათმა მშუქნიერმა სხუადასხუა სიმღერებმა და ლილინებმა დიდად გვასიამოვნეს. მეტად დაგვაჩნდა იმათი ლილინით სიმღერები და კარგა ხანი ჩუქნი გონებდგან აღარ მოისპო, მაგრამ სამგლოვის გალობა სრულიად განსხვავებული წმა არის საღბუნებული და ცრემლის საფრქუცი. კლდის გულიც რო ჰქონდეს ვისმე, იმასაც აუდუღდება ის გული და ცრემლებს მოაფრქვევს ბევრსა... ეშკადაბაში თავადი თამაზ ჯ. ორბელიანი როგორ გადაიცვალა ჩემ ყმანვლობაში, მაშინ მაგლობლებსა ეგალობათ ეს წმა, ზარი და დახოცილსავით გამოსულიყვნენ იქიდგან, ვინც იმ დროს იქ ყოფილან. საკუთრველია, რომ არაფერში არ მიემსგავსება იმერული წმები საქართველოს წმებსა, რომელნიცა იმერულსა წმებსა ლილინებად უწმობთ და საქართველოს წმებთა სიმღერად. ეს ორივ მხრის წმები, ერთად რო შეერთდეს და ორთა მხარეთა ერთი ერთმანეთისაგან რომ მიიღონ, აბა მაშინ იქნება სხუადასხუა საუცხოვო წმები, სულ ერთი ერთმანეთზედ უკეთესი. ღირსსახსოვრად დარჩება იმისი სახელი მარადის, ვინც ავდენსა წმებსა ერთად შემოჰკრებს და ნოტებზე დააწყობს სულ ერთიანათ! ის შეიქნება ისტორიის პირი, საჩენი!

ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების წმებზედ ჯელი, რა შეედრება ჩუქნს მამა-პაპის სიმღერისა წმებსა, რომელიცა ჩუქნი ავდენი ათასობითი წლების წმოვანება, მხოლოდ ჩუქნი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ლილინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩუქნი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიანელების შულის შულები, ვითარცა პიტალოს ოქროდგან პიტალო ოქრო გამომდნარი და ამის შემდეგ გვმართებს თავის მოწონება, თუ როგორ? ამისთვის უმორჩილესად გთხოვ, ჩუქნი ქართულის ყურნალის რედაქტორო, რომ ჩემი ეს თხოვა შეინიროთ და ისტორიისათვის დააბეჭდინოთ ეს წერილი „ცისკარში“.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

*) მესტურესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გუარია და არა მესტურე, რადგან საგანგებო მესტურე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმის სახელი მესტურისათვის დაურქმევიათ.

***) თავადი ლუარსაბ სუმბათაშვილი იყო ჩემი სიმამრის დედის ძმა.

****) მეტად დაავალბდა ავტორი რედაქციას ამ სასიამოვნო სტატიასში, ისიც მოეხსენებინა სახელდომ თვითოეული ლექსი, ანუ ჰაზრი თვითოეულის გალობისა, – უკეთუ კიდევ დაგვიწერა, დიდად დაუმაძღვებთ. რედ.

*****) ამ სტატიის მთხვეელის დედა ბძანდებოდა საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ასული, რომელსაცა ერქუა სახელად თეკლა და რომელიც ღრმად ნასწავლი და დახელოვნებული ბძანდებოდა ქართულს, ენაში. რედ.

2. ცისკარი, 1864, მაისი, №5, გვ. 49-73

ქართულთა ზნეობა

I

გალობა¹

საზოგადოდ გალობა. – როდის გაჩნდა გალობა. – ძუჭლად რომელი ერი განსხუავდა გალობითა – უმეტეს როდის მიიღო გალობამ თვისი ხასიათი, – ორი უმთავრესი გალობა. – საიდგან შესდგა ქართული გალობა. – ხმანი ქართულთა საეროთა სიმღერათა. – ძალნი ქართულის გალობისა. – როგორ იგალობებთ ქართული გალობა. – როდის არის მოგონილი.

საზოგადოდ გალობა არის სასიამოვნო ხმა კაცისა, გამომხატველი ღუთის დიდებისა, მიმოხრილი სხუადასხუას კანონიერს კილოდ და შეწყობილი რაოდენთამე მსგავსთავე ხმათა თანა, რომელთაგან წარმოსდგების ღარმონია, განმანათლებელი გულისა და გონებისა და კაცისა ჰაზრით ღუთისადმი აღმამაღლებელი.

ქუჭყანაზედ გაჩნდა გალობა მაშინ, ოდეს ბუნებამან აღსძრა კაცი, რათა ჟამსა მომეტებულის სიხარულისა, ანუ მწუხარებისა, სასიხარულოს ანუ სამწუხაროს ხმით ტურფად გამოეხატნა დიდება ღუთისა, დამბადებელისა და მზრდელისა მისისა; და ოდეს აღმოსჩნდნენ ქუჭყანაზედ კაცთა საზოგადოებანი, მაშინ, აღმსობაცა ესე კაცისა ცად მიმართ, სხუათა კაცის სისრულესთან კაცის მოგონებითა და მეცადინეობითა მოვიდა ხარისხეულად სისრულეში და წარმოსდგა ღარმონია, განმათავისუფლებელი და დამატკობელი გულისა და გონებისა.

ყოველთა უძუჭლესთა ერთა შორის საღმრთოს გალობითა განსხუავდნენ ებრაელნი, ერი რჩეული ღუთისა – ათასის წლის წინადვე ქრისტედმდე. წმიდანი, გასაოცარნი საგალობელნი ღუთივ გაბრძნობილისა, დიდისა ებრაელთა წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისაგან შეთხზულნი და შეწყობილნი ას სამოცს ფსალმუნებად, დღესასწაულობით იგალობებოდნენ ყოველსავე ებრაელთა სამეფოში; უმეტეს დიდ მშუჭნიერსა ტაძარსა ღუთისა საბაოთისა, აღგებულსა მაშინვე შემდგომ მცირედისა დროსა დავითის ძის ებრაელთავე მეფის სოლომონის მიერ, ბრძნად წოდებულისა, ებრაელთა მრავალ რიცხუთა მგალობელთაგან გრგვინვიდნენ ცად მიმართ ფსალმუნი შეწყობითა წინწილთა, ებანთა და სხუათა სახიობათა ზედა. – „აქებდით მას ხმითა ნესტვისათა, აქებდით მას ფსალმუნებითა და ებნითა, აქებდით მას ბობლნითა „და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოჟთა, აქებდით მას წინწილითა კეთილ ხმითა, აქებდით მას წინწილითა ღალადებისათა“² (ფსალ. რნ, მუხლი. გ. დ. ე)

1 რადგან გალობა არის წმიდა საგანი, ამისთვის პირველად ეს ზნეობა დავსთხვეთ, უკეთუ პირუჭლი მადეგობა ესე ჩუჭნი მოენონებათ წარმკითხველთა, მაშინ ჩუენ გაუგზავნით უფალს რედაქტორს სხუათაც, ჩუენთა თხზულებათა ქართულთა ზნეობაზედ, და იმედი გუაქუნ, რომ მსწავლულნი წარმკითხველნი მოიცლიან გასინჯონ თხზულება ჩუჭნი და კრიტიკულად გაარჩიონ. რაც უფრო მკაცრი კრიტიკული შენიშვნა იქნება, ის უმეტესი სასიამოვნო და გასამხნევებელი იქნება ჩემთვის. თ[ავადი] დ[ავით] მ[აჩაბელი].

2 ასე ცხადი და გასაგონარი ჩუჭენთვისაც ენა არს მერუჭ საუკუნეში მყოფთა მთარგმნელთა. ამ გუარის ენის სიცხადეს და თორმეტსა საუკუნოჟსა განმავლობაში დაუძუჭლებლობასა ისტორიულს განმჭვრეტელობაში, მრავალრიგი მნიშვნელობა აქუს საქართუჭლოს ისტორიის მწერალთათვს.

გალობამან უმეტეს ნამდვილი თვის ხასიათი მიიღო შემდგომ ქრისტესა; თითქმის ყოველ-
თა წარმამადგენელთა წმიდის ცხოვრებისა მაცხოვრისა ჩუწნისა იესო ქრისტესი და მონა-
ფეთა მისთა, რომელნიცა ხშირად წარსთქმიდნენ გალობასა და განსცხვებოდნენ ზეციერი
სიხარულითა, იწყეს მალალად განვითარებულის გალობი[თ] შემკობა წმიდათა ქრისტეს ეკ-
კლესიათა.

ყოველს საქართუშლოში ორი უმთავრესი გალობა არის სათავე სხუათა ყოველთა გალო-
ბათა: ბერძნული და იტალიანური. პირუტლი არის მხოლოდ ერთი ხმა – მთქმელი, მრავალს
ერთს ხმად შეწყობილს ბანში, გამომხატველი საღმრთოთა საგალობელთა, მოყუანილი
საკმაოს სისრულეში. გალობა ესე ემსგავსების დაბალსა ქუხილსა, რომელშიაც ელუზბრ
გამოკრთის მშუწნიერად მიმოგრაგნილი კანონიერს კილოზედ ხმა ერთისა მთქმელისა, ანათ-
ლებს გულსა და გონებასა (ბერძნულს გალობას ემსგავსების სომხური გალობა)³ ხოლო მეო-
რე, ესე იგი იტალიანური, არს შეწყობილი მრავალთა ხმათაგან ერთს ღარმონიად. მექონი
ფრიად სასიამოვნოხსა მოქმედებისა კაცობრივთა ზედა. იგი ჰპოვეს ევროპიელთა უნამდვ-
ლესს ღარმონიად და მიიღეს ყოველთა სამეფოსათა, როგორც საეკლესიოს საგალობელად,
ისე საეროსა და სამხედროსა სახიობად; (მუზიკად); მოიყუანეს უმაღლეს ხარისხადმდე სის-
რულეში ესოდენ, რომელ ღონდონის საქათალიკოზოს, ანუ მათსა სამეფოს ეკკლესიაში,
ვნებათ კვრას სახარების ტეკსტთა ჰგალობს ვიდრე ათასი ხმა,⁴ შეწყობილი სახიობაზედ
ერთს დიდ შუწნიერს ღარმონიად; მსგავსადუჴ – შუწნიერად ჰგალობენ ჭრანცუზნიცა წმი-
დათა მათთა ეკკლესიათა; და უმეტეს რომს, უწმინდესის პაპის საქათალიკოზოს ეკკლესიაში,
საიდგანაც განვრცელდა გალობა ესე მთელს ევროპაში, ვიდრე თვთ რუსეთისა საკეისროსა-
ცა; თუმცა რუსეთმა მიიღო სარწმუნოება საბერძნეთით და აწ აღმოსავლეთის წმიდა სარწ-
მუნოება უფლებს მუნ.

ქართული გალობა არის საშუალო⁵ ბერძნულისა და იტალიანურის გალობათა; რაოდენი-
მე საგონებელია, რომელ ქართუშლოთა, პირველსავე ქრისტიანობაში, შემამლებთა კონსტან-
ტინოპოლით, ერთად, ქრისტიანობისათვის სარწმუნოებასთან, გალობისაცა. განუვითარე-
ბიათ იგი თავეთს საკუთარს გემოზედ, შეჴქმნიათ ჩუწულეზად და გარდაჴცევიათ ერთს
უმთავრესს ზნეობად; შეიძლება ვსთქუათცა, რომლისა არის საკუთარი ქართული გალობა
მოყუანილი დიდსა სისრულეში. – ჟამსა ქრისტიანობის ყუავილოვნებისას, საქართუშლოში,
რაოდენიმე ათასნი ღუთივგაბრძობილნი მამანი, შეკრებილნი და შემონოზნებულნი მონასტ-
რებში, დაფუძნებულთა – წმიდათა ცამეტთა მამათაგან, ასურეთით მოსულთა, რომელთაცა
დიდის ღუანლით უღუანწიათ საქართუშლოს კეთილმდგომარეობა, არ დაუტევებდნენ გა-
ლობასაც, არ მოეყუანათ დიდსა სისრულეში.

ხმანი ძუშლთა საეროთა სიმღერათანი, რომელთაგან ვგონებ შედგენილ იყოს ქართული
გალობა, არიან შემდგომნი:

ქართუშლოთ თავისუფლებამ დაიცუა ეს ენა, ენის თვისებამ, თუ განუვითარებლობამ? უკანასკნელი
მიზეზი არაფრით არ დამტკიცდება, რადგან ქართული ლიტერატურა ისე მეათე საუკუნეში იდგა
მალალს ხარისხზედ განვითარებისა.

ამ სამუსიკო ხმათა აქუს რუსული შემდგომნი მნიშვნელობანი: ნესტკი – Труба; ებანი – Гусли ;
ბობლანი – Тимпанъ; ორლანი – Органъ; ნინწილი – Кимволь. ეს საკრავნი ერთად შეწყობილნი არის
ძნობა – Струны, როგორც ძალნი ერთად შეწყობილნი.

- 3 სომეხთა (ჰაოსიანთა) საქართუშლოში მცხოვრებთა, დიდათ ასახელოვნეს თავეთი თავის საკუთარის
სემენარიის დაწესებითა, საიდან გარდმოიციმიან ყოველნივე ჰსწავლითნი საგანნი სომხურს ენაზედ და
გალობაც სომხური სისრულეში მოჴყავთ.
- 4 მკითხუშლთა დაუჯერებლად ეჩუწნებათ ათასი ხმა ერთად მუზიკაზედ შეწყობილი და მეც თვთონ
ვიჭვწეულიბ; მაგრამ ეს მოვილე „კარამაზინიდაგან“.
- 5 რომელნიმე სწერენ „საშუალის“ მაგივრად „საშვალი“, ეს უცოდინარობით მოსდით: „შუა“ და არა „შვა“.

1) ლილინი, სიმღერა საერო შესაქცევარი, სამს ხმად შეწყობილი გალობის სახედ: თქმად, მოძახილად და ბანად. ამ სიმღერასა აქუს გალობის კილოზედ მიმოხურა და ისმის სასიამოვნოდ – ლილინი ან მრავალ გუარად დაგრხებს, მეტადრე იმერთა, ოდიშელთა და გურიის მცხოვრებთა.

2) მგოსნობა, ძუჭლადგან დარჩენილი სამიჯნურო საერო სიმღერა, ქალთა მეჩანგეთა; ითქმის ერთს საკუთარს ხმად, ან სიმღერა ესე დიდათ განშირებული ამერთა შორის, აღარ არიან საქართუჭლოში ქალნი მეჩანგენი, არამედ მღერიან საზანდარნი კაცნი ერის შემაქცევარნი და თვთ ერიცა, უმეტესად მაღალის საზოგადოებისა, ეს ხმა გარდაქცეული სპარსულთა სიმღერათა სახედ, თუმცა არის დიდათ სასიამოვნო, მარამ აღმატყინებელია ვნებათა და წინააღმდეგი წმიდისა ზნეობისა.

3) ოროველო, ანუ მეურმული, თვთ უძუჭლესი სიმღერა მინის მოქმედთა, წარმომადგენელი უმანკოსა მამამთავრულის ქართუჭლთა ცხოვრებისა, აღმოღებული თვთ ბუნებიდგან. – ხმა ესე გამოხატავს თვთ უტურფესსა მელოდიასა: ითქმის საკუთარს ერთსავე ხმად.

4) ზარი, საგლოველი სიმღერა მიცუალეებულზედ; გლოვის ხმად განკიდებული კვილი დაბალის ბანით და თავის ალაგას მოძახილი ქვთინის სახედ. ან ზარსაცა ხმარობენ, მიცუალეებულის ტირილის დროს კუალად, მხოლოდ თუშნი და რომელთამე ადგილთა, იმერნი.

5) ხეური, სამამაცო სიმღერა უფრო მდაბიო და ამაყი, გამომხატუჭლი ქართუჭლთა მამაცობისა, მაღლად სათქმელსა ამ სიმღერასა მთქმელი, მოძახილი და ერთიანი ბანი ხმიანობენ: ხან მთქმელი და ხან მოძახილი გაითვსებს სიმღერასა და ერთიანი ბანი გააბამს, – ეს და ამ გუარნი სხუანიცა სიმღერაები ქართუჭლთა აქუსთ, ვითამცა, გასამხნევებელად, როგორც: „ჩონგურო“, „ყურშაო“, „გვბძანე“, „ჯავახური“, „თუშური“ „გოგონა“, „მზეშინა“, „სამაია“, „ფერხისა“ ანუ „ფერხული“, „მუშური“ და „ჰეპუმა“; აგრეთუც „მაყრული“, სასიხარულო ხმა ქორწილზედ; ესე ყოველივე არის ქართული ერთგუარი ღრეობა.

რომ გულის ხმიერად გავსინჯამთ ყოველთა ამათ სიმღერათა, ვპოებთ, რომელ ქართული გალობა შედგენილი არის აქედგან, ქართულს გემოზედ განვითარებული ჰსნავლულთა კაცთაგან.

ქართულსა გალობასა შეადგენენ ექუსნი ძალნი, ანუ ხმანი: ა) თქმა; ბ) მაღალი ბანი, ანუ მოძახილი; გ) ბანი; დ) დვრინი; ე) ზილი და ვ) კრინი; ხოლო დღეს ყოველსა საქართუჭლოში გალობენ სამს ხმად: თქმად, მოძახილად და ბანად, რადგან აღარ არიან სრულნი მგალობელნი და სამთა უკანასკნელთა ხმათ ძნელია შეწყობა; ხოლო უკეთუ იქნების სრული ხორა (გუნდი) სრული რიცხვ მგალობელთა, მაშინ თავით თვსით იგულისხმების, რომელ გალობა იქმნების უმეტეს სასიამოვნო.

ქართული გალობა იგალობების ესრეთ: თქმა იწყებს; მაღალი ბანი მისძახს; ბანი უბანებს და აკავშირებს თქმას მოძახილთან; დვრინი გრგვინავს და ახუჭვს ერთად სამთავე; ზილი თქმას და მაღალ ბანს შუა საშუალს წმიდას ხმად მისდევს ადგილ ადგილ მთქმელს; ხოლო კრინი ხმას აწევ-დანევისა, გაგდების და განკიდურების დროს ძალიან წმიდას ხმას შეენმახუნის მთელს გალობას ხანსა და ხანზედ იქ, სადაცა აქუს ალაგი მას შენმახუნისა, ხმანი დაწყებიდგან გათავებამდე გალობასა, გაიტანებენ თვსს თვსსა ძალსა და, უკეთუ რომელიმე გამოიცულებს, მაშინ თანხმობა აირევა და გალობა წახდება; ამისთვის ქართულის გალობის ნოტი არ ემსგავსება იტალიანურს გალობის ნოტსა.

თვთ გალობა არის შეწყობილი ცხრათა ხმათაგან, ანუ კილოთგან და აგრეთუჭეჭრელებთაგან; ესე იგი, ამ ცხრას ხმათაგან გამოკრებულს სხუადასხუა კილოებით წარსათქმელთა საგალობელთაგან, ყოველნი საგალობელნი მართლმადიდებელისა აღმოსავლეთის ეკლესიისანი არიან შეწყობილნი ცხრათა ამათ ხმათა დაჭრელებთა ზედა და ყოველნივე იგინი წარითქმიან მათზედა გალობითა.

ქართულის გალობის შედგენილებით ჰსჩანს, რომ ის არის შეწყობილი ნოტზედ; მარამ აღარც ნოტი სჩანს⁶ და სახელდობრ ვისგან, ან როდის არის შედგენილი ჯერ სწორეთ არ ვიცით მარამ საგონებელი არის, რომ ქართული გალობა უნდა იყოს მოგონილი პირუჭლსავე ქრისტიანობაში და მოსული სისრულეში მერუჭს საუკუნეში. რომელნიმე ჩუჭნი ავქსონნი მიუწერენ ქართულის გალობის მოგონებას მეუდაბნოეს საბა სინკელს, რომელიც სცხოვრობდა 1030 წელსა; ხოლო რომელნიმე იოანე ტარიჭისძეს, რომელიცა – 1089 წელსა, შემდგომ არსენი იყალთიელისა, დამაფუძნებელისა საქართუჭლოში სასწავლებელთა, რომელიცა იქმნა დადგენილი მოძღურად მათ სასწავლებელთა.

ახლად შეთხზული ნოტი ქართულის გალობისა. – დღეს აღარ იციან ამერთა ქართული გალობა. – ჩემს დროს კიდევ სწავლობდნენ ქართუჭლნი გალობასა – იმერეთში დღესაც იპოვება ქართული გალობა. – მეჩანგეთა სიმღერა – სარგებლობა გალობისა.

გუჭსმის ვიეთთაგანმე, რომელ სასულიეროს მთავრობის მზრუნუჭლობით ან ახლად შეუთხზუზავთ ჰსწავლულთა მგალობელთა ნოტი ქართულისა გალობისა, და ჩუჭნდა საწუგეშებლად, მთავრობის მოწყალებით უნდა მოველოდეთ, რომელ მსგავსად ჩუჭნთა სხუათა დიდთა განვითარებათა, განვითარდების გალობაცა ჩუჭნი. თვთ რუსეთისათვსაც იქმნების პატივი და დიდება განღვიძება ესრეთის მაღალის ზნეობისა თვსთა მათ ქუჭშევერდომთა შორის, რომელნიცა ჰსცხოვრებენ მიყურუებულსა, მივარდნილსა, საშუალ მძვწვარეთა ბარბაროზთა, ალაგსა და უმეტეს თექუსმეტსა საუკუნოზსა სინმიდით იმარხუჭნ მართლმადიდებლობითსა წმიდასა რელილიასა და საკუთარსა თვსსა მაღალსა ზნეობასა – ქართული გალობა, აღდგინებული რუსთა მიერ, იქნების საკუთარი რუსეთის გალობა.

დღეს მთელს საქართუჭლოში აღარსად არიან მგალობელნი ქართულ[ი]ს გალობისა ზედმინწენით მცოდნენი, ესოდენ, რომელ ოდეს გალობენ წირვის წესსა; „მრწამსსა“ და „მამაო ჩუჭნოს“ ვერ მოახერხებენ, რომ გალობითა თავიანთს კილოზედ წარსთქუან; თუმცა მთელი წირვა და ყოველივე ქრისტიანებრივი ლოცუა მათზედ არიან დაფუძნებულნი და თუმცა იგი-ნი არიან დიახ მშუჭნიერნი საგალობელნი.

ამასთანავე ჩუჭნდა სამწუხაროდ უნდა ვსთქუათ, რომ ამერნი შექნილან გალობისა ესოდენ უმეცარნი, როგორც გვესმის ვიეთთაგანმე, რომ ვითომც იპოებოდნენ მათ შორის თვთ მღუდელნიცა, რომელთაცა არამცთუ იცოდნენ გალობა, არამედ ოდეს მისდევენ მიცუალეზულსა დასაფლველად, ვერ მოახერხებდენ თვთ „წმიდაო ღმერთოს“ გალობით წართქმასა! წარმოდგენაცა ამისი, რომ მღუდელმა „წმიდაო ღმერთო“ გალობითა ვერა სთქუას, შესაძრწუნებელია, და მეტადრე თუ რუსული გალობაც არ იცის! მაინც არცა ერთმა ქართუჭლმა არ უნდა დაივწყოს საღმერთო და სამოქალაქო მოვალეობა თვსი, უმეტეს სამღუდელომან, რადგან ის არის მაგალითი კეთილისა მოქალაქობისა.

თვთ მე მახსოვს ძუჭლნი ჩინებულნი მგალობელნი. როგორც სამღუდელონი ისე ერისაგანნი; მახსოვს, რომ ყოველს მართებელს, თავადთა და აზნაურთ სასახლეში მგალობელნი ჰყუანდათ, შვლთათვს გალობის მასწავლებლად; მახსოვს სხუანიც მრავალნი შუჭნიერნი ზნეობანი ქართუჭლთანი... დაივწყეს ქართუჭლთა ყოველივე და ჩემის მიხედულობით კი დაივწყება სხუათა კეთილთა ზნეობათა, იქნება მოგუჭტეოს, მარამ დაივწყება ლუთის დიდებისა, ნიშნავს სრულიად დაფუჭუროებასა გულისა და გონებისა. კაცი მაშინ არის მთელი და ძლიერი, ოდეს ლუთის სახელით დადის ვინროსა ამაოსა ამას საწუთროსა. თვნიერ ლუთისა არ არის კეთილდღეობითი ცხოვრება და დაივწყება ხმისა მის, რომელითაცა

6 თუ კიდევ იპოვება სადმე ძველი ქართულის გალობის ნოტი, ციღვაა იმის გამოუჩენელობა, რომ სრულებით არ დაიკარგოს.

მამანი ჩუჭნი ადიდებდნენ ღმერთსა, დავინყება ხმისა მის, რომელიცა იყო უმთავრესი მიზეზი მათისა ქრისტიანობის ნათელში მყოფობისა, არს მოკლება იმ საღმრთოს ნათლისა და ბნელში სიარული; ეწინააღმდეგების საღმრთოს სახიერებასა და კაცობრივსა კეთილგონიერებას... „უფალი ნათელი ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს“ (ფსალ. კვ. მუხლი, ა.)

კუალად მაინც, მოგზაური საქართუშლოში – შავის ზღვს პირებზედ, ძუჭლსა ეგრისსა, ანუ კოლხიდას, იმერეთსა და უმეტეს გურიაში ჰპოებს მაგალობელთა, მცოდნეთა შეძლები-სამებრ; არა თუ ოდენ წმიდათა ტაძართ ლუთისათა, ანუ თავადთა და აზნაურთა სახლებში, არამედ ჩირგვებშიაც, დაბურულთა ტყეებში, ბილიკთა ველთა ზედა, მწყემსთა, აღმსო-ბილთა ცად მიმართ, მაგალობელთა საბაოთსა ლუთის დიდებისა.⁷

კუალად იმერეთის თავადთა და აზნაურთა, თვთ ქალთაც სირცხვილად მიაჩნდათ სრულებით უმეტრება გალობისა. მრავალი მათგანი მიწყევ გალობენ ეკლესიებში წირვი-სა და ლოცვის დროს; სახლებში სალხინოდ ხმისაებრ წმიდისა მოციქულისა: „მოლხინე ვინ იყავნ გალობდით“ აგრეთვე გარეთ ცის ქუჭმ, დროს გასართობლად და გლეხნიცა მსმენელნი მათნი ჰსწავლობენ და შექმნია ერსა მას გალობა საზოგადოს ჩუჭულებად ესრეთ, რომელ გლეხთა შკლნი ოდეს მწყემსიან საქონელთა იმ უდაბურთა ალაგთა, სადაცა ყოველსავე მდებარეობასა და თვთ მფრინუშლთა ხმოვანებასაც ჰსძევთ ველური სახე პირუშლ მდგო-მარეობისა, ჰგალობენ სასიამოვნოს ხმაზე საღმრთოთა ღმინთა: „განმანათლებელი ჩუჭ-ნი ქრისტე!“, „დღეს საღმრთომან მადლმან ყოვლად წმიდის სულისამან შეგვკრიბნა ჩუჭნ, ყოველთა გვიპყრეს ჯუარი შენი და ვიტყვით!!“ და უფრო ხშირათ მათი საგალობელი არს: „შეგვიწყალე ჩეჭნ, რომელნი ესრედ შეგცოდებთ ფრიად ყოველთა ჟამთა და მოგვეც ჩუჭნ პირუშლ სიკუდილისა, ჰი, ღმერთო ჩუჭნო, ჟამი სინანულისა“.

საუბედუროდ ამერთა მაღალი საქებარი ზნეობა ესე მიჰფარვიათ მრავალ გუართა მიზეზთა გამო და უფრო და უფრო პოლიტიკიურთა ცვლილებათა გამო; მათ შემოულიათ ძუჭლი იგი მგოსნობა, აღმძრუჭელი ვნებათა და ან ნაცულად წმიდათა საგალობელთა იმღე-რიან მას ამერთა შორის არა თუ ოდენ საზანდარნი ერის შემაქცევარნი, არამედ თვთ ერთობ თავადნი და აზნაურნიცა; ხოლო გალობა სრულებით დავინყებიან და აღარ დაეძებენ.

ცოდნა მეჩანგეთა სიმღერისა არ არის სრულიად უსარგებლო, როგორც სიმღერა სამიჯ-ნუროთა ლექსთა, მსოფლიურს ამაოს შესაქცევრად; მსუბუქნი, მოკლენი ლექსნი ამ საგნებ-ზედ დათხზულნი შეენევიან ლიტერატურას; მაგრამ მით უმეტეს, გალობა ორსავეს შემთხ-ვევაში არის საგანი ფრიად მაღალი, სასარგებლო და არა არს დასავინყარი.

დიდათ სცდებიან იგინი, რომელნიცა ჰგონებენ, რომელ გალობა იყოს უხმარი და უსარ-გებლო და უმეტესად იგინი, რომელთაცა გალობა სათაკილოდ მიაჩნიათ.⁸

კაცის ხმა გამომხატველი ლუთის დიდებისა არა არის ლიტონი ბგერა. კაცი – ქმნულება ლუთისა, ოდეს შიშსა და სიყუარულისათვს შემოქმედისა თვსისა, ხშირად აღიმსოთბს ტურფი-თა ხმითა მისდამი, რომელმანცა შეჰქმნა იგი, ესე ცხადი ჭემმარიტება არს, რომელ ღმერთი ისმენს მას და მიიღებს სასიამოვნოს მსხუჭრპლად. რაოდენ ბედნიერი[ა] კაცი ჰაზრით ამაღ-ლებული ლუთისადმი; იგი მწუხარებაში ნუგეშისცემულია, ხოლო მხიარულებაში სულიერად განსცხრების მიმაღლადმდე.⁹ ღმერთსა ესმის ხმა ჩუჭნი; ჰხედავს ჩუჭნს მოქმედებასა და

7 მე ვიყავ ამ ადგილებში 1836 წელში და არ ვიცი, ახლა იქაც გამოუცვლიათ ზნეობა და დავინყეს გალობა, თუ ივე იმწესზედ სცხოვრობენ.

8 კაცის გალობის უკადრისობა და მგოსანთა სიმღერის ჰანგებით მოქადულობა ემსგავსების, რომ ის ეკლესიაში სამთლის ანთებას თაკილობდეს და შუშუნების მზადება და აშუჭება კი ესახელებოდეს.

9 ლექსი „მიმაღლადმდე“ ნიშნავს რუსულს до превысиренных აქ მოვიღე თავის ადგილსვე, როგორც არდასავინყარი და ხმარებაში შემოსატანი ლექსი.

არა დაეფარების თვთ გულის თქმაცა ჩუჭნი. – „რომელმან დაინერგა ყური, არა, ნუ ესმისა? ანუ რომელმან შექმნა თუალი, არა, ნუ ჰხედავსა? რომელი ჰსწავლის თესლებსა, არა, ნუ ამხილოსა? რომელმან ასწავოს კაცთა მეცნიერება“ (ფსალ. ჟგ. მუხლ. ზ. და ც.)

ამის გამო გალობა მიუცილებელად სახმარი და სასარგებლოა ყოველთათვის; ყოვლისა ჰსაკისა და სქესისათვის; მდიდართა და ღარიბთათვის; ჰსწავლულთა და უსწავლელთათვის.

ყრმანი გალობით შეეჩუჭვიან ღუთის დიდებასა და მის მიერ განვითარებულნი მოიპოვებენ სიმშვედესა და მოთმინებასა, რომელთა მიერ შეჭურვილნი გამოვლენ სრბად წინამდებარესა მათსა სარბიელსა.

ჭაბუკნი გალობით დაივსებენ სახმილსა მათში მგზნებარეთა ვნებათასა; ფერხნი მათნი წარემართებიან გზასა ჭემმარიტსა და მარჯუჭუნე მათი არა შემწიკლოვანდების ცოდვითა; არამედ დაშურების კეთილთა საქმეთა ზედა. გამოიღებს უკუდავსა ნაყოფსა.

ჭარმაგნი გალობით, მხმეველნი სახელისა ღუთისა შემწედ თვსად, განმხნეველებიან და განძლიერებულნი ბედნიერად განვლიან სარბიელსა.

მოხუცებულნი ნუგეშინისცემულ იქმნებიან სასიამოვნოს ხმით მგალობელნი ღუთის დიდებისა; ჰაზრთა თვსთა ადავლენენ სახიერს ღუთისადმი; გალობით დასტკებებიან სიცოცხლის საღამოსსა თვსსა და ღმერთსა შეავედრებს სულთა თვსთა გალობით მადიდებელნი.

ქალნი გალობით მღალადებელნი ღუთისადმი, არა განიშორებენ ხსოვნიდგან ქალწულებრივსა კეთილ კრძალულებასა და მოთმინებით მიბაძვასა წმიდათა ღუანღშემოსილთა დედათასა; ერთგულ ექმნებიან ქმართა და სახლთა თვსთა და კეთილად აღზრდიან შვლთა.

მდიდარნი ტურფისა საღმრთოჲსა გალობითა ჟამად მაინც განთავისუფლდებიან ამაოების რკინის უღლისაგან, საღმრთოს ნათელში გაართობენ სასიამოვნოთა ჰაზრთა. უმანკო მხიარულება ესე განუბნევს მათ აღმურსა, მტანჯუჭლსა მათსა და განუნათლებელს გონებასა, ამაოთა ანგარიშთა გამო ბნელის ფიქრებით მოცულსა. იგინი გალობით შეექცივიან რა თვსთა კეთილთა მოყუასთა თანა, გემრიელად სმენ და სჭამენ ღუთისაგან დიდის უხუჭბით მიცემულსა არსობის პურსა, კარგათ მოინელებენ და ძილით განისვენებენ.

ღარიბნი, გალობით მადლობის შემწირუჭლნი სახიერისა ღუთისადმი, უხილავად მზრდელისა და განმძლიერებელისა მათისა, სიღარიბის ცრემლთა მოიცუჭუნ ზეციერის ცხოვრების ნუგეშითა და თვთ გლახაკსაცა არსობის პურსა ტკბილად სჭამენ, გალობით განმცხრომნი და ღუთის დიდებაში ტკბილად მიიძინებენ, მომლოდნენი უკეთესისა განთიადისანი.

ჰსწავლულნი, დამამშურალნი ღრმათა ჭილოსოჭიურთა განმსჯელობათაგან, ჟამად დაისუჭნებენ, გალობით აღმსთობილნი ცად მიმართ და კეთილსიტკბოებით მოყუასთა თანა, ანუ განმხოლოებაში მგალობელნი იგემებენ სიტკბოებასა ოქროვანთა საუკუნეთასა და მარად ნუგეშცემულ იქნებიან ზეციერისა ნათლითა.

ხოლო უსწავლელნი განსავითარებლად გულის და გონებისა ტურფად წარსთქმიან გალობით ღუთის დიდებასა; კაცთა შორის გამოსწინდებიან გალობის მცოდნედ, დეეთვლებისთ ესე კეთილ ზნეობად; ხოლო წინაშე მგალობელნი, ჰაზრით მასთან ამალლებულნი, მიიღებენ ღუთისაგან ვასხებითსა ზეციერისა ჯილდოსა. „უგალობდით მეუფესა ჩუჭნსა, რამეთუ მეუფე არს ყოვლისა სოფლისა ღმერთი; უგალობდით მას მეცნიერებით“ (ფსალ. მე. მუხლი ვ და ზ.)

კათოლიკნი, ქართულად მგალობელნი. – მაკრინა მონოზონისაგან დათხზულნი საგალობელნი – გალობა და მეჩანგეთა სიმღერა – გალობაში ამერთ-იმერთა შემსგავსება. იმერთა ნეტარება გალობისათვის. – ოთხი ელემენტი კაცის განვითარებისა – ძუჭლად განსხუავებულნი ესრეთითა განვითარებითა – სიმრავლე ღუთისა ტაძართა საქართუჭლოში გალობით შემკობილთა. – ქართუჭლნი საკმაოს ბედნიერებას ჰპობენ გალობით.

ოდეს ამერთა ყრმათა ან არავითარი მიხედობა არა აქუს ქართულის გალობისა, უეჭუჭლაად ქალთა უფრო არ ეცოდინებათ ქართული გალობა; მხოლოდ არ შეიძლება აქ დიდ საქებელად არ მოვიხსენოთ კათოლიკთა ქალნი, რომელნიცა შუშნიერად ჰგალობენ იტალიანურის ნოტით ფსალმუნთა ორღანზედ და ტურფის გალობით შეამკობენ წმიდასა მათსა ეკკლესიასა, როგორც მე მინახამს ქალაქს გორს კათოლიკე ეკკლესიაში.

სამასის წლის წინათ მონოზანი მაკრინა სთხზავდა სძლისპირთა საგალობელად დედისა თვისა წმიდისა დიდისა მონამისა დედოფლისა ქეთევანისა და სხუათაცა ღირსთა ქართუჭლთა მამათა მიღებულთა წმიდისა ჩუწნი ეკკლესიისაგან რიცხუთა შორის წმიდათასა – ქალი ესე ძაძით მოსილი და მონოზნობის ღუანლით დამზრალი, ტრფიალი საღმრთოსა მწერლობისა და მით დიდისა სახელისა დამტევებელი, უეჭუჭლაად იმ დროს მცხოვრებთა ქართუჭლთაგან იქმნებოდა ფრად საქებელი და უმეტეს პატივცემული ვიდრე ფერუმარლით და ძურფასს ტანისამოსით მორთულნი ქალნი; მონოზანი მაკრინა არის ან ჩუწნთვს და იქმნება შემდგომთა თვთ უშორესთა შთამომავლობათათვსცა დიდათ საქებელი და საყუარელი, როგორც ნამდვლად ყოვლად შუშნიერი ქალი; ვინაჲთგან ყოველი ადამიანი აღმოსჩნდების შუშნიერად და მოიგებს სიყუარულსა ერთათა ოდენ უბინოებითა, სიმართლითა და კეთილისა ღუანლითა.

მაკრინა მონოზნის დროს, თუმცა ქართუჭლნი გარეშე მტერთაგან იყუნენ უკიდურესსა შეინროებაში, მარამ კუალად აქ დედანი ასწავლიდნენ შვლთა თვსთა გალობასა და საღმრთოსა წერილსა; მამანი – სამხედროსა ზნეობასა, ხოლო ან ელჳარესა ამას დროსა, მრავალნი ქალნი ნაცულად მიბაძვსა ღირსთა მათ დედათა საღმრთოსა ტრფიალებითა და უკუდავისა სახელისა დატევებითა, უფრო ხშირად მხოლოდ როკუწ ღხინსა და შექცევაში უშესაბამოს ყოფაქცევითა და დასძახიან ძუჭლთა მათ მეჩანგეთა სიმღერასა სპარსულის სახედ, რომელსაც დიდის ეშხით იწვრთიან ამერნი; შვლნიცა სწავლობენ მას, რაჲცა ესმისთ მშობელთაგან.

უკეთუ მივიღებთ განმსჯელობაში ორსა ამას ღარმონიასა: ქართულსა სამღრთოსა გალობასა და დარჩენილსა ჩუწნში მეჩანგეთა მგოსნობასა, პირუჭლსა ვითარცა გონების აღმამალღებელსა წმიდასა მისსა ორღანსა უტურფესად განმამხიარულებელსა და განმანათლებელსა თვთ გრძნობათაცა, ხოლო მეორესა, ვითარცა ამოსა ჳორციელთა ვნებათა აღმატყინებელსა იარაღსა, დასათრგუნუჭლად სულიერთა დიდებულებათა, და მაშასადამე, ნამდვლისა და სრულისაცა სიმწყაზრისა, ჩუწნ ცხადათ ვჰპოვებთ, რომელ რაოდენცა პირუჭლი არის ყოვლად შუშნიერი და ნამდვლი ღარმონია; ეგოდენ, შემდგომი არის უსრული და გონჯი ნაკუჭთი ბგერათა, ცრუ ელჳარებით მოცუნდრუკეს ეშმაკობისათვს.¹⁰

ამ გუარს შემსგავსებაში ამერთა, იმერთა თანა, თავით თვსით იგულისხმების, რომელ ან იმერნი სდგანან უმაღლესსა ჳარისხსა ზედა განვითარებისასა; შვლნი მათ კუალად მშობელთაგან ჰსწავლობენ საღმრთოსა წერილს, გალობასა და სხუათა ქართუჭლთა ზნეობათა; ხოლო შვლნი ამერთანი, უკეთ არა აღიზარდნენ ვითარსამე საწელმნიფოსა, ანუ კერძოსა სასწავლებელსა, ჰშთებიან სრულიად უმეცრებად.

ოდეს იმერნი გალობენ, მაგალითად: სძლისპირსა „კურთხეულ ხარ შენ უფალო, რომელი ჰზი ზედა ხერუჳმთა და ჰხედავ უფსკრულთა ჳელმნიფედ აღმალღებულ უკუნისამდე“, ხოლო ამერნი დასძახიან: „ჰე საყუარელო, ნუ დამწუამ მე მძაფრისა ალითა“, გალობა პირუჭლსა რაოდენ აღმალღებს მათ ჩუწნს განსჯაში და ჰვარავს ნაკლულევანებასა და ბინიერებასა მათსა; ხოლო სიმღერა შემდგომთა რაოდენ ამდაბლებს სათნოებასა და ღირსებასა მათსა და განშიშულებულთა წარმოგვდგენს ყოველითა ნაკლულევანებითა; თუმცა ამერნი დიდათ განსხუავებულნი არიან მაღლისა სათნოებითა და ნიჭულებითა. ამას ამტკიცებენ გონების ნაყოფნი ჰსწავლულთა ამერთანი: სხუადასხუა თხზულებანი და თარგმანი.

10 არ ეშესაბამების არცა კაცისა მაღალსა დანიშნულებასა და არცა უმანკოსა გალობის მხიარულებასა, რომ გალობასა ვხმარობდეთ ამათა მხიარულებასა ზედა, წინააღდეგთა წმიდისა ზნეობისა.

იმერთაც კი აქუსთ ამ გუარს ზნეობაში თავეთი უძღურება: ოდეს იგინი იმღერიან საეროსა სიმღერასა, ყრმანი და ქალნი ერთმანერთში არეულნი დასძახიან მეტად ვნებულად, მარამ არ შეიძლება ყოველსა ერსა, მთელს ცის ქუჭშეთში მცხოვრებსა, არა ჰქონდეს თვისი კარგიც და ცუდი მხარე; ეგ სახედვე აქუთ თავეთი ცუდი მხარე იმერთაცა, მეტადრე ამ დროს, როდესაც მრავალთა ბოროტ ჴელოვანთა კაცთა მაცთურება და სხუადასხუა რიგი მომხიბლვა მიძნვარებს ყოველს საქართუშლოში რასაკვრველია, რომ შეაცთუნონ იმათ იმერნი და გარენარ ჰქმნან, როგორც ქუჭყანაში ახლად გამოსული ადვილად მოსაცთუნებელი ხამიერი; მაინც ყოველს შემთხუჭვაში იმერთა არ მიეღებათ ფრიად მაღალ ღირსებად ესე საღმრთოესა გალობისა, რომელშიაც მთელს ცის ქუჭშეთში არცა ერთსა ერსა არა ძალუძს დაედაროს მათ, და რომლითაცა იგინი ფრიად საქებელ და ნეტარ არიან: „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა შენი“, „ღმერთო, ნათლითა პირისა შენისათა ვიდოდნენ და სახელითა შენითა იხარებდნენ მარად დღე და სამართლითა შენითა ამალდნენ, რამეთუ სიქადული ძალისა მათისა შენ ხარ“ (ფსალ. პს. მუხლი იდ. ივ. ივ.).

მოლექსეობასა, სახიობასა (გალობასა), მხატვრობასა და გამოქანდაკებასა აქუსთ უმთავრესი მოქმედება ესტეტიკებრთა ძალთა ზედა კაცისათა: იგინი დააკინებენ და დასწმენდენ კაცობრივთა მგრძნობელობათა, მოსობენ მხეცებრივთა მისთა ვნებათა და მაღალისა მოგონებითა, ანუ შეთანხმებითა, ესოდენ კმაყოფილჰყოფენ კეთილსა სურვილსა მისსა. სისრულისადმი მიმკუჭტრებელსა, რომელ ესრეთ სთქუათ, შეარიგებს მას ყოველსა არსებასთან: ოთხთა ამათ ელემენტთა მიერ განვითარება კაცისა იქმნების ფრიად მშუჭნიერი.

იერუსალიმი არის მანარმოებელი საღმრთოესა მოლექსობისა და სახიერობისა (ძნობისა). ფსალმუნნი დავითისნი, მრავალ დასთა მგალობელთაგან აღმსობილნი ცად მიმართ გალობითა და ძნობითა, საკვრუჭლსა და წმიდასა ტაძარსა, აღგებულსა ბრძენისა მეფის სოლომონის მიერ, შემდგომ ორიათას შუდასა წლისა ნარმოგვიდგენს მაღალსა ემბლემასა სრულისა აღმკობილებისასა. – თვთ კერპთ თაყუანისმცემელთაცა შორის ელლადა (ძუჭლი საბერძნეთი) არის სამშობლო მოლექსობისა და გამოქანდაკებისა; იმავე ძუჭლს დროს მოხუცებული ომიროს უკუდავ ჰყოფს ელინთა მოლექსობასა; თადეოზ (Θადει) გამოქანდაკებასა, დიდ შენებულება ძუჭლთავე დროთა კოლიზეი, საზოგადო საერო ბერძენთა თეატრი, ალვისილი გასაოცარს ნატიფობითა მივიწყებულთა დიდთა ჴელოსანთასა, მოიყვანდა თვისი გამოქანდაკების სისრულით ყოველთა მხილველთა განცუფრებაში. მცირედნი ნამტვრევნიცა მისნი დღესაც გასაოცრად აქუსთ განათლებულთა ევროპიელთა, მისისა დიდისა სისრულისათჳს: და ვიეთმე საგონებელია, რომ მით ბერძენთა, ზნეობით ამალღებულთა, უადრეს სხუათა წარმართთა, ჰსცნეს ქრისტე ჭემმარიტი ღმერთი, რომელსა მიენერების სრული აღმკობილება, უმაღლესი ღარმონია; ხოლო იტალია, ჟამსა ქრისტიანობისასა, არის მომყვანი სახიობისა და მხატვრობისა დიდსა სისრულეში: სახიობა მოცარტისა და რასინისა მაღალისა ღარმონიით შეიქმნა ყოვლისა ევროპიის შემამკობლად; ხოლო მიქელანჯელმა და რაჭაელმა დიდთა ამათ ჴელოსანთა თვისი სამხატვროს კალმით ასახელოვნეს და აღამალღეს თვისი ქუჭყანა.

საქართუშლოში თუმცა არა შობილან ესრეთ დიდნი ჴელოსანნი, გარნა სიმრავლე ესე ჭემმარიტისა ღუთისა ტაძართა, მოფენილი მაღალთა ციცაბოთა მათათა, ლელეთა, ჴეობათა, ღრმა ხევთა, ღრანტეთა და ტრიალთა მინდორთა ზედა პონტოდგან კასპიადმდე, არა მოკლებულნი დიდ მშუჭნიერებისა და ნატიფობისანი, ოდესმე სავსენი წმიდათა სამღუდელოთა კრებულთა მიერ, გალობით შემამკობელთა მათთა, დიახ, მაღლად გჳკადაგებენ სისრულესა ქრისტეანობისასა ქართუშლთა შორის და მიხუდომასა მებრ ჩუჭნ ქრისტიანეთა, ეს არის ჭემმარიტი სისრულე განათლებული და ნამდვლი ღარმონია. ქართუშლნი წმიდათა ტაძართა აშენებდნენ მაშინ, ოდეს ეტკრთა თვთ უმძიმესი ჯუარი დაუცხრომელის კირთების გამო, გარეშეთა ბარბაროზთასა; თუმცა სისხლის ოფლით და გასაოცარის ღუანლით მუშაობდ-

ნენ ძვრფასთა ამათ შენობათა, მარამ ღუთის დიდებაზედ მსასოებელნი, განმხნევებულნი, საუკუნობითა, ითმენდნენ სასიამოვნოს გალობითა. ტაძარნი იგინი აღივსებოდნენ ხოლმე დიახ საჩქაროდ სამღუდელოთა დასთა მიერ და ერი საქართუშლოესა სრულისა გულსმოდგინებით და სიხარულით აღასრულებდნენ მუნ ქრისტიანობრივთათჳს წესთა. დროესა სიძუშლისა გამო გაშავებულნი მათ კედელთა თჳთ ქუანიცა დაღრღნილი სტიხიონთაგან, გალობენ ღუანლთა მუნ აღსრულებულთა წმიდათა მონამეთა, თუმცა ხმა მოუღებლად დუმილით, არამედ სულიერად და ტურფად გარდმოსცემენ ესრეთის ქართულის გალობით ღუთის დიდებასა ჩუეწნთაცა დროთა. უბინო მსხუწრნილი, სისხლი მრავალ გუნდთა წმიდათა მონამეთა, მარადის აღმსობილი ქართულისა გალობითა, ვითარცა პორფირი და ბისონი ჰმოსიათ ძუშლთა დიდებულთა ამათ ეკკლესიათა; მსხუწრპლი ფრად მალალი ტაძართა ამათ, ვითარხა ჭიმიამი კმეული ტრაპეზსა ზედა ზეციერისა მამისასა მარადის წარმოგვიდგენს ყუავილოვნებასა წმიდისა ჩუწნის რელილიისა, და საქართუშლოს შკლნი ვითარცა უკუშ დასცხრებოდნენ და დასცხრებიან, რათ უნდა დაუტეონ ქართული გალობა, მოგონილი მათგან სადიდებულად ქრისტიანობისა, რომელსა ზედაცა გულით და სულით იყენენ და არიან შემშუალულნი. ქართული გალობა უმეტეს თხუთმეტისა საუკუნოესა გრგვინავს ცად მიმართ საქართუშლოს წმიდათა ეკკლესიებში, გარდმოიცემის საუკუნიდგან საუკუნედ და ქართუშლთა მალალსა ამას ზნეობასა იპყრობს სრულს თჳსსა ძალში.

გალობა ესე თუმცა ოდესმე მისწყდებოდა, რომელთამე მათ ტაძრებში, მიზეზისა გამო საქართუშლოს დიდის განცდისა, გარნა მასუშ ჟამსა სახიერი მიუღულებული თუალი ღუთაებისა მღჳძარებდა: ჰსჭურეტდა განსაცდელში მყოფთა ქართუშლთა, მგალობელთა მისთა; საღმრთოსა მარჯუწნესა ეპყრნა იგინი და ჰფარვიდა დიდის მოთმინებისა და ღუანლისათჳს ჯილდოდ მოუვლინა ერსა ამას მფარუშლობა ერთმორწმუნესა, ძლიერისა და დიდისა საჯელმწიფოესა.

გალობა ვითარცა ყოველთა ევროპიელთა მალლად განვითარებულთა ქრისტიანეთ სამეფოებში არს მიღებული ერთს უმთავრესს საგნად დასაკნინებულად წმიდისა გემოესა; ეგრეთვე ჩუწნთჳსაც მიუცილებულად საგულუშბელ არს ზნეობისა და გემოესა დასანმენდელად. ქართული გალობა მოყუანილი სისრულემი მისცემს ქართუშლთა უმანკოსა კმაყოფილებასა და ეგოდენ აღამალლებს წმიდასა ზნეობასა მათსა, რომელ ნივთიერის სოფლის ღარმონიით აღინევის ზეციერს უზადოს სიტკბობად, დაუსრულებელს ღარმონიად... ქართულის გალობით ქართუშლნი ჰპობენ თჳსსა საკმაოსა ბედნიერებასა, აღამალლებენ რა კეთილ კრძალულთა პატიოსანთა ჰაზრთა თჳსთა ღუთისადმი.

თ. დავით მაჩაბელი

3. ცისკარი, 1864, მაისი, №5, გვ. 74-80

სიტყუა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა, წმიდის ნინას სობორსა შინა, ბოდბეს

უსაყუარელესნო ძმანო! სული ჩემი აღივსო სიხარულითა ღუთისა მიერთა! გული დასტკბა, ესმა რა ხმა გალობისა თქუწნისა, განმაცხოველებელი შინაგანის ხმისა ჩემისა! მადლობას გიძღუნით ყოველი შკლი საქართუშლოესა ესრეთისა კეთილწარმატებისათჳს თქუწნისა, და აღუავლენთ უგულითადესსა ვედრებასა უზენაესისადმი, რათა მოქცესთ

უმხურვალესი სურვილი და სიმხნე აღდგინებისათვის მამა-პაპეულისა ქართულის გალობისა ესრეთ, მადლითა ღმრთისათა, მოლოდებათა ჩუწნთა შეუდგების კეთილსაიმედო დასასრული; მონიჭებულსა თქუწნდა უძკრფასესსა ჟამსა სწავლისასა წინადაედების სატრფო სარბიელი, განმამუწნებელი მსახურებისა თქუწნისა; ხოლო წმიდა ესე ეკლესია და ამას შინა მდებარე, უწმიდესი გუამი წმიდისა მოციქულთა სწორისა წინასი, განანათლებენ გონებათა თქუწნთა, აღსასრულებელად წინათგანზრახულისა ღუანლისა.

ძმანო! გარემოება ესე მიიღეთ წინადად საკუთარისა მოწყალებისა დედისა ღმრთისა წილხდომილისა თვისისა ქართუწლთა ერისა მიმართ. როგორც უწყით, წმიდასა ამას ტაძარსა შინა განისუწნებენ ნაწილი განმანათლებელისა ჩუწნისა ქაღწულისა წინასნი და აჰა, მაღლმან ღმრთისამან მოგიყუანნა თქუწნ აჰა, რათა აქედგან მისით და მის მიერვე განვრცელდეს ნიჭი ღმრთისა, სადიდებლად სათნოესა თვისისა (წმიდისა წინასსა!), აჰა გამოვირჩია თქუწნ ღმერთმან წარსაგებელად მსახურებისა თვისისა!

ბუნებას მიუცია კაცისათვის, ძმანო, ნიჭი გალობისა, რომელიცა არს გამომეტყუწლება გრძნობით აღუსებულისა სულისა, რომლისა გრძნობისაცა ქონება ჰმართებს კაცსა ჟამსა ლოცვისასა, და ამისათვის გალობას ვჰპოვებთ ყოველთა კაცთა შორის ჟამსა ღმრთისმსახურებისასა. გალობა მოსესი, რაჟამს განვლეს მენამული ზღუა, ნაგალობევი გუნდით; ფსალმული დავითისი და შედგენილი მისგან გუნდი მგალობელთა; გალობა ანგელოზისა, შობასა, მაცხოვრისასა; გალობა ზაქარიასი, მამისა წინამორბედისა; გალობა წმიდისა ღმრთისმშობლისა; ოსანნა ყრმათა ებრაელთასა; ყოველი ესე ცხადგვიყოფს ჩუწნ უწინდელობასა (სიძველესა) და წმიდასაცა წარმოებასა გალობისასა ქრისტეს ეკლესიასა შინა. თუთ იესო ქრისტე და მოციქულნი მისნი გალობდენ (სახარება მათესი 26, 31); ხოლო წმიდა მოციქული პავლე ჰმოდღურის ქრისტეანეთა, რათა აღგზნან ღმერთისმსახურისადმი გალობითა სულიერითა (ეფესელთა ეპისტოლე 5, 19) ბ

და გალობა ესე, ეკლესიური, ძლიერად აღმოშობენ გულთა შინა ჩუწნთა უმხურვალესთა გრძნობათა, რომელსა შინაცა კაცი, წარმოიდგენს რა სიუბადრუკესა თვისსა, აღიარებს მოწყალებითსა განგებულებასა ღმრთისასა კაცთა ნათესავისადმი. შეუვრდების მას და თაყუანისცემს სულითა და გულითა. ვისა გონება არ ამალღდების გალობასა ზედა: „წარემართენ ლოცუა ჩემი“, „დასდეგ უფალო საცო პირსა ჩემსა“? ვინ არა იგლოვს გალობასა ზედა ვნების კვრიაკის საგალობელთა, მაგ „ნუ მტირ მე დედაო“? ვინ არ აღინევის უხილავად ცად მიმართ, ესმის რა გალობა პასეჩის საგალობელთა? – გალობა ეკლესიური არს უძლიერესი საშუალობა ღმობიერებისათვის გულისა, მოყვანებისათვის სინანულისა ზედა კეთილსა და მაცხოვრებელსა.

ესე ყოველივე ცხად გვიყოფს ჩუწნ, თუ ვითარ საჭირო არს იცოდეს გალობა მსახურმან ეკლესიისამან, რათა არა დამნაშავედ აღმოვჩნდეთ წინაშე ღმრთისა, თავთა ჩუწნთა და შთამომავლობისა.

რწმუნებული ჩუწნდა სამწყსო სიტყვერთა ცხოვართა, გარენრობასა შინა თვისსა ღმრთის მსახურების მოსმენისადმი, ხშირად განიმართლებდა თავსა მით, რომელ ჩუწნ ვასრულებთ წირვა-ლოცუას გარდარეულის ხმითა, რომლისაცა გაგონება ძნელად მოსათმენია ყურთათვის. ასეც უნდა იყოს ჭეშმარიტად! კეთილი გარეგანი ღმრთისმსახურება დიდი წარმმართველია შინაგანისა. უმეტესად ჩუწნი მსოფლიური ერი, რომელთა სარწმუნოებასაც განაცხოველებს გული და თუალი, ძრიელ მოტრფიალესა და სიამოვნებით მსმენელი ყოვლის შეწყობილის ხმისა, და რა მსოფლიური ერი?! – თუთ განათლებულნიც ეძიებენ მას, და ამისათვის ჩუწნ განვიცდით არა მცირესა უკმაყოფილებასა, ყოველგან გვესმოდა სიტყუანი საკიცხველნი; ნაცულად პატივისცემისა, ყოვლის კაცისაგან მივიღებდით უსიამოვნობასა და ვინყებდით რა განმართლებასა თავისასა, მივეცემოდით უმეტესსა სიძულილსა მათსა, და, უმეტესად იკარგებოდა მათ შორის სიყუარული წირვა-ლოცვისადმი.

ძმანო! ჩუზგან იზრდების წმიდა იგი სარწმუნოება, რომელიცა დანერგა გულთა შინა ჩუზნ-
თა მაცხოვარმან კაცთა ნათესავისამან სიკუდილითა ჯუარისათა, მორწყული და განპოხე-
ბული სისხლითა წმიდათა მოციქულთა და მონამეთა, განმტკიცებული და განმარტებული
ცხოვრებითა და გულსმოდგინებითა ანგელოზთ მსგავსთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა
მამათათა, და რომელი სიტყუა ანუ ცხოვრება განგუამართლებს ჩუზნ წინაშე ღმრთისა
უკეთუ რწმუნებულსა მის მიერ მსახურებასა უდებვყოფთ და ძმათა ჩუზნთა ექმნებით სახედ
გარენრობისა და ღმრთის უსიყუარულობისა. ესე ვითარისა ეკკლესიის მსახურისად უმ-
ჯობეს არს, სიტყვსამებრ მაცხოვრისა, რათა ქედსა ზედა თვსსა დამოიკიდოს ქუა წისქვლისა
და შთაიგდოს თავი უფსკრულსა შინა (მათეს სახარება 18, 6). კვალად იტყვს წინასწარ მეტყ-
ველი: „სისხლსა უდებებითა ჩუზნთა“ (ეზეკიელისა 33, 6).

საქართუზლო, ერთი ძუზლთა (ქუზყანათაგანი) მხარეთაგანი, ქრისტეს სარწმუნოებისა
პირველიდგანვე მოსავია და ქუშმარტებით აღმსარებელი. სახე ექმნებოდა სხუათა ღმრთის-
მსახურებასა, და ჰყვაროდაცა მას შინა გალობა ეკკლესიური. მცხოვრებნი უდაბნოსანი, მისით
უხილავად შეერთებულ იყუნენ ციურთა მაგალობელთა თანა: სამლუდელო და საერო წესი
ერთად გარდაიხდიდენ შეწყობილითა გალობითა ყოველსა დღესასწაულსა; არა კმა ეყოფო-
დათ მათ გალობა ესე მხოლოდ წირუა-ლოცუაზედ, ეკკლესიასა შინა, არამედ გამოვიდნენ რა
მუნით, შემდგომად სერის დაგებისა, განვიდოდენ განმხოლოებულსა ადგილსა, ხეთა ქუზმე
ანუ მახლობელ ეკკლესიისა დ გასატარებლად შესაქცევარისა ჟამისა, იწყებდენ ეკკლესიურსა
გალობასა. მეფეთა და მთავართა, ნადიმობათა, პურობათა და სადღესასწაულოთა შემთხ-
ვევათა შინა, განმამხიარულებელი და შესაქცევი ხმა იყო ეკკლესიურისა გალობისა. ესრედ
პატივიცემებოდა გალობა ჩუზნთა წინაპართა ქართუზლთაგან! ესრედ ერის კაცნი სამლუდე-
ლოთა თანა ერთად ჰსტკებოდენ, და კმა ეყოფოდენ ურთიერთსა ვიდრე ესმოდათ ტკბილი
გალობა! დაცხრობა სამლთო გალობისა, მომასწავებელია ღმრთის მსახურების მოუძღურებისა
– ხმამალად გვიქადაგებენ ამას ზღუდენი იერუსალიმისანი, ძველს დროში! ხოლო აღდგინე-
ბა ესრეთის სანატრელისა გალობისა, სამწუხაროდ ჩუზნთ ყოველთა, დაცემულისა რაოდენ-
სამე დროსა, – გექმნებათ ძმანო, სახელად საუკუნოდ სახსოვრად შთამომავლობისათვს, წარმ-
მართებელად ღმრთისმსახურებისა და დამაგვირგვინებელად ცხოვრებისა თქუზნისა

მიჰხედეთ, ძმანო, ვითარ ყოველი ენა მეცადინეობს განმშვენებისათვს საეკკლესიო გა-
ლობისა! ვითარ არა ჰზოგვენ მისთვს არავითარსა მოკლებასა და წარსაგებელსა, თქუზნცა,
რტონო ახლისა ქრისტეს ვენახისანო! გმართებთ გულსმოდგინება და მეცადინეობა განუ-
წყვეტელი აღდგინებისათვს მისა, რადგანაც იგი არს უსაჭიროესი განმშუზნება მსახურებისა
თქუზნისა, ძუზლსა ნუ დაჰკარგავთ, მოპოებადმედ ახლისა უკეთესისა.

მიჰხედეთ, ყოველი ნაწილი საზოგადოებისა, აწინდელსა განათლებულსა დროსა შინა
მიემთხუზვის სრულებისადმი, და ჩუზნ რაღამ უნდა დაგვაპრკოლოს ამაზედ, მაშინ, როდე-
საც ჩუზნი წოდება არს უმთავრესი ქუზყანასა ზედა – უდებებითა ჩუზნითა ნუ შთავცვივით
წყევასა ქვეშე ღმრთისა, თავთა ჩუზნთა და შთამომავლობისა! იქმნება თქუზნგანი ვინმე
ბრკოლდებოდეს ამა შემთხვევასა შინა მოვალეობათა სახლისათა, მარამ ნუ დაივინყებთ, რო-
მელ მცირედი ესე სიძნელე მოგიპოებთ თქუზნ დროებითსა და საუკუნოსაცა კეთილდღეო-
ბასა და ცხოვრებასა. შეამსგავსეთ, ძმანო, ამათი და აწინდელი ესე გარემოება, ჰხედავთ
ვითარ შორიდან მოვლენან აქა მოსასმენად მამა-პაპეულისა გალობისა; ვითარ გარემოებამან
ამან, ამა მცირედსა ჟამსა დაჰბადა ერსა შორის გულსმოდგინება ღმრთისმსახურებისადმი,
ხოლო თქუზნ მოგიპოვათ პატივისცემა, ყოველნი გიხსენებენ სიამოვნებით, სიყუარულით;
ლოცვენ დღეთა თქუზნთა, ინეტარებით და მაშინ უმეტესად საკვრველი იქმნება სახელი
თქუზნი, ოდეს თქუზნ მიერ განეფინება კნინლა დაკარგული ნიჭი ღმრთისა მრთელსა საქარ-
თუზლოსა შინა.

ხოლო შენ უპატივცემულესო მამაო არხიმანდრიტო!*) საქართუზლო, მოქადული ღრმად პატივსაცემელისა ძველის ქართულის გალობის მოსმენითა, გიძღუნის უმხურვალესსა მადლობასა, მიღებულთა შენ მიერ განუწყვეტელთა შრომათა და ღუანლთა აღდგინებისათჳს მისსა; წმიდა ესე ტაძარი და ამას შინა მდებარე უძვირფასესი საუნჯე ჩუჴნ მორწმუნეთა, სიქადული და განმანათლებელი ქართუჴთა ერისა, წმიდა მოციქულთა სწორი ქალწული ნინა, განანათლებენ გულსა და გონებასა შენსა სხუათაცა მამულის სასარგებლოთა კეთილწარმატებათა ზედა; ხოლო ცა და მუნ დაუცხრომელად მგალობელნი სამწმიდაარსობითისა გალობისა, მზა გიყოფენ გვირგვინს ღუანლთა შენთასა. ამინ.

მღუდელი ფილიმონ კარბელოვი

*) არხიმანდრიტს უწოდს მაკარის, რომელსაცა პატივი და დიდება შეენის ამ გალობის დაფუძნებისათჳს. რედ.

4. ცისკარი, 1864, მაისი, №5, გვ. 81-82

პასუხი

ერთგუარ აღძრულნი გრძობითა, წრფელისა თქუჴნდა გულითადისა სიყუარულისა – ყოვლად უპატივცემულესო მამაო ფილიმონე! მოგიძღუნით მადლობასა ჩუჴნდამო მოძღურებისათჳს. სიყუარული და გულმოდგინება ყოვლადუპატივცემულესისა მამისა თქუჴნისა და მოძღურისა ჩუჴნისა გრიგოლისა, ცხადათ საცნაურ არს ამა კეთილისა საქმისა აღდგინებისათჳს. ჩუჴნცა, მოსწავლენი დიდისა სიხარულითა და გულს მოდგინებითისა სურვილითა არა დავზოგავთ არავითარსამე ღონისძიებასა სწავლისა და აღდგინებისათჳს ქართულისა ჩუჴნისა ეკკლესიურის გალობისა. ჩუჴნ ვერავითარიმე სიძნელე ვერ დაგვაბრკოლებს ამა კეთილისა საქმისა აღსრულებასა, გულწრფელათ შევსთხოვთ ერთპირათ, ღუანლი მამისა თქუჴნისა, მღდულის გრიგოლისა, იქნეს დაგვირგვინებული სათნოდ და საამოდ წინაშე ზეგარდამოისა მეუფისა, ხოლო მიზეზი ამის ყოვლისა კეთილობისა მზრუნველი ჩუჴნი, მაღალღირსი არხიმანდრიტი მაკარი აღემატოს უდიდესსა ხარისხსა ზედა, და მით იდიდოს გვაში ყოვლად დიდებულისა წმიდა ქალწულ მონამისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა, რომელსა ტაძარსა შინა განსწავლულან ჩუჴნებრ მრავალნი და გაფენილ არს საქართველოში წესი ქრისტიანობისა და იყოს თავსა ზედა ჩუჴნსა ღუთისა და კურთხევა თქუჴნის ყოვლად პატიოსნებისა.

*წმინდის ნინას სობოროში ეკკლესიის პრეჩეტნიკი, იოსებ ბერიევი
1863 წელსა, დეკემბრის 9 დღესა, ბოდბეს*

5. დროება, 1878, 11 თებერვალი, №31, გვ. 3

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს განცხადებას:

თქვენი გაზეთის კვირის (5 თებერვლის) ნომერში „დღიურში“ წავიკითხე შემდეგი ამბავი: „ჩვენ გვითხრეს, რომ სიონის რეგენტი (რუსია თუ ქართველი?)“ შესდგომია ამ ჟამად ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე დაწყობას. მოგეხსენებათ, რომ ყოვლადუსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ამ საგნისათვის 500 მან. შესწირა“

პატივი მაქვს, უფ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის შემწეობით ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, რომ ქართული საეკლესიო გალობა მთელი წირვის წესი მე დიდი ხანია გადავიღე ნოტებზე, სამ ხმათ, ტარასი არხიმანდრიტის თხოვნით; მაგრამ, რადგან არ გახლდით იმდენი შეძლების პატრონი, რომ თავათ დამებეჭდინებია და საქვეყნოთ გამომეცა, მქონდა შენახული.

შარშან, ივლისში, ქუთაისში ჩამოვიდა, თფილისის სემინარიის მართველობის მინდობილობით, ამავე სემინარიის რეგენტი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც იყო ჩემთან და მითხრა:

„მე თფილისის სემინარიის მმართველობამ გამომგზავნა იმერეთში, რომ გავიგონო და გამოვიკვლიო – სად რა ხმაზე იგალობება ქართული საეკლესიო გალობა და შემდეგ როგორმე გადავიღო არჩეული მოტივები ნოტებზე. არც ღონისძიება და არც თავი მაქვს, რომ ამ გზით რამე მოვიპოვო და შევადგინო. მე გავიგე, რომ ქართული საეკლესიო გალობა თქვენ შედგენილი გაქვსთ კიდეც ნოტებზე, და თუ შეიძლება, გამატანეთ წარუდგინო სემინარიის მმართველობას.“

მე ვერ გავბედე ამდენი ხნის ნაშრომის ასე უცნობი კაცისათვის მიცემა, სანამდისინ ის ყოვლადუსამღვდელო ეპისკოპოსის გაბრიელისაგან არ მომიტანდა მოთხოვნილებას. მართლაც, პირველს აგვისტოს, შარშან, უ. მაჭავარიანმა მომიტანა ყოვლად უსამღვდელოების გაბრიელისაგან შემდეგი ოფიციალური მონერილობა:

„მისს მაღალკეთილშობილებას, ქუთაისის პირველდანყებითი სასწავლებლის ზედამხედველს და ქუთაისის კლასიკური გაიმნაზის რეგენტს უ. მრევლოვს (30 ივლისს (1-ს აგვისტოს) 1877, №2,653).

თფილისის სემინარიაში გალობის მასწავლებელმა მიხეილ მაჭავარიანმა, 26 ამა ივლისს შემატყობინა, რომ მან, სემინარიის მმართველობის მონდობილობით, ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გარდაღებული დოკუმენტების ძებნის დროს, ამ გვარი შრომა იპოვა თქვენთან, რომელიც თქვენ 1850 წ. უკვე დაგიმზადებიათ. იმის ჰაზრით თქვენი შრომა სავარგისოა, ის ეთანხმება ქართულს საეკლესიო გალობას და ამასთან მასში დაცულია ბუნებითი (ადგილობრივი) მოტივები. მაგრამ ეს თქვენი შრომა, სანამდისინ ჩემგან ოფიციალურად თხოვნა არ მოგივიდოდათ, თქვენ არ მიგიციათ მისთვის, რომ მას იგი სემინარიის მმართველობისათვის წარედგინა.

ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, დაუთმოთ მას თქვენი ხსენებული შრომა, თუ სამუდამოთ არა, დროებით მაინც სემინარიის სამმართველოში წარსადგენათ.

თუმც თქვენ თანახმა იქნებით ამაზედ, მაშინ გთხოვთ, ქალაქლითვე ოფიციალურად

შემატყობინოთ ის პირობები, რა პირობებითაც გარდასცემთ მას თქვენს შრომას.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი“.

როგორ შემეძლო ყოვლადუსამღვდელოესის ამგვარ თხოვნისათვის პატივი არ მეცა და არ გარდმეცა ჩემი შრომა უ. მაჭავარიანისათვის? ავიღე და როგორც ნაბრძანები მქონდა ქალაქით მივართვი მის ყოვლადუსამღვდელოესობას. ქალაქში ვთხოვე, რომ, თუ ვინცობაა ჩემს შრომას სემინარიის მმართველობა ჯეროვნათ და გამოსადეგათ დაინახავდა, მაშინ ნუ ინებებდნენ, რომ შრომის ფასი დამკარგოდა, თუ არა და მაშინ ჩემი შრომა მაინც დაებრუნებიათ ჩემთვის.

ის დღე იყო, უ. რედაქტორო, და ჩემი შრომის დღესაც არაფერი ვიცი: რა უყო მას უ. მაჭავარიანმა: ნარუდგინა სემინარიის მმართველობას, თუ არა? ამის წინათ თქვენსავე პატივცემულს გაზეთში წავიკითხე, რომ ამ წლის 14-ს იანვარს სიონში ეგალობებიათ ქართული საეკლესიო გალობა ნოტებზედ გარდაღებული; ერთს წამს ფიქრი მომივიდა, რომ ეგებ ის ეს ჩემი შრომა იყო მეთქი; მაგრამ მეორე წამს ვთქვი, რომ უ. მაჭავარიანი უთუოთ რასმეს შემატყობინებდა, რომ ასე ყოფილიყო მეთქი.

ერთის სიტყვით, უ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის შემწეობით ვაცხადებ საქვეყნოთ, რომ იმ გვარი შრომა, როგორის შედგენასაც უფ. სიონის რეგენტი შესდგომია, როგორც ზევიდამ შეიტყობდით, მეც მაქვს, ოღონდ ამჟამად ხელში კი არა, თუმც იმედი კი მაქვს არ დამეკარგვის. – ამას მიტომ ვაცხადებ, რომ ყოვლადუსამღვდელოესის ალექსანდრესაგან გარდაღებული 500 მან. ჯერჯერობით, სანამდისინ ჩემი შრომაც არ განხილულა და არ დაფასებულა, არავის მიენიჭოს. ვინ იცის ჩემს გარდა ეგების კიდევ სხვა ვინმეც გამოჩნდეს, რომელსაც ქართული საეკლესიო გალობა კიდევ აქვს ნოტებზედ გარდაღებული.

აქვე ვაცხადებ, რომ მე უკვე შევუდექი ქართული საეკლესიო გალობის ოთხი ხმისათვის ნოტებზედ გარდაღებას. ზემომოყვანილი ჩემი პირველი შრომა, როგორც მოგახსენეთ, მარტო სამი ხმისათვის არის გარდაღებული.

ანდრია მრევლოვი

8 თებერვალს, ქუთაისი

^{*)} რუსია. (რედ.)

6. ივერია, 1878, 23 თებერვალი, №8, გვ. 2-3

ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღება

ქართული გალობის ნოტებზედ გადაღება ფრიად სასიამოვნოა და თითქმის ეპოქად ჩაითვლება ჩვენში. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამჟამად მხოლოდ 10–15 გვამი თუ მოიპოვება ჩვენს სამშობლოში, რომ „ნამდვილი“ გალობა იცოდეს. ჩვენდა სამწუხაროდ აქამომდე არავინ გამოჩნდა ჯერ, რომ ეს კეთილი საქმე შეესრულებინა. მე ძალიან გამიხარდა, რომ წავიკითხე ერთს „დროების“ ნომერში, რომ „გადაიღესო და სიონშიც იგალობესო და კარგადაც გამოვიდაო“. ღმერთმა ინებოს, რომ ეს მართალი იყოს! მაგრამ, დალახვრა ღმერთმა, როგორღაც ეჭვი მაქვს ამ ამბის სიმართლეში.

აი, ბატონებო, მოგახსენოთ, რამ დამიბადა ეს ეჭვი ამ საქმის შესახებ. მე მითხრეს,

თუ ქორი არ არის, რომ ქართული გალობა ვითომ უფ. მ. მ–ს გადაელოს ნოტებზე: თუ ეს მართალია – ეხლავე იმედგადაწყვეტილი ვიტყვი, რომ ის გალობა „გადამახინჯებულია“ და არა „ნამდვილი“ მ. კარბელოვის ქართული გალობა. მე ვამბობ „გადამახინჯებულია“ მეთქი, იმიტომ, რომ მე თვითონ მიჩვენა თავისი შრომა უფ. მ. მ–მა ჩემს თბილისში მყოფობის დროს. ერთხელ, ბატონო, მე დავესწარ ქართულის გალობის გაკვეთილზე (რუსულს გალობას ასწავლიდა და ქართულიც ჩააბარეს, თუმცა უფ. მ. მ–მა იმდენივე იცის ქართული გალობა, რამდენიც მე ჩინური.). უფ. მასწავლებელს ეკავა ხელში თავის ნაშრომი და იმით აგალობებდა შეგირდებს. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც გავიგე კილო გალობისა!.. ისეთ ნაირად იყო გადამახინჯებული პატივცემულის მ. გ. კარბელოვის გალობისა! როდესაც დავხედე თვით შრომას – თქვენს მტერს ეცეს ელდა, როგორც მე მეცა! ოთხს ხმაზე არ იყო თურმე გადაკეთებული ქართული მ. გ. კარბელოვის გალობა! (სამს ხმასაც არ დასჯერებოდა კომპოზიტორი!) ნეტავი საზოგადო კილო მაინც გადაელო, თორემ გამშვენებას ვინა ჩივის! იქნება სთქვას ვინმემ, რომ „ოთხ-ხმიანი გალობა უფრო კარგი არ არისო?“ კარგი გახლავთ, ბატონო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქართული არც ეკლესიური გალობა და არც ხალხური სიმღერა არ არის ოთხს ხმაზე საგალობელი არც იმერეთში და არც ამერეთში. რამდენათაც მე მითვალისწინებია (მე ძალიან მოსიყვარულე გახლავართ ქართულის გალობისა და სიმღერისა), არსად არც ერთს გალობაში და არც სიმღერაში ოთხხმიანი გალობა და სიმღერა არ შემხვედრია. მე არ ვამბობ, რომ რაკი არ არის არც შეიძლება ოთხხმიანი ქართული სიმღერა ანუ გალობა მეთქი, – რატომ არა, მაგრამ თუ ახლანდელს ქართულს გალობას აწყობენ ნოტებზე – როგორიც არის ისე უნდა გადაიღოს და არა ჩირთი-ფირთებით გადაამახინჯოს. მართალია, შეიძლება (თუმცა მაინცა და მაინც განვითარებული არ იქნება) რომ კომპოზიტორმა ის გალობა, რომლის გადაღებაც ჰსურს, არ იცოდეს და გადილოს მხოლოდ რამოდენიმე „იმ“ გალობაში განვითარებულის გვამების შემწეობით; მაგრამ ისეთს კომპოზიტორებს კი როგორიც არის უფ. მ–ნი და მის მსგავსნი არ შეუძლიანთ ეგ. საქმე იმაშია, რომ უფ. მ. არც მუსიკის თეორია (ურისოთაც არ შეიძლება გადაღება ნოტებზე გალობისა) აქვს გვარიანათ შესწავლული და ქართული გალობა ხომ, როგორც თვითონ აღიარებს, სრულებით არ იცის. ყველა დამეთანხმება, რომ „დო, რე, მი“-ს ცოდნა კიდეც არ ჰქონდა მუსიკის თეორიის ცოდნას. ახლა გითხრა, ჩემო მკითხველო, რათა ვცბედობ ამდენს; თუ გალობა გადამახინჯდა გადაღებაში და ამ გვარად დაუნყეს სწავლა მოსწავლეებს – ქართული გალობა სრულიად დაიკარგება. „სიონში იგალობეს და კარგად გამოვიდაო!“ შეიძლება. მსმენელს იქნება იმიტომ მოეწონა (იქნება მარტო თვითონ შემდგენელს მოეწონა ვინ იცის!), რომ ხმები ცოტად თუ ბევრად შეწყობილნი იყვნენ, ანუ უკეთ ვსთქვათ: „ტერციაზე იყო ხმები დანყებული. ან კიდეც: რასაკვირველია ორის ხმის გალობა უფრო სასიამოვნო გასაგონია, ვიდრე ერთისა, როგორც გალობენ ჩვენს ეკლესიებში. აბა თვითონ მ. კარბელოვს გააგონეთ ახლად გადაღებული ნოტებზე გალობა, ვნახოთ იცნობს თავის საკუთარ კილოს თუ არა. უკანასკნელი სიტყვა ეს არის ჩემი: ქართულის გალობის ნოტებზე გადაღება არ არის ისრე ადვილი, როგორც ჰგონიათ ზოგიერთებს. იქმნება იმას დეხარბოს ზოგი „ცრუ კომპოზიტორი“, რომ ეგები ორმოცი თუმანი პრემია მივიღოვო, ოღონდ კი დავბლაჯნო რამეო; მაგრამ ქართველები კიდეც ისე არ დამცირებულან, რომ ტყუილუბრალოდ გადაყარონ ფულები. თანდათან ჭკუასა სწავლობენ.... ღმერთმა ინებოს, რომ ამ ერთს წელიწადს „ქართული“ გალობა გალობად გვენახოს ნოტებზე გადაღებული!...

ქართველი [რომან ძამსაშვილი-ცამცივი]

7. დროება, 1878, 3 მარტი, №45, გვ. 2

წერილი რედაქტორთან უფ. ანდრია მრევლოვის ნოტებზედ

„დროების“ №31 ამ წლისა მე მქონდა შემთხვევა წამეკითხა წერილი, რედაქტორთან მიწერილი, რომელშიდაც გამოცხადებული იყო, რომ უფ. მრევლოვს ჰსურს შეიტყოს ხვედრი თავის ქართული საეკლესიო გალობის ნოტებისა, ჩემ მიერ წამოღებულისა სემინარიის სამმართველოსათვის წასარდგენად.

ამის გამო ჩემ თავს ვალად ვრაცხ ვაცნობო უფ. მრევლოვს, რომ იმის ნოტებს ჯეროვანი მსვლელობა მივეცი მაშინვე, როგორც ენკენისთვეში 1877 წ. ჩამოველ თფილისში: მე წარუდგინე ისინი სასულიერო სემინარიის სამმართველოს; იმან კომისისა დანიშნა და ჩააბარა მას ხსენებული ნოტების განხილვა. ამ კომისიის მწევრად, სხვათა შორის, არის არქიერის ხოროს რეგენტი აგერ სამი თვეა მას აქეთ და კომისიას ჯერაც ვერ გაუთავებია იმ ნოტების განხილვა; თუ მოითმენს უფ. მრევლოვი, ახლა მალე წარუდგენს ნოტებს კომისია თავის დასკვნით სემინარიის სამმართველოს.

ამ უამად კერძოთ გაგებული მაქვს, ვითომც ხსენებული ნოტები არ ეთანხმება ნამდვილ ქართულ გალობას და ბევრს შეცდომილებასაც შეიცავს; მაგრამ ჯერ მაინც გადაწყვეტილი არ არის – თუ ვინ მიიღებს ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ გამოცემულ სუბსიდიას (500მ.), რომელიც არის დანიშნული პრემიად ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე შემადგენელისათვის.

მართალია, 14-ს იანვარს თფილისის სიონის საკათედრო სობოროში იგალობეს ქართულად (კარგათ თუ ავათ, არ ვიცო); მაგრამ არც უფ. მრევლოვის და არც ვისმესაგან შედგენილ ნოტებით – ეგალობნათ უნოტოთ; მგალობლებს ნასწავლი ჰქონდათ მღვდლის გრ. კარბელოვისაგან, ისიც ზეპირ გარდაცემით.

მ. მაჭავარიანი

8. ივერია, 1878, 4 მაისი, №17, გვ. 5-7

ქართულს გალობაზედ

ამ მოკლე ხანში ძალიან გახშირდა ლაპარაკი გალობაზედ და იმის ნოტებზედ გადაღებაზედ. ყველამ ამოიღო ხმა, ყველანი ცდილობენ, რომ თუ ნივთიერათ არა, სიტყვიერათ მაინც თანა-გრძნობა განაცხადონ ამ სასარგებლო ქართული გალობის აღდგენაზედ. მართლაც სასიამოვნოა იმ საქმეზედ ერთხმობა და საზოგადო თანაგრძნობა, რადგანაც ეს საქმე მარტო ერთს არ ეკუთვნის, არამედ მთელს საზოგადოებას. ამ ლაპარაკს უთუოდ კაი შედეგიც ექმნება. მაგრამ ეს კი არ მეჭაშნიკება, რომ იმ ერთი ანდაზისა არ იყვეს: „ჯერ ღვინო არ იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო“. ჯერ ქართულის გალობის ნოტები თვალთ არავის უნახავს (ის ნოტები არ გახლავსთ, რომლებსაც ეხლა ეძახიან) და მთელი ქვეყანა შეძრეს: „ქართველებმა ნოტებზედ გავაწყეთ გალობაო“. „დროებამაც“ კი ბევრი მოატყუვა.

რომელსაც №-ის დღიურში ეწერა: წმინდა ნინობას სიონში ქართულად სწირა ყოვლად სამღვდელმომ და ახალის ნოტებით ქართულად იგალობესო. ეს დღიურიც უფ. მრევლოვს წაუკითხავს იმერეთში, რომელსაც ადრევე მოცლის დროს უცდია გალობის ნოტებზედ განყო-ბა და რომლისგანაც ეს ნოტები სემენარიის რუსულის (და მგონი ქართულისაც) გალობის მასწავლებელს უ. მაჭავარიანს გამოურთმევია იმერეთში ყოფნის დროს. ზემოხსენებულს უფ. მენოტეს რა კი „დროებაში“ წაუკითხავს, რომ ნოტებით იგალობეს კიდევცაო, მაშინვე დროებაში დასწერა, რომ მე გამომართო ჩემი ნოტები მაჭავარიანმაო და სხვა. „ქართველსაც“ შეუტყვია გალობის ნოტებზედ დაწერა, გული შესტკივინა და იხვეწება: ქართული გალობა არ გააფუჭოთო! („ივერია“ №8) ეს კი უფრო მართალს ლაპარაკობს, მაგრამ საქართველოში თხუთმეტი მგალობელი კი ტყუილია, ვინც ნირვის გალობა იცის, იმას ვერ დავარქმევთ მგალობელს. ჩვენ მარტო ერთი გვყავს ნამდვილი მგალობელი, მღვდელი გრიგოლ კარბელოვი, რომელსაც მტკიცედ ახსოვს გალობის კილოები. ესეც ჩვენდა საუბედუროდ მოხუცებულია.

თუ მართლა რიგიანად შემდგენელი ვინმე გამოჩნდა ნოტებისა, რასაკვირველია სასიხარულო იქმნება და აღარ შეგვეშინდება გალობის მთლად გაქრობისა. მაგრამ თუ იმისთანა ნოტზედ დამწყობნი შეგვხვდნენ, როგორნიც ამ ჟამად იქადიან და ჩვენის გალობის ცოდნას ჩემულობენ, ვაი შენს მტერს! საქმე მარტო დაწერა კი არ არის, საქმე ის არის, რომ ძველი კილო შეუცვლელად დარჩეს გალობაში. ამ ცოტა ხანში ბევრმა გამოიჩინა ნოტის ცოდნა და თავიანთ ნოტებს არქმევენ ნამდვილს ქართულს კილოს, მაგრამ სულ სხვა ხასიათისანი არიან. თუნდ ავიღოთ შრომა უფ. მრევლოვისა, რომელსაც დაუწერია რამდენიმე გალობა კილოზედ და რომლებიც ტფილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელს გამოურთმევიათ გასაშინჯავათ, მაგრამ ვის უნდა გაეშინჯა? რასაკვირველია მოსწავლეებს, რომელთაც მასწავლებელზედ უკეთ იციან ქართული გალობა და რომელთაც შემდეგ გაშინჯვისა კიდევ დაუწუნეს. მეტათ გარყვნილიაო. ბევრი აი-უი, აქა-იქა, აქა..აი..აი.. ურევიაო. ისევე პატრონს გაუგზავნეო. წარსულს ზაფხულში თვით ამ უფალმა მაჭავარიანმაც ბევრი იარა იმერ-ამერში. ჭალა-ჭულაში გალობის შესადგენათ ნოტებზედ, მაგრამ „წმინდაო ღმერთოს“ და „რომელი ქერუვიმთას“ მეტი ვერა დასწერა რა. ამბობენ ესენი კარგად არისო, მაგრამ, მკითხველო, თქვენგანმა რომელმა ნახეთ ეს ნოტი? თუ კარგია რატო საჯაროდ არ გამოიტანეს! ან რა საჭიროა სკივრში შესანახად, იქნება დამი აკლდეს? თუ ესრე ნელ-ნელა იწერება ნოტები, ადრე გვეშველება, განა საგალობლები არა გვაქვს? სამასზედ მეტია.

ამდენს „ნოტის“ ძახილში და სიარულში, ის კაცი, რომლის თავშიაც დამარხულია ნამდვილი მამა-პაპური კილო გალობისა, გამოგვეცლება ხელიდამ, როგორც მოხუცებული და წაიღებს ისევე იმასთან, ვისგანაც მიუღია.*) მაშინ ვისაც როგორა სურს ისეთი კილოები შეადგინოს. აღარც არავინ დამწუნებელი იქმნება და არც მომწონებელი.

რალა ბევრი გავაბა და თავი მოგანყინო, მკითხველო. ყველანი უნდა ვეცადნეთ, რომ როგორმე ისევე აღვადგინოთ ძველებური გალობა და მამა-პაპურის საღმრთო ზნეობით ისევე ძველებურათ შევამკოთ ჩვენი ეკკლესიები. ამისთანა საქმეს გულ-გრილობაც არ გამოადგება, არც ერთმანეთზედ მიგდება. ეს გალობა, ჩემო ძმავ მკითხველო, ჩემიც არის და შენიცა. შენმა წინა-პარმა შენ გიანდერძა, ჩემმა მე, – საზიაროა. ამისთანა საზიარო საქმე მარტო ერთს არ უნდა მივანებოთ. „ერთი პურის ჭამაშიაც ბრალია“ მე, აქ ის მინდა მოგახსენოთ, რომ მარტო ბერებს და მღვდლებს არ დავავალოთ ამ საქმის შესრულება. მარტო მღვდლებისთვის არ არის გალობა. თვით მღვდლებიც და ეკკლესიაც ერისათვის არის და ამისთვისაც უნდა შევავერთოთ მეცადინეობა, სასულიერო ხალხთან და თუ რამ მოეწლება, მოვუაროთ. მაგრამ ჯერ კი უნდა დახელოვნებით შევისწავლოთ ნოტები და ამასთანვე ქართული გალობაცა, მაშინ მივყოთ ხელი ნოტებზედ ქართული გალობის წერას.

ამ თხუთმეტის წლის წინათ, თუ ყური უდევნებია ვისმეს, ეხსომება თუ როგორის შესა-

ზიზლარის კილოთი გალობდნენ ქართლ-კახეთის ეკლესიებში. ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ვითომც ძველადვე არ ჰქონდეს ქართველებს კილო, არამედ ის, რომ გამლვიძებული ანუ აღმადგენელი არავინ გამოუჩნდა და ხომ მოგეხსენებათ „უპატრონო ეკლესიასაც კი ეშმაკები დაეპატრონებინან ოხრობის დროს“. აგრეთვე ჩვენი გალობაც უპატრონობამ დაზინყებას მისცა და სრულებითაც დაგვავინყდებოდა, თუ ამ დროს არ გამოსჩენოდა გულის შემატკივარი. ეს იყო არხიმანდრიტი მაკარი, რომელმაც როგორც იყო წამოაყენა ფეხზედ. ეს წინამძღრობა და ამ დროს სილნალის უეზდის ს. ბოდბის წმინდა ნინოს სობოროში და გულ-მტკივნეულად უყურებდა ნაკლულევანებას წმინდის ეკლესიებისას გალობის შესახებ. ამისთვის ამან მოახსენა ექსარხოხს ყოველ გვარი ნაკლი ღვთის მსახურების გალობის თაობაზე და ექსარხოხმა მიანდო აღდგინება გალობისა არხიმანდრიტს მაკარისვე. ეს შეუდგა საქმეს ამ სახით: შეადგინა საზოგადოება სილნალის და ზოგიერთის თელაველის სამღვდლოებისაგან (ამათ შორის მიიღო მონაწილეობა ეხლანდელმა ქალაქის მეთაურმა, დ. ყიფიანმა.) ამ საზოგადოებას უნდოდა დაეკმაყოფილებინა გალობის სასწავლებლის მოთხოვნილება. დიაკვნები ვალდებულ იყვნენ გალობა ესწავლათ. მასწავლებლათ მოიწვია მგალობელი კარბელოვი და ამ სახით გამართა ჩინებული სასწავლებელი, რომელშიაც გამუდმებით სწავლობდა ორმოცზედ მეტი მოსწავლე, რომელთა შორის სილნალის სასწავლებლის მასწავლებელი უფ. სარაჯოვიც იყო. სამის წლის შემდეგ სილნალის უეზდში გაიმართა მშვენიერი გალობა, რომლის მსზგავსიც თვით მგალობლის – კარბელოვის სამშობლო სოფელშიაც არ მოიპოვებოდა. ყველა საბლალჩინოში ორ-ორი გუნდი იყო მგალობლებისა. მაგრამ, განა არ მოგეხსენებათ უმწყემსო ცხვრებს მგლები დაიტაცებენ. მაკარი არხიმანდრიტი მგონი იმერეთში რალაც საქმეზედ გაგზავნეს ერთი წლით და ამ ხანში სასწავლებელი შესუსტდა და დაიშალა. ეხლაც კარგად და უფრო უკეთესად არის აქ გალობა გავრცელებული ვიდრე ქართლში. დღესაც კი გალობა შესდგება ხოლმე.

ამ დროს სემინარიამაც მოინადინა, რომ დაეარსებინა გალობა და კიდევ გაამწესეს ესევე მგალობელი კარბელოვი მასწავლებლათ. ნეტავი წარმოიდგინო, მკითხველო, თუ როგორის აღტაცებით მიეგებნენ მოსწავლენი გალობის სწავლებას! დიდის სიხარულით ეთანხმებოდნენ, რომ ამათგან მგალობელთა დასი შემდგარიყო და ტფილისში ქართველის ეკლესიებში ეტარებინათ საგალობლათ უფასოთ. თვით მაშინდელმა რექტორმა მ. ვიქტორინმაც ძალიან შეიყვარა ეს გალობა და ამის გულისთვის ისწავლა ქართულად წირვა, რომელზედაც მოიხმარებდა ხოლმე ქართულს მგალობლებს. ამ ხანებში თუ შებრძანებულხარ, მკითხველო, ანჩხატის სობოროში, გენახებათ მშვენიერი გუგუნი, იქ ერთის დასის მაგიერ ორივე იყო ხოლმე. მარჯვენაცა და მარცხენაცა და ლამაზათ გამოისმოდა ხუთი-ექვსი ხმა**) მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ესეც არ შეგვრჩა: სემინარი-ში... აღკრძალეს გალობა... ამ გვარად ისევ ჩქარა მიეფარა ეს მამა-პაპური ეკლესიის სამკაული და ეხლა ესე სანუნათ გაგვიხდა საქმე.

მგონია ჯერ-ჯერობით ყველას ემჯობინებოდა, რომ გალობის აღდგენა მიენდოთ ისევე არხიმანდრიტის მაკარისთვის, როგორც ამ საქმეში გამოცდილისთვის, რომ ჯერ ზეპირი კილო გავრცელდეს და ხალხში გალობის სურვილი დაიბადოს. ეს თუ იქმნება, ესე უნდა იქმნეს: გაიმართოს სასწავლებელი უფასოთ, რომელშიაც ყველას შეეძლოს სწავლა ვისაც სურს. დიაკვნები ვალდებულათ გახადონ და როგორმე მოიპოვონ ის ღონისძიება, რომლითაც შეიძლებოდეს, რომ სასოფლო სასწავლებლებშიაც სახალხო სიმღერებთან შემოიღონ გალობაცა. თუ ეს ესრე არ იქმნა, ნოტებიც რომ შეადგინონ, მარტო იმათთვის იქმნება, ვინც რუსული გალობა იცის და ქართველის ეკლესიებს რას არგებს? მართალია, თუ არა?

ნეტავი ვიცოდეთ ვინ არის ეხლა მოთავე ამ საქმისა ან ის 500 მ. როგორ უნდა მოიხმარონ, ან მარტო ამის იმედზედ არიან, თუ სხვა იმედიც აქვთ!

არაგველი [დავით კეზელი]

- *) ამ გრიგოლ კარბელოვის მამა, პეტრე, იყო ერის-კაცი, რომელიც თურმე ჩინებულს მაგლობლად ითვლებოდა სტეფანე რუსთველ არხიეპისკოპოზის გუნდში, და ამ შვილმაც ისწავლა მამისგან და თვითონაც კარგა ხანს მსახურებდა ხსენებულის არხიეპისკოპოზის გუნდში სოფელს მარტყოფში.
- **) სრული ქართულის გალობის ხმები არიან: 1) პირველი ანუ წინთქმა, 2) მეორე ანუ მოძახილი, 3) ბანი. (ესენი უბრალო გალობის ხმებია, რომლითაც დღესაც გალობენ და ჭრელის თქმაში (концерт) სჭირდება ეს ხმებიცა) 4) კრინი- алтъ, 5) ზილი- дискантъ და 6) დვრინი ანუ დაბალი ბანი- октава.

9. დროება, 1878, 7 ივლისი, №134, გვ. 2

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული გალობის ნოტებზე გარდასაღებად ამ ჟამად თფილისში კომისია არის შემდგარიო. კომისიის წევრებად, როგორც გვითხრეს, ამორჩეულნი არიან: არხიმანდრიტი მაკარი, მღვდელი გ. მღებრიშვილი (მ. კარბელოვის მონაფე), ეგზარხოსის მაგლობლების რეგენტი და თფ. სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებელი უფ. მაჭავარიანი.

ამბობენ, რომ ახალი ეგზარხოსის განკარგულებით, სიონის სობოროში ერთის მხრით რუსულად იქნება გალობა და მეორეს მხრით ქართულადო.

ამბობენ აგრეთვე, რომ არხიმანდრიტი მაკარი ამ ჟამად გურიაში მიდისო მაგლობლების მოსაყვანათაო.

ამ საქმის კარგათ მცოდნე პირებისაგან გავიგონეთ ჩვენ, ძალიან კარგი იქნებაო, რომ კომისიამ მ. კარბელოვის გალობას მიაქციოს ყურადღებაო, რადგან ნამდვილი ქართული გალობა ამ ჟამად საქართველოში მხოლოდ ამ მოხუცებულმა მღვდელმა და იმის შვილებმა იციანო.

10. დროება, 1878, 18 მკათათვე, №143, გვ. 2

წერილი რედაქტორთან

უ. რედაქტორო! მადლობა ღმერთსა, რომ თქვენმა პატივსაცემელმა გაზეთმა „დროებამ“ ამოიღო ხმა და შესდგა ფეხი იმ ასპარეზზე, რომელზედაც მიდის დინჯათ პატივცემული „ივერია“! იმ შენიშვნამ, რომელიც შემხვდა თქვენს გაზეთში, გამაბედვინა მოგწეროთ ორი-ოდე სიტყვა იმ საგანზედ, რომელიც არის საზოგადო, საქვეყნო საგანი.

რომ უფრო კარგათ გასაგებათ დარჩეს დედა-ჰაზრი ამ შენიშვნისა, ამიტომ მოვიყვანე თქვენი გაზეთის (ამ წლის №134)* სიტყვებს და თითო-თითო წინადადებას გავარჩევ.

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული გალობის ნოტებზედ გარდასაღებად ამ ჟამად თფილისში კომისია არის შემდგარიო.“

ეს მეექვსე თვეა, რაც კომისია შემდგარია, მაგრამ გრომ-კაპეიკის საქმე კი არა გაურიგებია-რა. ამ კომისიის წევრნი ისე უენერგიოთ ეკიდებიან თავის ვალს, რომ წინათვე დარწმუნებით იტყვის კაცი: „ვერაფერს, გროში კოპეიკის საქმეს ვერ გაარიგებენ!“ მართალიც არის! დაუნიშნავთ იმისთანა წევრნი, რომლებზედაც შემიძლია ვსთქვა, რომ გალობა და იმისი გემოვნება, სული და ხორცი გალობისა ისე აქვსთ გამჯდარი თავში, როგორც მე ჩინურის გემოვნება სული და ხორცი, ჩინურის პოეზიისა.

მამა გრ. კარბელოვი, საუბედუროთ, ეხლა ველარ აასრულებს ამ საზოგადოებისაგან მძიმე დავალებას. ახლა თურმე ამასლა ამბობს: „როცა შემეძლო, მაშინ ყურიც არ მათხოვე-სო, და ახლა, კი როდესაც ასე მოვუძღურდი, ახლა მომმართა საზოგადოებამ“.

დამნაშავედ ის სრულებითაც არ გამოდის, და თუ ამ საქმეზე ყურადღება მიექციათ წინათვე, მერწმუნეთ, რომ ჩვენ ჩვენი მთელი გალობა გვექნებოდა, საკუთარი ნოტებიც, როგორც სომხებს. მაგრამ ქართველები ვართ, ქართველები სანამდისინ გაჭირვებას პირისპირ არ შევეტაკებით, მანამდისინ საქმეზე არ ვჭფიქრობთ. (ეს უკანასკნელი ხასიათი მე მეგონა მარტო გლეხებშია მეთქი, მაგრამ ეხლა დავრწმუნდი, რომ განათლებულ ქართველებშიაც ყოფილა).

„არხიმანდრიტი მაკარი გურიაში მიდისო, იქაური მგალობლების მოსაყვანათაო“. კომისიას ის კი არ მიუღიათ მხედველობაში, რომ მ. კარბელოვის გალობა არის ნამდვილი გურული გალობა, მხოლოდ წმინდა შეუცვლელად შენახილი. მეფე ირაკლი მეორემ მოიყვანა ერთი ბერი ქალაქში; გახსნა აქ სასულიერო პირთათვის მშვენიერი შკოლა, სადაც დახელოვნებით სწავლობდნენ ქართულ გალობას და მნივგობრობას. ამ ბერის მოწაფეთა შორის შესანიშნავნი იყვნენ: გერონტი პირველი, ბიძინა არხიმანდრიტი, სოფრონ არხიმანდრიტი, პატარა გერონტი მეორე, რომლისგანაც კარბელოვის მამასა და თვითონ იმასაც უსწავლიათ გალობა. მარამ ახლანდელ მღ. გრ. კარბელოვი უფრო მამისაგანაა ნასწავლი.

მამ ეხლანდელ გურულისა და მ. კარბელოვის გალობის შორის განსხვავება არ იქნება. ახლანდელი გურული გალობის მაგალითი აქ წარმოუდგინა უფ. მრევლოვმა, მაგრამ დაუწუნეს! ის მრევლოვის გალობა ერთი ძველი ბერის, ნიკიფორესაგან ყოფილა ნათქვამი..

N.N. [ნიკო ნიკოლაძე]

^{*)} იხ. სტატია №9

11. დროება, 1878, 5 აგვისტო, №157, გვ. 1

მ. მაკარი არხიმანდრიტმა ჩამოიყვანა ქალაქში გურული მგალობლები, რომელთა გალობაზედაც უნდა შეადგინონ ქართული ნოტები საეკლესიო გალობისა. რადგან კარბელოვის გალობაზედ ბევრს ლაპარაკობენ, რომ ეს არის ნამდვილი ქართული საეკლესიო გალობაო, ამის გამო, ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნება, რომ ნოტების შედგენის დროს იმის გალობასაც მიაქცევდნენ ჯეროვან ყურადღებასა.

12. დროება, 1878, 5 აგვისტო, №157, გვ. 1

საქართველო

ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. პეტრე უმიკაშვილი ქართულს სანერ რვეულს, დედანს (пропись) აბეჭდინებს ტომსონის ლიტოგრაფიაში. ეს დედანი ამ დღეებში სრულად მზად იქნება და გასასყიდად გამოვაო.

* * *

ამავე ლიტოგრაფიაში იბეჭდება, როგორც გვითხრეს, ახლად შედგენილი ქართული ნოტები იმ ოციოდე ქართული სახალხო და საყმაწვილო სიმღერებისა, რომელნიც ამას წინათ იყვნენ „დროებაში“ დასახელებულნი.

13. დროება, 1878, 11 აგვისტო, №162, გვ. 3

წერილი რექტორთან

თქვენის პატივცემული გაზეთი „დროების“ 143 №-ში ვკითხულობთ წერილს უფ. N.N.-ისა, რომელიც თავის მოუსაზრებელის მსვლელობით შეურაცხათ ჰხდის „კომიტეტს“ დადგენილს (ვითომ მისის ჭკუით) ქართულის გალობის ნოტებზედ გადასაღებად, უწოდებს რა მის წევრთა უცოდინრებათ, უენერგიობათ და სხვა.

რადგან თქვენის გაზეთის მკითხველისათვის იქმნება საინტერესო იყოს ამ საქმეზედ ნამდვილი შეიტყოს რამა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, უფ. რექტორო, ჩემს წერილსაც მისცეთ ადგილი „დროების“ რომელსამე ნომერში.

უპირველეს საჭიროებად ვრაცხთ აქ მოგახსენოთ თუ ხსენებულის საქმისათვის, რა საფუძვლით შესდგა კომიტეტი, რა გვარის უფლებით და ანუ შემდგენელთ ამ კომიტეტისას რა ჰქონდათ სახეში და რა არა?

მოგახსენებთ, რომ ყოვლადუსამღდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თფ. სას. სემინარიის პრავლენიეში, სასარგებლოდ ქართულის გალობის გავრცელებისა, დასდო 500 მანეთი.

განაცხადა თუ არა საქვეყნოდ ეს სასიამოვნო შემთხვევა თქვენმა გაზეთმა „დროებამ“, ამ დროდგან ვისაც კი მოეპოვებოდა ქართული გალობა ნოტებზედ გადაღებული, ყველამ წარუდგინეს სემ. პრავლენიეს თვისი ნოტები და სთხოვდნენ დაბეჭდას, თუ რომ მათ პრავლენიე ღირსეულად დაინახავდა. ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი არ გამოჩნდა ამ გვარი ნოტები: ჯერ წარმოადგინა ქუთაისიდგან უ. მრევლოვმა თავის საკუთარი შრომა, რომელიც შეიცავდა ოქროპირის წირვის წესს და მცირედს სხვა საგალობლებსაცა, და შემდეგ ქაშუეთის მღვდ. ჭრელაევმა თვისის მამის დეკანოზის გრიგოლ ჭრელაევისგნით გადაღებული და ესეც ოქროპირის წესი.

ეს ნოტები მიიღო თუ არა სემ. პრავლენიემ მაშინვე დანიშნა თფილისის სამღვდელოთა შორის ისეთი პირნი, რომელთაც შესძლებიყოს გაშინჯვა და დაფასება ხსენებულის ნოტებისა. პრავლენიეს ამ ხანად სხვა გვარად არა დაუვალეზია რა კომიტეტისათვის, და არც კომიტეტს ჰქონდა ბრძანება და არც არავითარი საშუალება და ხელის შეწყობა არავის მხრით, რომ თვით ემოქმედნა ამ შემთხვევაში. ამ უკანასკნელმა მხოლოდ აღასრულა ის მინდობილება სემინარიის პრავლენიესგნით, რომლისთვისაც იყო ამ ხანად დადგენილი, ე. ი. გასინჯვა უ. მრევლოვისა და მამა ჭრელაევის ნოტები და როგორც იქნა დაინახა ისინი, ისრე დააფასა და წარუდგინა პრავლენიესავე.

ეხლა ნება მიბიძეთ ვკითხო უფ. N.N.-ს, გაიგო თუ არა, რომ კამიტეტი – ის კამიტეტი, რომელიც აქამდინ იყო დადგენილი „გასასინჯავათ და დასაფასებლათ ნოტებზედ გადაღებულის ქართულის გალობისა“ და არა (როგორც უფ. N.N.-ს ჰგონია) მის გადასაღებად, ის კომიტეტი რათი დააკმაყოფილებდა უფ. N.N.-საგან მასზედ მიქცეულს სასტიკს ყურადღებას? მართალია, კომიტეტმა ივლისის პირველ რიცხვებში კიდევ მიიღო სემინარიის პრავლენიესგნით მოწერილობა, რომლითაც ჰპირდება ყოველგვარს შემწევნობას, ამ შემთხვევაში, და თითქმის მოვალე-

დაც ხდის, რომ თვით გადილოს ხსენებული ქართული გალობა ნოტებზედ, მაგრამ მანამდის კი კომიტეტი თვისით ვერას მოქმედებდა; რაც უბრძანეს, ის ყველა აღასრულა და ახლაც ცდილობს ამ საქმისთვის, თუ კი გაუვიდა რამე და საზოგადოებამ თანაგრძნობა აღმოუჩინა.

ამ ხანად მას გურიიდან ჰყავს გამოწვეული ქართულს გალობაში დახელოვნებული კაცი და იმედია უთუოდ იშოვნის. ამ კაცისთვის კომიტეტს ფული დასჭირდება; აგრეთვე ფული საჭირო იქმნება კარგის ნოტებზედ გადამღების მოსაპოვებლათაც.

რაიცა შეეხება მ. კარბელოვს, კომიტეტმაცა და მთელმა კარბელოვის მცნობმა საზოგადოებამაც იცის, რომ ამ ხანად იმას აღარ შეუძლიან, მაშასადამე არც მიჰმართამდა კომიტეტი კარბელოვს და არც მიუმართავს.

„ამ კომისიის წევრნი ისე უენერგიოთ ეკიდებიან თავიანთ ვალს, რომ წინათვე დარწმუნებით იტყვის კაცი, ვერაფერს გროში-კაპეიკის საქმეს ვერ გაარიგებენო... დაუნიშნავთ იმისთანა წევრნი, რომელთაზედაც შემძლია ვსთქვა, რომ გალობა და იმის გემოვნება, სული და ხორცი გალობისა ისე აქვსთ გამჯდარი თავში, როგორც მე ჩინური ენის გემოვნება, სული და ხორცი ჩინურის პოეზიისა“ – ასე ამბობს უფ. N.N.

კომიტეტს შეადგენენ შემდეგნი პირნი: 1, წევრი საქართველო-იმერეთის სინონდალის კონტორისა მ. არხიმანდრიტი მაკარი; 2, მღვდელი სიონის სობორისა გრიგოლა მღებრიევი; 3, ამავე სობორის მღვ. ალექსანდრე მოლოდინოვი; 4, დიაკონი და რელენტი საქართველოს ექსარხოსის გუნდისა (xopb), რომელსაც აქვს დიპლომი კაპუელიდან, და 5, მასწავლებელი ქართულის ენისა თფ. სას. სემინარიაში უ. მიხეილ. მაჭავარიანი

პირველს ამათგანზედ ვერას იტყვის უ. N.N. და თუ იტყვის რასმეს, იტყუებს, რადგანაც მთელმა ქართლ-კახეთის სამღვდლოთ იციან და ახსოვთ, რომ მ. კარბელოვი 1862 წლამდე არც კი ვინმემ იცოდა – იყო სადმე თუ არა, თუ რომ მ. არხ. მაკარის გალობის სიყვარულს არ გაეწვია ქიზიყის წმ. ნინოს სობოროში გალობის მასწავლებლად.

ვერცა რას მეორეზედ იტყვის და თუ იტყვის მაინც იტყუებს: ყველამ იცის, რომ კარბელოვისგან სემინარიაში სწავლების დროს, უპირველესი მოწაფე იმის საგანში იყო მღებრიევი.

აგრეთვე ვერას იტყვის მესამეზედ და მეოთხეზედაც და თუ იტყვის რასმეს, კიდევ იტყუებს, ამიტომ რომ მესამე ამათგანი, მღ. ალექ. მოლოდინოვი დღესაც ექსარხოსის გუნდში გალობს, და, მეოთხე დიაკონი ვასილ აუშევი, არათუ გალობს, არამედ რელენტობს და ასწავლის გალობას.

მაშ დარჩა მეხუთე უ. მ. მაჭავარიანი, რომელმაც არ არის დიდი ხანი, რაც კომიტეტში მიიღო მონაწილეობა; მაგრამ ვერცა რას ამაზედ იტყვის უფ. N.N. რადგან უ. მაჭავარიანს დღეს მზათ აქვს თვისგან ნოტებზედ გადაღებული ქართული სახალხო სიმღერები და დღეს თუ ხვალ დაიბეჭდება.

კომიტეტის წევრი

14. დროება, 1878, 3 სექტემბერი, №178, გვ. 1

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„ნეტავ გუშინ 5 საათზედ ანჩიხატის სობოროში ჰყოფილიყავით და გენახათ, თუ როგორი მშვენიერი ქართული გალობა გვექონდა!

გურიიდან მოწვეული მგალობელი მღვდელი მოვიდა. გვსურდა შეგვეთანასწორებინა,

ჰგავს, თუ არა იმისი გალობის კილო ქართველისას? ამ მიზეზით მრავალი მაგალობლები შევიკრიბებით იქ.

ლოცვის შემდეგ კომისიის წევრნი ხალხითურთ შევგროვდით არხიმანდრიტის ზალაში, სადაც დაესწრო ამ კეთილი საქმის მოთავე ალექსანდრე ეპისკოპოზიც.

თავსმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ითხოვა ამ საქმეში ყველასაგან მხურვალე თანაგრძნობა. „მე ჩემის და მონასტრის მხრივ ვსწირავ თვეში 8 მანეთს და ყველას გთხოვთ ხელი მოგვიმართოთ ფულითაო“!

კაფედრალნი დეკანოზმა აღუთქვა, რომ სამღვდელოების ყრილობას მოვახდენ და ვეცდები ყველას შემოვანირვინოვო.

ბოლოს მღვდელმა იგალობა რამდენიმე ხმა. თუმცა ცოტანი კი დაუკლაკნიათ იმ გვარათ, როგორც ლაპარაკს ჰკლავნიან ხოლმე იმერლები, მაგრამ მაინც ნამდვილ ეთანასწორება ჩვენებურ გალობას. შესანიშნავი ის არის, რომ ყველა წასაკითხს გალობით ამბობს.

ამ ორშაბათს კიდევ იქნება მგონი ამ ნაირი კრება. ქართლელი მაგალობელი კარბელოვიც დაიბარეს.

განზრახვა აქვსთ, რომ ნოტები დასწერონ და გალობის სასწავლებელი გამართონ“.

15. დროება, 1878, 6 სექტემბერი, №180, გვ. 2-3

(წერილები)

„დროების“ მე-178 №-ში, დღიურის განყოფილებაში ესრე სწერია: „ნეტავი გუშინ 5 საათზედ ანჩისხატის სობოროში ჰყოფილიყავით და გენახეთ, თუ როგორი მშვენიერი ქართული გალობა გვექონდა!“

აფერუმ დამწერო! რატომ არ ასახელებ, ვინ გალობდნენ! რატომ არ გვაცნობებთ მაგალობლებთ, მართლა დავრწმუნდეთ, რომ შენი ატაცება ნამდვილ ნიადაგზედაა წარმოებული! მარამ, აბა შენგან არ მიკვირს: როგორ დაასახელებ სხვათა შორის შენს სახელს და სხვა შენისთანებისას, როდესაც მაგალობელი მხოლოდ ერთი იყო, მამა გურული მღვდელი [...]

[...] შემდეგ ამბობ: „გურიიდან მოწვეული მაგალობელი მღვდელი მოვიდა. გვსურდა შეგვეთანასწორებინა, ჰგავს თუ არა იმისი გალობის კილო ქართველისას? ამ მიზეზით მრავალი(?) მაგალობლები (?) შევიკრიბებით იქ“...

[...] ვინ იყო მაგალობელი სხვა? უ. კარბელოვის შვილები, უუ. მღებროვი, მოლოდინოვი თუ ვინა? მითხარ გეთაყვა. იქვე, გალობის დროს ვერ შეიტყე, რომ უფრო გურული და უ. კარბელოვი გალობდნენ, და რომ ამ უკანასკნელმა აღიარა – დავინწყებული მაქვსო? შენ რომელია „მაგალობელი“ ხარ, ეგ კი არ ვიცი!

გალობის შემათანასწორებელნი (?) რეგენტი და მაჭავარიანი იყვნენ; მაგრამ გალობის შემათანასწორებელათ კი არა, ხმების აწვე-დანევისა... მაგრამ შენ უთუოდ მოგისურვებია შენც „მაგალობლათ“ გიცნობდეთ! მაგალობელი მხოლოდ გურული მღვდელი იყო, სხვა არავინ.

[...] „ბოლოს მღვდელმა იგალობა რამდენიმე ხმაო... მაგრამ მაინც ნამდვილ ეთანასწორება ჩვენებურ გალობას. შესანიშნავი ის არის, რომ ყველა წასაკითხს გალობით ამბობს“... აქ რაღაც აზრით სდუმებ შესახებ კარბელოვისა, რომელიც გალობდა მასვე, რასაც მღვდელი. როგორ არის შესანიშნავი: თუ შენც მაგალობელი ხარ, „წასაკითხის გალობით გადათქმა – კანანახით შენ კი უნდა იცოდე? თუ შენ არ იცი იგინი, მამ როგორ ამბობ ეთანასწორებაო!

რატომ არ ამბობ რას „ეთანასწორება“? მერე როგორ, ეთანასწორება. მე ვამბობ – საფუძველი ერთია ორივე კილოზი, არ ვიცი შენ რას იტყვი; მაგრამ „კლაკნიანობის“ მოშორების შემდეგ ადვილათ გვეჩვენება, ადვილად ჰხედავ „გურულს“ კილოს კარგად. აქ საჭირო იყო შენთვის გვეკითხა ნამდვილი აზრი რეგენტის მაჭავარიანისა.

N.N.

თბილისი

16. დროება, 1878, 6 სექტემბერი, №180, გვ. 3

(წერილები)

მოგეხსენებათ „დროების“ მკითხველებს, რომ აღმოჩნდნენ თბილისში ისეთი კეთილი პირნი, რომელნიც ზრუნავენ ამჟამად ქართული გალობისთვის არ ზოგავენ ამ კეთილი საქმისათვის ფულათ შესაწირავს, ოღონდ გაიმართოს ქართული გალობის შკოლა. ამ სექტემბერის 8-ს თთ. ორბელიანთ ეკკლესიაშიდ იყვნენ მოწოდებულნი ქართული გალობის მცოდნე პირნი: გურული მღვდელი მაქსიმე ჩხატარაშვილი და უფ. კარბელოვი, შესადარებლად იმისა, თუ რომლის გალობა იქმნება უმჯობეს ნოტებზედ გარდასაღებათ, ანუ ყურთა სმენისთვის საამო. აქ დაესწრნენ გენერალი გრიგოლ ორბელიანი, გენერალი იოსებ ორბელიანი, არხიმანდრიტი მაკარი და სხვ. მწირველი იყო არხიმანდრიტი და დეკანოზი ზედგინიძე. წირვაზე მაგალობლები ორ პარტიათ იყო განყოფილი: გურული მღვდელი და ორი მონასტრის ბერი, ცალკე; უ. პ. კარბელოვი თავის ძმით და ორი სემინარიის მოწაფეები ცალკე.

მაგალობლებმა მიიქციეს მსმენელების ყურადღება, მითუმეტეს, რომ ხშირად ართმევდნენ ერთი მეორეს პირიდგან დაწყებულ გალობას. ჩხატარაშვილის გალობა უფრო საამო სასმენელი იყო, თუმც იმას არა ჰყავდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც სცოდნოდათ იმის კილოზედ; მაგრამ ის მაინც ხან მაღალ ბანს, ხან დაბალს და ხან წვრილს ამბობდა და ამით გამოჰყავდა ამხანაგების ნაკლულევენება. თუმც ცოტას აგრძელებს, მაგრამ ამით შნოს აძლევს გალობას. ძრიელ კარგი იქმნებოდა, ამ მღვდელს მოეყვანა გურიიდგან თავისი ამხანაგები; მაშინ ეჭვი არ არის ბევრათ უფრო დაფასდებოდა იმისი გალობა.

რაც შეეხება კარბელოვის გალობას, ზოგიერთი ბევრათ არ განსხვავდება, მე ასე ვგონებ, რომ გურული გალობიდგან გარდმოკეთებული უნდა იყვეს.

წირვის შემდეგ თ. გრიგოლ ორბელიანმა მიიპატიჟა ჩაიზედ ყველანი და დიდი მაღლობა გამოუცხადა ამ საქმის მზრუნველობისათვის არხიმანდრიტს მაკარის და ალუთქვა შემწეობა; აგრეთვე მოიწონა, როგორც გვითხრეს, გურული გალობა.

ვისურვოთ სულით და გულით სისრულეში მოვიდეს ეს კეთილი განზრახვა.

მამათელი

თბილისი

დღიური

გუშინ, ხუთშაბათს, ჯვართამაღლების დღეს, ყოვლადუსამღვდელოესის ეპისკოპოსის ალექსანდრეს თაოსნობით, სიონში იყო ქართული წირვა და ორპირი ქართული გალობა, გურულებისა და კარბელოვისა.

დიდძალი ხალხი მივიდა სიონში ამ ქართული გალობის საყურებლად.

მაგრამ, საუბედუროთ ძალიან ცოტა დარჩა ამ გალობით დაკმაყოფილებული. მაგლობლებს ეტყობოდათ, რომ თითქმის სრულიად არ იყვნენ მომზადებულნი, არ იცოდნენ რომელ პირს რა და როდის უნდა ეგალობნა, ერთი-ერთმანეთს ართმევდნენ პირში სიტყვას.

რაიცა შეეხება თვითონ გალობას, ხმას, არც ეს მოეწონა ბევრს. გურულ გალობას მხოლოთ სამი ხმა ამბობდა, ამათშიაც ორს ამ მოკლე ხანში აქვთ, როგორც ამბობენ, შესწავლილი. კარბელოვის გალობა უფრო კარგათ მიდიოდა, ხმებიც მომეტებული იყო (შვიდი), უფრო კარგათაც დაწყობილი და უფრო გარკვევითაც გალობდნენ.

მაგრამ საზოგადოთ ორთავეს გალობა ერთობ ერთხმოვანია (მონოტონური); ჩვენის ჰაზრით, ამ ორთავე გალობისაგან ერთი, საზოგადო გალობა უნდა შესდგეს და ჩვენს საეკლესიო გალობას ცოტა გამშვენიერება, ცოტა გაცოცხლება ეჭირვება უფრო კარგი, უფრო სასიამოვნო მოტივებით...

ქართულს გალობაზედ ვუძღვნი უფ. არაგველს

„ამ მოკლე ხანში ძლიერ გახშირდა ლაპარაკი გალობაზე და იმის ნოტებზე გარდაღებაზე“ – ვიტყვი მეც „არაგველსავით“ და რიცხვთა შორის „არაგველმაც“ გაგზავნა გრძელი სტატია „ქართულს გალობაზე“, „ივერიაში“ დასაბუქდავით. (№17 1878-ის წლისა) ეს წერილი ყველა წერილებზე დიდია, რაც ქართულ გალობაზე დაინერა წელს, რადგან ავტორს ნდომებია, რომ ქართული გალობის საქმე ყოველის მხრით დაეხატა მკითხველის საზოგადოებისათვის. ბევრში ყურადღების ღირსია უფ. არაგველის წერილი, ამისთვის ბევრზე ვეთანხმები, მაგრამ ბევრის ფიქრით შესანიშნავი შეცდომებიც უნდა იყვეს მის წერილში. უფ. არაგველის წერილში პირველ გვერდზევე შეხვდებით შემდეგ სიტყვებს: „საქართველოში თხუთმეტი მაგლობელი კი ტყუილია, ვინც წირვის გალობა იცის იმას ვერ დავარქმევთ მაგლობელს ჩვენ (იგულისხმება ქართველებს ე. ი. კახელებს, ქართლებს, იმერლებს, გურულებს, რაჭველებს და სხვებს) მარტო ერთი გვყავს ნამდვილი მაგლობელი, მღვდელი გრიგოლ კარბელოვი, რომელსა მტკიცედ ახსოვს გალობის კილოები“. მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ მამა კარბელოვმა ქართული გალობა არ იცის; არა, იმან ქართული გალობა იცის და უპირველესიც არის ქართლ-კახეთში, რადგან მასზე უკეთესი იქ არავინ დარჩენილა. მაგრამ იმის თქმა კი არ შემიძლია, რომ მამა კარბელოვი იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში

პირველი და ერთადერთი დაგვრჩენოდეს. იმერლები და გურულები ძლიერ მოყვარულნი არიან ქართული გალობის, და იქ არც ისე ძვირია თითო და ორ-ორი პირი მგალობლები ეკკლესიებში, როგორც ქართლ-კახეთში, მაგრამ ისინი სრულადაც ვერ იცნობენ მამა მოხუც კარბელოვს. ორში ერთი: უფ. „არაგველო“, ან ის არა გცოდნებია, რომ ქართველების რიცხვში იმერლებიც ითვლებიან და ან ის არა გცოდნებია, რომ იმერეთშიაც არის საყურადღებო გალობა. პირველი ბევრის მიზეზის გარეშე უნდა გცოდნოდა, ხოლო მეორე არის თუ არა იმერეთში ქართული გალობა – ადვილად შესაძლოა თქვენ და ბევრმა თქვენისთანამ არ იცის. ამისთვის მე მინდოდა ცოტათი გამეცნეთ იმერულის ქართულის გალობის კილოსთან და იქაურს მგალობლებთან.

მაგრამ ერთხელკიდევ მოვიყვან „არაგველის“ სიტყვებს: „ამ ცოტა ხანში ბევრმა გამოიჩინა ნოტის ცოდნა და თავიანთ ნოტებს (და არა გალობას) არქმევენ ნამდვილ ქართულ კილოს, მაგრამ სულ სხვა ხასიათისანი არიან“. თუმცა ჯერ არავინ ნახულა, რომ თავის „ნოტებს“ „ნამდვილ“ ქართულ კილოს არქმევდეს – მაგრამ როგორც შემდეგიდან სჩანს უფ. არაგველს უფ. მრევლოვი ჰყავს სახეში. ის ამბობს: „თუნდ ავილოთ შრომა უფ. მრევლოვისა, რომელსაც დაუნერია რამოდენიმე გალობა კილოზე და რომლებიც თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელს გამოურთმევია გასასინჯათ, მაგრამ ვის უნდა გაეშინჯა? რასაკვირველია, მოსწავლეებს, რომელთაც... შემდეგ გაშინჯვისა კიდევ დაინუნეს. მეტად გარყვნილიაო. ბევრი აი-უი, აქა-იქა, აი-აი ურევიაო. ისევე პატრონს გაუგზავნეს“.

ვის არ გაუგონია რუსული „დედაენის“ ერთი არაკი: „თურმე ერთმა გლეხმა მეორეს გულზე ხელის ცემით უთხრა: უჰ, რა ტკბილია ბატის ფეხებიო! – გიჭამიაო? – ჰკითხა მეორემ. არა მე არ მიჭამიაო, მაგრამ ჩემს ბიძას უნახავს, როგორ სჭამდა ჩვენი ბატონიო“. სწორედ ეგრეა უფ. არაგველის საქმეც. სიღგან სად გაიგო უფ. არაგველმა, რომ უფ. მრევლოვის შედგენილი კილო სემინარიის მოწაფეებმა განიხილეს და თავიანთი დამაბოლოვებელი სიტყვა წარმოსთქვეს. ან რა ავტორიტეტი სემინარიის მოწაფეები ნახა უფ. არაგველმა, რომ მათ სიტყვას ისრე ერწმუნა და ამბობს: „ნოტები (და არა გალობა) სულ სხვა გვარისანი არიანო“ ე.ი. გარყვნილი არისო. ყოველისფერს დავანებებ თავს, მხოლოდ ეს ერთი ვიცოდე, ესეთი ცდომილი სიტყვა რა აზრით უნდა იყვეს მოგონილი. იქნება მისთვის, რომ შემდეგ ეს სიტყვები უფრო თამამად ვთქვათ „ამდენს ნოტის ძახილში და სიარულში ის კაცი, რომლის თავშიაც დამარხებულია ნამდვილი მამა-პაპური კილო გალობისა, გამოგვეცლება ხელიდგან, როგორც მოხუცებული და წაიღებს ისევე იმასთან ვისგანაც მიუღია. მაშინ ვისაც როგორა სურს ისეთი კილოები შეადგინოს. აღარც არავინ დამწუნებელი იქნება და არც მომწონებელი“.

რავა ფიქრობთ, უფ. არაგველო, როგორ გუნებაზე იქმნებიან თქვენის წერილის წაკითხვის შემდეგ ის ჩვენის კეთილის მყოფელები, რომლებსაც რამდენიმეჯერ წამოუყენებია ჰაზრი, რომ ქართული გალობა ეკკლესიებში რუსულად შეიცვალოს. ჩემის ფიქრით კი ისენი აგეთ ფიქრში იქნებიან: ქართველების გალობა ერთი კაციღა ყოფილა, ისიც ძლიერ მოხუცებული. მამ იმის დღეს დიდი ხანი აღარ ექნება და ქვით ქართული გალობა და მათი მიმდევრებიო! შარშანდელი თოვლივით გაუქრებათ ხელიდგან თავიანთი გალობა და მაშინ რას იზმენ თუ მარტო რუსულ გალობას არ ისწავლიანო. სასიხარულოს ჩვენდა ეს ასრე არ იქნება: იმერეთშიაც არიან მგალობლები, რომლებსაც მამა კარბელოვისა არ იყვეს, შეგვიძლია ნამდვილი მგალობლები დავუძახოთ. მასხოვარი მგალობლები იმასც იტყვიან, რომ სულ ყოველგან რომ გადავარდნილა ქართული გალობა, გურიაში მაინც შენახულა დ იქიდგან მობრუნებულაო. ახლაც შენიშნულია, რომ იმერეთში ყოველი ახალი სიმღერები გურიიდგან და ქობულეთის მაზრიდგან ვრცელდება. სჩანს ისინი ყველაზე უფრო მომდევარნი ყოფილან სიმღერ-გალობისა. ამისთვის ვიქონიოთ იმედი, რომ ქართული გალობა მარტო ერთის კაცის თავში ჯერ კიდევ არ არის ჩამარხული. ღმერთმა კიდევ დიდი დღე მისცეს მამა კარბელოვს, რომ რამოდენიც დაუვალებია,

ერთი იმოდენი კიდევ დაავალოს ჩვენს ქვეყანას–, მაგრამ უმათოდაც ქართული გალობა საქართველოში ისრე არ მოისპობა, რომ „ალარც დამწუნებელი იქმნეს და არც მომწონებელი“. ნამდვილი ქართული გალობა, სადაც არა გგონიათ, იქ მოიძებნება, მხოლოდ ჩვენ ნოტები ვისწავლოთ, რომ გალობის დანერა შეგვეძლოს და თუ ეს არ იქმნა დაგეთანხმებით, რომ ქართული გალობის საქმე ცუდად წავა. მაშ ხელი შევიწყოთ მათ, ვისაც ქართული გალობის სადღეგრძელოთ ნოტების შესწავლა უნდა; ის ხუთასი მანეთი და მაზე მეტიც მათ მოვანხმართ, რომ ჯერ ევროპიული მუსიკა შეისწავლონ (მადლობა ღმერთს თბილისშივე გვაქვს მუზიკალური სკოლა) და მერმე ქართულ გალობას საფუძვლიანად გაეცნონ. მხოლოდ ამ ნაირად საგანგებოთ გაზრდილი შეიძლება გალობის ნოტებზე ხერიანად გარდაღებას.

ახლა გარდავალ საკუთრად ამ წერილის საგანზე და მოგებასებით საზოგადოდ ქართულს გალობაზე იმერეთში.

ჩვენს პატარა სამშობლოში – საქართველოში, როგორც ხალხი, ისრე მისი მეფეები ძლიერ პურადნი ყოფილან. მეფეები თავისი სამეფოის დიდებულთა ძლიერ ხშირად მოიპატიჟებდნენ ნადიმზე. იყო მეფის სიუხვე, გულ-ახდილობა, საჩუქარი და მოლხენა. მოლხენით სხვა დ სხვა ნაირად ილხენდნენ მონადიმები: იყო ჩონგურზედ მომღერალი მშვენიერი ქალები: იყვნენ მეთარეები და სხვა მესაკრავეები და იყვნენ მგალობლები, რომლებიც სამღვთო ლექსებს გალობდნენ და შეაქცევდნენ ჩვენს მეფეებს და მათ დიდებულთა, ასე რომ მგალობლები მარტო ეკლესიაში არ იყვნენ საჭირონი–მომალხენებიც ისენი იყვნენ. ამ გვარად იმ დროს მგალობლებს დიდი პატივი ჰქონდათ და გალობის ცოდნა დიდ ბედნიერად ხდიდა მცოდნეს. ისწავლიდა თუ არა გალობას ვინმე კარგი ხმის მქონე, თუ გლეხი იყო აზნაურობას შოულობდა მეფის წყალობით და თუ კეთილშობილი იყო თოფ-იარაღს იძენდა, ან ცხენს და ან ადგილს და მამულს.... დიდი ხანი არ არის, რომ ამ გვარ ბედში იყვნენ ჩვენი მგალობლები, რომლებსაც თავის თავზე ახსოვთ ეს ყოველივე.

მაგრამ მგალობლებისთვის ბედი შეიცვალა. ისეთი ნამქეზებელი, როგორც მეფე, მათ აღარ ჰყავთ. მეფე კი არა ამ უკანასკნელს დროს იმერეთში სასულიერო წოდების უფროსის ყურადღებაც მოაკლდათ მგალობლებს. სხვაში ყოველისფერში საქებმა იმერეთის ეპისკოპოზმა ამ მხრით ვერ შეუწყო ხელი ჩვენს საზოგადოებას იმერეთში.




დრო თან-და-თან იცვლება და სხვა და სხვა ბედ-იღბალს გვიმზადებს. ეს ყოველივე კაცის ცხოვრებას და მისს ხასიათს ცხადად ეტყობა. ჩვენთვისაც ეს ნახევარი საუკუნეზე მეტია დრო შეიცვალა და თანდა თან იცვლის ფერს. ამას იმერლების ცხოვრებაზე საზოგადოდ და ხასიათზე განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს. სადაც იმერელი წინეთ პირდაპირ გაივლიდა, ახლა იქ გაძრომას მოინდომებს; უწინდელი პირდაპირი გზა ახლა იმერეთში მიხლაცნილ-მოხლაცნილია. ხასიათის ცვლილებამ იქონია გავლენა გალობაზედაც. ახლა იმერეთში ცხადი გასარჩევია გალობის ძველი და ახალი კილო. უწინდელი პირდაპირი უფრო განწოლილი და ადგილ ადგილ სასმენად სასიამოვნო კილო – ახლა უმეტეს ნაწილად სმენის შემანუხებელის ხმის თრთოლით არის სავსე. ამ ხმის დახლაცუნას „ვარჯიშს“ ანუ „გამშვენებას“ ეძახიან, და მეც ეგრე დავუძახებ. ეს გამშვენება, რასაკვირველია, დაფუძნებულია ძველს კილოზე, რომელიც ყველა მგალობლებისთვის ერთი და იგივეა, მაშინ, როდესაც კილოს გამშვენება კარგს ხმაზეა დამოკიდებული და სხვა და სხვაა. ზევით ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ახალი კილოს საფუძვლად ჯერ კიდევ ძველი კილოა; გალობას რომ ვინმე სწავლულობს, უსათუოდ ძველს კილოზე ასწავლიან. გამშვენება კი თვითონ მოსწავლის საქმეა, მან უნდა უყუროს სხვაგან და სხვაგან და ისრე დაისწავლოს. ამისთვის ახალი კილო ძლიერ შემუშავებულ დაქნილ ხმას თხოულობს. არიან მგალობლები, რომლებიც მარტო ამ მხრით არიან შესანიშნავნი ე. ი. ძლიერ ტკბილი და დაქნილი ხმა აქვთ; გალობები კი ცოტა იციან. მათ რიცხვში ყველაზე შესამჩნევი არიან გურიამი მოსიმღერე–მგალობელი დ. გუგუნავა და მისი

შვილი ს–ნი. არიან მგალობლები, რომელთაც მთელი საგალობელი გალობით იციან, მაგრამ საზოგადოებაში არ გალობენ, რადგან ახალი კილო არ შეუყვარებიან. ამათ შორის საყურადღებოა დ. ხონში მღვ. ვასილ ქუთათელაძე. მგალობლის ილუმენის ვასილის შვილის შვილი და დეკანოზის კიდეც საქები მგალობლის ანტონის შვილი.

ნოტებზე გარდასაღებად ძველი კილო უფრო ადვილია, და რადგან ის არის საფუძველი ახლისა, თუ იქნა, ის უნდა იქნეს გარდაღებული. გალობის ძველ კილოზე მცოდნეები არიან: პირველი მათგანი და უპირველესი მგალობელი იმერეთში პატივსაცემი მოხუცი სიმონ კანდელაკი, ეს არის ერის კაცი; ამ უკანასკნელ წლამდის იმერეთის ეპისკოპოსის მგალობელთა რიცხვში უკეთესი ადგილი ეჭირა. ახლა შეუძლებლობისა გამო იქ აღარ ითვლება. იმის გალობის ცოდნაზე ამის მეტი არა ითქმის რა: ის არის უკეთესი მგალობელი იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. მხოლოდ როცა მას თანასწორი ამხანაგები ჰყავდა, ასე იტყოდნენ: „სიმონმა ყველაზე უფრო ბევრი ჭრელები (концеры) იცისო“. თვითონ კი პატივსაცემი მოხუცი პირ მოუთვინელად ამბობს: „დავით ჩხარელს (გვარად შოთაძე იყო, მშვენიერი მგალობელი დაბა ჩხარიდგან) ოცი იმისთანა ჭრელი ჩაჰყვა საფლავშიო, რომ ზევით აღრავის დაგვრჩენიაო“. მეორე საყურადღებო მგალობელი არის მღვ. ქუთათელაძე. ერთს კი ვიტყვი ამ მგალობელზე, რომ ისენი ძლიერ კარგს იქმოდნენ, რომ თავიანთ გალობას უფრო ძვირად აფასებდნენ. ყოველთვის ასე არ იქნება, ქართულ გალობას დაუბრუნდება უწინდელი პატივის ცემა”

ამათ გარდა არიან განთქმულნი მგალობლები, რომლებმაც ორივე კილო საფუძველინად იციან, მაგრამ ახალზე გალობენ. გალობას საკეთილდღეოთ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ესენიც ძველ კილოს დაუბრუნებოდნენ და იმაზე იგალობებდნენ. გურიაში: ანტონ დუმბაძე, რომელსაც ძლიერ ტკბილ ხმასაც უქებენ, განსაკუთრებით ბანს და მღვ. ჩხატარაიშვილი. იმერეთში: ნიკო მექმარიაშვილი ამხანაგებითურთ და მეგერელიაში – დიტო ჭალაკანიძე.

რაც შეეხება იმას, რომ იმერულს გალობაში „აი–უი“, „აქა–იქა“, „აქაია“ და სხვა ურევიაო, ეს ამოდენადაც საშიშარი არ არის. ამისთვის, რომ კარგი მგალობლები „აი–უის“ არ იძახიან. ეს მხოლოდ იმის ხვედრია, ვისაც ორიოდ რამ უსწავლია და თავი მგალობლად მიაჩნია, ესეც რომ არ იყვეს „აი–უი“ ქართულის გალობის უმთავრეს ნაკლულოვანებას არ შეადგენს, რომ მარტო მითი მთლად გალობა გარყვნილად ჩაითვალოს. მხოლოდ ეს არის რომ იმერელს სხვაზე უფრო ეხერხება „აის“ თქმა ვინემ ხმის ერთ მანძილზე „ან“-ზე გაჩერება. „ეი“-ს თქმა, ვინემ „ე“-ზე გაჩერება და სხვ. მაგალითად ვსთქვათ გალობით „მამა“ უნდა ითქვას და პირველი მარცვალი

ერთ ტაქტიანია (). ზოგიერთი იმერელი მგალობელი კი აგრე იგალობებს:  იმის მაგვირად, რომ იგალობოს  . ეს მიენერება, მეთქი, უცოდინარეობას. მაინც არ იქნება საზარალო, რომ ზოგიერთი მგალობელი ამ ნაკლულებანებს დააკვირდეს.

ზოგიერთაგან გამიგონია კიდეც, რომ იმერული გალობა სიმღერას გავსო, ეკკლესიას და ლოცვას მაგვარი გალობა არ შეშვენისო. ამის მთქმელი ნეტა შეადარებდეს რუსულს ობიხოდის გალობას რუსულსავე ახალს გალობას, რომელიც რომელიმე ოპერის ნაწყვეტს ჰგავს. მაშინაც იტყოდა: ოპერა ეკკლესიას არ შეშვენისო?

მაშასადამე, თუ იმერეთში საეკკლესიო გალობა ჯერ კიდეც არსებობს, რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს გალობა მერმისათვის მაინც არ გაგვიქრეს ხელიდგან? ჩვენ გვმართებს ორი საქმე, პირველი: ქართულს გალობას სამოქალაქო უფლება მიენიჭოს; მეორე: ქართული გალობა ნოტებზე უნდა გარდავიღოთ. ქართულის გალობის სამოქალაქო უფლება რაში მდგომარეობს ამას მაგალითით მოგახსენებთ: დაბა ხონში ამ უკანასკნელ დროს იყო ერთი მშვენიერი მგალობელი სიმონ ფირცხალავა. ეს კაცი იყო კუტი, იჯდა თავის სახლში და ამზადებდა მოსურნეებს მღვდლად, ამასთანავე გალობასაც ასწავლიდა, ვინც მოისურვებდა და განსკუთრებულ სასყიდელს მისცემდა. გალობის სწავლებას დიდი მეცადინეობა სჭირდებოდა. შესაფერ სასყიდელს მას ვერ აძლევ-

დნენ და ამგვარად ეს სასარგებლო კაცი თავს ვერ ირჩენდა. ამ დროს იმერეთის ეპისკოპოზად იყო განსვენებული გერმანე გოგოლაშვილი. ამ კაცმა თუ მისმა მოწინავემ, ეს კარგად არ ვიცი, კუტს მაგლობელს საეკლესიო ხაზინიდან დაუნიშნა სამი თუმანი ნელინადში, მინამ ცოცხალი იქნებოდა. ამ მაგლობელმა ბევრს ასწავლა გალობა, ბევრს დავინყებულნი გაახსენა, ახლაც ბევრია იმერეთში მისი ნასწავლი მღვდლები და მაგლობლები და სხვანი. მისს დროს ხონის სობოროში მწუხრზე და ცისკარზე წიგნი ორჯერაც არ წაიკითხებოდა – სულ გალობა ისმოდა. აგრეთვე ეძლეოდა სამი თუმანი გელათის სობოროში დიმიტრი კანდელაკს, რომელიც ახლაც ცოცხალია. გამოიცვალა გერმანე ეპისკოპოზი და მობრძანდა მისს ადგილზე მ. ყ. აწინდელი იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი. მისის მოსვლის შემდეგ მისს ქართულ მაგლობლებს, ცოტა არ იყვეს, ახვადათ პატივი, პირველი ადგილი რუსულმა მაგლობლებმა დაიჭირეს. ქართულ გალობას „უფალო შეგვიწყალებს“ მეტი თითქმის არაფერი ერგო! სადღაა ქართული გალობით ცისკრის ან მწუხრის ერთიანად გატარება! წაერთვა სამი თუმანი მოხუცს დიმიტრი კანდელაკს, რომელიც სხვაგან თუ არა გელათს მაინც არ მოაკლებდა ქართულს მაგლობლებს. ხონელ სიმონა კუტსაც (ასე ეძახდნენ) წაერთვა სამი თუმანი. სილარიბეში გარდაიცვალა ის კაცი, რომელიც სასულიერო სემინარიობას ასრულებდა იმერეთში... წართმევია თუ არ ქართულ გალობას სამოქალაქო უფლებები?! ერთი და ორი არ არის შემდეგი მაგალითები: ქუთაისის სობოროში ქართული მაგლობლები ორპირად გალობენ, როცა წირვა ქართულად სრულდება. ამ დროს საიდგანლაც გაჩნდება რუსული გალობით დაგვიანებული რელინტი და თვალს და ხელს შუა წაართმევს გალობას ქართულ მაგლობლებს. ქართული მაგლობლები იძულებული არიან ეკლესიიდან გარედ გაიპარონ და მახლობელ ეკლესიაში განაგრძონ თვიანთი გალობა...

მეორე საშუალება – გალობის ნოტებზე გადაღებაა. როგორც ზევით მოგახსენეთ ამ აზრის მისახწევრად საჭიროა განგებ აღზრდილი მოსურნე და ნიჭიერი ახალგაზრდები... საყველ–პუროთ ეს საქმე არ გაკეთდება... პირველი საშუალება – ფულია საჭირო. ამ მხრით მაგალითი მოგვცა მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. მივბაძით მას!..

ლ. ივერიელი
19 აგვისტოს 1878 წ.

^{*)} ამბობენ რომ ეს მაგლობელი თურმე აგრე ხუმრობს: „ხუთ მანეთს ვინც მომცემს, ჩემს გალობას ახლავე მივწყვიდი“.

19. დროება, 1878, 3 ოქტომბერი, №199, გვ. 3

მონოდება

მონოდება სამღვდლო და საერო პირთა საქართველოს ეპარხიისათა კეთილნებობით შეწირულობისადმი აღსადგენელად ქართულის საეკლესიო გალობისა.

ძმანო და მამანო!

ყოველი ვუწყით, რომელ კარგი განწყობილი ეკლესიური გალობა, დროსა ღვთის მსახურებისა, აღძრავს გულთა შინა ჩვენთა უმაღლესსა გრძნობასა ჩვენსა უზენაესისადმი, სადაცა მას დაუცხრომელითა ხმითა უგალობენ გუნდნი ზეცისა ძალთანი და სადაც არს საუკუნო სამკვიდრებელი ჩვენი.

რათა გული და გონება მლოცველისა ეკკლესიასა შინა არა განბნეულ იქმნენ სოფლისა ამაოებთა და მით რათა არა მოკლებულ იქმნას კაცი მადლსა ღვთისასა, წმინდათა მათთა პირველთავე საუკუნეთა შინა დაანესეს ლმობიერი, სულისა და გულისა დამატკობელი გალობა, რომელთაც იცოდენ ძალა სიტყვისა ამის, თქმულისა წმინდისა წინასწარ-მეტყველისა დავითისა:

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმანც იცის გალობა შენი უფალო!“

რასაკვირველია, სულთა განმამტკიცებელი ესე გალობა დანესდა ძველადვე ეკკლესიასაცა შინა ჩვენსა. გარნა იმა დროთა განმავლობათ შინა, სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო, დაცემულ იქმნა, და თითქმის დაკარგული შემდგომ სიკვდილისა ჩვენთა მგალობელთა: დიდისა გერონტისი, პატარა გერონტისა, არხიმანდრიტთა: სოფრონ (ერისთავისა), თეოდოსე (ხელაშვილისა), თ. ნიკოლოზ ციციშვილისა, გიორგი თაზიშვილისა, პეტრე კარბელოვისა, დიდისა საბასი და საბა ჟღენტისა, მღვდელთ: სიმონ და ზოტიკე ინაევთა, (ესე ოთხნი პირნი იყვნენ ხორასა შინა ბოდბის მიტრაპოლიტის იოანესსა), და სხვათა. მცირედი ნაბერწკალი გალობის ცოდნისა დაშთა შვილსა ერთისა ზემო აღნიშნულთა მგალობელთაგანისა, სახელდობრ: პეტრე კარბელოვსა, მღვდელს გრიგოლ კარბელოვს.

ვიგრძნე რა ესრეთი დკარგვა ძვირფასის ქართულის გალობისა, დროსა წინამძღვრობისა ჩემისა ხირსის მონასტერისა და ბოდბის წმინდის ნინოს სობოროსა 1862 წელსა, მოვიწვიე სიღნაღის უეზდის ბლალორჩინები: დეკანოზი იოელ ნაცვალოვი, მღვდელი იოელ ხატიევი და გრიგორ ღამბაროვი და მათთან მოვილაპარაკე ამ საგანზედ, რომელთაც გამოაცხადეს მხურვალე გულსმოდგინება აღსადგენელად რაოდენათაც შესაძლებელ იქნებოდა, ქართულის გალობისა.

ამა განზრახვით მათ მოიწვიეს თვისნი ქვეშევრდომნი, სამღვდლო და საეკკლესიო მსახურნი, და შეადგინეს შენირულება ფულითა, რაიცა უნდა მისცემოდა ჯამაგირად გალობის მასწავლენელსა, რომელზედაც დანიშნული იქმნა ზემო აღნიშნული მღვდელი გრიგორ კარბელოვი, რომელიც სანოვაგით და სახლით დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო საკუთრად ჩემ მიერ.

ამაზედ განაჩენი წარუდგინეთ ყოვლის საქართველოს ეგზარხოხს მაღალყოვლადუსამღვდელოესს ევსევის, რომელმანცა დაამტკიცა იგი.

ესრეთ, ბოდბის წმინდის ნინოს სობოროში დაიწყო სწავლება გალობისა მღვდელმა გრიგორ კარბელოვმა, რომელთანაც ყველა საბლალორჩინოდგან მოვიდნენ რიგ-რიგით რაოდენსამე თვეობით პრიჩეტნიკები და სწავლობდნენ გალობასა. ორის წლის განმავლობაში სიღნაღის უეზდის პრიჩეტნიკთ ისწავლეს წესიერათ წირვის, მწუხრის და ცისკრის გალობა და ზოგთ სხვადასხვა სძლისპირები და ტროპარებიცა.

შემდეგ მღვდელი კარბელოვი მეცადინეობითა ბლალორჩინის დეკანოზის გრიგოლ პავლიევისათა და სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ვიქტორინის გადმოყვანილ იქმნა ტფილისში და განწესებულ გალობის მასწავლებლად ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაცა დაჰყო მან ვიდრე ორს წლამდე. აქაცა ზოგიერთა ისწავლეს გალობა, გარნა როგორც ვხედავთ ეხლა, გალობა ესე დროიდგან დრომდე კვალად იკარგება და ყოველი ხარჯი და შრომა ამაოდ რჩება. ხოლო მიზეზი ამისა არის ისა, რომ ჩვენ გალობას არა აქვს ნოტები; სწავლობენ გაგონებით და დროთა განმავლობასა შინა, კვალად ივინყებენ, ანუ შემდომ სიკვდილისა მცოდნეთა პირთა იკარგება იგი.

ესრეთმა გარემოებამ ჩვენ მოგვცა ჰაზრი რომ საფუძვლიანათ, აღვადგინოთ ჩვენი ეკკლესიური გალობა, რაიცა აღსრულდება მაშინ, ოდეს მოვიწვევთ ყოველ ადგილით კარგათ მცოდნეთა პირთა, და მათის ურთიერთარს შეთანხმებით და აღრჩევით შევადგინთ ნოტებზედ გალობას.

ესრეთი ჰაზრი დიდის თანხმობით მიიღო მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, და მის სისრულეში მოსაყვანად თავის მხრით შესწირა ორმოც-დაათი თუმანი ტფილისის სემინარიის გამგეობასა.

ამ საფუძველზედ სემინარიის გამგეობამ შეადგინა განაჩენი, რომელიც დაამტკიცა ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსად მყოფმა ევსევიმ. ამა განაჩენისაებრ შესდგა კომისია ხუთთა სამღვდელოთა პირთაგან, რომლისა თავმჯდომარედ ვარ დანიშნული მე.

კომისია ესე შეუდგა თავის მოქმედებას და მოიწვია ტფილისის მართლმადიდებელთ ეკ-კლესიის (კრებულნი) სამღვდელო პირნი და სთხოვა მათ შემწეობის მიცემა ამ საქმისათვის და მათცა შესწირეს ყოველ თვეობით, რომელიც შესდგება თვეში ხუთს თუმნამდე. რასაკვირველია, შეწირულობა ესე არის ძალიან ცოტა, დასაკმაყოფილებლად ყოველთა მოთხოვნილებათა ამა საგნისათვის, ესე იგი, რომ შესდგნენ ნოტები და ნოტებით გაიმართოს ზალა გალობისა სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელთა შინა.

ამისთვის მივმართავთ ყოველთა ქართველთა, ეკკლესიის სამღვდელოთა და საერთა პირთა და ვსთხოვთ უმდაბლესად, რათა მოგვცენ ამ საგნის სისრულეში მოყვანისათვის, შეძლებისამებრ, ფულით შემწეობა ერთ დროებით ანუ თვეობით, და თვისნი შეწირულობანი წარმოგზავნონ ტფილისში ჩემს სახელზედ, ანუ „დროებისა“, გინა „ივერიის“ რედაქციებისა.

წამოგზავნილი ფული შეტანილ იქნება, დროებით დასაცველად, ბანკში. ხოლო შემწირველთა სახელები გამოცხადებულ იქმნებიან გაზეთებში, ისიც, თუ რა საგანზედ იქმნება მოხმარებული შემონირულნი ფულნი.

არხიმანდრიტი მაკარი

20. ივერია, 1878, 5 ოქტომბერი, №39, გვ. 5-7

ქართული საეკლესიო გალობა

ჯვართამაღლების დღეს, 14 ენკენისთვეს სიონში ქართული წირვა და გალობა იყო. ამ იშვიათმა ამბავმა საკმაოდ ხალხი მიიზიდა ეკკლესიაში. ხალხი დიდის მოწინებით და რალაცა აღტაცების მსგავსის მხურვალეობით ისმენდა წირვასა, გალობის დასრულებამდე. ან რა გასაკვირველია. დიდი ხანია, რომ დღესასწაულს, უქმე დღეს ასე გაშინჯეთ, მეფე დავით აღმაშენებლის და წმინდა ნინოს დღესასწაულის დღეებშიაც კი სიონში ქართული წირვა აღარ არის. ამას გარდა ქალაქში, საქართველოს სატახტო ქალაქში, რამდენსამე მართლმადიდებელთ ეკკლესიებში რუსული გალობა და მგალობლების დასი გაიმართა; სომხები, თავიანთ ეკკლესიაში, ასე გაშინჯეთ, ევროპიის კომპოზიტორების შეწყობილ წირვას გალობენ, ქალაქის პატარა ბიჭები (ფრანგის შკოლის შეგირდები) და ქართული გალობა კი გაქრა, ის ქართული გალობა, რომელიც ხალხის კილოზე შემუშავდა და ათასის წლის განმავლობაში საქართველოს ტაძრებში, მონასტრებში და მეჯლისებშიაც კი გაისმოდა. საქართველოში ქართული გალობა თითქმის დავინწყებულ იქმნა! საკვირველათ არ უნდა მიგვანდეს ის გარემოება, რომ ქალაქის ხალხი სიყვარულით და სიხარულით შეიკრიბა ეკკლესიაში თავისის საკუთარის გალობის მოსასმენლათა.

ამ გალობის თაობაზე საკმაოდ ლაპარაკი აღიძრა წრეულს ქართულს მწერლობაში. „დროებაში“ და „ივერიაში“ საკმაოდ ლაპარაკი იყო მას შემდეგ, რაც ფრიად პატივცემულმა

ჩვენმა მწყემსთ-მთავარმა, ყოვლადუსამღვდელოესმა ალექსანდრემ ორმოცდაათი თუმანი დანიშნა ქართულის გალობის ნოტების დაწერისათვის. ასე იცის კეთილმა საქემმ ნაყოფის გამოღება. ბევრი რამ ითქვა და სხვათა შორის, გალობა როგორ დაწერილ იქმნას, რა კილოზე და სხვა... ბოლოს ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრეს თაოსნობით და არხიმანდრიტის მაკარის შემწეობით სიონში ეს გალობა დაინიშნა და ამისათვის გურიიდან დაბარებული იქმნა მაგალობელი.

გალობა სიონში ორის დასისა იყო: მარცხნივ (ჩრდილოეთით) სადაც მუდამ მაგალობლები დგანან, მალღობ ტახტზე იდგა ერთი გუნდი ქართლ-კახეთის კილოთი მაგალობლებისა. მარჯვნივ (სამხრეთით) იდგა, დაბლა, მეორე გუნდი გურულებისა, რომელიც იმერეთ-გურიის კილოთი გალობდა. ქართლ-კახეთის დასში ხუთი თუ ექვსი კაცი იყო და იმერეთის დასში სამი თუ ოთხი: სამწირველოში გალობის დროს ამ მეორე დასიდან უნდა გასულიყვნენ. ამ გარემოების მიზეზით ძნელი შესადარებელი იყო ამ ორთა დასის გალობა. მიზეზი, როგორც ვთქვით, იყო მეტ-ნაკლებობა, ერთი, და მალღა და დაბლა დგომა – მეორე. კიდევ იყო მესამეცა – ისა, რომ ქართლ-კახეთის მაგალობლები სულ ყმანვილი კაცები იყვნენ (იმათში ორი კარბელაშვილი) და გურულებში უფრო ხნიანნი და ერთი მოხუცებული მღვდელი.

პირველი ხმა (დაძახილი) უფრო მაღალი იყო მეორე გუნდისაზე, მეორე ხმა (მოძახილი) აგრეთვე მაღალი და ბოხი, ვიდრე მეორე გუნდისა და ბანი პირველს გუნდს უფრო მეტი ჰქონდა. მეორე გუნდში ბანი ძლივს ისმოდა ხმის სისუსტისა და მაგალობლების ნაკლებობისა გამო.

ორსავე დასს ეტყობოდა, ცდილობდნენ, რომ გალობა კარგა შეწყობით გამოსულიყო, მაგრამ სჩანდა, რომ წინათ მომზადება, რეპეტიციები არა ჰქონოდათ. დაწმუნებული ვართ, რომ წინათ გამართული ოთხიოდე რეპეტიცია მათს გალობას ერთი-ორად უფრო მშვენივრად გამოიყვანდა.

გადავიდეთ თვით გალობის კილოს განხილვაზე.

ორსავე (ქართლ-კახეთისა და იმერეთ-გურიის) გალობის ძირითადი ხმები (მოტივები) ერთი და იგივეა. მაგრამ ხმის ამალღება და დადაბლება, დაკლაკნა და გადასვლა, ორსავე გალობას შესამჩნევად ერთმანეთისაგანა ჰყოფს და ერთმანეთში ასხვაფერებს. ქართლ-კახეთის გალობა სრულის გაღებულის პირით იგალობება; იმერეთ-გურული კი ღიღინით, გუგუნით ცოტათი ცხვირში, და ამასთანავე ხმის რეკით, თითქოს დიდ-პარასკევის ზარები რეკდესო.

ხმის შეწყობითა და ჰარმონიით განსხვავება ცხადია: ქართლ-კახეთის გალობა წარმოგიდგენსთ აღმტაცს, ამამალღებელს, სასიხარულოს და სადღესასწაულო ღალადებას; იმერეთ-გურული გალობა კი ღრმას, უსამზღვროს, საიდუმლოს, შორეულს, დამდაბლებულს, მონინებულს გრძნობას. იმერეთ-გურულს გალობაზე ამბობდნენ, „იაია“ ძალიან ბევრიაო. იმას კი ყურადღებას არ აქცევენ, რა ხმები არის ამ „იაიას“ გალობაში: ეს მთელი ზღვაა ხმებისა, რომელშიაც, როგორც ზვირთი ძლიერი იბადება და ბოლოს ინთქმის თვალგაუნვდენელს ზღვაშია, ისე გრძნობის ზვირთები ერთმანეთსა სდევენ, მიდიან და მიაქვთ კაცის გონება სადღაცა უსამზღვრო საიდუმლოებაში. თავდება ამ დასის ხმები და მოისმის ქართლ-კახეთის დასის გალობა. წინა ხმებით საღმთო სიღრმეში ჩანთქმული კაცის ოცნება გამოჰყავს სამხიარულო სადღესასწაულო და გამარჯვებულს ღალადებას, თითქოს ფრთა შეასხა და ძღვეამოსილ დიდებაში შეიყვანაო.

აი რა დიდი განსხვავებაა ამ ორს გალობაში. მე ეს შთაბეჭდილება მივიღე. ბევრისაგან გავიგონეთ, რომ გურული გალობა სჯობსო, უფრო მომატებულისაგან – ქართლ-კახეთისაო. მაგრამ განსხვავებას ყველანი ხედავდნენ. მარტო „დროებამ“ ვერ დაინახა. მაშასადამე, ნოტები ორსავე კილოს გალობისა უნდა დაინეროს უეჭველად და უეჭველად.

მაგრამ აქ ფიქრში ეს აზრები მომდის: 1) რომელ მაგალობლების გალობით უნდა დაინეროს. 2) ვინ უნდა დასწეროს, და რა ნოტებით დაინეროს.

პირველად ძალიან საჭიროა კარგი გამოკითხვა ყველგან, თუ ეკლესიებში, მღვდლებში, აგრეთვე მონასტრის ბერებში, ამას გარდა ერისკაცებში, ბევრნი არიან იმერეთს, გურიას, სამეგრელოს და რაჭას ერისკაცნი ეკლესიის გალობის მცოდნენი. ქართლ-კახეთში ერისკაცებში ძალიან ცოტა მცოდნენი მოიპოვებინ, მაგრამ გამოკითხვა აქაც საჭიროა. ამგვარად, გამოკითხვის შემდეგ არჩეული მაგალობლები უნდა მოწვეულ იქმნენ და მათ ორი ზემოხსენებული დასი შეადგინონ მაგალობლებისა. წინათ მოამზადონ რეპეტიციებით საგალობელი და კარგა შეწყობის შემდეგ დაანერინონ. რასაკვირველია ამ კაცების ქალაქში მოწვევას და ცხოვრებას ხარჯი უნდა. ამაზე ქვემოთ მოვიხსენებთ.

მეორე ამოსარჩევი საგანი, ნოტების დაწერა და დამწერია. ნოტების დაწერა ისეთი ადვილი რამ არ არის, როგორც ჩვენებურს რეგენტებსა ჰგონიათ; ნოტის წერისათვის დიდი და ვრცელი მუზიკალური შკოლის ცოდნაა საჭირო. არიან ერთგვარნი მაგალობელნი, ანუ მუზიკის მცოდნენი, რომ ნოტებსა სწერენ, თვითონა გალობენ და ასე გაშინჯეთ, ვითომ სხვებსაც ამ ნოტებით ასწავლიან, მაგრამ დიდი შეცდომაა. გვინახავს ამგვარად ევროპიელის ნაწერი ნოტები, რომელიც მეორეს მცოდნეს ვერ გაურჩევია, ან გალობისათვის და ან დაკვრისათვის. თუ კი ევროპიულს დამკვრელებში და მომღერლებში არიან ამასთან თავის იმედის მქონენი, ჩვენში ხომ უფრო იქნებიან. ამის გამო საჭიროა კარგი მცოდნე მუზიკისა და ნოტების წერისა, რომელსაც მართლა ნამდვილი სწავლა მიუღია. ჩვენს საქართველოს შვილებში ვიცნობთ მუზიკის მცოდნეს უფ. ხარლამპი სავანელს. ქალაქის თეატრის ორკესტრშიაც მოიპოვებინ ორიოდ მცოდნე კაცი. ამათი მოწვევა უეჭველად საჭირო იქნება. არა თუ შესწორება, ან ნაკლულევანების ჩვენება, ანუ სხვებისაგან დაწერილის ნოტების გაშინჯვა უნდა მიენდოთ იმათა, არამედ პირდაპირ წერა იმათ უნდა დაეკისრებინათ.

მცოდნე კაცების მოწვევა საჭიროა არა მარტო ამ გარემოების გამო, რომ ნოტების წერა საზოგადოთ ძნელია; სხვა გარემოებაც მოითხოვს. ვისაც მუზიკისა და გალობისათვის ყური მიუჩვევია, ის ადვილად განარჩევს ევროპიულს მუზიკას, გალობას, ჩვენის ქართულისაგან. ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისა და მუზიკისათვის არის შემოღებული. ქართულს საკრავში, გალობაში ანუ სიმღერაში ისეთი ხმებია, რომლისთვისაც ევროპიული ნოტები არ არის. სწორედ ამ გვარად, როგორც ქართული ასო ყ და ქ არც ერთს ევროპიულს ანბანში არ არის. ამ ცალკე ასოებს გარდა ხმების შეწყობას, შეთანხმებასაც განსხვავებული კანონი აქვს ქართულსა ევროპიულისაგან.

ახლა ვიკითხოთ ამისთანა სიძნელის მორევა ვის შეუძლია, თუ არ კარგს ნასწავლს მცოდნესა და დახელოვნებულსა. ცხადია, რომ უბრალო რეგენტები ვერას ღონისძიებით ქართულის ნოტების წერას ვერ შეიძლებენ, ამაზე დახარჯული ფული ამაოდ ჩაივლის და ისევე უნოტებოთ დავრჩებით.

ამ საგანზე ასე ბეჯითად ლაპარაკი ამიტომ გავაგრძელებთ, რომ რამდენჯერმე სხვადასხვა დროს ლაპარაკი იყო: ეს ამან დასწერა ნოტებით, ეს იმანაო, და ყველაზე საინტერესო კი იყო, ის ნაწერი ნოტები გამოდგა თუ არა? დააკვრევენ ან აგალობეს იმისთანა კაცსა, ვისაც ქართული გალობა გაუგონია და არც ქართული ენა იცის, თუ არა? მაგალითად, რომელიმე იტალიელი აქაურის თეატრის ორკესტრიდამ მიუწვევიათ თუ არა იმის დამწერებსა, რომ ან ეგალობებინათ, ან დაეკვრევენებინათ?

ჩვენის აზრით თვით გალობის გაშინჯვა და ნოტების დაწერის თადარიგის დაწყებამდე, მუზიკის კარგი მცოდნე კაცების მოწვევა არის საჭირო. ჩვენ არ ვიცით მოუწვევიათ ვინმე თუ არა, მხოლოდ სასურველი კი არის, რომ ამ საქმეში უფალი სავანელი დაესწრას. უფალი სავანელი მუზიკისათვის ქალაქში პატივსაცემი მოღვაწეა და სამუზიკო შკოლისათვის სინდისიერათა შრომობს. ამასთანავე, რამდენათაც ვიცით, მონადინებულია ქართული სახალხო მოტივები ნოტებით დასწეროს და, როგორც იმისის ბეჯითობისაგან ვიცით, დასწერს კიდე-

ცა. თვითონ ქართველი კაცია და, რასაკვირველია, ქართულს გალობასაც გულს დაუდებს.

რაც ზემოდ მოვიხსენეთ, ამაზე ბოლოს იქნება გვითხრან: ეგ ყველა კეთილიო, მაგრამ ყველას ხარჯი მოუნდებაო და აბა, ღონისძიება სად არისო. ეს, რასაკვირველია, საფიქრებელია, მაგრამ მგონია ამისი მოპოვებაც ადვილად შეიძლება; ამ ღონისძიებისათვის პირველი მაგალითი მოგვცა ყოვლადუსამღვდელოესმა ალექსანდრემ ორმოცდაათის თუმნის შეწირვითა. ახლა საჭიროა ამ მაგალითს მივბაძოთ და შეძლებისადაგვარად შევსწიროთ ამავე საგნისათვის. ამისათვის ერის-კაცებში ხელისმონერა რომ გაიმართოს, კარგი იქნება. და ამისათვის ჩვენს თხოვნას გამოვუცხადებთ ყოვლადუსამღვდელოესს ალექსანდრეს, რომ მან იკისროს ეს საქმე. მოიმედენი ვართ, რომ სხვანი უსამღვდელოესნიც – იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ.

ამ ხელისმონერით ერთი ასიოდე თუმანი კიდევ როგორ არ შეიკრიბება, რომ ქართული გალობის საქმე თავს მოვიდეს?

პ. უ. [პეტრე უმიკაშვილი]

21. დროება, 1878, 7 ოქტომბერი, №203, გვ. 2

(„დღიური“-ს განყ.)

ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ, უფ. მ. მაჭავარიანის თაოსნობით, შეადგინეს ზოგიერთ ქართული სიმღერების ნოტები და ეს ნოტები ახლა იბეჭდებაო.

ჩვენ შეგვიძლია ვაცნობოთ ახლა მკითხველს, რომ ეს ნოტები (პირველი ნოტები ქართულს ენაზე) უკვე დაიბეჭდა და ისყიდება კიდევ; სახელად ჰქვიან „სამშობლო ხმები“. როგორც ნათქვამი იყო, სულ 20 სიმღერა არის ნოტებზე გადაღებული.

საუბედუროთ, მუზიკაში ცოტა არ იყოს კოჭლად გახლავართ, და ამის გამო ვერაფერს ვიტყვით იმაზე – თუ როგორ შეუსრულებიათ ეს საქმე იმათ, ვინც იკისრებს; მცოდნე კაცებმა კი გვითხრეს, რომ ნოტებში ზოგიერთი მუზიკალური შეცდომები არისო.

რაიცა შეეხება გარეგან მხარეს გამოცემისას, არა უშავს რა, თუმცა ზოგიერთი სასიმღერო ლექსები გაფუჭებულია; ზოგი ასოები ყირაზე დგანან და ფურცლებიც არეულია.

მაგრამ რაც უნდა იყოს, გამომცემელს (უფ. გ. ჩარკვიანს) დიდი მადლობა ეძღვნის ამ პირველი ნოტების გამოცემისათვის. ეს ამის პირველი ცდაა და შეცდომები მიეტყვება.

22. დროება, 1878, 19 ოქტომბერი, №211 გვ. 2

გუშინინ, კვირას, სიონში კიდევ იყო „გამოსაცდელი“ გალობა გურულებისა; გუშინ, სამშაბათსაც, კიდევ ამგვარივე „გამოსაცდელი“ გალობა იყო დანიშნული გურულებისა და კარბელოვისა.

კმარა ამდენი გამოცდა და ცდა ეკკლესიაში. ჩვენის ჰაზრით, ყველა ის ემჯობინება,

რომ ორივე მგალობლები ჯერ კერძო სახლში მიიწვიონ სადმე, სადმე მოიპატიჟონ რამდენიმე მცოდნე კაცი, ამ ნაირად გამოსცადონ და როდესაც ერთის რომლისამეს უმჯობესობაში დარწმუნდებიან, ის მიიღონ და იმ წესითაც შეადგინონ საეკლესიო გალობის ნოტები; თორემ ეკლესია გამოსაცდელ ალაგად არ გამოდგება.

23. დროება, 1878, 29 ოქტომბერი, №212, გვ. 2-3

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

„დროების“ №211-ის, დღიურში, დაბეჭდილია:

„კმარა ამდენი გამოცდა და ცდა ეკლესიაში მგალობლებისა. ჩვენის ჰაზრით, ყველას ის ემჯობინებოდა, რომ ორივე მგალობლები ჯერ სახლში მიიწვიონ სადმე, მოიპატიჟონ რამდენიმე მცოდნე კაცი და ამ ნაირად გამოსცადონ“.

დიდად სასიამოვნო არის ჩემთვის ეს ჰაზრი და თანახმად ამისა ვთხოვ ყველა მცოდნე პირთ ქართულის გალობისა, რომ მობრძანდნენ მომავალს კვირას 22-ს, 12-ს საათზედ, ჩემს სახლში ანჩხატის სობოროსთან, როგორც მგალობლები საგალობლად, აგრეთვე მსმენელნიც.

გარდა ამისა მე საჭიროდ ვრაცხ გამოცდას უფრო მწუხრის და ცისკრის როგორც გალობაში, აგრეთვე წესებშიაც (ტიბიკონში); ამისთვისაც დანიშნულს დროს წინა საღამოს 4-ს საათზედ, ე. ი. მომავალს შაბათს გთხოვთ მობრძანდეთ ანჩხატის სობოროში საგალობლად თუ მოსასმენლად, სადაც ღამის-თევის ლოცვა გადაიხდება.

არხიმანდრიტი მაკარი

24. დროება, 1878, 29 ოქტომბერი, №220, გვ. 1

(„დღიური“-ს განყ.)

გურიიდან მოწვეულმა ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებელმა თავ. მელქისედეგ ნაკაშიძემ და მისთა თანაშემწ. უუ. ნ. კონტრიძემ და ი. ხავთასიმ იწყეს სწავლება გალობისა ამ თვის 24-დგან; ამისთვის ვაცხადებთ იარონ მსურველთ გალობის გაკვეთილებზედ ანჩხატის სობოროსთან სინოდის კანტორის სახლებში, საღამოს ხუთიდან რვაამდე.

მასწავლებელნი მოვალენი არიან ასწავლონ სასულიეროს წოდების პირთ უფასოთ, რომლისთვისაც იღებენ დანიშნულს ჯამაგირს. ხოლო გარეშე პირნი (საერონი) შეურიგდებიან ფასით, ვიდრე სხვა განკარგულებამდე.

არხიმანდრიტი მაკარი

კიდევ ქართულს გალობაზე

მის შემდეგ, რაც ყოვლადსამღვდელომ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ხუთასი მანეთი შესწირა ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღების სასარგებლოდ, მის შემდეგ მეთქი, გახშირდა ლაპარაკი „ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღებაზე“. ამისათვის ჩვენ თამამად ვიტყვი, რომ ქართულის გალობის აღდგენის თაოსნობა მის ყოვლადსამღვდელოებსობას ალექსანდრეს ეკუთვნის გარდა „დროებისა,“ „ივერიაში“ ხსენებულს საგანზე დაიბეჭდა ოთხი წერილი: უფ. ქართველისა №8-ში, უფ. არაგველისა №17, უფ. ივერიელისა №38 და უფ. პ. უ. №39. საჭიროდ არა ვრაცხ ამ წერილში მოვიყვანო თითოეულის აზრი ხსენებულს საგანზე, რადგანაც, იმედი მაქვს, „ივერიის“ მკითხველს ეხსომება თვითოეულის მათგანის შეხედულობა გალობაზე და მის ნოტებზე გადაღებაზე, მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ რადგანაც უფ. პ. უ. წერილში („ივერია“ №39), ჩვენის აზრით, ზოგიერთი შემცდარი შეხედულობა დავინახეთ მუზიკაზე და ნოტების ანბანზე, არ შეგვიძლიან იგინი უყურადღებოდ და შეუნიშვნელად დავსტოვოთ. უფ. პ. უ.-ს წერილი უკანასკნელია ხსენებულს საგანზე (ე. ი. სხვა წერილთა შორის უახლესია). უფ. პ. უ.-ს შეუდარებია ქართლ-კახეთის გალობა იმერულ-გურულს გალობასთან და შეუნიშნავს, რომ „ძირითადი ხმები (კილო?) ერთი და იგივეა ორსავე გალობაში, მაგრამ ხმის ამალღება და დადაბლება, დაკლაკენა და გადასვლა, ორსავე გალობას შესამჩნევად ერთმანეთისაგანა ჰყოფს და ერთმანეთში ასხვაფერებს“. როგორცა ჰხედავთ, უფ. პ. უ.-ს შეუმჩნევია – „ძირითადი ხმები (კილო) ორსავე გალობაში ერთი და იგივეა“ და შემდეგ კი ამბობს: „ნოტები ორსავე კილოს გალობისა (რა არის კილოს გალობა? – არ მესმის!!) უნდა დაინეროსო უეჭველად და უეჭველადო. ამ აზრში ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს. თუ ძირითადი ხმები ერთი და იგივეა ორსავე გალობაში, ნუთუ არ შეიძლება ხმის სხვადასხვა ამალღება და დადაბლება ორსავე გალობაში შეთანხმდეს და დარჩეს ძველი, ძირითადი, ნამდვილი კილო ქართულის გალობისა? ჩვენის აზრით – შეიძლება. შეიძლება მით უმეტეს, რომ მ. გ. კარბელოვის გალობა, როგორც თვითონ მ. კარბელოვი ამბობს, გურიიდგან არის გადმოტანილი და, როგორც უფ. ივერიელი ამბობს, თუ მართალია, იმერეთ-გურულს ძველს მგალობლებს „აი“ „უი“ არ ემჩნევათ და იგინი არიან მიმატებულნი მხოლოდ ახალის მგალობლებისაგან, ვითომ გასამშვენებლად, – ცხადია, რომ მ. კარბელოვის გალობა და „ძველი“ გურულის მგალობლებისა ძრიელ მიმსაგვსებულნი იქნებიან ერთმანეთთან. ამისათვის, ვამბობთ ჩვენ, სრულებით არ არის საჭირო ორსავე გალობის გადაღება ნოტებზე. ერთი სიტყვით, უნდა გადაიღოს ნოტებზე მხოლოდ ერთი კილო გალობისა, ის კილო, რომელიც არის ნამდვილი ძირითადი ქართული კილო, რომელიც, ვგონებთ ჩვენ, ჯერ არ დაკარგულა. წინააღმდეგ ამისა, ორის გალობის ნოტები კი არ უნდა დაინეროს მხოლოდ, უნდა დაინეროს ბევრის, რადგანაც საქართველოში მხოლოდ ორს კილოზედ არა გალობენ. ჯერ ქართლ-კახეთში ოთხი-ხუთი კილოა. მითუმეტეს საჭიროა მხოლოდ ერთს კილოზედ გალობა, რომ, თუ ვინც იცის გალობის პედაგოგიური მნიშვნელობა, იგი ულბილებს და უკეთილშობილებს ხასიათს ხალხსა, იგი აკავშირებს ერთმანეთთან ხალხსა. ერთის მხრით, საზოგადო გალობით შეიძლება შეკავშირება იმ ჩვენის ხალხის სხვადასხვა ნაწილებისა, რომელნიც ამ ჟამად განშორებულნი არიან „ხასიათით“.

უფ. პ. უ. შეუდგება იმ კითხვის განმარტებას, თუ „რომელის მგალობლების გალობით და რა ნოტებით უნდა დაინეროს ქართული გალობა.“ ავტორის აზრით „ქართულს საკრავებში და სიმღერაში ისეთი ხმებია, რომლისათვისაც ევროპიელი ნოტები არ არის (საკმაო?),

სწორედ ამ გვარად, როგორც ქართული ასო ყ და ქ არც ერთს ევროპიელს ანბანში არ არის.“ ამის პასუხი მოკლეა: თუ ქართულის სიმღერების ხმებისათვის ევროპიულნი ნოტები საკმაო-ონი არ არიან, მაშ უფ. მ. მაჭავარიანმა როგორ გადილო ქართული სიმღერები იმ ნოტებზე, რომელთაც თქვენა სცოტაობთ ქართულის სიმღერების გადასაღებად? ნუთუ უფ. მაჭავარიანმა „ქართული ნოტებიც“ მოიგონა? გარდა ამისა უფ. პ. უ. ამბობს „ვისაც მუზიკისა და გალობისათვის თვალ-ყური მიუჩვევია, ის ადვილად განარჩევს ევროპიულს მუზიკას, გალობას, ჩვენის ქართულისაგან“. მართალია, მაგრამ რა გამოდის აქედგან? განა თვით ევროპის თვითოეული ხალხის მუზიკა და გალობა კი არ განირჩევიან ერთმანეთიდგან?

„ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისა და მუზიკისათვის არის შემოღებულიო“, ამბობს კიდევ პ. უ. ცხადია, რომ უფ. პ. უ. ვერაფრად სცოდნია გალობის ანუ სიმღერის კანონები, თორემ მოყვანილს აზრს იგი ისე გაბედვით და თამამად არ იტყოდა. თუ ევროპიული ნოტების ანბანი საკმაო არ არის გალობისათვის, მაშ სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვა კანონები ჰქონიათ ტონების ხმების გამოცვლაში, ხმის ამაღლებ-დადაბლებაში. ნუთუ უფ. პ. უ.-ს ჰგონია, რომ ასოს გამოთქმას და ხმის ამაღლებ-დადაბლებას ერთი და იგივე კანონი აქვს? არა. შეიძლება ფრანციელმა ვერ გამოსთქვას ქართული ასო ყ და ქ, მაგრამ იგი მშვენივრად იგალობებს (გალობის ნოტების მცოდნე) ქართულის სიმღერის კილოს, როგორც უნდა იყოს. ასობზე-ანბანზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა ხალხს თვისი საკუთარი ნოტის ანბანი და მუზიკის კანონები ექმნებოდა, რადგანაც ევროპაში ყველა ხალხს არც ერთნაირი (გამოთქმა)-ანბანი აქვს და არც ერთნაირი კილო მუზიკისა. პ. უ.-ის აზრიდგან ის დასკვნაც შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ რადგანაც ბერძნებს მხოლოდ 19 ასო აქვთ ანბანში, ნოტების ანბანიც მოკლე უნდა ჰქონდეთ. კილო აქვს და არა საკუთარი მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი. მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი ერთი და იგივეა ყველა ხალხებისათვის – ევროპიელთათვისაც და აზიელებისთვისაც, მუზიკის კანონები და ნოტების ანბანი ისეთნაირად არიან შედგენილნი, რომ რა ხასიათისაც უნდა იყვნენ გალობა და სიმღერა საკმაონი არიან იგინი (კანონები და ანბანი) ხმების გამოსახატავად. ამისათვის ევროპიულის ნოტების ანბანი და მუზიკის კანონები საკმაონი არიან ქართულის გალობის გადასაღებადაც; არც ახალის მუზიკის კანონები დაგვჭირდება ჩვენ, არც ახალის ნოტების ანბანი ქართულის გალობის გადაღებისათვის. ვიმეორებ: ევროპიულისა და ქართულის გალობის სხვადასხვაობა სრულიად არ ამტკიცებს, ვითომ მუზიკის კანონებიც განსხვავდებიან. მე ვეთანხმები უფ. პ. უ. იმ აზრზე, რომ გალობის გადამღებმა კარგად (სპეციალურად) უნდა იცოდეს მუზიკის კანონები, მაგრამ ჩვენის აზრით მხოლოდ მუზიკის კარგად ცოდნა საკმაო არ არის გალობის ნოტებზე გადაღებისათვის; გადამღებმა აგრეთვე კარგად უნდა იცოდეს ქართული გალობაც; წინააღმდეგ ამისა, ნამდვილად გადაღება ქართულის გალობისა ძნელია – თითქმის შეუძლებელიც. ამ უკანასკნელის აზრის დასმტკიცებლად ჩვენ წარმოვადგენთ სომხურის გალობის ნოტებზე გადაღებას ერთის იტალიელის მიერ, რომელმაც სომხურს გალობას თითქმის დაუკარგა ნაციონალური (ხალხური, მშობლიური) ხასიათი, იტალიანურის კილოს დამატებით. ამჟამად „გადამღებლად“ ვერავის ვაღიარებთ ჩვენში (ქართლ-კახეთში მაინც). „უფ. სავანელმა იცის კარგად მუზიკის კანონებიო“ – მართალია, მაგრამ თუ ამასთანვე უფ. სავანელმა თვით ქართული გალობაც არ იცის (ამისი რა მოგახსენოთ), არა გამოვა რა. ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ამ მიზნისათვის უნდა გაიგზავნოს ერთი თუ რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი კონსერვატორიაში (გალობის უმაღლესს სასწავლებელში), რომელმანც ქართული გალობა თუ ძალიან კარგად, სრულიად არა, – რამოდენადმე იცოდეს, რომ გადაღებაში ქართული ხალხური ხასიათი და კილო არ შესცვალოს. რამდენიმე ამ გვარი პირები შეიძლიან დავასახელო ქართლ-კახეთში მყოფთა შორის. ისეთი პირებიც მოიპოვებიან ჩვენში (ქართლ-კახეთში),

რომელთაც გვარიანად იციან ნოტებზე გალობა და რამდენადმე ქართული გალობაც. ყველა დამეთანხმება, რომ ამ უკანასკნელ ყმაწვილ კაცებს უფრო უნდა მიეცეთ უპირატესობა, რადგანაც იგინი უფრო ადვილად შეისწავლიან მუსიკის კანონებს და აგრეთვე თვით ქართულს გალობასაც, რადგანც მათ საკმაოდა აქვთ სმენა გალობისა გახსნილი. მაგალითად, მე შემიძლიან დაეფსახელო საზოგადოებას, ძმები კარბელოვები (მ. გ. კარბელოვის შვილები), რომელთაც ქართული გალობა კარგად, უკეთესად იციან, ნოტები კი, საუბედუროდ, არა, ძმები ცამციევეები, რომელთაც ნოტებზე გალობა გვარიანად იციან და ქართულიც რამდენადმე. უფროსი მათგანი, უფ. აპოლონ ცამციევი სამი წელიწადი იტალიანურის ოპერის გუნდშიაც გალობდა და, შემიძლიან თამამად ვსთქვა, ნოტებს კარგად კითხულობს. იგი ამ ჟამად იმყოფება ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად. მეორე ძმა, რომან ცამციევი თელავის სასულიერო სასწავლებელშია გალობის მასწავლებლად. ამ უკანასკნელმაც გვარიანდ იცის ნოტები და ქართული გალობაც მე მითხრეს, რომ უფ. რ. ც.-მა „რომელი ქერუბიმთა“ გადაიღო ნოტებზე და ეკკლესიაშიც აგალობებს თავის მოწაფეებსო. ქართული სიმღერებიც ჰქონია 30-მდის გადაღებული ნოტებზე და უფ. როჟნოვის „ნოტების ანბანი“ თ. ი. ჭავჭავაძისათვის გადაუცია 1877 წელში და ეხლაც იმას აქვს თურმე. თ. ი. ჭ. გაუშინჯვინებია და შესწორება დასჭირებია, მაგრამ უფ. რ. ც. შეუძლებლობისა გამო ვერ ჩასულა ქალაქში, რომ შეასწოროს იგინი (სიმღერები), თორემ აქამდინაც დაიბეჭდებოდა თურმე. თუ კი უფ. რ. ც.-ს მცირეს ცოდნით დაუნყვია შრომა ქართულის კილოების ნოტებზე გადაღებისათვის, ცხადია, რომ მას უნდა უყვარდეს მუზიკა და თვით ქართული კილოც. ამისათვის, ამ უკანასკნელს რომ გაგზავნიდეს საზოგადოება მუზიკის შესასწავლდ მოსკოვში, პეტერბურღში, ანუ ვარშავში, (მხოლოდ ამ ქალაქებში არსებობენ კონსერვატორიები), ძალიან კარგს იზამდა. მითუმეტეს, რომ თვითონ რ. ც.-ს ძრიელ სურს ქართულს გალობას და საზოგადოდ მუზიკას შესწიროს თვისი სიცოცხლე. იმედია, რომ ამ წერილს ყურადღებას მიაქცევს საზოგადოება. თუკი მხატვრობის შესასწავლად საზოგადოებამ რამდენიმე ახალგაზდა ქართველი გაგზავნა სამზღვარს გარეთ, ნუ თუ ქართულის მოტივების (კილოების) ნოტებზე გადაღება მხატვრობაზე ნაკლებად ყურადღების ღირსი და სასრგებლოა, რომ ერთი ახალგაზრდა ქართველი მაინც არ გაგზავნოს საზოგადოებამ თავის ხარჯით, თავისავე სასარგებლოდ?! დროა საქმეს შეეუდგეთ. აქამდინაც გვეყო მოცდა.

ქართულის გალობის მოყვარე [ნიკოლოზ მთვარელიძევილი]

26. ივერია, 1878, 9 ნომბერი, №44, გვ. 8

რამოდენიმე შენიშვნა ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის

„ივერიის“ 39-ე ნომერში დაბეჭდილი იყო (დანერის ორი კვირის შემდეგ) ჩემი სტატია, საეკკლესიო გალობაზე, რომელიც სიონის სობოროში მოვისმინე და ამ სტატიაში მოვისხენე რა არის საჭირო გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. ორი რამ მოვისხენეთ: 1) რომელ მგალობლების გალობა უნდა დაინეროს და მეორეზე ვთქვით, კარგმა ნასწავლმა უნდა დასწეროს მეთქი.

ეხლა 43-ე ნომერში სტატია ნავიკითხეთ „კიდევ ქართულს გალობაზე“ უფ. ქართული

გალობის მოყვარესი და გვიკვირს იმისი გაჭრელებული ლაპარაკის კილო. ჩვენა ვთქვით გურულ-იმერულის გალობაც უნდა დაინეროს და ქართლ-კახეთისაც, რადგანაც განსხვავებაა მათში. ცხადია, რომ კარგის შეტყობისათვის ყოველი განსხვავება უნდა იწერებოდეს. უფ. გალობის მოყვარე ამბობს, არაო; ყველა გალობისაგან ერთი უნდა შესდგესო და ერთი ნოტები დაინეროსო. საიდან შეიძლება შესდგეს ერთის, მართლა ნამდვილის (როგორც უწოდებს უფ. გალობის მოყვარე), თუ კი სხვადასხვა კილო არ იქნება ნოტებზე გადალებული? მაგრამ საქმე ის არის რომ ეს სულ ამაო ლაპარაკია. გამოცდით გამოჩნდა რომ ქართლ-კახეთში ნირვის მეტი არა სცოდნიათ რა და ქართული ყველა გალობის მცოდნენი მხოლოდ იმერეთ-გურიაში დარჩენილან. ქალაქში მგალობლების მოწვევისაგან ეს გამოჩნდა.

ამის შემდეგ გადადის უფ. მოყვარე იმ საგანზე, რა ნოტებით უნდა დინეროსო; ჩემ აზრს ასხვაფერებს, ვითომც მე მეთქვას, რომ ევროპიული ნოტები ჩვენთვის არ გამოდგებოდეს. ამაზე ვრცელ, გაზვიადებულ და გაჭიანურებულ ლაპარაკს შესდგომია და ვითომ ამტკიცებს, ევროპიული ნოტებით უნდა დაინეროსო. მე რომ ვთქვი, ნოტების ანბანი ევროპიულის ხმებისთვის არის დაწერილი მეთქი, ამით ის კი არ მინდოდა მეთქვა, რომ ქართულისთვის არ გამოდგება. არა, მე ისა ვთქვი, რომ ევროპიულ ნოტებში არ არის ისეთი ნიშნები, ასოები, რომელიც გამომხატველი იყოს ზოგიერთის ქართულის ტონებისა. ევროპიული ნოტები გამოდგება და უნდა ის ვინმართ, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი ტონები ქართულის გალობისა თუ სიმღერისა ნამდვილათ არ იქნება დარჩენილი ამ ნოტებში. ევროპიული ხალხები სხვა ტონებს არ ხმარობენ ნაკლებ ნახევარ ტონებისა: მხოლოდ იქაურ მთის ხალხების სიმღერაში ისმის მეოთხედის ტონები. თუ სიმღერით არ ისწავლის ვინმე, ნოტებით ვერ წიკითხავს იმ სიმღერასა, რადგან არ არის მეოთხედი ტონის აღმნიშვნელი ნოტები. ჩვენს ქართულ გალობაში და სიმღერაში ყველგან გავრცელებულია მეოთხედი ტონები. მეოთხედი ტონი რომელიც ნახევარ ტონით ან ტრელით უნდა გამოიხატებოდეს ნოტებითა, ამისთვის მუზიკის კარგი მცოდნე უნდა. აგრეთვე კარგი მცოდნე უნდა, რომ შეიტყოს საზოგადოთ ქართულის გალობის და სიმღერების ხმის შეწყობა, კილო რომელია: ძველი ბერძნული, ეხლანდელი ევროპიული, თუ სხვა რომელი? მართო რომ ვთქვათ ევროპიულიო, ეგ ძალიან მოკლე თქმაა და მაგაზე დამყარებით ქართულ გალობის წერა, ხეპრეული წერა იქმნება. აი უფ. გალობის მოყვარეს ესენი უნდა, სცოდნოდა, როდესაც ბერძნულ ანბანზე, და „ჭ“-ზე ლაპარაკობდა და ამბობდა მამ ამა და ამან ქართული გალობა როგორ გადაილო ნოტებზედა, თითქოს ერთის კაცის ნოტების დაწერა საბუთი იყოს. ყველაფრის დაწერა შეიძლება, სიტყვა ის არის, როგორ რა დასწერა.

ამაზე ლაპარაკის გავრცელება არა ღირდა. ჩვენ მართო ის გვინდოდა რომ გალობის წერის დროს ძალიან მხედველობაში მიეღოთ მუზიკის კარგი მცოდნეს მოპოება. ამას ყურადღება იმიტომ მივაქციეთ, რომ ჩვენში ბევრნი არიან კილოკავად ნოტების მცოდნენი და ეს ცოდნა საკმაოდ ჰგონიათ გალობის ნოტებზე გადალებისათვის. გვეფიქრებოდა ყოვლად უსამღველოესის ალექსანდრეს ფული უქმად არ დაკარგულიყო ამისთანა წერაში; გვსურდა უკანასკნელი ღონისძიება ნოტებზე გალობის გადალებისათვის ისე მოხმარებულიყო, რა დანიშნულებაცა აქვს.

კარგი ცოდნა მუზიკისა არ კმარაო, ამბობს უფ. გალობის მოყვარე, სახალხო ქართულის გალობის (და ჩვენ დაუფმატებთ სიმღერას) ცოდნაც უნდაო. დიად პატივცემული აზრია და ყველასგან მისაღები. ნოტების დამწერმა კარგა მუზიკის მცოდნემ, რომ ესეც იცოდეს, დიად კარგია.

ამაზე ამბობს უფ. მოყვარე, რომ არიან ჩვენში გალობის მცოდნენიო. ესენი საზოგადოებამ გაგზავნოს უმაღლესი მუზიკის სასწავლებლებშიო, როგორც გაგზავნეს მხატვრობის

შესასწავლებლათაო; ისწავლიან, დაბრუნდებიან და გალობის კარგნი გადამღებნი შეიქმნებიანო. დიალ, კარგი აზრია, თუ არის ისე მომზადებული ვინმე, როგორც მხატვრობის შესასწავლად გაგზავნილი.

მაგრამ აქ ერთი აზრია გამოსათქმელი. ხშირად საზოგადოებას აყვედრიან ამასა და ამას ესა და ეს სწავლა უნდაო და ღონისძიებას კი არ აძლევენო. ადრე რამდენიმე შემთხვევა ყოფილა, საზოგადოება დახმარებია და უქმად კი ჩაუვლია. რათა? იმიტომ, რომ წამსვლელს მხოლოდ სურვილი ჰქონია სხვაგან წასვლისა და მომზადებული კი არა ყოფილა. აქედამ კი ის გამოსულა, რომ საზოგადოების შემწეობას ნაყოფი არ მოუტანია. ამიტომ ახლა უფრო ფრთხილად ეკიდება საზოგადოება. ვისაც რამეში განსწავლა სურს, მარტო სურვილი არაფერს მოუტანს. საჭიროა კარგი შრომა, კარგი მიხვედრა საქმისა და ის რწმუნება, რომ ისევე საზოგადოებაში დაბრუნდება და შემოიტანს შეძენილ სწავლასა, თორემ უფალი ქორიძეც ბრძანდებოდა მუზიკის შესასწავლებლად, რა გამოდნა?

ამ ჟამად ჩვენ ქალაქში მუზიკის სასწავლო შკოლა არის პატივცემულათ მოღვაწეთა უფ. სავანლისა და მიზანდრიშვილისა. აბა გამოიკითხეთ სწავლობს 60 მოსწავლეში ორ ქართველ ქალს გარდა ერთი ყმანვილი კაცი? არა. საზოგადოებამ ვის უნდა მოჰკითხოს მუზიკის უმაღლეს სწავლის მსურველის ვინაობა და ვითარება თუ არა ამ შკოლის მოთავეთა?

ჩვენის აზრით ეს საგანი სულ სხვაა, და ქართული საეკლესიო გალობის ან სახალხო სიმღერების ნოტებზე გადაღება სხვა არის. ამჟამად აღძრულია სურვილი ნოტებზე გალობის გადაღებისა და საზოგადოთ მოფენისა; ეს დეე, რამდენადაც შესძლოა ეხლავე აღსრულდეს.

რაც შეეხება მუზიკის სწავლას, ისწავლონ ქალაქის მუზიკის შკოლაში, ივარჯიშონ, შეისწავლონ მუზიკა, გალობა და სიმღერა ევროპულიცა და ქართულიცა, რისაც შესწავლა შეიძლებოდეს ამ შკოლაში და შკოლის გარეთა და მაშინ, უეჭველია გზაც გამოჩნდება, თუ ტალანტი გამოჩნდა, ან თუ ეხლაც არის კლდეს გაარღვევს, ან ქვეშ მოყვება და ან წადილს აისრულებს. საზოგადოება ბევრჯელ სამღურავის ღირსია, მაგრამ ისიც უნდა დავიხსოვოთ, რომ საზოგადოების ყურადღების მოპოვებისათვისაც სვინდისიანი შრომა უნდა და ზოგჯერ ძალიან მძიმეა შრომა.

პ. უ. [პეტრე უმიკაშვილი]

1879

27. დროება, 1879, 11 აპრილი, №75, გვ. 3

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეკლესიის გალობის ნოტებზე გადაღება მიუხედავად უფ. მაჭავარიანისათვის, რომელმაც ამასწინეთ გამოსცა სახალხო სიმღერები ნოტებზე გადაღებული.

ვისურვებთ, რომ უფ. მაჭავარიანმა ამ ჯერობით უფრო გულდადებით იმუშავოს საეკლესიო გალობის ნოტებზე.

განცხადებანი

კომიტეტი დაწესებული აღდგინებისათვის ქართულის გალობისა ვალად რაცხს გამოაცხადოს, თუ რაოდენი ფული შემოსულა პირველს ოქტონობრიდგან 1878 წლისა ვიდრე ამა დღემდე სასარგებლოდ ამა საქმისა:

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი. ტფ. სასულიერო სემინარიის რეკტორის არხიმ. აბრამისაგან 28მ., იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოდგან 30 მ., არხიმ. გრიგორისაგან 6 მ., არხიმ კესარისაგან 7 მ. 50 კ., ძმათაგან ფერისცვალების მონასტრისა 6 მ., სიონის სობოროდგან კრებულითურთ 48 მ., სამების ეკლესიიდგან კრებულითურთ 18 მ., მღვ. დიმიტრი კოჭლაძისაგან 12 მ., კუკიის ნიკოლოზის ეკლესიიდგან კრებულითურთ 18 მ., კალუბნის ეკლესიიდგან 18 მ., სოლოლაკის ეკლესიიდგან კრებულითურთ 8 მ., ქაშვეთის ეკლესიიდგან 30 მ., წმინდის მარინის ეკლესიიდგან 18 მ., წმინდის დავითის ეკლესიიდგან 18 მ., მღვ. ილია ბერიძისაგან 40 კაპ., მღვ. პეტრე კონჩიევისაგან 6 მ., იერომნახის ევსევისაგან 6 მ., ანჩიხატის სობოროდგან 15 მ., მაქსიმე სუხიევისაგან 2 მ. 40კაპ., ბესარიონ ზედგინიძისაგან 6 მ., მღვ. გრიგორი პეტრიევისაგან 9 მ., მღვ. ბესარიონ სამადალოვისაგან 12 მ., ძმათაგან იოანე ნათლის მცემლის უდაბნოსათა 12 მ..

გარდა ამისა ერთ დროებით შემოსწირეს: თ. გრიგორ ორბელიანოვმა 20 მ., კნენა ქეთევან ორბელიანოვისამ 10 მ, კნენა ელისაბედ ორბელიანისამ 10 მ., თ. აბესალომ მაჩაბელმა 10 მ., პეტრე დიმიტრიევმა 70კაპ., იასე ანდრონიკოვმა 20 მ., მღ. ესტატე ელიევმა 5 მ., მიხაილ, ივანე და კონსტანტინე რეიტერთ 30 მ., ლენერალ-მაიორმა თ. მიხაილ ამირაჯიბმა 20 მ., თ. დავით სუმბათოვმა 25 მ., კონსტანტინე ბუჭყიევმა ძმებითურთ 30 მ., თ. დიმიტრი ჯორჯაძემ 30 მ., დიმიტრი ყიფიანმა 25 მ., თ. ერასტი ჩოლოყაევმა 3 მ., მღ. იერემია ხირსელაშვილმა 2 მ., ალექსანდრე ვახვახოვმა 3 მ., ქაიხოსრო მაჭავარიანმა 5 მ., თ. მიხაილ ანდრონიკოვმა 1 მ., მიხაილ კობიევმა 2 მ., სვიმონ მეღვინეთ-ხუცესოვმა 1 მ., დიმიტრი კიკნაძემ 1 მ., თ. ათანასე ვახვახოვმა 1 მ., მახვილაძემ 1 მ., თ. ივანე ქობულაძემ 2 მ., სვიმონ რცხილაძემ 1 მ., ვანო მახვილაძემ 2 მ., ილია ზარაფოვმა 1 მ., ივანე ნარეკელიევმა 1 მ., ივანე ხატიევმა 1 მ., ქრისტეფორე ზარაფოვმა 1 მ., ნიკოლოზ მთვარელი-შვილმა 2 მ., თ. რევაზ ვახვახოვმა 1 მ., კნენა მელანია ვახვახოვისამ 3 მ., კნენა ბარბარე ვახვახოვისამ 1 მ., კნ. ბაბალე ვახვახოვისამ 1 მ., კნენა ეკატერინა ვახვახოვისამან 1 მ., თ. ზაქარია ვახვახოვმა 1 მ., ივანე ჩიკვაძემ 1 მ., დავით მაღალაძემ 1 მ., საყვარელიძემ 1 მ., პლატონ ტარიელაძემ 1 მ., მღ. მიხაილ ხელაევმა 1 მ., სოსიკო ჩიკვაძემ 1 მ., დიაკონმა ივ. მაისურაძემ 1 მ., ზაქარია გარსიევმა 1 მ., დავით ახუნდოვმა 1 მ., გიორგი დევიძემ 1 მ., მღ. მიხაილ ყირასოვმა 1 მ., იოსებ მაისურაძემ 1 მ., პაიჭაძემ 1 მ., დავით კიკნაძემ 1 მ., ილია შიუკოვმა 1 მ., ვასილ გლურჯიძემ 1 მ., მღვ. მათე მირიანოვმა 2 მ., მღვ. გრიგორ თუშუროვმა 2 მ., მღვ. დიმიტრი კალატოზოვმა 2 მ., მიხაილ ფიცხელაურმა 2 მ., დეკანოზმა სოლომან ფირანოვმა 2 მ., დავით ხელაევმა 1 მ., პრიჩეტნიკმა აბრამ ჩუხუროვმა 30 კაპ. ელისეი იშხნელმა 1 მ., – სრულებით: 655 მან. და 30 კაპეიკი.

ამ ფულიდგან გ ა ს ა ვ ა ლ ი იყო:

მაგალობელთ მიეცათ ჯამაგირად 330 მანეთი, უ. მაჭავარიანს 30 მ. ერთის თვის შედგენისათვის გალობისა ნოტი; დურგალს გაკეთებისათვის სკამებისა 6 მ., სტეარინის სანთელი გასყიდულ არს 3 მ. 50 კ., ფისგარმონიის გასამართად მიეცა 7 მ., ნოტების ქალაღდისათვის დახაზვით: 2 მ. 40 კ. და ესრეთ: 378 მანეთი და 90კაპეიკი.

ხოლო ძირს დაშთების 276 მ. 40 კაპეიკი. აქედგან 270 მანეთი ბანკში არის კნიჟკით შეტანილი; ხოლო ექვსი მანეთი და ორი აბაზი არხიმანდრიტს მაკარისთან.

წევრნი კომიტეტისა:
არხიმანდრიტი მაკარი,
მღვდელი გრიგოლ მღებრიევი,
მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი.

29. დროება, 1879, 26 მაისი, №108, გვ. 2

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! ამას წინათ „დროებაში“ იყო მოხსენებული შესახებ ქართული საეკლესიო გალობის ნოტზე გადაღებისა.

აგერ, ორი თვეა მას აქეთ, რაც ეს საქმე ამის თაობაზედ შემდგარმა კომიტეტმა, საქართველოს ექსარხოსის იონნიკეს ნებართვით, მე მომანდო და, რასაკვირველია, მაშინვე შეუდექი მუშაობას: მგალობლები გალობენ და მე მათი გალობა გადამაქვს ნოტზე სამ ხმათ.

პირველი ჩემი ცდა ის არის, რომ გადვილო ნამდვილათ და შეუშლელათ ის გალობა, რომელსაც გადმომცემენ მოწვეულნი ამ საქმისათვის მცოდნენი ძველი ქართული გალობისა გურული მგალობლები.

საქმე ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის. ამ ორ თვეში დაინერა დიდი მწუხრის საგალობელნი: „აკურთხებს სული ჩემი უფალსა“, „ნეტარ არს კაცი“, „უფალო ღაღად ვყავ“ 1, 2 და 3 ხმები მისი დასდებელით და დიდებებით.

აპრილის პირველ რიცხვებში არხიმანდრიტმა მაკარიმ, რომელმაც დიდი მზრუნველობა მიიღო ამ საქმეში და კომიტეტის თავმჯდომარეთ არის ამორჩეული, ისურვა განხილვა ჩემი ნაწარმოებისა. ამისათვის მან მოიწვია კომიტეტის წევრნი რამდონიმე ეგზარხოსის ხორის მგალობელნი და რეგენტი; ამ უკანასკნელთა უნდა ეგალობნათ ნოტზე გარდაღებული ქართული გალობა, რომ კომიტეტს და გურულ მგალობლებს ენახათ თუ რამდენათ ეთანხმება ნოტზე დაწერილი გალობა ნამდვილ მათგან ნამღერს გალობას. ამ რიგათ ცხადათ ნახეს, რომ გალობა იყო გადაღებული ნამდვილათ და შეუშლელათ და გალობაც გამოდის სასიამოვნოთ.

გთხოვთ, უფ. რედაქტორო, არ დაუჭიროთ ამ სტრიქონებს ცოტაოდენა ადგილი პატივცემულს თქვენს გაზეთს „დროებაში“; გთხოვთ მიტომ, რომ ჩვენ გვსურს ხან-გამოშვებით ვატყობინებდეთ ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით ვისთვისაც საინტერესოა ეს საქმე, რაც გადაიღება ნოტზე და განიხილება კომიტეტის მიერ.

მ. მაჭავარიანი
1879 წ. 14 მაისი.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მე მოველ თბილისში და ღვთისმშობლის მიძინების წინა დღეს დავესწარ სიონის სობოროში ქართულ გალობას. როგორც მოგეხსენებათ მგალობლები არიან სამი გურულები, მონვეულნი საგანგებოთ. მთელი მწუხრი, ცისკარი და მეორე დღეს წირვაზედ იგალობეს ცალი მხრით რუსულათ და მეორე მხრით – გურულებმა. 16 აგვისტოსაც ანჩხატში დღესასწაული სცოდნიათ და აქაც ქართული გალობა იყო. უნდა ვსთქვა სასიხარულოდ ჩვენდა, რომ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემში და ბევრში ამ მშვენიერი ხმით გალობამ! მსმენელებს ზედვე ეტყობოდათ, რომ დიდ ალტაცებაში იყვნენ! ეს უფრო მისთვის, რომ ჩვენი ქართული გალობა თითქმის სულ დაკარგული და დავინყებული, ან გადამახინჯებული იყო და კიდევ იმიტომ, რომ ყველა ქართველებს არ ესმოდა რუსული გალობა!

ამ გალობაზედ ასე ყურადღების მიქცევა და გამშვენიერება, რასაკვირველია, რომ დიდ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის, საზოგადოთ ქართველებისთვის! მაგრამ მე ძალიან მაკვირვებს და არ მამნონს ის საძაგელი ხასიათი, რომელიც გამოიჩინეს ქართველებმა ამ გალობის შესახებ! მე ვამბობ იმ პარტიობაზედ, იმ ერთმანეთის შეცილებაზედ, რომელიც ატეხილია ქართლელ და გურულ მგალობელთ შორის! არიან ზოგ-ზოგნი (ქართლელები), რომელთაც არც გემო აქვსთ გალობისა და, მაშასადამე, არ შეუძლიათ იმისი დაფასება და არც თვითონ შეუძლიანთ გალობა, მაგრამ მაინც ყვირიან: „არ ვარგა გურულების გალობაო! რა საძაგლათ გალობენო!“ და სასირცხოთ თურმე მიაჩნიათ ამათი მონვევა თფილისში მასწავლებლებათ! მეც საქართველოს შვილი ვარ, ცოტათ, თუ ბევრათ მესმის და მინახავს მგალობლები და ვხედავ, რომ ესენი სრულიადაც ღირსნი არ არიან გმობისა! მტრობა და ქიშპობა არ ვარგა ამისთანა საქმეში! მე კი ჩემის მხრით ვისურვებ ამათთვის წარმატებას და სხვები, ზოგიერთები, თუ თავისას არ დაიშლიან, არავინ მოუწონებს და ტყუვილა დაირქმევენ მოშურნეებს.

იმედი მაქვს, უფ. რედაქტორო, ადგილს მისცემთ ამ ჩემს მოკლე წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ილ. მ-ლადე
19 აგვისტოს.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

გიგზავნით ივლისის პირველიდან ამა წლისა ვიდრე ოკდომბრის პირველადმდე სიას შემომწირველთა პირთა სასარგებლოდ ქართულის გალობის აღდგინებისათვის, გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთში.

	მან.	კაპ.
სემენარიის რეკტორმა არხიმანდრიტმა აბრამმა	15	
იოან ნათლისმცემლის უდაბნომ	15	
არხიმანდრიტმა მაკარიმ	9	
არხიმანდრიტმა გრიგორიმ	3	
არხიმანდრიტმა კესარიმ, ძმებითურთ	12	
სიონის სობორომ კრებულთ	24	
წმინდის სამების ეკკლესიიდან	9	
მღვდელმა დიმიტრი კოჭლაძემ	6	
კალოუზნის ეკკლესიამ	3	
სოლოლაკის ეკკლესიამ	6	
ქაშვეთის ეკკლესიამ	15	
წმიდა მარინის ეკკლესიამ	9	
იერომანახმა ევსევიმ	2	
ანჩისხატის სობორომ	7	50
მღვდელმან გრიგორ პეტრიევმა	4	50
მღვდელმან ბესარიონ ზედგინიძემ	3	
წმიდა დავითის ეკკლესიიდან	6	
მღვდელმან ბესარიონ სამადოვმან	6	
ძმათაგან იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსა	2	
კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიამან	9	
მაქსიმე სუხიევმა	-	80
ერთდროებით: თავადმან ლევან იოანეს ძე მელიქოვმა	50	
ტფილისის მოქალაქე გიორგ დავითის ძე ქართველოვმან	100	
თელავის უეზდის ნაჩალნიკისაგან 26 ივლისიდან ამანლისა მიღებულ არს შეგროვებული მისგან თელავის უეზდში ექვსი მანეთი და თვრამეტი შაური	6	50
სრულებით ოცდათორმეტი თუმანი და სამი მანეთი და თოთხმეტი შაური	323	70

ხოლო სრულებით პირველის ოკდომბრიდგან 1878 წლისა ვიდრე პირველს ოკდომბრამდე ამა წლისა, შემოსულ არს სასარგებლოდ ქართულის გალობის აღდგინებისა სამღვდელთაგან და საერო პირთაგან, რომელნიც წინათ ამისა ორჯერ იყო გამოცხადებული თქვენის გაზეთით: ას ოცდაორი თუმანი რვა მანეთი და ექვსი შაური.

აქედგან დახარჯულ არს ჯამაგირებად მგალობლებისა და ნოტზედ გარდამღებელისა და სხვა წვრილი ხარჯი ოთხმოცდა ხუთი თუმანი და ექვსი შაური; ოცდაჩვიდმეტი თუმანი დაცულ არს ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში; დანაშთენი თვალად ფული რვა მანათი იქონიების ჩვენს კომიტეტისას და კაზნაჩეის მღვდელს ალექსანდრე მოლოდინოვთან.

ამ ერთის წლის განმავლობაში მგალობელთა ასწავლეს რაოდენთამე პირთა, გალობანი მწუხრისა, ცისკრისა და წირვისა, და რაოდენიმე ტროპარნი და სძილპირნი, რომელთაც შეუძლიანთ იგალობონ თავისუფლად და განწყობილებით. ხოლო ნოტზედ გარდაღებულ არიან უ. მაჭავარიანისგან წირვის გალობანი იოანე ოქროპირისა, დიდის ვასილისა და გრიგორი ორმეტყველისა და ზოგიერთნი მწუხრისა და ცისკრისა; უფ. მაჭავარიანი მოვალე არის ამ

მოკლეს დროში წარმოუდგინოს თვისგან გარდაღებულნი გალობანი და განკეთილებული უ. სავანელისაგან, შემდგომისა ჯეროვანის განკარგულებისათვის.

*კომიტეტის წევრი არხიმანდრიტი მაკარი,
კომიტეტის წევრი კაზნაჩი მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი,
კომიტეტის წევრი მღვდელი გრიგოლ მღებროვი.
4 ოკტომბერს, თფილისი*

1880

32. დროება, 1880, 1 ივნისი, №115, გვ. 3

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-26 №-ში გამოცხადებული იყო შეტყობის სურვილი, თუ როგორ მიდიოდა ქართულ საეკლესიო გალობისა საქმე. თუმცა დაგვიანდა პასუხი, მაგრამ მოიმედე ვარ არ გამკიცხვენ ამისთვის.

მართალი არის, რომ გურიიდან მოწვეულნი მგალობლები, მინამ ვსცხოვრებდი ანჩხატის საეკლესიო სახლებში, სადაც სცხოვრებდნენ ისინიც, ასწავლიდნენ გალობას და მეც ჯეროვანი ყურადღება მქონდა მიქცეული; მაგრამ რადგან ის ჩემი საცხოვრებელი ოთახები დასჭირდათ ეპარხიის საქალბო სასწავლებლისათვის, მე გადმოვსახლდი სინოდის კანტორის ოთახებში და, რასაკვირველია, დავშორდი მგალობლებსაც.

ამისთვის და სხვა მიზეზებისთვისაც მე იძულებული შევიქმენ სრულიად დავთხოვნოდი კომიტეტის წევრობიდან, რომელიც კიდეც მოხდა განვლილის წლის ოქტომბრის თვეში. შემდეგ თავმჯდომარედ ამორჩეული ბრძანდება ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე და წევრებად არხიმანდრიტი გრიგორი (დადიანი) და მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი, მღვდელი გრიგორ მღებრიევი; რელენტი ექსარხოსის ხორისა დიაკონი ვასილ აუშევი და უ. მიხაილ მაჭავარიანი, რომელთაც მიენდოთ ქონოდათ ჯეროვანი ყურადღება, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ასწავლიან ვისმეს ის მგალობლები, მე სრულიად არაფერი აღარა ვიცი რა.

რაიცა შეეხება მაჭავარიანისაგან ნოტების შედგენას ქართულის გალობისათვის, თუმცა ჩემ დროს იყო და მოასწრო კიდეც გადაღება იოანე ოქროპირის, ვასილი დიდის და გრიგორი ღვთისმეტყველის წირვებისა და ზოგიერთნი მწუხრისა და ცისკრისაც, მაგრამ იმ პირობით, რომ სავანელს შეეთანხმებინა.

მე მგონია, მაჭავარიანი იქამდინ კეთილშობილი იყოს, რომ, თუ რიგიანად არ იქმნება მისგან შემდგარი ნოტები, მაშინ ის არ იკადრებს ტყუილ-უბრალოდ მიიღოს ჯამაგირი. მოვალეობა კომიტეტისა კი, ჩემის აზრით, ის არის, მოსთხოვოს ეხლა მაჭავარიანს შემდგარი ნოტები და თუ არ აღმოჩნდება კანონიერი, მაშინ ფული დააბრუნებინოს მისის პირობისა-ებრ, რომელიც საქმეში არის ჩაკერებული.

უკეთუ ინებებენ მკითხველები შეიტყონ, თუ რავდენი ფული შეგროვდა სასარგებლოდ გალობისა ჩემს ხელში, მე მოვავიწყებ 1879 წლის 100, 156 და 239 „დროების“ № №-სა, რომლებიდანაც შეიტყობენ, რომ სრულებით შემოსულა ასოცდაორი თუმანი, რვა მანეთი და ექვ-

სი შაური ფული. აქედან დახარჯულა მგალობლების ჯამაგირებად, ნოტების გადამღებზედ და სხვადასხვა წვრილ ხარჯზედ ოთხმოცდახუთი თუმანი და ექვსი შაური, რომლის მიღებისათვის არის თვითეულის მიმღებისაგან ჯეროვანი ხელის მოწერა. ოცდაჩვიდმეტი თუმანი ფული, შეტანილი სახელწიფო ბანკის განყოფილებაში კნიჟით, გადაეცა ეხლანდელს კომიტეტს და ნაღდათაც დანაშთენი რვა მანეთი. ამის ანგარიშის მოცემა შეუძლიან კომიტეტს, რადგან იმათ იციან, თუ რადენი რაში დაიხარჯა, ან ვისგან რა შემოიწირა; ან სწავლობს ვინმე თუ არა და ან როგორ ასწავლიან, ეს ყველაფერი კომიტეტზედ არი დამოკიდებული.

*არხიმანდრიტი მაკარი
მაისის 26-სა ე. თფილისს.*

33. დროება, 1880, 22 ივნისი, №131, გვ. 2-3

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! „დროების“ №114-ში მე შემხვდა არხიმანდრიტ მაკარისაგან თქვენთან მოწერილი; ორი ადგილი ამ წერილში მეც შემეხება და ცოტა არ იყოს მარცხვენს წინაშე საზოგადოებისა.

ჭეშმარიტების აღსადგენად და სიმართლის აღმოსაჩენად გთხოვთ ამ წერილს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში.

ბ. მაკარი იწერება: „რაიცა შეეხება მაჭავარიანისაგან ნოტების შედგენას ქართულის გალობისათვის, თუმცა ჩემს დროს იყო და მოასწრო კიდეც გადალება იოანე ოქროპირის, ვასილ დიდის და გრიგოლ ღვთისმეტყველის წირვებისა და ზოგიერთ მწუხრისა და ცისკრი-საც, მაგრამ იმ პირობით, რომ სავანელს შეეთანხმებინა“.

რა საჭიროა, ბატონო, გაზვიადება, მე ამდენი არ დამინერია. მარტივად მოყოლებულ ვიდრე ენკენისთვემდე 1879 წლისა მე მოვასწარ ნოტებზედ გადალება მხოლოდ რამდენიმე მწუხრის საგალობლისა, რომელიც იმავე წელს მაისის პირველს რიცხვებში წარუდგინე კომიტეტს გასახილავად. მერე გადავიღე იოანე ოქროპირის წირვა, რომელიც წარუდგინე ამ 1880 წ. ყოვლადსამღვდელოს ალექსანდრე ეპისკოპოსს, სხვა არაფერი.

მ. მაკარი ბრძანებს სავანელს უნდა შეემოწმებინაო. ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ შემეძლო დამევალებინა ვისთვისმე ეს საქმე. თვითონ კომიტეტს უნდა ეკისრა. უფასოთ ვერავის დავავალე და ფასის გალება კი არ შემეძლო, რადგან მე თვითონაც ცოტას მაძლევდა კომიტეტი; (30 მ.)

თუ საჭირო იყო სავანელისაგან შეთანხმება, რატომ მაშინ არ იზრუნეს ამაზე, ან რატომ მაშინვე არ ნახეს გამოდგებოდა თუ არა ჩემი ნოტები? რათ მაძლევდნენ ყოველ თვეს დანიშნულს გასამრჯელო ფულს, თუ საიმედოთ არ ხედავდნენ?

ჩემის ნოტების უვარგისობა უნდა გამოჩენილიყო მაშინვე, როდესაც მაისში წარვადგინე ჩემი ნაშრომი; თუ არ ვარგოდა, მაშინვე უნდა შესდგომოდნენ თადარიგს და მაშინვე შეეწყვეტინებინათ ჩემთვის მუშაობა. სჩანს, რომ ვარგოდა, რომ გამაგრძელებინეს, მხოლოდ ენკენისთვეში შემანწყვეტინა მ. მაკარიმ ნოტების წერა.

*მიხეილ მაჭავარიანი
5 ივნისი*

34. დროება, 1880, 23 ივლისი, №178, გვ. 2-3

წერილი რედაქტორთან!

ბ. რედაქტორო! „დროების“ №131-ში მე წავიკითხე პასუხი ბ. მიხეილ მაჭავარიანისა ჩემს წერილზედ, დაბეჭდილზედ ამავე გაზეთის №114-ში შესახებ ქართულის გალობისა. ამისგამო გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ ჩემს უკანასკნელ სიტყვებს, თქვენს გაზეთში, რომლისა შემდეგ არღა დავინახამ საჭიროდ პასუხი ვაგო შესახებ ამა საგნისა.

მაკვირვებს ჭეშმარიტად უარის ყოფა ბ. მაჭავარიანისა, რომ ვითომც იმას არ გადაუღია ნოტებზედ ვასილი დიდის, გრიგორი ღვთისმეტყველის (პირველშენირულის) წირვები, იმან გარდილო მხოლოდ, როგორც ამბობს, რამოდენიმე მწუხრის საგალობლები და იოანე ოქროპირის წირვა. ბ. მაჭავარიანი ამბობს, ვითომც იმას წარედგინოს გადაკეთებული ნოტებზედ რომელიმე მწუხრის გალობები მაისის პირველს. ეს სიცრუეა: იმას კომიტეტისათვის არაფერი არ წარუდგენია ამ რიცხვში. წარადგინა მხოლოდ ზაიავლენით ოქტომბრის 18-ს 1879 წლისა.

შემდეგ ბ. მაჭავარიანი ამბობს, რომ იმას არ შეეძლო დაევალებინა ვისთვისმე ეს საქმე, თვითონ კომიტეტს უნდა ეკისრა; უფასოდ ვერავის დაავალებდა, რადგან თვითონაც მცირე ჯამაგირს იღებდა. მაშ კომიტეტს რალაც აძლევდა პირობას?

აი მისი პირობა, რომელიც მოხსენებულია მისგან მირთმეულს ზაიავლენიეში მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსისადმი 15 თებერვლითგან 1879 წლისა:

პუნქტი მეოთხე: „რაითამცა კომიტეტი იქნეს დანდობილი, მე მოვალე ვიქნები წარმოუდგენდე კომიტეტს შემდეგ თვითეულს ორიოდ თვეობისა გაკეთებულს საქმის ნაწილსა შემოწმებულს უ. სავანელისაგან, შემდეგ, რომლისა კომიტეტი ინებებს მომცეს მე კუთვნილი ჯამაგირი ორის თვისა“.

[არხიმანდრიტი მაკარი]

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

35. დროება, 1880, 24 ივლისი, №179, გვ. 2-3

წერილი რედაქტორთან!

ბატ. მაჭავარიანი გადაწყვეტით ამტკიცებს, რომ იმას ნოტების შედგენა შეუძლიან. ამისათვისაც „თუ ესე არ ყოფილიყო, რა სისულელე მოუვიდოდა მოეკიდნა ხელი“. მაგრამ ამაშიაც სჩანს მისი უბრალო კვებნა: პირველად გვახსოვს მისგან შედგენილი ქართული სიმღერების ნოტებზე დაწერილი სტატიები და დაბეჭდილნი „დროების“ ნომერში, რომლითაც აჩენდნენ მის უვარგისობას და მეორედ, ბატ. მაჭავარიანი გრძნობდა თავის ნაკლულევაწებას, რომლისა გამოც იმან ინება მოგზაურობა იმერეთისა და გურიისაკენ, სადაც უნდა დაახლოვებულიყო მგალობლებთან, შეესწავა რამე და ესრეთ თავის საქმე შეესრულებინა. იმან ამ საგნისათვის სთხოვა სემინარიის „პრავლენიე“-ს მიეცათ სამგზავრო ფურცლები, პრავლენიემ საქმე გადასცა სინოდალნი კანტორას, რომლის გადაწყვეტილებით კიდევ მიეცა 50 მან., მაგრამ საუბედუროთ ჯერეთ ანგარიში არ წარმოუდგენია კანტორაში, თუ სად იმგ-

ზავრა, ანუ რა ისარგებლა ხუთმა თუმანმა. გავიგეთ მარტოკა მღვდ. კარბელოვთან ყოფილა მცირე ხანს. არც ეხლა დარწმუნდება მკითხველი, რომ ბატ. მაჭავარიანს ჰყვარებია მუქთათ ფულის მიღება და გადაყლაპვა მისი?

როგორც ამბობს ბატ. მაჭავარიანი, ვითომც მე შემენწყვეტინოს მისთვის ნოტების შედგენა, ესეც ცხადია სიცრუეა. ბატ. მაჭავარიანს უნდა შეემზადებინა ნოტები და წარედგინა სიეზდისთვის განსახილვევად. ეს იმან ვერ შეასრულა და შემდეგ სიეზდამაც გულგრილათ შეხედა საქმეს. გარდა ამისა, ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსი ალექსანდრე ნაბრძანდა შუამთის მონასტერში და თან იახლა მაგალობელი, სადაც დარჩნენ სამ კვირამდე და ამათი განშორების დროს, რასაკვირველია, ვერას გააკეთებდა. აქაც მე არა ვარ დამნაშავე.

ჩვენ საქართველოში თავის დღეში არსებობდა გალობის ზეპირათ გარდაცემა. ჩემს დროში მოვიწვიეთ მღ. კარბელოვი, რომელსაც ეძლეოდა ჯამაგირი. ეს ასწავლიდა ზეპირათ; მოსწავლეთ ისწავლეს და კიდევ იმედიანად ვიტყვით, რომ მისგან ნასწავლები თითქმის ერთს საუკუნეს გაძლებს. ეხლანდელმა გურულმა მაგალობლებმაც ასწავლეს ვინც კი ბეჯითობდა და ვინც არა, ის ჩვენი ბრალი არ არის.

*არხიმანდრიტი მაკარი
16 აგვისტოს, თფილისი*

36. დროება, 1880, 24 აგვისტო, №179 გვ. 3

თქვენო მაღალ ღირსებავ, მამაო არხიმანდრიტო მაკარი!

მე წავიკითხე გაზეთი „დროება“ №131, რომელშიაც მაჭავარიანი სწერს, მითამც მას არ გადაეღოს წირვის გალობა დიდი ვასილისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა. აღსადგენელად სიმართლისა ვალად ვრაცხ ვაცნობო თქვენს მაღალღირსებას შემდგომი: მაჭავარიანმა გარდაიღო მწუხრის საგალობელი დიდი „აკურთხევსი“ „ნეტარ არს კაცი“ რამოდენსამე ხმაზედ, „უფალო ღალადყავსი“, დასდებელი აღდგომისანი, თავის ანდათი და ტროპარნი, გალობანი წირვისა იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა – „შენდამი იხარებს“, გრიგორი ორმეტყველისა – „წარემართენ“, „ან ძალნი ცათანი“ და „ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა“.

ამასთანავე დავუმატებ, რომე მაჭავარიანს დაეკარგა გადაღებული ნოტზედ „აკურთხებს სული ჩემი უფალსა“ და „ნეტარ არს კაცი“ და ხელმეორედ გარდაიღო. იქმნება დაკარგა გარდაღებული ნოტებზედ „შენდამი იხარებს“, „წარემართენ“, „ძალნი ცათანი“ და „ვაკურთხო უფალი“ და ამისთვის უარს ყოფს.

*თ. მელქისედეკ გ. ნაკაშიძე
14 ივლისს, 1880 წ.*

37. დროება, 1880, 10 სექტემბერი, №190, გვ.3

*** * ***

თითქმის ოცმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც მე ქართული გალობა არ გამეგონა და ბოლოს შევხვდი კიდევ მისს გაგონებას სიონის სობოროში, 4 სექტემბერს, ბროსესს პანაშვიდის გადახდის დროს. 7 ამავე თვეს ხელმეორეთ მესმა იგივე გალობა ანჩხატის ეკლესიაში, კვირა დღეს. მართალია, მე ჩემს თავს არ ვრაცხავ ეკლესიის გალობის ზედმინეწვით მცოდნეთ, მაგრამ ჩემის აზრით, დიდი განსხვავება აქვს მონასტრულს კილოს გალობისას და გალობას, რომელსაც მე ორჯერ დავესწარ ზემოხსენებულთ ეკლესიებში. ამ ზემომოხსენებულ გალობას არა აქვს იმგვარი თვისება, რითაც ირკვევა მონასტრული გალობა. მონასტრის კილოს გალობას ის თვისება აქვს, რომ კაცს სრულიად აღიტაცებს ღვთაებრივი გრძნობით და აყენებს რაღაც კეთილ კრძალვაში. ის გალობა, რომელიც მე გავიგონე, თითქმის ცივით სხლტებოდა ჩემს გულზედ.

როგორათაც გამოვსთქვი ზევეითაც, მე სრულიად არა მაქვს სურვილი ჩემი თავი დავსახო ამ საქმეში ავტორიტეტით; მარტო გამოვსთქვი ის, რაც ჩემმა გძნობამ აღტვიფრა.

1881

38. დროება, 1881, 31 მაისი, №111, გვ. 2

ქართული ეკლესიური გალობის საქმე

თბილისის სასულიერო პირთ უძნელდებათ სიძვირის გამო, მუდამ შენახვა, თავის ხარჯით, გურული მგალობლებისა, რომელნიც თბილისში არიან მოწოდებულნი სასულიერო პირებთაგან. ამის გამო მე შევუდეგ იმნაირ საქმეს, რომ საუკუნო წყარო უპოვნო ქართულ ეკლესიურ გალობას, რომ გალობა აღარ მოისპოს და შტატად დაიდოს, და აღარც არავინ შეწუხდეს ყოველთვინ შეწირვისათვის.

ამ აზრის გამო მე მივართვი საქართველოს ექზარხოსს იოანიკეს რაპორტი და ვსთხოვე, ერთი წლის ვადით, რვეულის ანუ კონდაკის ნება შეწირულობის ჩამოსათხოვნელად საქართველო-იმერეთში, ქართული გალობის სასარგებლოთ და სამგალობლო სკოლის დასაარსებლად. ექსარხოსმა ინება და მომცა ამ 1881 წელსა 21 მარტსა თავისის ხელ-მოწერით რვეული „დასაფუძნებლად ქართულის საეკლესიო გალობის სასწავლებლისა“.

ეს რვეული შთაბარდა დასატარებლად ჩემდა რწმუნებულის შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ილარიონს (ჩოლოყაშვილს). ხსენებული მღვდელ-მონაზონი ერთი მონასტრის მორჩილით და ყულაბით წავიდა ჩამოსათხოვნელად ფულისა ჯერ კახეთს, თელავის და სიღნაღის მაზრაში; შემდეგ იქნება ჩამოთხოვნა თფილისს, ქართლს და იმერეთში.

მე ამ ჩემს დანყობილს გალობის საქმეს იმ თავითვე თითონვე შევეწიე, ძალი მივე ფულით, ასე რომ შუამთის მონასტრიდან, რომლის წინამძღვრად თითონ მე ვირაცხი, შევსწირე, ექსარხოსის ნება-დართვითა, ორასი თუმანი. ანუ 2,000 მანეთი ამ გალობის თაობაზედა და განსაკუთრებით ჩემათ შევსწირე ოცი თუმანი.

გარდა ამისა, მე საზოგადოდ მივსწერე და და მოუწოდე ბლალჩინებს, მღვდლებს და პრიჩეტნიკებს, რომ ამ საქმეში ხელი შეუწყონ ზემოხსენებულ იერომონაზს ილარიონს თავის მრევლში, და

მასთანვე შუამთის მონასტრის ხაზინადრის იერომონახის მიტროფანის პირით ვსთხოვე თელავის უზიდის ნაჩაღნიკს თავადს ნიკოლაოზს ჩოლოყაშვილს შემწეობა თავის მაზრაში ამ საქმეში.

და ესრეთ, იმედია, რომ ეს საქმე კარგა წავიდეს და კარგათაც მიდის ჯერჯერობით.

ჩამონათხოვნი ფულები ხელში არ მიეცემათ მაგალობლებს, როგორც აქამდინ შვრე-ბოდენ. ფულებს შევინახავთ „პრიკაზში“ და იმის სარგებელმა უნდა არჩინოს მაგალობლები. თავნი საუკუნოთ იქნება დაცული გალობისათვის თანხად.

თანახმად ხალხის სურვილისა, მე მსურს, რომ ორი ხორო შევადგინო ქართული მაგალობლებისა: ერთი იმერლებისა ანუ გურულებისა, რომელნიც კიდევ არიან აქ თფილისსა და ერთი ქართლებებისა (განსვენებულის გრიგოლ მღვდლის კარბელაშვილისა)

ამასთანავე მე მსურს, რომ ნოტზედ გადაღებულ იქნეს ქართული ეკკლესიური გალობა და შემთხვევაც კარგი მოხდა ამ ნოტის გადაღების პირობაზედ. ამ წელს, წარსულის აპრილის ხუთს, ბზობას მნახა მე ხელოვანმა, მომღერალმა და ნოტის მცოდნემ ფილიმონ ქორიძემ, რომელიც დამპირდა ქართული გალობის ნოტზედ გადაღება. ამ კეთილი განზრახვისთვის მადლობა მიუძღვენი ბ-ნ ქორიძეს და ამას იქით, იმედია, რომ ნოტებზედ გადაღების საქმე ეკლესიური გალობის კარგათ წავიდეს. მხოლოდ ვინატროთ, რომ საქართველოს შვილებმა სასულიერო და სახორციელო პირებმა, ამ შემთხვევაში ზემოხსენებულს იერომონახს ილარიონს ხელი შეუწყონ ფულის შეწირვითა; იქნება იმდენი თანხა შედგეს, რომ მის სარგებლით მაგალობლებს ჯამაგირი ეძლიოს სამუდამოთ. ღმერთმა ინებოს ამ ქართული ეკკლესიური გალობის საქმის კეთილად დაბოლოება.

ბოლოს მოკლედ გავიმეორებ, საგალობის სასარგებლოთ ფულის ჩამოთხოვნის აზრი არის:

ა) შედგეს თანხა, რომლის სარგებლიდამ ეძლიოს როჭიკი ქართული გალობის ლოტბარს;

ბ) დაწესდეს სამგალობლო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში უნდა ასწავლონ იმერული კილოცა და ქართულიცა, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში შავსა და კასპიის ზღვას შუა ორი კილოა ნახმარი: ქართულ და იმერული.

სკოლისთვის და ოსტატებისთვის ჯერჯერობით ვეცდები, რომ სახლი მოვიპოვო სადმე გაშენებით თუ სყიდვით. ფულები თუ ცოტა შემოვიდა მხოლოდ ორს მაგალობელს დავიჭერ ოსტატად: ერთს ოსტატს ქართული გალობისათვის და ერთსაც იმერულისათვის. ვინც ამ ოსტატთაგანი ნიჭს, პატიოსნებას და ერთგულებას გამოაჩენს სწავლაში და შეგირდებსაც თავს შეაყვარებს, იმას ექნება პატივი და ყურადღება საზოგადოებისა და სასულიერო მთავრობისაგან, და საბოლოოთაც მხოლოდ ის გამაგრდება თფილისში თავის სარბიელზედ, ვითარცა საქმის ერთგული და სასარგებლო ოსტატი.

ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა,

ვიკარნი საქართველოსა

26 მაისს.

ქ. თფილისი.

39. დროება, 1881, 24 ივნისი, №130, გვ. 2

ქართული საეკკლესიო გალობის საქმე *)

თელავის საბლალორინოში, ბლალორინის მღვდლის მიხაილ ხელაევის მეცადინეობით და აგრეთვე კონდოლის მღვდლის გიორგი ჭელიძის მეცადინეობით, შეიკრიფა ოც თუმნამდინ. ამ ფულებს შორის ათი მანათი შესწირეს თელავის სობორელებმა. ეს ფულები თელავიდან

გამოაგზავნა თვით ბლალორჩინმა ხელაევმა ჩემთანა.

შუამთის ბერებმა შესწირეს თორმეტი მანათი და ოთხ-აბაზ-უზანთული.

არტოზნის ბლალორჩინს დეკანოზს ეგნატე მრევლოვს თავის საბლალორჩინოში შეუკრეფია სამი თუმანი, ერთი მანათი, ერთი აბაზი და ერთი კაპეიკი, რომელიც კიდევ გამოაგზავნა.

ეს ფულები სასარგებლოთ შეტანილია, ქართულ საეკლესიო გალობის სასწავლებლის სახელზე და კვიტანციებს მე ვიცავ.

მადლობის და საზოგადოებისაგან პატივის ღირსი არიან ვინც ამ გალობის სახელზედ ფულის შეკრებაში ერთგულება აღმოაჩინა. სახელდობ: თელავის მაზრის უფროსი თ. ნიკოლოზ ზაალის-ძე ჩოლოყაშვილი, რომელსაც მე მადლობა მიუძღვენ ნერილითა და ლოცვა-კურთხევა სახელითა უფლისათა, ბლალორჩინი თელავისა, მღვდელი მიხაილ ხელაევი და კანდოლის მღვდელი გიორგი ქელიძე.

[ალექსანრე ეპისკოპოსი]

*) იხ. „დროება“ №111.

40. დროება, 1881, 3 ივლისი, №137, გვ. 3-4

ქართულ ეკლესიურ გალობაზედ *)

„დროებაში“ დაბეჭდილია 1880 წელს, ორს თებერვალს, №26-ში: ქართული საეკლესიო გალობის საქმე ხეირიანად ვერ მიდისო; არხიმანდრიტს მაკარს ხელი აუღიაო ამ ჟამად ამ საქმი-დამაო; მგალობლები ხეირიანდ ვერ ეკიდებიან თავის საქმესაო, არ ასწავლიან აქაურს დიაკვნებსაო და ყველაზე უარესი კიდევ ის არისო, რომ მაჭავარიანისაგან შედგენილი ზოგიერთი ნოტები ქართულის გალობისა სრულიად არ ვარგაო, მცოდნე კაცებმა დაუწუნეს ეს ნოტებიო.

ამ სტატიაზედ მე, ვითარცა დამანესებელი ანუ დამწყობი ამ გალობისა და ან თავმჯდო-მი ამავე გალობის კომიტეტისა, განუცხადებ ქართველ საზოგადოებას:

1) არხიმანდრიტმა მაკარმა, მართალია, თავის ნებით ხელი აიღო გალობიდან, კომიტეტ-მა წარუდგინა ექსარხს მისი დათხოვნა და, თანახმად მისის თხოვნისა, ექსარხმაც განათავი-სუფლა და ახლა აღარ ირიცხვის წევრად გალობისა. თავში არხიმანდრიტმა მაკარმა ბევრი იღვანა ქართული გალობისათვის და იმ შემწეობისათვის, რომელიც ამოუჩინა მგალობლებს და გალობას, მადლობელი ვართ.

2) მგალობლები უნინაც კარგათ ასწავლიდნენ და ახლაც კარგათ ასწავლიან, მხოლოდ გარჩევა ამაში მდგომარეობს, რომ უნინ ცოტანი სწავლობდენ და ახლა მრავალნი სწავ-ლობენ. თბილისის პრიჩეტნიკებიც სწავლობენ და სხვა პირნიცა. ახლა გალობის სწავლა საზოგადოა და არა კერძობითი. ფასი სწავლისათვის არავის რა ეთხოება. ვისაც სურს, ყოველის მხრის და ყოველის წოდების, მოვიდეს და ისწავლოს.

3) დიდი ხანი არ არის, რომ რვა ხმა ტროპარები და ღვთისმშობლისა გაათავეს და ახლა ოქროპირის წირვა დააწყებინეს, და ესეც შეისწავლეს და რამეთენიმე კიდევ სხვა საგალობლები.

4) გალობას ასწავლიან დილით, წირვის შემდგომ, მეთერთმეტე საათიდან პირველ საა-თამდინ და შუადღეს უკან, შემდგომ მწუხრის ლოცვისა, ექვსი საათიდან რვის შესრულე-ბამდე. ვისაც სურს, რომ ნამდვილად გაიგოს ეს ანბავი და არა მხოლოდ გაგონებითა, ვისაც სურს, მართლა შეიტყოს და დაიჯეროს, რამდენი შეგირდი სწავლობს ქართულ ეკლესიურ

გალობას, რა უსწავლებიათ მათთვის, ახლა რას ასწავლიან და რა ნაირ მშვენიერათ ასწავლიან, – მოვიდეს იმ აღნიშნულ საათზედ სიონის კათედრის სობოროს გალავანში, სადაც ჩვენი ოსტატები, გურული მგალობლები, ასწავლიან შეგირდებს გალობასა, და იქ თავიანთ თვალთ ნახონ ყოველივე და თავიანთ ყურით გაიგონონ, თუ ვითარითა სახითა და რა ზომით უსწავლიათ ახალ მოსწავლეთ გალობა.

5) შეგირდებმა გამოცდით, პრაკტიკით რომ ისწავლონ გალობა, ახლა ხანდისხან, საგანგებოთ სიონში ქართული წირვა არის, და გურული მგალობლები მთელ გუნდს ანუ ხორა შეგირდებს ერთათ აგალობებენ სიონში და მშვენივრად გალობენ. ეს ხორით გალობა სასიამოვნო მოსასმენია, და ვისაც სურდესთ, ოდეს სობოროში ქართულად იგალობონ, მოვიდენ და მოისმინონ ქართული ხორის გალობა, სულის და გულის დასატკბობელად.

6) ნოტებზედ გადამღებელია ქართული გალობისა – მიხაილ მაჭავარიანი, სემინარიელი, რომელიც ქართველების სასულიერო სემინარიაში და სასულიერო სასწავლებელში ასწავლის საეკლესიო სლავიანურს და რუსულს გალობასა. ამ მაჭავარიანს ამას წინეთ, არხიმანდრიტის მაკარის დროს, გარდაელო ნოტზედ წმიდა იოანე ოქროპირის წირვა მხოლოდ არა სისრულით. ამ ნოტზედ, როგორც სჩანს, ხელი არ მოუწერა ბ-ნმა სავანელმა, მუზიკის და ნოტის მცოდნემა, და აი მიზეზი რა არის:

ქართულ გალობასა აქვს სამი ხმა: პირველი, მეორე და მესამე. ამ ხმებში, როგორც მაჭავარიანი, ნოტის გადამღები, და აგრეთვე რუსი, რელენტი ექსარხის მგალობლების ხორისა, მყოფი დიაკვნად და ან მღვდელი ვასილი აუშევი ამბობს, პირველი ხმა კარგათ მიადგა ნოტის კილოსა და ორი ხმა კი, მეორე და მესამე, არ უდგება ნოტებსაო; ესე იგი იტალიანურს ანუ რუსულს ნოტებს არ უდგებაო და თუ რუსულს ანუ იტალიანურს წესზედ მივაყენოთ ქართული გალობაო, მაშინ იტალიანური ანუ რუსული კილო ექნებაო ქართულ ეკლესიურ გალობასო და ქართველები არ მიიღებენო, და თუ ისე ქართულ კილოზედ დავჰტეოთო, მაშინ მუზიკის და ნოტების მცოდნე პირნი არ იწონებენ ქართულს ნოტებს და ამბობენ, რომ ქართული ნოტები მაჭავარიანის გადაღებული არ გამოდგაო. მაჭავარიანი კიდევ ამას დასძინებს და ამბობს, გურული მგალობლები როგორც გალობდენ, მე ისე გავიღე ნოტზედო, უცვლელათ, და ეს ნოტები თუ არ გამოდგაო, ჩემი ბრალი არ არისო: ეს მიაწერეთ მხოლოდ ქართულ ეკლესიურის გალობის ხასიათსო.

ამ ზემოხსენებულს მაჭავარიანზედ უნდა ვსთქვა, რომ ეს ამორჩეულია თვით არხიმანდრიტი მაკარისგან და გალობის ნოტის გადასაღებათაც იგივე არხიმანდრიტი აძლევდა ფულსა, თვეში სამ თუმანსა, და შემდეგში კი, წარსულის სექტემბრის თვიდან, მოისპო ჯამაგირი მაკარი არხიმანდრიტისაგანვე, და აღარც ეძლევა. მხოლოდ მე როდესაც დამაყენეს გალობის კომიტეტის თავმჯდომელათ, ესე იგი წარსულის 1879 წლის დამლევს, ნოემბერში, მოვიწადინე, რომ ის ამომეგო მაჭავარიანისგან, რაც იმან გადილო ნოტათ და ქვეყნისთვის გამეცხადებინა ის ნოტები გასაშინჯავათა. მაგრამ მაჭავარიანს ჰქონდა მხოლოდ მცირეოდენი რამე გადაღებული. მე იმას ვადროვე; აჩქარებით საქმე არ გაკეთებულა; იმან გარდილო ნოტზედ წმინდა ოქროპირისა, წმ. ვასილისა და წმ. გრიგოლის წირვა და როდესაც ესენი გადაათეთრა და მომიტანა, სამი თუმანი მივე ამ შრომისათვის. მაგრამ ამ წირვის წესს აკლდა ზოგი გალობა, მაგალითებრ: „რომელი ხერუჟიმთა“. ამისთვის მაჭავარიანს ვსთხოვე ამ წირვის გალობის შემსება და რაოდენიმესი დამატება და კიდევ დავპირდი ერთი თუმანი, შრომისათვის. იმანაც დაუმატა გალობანი და მოიტანა მეორე რვეული და მასზედ თეთრად ნოტებზე გადაღებულნი გალობანი. აი რა დაუმატა:

ა) „აკურთხებს სული ჩემი უფალსა“ – ღამისა თევიდგან.

ბ) „ნეტარ არს კაცი“.

გ) „უფალო, ღალად-ეჰყავ“, პირველის და მეორეს ხმისა, სტიქარონებითა და სამღვთის-მშობლებითა.

დ) ქერაბინთას გალობა.

ე) „შენდამი იხარებს მიმადლებულ“, და

ვ) „მამაო ჩვენო“.

ამაების ფასიც ერთი თუმანი მივეცი და ამითი დათავდა მასთან ყოველივე ანგარიში ნოტების პირობაზედ. მხოლოდ მერე თუ სხვა რამეს გამოსადეგათ გადილებს მაჭავარიანი, იმას სხვა ნაირათ გაურიგდებით.

ეპისკ. ანთაძე

(დასასრული შემდეგ)

*) ეს სტატია წარსულს წელს უნდა დაბეჭდილიყო, დარჩა და ახლა ვბეჭდამთ.

41. დროება, 1881, 4 ივლისი, №138, გვ. 3

ქართულ ეკკლესიურ გალობაზედ

(დასასრული) *)

რაც შეეხება უწინდელს ფულსა, არხიმანდრიტის მაკარის მიერ ჩამოთხოვნილსა საზოგადოებიდგან და მისს ხარჯსა, ამაზედ ამას ვიტყვი, რომ ძველათ თვით მამა არხიმანდრიტი ჰკრებდა ფულსა, იმას კანტროლი არ ჰქონდა, და თითონვე ახარჯებდა მაგლობლებსა, ანგარიშსაც თითონვე აბეჭდინებდა „დროებაში“. **) იმ ფულისაგან არხიმანდრიტს გადურჩენია 370 მანათი და შეუტანია ბანკში, და აი ახლა ეს ფული გამოგვექონდა და ვახარჯებდით მაგლობლებსა.

ხოლო შემდეგის დროისათვის მაგლობლებისათვის რომ რამე წყარო აღმომეჩინა, ამაზედ ვიზრუნე რაოდენიც შეიძლებოდა ჩემის მხრითა. მე შევანერე ამ საგნისათვის შუა-მთის მონასტერსა, ვითარცა ამ მონასტრის წინამძღვარმა, წელიწადში 120 მანეთი; სხვა მონასტრის წინამძღვრებსაცა ვსთხოვეთ ეგრეთვე შემწეობა, და ისინიც თანამოგრძნე შეიქნენ ამ კეთილის საქმისათვის. დავით-გარეჯურის უდაბნოს არხიმანდრიტმა გრიგოლმა (დადიანმა) ერთი მაგლობელი სრულებით თავის ხარჯით აიყვანა; ქვაბთა-ხების მონასტრის გამგემ, მღვდელ-მონაზონმა და ან ილუმენმა ფილარეტმა, ყოველ წლივ 80 მანეთი შესწირა. საქართველოს მონასტრების ბლალოჩინს, ბოდბის წმინდა ნინოს სობოროს არხიმანდრიტს ევსტრატის ყოველ წლივ შემოაქვს 15 მანათი; სემინარიის რედაქტორმა, მამა არხიმანდრიტმა მიხაილმა შესწირა ყოველ წლივ 10 მანეთი. სხვა წინამძღვრებს არავითარიმე თანაგრძნობა არ გამოუცხადებიათ, და შემდეგში რა იქნება, უფალმა უწყის.

ქალაქის ეკკლესიებიდამ შემოდის მაგლობლებისათვის თვეში 32 მანეთი, მაგრამ ეს არ ჰყოფნის ჯამაგირათ და ამის გამო ვსთხოვეთ შემწეობა ქართული ენის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, – სადაც მე ჩლენათ – დამანესებლად ვირაცხი, – და ამ საზოგადოებამ შემოგვწირა ყოველ წლივ შესანევენელათ მაგლობლებისა 120 მანათი.

აქ საჭიროთ ვრაცხ საზოგადოებას გაუცხადო, რომ მაგლობლების ხაზინადრად გვეყავს მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი; ფული და ანგარიშის წიგნები იმის ხელშია; ჯამაგირის დამრიგებელიც ის არის, და იმას ძალუძს, რომ შემდეგში თავ-თავის დროზედ ქართველ საზოგადოებას შემოსავლის და გასავლის ანგარიში აუწყოს.

წევრნი გალობის აღდგინების კამიტეტისანი არიან: ჩლენი სინოდალნის კანტორისა არხიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი) სიონის სობოროს მღვდელი გრიგოლ მღებრიევი (ესევე საქმის მწარმოებელია), მოხსენებული მღვდელი ხაზინადრად გალობისა ალექსანდრე მოლოდინოვი, ბ. მიხაილ მაჭავარიანი, ნოტებზედ გალობის გადამღებელი; და რელენტის ექსარხოსის მგალობლებისა რუსი მთავარდიაკვნად მყოფი და ან მღვდელი – ვასილი პუშევი.

ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ამას უჩვენებ საზოგადოებას, თუ ვითარს მდგომარეობაშია გალობის საქმე. ჩემი ჰაზრი ეს იყო, რომ ცუდი იყო თუ კარგი, ქართული საეკლესიო გალობის ნოტები გამომერთმია მაჭავარიანისათვის და საზოგადოებისათვის გამეცხადებინა ეს ნოტები გასაშინჯავათ და აგერ ასეც ვქენი. რაც ჰქონდა, იმას გარდა კიდევ დავანერინეთ, დავამატებინეთ და შევამსობინეთ მაჭავარიანს ნოტებზედ გალობა – ეკლესიური; ფასი მივეცი და ნოტები გამოვართვი, და ეს თეთრათ გადაღებული ნოტები ახლა მე მაქვს ორ რვეულად ანუ დედნათ.

ახლა ქართველთ განათლებულს საზოგადოებას ვსთხოვ, ვისაც შეეძლოს და ნოტი ესმოდეს, გამოვიდეს სარბიელზედ, ეს ნოტები გაშინჯოს და თუ კარგათ გადაღებული გამოვიდეს, ხომ კარგი, და კეთილი სიტყვა წარმოსთქვას ამ გალობისთვისა; და უკეთუ არ გამოდგეს ეს ნოტები, კრიტიკა უყოს და თავისი კრიტიკული შეხედულობა გამოაცხადოს გაზეთში. უკეთუმც ქართველთაგანი ამ ნოტებს არავინ შეეხება, და ვერ გადაასწრებს და ვერც გააკეთილოვნებს, რომ სახმარათ გამოდგეს სასწავლებლებში და საყდრებში, და კიდევ დაიბეჭდოს საზოგადოებაში სახმარად და სასწავლებლად, მაშინ მე მივიქცევი ამ ნოტების გასაშინჯავათ და გადასაკეთებლად პეტერბურღში, იმ დროში ნოტებში და ეკლესიურ გალობაში დიდათ გამოჩენილ პირთან, ბატ. ლამაკინთან, შერემეტიევის კაპელში, და მაშინ ნოტში და მუსიკაში განსწავლულ ქართველებს ნულარ დაურჩებათ საწყინოდ და სასირცხოდ ესე ვითარი საქმე.

დასასრულ ყოვლისა, ყოველ პირს ამას ვსთხოვ ამ გალობის პირობაზედ, რომ მოთმინება იხმაროს; ჯერ მთლათ დიდი ხანი არ არის, რაც ეს გალობა და ამ გალობის კომიტეტი დაწესდა, და მე ხომ სულ ახალი დადგენილი ვარ ამ გალობის თავ-მჯდომარედ. ნურც ენით და ნურც კალმით ცუდათ ნურავინ ახსენებს ამ გალობას; იმ ნაირი ხსენებით გალობის ატმოსფერა არ გაინმინდება. მე მაცალეთ ერთი, ორი და სამი წელიწადი და ვნახოთ გალობის სწავლის საქმე როგორ წავა, და ან ამ გალობის ნოტის შედგენისა. ნათქვამია, ჩქარს უგვიანდებოდესო. ბოლო იტყვის ყველასა, ბოლო დაავგირგვინებს საქმესა.

**თავს მჯდომი ძველი ქართული ეკლესიური
გალობის აღმადგინებელის კომიტეტისა,
ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა,
ვიკარნი საქართველოსა.
27 ივნისსა, თბილისი.**

^{*)} „დროება“, № 137

^{**)} მამა არხიმანდრიტმა მაკარმა გამოსცა ერთი დაბეჭდილი ფურცელი ქართულად და უწოდა „მონოდება“ და „მონოდებას“ ურიგებდა ხალხსა და ისე ჰკრებდა ფულსა 1879 წელში.

ძველი ქართული ეკლესიური გალობის და ხორის პირობაზედ

ამ მომდინარე 1881 წელსა, 22 მარტსა, მე მიველ სანახავათ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის ჩლენის, არხიმანდრიტის გრიგოლისა (დადინის), და იმ დროს იქ შემობრძანდა თ. დადიანი, ნიკოლოზ ტარიელის-ძე, რომელმაც ქართული ენა და წიგნი ზედ მიწვევით იცის და რომელსაც დიდი ქართული ბიბლიოთეკა ქონია ოდიშში (სამეგრელოში) და დასწვია, მაგრამ ამ თავადს მესხიერება ძრიელ მახვილი და კარგი აქვს და ახსოვს აზრი იმ წიგნებისა და მარცვალნი წიგნნი და ეგრეთვე სიტყვანი იმ წიგნთანი, მაგ. „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ზეპირათ იცის. და აი ამ ქართულ ენაში წარჩინებულმა და განვითარებულმა პირმა რა წარმოსთქვა შესახებ ძველის გალობისა (კათალიკოზობის დროისა) და მგალობლებზედ.

ქართული საეკლესიო გალობის სამი საფუძველი, ანდა სამი ხმა აქვს:

1) თქმა, 2) მაღალი ბანი და 3) ბანი.

თითოეული ამ მთავარ ხმათაგანი კიდევ სხვა სამ-ნართაულ ხმად განიყოფა:

I ა) თქმა, ბ) მოზახილი და გ) წერილი.

II ა) მაღალი ბანი ბ) ზილი და გ) კრინი.

III ა) ბანი, ბ) დვრინი და გ) გუბი, ან დუმბი.

თითოეული ამ გალობისა იგალობებოდა სამ-სამი პირისაგან ორპირათ, ან ორ მწყობრათ და თითო მწყობრს შეადგენდა თვრამეტ-თვრამეტი კაცი. პირველი გუნდი იყო მარჯვნივ ფრთედში, მეორე მარცხნივ – ტაძარში, რომელნიც გარიგებით გალობდენ აღსავალთა და სხვა სამგალობლო წესს, ერთი მეორეს ჩამორთმევით და ამათგან გამოიკრებოდა ესრედ ნოდებული „წმიდა წმიდათასი“, საკურთხეველში შეეყოლა სამღვდელო მსახურთა თანა მემწყობრენი მგალობელნი „საკათალიკოსო“ ან საეპისკოპოსო წირვის დროს. ამასთანავე ამა გამორჩეულთაგან მარჯვენა და მარცხენა გუნდის პირთა შესდგებოდა და „შუა მწყობრი“, რომელიც იდგა საშუალ ტაძრის ფრთედში ან კათედრის უკან და წართქვამდა გალობას კათალიკოსის ან ეპისკოპოსის შემოსვლისა და შემოსვის დროს და აგრეთვე დიდ კვერექსის წესსაც სრულიად, პირველს მცირე კვერექსამდის, რომლის საგალობელსაც მარჯვენა გუნდი მგალობელთა გამოართმევდა. ამ შუა მწყობრს უძახოდენ აგრეთვე „მთავარ გუნდს“, „წარდგომითს“ ან „მოსაყრდე მწყობრს“ და ითვლებოდა თავად მგალობელთა გუნდისა, და პირველი და მეორე გუნდი, ანუ მარჯვენა და მარცხენა, ირიცხებოდა იმის „შტოებად“.

ეპისკოპოსი ალექსანდრე

1881 წ. 6 ივლისს.

თბილისი.

ორიოდ სიტყვა ძველი ქართული გალობის აღდგინების თაობაზედ თბილისი, 5 აგვისტოს.

დიახ, სასიამოვნოა, თუმცა კი იშვიათი მოვლინებაა, ამ ჩვენს დროში, საზოგადო საქმეებისთვის ზრუნვა და ქველ-მოქმედება. ამ გზაზედ და ამ მიზნებისთვის დიდათ მეცადინეობს ჩვენგნით პატივცემული და პატივსაცემი ეპისკოპოსი ალექსანდრე. უნდა ვუმაღლო-

დეთ ნამეტნავათ იმ კეთილი განზრახვისათვის, რომ დაუცხრომლად მეცადინეობს ძველი ქართული ეკკლესიური გალობის აღდგინებისათვის და ზრუნავს ნოტებზედ გადააღებინოს საეკკლესიო ქართული გალობები... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, როგორც ერთმა მუსიკის მცოდნე პირმა მითხრა, ამათ დაკარგული ფული უნდა იყოს იმ ნოტების დამწერის შრომის ფასათ, რომელმაც გადაიღო ქართული გალობები ნოტებზედ. ამბობს ის მცოდნე პირი, რომ ვერც ერთი გამრკვევი ნოტისა, ვერა-რას გამოიცნობსო მაჭავარიანისაგან დაწერილის ნოტისაგანაო. თუ ეს ასეა, მაშ უცოდინარი ხო უფრო ვერას ისწავლის იმის შრომიდგან?

საკვირველია, ამ გვარივე წუნი დასდევს მისგანვე შედგენილს „სამშობლო ხმებს“. მაშ, რილასთვის და ვილასთვის იწერება ნოტები და იკარგება ამაოდ, დიდის მეცადინეობით შეგროვილი ფული? ისევ სჯობს, უნოტოთ ასწავლონ მცოდნე პირებმა გალობა ახლად მოსწავლეთა, რომ სრულებით და სამუდამოთ არ დაიკარგოს მაინც საეკკლესიო გალობა.

მე გამიგონია, რომ ძველათ, საქართველოში, წარჩინებული პირების ოჯახებში, დღესასწაულის დღეებში, ანუ მეჯლისში, როგორც საერო სახიობა (оркестрь) იყო მიწვეული, ისე საეკკლესიო მგალობლებიც და შეექცეოდნენ მორიგით სუფრაზედ, ხან პირველების სმენით და ხან მეორეებისა. თორემ, რა რიგათ მიენდოს კაცი იმისთანა მწერალს, რომელმაც ნოტიც არ იცის? მით უფრო ძნელი მისანდობია, რომ ქართული გალობის და მუსიკის კილო, თურმე მოითხოვს ისეთს ნოტებს, რომლებიც ჯერ განათლებულს ევროპაშიაც არ არის შემოღებული მათი შესაფერისი, რომ დაინეროს უმეტ-ნაკლოთ და გამოიხატოს თვითოეული ხმა, ოინი (გალობის კილო) *тонь*, დიაფსალმა (ცვალება კილოთა), საქცევი (კილოთ გასაყოფელი) და შესდგეს ბამი – *октава*. განა მოახერხებს მაჭავარიანი გადაიტანოს ნოტზედ კაკანი (*горчеджіаментო*), ჩაკაკანება (*горчеджіаре*) და კრიმანჭული (*рулада*), ისე რომ შეეძლოს გამოგნება რისამე, რომელსამე მცოდნე პირს, მისგან დაწერილის ნოტისაგან?... მგონია ვერა... მაგრამ „ღმერთმა ქნას, ჩვენს ხბოს მგელი დაეჭიროს!“

ერთი ესეც გვანუხებს, რომ ქართულის ენის მცოდნე, იშვიათი და კარგი მქადაგებელი ამ შემთხვევაზედ არას ნებულობს, არა სურვილი და შემწეობითი ნიშანი არ აღმოაჩინა ძველის ქართულის გალობის აღდგინებისათვის, მაშინ როდესაც თუ არიან დაშთომილნი მცოდნე მგალობელნი – მოიძევებიან იმერეთის ეპარქიაში და თბილისშიაც იქილამვე არიან მოწვეულნი ამ გვარნი პირნი.

არაგველი [დავით კეზელი]

44. იმედი, 1881, სექტემბერი, №9, გვ. 86-96

ბიბლიოგრაფია

რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზედ და „სამშობლო ხმები“, ყმანვილებსათვის სამღერავი სახალხო სიმღერები, გარდაღებული ნოტზედ ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის, შედგენილი მ. მაჭავარიანისა. თბილისი. ფასი ერთი მანეთი*)

ვიდრე თვით „სამშობლო ხმების“ გარჩევას და დაფასებას შევეუდგებოდეთ, ჩვენ გვსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ საზოგადოთ გალობაზედ-სიმღერაზედ, – თუ რა კავშირი აქვს მას ხალხის ცხოვრებასთან; რა პედაგოგიური, ხალხოსნური – ნაციონალური, ხელოვნური და ზოგადი მნიშვნელობა აქვს გალობა-სიმღერასა, რა გავლენა აქვს მას ადამიანის სულიერს

ცხოვრებაზე და შკოლაში; სად უნდა ვეძიოთ „ხალხური“, სამშობლო ხმები და სიმღერა და როგორ უნდა დავაფასოთ და გავარჩიოთ იგი სხვა „არა ხალხურის“ ანუ ხელოვნურის სიმღერისაგან? – გალობა ყოველგან და ყოველთვის შეერთებული იყო ხალხის ცხოვრებასთან, ხალხის ხასიათთან და მიმართულებასთან; იგი შეადგენდა და შეადგენს უაღრეს სიამოვნებას ხალხისას: დიდს დღესასწაულებში, ყოველს დროს: ზამთარში თუ ზაფხულში, შემოდგომაზედ თუ გაზაფხულზედ ჩვენი ხალხი, ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი, იკრიბებოდა ერთად და იღებდა სიმღერითა და თამაშობით (ცეკვა), რომელიც ყოველთვის განუშორებელი იყო პირველთან. ვის არ უნახავს ქალების „დიდება“ დღესასწაულებში, როდესაც ქართველი ქალ-რძალი ორს გუნდათ იყოფა და გარს უვლიან მღერით ეკლესიასა, რომლის სახელის წმინდასაც აქებენ და ადიდებენ სიმღერის ლექსებშია. ვის არ გაუგონია „დიდების“ მშვენიერი, მწუხარების გამაქარვებელი (თუმც მწუხარებითვე სავსე) კილო! დღესასწაულების გარდა ვის არ უნახავს „დიდებაზე“ ნავალი ქალები ხანგრძლივის გვალვის ანუ ავდრიანობის დროს, როდესაც მღერიან სხვა სიმღერასა „იავნანას“ ხმაზედ.** მწუხარების დროისათვის კი აქვს ქართველ ქალებს მოგონილი სიმღერა: ავადმყოფს (ყვავილიანს, წითლიანს და სხვა ამ გვარს) უმღერიან მშვენიერს „იავ-ნანა, ვარდო ნანას“ და რა არის მიცვალებულზედ ტირილი, თუ არ სიმღერა მწუხარების ჟამისა? ვისაც გაუგონია კარგს მომტირალთა „ზარით“ ტირილი, იგი დამეთანხმება, რომ ჩვენს ქართულს ტირილს ჰარმონიით და სიმწუხარის კილოთი თვით ნარჩინებული „Requiem“ ვერა სჯობია! კაცების სიმღერა ხომ ყოველთვის და ყოველგან შეგიძლიანთ მოისმინოთ. დაუგდეთ ყური, რა ნაირის სხვადასხვაობით არის სავსე ქართული ხალხური სიმღერები: ხან ხმამაღლივი, თითქოს ზეცას მფრინავი კილო, ხან ღიღინი, სავსე მწუხარების გრძნობით, თითქოს წინ უნდა გადმოგიშალოთ თვისი უუსაიდუმლოესი გულის გრძნობანიო! (საუბედუროთ მე კარგათ ვერ ვიცნობ დასავლეთის საქართველოს კილოებსა, ამიტომ ყოველი აქ ნათქვამი შეეხება ქართლ-კახეთის სიმღერასა). დღესასწაულობაში – ხატობას კაცებიც უვლიან გარს ეკლესიასა და ადიდებენ უფრო წმ. გიორგის; ეს სიმღერა სამჯერ გარს შემოვლის შემდეგ გარდადის „ფერხულად“. აბა ახლა მუშაობის დროს უყურეთ გლეხის „ჰოპ-ჰოპ“-ის სიმღერას – მკის დროს, რა ნაირის ლულუნით მოისმის; მუშაობის გათავების შემდეგ, „მუშური“ სიმღერა მსმენელს აღუძრავს მაღალსა და მრავალს კეთილშობილურს გრძნობათ... ახლა სუფრაზედ უყურეთ კახური ღვინით შეზარხოშებულს ქართველებს, როგორს ტკბილს და სასიამოვნო სიმღერებს ამბობენ: გრძნობით სავსე გრძელი და ძველი „მრავალჟამიერ“, რომელიც დროგამოშვებით დაუბოლოვებელი შეიქმნება ხოლმე; „ხატვრული“ ვრცელი და მოკლე; მოლილინე „ხეურო“, მყვირალა „ჩაკრული“, მოხუცი „ჩონგურო“, „მეტიური“ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვები! არ შეიძლება არ მოვიხსენოთ „ურმულიც“, რომელიც ტკბილად მოისმის, მომეტებულად ღამე, როდესაც ძნის ურემზე მჯდომი მეურმე ტკბილათ დაჰლულუნებს მწუხარე სიმღერასა! ბულბულის სტვენა ურმულთან შეუდარებელია! მე არ შემიძლიან გამოვხატო სიტყვებით, თუ რა ბევრი მიგრძენია „ურმულის“ გაგონების დროს, იმ ურმულის, რომელიც გამიგონია ღამე სოფელში, როდესაც მოჭრიალებდა ხოლმე ურემი, რომელზედაც – პოეტის სიტყვით – „ნაღვლიანად მეურმე მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა. – ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის ვით გლოვის ზარი; მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს, უკუჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი“... ერთის სიტყვით, ქართველის თვითოეულის მოქმედებისათვის არსებობს თვითოეული მოქმედების შესაფერი კილო-სიმღერა. რამდენათაც მრავალგვარია კაცის მოქმედება, იმდენათ მრავალია თავის სხვადასხვაობით სიმღერაცა... ზემოხსენებულადგან სჩანს, რომ ქართველი ხალხის მრავალგვაროვანი ცხოვრება განუშორებელი ყოფილა სიმღერა-გალობასთან. და თუ ამ გვარი კავშირი არსებობს ხალხის ცხოვრებისა და სიმღერებს შორის – ცხადია, რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს გალობა-სიმღერას ხალხზედ.

მოიგონეთ საბერძნეთის მომღერალნი – რაპსოდები და მათ შორის უკვდავი ჰომერი; საფრანგეთისა და ესპანიის „ტრუბადურები“; გერმანიის „მეიზენჰერები“ და ჩვენი „საზანდარები“, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ... პედაგოგიური მნიშვნელობა გალობა-სიმღერისა და საზოგადოთ მუსიკისა ადვილად გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რა დიდი გავლენა აქვს გრძნობას ჩვენს სულიერს (ცხოვრებაზე: მუსიკა და, რასაკვირველია, კილოც, მეტყველება, ენა გრძნობისა, არამც თუ კერძო პირებისა, არამედ მთელის კაცობრიობისაც. რადგანაც გრძნობა შეიცავს ადამიანის სიხარულსა და მწუხარებას, ფიქრსა და იმედსა, მიზანსა და ლტოლვილებასა, რწმუნებასა, ამისათვის სიმღერა აღიარებს და გვიცხადებს ადამიანის სულიერს ცხოვრებასა... ამისათვის სამშობლო ხმების – კილოების გაგონების დროს კაცი ასე ბევრსა გრძნობს და იგონებს წარსულს. და თუ აგრე ძრვიელ მოქმედობს სიმღერა კაცის გრძნობაზე, ცხადია, რომ იგი აკეთილშობილებს მას და კაცობრიობისათვისაც გასაგებათა ჰხდის. რადგანაც გრძნობა ადამიანის სულიერის ცხოვრების გამამხილებელია, ამისათვისაც უკეთესდება, რბილდება და კეთილ-შობილდება კაცის ხასიათი გალობის ზედმოქმედებით... გალობა-სიმღერას შეუძლიან იქონიოს უაღრესი ნაციონალური (ხალხოსნური) მნიშვნელობა. მუზიკალურის განათლების დედაბოძათ, ქვაკუთხედ უნდა იყოს მშობლიური სიმღერა, სამშობლო კილო. ხალხის სიმღერა არის იდიალური განხორციელება ხალხის ცხოვრებისა, ხალხის ისტორიისა; იგი არის მქონი ნაციონალურის აღზრდის საფუძველისა. სიმღერაში ხალხი იგონებს თავის წარსულს ცხოვრებას, აღმოსთქვამს თავის შეხედულობას ცხოვრებაზე, არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობითაც მკვიდრდება რომელიმე ხალხის სხვადასხვა განცალკევებულის ნაწილების ერთობა! ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანიაში მომღერალთა გუნდებსა გერმანიის სხვადასხვა ტომთ ერთად შეერთებაში. სიმღერა მოაგონებს ხალხს მათ წინაპართა გმირობას, მამულის სიყვარულისა, მამულისათვის თავდადებისა და დაცემულს ხალხს აღადგენს... მოიგონეთ სიმღერები: „თამარ მეფე“, „ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა“, „ლექსი სოლოლაზე“, „არსენა“ და სხვანი. ხალხის მუზიკალურს განათლებას პრაქტიკული მხარეც კარგი აქვს: უქმე დღეებში, ხალხი, შრომას შეჩვეული, ვერ ითმენს ცუდად ყოფნას და არ იცის როგორ გაატაროს უქმე დღე, აი აქ შემწე და ამხანაგათ გლესს უჩნდება სიმღერა. ამ შემთხვევაში გალობაში განვრთნილი კაცი მაშინათვე სიმღერას მიჰმართავს და მხიარულად გაატარებს უქმე დღესაც... სიმღერა რომ უფრო გავრცელებული იყოს ჩვენ ხალხში, უქმე დღეებს ხალხი, ბაზარში ღვინის სმის მაგივრად, სიმღერით გაატარებდა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს ხალხში ესტეტიკური გრძნობა ცოტათ თუ ბევრათ დახშულია... სიმღერას ხელოვნებითი მნიშვნელობაცა აქვს. ჩვენი ხალხი დიდს ნიჭს იჩენს მუსიკაში. ამას ცხადად გვიმტკიცებენ ჩვენის სიმღერების მშვენიერი კილოები, რომელნიც თავის სიტკბოთი და ჰარმონიით არ ჩამორჩებიან ბევრს კომპოზიციის ნაწარმოებსა. ჩვენს ხალხში რომ გავრცელებული იყოს მუსიკალური განათლება, – იქნება ქართველებშიაც გამოჩენილიყვენ მოცარტები, როსსინები, ბეტხოვენები, ტურჩანინოვები, ბარტინანსკები... ამის შემდეგ, ცხადია, რომ ხალხურის სიმღერის კაი ფეხზე დაყენებას დიდი მნიშვნელობა ექნება ეკლესიურის გალობის განკარგულებაზედ...

სიმღერა არის „ხალხური“ და არა ხალხური (ხელოვნური, ბაიათები, მუხამბაზები და სხვა კილოები ჩვენში). ნამდვილს ხალხურს მხოლოდ სოფელში გაიგონებთ და არა ქალაქში (ნამეტნავათ თბილისში) თუ მღერიან ხალხურს სიმღერას, იგი ან ისე გადამახინჯებულა, რომ სრულებით აღარ ისმის ის გრძნობა, რომელსაც მასში სოფლის ხალხი ჰხატავს, ან კიდევ არის კინტოური ერთ ხმიანი სიმღერა და სპარსული ბაიათები. ამისათვის „ხალხური“ სიმღერა შეიძლება ვუნდოთ მხოლოდ იმ სიმღერას, რომელსაც სოფლის ხალხი მღერის, რომელსაც თვით სოფლის ხალხი იგონებს – სთხზავს. ჯერ ძველ დროშიაც არ იყო მაგრე რიგად გავრცელებული ქალაქში ხალხური სიმღერა, რადგანაც ზოგიერთს ქართლ-კახე-

თის მეფეთ სპარსეთიდგან მოჰყვანდათ მომღერლები და ეხლა ხომ რალა! XVI საუკ. მეორე ნახევრიდგან მოყოლებული, როდესაც ქართლ-კახეთის ბედი სპარსთ ჩაიგდეს ხელში, უმეტესი ნაწილი ჩვენის მეფეებისა ყმანვილობიდგანვე იზრდებოდნენ სპარსეთის ყეენის სასახლეში სპარსულს სარწმუნოებაში და ჩვეულებაში. ამისათვის, როდესაც იგინი მოდიოდნენ საქართველოში მეფეებად, – თავის კარზედ – სასახლეში იგეთსავე წყობილებას აწესებდნენ, რომელნიც სპარსეთის ყეენის კარზედ იყო და რომელშიაც თვითონ იყვნენ აღზრდილნი. ერთის სიტყვით, XVI-XVII საუკ. მეორე ნახევრამდინ ქართლ-კახეთის უმეტესი ნაწილი მაჰმადიან მეფეებისა თავის სამეფო კარზედ სპარსულ ზნეს, ჩვეულებას და განათლებას აძლევდნენ უპირატესობასა. ნიჭიერი სპარსეთის პოეტი ჰაფისი დიდს პატივის ცემაში იყო მეფის კარზე. იმის ლექსებს და იმის მწერლობის კილოზედ შეთხზულს ქართულს სიმღერებს აღტაცებით ამღერებდნენ თარზე, ჭიანურზე, დუდუკზე და სხვ. „გაფი“ „ბაიათი“ „მუხამბაზი“ და სხვა ამ გვარები სულ მაშინდელი შემოღებულეებია. საკვირველია, რომ ქალაქში, სპარსულ კილოებს თარ-ჭიანურზედ ისეთი გავლენა ჰქონიათ, ისე ძლიერ გაუდგამთ ფესვები, რომ სხვადასხვა საკრავებზედ ქართული კილოები სრულიად განუდევნიათ და ამოუფხვრიათ! აბა ერთი მომღერალი მიჩვენეთ რომ თარ-ჭიანურზედ ერთი მაინც ნამდვილი „ქართული“ კილო იმღეროს! – ტყუვილად ეცდებით! ჩვენდა საბედნიეროთ, „ხალხმა“, იმ ხალხმა, რომელიც ყოველთვის იყო და არის თავის ნაციონალურის თვისების დამცველი, ამ სოფლის ხალხმა მეთქი დაიცვა და შეინახა თავისი წმინდა ქართველური კილოები სიმღერისა! დიახ, გლეხი ხალხი – „ერი“ იყო ყოველთვის თვისის საყვარლის მამულის ინტერესების დამცველი; იგი ყოველთვის ჰგრძნობდა მომავალს თავის სამშობლოს უბედურებასა და აფრთხილებდა მაღალს წოდებასა, მაგრამ უკანასკნელთ ამაყოფა და პირადი სარგებლობა სულ სხვა ნაირათ არიგებდა საქმესა... – რალა თქმა უნდა, ამის შემდეგ, რომ ვისაც შესწავლა და ნოტზედ გადალება ჰსურს ხალხური სიმღერისა, – იგი უნდა წავიდეს სოფელში, დაახლოვდეს ხალხთან, დაჰყოს მასთან კარგად ხანი და კარგად შეისწავლოს და შეითვისოს „ხალხური კილო“. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან კაცს ნოტზედ გადალება „სამშობლო ხმებისა“...

გადავავლოთ ახლა თვალი ბ. მ. მაჭავარიანის „სამშობლო ხმებსა“, – ასრულებენ იგინი ყველა მოთხოვნილებას „ხალხური სიმღერისას“ თუ ვერა? – ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ გულსაკლავი – „ვერა!“ და აი რათა: ოცს უ. მ. მაჭავარიანისაგან გადაღებულს „სამშობლო ხმაში“ (უკეთესი იქნებოდა ასე ეწოდა უ. მ-ნს თავის შრომისათვის: „მ. მაჭავარიანისა და კინტოების ხმა!“ ერთშიაც ვერ ვიცან „ნამდვილი“ ქართული ხალხური კილო, სამშობლო ხმა! მოკლეთ რომ ვსთქვათ, უ. მაჭ-ის „სამშობლო ხმებში“ ზოგი ქალაქური კინტოური კილოა, ზოგი თვით ავტორისა და ზოგიც უ. ი. გოგებაშვილისა (რომელმაც 1878 წ. ერთს „დროების“ №-ში ქება შეასხა უ. მ. მაჭ-ანს მეცადინეობისა და შრომისათვის და გამოაცხადა, რომ „მე ვუგალობე ზოგი სიმღერა და უ. მაჭ-მა გადილო ნოტებზეო“... ვაი დედა! ეს რა მომღერალი გვყოლია და აქამდინ კი არ ვიცოდით!...) „ზოგი-ერთა სიმღერები იტალიურს კილოზედ არიან გადმოღებულნიო“, ამბობს უ. ი. გოგებაშვილი. რომელის სიმღერის კილო არის იტალიური, დაასახელეთ და! მერწმუნეთ: ეს რომ იტალიელთ გაიგონ, – უჩივლებენ იტალიურის კილოს ამ გვარს შეურაცხყოფისათვი. რომ უ. მ. მაჭ-ნის უსულო კილოებს იტალიური კილო უწოდეს!.. ნეტავი ვიცოდე სახელდობრ, რომლის იტალიურის ოპერიდგან ამოიღო უ. მაჭ-მა თვისის სიმღერების კილო?!.. თუმცა „სამშობლო ხმებში“ არის ორიოდე კილო ხალხური, მაგრამ ისინიც გადამახინჯებულნი არიან უ. მაჭ-საგან. მაგრამ დავინწყით ცალ-ცალკე თვითოეულის სიმღერის გარჩევა. პირველი სიმღერა არის „თამარ მეფე“ (№ 1) – ფერხული. საზოგადოთ ქართლ-კახეთში ორნაირია ფერხული სიმღერა: „მაყრულის“ (იგივე ორ-პირული) კილო და „შავლეგო“-სი. „თამარ მეფე“ კილოთი მიემსგავსება „შავლეგოს“ სიმღერასა; მაგრამ მაინც ფრიად ეტყობა უ. მაჭ-ნის კორპოზიციის გავლენა... უკეთესი იქნე-

ბოდა უ. მაჭ-ნს ხსენებული სიმღერა ერთხელ დაებეჭდა სამ-გზის მაგივრათ, რადგანაც ხარჯი ცოტათი მაინც შემცირდებოდა. ან რა საჭირო იყო სიმღერათა მსვლელობისა და ხასიათის იტალიურად ზედწარწერით გამოხატვა? თუ ქართულად არ იცოდა მათი მნიშვნელობა, შეეძლო აელო უ. „რაჟნოვის“ „ნოტების ანბანი“ და იქ ენახა რუსულად ეს სიტყვები: **Moderato – умеренно** – საშუალოდ. მე ვსთქვი, რომ სიმღერის – პიესის ზედ წარწერა ჰხატავს პიესის მსვლელობასა და ხასიათსა მეთქი. უ. მაჭ-ნს ეს ვერ მოუფიქრებია, აუღია, თავზედ დაუნერია იტალიურად – „საშუალოდ“, შემდეგ (შუა სიმღერაში) კი ქართულის ასოებით და სიტყვებით უწერს: „თანდათან ჩქარა.“ ასე შეიძლებოდა მაშინ, რომ პიესა რამდენისამე ნაწილისაგან ყოფილიყო შემდგარი; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც „თან-და-თან ჩქარა“ **Allergo** უნდა დაენერა, ან არა და სხოლიოში შენიშნავდა, რომ ეს სიმღერა ჯერ ფრიად მძიმედ იმღერება ორ-პირად და შემდეგ, რამდენათაც ხალხის (მოფერხულეთ) მოძრაობას, ტრიალს სიჩქარე ემატება, იმდენათ სიმღერაც ჩქარდება და ბოლოს ისე ფრიად სიჩქარით ამბობენ, რომელსაც „**Allegretto**“ ჰქვიან!! რაიცა შეეხება მუზიკალურს მხარესა – ბლომათ გახლავთ შეცდომები, რომელთ ჩვენება მინდოდა, მაგრამ, ვგონებ, რედაქციისათვის ეს ფრიად სამძიმო იქნებოდა (ნოტების მაგალითების ბეჭდვა). მეორე სიმღერა არის „დეემი“ (№2) ეს კილო უეჭველად უ. მაჭ-ნის ფანტაზიას ეკუთვნის! ვისთვის დასწერა უ. მაჭ-მა ეს კილო: სოფლის ყმანვილისთვის თუ სკრიპკისთვის? ნუ თუ სოფლის ახლად მოსწავლე ბალები მაღალის „სოლ“ და „ლა“-ს აიღებენ ხმითა?! კარგად გალობაში გავარჯიშებულ ყმანვილებსაც ეძნელებათ „ლა“-ს აღება და სოფლის ბიჭისათვის ხომ შეუძლებელია. „დეემის“ კილო არის მძიმე და უგრძობელი; ამისათვის მას ყმანვილების მიტაცება არ შეუძლიან. მესამე სიმღერა არის „ბერი-კაცის ნატვრა“ (№3). ამ სიმღერას ჯერ ერთი ინწყობს და შემდეგ მთელი გუნდიც მიჰყვება. ამ კილომ ერთი დიდმარხვის საგალობელი კილო მომაგონა და არა საყმანვილო მხიარული სიმღერისა. ვურჩევ უ. მ. მაჭ-ნს ამ კილოზედ რაიმე საეკკლესიო გალობა გარდააკეთოს. „თხა“ (№4) ხომ რაღა, ნამდვილი ქართული კილოა! ბატონო! კინტოური სიმღერის კილო გახლავთ, რომელიც ინწყობა ამ სიტყვით „ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს“, ან კიდევ: „სარკე სავარცხელი ხელში მეჭირა!“ ეს სიმღერა უთუოდ უ. ი. გოგებაშვილმა უგალობა და გადააღებინა ნოტზედ, ამას ამ 12 წლის წინათ მღეროდნენ კინტოები თბილისის ქუჩებში და უთუოთ მაშინ ჩარჩა გულში (ხსოვნაში) უ. ი. გოგებაშვილს, როგორც ამბობდა უ. ი. გ. 1878 წლის „დროების“ ერთს №-ში..... „მზე შინაო“ს კილო (№5) არის „იავ-ნანას“ (ყვავილით ავთამყოფის სამღერავი) კილო მხოლოდ გადამახინჯებული ჩვეულებისამებრ ავტორისა. იგალობეთ ერთათ „იავ-ნანა“ და უ. მაჭავარიანის „მზე შინაო“ და მაშინ ცხადათ დარწმუნებით, რომ მას სრულიად არა ჰქონია ესტეტიკური გრძობა.***) არც „ია ვნახოთ ვენახი“ (№6) გახლავთ თავის კილოზედ გადაღებული, რადგანაც ეს სიმღერა იმღერება „ნანას“ (ილ. ჭ-ძის) ხმაზედ. ეს კილო გახლავთ ამოღებული ნახევარი ერთის (აღარ მახსოვს) კინტოური სიმღერიდგან, მეორე ნახევარი თვით ავტორის ფანტაზიიდგან... მეც არ გავკვირდი: რად ნაუნერია ავტორს თავის შრომაზედ „შედგენილი“ და არა „გადაღებული“ მეთქი!... მე შეცთომა მეგონა და თურმე ნუ იტყვით – უ. მ. მ. მართლა თითონ შეუდგენია კილოები! დიდება მოხერხებასა და კომპოზიტორობასა თქვენსა უ. მ. მაჭ-ნო! „ჩიტი და ფეტვის“ (№7) კილო ნამდვილი კახური კილოა, მაგრამ ოთხ ხმაზედ კი არ გალობენ; არამც თუ ამას, არამედ არც ერთი ქართული სიმღერა ანუ გალობა ჩვენი ოთხს ხმაზედ არ იგალობება – ან სამი ხმაა, ან ორი... უმჯობესი იყო უ. ავტორს სამს ხმაზედ გარდაელო, ვიდრე ოთხზედ გადამახინჯებით. ჩვენ ოთხ ხმაზედ გარდაკეთება კი არ გვინდა, ნამდვილის ხალხურის კილოების გარდაღება გვინდა... №8 არის „მაცრული“ ანუ ორპირული სიმღერა. სად და ვისგან გაიგონა უ. ავტორმა მაცრულის ოთხ ხმაზედ სიმღერა? ვაჟო, თუ თქვენ არ იცოდით ამ სიმღერის კილო, ნუთუ საქართველოში არ მოიპოვებინა კარგი მომღერალნი,

რათ არ დაეკითხნით იმათ, რათ არ ისწავლეთ მათგან ჯერ და შემდეგ არ გადილეთ. თუ არა და ძალას ვინ გატანდათ – უეჭველათ გადილეთო! არა, ძმაო, კომანიშვილები, ყარალა-შვილები, ვარდოშვილები, სულხანიშვილები, ჯანდიერები, (კახეთში) აგრე არ მღერიან მაყრულსა!... ნუ თუ ლექსს „გაზაფხული“ (№9) ის კილო შეჰშვენის, რომელზედაც, უფ. ავტორო, თქვენ გადაგილიათ?! ნუ თუ „გაზაფხულს“ (ილ. ჭ-სა) კინტოური კილო შეჰშვენის და არა ჩვენებური, – ხალხური რომლის მამულის ბედსაც ჰხატავს?! ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, კარგის გრძნობის პატრონი ბრძანებულხართ, უ. ავტორო! ხომ გახსოვთ, მკითხველნო, ამ 6-7 წლის წინათ რომ მღეროდნენ კინტოები ქალაქის ქუჩებში: „აგერ მოდის ფარანი, შიგ სანთელი არ არის“ – სწორედ ამ სიმღერის კილო გადულია უ. მაჭ-ნის და ქვეშ მოუწერია დიდ და მრავალმნიშვნელოვანი მშვენიერი ლექსი „გაზაფხული“ ილ. ჭ-ძისა!... მე №10 არის სიმღერა „არაგვი“ ილ. ჭ-ძისა. ვის არ წაუკითხავს ეს ლექსი და ვინ არ იცის, როგორის ელეგიურის ხასიათისა, როგორის მწუხარეს კილოთია გამოხატული ჩვენ ივერიელთა წარსული... აი ეს ლექსი მოუწერია ქვეშ იმ კილოსათვის, რომელზედაც კახელი ხალხი (კახეთშია მოგონილი ამ 10-12 წლის წინათ) თ. რაფ. ერისთავის ლექსს – „წრიდგან გადასული – წრეში შემოსულს“ – „რად შემეყვარებ“-სა მღერიან. მაგრამ ამასაც უ. მაჭ-ნის ზედ მოქმედება აჩნევია: სამხმიანის კილოს მაგივრად ავტორს ოთხხმიანად გადაუკეთებია. კიდევ ვიმეორებ: ოთხხმიანი სიმღერა ჩვენში არ ყოფილა და არც არის მეთქი... „სამხედრო სიმღერა (№11) არ არის ხალხური კილო. იგი არის ერთი „მარში“ დუხავი მუზიკის დასაკრავი. ჩვენს მილიციონრებს აუღიათ ეს კილო და ქართულის ლექსებით უმღერიათ, როგორც მაგალითად „ჩემო ციციანთელავ“. ამ სიმღერას მილიციონერები უწოდებენ „ციციანთელას“ და არა „სამხედრო სიმღერასა“. ეს სიმღერაც შეცვლილათ აქვს უ. ავტორს გადაღებული. „მერცხალი“ (№12) არის გარდაკეთებული ქალაქურის სიმღერის კილოზედ – „მიმინო მყვანდა“, ან „მრავალჟამიერ“. კილო თუმცა სწორედ არის გარდაღებული, მაგრამ მუზიკალური შეცთომა აქვს ოთხს ადგილას... სიმღერა „ყანა“ (№13) არის გადაღებული იმ კინტოურის სიმღერის კილოზედ, რომელსაც ტფილისში ამ 7-8 წლის წინად მღეროდნენ და რომელიც იწყობა ამ სიტყვებით: „ქალო, ხაბარდიანო“ ან „ლიზა მიდის ვერასა“, ან „იხრუეკ და მახრუეკ!...“. „ჩიტი“ (№14) არის გარდაღებული „არაგვის“ (ნ. ბარშვილისა) ხმაზედ; მაგრამ ცოტა გადამახინჯებულად... „გაშვებული ჩიტი“ (№15), როგორც ეტყობა „კოჭებში“ „გარდაღებულია საკუთარ უ. მ. მაჭ-ნის კილოზედ, რომელიც უსულო და უგულო კილოს წარმოადგენს. ამ კილოში აზრი არ არის, აზრი! და თუ კილო ნამდვილად არა ჰხატავს ლექსის აზრსა, უკეთესია დავინწყებას მიეცეს იმ გვარი სიმღერა... “ „ბავშვის სიზმარი“ (№16) არის გარდაღებული ნამდვილათ იმ კილოთი, რომელზედაც მღერიან ხსენებულს ლექსსა, მაგრამ ცოტა კილოს გამოცვლის გარდა, უ. მ.-ს სამის ხმის მაგივრად, რამდენზედაც საზოგადოდ მღერიან, ერთს ხმაზედ გადულია. მშვენიერი მოსასმენია ეს სიმღერა მეტადრე მაშინ, როდესაც ორ-გუნდად – ორ პირად მღერიან საკვირველია: სამხმიანს სიმღერას უ. ავტორი ხან ოთხხმიანათ აკეთებს, ხან ერთხმიანად! რას უნდა მიენეროს ეს, თუ არ ჩვენის ხალხურის სიმღერების უცოდინრობასა?! „მახეში გამბული ჩიტი“ (№17) არის გარდაღებული ისევ იმ კილოზედ, რომელზედაც „ჩიტი“ (№14), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „მახეში გამბული ჩიტი“ უფრო გადამახინჯებულია: შუა კილო – თავშია, თავი – ბოლოში, ბოლო – შუაში... სიმღერა – „ქალების მუშაობა“ (№18) არის გადაღებული იმავე კინტოურის სიმღერის კილოზედ, რომელზედაც „ყანა“ (№13), ცოტათი სხვაფრივ გადამახინჯებული. ეს უთუოთ იმ განზრახვით, რომ უ. ავტორმა საზოგადოება დაარწმუნოს, ვითომ და იტალიური კილოაო... მაგრამ, მისდა საუბედუროთ, შეუტყუეთ ემპაკობა!... მე 19 № არის, „კურდღელი“, რომლის სიმღერამაც 1878 წ. „დროების“ მე 19 №-ის სიტყვით ტფილისის საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. მე მიკვირს, უ. ა. ი. ბერიძემ რატომ არ შენიშნა ავტორს, რომ ეს მშვენიერი სიმ-

ღერა აგრე უღმრთოთ გადუმახინჯებია. როგორც დავრწმუნდი, ქართულს წარმოდგენაში „კურდღელი“ უმღერნია უ. ბერიძეს „თავისებურად“ და არა მაჭავარიანისებრივი, საზოგადოებასაც მოსწონებია და შეცთომით უ. „სამშობლო ხმების“ ავტორი გამოუხშია სცენაზედ... ერთის სიტყვით, რომ იტყვიან რუსები: *на чужой счет гулял*“-ო – სწორედ ისე მოსვლია უ. მ. მაჭ-საც. „კურდღელი“ ორ-ნაირად იმღერება: ერთი ბერიძესებრივი – ორხმიანია და მეორე – ძველი ქართული, სამხმიანი, რომელიც უფრო „სუფრულს“ სიმღერებს მიემსგავსება... მე 20 № არის „ქრისტე აღდგა“. ეს ეკლესიური გალობა დიდი ხანია გადაღებულია ნოტებზედ უ. მიხაილოვისაგან-ჩიჯავაძისაგან (კახელია, სოფ. კისისხეველი). აი, ბატონებო, აგრეთები და აგრე გახლავსთ გადაღებული (უკაცრავად – შედგენილი) „სამშობლო ხმები“ უ. მ. მაჭ-საგან, რომელსაც კილოებითურთ ერთის თვის წინათ ამ შესანიშნავის შრომის გამოსვლამდე უ. ი. გოგებაშვილმა ქება შეასხა... დალოცვილებო, რაკი კილო ქართულის სიტყუვებით – ლექსით იმღერება, – განა იმისათვის კილოც „ხალხური“, სამშობლო ხმა იქნება?! ან ვის გაუგონია უ. ი. გ-შვილის მომღერლობა, რომ მის ნამღერალს იღებენ ნოტებზედ?! ერთი მითხარით, თუ ღმერთი გრწამსთ: როგორ გადიღებდა ხალხურს კილოებს ის ადამიანი, რომელსაც არამც თუ არ უსწავლია, არც კი გაუგონია ნამდვილი ხალხური კილო, – ისიც არ იცის, თუ რომელს და რამდენს ხმაზედ მღერიან ქართველები!! მოუყოლებია უ. მ. მაჭ-ს და აგრე ჰყოფს ხმებსა: „მაღალი ბანი პირველი“, „მაღალი ბანი მეორე“ (№19) Soprani, Alt, Tenori, Basso (№11). „ავთანდილის ლექსში“ შემდეგს ოთხს ხმას აგალობებს უ. მაჭავარიანი: კრინი, მოძახილი, მაღალი ბანი, ბანი (№8). აბა ერთი უჩურობლეთ ქართველს მომღერალს ეს ხმები – რას გეტყვისთ! ესვე ოთხი ხმა არის სიმღერაში „ჩიტი და ფეტი“ (№7). სიმღერაში „თამარ მეფე“ უ. მენონტე ასე უწოდებს მეორე ხმასა: „მაღალი ბანი – მოძახილი... ერთის სიტყვით, როგორც მოუნდომებია, ის წოდება მიუცია თვითვეულის ხმისათვის უ. ავტორს უ. მაჭ-ს უნდა შევნიშნოთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ იცოდეს: ა) ხალხური სიმღერა სოფელში უნდა შეასწავლოს; ბ) ქართულს სიმღერაში სამის ხმის მეტი არ არის: 1. მაღალი ბანის თქმა, 2. მოძახილი და 3. ბანი; გ) როგორათაც ავტორის „სამშობლო ხმები“ ამტკიცებს, იგი კომპოზიტორობისათვის არ ყოფილა დაბადებული. ამისათვის ვურჩევთ თავი დაიმდაბლოს, დაანებოს კომპოზიტორობას თავი და შეუდგეს ისევ იმ საქმესა, რომლისათვისაც მოწოდებული არის, ე. ი. ასწავლოს ყმანვილებს ის რუსული (და არა ქართული, რადგანაც სრულიად არ იცის უ. მ. მაჭ-მა) სიმღერები და გალობები, რომელნიც მას გაგონებით, თუ სხვა ღონისძიებით შეუთვისებია. თუ აქვს კიდევ მომზადებული ქართული სიმღერები დასაბეჭდათ, ვურჩევთ შეაფურთხოს ეშმაკს და დახიოს, ანუ მენვრილმანეებში გაჰყიდოს – გირვანქაში ორ შაურს მისცემენ და ასეც კარგია ამ ფულის ძვირობაში... ღვთის გულისათვის, უ. მ. მაჭ-ნო, ამყოფეთ ქართულს ხალხურს სიმღერას ის შეურაცხყოფა, რომელიც თქვენ მიაყენეთ მას თქვენის „სამშობლო ხმების“ გამოცემითა!...

ქ. თელავი, სექტემბერი.
რომან ძამსაშვილი-ცამცივი

^{*)} ეს წერილი გავგზავნე 1878 წ. „ივერიის“ რედაქციაში, მაგრამ არ დამიბეჭდეს. როდესაც „დროება“ და „ივერია“ შეერთდნენ, უ. ზ. ჭიჭინაძეს დავავალე ამ წერილის გამორთმევა და დაბრუნება. უ. ნ. ქ-ვს ეთქვა, რომ ეს წერილი „დროების“ რედაქციაში გარდავეციო. მე ვკითხე უ. ს. მესხსა და ამან მიპასუხა, რომ არ მინახავსო... იციან ბიჭებმა!

ავტ.

**) თუ გვალვია და წვიმას სთხოვენ – ამბობენ „ღმერთო მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გოროხი; თუ გვალვასა სთხოვენ – „ღმერთო მოგვეც გოროხი, აღარ გვინდა ტალახი“. ამ ჩვეულებას „გონჯაობასაც“ უწოდებენ და, მგონია, წარმართობის დროს ეკუთვნის, რადგანაც კერძს „გონჯას“ ატარებენ ქალები...

ავტ.

***) ამ სიმღერისათვის ზევიდგან დაუწერია ავტორს: „სამი ქალის სიმღერაო“, ასე ჰგონია სამი ვაჟი კი ვერ იგალობებდეს...

ავტ.

1882

45. დროება, 1882, 14 იანვარი, №9, გვ. 1-2-3

ქართული საეკლესიო გალობა

კვირას, ამ თვის 10-ს. ანჩისხატის ეკლესიაში იგალობეს ქართველებმა კარბელოვებმა. ეს წინადა „დროებამ“ შევიტყეთ, რომ ამ კვირას კარბელოვის გალობა იქნებაო. საკუთრად არ ვიცით, რათ უწოდებენ ამ გალობას კარბელოვისას, როდესაც ეს გალობა ქართლ-კახეთში ყველგან არის და იციან, უკეთესი იქნება დავარქვათ ქართული გალობა.

საკუთრად რა იყო შესანიშნავი? სულ სამი კაცი გალობდა. ორნი ძმანი კარბელოვები და ერთი მღვდელი, ვგონებთ მამა მღებრიევი. მაშასადამე სრული დასი არ იყო, რადგანაც ქართულს გალობაში ექვსი ხმა უნდა იმყოფებოდეს; სამი ნამდვილი და სამი იგივე ოქტავით დაბალი.

რა უნდა ვსთქვათ ან ქართულს გალობაზე ან გურულზე, რომლის დასს შეადგენენ აქამომდე სამიოდ კაცნი? რა განსხვავებაა მათში?

ქართლული და გურული გალობა ორივე ერთი და იგივე ხმაა (მოტივებია); განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ გურული გალობა უფრო გაგრძელებით, ვარიაციებით, ხმის კლავინით იგალობება და ამასთან ცხვირში ხმის გამოცემით; ქართლული გალობა უფრო პირად ხმის გამოცემით, გაუგრძელებლად და უვარიაციებოდ, ხმის დაუკლავცნელად. ქართლელმა მგალობელმა რომ ცხვირში იგალობოს, ხმა დაკლავცნოს და გააგრძელოს, გურული გამოვა; გურულმა რომ პირი კარგა დაალოს და ხმა პირდაპირ გამოუშვას, ცხვირიდამ არ გამოსცეს, ქართლული გალობა გამოვა. რასაკვირველია, არის საგალობელი, რომელსაც სხვადასხვა მოტივები აქვს.

ცხადია, რომ აქ მოტივებზე არა ვლაპარაკობთ, მაგ: წირვის გალობას სხვადასხვა მოტივები აქვს.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი მოტივები ქართლ-კახეთში დარჩენილა, ზოგი დავიწყებიათ და გურიაში უფრო დარჩენილა.

ჩვენის აზრით, ორივე კილო ქართლ-კახეთისა და გურულისა უნდა შეერთდეს, ერთ-გვარი მოტივები, დავიწყებული განახლდეს მცოდნეთაგან.

აგერ ოთხი წელიწადია, რაც პატივცემულმა ყოვლადუსამღვდელოესმა ალექსანდრემ მოინაძინა ქართული გალობის აღდგენა, შრომა დასდვა, ფული შესწირა ამ საქმეს და სხვებისგანაც შეაგროვა. საჭირო იყო, რომ ვისაც მინდობილი ჰქონდა, საქმე თადარიგინად დაეჭირა. მაგრამ დღევანდლამდე ყოველი ხარჯი და შრომა ამ საქმეზე თითქოს უნაყოფოდ რჩება.

არც მგალობლების დასსა ვხედავთ, არც გალობასა. ვინც ამ ოთხი-ხუთი წლის წინად იყო მგალობელი, ისევე იგინი არიან, ჯამაგირი ეძლეოდათ და სხვებისთვის კი არ უსწავლებიათ. ასე ჰგონიათ რაკი ქართულს გალობაში სამი ან ექვსი ხმა უნდაო, სამი ან ექვსი კაცის მეტი მგალობელი არ შეიძლებოდეს. არ იციან, რომ პირველი ან მეორე, და ან მესამე ხმის მგალობელი შეიძლება თვითონ ორი სამი კაცი ერთად გალობდეს, როგორც ევროპიულ გალობაში.

მგალობლები ასე ჰგონებენ, რაკი ჩვენ სხვებს ვასწავლითო, ჯამაგირს მოგვიკლებნო და ცარიელზე დავრჩებითო. ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ მგალობლები სულ უარზე არიან, არავის არ ვასწავლითო. ერთის სიტყვით, საქმე ჯამაგირზე და ფულის აღებაზე ყოფილა; რის გალობა, რის მგალობელთ დასის შედგენა, რის გალობის გამშვენიერება.

ზოგი ქართულ გალობას ამჯობინებდა, ზოგი გურულს, ე. ი. ზოგი ერთ მგალობლები-საკენ იყო, ზოგი მეორეთკენ. როგორცა ჩანს, პატივცემულს ყოვლადუსამღვდელოესს ალექსანდრეს კეთილი სურვილი ვერ აუსრულეს. მომავალშიაც გარემოება თუ ასე დარჩა, არაფერ ნაყოფს არ გამოიღებს, ხარჯი ტყუილად გაიფანტება და ფულის შემწირველთაც გულს აუცრუებს.

როგორც გალობის დასის საქმე უნაყოფოდ დარჩა, მეორე საქმე, გალობის ნოტების დაწერაც უქმად ჩავიდა. ამბობენ, მაჭავარიანი და ცამცივივი შესდგომიან და კიდევ დაუნერიათ ნოტებიო. მაჭავარიანს წინადავე ჯერ აუსრულებელის საქმისათვის ორმოცი თუმანი მიეღოვო. ჩვენ კარგად ვიცით მაჭავარიანმა ქართული სიმღერები დასწერა და დააბეჭდვინა კიდევ. აღმოჩნდა, რომ ამ ნოტებით არც სიმღერა შეიძლება, არც რამე საკრავზე დაკვრა; მაჭავარიანმა გამოიჩინა სრულიად უცოდნელობა მუზიკის სულ პირველის ანბანისა. უეჭველად, ცამცივივიც ამ გვარი დამწერი უნდა იყოს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სანამ მაღალი მუზიკის სკოლაში განვრთნილი არ იყოს, საკუთრად მუზიკის ვრცელი სწავლა არ მიეღოს კაცსა, იმას ნოტების წერა არ შეუძლია. ათასი რეგენტები რალაცა ნოტებსა სჯღაბნიან, მაგრამ იმათის ნაწერის ნოტებით დაკვრა ან გალობა არავის არ შეუძლია, სანამ თვითონ გალობით არ ასწავლონ. ნოტის წერა კი იმასა ჰქვია, რომ დამკვრელსა და მგალობელს, თავის დღეში რომ არც კი გაეგონოს, ის ხმა დაუკრას. ამ ცრუპენტელა რეგენტებს კი სულ სხვა ოინი მოსდით და მათს ნაწერებს ვერავინ ვერა თხოულობს, ვერ არჩევს

ზემოსხენებულის მთლად ამ ლაპარაკისაგან ის გამოდის, რომ როგორც აქამომდე იყო გალობის საქმე, იმავე მდგომარეობაში არ შეიძლება დარჩეს. სამჯობინარო რამ უნდა მოგვარდეს და საქმე სულ სხვა გვარად დაიწყოს.

პირველად ეს აზრი ებადება კაცს: სად უნდა გაიმართოს გალობა, ვინ უნდა იყოს მოთავე? ნუთუ მხოლოდ გალობის კომიტეტი და სხვა არავინ?

კომიტეტზე შემდეგ ვილაპარაკებთ და ახლა იმას უნდა დავაკვირდეთ – სად იმართება გალობა?

ცხადი საქმეა, რომ რაკი საეკლესიო გალობაა, თვით ეკლესიებში უნდა იმართებოდეს მგალობელთა გუნდი ანუ დასი – აბა მივიხედ-მოვიხედოთ ქალაქში, სომხებისა და კათოლიკების ეკლესიებში შევიხედოთ, ვინ არიან გალობის მოთავენი? თვითონ ეკლესიის სამღვდელეობა. ყოველ ეკლესიის მღვდელ-წინამძღვარი თავისის კრებულით ცდილობენ თავის ეკლესიის გაბრწყინვალებასა, გამშვენიერებასა თუ გარეგანის შეხედულობით და თუ შინაგანის მოწყობილობით და ამასთან გალობით.

ეს მაგალითი ადვილათ დასანახვებელია.

განა არ შეუძლიათ მართლმადიდებელს ეკლესიის მღვდლებს იმათს მაგალითს მიხედონ? ნუთუ აქაც სულ ფულზეა საქმე მივარდნილი? ქალაქში ამდენი სომხის და კათოლიკის ეკლესიებია, მგალობლები სულ მუქთად გალობენ მრევლის ყმანვილები. ვინ ასწავლის გალობას? თვით მღვდლები და დიაკვნები.

მაშასადამე, ქალაქის ქართველთ ეკლესიების მღვდლებს და დეკანოზებსა აქვთ ვალი, იმათი პირდაპირი ვალდებულებაა, როგორც ეკლესიის გაბრწყინება, აგრეთვე გალობის გამართვა. როცა ასე გაირჯებიან, მრევლსაც მიიზიდვენ. ნუ თუ ვერ შეიძლება ექვსიოდე ყმანვილი იპოვნონ მრევლში, რომ თავისუფალ დროს სალამოობით საგალობლად მოამზადონ და კვირა-უქმობით აგალობონ? ეს ძალიან ადვილია ჩვენს ქალაქევეშიაც და სოფლებშიაც. ყმანვილებს გალობა უყვართ, ეხალისებათ და ძალიანაც მოინადინებენ. ამ შემთხვევაში მღვდლებს შეუძლიათ შემწეობა სთხოვონ დედ-მამებს, სკოლის მასწავლებელთ. ქალაქ თბილისში რამდენიმე ქართველთ სასწავლებელია და იმათი მასწავლებელნი, ვგონებთ, გულიანად დაეხმარებიან, რადგანაც იციან, რომ გალობა ადამიანს ესთეტიკურს გრძნობას უღვიძებს.

მეორეს მხრით, საჭირო იქმნებოდა და ვგონებ, უარსაც არა იქმს, რომ სამღვდლო მთავრობას მღვდლებისათვის წინადადება მიეცა გალობის გამართვისათვის ყოველს ეკლესიაში. ეს იქმნებოდა ერთი გამაბრწყინებელი საქმე ეკლესიისა.

მაშასადამე, აქ საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ორი-სამი კაცი ჯამაგირით ექროთ; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველს საყდარში მგალობლების დასი, გუნდი შესდგეს ექვსიოდე ათამდის ანუ მეტის კაცისაგან, რომელნიც კვირა-უქმობით უნდა გალობდნენ თავის სამრევლო ეკლესიაში.

ახლა ქართულ გალობის აღმადგენელს კომიტეტზე მოვიხსენოთ რამდენიმე სიტყვა.

აგერ მეოთხე წელიწადი იქნება, რაც დაფუძნდა კომიტეტი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის ნება დართვით. ამ კომიტეტს განზრახვათა აქვს აღადგინოს ქართული საეკლესიო გალობა, და ყველა ხმები ნოტებზე გადაალებინოს დასაბუქდად. მეცადინეობა და ხარჯიც გასწია, მაგრამ გალობის საქმე დღევანდლამდე იმავე მდგომარეობაშია დარჩენილი. კომიტეტმა ნოტებიც დაანერინა და ვერ გამოდგა.

ესეები კომიტეტს, რასაკვირველია, გამოურკვევლობისაგან მოუვიდა. მაგრამ, რადგანაც მისის კეთილის აზრის წარმატება გვსურს, არ შეგვიძლია, რომ აქ ჩვენი წინადადება არ გამოვსთქვათ მისს სასარგებლოდ.

ჩვენის აზრით, საჭირო საქმე იქნება, რომ:

1) კომიტეტმა თბილისის მღვდლები მოიწვიოს და წინადადება მისცეს მგალობლების გუნდები გამართონ ყველამ თავის ეკლესიებთან ისე, როგორც ზემორე მოვიხსენეთ.

2) ჯამაგირით იყოლიოს ერთი ან ორი კარგი მცოდნე და სხვადასხვა ხმებისა, სხვადასხვა წირვა-გალობისა, ისეთი, რომ სხვების სწავლებაც შეეძლოს და ვალად დასდვას, რომ კომიტეტის ბრძანებით ჯერ ერთის ეკლესიის გუნდს ასწავლოს, მერე – მეორე ეკლესიას. ამ გვარად, ჩამორიგებით, ქალაქის ყველა ეკლესიებს ჩამოუაროს, თითოეულს რამდენსამე თვეს თავს დაადგეს. ვალად დაედვას, რომ მგალობელთ გუნდი თან არ ატაროს და ერთის ეკლესიიდან მეორეში არ გადაიყვანოს. გუნდი შედგენილი იყოს არა ნაკლებ ექვსის, ან ათის კაცისა.

3) ყოვლადუსამღვდელოესს ეგზარხოსს სთხოვონ, რომ მიწერილობა გაუგზავნოს ქართლ-კახეთს და იმერეთს – ყველა საქართველოს სოფლებში და ქალაქებში მღვდლებს, რომ ეკლესიების გასაბრწყინებლად გუნდი გამართონ არა ნაკლებ ექვსის კაცისა. ამასთანავე მღვდლებმა სოფლის მასწავლებლებს სთხოვონ დახმარება ყმანვილებისა. შეიძლება ყოვლადუსამღვდელოესს სთხოვონ, რომ თბილისის და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორებს მიწერილობა გაუგზავნოს სკოლის მასწავლებელთა დახმარების თაობაზე.

4) ნოტებზე გალობის გადასალებად უნდა მიწვეულ იქმნას კარგი მცოდნე მუზიკისა. თბილისში იტალიანელები ბევრნი არიან, რომელნიც ყველა ხმების ნოტებსა სწერენ. საჭიროა თბილისის მუზიკალურს საზოგადოებას სთხოვონ შემწეობა, რომ ნოტების დამწერის

მონვევაში მონაწილეობა მიიღონ, აგრეთვე დაწერილის გასინჯვაში. არიან ქალაქში რამდენიმე ჩვენებური კაცები, რომელთაც მუზიკა კარგად იციან: ბატონი სავანელი, მიზანდარი, ალიხანოვი. არა გვგონია, რომ თუ ბეჯითად მიიწვიეს, ამათ უარი სთქვან. საზოგადოდ ნოტებზე გადაღების საქმე მუზიკალურის საზოგადოების და კაცების დაუკითხავად შეცდომა იქნებოდა. ამას ვიტყვით, რომ ფულის მძებნელი ბევრი გამოჩნდება რომ მე დავწერო; გამრჩევიც უნდა იყო, თორემ მაჭავარიანსავით და სხვა რეგენტებსავით მთხოვნელებზე და მჯღაბნავეებზე ფულის გადაყრა ცოდვაა.

საბოლოოდ ამას ვიტყვით, ჯერ პირველად საჭიროა ეკკლესიებში მგალობელთა გუნდები დაფუძნდეს. როცა ეს საქმე გაიმართება, ნოტების წერა მერე შეიძლება. თუ ერთი სრული გუნდი არა გყავთ, სვინდისიანი ნოტის დამწერი არც კი შეუდგება წერას. თავისით ხომ არ მოიგონებს; თუ სრული ხმებით შეწყობილი გალობა არ გაიგონა, როგორ დასწერს?

ვისურვებთ სულითა და გულით, საქმე კარგა წარმართულ იქმნას. იმედია, თუ კომიტეტი ბეჯითად შეუდგა ამ მოსაზრებას, უეჭველად საქმე კარგა გაიმართება.

ჩვენ არ ვიცით, კომიტეტში წევრებად ვინ არიან. მაგრამ გვგონია, ქალაქის ყველა ეკკლესიების მღვდლები ხანდახან რომ მიწვეულ იქმნან, კარგი იქნებოდა. აგრეთვე კომიტეტის თვეში ან ორ თვეში ერთს დღეს დანიშნულს რიცხვს რჩევისათვის საერო კაცთაგან მცოდნე კაცები რომ მიენვია, სასარგებლო იქნებოდა.

ანჩხატელი [პეტრე უმიკაშვილი]

46. დროება, 1882, 22 იანვარი, №15, გვ. 2-3

კიდევ ქართულ გალობაზე

„დროების“ მე-9 №-ში ნავიკითხე ბატ. ანჩხატელის წერილი „ქართული საეკლესიო გალობა“ და ძალიანაც მასიამოვნა მასში გამოთქმულმა აზრმა. ეს კია, რომ თავიდგანვე დრტინავს ბ. ანჩხატელი – ცუდად რათ მიჰყავთ გალობის აღდგენის საქმეო?

რამდენადაც გვახსოვს, ბ. ანჩხატელის წინანდელი წერილები „გალობაზედ“ არ ეთანხმებიან მე-9 №-ში დაბეჭდილს წერილს. ამასთან ბ. ანჩხატელს აკვირვებს, რომ „ქართლ-კახეთის“ კილოს „კარბელოვის გალობას“ უწოდებენ. მე კი არ მაკვირვებს: ამ საუკუნის პირველმა ნახევარმა ბევრი კარგი ხელუხლებელი მგალობელი ჩააბარა შავ მიწის უბეს: დიდი გეონტი, პატარა გეონტი, თაზიშვილი, სოფრონ არხიმანდრიტი (ერისთავი), დიმიტრი ბერი, პეტრე მგალობელი და სხვ. დარჩა მათგან მხოლოდ მღ. კარბელოვი, რომელმაც 1861 წლიდან ვიდრე 1873 წლამდე გაავრცელა, რამდენადაც დრო-ჟამი ხელს უწყობდა, გალობა ქართლ-კახეთში. თუ ეძახიან ქართლ-კახეთის კილოს „კარბელოვისას“, ალბად ამისთვის. ჩვენ კი ბ. ანჩხატელო, ერთად ვინატროთ გალობა, თუნდ „ქართლული“ დაერქვას, თუნდ „ხევსურული“.

ერთიც ესაა: 1878 წ. 14 სექტემბერს რომ სიონის სობოროში ქართული გალობა იყო (გურულები და კარბელოვები რომ გალობდნენ) მაშინ იმ გალობამ „აღვტიცათ გონებით ღვთისა მიმართ“, „ავიშალათ ესთეტიკური მგრძნობიარება“, „შეგაერთათ მიწიერი ციურთა თანა“, თუმცა მაშინაც ორივე გუნდი სამ-სამი კაცისგან შესდგებოდა – და მათს გალობას „მოუმზადებლობა ეტყობოდა“. ეხლა კი 10 იანვარს ანჩხატის სობოროში გალობას მითომ წუნსა სდებთ – „სამი კაცი გალობდო“. თუმცა ეს გალობა ერთი-ორად უკეთესი იყო 1878 წ. 14 სექტ-აზე.

მართალია, სხვა სამი ხმაც რომ იყვეს, ე. ი. სხვა სამი მგალობელიც რომ იყვეს, უკეთესი იქმნებოდა. რაც შეეხება ქართლულ-გურულ კილოთ განსხვავებას, იგი თქვენ გამოხატეთ ხელოვნურად მგონია 1878 წ. მე ჩემის მხრივ ვიტყვი, რომ „წირვის გალობა“ სრულიად სხვაა. არის ერთგვარობა მხოლოდ „რვა ხმებში“.

დიდად პატივცემულის ეპისკოპოსის ალექსანდრეს ღვანლმა რომ ამოდ ჩაიარა, რომ 5000 მანეთამდე ფული ტყუილუბრალოდ იქმნა დახარჯული, – ეგ უეჭვო სიმართლეა; და თუ მაგ ფულს და ღვანლს კარგი ბოლო ჰქონოდათ, ყველასთვის სასიხარულო იქმნებოდა. რაც იყო, იყო. ვეცადოთ რაც იყო, აღარ იყვეს.

საკუთარი სპეციალისტი – ნოტების მწერალიც დიდად კარგია, მაგრამ სანამ იგი ამოგვინათებდეს, მანამ? – მანამ ვისხდეთ?

ბატონო! ჩვენ მღვდლებს რა სომეხ-ფრანგების მღვდლებზე უთითებთ! იმათ რომ მელქი-სედეგ მღვდელი, დიდი ვასილი, ოქროპირი, მასსილიონი და სხვ. დღეს ფეხზედ წამოუყენოთ თვალწინ, მაინც მალა არ აიხედვენ... მაინც ჯიბეში აპოტინებენ ხელებს... განა ჩვენ მღვდლებს არ შეუძლიანთ, რომ მათ შვილებს ნამდვილი სამღვდელოებრივი აღზრდა მისცეს იმ სკოლებმა, რომელთაც იგინი ინახავენ? რომ მის მაგიერ „პირსები“ და „ოკოლდორნიკები“ გამოდიან. რისგან არის, რომ მათმა შვილებმა სწავლის შესრულების შემდეგ „ანაბანა“ არ იციან, რომ იგინი ხალხს არ იცნობენ და ხალხი მათ ვერ სცნობს? განა არ შეუძლიანთ ქართული ენის, ქართული ისტორიის, ლიტერატურის კითხვის და გალობის კათედრები მოითხოვონ შტატი? – შეუძლიანთ ყველა ესე, მაგრამ... მახლას... რომ არ ძლებულობენ? მტრობა, ბეზლობა, ფარისევლობა – აი მათი სფერა. იგინი ფიქრობენ თავიანთი შვილების გასტუმრებას საიქიოს ოქროპირის, ვასილი დიდის, მასსილიონის და სხვ. ქადაგებების მოსასმენად: აბა რას აქნევენ (!) „ქართულს“ ან გალობას?

სხვებრ თვით ჩვენ გავმხნევედეთ, ლაპარაკს ვუკლოთ და საქმეს შევუდგეთ; მივსცეთ ერთმანეთს მშველელი ხელი და ნუ ჩავიტანთ მიწაში მამა-პაპათ მიერ ანდერძებულ განძეულობას.

პ. ცხვილოელი [პოლიევქტოს კარბელაშვილი]

47. დროება, 1882, 29 იანვარი, №21, გვ. 3-4

წერილი რედაქტორთან

ამ წლის მე-9 №-ში თქვენის პატივცემულ „დროების“ გაზეთში ნავიკითხე სტატია ანჩხატელისა შესახებ ქართლულ-კახურისა და გურული გალობისა, რომელშიაც რაოდენიმე სიტყვა შემეხება მე ქართულ გალობის მასწავლებლათ თბილისში მოწვეულს. ამის გამო გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ჩემ წერილს ადგილი უბოძოთ.

ბ. ანჩხატელი დასწრებია ათს ამ იანვარს ანჩხატის სობოროში კარბელოვების და მღვდლის მღებრიევის გალობას და თვით იმ მგალობლებს, რომელნიც 1878 წ. იყვნენ ჩემი მოპირდაპირენი, როდესაც ქართული გალობის მოყვარე საზოგადოება, სამღვდელო თუ საერო პირნი, ეძიებდა ნამდვილ მცოდნე მგალობელს ქართული საეკლესიო გალობისა. გამოგვცადეს ეკლესიაში და სახლში და ყოველგან ჩვენ, გურულები აღმოვჩნდით ნამდვილ მცოდნედ. ამისთვის შეადგინეს განაჩენი და წარუდგინეს მის მალაყოვლადუსამღვდე-

ლოესობას საქართველოს ეგზარხოსს იოანნიკეს და მან დამამტკიცა მე ეკლესიურ გალობის მასწავლებლად. შემდეგ ერთის წლისა ყოვლადუსამღვდელოესობის ბრძანებით, გალობის საქმე მიანდვეს ეპარხიის კრებას. და იმანაც გვიცნო ჩვენ ნამდვილ მცოდნედ ქართ. ეკლეს. გალობისა.

მაშასადამე, შემდეგ ამისა არავითარი ლაპარაკი და ძიება იმაზედ, თუ ვინ უკეთესად იცის გალობა და ვინ არა – აღარ არის საჭირო. ქართული საეკლესიო გალობის მოყვარე პირთ მართებთ ახლა მხოლოდ იშოვნონ კარგი და საფუძვლიანად გამოცდილი მუსიკის მცოდნე, თვარა ამ ნაირი ქიშპობით არა თუ ნოტებზე გადაკეთდება, არამედ სრულებით მოისპობა.

ბ. ანჩხატელი ბრძანებს ქართლური და გურული გალობა ერთი და იგივე ხმა არისო, გურული გალობა უფრო ვარიაციებით, ხმის კლავნიტ და ცხვირში გამოცემით იგალობებო; ქართლელმა მგალობლებმა რომ ცხვირში იგალობოს, ხმა დაკლავნოს და გააგრძელოს, გურული გამოვაო; გურულებმა რომ პირი კარგად გააღონ, ხმა პირდაპირ გამოუშვან, ქართლური გამოვაო. მშვენიერი აზრის დასკვნა გახლავს ბ. ანჩხატელისა საეკლესიო გალობის ცოდნის შესახებ! ყოველი კაცი მიხვდება, რომ ბ. ანჩხატელს შესახებ გალობისა და მის კილოსი და ხმების ცოდნის სრულიად არა გაეგება რა; ის უყურებს მხოლოდ ხმის ძვერას და ის ესმის მხოლოდ; იმისი აზრით ოღონდ პირი დააღონ და პირდაპირ სთქვან, შეიქნება ქართლური გალობა; და თუ ხმა დაკლავნონ, ცხვირში გამოუშვან, შეიქნება გურული. მაგრამ მაინც ცოტათი უაღრესობას აძლევს გურულ გალობას, როდესაც ამბობს, ზოგი მოტივები ქართლ-კახეთში დავინწყებიათ და გურიაში კი უფრო დარჩომილაო.

რაიცა შეეხება ბ. ანჩხატელის აზრს ნოტების შედგენისათვის მონვევას გამოცდილი მუსიკის მცოდნე პირისა, ეს დიდი სასიამოვნო გახლავს, თუ ვინმე აღმოჩნდება ისეთი პირი.

ახლა ვთქვათ, თუ რამდენად დამოკიდებული იყო ქართლ-კახეთში ქართული საეკლესიო გალობის სწავლის გავრცელება გურიაზედ. ყველამ იცის – თუ საქართველოს მეფე ირაკლი და კათალიკოსი ანტონი როგორ მეცადინეობდნენ ეკლესიების განმშვევნებას. ამათ დანახეს საეკლესიო გალობის საჭიროებაც; იმისათვის მოიწვიეს გურიიდან მგალობელი გერასიმე, გვარად ანთაძე და ძმა მისი ოთარ და შვილი მისი გიორგი, რომელთაც შემოიტანეს ეკლესიური გალობა. მეფე ირაკლიმ უბოძა ამათ მამული ალაიანში და დაასახლა იგინი აქა. გერასიმე, როგორათაც სრული მგალობელი იწოდებოდა ლოტბრადა და მონაზვნად გარდაიცვალა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში 1805 წ. (იხ. ჟურნალი „ივერია“ 1880 წ. №1, „მეფე გიორგის ცხოვრებაში“ შენიშვნა, გვ. 141).

ქიზიყში დღეს ყველამ იცის გარდმოცემით დიდი მგალობელი იოანე ბოდბელისა – საბა. ესეც გახლდათ გურიიდან მონვეული, გვარად ჟლენტი. საქართველოში განთქმული დიდი მგალობელი გერონტი, გვარად ბებურიშვილი, შესავსებად ქართული გალობისა, ცხოვრობდა გურიაში რაოდენსამე წელიწადს და სხვ.

*ქართული გალობის მასწავლებელი
ლოტბარი მელქ. ნაკაშიძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წერილი რედაქტორთან

(დასასრული)

ამასთანავე უადგილო არ იქნება ბ. ანჩხატელს მოვარგონო სიტყვანი განსვენებულს თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიც სხვათა შორის, წერს ერთს თავის თხზულებაში: „რად დავივინყნეთ ის ჩვენი მამა-პაპის კარგი განწყობილი გალობა?.. გურულებო, ჩვენის სამშობლოს და ენის სადღეგრძელოდ, თქვენ მაინც ნუ დავივინყებთ ჩვენი მამა-პაპის ეკლესიურ გალობასა, იმ ღვთის სასიამოვნოს, წყნარს და მშვიდობიან გალობასა.“

ეს სიტყვები მისთვის მოვიყვანე, რომ თუ განსვენებულის ორბელიანის დროს გამქრალი იყო აქ გალობა, ეხლა ამათ საიდგან შეიძინეს?

გურიიში არსებობდა და არსებობს კიდევაც ნამდვილი ქართული გალობა, და არც ისე იგალობება ყველასაგან, თავისთავად მოხერხებული, როგორც ბრძანებს ბ. ანჩხატელი.

რაიცა შეეხება ჩვენს საფუძვლიანად ცოდნას საეკლესიო გალობისა და ბ. კარბელოვებისას, ამაზედ არას ვიტყვი; სჯავს მივანდობ იმისთანა პირებს, რომელთაც ესმით გემოიანი და კილოიანი გალობა, და აგრეთვე იმათ, რომელთაც მოისმინეს სიონის სობოროში მწუხრად და წირვაზედ ნინოობის დღეს ამათი გალობა.

ეხლა ვთქვათ უსაფუძვლო ცილისწამებაზედ ბ. ანჩხატელისა: ვითომც ოთხი წელიწადი ვართ აქა და არავისთვის გვისწავლებია. თუ მართლა ეს ასე არის, კომიტეტმა რად გამოგვიცხადა მადლობა 1879 წ. „დროების“ 238 №-ში შაგირდების სწავლისათვის და ნოტებზედ გადაღებისათვის? რისთვის გამოგვიცხადა მადლობა არხიმანდრიტ მაკარიმ იმავე გაზეთის 180 №-ში 1880 წ., ანუ რისთვის დასწერა „დროებაშივე“ ალექსანდრე ეპისკოპოზმა, რომ შაგირდებს დაასწავლეს გალობა მგალობლებმა და მშვენიერადაც გალობენო? ამასთანავე, საკვირველია, ბ. ანჩხატელი საიდგან მიმხვდარა იმის მიზეზს, რომ ვითომც ჩვენ არ ვასწავლით მისთვის, რომ ჯამაგირს მოგვისპობენო! ჩვენ ეს არასოდეს არ გვიფიქრნია და არც ვიფიქრებთ. გალობის კომიტეტი გვასწავლებინებდა შაგირდებს სიონის გალავანში, დღეში ოთხ საათს, პირველ ნოემბრის თვემდე 1881 წ. შემდეგ ამისა, სახლის უქონელობისა და უფრო სიცივისა გამო, აღარავინ მოვიდა მოსწავლეთაგანი.

ბ. ანჩხატელი ამბობს: საქმე სულ ჯამაგირის და ფულის აღებაზე ყოფილაო. მაგრამ აგერ ცხრა თვეა, ჩვენ ჯამაგირი არ მიგვიღია, დღე-დღეზედ გვპირდებიან და შიმშილით ვიხოცებით.

*ქართული გალობის მასწავლებელი
ლოტბარი მელქ. ნაკაშიძე*

ბატ. ანჩხატელს

„დროების“ მე-9 №-ში, ფელეტონში – „ქართული საეკლესიო გალობა“, ბატ. ანჩხატელი სხვათა შორის ამბობს: „... მაჭავარიანი და ცამციევი შესდგომიან და კიდევ დაუნერიათ

ნოტებო... მაჭავარიანმა გამოიჩინაო მუზიკის პირველის ანბანის სრული უცოდინარობა, უეჭველად ცამცივეიც ამგვარი დამწერი უნდა იყოსო... რადგანაც ერთ ცამცივეთაგანი მე გახლავართ (ჩემს ძმას ფიქრადაც არ მოსვლია ქართულის გალობის ნოტებზედ გადალება) და ზემოხსენებული კომპლიმენტი მე შემეხება, მომეცით ნება, ბ. რედაქტორო, ორიოდ სიტყვა ვთქვა ამ საგანზედ. პირველად ვკითხავ ბ. ანჩხატელს, ვისგან და სად გაიგო მან, რომ ცამცივემა ქართული გალობა „კიდევ გადაილო ნოტებზეო“? მე არც გადამილია ქართული საეკლესიო გალობა და არც არავისათვის მიჩვენებია ჩემგნით გადალებული ნოტები; მაშასადამე არც სხვასა და არც ანჩხატელს უფლება არა აქვს, სთქვას „ცამცივეიც მაჭავარიანის მსგავსი ნოტების დამწერი იქნებაო“. იქნება მე ნოტების პირველდანწყებითი ანბანიც არ ვიცი, მაგრამ როდესაც მე არ მიკისრნია (და არც ვიკისრებდი, მიტომ, რომ მე ისე ადვილად არ მიმანჩია ქართულის გალობის ნოტებზედ გადალება, როგორც კომიტეტსა და ბევრს სხვებსა, მაგრამ ამაზედ შემდეგ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსა), არც შემისრულებია (თუმცა ვსცადე კი გადალება) და არც არავისთვის მიჩვენებია ჩემი ნოტები (მაქვს თუ არა, ეს სულ სხვა არის) და საიდგან და ან როგორ ვისმე შეეძლო ჩემის ნოტების ცოდნისა თუ უცოდინარობის დაფასება? და ან როგორ „დავწერდი კიდევცა“, როდესაც მე არც განვითარებული ვარ ქართულს გალობაში, არც მყოლია გვერდით განვითარებული ქართულს გალობაში და არც დამკვრელი, რომელსაც შესძლებიყოს გადალების შემონება?! და თუ იმაზედ აფუძნებს ბ. ანჩხატელი თავის აზრს ჩემს შესახებ, რომ მაჭავარიანი უმეცარი გამოდგა ნოტების ცოდნაში, და ამის გამო უეჭველად ცამცივეიც ისეთი იქნებაო, რადგანაც არც ერთ მათგანს კონსერვატორიაში არ მიუღიათ მუზიკალური სწავლაო, ეს ახირებულია და ამის თქმა შეუძლიან მხოლოდ ლოლიკასთან მწყრალად მყოფს კაცსა... როგორ? ვისაც მაღალი სასწავლებელი არ შეუსრულებია, ნუთუ მას არაფრის კარგის გაკეთება და შესრულება არ შეუძლიან?! ბატონო, სმაილის თხზულებებში მაინც ჩაიხედეთ. „საიღამ სადაო, წმინდა საბაო“. მაჭავარიანს ალებინებდნენ და ფულს აძლევდნენ და მე საიდან გადმომწვდა ბ. ანჩხატელი? უეჭველია, სიზმარში მოეზმანებოდა – ცამცივეს ქართული გალობა სრულიად გადაუღია, მაგრამ უხეირო გამომდგარაო; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვინც ჰაი-ჰუის არ იძახის, ვინც ამაყად არა ყვირის: „რაცა ვარ – მე ვარ, ჩემი სიტყვა უნდა გადიოდესო ყველგან და ყველასთან!“ – როგორც თქვენის დასის კაცები, და ჩუმად არიან, ამისთანა კაცების სიტყვა და ნამოქმედარი, რაც უნდა სასარგებლო იყოს, თქვენ უარყოფთ მათ! გარწმუნებთ, რომ თუ აფუჭებენ საქმეს ჩვენში, ისევ მყვირალები, ვიდრე უჩინარნი, მაგრამ სვინდისიანათ მშრომელნი. აი, თუნდ გალობის საქმე ავილოთ: ვინ შეიყვანა საზოგადოება შეცდომაში მაჭავარიანის შესახებ? დანინაურებულმა ქართველმა ბ. ი. გოგებაშვილმა, რომელიც ბევრს ღმერთივით შეუცოდველად მიაჩნიათ და რომელმაც ქება შეასხა მის ნიჭსა, გულმოდგინებასა და სიმღერებსა, რომელნიც თქვენ მხოლოდ დღეს, როდესაც ჩემი განხილვა დაიბეჭდა „იმედის“ №9-ში, თქვენ უვარგისად გიცვნიათ. თქვენ წინეთაც, 1878 წ. „ივერიაში“ და ახლაც აქებთ ბ.ბ. სავანელსა და მიზანდარსა – უმაღლესი მუზიკალური განათლება მიიღესო და ამათგან უნდა ველოდეთო ქართულის მუზიკის შექმნასა. რვა წელიწადზედ მეტია, რაც ბ. სავანელი თფილისშია და აბა რა გააკეთა ქართულის გალობის, ან სიმღერის სასარგებლოდ? ერთი სიმღერა მაინც გადაეღო! სხვა არა იყოს რა, მაჭავარიანის „სამშობლო ხმები“ მაინც რატომ არ გადაათვალიერეს? ტყუილი იმედი გაქვსთ, ეხლავე გეუბნებით, მიზანდარისა და სავანელისა. მომეცით საშუალება, კონსერვატორია საჭირო არ არის, რომ მე მხოლოდ გალობასა და სიმღერაზედ დავამყარო ჩემი შრომა და მეცადინეობა და ნახავთ, რვა წელიწადში ნაყოფს გამოიღებს ჩემი შრომა თუ არა... თუ არადა რა? დღეში სამი-ოთხი გაკვეთილი უნდა მივსცე ცივს და მტვერიანს კლასში და დაღლილ-დანყვეტილი დავბრუნდე სახლში (რომელიც კლასზედ უკეთესი არ არის) და შეუდგე სახლშიაც რვეულების გასწორებასა და წავიკითხო რამე. ნუთუ გასაკიცხი ვიქმნები, რომ კლასის გარეთ ნაშრომი მცირე მქონდეს და მასში ნაკლულევანებაც მოიპოვებოდეს? და რითი ჯილდოვდება ჩემი და ჩემისთანა

მოსამსახურეთა შრომა? დღეში ერთის მანეთით და ექვსის შაურით! საქმე ის არ გახლავთ, როგორც კაბინეტში მჯდომნი ბრძანებენ... მაჭავარიანის შესახებ გავაფრთხილე საზოგადოება 1878 წ. (იხ. „ივერია“ 1878 წ., №8 გალობის შესახებ სტატია ქართველისა), რატომ ყურადღება არავინ მიაქცია? უეჭველად იმიტომ, რომ იგი იყო დაწერილი უჩინარის კაცისაგან, თორემ ბ. ი. გ-შვილმა ქება შეასხა მაჭავარიანსა და მის „სამშობლო ხმებს“. გამომცემელიც მალე გამოჩნდა! ან რატომ „ივერიამ“ ან „დროებამ“ ჩემი განხილვა „სამშობლო ხმებისა“ ადრევე არ დაბეჭდა (1878)? გალობის კომიტეტი ხომ ადრევე შეიტყობდა მაჭავარიანის უხეირობასა და ფულებს ტყუილად არ მისცემდა მას ნოტების დაწერაში და არც მიანდობდა მას გადაღებასა? მაგრამ ვიმეორებ: ქართველობის უბედურობა ეს არის, რომ უჩინარმა კაცმა რაც გინდა ჭეშმარიტება ჰსთქვას, ყურადღებას არ მიაქცევს – „ვინა გდია, რომ მაგის სიტყვას ყური ვათხოვოთ?!“ ჩემს მუსიკის ცოდნაზე მე არაფერს ვიტყვი დრომდე... ერთს და უკანასკნელს სიტყვას ვეტყვი ბ. ანჩხატელს: თუმცა კონსერვატორია თვალთ არ მინახავს, მაგრამ გკითხავ, ბ. ანჩხატელო, რას იტყვით, რომ ჩემგნით გადაღებული რომელიმე ქართული კილო კარგად და სწორედ გადაღებული გამოდგეს? მოიკითხეთ, როდესაც გნებავსთ, და ნიმუშებს მოგართმევთ. მაგრამ აქაც უბედურობაა! საუბედუროდ, თფილისელნი იმდენად არიან უმეცარნი ქართულის კილოსა, რომ კინტოური სიმღერებიც „სამშობლო ხმებად“ მიაჩნიათ და ვაი, თუ ნამდვილი ქართული კილო, როგორც უჩვეველთ, ვერაფრად ეჭაშნიკოთ!.. მაგრამ მაინც მოითხოვეთ, როდესაც გნებავთ. იმედი მაქვს, ბ. ანჩხატელი კარგად და ყურადღებით წაიკითხავს ამ წერილსა და ჩვეულებისამებრ არ გადაასხვაფერებს ჩემს აზრებსა. კაცმა ჯერ კარგად უნდა შეიტყოს საქმე და შემდეგ შეეხოს ვისმე ნიჭსა...

რომან ცამცივე-ძამსაშვილი

თელავი.

იან. 20-ს. 1882

50. დროება, 1882, 13 თებერვალი, №31, გვ. 2

დღიური

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შეცდომების გასწორება ბ. დ. ივერიელისაგან: რუსული ანდაზაა: სულ არაოდესობას ისევ დაგვიანებული სჯობსო. მინდა ამ ანდაზით ვიხელმძღვანელო და მინდა გავასწორო ჩემი ძველი შეცდომა, რომელიც მომაგონა ბ. ანჩხატელის ქართულს გალობაზე დაწერილმა წერილმა.

„ოთხი წლის წინეთ, როცა ქართული გალობის აღმადგენელი კომიტეტი არჩევანში იყო, ქართლ-კახეთის გალობის კილოს მცოდნე მგალობლები აერჩია, თუ გურულისა, – მაშინ, სხვათა შორის, მეც მომეცა შემთხვევა ამ საგანზე ჩემი აზრი გამომეთქვა (იხილე 1878 წ. „ივერიის“ უკანასკნელი №). მეგონა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ კომიტეტი გურულ გალობის მცოდნეთა ამოირჩევა და ეცდებოდა გურული გალობის გავრცელებას. საქმის წარმატებას ის გარემოება მიქადოდა, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთ-გურიის გალობის ხმა ერთი და იგივე არის; გალობის კილოს კი დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. ის კი არა, თუ კილოს არსად არ უჭირავს ისეთი საყურადღებო ადგილი, როგორც გალობაში. გალობის კილოში, გამშვენებაში, ვარჯიშში იხატება მგალობლის სული, გული და მთელი ხასიათი. ამიტომ გალობის ერთი და იგივე ხმა იმერეთში

სხვა კილოთი იგალობება, გურიაში სხვით და ქართლ-კახეთში კიდევ უფრო განსხვავებით. გურულიც ქართველია და კახელიც; მაგრამ ეს ორი ქართველი ხასიათით განსხვავდებიან.

„ღიახ, გურულ გალობის კილო გურულის ხასიათს შეჰფერის, ამიტომ მას ის ალტაცებაში მოიყვანს, ქართლელს კი ხშირად გალობის მადასაც დაუკარგავს. წინააღმდეგ ამისა, გურულმა რო ქართლურად ან კახურად იგალობოს, ესე იგი, როგორც ბ. ანჩხატელი სწერს, „პირი რო კარგა დაალოს და ხმა პირ-და-პირ ამოუშვას, ცხვირიდამ არ გამოსცეს“, გურულებისაგან დაუსჯელი ვერ გადარჩება.

მაშასადამე, ქართულ გალობის აღმადგენელ კომიტეტს რომ იმ თავითვე გურულების მაგიერ ქართლ-კახეთის გალობის მცოდნეები აერჩია, დღეს თფილისში უფრო მეტს ეცოდინებოდა ქართული გალობა და კომიტეტის შრომის ნაყოფსაც ცხადად დავინახავდით.

თუ როგორ უნდა განყოფილ იქმნას ჩვენში გალობის სწავლების საქმე, ამაზე ლაპარაკი შემდეგისათვის გადამიდვია.

51. შრომა, 1882, 28 აპრილი, №16, გვ. 3

ადგილობრივი ამბები

წარსულს კვირას, 25 აპრილს, აქაურს საკათედრო ეკლესიაში იყო ქართული გალობა, ბატ. ბენაევის ხელმძღვანელობით. ეკლესია გავსებული იყო ხალხით და ბევრი იმის გულისათვის მოსულიყო, რომ ქართული გალობა გაეგონათ. ზოგიერთებმა სთქვეს – არ მოგვეწონა გალობა, ქართული გალობის იმაში არაფერი იყო და სხვ. მაგრამ ამგვარს შენიშვნას დიდი არაფერი საფუძველი აქვს. საჭიროა ამ საგანზედ თავისი აზრი გამოთქვას მან, თუ ვინმე დაესწრო იმ დღეს იმისთანა, რომ ქართულის გალობისა და საზოგადოდ გალობის რამე ესმოდა. ჩვენ კი, რამდენიც შევატყვევთ, ამ გალობაში ადრინდელი ქართული გალობის კილო შესამჩნევად ისმოდა; ზოგან ძლიერ სასიამოვნო გასაგონიც იყო. რაც წვრილმანი საგალობელი იყო, ყველას ქართული კილო ჰქონდა. განსაკუთრებით სუსტი გამოვიდა „რომელი ქერობიმა“, რომელსა ქართული არა ეტყობოდა რა. ზოგი საგალობელი არ გვაგონებდა ქართულს კილოს დასაწყისით, მაგრამ შემდეგ მის გაგრძობას ნამდვილი ქართული ხასიათი ჰქონდა. საზოგადოდ, გალობას ცოტა სიცოცხლე აკლდა და ერთგვარობა ეტყობოდა. ჩვენის აზრით, კარგს იზამს ბატ. ბენაევი, რომ იმერულს და გურულს გალობის კილოს დაუკვირდებოდეს; იქნება ეს დაკვირვება უსარგებლოდ არ დაურჩეს ერთგვარობის მოსასპობად. რაც უნდა იყოს, დიდის ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია ბატ. ბენაევი, რომ უკისრნია შრომა, და ქართული გალობა ნოტებზედ გადაუღია, რაზედაც აქამდე ლაპარაკი ბევრი იყო და საქმით კი არაფერი რიგდებოდა. არც მარტო ლაპარაკი და კომიტეტის დაფუძნება კმარა. საჭიროა პრაქტიკა და მეცადინეობა გალობის მოყვარე კერძო პირების, და თვით საქმის დროს გამოჩნდება ღირსება და ნაკლულოვანება, და გასწორებაც უფრო ადვილი შეიქნება. ძალიან გვინდა, რომ ბატ. ბენაევს ამ საქმეში თანამგრძნობი და მომხმარე კაცები გასჩენოდეს. ვისურვებთ აგრეთვე ადგილობრივის სასულიერო მთავრობის ყურადღებას ამ საქმეში. ნუ დაივიწყებთ, რომ თუ აქამდის დაუდევნელობამ ჩვენი გალობა თითქმის მოსპო, ახლა მაინც გამოვიღვიძოთ და ვეცადოთ ქართველ ხალხს წირვა-ლოცვასთან ქართული გალობაც ჰქონდეს. ამას მოითხოვს ნამდვილის სარწმუნოების ინტერესებიცა.

უნდა ვსწავლობდეთ ქართულს გალობას

ქართული გალობა გვეჭირვება ეკლესიაში, გვეჭირვება სუფრაზე; უმისოდ წირვა არ გვექონია და ლხინი. დღეს იმერეთში, სადაც ზურნა-დუდუკი, თარი და ჩონგური ნადიმის დროს ჩვეულებაში არ არის, მათ მაგიერობას გალობა და სიმღერა ასრულებს, უმათოდ მოლხენა შეუძლებელია.

გარდა ამისა გალობას პედაგოგიური, აღმზრდელი მნიშვნელობაც აქვს.

ამას უნდა დაუმატოთ შემდეგი მოსაზრებაც: ხალხი, რომელიც, მისდა უბედურად, გადაგვარების გზაზე დაუყენებიათ, უნდა ცდილობდეს, თავის თვისების დასაცველად, რომ ხელიდგან არ გაუშვას ის გამაპიროვნებელი თვისებანი, რომელნიც მისი ხასიათის სინაკლულეს არ შეადგენენ. ხალხის, როგორც თითოეულის კაცის ხასიათი, ძლივს შესამჩნევ მიდრეკილებათა და ჩვეულებათაგან შესდგება.

გალობა და სიმღერაც ერთ იმ პანანა ელემენტთაგანს ეკუთვნის, რომელშიაც აღიბეჭდება ხალხის ხასიათი თავისის რომელიმე მხრით და რომელიც თვით ხასიათს თავის ფერსადებს.

თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ ჩვენდა სასირცხვოდ, დღეს ქართული გალობა სიკვდილის დღეზე არის მიმდგარი და თუ ყურადღება არ მივაქციეთ, დიდი-დიდი ოცი წელიწადი კიდევ და ქართველებს ჩვენი გალობა აღარ გვექნება.

გაგვიგონია, რომ როცა ქართლ-კახეთში გალობა მოსპობილა, გურიიდან ან იმერეთიდან გადაუტანიათ და გვგონია, რომ ყოველთვის ასე იქნება; გურია-იმერეთი უშრეტ წყაროდ მიგვაჩნია და გული იმედათ გვაქვს. ის კი არა, თუ მწარეთ ვსცდებით და ვერა გაგვიგია...

საქმე იმაშია, რომ გალობა გურია-იმერეთშიაც ისპობა. უწყალო დრო თანდათან გეტაცებს საქმე მაგლობლებს, რომელთაც ჩვენი გალობა თან მიაქვთ... მაშასადამე ქართულს გალობას არა მარტო ქართლ-კახეთში, არამედ და უმთავრესად იმერეთ-გურიაში ეჭირვება ყურადღების მიქცევა და ფეხზე დაყენება.

ამ უკანასკნელს წლებში გურიიდან ნაიყვანეს ტფილისში ქართული მაგლობლები და იქ ჯამაგირი დაუნიშნეს, მაშინ, როდესაც გურიაში და იმერეთში თითონ იმ მაგლობლებს და მათზე უკეთესებსაც გალობის ცოდნა არაფრად არ უღირთ (ფულით რო ვთქვათ) და მათით არავინ არ სარგებლობს. იმერეთის სამღვდელთაგან, მისი უფროსის ბრძანებით, შეაგროვა ფული და ტფილისში გაგზავნა ქართულის გალობის შესანევენად! სულიერნო მამანო, თქვენმა თავმა რა განყინათ? იქ, სადაც გუნდნი მაგლობელთა ღაღადებდნენ, დღეს დამდგარა ყოვლიფრის უმეცარი დიაკვანი და რას ღრინავს თითონაც არ იცის? ეს ხდება თითონ იმერეთში, გელათში, სიონში! აქიდან ტფილისში აპირებენ მაგლობლების მოშენებას და ის კი არ იციან, რომ სანამ იქ მოშენდებოდეს, აქ, იმერეთში ხუთჯერ ადრე მოისპობა!

ღმერთმა დამიფაროს, რომ მე დავაყვედრო იმ პატიოსან მოღვაწეთ, რომელთა თაობითაც იყვნენ მიწვეულნი ტფილისში მაგლობლები? მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ამით სამაგალითო საქმე ჰქნა; იმის ცდამ დავგარწმუნა, რომ ჩვენ ჩვენს გალობას უნდა ვსწავლობდეთ, ვსწავლობდეთ ზეპირათ, და ნოტების ცდა ჯერ კიდევ კარგა ხანს მოგვინდება.

როგორ უნდა აღვადგინოთ გასაქრობად განმზადებული ჩვენი გალობა? – ნოტებზე გადავილოთო, მომიგებს ვინმე.

როდის იქნება შესაძლო ჩვენი გალობის ნოტებზე გადაღება? ჩემის აზრით, მაშინ, როცა არა

ერთი და ორი გვეყოლება ქართულის გალობის, მისი სხვადასხვა კილოებიანად, ზედმინევნიტ მცოდნე, რომელსაც ზედმინევნიტვე უნდა ეცოდინოს მუზიკის კანონები. ამისთანა მგალობლები მაშინ გაგვიჩნდებიან, როცა ქართული გალობა პატივდებული იქნება და სასწავლებლებში შეისწავლება, და არა ისე აგდებული და დაფინყებას მიცემული, როგორც დღეს არის.

არის თუ არა დღეს ქართული გალობა, სახსენებლად მაინც, ჩვენებურს რომელსამე სასწავლებელში? გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებს რალა უნდა უთხრას კაცმა, როდესაც ქართულ გალობას „ჩვენს“ სასულიერო სასწავლებლებშიაც კი არ ასწავლიან!

ასწავლეთ ქართული გალობა. ასწავლეთ ისე, როგორც უსწავლიათ ჩვენთ მამა-პაპათ, თორემ ხომ გაგიგონიათ: „სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო“. სანამ ჩვენს გალობას ნოტები მოესწრებოდეს, ის (გალობა) ხელიდან გაგვიდნება და... მეტი რალა გზა გვექნება: უნდა ახალი შევთხზოთ და ჩვენი შეთხზული გალობა, აქედანვე ვიცი – არ ივარგებს.

განა მე კი არ ვიცი, რომ ნოტებზე სწავლა სჯობს ზეპირ სწავლას;

არ კმარა, რომ ქართული გალობა ჩვენებურ სასწავლებლებში ისწავლებოდეს. უნდა დაარსდეს საკუთრად გალობის სკოლები. ეს დღეს კიდეე ადვილი შესაძლებელია იმერეთ-გურია-სამეგრელოში, სადაც ეპისკოპოსებს საკუთარი მგალობლები ჰყავთ, რომელთაც, რასაკვირველია, თავიანთის უფროსის დახმარებით ადვილათ შეუძლიათ გალობის სკოლების გახსნა. გარდა ამისა, მონასტრებშიაც მოიძებნებიან გალობის მცოდნეები, რომელთაც კიდეე უფრო უნდა გაუადვილდესთ სკოლების ქონება, თუ კი, სხვას თუ არაფერს, ყურადღებას მაინც დაიმსახურებენ ამით თავიათის უფროსებისას.

რაც შეეხება გალობის შესწავლის მსურველებს, ისინი მთელ ქუთაისის გუბერნიაში მაინც, საძებრათ არ გახდებიან.

ვინ უნდა მიიღოს შრომა და ხარჯი ქართულის გალობის აღდგენისათვის? პირველად და უმთავრესად ქართულის ეკლესიის წარმომადგენლებმა: მღვდლებმა, მღვდელ-მონაზონებმა, ეპისკოპოსებმა და მათმა უფროსებმა. ეს არის მათი ვალი, რომელიც მათ უნდა გადაუხადონ ქართულ ეკლესიას და თვით ქართველობას. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმარონ ქართულის გალობის მოყვარებებიც, რა წოდებისაც უნდა იყვნენ ისინი.

ნარი ივერიელი

53. შრომა, 1882, 12 მაისი, №18, გვ. 3-4

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში სწერია, რომ ამ ქართულმა გალობამ, რომელიც იყი 25 აპრილს ქუთაისის საკათედრო სობოროში, დაბადაო ბევრნაირი ლაპარაკი: ზოგნი ამბობდნენო – ქართულს არა ჰგავსო, ზოგნი – ცოტათი ჰგავსო, და დანარჩენნი, უფრო ისინი, რომელთაც გაუგიათ ქართული გალობა, ამბობდნენ თუ, ნამდვილი კარბელოვის გალობა იყოო. ურიგო არ იქნება ჩემის მხრით ვსთქვა ორიოდე სიტყვა ამ გალობის თაობაზედ. დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს გალობა არის ნამდვილად ის, რომელსაც დღესაც ამბობენ ეკლესიის მოსამსახურე პირები ქვემო კახეთში., ქიზიყში, სადაც (წმინდა ნინოს მონასტერში) ერთ დროს მ. კარბელოვს ჰქონდა შკოლა და გაავრცელა თავის გალობა. წარსულ დროში, ჩემს სოფელში მყოფობის დროს, მონვეული მყვანდენ სამი დიაკვანნი, რომელნიც დახელოვნებულნი იყ-

ნენ კარბელოვის გალობაში და მე გადვილე ნოტებზედ მათი გალობა. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ კარბელოვის გალობა ცოტად თუ ბევრად მეც გამეგებოდა პატარაობიდანვე. ნოტებზე გადაღების დროს ჯერ პირველი ხმა გადავიღე, მერე – მეორე და ბოლოს – მესამე, ბანი. ჩემის ნაწარმოებისა შესასწორებლად ყველა ხმებს საკუთრად მე ვამბობდი ნოტებზედ და სხვები ყურს მიგდებდნენ, ანუ გალობდნენ ჩემთან დანარჩენ ხმებს. მაშასადამე, ჩემი ფიქრით, შესამჩნევი შეცდომა არ უნდა მქონდეს ქართულ გალობის ნოტებზედ გადაღებაში. თუ ზოგს არ ეჭაშნიკა და არ ეჩვენა ქართულ გალობად, უფრო იმისთვის რომ, დასავლეთს საქართველოში თითქმის არვის გაუგია კარბელოვის გალობა და აქაურ გალობას კიდევ, რომელთანაც ხალხს შეჩვეული აქვს ყური, სრულებით არ ემსგავსება. სხვათა შორის, სტრიქონებში ამოვიკითხე, რომ „რომელი ქერაბიმთა“ სრულებით არ გვანდა ქართულსაო. მე თვითონ შემიმჩნევია არაერთხელ, რომ კარბელოვის გალობაში „რომელი ქერაბიმთა“ მეტად განირჩევა კილოთი და ხმების მსვლელობითაც. ეს სულ სხვანაირია. კარბელოვის გალობისა გადაკეთება რომ მნდომებოდა, ბევრათ გადავასხვაფერებდი და, შეძლებისა გვარად, იმ გვარსავე ევროპიულს კილოს მივცემდი, როგორც მაგ. „ღირს არსს“, რომელიც არაერთხელ უთქვამთ ჩემს მგალობლებს ეკკლესიაში, მაგრამ ეს სრულებით არ მნდომებია; მე მინდოდა გადმომელო ნამდვილად ის გალობა, რომელსაც დღეს კარბელოვისად უწოდებენ. მე თვითონ გულითა მსურს ამ გალობაზედ წარმოსთქვან თვისი მსჯელობა იმისთანა პირებმა, რომელთაც ზედმინევენით ესმით კარბელოვის გალობა.

*ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი
ანდრია ბენაევი*

54. დროება, 1882, 17 ივლისი, №148, გვ. 1-2

გალობის გავრცელება

ბევრი თქმულა ქართულს გალობაზე და კიდევაც საჭიროა ითქვას, რადგანაც სანამ ერთი საქმე თავს მოვიდოდეს, ყოველთვის წინად ლაპარაკი და მოსაზრება უნდებოდა. ზოგს იქნება კითხვა კიდევ მოსწყენია, მაგრამ ვისაც ძვირფასად მიაჩნია ხალხში საკუთარი გალობის დარჩენა, დაჩუმება და ხმის ამოუღებლობა დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს. და მერე, ეს საქმე ისეთი საქმე არ არის, რომ მართლა იმისი ფეხზე დაყენება ძალიან ძნელი იყოს. თუ ამაშიაც არ დამეთანხმება მკითხველი და ძნელად ჩასთვლის, მაინც ეს არ უნდა გვიშლიდეს ბეჯითად ვდევდეთ ჩვენს წადილს, თუკი საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია იმისი არსებაში მოყვანა.

მე გამოვთქვი („დროება“ №9) მწუხარება, რომ ოთხი წლის განმავლობაში გალობის საქმე უნაყოფოდ დარჩა; ვინც წინად იყვნენ მგალობელნი, იგინივე დარჩნენ; კომიტეტმა გაურკვევლად წაიყვანა საქმე და მომავალისათვის აღვნიშნე (ასე გასინჯეთ პუნქტებით) ჩემი მოსაზრება – რა და რა ჰმართებს კომიტეტსა და საზოგადოდ სამღვდელეობას ამ საქმის წარმოებისათვის.

„დროების“ №15, 21, 22 და „პრომის“ №5-ში ამ საგანზედ დაიწყეს ლაპარაკი ბ-ნმა ცხვილოელმა, გალობის ლოტბარმა ნაკაშიძემ და ცამციევმა.

სთქვეს რამე ნეტა იმაზე, თუ როგორ მოავარონ საქმე? თქვენ არ მამიკვდეთ. ბატონმა

ცხვილოელმა თითქოს შებაასებოდესო ზოგი ჩემი აზრი გაიმეორა, ისეთი, რომელზედაც ლაპარაკი არა ღირდეს და მცირეს რასმე შეადგენდა; ბ. ლოტბარმა სთქვა, გურული გალობა იყო ყოველთვის აღმადგენელი ქართულის გალობისაო და მადლობა მივიღე ამათგანა და ამათგანაო, (ის კი ვერა სთქვა რაც უსაჭიროესნი იყო: რამდენის კაცისათვის უსწავლებია), ბ. ცამცივემა გრძლად „შრომაში“ თავი დაიცვა, ჩემი შედგენილი ნოტები არავისთვის მიჩვენებია და ამიტომ მის სიკეთეზე ლაპარაკი არავის არ შეუძლიაო. (ეს იმ ჩემის აზრისა გამო ითქვა, რომელიც შეეხებოდა ნოტების დამწერთ მოუმზადებლობაზე და ხარჯის უნაყოფობაზე).“)

ამ მოხსენებულ სტატიებში წვრილმანს საგნებს შეეხებიან გალობის საქმისას, შეეხებიან ჩემის სტატიის წვრილმანს აზრებს; ყველას ეტყობა წყენა და ზოგს თავხედური განწინმატება. უმთავრეს აზრს კი თითქოს ვერავინა ხედავდეს და ვერ არჩევდეს. რასაკვირველია, არა ღირდა მათი პასუხი და თუ ეხლა მოვიხსენე, ესეც იმის დასანახვებლად, რომ ჩვენ ვალად უნდა გვედვას საქმის წარმატება და იმაზე გამოთქმულს აზრებში უნდა გავარჩიოთ წვრილმანი, სხვათა შორის მოხსენებული აზრი და უმთავრესი აზრი. თორემ, იმას რო გამოუდგეთ მე ესა ვთქვიო, ამან ესა სთქვაო, ეგ ლობე-ყორეს მოდება იქნება: ვისაც გალობისთვის გული შესტკივა, ალბად რომ თვალ-ყურს ადევნებდა მასზე ნაწერსა და რალა საჭიროა, რაც საქმეს არ შეეხება, ვქექოთ და გადმოვაქოთო. თუ აზრი, უმთავრესი აზრი არ გამოითქვა, ნაწერები გაქარწყლდება და საქმეს კი წინ ვერ წასწევს.

სწორედ ღირებული აზრი წარმოსთქვა ბ. ნარ. ივერიელმა („დროების“ №139) გალობის შესახებ და ამან მიზეზი მომცა ამ ჟამად კიდევ დაუბრუნდე ქართულ გალობის გავრცელების საქმესა.

რაში მდგომარეობს ეხლანდელი ჩვენი სურვილი ქართული საეკლესიო გალობისა და საერო სიმღერის შესახებ? ვგონებ ეს აზრი კარგად უნდა გამოვარკვიოთ. მარტო იმის თქმა, რომ ქართული გალობა თუ სიმღერა ვიცოდეთ, არ კმარა. ერთი-ორი კაცი რომ საყდარში იდგეს და გალობდეს, ეს გალობის აღდგენა არ არის, ერთმა კაცმა რომ ყველა მოტივები და ხმები იცოდეს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ნოტები რომ ძალიან კარგად ნაწერი იყოს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ამ ნოტის დამწერლებს და ამ თითო მგალობლებს რომ ჯამაგირები და პენსიები ეძლიოსთ, ეს გალობის აღდგენა არ იქნება.

აღდგენა იმასა ჰქვიან, როდესაც ხალხში მოიფინება, გავრცელდება, ბევრნი იქნებიან მცოდნენი; აღდგენა გალობისა ამასა ჰქვიან, როდესაც კვირა-უქმობით ეკლესიაში თითო ორ მოლიღინე დიაკვანს კი არ ვნახავთ, არამედ მოწყობილს მაინც ათიოდე კაცისაგან შედგენილს გუნდსა; როდესაც ყოველ ეპისკოპოსს ეყოლება სამაგალითო გუნდი, როდესაც პირველ-დანყებით სასწავლებლებში ყმანვილებს ეცოდინებათ უმთავრესი მოტივები გალობისა და სიმღერისა; როდესაც სასულიერო სასწავლებელთა მონაფენი იქნებიან შესწავლულნი და საგალობლად მოეფინებიან ქალაქების ეკლესიებში კვირა-უქმობით; როდესაც სოფლის სკოლის შაგირდები ეკლესიებში მგალობელთა გუნდებს შეადგენენ; როდესაც ყველა საერო და სასულიერო სასწავლებლებში ისწავლიან, როდესაც ყოველ სამეჯლისო სადილზე და ლხინში ქართული სიმღერების და გალობის შეწყობილს ხმებს გავიგონებთ, შინ და გარეთ, ეკლესიაში და თეატრში, ქუჩაში და გემზე, მაშინ იქნება აღდგენა ჩვენის გალობა-სიმღერისა. წარმატებას და სისრულეში შესვლას მაშინ ექმნება საძირკველი ჩადგმული.

ერთი სიტყვით, ამ ჟამად გარკვევითი უსაჭიროესი რამ გალობის საქმეში ის არის, რომ გავრცელდეს გალობა და სიმღერა.

ამ აზრს ჰხატავს ბ-ნი ნარ. ივერიელი; ის ამბობს, რომ ქართლ-კახეთში გალობის შესასწავლებლად და გასავრცელებლად გურია-იმერეთიდან კაცები მიჰყავთ და ჩვენში კი (ე. ი. იმერეთისკენ) სულ ისპობა გალობაო. „იქ, სადაც გუნდნი მგალობელთა ღალადებდნენ, დღეს დამდგარა უმეცარი დიაკვანი და რას ღნავის, თითონაც არ იცისო“.

ბატონ ივერიელს ჰგონია, რომ ქ. ტფილისში უკეთესად ჰწარმოებდეს საქმე და ამბობს, რომ იგი „გვარწმუნებსო, რომ ჩვენ ჩვენს გალობას უნდა ვსწავლობდეთ“. დიალ, პატივსაცემი იქნებოდა, რომ მართლა ასე ყოფილიყო; მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ, აქ ნამყოფი და ანუ მოყვანილი მგალობლები, თვითონ თითო-ორნი დგებიან და მარტოდ მარტო გალობენ; არც მგალობელთ გუნდსა ვხედავთ, არც ვისმე მათგან განსწავლულსა და არც ჰგვანან მგალობელთა მასწავლებელთა. აგერ ოთხი-ხუთი წელიწადი, ვხედავთ ორს გურულს და ხანდისხან ორს ქართველსა.

საქმე ისეა, რომ აქამდის ვერავინ მიიმეტეს, ვერავის ასწავლეს, ვერავინ გაიამხანაგეს, რომ თვალთ და ყურით დაგვენახა ექვსი კაცისაგან შედგენილი გუნდი, ერთს წელიწადს კვირადღეობით რომელსამე ეკლესიაში ბეჯითად მგალობელი.

ყოველსავე საქმეს დასაწყისში ბეჯითობა უნდა, თავის გამოდება, უანგარო შრომა. თუ გვინდ, რომ საქმე არსებაში მოვიდეს, ერთმანერთის მინგვეას და პატიჟობას კი არ უნდა ვუცდიდეთ, თვითონ უნდა მოვიწვიოთ, თავი დავუდვათ და შრომა ნაყოფს გამოიღებს. ქალაქში მგალობლებს არამც თუ თავისით რამე გაუკეთებიათ, არამედ კომიტეტმა ფულიც ხარჯა, ჯამაგირები აძლია და საქმე ისე ვერ დააყენა, რომ რომელსამე ეკლესიაში გუნდი შეედგინა. (ჩვენ ვფიქრობთ, რომ გალობის მოყვარეთაგან უსასყიდლოდ გუნდის შედგენა შეიძლება, ამაზე ლაპარაკი გვექონდა წელს „დროების“ 9 №-ში).

ასე გახლავთ საქმე აქა ქალაქში, და ნულარ იკითხავთ, რა იქნება ქართლ-კახეთის პატარა ქალაქებში და სოფლებში. აქამდის იმედი გვექონდა გურია-იმერეთისა და თურმე ნუ იტყვიოთ, იქაც თითო დიაკვნის ლუდლუდზე დარჩენილია მთელი გუნდის გალობა.

„როგორ უნდა აღვადგინოთ გასაქრობად გამზადებული ჩვენი გალობაო?“ იკითხავს ბატონი ივერიელი და პასუხს გვაძლევს, რომ მაშინ კი არა, როდესაც ნოტებზე იქნება გადაღებული (ნოტებზე გადაღებისათვის ზედმიწევნით მცოდნე მგალობლების გუნდი და მუზიკის მცოდნეა საჭირო), მაშინ შეიძლება გალობის აღდგენა, „როცა გალობა პატივდადებული იქნება და სასწავლებლებში შეისწავლებაო“. უსაყვედურებს ჩვენს სასულიერო და საერო სასწავლებლებს, სამასწავლო სემინარიებს და სათავად აზნაურო სკოლებს (ტფილისის და ქუთაისისას), რომ მათში არ ასწავლიან ქართულ გალობას (უნდა ვთქვათ საეკლესიო გალობას და არა საერო სიმღერებს). არ კმარა, რომ სასწავლებლებში ისწავლებოდეს; უნდა დაარსდეს სკოლებიო. ეს ადვილად შეიძლება იმერეთ-გურია-სამეგრელოში, სადაც ეპისკოპოზებს საკუთარი მგალობლები ჰყავთო.

ამ სახით ბატონი ივერიელი იმავე აზრს ადგას, რომელიც ამ რამდენსამე თვის წინად გამოვთქვით, რომ მგალობელთა გუნდები უნდა შესდგეს მღვდლებისა და ეპისკოპოზების მიერ ეკლესიებში; გალობა და საერო სიმღერები სკოლებში უნდა შეისწავლებოდეს.

მაგალითად მოვიტანეთ კათოლიკეების და სომხების ეკლესიები, რომელშიაც უსასყიდლოდ გალობენ რომელსამე სკოლის ანუ საერო და ანუ სასულიეროს მონაფენი. ამგვარადვე შეეძლოთ სოფლებში და ქალაქებში ქართველ მღვდლებს რამდენიმე ყმანვილები ეშოვნათ მგალობელთა გუნდების შესადგენათ; რაკი დაიწყებოდა საქმე, თითო-ოროლა კაცი რომ დაჰკლებოდა, შემდეგში ახალთა შეყვანა შეიძლებოდა. ეს იმერეთ-გურია-სამეგრელოში უფრო ადვილი იქნება, რადგანაც უფრო ხალისიანი ხალხია. არც ქართლ-კახეთში გაჭირდებოდა. საქმე მხოლოდ მოთავეებზედ არის დამოკიდებული: მღვდლებზე და სკოლის მასწავლებლებზე.

არ ვგონებთ ვინმემ ამ აზრთიდგან ის გამოიყვანოს, რომ ვითომც გვინდოდეს სკოლის მონაფეები დიაკვნებათ შევრეკოთ ეკლესიებში. ეს მეტისმეტი ლაპარაკი იქნებოდა და ამაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გალობას და სიმღერას პედაგოგიური დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვითოეულ კაცის აღზრდისათვის, აგრეთვე მრთელის ხალხის

აღზრდაში. სიტყვის გაჭიანურებას არ ვგონებთ საჭიროთა.

ერის კაცებსაც კი ცალკედ მცირე შემწეობის აღმოჩენა არ შეუძლიან. ვინც გალობის და სიმღერის მოყვარეა, თვითონ ეცდებოდა, და ვინც მცოდინარე არ არის, მაგრამ მოყვარულია გალობისა და სიმღერისა, მაგალობელ-მომღერალს ნაახალისებდა, რაშიმე დაეხმარებოდა, დაავალებდა, დაიახლოვებდა და საქმეს წარმართავდა.

როგორ, რა გვარათა?

აი, როგორ: ერთს მაგალობელს ანუ მომღერალს, მეორეს ვუშოვნიდი ჩემს ნაცნობ ანუ უცნობებში, მოვძებნიდი გალობის და სიმღერის მოყვარეს, ორს ერთად შევეყრიდი მოცლილს დროსა და თითო რასმე ვაგალობებდი, ვამღერებდი; ერთს თვეს ერთ-ორ საგალობელს ან სასიმღეროს მოვანყობინებდი, მეორეს თვეს მეორეს, მესამეს მესამეს. ორ კაცს მერე მესამე ამხანაგს ვუშოვიდი, მასუკან მეოთხეს და ნელ-ნელა რამდენსამე თვეს ვივარჯიშებდით. ამ გვარად შევადგენდი ექვსიდან ათამდის გუნდსა და ეკკლესიაშიც დავანყებინებდი გალობას, შინაურობაშიც და ლხინშიც. გუნდის თანდათან გადიდება ისე შეიძლებოდა, რომ მთელ სოფელს სცოდნოდა და როგორც ზოგიერთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნების ეკკლესიებშია, მთელი მრევლი საყდარში დასწრების დროს იგალობებდა ორ გუნდათ დაყოფილი.

მე დარწმუნებული ვარ თითქმის, რომ იმერეთისკენ ამას ითავებენ და ორიოდ წელიწადში კიდევ მოახერხებენ. საქმე იმაზეა, რომ მოთავე და გამძლოლი ვინმე გამოჩნდეს. ეს საქმე არც ქართლ-კახეთში არის ძნელი ასასრულებელი.

რაც აქ ერის კაცზე ვთქვით, მღვდლებსაც შეუძლიათ როგორც ქართლ-კახეთში ისე იმერეთ-გურია-სამეგრელო-აჭარაში.

ამასთანავე, ამისთანა მღვდლებს და ერის კაცებს საჭიროა სოფლის და მოქალაქეების მასწავლებლებმა მხარი მისცენ, ყმანვილებში გალობის მოყვარენი მათს შედგენილს გუნდში შეიყვანონ.

ამგვარად შედგება გუნდები ყმანვილებისა და დიდებისაგან, ამგვარად გადავა გალობა და სიმღერა ხნიანებისაგან პატარებში და თავად-აზნაურ-სამღვდელოთაგან გლეხებში, ამგვარად გავრცელდება გალობა და სიმღერა, თანდათან წარმატებაში შევა, გამშვენიერდება და გამდიდრდება.

დიალ, უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ ერთმანეთს გალობა სიმღერა, მაგალობელთა და მომღერალთა გუნდების შედგენით. ვისაც გული შეტკივა, ითავოს და ხელი მოსჭიდოს.

ანჩხატელი [პეტრე უმიკაშვილი]

^{*)} ბატონი რომან ცამციევი სტატილაში მწერს: „მოიკითხეთ, როდესაც გნებავთ, და ნიმუშებს (ქართულის კილოსას) მოგართმევთ“. ვთხოვ ბ-ნს ცამციევს, რაც ნებავდეს (რამდენიც ბევრი იქნება, უფრო კეთილი, თუ საეკლესიო და თუ საერო) გამოგზავნოს „დროების“ რედაქციაში ჩემდა გადმოსაცემად. დარწმუნებული ბრძანდებოდეს, სანდო და მცოდნე კაცს ვაჩვენებ და მათს აზრს სრულიად გადაუსხვაფერებლად ვაცოდინებ.

55. დროება, 1883, 4 თებერვალი, №2, გვ. 3

ტფილისის სასულიერო სემინარიის შაგირდებისაგან მივიღეთ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდად:

„ტფილისის სასულიერო სემინარიის შაგირდებს შორის დიდი ხანია აღიძრა სურვილი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლისა და ვმეცადინეობდით კიდეც, რამე ნაირად ეს სურვილი დაგვეკმაყოფილებინა; მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდის ვერაფერს ვერ გავხდით. ამ უკანასკნელ დროს მიემართეთ თხოვნით ბ. ბ. მელ. ნაკაშიძეს და ნესტ. კონტრიძეს, რომელთაც საუცხოვოდ იციან ნამდვილი, ძველებური გალობის კილო, რომ მიელოთ შრომა და ესწავლებინათ ჩვენთვის ეს საეკლესიო გალობა. ჯამაგირის ძლევა კი აღუთქვით ჩვენის ღარიბი ჯიბისაგან. ამ ბატონებმა დიდი სიხარულით მიიღეს ეს ჩვენი თხოვნა და განაცხადეს სურვილი უჯამაგიროდ გალობის სწავლებისა. აი ორ კვირაზედ მეტია, რაც ბ. ბ. ნაკაშიძე და კონტრიძე დაიარებიან სემინარიაში და დიდის სიბეჯითით და გულსმოდგინედ კვირაში ოთხს გაკვეთილს, სადილის შემდეგ, გვაძლევენ 70-ზედ მეტს შაგირდს. ჩვენც ნახალისებულნი ამ ახალი მასწავლებლის ბეჯითობით, არ ვზარმაცობთ, დიდის სიხარულითა და აღტაცებით დავდივართ გაკვეთილებზედ.

ამნაირად ბ. ბ. მელ. ნაკაშიძის და ნესტ. კონტრიძის შემწეობით ველირსეთ ქართული ხმების გაგონებას ჩვენს სასულიერო სემინარიაში. დიდის თანაგრძნობით მიიღო ეს საქმე ჩვენმა რექტორმაც, მამა მიხაილმა.

ამ კეთილ საქმისა და ჩვენი დიდად დავალებისათვის გულითად მადლობას ვუძღვნით საქვეყნოდ ბ. ბ. ნაკაშიძეს და კონტრიძეს მათი შაგირდები-სემინარიელები“.

56. დროება, 1883, 22 ივნისი, №118, გვ. 2-3

„დროების“ კორესპოდენცია

გორი, 15 ივნისს. ამ ცოტა ხანში ორჯერ მოვისმინეთ გორის სობოროს ეკლესიაში ქართული გალობა ხოროთი და ორივეჯერ კარგი შთაბეჭდილება მივიღეთ. ორჯერვე აქ გალობდნენ სასულიერო სანაწავლებლის მონაწიეები ქართული გალობის მასწავლებლის ბ. ბ-ს ხელმძღვანელობით. ჯერ ერთი წელინადიც არ არის, რაც გორის სასულიერო სასწავლებელში, ნაცვლად რუსული ეკლესიური გალობისა, შემოვიდა ქართული გალობა და მით მოისპობა ჭყვივილი და წრიპინი ზოგიერთა დიაკვნებისა.

ქართული გალობის შემოღება მოხდა მიტროპოლიტ იოანიკის წყალობით, რომელმაც საჭიროდ დაინახა ჩვენთვის ქართული გალობის შემოღება. მე დღეს ამაზედ ლაპარაკი არა მსურდა, მაგრამ გურულების ეკლესიური გალობა მაიძულებს ვთქვა ორიოდ სიტყვა ქართულ გალობაზედ.

ორს თიბათვეს გორის მაზრის უფროსის სიდედრის დასასაფლავებლად იყო მონვეუ-

ლი თბილისიდან არხიმანდრიტი გრიგოლი. ამასვე თბილისიდან მოჰყვენენ გურული მგალობლები, რომელთაც გალობამ ჩვენზედ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი გალობდენ მეტად მოსაწყენ კილოთი, ამასთანავე მძიმედ, მათი ჰანგები მეტად უალაგონი იყვნენ. ჩვენ ვენყობით უფრო კარბელოვის გალობას, რომელთანაც შეჩვეული გვაქვს სმენაც და გემოვნებაც. ვისაც მოუსმენია ორთავე გალობა, გურულების და კარბელოვისა, არ შეიძლება, რომ უპირატესობა კარბელოვის გალობას არ მისცეს.

გორის სობოროში კვირა-უქმითაც, როგორც სხვა ქართულ ეკლესიებში, კრებული ქართულად ასრულებს თავისს წესს, მხოლოდ გალობა კი რუსული არის ხოლმე. ამ გვარ მოვლენას სხვაგანაც ვხედავთ. ძნელი ეს არის რომ რუსული გალობა მომეტებულ მლოცავებისთვის გაუგებელია, და მათ ესმით მხოლოდ კილო და ისიც ისე სასიამოვნოდ არ ეჩვენებათ, როგორც ქართული. ეს კიდევ ცოტაა; გაუგებარი კილო უშლის სარწმუნოებას და სასოებით ლოცვას და შეიძლება ბოლოს მლოცავს მოსწყინდეს და კიდევ დაზარდეს ეკლესიაში შესვლა. ეს ისე ცხადია, რომ ამის მაგალითების მოყვანა უადგილოდ მიმაჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში, ნაცვლად ხალხის მოწყენისა, შემოღებულია სხვადასხვაგვარი საკრავი, მაგალითად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. იქ მლოცავის სმენას ატკობენ მუსიკალურ იარაღების დაკვრით.

მე იმას კი არ ვამბობ, რომ ვითომც უცხო გალობით სიამოვნების მიღება არ შეიძლებაოდეს. არა, საცა კი არის კარგი ჰარმონია, იქავეა სიამოვნებაც კილოსთან შედარებით. მაგრამ ყველა ჰარმონიულად წარმოთქმული სიმღერა, ანუ გალობა, ერთნაირად არ აკმაყოფილებს კაცის სმენას: შეიძლება ჰარმონია მეტისმეტად კარგიც იყოს, მაგრამ გალობა კი უსიამოვნო ზოგიერთისათვის; მაგალითად ჩვენებურ კაცს დუდუკი, სალამური, ზურნა, თარი სულ მღელვარებაში მოიყვანს, აბა ახლა იგივე სცადეთ იქ, სადაც ამ გვარი გალობის იარაღი ხმარებაში არა აქვთ, მაშინ სულ სხვას დაინახამთ.

დასასრულ ვისურვებ, რომ ჩვენში ქართული გალობა, როგორც ხალხური, აგრეთვე ეკლესიური იყოს გავრცელებული ჩვენის საკუთარის კილოთი; ამასთანავე, უკეთუ შესაძლო იყოს, ერთ-ერთი ეკლესიური კილო ამოვირჩიოთ: ან კარბელოვისა, ან გურულებისა, რომელიც კი სამჯობინარო იყოს და ყველგან გავრცელდეს ერთნაირი გალობა. უკეთუ ამას თავი მივანებეთ, დავკარგავთ სამუდამოდ სიმღერებში ჩვენს საკუთარს კილოს, რომლითაც წარსულში მდიდარი იყო საქართველო, და განსაკუთრებით კახი; ნიშნები დღესაც არ დაკარგულან, მხოლოდ ხმებს შეკრება უნდა და შემუშავება. ამას ყურადღება-ყველამ უნდა მივაქციოთ და განსაკუთრებით ეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ვალია.

ქართლელი [დ. ქ. ყიფიანი]

57. დროება, 1883, 5 ნომბერი, №222, გვ. 1-2

შინაური ქრონიკა

როცა პირველად გავრცელდა ხმა, რომ ბ. ქორიძეს სრული ქართული წირვის წესი და რაოდენიმე იმერული და გურული სიმღერები ნოტებზედ გადაუტანიაო, ჩვენ, მართალი უნდა ვსთქვათ, არა გვჯეროდა: ვფიქრობდით, რომ ჩვენებური ეკლესიური გალობა და

აგრეთვე სიმღერებიც ევროპიულ ხასიათს მიიღებდენ, დაჰკარგავდენ იმ განსაკუთრებულს კილოსა, რომლითაც განირჩევიან ევროპიულ გალობა-სიმღერისაგან. აბა ვინ დაიჯერებდა, რომ გურული კრიმანჭული, „ხასანბეგურის“ წვრილი, წირვის წესის თავისებური ხმის ტრიალი, ზოგან უხმო ასოებზე ხმის ამალღება და შეჩერება გადავიდოდენ ნოტებზე უცვლელად და ისე, როგორათაც შეუქმნია ხალხის შემოქმედობას. ეგრეთი ჩვენი ურწმუნოება, ჩვენდა სასიხარულოდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა: გუშინ სალამოს, ოთხშაბათს, ვნახეთ ბ. ფ. ქორიძის ხორო, რომელიც ოთხის მაგალობლისაგან შესდგება. არც ერთმა იმათგანმა უნინ ჩვენებური გალობა არ იცოდა. ბ. ქორიძეს დაუნყებინებია შესწავლა მისგან შედგენილ ნოტებზე. სრული წირვის წესი მოვისმინეთ, რომელიც თითქმის მთელი საათი გაგრძელდა. თუმცა ჩვენ თითონ მაგალობელი არა ვართ, მაგრამ ხშირად გავვიგონია იმერეთში გამოჩენილთა პირთა გალობა, მაგალითებრ, თ. დათა გუგუნავასი, ბ. ნიკო მეძმარიაშვილისა, ბ. კანდელაკისა და მრავალთა სხვათა. ყოველი კილო, ყოველი ერთის ხმიდამ მეორეზე გადასვლა, ყოველი ხმის ამალღება ისეთის სინამდვილით და სიმტკიცით არის აღდგენილი, რომ ევროპიულის მუსიკის გავლენა, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ; ასე რომ შთაბეჭდილებას არ არღვევს არავითარი უცხო ელემენტი და არ ეჩითირება კაცს ყურში: იგივე ნამდვილი დარბაისლური გრძნობა, მძლავრი, სასოების აღმძვრელი ძველებური ქართული გალობა, რომლის მაღალი და მძლავრი კილო თითქო ჩვენის ძველებურის მაღალ-გუმბათიანი ეკკლესიებისთვის არის შეხამებული და რომელიც სულითა და გულით ზეცას აღიტაცებს მავედრებელს.

ამ სალამოს დაესწრნენ მმ. არხიმანდრიტნი გრიგოლი, მაკარი და მაგალობელი იმერეთის ეპისკოპოსისა ბ. ქელბაქიანი, რომელთაც, აღიარეს, რომ ბ. ქორიძისაგან შედგენილ ნოტებში ყოვლის მხრით დაცულია ქართულის გალობის სინამდვილე და სიბეჯითეო. დიდი მადლობა ეკუთვნის ამ საუკუნო ძეგლის დამდგმელს, ბ. ფ. ქორიძეს და მის მეუღლეს, რომელმაც თავის მონაწილეობით და მშვენიერის მუსიკის ცოდნით თითქმის გაუნახევრა მას ჯაფა.

58. დროება, 1883, 18 ნოემბერი, №232, გვ. 2

შინაური ქრონიკა

ბ. ქორიძისაგან შედგენილი ხორო, რომელიც მისგანვე შედგენილს ნოტებზე მთელს ქართულ წირვასა გალობს და ზოგიერთა ხალხურ სიმღერებსაც „ხელის ხელ საგოგმანები“, შეიქმნა. ოთხშაბათს სალამოზედ ხსენებულმა ხორომ ჯერ იგალობა მთელი წირვა ექსარხოსთან, რომელსაც ძალიან მოეწონა, შემდეგ ხორო მინვეული იყო თბილისის მაზრის მარშლის ბ. ლუარსაბ მაღალაშვილის სახლში, სადაც დიდმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, სიამოვნებით მოისმინა მთელი წირვა და შემდეგ რამდენიმე ხალხური სიმღერაც, როგორც ქართული, ისე გურული. ბ. ქორიძეს და მის მეუღლეს საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა ამ ჩინებულის საქმის დანყებისათვის.

ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით

ამ უკანასკნელს დროს ძლიერ გახშირდა ქება ბატონის ქორიძისაგან გადაღებულს ნოტებზედ და ამ საშუალობით გადაღებულს ქართულს საეკლესიო გალობაზედ და სიმღერებზედ.

ფრიად სასიამოვნოდ დამრჩა ეს ამბავი. ვინატრი ამ გალობის გაგონებას და მასთან იმასაც, რომ ჩვენს ქართულს საეკლესიო გალობას არ მოჰყვეს იტალიური კილო, რომელსაც იგი ვერ შეითვისებს.

სიმღერა – სხვა არი; სიმღერას კილო რომ შეეხაროს იტალიურად, იმითი არც მოირყვნება და არც გაპატიოსნდება, თუმცა სანატრელი კია, რომ საქართველოს სიმღერებიც, თუ შეიძლება, თავ-თავის კილოზედ დარჩნენ, თავისი ხასიათი არ დაჰკარგონ ნოტებზედ გადაღებით.

ღმერთმა ქნას, რომ ქორიძემ ბედნიერად განაგრძოს მისგან კეთილად დანყებული საქმე. ურიგოდ არ ინებებდა, ბატონს ქორიძეს რომ მიეპატიჟნა საზანდრები და იმათგან დაკრულის, ან ნამღერალის ხმებიდგან შეედგინა ნოტებით „კრებული“ სიმღერებისა. ურიგოდ არ ინებებდა აგრეთვე, რომ ამავე განზრახვით ემგზავრა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ნოტებზედ გადაეღო სოფლური სიმღერების ხმები.

ამითი დიდად ისახელებდა, დიდს ვალს დასდებდა საზოგადოებას და დიდს და ძვირფასს მასალას შეუკრებდა მუსიკის მოყვარეთ.

ჩვენი ქვეყანა, როგორც იტალია, მდიდარია სხვადასხვა სიმღერებით, მათი მუსიკალურის კილოთი და მიმოხვრით. მართალია, ბევრი სიმღერები მოიპოვება, რომელთა კილო და ხასიათი თათრებისაგან, ყიზილბაშთა და ოსმალებისაგან არის მიღებული, მაგრამ ისინი როგორღაც შესთვისებიან ჩვენს ხალხს და სტუმრად აღარ ირიცხებიან. მათ გარდა, სოფლური და ნამდვილი ქართული სიმღერებიც მრავალია, როგორც ზეითა ვსთქვი და აი, დასამტკიცებლათაც, აქ მომყავს სია იმ სიმღერებისა, რაოდენიც მე ვიცოდი და გამახსენდა:

ხმები მიღებული თათართაგან, ყიზილბაშთა და ოსმალოთაგან:

1) დოგუში (საჭიდაო), 2) ქარამი, 3) დუგაია, 4) მაჭური, 5) მაჯამა, 6) რასტი, 7) დივანი, 8) ჩარგაია, 9) ჰეიდარი, 10) ნავა, 11) სეგა, 12) ჰუმაია, 13) თასმუხალიფი, 14) რაჰაბი, 15) შადიანი, 16) შიქასტი, 17) რიზაია, 18) თეჯლიში, 19) მავარანი, 20) ჩონგურქოა ყუმის მასნაფი, 21) ბაიათი, 22) ჩობანბაიათი, 23) კროული [...]

[...] თუ ამოდენა ხმებისაგან ნაოთხალიც არის ნოტებზედ გადავიდა შეუშლელად და შეურყვნელად, – ისიც კარგი ბედი იქნება და კარგი მასალა შემდეგისათვის.

ღმერთმა ჰქმნას ჩვენი აზრი და სურვილი ასრულდეს!

თ. რაფ. ერისთავი

60. მწყემსი, 1884, 1 იანვარი, №1, გვ. 9-10

სხვადასხვა ამბები და შენიშვნები

როგორც გვაცნობებენ თფილისიდან, გალობის აღდგინების თაობაზე დანიშნულა კომიტეტი უწმიდესის საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრის მამა არხიმანდრიტის მაკარის თავსმჯდომარეობით. იმედია, რომ მამა მაკარი ამ ძვირფასს საქმეს არ მოაკლებს თავის შრომას და ენერგიას. ამასთანავე გვამცნობენ, რომ სხდომებზე იქმნებიან მონვეულნი გარეშე პირები, როგორც სასულიერო აგრეთვე სახორციელონი. ესეც, უნდა ვსთქვათ, გონივრილი განზრახვა არის. ყოველიფერი საქმე და კითხვა უმჯობესად იქმნება შემუშავებული მრავალთა პირთაგან და უმეტეს აშორდება შეცთომებს.

61. დროება, 1884, 2 თებერვალი, №25, გვ. 2-3

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე წერილს მისცეთ ადგილი თქვენის გაზეთის უმახლობელესს ნომერში.

კომიტეტმა, დაწესებულმა გადღეებისათვის ნოტზედ ქართულის გალობისა, გუშინდელს სხდომაზედ გადასწყვიტა, რათა მოიწვიონ ის პირნი, რომელთაც იციან გალობა, რომელსაც გალობენ საქართველოს ეპარხიაში ქართველნი; ამის გამო, კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, რომელთაც იციან მტკიცედ ქართული გალობა, შემოიტანონ კომიტეტის სახელზედ განცხადება, რომელშიაც აღწერენ, ვინ რა გალობა იცის, და მან უნდა დაიჭიროს ეგზამენი კომიტეტის წევრებთან და უკეთუ აღმოჩნდება იგი ჯეროვან მცოდნედ, მაშინ იგი შეეკვრის კომიტეტს პირობითა: პირველად იგი უნდა მოურიგდეს კომიტეტს ჯამაგირის მიცემაზედ, მეორედ, მან უნდა იგალობოს ბ. ქორიძესთან ყოველ დღე, გარდა კვირიაკეთა და დღესასწაულთა დღეთა დღეში ხუთი საათი, და მესამედ—უკეთუ იგი მოაკლდება დანიშნულს საათებს თვინიერ შესანდობელის მიზეზისა, მაშინ იგი გარდაიხდის სამს მანათს ჯარიმას სასარგებლოდ ამავე საქმისა; განცხადება თბილისში მცხოვრებელთა უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს სამისა დღისა.

*თავსმჯდომარე კომიტეტისა, არხიმანდრიტი მაკარი,
არხიმანდრიტი გრიგორი.*

1884 წელსა თებერვლის 1 დღესა.

საეკლესიო გალობის წარსული და აწმყო

საყვარელო მკითხველო! შენ, როგორც მსოფლიო ცხოვრების სხვადასხვა მოვლინებათა ყურის მგდებელი, უსათუოდ დამეთანხმები მასზე, რომ დროება კაცის ყოველწიარ მოქმედებას თავის ფერს ადებს და ხდის სასიხარულო, ან სატირალი ბედის ხვედრათ. ეს ჭეშმარიტებათ ითვლება საზოგადოთ და ესევე უნდა ვსთქვათ ზემოაღნიშნულის კითხვის შესახებ. თუ მას რაიმე სანატრელი და სასიხარულო ბედის-წერა სწეოდა, იმ შემთხვევაში ჩვენც არა გვეთქმოდნა რა მის მეტი, რომ სახლში დავმჯდარიყავით და შეფრფინვით გვეყურებია მისთვის, მაგრამ როცა ეს ასე არ არის, სხვა რა გვმართებს ჩვენ ბედკრულებს, თუ არა გლოვა, ოხვრა და საჩივარი იმ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, რომლების მეოხებით დღეს გალობა ამ ნაირი მდგომარეობაში არის. მკურნალმა როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდესო, უბნობს რუსთაველი, და ამა სიტყვებით დაიმედებულები აღარც ჩვენ ვხდით სათაკილოთ ჩვენი ოხვრის გამოაშკარებას.

მეცხრამეტე საუკუნის შუამდის საეკლესიო გალობას, ისე როგორც სხვას, ჩვენში, როგორც იყო, კიდევ თავისი ფერი ედო, მაგრამ სამოცი წლებიდან დაწყებული ჩრდილოეთის შემონაბერმა ცივმა ქარმა დასძლია სამხრეთის სითბოს, შეუბერ-შემოუბერა მას გვერდანებზე, დათრთვილა, დააზრო შემოდგომის ხის ფოთოლივით და ბოლოს სული ამოახდინა. ამა თხუთმეტი წლის წინათ, როცა სოფელ-ქალაქებში ძველი დროის ჩარჩენილი მღვდლები მსახურებდნენ, წირვა-ლოცვა მათ მეტად გაჩაღებული და გალობით შემკული ჰქონდათ. თვითონ ამა სტატიის დამწერი არის იმისთანა დროის მომსწრე, როცა ახალს დაზამთრებულს, თუ ყოველს წელიწადს არა, ორს-სამს წელიწადში ერთხელ მაინც ათ-თუთხმეტს ახალგაზრდა ყმანვილებს აგზავნიდნენ გურიაში, სადაც ისინი სპეციალურად სწავლობდნენ წირვის წესს გამშვენებით, მეტად სასიამოვნოს და სასიქადულოს. ვერას ისმენდა და ვერც ნახავდა კაცი, როცა ეს ნასწავლი ახალგაზრდა გლეხობა ბრუნდებოდა შინ; გაზაფხულზე და აღდგომის უქმეებზე გრძნობის გამტაცე და მრთელი კაცობის არსებობის დამატკობელ ხმაზე თავის შეზავებულის გარმონიით გაჰკიკინებდნენ სხვადასხვა ძილისპირებს, ტროპარებს, კონდაკებს და სხვა. ნამეტურ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ისინი მაყურებლებზე, როცა წირვის დროს ეკლესიაში ორპირათ განიყოფებოდნენ, გადგებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ კლიროსებზე და ერთმანეთის ჯიბრობით, თავმომწონეთ, ათასწაირათ კვანწავდენ ხმებს, თითქო ცდილობდნენ დაემტკიცებიათ მაყურებლებისათვის, არა ჩვენ ვჯობთო, არა ჩვენაო. აქ მუშაობით ილაჯგამოლეულ და დაქანცულ გლეხს, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო ეს გალობა ავინყებდა თავის დაღლილობას, გულს უტკობდა, სულით აფხიზლებდა, ხორციით ამაგრებდა და ამნაირად ეს დაშლილი მეხანიზმი ძალაუნებურათ მზათ ხდებოდა ესმინა და დაემახსოვნა ყველა ის, რასაც ტაძარში იტყოდნენ. ამისთანა ტკბილი და საკუთარ გემოვნებაზე შემოდებული გალობა არანაკლებ გავლენას ღებულობდა დედათა საზოგადოებაზე. ქალები, ეს გრძნობით მდიდარნი არსებანი, კარგა ბლომად დადიოდნენ ეკლესიაში იმ დროს, განა მარტო იმისთვის კი არა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, არა, იმისთვისაც, რომ მაშინ აქ ორ-სამ მხრიდგან მოისმოდა გალობა, რომელიცა დამატკობელი სახით უჟღერავდა მათ გრძნობის ყოველწიარ სიმებსა; დაავინყებინებდა ქვეყნიურ შფოთსა და შრომას და მოაგონებდა ზეციურ არსებათა...

ეკლესიას გარდა ამ ახალგაზრდა ყმანვილების გალობა ისმოდა კიდევ – კვირა უქმი დღე ან დღესასწაულებზე, საზოგადო ყრილობაში, ან კიდევ, როგორც ეძახიან ქვემო

იმერეთში, ჯარებში და ნვეულობის დროს სუფრაზე. მათი გალობა ისმოდა ეგრეთვე გზაზე, სადაც სხვა დროს უიმისოთ გლეხი კაცის უწმინდურ სიტყვაობას და ზნეობით გამრყენელ ლაზღანდარობას საზღვარი არა აქვს; ესევე რელიგიური გრძნობის აღმძვრელი და მზრდელი ძილისპირები ართობდა საყანეების არემარეში ფეხშიშველა, გულლია, ზევით სიცხისაგან შეწუხებულს, ქვევიდგან მიწის სიმხურვალისაგან სულშეხუთვილს, სიმშლისაგან და წყურვილისაგან შეძრწუნებულს, თოხში ჩამდგარ მუშა კაცს, რომელიცა ამდენი გაჭირვების მეოხებით, არა იშვიათად, მიეცემოდა სასონარკვეთილებასა და ღვთის გამობას მიჰყოფდა ხელს, თუ ამ გალობას არ გაერთო ის ერთხანს მაინც არ დაევიწყებინა მისთვის თავის მოუღალავი შრომა. ჩვენ იმ მგალობლებზე ლაპარაკსაც არ დავიწყებდით, რომ ამის მეტი სარფის მომცემნი არ ყოფილიყვნენ ისინი ჩვენთვის. თუმცა მათზე ესეც დიდი იყო, მაგრამ მათი ხელოვნება უფრო შორს მიდიოდა კიდევ ამ შემთხვევაში. თუ წირვა-ლოცვის დროს ეკლესიაში და ლხინის დროს სავსე სუფრაზე უტკობდნენ იგინი სმენას თანამედროვე მოძმეებს, მოკლეთა ვსთქვათ, თუ დალხინებაში იყვნენ ეს მოგალობელნი ყოჩაღები, მის მაგივრათ არც გაჭირვებაში გახლდნენ ისინი ლაჩრები. რომელ მკითხველმა არ იცის ქართველების ადათი და ჩვეულება ტირილის დროს! აი ამ დროს, როცა რომელიმე მათ თანამოძმეთაგანს ვინმე მოუკვდებოდა, მოვიდოდენ ეს ყმანვილები და მწუხარების აღმძვრელ კილოზე „ზარს“ გაიძახოდნენ და მით ამშვენებდნენ ხელგულდაკრეფილ მეზობელს და მისსჭირისუფალს. ეს გალობა მარტო ერთსა და იმავე პირების ხელში არ რჩებოდა, ის, ზეპირ ვედრებასავით გადადიოდა, მეორედგან მესამეში, მეათედგან მეოცეში და ამნაირათ კერძოთ მოპოვებული გონებითი სიმდიდრე თანდათან ვრცელდებოდა ახალგაზდა გლეხკაცობაში და საზოგადო ლუკმათ ხდებოდა. ხშირად, ძლიერ ხშირად ხდებოდა იმისთანა შემთხვევები – მაგალითები, რომ ზოგიერთა „ბიჭუნიკეები“, ორი-სამი გაგონების შემდეგ, ისეთის კრიმანჭულს ხმაზედ შემოსძახებდნენ ამ ძილისპირებს და, რასაკვირველია, ისეთის სინამდვილით, რომ მაყურებელს ეგონებოდა, თითქო ეს-ესაა თავის გამდლის ხელისაგან გამოსულ არიანო. ამისთანა წარმატებაში მდგომიარე გალობას საზოგადო პროგრესის ძალით უფრო უკეთესი ბედი უნდა სწეოდა მომავალში, ე. ი. უფრო უნდა გავრცელებულიყო და გაუმჯობესებულიყო, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, სოფლის მუხანათობამ ადრე უცვალა მას კვალი და ერთბაშათ ამოაძრო სანყალ გლეხს პირიდგან.

მას აქეთ, რაც ეს ძველი მიმართულობის და გემოვნების მღვდლები გადაგველო, და მათ მაგივრათ ეს ალაგები ახალი გემოვნების მღვდლებმა დაიჭირეს, საეკლესიო გალობა „ორპირათ“-გან ჯერ გადავიდა „ერთპირზე“ და ბოლოს ერთ ლიტონა კაცზე, რომელიცა, ღვთის მადლით, დღეს თუ ხვალ იძულებული ხდება ხმა გაკმინდოს, არამც თუ მარტო იმისათვის, რომ ის ცოდნითა და მომზადებით ვერა სწვდება უწინდლებს; დღეს, როცა მთავრობა მოწყალე თვალთ გვიყურებს და ვალდებულათ გვხდის კიდევაც ქართულ გალობას უწინდელი ალაგი ეჭიროს ჩვენში, შევდივართ ეკლესიაში და სასოების მაგივრათ ზიზღი მოგვდის გულზე: მღვდელი, ნამეტანის კოხტაობით ხმის ამოღებასაც არ კადრულობს და, ან თუ კადრულობს, ისე იმანჭება, ისე უჭირებს ერთმანეთს ღრანჭებს, რომ გარეგან მაყურებელს ვილაც „გადამთიელი“ კაცი ეგონება. ერთი უნდა იყოს: ან სწავლა უშლის ხელს, ან უსწავლელობა! ეს კიდევ არაფერი. მიიხედავ გვერდზე და დაინახავ „დიაკვანს“, (მედავითნეს) რომელსაც ბევრის კითხვით ილაჯი გამოლევია, და დაქანცულა მგალობლობის მოვალეობის ასასრულებლადაც, გადაყუდებია სანიგნეს და „უფალო შეგვიწყალეს“ ჰგალობს. მერმე როგორ ხმაზე?! ისეთ შეუზავებელ და შეუთვისებელ ხმაზე, რომ ცოტა გემოგახსნილი მსმენელი, ვიტყვი შეუმცთარათ, გრძნობაში კი არ მოჰყავს, სულ უკარგავს მას ლოცვის მდომას. მღვდელი, რომ „მშვიდობიანს“ უბნობს დაბალ ხმაზე დიაკვანი ჰაერში გაჰყვირის, და მათი ხმები სრულებით არ უდგება ერთმანეთს. არც გეგონოს მკითხველო, რომ ეს მარტო სოფ-

ლის მიყრუებული კუთხეებში იყო ასე. ამასვე დაინახავ შენი ლამაზი თვალებით, თუ შე-
ბრძანდები ქალაქების ზოგიერთთა ეკკლესიებშიაც.

რათი უნდა აიხსნას ამისთანა ანორმალური მოვლინება? დაგვეკითხება ზოგიერთი ცნო-
ბის მოყვარე მკითხველი. ბევრი მიზეზები უშლის ხელს ამ საქმეს, მაგრამ ყველაზე მეტათ
ის, რომ თვითონ ეხლა ნასწავლმა მღვდლებმაც არ იციან ეკკლესიური გალობა. და პრიჩე-
ნიკებზე რაღა ითქმის? ასე, სიღარიბე, დაუდევნელობა, გულგრილობა და უცოდინარობა
უნყოფს ხელს, რომ გალობა სულ ამოიფხვრას და დროა ამ საგანს კაცმა ყურადღება მი-
აქციოს, ვიდრემდის კიდევ არსებობს სოფლებში ძველი გალობა.

მ. ფ.

63. დროება, 1884, 15 თებერვალი, №35, გვ. 4

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

კომიტეტი, დაწესებული აღდგინებისათვის ძველის ქართულის გალობისა, მოუნოდს დი-
რიჟორს თბილისის საიმპერატორო თეატრისას ბ. ტრუფის, ბ. ქორიძეს და სხვათა ნოტების
მცოდნეთა, რომელთაც შეუძლიანთ გადაღება ნოტებზედ ქართულის გალობისა. ამასთანავე,
კომიტეტი სთხოვს საერო პირთაც, მოზრძანდენ ამ თვის თხუთმეტს, ოთხშაბათს, საღამოს
ექვსს საათზედ, მ. არხიმანდრიტის მაკარის სადგომში, საქართველო-იმერეთის სინოდის
კანტორის შენობაში, სადაც კომიტეტს ექნება სხდომა ამ საგნის შესახებ.

*თავმჯდომარე კომიტეტისა არხიმანდრიტი მაკარი
13 თებერვალი 1884წ.*

64. დროება, 1884, 18 თებერვალი, №38, გვ. 1

შინაური ქრონიკა

ჩვენი სასულიერო წოდება თითქო ერთგულად შეუდგა ქართული გალობის აღდგენას.
აქამდის ამ საქმეს ის უშლიდა, რომ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე დასი სხვადასხვა გა-
ლობას რჩებოდენ. ლიხთიქითელებს გურული გალობის აღდგენა სურდათ, ლიხთაქეთელებს
კი იმ გალობისა, რომლის მცოდნენი არიან ძმანი კარბელაშვილები. ოთხშაბათს საღამოზედ
ამ საქმისათვის განგებ დანიშნულ კრებაზედ, რომელზედაც დაესწრნენ ბევრნი სასულიერო
და საერო პირნი და აგრეთვე ბ. ქორიძე და დირიჟორი აქაური ორკესტრისა ბ. ტრუფი,
ეს ორი მხარე ერთმანეთში მორიგდა და გადსწყვიტეს გალობის ორ ხმად გადაღება: უნდა
გურული კილოთი ცალკე გადილოს, კარბელაშვილის კილოთი ცალკე. ესე გათავება საქმი-
სა, იმედი გვაქვს, მოსპობს განხეთქილებას და მთელი ქართველი სამღვდლოება მიიღებს
მონაწილეობას ქართული გალობის აღდგენაში.

ამ კრებაზედ ბბ. ქორიძესა და ტრუფის, ორთავ გამოუცხადებიათ სურვილი სრულის საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღებისა, თუ გალობის კომიტეტი ფასს არ დაზოგავს. კრებას მიუხდვია ამ ორი პირისათვის ნოტებზედ სამი ხმის გადაღება გამოსაცდელად და რომელიც კი ამ ხმებს უფრო კარგად და უფრო ქართულის კილოთი გადილებს, იმას მიენდობა მთელის გალობის შედგენაც.

65. 1. ივერია, 1884, 22 თებერვალი, №39, გვ.1

*** * ***

17 თებერვალს, დილის 11 საათზედ, საქართველოს ეგზარქოსის ეზოში უეცრად გარდაიცვალა მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი. განსვენებული ექსარქოსთან მოსულა, მაგრამ რადგან სახლში არ დახვედრია, უკანვე გამობრუნებულა, ეზოში ქვაზე ფეხი წამოუკრავს, ნაქცეულა მინაზე და 5-6 წუთის შემდეგ გარდაცვლილა.

განსვენებულს კარგად იცნობდა ჩვენი საზოგადოება, როგორც ერთს საუკეთესო მოძღვარს. განსვენებული ერთობ მშვიდის ხასიათისა და გულკეთილი კაცი იყო.

ამას გარდა, მღვ. მოლოდინაშვილმა კარგად იცოდა ქართული საეკლესიო გალობა: იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გალობას ასწავლიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. მამა მოლოდინაშვილმა დიდად შეუწყო ხელი ბატონ იპოლიტოვ-ივანოვს, როცა ეს უკანასკნელი შეუდგა ქართული საეკლესიო გალობის (ქართლ-კახური კილოსი) ნოტებზე გადაღებას. განსვენებულს დარჩენია ნოტები და ძველი ხელნაწერები, აგრეთვე მთელი კოლექცია ძველი ფულებისა.

66. დროება, 1884, 22 თებერვალი, №40, გვ. 1

„დროების“ ფელეტონი

რამოდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგინების გამო

მე მგონია, ცხადი იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვექონია, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული; ამას გვიმტკიცებენ: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „დარიჯანიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვ. აგრეთვე აღარც ის არის საეჭვო, რომ სამეფოს გაყოფისა და დაცალცალკეების შემდეგ ენასაც ხრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ენის სრულიად დაკარგვას. ავიღოთ მაგალითად, ძვირფასი რამ მანიაკი: ის რომ იმისთანა უფსკრულში ჩავარდეს, საიდანაც ამოღება შეუძლებელია, მაშინ ეთქმის დაკარგულობა და თუ მხოლოდ ის ძაფი გაუნყდა, რომელზედაც აუსხავსთ მისი მარცვლები, გაიფანტა მარგალიტები და გაიბნა აქეთ-იქით, სხვადასხვა კუთხეებისაკენ, ეს არ იქნება დაკარგვა. საჭირო იქნება მხოლოდ იმ გაბნეული მარგალიტების მოძებნა, პოვნა, აკრეფა, მოგროვება და ხელახალ ძაფზედ ასხმა, და ხელში დაგვრჩება ისევ ძველი სამ-

კაული, განმენდილი და გაახლებული. მაგრამ მარტო ერთ რომელიმე კუთხეში რომ აჰკრიფოს ვინმემ მხოლოდ იქ მიგრაციული მარცვლები და აღარ ეძიოს, თანვე იმ მარგალიტებს ააყოლოს ლობიოს მარცვლებიც, აასხას მანიაკად და იძახოს: ეს არის ნამდვილი ის ჩვენი ძველი მანიაკო, ეს იქნება პირდაპირი ან უგუნურება და ან სიზარმაცის ნიშანი.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა და ზოგიერთა მისი ცოდნის მჩემბლებს, ზოგს ქალაქური, კინტოური, სხვადასხვა ენებისაგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს სიტყვებდაკარგული ამერული და ზოგს სხარტულობით გაცეცხლებული იმერული, მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოსძებნიან სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას.

რაც ენის შესახებ ვსთქვით, ისევე ითქმის ქართულ გალობაზედაც. თავდაპირველ ბერძნულიდან შემოგვიღია გალობა, მაგრამ ისე კი გაგვიქართულებია, ესე იგი მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასიათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს და ჩვენს ეკლესიას პატივსაცემად და საგონებლად იმ პირველ მოძღვრისა, ქართულ გალობაში „ისპოლა“ დაუტოვებია და დღესაც ბერძნულის სიტყვებით ჰგალობს. ენისა არ იყოს, გალობაც ადრევე ერთი და იგივე ყოფილა საზოგადოდ საქართველოში და დღეს კი ისიც დამახინჯებულია. ამ ნაკლულევაწებას ყოველთვის ვგრძნობდით, გვინდოდა როგორმე ნოტებით აღვევადგინა, მაგრამ დღემდის მცოდნე პირები გვარწმუნებდნენ, რომ შეუძლებელიაო და დღეს კი, როდესაც ბ. ქორიძემ მაგალითი გვიჩვენა, ყოველი კუთხიდან გამოჰყვეს თავი და შინაური, თუ გარეული იმას იძახის: არა, მე უკეთ შევადგენ და არა მეო! კეთილი და პატიოსანი! ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკაობა ამოქმედებთ და სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიუწევია, რომ ლამის საქმე არივ-დარიონ რაღაც წვრილმანური პატრიოტობის გამოჩენით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაკვირვებს კომიტეტის მოქმედება: ის ისეთ რამეებს აჰყვლია, რომ თუ ერისკაცთაგან საზოგადო თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი აქვს ამ საქმეში, ასე არ უნდა იქცეოდეს! ერთი ამბობს: „მე ჯერ შევისწავლი ნოტებს, მერე დავივლი იმერეთს, შევისრულებ გალობას და მერე დაგინერთო“. მეორე არწმუნებს, რომ მე არც ენა ვიცი და არც ხასიათი, მაგრამ ნოტებზედ კი, რაც გინდათ, თვალის დახამხამებამდი გადაგიღებთო და სხვ. კომიტეტიც ყურს უგდებს და არ იცის, რა ქნას! საქმეს ტყუილუბრალოდ აჭიანურებენ და საგულისხმო ვერ გამოურჩევიანთ რა. ბოლოს კი, თითქოს აუქციონით ყიდდენ რამეს, გადაუნყვეტიათ, ვინც უფრო იაფად გადაიღებს, იმას მივსცეთო და, რასაკვირველია, რომ ესეც უბრალოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგვაა. როგორ თუ გადაიღებს? ჯერ აღდგინება უნდა და მერე გადაღება! განა დანერა და გადანერა ერთი და იგივეა? ვინც კი „ანბანი“ იცის, იმას ადვილად შეუძლიან უმეტ-ნაკლებოდ გადახატვით გადასწეროს, რასაც კი მისცემთ გადასაწერად, მაგრამ თუ ის ენა არ ესმის და შესწავლილი არა აქვს, რომლიდანაც სწერს, როგორ გაიგებს სად რა შეცდომაა, სად მეტია, სად აკლია, და მას როგორღა გაასწორებს და აღადგენს დედანს. გალობაც ისეა: „ანბანურად“ ნოტებით მისი გადაღება ძნელი არ არის, მაგრამ აღდგინება? ნუთუ ქართული გალობა ისე დასრულებულია, რომ არარა ეჭირვება რა, გარდა ნოტებით გადაცემისა! და სად არის ეს გალობა? და რომელია? ზოგი ამტკიცებს „კარბელოვის“ გალობააო და ზოგი იძახის „გურულიო“! უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ ორივე მხარე კი სტყუის...

„კარბელოვის“ გალობა არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობისა, პირველი გაკვეთილი და იმ პირველ მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს, ისე როგორც ახალი მოსწავლე ამოსაღებით ჰკითხულობს ყოველგვარ წიგნს. „ალილოს“, „სალხინოს“, „საზაროს“, „საძილისპიროს“, „სადღესასწაულოს“ და „ჭრელს“, თუ „საკარანახოს“ – ყველას ერთიანად იმავე კილო-ხმით გალობენ.

გურული გალობა მართალია სრული სკოლა არ არის, მაგრამ მეტის კრიმანჭულებით

გადაუსხვაფერებიათ, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ველარც ის ხატავს საგანს. და მაშასადამე ეს გალობები რომ გადავიღოთ და მითი მოვრჩით საქმეს, პირველ შემთხვევაში უგუნურება იქნებოდა და მეორეში – შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილო-ხმებს, თვითონაც შეისწავლოს; ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას, გამოიციხოს, რაც აკლია შეავსოს, აღადგინოს ნელ-ნელა აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს: ამ გვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვა.

როგორც საქმის მოსარჩლე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამ გვარი მოთავე კიდევცა გვყავს, ბ. ქორიძე. ვისაც გაუგონია მისგან ნოტებზედ გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ ჟინით, წინააღმდეგობას ვერ დაიწყებს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ კიდევ უკეთესიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს საზოგადო კანონია ყოველიფრისათვის! დღეს თუმცა მხოლოდ მარტო სამს ხმაზედ არის შედგენილი ეს გალობა, დანაშთენი ხმები არ ჩაერთვის და გუნდიც არ შემდგარა, მაგრამ მაინც გულს ელხინება მისი მოსმენა. განსაკუთრებით გურული კრიმანჭულები საუცხოვოდ არიან გადაღებულნი. გალობას მხოლოდ ერთი მცირე რამ შევნიშნეთ, რომელიც ადვილი გადასასწორებელია: სამივე ხმა ერთად იწყებს და ეს წინააღმდეგია ქართული გალობის: „მოდახილი“ მიტომ ჰქვიან ერთ ხმათაგანს, რომ მერე უნდა დაეხმაროს. საზოგადოდ მთქმელი იწყებს, მაღალი ბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს აძლევს, დვრინი აგვრგვინებს და ძილი ატკობს...

ამათ ყველას თავ-თავის დრო აქვს და შიგა და შიგ შეერთებულად ხმას გამოსცემენ ხოლმე და კიდევ ამაშია ჩვენი გალობის ტკბილხმოვანების საიდუმლო.

აკაკი

67. დროება, 1884, 23 თებერვალი, №41, გვ. 2

წერილი რედაქტორთან *)

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილისთვის არ დაიშუროთ ადგილი თქვენის გაზეთის უმახლობელესს ნომერში.

თქვენის გაზეთის 25-ე №-ში დაბეჭდილი იყო საყურადღებო წერილი ქართული გალობის აღმადგენელი კომიტეტის თავს მჯდომარის მ. არხიმანდრიტი მაკარისა და არხიმანდრიტის გრიგოლისა, რომლითაც იგინი იწვევენ ქართველთ, მცოდნეთ საქართველოს ეპარქიაში ხმარებულ გალობისა. ამავე წერილში გამოცხადებულია მმ. არხიმანდრიტთაგან, რომ ამ გვარი პირი თუ აღმოჩნდა ვინმე, უნდა ეგზამენი დაიჭიროს კომიტეტთან და მორიგდეს ფასში იმ პირობით, რომ ყოველ დღე იაროს ქორიძესთან, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. ამას გარდა დღეში ხუთი საათი უნდა იგალობოს და თუ იგი დააკლდება დანიშნულ საათებს უსაბუთო მიზეზით, მაშინ უნდა გადხადოს ყოველ ამ გვარს შემთხვევაში სამი მანეთი ჯარიმა სასარგებლოდ კომიტეტისა.

ეს ძალიან კარგი, ამიტომ რომ, როგორცა სჩანს მმ. არხიმანდრიტებს სურთ ამით გამართონ კონკურენცია მგალობლებ შორის, ნაკლებ ფასად დაიქირავონ მგალობელნი და უკეთე-

სი მცოდნე გალობისა მოიპოვონ; მაგრამ, მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ მამა არხიმანდრიტებს ამ საქმის დანყებაშივე თითქოს განზრახ სურთ სხვა გვარად მოქმედება. ამათ კარგად იციან, რომ ეხლა ჩვენს თბილისში მღვდლად ირიცხებიან ორნი ძმანი კარბელაშვილები, ძენი გარდაცვალებული მღვდლის გრიგოლ კარბელაშვილისა, რომელმაც ამას წინად სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის მონაფეთა შორის გაავრცელა რიგიანი ქართული გალობა. მამა არხიმანდრიტებმა იციან, რომ ეხლა ქართლ-კახეთში ქართული გალობა ამ ძმებს კარბელაშვილებზედ უკეთ თითქმის არავინ იცის. ისიც კარგად იციან, რომ ესენი გალობის საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ და ერთმა მათგანმა, მ. პოლიევკტოსმა გამოუცხდა კიდევ თბილისის სამღვდელოების კრებას, რომელიც იყო 25 იანვარს ამა 1884 წ., თავის სურვილი, რომ „მზა ვარ ჩემი შრომა შევწირო საზოგადო ინტერესს და არავითარი ფასის აღება არ მინდა გალობის საქმეშიო“. ისიც იციან მმ. არხიმანდრიტებმა, მ. პოლიევკტოსმა წარუდგინა 400 №№ გალობებისა იმავე სამღვ. კრებას, რომელმაც შეამოკლა სამას ნომრამდე, ერთ ხმად აღიარა საკმაოება ამ გალობათა რაოდენობისა და შეადგინა აქტი გადააღებინოს მხოლოდ კარბელაშვილის სიაში მოხსენიებულნი გალობანი, მაგრამ მმ. არხიმანდრიტებს მაინც კიდევ კონკურენცია სასარგებლოდ მიაჩნიათ.

ჩვენც დავთანხმდეთ მათ, მაგრამ, რაკი კარგი და იაფფასიანი მგალობელის მოპოვება სურს კომიტეტს, რატომ იმას კი არ აცხადებენ, ბ. ქორიძე რასა თხოულობს თვითო №-ის გადაღებაში? თუ რომ მგალობელთა კონკურენცია მიაჩნიათ მმ. არხიმანდრიტებს სასარგებლოდ, სამღვდელოების ისედაც ცარიელი ჯიბეებისათვის, უმთავრეს ხარჯს, ე. ი. გალობის ნოტებზედ გადაღების დაკმაყოფილებას რატომ აღარ აქცევენ ყურადღებას? ამ ხარჯის შესამცირებლად რატომ აღარ უმართავენ კონკურენციას ბ. ქორიძეს? მე ამით არა მსურს ბ. ქორიძის ცოდნა და გამოცდილება უარყო. რატომ! იგი ფრიად გამოცდილი და ხელოვანი პირი უნდა იყოს მუსიკისა, მაგრამ ამ ქართული გალობის საქმეში კი, მ. მ. არხიმანდრიტებს ვალად სძევთ იზრუნონ თავიანთი ლატაკი და ჯიბე ცარიელი სამღვდელოების სასარგებლოდაც, რომ ამით ასი თუმნების ალაგას ათასი თუმნები არ წაადონ გადასაღები ფასი; ამიტომ უპირველესად საჭირო იყო კომიტეტს გამოეწვია კონკურენცია მუსიკის მცოდნეებში და მათგან შეეცყო ფასი და ღირებულება იმ გალობათა ნოტებზედ გადაღებისა, მაგრამ მმ. არხიმანდრიტთ თითქო პირობა კიდევ შეეკრათ ბ. ქორიძესთან, იმგვარად აცხადებენ თავიანთ წერილში, რომ მგალობლებმა ქორიძესთან უნდა იარონ დღეში ხუთი საათით. ნუთუ მმ. არხიმანდრიტნი უკვე დათანხმდენ ბ. ქორიძეს იმ ფასზედ, რომელსაც იგი თხოულობს სამღვდელოთაგან, რომ ოთხის წლის განმავლობაში ყოველს წელს ეძლიოს 6000 მან.? განა შეიძლება სამღვდელოება ამოდენა ხარჯს? საიდან? განმეორებით ვიტყვი, რატომ კომიტეტი არ კითხულობს მუსიკის მცოდნეთა და გაზეთის საშუალებით არ გამოიწვევს კონკურენციას? იქნება ერთი ათად ნაკლებ ფასად დაისვან ბ. ქორიძისგან მოთხოვნილ ხარჯზე.

ჩვენ ნამდვილის წყაროებიდან ვიცით, რომ ამ ორის წლის წინად, როდესაც ქართული გალობის აღმადგენელი კომიტეტის თავსმფდომარედ ისევ ყოვლადსამღვდელო, ეხლანდელი მმართველი გურიის ეპარქიისა, ალექსანდრე ბრძანდებოდა, მაშინ თბილისის საიმპერატორო თეატრის დირექტორი ტრუფის გულსმოდგინედ სურდა ქართული გალობისთვის მოეკიდნა ხელი და ეხლაც იმ გალობების გადაღებას, (რომლის სიაც 25 იანვარს მ. კარბელაშვილმა წარუდგინა სამღვდელოების კრებას და რომელიც შეიცავს 300 საგალობო №№-ს თავის ყოველგვარ ხარჯით გარდა და ბეჭდისა), ესევე ტრუფი კისრულობს 4000 მან. ამაზედ ბ. ტრუფიმ განცხადება მიართვა მათს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს პავლეს და არ შეიძლება არ მიაქციოს თვისი ყურადღება ამ განსხვავებას, რომელიცა სჩანს ქორიძისა და ტრუფისაგან ფულის თხოვნაში. გარდა ამისა ტრუფი ამბობს დღეში ერთი საათი ანუ საათნახევარი სამყოფია, რომ მგალობელმა და გადამღებმა იმუშავონო; საათ-

ნახევარში ერთი დიდი საგალობელი მაინც უნდა გადავიდეს ნოტზედ პირველის თქმით, მოძახილით და ბანითა, თუ რომ მარჯვე და დახელოვნებული მუსიკისმცოდნე და გადამღებიაო; ხოლო პატარ-პატარა საგალობლები ორი უთუოდ უნდა გადილოსო, ასე რომ საშუალო რიცხვით რომ ავილოთ, საათში თითო საგალობელი უნდა გადავიდეს. თუ ასეა, მაშ მამა არხიმანდრიტი რაღად აძნელებენ საქმეს იმითი, როდესაც ამბობენ დღეში ხუთი საათი უნდა დაჰყონ მგალობლებმა ბ. ქორიძესთან და იგალობონ? გალობა და დღეში ხუთი საათი? განა შესაძლებელია მგალობელმა შესძლოს ამოდენა ჯაფა, ისიც ოთხის წლის განმავლობაში?! უთუოდ რკინის გული და თავი უნდა ჰქონდეთ ამ გვარს მგალობლებს?! ვსთქვათ, იშოვნონ ასეთი რკინის მგალობელი, მერე როგორ ჰგონიათ მმ. არხიმანდრიტებს, ოთხის წლის განმავლობაში რამდენი საგალობელი უნდა გადილონ? ბ. ტრუფის ანგარიშით, საათში თითო საგალობლის გადაღება რომ ჩავაგდოთ, ყოველ დღე ხუთი საათის მუშაობით უნდა გადაღებულ იქმნას 5 №№ საგალობელთა, ხოლო თვე რომ კვირა უქმის გამოტოვებით ოც და ოთხ დღედ ჩავაგდოთ, თითო თვეში გადაიღება 120 №№. ეს ციფრი 120 რომ 12 თვეზედ გავამრავლოთ, წელიწადში 1440 №№ გადაიღება. ახლა აიღეთ ბ. ქორიძის ოთხ წლიანი ვადა და 1440 გავამრავლეთ 4-ითა და ვნახავთ, რომ ოთხის წლის განმავლობაში 5760 №№ გალობათა გადაიღება ნოტებზედ. შემდგომ ამისა ვკითხამთ მმ. არხიმანდრიტებს, საქრისტიანოში რომელ ხალხს აქვს ამოდენა საეკლესიო საგალობელნი, ნოტზედ დაწერილნი, რომ ბერავ ქართველებმაც მოვიწოდომოთ?! მაშინ უთუოდ ჩვენს ეკლესიებში სახარება და სამოციქულოც უნდა გალობით ითქვას, არამც თუ სხვა საკითხავები. ღმერთმან ხელი მოუმართოს, მაგრამ... რა?? მაგრამ... საიდან მეთქი, ბატონო, საიდან? რითი, რა საშუალებით? ჰო, ვთქვათ, რომ სამღვდელოებამ ქვეყნის შემწეობით და ღვთის იმედით გაუძლო ამ ზვიადს 30,000 მანეთზედ მეტს ხარჯსა,**) შემდეგში ამოდენა საუნჯეს ამ გადაღებულს გალობებს დაბეჭდვა აღარ უნდა? ეს რილათი?

აქ რომ ბეჭდვის ანგარიშსაც შევუდგეთ, ძალიან გაგრძელდება უმისოდაც გრძელი წერილი და ამისთვის აღარ ვაბეზრებ თავს მკითხველთა და მოჭრით ვეტყვი, რომ საუმჯობესო იქნებოდა კომიტეტს გამოეწვია კონკურენცია მუსიკის მცოდნეთა შორის, მგალობელთა შორის კონკურენცია მაგდენად საჭირო არ იყო იმიტომ, რომ უკეთესნი მგალობელნი კიდევაც მზად არიან, როგორც ზევით ვსთქვი, უფასოდ იმუშაონ დღეში თითო საათი. ამ გვარად არც საქმე გაჭირდებოდა და იაფადაც გადავიდოდა, მხოლოდ ერთი ზაფხულის განმავლობაში 300 №№ გალობათა, რომელნიც კრებამ მიიღო კარბელაშვილისაგან და რომელნიც შეადგენენ უსაჭიროეს მოთხოვნილებას ჩვენის ეკლესიისას. მაშინ სამღვდელოებაც თანაუგრძნობდა კომიტეტს და საქმეც რიგიანად წავიდოდა.

ცოტა გალობის მცოდნე
1884წ. თებერვ. 5.

*) მკითხველი დაინახავს, რომ ეს წერილი სრულიად წინააღმდეგია იმისა, რაც გუშინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, მაგრამ საჭიროდ დავინახეთ, რომ ამისთანა მძიმე საქმეში ორთავ მხარეს მიეცეს საშუალება თავის აზრის წარმოთქმისა და თავის საბუთების წარმოდგენისა.

რედ.

**) 30 000 მანეთზე მეტს რომ ვამბობთ, იმიტომ, რომ მგალობლების ჯამაგირი არ გვიანგარიშნია. სამი მგალობელი თვეში 150 მან. რომ ლირდეს, თუ რომ ვიგულისხმებთ დღეში ხუთ საათს მუშაობას, წელიწადში ისინი ეღირებიან 1800 მან, და ოთხს წელიწადს კიდე 7200 მან.

ქართული გალობის გამო წერილი ქუთაისიდან

ბ. ქორიძემ თავისი ხორით გამართა ქ. ქუთაისში ორი კონცერტი ქართულის გალობისა და ხალხურის სიმღერებისა. მე, როგორც მოყვარული ქართულის გალობისა, ორივეზე დავესწარი და ჩემი აზრი მის შესახებ მსურს გამოვუცხადო ბეჭდვის საშუალებით ქართველთ საზოგადოებას.

იგალობეს ნამდვილი კილოთი, შეუცვლელათ: 1. „მოვედით თაყვანი ვსცეთ“, 2. „წმინდაო ღმერთო“, 3. „ღირს არს ჭეშმარიტად“, 4. „უფალო შეგვიწყალებ“ და 5. „ისპოლა“, ხოლო დანარჩენი „რომელი ქერუბინთა“ იგალობეს მერვე ხმაზედ, „შენდამი იხარებს“ კილოზედ, მაგრამ არ გამოვიდა კარგად. ეგრეთვე „განმანათლებელი“ და „შენ გიგალობთ“ არ გამოდიოდა მართალის კილოებით, რადგან მუხლები და უსულები გააგრძელეს. ხოლო, რაიცა შეეხება სახალხო სიმღერებს: „ხასანბეგური“, „ხელხვავი“ და „დელიავდა“ გვარიანად იმღერეს და დანარჩენები კი გასწორებას საჭიროებენ.

ქართული გალობა უნდა შესდგეს სამი პირისაგან: პირველი არის მთქმელი, მეორე – მალალ-ბანი და მესამე – ბანი. დანყების რიგი ეკუთვნის მთქმელს და მალალ ბანმა და ბანმა მიგნებულის ხმებით უნდა შეაწყონ დამწყებს. შეიძლება ოთხმაც იგალობონ, მაგრამ ორი მათგანი ბანს უნდა ამბობდენ ერთ ხმად ისე, რომ მსმენელის ყურში მათი ბანი განცალკევებულად არ უნდა ისმოდეს; თუ ორი ბანის მთქმელნი მიუთვისებელნი შეიქმნენ ხმებით, მაშინ გალობას თავისი შნო დაკარგული ექმნება.

არის ზოგიერთი ჭრელი საგალობლები, იმისთანა, რომელნიც, შეიძლება ხუთმაც იგალობონ, ასე რომ მთქმელს, მალალ ბანსა და დიდს ბანს გარდა, მეოთხე იტყვის კრინსა და მეხუთე დვრინსა; ხუთზედ მომეტებულმა რიცხვმა თუ ერთად იგალობეს, მაშინ გალობას ქართული შნო და ხასიათი დაეკარგება, დამახინჯდება და მიემსგავსება ევროპიულს მუსიკალურ სიმღერებს. ხოლო ჩვენი ქართული სახალხო სიმღერები უნდა იმღერონ ექვსის რიცხვითგან რვა პირმა და თუ რვაზედ აღემატენ რიცხვით მომღერლები, ისიც დამახინჯდება და დაუშნოვდება.

ბ. ქორიძისათვის, რომელი გალობაც კი შეუმცდარის და მართალის კილოთი უჩვენებიათ, სრულებით შეუმცდარათ და უნაკლოდ გადაუღია და რომელიც გაფუჭებულის კილოთი უჩვენებიათ, – მაგაში უნდა გავამტყუნოთ მაჩვენებელი და არა ბ. ქორიძე.

ქართული გალობა გაქრება მაშინ, როცა ჩვენში ეხლანდელი მგალობლები დაიხოცებიან. ამას ბევრი დამტკიცება არ ეჭირვება. მარტო ეს გარემოება არის საკმაო, რომ ისინი, რომელთაც გალობა იციან თავიანთ შვილებს აღარ ასწავლიან და აღარც ბავშვებსა აქვთ დრო და სურვილი გალობის სწავლისა. საუბედუროდ ჩვენდა, კერძო სასწავლებლებიც არ არის იმერეთსა და გურიაში ქართულის გალობისა.

გალობის ნოტებზე გადაღება იქნება საუკუნო ძვირფასი განძი ქართველობისათვის, რადგან ის დაცული და შენახული იქნება თვით ქართველის ხალხის დედამინითგან გაქრობამდის.

თ. სვიმონ გუგუნავა

12 მარტს, 1884 წ.

ქართული საეკლესიო გალობა

რომ წარსულ დროში ქართული საეკლესიო გალობა კეთილ მდგომარეობაში იყო, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგან მომსწრე პირები მრავალნი არიან და ჩვენც დაბეჯითებით ვიცით, თუ როგორ ყვაოდა იგი, თუ როგორ აღავლენდნენ ქართველნი ლაღადებითი ვედრებას ღვთისადმი, თუ როგორ გალობდნენ ისინი, წირვის წესთა სძლისპირთა,*) მათ „გარდასათქმელთა“, დასდებელთა, ტროპართა, კონდაკთა და იკოსთა, მჯდომარეთა, პარაკლიტონის რვა ხმათა, რომელთა სამწუხროსი აქვს საკუთარი ხმა და საცისკროს კიდევ თავისი; „უფალო ღალად ვყავ“ სხვადასხვა ხმებზედ რვა ხმით. სადიდმარხვო ჭრელი დიდებები რვა ხმათ, იამბიკონი, მრავალი სხვადასხვა ჭრელები და სხვადასხვა... მაგრამ მაშინდელი ქართული გალობა, სამწუხროდ, ისე თვალსაჩინოდ დასუსტდა, რომ თუ არა მხურვალე გულმტკივნეულება, მკაცრი ყურადღებისა და მონაწილეობის მიღება, საჭიროა ყველასგან. რომ იტყვიან, „სულზედ მივასწარიო“, სწორეთ ის დროა ეხლა ქართული გალობის აღსადგენელად. მადლობა იმერთს, რომ მათ გალობათა წარმომადგენელნი კიდევ გვყვანან დღეს ოთხი ხუთი პირი, მაგრამ თუ ამათშიაც ერთი ორი გამოაკლდა, მერმეთ კი რაც დღეს გვესმის, იმის ნახევარსაც ველარ ვისმენთ...

29 წარსულ თებერვალის რიცხვში იყო გამართული ქართული სასულიერო კონცერტი, ქალაქ ქუთაისს ბ. ხარაზოვის სახლებში; მრავალი საერო და სასულიერო წოდების პირნი დაესწრენ. ბ. ქორიძემ აგალობა მისგან ნოტებზე გარდაღებული ოქროპირის წირვის წესი თავის ხოროს, რომელიც შესდგებოდა ხუთი კაცისაგან. ბ. ქორიძემ მით გაგვახარა, რომ მან დაგვანახა ქართული გალობის ნოტებზედ გარდაღება შესაძლებელ მოვლინებად და ჩემის მხრით მეც სრულს თანხმობას ვაცხადებ, რომ ნოტებზედ ქართულ გალობის გარდაღება შეიძლება ისე უმეტნაკლოთ. რაიცა შეეხება ბ. ქორიძის ნოტებზედ გარდაღებულ გალობის აკარგობას, ამაზე ვიტყვი შემდეგს: იგალობეს პირველად „ამინ“, „უფალო შეგვინყალებ“ და ამ გვარი წვრილმანები, აგრეთვე „მოვედით თაყვანის ვსცეთ“, „წმიდაო ღმერთო“, „მრწამსი“, „შენ გიგალობთ“, „ღირს არს ჭეშმარიტად“ და „განმანათლებელი“. ესენი გურული კილო იყო, მხოლოდ ამათში ეს ნაკლულევალება შევნიშნეთ, ბანი და მალალი ბანი არ ეთანხმებოდა დაწყებას. „რომელი ქერაბიშთა“, „მეუფისა“, „ღირს არს და მართალ თაყვანის ცემა“, და „წმიდა არსი“, მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი გაგონება იყო ჩემი! „რომელი ქერაბიშთა“ იგალობება სამ ნაირად: 1) სამღვდელმთავრო ჭრელი, 2) სამღვდელი, ესე იგი რომელსაც საზოგადოდ ხმარობენ, და 3) განმანათლებელის კილოზე, რომელსაც აქვს ხმა 2-ის. ამ უკანასკნელს ჭრელი აქვს გათავებისას საკმაოდ და მეუფისაცა ამ ხმითვე დაბოლოვდება. არც ერთს მათგანს არ ემსგავსებოდა ამათი რომელი ქერაბიშთა. ეს იყო, ვითომ მერვე ხმაზედ გარდაკეთებული (არ ვიცი ვისგან) „სდუმენინ ყოველი ხორცი“ – ამის შედარებით; იმეორებდნენ ერთსა და იმავე სიტყვას, რომლის მსგავსად ქართულ გალობაში არ არის ხმარებული! „ღირს არს და მართალი თაყვანის ცემა“ და „წმიდა არსი“ პირველი და მეორეც გარდაკეთებული არის. პირველი იგალობეს საცისკრო პარაკლიტონის მეექვსე ხმაზე და მეორე, მართალი უნდა მოგახსენოთ, ვერ გავარჩიე კარგათ, რომელ ხმაზედ არის გადაკეთებული. მაშინ, როდესაც თავ-თავისი ხმები აქვს ორთავეს: პირველი იგალობება ორნაირად, ჩვეულებრივად და სამღვდელმთავრო ჭრელად. მეორე კი სამნაირად: ჩვეულებრივად, სამღვდელმთავრო ჭრელად და სძლისპირის ხმაზედ; ამ უკანასკნელ ხმას ძვირად გალობენ ეკლესიაში.

ამ მოხსენებულ ერთსა და ერთს ჩვეულებრივს ხმაზედ, რომ ყოფილიყო გარდაღებული ეს გალობები ძალიან კარგი იქმნებოდა; მაგრამ ბ. ქორიძეს ამაში სრულიად არა აქვს ბრალი; როგორი ხმაც აჩვენეს იმას, ის ხმა გარდილო. რომ ბ. ქორიძეს ამ შრომის დროს ერთი კიდე ვინმე, გალობაში ძალიან გავარჯიშებული პირი დაესწრო იმ მაგალობელთან, რომელმაც ეს დაანერინა, უფრო კარგი იქმნებოდა. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ბ. ქორიძეს მისი მეუღლის შემწეობით და კარგი მაგალობლების დახმარებით შეუძლია უმეტესაქლოდ დასწეროს ნოტებზედ ქართული მშვენიერი გალობა.

ქეთ. სასულ. სასწ. გალ. მასწავლ. დ. რ. ხუნდაძე

*) სძლისპირნი, როგორც იტყვიან, ხუთას ორმოცდაათობმეტ სხვადასხვა მუხლებს შეადგენს, აგრეთვე, თუმცა რვა ხმამდისინ სხვადასხვა ხმებს უჩვენებენ, მაგრამ იმ დაწერილი ხმებით ვერ გაირჩევიან, რომელი სძლისპირი რომელი ხმა არის, არამედ თითოეულ სძლისპირს საკუთარი სხვადასხვა ხმები აქვს.
ავტორი

70. მწყემსი, 1884, 17 აპრილი, №8, გვ. 13-14

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა

„დროებაში“ ვკითხულობთ: „ბ. ქორიძემ თავის ხორით გამართა ქ. ქუთაისში ორი კონცერტი ქართულის გალობისა და ხალხურის სიმღერებისა. მე, როგორც მოყვარული ქართულის გალობისა, ორივეზედ დავესწარი და ჩემი აზრი მის შესახებ მსურს გამოვუცხადო ბეჭდვის საშუალებით ქართველთ საზოგადოებას.

მე გაგონილი მქონდა, რომ ბ. ქორიძემ ქართული წირვის წესის, ე. ი. საგალობელი და ზოგი სალხინო გალობა და სიმღერები ნოტებზედ გადიტანა და მღერიანო. მაგრამ რადგან ცოტაოდენად გახსნილი მაქვს ამ საგანში სმენა, მე ეს სრულებით არ მჯეროდა; არა მჯეროდა განსაკუთრებით მისთვის, რომ ჩვენი გალობა და სიმღერები ისეთის დაწმინდილის მიხვრა-მოხვრით და კილოთი არიან შედგენილნი, რომ ნოტებზედ იმათი უსულების ვარჯიში თუ შესაძლებელი იქნებოდა, არასდროს ვერ წარმოვიდგენდი. შემდეგ ესრეთის ჩემის იჭვნიულობისა, რასაკვირველია, ყურადღებით დაუუკვირდებოდი მათს მღერას, რომელმაც, ჩემდა სასიამოვნოდ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. ერთის სიტყვით, უეცრად შემიცვალა ჩემი ეჭვები და დამარწმუნა სრულებით, რომ ყოველი ქართული გალობა და სიმღერები, რაც უნდა გამშვენიებული და გავარჯიშებული იყოს, უნაკლულოდ თურმე გადიდება ნოტებზედ. იგალობეს ნამდვილის კილოთი, შეუცვლელად: 1) „მოვედით თაყვანის ვსცეთ“, 2) „წმიდაო ღმერთო“, 3) „ღირს არს ჭეშმარიტად“, 4) „უფალო შეგვიწყალებ“ და 5) „ისპოლა“, ხოლო დანარჩენი „რომელი ქერაბინთა“, იგალობეს მერვე ხმაზედ, „შენდამი იხარებს“ კილოზედ, მაგრამ არ გამოვიდა კარგად. ეგრეთვე „განმანათლებელი“ და „შენ გიგალობთ“ არ გამოდიოდა მართალის კილოებით, რადგან მუხლები და უსულები გააგრძელეს. ხოლო რაიცა შეეხება სახალხო სიმღერებს: „ხასან-ბეგური“, „ხელხვაია“ და „დელიავდა“ გვარიანად იმღერეს და დანარჩენები კი გასწორებას საჭიროებენ. ფორტოპიანოს უკრავდა დიად განმშვენიებულად და გავარჯიშებულად. ისე მოქნილად რომ თვით მაგალობლებს ემღერნათ, მაშინ მშვენიერი რამ სასმენელი იქმნებოდა, მაგრამ მაგალობლებს არც ხმის სიმაღლე აძლე-

ვდათ ნებას და არც თვით ხმები აქვთ ჯერ-ჯერობით შეჩვეული და დაქნილი ვარჯიშობისათვის. ბ. კიკნაველიძე კი სამაგალითო ხმის პატრონი არის. ძვირად ვისმეს ექმნება იმისთანა სრული და სასმენელად ტკბილი ბანის ხმა, მაგრამ რადგან ევროპიულს სიმღერებზედ ჰქონია განვრთნილი ხმა, ჯერ კიდევ ვერ შეუჩვევია ჩვენს კილოზედ და როდეს გაეჩვევა და გაეცნობა ქართულს გალობას, თვით თავით თვისით დაექნება ხმა ვარჯიშობაში ისე, რომ სწორედ დიდად სასიამოვნო იქმნება მისის ძლიერისა და მქუხარის ბანის მოსმენა.

ფორტოპიანოზედ მღერობენ ოთხნი პირნი და იწყებენ თითქმის ყველანი ერთისა და იმავე ხმებით. ქართული გალობა უნდა შესდგეს სამის პირისაგან: პირველი არის მთქმელი, მეორე მაღალ-ბანი და მესამე ბანი. დაწყების რიგი ეკუთვნის მთქმელს და მაღალ ბანმა და ბანმა მიგნებულის ხმებით უნდა შეაწყონ დამწყებს – შეიძლება ოთხმაც იგალობონ. მაგრამ ორი მათგანი ბანს უნდა ამბობდენ ერთხმად ისე, რომ მსმენელის ყურში მათი ბანი განცალკევებულად არ უნდა ისმოდეს. თუ ორი ბანის მთქმელნი მიუთვისებელნი შეიქმნენ ხმებით, მაშინ გალობას თავისი შნო დაკარგული ექმნება.

არის ზოგიერთი ჭრელი საგალობლები, იმისთანა, რომელნიც შეიძლება ხუთმაც იგალობონ. ასე რომ მთქმელს, მაღალ ბანსა და დიდ ბანს გარდა, მეოთხე იტყვის კრინსა და მეხუთე – დვინსა: ხუთზედ მომეტებულმა რიცხვმა თუ ერთად იგალობეს, მაშინ გალობას ქართული შნო და ხასიათი დაეკარგება. დამახინჯდება და მიემსგავსება ევროპიულს მუსიკალურს სიმღერებს. ხოლო ჩვენი ქართული სახალხო სიმღერები უნდა იმღერონ ექვსის რიცხვიდგან რვა პირმა და თუ რვაზედ აღემაღენ რიცხვით მომღერლები, ისიც დამახინჯდება და დაუშნოვდება“.

ესლა დავუბრუნდეთ ბ. ქორიძის პატიოსანს შრომას. ავიღოთ მაგალითი: ერთმა ლამაზმა ქალმა და მეორე მახინჯმა მიმართეს მხატვარს თავიანთ სურათის გადასაღებად. მხატვარმა ლამაზი კი – ლამაზად გადილო და მახინჯი – მახინჯად, ერთის სიტყვით, იმათი სახე ნამდვილად გარდახატა, ე. ი. კარგისა – კარგად და ცუდისა ცუდად. აქ მე მგონია, მხატვარი სრულებით მართალი რჩება და თუ რომელიმე უგუნური გაამტყუნებს იმაში, რომ რატომ ორივე ქალის სახე ლამაზად არ გადახატაო, ეს იქმნება დიდი შეცდომა და უმართლო საყვედური ბ. ქორიძისათვის. რომელი გალობაც კი შეუმცდარის და მართალის კილოთი უჩვენებიათ – სრულებით შეუმცდარად და უნაკლოდ გადაუღია, და რომელიც გაფუჭებული კილოთი უჩვენებიათ, – მაგაში უნდა გავამტყუნოთ მაჩვენებელი და არა ბ. ქორიძე.“

ქართული გალობა გაქრება მაშინ, როცა ჩვენში ესლანდელი მგალობლები დაიხოცებიან. ამას ბევრი დამტკიცება არ ეჭირვება, მარტო ეს გარემოება არის საკმაო, რომ ისინი, რომელთაც გალობა იციან თავიანთ შვილებს აღარ ასწავლიან და აღარც ბავშვებსა აქვთ დრო და სურვილი გალობის სწავლისა. საუბედუროდ ჩვენდა, კერძო სასწავლებლებიც არ არის იმერეთსა და გურიაში ქართულის გალობისა. ეს თუ ასე არის, მაშასადამე, ბ. ქორიძე უდიდესი მადლობის ღირსი არის ჩვენის საზოგადოებისაგან. ეს კეთილი საქმე მის გარდა, სხვებს თავში არ მოსვლიათ და არ უფიქრიათ, და თუ უფიქრია ვისმეს, მაინც ის ფიქრი მარტო ფიქრად დაშთენილა და არა საქმედ; გალობის ნოტებზედ გადაღება იქნება საუკუნო ძვირფასი განძი ქართველობისათვის, რადგან ის დაცული და შენახული იქნება თვით ქართველის ხალხის დედამიწიდან გაქრობამდის... მხოლოდ ამას ვიტყვი და კიდევაც ვურჩევ ბ. ქორიძეს, რომ რაც ესლა გადაღებული აქვს ნოტებზედ, ჯერ არ უნდა დააბეჭდვინოს. თუ საშუალება ნებას მისცემს ბ. ქორიძეს, მიმართოს იქ, სადაც აქამომდე რიგიანად შენახული არის ქართული გალობა და სიმღერები. ე. ი. გურიაში და იმერეთში, დაჰყოს იმ პირებთან ერთი თვე მაინც, რომ გაასწოროს და შეისწავლოს გალობა და სიმღერები და შემდეგ ამისა ნოტებიც დააბეჭდვინოს. თუ რომ ასე დარჩა, როგორც ესლა არის შედგენილი, მაშინ ნაცვლად გადაკეთებისა, გადაფუჭება იქნება ამ ყოვლად დიდებულის საგნისა. იმედი მაქვს,

თვითოეული ქართველი, რომელსაც ესმის და იცის გალობა და სიმღერები არ დაიშურებენ თავიანთ შრომას და აღმოუჩენენ ბ. ქორიძეს ამ საქმეში ყოველ გვარს შემწეობას.

სულითა და გულით ვუნატრი ბ. ქორიძეს, რომ ესრედ დიდებული და წმიდა აზრი შეესრულებინოს და კეთილად დაეგვირგვინებინოს თავისი უზოგველის ღვაწლით და ქართველობის შემწეობით.

71. დროება, 1884, 9 მაისი, №101, გვ. 1

ქართული გალობის შესახებ

თბილისი, მაისის 9-ს

აპრილის 24-ს მოხდა სხდომა ქართული გალობის აღდგინების კომისიისა.

კარგა ხანია, რაც ამ საგანზედ სჯა არის და კომისია მოქმედებს, მაგრამ უთანხმოების გამო დღევანდლამდის საქმე ვერ გათავებულა.

ამ უკანასკნელ ხანში საქმე თითქოს დაბოლოებული გეგონებოდათ, რადგანაც კომისიის ჟურნალის დადგინებით გადაწყვეტილი იყო ბ. ქორიძეს მინდობოდა ოთხის წლის განმავლობაში ნოტებზედ გადაელო და ამ შრომისთვის წელიწადში აელო ორასორმოცდაათი თუმანი. ამ ჟურნალის დადგინებაზედ უარი არავის გამოუცხადებია, მაგრამ რალაცა გაუგებარის მიზეზის გამო, ეს საქმე ხელახლად აირია. უკანასკნელს სხდომაზედ კომისიამ ველარაფერი გადაწყვეტილება ვერ მიიღო და კომისიის თავმჯდომარემ მ. მაკარიმ თავმჯდომარეობაზედ უარი სთქვა.

სამწუხაროა მისი ამ საქმესთან დაშორება, რადგანაც იგი ერთი გულმოდგინე მშრომელთაგანი იყო.

ხსენებულს საღამოს კომისიის ერთი წევრი ამტკიცებდა და მის მიზაძვით თბილისის სემინარიის რექტორიც, ვითომც ჩვენი ეკლესიები ისე ღარიბები იყვნენ, რომ თითო მანეთისა კი არა, ათ-ათი შაურის გადახდაც კი გაუჭირდებათო (სიტყვა მ. მანსვეტოვისა.)

მას შემდეგ ისეთი აზრიც კი იყო წარმოთქმული, რომ ნოტებზედ გადალებას სრულიად თავი დაანებონ, მოიწვიონ მგალობლები და მათი შემწეობით ქართული ხმების გალობა ზეპირ გაავრცელონ.

ეს მხარე ბაასისა, რომელიც ზოგიერთებისაგან სიამოვნებით იყო მიღებული, ვერავითარს კრიტიკას ვერ გაუძლებს, რადგანაც ისეთი მაგალითი, როგორც ქართული გალობის ამოვარდნა და დავინწყება, თვალწინა გვაქვს და ნოტებზედ გადალების შემდეგ კი ეს აღარ დაემართება.

ამას გარდა, ამბობენ, რომ ოთხი წელიწადი გადასალება დალიან ბევრია და დიდი ხარჯი უნდებაო, მაგრამ ზეპირ გალობის შესასწავლად მოწვეული პირების დახელოვნებას ხანიც მეტი მოუწდება და ხარჯიც, რადგანაც მთელი ხორები უნდა შესდგეს, მათთვის მანავლებლები გამოიწვიონ და რა შედეგი ექნება მათ მოქმედებას, ისწავლიან თუ ვერა, ეს კიდევ გადაწყვეტილი არ არის.

ხმების შესწავლა ერთისა და ორი დღის საქმე არ არის. უწინდელი მგალობლები მთელს თავიანთ სიცოცხლეს ლხინში თუ ლოცვაში სწავლობდნენ გალობას და ლილინს, მაგრამ გალობის რიგიანი მცოდნე მანაც, შედარებით რასაკვირველია, იშვიათად გამოდიოდა. ამასთა-

ნავე უწინდელი ხალხისთვის ქართული გალობის შეთვისება და შთანერგვა უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მათ ყურს ქართული გალობა უფრო ხშირად ესმოდა და მათი სმენა სხვა ქვეყნის ხმების გაგონებით არ იყო გადასხვაფერებული.

ეს ყველა აუცილებელი იქნება ხმების ნოტებზე გადაღებით, რადგანაც ყველა ნოტის მცოდნეს, და ასეთნი კი მრავალნი იპოებიან, ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ სრულიად ადვილად შეუძლიან გალობაცა და სწავლებაც.

ჩვენის აზრით, ყველაზე უმჯობესი იქნებოდა ხმების ნოტებზე გადაღებისათვის ეხლავე ხელი მიეყოს, დაენიშნათ წელიწადში თუნდა ოთხი კრება, რომლებზედაც გალობის მცოდნე პირები მოენვიათ და მათთვის მიენდოთ ნოტებზე გადაღებული ხმების აკვარგია-ნობის დაფასება.

ამავე განზრახვით გამართულიყო სახალხო კონცერტები, სადაც თითონ ხალხს საშუალება მისცემოდა ხმების შესახებ თავისი აზრი საქვეყნოდ გამოეთქვა. ამით რაოდენიმე ფულიც მოგროვდებოდა, რომელიც არა მცირედს შელავათს მისცემდა გალობის საქმეს.

ბოლოს, ვთხოვთ კომისიასაც და ყველა იმ პირთაც, ვისაც რითიმე ამ საქმის ხელის შეწყობა შეუძლიანთ, აღარ დააგვიანონ ეს საშვილიშვილო და საკეთილო საქმე. მოვაგონებთ, რომ მათს მოქმედებას შემდეგი შთამომავლობა გაარჩევს და ყოველის გულწრფელის და სინდისიანის საქციელისთვის მონივნებით და პატივისცემით მოიხსენებს მათ სახელს.

დამსწრე

72. მწყემსი, 1884, 15 მაისი, №10 გვ. 1-2

საჭიროა თუ არა საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება?

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ჩვენი ეკკლესიის წირვა-ლოცვის დროს ხალხისაგან დაცალიერებისა და საზოგადოდ მლოცველთა ეკკლესიაში სიარულის მოსპობისა არის საეკლესიო გალობის დავიწყება და, ზოგიერთ ეკკლესიებში, სრულებით მისი მოსპობა. ეს, ჩვენის აზრით, ისე ცხადია ყველასთვის, რომ ამის დამტკიცება და ამაზედ ლაპარაკი და წერა ტყუილბრალოდ დროს დაკარგვად მიგვაჩნია. რამ უნდა მიიზიდოს ხალხი ჩვენს ეკკლესიებში? ქადაგებითი სიტყვა ძლიერ იშვიათად ესმით მათ და გულის დამატკობელ გალობას ხომ სულ ვერ გაიგონებენ! დგას მარტო ერთი მედავითნე, კლიროსზე კითხულობს წიგნებს, რომლის კითხვიდამ ხალხს არ ესმის არც მეოთხედი; გალობს, მაგრამ თვითონაც არ იცის, რას გალობს და როგორ!..

საეკლესიო გალობას დიდი მნიშვნელობა აქვს წირვა-ლოცვის ასრულების დროს. კარგად დაწყობილ გალობას შეუძლია მლოცველს დაავიწყებინოს ამ ქვეყნის ათასნაირი შფოთი და ზრუნვა და მიაქციოს ღვთისადმი სავედრებლად. ეს თითქმის ყველას კარგად აქვს გამოცდილი.

იყო ჩვენში დრო, როდესაც საეკლესიო გალობა ძლიერ კარგად ცოდნებით თითქმის ყველგან, მაგრამ დღეს მარტო ორმა სამმა თუ იცის ეს გალობა, თორემ სხვებს სულ დავიწყებული აქვს.

საეკლესიო გალობის შესახებ დღეს დიდი წერა და ბაასი არის აღძრული მთელ რუსეთის იმპერიაში. ათასნაირი მოსაზრებანი მოჰყავსთ საეკლესიო გალობის უმჯობესად წაყვა-

ნისათვის და ცდილობენ, რომ ძველი კილოს გალობა შემოიღონ და ამ ბოლოს დროს შეკეთებული გალობის კილო მოსპონ, ხმარობენ სხვადასხვა საშუალებას, რომ ძველ ნოტებზე დანერილი გალობა შემოიღონ. ერთსა და იმავე დროს ცდილობენ ნოტებით გალობის სწავლის გავრცელებას სასწავლებლებში და ხალხში. დიდი ხანია, რაც გალობის მცოდნე პირებმა შენიშნეს, რომ იქ, სადაც ნოტებზე არ არის გადაღებული საეკლესიო გალობა, ხშირად იცვლება და ბოლოს ისეთი კილოს გალობა შეეპარებათ ეკლესიებში, რომელიც შეუფერებელი არის და გალობა სულ გადასხვავდება ხოლმე.

საბერძნეთის ეკლესიებშიაც დიდი ხნიდან აქვსთ ყურადღება მიქცეული საეკლესიო გალობაზე. აქ არა თუ მარტო ნოტებზე აქვსთ გადაღებული საეკლესიო გალობა, არამედ თვითონ საეკლესიო წიგნებიც ზოგიერთი ნახევრობით ნოტებით არის სავსე. ჩვენ ვნახეთ ერთი მორჩილი ტანის ბერძნული კურთხევეანი, რომელშიაც რაც საგალობელია, სულ ნოტებზე არის გადაღებული წიგნშივე.

ერთი სიტყვით ყოველს ადგილას ნოტებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ და უნოტოთ გალობის შესწავლა და მისი წარმატება შეუძლებლად მიაჩნიათ. ამ დროს, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენში გამოსულან ზოგიერთები და ამტკიცებენ, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება საჭირო არ არისო. უნოტოთაც კარგად შეიძლება ქართული გალობა გავრცელდესო!.. როგორ შეიძლება ეს? თუ სხვაგან უნოტოთ საქმე არ გაკეთებულა და საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება მიუცილებელ საჭიროდ დაუნახავსთ, ჩვენში რატომ დაებადათ ზოგიერთებს სულ სხვა წინააღმდეგი შეხედულება? რით შეიძლება ეს ახსნას კაცმა?

რისთვის ვბეჭდავთ ჩვენ ზოგიერთ ლოცვებს, როდესაც თითქმის ყველამ ისინი ზეპირათ ვიცით? რისთვის ხარჯავენ რუსები ფულებს ნოტების საბეჭდავთ, რომელთაც რუსულათ საეკლესიო გალობა მშვენივრად აქვთ შესწავლილი? აქ სულ სხვა მიზეზია. იმათ, ვინც წინააღმდეგნი არიან ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებისა, ალბად არ ესმით ნოტების მნიშვნელობა. ყოვლად სამწუხაროა, რომ ამისთანა პირებში ურევთან ზოგიერთი ქართველთა სამღვდლო პირნიცა. ამ უსაფუძვლო აზრს ხელს უწყობენ ზოგიერთი ქართული გალობის მცოდნენიცა, რომელნიც შიშობენ, რომ ნოტებმა მათ შემოსავალი არ მოუსპონ, რადგან მაშინ გალობის ზეპირ-გადაცემა საჭირო აღარ იქნება. საშუალო რიცხვით ეკლესიები ორ მანეთს კი არა ათ შაურსაც ვერ გადაიხდიანო. ეს რა სათქმელია და მერმე ისიც სამწუხაროდ, ქართველი მღვდლისაგან? მთელ საქსარხოსოში 1800 ეკლესიამდე ირიცხება. ამათში ღარიბი ეკლესიები რომ გამოვრიცხოთ, ათასი ეკლესია მაინც დარჩება და ამ ეკლესიებში თითოეულს ოთხ-ხუთ წელიწადში თითო თუმნის გარდახდა როგორ გაუჭირდება? რამდენს იხდის ეხლა სასწავლებლის სასარგებლოდ თითო ეკლესია? ლათინური, ბერძნული და სხვა ენების სასწავლებლად თუ კი ვადებთ ეკლესიებს გადასახადს, ნუთუ ცოდვა იქნება, რომ საეკლესიო გალობის აღსადგენად ეკლესიამ ერთი თუმანი დახარჯოს?

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს საქმე დაშლილიყოს. თუ ამ საქმეს ხეირიანი ბოლო არ მიეცა, უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენ საუკუნოდ ქართულ საეკლესიო გალობას. დღეს კიდევ მოიძებნება ოთხიოდე პირი, რომელთაც ქართული გალობა იციან და იმათ შემდეგ აღარავინ რჩება, რომ ნოტებზე ქართული გალობა გადააღებინოს ვისმეს. როგორც ეტყობა ქართული გალობის აღდგინების კომიტეტი გამჭრიახობით ვერ იქცევა ამ შემთხვევაში. საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე, რომელმაც ძლიერ მოინადინა საეკლესიო ქართული გალობის აღდგინება ჩვენში, იმედია ამ საქმეს კეთილ ბოლოს მისცემს და მისცემს წინადადებას სამღვდელოებს, რომ მათ მოილაპარაკონ ამ საგანზე თავიანთ ყრილობებზე. მათ უკეთ იციან ეკლესიების მდგომარეობა ქალაქ თფილისის მღვდლებზე, და მათ დაუკითხავად ამისთანა დიდი საქმის გარდამწყვეტა ოთხ-ხუთ პირს არც კი უნდა ჰქონდეს მინდობილი.

რომელიმე მიზეზთა გამო რომ ეს არც ერთი არ მოხდეს, ნუთუ საზოგადოება ამ შემთხვევაში არაფერს იტყვის? ეკლესიები და მღვდლები საზოგადოების არიან და არა საზოგადოება მათი. ნუთუ ჩვენ საქართველოში აღარავინ მოიპოვება ისეთი, რომ ეს საქმე ითავოს და ათი ათასი მანეთი შეჰკრიბოს ამ კეთილი საქმის დასაგვირგვინებლად? უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყველას, რომ თუ ქართული საეკლესიო გალობა დაიკარგა, მაშინ მალე გამოვეთხოვებით ქართულ ენაზე წირვასაც.

73. ივერია, 1884, 6 ივნისი, №126, გვ. 2-3

ჩვენი საეკლესიო გალობა

წარმოიდგინეთ, კაცი იხრჩობოდა და იხვეწებოდა, მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანო, ხომ საშინელი თავსზარ დამცემი სურათია? ამ დროს, ვისაც კი რამ შეუძლია, მხნეობას იჩენს და თავს არ ზოგავს, ხოლო ვინც დახმარების ღონეს მოკლებულია, გული ეთუთქება, მწარედ ჰკვენის და სიბრალულის ცრემლსა ჰღვრის. მაგრამ ეს კიდევ მკრთალი შედარებაა იმასთან, რაზედაც უნდა გელაპარაკოთ. მკრთალია იმიტომ, რომ კაცის სიკვდილს შეჩვეულნი ვართ და იმის სიკვდილისათვის გლოვა და მწუხარებაც დროებითია. ხოლო სიკვდილი და დაკარგვა იმისი, რაც მხოლოდ ერთადერთია, აი ეს არის ნამდვილი სამწუხარო, გულსაკლავი და სამუდამო საგლოვი. ეს ერთი იყო ჩვენი საეკლესიო გალობა. გალობა იკარგებოდა, ვისაც მისი ძალა და მნიშვნელობა ესმოდა. გული სტკიოდა და სჩიოდა, მაგრამ ამ ტკივილსა და ჩივილს, უღონობისა გამო, გულშივე იკლავდა.

ბოლოს, ჩვენდა საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ამ საქმისათვის ძალის და ღონის მექონნი. სამღვდლოებამ ფული შეჰკრიბა და დიდძალი საგალობელი დააწერინა. მაგრამ სამწუხაროდ, გალობა მაინც ხიფათს ვერ გადარჩა. რვა ხმა, რომელიც ძირია გალობისა და რომელზედაც აშენებულია ყველა საგალობელი, დაუნერელი დარჩა. ამ გარემოებამ შეგვანუხა გალობის მოყვარულნი, ვსთხოვეთ ბ-ნ ფ. ქორიძესა და ბ-ნ ა. დუმბაძეს და დაგვინერეს: რვა ხმის „უფალო ღაღად-ვყავ“, „ღმერთი უფალი“, „დიდება და ანდა“, „დასდებელი“ – ყველა ხმისა თავი და ბოლო (პირველი ხმისა სულ), რვა ხმის ყველა „სძლისპირი“, „ანტიფონები“, მისი წარდგომები და აგრეთვე სადღესასწაულოსი; სადღესასწაულოდამვე ერთი მეორისაგან განსხვავებული დასდებლები თითო მუხლი და ყველა სძლისპირი, რამდენიმე ჭრელი საგალობელი, როგორც „მზისა შემოქმედი“, „ალილო არწივი“, „კურთხეულ ხარ“, აგრეთვე ქორწინების საგალობლები და სხვა, ე. ი. ისეთი, რაც ქუთაისში არ დანერვილა. როგორც ბ-ნ ფ. ქორიძე იწერება, დიდძალი საგალობელი შემდგარა ისე, რომ ერთს პატარა ჯორს დატვირთავს თურმე. მაგრამ ჯორი კი არა აქლემიც ცოტაა ჩვენის საგალობლებისათვის. როგორც ვსთქვით, გალობა ზოგი პირველსა და ზოგიც სამივე ხმაზე დიდძალი დაიწერა, მაგრამ რამდენია კიდევ დასაწერი! ათობით და ასობით იყოს კიდევ ვიფიქრებდით რასმე, მაგრამ გალობა ათასობითაა დასაწერი. დასაწერის არ დანერამ იქნება ჩვენ არ გვატკინოს ისე ძლიერ გული, მაგრამ მომავლისათვის ხომ დიდი დანაკლისი, სამწუხარო და სავალალო იქნება, რაც რასაკვირველია საქმეს აღარაფერს უშველის. ამისათვის მივმართავთ გურიის ყველა მგალობლებს:

გურიის მგალობელნო, დღეს გაქვთ შემთხვევა, ისახელოთ თავი და უანდერძოთ მომავალს თქვენი მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე გალობა. გურიავე, აკვანო ჩვენის გალობისავე

(როგორც სამართლიანად გინოდებენ ყველანი), თვით ბ-ნ ფ. ქორიძეს გიყენებთ შუამდგომელად და გთხოვთ, ნუ დაჰკარგავთ ამ შემთხვევას და გულაცრუებულს ნუ გამოისტუმრებთ ამ ჩვენის გალობის ნოტებზე გადამღებს.

ჩვენ დიდის სიხარულითა და მადლობით მივიღებთ ყველასაგან, თუნდ სულ მცირესა და უბრალო საგალობელსაც და ყურადღების ღირს ყველასთვის საყურადღებოსა ვყოფთო.

ვსთხოვთ ჩვენს ყველასაგან დიდად პატივსაცემს, გამოჩენილსა და თავ მაგალობელს ბ-ნს ანტონ დუმბაძეს, რომ შემდეგშიაც არ დაიშუროს თავისი მხნეობა და მეცადინეობა გალობის გადაღების საქმეში და თავისი მაგალითით სხვებიც წაახალისოს ამ ღირსეულსა და სასიქადულო საქმეში.

გალობის ერთი მოყვარულთაგანი

74. მწყემსი, 1884, 1 ივლისი, №13, გვ. 6-7

გურიილამ

(წერილი რედაქციისადმი) *)

ყველამ კარგად იცის, თუ როგორ გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ გალობის აღდგინებაში ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი. იმან ბევრი საშუალება გამოსცადა, მაგრამ ბოლოს სულ სხვა გზას დაადგა. იმან განიზრახა მთელ საექსარხოსოში ოცი ათასი მანეთის შეკრება და ამ ფულების სარგებლით უნდოდა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება და გავრცელება. ჩვენ კარგად გვახსოვს, როცა ალექსანდრე ბრძანებდა, რომ ნოტებზე უნდა იქმნეს გადაღებული როგორც ქართული, ისე გურული კილოებიო. გალობის აღსადგენად მან გაგზავნილი კაცებით კარგად ფულები შეჰკრიბა როგორც ქართლში, ისე იმერეთში. დღეს განაცხადებს თურმე, როგორც ამბობენ, რომ გურიაში ქართულ გალობის კილო აღარ არისო; ქართული გალობის კილო დღეს ქიზიყში მეგულებაო; მე ვიცი და ქართული გალობის აღდგინებამაო. ნოტებიც საჭირო არ არის, მასწავლებლები დავაყენოთ სასწავლებლებში: გორში, ქალაქში და თელავში და ისინი აღადგენენ ქართულ გალობასაო. ეხლა თურმე კიდევ ფულის მოსაბოჭ და ჩამოსათხოვარ წიგნს თხოულობს და ქართლში თვითონ კისრულობს გალობის აღდგენას და დასავლეთ საქართველოში როგორც უნდათ, ისე მოიქცენო. თუ ეს მართალია, ძლიერ სამწუხაროდ მიგვაჩნია მისი ამისთანა მსჯელობა. წინა პირველი მისი დაპირება სრულებით ასეთი არ ყოფილა და ამისთვის შევსწირეთ ჩვენ იმერლებმა და გურულებმა გალობის აღსადგენად ფულები. ჩვენ ფულები არ შეგვიწირავს მისთვის, რომ მას ქიზიყური გალობის კილო აღედგინა. თუ დასავლეთი საქართველო მას სახეში არ ჰქონდა, არც ფულები უნდა შეეკრიბა ამ მხარეში და რადგან მისი განზრახვა სულ სხვა ყოფილა, ჩვენ ყველანი ვსთხოვთ მას, რომ იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში მობოჭილი ფულები შემწირველებს დაგვიბრუნოს, ანუ იმერეთის ეპისკოპოსს გარდასცეს და ჩვენვე ვეცდებით გურული კილოს გალობის აღდგენას და ნოტებზე გადაღებას. ჩვენ ვერავინ დაგვარწმუნებს და ვერ დაგვაჯერებს, რომ წინააღმდეგი გალობის ნოტებზე გადაღებისა მტერი არ იყოს ქართული გალობისა და მისი ძირიანად ამოგდება არ სურდეს. რადგან ქართულ საეკლესიო გალობას ისევე ჩვენ ქართველებში აღმოუჩნდება მტრები, რიგია იმერეთის ეპარხიაში დანესდეს კომიტეტი და ამ კომიტეტმა უნდა მოითხოვოს ის

ფულელებიც ყოვლადსამღვდელო ალექსანდრესაგან, რომელიც მას შეუკრებია ჩვენ მხარეში გალობის აღსადგენად.

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ აქ გამოაცხადა და მთავრობასაც მოახსენა, რომ „დროება“ და „მწყემსი“ გურულ კილოს აძაგებენ და ქართული კილო მოსწონთო. ეს შეიძლება ექსარხოსმაც დაიჯეროს. ჩვენ როგორც გვახსოვს, გურული გალობის კილო არც „დროებას“ და არც „მწყემსს“ არ უძაგებიათ, და საიდან მოხდა ამისთანა მოსაზრების გამოცხადება, არ ვიცით!.. დრო არის გალობის აღდგენის საქმეს ყურადღება მიექცეს და ჩვენმა ქართველებმა ამისთანა კეთილი საქმის მტრობას და ღალატობას თავი დაანებონ.

^{*)} ამ წერილს ვბეჭდავთ ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ რასაც გვწერს წერილის ავტორი პატივცემულ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, მართალი არ გამოდგება. ჩვენ არ გვჯერა, რომ მან უარი ჰყოს გურულ გალობის კილოს და საეკლესიო ქართულ გალობის კილოდ აღვიაროს მარტო ქიზიყური გალობის კილო. იმედი გვაქვს, რომ ის შეგვატყობინებს, თუ რამდენი ფული მოიბოჭა გალობის აღსადგენელად და სად ინახება ეს ფული.

რედაქტორი

75. მწყემსი, 1884, 14 ივლისი, №15 გვ. 2-3

ნოტებით ქართული გალობა ეკლესიაში

ამ თვის რვას, დღით კვირას, შორაპნის (ყვირილის) ნათლისმცემლის ეკლესიაში მთელი წირვის წესი ნოტებზე ქართულად იგალობეს. იგალობეს პატივცემული ანდ. იაგ. მრევლოვის შედგენილ ნოტებზე მისმა ოთხმა ასულმა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. ქრისტეფორე ნ. გროზდოვმა. მგალობლებს ხელმძღვანელობდა თვითონ მრევლოვი. ბ. მრევლოვს კარბელოვის კილოს გალობა, როგორც თვითონ მან გვიამბო, გადულია ნოტებზე ორმოცი წლის წინათ. ეს თვისი შრომა წარუდგენია მაშინ მყოფის ექსარხოსისათვის, ისიდორესთვის. იმას დეკანოზი ჭრელავეისათვის მიუწვდია გასახილავად. ამ უკანასკნელს განუხილავს ბ. მრევლოვის შრომა და მოწონებით წარუდგენია ექსარხოსისათვის, მაგრამ ექსარხოსს მაინც არ მიუცია ნება სასწავლებლებში ხმარებისა, რადგან ქართული გალობის სწავლება არ ჰყოფილა იმ დროს სასწავლებლებში და ნამეტურ მისთვის, რომ იტალიანურ ნოტებზე არის დანერვილი. ეს ნოტები ბ. მრევლოვს ჰქონებია აქამომდე შენახული. იმ დროს, როდესაც გალობის აღმადგენელმა კომიტეტმა თფილისში ბ. მიხეილ მაჭავარიანი მიიწვია ქართული გალობის ნოტებზე გადასაღებად, ეს ნოტები მაჭავარიანს განუხილა, მაგრამ ვერაფერი გაეგო და უკან დაებრუნებია ბ. მრევლოვისათვის. ბ. მაჭავარიანმა ყველა დასაკრავ-ინსტრუმენტებზე შინჯა თურმე ქართული გალობის ნოტებზე გადაღება, მაგრამ მან ვერ მოახერხა თურმე გალობის ნოტებზე გადაღება! ბოლოს გამოაცხადეს, რომ სხვანაირი დასაკრავი იარაღი უნდა გაკეთდეს სამძღვარ გარეთო; ან როიალს რამდენიმე კლავიშები უნდა მოემატოსო, თორემ ისე არ შეიძლება ქართული გალობის ნოტებზე გადაღებაო! ამით საქმე გაათავეს და ფულელებიც მიირთვეს ამისთანა სიბრძნის გამოგონებისათვის!

ბ. მრევლოვს ეს ნოტები შემდეგ კიდევ გადაუთვალაიერებია და შეუშუშავებია. ყოველ საეკლესიო გალობას უმეტესად ერთი თვისება უნდა ჰქონდეს. ეს თვისება არის ის, რომ გალობამ კაცი უნდა მოიყვანოს გრძნობაში სალოცავად. საეკლესიო გალობამ მლოცველს

დროებითად უნდა დაავინყებინოს ქვეყნიერი ზრუნვა და შფოთვა და გონებით მიაქციოს ღვთისადმი. მრევლოვის გალობას ეს თვისება სწორეთ აქვს. კილო ამ გალობის არის ქართული და არა გურული და ჩვენში ყველას არ მოეწონება ისე, როგორც კახეთში გურული კილოს გალობა არ მოეწონებათ. მაგრამ აქაც ბევრს მოეწონათ ეს გალობა. ჩვენ აქ მიუდგომლათ უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ადგილები ძლიერ კარგად არიან გადაღებულნი, მაგრამ საძნელო გალობებში კი რუსული კილოები არის შეპარული. ეს ნოტები ძლიერ ადვილად შეიძლება შეასწოროს კაცმა და წირვის წესის გალობა მზათ იქმნება.

ზოგს არ მოსწონს აქ კარბელოვის კილო, მაგრამ აქ კილო არ არის დამნაშავე და მიზეზი. მიზეზია აქ ჩვენი სასამენელი და გრძნობა და არა გალობა.

ყოველს შემთხვევაში ვაქებთ ჩვენ ბ. მრევლოვის შრომას. აი, ეს არის სწორეთ საქები შრომა! კაცმა იღვანა, იშრომა თავის შვილებთან და გადილო ქართული გალობა ნოტებზე. მოისმინეთ, გასასწორებელი გასასწორებინეთ, თუ დაგიჯდებათ – მიიღეთ, არა და, – მშვიდობით იყავით! მეტი რა გინდათ?!

ჩვენ ამით იმას არ ვამბობთ, რომ ზრუნვა გალობაზე საჭირო აღარ იყოს-თქვა. არა, ზრუნვა საჭიროა და ძლიერ საჭირო. სწორეთ დადგა უკანასკნელი დრო გალობისთვის; თუ დროზე არ უშველეთ, ის ჩაჰყვება საფლავეში იმათ, ვინც იციან დღეს და ხელში შეგვრჩება მარტო „ღოსპოდი პომილუი.“ საჭიროა, რომ მიუცილებლად იქმნეს სამი წირვის წესი გადაღებული ნოტებზე, როგორც კარბელოვის კილოსი, ისე გურული. ძლიერ ვწუხვართ, რომ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი წინააღმდეგი ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა და კომიტეტისა. ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ნოტებზე ქართული გალობის გადაღების წინააღმდეგი კაცი ჩვენ მიგვანჩნია ქართული ენის და გალობის მტრად და მოღალატედ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სამღვდელოება ეცდება ორივე კილოს გალობის ნოტებზე გადაღებას.

ამასთან გულით ვისურვებთ, რომ ყველა მუზიკის მცოდნე ქართველთა: ბ. ქორიძემ, მრევლოვმა და ანდრო ბენაევამაც ერთად შეიყარონ თავი და ერთად იმუშაონ საზოგადო კეთილ საქმეზე და არა ცალ-ცალკე და ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ.

76. დროება, 1884, 8 აგვისტო, №171, გვ. 2-3

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

„მწყემსის“ 13 №-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომლის ავტორი სწამებდა პატივცემულს ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომ ვითომ მის ყოვლადუსამღვდელოესობას ა) 20, 000 მანეთის შეკრება მთელს საქართველოს საექსარხოსოში განეზრახოს, გალობის ნოტებზე გადასაღებად; ბ) ვითომც ყოვლადსამღვდელო არ აღიარებს გურული კილოს არსებობასაც და სრულიად უარჰყოფდეს მას; გ) ვითომც ყოვლადსამღვდელო წინააღმდეგი იყოს ნოტებზე გალობის გადაღებისა და მის ნაცვლად თხოულობდეს „მასწავლებლების სასწავლებლებში დაყენებას“ – გალობის აღსადგენად; და ვითომც და ყოვლადსამღვდელოსავე გამოეცხადებინოს (გურიანში) და მთავრობისთვისაც მოეხსენებინოს, რომ „დროება“ და „მწყემსი“ გურულ კილოს აძაგებენო და ქართლისა კი მოსწონთო.

ამ დღეებში ჩვენ გვქონდა პატივცემულ ეპისკოპოსს ალექსანდრესთან საუბარი ამ წერი-

ლის თაობაზე. მისი ყოვლადუსამღვდელოესობა არ დაკმაყოფილდა ჩვენდამი მომართული თავის დამარწმუნებელი და გონიერი სიტყვებით მართო, არამედ გვიჩვენა საქმის შესახებ იყველა ოფიციალური დოკუმენტები, სინოდალური კანტორიდან გამოტანილნი. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მღვდელთმთავრის სიტყვები, გულდასმით გადავიკითხეთ მოხსენებული დოკუმენტები და სრულიად დავრწმუნდით, რომ: ა) 20,000 მანეთი იმ განზრახვით იბოჭება, რომ მისი სარგებლით დაქირავებულ იქმნას გალობის სამი მასწავლებელი; ბ) ყოვლადსამღვდელო არათუ უარჰყოფს გურულს კილოს და მისს არსებობას, არამედ კიდევ მოსწონს იგი, მაგრამ აღიარებს, რომ ეს კილო დღეს-დღეისობით მოქალაქობრივობას ვერ მოიპოვებს ქართლ-კახეთში; გ) ყოვლადსამღვდელო წინააღმდეგი კი არა, დიდი მომხრეა გალობის ნოტებზე გადაღებისა, მხოლოდ მისსა და ზოგიერთს სხვების მომხრეობასა შორის ის განსხვავებაა, რომ ყოვლადსამღვდელო დაბეჯითებით თხოულობს, რომ ნოტებზე გადაღებულ იქმნას უთუოდ ორივე კილო ქართული საეკლესიო გალობისა: ქართლური (ანუ, უკეთ ვსთქვათ, კარბელაშვილებისა) და გურული. ქართლური კილოს გადაღებისათვის საჭირო ხარჯს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა იღებს თავის უხვისა და საზოგადო საქმეთათვის უშურველის ჯიბიდან. ამას იმიტომ უფრო შერება საპატივო მღვდელთმთავარი, რომ გურული კილოს ნოტებზე გადაღება ეკლესიებს გაუადვილდეს, რადგანაც უამისოდ მათ ორივე კილოს გადაღება დაატყდებოდა თავზე. გურული კილოს ნოტებზე გადაღებისათვის საჭირო ხარჯი გასტუმრებული იქნება იმ ფულებით, რომელიც შემოვა ეკლესიებისაგან, ნოტების ყიდვიდან. მხოლოდ, იმ ფულით კი, რომელიც დღემდის მოკრებილა ანუ მომავალში მოიკრიბება გალობის საქმისათვის, ვიმეორებთ, უნდა დაქირავებულ იქმნას გალობის სამი ოსტატი საქართველოს სამს სასულიერო სასწავლებელში.

ზემოთქმულის შემდეგ, თავისთავად ირღვევა და ფუქსავატდება, როგორც ის სიტყვები, რომ ვითომც „ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ აქაც (გურიაში) გამოაცხადა და მთავრობასაც მოახსენა დროება და მწყემსი გურულ კილოს აძაგებენ და ქართლისა კი მოსწონთ“, აგრეთვე წინდაუხედავი სიტყვები „მწყემსისავე“, მე-14 ნომერში დაბეჭდილის სტატიის ავტორისა, რომელიც უსაფუძვლოდ სწუხდა: „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი წინააღმდეგი ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა და კომიტეტისაო და ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ნოტებზე ქართულის გალობის წინააღმდეგი კაცი (ავტორის აზრით ალექსანდრე ეპისკოპოზი რაღა!) ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის მტრადო“.

ღმერთმა ქნას, რომ ამისთანა მტერი, როგორი მტერიც არის მღვდელთმთავარი ალექსანდრე ქართული გალობისა და ენისა, ბევრი ჰყოლოდეს როგორც ამ გალობას და ენას, ისე ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებსაც.

სიმართლის მომხრე

77. მწყემსი, 1884, 15 სექტემბერი, №18, გვ. 12

ჭეშმარიტების აღდგინების გამო

„მწყემსი“-ს მე-17 №-ში ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე სიტყვა, რომელიც საკმაოდ ამტკიცებდა ჩვენი კორესპონდენტების ზოგიერთ შემცდარ აზრს შესახებ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსის მოქმედებისა გალობის აღდგინების შესახებ. ამ საქმის შესახებ. ამ საქმის შესახებ ჩვენ კიდევ მივიღეთ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრესაგან „მწყემს“-ში

დასაბუქდათ, სიმართლის აღდგინებისათვის, სტატია, რომელიც შესდგება ხუთი მუხლისაგან, ხუთი კითხვის ასახსნელად. ეს სტატია თვითონ ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელით არის დაწერილი. აი სიტყვები თვით ყ–დ სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისა:

1) მე არა თუ წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა, არამედ, საქართველოს ექსარხოსის ნება დართვით, მე თვითონ ვკისრულობ ქართული და კახური კილოს საეკკლესიო გალობის აღდგენას ჩემის ხარჯით, რაც კი მოუწდება ამ საქმეს.

2) მე არასოდეს არ ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოს გალობისა, არამედ ვამბობდი და ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა კარგია თავის სამშობლოში, გურიაში, ხოლო საქართველოში (ქართლში და კახეთში) გურული გალობა ვერ მოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ. ვამბობ, რომ გურული კილოს გალობა არ შეიძლება დამყარდეს, გავრცელდეს საქართველოში ამისათვის, რომ გურული გალობა, როგორც იმერულიცა, განსხვავდებიან ქართული გალობისაგან, როგორც კილოთი, ისე ხასიათით. – რუსეთში არის ორი გალობის კილო, დიდი როსიული – ანუ მოსკოვისა, პატარა როსიული – ანუ კიევისა. სწორეთ ესევე არის ჩვენ საქართველოშიცა, არის ორი კილო: კილო ქართული – ანუ ქართლური და კახური, იმერული და გურული კილო.

3) მე არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული საეკკლესიო გალობის აღსადგენი კომიტეტის წინააღმდეგი, მაგრამ მე კერძოთ არა მსურს ვიქმნე წევრათ, ანუ თავსმჯდომარეთ კომიტეტისა.

4) ფულები შეკრებილია ხელმოწერილი წიგნით, ქართული გალობის დასაწესებლად სასწავლებელში და არა ნოტებზე გადასაღებლად, და იმერლებისა და გურულების საზიაროდ და მათთან გასაყოფად.

5) სიტყვა „ქისიყი“ და „ქისიყური გალობა“ სასაციინოდ არიან ხმარებულნი „მწყემს“-ში. მე მხოლოდ ის ვსთქვი რაპორტში ექსარხოსისადმი, რომ გალობა მამა გრიგორი კარბელოვისა იციან კარგად მრავალთა სიგნახში ანუ სიგნახის მაზრაში, სადაც განსვენებული კარბელოვი ასწავლიდა რამდენიმე ხანი. სიტყვა „ქისიყი“ სრულებით არ მიხმარია. საზოგადოდ ყველა ესეები არის მხოლოდ ინტრიგობა და გამოგონებულნი აზრნი უცნობი ავტორისა, რომელის ინტრიგებითა და უმართლობითა იყო შეყვანილი შეცდომაში სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“ და მისი რედაქტორი, ვინაიდან განურჩევლად და გამოუკვლევლად იბეჭდებოდნენ ეს სტატიები „მწყემსის“ სვეტებზე ამა წლის ივლისში და აგვისტოს თვეებში №№ 13, 14 და 15-ში.

გულითად მადლობას ვუძღვნით პატივცემულ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს ამ პასუხის გამოგზავნისათვის. მართლა, ზოგიერთი მკითხველები ხსენებული კორესპონდენციებისაგან ეჭვში იყვნენ შეყვანილნი, მაგრამ ამ პასუხის შემდეგ ყველა ადვილათ მიხვდება, თუ რა უსაფუძვლოთ ეხებოდნენ ეს კორესპონდენტები ყოვლადსამღვდელოს მოქმედებას და ღვანლს საეკკლესიო გალობის აღდგინების შესახებ.

78. დროება, 1884 წ, 25 სექტემბერი, №207, გვ. 3

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! როგორც მახსოვს, ჩვენმა ბლალოჩინმა მღ. დ. ლ-ქემ 1882წ. საბლალოჩინო ყრილობაზე გამოგვიცხადა, რომ ყველა სამღვდელოებას შეძლებისდაგვარად შეგვეწირა ფული ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინებისათვის. იმისმა სიტყვამ ყველას სურვილი

აღუძრა და შევსწირეთ, როგორც მღვდლებმა, ისე დიაკონებმა. ჩვენ ვსთხოვეთ მ. ბლალოჩინს, რომ შემწირველების სიები თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილიყო და ისიც დაგვპირდა ამის აღსრულებას, მაგრამ სამწუხაროდ, აგერ ორი წელიწადი გადის და ამის თაობაზე არცერთ გაზეთში არაფერი გამოცხადებულა. სად წავიდა ეს ფულები და რას მოახმარეს, ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით. გთხოვთ უმორჩილესად თქვენი გაზეთი „დროებისვე“ შემწეობით მოგვცენ პასუხი, ვისიც რიგია – ეს ჩვენი შეკრებილი ფულები სად არის? თუ გადასცა ვისმეს – ვის, სახელდობრ? და ან რა მიზეზია, რომ დაგვპირდენ სიების გამოცხადებას გაზეთში და არ გამოუცხადებიათ.

შორაპნის საბლალოჩინო მაზრის მღ. ი. ხ-ძე

79. მწყემსი, 1884, 1 ოქტომბერი №17, გვ. 4

სასიამოვნო და სამწუხარო ფაქტი

23 დეკემბერს ჩვენ შეგვხვდა წირვის მოსმენა ქუთაისის მთავარ-ანგელოსთა ეკკლესიაში, რომელშიცა მწირველი იყო მარტო ერთადერთი მღვდელი მ. დეკანოზი რაჟდენ გიგაუროვი. ამ ეკკლესიაში ძლიერ ბევრი დადის ხოლმე და ამ დღესაც მართლა ბევრი მლოცველი იყო. არც ერთ ეკლესიაში ქუთაისში ამდენი მლოცველები არ დადიან. რატომ? აი რისთვის: ეკკლესია არის მშვენივრად მორთული; მამა დეკანოზს მოუხერხებია იმდენი, რომ ქართული გალობა, გურულ კილოზედ გაუნყვია და სასიამოვნოდ გალობენ ორი დიაჩოქი და ერთიც გარეშე პირი. თვითონ მ. დეკანოზი სწირავს მშვენიერი ტკბილი და სასიამოვნო ხმით და დიდი კრძალვით; ეკლესიაში სუფევს წესიერება და კრძალულება. წირვის გათავებისას მამა დეკანოზმა აუხსნა ხალხს წაკითხული სახარება მდაბიური და გასაგონი ენით, რომელმანც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მსმენელები იქამდის დარჩნენ მაღლიერნი ამ სიტყვით, რომ ვერ დასძლიეს თავის გულისთქმას და იქვე გათავებისთანავე სიტყვისა მრავალთა მსმენელთა წარმოსთქვეს: „შენც ღმერთმა მოგცეს კეთილი და აგისრულოს გულის წადილი“. ერთი სიტყვით, ყველანი მშვენიერი შთაბეჭდილებით გამოვიდნენ ეკკლესიიდან. ეს გახლავთ სასიამოვნო ფაქტი.

გამოვიდა თუ არა ტრაპეზიდამ სახარების აღსახსნელად (ჯერეთ წირვა სრულებით გათავებული არ ყოფილა), იქვე, ეკკლესიის გვერდით შეიქნა მუსიკის ხმის გრიალი, რომელიც არ დამცხრალა სიტყვის გათავებამდის და ხალხის ეკლესიიდან გამოსვლამდისინ. მუსიკის ხმა იქამდის მაღალი იყო სიახლოვის გამო, რომ ხანდისხან კიდეც ვერ გაიგონებდი მოძღვრის ხმას. ეს მუსიკა იყო ერთ სახლში, ეკკლესიის გვერდით, რომელშიც მუხეუმი და პანორამები გაუმართვათ. ეს პირველი შემთხვევა არ არის ქუთაისში. ხშირად ქუთაისის სობოროში მწუხრი და ან ღამისთევით ცისკარი სრულდება და მის გვერდით, ბულვარში მუსიკა უკრავს და ბარაბანს გააქვს გრიალი... აი, ეს გახლავთ ჩვენის აზრით სამწუხარო ფაქტი. რიგი იყო ამისთვის სასულიერო და სახორციელო მართებულებას ყურადღება მიექცია. ამის შემდეგ მაინც უნდა იქნეს ამაზე ყურადღება მიქცეული და წირვა-ლოცვის გამოსვლამდის, თუ ყველგან არა, ეკკლესიის კარებთან მაინც აღუკრძალონ მუსიკის დაკვრა.

ს-ის მღ-ლი

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

„დროების“ 207-ში ჩვენ წავიკითხეთ ერთი ჩვენი საბლალოჩინო მაზრის მღვდლის ი. ს-ის წერილი, რომლითაც ის ჩვენ გვთხოვს ანგარიშს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისთვის შეკრებილი ფულების შესახებ. ფულის შემწირველს სრული უფლება აქვს შეიტყოს, მისგან შეწირული ფული სად არის, როგორ მოიხმარეს და რა სარგებლობა მოაქვს. ამისათვის სიამოვნებით ვასრულებ მღ. ს-ის თხოვნას.

როგორც მახსოვს, 1881 წელს ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ ითავა 20 ათასი მანეთის შეკრება, მთავრობის ნება დართვით, იმ განზრახვით, რომ ამ ფულების სარგებლით დაქირავებულიყვნენ მასწავლებელნი გალობისა სასწავლებლებში და ესწავლებინათ, როგორც ქართლური ისე გურული კილოს გალობანი და ამ სახით აღდგენილიყო ორივე კილოს გალობა. ამის თაობაზე მოწოდებაც კი იყო დაბეჭდილი პატივცემულ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრესაგან და ყველა შემწირველებს ჰპირდებოდა, რომ მათი სახელები და შეწირული ფულის რაოდენობაც „დროებაში“ იქნებოდა გამოცხადებული. ყოვლადსამღვდელომ ალექსანდრემ მიიღო სასულიერო მთავრობისაგან შესაკრებად წიგნი და ამ წიგნით კიდევ გაიგზვნა ერთი თუ ორი ბერი ჩამოსავლელად მთელს საქართველოში. ამაზედ ბლალოჩინებსაც ეპისკოპოსისაგან მოწერილობა გვექონდა მიღებული, რომ სამღვდელოებაში შეგვეკრიბა ფულები. მეც ერთი საბლალოჩინო შეკრებილებაზე ვუთხარი სიტყვა რწმუნებულ ჩემდამი სამღვდელოებას და განვუმარტე ქართული გალობის აღდგინების საჭიროება. სამღვდელოებამ თავის ჯიბიდან შეკრიბა ოცდაათოთხმეტი მანეთი ჩვენგან შეწირულ ფულიანად, შეადგინა სია, თვითონვე დაანერეს, თუ რამდენი შემოსწირეს და ჩამაბარეს. მეც, მართალია, დავპირდი მათ იმ სიის დაბეჭდვას „დროებაში“. ეს ფულები მოწერილობის ძალით, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისთვის უნდა წარმედგინა. იმ ხანებში ყვირილის ვაგზალზედ ვნახე ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე; მან, სხვათა შორის, მითხრა, რომ ეს შეკრებილი ფულები მისთვის გამეგზავნა და შემწეობა აღმომეჩინა ბერისთვის, რომელიც ჩემთან მოდიოდა წიგნით იმ ხანებში გალობის აღდგინებისთვის ფულების მოსათხოვად. არ გასულა ერთი კვირა, მოვიდა ჩემთან ლორთქიფანიძე ბერი. მე მას კაცი გავატანე საბლალოჩინოში. ეს ბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და სოფელში მობოჭილი ფული ორმოცი მანათი მოიტანა ჩემთან და მთხოვა გამეგზავნა ალექსანდრესთან. ეს ორმოცი მანათი და წინანდელი ოცდაათოთხმეტი მანათი, სულ 74 მ., მე გავუგზავნე სიითურთ ოზურგეთში ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს, იანვრის 25-ს 1883 წელსა, რომელზედაც ფოსტის კვიტანცია მიღებული მაქვს. ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრეს მე ვსთხოვე შემწირველების სახელების გამოცხადება „დროებაში“, თანახმად მათი სურვილისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღემდის არაფერი არა გამოცხადებულარა და არც ის ვიცი, მიიღო თუ არა ეს ფულები. ამისათვის იყო ორიოდე სიტყვა გამოთქმული „მწყემს“-ში, მაგრამ ამ ჩვენმა უბრალო მოთხოვნილებამ საჩივრები გამოიწვია და მრავალი უსიამოვნება დაბადა.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე შეგვატყობინებს, მიიღო თუ არა ეს 74 მ. ფული, ჩემგან გავგზავნილი იანვრის 25-ს 1883 წელს, ფოსტით, ოზურგეთში? თუ არ მიუღია, ჩვენ ვეცდებით საქმე დავინწყოთ და ფოსტასვე მოვთხოვოთ. არ იქნება ურიგო, რომ ისიც გამოცხადდეს, თუ რამდენი შეიკრიბა ფული, რომელ ბანკში ინახება და რა შემოაქვს სარგებელი წლიურად. ეს ისეთი უბრალო მოთხოვნილება არის, რომ საწყენად არავის არ უნდა დაურჩეს.

შორაპნის საბლალოჩინო მაზრის ბლალოჩინი მღ. დ. ლ-ძე

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა

შესახებ გალობის აღდგინებისათვის ფულის მოგროვებაზე ჩვენ ვკითხულობთ „დროება“-ში შემდეგ წერილს:

„დროების“ №207-ში ჩვენ წავიკითხეთ ერთი ჩვენი საბლალოჩინო მაზრის მღვდლის ი. ს-ის წერილი, რომლითაც ის ჩვენ გვთხოვს ანგარიშს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის შეკრებილი ფულების შესახებ. ფულის შემწირველს სრული უფლება აქვს შეიტყოს, მისგან შეწირული ფული სად არის, როგორ მოიხმარეს და რა სარგებლობა მოაქვს. ამისათვის სიამოვნებით ვასრულებ მღ. ი. ს-ის თხოვნას.

როგორც მახსოვს, 1881 წელს ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ ითავა 20 ათასი მანეთის შეკრება, მთავრობის ნებადართვით, იმ განზრახვით, რომ ამ ფულების სარგებლით დაქირავებულიყვნენ მასწავლებელნი გალობისა სასწავლებლებში და ესწავლებინათ როგორც ქართლური, ისე გურული კილოს გალობა. ამის თაობაზე მოწოდებაც კი იყო დაბეჭდილი პატივცემულ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრესაგან და ყველა შემწირველებს ჰპირდებოდა, რომ მათი სახელები და შეწირული ფულის რაოდენობაც „დროებაში“ იქნებოდა გამოცხადებული. ყოვლადსამღვდელომ ალექსანდრემ მიიღო სასულიერო მთავრობისაგან ფულის შესაკრებად წიგნი და ამ წიგნით კიდევ გაიგზავნა ერთი თუ ორი ბერი ჩამოსავლელად მთელს საქართველოში. ამაზედ ბლალოჩინებსაც ეპისკოპოსისაგან მოწერილობა გვექონდა მიღებული, რომ სამღვდელოებაში შეგვეკრიბა ფულები. მეც ერთ საბლალოჩინო შეკრებილებაზე ვუთხარი სიტყვა რწმუნებულ ჩემდამო სამღვდელოებას და განვუმარტე ქართული გალობის აღდგინების საჭიროება. სამღვდელოებამ თავის ჯიბიდან შეკრიბა ოცდაათოთხმეტი მანეთი ჩვენგან შეწირულ ფულიანად, შეადგინა სია, თვითონვე დაანერეს, თუ რამდენი შემოსწირეს და ჩამაბარეს. მეც, მართალია, დავპირდი მათ იმ სიის დაბეჭდვას „დროებაში“, ეს ფულები მოწერილობის ძალით, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისთვის უნდა წარმედეგინა. იმ ხანებში ყვირილის ვაგზალზედ ვნახე ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე. მან, სხვათა შორის, მითხრა, რომ ეს შეკრებილი ფულები მისთვის გამეგზავნა და შემწიობა აღმომეჩინა ბერისთვის, რომელიც ჩემთან მოდიოდა წიგნით იმ ხანებში გალობის აღდგინებისთვის ფულების მოსათხოვად. არ გასულა ერთი კვირა, მოვიდა ჩემთან ლორთქიფანიძე ბერი. მე მას კაცი გავატანე საბლალოჩინოში. ეს ბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და სოფელში მობოჭილი ფული ორმოცი მანეთი მოიტანა ჩემთან და მთხოვა გამეგზავნა ალექსანდრესთან. ეს ორმოცი მანეთი და წინანდელი ოცდაათოთხმეტი მანეთი, სულ 74 მ. მე გავუგზავნე სიითურთ ოზურგეთში ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს იანვრის 25 1883 წელსა, რომელზედაც ფოსტის კვიტანცია მიღებული მაქვს. ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს მე ვსთხოვე შემწირველების სახელების გამოცხადება „დროებაში“, თანახმად მათი სურვილისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღემდის არაფერი არა გამოცხადებულა რა და არც ის ვიცი, მიიღო თუ არა ეს ფულები. ამისათვის იყო ორიოდე სიტყვა გამოთქმული „მწყემს“-ში იმის შესახებ, რომ შემწირველების სახელები გამოცხადებულიყო ან „დროება“-ში და ან „მწყემს“-ში, მაგრამ...

იმედი მაქვს, რომ პატივცემული ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე შეგვატყობინებს, მიიღო თუ არა ეს 74 მ. ფული, ჩემგან გაგზავნილი იანვრის 25-ს, 1883 წელს ფოსტით ოზურგეთში. თუ არ მიუღია, ჩვენ ვეცდებით საქმე დავიწყოთ და ფოსტასვე მოვთხოვოთ.

ბლ. მღ. დ. ლ-ძე [დავით ლამბაშიძე]

82. მწყემსი, 1885, 1 იანვარი, №1, გვ. 12

სხვადასხვა ამბები და შენიშვნები

ქუთაისში დაარსებულ ქართული საეკლესიო გალობის აღმადგენელ კომიტეტს განუზრახავს ყველა შესამჩნევი გურული კილოს გალობის მცოდნე პირთა შეკრება ქუთაისში და მათგან აღმორჩეული უკეთესი მცოდნე პირების საშუალებით აპრობენ ნოტებზედ ქართული საეკლესიო გალობის გადაღებას. იმედია, ეს კომიტეტი ხშირად გვაცნობებს თავის მოქმედებას ამ ჩინებული საქმის მუშაობის დროს.

83. მწყემსი, 1885, 1 თებერვალი, №3 გვ. 12

მატიანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ პირველი შეკრებილება ქართულ-იმერული საეკლესიო გალობის აღმადგინებელ კომიტეტს ბლალორჩინის ღამბაშიძის თავმჯდომარეობით ჰქონდა ქალაქს ქუთაისში ოცდაათს იანვარს. იმედია, რომ კომიტეტი იხმარს ყველა ღონისძიებას ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

84. დროება, 1885, 14 თებერვალი, №35, გვ. 2-3

„დროების“ კორესპოდენცია

ქ. ქუთაისი, თებერვლის 12-ს. ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების საქმეს ახალი ხანა დაუდგა. მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, იმერეთის მწყემსმთავარმა, სამღვდელოების ყრილობის გარდამწყვეტის თანახმად, უკვე დანიშნა სათანადო კომიტეტი, რომელსაც წინადადება მისცა დროიანად და გულსმოდგინედ მოეკიდა საქმისათვის ხელი და ყოველი საშუალება გამოეძებნა საქმის წარმატებით წაყვანისათვის. კომიტეტი უკვე შეეკრა პირობით ცნობილს მგალობელს ბატ. ფილ. ქორიძეს. ამ პირობის ძალით ბატ. ქორიძემ უნდა გარდაიღოს ნოტებზედ სამი წირვის წესი, სულ ოთხასი ნომერი ორის წლის განმავლობაში, თუ, რასაკვირველია, რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ შეხვდა. კომიტეტი მოვალედ იხდის თავის თავს მიუჩინოს ბატ. ქორიძეს სამი საუკეთესო მცოდნე ქართულის გალობისა. ბატ. ქორიძემ ყოველს ორს თვეში უნდა წარუდგინოს კომიტეტს ნოტებზედ გარდაღებული ნომრები (რამდენსაც მოასწრებს) და თუ ეს ნომრები კომიტეტმა და მცოდნე პირებმა იცნეს ნამდვილად გარდაღებულად, მაშინ ბატ. ქორიძე მიიღებს ხვედრს სასყიდელს. მთა-

ვარი პირობა ის არის, რომ გარდაღებულს გალობაში იქმნეს სასტიკად დაცული ნამდვილი კილო და ხასიათი გურულის გალობისა. ოთხასი ნომრისათვის მიეცემა ბატ. ქორიძეს სულ ორიათას ოთხასი მანათი (2400 მან.). იმერეთის მწყემსმთავარი სთხოვს გურიის ეპარქიის მმართველს, ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომ მანაც, თავისის მხრით, მოიწვიოს ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად გურიის სამღვდელოება. რასაკვირველია, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი მეუფება იმგვარსავე განკარგულებას იქმს გურიაში, როგორც მოხდენილია იმერეთის ეპარქიაში. ისიც საეჭვო არ არის, რომ გურიის სამღვდელოება არ ჩამორჩება იმერეთის სამღვდელოებას და თავის შესახვედრ წვლილს შემოიტანს ქართული გალობის აღდგინებისათვის, მით უმეტეს, რომ პირველი ადგილი ეჭირება გურულს კილოს, რადგან, მაინცა და მაინც რომ ვსთქვათ, განსაკუთრებული იმერული კილო არც არსებობს საეკლესიო გალობისა. ამას გარდა, აქ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეპისკოპოსი ალექსანდრე დაუბრუნებს იმერეთის სამღვდელოებას იმ ფულს, რომელიც უკანასკნელმა შეჭკრიბა და გაუგზავნა მის მეუფებას ქართულის გალობის აღსადგენელად და ნოტებზედ გარდასაღებად, რადგან იმერეთის სამღვდელოებამ შესწირა ფული იმერულ-გურულის გალობის ნოტებზედ გარდაღებისათვის და არა კარბელაშვილის გალობის აღსადგენელად. ეს ფული ცოტა ფულს არ შეადგენს და თუ თავისის პირდაპირის დანიშნულებისამებრ იქმნა მოხმარებული, კარგს სამსახურს გაუწევს გურულის გალობის აღდგინების საქმეს.

85. დროება, 1885, 21 აგვისტო, №179, გვ. 1-2

შინაური ქრონიკა

* * *

ბ-ნს ბენაშვილს შეუდგენია ქართულ საეკლესიო გალობათა, მთელი წირვის წესის (კარბელოვის ხმებზე) და სახალხო სიმღერათა ნოტები. კახური სიმღერები: „მაცურული“, „სიმღერა მელორისა“, „შაშვი კაკაბი“, „მუშური“, „საცეკვარი“, „ალზევანს წაველ“, „ჭარალალი“, „სიმღერა მუშაობის შემდეგ“, „დიანბეგი“, „მგზავრული“, 2 „მგზავრული“, „ჩავუხდეთ“, „ორი და ოქროს დიელა“, „აი და რირავაშა“, „სუფრული“, „ოი და დელა“, „იავნანა“ და „ნანი ნანა“; იმიერ საქართველოს სიმღერები: „ოდელია ნანა დელა“, „დედამ რომ შვილი გაზარდოს“, „ოისა იავარა“ (მეგრულია), „გალიაში რომ გაგზარდე“, „ნანის ორი“, „ჭასანბეგური“, „ოისა-იავარა“ (მეგრული), „ყარანაი ყანაშია“, „იარამა შაიდა“, „მარიკელა ჯაშის ქალო“, „შავ ლეკ“, „დელი ოდელა“, „თოვლი ასტირდა“, „კუჩხი დაო“, „კუჩხი ბედინერი“, „ჰეი, ჰეი“, „გენაცვალე ბებია“, „ვადონწ-ვირი ობიშხარ“ (მეგრული).

ნოტები ხელნაწერია ჯერ. ბ-ნი ბენაშვილი ამ ჟამად თბილისშია და დაეძებს ვისმე ფორტოპიანოზე დამკვრელს ნოტების გამოსაცდელად, შემდეგ კი სურს დააბეჭდინოს. ქართული „ტკბილი ხმები“ დიდი ხანია ითხოვენ ბეჯით, მცოდნე მუშას და რამდენადაც ბენაშვილს ვიცნობთ (ბ-ნი ბენაშვილი ლოტბარია იმერეთის ეპისკოპოსის მგალობელთა ხოროსი), მას არ აკლია ეს ღირსებანი და ვისურვებთ, რომ მისგან შედგენილი ნოტები მალე დაბეჭდილი ვიხილოთ.

86. მწყემსი, 1886, 20 იანვარი, №3, გვ. 8-9

ახალი ამბები და შენიშვნები

თვრამეტს დეკემბერს გალობის აღდგინების კომიტეტმა სხვა გარეშე პირთა თანადასწრებით შეამონმა ბ. ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებული ასი ნომერი ქართული საეკლესიო გალობისა, რომელიც მოწონებული დარჩა და მიიღო კომიტეტმა კანტრახტისა მეზრ. ფილიმონ ქორიძეს დარჩა კიდევ გადაუღებელი ასოთხმოცდაათი ნომერი.

ქართლური კილოს საეკლესიო გალობის გადაღების საქმე, რომელიც ყოვლადსამღვდელო აღექსანდრე ეპისკოპოსმა ითავა თფილისში, სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, კარგად არ მიდისო. მუშაობა შეჩერებულია და გალობის გადამცემი ველარ უშოვიათ.

87. ივერია, 1886, 22 იანვარი, №16, გვ. 2-3

დაბა და სოფელი (მონერილი ამბავი)

[...] წელს გორის ოქონის ეკლესიის მღვდელმა ბ. მიხეილ ნასყიდაშვილმა იდღესასწაულა თავის მრევლში თოთხმეტი იანვარი. საღამოთი, ცამეტს, ზეთის კურთხევით გადინადა ლოცვა; მეორედღეს, როგორც ლოცვაზედაც სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი ბ. ნიკ. ბერიშვილის ლოტბარობით, მშვენივრად ჰგალობდნენ ქართულად. წირვაზე ხალხი ბლომად დაესწრო. წირვის შემდეგ მ. მიხეილმა მშვენიერის ენა-მეტყველობით გააცნო თვისს სამწყსოს ნინო, მისი ღვანლი. ხალხი გაოცებით ისმენდა სუსტი არსების გასაოცარს თავგანწირულებას. ყველა დაატკბო გალობამ და მოძღვარის ტკბილმა საუბარმა ნინოზე. საზოგადოდ მღვდელი ნასყიდოვი შესანიშნავია ქართლის სამღვდელთა შორის თვისის დაუცხრომელის შრომით, ღვანლით თვის მოწაფეთა შორის. მან განახლა და განამშვენიერა გორში სამების ეკლესია, როდესაც აქ მღვდელობდა. გადმოიყვანეს თუ არა ოქონას ეკლესიაში, ფიცხლივ მიჰყო ხელი მის განახლებას. ოქონას ეკლესია აღშენებულია მეთერთმეტე საუკუნეში, ბაგრატ IV დროს; ხატი ამ ეკლესიისა, ოქონის ღვთისმშობლისა მოჰყვა ბაგრატის ცოლს ელენეს, საბერძნეთის მეფის დისწულს, მზითევში. იგი ხატი დაასვენეს გორში, სადაც მისთვის ააშენეს საკუთარი ეკლესია. ეს ეკლესია დროთა ბრუნვისა გამო ძალიან დაძველებულიყო, ასე რომ საშიში იყო მლოცველთათვის. მ. მიხეილმა შეაგროვა ფული, დაანგრია ძველი, დაბალი, მინგრეულ-მონგრეული საყდარი და მის ადგილას აღმართა მშვენიერი, ფართო, ნათელი ტაძარი, სადგური ოქონის ღვთისმშობლისა, რომელიც გორის მცხოვრებთ, ქართველთ თუ სომეხთ, დიდის პატივდებაში ჰყავთ. მას შემდეგ მ. ნასყიდაშვილი არ ზოგავს თავის ცდას და შრომას, რომ სულითაც გაანათლოს თვის საყდართ-სამწყსო და ამიტომ ჰქადაგობს კვირა-უქმით. ვისურვებთ, რომ მ. მიხეილს გამოსჩენილიყვნენ მიმბაძველნი, რომ ქართველთა ერი გამოეყვანოთ

იმ ნყვდიადისაგან, რომელშიაც იგი იმყოფება სარწმუნოების და რჯულის შესახებ. ამავე ეკკლესიაში დაიარებინ გორის სასულიერო სასწავლებლის მონაფენი და ნ. ბერიშვილის ლოტბარობით გალობენ ქართულად ყოველ წირვა-ლოცვაზე (როგორც ზემოთაც ვსთქვით). ამის გამო ხალხი ბლომად დაიარება, რადგან სასოება გაელვიდათ. ბ-ნი ბერიშვილი გალობის მასწავლებლად არის სასულიერო სასწავლებელში. მაგის მოსვლისთანავე, გულის სიმართლით ვიტყვით, აღსდგა ჩვენს ქართლში ქართული კარბელაშვილის გალობა; იგი არ ზოგავს თავს, ოლონდ კი მკვიდრს ნიადაგზედ დასდგეს ეს მივინყებული და ახლად გალვიძებული საქმე. ბერიშვილისავე მეოხებით აღსდგა ბევრი ქართული ძველი, სუფურის შემამკობელი სიმღერები, რომლებსაც ეხლა ყოველ შემთხვევაში გალობენ და მღერიან, ეგრედ ნოდებულის. აქაურ „ინტელიგენციის“ სახლებში. ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნ ბ-შვილს ქართული სიმღერები აქვს ნოტებზე დანყობილი. ურიგოს არ იზამს, რომ ქვეყანას აჩვენოს თვისი ნაღვანი.

ნიკოლა [სოფრომ მგალობლიშვილი]

88. მწყემსი, 1886, 30 აპრილი, №11-12, გვ. 14-15

ახალი ამბები და შენიშვნები

ექვს აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა განახლებული ყვირილის ნათლისმცემლის ეკკლესია. წირვაზე იგალობეს ნოტებზე ქართული საეკკლესიო გალობა, ახლად გადაღებული ბატონი ქორიძისაგან, არქიდაკონმა იოსებ შარაბიძემ, მ. ბალანჩივაძემ და ი. წერეთელმა. იგალობეს მშვენიერად და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა.

31 მარტს ქართული საეკკლესიო გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა კიდევ ჩაიბარა სამოცდათორმეტი ახლად გადაღებული სხვადასხვა საეკკლესიო ქართული საგალობლები. დარჩა კიდევ გადულებელი ასი საგალობელი. იმედია, რომ ამასაც მალე გაათავებენ, რადგან მუყაითად და გულით არიან შედგომილნი მუშაობას როგორც ბ. ფილიმონ ქორიძე, ისე გალობის გადამცემლები: დიაკონი რ. ხუნდაძე, აზნაური დიმიტრი ჭალაგანიძე და ივლიანე წერეთელი.

89. ივერია, 1886, 22 მაისი, №109, გვ. 1

ახალი ამბავი

როგორც შევიტყეთ, კარგა ხანია ალექსანდრე ეპისკოპოსს ფული შეუწირავს ქართულის გალობის ნოტებზე გადასაღებად. საქმე მუსიკის მცოდნე კაცსა აქვს თურმე მინდობილი. ცალკე კამისიაც არის შემდგარი, რომლის თავსმჯდომარედ დეკანოზი ელიევია. არავინ კი არ იცის აქამდინ რა გააკეთა ამ კომისიამ და ან რა აბრკოლებს საქმესა. სასურველია, ხმა

ამოიღოს, ვინც საქმეს ახლო უდგას და საყოველთაოდ გამოაცხადოს, რა მდგომარეობაშია საქმე და ჩქარა გველირსება ნოტებზე გადაღებული საგალობელი თუ არა.

90. ივერია, 1886, 24 ივლისი, №159, გვ. 2

დაბა და სოფელი (მონერილი ამბავი)

სოფ. ჯგილათი (შორაპნის მაზრა). სოფელი ჯგილათი მდებარეობს დაბა ყვირილის მახლობლად, თოთხმეტის ვერსის სიშორეზე. ეს სოფელი, როგორც თავისი მდებარეობით, აგრეთვე მოსავლითაც ერთ უკეთესს სოფლად ითვლება ზემო იმერეთში. აქ აყენებენ მშვენიერ ღვინოსა. ჭირნახული ბლომად მოდის. აქ სცხოვრობენ ხუთმეტ მოსახლემდე აზნაურნი საყვარელიძენი და დანარჩენი გლეხები არიან; აქაურები შეძლებული ხალხია. უფრო შეძლებული იქნებოდა ეს სოფელი, რომ მცხოვრებთ სცოდნოდათ მინის რიგიანად შემუშავება. აქ გარდა სიმინდისა და ღვინისა, თითქმის არაფერი მოჰყავთ. ნიადაგი ერთობ მსუქანი და ნოყიერია. ხალხი ამის იმედზეა და ამისათვის მსუბუქად მუშაობენ, თორემ მეურნეობის მცოდნე კაცის ხელში აქაური ნიადაგი ათჯერ მეტ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ესხა მოაქვს.

ყველა კარგი, მაგრამ აქაურ ხალხს, წარმოიდგინეთ, რომ სკოლა არა აქვს. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა მითხრა: „როგორც გავიგეთ, ბ-ნი რ...დენ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე, რომელმაც ქუთაისის გიმნაზია გაათავა და შემდეგ ერთ-ერთს რუსეთის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იყო, აპირობს ამ სოფელში კერძო სკოლის გახსნასო. თუ ეს მართალი გამოდგა, დიდის მადლობის ღირსი იქნება ბ-ნი ჩიკვაიძე. ჩვენც ჩვენის მხრივ, უკანასკნელ პერანგსაც არ დავზოგავთ, რათა მას აღმოუჩინოთ ამ საქმისთვის ჯეროვანი შემწეობა. ყველანი დიდის აღტაცებით მივიღებთ ამნაირს ჩვენთვის წარმატების მოსურნე პირსაო.“

თვითოულმა ოჯახის უფროსმა აზნაურმა იცის ყოველგვარი ქართული გალობა და წირვის წესი, ესენი ასწავლიან თავიანთ შვილებს, ცოლებს და სხვებსაც. ასე რომ, ორივე სქესის ყმანვილებმა, რვა წლიდგან მოკიდებული, იციან ყოველგვარი ქართული საგალობლები, იციან კარგად და ზედმინვენით. სასიამოვნო ის არის, რომ ძველის ქართულის გალობის კილო ისევ დაცულია. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ვიყავ ამ სოფელში და გავიგონე ამ სასიამოვნო გალობის ხმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე.

სასურველია, რომ ჩვენს ქვეყნებში ასე ყოფილიყოს დაცული ქართულის გალობის კილო, რომელიც შეადგენს ქართველების ერთ უკეთეს მამა-პაპეულის ნაშთათაგანს!

ამ სოფელში სტუმრის მოყვარე ხალხია. სტუმარი შევა თუ არა სახლში – სწამთ აქაურებს, – ანგელოზიც თან შეჰყვებო. ამიტომაც ისე არსად სცემენ პატივს სტუმარს, როგორც აქ, ჯგილართში. ამ გვარი სტუმრის პატივისცემა სხვა სოფლებში იშვიათია.

ს. ჩხერელი

ყვირილიდამ მარტვილამდე

[...] დილით ადრე ფაიტონით გავემგზავრეთ მარტვილისკენ. ხონიდან შვიდ საათზედ გაველით და მარტვილში ათ საათზედ მივედით. ჯერეთ წირვა არ იყო დაწყებული. მივიხედ-მოვიხედეთ მარტვილის სობოროს ეზოში. ფრიად სამწუხარო სურათს წარმოგედგენსთ როგორც მარტვილის სობოროს მდგომარეობა, აგრეთვე ამ ეზოის შენობანი. ერთი შენობა სრულებით ჩამტვრეულია, მეორე გვერდზე გადახრილა, სხვა დამპალი და სახურავ ნამხდარია. ერთი სიტყვით, მარტვილის სობორო და მისი შენობანი იმისთანა მდგომარეობაში, როგორშიდაც დღეს არიან, არც ერთი დროის თათრების შემოსევის დროს არ იქმნებოდნენ.

წირვა დაიწყო თერთმეტის ნახევარზედ. მწირველი იყო ყოვლად სამღვდლო გრიგორი, არქიმანდრიტი – კირილე, ბესარიონ და სხვა სამღვდლონი. მგალობლები ორპირად იყვნენ დამდგარნი. მარჯვნივ ბ. გალობდნენ ფ. ქორიძის ლოტბარობით ახლად გადაღებულ ნოტებზედ არქიდიაკონი იოსებ შარაბიძე, ივლიანე წერეთელი და მ. ბალანჩივაძე. მარცხნივ კლიროსზედ გალობდნენ აზნაურნი გამოჩენილნი მგალობლები – დიმიტრი ჭალაგანიძე, ნიკო მეძმარიაშვილი და ერთიც მესამე, რომლის გვარი და სახელი არ ვიცით. წირვაზედ საზოგადოება დაესწრო აუარებელი. ნოტებზედ გადაღებული გალობა საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და მრავალნი სიხარულით აღივსნენ, რომ ქართული გალობა ამის შემდეგ აღარ დაიკარგებაო.

წირვის აღსრულების დროს მიხვრა-მოხვრა და სხვა ქცევა ყოვლად სამღვდლო გრიგორისა სწორედ მოსანონია; მაგრამ სამწუხაროა, რომ შესაფერისი კრებული არ ჰყავდა. წირვის გათავების შემდეგ ყ. დ. სამღვდლომ წარმოსთქვა მშვენიერი გრძელი სიტყვა, რომლის თემათ ჰქონდა აღებული სიტყვანი: „ყოველსა ქვეყანას განხდა ხმა მათი“; ამ სიტყვაშიდ გაატარა მრავალი მშვენიერი აზრი და ბოლოს მოაგონა მსმენელთა ჩვენ ძველ წინაპართა ქველ მოქმედება და უხვობა ეკლესიების შემკობისათვის და წინა დაუდვა საზოგადოებას, იზრუნონ მათაც განშვენებისა და შემკობისათვის მათთვის სასიქადულო მარტვილის სობოროსა.

წაწირვებს, ნაშუადღევს ორ საათზე ყოვლად სამღვდლო გრიგორიმ მიიპატიჟა სადილზე კრებულნი, მაზრის უმფროსი, მარშალი ბ. ფალავა და სხვა წარჩინებულნი პირნი ორმოცამდინ. სადილი მშვენიერი იყო. სენაკის მაზრის მარშალმა ბ. ბ. ფალავამ, რომელიც სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა ხოლმე, აიღო ღვინით სავსე სტაქანი და წარმოსთქვა სადღეგრძელო მის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლესი, რომელიც დიდის სიხარულით იყო მიღებული ყველა დამსწრე პირთაგან. შემდეგი სადღეგრძელო იყო ყოვლად სამღვდლო გრიგორისა. დალიეს აგრეთვე სადღეგრძელო ყოვლად სამღვდლოთა იმერეთის ეპისკოპოსისა. სადილი გათავდა ხუთი საათის ნახევარზე და სტუმრები გამოეთხოვნენ თავის გულითად საყვარელ მასპინძელს.

ამ მოგზაურობის დროს ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვებამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. გარეგანი შეხედულება ხალხის ტანსაცმელისა სულ წინააღმდეგს გიმტიკიცებს, როდესაც მათთან მიდიხართ და სახლ-კარობას ხედავთ. სიღარიბეს ძლიერ გაუდგამს ფესვები ხალხში. ხალხი ნამეტნავად ცდილობს ეს სიღარიბე არ დაანახოს სხვას და ის არის უბედურება, რომ ამისთანა ცდა უმეტესად სიღარიბეში აგდებას მას.

ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, თუ მარტვილის სობორო ამისთანა შეუფერებელ მდგომარეობაში იქმნებოდა. თვით ეკლესიაში სასაფლაოს ქვებზედ თქვენ მრავალს ადგილას

ჰკითხულობთ: „ამა საფლავსა ქვეშე განისვენებს მთელი მინგრელიის მფლობელი თავადი, ანუ კნინა ესა და ესა“. მართლა, აქ მარხია დიდებული დავით ლევანის ძე დადიანი და სხვანი. ნუ თუ ამ პირთა არ შეეძლოთ შემკობა ამ სობოროისა რიგიანად და დატოება იმდენი ქონებისა ამ ეკლესიის სასარგებლოდ, რომ ამ ფულით შეძლებულიყო შეკეთება ეკლესიის და სხვა შენობათა.

მართალია, ზოგიერთები დღეს იძახიან, რომ მათი შეწირული მამულებისაგან ოცი ათასი მანეთი ეძლევა საეკლესიო ხაზინას საერო უწყებიდგანო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ რომელიც ამას იძახიან, მათგან არც ერთი გროში არ არის შეწირული ეკლესიის სასარგებლოდ და სხვისი შეწირულებით უნდათ თავი გამოიჩინონ.

წირვის გათავების შემდეგ ჩვენ მივედით სტაროსტასთან შესატყობლად, თუ რამდენი შემოვიდა სამთლის ფული ამ დღეს. სტაროსტამ განგვიცხადა, რომ ამდენი სამთლის ფული არ შემოსულა სხვა დღესასწაულ დღეებში არასოდესო. მეც ვიფიქრე, რომ ამდენი აუარებელი ხალხისაგან ბევრი ფული შემოვიდოდა-მეთქი. თურმე, ნუ იტყვი, სტაროსტის გასაკვირვებელი სამთლის შამოსული ფულის ჯამი იყო ხუთი მანეთი და ორი აბაზი!... ბოლოს გავიგეთ, რომ მთელ წელიწადში სამთლის ფული შემოდის სობოროს ორმოც მანეთამდი და სხვა შეწირულებაც არა ამაზე მეტი!..

92. ივერია, 1886, 3 სექტემბერი, №189, გვ. 1

ახალი ამბავი

უნწმინდესის სინოდის ობერპროკურორის კანცელარიის დირექტორს საბლერს, რომელიც თან ახლდა პობედონოსცევს, მოუსურვებია აქ ყოფნის დროს ქართულის საეკლესიო გალობის მოსმენა. ყოვლადუსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს შეუსრულებია ბ-ნის საბლერის სურვილი. ტფილისის მუსიკის საზოგადოების დირექტორს ივანოვს საბლერის თანდასწრებით დაუკრავს ყველა ის ხმები ფირსგარმონიაზედ, რომელიც მას გადაუღია ნოტებზედ მღვდელთ პ. კარბელოვისა, გრ. მღებრიშვილისა და ა. მოლოდინოვის დახმარებით. ამ გალობის კილო ქართლ-კახეთის, ანუ ესრედ წოდებულის კარბელოვის გალობის კილო არისო. საბლერს მოუსმენია ეს გალობა და ძალიან მოსწონებიაო.

93. ივერია, 1886, 15 ოქტომბერი, №222, გვ. 1

ახალი ამბავი

ამას წინად ჩვენ დავესწარით წირვაზე წმ. მარინას ეკლესიაში, ავლაბარში, სადაც სამრევლო სკოლაა გამართული. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი კრებულითურთ. თუმცა ქართულად გალობდნენ ზოგიერთა მღვდლები და დიაკვნები, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო წმ. მარინეს ეკლესიის სამრევლო სკოლის

ყმანვილების გალობამ მიიქცია. ყმანვილები გალობდნენ მასწავლებელ თ. ასათიანის ლოტ-ბარობით. ბ-ნი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ბენაევის საგალობლით. არ იქნება ური-გო, რომ ყველა სოფლის მასწავლებელმა, რომელმაც კი იცის ნოტები, იქონიოს ბენაევის საგალობელი, ასწავლოს ყმანვილებს გალობა და ამ გვარად კვირაობით აგალობოს ხოლმე ყმანვილები ეკკლესიაში.

94. მწყემსი, 1886, 30 ოქტომბერი, №30, გვ. 9-10

ახალი ამბები და შენიშვნები

გაზეთს „ივერიაში“ ვკითხულობთ: ამას წინედ ჩვენ დავესწარიტ წირვაზე წმ. მარინეს ეკკლესიაში, ავლაბარში, სადაც სამრევლო სკოლაა გამართული. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი კრებულითურთ. თუმც ქართულად გალობდ-ნენ ზოგიერთი მღვდლები და დიაკვნები, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო წმ. მარინეს ეკ-კლესიის სამრევლო სკოლის ყმანვილების გალობამ მიიქცია. ყმანვილები გალობდნენ მას-წავლებელ თ. ასათიანის ლოტბარობით. ბ-ნი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ბანაევის საგალობლით. არ იქნება ურიგო, რომ ყველა სოფლის მასწავლებლებმა, რომელმაც კი იცის ნოტები, იქონიოს ბენაევის საგალობელი, ასწავლოს ყმანვილებს გალობა და ამ გვარად კვი-რაობით აგალობოს ხოლმე ყმანვილები ეკკლესიაში.

95. ივერია, 1886, 2 ნოემბერი, №237, გვ. 2

ახალი ამბავი

ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს: ქუთაისში სცხოვ-რობს ერთი ოჯახი მრევლიშვილისა, რომელმაც კარგად იცის ყოველგვარი ქართული გალო-ბა. ამ ოჯახს ძველის ქართულის საგალობელის აზრისთვის მიუგნია და მიხვედრილა, როგორ უნდა იგალობოს კაცმა სხვადასხვა საგალობელი. ერთი ამ გვარი საგალობელი, დაწერილი ეტრატზე, ასე მეთორმეტესა თუ მეცამეტე საუკუნისა, დაცულია წერა-კითხვის გამავრცე-ლებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში. ამ საგალობელში ყოველ სიტყვას ნოტებივით თა-ვისი საკუთარი ნიშნები აქვს, ხმის ასამაღლებელი და დასამდაბლებელი. აქამდე ეს ნიშნები ვერავის ვერ გაეგო და ვერ მიხვედრილიყო, რა წესით იყო შედგენილი. ახლა კი, როგორც ნამდვილად ამბობენ, ზემოხსენებული ოჯახი მიხვედრილა, როგორც უნდა ხმარება ამ გვა-რის საგალობლებისაო. თუ ეს ამბავი მართალია, ძველი კილო და ძველი ქართული გალობა დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოსო.

ტფილისი, 17 ნოემბერი

შაბათს, 15 ნოემბერს, ერთი ფრიად სასიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა. ქართულს თეატრში გამართული იყო ქართული კონცერტი. ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები. ჩვენ მუსიკოსობაში თავს არ ვსდებთ, იმიტომ რომ ამ ხელოვნებისა ჩვენ არავიცით რა. ჩვენ ამ კონცერტის გამო ზოგიერთი ფიქრები აგვეშალა და ვიდრე თვით კონცერტის თაობაზედ ვიტყვოდეთ რასმე, გვსურს ზოგიერთი ჩვენი ფიქრი გამოვსთქვათ, რამოდენადაც შესაძლოა.

მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულმა გერმანიელმა, ლესსინგმა ერთს თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „ლაოკოონი“ ჰქვია, სთქვა: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია – მეტყველი მუსიკა“. ჩვენ კიდევ ამას ვიტყვით, რომ სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰმველის წყობილიტყვაობას და წყობილი სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევეში ულონონი არიან, ადამიანის გულის სიღრმე-დამ ამოზიდონ იგი სხვისი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა. ჩვენებური „ზარი“, ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ, „მაყრული“ სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორპირი“ ვაჟ-კაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა. გალობა ისეთივე მოთხოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა, როგორც ცრემლი, როცა კაცი ან ჰხარობს, ან ჰგოდებს, როგორც კენესა, როცა გული შეხუთულია, როგორც ძახილი, თქმა, როცა გული მხიარული და ბედნიერია.

ხოლო რადგანაც ქვეყანაზედ გულსა ადამიანისას სძრავს ხოლმე არა მარტო სიხარული და მწუხარება, არამედ სხვა ათას გვარი მიზეზიცა, ამიტომაც სამწუხარო და სასიხარულო სიმღერას შუა კიდევ მრავალი გვარი სიმღერა და გალობაა. ამ მხრით ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაიღვეა თავის დღეში. მინამ გული სძგერს, გულივე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირის მიზეზითა და რადგანაც მიზეზი გულის თქმისა უღვეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულის თქმაა და სხვა არა რა, ბოლო და დასასრული არ ექმნება თავის დღეში, ვიდრე ეს დედამიანის ზურგი ატარებს და იშვნივს ადამიანსა. კაცთ გარე ქვეყნიერობაში სიმღერა*) არ არის. ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვითა ღვთის კერძოისა. ეგ ღვთაებური ნიჭი ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცას ქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტა თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევიანებინოს.

ჩვენა ვსთქვათ, რომ სიმღერა გულის თქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერთისა ბევრში, სხვა, ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულის თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზია, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ განსაზღვრული, სიტყვით არ გამორკვეული. იგი

მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველობა. ქართველი, როცა ჰკვნესის, სხვა რიგად, სხვა ხმით, სხვა კილოთი ჰკვნესის, ვიდრე ფრანგი, ანუ გერმანიელი; ქართველი როცა ჰხარობს, სულ სხვა რიგადა ჰხარობს და სიხარულის გამოთქმაც სულ სხვა რიგია. რა არის, მაგალითებრ, ქართველის: „ვაი“, „ვიმ-ვიმ, ვაშა-ვაშა“ თუ არ თქმა, თუ არ ძახილი, თუ არ ყეფა ასე თუ ისე ნაძგერის გულისა!... ეგ ხომ ცარიელი ხმაა, ხომ იგი უტყვი ბგერაა ხმისა, რომელიც უტყვეს პოეზიაზედ უფრო ახლოა, ვიდრე მეტყველ მუსიკაზედ, ესე იგი, უფრო მუსიკაა, ვიდრე სიტყვიერება! როცა ქართველი იძახის: „ვაი, ვიმ, ვაშ“, ჩვენ ქართველებს მთლად და სავსებით გვესმის ეს ბგერა ქართველის გულის ძარღვისა, ასე თუ ისე ძლიერად ნატკენისა და განწონილისა, სხვა ერის კაცი ვერ გაიგებს: ამას ამავე შემთხვევისათვის სხვა მწყობრი აქვს ხმებისა, რომელიც ჩვენ ქართველებისათვის ისევე გაუგებარია, როგორც მისთვის ჩვენია გაუგებარი, თუ ან იმას ჩვენთვის ყური არ შეუჩვენია, ან ჩვენ მისთვის. ამიტომაც ერთის ერის სიმღერა, რომ მეორეს მოეწონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა-მეტყველობას. შეიყვანეთ ჩვენი გლეხკაცი, ანუ იმისთანა ვინმე, თუნდა თავადიც იყოს, რომელსაც ევროპიული მუსიკა თავის დღეში არ გაუგონია, შეიყვანეთ და თუნდა ბახისა, მოცარტისა და ბეთჰოვენის სიმღონიები მოასმენინეთ, იმას არ მოეწონება, თუმცა კი მთელი ევროპა აღტაცებაში მოდის ხოლმე. ეგ იმიტომ კი არ მოსდის, როგორც ზოგიერთნი ბრიყვნი ამბობენ, რომ იგი გლეხკაცი, ანუ თავადი კაცობრიულ ნიჭს მუსიკის სიამოვნებისას მოკლებულია. ეგ იმას ეგვანებოდა, რომ კაცს კაცმა მეტყველების ნიჭის უქონლობა შესწამოს, როცა, ვსთქვათ, ბაირონის ლექსს ინგლისურად უკითხავდნენ ამ ენის არ მცოდნე კაცს და ამის გამო არ მცოდნე კაცი კითხვის დროს თვლემში იყოს, როცა სხვანი აღტაცებულნი არიან. იგინივე, რომელნიც მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკით აღტაცებაში მოდიან, იგინივე ცხვირ ზევით აიცილებენ ხოლმე ჩვენს სიმღერასა, ჩვენს მუსიკასა, მაშინ, როდესაც ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ ხოლმე. აქ მიზეზი მარტო გაუგებრობაა, არ ცოდნაა და არა გრძნობამოკლებულობა, გრძნობადასშულობა. სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს მოკლებული ყრუისა და მუნჯის მეტი, ისიც იმიტომ, რომ აქ ხორცის ნაკლულეგანებაა მიზეზი ამ ნიჭის უქონლობისა და არა სულისა.

რასაკვირველია, ყველა ერს ერთს ხარისხამდე არა აქვს აყვანილი თავისი მუსიკა, როგორც თვით ენა-მეტყველობაც. ამ მხრით ზოგი ერი ძალიან წინ წასულა, ზოგი ჯერ მიდის. ევროპამ ამ მხრით დიდად შორს დააგდო აზია და დღეს ევროპიული მუსიკა დიდად გაბრწყინებულია, განწმენდილია, დახელოვნებულია და რა თქმა უნდა, ქვეყნიერობაზე უპირატესობს. ხოლო ვინც დააკვირდება აზიურს მუსიკასა და შეაფარდებს ევროპისას, იგი ადვილად ჰგრძნობს, რომ ამ ორთა მუსიკათა შორის ბუნებითი, არსებითი სხვადასხაობა არის. სულ სხვა ძარღვი აქვს ერთს და სულ სხვა ძარღვი – მეორეს და თუმცა ერთი ისე განკარგებული, შეკეთებული და დახელოვნებული არ არის, როგორც მეორე, მაგრამ არა გვეგონია, ერთმა მეორეს ოდესმე სძლიოს და გზა დაათმობინოს. აზიური მუსიკაც იმ რიგადვე თავის გზაზედ იდგება და ივლის, როგორც ევროპიული თავის გზაზედ მდგარა და უვლია... სიტყვა გაგვიგძელდა და დანარჩენს ხვალ ვიტყვით.

ილია ქავჭავაძე

^{*)} ჩვენ აქ სახეში გვაქვს სიმღერა, როგორც მწყობრი ხმა მწყობრ-სიტყვასთან შეერთებული.

თეატრის კვირა

ოზურგეთიდან გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ ყოფილა და კონცერტი გაუმართავს ჩვენს გამორჩენილს მომღერალ არტისტს ბ-ნს ფილ. ქორიძეს თავისი პატარა დასითა. საზოგადოება, ოზურგეთისთანა პატარა ქალაქის შეთავსებით, საკმაოდ დასწრებია და ძლიერ კმაყოფილიც დარჩენილა ბ. ქორიძისა.

98. ივერია, 1886, 19 ნოემბერი, №251, გვ. 1-2

ტფილისი, 18 ნოემბერი

რომ ქართული სიმღერა და გალობა ევროპიულს არა ჰგავს, ეგ აშკარაა და ამას არავითარი დამტკიცება არა სჭირია, როგორც გვარწმუნებენ მცოდნე კაცები. ჩვენ მუსიკისა, როგორც წინადაც მოგახსენეთ, სულ არა გვესმის რა და მის გამო ვშიშობთ და სითამამედ მიგრძენია წარმოვსთქვათ ერთი აზრი, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ გვაძლევს და რომელზედაც პასუხი ჩვენთვის არავის მოუცია, თუმცა ბევრჯერ და ბევრგან ჩამოგვიგდია ამაზედ ლაპარაკი მუსიკის მცოდნე კაცთა შორის. ქართული სიმღერა ხომ ევროპიულს სრულებით არა ჰგავს, ჰგავს კი აზიურსა? ჩვენ აქ სახეში გვაქვს ქართული საერო თუ საეკლესიო ბანით საგალობელნი და არა მარტოდ სათქმელნი. ყოვლისფრით უნდა იგულისხმებოდეს, რომ უნდა აზიურსა რაშიმე ჰგვანდეს: საქართველო უფრო აზიია, მისი ისტორია უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო უკანასკნელ საუკუნემდე, მისვლა-მოსვლა, ისტორიული დამოკიდებულება, ისტორიული მეზობლობა უფრო აზიის ერთათანა ჰქონია და რა საფიქრებელია, რომ ყოველს ამას არ ემოქმედნა აქაურს სიმღერათა მწყობრობასა და აგებულებაზედ. ვსთქვათ, რომ საეკლესიო გალობაზედ ზედმოქმედება იქონია საბერძნეთის გალობამ მას შემდეგ, რაკი ჩვენში ქრისტიანობა შემოვიდა, რადგანაც ყოველისფერი საეკლესიო იქიდამ მივიღეთ. ეს საერო სიმღერა თვითნაჩენია თავით, თავისითმყოფია, თვითმოარული, თუ საერთო რამა აქვს აზიის სხვა ერთა სიმღერებთანა. მაგალითებრ, საფრანგეთის მუსიკას, გერმანიისას, იტალიისას, ბევრი მგზავსება აქვთ ერთმანეთში, ისეთი მგზავსება, რომ გაუჭირვებლად, სრულიად თავისუფლად ერთის ერის მუსიკა მეორესათვის პირდაპირ გასაგებია, პირდაპირ მოსაწონია, თუმცა ამასთანავე ყოველის ამა ერის მუსიკას თავისი საკუთარი ფერი აქვს ზედ დაჩნეული. ეგევე განა ითქმის, მაგალითებრ, აქაურს ბანით სათქმელს სიმღერებზედ და სპარსულებზედ? არა გვგონია. სულ სხვადასხვა არის: სპარსელს ჩვენი ბანით სათქმელი სიმღერა სულ არ მოსწონს, იმიტომ, რომ არ ესმის. რომ ესმოდეს, ეგ იმის ნიშანი იქმნებოდა, რომ ძირი ან ფერი ერთი აქვთ აქაურს და იმათ სიმღერებს. ან თუნდა აზიის სხვა ერი აიღეთ, – განა აქაური სიმღერები ჰგვანან რომელსამე ერის სიმღერას აზიაში?

არ ვიცი, თეორია ამაზედ რას იტყვის, ხოლო რამოდენადაც ეს სხვადასხვა გასარჩევია ყურისათვის, იმოდენად მართალი ვიქნებით ვსთქვათ, რომ აზიის არა რომელისამე ერის სიმღერას არა ჰგავს აქაური ბანით სათქმელი სიმღერა. აქ საკუთარი, თვითნაჩენი, თვით მყოფი

სიმღერა აქვს და ამ მხრით მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის. არიან ჩვენში მუსიკის მცოდნე უცხო ქვეყნის ორიოდე კაცი, რომელნიც ამ მხრით დაჰკვირვებიან ჩვენს სიმღერებს, ჰცდილან მისი ვითარება, თვისება, ხასიათი ზედმინევნით და ღრმად ემცნოთ და იმათაც ფიქრად მოსდით იგივე, რაც ჩვენა ვსტყვით ქართულის სიმღერების თვითნაჩენობასა და თვითმყოფობაზედ. ესენი მეტად შორს არიან იმ უბედურობაზედ, თუ გნებავთ, სიბრძნეზედაც, რომელიც ასე კადნიერად უარჰყოფს მუსიკობას ჩვენის სიმღერებისას და ამბობს, რაღაც ველურის, ნადირკაცის ბლავილიაო და არა იგი მწყობრი ხმატკბილი გალობა, რომელიც კაცს ესამოვნებაო.

ის მუსიკის მცოდნე კაცი, რომელნიც დღეს მიუზიდნია ქართულის სიმღერების სიკეთეს და სიტკბობას, ბევრს ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადილონ ნოტებზედ საყოველთაო საცნობელად. ამ მხრით, თვითონ ჩვენი ყმანვილი კაცებიც ჰშრომობენ და აი ამ შრომის ნაყოფი დიდის სიამოვნებით გავიგონეთ ჩვენის ყურით შაბათს, 15-ს ნოემბერს. ქართულმა ხორომ, – თუ არ ვცდებით, ოცი, ოცდაათი კაცი იქნებოდა, – ბ-ნ რატილის ლოტბარობით იგალობა თეატრში თერთმეტამდე სხვათა შორის ქართული საერო სიმღერები, ნოტებზედ გადაღებული. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით დაჰხვდა და მიეგება ამ ახალს და სასიამოვნო ამბავს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად იყო გადაღებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ მიერ ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყობთა. იგი ნაკლულევალება, რომელიც ყოველს ახალს საქმეს აუცილებლად მოსდევს ხოლმე, და რომელიც აქ ვახსენეთ, უკეთესის სურვილით მოგვივიდა და არა წუნის დასადებად. ამისთანა საქმეში თვითონ წუნიც კი უნდა ჰდუმარებდეს, იმიტომ, რომ თვითონ საქმე ქველმოქმედებაა თავით თვისით. სწორედ ამ გრძნობითაც დაჰხვდა ჩვენი საზოგადოება ამ მშვენიერს საქმეს და ამ გრძნობითვე გამოვიდა თეატრიდამ. დიდი მადლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლა სახელოვანი საქმე იკისრა, შეჰყარა ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ, ჩვენი წინაპარნი და რომელსაც ისეთის აღტაცებით ისმენდა იმ ღამეს თეატრში შეყრილი საზოგადოება... არა ნაკლებ მადლობის ღირსია ბ-ნი რატილი, ეგ უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გასწურთნა იგი ხორო. მადლობელმა საზოგადოებამ იქავ თეატრში მოაგროვა ფული და საჩუქარი მიართვა ბ-ნს რატილს. ძახილს და ტაშის ცემას ბოლო არა ჰქონდა. სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვასიამოვნოს ხოლმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვასიამოვნა.

ნუ თუ კარგი არ იქმნებოდა, რომ ჩვენმა დრამატიულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა, ზედ გადააბას წარმოდგენებსა! ეს აზრი და სურვილი ბევრმა გამოსტევა თვით თეატრშივე და ჩვენც სხვასთან ერთად გვგონია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს შეავსებს და ერთმანეთს უშველის ამრავალფეროს სიამოვნება და მაშასადამე, თეატრში მოსიარულე საზოგადოებაც ამრავლოს და ბლომად და ბლომად მოიწვიოს. ეს გაერთება ორის ერთგვარად სასურველ და სანატრელ სიამოვნებისა ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე და-ძმურად ერთად მოწვეულ იქმნებიან ჩვენდა გასართობად.

ჭავჭავაძე ილია

99. ივერია, 1886, 9 დეკემბერი, №266, გვ. 2

დეკემბრის 6, კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიაში ქართულად იგალობა წირვის წესი ბ-ნ ნ. ბერიშვილის ხორომ, რომელიც შეუდგენია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებისაგან ამ სკოლისავე გალობის მასწავლებელს ბ-ნ ნ. ბერიშვილს. თუმცა ეს ხორო პირველად გალობდა ეკკლესიაში, მაინც გალობა ძლიერ კარგად გამოვიდა. ეკკლესიაში მყოფნი დიდის სიამოვნებით ისმენდნენ გალობასა და თვალი და ყური ხოროსკენა ჰქონდათ მიმართული. უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნი ბერიშვილი მხოლოდ ამ წლის სექტემბრიდან ასწავლის გალობას სათავად-აზნაურო სკოლაში. მადლობის ღირსია ეს მასწავლებელი, რომ ასე მცირე ხანში მოასწრო ხოროს შედგენა და მთელის წირვის წესის გალობა შეასწავლა ყმაწვილებსა. საზოგადოდ ბ-ნ ბერიშვილი ამ საქმეში გავარჯიშებულია: ამას წინად ბ-ნი ბერიშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში იყო გალობის მასწავლებლად და იქაც მშვენიერი ხორო ჰყავდა შემდგარი, რომელსაც ყოველ კვირა-უქმე დღეს აგალობებდა ხოლმე წირვაზედ.

100. ივერია, 1886, 29 დეკემბერი, №276, გვ. 2

ახალი ამბავი

ქართულის საეკლესიო გალობის გადაღება ნოტებზედ ნელ-ნელა წინ მიდის. ამ დღესასწაულების შემდეგ ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი კვლავ განაგრძობს კარბელაანთ კილოს გადაღებას ნოტებზე. პატივცემულს მემუსიკეს უკვე 250 საგალობელი აქვს გადაღებული. იმ პირობის ძალით, რომელიც მას აქვს შეკრული ჩვენ ყოვლადსამღვდელო გორის ეპისკოპოზ ალექსანდრესთან, მან უნდა გადაიღოს კიდევ 250 ნომერი, სულ 500 სხვადასხვა საგალობელი. ამ შრომისათვის ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს ეძლევა 2 000 მან. ყოვლადსამღვდელოსაგან. ამას გარდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე აძლევს თავის საფასითგან ჯამაგირს მღვდელს კარბელაშვილს იმ ხნის განმავლობაში, როცა ეს მღვდელი ტფილისში ჩამოდის და გალობას ამბობს სხვათა გალობის მცოდნეთა დახმარებით ბ-ნის იპოლიტოვ-ივანოვის წინაშე ნოტების დასაწერად.

1887

101. ივერია, 1887, 10 იანვარი, №6, გვ. 2

ახალი ამბავი

ხვალ, ბ-ნი ბერიშვილი აპირობს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებისაგან შემდგარი ქართული ხორო აგალობის ქაშუეთის ეკკლესიაში. ხორო საკმაოდ ტკბილად გა-

ლობს და ვურჩევთ ყველას, ვისაც უნდა დასტკბეს მწყობრის ქართულის საეკლესიო გალობითა, ქაშუეთში მიბრძანდეს და იქ მოისმინოს.

102. ივერია, 1887, 13 იანვარი, №8, გვ. 2

ახალი ამბავი

გუშინნინ ქაშუეთის ეკლესიაში, საცა წირვაზე გალობდა ქართული ხორო ბ-ნის ბერი-შვილისა, დიდძალი ხალხი დაესწრო, ეკლესიაში ტევა აღარ იყო.

103. ივერია, 1887, 1 მარტი, №44, გვ. 1

ახალი ამბავი

ჩვენ გვითხრეს, რომ ტფილისში ჩამოსულა მღვდელი პ. კარბელაშვილი ქართულის საეკლესიო გალობის ნოტებზე დაწერის განსაგრძობად, მაგრამ გალობის გადამღებნი ნოტებზედ ბ-ნი იპპოლიტოვ-ივანოვი ამ თვის დამდეგს პეტერბურგშია წასული მარტის გასვლამდე.

104. ივერია, 1887, 27 მარტი, №64, გვ. 3

დღეს ტფილისში ქართული გალობის მოყვარენი მრავლად არიან: აქ შემდგარია საეკლესიო გალობის დასი ბ-ნ ბერიშვილისაგან და ქართულის საერო სიმღერებისა ბ-ნ აღნიაშვილისაგან. ჩვენ გვსურს ბ-ნ ბერიშვილის დასის გალობაზედ ორიოდე სიტყვის თქმა. წინადავე ვაღიარებთ, რომ ჩვენს აზრს მსაჯულის აზრად არა ვსახავთ; ჩვენ მხოლოდ გვსურს იმ შთაბეჭდილების გაზიარება მკითხველებთან, რომელიც ჩვენში დაისახა ბერიშვილის დასების გალობა-სიმღერების მოსმენის დროს.

ბ-ნი ბერიშვილი ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მონაფეობდა 1867–1872წწ. მაშასადამე, გალობა რაც იცის, უსწავლია მღ. გ. კარბელაშვილისაგან. ბ-ნ ბერიშვილის პირველი ღირსება მისი მეცადინეობა და შრომის მოყვარეობაა. ამითი უნდა აიხსნას, რომ სამ-ოთხს თთვეში დასი მოუშადადებია წირვაზედ საგალობლად. ეს წირვის გალობა ჩვენ მოვისმინეთ. საზოგადოდ, უნდა გამოვსტყდეთ, გალობამ სიამოვნება აღძრა ჩვენში. იმედია, რომ დასი თანდათან შეიმუშავებს ხმებს და თვით გალობის კილოშიაც აღნიშნავს ქართულს სულს და ხასიათს.

ამისთვის საჭიროა ბ-ნმა ბერიშვილმა ყურად იღოს ყოველივე შენიშვნა გალობის მცოდნე-მოყვარეთა და შეძლებისა გვარად განაკარგოს თავისის დასის გალობა. აი ჩვე-

ნი შენიშვნები: „უფალო შეგვიწყალო“, „შენ უფალო“, „ამინ“, „მოგვმადლე უფალო“ და სამი „უფალო შეგვიწყალო“ – ყოველთვის ერთ ნაირად ბოლოვდება, განსხვავება საჭიროა აუცილებლად. „რომელი ქერაბიმთა“-ს მოკვეთილი აქვს ყოველის მუხლის დამაბოლოებელის ხმების ტრიალი, რომელიც მაჩვენებელია ამ კილოს საერო სიმღერებიდგნ წარმოშობისა. ამ ხმის ტრიალის გამოდევნა კილოდგან ბ-ნ ბერიშვილის ბრალი არ არის: ეს ბრალი უნდა დაედვას ბ-ნ ბენაშვილს, ოქროპირის წირვის ნოტებზე გადაძვებას. ამას ბ-ნ ბენაშვილი წინასიტყვაობაში აღიარებს „რომელი ქერაბიმთა“ მე შევასწორეო. დღემდე ესე იგალობებოდაო: როიომიელი და სხვ. ესლა კი მე შევასწორე რომელი. ბ-ნი ბენაშვილი ვერ მიმხვდარა, რომ ძველადაც იცოდნენ, „რომელი“ უნდოდა, თუ „როიომიელი“ და სხ. ძველადგანვე არამც თუ ჩვენში, არამედ საბერძნეთში და რუსეთში ეგვე შემოლება გალობაში იხარებოდა. რათა? მათა, ბ-ნო ბერიშვილო, რომ უნინ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში ხმის საზომი ნიშნები არა იყო რა დადგენილი, როგორც ესლა – ტაქტი, ნახევარი ტაქტი, 1/4 ტაქტი, 1/8 ტაქტი, 1/16 ტაქტი და სხ. აი ამ ხმის საზომ ნიშნების უქონლობა ძველადვე ანუხებდა ჩვენებსაც და რომელსამე ხმოვან ასოზედ ხმის გაგრძელებას და ტრიალს ნიშნავდნენ ხოლმე სხვა ხმოვანის ასოებით, ანუ ესრე: რო(იო)მ(ეი)ელი, და სხ. ეგვე ითქმის ამ საგალობელის ყოველ მუხლის დაბოლოებაზედ. რასაკვირველია, სჯობს ეი, ოიო და აიიია-ს შეცვლა, და არა მოსპობა, ე. ი. ერთ ხმოვან ასოზედ განგრძობა, ანუ ხმის ტრიალი. ესე არის სწორედ გადაღებული ბ-ნ იპპოლიტოვ-ივანოვისაგან. ერთის შეხედვით ეს ცვლილება ბ-ნ ბენაშვილისა იქმნება არაფრად ეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ჩვენ კი დანდაშაულადა ვთვლით.

ბ-ნი ბერიშვილის ძალიან კარგს ინებებს, რომ დაიცვას ხმის ტრიალი „რომელი ქერაბიმთას“ ყოველ მუხლის ბოლოს. „შენ გიგალობთ“, ეს საუკეთესო საგალობელი მთელ წირვის საგალობლებში, თავის მუხლების დაბოლოების შეცვლით, სწორე მოგახსენოთ, ისეთი მოსასმენი არ არის, როგორიც უნდა იყოს. „შენდამი იხარებში“ იქ, სადაც ბანი უხვევს, ბ-ნ ბერიშვილის მობანენი თითქოს ჭექა-ქუხილს ჰბაძვენ რუსულებრ. აი ჩვენი წრფელი შენიშვნა.

ვსთქვათ რამე ხმებზედაც. ქართულს გალობაში თუ სიმღერაში სამივე ხმა თავდაჭერილია, დაზოგვილი, ე.ი. როგორც რუსულში მობანე სრულად აღებს პირს და ყანყრატო მოშვებული აგვირგვინებს ბანს, ქართულში მობანე პირს არ აძლევს ნებას მრთელი ხმა ამოიძახოს; ამავე ხასიათისაა პირველი და მეორე ხმაც და ამისათვის ძველადგანვე ქართულს გალობას თუ სიმღერას ლმობიერება აფეროვნებს. ეს ჩვენგან შენიშნულნი ნაკლნი სრულიადაც არ უკარგავენ ბ-ნ ბერიშვილის დასს მისს დიდს მნიშვნელობასა და ღვანლსა. ჩვენი ფიქრით, ყოველი ქართველი მოვალეა ხელი მოუართოს ამისთანა საქმეს წრფელის, ძმურის რჩევით მაინცა. უკანასკნელ ვისურვებ ბ-ნ ბერიშვილის დასის წარმატებასა და აღორძინებას.

ქართულის გალობის მოყვარე [ნიკოლოზ მთვარელიშვილი]

105. მწყემსი, 1887, 28 მარტი, №8, გვ. 8

ოდესის სასულიერო სემინარიაში 12 თებერვალს იყო გამართული საღამო. ამ საღამოზე დაესწრენ: ხერსონის და ოდესის მთავარ ეპისკოპოზი ნიკანორი, ვლიზავეტო-გრანდის ეპისკოპოზი მემონი, საეპარქიო სასწავლებლის მზრუნველი გრიგოროვიჩი, სემინარიის რექტო-

რი, ინსპექტორი, მასწავლებლები და აგრეთვე სხვა მრავალნი გარეშე ხალხნიცა. სალამოზე ხორომ, რომელიც შესდგებოდა თითქმის ორმოცის კაცისაგან, სემინარიის გალობის მასწავლებლის მაკავეისკის ლოტბარობით, იგალობა სხვადასხვა საგალობლები. თვით ოდესის სემინარიის მონაფეთაგანვე შედგენილმა ორკესტრმა მშვენივრად დაუკრა სხვადასხვა ახალი პიესები, რომელსაც ხორო ამბობდა გალობით. სალამოზე იყო მონვეული ერთი არტისტი ქალი. ეს ქალი ფორტოპიანოს ხმაზე მღეროდა. ფორტოპიანოს უკრავდა სემინარიის ინსპექტორის მეუღლე. სალამო გათავდა შუა ღამისას. გათავებისას მთავარ ეპისკოპოსმა ნიკანორმა წარმოსთქვა სიტყვა და შეაქო სემინარიის ხორო და ორკესტრი. მან სთქვა: მე ვხედავ, რომ სემინარიაში მუზიკის სწავლა უწინდელზედ ბევრად წინ წასულა. ბევრგან ვყოფილვარ სასწავლებლებში მიწვეული, მაგრამ ამისთანა გავარჯიშებული ხორო არ მინახავსო. ორკესტრს რაც შეეხება, ამას კითხვა აღარ უნდა; ჯერ მაგალითი არსად ყოფილა, რომ სემინარიაში ამისთანა ორკესტრი ყოფილიყოსო“.

* * *

19 ამ მარტს ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა მოინვია საეკლესიო გალობის მცოდნე პირნი შესამონმებლად ნოტებზედ გადაღებული გალობისა ბატონი ქორიძისაგან. მკითხველებმა იციან, რომ იმერეთის სამღვდლოება ბატ. ქორიძეს შეურიგდა 400 ნომრის საგალობელის ნოტებზე გადაღებას. ნოტებზედ გადაღებული გალობა გაშინჯეს და აღმოჩნდა, რომ ნამდვილ ის გალობა არის გადაღებული, რომელსაც დღეს გალობენ იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. ნოტებზე გადაღებული გალობა იგალობეს სხვადასხვა დროს ქუთაისის საკრებულო ეკლესიაში, მარტვილის საკრებულო ეკლესიაში და ყვირილის ეკლესიაში; ყველგან მრავალნი პირი დაესწრნენ და მოისმინეს და ყველანი ამასვე ამონებენ, რომ ეს გადაღებული გალობა ნამდვილი გურული კილოს გალობა არისო.

* * *

22 მარტს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის თაოსნობით გამართული იყო სასულიერო კონცერტი ამავე სასულიერო სემინარიის ღარიბ შეგირდთა სასარგებლოდ. კონცერტზე აუარებელი ხალხი დაესწრო; არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუყიდელი.

106. ივერია, 1887, 2 მაისი, №87. გვ. 2-3

პასუხად „ქართული გალობის მოყვარესა“

თქვენს პატივცემულ გაზეთს „ივერიაში“ 64-ე ნომერში ნავიკითხე „ქართული გალობის მოყვარეს“ მცირე შენიშვნა, რომელიც ეხებოდა ჩემგნით ნოტებზედ გადაღებულ ეკლესიურ გალობასა, სახელდობრ, „რომელი ქერუბიმთა“-სა. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავსა, ვსთქვა, – თუ რამდენად საფუძვლიანია ეს შენიშვნა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, პატივცემულო რედაქტორო, მისცეთ ადგილი ჩემს პასუხს „ივერიაში“.

აი რაში მდგომარეობს „ქართული გალობის მოყვარეს“ შენიშვნა: „რომელი ქერუბიმთას“ მოკვეთილი აქვს ყოველის მუხლის დამაბოლოებელ ხმების ტრიალი... ამ ხმების ტრიალის

გამოდევნა კილოდგან ბრალად უნდა დაედევას ბ-ნს ბენაშვილს. ამას ბ-ნი ბევაშვილი წინასიტყვაობაში აღიარებს, „რომელი ქერუბიმთა“ მე შევასწორეო. დღემდე ასე იგალობებოდაო: „როიომელი“ და სხვანი და ეხლა კი მე შევასწორე „რომელი“-ო.

ცილის წამებაა „ქართულ გალობის მოყვარესაგან“, როდესაც ჩემზედ ამბობს, რომ ვითომ მე მეთქვას „რომელი ქერუბიმთა“ შევასწორეო. ჩემ წინასიტყვაობაში აი რა მაქვს ნათქვამი: „...ერთის სიტყვით, ყველა ღონისძიებას ვხმარობდი, რომ ამეცდინა საგალობლების და სიმღერების დამახინჯება. მხოლოდ ქართლ-კახეთის ეკლესიურ გალობაში გამოვრიცხე „ოიო“, „ეიე“, მაგ. „რომელი ქერუბიმთა“ ასე იგალობება: „რო(ი)ომე(ი)ელი ქერუბიმთა“. გამოვრიცხე პირველად იმიტომ, რომ ამისთანა მეტის ასოების მიმატება ძლიერ ცოტაა, ისიც ზოგიერთ საგალობლებში და მეორედ იმიტომ, რომ ამით გალობას არაფერი აკლდება, არც კილო და არც ფერი. გალობა-სიმღერა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ხმების ტრიალი, მათი აწვევ-დანევა და დაკლაკენა. მათში ხალხი ცდილობს თავისებურად გამოხატოს თავისი გრძნობა, სულის მოძრაობა და გულის ვითარება; ყველა ხალხის სიმღერა-გალობაში, რასაკვირველია, არის ხმის ტრიალი, მაგრამ ერთ ნაირი არა, ამისათვის რომ ყველა ხალხი სულის გრძნობას ერთნაირად არა ჰხატავს. და აი ამ ურთიერთობაში იხატება სხვადასხვა კილო და თავისება გალობა-სიმღერისა; ამათში კიდევ – ნაციონალური, ეროვნული ხმები. თუ კაცმა ხმების ნოტებზე გადაღების დროს საქმე ისე არ აწარმოვა, ესე იგი, ხმები ისე არ გადაიღო, როგორც თვით ერისაგან არის შექმნილი, მაშინ გალობა-სიმღერა უთუოდ გადაკეთებული შეიქმნება და ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ნამდვილი ეროვნული კილო და თავისება, ცოტად თუ ბევრად, გალობა-სიმღერას დაეკარგება და მამასადამე, ვეღარც იქნება ნამდვილი ეროვნული ქართული ხმები. მე კი ჩემს წინასიტყვაობაში ვაღიარე, „– ყოველ ღონისძიებასა ვხმარობდი, რომ ამეცდინა თავიდან გალობა-სიმღერების დამახინჯება-მეთქი. მამასადამე, შემეცდარა „გალობის მოყვარე“, როდესაც ამბობს, რომ ვითომ მე „რომელი ქერუბიმთა“ გადავაკეთე კი, მეტი ასობი ჩამოვაცალე, ესე იგი, სიტყვებს „მეჭეჭები“ მოვსჭერ-მეთქი. და ნუთუ „გალობის მოყვარე“ ასოსა და ხმას ანუ როგორც თვითონ უწოდებს, ხმის ტრიალს აურთიერთებს, აერთიანებს (отождествляет); რომ ასო და კილო ერთი და იგივე არ არის, რომ უასოოდ კილო არ ნახდება, ამას ქვევით დავინახავთ. რომ ავიღოთ რომელიმე ეკლესიური საგალობელი, აი თუნდა „რომელი ქერუბიმთა“ და ვიგალობოთ უსიტყვებოდ, მხოლოდ ერთ რომელსამე ხმოვან ასოზე ავაყოლოთ ხმა იმ კილოზედ, რომელზედაც იგალობება ეს საგალობელი და ამასთანავე ყური ვადევნებინოთ ქართულ ხმების ანუ გალობის მცოდნეთ, არ შეიძლება არ მიჰხვდნენ და არა სთქვან: – „ბიჭოს, ეს ხომ ჩვენი „რომელი ქერუბიმთას“ ხმააო.“ მამასადამე უსიტყვებოდაც კილო და თავისება საერო ხმებისა არ იკარგება და აბა მითხრას „ქართული გალობის მოყვარე“, რა დიდი შეცდომა და მომაკვდინებელი ცოდვა იქნება, რომ ასში ერთი ასო, ის ასო რომელიც არის „მეტიჩარა“, მოვკვეთოთ საგალობელს? მითომ რა დააკლდება, რომ მაგალითად ნახევარ გერგილს (ПОЛТАКЪ) ორის ხმოვანის ასოს მაგიერ ერთი მივუნეროთ, რომელიც საჭიროა? ჩვენთვის ხომ საჭიროა ნამდვილი ეროვნული ხმები, ეროვნული გალობა-სიმღერების კილო! ვიქონიოთ სახეში ისიც, რომ ბევრია იმისთანა საგალობელიც, მეტადრე აღმოსავლეთ-საქართველოს საგალობლებში, რომლებშიაც თითქმის არც კი მოიძებნება ეს „მეტიჩარა“ ასოები. მაგალითად: „წმინდაო ღმერთო“, „წმინდაო, წმინდაო უფალო საბაოთ“, „ნეტარ არს კაცი“ და სხვანი.

ბ-ნ „ქართული გალობის მოყვარე“ ამბობს თავის შენიშვნაში, რომ „რომელი ქერუბიმთას“ მოკვეთილი აქვს ყოველის მუხლის დამაბოლოებელის ხმების ტრიალი და თანაც დასძენს: „ამაშიაც დამნაშავეა ბენაშვილიო“. სწორე უნდა მოგახსენოთ, მე აქ მხოლოდ მიხვედრილი ვარ, რომ „გალობის მოყვარე“-ს „რომელი ქერუბიმთას“ ბოლო ნაქვთებზედა აქვს დაკრული აზრი. მესაყვედურება, – რატომ ყველა მუხლებს ვრცელი დაბოლოება – ხმის ტრიალი არა აქვსო. თუ ზოგიერთ „რომელი ქერუბიმთას“ მუხლებს ისეთი გაგრძელებული დაბოლოება

არა აქვს, როგორც, მაგალითად, ჩემს ნოტებში „ქერუბიმთას“ ანუ კიდევ „საიდუმლოსა“ აქვს, ეს გასაკვირველი არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ აი რასა: არა აქვთ ჩვეულებად და არც შევხვედრილვარ იმისთანა მაგალობლებს, რომლებსაც ყველა მუხლებისათვის ვრცელი დაბოლოება მიეცეთ. ამ შემთხვევაში ისე იქცევიან, როგორც ჰსურთ, უფრო კი ზოგიერთ მუხლებს მისცემენ ხოლმე ვრცელ გალობით დაბოლოებას და არა ყველას. ეს იმიტომ, რომ ყველა მუხლებს (ერთ გვარის ხმების ნაკვთების კვალობაზედ მუხლებს შეადგენენ: „ქერუბიმთა“, „საიდუმლო“, „ვემსგავსენით“, „სამწმინდა არსობისა“, „შეესწირავთ“, „სოფლიო“ და „ზრუნვა“) აქვთ მოკლე ნაქვთი, მაგრამ ეს ნაქვთი ისეთია. რომ მასზედ ეწყობა გრძელი ნაქვთი, როგორც აქვს, მაგალითად, „ქერუბუმთას“, ასე რომ გრძელი ნაქვთი არის მოკლე ნაქვთის გაგრძელება. ეს გრძელი ნაქვთებიც თანასწორნი და ერთნაირნი არიან. ალბად მაგალობლები ყველა მუხლებს გრძელ ნაქვთებს არ უკეთებენ იმიტომ, რომ ერთ ნაირობა არ დაეცყოს, ამისთვის ისინი ზოგს მუხლს გრძელ ნაქვთს უკეთებენ და ზოგს მოკლეს. სწორედ რომ არც ურიგოა, ჩემის აზრით, ასეთი გალობა. თუმცა, მართალია, მე „რომელი ქერუბიმთა“-ში უფრო მოკლე ნაქვთები მომივიდა, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვა, რომ ქიზიყში, ქვემო კახეთში, მომეტებული ნაწილი მაგალობლებისა ასე გალობს; გარდა ამისა, რაკი მაგალობელს ეცოდინება ერთი გრძელი ნაქვთი, მას ყოველთვის შეუძლიან მოკლე ნაქვთი გრძელ ნაქვთად აქციოს. მაგალითად, თუ მწირველნი ბევრნი არიან და „რომელი ქერუბიმთას“ გაგრძელება დასჭირდება, მაშინ მაგალობელი ხშირად იხმარს გრძელ ნაქვთს; თუ კიდევ გარემოება მოითხოვს მოკლედ გალობას, – მაშინ მუხლებს მოკლე ნაქვთებით დააბოლოვებს.

სხვათა შორის „გალობის მოყვარე“ იმასაც გვეუბნება, რომ ხმის საზომი ნიშნების უქონლობა ძველადვე ანუხებდა ჩვენებსაც და რომელსამე ხმოვან ასოზედ ხმის გაგრძელებას და ტრიალს ნიშნავდნენ ხოლმე სხვა ხმოვანის ასოებითაო. ესე იგი, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, თუ ერთ ხმოვან ასოს ავკიდებდით ხმას და გავატარებინებდით ერთ გერგილს (тактъ), ანუ ნახევარ გერგილის მანძილზედ, ეს ერთ ასოსთვის ძლიერ ძნელი იყო. ამისათვის საჭირო იყო მეორე ხმოვან ასოს მიშველებაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ აბა ყური დამიგდეთ და მეც მათქმევინეთ: ავიღოთ, მაგალითად „როიო“ (რომელი) – პირველ ორ მარცვალს (სამ ასოს) „როი“-ს ის სივრცე და ის ზომა აქვს, ხმაში რაც მარტო ბოლო ასოს „ო“-ს, ესე იგი, ნახევარ-ნახევარი გერგილები; მხოლოდ პირველის მარცვლების ნახევარ გერგილი ერთის ხმით დაბალია, მეორე კი – ერთის ხმით მაღალია. ძველებურად რომ ვინაგარიშოთ, პირველ მარცვალს კი შემწეობას ვაძლევთ, – ვუმატებთ „ი“-ს, რადგან, როგორც „გალობის მოყვარე“ ბრძანებს, ნახევარ (თუნდა მთელ) გერგილზედ გაგრძელება ხმისა უჭირდათ, მეორე მარცვალს „ო“-ს კი არა; პირველ „ო“-ს ხმით გაგრძელება კი უჭირდათ ანუ უძნელდებოდათ და მიაშველეს „ი“ და მეორე „ო“-სი კი არა? ეს როგორ მოუხდათ ქართველებსა? სწორედ ესე შეიძლება ვსთქვათ „მეიელ“- (რო-მელი) –ზედაც. თავი დავანებოთ ამას.

ავიღოთ ახლა სხვა საგალობელი, მაგალითად, „ანგელოზი ღალადებს“. ამ საგალობელს დაწყებაში – თავში არც მთელი გერგილები აქვს და არც ნახევარი, არამედ მეოთხედი (четверти такта) და რომ დაიწყებს მაგალობელი, თანდათან ხმას უმაღლებს და ადის ზევით. იწყებს ერთ ხმაზედ ასე: ან-გეი..., (ხმას უმაღლებს და ამბობს) ...ეი, (კიდევ უმაღლებს) ...ელოზი და სხვანი. განა არ შეიძლება მაგაობელმა, ანუ ნოტებზედ ამ საგალობლის გადამღებმა „ი“ გამოაცალოს, გამოჰპრიცხოს და იგალობოს ასე: ან-გე... (აუმაღლოს ხმა) ...ე, (კიდევ აუმაღლოს) ...ე-ლოზი და სხვანი, ე. ი. თითოეულ „ე“-ს მივსცეთ მეოთხედი გერგილისა? ნუთუ აქაც საჭირო იყო დახმარება მეორე „უკანონო“ ასოსი? სულაც არა, პირიქით, ამისთანა დახმარება უფრო, ცოტად თუ ბევრად, უძნელებს მოსწავლეს საგალობლის დასწავლასა. ამისთანა მაგალითების ჩვენება ასობით შეიძლებოდა, მაგრამ საჭიროდ არა ვრაცხ გავაგრძელო, უიმისოდაც გაჭიანურებული ჩემი „ეპისტოლე“.*)

კიდევ ერთი სიტყვა და გავათავებ საუბარს ამ საგანზე: „გალობის მოყვარე“ ამბობს: „უფალო შეგვიწყალებინა“, „მოგვმადლე უფალო“, „შენ უფალო“ და „ამინ“ ერთ ნაირად ბოლოვდებიან, განსხვავება საჭიროა აუცილებლად“. მე ბევრგან გამოგონია გალობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მიდევნებია ყური და ყველგან შემინიშნავს, რომ მშვიდობიანი (ектении) ერთნაირად ბოლოვდებიან და არავითარი ცვლილება არა აქვთ დაბოლოებაში. მაშ რა განსხვავებაა საჭირო, რომელსაც აუცილებელ საჭიროებად სთვლის „ქართული გალობის მოყვარე?“

ანდრია სიმონის-ძე ბენაშვილი

ქ. ქუთაისი

^{*)} ხმის ჩვენება უნოტოდ ძლიერ ძნელია. რაც შეიძლებოდა ვცაადე, რომ სიტყვებით გამომეხატა ხმის ცვლილება მოხსენებულ საგალობლებში.

107. ივერია, 1887, 14 მაისი, №95, გვ. 3-4

ქართული გალობის შესახებ

შესრულდა ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმე. წარსულის თთვის ცხრა-მეტს მარტს ქართულ საეკლესიო გალობის აღმადგენელი კომიტეტის წევრებმა მამა დ. ლამბაშიძის თავსმჯდომარეობით კრება მოახდინეს და მოვისმინეთ ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ნოტებზედ გადაღებული ქართული საეკლესიო გალობა. მოვისმინეთ და აღტაცებაში მოვედი! ჩვენი აღტაცება ბევრმა სასიამოვნო მოსაზრებამ და გარემოებამ გამოიწვია. პირველად დავინახეთ ჩვენ კეც-კეცად ნოტების ქალღმერთი და ზედ მცოდნის ხელით აღბეჭდილი ნოტები, ქვეშ ქართულის საგალობელის წარწერით. ამის დანახვამ ყველას სიხარული გამოგვიხატა სახეზედ. ეს ერთი უკვდავი საქმე მაინც ჩაიდინა ჩვენმა სასულიერო წოდებამ.

ჩვენ, ქვემოდ ამისა ხელის მომწერნი, ვიყავით მოწვეულნი შესამონმებლად ნოტებზედ გადაღებულის გალობისა. მოვისმინეთ და განვიხილეთ საგალობლების თითოეული ხმა ცალ-ცალკე, დანყება, მალალი ბანი და ბანი, და ამ შემონმების შედეგი მეორე სასიამოვნო გარემოება იყო, რომელმაც ჩვენი აღტაცება აორკეცა. ამ შედარებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენის ძველის გალობის კილო კარგად არის დაცული და არავითარი გადამეტება და ცვლილება არ ეტყობა.

ცხრამეტს მარტს ჩვენ მხოლოდ ოფიციალურად განვიხილეთ, თორემ დიდი ხანია თვალყურს ვადევნებთ ამ ნოტებზე გადაღებულს გალობას. ბევრგან მოგვისმენია წირვის წესი, ნოტის მცოდნე პირებისაგან ეკლესიაში ნაგალობევი, შეგვიდარებია ის უნოტოდ თქმულ გალობასთან და ყოველთვის სიამოვნება გამოგვივლია. ორჯელ ქუთაისში საკათედრო სობოროში აგალობა ბ-ნ ქორიძემ, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელაც მარტვილში პეტრე-პავლობას.

ყოველგან ხალხი ბლომად დაესწრო, განაკუთრებით იმისთვის, რომ მოესმინათ ნოტებზე გადაღებული გალობა და ყოველგან საზოგადოებამ ფრიადი კმაყოფილება მიიღო.

ვისის წყალობით არის ეს, რომ დღეს ხელში გვაქვს მშვენიერად ასრულებული შრომა შთამომავლობისათვის გადასაცემად? რასაკვირველია, პირველად ქება და დიდება ეკუთვნის, ვინც გამოიწვია სამღვდელოება ამ კეთილ საქმისათვის, ე. ი. ყოვლადუხამღვდელოეს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა; ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისინიც, რომელთაც მცირე რამ სასყიდლით მთელის ორის წლის განმავლობაში ყოველდღე დილას და საღამოს სამ-სამ, ოთხ-ოთხ საათობით იშრომეს და არ დაზოგეს თავიანთ მხრივ არაფერი: არც დრო, არც ძალ-ღონე და არც ცდა. ჩვენ თვითონ გვინახავს ჩვენის თვალით, როგორ ცდილობდნენ ჩვენი არტისტი-მგალობელი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე და მასთან გადამცემელნი მგალობლები ბ-ნი მთავარდიაკვანი რაჟდენ ხუნდაძე, დიმიტრი ჭალაკანიძე და ივლიანე წერეთელი! ესენი ისე გულმოდგინედ ჰკიდებდნენ ხელს ამ საქმეს, ისე მონდომებულად არჩევდნენ და აწყობდნენ ხმებს, რომ ერთის მხრით მეტის-მეტ სიამოვნებას მოჰგვრიდა მათ შემხედველს და მეორეს მხრით შეგეცოდებოდათ, რომ ასრე თავგანწირვით შრომობდნენ როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში... და რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ ის მცირე სასყიდელი, რომელიც მათ დანიშნული ჰქონდათ? რასაკვირველია, არა. მიზეზი იყო მხოლოდ ერთი: ყოველი მათგანი გამსჭვალული იყო იმ რწმუნებით, რომ ისინი საზოგადო და სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. ეს აზრი ჰქონდა აღბეჭდილი ყოველს მათგანს გულში და ამ აზრმა აასრულებინა მათ ეგ დიდი საქმე ასე მშვენიერად და საქებრად.

ყოველი ქართველი ვალდებულია ამგვარ წრფელ მშრომელთა გულითადი მადლობა გადაუხადოს და ჩვენც ჩვენის მხრივ უგულითადეს მადლობას ვუძღვნით და მათს შრომას ქართველების წინაშე დიდებულ შრომად და სასიქადულოდ ვაღიარებთ.

უფრო სასიქადულო ღვაწლი იქმნება საზოგადოებისათვის, თუ ამ შრომას მიუმატებენ შემდეგს: ქართულ გალობას აქვს რვა ხმაზედ სხვადასხვა საგალობელი, რომელიც შეადგენს ჩვენის ერის უმთავრესს სიმდიდრეს და დიდებას. ამით შეუძლიან მხოლოდ ერს თავი მოიწონოს, ეს არის რომ მიიქცევეს ყველა განათლებულ ერების ყურადღებას და ამას ჩვენ გულგრილად არ უნდა ვუცქიროდეთ. რამდენად მეტია სხვადასხვა კილოზედ საგალობელი, იმდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხს, არა მარტო ჩვენს ისტორიაში, არამედ საზოგადო ისტორიაშიაც.

ის, რაც გადაღებულ იქმნა ნოტებზედ, ჯერ კიდევ დიდს ხანს არ დაიკარგება ზეპირმცოდნეთგანაც, მაგრამ, რაზედაც ეხლა ვამბობთ, ის კი შეიძლება ორს, ან სამს წელიწადში დაიკარგოს, რადგან ისე ხშირად არა ხმარობენ და არც ისე ადვილად ხელნაწი-საკრავი არის. ჩვენ მოუწოდებთ ყველა ქართველს, დასდვან მცირე რამ სასყიდელი და მით დაავიჯონ, როგორც ჩვენის წინაპრების შრომა, ისე თავისი და გადააღებინონ დანარჩენი საგალობელნი არაუმეტესს 260 მუხლისა, ცალ კილოზედ საგალობელ წირვის წესისა, რომელიც საჭიროა სასწავლებელში გადასაცემად. არა უმეტესს მეტი, იმისთვის მოგახსენებთ, რომ ეს აღნიშნული რიცხვი ერთობ დიდის მნიშვნელობისა არის, თორემ გარდუღებელნი კიდევ დარჩებიან სხვებიც. აი, საგალობელნი, რომელნიც საჭირო არიან გადასაღებად: 1) „უფალო ღალად-ვყავ“ – რვა ხმა – (8), 2) „დიდება მამასა“ – რვა ხმა – (8), 3) „ანტიფონი“ – სამოცდაათამდის (70), 4) „ღმერთი უფალი“ – რვა ხმა – (8), 5) თვითხმოვანი, პარაკლიტონის რვა ხმა – სამოცდაოთხ მუხლამდის – (64), 6) დასდებელი დღესასწაულების სამოცამდი – (60), 7) ზოგიერთნი სძლის-პირნი, დარჩენილნი თორმეტ საუფლოთგან გარდუღებულად.

ჩვენ, შეიძლება, კიდევ სხვაც რამ გვქონდა სათქმელი, მაგრამ ეგ საგანი ისე პატივსაღებია, რომ იძულებულ ვყოფთ ჩვენს თავს, აქ შევსდგეთ და ჯერ ამ საგანზედ მოვისმინოთ საზოგადოების აზრი. ასეა თუ ისე, დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენი თხოვნა არ

იქმნება ხმად მლაღადებელისა უდაბნოსა შინა იმ საზოგადოების წინაშე, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი თავგანწირულება საზოგადო საქმისათვის და შემდეგშიაც არ უღალატებს თავის პატიოსანს განზრახვასა.

მგალობელნი:
ხონის წმ. გიორგის სობოროს
მღვდელი ვასილ ქუთათელაძე,
აზნაური ნიკო მეძმარიაშვილი,
აზნაური ნიკოლოზ კანდელაკი

108. მწყემსი, 1887, 30 მაისი, №13 გვ. 7

ქართული გალობის შესახებ

შესრულდა ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმე.

წარსულის თვის ცხრამეტს მარტს ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის წევრებმა მამა დ. ლამბაშიძის თავს-მჯდომარეობით კრება მოახდინეს და მოვისმინეთ ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ნოტებზედ გადაღებული ქართული საეკლესიო გალობა; მოვისმინეთ და აღტაცებაში მოვედით! ჩვენი აღტაცება ბევრმა სასიამოვნო მოსაზრებამ და გარემოებამ გამოიწვია. პირველად დავინახეთ ჩვენ კეც-კეცად ნოტების ქაღალდები და ზედ მცოდნის ხელით აღბეჭდილი ნოტები, ქვეშ ქართულის საგალობლის წარწერით. ამის დანახვამ ყველას სიხარული გამოგვიხატა სახეზედ. ეს ერთი უკვდავი საქმე მაინც ჩაიდინა ჩვენმა სასულიერო წოდებამ.

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, ვიყავით მონვეულნი შესამონებლად ნოტებზედ გადაღებულის გალობისა. მოვისმინეთ და განვიხილეთ საგალობლის თითოეული ხმა ცალ-ცალკე – დაწყება, მაღალი ბანი და ბანი, და ამ შემონებების შედეგი მეორე სასიამოვნო გარემოება იყო, რომელმაც ჩვენი აღტაცება გააორკეცა. ამ შედარებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენის ძველის გალობის კილო კარგად არის დაცული და არავითარი გადამეტება და ცვლილება არ ეტყობა.

ცხრამეტს მარტს ჩვენ მხოლოდ ოფიციალურად განვიხილეთ, თორემ დიდი ხანია თვალყურს ვადევნებთ ამ ნოტებზე გადაღებულ გალობას. ბევრგან მოგვისმენია წირვის წესი, ნოტის მცოდნე პირებისაგან ეკლესიაში ნაგალობები, შეგვიდარებია ის უნოტოდ თქმულ გალობასთან და ყოველთვის სიამოვნება გამოგვივლია. ორჯერ ქუთაისში საკათედრო სობოროში აგალობა ბ-ნ ქორიძემ, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელაც მარტვილში პეტრე-პავლობას.

ყოველგან ხალხი ბლომად დაესწრო, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მოესმინათ ნოტებზე გადაღებული გალობა და ყოველგან საზოგადოებამ ფრიადი კმაყოფილება მიიღო.

ვისის წყალობით არის ეს, რომ დღეს ხელში გვაქვს მშვენიერად ასრულებული შრომა შთამომავლობისათვის გადასაცემად? რასაკვირველია პირველად ქება-დიდება იმას ეკუთვნის, ვინც გამოიწვია სამღვდლოება ამ კეთილ საქმისათვის, ე. ი. ყოვლადუსამღვდლოესს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდლოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა.

ყოველი ქართველი ვალდებულია ამგვარ წრფელ მშრომელს გულითადი მადლობა გადაუხადოს და ჩვენც, ჩვენის მხრივ, უგულითადეს მადლობას ვუძღვნით და მათს შრომას ქართველების წინაშე დიდებულ შრომად და სასიქადულოდ აღვიარებთ.

უფრო სასიქადულო ღვანლი იქმნება საზოგადოებისათვის, თუ ამ შრომას მიუმატებენ შემდეგ: ქართულ გალობას აქვს რვა ხმაზედ სხვადასხვა საგალობელი, რომელიც შეადგენს ჩვენი ერის უმთავრეს სიმდიდრეს და დიდებას. ამით შეუძლია მხოლოდ ერს თავი მოაწონოს, ეს არის, რომ მიიქცევეს ყველა განათლებული ერების ყურადღებას და ამას ჩვენ გულგრილად არ უნდა ვეცქეროდეთ.

ის რაც გადაღებულ იქნა ნოტებზედ, ჯერ კიდევ დიდ ხანს არ დაიკარგება ზეპირ მცოდნეთაგანაც, მაგრამ რაზედაც ეხლა ვამბობთ, ის კი შეიძლება ორს ან სამს წელიწადში დაიკარგოს, რადგან ისე ხშირად არა ხმარობენ და არც ისე ადვილად ხელწამოსაკრავი არის. ჩვენ მოუწოდებთ ყველა ქართველს, დასდვან მცირე რამ სასყიდელი და მათ დაავიროვნონ, როგორც ჩვენის წინაპრების შრომა, ისე თავისი და გადააღებინონ დანარჩენი საგალობელი არაუმეტეს 260 მუხლისა, ცალ კილოზედ საგალობელ წირვის წესისა, რომელიც საჭიროა სასწავლებელში გადასაცემად.

ჩვენ, შეიძლება, კიდევ სხვა გვექონდა სათქმელი, მაგრამ ეს საგანი ისეთი პატივსადებია, რომ იძულებულ ვყოფთ ჩვენს თავს, აქ შევსდგეთ და ჯერ ამ საგანზედ მოვისმინოთ საზოგადოების აზრი. ასეა თუ ისე, დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენი თხოვნა არ იქმნება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა იმ საზოგადოების წინაშე, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი თავგანწირულება საზოგადო საქმისათვის და შემდეგშიაც არ უღალატებს თავის პატიოსან განზრახვასა.

*მგალობელნი:
ხონის წმ. გიორგის სობოროს
მღვდელი ვასილ ქუთათელაძე,
აზნაური ნიკო მეძმარიაშვილი,
აზნაური ნიკოლოზ კანდელაკი*

109. ივერია, 1887, 12 ივნისი, №117, გვ. 2-3

ქართული სიმღერები და კონცერტები ქ. ქუთაისში

ქართული სიმღერა-გალობა წარმატებაში შევიდა! ვგონებ, ახლა კი იმედი უნდა გვექონდეს, რომ ჩვენი ეროვნული ხმები აღარ დაიკარგება ამიერიდგან; ვგონებ, და იმედიც უნდა გვექონდეს, რომ სიმღერა-გალობის ტაატაობით სიარულს მოჰყვეს ბეჯითი სიარული, თუ... ოჰ, ეს რაღა ოხერი სიტყვა მომაგონდა! ეს არის, აი, ადამიანის გულის შემანუხებელი და იმედების შუაზედ გამყოფელი. მართლაც და არ შეიძლება, რომ ამ „თუ“-მ კაცის იმედები ნახევარზედ არ დააძაბუნოს და იმედს საძირკველი არ დაუზიანოს. რომ ვსთქვათ: კარგს ნაყოფს გამოიღებს ჩვენი ხეხილი, თუ ცივმა ნიავმა არ დააზრაო. ამ ორ წინადადებაში, რომ ვსთქვათ მარტო პირველი, მაშინ კაცის გული სიამოვნების კუნწულად გარდიქცევა, მაგრამ თუ ზედ მივატანეთ მეორე წინადადება... თქვენ მიჰხვდით, მკითხველებო.

ჰო, ეს უნდა მეთქვა: ჩვენ სიმღერა-გალობას კარგი პირი უჩანს, თუ სხვადასხვა მოულოდნელმა გარემოებამ ფრთები არ შეაკვეცა; თუ არ დაადგა მკათათვის სიცხეები. ღმერთმა კი ქმნას და გულით და სულით ვისურვებ ამ საქმის კეთილად წარმატებასა.

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ სიმღერა-გალობამ ყურადღება მიიქცია მაშინ, როდესაც სწორედ რომ საჭირო იყო. ვინ არ დამეთანხმება, ვინც კი დაჰკვირვებია, რომ ჩვენი ეროვნული ხმები თანდათან შრებოდა. ეს სამწუხარო მოვლენა მეტად დაეტყო ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით ქართლ-კახეთსა. მე, ამ სტრიქონების დამწერი, არა ვარ დიდის ხნის კაცი, მაგრამ მაინც ამას ვიტყვი, რომ ჩემ ყმანვილობაში ძლიერ ხშირად მესმოდა ქართული სიმღერები. დღეობებში რაგვარ სიმღერას არ გაიგონებდა ჩემი ყურები! ფერხული, რომელიც დღეს თითქმის მოლეულად შეიძლება ჩავთვალოთ – თითქო აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდა დღეობებში. მეჯორეებს, – უკაცრაოდ არ ვიყო – მევირეებს რომ შეშა მოჰქონდათ ხოლმე ტყითგან, ისინიც კი სიმღერით მოსდევდნენ ხოლმე სახედრებს. მკაში და ბარვაში ხომ სიმღერა აუცილებელი იყო, მეტადრე იქ, სადაც ოთხი-ხუთი მუშაკაცი ერთად სწევდნენ შრომის უღელსა. ახლა ეკლესიური გალობა ავიღოთ: გამოჩენილ დღესასწაულების დღეს ყველა ეკლესიებში გუგუნებდა ქართული გალობა. ორი დიაკვანი რომ ყოფილიყო, ისინიც კი ახერხებდნენ შეძლებისდაგვარად გალობას. მონასტრებში, სადაც უფრო მეტი კრებული იყო და ეხლაც არის, ყოველთვის გაჩაღებული იყო ეკლესიური გალობა... სხვას თავი დავანებოთ და წარმოვიდგინოთ დღეობები. უნინ რომ ეკლესიებთან გაჩაღებული იყო სხვადასხვა სიმღერები: ფერხული, სათამაშო და სხვანი, დღეს მათ ნაცვლად ვხედავთ „ლატარიების ჩხრრრ“-ს – „ერგო შაურში ნახევარ კაპეიკის გოგირდის სპიჩკა, კიდეც „ხრრრრ“... – ფუჭია!“ – მოისმის გახუნებული და დამყავებული ხმა. აგერ, ერთ მხარზედ, ეკლესიასთან, სხედან, წინ უწყვიათ ქოშები, ფლოსტები, ნულები (ჩუსტები), ასაღებენ ყველა ამას და იქცევენ სოფელ-სოფელ მანდილოსნების ყურადღებას; მეორე მხარეზედ არის გაშლილი გრძელი სუფრა ანუ საფენი, ზედ აწყვია საოქრო-მჭედლო ნივთები. იქით მხარეს სხედან, ლუარსაბ თათქარიძესავით კარგად ჩაკურატებული გვამები და დინჯად თვალყურს ადევნებენ ვერცხლიან, ქამარ-ხანჯლიან ადამის შვილებს. მოგეხსენებათ, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი (ქართლ-კახეთში და არა იმერეთში) კარგი ნიშანია ჯიბის სიმსუქნისა და აბა ქსელში გაბმის საღერღელი როგორ არ აეშლებათ! ეს არის ახლანდელი გართობა სადღაა უწინდებური გახურებული და გაძლიერებული სიმღერა-გალობა? დღეს რომ ჰკითხო ვისმე, – აბა, ვინ არის კარგი მომღერალიო, გიპასუხებენ და მიგითითებენ რომელსამე მოხუცებულზედ და ხანში შესულს კაცზედ. ყმანვილები? ახალგაზდები? რატომ ესენი არ ურევნიან იმათ რიცხვშიო? – იკითხავს ცნობისმოყვარე კაცი – არა, იმათშიაც ბევრნი მოიძებნებიან სიმღერის მცოდნენი, მაგრამ მათი სიმღერა სხვა ჯურის სიმღერაა: „ჰარალალოს“, „ოდელიას“ და სხვა ამ გვარ სიმღერების მაგიერ ისინი ახალმოდურ სიმღერებს ამბობენ: „დაასხი, ძმავე, დაასხი“... იმდენი შველა მეც მქონდეს, ჩემო მკითხველო, და შენც, რამდენიც ამ ახალმოდურ სიმღერებმა ძირი გამოუთხარეს ჩვენს მამა-პაპურს და დარბაისლურს სიმღერებსა. ვინ არიან დამნაშავენი? რასაკვირველია, უფრო მამაკაცები, – ქალაქში ნამყოფი ახალგაზრდები. მოდი და ახლა გაამტყუნე მანდილოსნები, – რად მისდევენ ასე გაგიჟებით ახალმოდურ ტანთსაცმელსაო. ამით ისინი რას უფუჭებენ სხვას, რასაც თავის თავს არ აკლებენ...

სწორედ რომ ამ ახალმოდურმა სიმღერებმა საქმე გააჭირეს. გააჭირეს იმ მხრით, რომ ისინი ძირს უთხრიან ჩვენს საკუთარ სიმღერებს. არც გასაკვირველია ეს ამბავი: საითაც მიიხედავთ, საითაც ყურს დაუგდებთ, ყველგან ისმის სხვა ჯურის სიმღერა. ჩვენს თეატრებშიაც რომ შემოიღეს, – შეხვალთ, ყურს დაუგდებთ და ქართულ ხმებთან სხვა ნარევი ხმებიც არის. რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამთ! სწორე მოგახსენოთ, მე კი არ მომწონს ამისთანა საქმის წარმოება და სხვისა რა მოგახსენოთ.

ამერ-იმერული

ახალი ამბავი

სასიამოვნო ამბავი გვესმის იმერეთიდან: იმერეთ-სამეგრელო-გურიის სამღვდელოების გადაწყვეტილებით მინდობილი საქმე ქართულის საეკლესიო გალობის გადაღება ნოტებზე (იმერულ-გურულის კილოთი) ბატონ ქორიძეს გაუთავებია ქუთაისში. მას დაუწერია ოთხასი ნომერი საგალობელთა. ეს გადაღებული ნოტები ამჟამად ჩაჰბარებია მამა ლამბაშიძეს, გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორს; ჩვენ არ ვიცით, რა მსვლელობა უნდა მიეცეს შემდეგში: კიდევ რამე განხილვა მოელის ამ ნოტებსა, თუ დაბეჭდვას შეუდგებიან? ეს საქმე ისეთის დიდის მნიშვნელობისაა არამც თუ საეკლესიო გალობის ისტორიაში, არამედ საზოგადოდ ჩვენს ცხოვრებაში, რომ მისი ყოველივე მსვლელობა საზოგადოებისათვის საინტერესოა. ამისათვის ვისაც მინდობილი აქვს ამ საქმის თაოსნობა, იმედი უნდა გვქონდეს, უპასუხოდ არ დასტოვებს საზოგადოებას და აუხსნის, რას უზამენ დაწერილ ნოტებს და იმას ხომ არ ფიქრობენ, რომ ხელნაწერად გაავრცელონ, რაიცა შეცდომა იქნება. ამიტომ საკითხველია, ნოტები დაიბეჭდება, თუ არა? იმიერ-საქართველოს სამღვდელოებამ ისეთი სასიქადულო საქმე მოიქმედა, რომ მისი დაწყებული ღვანლის დაუგვირგვინებლად დარჩენა გაუქმებას ეგვანება.

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

სოფ. კულაში. 4 ივლისს, კვირას [...] ივნისს, სოფ. კულაში, სასწავლებლის დარბაზში, ქართული გალობის მომხრეთაგან გამართულ იქმნა კონცერტი ფ. ქორიძის ლოტბარობით. მთელი დასი იყო შემდგარი მხოლოდ შვიდ მგალობელთაგან. კონცერტი განიყოფებოდა ორს ნაწილად: პირველს შეადგენდა ექვსი რუსული სიმღერა; ამათაგან ორი თვით ბ-ნმა ქორიძემ იმღერა და დანარჩენი ოთხი კი ხორომ მისისავე ლოტბარობით. მარტოდ სიმღერის დროს ბ-ნმა ქორიძემ დიდი ხელოვნება გამოიჩინა, როგორც გამოცდილმა მომღერალმა და მდიდარის ხმის მქონებელმა. მეორე ნაწილი კონცერტისა შესდგებოდა ექვსის ქართულ სიმღერათაგან, რომელნიც თვით ბ-ნ ქორიძისაგან არიან გადაღებულნი ნოტებზე. საქმე ის არის, რომ პატივცემულს ბ-ნ ქორიძეს საგნად უთუოდ უნდა ჰქონდეს, რომ სოფლებში კონცერტების გამართვით საზოგადოებას გააცნოს და შეაყვაროს ქართული გალობა, დაანახოს და დაუმტკიცოს ქართული სიმღერების ღირსება. ჩვენის ფიქრით, ბ-ნი ქორიძე მხოლოდ ამ საგანს უნდა მისდევდეს სოფლებში კონცერტის გამართვით, რადგან თვითონაც ძლიერ კარგად იცის, რომ სოფელში გამართული კონცერტი ჯერ-ჯერობით ხარჯსაც ვერ აღადგენს, არამც თუ მის შრომის ფასს და სასყიდელს. ბ-ნმა ქორიძემ ახალს საქმეს მოჰკიდა ხელი და ახალი საქმე კი, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოებას ერთბაშად ვერ მიიზიდავს. რაიცა შეეხება თვით კონცერტს, უნდა მოგახსენოთ, რომ ხელოვნურად და ძლიერ კარგად ჩაიარა: „ხელხვავმა“ და „ფაცხამ“ აღტაცებაში მოიყვანეს მთელი იქ დამსწრე საზოგადოება და „ბისის“ ძახილს ბოლო

ალარა ჰქონდა, თუმცა კონცერტს საქველმოქმედო დანიშნულებაცა ჰქონდა, ესე იგი ერთი ნაწილი შემოსავლისა სასწავლებლის სასარგებლოდ უნდა მოეხმარათ. მაინც სამწუხაროდ, კულაშელები ნაკლებად დაესწრნენ კონცერტს, შეიძლება, ცუდის ტაროსის გამო. მაგრამ ერთი გარემოება ნებას გვაძლევს კულაშის საზოგადოებას გულცივობა შევსწამოთ ქართული გალობისადმი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევო“, და ნუთუ კულაშელებს არ შეეძლოთ კონცერტს დასწრებოდნენ, მაშინ როდესაც, ცუდმა ტაროსმა ვერ შეაშინა ჯიხაშიდგან და ჭაკანიდგან მოსულნი, რომელნიც შეადგენდნენ დამსწრეთა უმეტესობას? კონცერტის შემდეგ, ბ-ნ ქორიძისა და საზოგადოების თხოვნით, ნულუკიძის ასულმა, კნინა მიქელაძისამ სთქვა რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელმაც საზოგადოება დაატკბო და თვით ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ქორიძეც ალტაცებაში მოიყვანა.

ქუთათური დათიკო [დავით ნაზარიშვილი]

112. ივერია, 1887, 29 ივლისი, №155, გვ. 2

ქუთაისიდან გვწერენ: წინად ჩვენს ქალაქში დროგამოშვებით მაინც ჰმართავენ ხოლმე წარმოდგენებს როგორც ქართულს, აგრეთვე რუსულსა. სხვადასხვა სანახავეები და გასართობებიც არა გვაკლდა; ახლა კი ეს ორი თვე სრულდება, რაც მგლოვიარეებს დავემსგავსენით და ამგვარი არა გვინახავს რა, გარდა ერთი რუსული კონცერტისა, რომელიც გამართა ბ-ნმა ქორიძემ და რომელზედაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოება ძლიერ ნაკლებად დაესწრო, რადგანაც პროგრამა ამისი თითქმის იგივე იყო, რაც წინა კონცერტებისა. ამასთან კარგს ინებებდა ბ-ნი ქორიძე, ქართული კონცერტები უფრო ხშირად გაემართა, რადგანაც აქაური საზოგადოება დიდს გულმოდგინებით ისმენს ქართულს სიმღერებს, როგორც იშვიათ მოვლენას.

სიამოვნებით გავიხსენებ მხოლოდ, რომ ამ კონცერტზედ მშვენივრად აასრულა სოლო ბ-ნმა ქორიძემ.

113. ივერია, 1887, 16 სექტემბერი, №191, გვ. 1-2

ფელეტონი

ქართველ მაგალობელ-მომღერალ გუნდს რა ეჭირვება?

რამდენსამე წლის წინად, როდესაც დიდი ლაპარაკი იყო, ნოტებზე გადავიღოთ ქართული გალობა და საიმღერებო, ის აზრი გამოვთქვით, რომ მანამდისინ ნოტებზე გადალება შეიძლებოდა, სინამდისინ ეს ძნელი საქმე დაიწყებოდა და ნამდვილ გზას დაადგებოდა, უპირველესად საჭიროაო, ვამბობდით, მაგალობელთა ანუ მომღერალთა გუნდი შესდგეს, რომ ჯერ თვით გალობა და სიმღერა პრაქტიკულად მოეწყოს და შემდეგ ნოტებზე გადამღებთა ღონისძიება ჰქონდეთ ქართულის მოტივების კარგად გადაღებისათვისაო. ამ აზრს ახლაც, ვგონებ, ადგილი აქვს და გვსურს მას ყურადღება მიექცეს.

დღეს, მაღლობა ღმერთს, ქართული გალობის, ანუ სიმღერების შესწავლის საქმე იმდენზე მივიდა, რომ ცოტათ თავსაც იჩინს, ნოტებზე გადალება დაინყეს ტფილისშიაც და ქუთაისშიაც (იპპოლიტოვ-ივანოვმა და ქორიძემ); დაიბეჭდა ბენაშვილის „ქართული ხმების“ რვეული, და სხვ. ამ ნოტების ღირსების გარჩევა, თუ რამდენად ნამდვილად არის გადმოღებული ქართული ხმები, ჯერ მომავალ დროს საქმეა, რადგანაც უმთავრესი შრომა ტფილისში ბ-ნ ივანოვისა და ქუთაისში ბ-ნ ქორიძესი დაბეჭდილი არ არის. ამის გამო ნოტებზე გადალება ჯერ-ჯერობით ასრულებას ელის, დაბეჭდვასა და საქვეყნოდ გამოსვლასა.

უმეტესად თავი იჩინეს მაგლობელ-მომღერალთა გუნდებმა (ხოროებმა) და ამიტომ მას დავაკვირდეთ. ამ რამდენისამე წლის წინად თელავში ბ-ნ ივ. როსტომაშვილის მეცადინეობით და თაოსნობით პირველდანწყებითი სკოლის ყმანვილთა ქალთა გუნდმა გალობა დაიწყო ეკლესიაში. ამ გვარადვე სხვადასხვა სოფლებიდან ამბები მოდის, რომ ადგილობრივის მღვდლების ანუ მასწავლებელთა თაოსნობით სკოლის ყმანვილთა გუნდნი ეკლესიებში გალობენ და აგრეთვე საერო სოფლურ სიმღერებსა მღერიანო. ამასთანავე გალობა გვესმის ხანდახან ტფილისის ეკლესიებში აქაურ თავად-აზნაურთა სასწავლებლის მონაფეთა.

სოფლებსა და ქალაქებში სასწავლებლებში საეკლესიო გალობის და საერო სიმღერების შესწავლის გავრცელება აუცილებელი საჭიროებაა. გალობა და სიმღერა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა, საპედაგოგო საგანია, ისე, როგორც თვით ნიგნი, წერა-კითხვა და სხვ. ამიტომ თანდათან ჩვენს სკოლებში, საცა კი გონებაგახსნილი, გონიერი მასწავლებელია და ბუნებით ყურთა სმენა არ აკლია, უეჭველად ამ საქმეს გულისანად ხელი უნდა მოჰკიდონ. დიდი ზედმოქმედება სიმღერისა და გალობისა ზრდის და აკეთილშობილებს არამც თუ მარტო თვით მოსწავლესა, არამედ მის მსმენელსაც; არ შეიძლება დავივიწყოთ, მაგალითად, რას იწერებიან სოფლებიდგან, როდესაც რომელისამე სოფლის საყდარში სკოლის გუნდი გალობს, სოფლის ხალხი რა გრძნობით ისმენს და ამის შემდეგ რა სიყვარულს უჩენს სკოლასა. ამ ამბების გაგონების შემდეგ სწუხარ, რატომ ჩვენ სოფლების და ქალაქების ყოველ სასწავლებელში მასწავლებელნი ყურადღებას არ აქცევენ ამ საგანსაო. მაგრამ მალე იქნება თუ გვიან, უეჭველად ყველგან მიხვდებიან და გალობა-სიმღერა გავრცელდება სოფლის სკოლებში: ბუნებაც ამას ითხოვს, მეცნიერებაც და თვით ხალხის ცხოვრებაც.

თუ დაუუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ საქმე ცოტა სხვა მდგომარეობაშია სასწავლებელთა გარეშე. ჩვენში დღეს ერთ-ერთი საკუთარი საერო მომღერალთა გუნდია ბ-ნ აღნიაშვილისა. ამ გუნდის გამოჩენას პირველად დიდის ალტაცებით მიეგება ჩვენი საზოგადოება. ეს გუნდი (ხორო) არ ემგზავსება, რასაკვირველია, სკოლის მოსწავლე ყმანვილთა გუნდსა, რადგანაც საზოგადოდ სკოლის მონაფე და ხელოვნებით და სპეციალურად მღერა-გალობის მოსაქმედ ვერ შეიქმნება. ბ-ნ აღნიაშვილის გუნდს განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მას ამოურჩევია ერთად-ერთი საგანი – ქართული საერო სიმღერა, რომელიც უნდა შეიკრიბოს და ხელოვნურად შეისწავლონ და გადმოგვცენ. ჩვენის ფიქრით, ეს უნდა იყოს უმთავრესი საგანი ამ გუნდისა.

გუნდის შედგენა სწორედ რომ ბედნიერი აზრია ბ-ნ აღნიაშვილისა. ეს საგანი ძვირფასი საგანია იმდენად, რამდენადაც საზოგადოდ ძვირფასი ღვანლია რომელისამე ერის განსაკუთრებული გალობა-სიმღერის შესწავლა, გაცნობა, შემუშავება და შეკრება ამ ერის სხვადასხვა მოტივებისა. ჩვენთვის საკუთრად საყვარელი და სასურველია ამ განზრახვის წარმატება, რადგანაც იგი ერის საკუთრის ბუნების გამონაჩენია და სულის ნაწარმოებია. ქართული გალობა-სიმღერის საქმის წარმატება ძვირფასია, ჯერ როგორადაც საზოგადოდ ხელოვნების საგანი და მერე, როგორც საპედაგოგო, აღმზრდელობითი. საერო ხმების გალობა-სიმღერის მნიშვნელობა ყველგან, ყველა ხალხებში ცნობილია და ამ მნიშვნელობის განმარტებაზე მრავალი ტრაქტატებია დაწერილი.

ჩვენ ამ წერილში განზრახვა გვაქვს, განსაკუთრებით ყურადღება მივაქციოთ ბატონ ალნიაშვილის გუნდსა და იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მის დაფუძნებასა.

დღევანდლამდე საქართველოს ყველა კუთხეში, სოფლებსა თუ დაბებში (ქალაქებზე უკაცრავად), მონახება ადგილ-ადგილ კაი მომღერალი; თვითოეულ მხარეს, მაგალითად კახეთს, ქართლს, გურიას, სამეგრელოს და სხვა კუთხეებში, რამდენიმე მომღერალი შეიყრება ლხინის დროს, გაიმართება მშვენიერი სიმღერა ანუ გალობა. ეს გალობა-სიმღერა, ეს მოტივები მარტო იმ კუთხეში იციან და სხვაგან კი – არა. მაგალითად კახურს სიმღერას გურიაში ათასში ერთი ვერ გაიგონებს და ამ გვარადვე გურულს გალობა-სიმღერას – კახეთში. ამ სხვადასხვა კუთხის სიმღერა-გალობათა შესწავლას რაკი მოახერხებს გუნდი, ვთქვათ, ტფილისში, რაკი შეჰკრებს სხვადასხვა კილოს ქართულის მოტივებისას, ეს ცოდნა მოიფინება ყველგან საქართველოში და ამით გამდიდრდება, შეივსება, მრავალფეროვანი შეიქმნება წინად ღარიბი და ერთფეროვანი მოტივი რომელისამე კუთხისა. რამდენადაც მდიდარია მოტივი და მელოდია, იმდენად მისი პედაგოგიური, აღმზრდელობითი, პოეტური და საზოგადოდ ხელოვნებითი მნიშვნელობა უმეტესი იქნება. ეს დიდი მნიშვნელობა უძველესი ასასრულებლად ყოველის ერის მგალობელ-მომღერალთა გუნდსა და ამიტომ, ბ-ნ ალნიაშვილის გუნდის მნიშვნელობაც ჩვენში ამით დაფასდება.

მცირედენ ხანში ჩვენ ვნახეთ ამ გუნდის შრომა, მის კონცერტებში გვესმის სხვადასხვა კუთხის საერო სიმღერები, გვაცნობებს საერო მელოდიების კილოსა და მის მრავალფეროვანსა. სასიამოვნო ის არის, რომ ამ გუნდის მოთავე, მმართველი ბ-ნი რატილი ამ მელოდიის მოტივებს ევროპიულ ნოტებზე სწერს და ამით ქართულ ხმებს სიმკვიდრე ეძლევა და აღარ დაგვეკარგება, თუ კარგის სინამდვილით არის გადაღებული და დაბეჭდილი.

ყველა ეს თქმული ადვილად სათქმელია და ასასრულებლად კი მოითხოვს ბევრს შრომას, უკან დევნას, თავოსნობას, ხარჯს და მრავალი დაბრკოლების გადალახვას. ჯერ თვით გუნდის შედგენა ვსთქვათ: ოციოდე კაცის შეკრება მომღერალთა ადვილი არ არის. აგერ ათიოდე წელიწადია, ტფილისში მუსიკის სკოლა არის დაარსებული, რომელშიაც ჩვენის ქვეყნის შვილნი, მუსიკის მცოდნენი იყვნენ პირველნი მოთავენი და მოღვაწენი, როგორც ბევრჯელ ყური მოგვიკრავს, მათ სურვებიათ საერო ქართული მელოდიების შეკრებაც, ქართველ მოწაფეების ყოლაც ამ სკოლაში; სდომებიათ მგალობელ-მომღერალთა გუნდის შედგენაც, რომ ევროპიულ ხმებთან ერთად საერო ქართული მოტივების მღერა-გალობაც შესძლებოდათ, მაგრამ დღევანდლამდე ვერც მოტივები დასწერეს და ვერც ქართულის ხმის გუნდი შეადგინეს. საკუთრად რაში მდგომარეობდა დაბრკოლება, ჩვენ არ ვიცით და არც ამის მიზეზის გამოკვლევას გამოვუდგებით. თვით საქმე კი ასე იყო:

ალნიაშვილის გუნდში მონაწილეთა საქებური საქმე მოიქმედეს, რომ მოისურვეს და შეისწავლეს გალობა, მეცადინეობა იხმარეს, რომ თავის მოთავეს განზრახვა აესრულებინათ. ჩვენგან მადლობა ეთქმით ამ ყმაწვილკაცებს, მაგრამ არ უნდა დავივინყოთ, რომ როგორც მათ მოთავეს ალნიაშვილს, ისე ამ გუნდის წევრებს კარგი შრომა უნდოდათ, სანამ შეისწავლიდნენ თვითეულს ხმას და სანამ სცენაზე გამოვიდოდნენ. უმეტესი შრომა უნდა გაენია ბ-ნ ალნიაშვილს, სანამდის შეჰკრებდა, შეარჩევდა ხმის მქონებელი ქართული მოტივების შესწავლის მსურველთა; მერე რამდენი ნაქეზება, წახალისება მოუწოდებოდა ერთისა, თხოვნა და ხვეწნა მეორისა, შეგულიანება მესამისა, და სხვა და სხვა.

ყოველს ამას უცილობლად ეჭირვებოდა როგორც მოთავესაგან, აგრეთვე მოზიარეთაგან დროს შეწირვა, ხარჯი, ხალისი, ბეჯითობა და სიყვარული.

როგორცა ვსთქვით, საზოგადოება აღტაცებით დახვდა თფილისსაც, ქუთაისშიაც და სხვაგანაც, საცა გუნდმა მოახერხა ყოფნა. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ პირველ აღტაცების შემდეგ გუნდის კონცერტებს საზოგადოება ნაკლებად ესწრებოდაო, ვკითხულობდით გაზეთში.

ეს გარემოება დასაფიქრებელია. მას კარგად ეჭირვება დაკვირვება, გამორკვევა და ახსნა, რომ ახლად დაწყებულ საქმეს საფათერაკო არა შეემთხვეს რა. მართალია, ეს საგანი ბ-ნ აღნიაშვილს თავიდანვე უკისრნია, როგორც საკუთარი საქმე, მაგრამ ამ საქმეს საზოგადო ხასიათი აქვს და ამიტომ მოსაზრებასაც საზოგადოს ითხოვს.

ყოველ ახალ საქმეს ჩვენში ყოველთვის აღტაცებით ეგებებიან; გაივლის ცოტა ხანი და აღტაცება ნელდება, გრილდება და ბოლოს, სრულიად ჰქრება. ეს ამბავი ახალიც არ არის და ყოველმა საქმის დამწყებმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაზე ყოველთვის ასეა. თუმცა სიმართლე კი უნდა ვსთქვათ, რომ საცა ესეთი გულგრილობა დაეცყო საზოგადოებასა, საქებური არ არის საზოგადოების გონებაგახსნილობისა და თვითცნობიერებისათვის; მეორის მხრით არც ის იქმნება საქებური, თუ როგორმე ახალმა გუნდმა საზოგადოების გულგრილობის გამო თვითონაც გული აიცრუა. მისი ბეჯითობა უნდა ემყარებოდეს ყოველისავე უპირველესად თავის ქეშმარიტ მნიშვნელობაზე და უეჭველ რწმენაზედ, რომ მისი ამორჩეული საგანი, სიმღერის ხელოვნება, ერის ცხოვრების აუცილებელი სულიერი საჭიროებაა. ამის გამო მოგვეთხოვება უფრო სიფხიზლით დავუკვირდეთ ყოველს საგანს, რაც ამ საქმეს შეეხება და ყოველის მხრით განვსინჯოთ, რომ შეძლებისამებრ ავიცდინოთ ერთის მხრით შეცდომითი წინასწარი მოლოდინი, ამაოდ დაკარგული დრო და ჯაფა, და მეორეს მხრით, მკვიდრი საფუძველი მოვუნახოთ საქმის წარმატებასა და წინმსვლელობასა.

ყველაზე უპირველესად შემდეგი აზრი იბადება: შეუძლიან საერო სიმღერის მომღერალთა გუნდს გაძლება, თუ არა?

აქ საკითხველი მარტო ნივთიერი მხარე არ არის, აქ მეორე მხარეც შეერთებულია უეჭველის კავშირით ნივთიერს მხარესთან – ამ საქმეში ამ გვარად ორი მხარე გამოიხატება ორის სიტყვით: სახსარი და ხელოვნება.

ყოველს საქმეს სახსარი, ღონისძიება, ნივთიერი შეძლება უნდა ჰქონდეს საქმის წარმოებისათვის. ქართველ მომღერალთა გუნდს რამდენადა აქვს ეს შეძლება და წყარო თავისის არსებობისათვის? მას უეჭველად ხარჯი ექნება, რომ სიმღერის ნოტებზე გადამღებს და ლოტბარს ეძლიოს სასყიდელი; მას მოუნდება სიმღერის მცოდნეთა მოწვევა სხვადასხვა ადგილიდგან, ანუ მოგზაურობა მოუხდება ლოტბარს და მასთან გუნდსა სიმღერების შესწავლისათვის და სხვადასხვა ამ გვარი ხარჯები. ამას უეჭველად უნდა დავუმატოთ ისიც, რომ გუნდში მონაწილე მომღერალთ, თუ ყველას არა, ზოგიერთთ მაინც მოუნდება პატარა რამ ჯამაგირი. ამჟამად, ვგონებთ, აღნიაშვილის მომღერალთა დასში მხოლოდ სიმღერის სიყვარულით არიან წახალისებულნი და სასყიდელს არ იღებენ (უმეტესობა მაინც). ეს, რასაკვირველია, საქებურია და ამ უანგარობას შეუძლიან უფრო მომეტებული საქმე, ვიდრე ნივთიერს დაკმაყოფილებას, და რამდენადაც მოხსენებული ხალისი და ბეჯითობაც დაერთვის ამგვარ მუშაკობას, იმდენად უფრო ზნეობითად ძლიერი იქნება მისი შრომა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც იმის თქმა არ შეიძლება, რომ ყოველთვის ასე უსასყიდლოდ შეიძლებოდეს სამსახური და მშრომელთ რაოდენიმე ჯილდო არ ეკუთვნოდეთ. დღეს კი ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ რაც ეხლა ხარჯი მოსდით მომღერალთ, იმასაც თურმე ძლივსა ჰფარავენ. ამის გამო ფრიად საზრუნველი საქმე უხდება გუნდის მოთავეს და საზრუნველია ყველასათვის, ვისაც ესმის და თანაუგრძნობს ამ საქმის მნიშვნელობას.

ეხლა ვიკითხოთ, თუ ბ-ნ აღნიაშვილის გუნდმა რა ღონისძიებით უნდა მოიპოვოს სახსარი თვისის არსებობისათვის?

(შემდეგი იქნება)

[პეტრე უმიკაშვილი]

ფელეტონი

ქართველ მაგალობელ-მომღერალთა გუნდს რა ეჭირვება?

(დასასრული) *)

ყველაზე პირველად ის მოსაზრება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რა არის მომღერალთა გუნდი, რა დანიშნულებას ემსახურება და ეს ხელოვნება რომ ხელობად გახდეს, შეუძლიან გაუძღვეს და დააკმაყოფილოს თავისი საჭიროება, თუ არა?

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ საზოგადო მნიშვნელობა და დანიშნულება მომღერალთა გუნდისა. რაც შეეხება იმის გამორკვევას, რომ სიმღერა ხელობად შეიქმნას სახსარის მოსაპოვებლად, ამას კი დაკვირვება ეჭირება.

მომღერალთა და მაგაობელთა გუნდნი ევროპის განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში ყველგან იპოვებიან, ყველაზე მომეტებულად იგინი არიან ან ეკლესიებში მაგალობელნი, ან თეატრებში მომღერალნი, ან სამუსიკო დაბალ და მაღალ სასწავლებლებში. უმთავრესი ადგილები, სადაც ევროპაში კაცი მაგალობელ-მომღერალთა გუნდსა ჰსწავს, მხოლოდ ეს სამი დანესებულებაა. იქ მაგალობელ-მომღერალნი თავის გალობა-სიმღერას მუსიკის საკრავებთან აერთებენ. რაც შეეხება ცალკე მაგალობელ-მომღერალთა გუნდსა, რომელიც მარტო ხმით, უმუსიკოდ გალობს, არსებობს ზემოხსენებულ სამ დანესებულებათა გარეშეც, ხოლო სიმარჯვით და მონყობით სუსტია. ამ გვარ მომღერალთა გუნდი უფრო აქა-იქ დაიარება ლუკმა პურის საშოვრად. ამის გამო ასეთნი გუნდნი ხელოვნებითაც ძალიან დაბლა დგანან და მცირე მნიშვნელობა აქვთ ხელოვნებისათვის. ამათში მხოლოდ ერთი სიმღერის გუნდი გამოირჩევა, რომელიც ტიროლიდამ გამოდის და ევროპაში მოგზაურობს მხოლოდ განსაკუთრებულის და დიდის ღირსების სიმღერის გამო (ამ სიმღერის კილო, ანუ ჰანგი მეტად მშვენიერია, მდიდარია; ხმის ტრიალს და გამოცემას**) ტიროლის შვილის მეტი სხვა ვერ ახერხებს, ვერ შეუსწავლია და ამას გარდა ვერც ნოტებზეა შესაძლო ყოვლის სისრულით გადაღება). უმუსიკოდ მომღერალთა გუნდი თუ არსებობს, ისიც აღმოსავლეთ ევროპაში, ზოგიერთ სლავენებში და რუსეთში, სადაც იმთავითვე მუსიკის საკრავს ასპარეზი არ ჰქონია არც ეკლესიაში, არც თეატრში და არც დიდხანს სამუსიკო სკოლა ყოფილა. ამგვარად მომღერალთა გუნდები დასავლეთ ევროპაში უღონონი არიან, თვით რუსეთშიაც, ეკლესიის მაგაობელთა გარდა, არ არსებობს მაგაობელთა გუნდი, ერთის მეტი, რომელიც სლავიანსკის თაოსნობით არის შემდგარი. ეს გუნდიც იძულებულია ხან რუსეთში, ხან სამზღვარგარეთ სიარულსა და მგზავრობასა, რომ ღონისძიება მოიპოვოს თავის სარჩენად.

ეს ყველა, ცხადია, იმისგან სწარმოებს, რომ ეხლა მუსიკის და სიმღერის ხელოვნება შეერთებულია ერთად თეატრებში და სკოლებში. მას უფრო ეტანება მოსწავლეცა და მსმენელიცა. მუსიკის დაშორება თუ შესაძლოა აღმოსავლეთ ქვეყნებში, მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლო, რადგანაც აღმოსავლეთის ეკლესია არ იწყნარებს მუსიკის ხმარებას საეკლესიო გალობის დროს.

აქედამ ვგონებ ცხადად სჩანს დაბრკოლება, რომელიც დახვდება ყოველ მომღერალთა გუნდსა, თუ საგნად მხოლოდ სიმღერა აქვს ცალკედ, უმუსიკოდ. ეს დაბრკოლება ჰხვდება ჩვენს მომღერალთა გუნდსაცა.

არის კიდევ სხვა დაბრკოლებაცა, რომელიც უმთავრესად უნდა ითვლებოდეს გალობა-სიმღერის საქმეში, თუ მას ნივთიერის სახსარის მოპოვებაცა აქვს საგნადა. ეს ის მხარეა გალობა-სიმღერისა, რომ თუნდა იგი მუსიკასთან ერთად იყოს შეერთებული, ერთადერთი სპე-

ციალური საგანი აქვს, გალობა-სიმღერის ხელოვნება, და არ უერთდება თეატრს, ოპერას. სასცენო ხელოვნებაში, დრამებში, ოპერაში შეერთებულია და დაგვირგვინებულია ბევრ-გვარი ხელოვნება და ამისათვის უდიდესი და უპირველესი ადგილიც უჭირავს. ამის გამო ცხოვრებაშიაც დიდი ასპარეზი დაუპყრია და ხალხიც მომეტებულად ეტანება. სამუსიკო გალობა-სიმღერას უფრო მარტივი და შევიწროებული ასპარეზი აქვს. მისი ასპარეზი არის უპირველესად ეკკლესია, მერე სკოლა საზოგადოდ და სამუსიკო – საკუთრად; შემდეგ ვენახ-მინდორი და ბოლოს, ოჯახობა.

ამის შემდეგ კიდევ რომ ძირისძირამდის ჩავაკვირდეთ გალობა-სიმღერის ურთიერთობას სხვა ხელოვნებასთან, მას ყოველთვის ვხედავთ შეკავშირებულად და არა ცალკედ.

თეატრში სიმღერა-გალობა ხმაშენწყობილ-შეკრულია ადამიანის სიცოცხლის მოქმედებასთან, მოძრაობასთან, მხატვრობასთან, ქანდაკებასა და პოეზიასთან. მრავალფერობა ხელოვნებისა სიმღერითურთ ერთიერთმანეთზე გადაბმულია ერთ მშვენიერ კონად, რომლისგანაც კაცი ერთიანს ზედმოქმედებასა ჰგრძნობს და არ იღლება.

ეკკლესიაში ხმა, გალობა შეერთებულია საღმრთო მსახურებასთან და გამოხატველია სიტყვასთან ერთად ვედრება-ღალადებისა, მოწინებისა და დიდებისა. გალობა ამ გვარად შესავსები, მისამატი კუთვნილებაა სეკულესიო მღვდელმოქმედებისა და არა ცალკე საგანი.

ვენახ-მინდორში სიმღერა სიტყვასთან ერთად ანუ უსიტყვოდ შეერთებულია მუშაობასთან, მოძრაობასთან; ოჯახობაში კი იგი შეკავშირებულია ღვინთან, სადილთან, ანუ ცეკვა-თამაშობასთან. სიმღერას აქაც ცალკე არა ვხედავთ, როგორც განცალკევებულს საგანსა.

ამგვარად, გალობას ანუ სიმღერას ცალკედ არსადა ვხედავთ, მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც გალობა ანუ სიმღერა ცალკედ შეუკავშირებლად იჩენს თავსა – სპეციალური სკოლაა, სამუსიკო თუ საზოგადო სასწავლებელი სკოლა. იქ გალობა-სიმღერა არის საკუთარი შესასწავლი საგანი, სხვა საგანთან შეუკავშირებლად და შეუერთებლად სავარჯიშო. აქ მას ერთი საგანი აქვს – ხმის შეწყობის შემუშავება და დასწავლა.

სხვა პრაქტიკული განზრახვა მის გარეთ არის და შემდეგში უნდა შეერთდეს სხვა საგანთან ან ხელოვნების ასპარეზზე, ანდა ცხოვრებაში თავისათვის საცალკეოდ გამოიყენოს მისმა შემსწავლელმა (რასაკვირველია, ჩვენ აქ პრაქტიკულს ვარჯიშობაზე ვლაპარაკობთ და უარს არა ვყოფთ საზოგადო ფსიხო-პედაგოგიურს მნიშვნელობასა ვარჯიშობისას ადამიანის აღზრდაში).

ყოველ ამ თქმულისაგან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყენოთ, რომ გალობა-სიმღერა როდესაც შეერთებული არ არის სხვა ხელოვნებასთან, პრაქტიკული სავარჯიშო ასპარეზი არა აქვს ცხოვრებაში. მუდამ დღიურს ცხოვრებაში მას შეუძლიან მხოლოდ ხანდისხან თავის გამოჩენა საზოგადოების წინაშე, როგორც დასაფასებელ საგანს მისის ღირსებით, ანუ ნაკლულეგანებითა. გუნდი მაგლობელ-მომღერალთა ამ გამოჩენით შეიძლება შევადაროთ რომელსამე გამოფენასა. ამიტომ ამასაც კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, როგორც სასწავლო საგნების გამოცდასა, და არა პრაქტიკული ანგარიში.

ამის დაფასებას ცოდნა, გახსნილი გემოვნება, სწავლა და კრიტიკის ნიჭი უნდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ისეთი რამ არის, რომელიც მთლად საზოგადოებას ვერ მოეთხოვება და ამიტომაც ერთხელ-ორჯელ ნახვის შემდეგ მის ყურადღებას ვერ მიიზიდავს, და მომეტებულად ყველგან ასეც არის. მომღერალ-მაგლობელთა გუნდების კონცერტები ძალიან იშვიათია, წელიწადში თითო-ოროჯერ თუ სადმე იმართება, უფრო სასწავლებლებში, და ისიც უფასოდ.

ამ ნათქვამის შემდეგ ჩვენ გვგონია, რამდენადმე გამოვარკვიეთ ჩვენი საკითხველი: რა არის მომღერალთა გუნდი, რა დანიშნულებას ემსახურება და ეს ხელოვნება რომ ხელობად გახდეს, შეუძლიან გაუძღვეს და დააკმაყოფილოს თავისი საჭიროება, თუ არა?

ამ მხრით რომ შეეხედოთ, ჯერ მგონია გამორკვეულად ვერ ვიტყვით, თუ რა საგანი აქვს ბ-ნ აღნიაშვილის გუნდს. თუ გუნდს მხოლოდ ქართული სიმღერების შესწავლა აქვს, ესე იგი 1) შეკრება ქართველთა სხვადასხვა თემების სამღერალ მოტივებისა, 2) მისი გარდმოცემა სრულის სინამდვილითა, შეურყვნელად, უკეთესის თვისის სახითა, 3) გადაღება ნოტებზე ამ მოტივებისა. თუ ეს სამი საგანი აქვს გუნდსა, მას უფრო ის მნიშვნელობა ეძლევა, რაც სიმღერის სკოლასა აქვს. საგანი ძალიან მნიშვნელოვანია და ეს დაუფიქრარი იქნება ჩვენის ხელოვნების ისტორიაში, თუ მისი აღსრულება ახდა. ეს განზრახვა ფრიად სასურველია, სანატრელი და საყვარელი.

მაგრამ მას უნდება უანგარო, საკმაოდ ხანგრძლივი შრომა და ჩვენ ეს გვაფიქრებს, იმიტომ, რომ ყოველგვარი სკოლა მოითხოვს ნივთიერად დაუზრუნებელს ხარჯსა, როგორც სკოლაც უნდა იყოს – სპეციალური (სამუსიკოც მათ რიცხვში) თუ საზოგადო.

პირველმავე წელიწადმა გვაჩვენა, რომ კონცერტების გამართვა ბატონ აღნიაშვილის გუნდს მცირე შემოსავალს აძლევს და ჩვენი გარემოება ჯერჯერობით ხელს ვერ შეუწყობს სხვა მხრით რაიმე შემოსავალი მოუპოვოს. თავში ამისათვის ძალაუნებურად სხვა აზრი მოსდის კაცსა; ის აზრი, რომ მომღერალთა გუნდმა ისეთს სფეროში მიიღოს მონაწილეობა, რომელშიაც სიმღერა-გალობა თავით თვისით განმარტოებული და განკერძოებული საგანი არ არის, არამედ შეერთებულია სხვა ხელოვნებასთან.

ეს სფერო ზემოხსენებული ორი ტაძარია: ერთი ღვთისა და მეორე სცენისა. დღეს ჩვენში თუ ადგილია, სადაც ხმაშენობას ასპარეზი აქვს, ეს ადგილი არის ეკკლესია. საღმრთო გალობის დიდი მნიშვნელობა ადამიანის ისტორიის უპირველესი დროიდგან ცნობილია დღევანდლამდე და ჩვენს ჟამშიაც თითქმის არც ერთი გენიოსი და ნიჭიერი კომპოზიტორი არა ყოფილა, რომ ამ საეკკლესიო გალობაზე და მუსიკაზე არ განვრთნილიყოს როგორც ევროპაში, ისე სხვაგან. ვრცელი საერო ასპარეზი უპყრია ეკკლესიას ყოველს ხალხში და ჩვენშიაც აგრეთვე. გალობას ჩვენში ეკკლესიაში ადრეც და ესხაც უპირველესი ადგილი სჭირია და უჭირავს. მის გარეთ ხმის შეწყობას საერო ასპარეზი ვინრო ჰქონია, რადგანაც ჩვენი თეატრი სუსტია. სამუსიკო ქართული სასწავლებელი არც ყოფილა და არც არის. ამის გამო ბატონის აღნიაშვილის გუნდი, ჩვენის აზრით, მარტო მომღერალთა გუნდი კი არ უნდა იყოს, არამედ მაგალობელ-მომღერალთა გუნდი ტფილისში: ვგონებთ მოიპოვებდა საპატიო ადგილს ტფილისის ეკკლესიებში, რომელნიც მოკლებულნი არიან განყობილ-განვრთნილ მაგალობელთა გუნდსა; საჭიროება კი ხშირია. ბევრჯელ გაგვიგონია, როდესაც რომელსამე ეკკლესიაში უთხოვნიათ და შეუკვეთიათ წირვის ან ქორწინების დროს ქართული მაგალობელი მოიწვიეთო, პასუხად მიუღიათ – „არ გახლავთო“. ამ გალობას ზნეობითს სარგებლობასთან შეიძლებოდა, რომ ნივთიერი სარგებლობაც ჰქონოდა, რადგანაც დღეს არის იმისთანა ეკკლესიები, რომელშიაც რუსი მაგალობლები თთვეობით ჯამაგირს იღებენ. დანარჩენს ეკკლესიებში უეჭველია მოეპოვებათ იმდენივე ღონისძიება, რომ ჯამაგირის გაღება შეიძლებოდეს ქართულ მაგალობლებისათვის. აქ მოხსენებულს გარდა, ტფილისში მაგალითი თვალწინა გვაქვს, კათოლიკეთა და სომეხთა ეკკლესიებში მაგალობელნიცა, ლოტბარებიცა და მეარღნეცა ჰყავთ. როგორ მოიფიქროს კაცმა, რომ ქალაქში ორმოცათას მართლმადიდებელ მრევლისაგან ეკკლესიების ხარჯს მაგალობელთათვის ვერა გადარჩეს რა? ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველგან, თუ ევროპაში, თუ რუსეთში და თუ ჩვენში, სადაც ეკკლესიას გარეგანი სიბრწყინვალეცა აქვს, ხალხი იქ ეტანება. ჩვენს სამღვდელთაგანაც ვგონებთ ეს მარტივი აზრი თანდათან ესმის. გალობის სიმშვენიერე ერთი ბრწყინვალე მხარეა ღვთის მსახურებისა. მაშასადამე, რომელისამე ეკკლესიის კრებული ამას ვერ უარჰყოფს და ქართულის გუნდის ყოლასაც მოისურვებს. ჩვენი თეატრი, სცენა, დღეს თუმცა სუსტია, ოპერა არა აქვს, მაგრამ მრავალი სასცენო პიესებია,

რომელშიაც სამღერალები არის და ამის გამო მომღერალთა გუნდი დასჭირდება. შემდეგში შესაძლებელია ნელ-ნელა ოპერებიც გადმოღებულ იქმნას და მაშინ ხომ მომღერალთა გუნდი უეჭველი შეიქნება.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნ აღნიაშვილის გუნდი თავის განზრახულ საქმეს არ გადაუხვევს, თუ მაგლობელ-მომღერალ გუნდად გადაიქცევა, ეს იგი, თუ საერო სიმღერასთან ქართულ საეკლესიო გალობასაც შეისწავლის და პრაქტიკულად იმუშავებს ეკლესიაშიაც და თეატრშიაც. მას ეს პრაქტიკული მოსაქმეობა, იმედია, რასმე ნივთიერს შემწეობას აღმოუჩენს, ფეხს მოაკიდებინებს პრაქტიკულად ცხოვრებაში და ამ ასპარეზზე თანდათან წინ წასწევს განზრახულს საგანსაც.

ამას გარდა არის ერთი გარემოებაც, რომელმაც ღონე და ძალა უნდა შეჰმატოს. ეს არის გუნდის მოსაქმეობის ჯეროვანი დაფასება, როგორც ხელოვნებისა. გუნდს თუ თანდათან ხელოვნებაში წარმატება არ დაეტყო, ყურადღების ღირსად დიდხანს ვერ დარჩება. თუ გუნდს ევროპიული მუსიკის შესწავლაც არ დაეხმარა, ფეხს წინ ვერ წასდგამს. თუ მას მაგლობელ-მომღერალთა რიცხვში კაი ხმის მქონებელნი მონაწილენი არ ეყოლება, მქრალად და შეუნიშვნელად დარჩება და საზოგადოებას არ მიიზიდავს. ეს საზოგადოდ ყველასათვის საცნაურია და აქ ვამბობთ იმიტომ კი არა, რომ გვეგონოს ვისმე დავინწყებული ჰქონდესო. ამის თქმით მე მინდა, რომ საკუთარ ღონისძიების უქონლობაში მოვიგონოთ ტფილისის სამუსიკო სკოლა.

დღეს ამ სკოლას განაგებს ნიჭიერი და მცოდნე კაცი, იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც, როგორც ვიცით, საკმაოდ ბევრი საგალობელი გადაუღია უპატივცემულის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შეკვეთით; მას, როგორც გაგვიგონია, დიდად საინტერესოდ მიაჩნია ქართულ სიმღერის მოტივები და უთქვამს, რომ მისი გაცნობა განძი იქნება მსოფლიო სამუსიკო სფერაშიო. ამ სიმღერებისაგან ზოგი კიდეც დაუნერია სოფლებში ყოფნის დროსა და გამოცემასაც თურმე აპირებს. ყველა ეს რომ ვიქონიოთ მხედველობაში იმასთან ერთად, რომ ქართველი მოსწავლე დღეს ტფილისის სამუსიკო სკოლაში თითქმის არავინ მოიპოვება, იქნება როგორისამე მხრით შესაძლებელი ყოფილიყო, რომ ბ-ნ აღნიაშვილს თავისი გუნდი ამ სკოლასთან მოეწყო. მეორეს მხრით სამუსიკო სკოლას, დაარსებულს საქართველოს დედა ქალაქში, დიდი ღირსებად ჩაეთვლებოდა, რომ თავის ჭერქვეშ მოეთავსებინა ისეთი განყოფილება მოსწავლეთა, რომელნიც ადგილობრივს გალობა-სიმღერაზე შრომასა სწევენ და იქნება საქვეყნო სახელი შესძინონ სასწავლებელსა.

ეს ყოველივე ჩვენი მოსაზრება წარმოვადგინეთ იმ განზრახვით, რომ უყურადღებოდ დატოვება ბ-ნ აღნიაშვილის გუნდისა არ შეიძლება. დედააზრი ჩვენი ის არის, რომ ახლად დაწყებულ საგანს, ქართულ გალობა-სიმღერის საქმეს, მკვიდრი საფუძველი მიეცეს, მის წარმატებას ასცდეს დაბრკოლება და უქმი შრომა, წვალება და სატანჯველი.

საგანი ძვირფასია, საყვარელია; მისი წარმატება ჩვენის სულიერის სიცოცხლის განვითარება და ხელოვნების წარმატებაა.

პ. [პეტრე უმიკაშვილი]

^{*)} იხ. „ივერია“ №191.

^{**)} საქართველოს ერის სიმღერებში ტიროლის ხმების მსგავსი იმერულ, გურულ და მეგრულ ზოგს სიმღერებში იპოვება.

ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების ისტორია

ყველამ კარგად იცის, რომ უკანასკნელ დრომდე ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის ცოდნა უფრო მეტად იყო გავრცელებული ჩვენს მონასტრებში, ეკლესიებში და ხალხში, ვინემ დღეს არის. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს თანდათან იკლო ამ ცოდნამ. დღეს ძლიერ იშვიათად გაიგონებთ თქვენ კარგად განწყობილ გალობას ჩვენს ეკლესიებში და მონასტრებში. იქ სადაც წინედ მშვენიერი ორპირი გალობა გიტკობდა გულსა, დღეს გესმის მარტო ერთი მედავითნის გალობა, რომლის ხმა ხშირად სრულებით არ უდგება მღვდლის ხმას.

დღემდე ჩვენი საეკლესიო გალობა ზეპირ გარდაცემით შენახულა და ეს არც გასაკვირია, თუ მივიღებთ სახეში ჩვენი წინაპრების მტკიცე სარწმუნოებას და განსაკუთრებით სამღვდლოების მუყაითობას საეკლესიო გალობის შესწავლის საქმეში. დღეს სხვა დრო დადგა: ყალბმა განათლებამ გული გაუგრილა ხალხს საეკლესიო საქმეებზე. საზოგადოებაში თანდათან იკლო გალობის ცოდნამ და იკლო იქამდისინ, რომ ძველებურად კარგი განწყობილი გალობა ასს სამღვდლო პირში ერთმა თუ იცის და საეროში სამი ათას კაცში ერთი თუ მოინახება უბრალო გალობის მცოდნე!

არც ერთი პირი არ განწესდება ჩვენში მედავითნის თანამდებობაზე, ვიდრემდის „ეკზემენატორები“ კითხვაში და გალობაში არ გამოცდიან. გალობის სწავლაში ყველას უწერენ: „კილოს გალობა იცის, გალობს სოფლური კილოთი“, მაგრამ რომელი კილოს გალობა იცის? ან რომელი სოფლის კილოთი ჰგალობს, ეს ერთადერთმა ღმერთმან უწყის! რაიცა შეეხება კარგ განწყობილ კითხვას, ამაშიც ისე კოჭლობენ მედავითნენი, როგორც გალობაში. ასე რომ დღეს მრავალნი მედავითნენი ძლიერ სუსტნი არიან მხოლოდ საეკლესიო წიგნების ტიპიკონის და კითხვა-გალობის ცოდნაში, სხვა კი ყველაფერი კარგად იციან.

ჯერეთ კიდეც 1860 წელში დაარსდა ტფილისში ჩვენი საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი, რომელსაც ოცდაორი წლის განმავლობაში, უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, არაფერი არა აღუდგენია რა. ბოლო ხანებში ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება მოინადინა ბ. მ-ნმა, რომელმაც გალობის საქმე იმდენად იცოდა, რამდენადაც მე და თქვენ ვიცით, მკითხველო, ჩინეთური ენა. მან ბევრი ინვალა, ბევრი ეცადა ერთი თვალით და ერთი ყურით (ერთი ყური და ერთი თვალი დიდი ხნიდგან დამდგარი ჰქონდა), მაგრამ ვერაფერი ვერა გააწყო რა. ბოლოს დამტკიცებით გამოაცხადა, რომ ქართული გალობის ნოტებზე გადაღება არ შეიძლება, თუ ეხლანდელი მუსიკის იარაღების ხმებს რამდენიმე ხმა არ მიუმატესო, რადგან, ამტკიცებდა იგი, ქართულ საეკლესიო ხმებს ეხლანდელი მუსიკის იარაღები ვერ გამოცემენო! ამისთანა ხეპრული და უგნური სიტყვებით ამ ბატონმა „მუსიკანტმა“ და ერთ დროს ქუთაისის პირველმა ლოტბარმა, თითქმის, დააჯერა საზოგადოება. ახალი ხმების გამოგონება და რამდენიმე კიდეც სხვა „კლავიშების“ მიმატება როიალსა და ფისგარმონიაზე მოუხერხებელი შეიქმნა და ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას დროებითად თავი დაანებეს. მაგრამ ეს გალობის აღმადგინებელი კომიტეტი მაინც ისევ არსებობდა.

მოზრძანდა თუ არა საქართველოში მაღალყოვლადსამღვდლო, მთავარეპისკოპოსი პავლე ექსარხოსად, მაშინვე მიაქცია ამ კომიტეტის მოქმედებას ყურადღება და მოთხოვა, რომ კომიტეტს თავისი მიზანი აესრულებინა. უმჯობესად საქმის წაყვანისათვის საჭიროდ შერაცხა კომიტეტის სხდომებში მონაწილეობა მიეღოთ კომიტეტის წევრებს გარდა, სამღვდლო და საერო წოდების სხვა პირთაც, რომლისა გამო საზოგადო კრებებზე ესწრებოდნენ მღვდლებიც, ერნიც, რუსებიც და ქართველებიც. მაღალყოვლადსამღვდლო, მთავარეპისკოპოსი პავ-

ლე ჰფიქრობდა, რომ ყველანი ერთად უფრო რიგიანად მოიფიქრებდნენ და რიგიანად გარდაწყვეტენ ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების საქმესო. გახშირდა სხდომების გახსნა. ბევრი სიტყვები დაიხარჯა, ბევრი მოფიქრება გამოითქვა, შეიქნა ერთი დავა, თუ რომელი კილოს გალობა გადაეღოთ ნოტებზე. იმერულ-გურული კილო საეკკლესიო გალობისა ქართლელთ და კახელებს არ მოსწონდათ. ქართლელი და კახური კილოს გალობა იმერლებს, გურულებს და მეგრელებს არ მოსწონდათ. რუსებს კი არც ერთი და არც მეორე კილოს გალობა არ მოსწონდათ თავის ტკბილ გალობასთან შედარებით. არაფერი გასაკვირველი არ არის, რომ რუსებს, რომელნიც თავიანთ ტკბილ საეკკლესიო გალობას არიან მიჩვეულნი, ჩვენი ქართული გალობა არ მოეწონოს. ან კი, სად შეხვდებით მათ, რომ მოისმინონ კარგად განყოფილი ქართული საეკკლესიო გალობა? ზოგიერთებს ჩვენი ქართული საეკკლესიო გალობა არ მოეწონებათ უფრო კიდევ იმიტომ, რომ ქართული არ იცინა. ამას გარდა, ყოველი თემის გალობას აქვს თავისი განსაკუთრებითი თვისება, რომელიც ატკბობს მარტო იმათ, ვისაც ეკუთვნის ეს გალობა. უსაფუძვლოდ ამტკიცებენ ზოგიერთები, რომ გალობა, ანუ ხალხისაგან შედგენილი გალობის ხმები შეუმუშავებლად და შეუკეთებლად არ ვარგოცონ. მართალია, შემუშავებული და გადასხვაფერებული გალობა მოსწონთ იმ თაობას, რომელსაც ის გადაუკეთებია, მაგრამ რომ შეიძლებოდეს და გააგონებდეთ გადაკეთებულ გალობას იმ თაობას, რომელმაც იგი დაჰბადა, შეიტყოთ, რომ მათ სრულებით არ მოეწონებათ. ჩვენი ქართული გალობა და საზოგადოდ ქართული სიმღერებიც პირველად სხვებს არ მოსწონთ, მაგრამ როდესაც ყურს მიჩვევენ, სულ სხვანაირი აზრის არიან. ასევე შეიძლება ვსთქვათ არა მარტო გალობის შესახებ, არამედ სასმელ-საჭმელის შესახებაც. პირველად ზოგიერთებს ქართულად მომზადებული საჭმელები კიდევ სწყენთ, მაგრამ ბოლოს ისე მიეჩვევიან ხოლმე, რომ სადაც უნდა წავიდნენ, სიამოვნებით მიიღებენ ხოლმე ქართულად მომზადებულ საჭმელებსა და სასმელებს.

ორ-სამ სხდომის შემდეგ ყველას მოსაზრებანი აირივნენ: ერთი ამტკიცებდა, რომ გალობის ნოტებზე გარდაღება საჭირო არ იყო, საკმაოდ რაცხდნენ ზეპირ გარდაცემით სწავლას. ამ აზრზე ადგა განსვენებული დეკანოზი ჩუდციკი. მეორე ამტკიცებდა, რომ ნოტებზე გადაღებულიყო მარტო ქართლ-კახური კილოს გალობა. ზოგი, სამწუხაროდ, ისიც ქართველები, სრულებით საჭიროდ არ რაცხდნენ ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. იმედობდნენ, რომ წმიდა ნინოს მეოხებით ქართული გალობა ისე დარჩება ჩვენ ხალხში ამის შემდეგაცო, როგორც აქამდისინ მოაღწიაო. ნინო, ქართველთ განმანათლებელი, არ მოიძულებს ქართველებს და არ დაავინყებინებს მათ ქართულ გალობასო და სხვ. მსჯელობა და მოსაზრება მრავალი იყო, მაგრამ საქმე არა სჩანდა. სწორედ ამ დროს შემოიტანა განცხადება ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა, რომ ის იღებს თავის თავზედ თავისი ხარჯით ქართლური და კახური საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. რაიცა შეეხება იმერული კილოს გალობის ნოტებზე გადაღებასო, ბრძანებდა ყოვლადსამღვდელო განცხადებაში, იმაზედ იზრუნოს თვით იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებამო.

მაღალყოვლადსამღვდელო საქართველოს ექსარხოზმა, მთავარეპისკოპოსმა პავლემ აცნობა ამ საქმის მდგომარეობა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მისცა წინადადება, რათა იმერეთის სამღვდელოებას ეზრუნა თავიანთ საეკკლესიო გალობის აღდგინებისა და ნოტებზე გადაღებისათვის. ეს წინადადება გამოუცხადა ყოვლადსამღვდელომ, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სამღვდელოების კრებას, რომელმაც შემდეგ სხვადასხვა მოფიქრებისა და მოსაზრებისა, დანიშნა ქუთაისში საეკკლესიო ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი ჩვენის თავსმჯომარეობით. ჩვენ ზოგიერთი სხვა წევრების დახმარებით არ დაგვიზოგავს ჩვენი შრომა და საცადი, რომ ქართული საეკკლესიო გალობა გადაგველო ნოტებზე.

შეიკრიბა იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებისაგან ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის შეწვევით და დახმარებით ოთხიათას ოთხასი მანეთი, რომლითაც შესაძლებელი

იყო მუშაობის დაწყება ჩვენი საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. ამისათვის მოვიწვიეთ ფ. ქორიძე და გალობის გამამცემლად მთავარდიაკონი რ. ხუნდაძე, აზნაური დიმიტრი ჭალაგანიძე და ივ. წერეთელი, რომელთაც გადიღეს ნოტებზე ოთხასი (400) სხვადასხვა საგალობლები. გურიის სამღვდელოებას ამ ფულების შემოტანაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ბ. ქორიძეს თითო ნომრის საგალობლის გადაღებაში ეძლეოდა ექვსი მანეთი და გალობის გამამცემლებს – ხუთი მანეთი და ორივეს თითო ნომერში თერთმეტ-თერთმეტი მანეთი. დღეს გადაღებულია სულ 400 საგალობელი, რომელიც დაჯდა 4,400 მანეთი. ნოტებზე გადაღებული საგალობელი შემონმებულ იქმნა კომიტეტისაგან, გალობის მცოდნე პირთა და საზოგადოებისაგან და აღმოჩნდა ნამდვილად ის გალობა, რომელიც დღეს არსებობს დასავლეთ საქართველოში და რომელსაც გალობენ ჩვენში საეკლესიო გალობის მცოდნე პირნი.

დღეს ჩვენ ხელში გვაქვს ნოტებზე ახლად გადაღებული საეკლესიო საგალობელი, რომელთაც დაჭერილი აქვსთ ხუთას სამოცი ფურცელი. პირველი მიზანი ამ გალობის ნოტებზე გადაღებისა ის იყო, რომ იგინი დაბეჭდილიყვნენ. ჩვენ მოველაპარაკეთ ბ. ტატიშვილს თფილისში ამ ნოტებზე გადაღებული გალობის დაბეჭდვის შესახებ. მათი ანგარიშით, ამ ოთხასში საგალობლის დაბეჭდვა სამღვდელოებას დაუჯდება არა ნაკლებ 8,000 მანეთისა. ჩვენის გამოანგარიშებით და ფიქრით შეიძლება, რომ ეს დაწერილი ნოტები დაიბეჭდოს 4,000-5,000 მანეთადაც ათასი ეგზემპლარი. ჩვენ გვაქვს ათასი მიწერ-მოწერა ლიტოგრაფიებთან და რასაც შევიტყობთ, ვაცნობებთ საზოგადოებას.

აი, როგორ მდგომარეობაშია დღეს დასავლეთ საქართველოში ქართული საეკლესიო გალობის აღდგინების საქმე. ქართლისა და კახეთის სამღვდელოებას აღმოუჩნდა ერთი კეთილი კაცი, რომელმანც ითავა ქართული გალობის ნოტებზე გადაღება და თავისი ხარჯით მისი დაბეჭდვა. ეს კეთილი პირი ბრძანდება პატივცემული ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოსა. სრული იმედია, რომ ის გაამართლებს თავის აღნათქვამს და ქართლ-კახურ საეკლესიო გალობის კილოს აღადგენს ქართლისა და კახეთის ეპარქიაში ნოტებზე გადაღებით და დაბეჭდვით, რომლის მუშაობაზე დიდი ხანია დამდგარია ბ. იპოლიტოვ-ივანოვი.

ნუთუ დასავლეთ საქართველოში არ აღმოგვიჩნდებიან იმისთანა კეთილი პირნი, რომ გამოიმეტონ ოთხი ათასი მანეთი და ნოტებზე გადაღებული გალობა თავისი ხარჯით დააბეჭდვინონ და ამით დაამთავრონ ეს კეთილი დაწყებულება!

აქ პირველად საჭიროა 4000-5000 მანეთის შეძლება, რომელიც ნოტების დაბეჭდვის შემდეგ თუ მალე არა, ბოლოს სულ შემოვა გასყიდული გალობის ნიგნებიდამ. გიმეორებთ, ნუთუ დასავლეთ საქართველოში არ აღმოჩნდება ამისთანა პირი ან სასულიერო და ან სახორციელო წოდებაში? თუ ჩვენში ამისთანა პირები არ აღმოჩნდებიან, ნუ თუ სამღვდელოება ორი ეპარქიისა რვაას პირამდისინ ვერ შეჰკრებს როგორმე 4000-5000 მ., რომ ეს ნოტებზე გადაღებული საგალობელი დააბეჭდვინოს და საუკუნოდ დაავალოს შთამომავლობას! ნუთუ მღვდლები, რომელთაც მარტო ექვს-ექვსი მანეთი შეხვდებათ გადასახადად, ვერ შეიძლებენ ამ ფულების შეკრებას თავიანთ სამრევლოში იმ პირობით, რომ თითო ნიგნი ამ დაბეჭდილი საგალობლისა თავიანთი ეკლესიისათვის შეიძინონ? ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ საგანს მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას, დაფიქრდება და მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც დაუმტკიცებს საზოგადოებას, რომ ის მზად არის ყოველ კეთილ საქმეს შეენიოს და ხელი მოუმართოს. მთელი რუსეთის სამღვდელოების ყურადღება ეხლა იმაზეა მიქცეული, რომ ყველა ეკლესიებში კარგად განწყობილი გალობა არსებობდეს. დროა, ჩვენც ვიზრუნოთ ჩვენი ხალხისათვის და არ დავუკარგოთ მომავალ თაობას ის მაინც, რაც დიდის გაჭირვებით შეუძენიათ და დაუტოვებიათ ჩვენთვის ჩვენს წინაპრებს.

დეკ. დ. ლამბაშიძე

116. ივერია, 1887, 13 დეკემბერი, №262, გვ. 2

* * *

თელავი: განსვენებულ იოსებ ელიოზიშვილს, რომელიც იყო მასწავლებელი გალობისა აქაურ სასულიერო სასწავლებელში, ბევრი ქართული ხმები დარჩა მის მიერ ნოტებზე გადაღებული. ეს ნოტები დღეს განსვენებულის დებსა აქვთ შენახული.

ურიგო არ იქნებოდა, რომ ეს ნოტები დაბეჭდილიყო და იმით გამოსადეგი გამხდარიყო ქართველი საზოგადოებისათვის.

1888

117. მწყემსი, 1888, 1-15 იანვარი, №1 გვ. 6-7

წერილი რედაქტორთან

მ. რედაქტორო! „მწყემსი“-ს მე-23 №-ის მონინავე წერილში, რომელიც შეეხებოდა ქართულ საეკლესიო გალობას, მე ნავიკითხე შემდეგი შენიშვნა: „არც ერთი პირი არ განწესდება ჩვენში მედავითნის თანამდებობაზე, ვიდრემდის „ეკზამენატორები“ კითხვაში და გალობაში არ გამოცდიან. გალობის სწავლაში ყველას უწერენ: კილოს გალობა იცის, ჰგალობს სოფლიური კილოთიო, მაგრამ რომელი კილოს გალობა იცის, ან რომელი სოფლის კილოთი ჰგალობს, ეს ერთადერთმა ღმერთმან უწყის“. ამ შენიშვნით თქვენ, მ. რედაქტორო, რასაკვირველია, იმის თქმა გასურთ, რომ დღეს ქართულ საეკლესიო გალობას საფუძვლიანად აღარავინ სწავლობს და ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, რომ ნოტებზე ახლად გადაღებული ქართული საეკლესიო გალობის დაბეჭდვისათვის იზრუნოს საზოგადოებამ და მოიპოვოს ამისათვის საჭირო ფული. მაგრამ შეიძლება ყველა მკითხველმა ესრეთი დასკვნა ვერ გამოიყვანოს თქვენის შენიშვნიდან. ზოგიერთს მკითხველს ადვილად შეუძლია თქვენი შენიშვნის სიტყვები ჩვენდამი მომართულ სიტყვებად ჩათვალოს. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ განვმარტო ეს კითხვა, რომ როგორც „ერთადერთმა ღმერთმან უწყის“, ისე კაცმანც იცოდეს ის, რაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს გალობის სწავლაში და ურომლისოდაც კარგი გალობის შესწავლა შეუძლებელია.

ყველას არ შეუძლია ჩვენი საეკლესიო გალობა ისე შეისწავლოს, რომ სასიამოვნოდ და სწორ კილოზე იგალობოს. გალობის შესწავლის მსურველს მიუცილებლად უნდა ჰქონდეს იმისათვის განსაკუთრებითი ნიჭი, კარგი სმენა, კარგი ხმა და მასთან სურვილი. ამათში თუ რომელიმე აკლია გალობის შესწავლის მსურველს, მან ბევრიც რომ იმეცადინოს, მაინც გალობის რიგიანად შესწავლა არ შეუძლია. ამაზე ჩვენ ყველა გალობის მცოდნე დაგვეთანხმება. ჩვენ ბევრი გვინახავს, რომელთაც გალობის შესწავლისათვის არ დაუზოგავთ არც ხარჯი, არც ცდენა და შრომა, მაგრამ ყოველივე შრომას და ხარჯს ამოდ ჩაუვლია ხოლმე მათთვის, რადგან მათ არა ჰქონიათ გალობის ნიჭი და კაი ხმა. აქედამ მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ყველა მედავითნეებს არ ექნებათ ის განსაკუთრებული ნიჭი და თვისებანი, რომელნიც გალობის კარგად შესწავლისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. რომ მართლა მედავითნეების ადგილები მხოლოდ ისეთ პირებს მივცეთ, რომელთაც კარგი

გალობა იციან, და არამცოდნეებს უარი უყვით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ათს მთხოვნელში ხუთს უარი უნდა ეთქვას. ეს კი შეუძლებელია, რადგან ბევრს, მართალია, გალობაში ნიჭი არა აქვს, მაგრამ საეკლესიო წიგნების კითხვა-ტიბიკონში კი ყოჩაღია.

გალობის კარგად შესწავლისათვის საჭიროა ორი-სამი წელიწადი და ისიც მაშინ, თუ კაცს კარგი ნიჭი აქვს. ამ დროის განმავლობაში შეიძლება ისე მოასწროს კაცმა სამივე წირვის წესების შესწავლა დღესასწაულის მეცხრე სძლისპირებით, რომ სამივე ხმებზედ შეეძლოს თქმა (დანყება, მალალი და ბანი). ისეთი მედავითნე, რომელსაც მარტო გალობისათვის ორი და სამი წელიწადი ეშრომოს, ძვირია. ამ სიძნელეს გაადვილებს მხოლოდ ნოტების ცოდნა, მაგრამ კარგად ნოტების შესწავლა, თვით ზეპირად გალობის შესწავლაზედაც უძნელესია.

ნუ დაივიწყებთ, რომ როცა ჩვენ მედავითნეებს გალობაში ვსცდით და შემდეგ უნერთ – კილოზე გალობსო, იმან იცის მხოლოდ კილოზე გალობა და არა გამშვენებით. იმას შეუძლია იგალობოს კილოზე პირველი ხმა მარტო, შეუძლია კიდეც ეს პირველი ხმა იგალობოს იმისთანა მგალობელთან, რომელმაც კილოზედაც იცის გალობა, გამშვენებითაც და სამივე ხმებზედაც ჰგალობს, ან მარტო კილოზე იცის, მაგრამ სამივე ხმები შეუძლია იგალობოს. აქ კიდეც ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ: არიან ისეთი პირნიც, რომელთაც კლებიათ რომელიმე ნიჭი გალობის შესწავლისათვის, მაგრამ დიდის მეცადინეობით უსწავლიათ გალობა, გალობენ კილოზე, მაგრამ გალობის დროს ხშირად გადაუხვევს ხოლმე მათი ხმა მათდა უნებლიეთ დანიშნულებისაგან, რადგან იმათი ხმა და ყელი არ არის ბუნებისაგან გალობისათვის შექმნილი. ამგვარი ხმის მქონე მგალობელი ისე ვერ შეუწყობს ხმას, რომ მასთან შეუშლელად იგალობოს კაცმა. ამგვარ კაცზე შეუძლებელია კაცმა სთქვას: კილოზე ვერ გალობსო.

რაც შეეხება იმას, რომ სოფლურად ჰგალობს, ან კილოს გარეშე ჰგალობსო, ეს იმას ნიშნავს, რომ გალობა კილოზე არ უსწავლია, იცის მხოლოდ ზეპირად და, როგორც თვითონ სურს, ისე უხვევს ხმას აქეთ-იქეთ და თან სიტყვებს ლაპარაკობს შიდ. ამგვარ თავისებურ გალობას მეორე და მესამე ხმას ვერავინ ვერ მიუყენებს.

საეკლესიო წიგნების კითხვაში თუ ზოგი მედავითნეები კოჭლობენ, ამისი მიზეზი, როგორც თვით უწყით, მრავალია. აი, ამისი უმთავრესი მიზეზები: მღვდლები თავიანთ შვილებს პირველად კლასისათვის ამზადებენ და ამიტომ მათ დასაწყისში საღმრთო წერილის კითხვას არ ასწავლიან. როცა მათი შვილები სასწავლებელში სწავლას შეასრულებენ და ან შესრულებამდის სასწავლებლიდამ რიცხავენ მათ, მხოლოდ მაშინ აწყებინებენ მამები საღმრთო წერილის სწავლებას თავის შვილებს. გამოცდილებით ვიცით, რომ, როდესაც კაცს უპირველესი სწავლის დრო ხელიდან წაუვა, შემდეგ ყოველი სწავლა იმისათვის ძნელია. რომ საეკლესიო წიგნების კითხვა კარგათ იცოდეს კაცმა, ამისთვის საჭიროა ბავშვობის დროს კითხვაში თვალის გატეხა; უამისოდ ამ დანაკლისს კაცი ადვილად ვერ გაისწორებს. ვსთქვათ, რომელიმე მედავითნემ დიდი ვაგლახით შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვა და ტიბიკონი, „ეკზამენიც“ დაიჭირა, მაგრამ იმათ შემდეგშიაც ისრეთი დაბრკოლებანი ხვდებათ წინ, რომ მათი ძლევა შეუძლებელია. ბევრი სოფლის მღვდელი წელიწადში ხუთჯერაც არ ლოცავს ეკლესიაში მწუხრსა და ცისკარს, გარდა დიდი მარხვის პირველი შვიდეული-სა! მღვდლები უმეტესად ლოცულობენ თავიანთ სახლებში მარტო ლოცვანსა და ჟამნდავითიანს, იმათაც მხოლოდ შაბათსა და კვირას. ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ლოცვის დროსაც ზოგი მღვდლები ხშირად მიადახებენ ხოლმე მედავითნეებს: ჩქარა, ჩქარაო! ეს ჩვენ თვით მედავითნეებისგან გაგვიგონია. ამგვარ მღვდელთან მოსამსახურე მედავითნის კითხვაც და ტიბიკონიც ადვილად დაავიწყდება. კაცს, რომელსაც რომელიმე სასწავლებელში დაუშთავრებია სწავლა და მიუღია მონაშობა, არ შეუძლია წინეთ ნასწავლ საგნებში ხეირიანი ეკზამენი მისცეს. თუ მას ნასწავლი საგნები ერთის ან ორის წლის განმავლობაში არ გაუმეორებია. თვითოეულ მედავითნეზედაც ესევე ითქმის – იმ მედავითნეს, რომელიც

ლოცვის ყოველივე წესს თავის რიგზე ასრულებს, არათუ დაავიწყდება მას კითხვა და საეკლესიო წიგნების ტიბიკონი, არამედ უფრო კარგადაც შეისწავლის. არიან ბევრი ისეთი მღვდლები, რომელნიც თავიანთ მოვალეობას რიგიანად ასრულებენ. ამგვარ მღვდლებთან ნამსახური მედავითნეები კიდევაც ადვილად იჭერენ „ეკზამენს“ ერთი ადგილიდგან მეორე ადგილზე გადასვლის, ან მათი კურთხევის დროს.

ზემოაღწერილმა გარემოებამ ერთ მოსაზრებამდის მიმიყვანა, რომელიც ამასთანავე უნდა აღვიარო: თუ გვინდა, რომ მედავითნეებმა კითხვა–ტიბიკონსა და გალობაში სიკოჭლეს თავი დააღწიონ, ჩემის ფიქრით, საჭიროა ვინმემ ითაოს და სასულიერო მთავრობის ნებართვით გახსნას ორი წლიური „სამედავითნო სკოლა“, სადაც მიიღებოდეს სასულიერო ოთხკლასში კურსშესრულებულები, რომელნიც სემინარიაში ველარ წავლიან და სხვა პირნიც. ამ სკოლაში უნდა იყოს საგნად დადებული მხოლოდ საღმრთო წერილის კითხვა, ტიბიკონი, გალობა და სხვა სამედავითნო საგნები, ვინემ დღეს იციან. რასაკვირველია, ყოველივე ამგვარი საქმისთვის ფულია საჭირო, მაგრამ აქ მხოლოდ უსაჭიროესია მონდომება და თაობა, თორემ მონდომების შემდეგ საქმე ყოველთვის გაკეთებულია და გაკეთდება კიდევაც.

მთავარდიაკონი რ. ხუნდაძე

118. მწყემსი, 1888, 30 მარტი, №6, გვ. 3

წერილი რედაქტორთან!

მ. რედაქტორო! „მწყემსი“-ს მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბლალორინი შარაბიძის საბლალორინო მღვდლებმა და მედავითნეებმა ჰშეკრიბეს ფულები მათი ბლალორინის პატივის საცემლად და დაადგინეს, რომ ეს შეკრებილი ფულები მოხმარებოდა რაიმე კეთილ საქმეს მათი ბლალორინის სურვილისამებრ. ბლალორინმა შარაბიძემ მისდამი რწმუნებული სამღვდელოების ასრეთი დადგენილობა მოახსენა მის ყოვლადუსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და ნებართვა სთხოვა მათ მეუფებას, რომ ეს ფულები მოხმარებოდა ან სამრევლო სკოლას და ან საეკლესიო გალობის საქმეს. ყოვლად სამღვდელომ კეთილ ინება, რათა ეს ფულები მოხმარებოდა გალობის საქმეს. ყოვლად სამღვდელოსაგან ნებართვის შემდეგ ბლალორინმა შარაბიძემ მოიწვია ქართული საეკლესიო გალობის მცოდნე აზნაური ნიკოლოზ დიმიტრისძე კანდელაკი, რომელსაც უნდა ესწავლებია მსურველთათვის გალობა ხსენებული ბლალორინის საბლალორინოს სამრევლოებში. ბ. კანდელაკი მოვიდა რაჭაში 27 დეკემბერს 1887 წელსა. ბლალორინმა შარაბიძემ მოიწვია საეკლესიო გალობის შესწავლის მსურველნი. მსურველები ბლომად აღმოჩნდნენ. ბ. კანდელაკი ერთგულად შეუდგა გალობის სწავლების საქმეს და მისი მუყაითი მოქმედებით მსურველთ ცოტა ხნის განმავლობაში შეისწავლეს იოანე ოქროპირის წირვის სრული წესი. ახალმა მგალობლებმა 2 თებერვალს იგალობეს ოთხს სოფელში: პირველს და მეორე სადმელში, ღვიარას და ბოსტანაში. ამ სოფლის ეკლესიებში ამ დღეს მლოცველები ისე ბევრნი იყვნენ, რომ თავისუფალი ადგილი აღარ იყო ეკლესიაში. ყველამ იცოდა, რომ ზემო აღნიშნულს ეკლესიებზე ამ დღეს იგალობებდნენ ახალი მგალობლები და ამიტომ ყველას სურდა მოესმინა გალობა. დღეს ამ სოფლის ეკლესიებში ყოველ კვირა-უქმე დღეებში არის ხოლმე გალობა და ხალხიც ბლომად დაიარება ეკლესიებში. არ გვჯეროდა, თუ გალობა ასე მიიზიდავდა ეკლესიაში მლოცველებს. იმე-

დია, რომ ანი ჩვენი ეკკლესიები ცარიელი არ იქნებიან ღვთის მსახურების დროს. კვირა-უქმე დღეებში ზემოდ აღნიშნული სოფლების ეკკლესიებში შორეული სოფლებიდანაც ბლომად მოდიან გალობის მოსასმენად. დღეს მგალობლები იმეორებენ სამივე მღვდელმთავრების წირვის წესებს და რამოდენიმე ძლისპირებსაც.

იმედია, რომ მ. შარაბიძის საბლალოჩინოს მღვდლების და მედავითნეების მაგალითს აღმოუჩნდებიან მიმბაძველნი და ამ საქმით ჩვენს ეკკლესიებში მლოცველთა ყურთასმენას დაატკბობს კაი გალობა, რომლის შემწეობით მლოცველებს ბლომად მოვიზიდავთ ეკკლესიებში.

მღვდელი ეფ. შ-ძე [ეფრემ შარაბიძე]

119. ივერია, 1888, 25 დეკემბერი, №273, გვ. 2

მკითხველებს ეხსომებათ, რომ დირექტორს ტფილისის სამუსიკო საზოგადოებისას ბ-ნ ივანოვს ნოტებზედ გადააქვს ქართული საეკკლესიო გალობა კარბელიანთ კილოსი. ეს საქმე დღეს ასეთს მდგომარეობაშია: ბ-ნ ივანოვს უკვე გადაუღია 200 ნომრამდე საგალობელი, სახელდობრ წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილ დიდისა და გრიგოლ ორმეტყველისა, წესი ნათელისა, ქორწინებისა და მიცვალებულისა, მთელის წლის გადიდების და სხვანი. დარჩა კიდევ გადასაღები 862 ტროპარ-კონდაკი, კატავასია, მღვთისმშობლისა და საცისკრო სძლისპირნი, თორმეტი საუფლოსი და რვა ხმა რომელი ქერუბიმთასი.

1889

120. ივერია, 1889, 12 იანვარი, №8, გვ. 2

ახალი ამბავი

წმ. ნინობასა, 14 ამ თთვისას, ჩვეულებისამებრ წირვა იქნება ქართულად. ძმათა კარბელაანთ ხორო იგალობებს ზოგიერთს საგალობლებს, ნოტებზედ გადაღებულს ბ-ნ ივანოვის მიერ. ხოლო მწუხრზედ, რომელიც იქნება ღამისთევით, 13 ამ თთვისას საღამოთი, იგალობების: „აკურთხევ სული ჩემი“, „ნეტარ არს კაცი“, „ნათელი მხიარული“, „ან განმითქვე“, ტროპარი წმ. ნინოსი „სიტყვისა ღმრთისა“, „აქებდით მონანი უფალსა“, „გადიდებსი“. მეორე დღეს წირვის წესი სულ ნოტებით იქნება, პარაკლისიც ითქმის აგრეთვე ნოტებით და განიცადებზე ითქმების „განმანათლებელი“, აგრეთვე ნოტებზე გადაღებული ყველასაგან პატივცემულის ბ-ნის ივანოვის მიერ. იმედია, რომ ქართველობა ამ დღეს სასოებით მოისმენს გალობასა და ცოტათი დაშოშმინდება, რომ გალობის ნოტებზე გადაღების საქმე კეთდება და

არ არის დავინწყებაში. ამბობენ, რომ ამ წელიწადში იქნება დასრულდეს სრულიად ეს საქმეო. ამ საღამოს, 13 იანვარს, მწუხრზედ მობრძანდებაო მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა პალლადი ეგზარხოის საქართველოსი მოსასმენლად ლამისთევით მწუხრისა და გალობისა.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მისს ყოვლადუსამღვდელოესობას პატივცემულს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, ბ-ნს ივანოს და ძმათა კარბელაშვილთა განუზრახავთ, რომ რაც დაწერილია გალობანი ნოტებზედ, ის გამოიცეს ნაწილ-ნაწილად. სულ 5 ნაწილად დაიბეჭდება. პირველი ნაწილი იქნება წმ. ნინოს პარაკლისით წესი მწუხრისა, ცისკრისა და წირვისა.

121. ივერია, 1889, 17 იანვარი, №11, გვ. 1

ახალი ამბავი

წმინდა ნინობას სიონის ტაძარში სწირა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ ქართულად. წირვაზე ჰგალობდა ორი გუნდი, ერთი ქართულად და მეორე რუსულად. მესამე გუნდმა აღ-ნიაშვილისამ წმინდა ნინოს პარაკლისის დროს იგალობა. ამ უკანასკნელის გალობის კილო ისეთი იყო, რომ, როგორც იტყვიან, კედლებმაც კი გაიხარეს და გაიცინეს. მშვენივრად და მწყობრად, შესამჩნევის მომზადებით გაისმა გალობა და თვით წირვის მსმენელებში ისეთი აღმაფროთოვანებელი გრძნობა აწარმოვა, რომ მთელს ტაძარში შიგა და შიგ მლოცველნიც კი აჰყვნენ გუნდს დაბალის ხმით და ლილინებდნენ. ეს ვგონებთ აღნიაშვილის გუნდმა უკეთეს ჯილდოდ მიიჩნიოს. აგერ ათი წელიწადია, რაც ქართულ საეკლესიო გალობაზე გვაქვს ლაპარაკი, და მხოლოდ ამ წმინდა დღესასწაულის დღეს გვეღირსა გვენახა ამ საქმის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ჯერჯერობით მხოლოდ დაწყებას ვხედავთ საქმისას. სასურ-ველია, ორსავე ქართველ მგალობელ გუნდთა წარმართოთ თავისი მსვლელობა, ერთად იმუშავებენ თუ ცალ-ცალკე, ეს სულ ერთია. სასიამოვნო იყო, რომ აღნიაშვილის გუნდს, რომელიც საერო სიმღერების შესწავლას მისდევს, საეკლესიო გალობის სწავლაც დაუწყია. წირვაზე დიდძალი ხალხი დაესწრო და წირვის გამოსვლის შემდეგაც მესამე საათის ნახევ-რამდის წმინდა ნინოს ჯვარის სამთხვევად ხალხის ფეხი არ შეწყვეტილა ტაძარში.

122. მწყემსი, 1889, 15 მარტი, №5 გვ. 15

განცხადება

ჩემდამო რწმუნებულს ჯრუჭის მონასტერში (იმერეთის ეპარქიაშია) მე მოვიწვიე გური-იდან კაცი, რომელმაც ზედმინევით იცის საეკლესიო გალობა. ამისათვის ამ მონასტერში მოვუწოდებ ყველა მედავითნეთა და ყმანვილ კაცთა, რომელთაც კი სურთ შეისწავლონ ჩვენი საეკლესიო გალობა. გალობის შესწავლის მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე დახელოვნდენ

საეკლესიო წიგნების კითხვასა და ტიბიკონში. გალობის და საეკლესიო ტიბიკონის შესწავლის მსურველთ უნდა შემოიტანონ მონასტერში მარტო თავის სამყოფი საზრდო, ხოლო სწავლებისათვის ფული არავის არ გადახდება. მსურველთ შეუძლიათ მომმართონ პირადად მე მონასტერში.

ჯრუჭის პირველ კლასის მონასტრის არქიმანდრიტი სიმეონი

123. ივერია, 1889, 2 სექტემბერი, №185, გვ. 1

ახალი ამბავი

*** * ***

ბევრი რამ გვაკლია ქართველებს და ბევრი რამ მეტად საჭირო საქმეა ჯერ გასაკეთებელი. სახარების სიტყვები: „სამკალი ფრიად და მუშაკნი ყოვლად არაო“, სწორედ ჩვენზედ ითქმის. მხოლოდ თითო-ოროლანი სცდილობენ, ვისაც რა შეუძლიანთ, გააკეთონ და თავისი ხვედრი წვლილი შეიტანონ ჩვენის ქვეყნის საერთო საღაროში. ერთი ასეთი წვლილია „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, ანუ ნოტების პირველი დასაწყისი ანბანი, შედგენილი არხი-დიაკონის იოსებ შარაბიძის მიერ. ამისთანა სახელმძღვანელო ჩვენთვის ფრიად საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ სხვადასხვა ქართული სიმღერა და გალობა უკვე გადაღებულია ნოტებზე, ხოლო ამ ნოტებს სწავლა უნდა. ამას გარდა, სკოლებში შემოღებულია ნოტების სწავლება და ეს სწავლება, რასაკვირველია, უფრო გაადვილდება, როცა სახელმძღვანელო ექმნება სკოლას. პატივცემულს ავტორს, მამა ი. შარაბიძეს, უკვე გადაუცია თავისი სახელმძღვანელო დასაბეჭდად.

124. ივერია, 1889, 5 სექტემბერი, №187, გვ. 4

განცხადებანი

ბ-ნი რატილი აუწყებს ქართულის ხოროს მაგალობელთ, რომ უკვე დაბრუნდა ტფილისს, ბინა აქვს მუხრანის ქუჩაზე, ქართველიშვილის სახლში, №10, და იწვევს მაგალობელთა თავისთან 6-ს ამ თთვისას, ოთხშაბათს, საღამოს 5-ს საათზე.

125. ივერია, 1889, 16 სექტემბერი, №195, გვ. 2

*** * ***

სოფ. წყალტუბო (იმერეთი): წყალტუბელები ღვთიშობლობას დღესასწაულობენ. არასოდეს ამ დღეობას ისე მშვიდობიანად არ ჩაუვლია, როგორც წელს. უნინ სამი-ოთხი კაცი უსათუოდ უნდა დაეჩეხნათ, წელს კი მშვიდობიანობა სუფევდა, რასაც სიამოვნებით ვიხსენიებთ გაზეთში. ამასთან

უნდა შევნიშნოთ ერთი ფრიად სასიამოვნო გარემოება, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც დღეობაზედ მოსულებზე, ისე აქაურებზედაც. ღვთისმშობლობა დღეს ურიცხვი ქალი და კაცი მოაწყდა აქაურს ეკკლესიას. დაიწყეს წირვა თუ არა, ეკკლესიაში გაისმა მშვენიერი ქართული გალობა აქაურის სოფლის სკოლის შეგირდებისა მასწავლებლის ბ-ნ ლ. ბოცვაძის ლოტბარობით. გალობა ისე მოიწონა საზოგადოებამ, რომ მეორე დღეს აქაურმა აზნაურებმა იოსელიანებმა სთხოვეს მასწავლებელს ბავშვები წამოეყვანა ეკკლესიაში საგალობლად. მასწავლებელიც დათანხმდა და აგალობა ბავშვები ქართულად კარბელაშვილის კილოზე. ეს პირველია მწყობრი ქართული გალობა ჩვენს ეკკლესიაში და ვისურვებთ, რომ უკანასკნელიც არ იყოს.

1890

126. ივერია, 1890, 5 იანვარი, №3, გვ.2-3

სახალწლო წერილი კახეთიდან

[...]

შარშან-წინ, 1888 წ., სამღვდლოთა კრებამ მიაქცია ყურადღება ერთს მართლადა საყურადღებო საგანს – ქართულს ენას, რომელიც სანატრელს მდგომარეობაში არ არის, ქართულს გალობასა და ქართულად წირვა-ლოცვას. დაიბარა კრებამ ზედამხედველი და მოსთხოვა პასუხი: რა მიზეზია, რომ ამ სასწავლებელში, საიდგანაც უნდა გამოვიდნენ ქართველი მღვდლები, ქართული წირვა-ლოცვა ასე იშვიათია და ამ წირვა-ლოცვას არ აჩვენებთ და არ ათვისებინებთ მოსწავლეებსაო.

– იმიტომ, რომ გალობის მასწავლებელი ვერ ასწავლის მონაფეებს ქართულს გალობას და უკანასკნელთაც, რასაკვირველია, არა გაეგებათ რა ქართულის გალობისაო.

კრებამ დაავალა ზედამხედველს, რომ უმთავრესი ყურადღება მიექცეს ქართულს გალობასა და ქართულად წირვა-ლოცვას.

დავალება „დავალებად“ დარჩა და გალობის მასწავლებელი 1889 წ. არ ასწავლიდა ყმანვილებს ქართულს გალობას. წარსულს გიორგობისთვეში 1889 წლისას კვლავ შეიყარა სამღვდლოთა კრება. კრებამ შეუმცირა გალობის მასწავლებელს ჯამაგირი ოცდარვა თუმნამდე წელიწადში.

მასწავლებელი, როგორც მოსალოდნელიც იყო, წავიდა სხვაგან ადგილის საძებნელად.

თუ ვინმე გამოჩნდება რიგიანი გალობის მასწავლებელი და იკისრებს თელავის სასულიერო სასწავლებელში მისვლას, დარწმუნებული ვართ სამღვდლოება არ დაიშურებს იმისთვის ერთი-ორად ჯამაგირის მიცემას, ოღონდაც იმათმა შვილებმა და ჩვენმა მომავალმა მოძღვრებმა იცოდნენ ზედმინეწით იმ ხალხის ენა-გალობა, რომელ ხალხშიაც ისინი უნდა ჩადგნენ მღვდლებად და მოძღვრებად. უამისოდ სწავლაც ფუჭია, თუ ერი ცხოვლად და მარტივად ვერას გაიგებს თავის მოძღვრისასა და მოძღვარი თავის სამწყოსისას.

ორიოდე სიტყვას სამოქალაქო სასწავლებელზედაც ვიტყვოდი, რომელსაც აქაურები „რუსულს სკოლას“ ეძახიან, მაგრამ დარჩეს; ყველაფერს ხომ ვერ იტყვის კაცი: თქმასაც საბუთი აქვს...

ს. მოქალაქე [სურგვი მესხი]

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მესამე ნომერში ბ-ნი მოქალაქე თელავიდან მოწერილს წერილში სხვათა შორის ამბობს, რომ თუმცა სამღვდელოებამ დიდი ყურადღება მიაქცია ქართულის გალობის აღდგენას თელავის სასულიერო სასწავლებელში და დაავალა კიდეც ზედამხედველს ყურადღება მიექცია ქართულის გალობისათვის, მაგრამ დავალება დავალებად დარჩა და მასწავლებელმა არ ასწავლა ქართული გალობაო.“ აბა, ბ-ნო მოქალაქევ, შებრძანდით, მარტო კი არა, რადგან ვერ შეიტყობ რომელია ნამდვილი გალობა, შებრძანდით რომელსამე კლასში, დააწყობინეთ გალობა რომელსამე კლასს, თუნდ ცალკე და ნახავთ, რომ ქართული გალობა თურმე ყოფილა და თქვენ კი თქვენის მომხრეებით ტყუილად გამოილაშქრეთ ჩემზედ. შებრძანდით მეოთხე კლასში, სადაც მთელი კურსი თავდება სასწავლებლისა, დააწყობინეთ მთელი წირვის გალობა და ნახეთ, შეუტყდომლად იგალობებენ თუ არა.

მეორე ალაგას ბრძანებს, რომ თუ რიგიანი ვინმე გამოჩნდება, მეტს მისცემენ ჯამაგირსაო და სხვ., ე. ი. ვითომ ეჭვი შემოაქვს ჩემზედ, რომ მე ქართული გალობა არ ვიცი, ის, რაც საჭიროა სასულიერო სასწავლებელში. ამის შესახებ, აი, რას ვიტყვი: ბ-ნ მოქალაქემ და თითქმის მთელმა თელავმა იცის, რომ პირველად 1884 წ., როცა მე ბ-ნ პ. როსტომაშვილის დედათა სკოლაში ვიყავი გალობის მასწავლებლად, ქალთა გუნდი გალობდა მთელს წირვას ქართულად თვით ტაძარში ხშირად და თვით ბ-ნ მოქალაქის ქურქის ქვეშ ამოფარებული კაცების აღტაცებას ბოლო არა ჰქონდა და თითქმის ზეცას მაფრენდნენ ქებით. ამავე ქალთა გუნდმა აწირვინა 1889 წ. ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოზ ალექსანდრეს ალავერდის ტაძარში დღეობას. ახლა ვკითხავ ბ-ნ მოქალაქეს და ამის თანამოაზრეებს: ვინ მოამზადა ეს ქალთა გუნდი გალობაში და რა იქნა ის ცოდნა. გარდა ამისა, ვისი მოწაფეები გალობდნენ და გალობენ დღესაც ტფილისის სასულიერო სემინარიის ჩემგნით დაარსებულს ქართულ ხოროში. იკითხეთ, ბ-ნო მოქალაქე, და შეიტყობთ, რომ ჩემი და არა სხვისი. ჰკითხეთ თვით ჩემ მოწაფეთ და ისინი ყველას პირუთენელად გეტყვიან, ვასწავლიდი ქართულ გალობას, თუ არა.

რაიცა შეეხება იმას, თუ მე, „როგორც მოსალოდნელი იყო“, დავუწყე ალაგს თხოვნას, ეს ცხადი სიცრუეა: მე ალაგი უკვე მოცემული მქონდა 20 გიორგობისთვის და კრება კი 27 დაიწყო. რომ ეს ნამდვილია, ამაზედ თვით ბ-ნი ნ. ვ. მთვარელიშვილი დამემომწმება, რომელმაც 20 გიორგ. შემატყობინა, რომ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის რჩევამ გადასწყვიტა მოგვიწვიონ გალობის მასწავლებლად და დამავალეს უეჭველად შემეტყობინებინა თქვენთვისაცაო. გარდა ამისა, ჯერ სად იყო კრება, რომ როცა ისურვებს, გადმოვიყვან ჩვენს სასწავლებელში გალობის მასწავლებლად, თუმცა იგივე თითქმის მეც მითხრა.

განა თვით ბ-ნმა მოქალაქემ არ იცის, მაგრამ...მაგრამ ის, რომ შეიძლება მათთვის არ შევიქმენ ის, რაც იმათთვის არ იყო სასურველი.

**ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის
გალობის მასწავლებელი
ზ. ჩხიკვაძე**

*) რადგანაც ეს შენიშვნა შემეხება მე, როგორც ყოფილს მასწავლებელს აღნიშნულის სასწავლებლისას და ვინაიდან იგი შეადგენს უღირსს ცილისწამებას, ნება მიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, ჭეშმარიტება აღვადგინო.

ახალი ამბავი

კვირას, 18 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში იგალობა წინანდლელმა ქართულმა ხორომ, რომელიც შარშან მთელს წელიწადს გალობდა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. ხოროში სულ სამი თუ ოთხი კაცია, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ და ტკბილად იგალობეს. მსმენელთ დიდად ისიამოვნეს, რომ ასეთი მწყობრი, კეთილხმოვანი და ნამდვილი ქართული გალობა მოისმინეს.

პასუხი ბ-ნ ჩხიკვაძეს

„ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს“.

ჩემმა საახალწლო წერილმა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი გაამწვავა და გამოიყვანა მოედანზე აღჭურვილი სხვადასხვა საოცარის იარაღით. ეს ერთია ბ-ნი ჩხიკვაძე, „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელი“!

უნდა მოგახსენოთ, ამ „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს“ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძეს პასუხს არ გავცემდი, რომ სხვების გულისხმაში ჩაგდებაც არა მქონდეს ფიქრად.

წელს „ივერიის“ მესამე ნომერში დაბეჭდილ „საახალწლო წერილი კახეთიდგან“-ში მქონდა თქვენს უმორჩილეს მონა მოსამსახურეს პატარა შენიშვნა თელავის სასულიერო სასწავლებლის შესახებ. სხვათა შორის ვამბობდი:

შარშან-წინ 1888 წ. სამღვდელთა კრებამ მიაქცია ყურადღება ერთს მართლად საყურადღებო საგანს – ქართულ ენა-გალობას და ქართულ წირვა-ლოცვას, რომელიც სანატრელს მდგომარეობაში არ იმყოფება. კრებამ დაავალა ზედამხედველს, რომ უმთავრესი ყურადღება მიექცეს ქართულ გალობას და ქართულ წირვა-ლოცვას. დავალება „დავალე-ბად“ დარჩა და გალობის მასწავლებელი 1889 წელსაც არ ასწავლიდა ქართულ გალობას.

წარსულ გიორგობისთვის 1889 წ. კვლავ შეიყარა სამღვდელთა კრება. კრებამ შეუმცირა გალობის მასწავლებელს ჯამაგირი ოცდარვა თუმანადის წელიწადში. მასწავლებელი გალობისა, როგორც მოსალოდნელი იყო, წავიდა სხვაგან ადგილის საძებნელად.

თუ ვინმე გამოჩნდება რიგიანი ქართული გალობის მასწავლებელი და იკისრებს თელავის სასულიერო სასწავლებელში მოსვლას, დარწმუნებული ვართ, სამღვდელოება არ დაიშურებს იმისთვის ერთი-ორად ჯამაგირის მიცემას და სხვა...

აი, ამ ქვეშარიტს შენიშვნას გაუწინმატებია დღეს „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელი“, ხოლო წარსულ 1888 – 1889 წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად ყოფილი ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე და გაბედვით მიპასუხებს „ივერიის“ მე-18 №-ში: „ეგ ცხადი სიცრუეაო“, „ეგ შეადგენს უღირსს ცილისწამებასაო“, „თქვენის მომხრეებით და დასებით ტყუილად გამოილაშქრეთ ჩემზედაო“ და

სხვა. თვალები მოიფშვინტეთ, ბ-ნო ჩხიკვაძე? ნეტავ ვინ და რომელი „დასები“ გელანდებათ?! ან რა „სადასო“ და სათასო ბუმბერაზი ბრძანდებით?! როცა ზრდილობიანი საყვედური გითხრეს, იმის მაგივრად, რომ შეცდომა როგორმე გაისწოროთ ან აღარ გაიმეოროთ, მოჰყოლიხართ ძახილს: „ეს დასებია, შეთქმულება“ და სხვა. ნუთუ ამაზე უკეთესი იარაღი ველარა იპოვება რა საზოგადოების თვალების ასახვევად?!

იმის სამაგიეროდ, რომ საგანზე პირდაპირი პასუხი მოეცა ჩემთვის ბ-ნს ჩხიკვაძეს, მოჰყოლია „ოცობოდობას“ და ვინ იცის, რას არ გადასცემს და სად რას არ ეხლება ნამდვილის, ჭეშმარიტის გზისა და კვალის ასარევად. როგორც „წყალში დამხრჩვალნი ხავსს ეჭიდებოდან“, ისე ბ-ნი ჩხიკვაძე მივარდება როსტომაშვილი სკოლას და აჭრელებს მთელს ორს სვეტს „ივერიისას“ მოხსენებული სკოლის თაობაზე საუბრით. მაშინ მე, როდესაც კრინტიც არ მქონია დაძრული არც როსტომაშვილსა და არც იმის სკოლაზე ჩემს წერილში, არც ეხლა გავსცემდი ხმას ბ-ნ ჩხიკვაძეს როსტომაშვილის სკოლის შესახებ, რომ ანდაზა: „მტყუანს ტყუილის კარებამდის მიჰყევით“ ძალას არ მატებდეს და მეტი ღონეც არ არის, უნდა მივყვეთ ტყუილის კარებამდის.

ბატონი ჩხიკვაძე ბრძანებს:

ბატონმა მოქალაქემ და თითქმის მთელმა თელავმა იცის, რომ პირველად 1884 წ., როცა ბ ნ პ. როსტომაშვილის (უთუოდ ვანო როსტომაშვილი უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც პ. როსტომაშვილი დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, და არავითარი სკოლა და პანსიონი არა ჰქონია) დედათა სკოლაში ვიყავი მასწავლებლად და ქალთა (შეგირდთა) გუნდი გალობდა მთელს წირვის წესებს ქართულად თვით ტაძრებში ხშირადო (ბატონი ჩხიკვაძე, არა წითლდებით?!) და თვით ბ-ნ მოქალაქის და ამ მოქალაქის ქურქქვეშ ამოფარებული კაცების აღტაცებას ბოლო არა ჰქონდაო (ვაშა! ვაშა!!) და თითქმის ზეცას მაფრენდნენ (?!) და სხვ.

ჭეშმარიტად ესეც ერთი სიგმირეა ადამიანისა, ასე „თვალსა და თვალს შუა“ ტყუილი სთქვას, და მერე ამოდენა, ამ სისხო, და აცახცახებული ხელიდგან კალამი არ გაუფარდეს! აბა, რაეზსა ბრძანებთ, ბ-ნო ჩხიკვაძე, მასწავლებლო „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობისა?“ თქვენ კი გიგალობნიათ აქ თელავში ქართულად მთელის წირვის წესი, თუნდ სხვების დახმარებით, რომ მაშინდელ უსუსურ შეგირდ ბალებს იმონებთ?! ან სად არის ნეტავ ეს ტაძრები, ან ის ბედნიერი მღვდელი, რომელი იყო ერთს შემთხვევაში მაინც მწირველი, როცა თქვენ ისე ხშირად გალობდით ქართულად მთელს საგალობლებს წირვის წესისას? იმ მღვდლებმა მაინც დაგაჯერონ, რომ ეგ უსუსური, მტკნარი სიცრუეა, „ფერუმარილით“ შეთითხნილი, და ეგებ ბაზარში როგორმე გაასალო. მაგრამ თქვენგან მოხსენებულს „როსტომაშვილის“ სკოლას დაარსებიდგანვე ძლიერ ბეჯითად ვადევნებდი თვალ-ყურს და არც იოტისოდენი ავი და კარგი იმ სკოლისა არ გამომპარვია.

როსტომაშვილის სკოლის დედათა შეგირდებმა, მართალია, იცოდნენ თითო-ოროლა „უფალო შეგვინყალე“ და „ამინ კირიელისონი“ და ამას ბალებს ნასახალისებლად და ხალხში გასათამამებლად ათასში ერთხელ ეკკლესიაშიაც ათქმევინებდნენ ხოლმე, მაგრამ დანარჩენ საგალობელს დიაკვანი განაგრძობდა ჩვეულებრივის „კივიკვიტ“.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ ასწავლა როსტომაშვილის სკოლის შეგირდ ქალებს ეს თითო-ოროლა „უფალო შეგვინყალე“ და „ამინ კირიელისონი“, ამას მარტოკა თქვენ ტვირთულობთ, ბ-ნო ჩხიკვაძე, და აი რათა: თქვენ ისევ ტფილისში ბრძანდებით, როცა ის სკოლა გაიმართა; სანამ თქვენ თელავს მობრძანდებოდით და იმ სკოლის მასწავლებლად მიგინვედნენ, მანამ იმ სკოლაში ყოველისფერ შესაფერ საგნების სწავლა გაჩაღებული იყო, რადგანაც იგი სკოლა იყო და არა, როგორც თქვენ ეძახით, მარტოკა პ. როსტომ-

აშვილის საკუთრებად და საჭირობოროტოდ, არამედ სთვლიდნენ საერთო-საყოველთაოდ და ამისათვის ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა იმ წმინდა ტაძარში და ყველა სიამოვნებით შევლოდა და ეხმარებოდა პატიოსან მშრომელს როსტომაშვილს და გარდა ყოველ თთვიურის მცირედის შესაწირავისა, თელავის ყველა ქართველი მასწავლებელი მზად იყვნენ ყოველი დღე, როცა კი დრო ჰქონდათ, ესწავლებინათ უსასყიდლოდ რამდენსამე საათს. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, გ. საძაგლიშვილი, ვანო კაპანაძე, მღ. ი. შიუკაშვილი, განსვენებული მ. ქვლივიძე და სხვანი. რაც შეეხება სიმღერა-გალობას, ქართულ საერო სიმღერებს ასწავლიდა ქ-ნი სოფიო ზარაფიშვილისა, ხოლო ქართულ მცირე გალობას ასწავლიდა ბ-ნი შიო შიუკაშვილი.

აგრევე იქცეოდნენ უკანასკნელ შემთხვევამდის თქვენის მასწავლებლობის დროსაც, რომელ მათგანსაც კი დრო და შემთხვევა ნებას აძლევდა. რაც შეეხება ჩვენის ქებით „თქვენს ცაში აფრენას“, ჩვენ და ყველა ჩვენთაგანი ღმერთმა სამუდამოდ დაიხსნას მაგ გვარის სიგიჟისაგან!

ეგებ, ბ-ნო ჩხიკვაძე, მოგეჩვენათ, ან იქნება მწარედ დაგცინათ ვინმემ და თქვენ ქებად მიიღეთ?! მაგრამ მაინც სუბუქი კაცი ბრძანებულხართ, თქვენმა მზემ, თუ მაგრე ადვილად ცაში აფრინდით!!!

რაც შეეხება იმას, ვითომ „1885 წ. ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს აწირვინეთ ტაძარში დღეობას“, ეს ისეთივე თითო-ოროლა „უფალო შეგვიწყალებინო“ შემოზღუდული „ვანწირვინეთ“ გახლდათ, როგორც ზევითა ვსთქვით, და, თუ ყოვლადსამღვდელოს მოთმინება შერჩა და გარეთ არ გამოგყარათ, ეგ იმიტომ, რომ ჯერ „ღვთის ტაძარი იყო და მეორე – ეგებ ბალღები წახალისდნენო. აქ, ვითომ, თქვენი საქებარი რათ გნებავთ ჰპოვოთ?!

გარდა ამისა, ერთის „ბაღდადის“ არაკისა არ იყოს, ადამის წლის საქმე ხომ არ არის, რომ აღარა მოეხერხებოდეს რა, სულ ოთხის წლის საქმეს არა ლაპარაკობთ? ის შეგირდები ქალები აქვე გარშემო არ გვახვევია (თუ გინდა, ნულარ მოვიხსენებთ, ბ-ნ შიო შიუკაშვილის სწავლას) და ქართულ გალობაში შენგან ისე მშვენივრად განვრთინის როსტომაშვილის სკოლის შეგირს ქალებს აბა ერთი ამოაღებინე ხმა, რომ „ვიცით ქართული საეკლესიო გალობაო“, ყველას კი არა (სკოლაში 80 მეტი იყო) თუნდა სამს, ორს, ერთს მაინც!..

და რა საჭიროა ყველა ესენი, მაშინ როდესაც, როგორც ზევით გავიმეორეთ, 1888 წ. თელავის, სიღნაღის, თიანეთისა და ტფილისის მაზრის ერთმა წილმა და ზაქათაღის ოლქის სამღვდელოებამ, რომელსაც ერთადერთი სასულიერო სასწავლებელი აქვს თელავში, დაავალა ამ სასწავლებლის მთავრობას, რომ ქართულ ენა-გალობას მეტი ყურადღება მიაქციეთო, რადგანაც იგი გალობა თითქმის გამქრალია სასწავლებელშიო. აი, ამ „მეტის ყურადღებისათვის“ სამღვდელოებამ მიუმატა ბ-ნ ჩხიკვაძის ჯამაგირს თავის საკუთარი ჯიბიდგან ოცი თუმანი წელიწადში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული გალობა მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინა და ყოველ უქმესა და სადღესასწაულო დღეს უთუოდ ეგალობებინა შეგირდები, როგორც თვით სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, აგრეთვე ქალაქის საკრებულო და ღვთაების ეკლესიაში. მერე ან ერთჯერ უგალობებია ბ-ნ ჩხიკვაძეს?! არა და ათასჯერ არა.

ვიტყვი თქვენ კიდევ მეტს, სასაცილო იყო, რომ სამწუხარო არა ყოფილიყო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მდგომარეობა, როცა ძალაუნებურად ათასში ერთხელ მოიწვევდნენ თავისი შეგირდებით საგალობლად. რამდენჯერ გვინახავს საუფლისწულო დღესასწაულებში, როცა ყოვლადსამღვდელო ალავერდის ეპისკოპოზი ბესარიონი ბრძანებულა მწირველი, თელავის საკრებულო ეკლესიაში მთელი წირვა დიდის სასოებით აღუსრულებია ყოვლადსამღვდელოს მთელის კრებულით ქართულად, ხოლო ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე კი თავის შეგირდებით იმავე დროს გალობდა რუსულად!!

აგრეთვე სასაცილო იყო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის მდგომარეობა განსვენებულ გ. გ. ყარანგოზ-აშვილის დასაფლავების დღეს საკრებულო ეკკლესიაშივე, როდესაც მთელი წირვა და პანაშვიდი ქართულად იყო და მან და მისმა შეგირდებმა ვერ მოახერხეს ქართულად გალობა და მთელის წირვის წესს რუსულის გალობით ასრულებდა ბ-ნი ჩხიკვაძე.

ამ „არეულობით“ განცვიფრებულმა და მოთმინებიდგან გამოსულმა ერთმა უცხოელმა ხმამალა წამოიძახა: „რასა ჰგავს ეს! ნუთუ ქართველებს აქამდის არა გაქვთ ქართული გალობაო?!“

აბა, ვინ უპასუხებდა: ქართველებს ათი საუკუნეც მეტია, რაც ქართული ეკკლესიური გალობა გვაქვს, და აქ თუ არ არის, ამაში ქართული გალობა კი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა ბ-ნი ჩხიკვაძე და სხვა არავინაო.

დავანებოთ თავი ყველა ამას და მივმართოთ სამღვდლოთა კრების „ჟურნალს“, რომელიც შედგენილია ზემოჩამოთვლილი ოლქისა და ოთხის მაზრის სამღვდელოებისაგან და რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეგზარხოსის პალატის მიერ. „დადგენილება“ 1889 წ. გიორგობისთვის 27-ს თელავის, სიღნაღის, თიანეთისა და ნაწილის ტფილისის მაზრისა და ზაქათალის ოლქის სამღვდლოთა კრებისა (მუხ. მე-6):

Съездомъ духовенства телавскаго училищнаго округа отъ 1-4 декабря 1888 года постановлено было «ассигновать 200 рублю на жалованье учителю церковно-грузинскаго пенія. Просить Его высокопреосвященство экзарха Грузіи сделать распоряженіе, чтобы ученики духовнаго училища обязательно практиковались въ пьеніи и чтеніи по грузински въ двухъ городскихъ церквахъ: соборной и преображенской въ воскресніе и праздничные дни».

По заявленію членовъ училищнаго правленія отъ духовенства и депутатовъ, преподаваніе церковно-грузинскаго пенія въ училище находится въ крайне плачевномъ состояніи. Ученики остаются безъ ученія пенія, а объ обязательномъ практикованіи при училищной и городскихъ церквахъ нечего и говорить. Такимъ образомъ постановленіе прошлагоднаго съезда духовенства (1-4 декабря 1888г.), утвержденное Его Высокопреосвященствомъ экзархомъ Грузіи, осталось безъ всякаго вниманія и исполненія. Постановленіе отъ 27 ноября 1889 года: «съ 1-го января наступающаго 1890 года прекратить выдачу жалованья настоящему учителю церковно-грузинскаго пенія изъ 200 руб., ассигнованныхъ духовенствомъ округа на грузинское пеніе, впредь до приисканія правленіемъ училища надежнаго учителя грузинскаго пенія, хотя бы отъ духовенства округа понадобилось бы увеличеніе содержанія» და სხვ.

ვგონებთ, ესეც საკმაოა და კიდევ უნდა ეყოს „ტფილისის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის გალობის მასწავლებელს“, ბ-ნ ზ. ჩხიკვაძეს.

მოქალაქე

^{*)} ეს გაჭიყვებული „ტიტული“ საკუთრად ზ. ჩხიკვაძისა გახლავთ და ნურას უეცრავად, თუ გეხამუშოთ. მერწმუნეთ, მეც ეგრე საჩოთიროდ მიმაჩნია და მიმაჩნდა, როცა წავიკითხე გაზეთში (იხ. „ივერია“ №18) ეს მოხსენებული ტიტული და მაშინვე მომაგონდა ის იმერელი აკაკის სცენისა, რომელსაც ჰკითხეს, ვინა ხარო, და იმანაც სთქვა თავმონონებით: „მე გახლავარ ვარანცოვის უმფროსიკასრულჩიკის-პოპოშნიკის-თანაშემწის-ხელქვეითი“... რა გაეწყობა, ყველას თავისი გემოვნება აქვს, ყველა ბარონი თავის ქეიფზე იქცევა: კაცია და გუნებაო...

ავტ.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის „ივერიის“ მე-28 №-ში ერთი თქვენი მოამბე აღიარებს თავის მწუხარებას შესახებ კარბელაანთ კილოს ქართული საეკკლესიო გალობის გამო, რომლის კილოსაც, კორესპოდენტის სიტყვით, მე^{*)} არა ვსჯერდები და ჯერ საზოგადოდ მთელს საეკკლესიო გალობას ვუცვლი კილოს და მერე განსაკუთრებით „უფალო შეგვიწყალენ“-ს ჩემებურად „ვთხზავ“, რის გამოც გალობას ეძლევა სხვა თვისება და ხასიათიო.

ძრიელ კარგი, ბ-ნო კორესპოდენტო, და რომელს გალობას ეძახით კარბელაანთ კილოს და რით განირჩევა სემინარიის ქართული ხოროს გალობა იმ კილოსაგან? მგონია, რომ არაფრით. რადგან წინად იყო და კარბელაშვილები ასწავლიდნენ საეკკლესიო ქართულს გალობას სემინარიაში და ეხლა კიდეც – მღვდელი მოლოდინაშვილი ნოტებით, რომელიც დაწერილია ივანოვისაგან კარბელაშვილების მგალობელთა დასის მეოხეობით, რომელთა შორის მონაწილეობას იღებდა თვით მღვდელი ა. მოლოდინაშვილი. სჩანს, რომ სემინარიაში უსწავლებიათ და ასწავლიან თითოეულს წევრს იმ მგალობელთა დასისას, რომლის გალობის კილო და თვისებაც თქვენს ესთეტიურ გრძნობას აკმაყოფილებს. მაშ, ეხლა რაღა გუნება გეცვალათ? მხოლოდ მე გულწრფელად შემეძლიან ვსთქვა, რომ ვიყავ და ვარ იმ კარბელაანთ კილოს მომხრე და მოყვარული, რომელიც, როგორც თქვენც ამტკიცებთ, არის გავრცელებული და უკვე დამკვიდრებული აღმოსავლეთ საქართველოში.

შემდეგ განსაკუთრებით ბ-ნი მოამბე თანაუგრძნობს კარბელაანთ კილოზე „უფალო შეგვიწყალენ“-ს, რომელიც ვითომ გამიგზავნია დავიწყების არხივში და იმის მაგივრად „შემითხზავს ახალი „უფალო შეგვიწყალენი“, რომელიც უფრო საერო სიმღერას ჰგავს, ვიდრე საეკკლესიო გალობას“.

აბა, ჰკითხეთ თვითონ ვ. კარბელაშვილს, დაგემონმებათ ამაზე, თუ არა. ან არადა შემოიარეთ მთელი კახეთი და ჰკითხეთ გალობის მცოდნეებს: ყ. მენთეშაშვილს, რომელმაც ბენაშვილს ქართული გალობა გადააღებინა ნოტებზე, ან კიდეც შუამთის მონასტრის ილუმენს მ. ფილარეტს, რომელსაც კარბელაშვილების განსვენებული მამისაგანა აქვს პირდაპირ ნასწავლი ქართული გალობა საფუძვლიანად, და რომელთანაც ს. ველისციხეში რამდენჯერმე მიგალობნია. თითქმის მთელს კახეთში, ყველა ეკკლესიებში გალობენ იმ „უფალო შეგვიწყალენ“-ს, რომელსაც კორესპოდენტი ჩემგნით შეთხზულს ეძახის, და თუ ესეა, მაშასადამე, ჩემგნით შეთხზული (?) „უფალო შეგვიწყალე“ ყოფილა კარბელაანთ კილო, რადგან თქვენც მემონმებით, რომ კარბელაანთ კილო დამკვიდრებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო მე იქაური გალობა ვიცი და თუ ნოტებზე დამიწერია ის გალობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლად შემითხზავს, არამედ გადამიღია ნოტებზე ზეპირი ცოდნა ხოროს სასწავლებლად. აქედგან სჩანს, რომ თქვენ თითონ არა გცოდნიათ, თუ რამდენგვარი „უფალო შეგვიწყალე“ აქვთ კარბელაშვილებს.

მგონი, რომ ისევ სჯობდა, ჯერ კარგად გაგეგოთ, ბ-ნო მოამბევ, „უფალო შეგვიწყალეს“ ვითარება, და თუ რამდენად შეთხზულია და უკან ჩამორჩენილი კარბელაანთ კილოს, და მერე ისე გეჭირისუფლნათ.

სემინარიის ქართული ხოროს ლოტბარი გ. ლ-ლი [გიორგი ღვინიაშვილი]

^{*)} პასუხს მე გაძლევ, რადგან კორესპოდენტის განკითხვა მე შემეხება.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთს „ივერიაში“ ამ მცირედს ჩემს შენიშვნას.

კვირას, 25 თებერვალს, ავლაბრის წმინდა მარინეს ეკკლესიაში წირვა იყო. სხვათა შორის, ამ წირვის დროს ფრიად საყურადღებო იყო ქართული გალობა, რომელმაც ისე დაატკბო და აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი, რუსი თუ ქართველი, რომ არავის გაუგია, წირვა როგორ გათავდა. გალობდა სულ ოთხი კაცი, მაგრამ ისეთის ხმის შეწყობით, ისეთის დახელოვნებით, რომ ეკკლესიიდან გამოსული ხალხში გაისმოდა: „ნეტა როდის-ღა ველირსებით მაგისტანა გალობის მოსმენასაო“.

ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ ამ ეკკლესიების მღვდელი მ. სოლომონ შოშიაშვილი ისურვებდეს მრევლის წყურვილის დაკმაყოფილებას და სემინარიის რექტორს გამოსთხოვდეს რამდენსამე ქართულს მგალობელს თავის ეკკლესიაში საგალობლად კვირაობით მაინც, რომლითაც დიდად დაავალებს მრევლს.

თბილისის მოქალაქე მამნიევი

ახალი ამბავი

* * *

ტფილისის სამღვდელოების ახალ ბლალორჩინი მ. სოლომონ შოშიაშვილი ძალიან ცდილობს ეკკლესიების გაუმჯობესობას და ხშირადაც ჰმართავს სამღვდელოების კრებას ყოველნაირ საეკკლესიო საჭიროებაზედ მოსალაპარაკებლად. პირველს კრებაზედ ბლალორჩინმა აუხსნა მღვდლებს, თუ რამდენად საჭიროა, ყველა ეკკლესიის დიაკვანმა იცოდეს კარგი გალობა, რომ ეკკლესიაში ცუდის გალობით მლოცავთ სასოება არ დაეკარგოთო. ეს აზრი ბლალორჩინისა მღვდლებმა მოიწონეს და დაავალეს მღ. ვასილ კარბელაშვილს, ესწავლებინა დიაკვნებისთვის გალობა და გასამრჯელოდ დიაკვნებისაგან თთვეში თითო მანეთი აელო. ეგზარხოსმა უკვე ნება დართო და ახლა დიაკვნები იკრიბებიან ავლაბრის წმინდა მარინეს სამრევლო სკოლაში ოთხშაბათობითა და პარასკეობით, სალამოს შვიდს საათზედ, და იქ მღ. ვასილ კარბელაშვილი ასწავლის გალობას. გარეშეთაც ვისაც ჰსურთ გალობა ისწავლოს, შეუძლიან იაროს დანიშნულს დროს. არ იქნება ურიგო, სხვა ძმებმაც მიჰბადონ მღ. ვასილ კარბელაშვილს, თავიანთ საბლალორჩინოშიაც შეჰკრიბონ დიაკვნები და ასწავლონ რიგიანი გალობა. ძმანი კარბელაშვილნი მღვდლები არიან სხვადასხვა ადგილას: კახეთსა, ქართლსა და ტფილისში. თუ განსვენებული მათი მამა მარტო ერთი კაცი სცდილობდა ყველგან გაევრცელებინა გალობა, ახლა ხომ შვილები ყველა კუთხეში არიან და მით უფრო ადვილად განახორციელებენ მამის აზრს.

საეკლესიო კითხვა-გალობის შესახებ

ამ თვის „ივერიისა“ №79 ახალ ამბებში მოხსენიებულია ქ. ტფილისის საბლალორჩინოს მღვდელთ კრების გარდამწყვეტილება იმის შესახებ, რომ ტფილისის დიაკვნებმა უნდ იარონ ავლაბრის წმინდა მარინეს სამრევლო სკოლაში ოთხშაბათობით და პარასკეობით სალამოს შვიდ საათზე, სადაც ისინი ისწავლიან მღ. ვასილ კარბელაშვილისაგან ქართულ საეკლესიო გალობასაო. ვინც იცის, რა მდგომარეობაშია ქართული საეკლესიო კითხვა-გალობა, იმათთვის, რასაკვირველია, სასიამოვნოა, სანატრელია ამისთანა მოვლენა. მაგრამ საუბედუროდ არ შემიძლიან არ აღვიარო, რომ ეს ერთი ნახევარია იარის წყლულის გასამრთელებლად, მეორე ნახევარი წყლულისა უხეირო კითხვაა. მე იმაზე უკეთესად ვერ დავხატავ, რა გავლენა აქვს ადამიანზე კარგ კითხვას, როგორც გაზეთმა „ივერია“ 18 თებერვალს №37 გამოსთქვა თავის მეთაურში. დიდი რამ არის, ვინც იცის კარგად ნაკითხვა წასაკითხისაო, ამბობს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს: „ხელოვნური კარგი ნაკითხვა არა მარტო სასურველია, სასარგებლოც არის, ნამეტნავად იქ, საცა წასაკითხს საქმე გრძნობასთანა აქვს, საცა სიტყვამ გულამდე უნდა მიაღწიოს მთელის თავის სავესეობით, სიღრმე-სიგანით, მთელის თავის მხურვალეობით, რომ გული მისძრას-მოსძრას, ჩვეულებრივ თვლემისაგან გამოაფხიზლოს და ფრთა შეასხას ან ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, ანუ რისხვისა და წყრომის ქარტეხისა და ჭექა-ქუხილისათვის...“ მკითხველს თუ უნდა, თითონვე მიმართოს იმ მეთაურს და მე კი სრულიად ვეთანხმები იმის ავტორს და გულადად ვიტყვი, რომ კითხვას პირველი ალაგი უჭირავს და გალობას – მეორე.

ახლა ვიკითხავ, საიდან უნდა იქონიოს ამისთანა გავლენა მკითხველმა მსმენელზე, როდესაც, ზოგჯერ კი არა, მომეტებულ ნაწილადაც, თვითონ არ ესმის, რასაც კითხულობს. აქ საჭიროა ცნობიერი კითხვა და არა მექანიკური, „დიაკვნური“, ცნობიერი კითხვისთვინაც ისე უნდა ემზადებოდნენ დიაკვნები, როგორც კარგის გალობისათვის.

მამა ვასილ კარბელაშვილი მარტო ვერ გაუძღვება ამისთანა რთულ საქმეს. საჭიროა მთელმა ტფილისის სამღვდელეობამ მიიღოს მონაწილეობა და არ დაზოგოს დრო: კვირაში ორი საათი რომ მოანდომოს თითო მღვდელმა, საქმე წინ წავა. მხოლოდ შესაკრებელი ადგილი განაპირი კი არ უნდა იყოს, როგორც ავლაბარი, შუა ქალაქში ცენტრში უნდა დაინიშნოს, რაიცა ძლიერ ადვილია.

იარმუკის მახლობლად ქ. ტფილისში საღმრთო წიგნთსაკითხავია, სადაც მსურველნი იკრიბებიან და თითო-ოროლა მამების ხელმძღვანელობით სწავლობენ ცნობიერ კითხვას საეკლესიო წიგნებისას, საღმრთო ისტორიას, გალობას. გალობას სწავლობენ კარბელაანთებურს და გურულს, რომელიც საჭიროა კარბელაანთებურის გალობის შესავსებლად. ჩემის აზრით, არ იქნება ურიგო ეს ორივე ერთფერი დაწესებულებანი შეუერთონ ერთმანეთს: რასაც თითოეული ცალკე ვერ მოახერხებს, ორივესთვის ერთად ადვილი მოსახერხებელი იქნება. იმედია, როგორც აქამდის არ დაუზოგავთ თავიანთი შრომა მამა მღ. პ. ყონჩუაშვილსა და მელქისედექ ნაკაშიძეს, გულმოდგენით მეცადინეობას არც ამას იქით დაზოგავენ. ამათ მიემატებათ მამა კარბელაშვილი და სხვები. ამისთანა შეერთებას მეორე უპირატესობაც ექნება. იმათთაგანი, რომელნიც ეხლა წიგნთსაკითხავში დაიარებიან, ბევრნი მიემხრობიან დიაკვნებს და შეეშველებიან ეკლესიაში გალობის დროს, როგორც ეხლა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაშია. თითო დიაკვანი და ორ-ორი, ან სამ-სამი ამათი თანამხანაგნი პატარა ხოროებს შეადგენენ.

მთავარდიაკონი ილ. მათიკაშვილი

წერილი ბ. ა. ს. ბ-შვილის მიმართ!

პატივცემულო ლოტბარო ა. ს-ძევ! აგერ ათი წელი განმავლობს, რაც თქვენ ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის მაგლობელთა გუნდს ლოტბარობთ. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოისურვეთ ადგილობრივი, ე. ი. იმერული კილოს გალობა მოესმინა აქაურ მკვიდრთა. ამისთვის, როგორც გამიგია, შრომაც მიიღეთ და ნოტებზეც დასწერეთ ადგილობრივი კილოს წირვის წესი, რომელიც ოთხ-ხუთ გზის კიდევაც აგალობეთ გუნდს ქუთაისის ტაძარში; ხალხი ბლომად დაესწრო ყოველთვის, სიამოვნებითაც მოისმინა და თქვენც სიამოვნებით გიხსენიებდა. ამით გათავდა საქმე. ეს იყო სწორედ იმ ხანებში, როდესაც ბ. ქორიძეს ურიგდებოდა სამღვდლოება ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას. რამ გაიძულათ, ბ. ბ-შვილო, ამის შემდეგ, რომ იმერული კილოს გალობას წიხლი დაჰკარით და ერთი „უფალო შეგვიწყალენ“ აღარ გიგალობნიათ? იმისი გაკეთება ხომ არ გეწყინათ, რაც უთქვენოთ გაკეთდა? თუ თქვენ ფიქრობდით ამ გალობათა დაწერას ნოტებზე, ეს სამღვდლოებას ფიქრათაც არ მოსვლია. ამიტომ, რომ ეს საქმე უთუოდ უფრო კარგს გამოცდილს და ყველასაგან ცნობილს ვისმე უნდა ეკისრა და კიდევაც მიანდევს ბ. ქორიძეს, ყველასაგან ცნობილს და ამ საქმეში დახელოვნებულს. იქნება თქვენ სთქვათ: მე ხომ ქართული გალობის ლოტბარი არა ვარ, რუსული გალობის „ხორო“ მაბარიაო, ვის რა ნება აქვს ვალდებული გამხადოს, რომ ამაზე იშრომეო. კარგი და პატიოსანი, თუგინდ ასთეც იყოს, მაგრამ ქართლ-კახეთის კილოს გალობისთვის ხომ ღებულობთ შრომას, ამზადებთ გუნდს და ხშირადაც გალობთ. ნუთუ იმერული კილოს გალობისათვის ვერ გადაანარჩუნეთ ცოტაოდენი დრო, რომ ხან ეს გეგალობნა და ხან ის? გარწმუნებთ, ბ. ბ-შვილო, რომ ჩვენ ქართლ-კახეთის კილოს გალობა და საზოგადოდ ქართული ხმების მოსმენა, სად და რომელი კუთხისაც უნდა იყოს იგი, დიდად გვსიამოვნებს, გვაამებს, დაგვატკბობს, გაგვახარებს. ჩვენი სისხლი და ხორცი ნუთუ ჩვენს არსებობას არ ასულდგმულებს, არ ამხნევეს, სიცოცხლეს არ მატებს? იმერული გალობის მოსმენა ქუთაისში, ნამეტურ ამჟამად, ყველას ენატრება. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ ქართული მაგლობლები კარგა ხანია, რაც აღარ ჰგალობენ, რადგან ქართულ წირვაზედაც რუსულად გალობენ. ეს ხომ კარგათ იცით, ბ. ლოტბარო! ესეც რომ არ იყოს, იმერეთის სამღვდლოებამ რამოდენიმე ათასი მანეთი დახარჯა ადგილობრივი გალობის ნოტებზე გადაღებისთვის. ეს ნოტებზე დაწერილი გალობა აქვე დევს. რომ მიგელოთ ცოტაოდენი შრომა და ამ ნოტებით მოგემზადებიათ გუნდი, ნუთუ ამის მოსმენა არ ესიამოვნებოდა საზოგადოებას, ანუ თქვენგან მართებული და რიგიანი არ იქმნებოდა ეს? შეიძლება კიდევ დაიჟინოთ და გვიბრძანოთ: ვინ რას გვაძლევს ამ შრომისთვისაო? მოგახსენებთ: აქ წინეთ ექვსი ქართული მაგლობელი იყო, დღეს კი იმათგან მხოლოდ ორია, დანაშთენი ზოგი სიკვდილით განშორდა სანუთროს და ზოგიც დათხოვნილ იქმნა. იმათი ჯამაგირები (თითოეულის ას-ასი მანეთი), რუსული გალობის „ხოროს“ და მათ „რეგენტს“ მოემატა. ნუთუ იმისთვის, რომ მიუცილებლად და მუდამ „ღოსპოდი პამილუი“ ჩასძახეთ ქართველებს ყურშიო! ქართლ-კახეთის კილოს რომ ჰგალობ ხანდახან, ისე, იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის „გაძლევთ“, ამისთვისაც ის მიიღეთ! რატო დგახარ განზე, ხან ერთი მოგვასმენიე და ხან მეორე – აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი იგალობეთ ქართულად, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესიამოვნა, მაგრამ ზოგიერთებისგან რა გავიგონე, იცი? „ბ. ბ-შვილი ერთობ მოკლე პატრიოტი ყოფილაო! რაც ეს ლოტბარათ არის, თუ როდისმე ქართულად აგალობა გუნდი, უსათუოდ ისე უნდა აგა-

ლობოს, როგორც ქიზიყში გალობენო; ნუთუ იმერული კილოს გალობა არ არის ნოტებზე დაწერილი, რომ ხანდისხან ისიც გამოურიოსო“. ძმობას გეფიცები, ეს სიტყვები მენყინა, მაგრამ რას არგებდა, იმან მაინც თავისი სთქვა.

ამ დღეს ჩვენ ზოგიერთ საგალობელში შევნიშნეთ სხვადასხვაობა და, თუ ნებას გვიბოძებთ, გვინდა აქვე გითხრათ ჩვენი შენიშვნა: „მრწამსი“ რატომ შეგირვეიათ! ჩვენმა სმენამ ასე შეიგნო, რომ „მრწამს“-ში ზოგი სიტყვები იმერულ კილოზე იყო ნაგალობევი და ზოგი ქართლ-კახეთის კილოზე; რატომ ერთ-ერთს არ დაეფუძნეთ? ან „მამაო ჩვენო“ რომ იგალობეთ, სადაური იყო? ან კიდევ „ანგელოსი ლალადებს“ და „განათლდი, განათლდი“ რომელი ერის მოტივია? ღმერთმა მშვიდობა მოგცეს ჩემო ძმაო!!! შე მამაცხონებულისშვილო, ჩვენ ის გვანუხებს, რომ ერთხელ შექმნილი ჩვენთა წინაპართაგან და მუდამ დღემდის ხმარებული იკარგებაო, თორემ გლახათ შეუქმნიათ, გვიშველეთ ვინმემ, ისე გადააკეთეთ, რომ ძველი ფერი და ქართულის ნატამალიც აღარ ეტყობოდესო, ამას რომელი ჭკუათამყოფი იტყვის. რამ შეგაძულათ ისე თქმა, როგორც ერთხელ შეუქმნიათ და დღემდის გალობენ საზოგადოთ! ერთხელვე შექმნილის უბრალოდ გადამახინჯება ყველასთვის საზიზღარია; გადაკეთება შეიძლება, მაგრამ თუ შემდეგ იგი დედანს სრულიად აღარ ჰგავს, ამას გადაკეთება კი არაა, გადამახინჯება ჰქვია. „განიცადენის“ მაგიერ, რომ „ქრისტე აღსდგა“ იგალობეთ – სადაური იყო? ჩვენებური „ქრისტე აღსდგა“ რომელსაც საქართველოს კუთხეში ერთნაირად გალობენ, რომ გეგალობნათ უფრო კარგი არ იქნებოდა? ჰოი, საკვირველებავ და კომპოზიტორებრივო მოღვაწეობავ! ასე წარმოვიდგინოთ: ნახევარი გუნდისა ამბობს „ქრისტე აღსდგა“, მეორე ნახევარი – „სიკვდილისა“ და სხვა. აი ასე, სიტყვებს რამდენიმეჯერ იმეორებენ, რომელიც ქართულ გალობას არ შეევენის და არც არის შემოღებული პირველიდან. ამის ამგვარათ გაკეთებას რამდენიმე დღეს მოანდომებდით უთუოდ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამის მესამედი დრო მოგენდომებიათ თქვენგან მოძულებული ადგილობრივი კილოს „ქრისტე აღსდგასთვის“ რომელსაც ძველ „ქრისტე აღსდგა“-ს ეძახიან! რომ ეს შენებურობა სანატრელი იყოს, ყოველ ნოტის მცოდნეს შეუძლია ქართული სიტყვები წირვის წესისა მოუწეროს რუსულ წირვის საგალობელთა და შემდეგ რომ აგალობოთ, ხმები რუსული იქნება, ხოლო სიტყვები კი ქართული, მაგრამ ეს კი არაა სანატრელი, არამედ ის, რომ ქართული ნამდვილი ხმები არ დაიკარგოს და კარგს ნიადაგზე დადგეს. ამას წინეთ „ივერიის“ ერთ ნომერში იყო მოხსენებული, რომ „ამა და ამ ქართული გალობის მასწავლებელმა ქართული გალობის კილო შეარყია და სულ უცხო ხმაზე გალობსო“. ამის პასუხად, აი, რა დაწერა ამ მგალობელმა: კარბელაანთ გალობის კილო ამგვარია, რომ „უფალო შეგვინყალენ“ სხვადასხვანაირად იგალობებაო და შენიშვნის ავტორს ეს არ სცოდნიაო. არა ჩემო ბატონო! ქართული გალობა და საზოგადოთ ქართული ხმები, რაც სხვადასხვანაირად იგალობო, ათასგვარათაც გადაატრიალ-გადმოატრიალო, მაინც ქართველის ყურს თავის დღეში არ ეხამუშება. გული მაინც თავისას თავისათ იცნობს. მაგრამ ამასაც მოგახსენებთ: ეს ხმის ტრიალი, ერთხელვე კილოზე გაკეთებულ გალობას არ უნდა დასცილდეს, ხმის მიხრა-მოხრა მხოლოდ სიშნოსთვის უნდა იხმარო და არა პირველი ხასიათის მოკლებისთვის. ეს შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც კარგათ არის ქართულ ხმებში გავითარებული და დახელოვნებული.

ძალიან კარგს ინებებენ ყველანი, რომ ვისაც ზედმიწევნით არა აქვს საზოგადოთ ქართული საეკლესიო და საერო ხმები შესწავლილი, თავს დაანებებდენ გალობის შეკეთებ-შემოკეთებას. ვინც სინამდვილით შეასრულებს ქართულ გალობას, იმას არ დააკლდება გემო, ყოველთვის შეუძლია დაატკბოს ქართველთა სმენა.

ქართული ხმების მოყვარე

* * *

თელავი: 15 მკათათვეს თელავის ღვთაების ეკკლესიაში იყო წირვა, რომლის დასასრულს გალობდა დედათა მგალობელი დასი ამავე ეკკლესიის მღვდლის მ. ი. ჩიკვაიძის მეცადინეობით შემდგარი. ეს დასი სულ ერთი თვე იქნება, რაც შეადგინა მ. ჩიკვაიძემ და ამ ერთ თვეშივე ისე მოუშადადებია, რომ მთელს ოქროპირის წირვის საგალობლებს თითქმის შეუცდომლად გალობენ. დასში ჰგალობენ: თავ. ასულნი მართა მ. რუსიევისა, თინათინ თამ. რუსიევისა, ნინო ივ. რუსიევისა და ნინო იოს. ჩიკვაიძისა და ორიც სხვა ქალი. ამ დასს ესე ცოტა ხანში ისე შეუსწავლია და შეუწყვია ხმები ერთმანეთისათვის, რომ, თუმცა ნაკლულევანებაცა აქვს, მაინც დროს შედარებით საკმაო მეცადინეობა და ნიჭი გამოუჩენია. იმედა, რომ შემდეგში ეს დასი უფრო მოიმატებს, წინ წავა და აიცილებს იმ მცირეოდენ ნაკლსაც, რომელიც ეხლა ეტყობა. სწორედ გულითადის მადლობის ღირსნი არიან მ. ი. ჩიკვაიძე და აგრეთვე სხვა მისნი თანამშრომელნიც ასეთის სასარგებლო საქმის დაწყებისა და სისრულეში მოყვანისათვის. ურიგო არ იქნება, სხვებმაც მიჰბაძონ ამ კეთილს მაგალითს და ყველა ეკკლესიაში ქართული საეკკლესიო გალობა შემოიღონ.

პასუხად ქართული ხმების მოყვარეს

პატივცემულო ქართული ხმების მოყვარევ! ჩემსკენ მომართული და შენიშვნებით სავსე თქვენი წერილი წავიკითხე „მწყემსის“-ს მე-12 ნომერში. წავიკითხე და ყველაფერი ვცანი; ვცანი, რომ თქვენი წერილი უსაფუძვლოა. ყური დამიგდეთ, ქართული ხმების მოყვარევ, გაიბზობ ჭეშმარიტებას და სცანი ყველაფერი.

როდესაც მე ლოტბარად დამნიშნეს, მგალობლებისთვის იყო გადადებული სმეტით რვაას ორმოცდაათი მან. (850 მ.). ამ ფულიდგან რუსულად მგალობლებს ეძლეოდათ, ლოტბართურთ, ექვსას ოცდაათი მან. და ქართულად მგალობლებს – ორას ოცი მან. რადგან რუსულად მგალობლებისთვის გადადებული ფული ძლიერ მეცოტავებოდა, მე, როგორც ლოტბარმა და მგალობლებისთვის მზრუნველმა, მივმართე ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს, რომ რუსულად მგალობელთა გუნდისათვის მოემატებინათ ჯამაგირი. სმეტა წარადგინეს, სადაც ჯერ იყო, და 1884 წელში მგალობლებს მოუმატეს ოთხასი მანეთი. გახდა სულ რუსულ და ქართულ მგალობელთათვის ათას ორას ორმოცდაათი მან. (1250 მ.) ამ ფულიდგან მე, ლოტბარს, მეძლევა 300 მან., რუსულად მგალობლებს (მათში ათი დიდი მგალობელია და თოთხმეტი პატარა) შვიდას ოცდაათი მან. (730 მ.) და დანარჩენი ორას ოცი მანეთი სამ კაცს ქართულად მგალობლებს. დღესაც ეს ასე არის. მე ვალდებული ვარ მგალობლები ვაგალობო რუსულად და ისინი ვალდებულნი არიან იგალობონ ქართულად. აბა, ახლა სინდისის ქვეშ სთქვი: ვის უნდა უკიჟინო, რატომ ქუთაისის საკათედრო სობორში ქართული გალობა აღარ ისმისო.

რომ ამბობ, ქართული ხმების მოყვარევ, „ქართლ-კახეთის კილოს რომ გალობ ხანდახან, ისე იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის გაძლევთ (არასფერს

მაძლევთ, მე და ჩემმა ღმერთმა!) იმისთვისაც ის მიიღეთ“. დაილოცოს შენი სამართალი! რუსულადაც მე ვაგალობო, ქართლ-კახურადაც და იმერულ კოლოზედაც?! სხვებმა რაღა? იქნება ჰეფიქრობ (რა ვიცი, არ არის თქვენგან გასაკვირი!), თქვენ მეტი ჯამაგირი გაქვსო. ზემოდან გიანგარიშეთ და, თუ გნებავთ, აიღეთ შრომის ფასი, რომელიც გადადებულია მაგალობელთათვის, პროპორციონალურად და მაშინ მიჰხვდებით – ვის მეტი ჰხვდება. ისიც იქონიეთ სახეში, რომ რუსულ მაგალობელთათვის კვირაში სამჯერ რეპეტიციაა საჭირო.

თქვენა ბრძანებთ, გალობის მოყვრე: „აქ წინად ექვსი ქართული მაგალობელი იყო, დღეს კი იმათგან მხოლოდ ორია (მაშ ორ კაცს ეძლევა ორას ოცი მანეთი? განა შეიძლება ორმა კაცმა იგალობოს მღვდელმთავრის წირვის წესი?), იმათი ჯამაგირები თვითეულის ას-ასი მანეთი რუსულად გალობის ხოროს და მათ რეგენტს მოემატა.“ მიკვირს, ღმერთმანი, ზოგიერთი კაცის მსჯელობა! მე რომ ლოტბარად დამნიშნეს, როგორც ზემოთ ვსთქვი, ქართული გალობის მოყვარე, ყველა მაგალობელთათვის იყო სმეტით დანიშნული რვაას ორმოცდაათი მანეთი (850 მ.); თუ ამ ფულიდგან ექვსასი მანეთი ქართულ მაგალობლებს ეძლეოდა, მაშ რუსულად მაგალობლების ხოროს, რომელშიაც საჭიროა უკანასკნელი ოცი კაცი (თუ ხორო რიგიანია და საფუძვლიანი) და ლოტბარს ექნებოდათ ორას ორმოცდაათი მან. ექვს კაცს ეძლეოდა ექვსასი მან. და ოცდაერთ კაცს კი, ლოტბართურთ, ორას ორმოცდაათი მან. შენს აზრს უზიარებ „მწყემსი“ს მკითხველებს და განა ასე უსამართლოს და უსაფუძვლოს! თქვენი ნებაა, ქართული ხმების მოყვარე, რაც გნებავთ ის ილაპარაკეთ, მაგრამ მე კი ამას მოგახსენებთ: არ არის რიგი და პატიოსნება, გამოხვიდეთ სალიტერატურო ასპარეზზე და ვინმე უსამართლოდ გაჰკიცხოთ საზოგადოების წინაშე. სხვაც არ იყოს რა, ჩემ წინად სხვებიც იყვნენ ლოტბარებად: უტარნოვი, მაჭავარიანი, აღნიაშვილი და სხვ...ესენი კარგა ხნობით ლოტბარობდნენ. ნუ თუ გახსოვთ, ან გაგიგონიათ ვისგანმე, რომ მათგანს ერთხელ მაინც ეგალობნოთ ხოროთა ქართულად? თუ მოვალენი ყოფილიყვნენ, განა შეარჩენდნენ მით ასეთ დაუდევნელობას? ამით მე ის გამოვხატე, რომ როგორც ისინი არ იყვნენ, ისე მე არა ვარ მოვალე ქართულად ვაგალობო. თუ როდისმე მიგალობებია, ან ვაგალობე, ან შემდეგში ვაგალობებ ქართულად, ეს სრული ჩემი ნება გახლავთ. აღკრძალვით შეუძლიანთ აღმიკრძალონ ქართულად გალობა და ძალდატანებით კი, – უთუოდ აგალობეო – არავის შეუძლიან.

მართალია, ერთ დროს რუსულადაც ვაგალობებდი ხოროს და ხანდისხან ქართულადაც. დრო იყო, რომ მე თეატრშიაც ნაციონალურ კონცერტებსაც ვმართავდი. ვამბობ – დრო იყო მეთქი და, ხომ მოგეხსენებათ, ქართული ხმების მოყვარე, „დრონი მეფობენ“-ო, მაშინ ისეთი გარემოება იყო, ისეთი დრო შემხვდა რომ შემეძლო გამეკეთებინა რამე. მაშინ ქართული გალობის გამართვაში მეხმარებოდნენ, რ. ხუნდაძე და მ. ქელბაქიანი. სხვაფრივ ხელს მიმართავდა ი. ფხაკაძე, რომელიც იყო სასულიერო სასწავლებლის უფროსად. მე კიდევ ღონე შემწევდა და ვშრომობდი. დრო შეიცვალა, გარემოებამ ხელი შემიშალა და მეც უღონო შევიქენი. სახელდობრ, რა იყო მიზეზი, იმის თქმა არ შეიძლება, რადგან, „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავების“.

ამაში დამეთანხმებით, ქართული ხმების მოყვარე, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სრულებით აღარ მიგალობებია ხორო ქართულად არც ერთს და არც მეორის კილოზედ. თეატრშიაც კი აღარ მითქმევინებია ხალხური ხმები. ვსთქვათ, როგორც თქვენა ბრძანებთ, იმერულ საეკლესიო საგალობლებს „წიხლი ვკარი“, რა დამიშავა ქართლ-კახეთის კილომ? რა დამიშავეს ხალხურმა სიმღერებმა, რომ ამათაც გზა ავარიდე? გარწმუნებთ, რომ ამის მიზეზი იყო გარემოება და არა ისა, რასაც თქვენ ჰგულისხმობთ.

თქვენა ბრძანებთ: „იმერული გალობის მოსმენა ქუთაისში, ნამეტურ ამ ჟამად, ყველას ენატრება“ ... ყველას ენატრება ... აფსუს, კეკლუცო სიტყვებო! ქუთაისში ყველას ენატრება და ვერაფერი კი ვერ მოუხერხებიათ. მერე ვისა? იმერლობას? მერე, სხვაც არ იყოს რა,

სად არიან თქვენისთანა ქართული ხმების მოყვარენი? მარტო თქვენ ხომ არ ბრძანებულხართ? თუ თქვენ „მოყვარე“ ბრძანებულხართ, სხვები ყველანი „მონატრენი“ ყოფილან და ნუთუ „მოყვარე“ და იმდენ „მონატრე“-ში სამი კაცი არ მოიძებნება, რომ თავიანთ გალობით დაატკბონ მლოცველების ყურთა სმენა? ტყუილად კი არ იტყვიან ქართველები: „ენას ძვალი არა აქვს“-ო... დარწმუნებული იყავი, ქართული ხმების მოყვარე, რომ მე რაც შემიძლიან, ვაკეთებ და კიდევაც გავაკეთებ, ვიდრე ძალა და ღონე შემწევს, მაგრამ ამას კი ვიტყვი, მარტოკაობაც ძნელია «ОДИНЬ ВЪ ПОЛѢ НЕ ВОЙНЬ».

გადავალ სხვა საგანზედ და ახლა იმაზედ მოგელაპარაკებით; აი რაზედ: თქვენა ბრძანებთ: „ქართლ-კახეთის“ კილოს ხშირადა გალობთ... აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი იგალობეთ, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესიამოვნა... ამ დღეს ჩვენ შევნიშნეთ სხვა და სხვაობა... მომისმინეთ: მაგლობელთა ხორო, რომელიც მე მაბარია, ყოველთვის ოთხ ხმაზედ გალობს. წარსულ შემოდგომაზედ 1889 წ. განვიზრახე, რომ ქართლ-კახეთის წირვის საგალობლები ოთხხმაზედ გადაამეკეთებინა და მაგალობლებისათვის ისე მეგალობებინა. ესე იგი, კილო საგალობლებისა არ შემეცვალნა, არ დამერღვია და არ დამემახინჯებინა და ისევ იმ კილოზედ ოთხ ხმაზედ გამეკეთებინა მთელი წირვის წესი. ასეც მოვიქეცი (მოვიქეცი იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის კილო მესმის და შესწავლილიცა მაქვს) კრინი (პირველი ხმა) და მოძახილი (მეორე ხმა) არ დავშალე, თითქმის ყველა საგალობელში ხელუხლებლად დავსტოვე. მხოლოდ ბანი შევცვალე და ერთი ხმა მოუმატე (ქართულ საგალობლებში ხომ სამი ხმა არის) ასე ქართლ-კახეთის კილოზედ ოთხ ხმაზედ ჩემ მიერ გაკეთებული მთელი წირვის წესი ორჯერე ვაგალობე ხოროს შემოდგომაზედ. ორჯერ თუ სამჯერ – ზამთარში (ვაგალობე და, სიმართლე გითხრათ, მღვდლებმაც და ერმაც მოიწონეს; წუნი არვისგან გამიგია, თორემ თავს მივანენებდი). აღდგომის მეორე დღეს კი წირვა ვაგალობე ისევ ქართლ-კახეთის კილოზედ, მხოლოდ ორიოდ საგალობელი „ანგელოსი ღაღადებს“, „განათლდი განათლდი“-თურთ და „მამაო ჩვენო“ სამ ხმაზედ გაკეთებული პატარებს — დისკანტებს და ალტებს და მესამეც — „ქრისტე აღსდგა“ კი მთელ ხოროს. ეს საგალობლები გადაკეთებული და დამახინჯებული არ გახლავთ, როგორც გგონიათ, ქართული ხმების მოყვარე. ეს არის ჩემგან, ასე ვსთქვათ, ფანტაზიურ ევროპიულ კილოზედ (და არა რუსულზედ), სამ ხმაზედ აშენებული საგალობლები. დამახინჯება კი იმასა ჰქვია, როდესაც რამე ქმნილებას ისე გადააკეთებს ავტორი ანუ ხელოსანი, რომ დედანს ძლიერ ცოტათი თუ წააგავს. რაც არ გესმის, ქართული ხმების მოყვარე, იმაზედ ლაპარაკი არ გმართებთ. ხუთჯერ წირვა ვაგალობე ქართლ-კახეთის კილოზედ და არც ერთხელ არ გამომირევნია ევროპიული კილო და მეექვსედ სამი საგალობელი ვაგალობე ევროპიულ კილოზედ და დახე თქვენ სულმოკლეობას! რა სარკაზმული ეპიტეტები არ მომაყარეთ!.. „შე მამა ცხონებულის შვილო!... ჰოი საკვირველებავ და კომპოზიტორებრივო მოღვაწეობავ“!...

რა არის აქ გასაკვირი, თუ ღმერთი გრწამსთ, სთქვით! პატარა მაგალობლებმა ორიოდ საგალობელი სამ ხმაზედ, ვსთქვათ, ევროპიულ კილოზედ გადაკეთებული სთქვეს ტკბილად, წყნარად და მწყობრად – დიდი რამე დანაშაულობაა?!.. ან არა და იქნება ის გიკვირს, რომ ქართლ-კახეთის კილო ოთხ ხმაზედ დავაყენე და ხოროს ისე ვაგალობე? მართალია ქართული ანდაზაა „უმეცარსა მცირედიც გაუკვირდება“-ო, მაგრამ ნუ გიკვირს, ნუ, ქართული ხმების მოყვარე. აი რას გეტვი: განა კაცი მეცნიერი და ლიტერატორი რომ არ იყოს, არაფრის აღწერა და თხვა არ შეუძლიან? განა კომპოზიტორი რომ არ იყოს კაცი, არაფრის გაკეთება არ შეუძლიან სამუსიკო ასპარეზზედ! მხოლოდ ერთში კი დაგეთანხმები, ეს კი მართალია, ქართული ხმების მოყვარე, რომ „ქრისტე აღსდგა“, ჩემ მიერ შეთხზვილი, მეტია, რადგან სრულებით სხვა კილოზედ და „გემოზედ“ არის გაკეთებული (და არა გადაკეთებული), მხოლოდ ეს „ქრისტე აღსდგა“ შეიძლება ჩაითვალოს უადგილოდ, ეს არის და ეს!

თქვენ წერილში კიდევ ერთმა ადგილმა მიიქცია ჩემი ყურადღება და, მართალი მოგახსენო, ეს ადგილი არ დამრჩა სასიამოვნოდ. აი რა: „იმისი (ქართული გალობის) გაკეთება ხომ არ გეწყინათ, რაც უთქვენოდ გაკეთდა? თუ თქვენ ფიქრობდით ამ გალობათა ნოტებზედ დაწერას, ეს სამღვდელოებას ფიქრადაც არ მოსვლია. იმიტომ რომ ეს საქმე უთუოდ უფრო კარგს გამოცდილს და ყველასაგან ცნობილს ვისმე უნდა ეკისრა და კიდევაც მიანდეს“...

არა, არ გრცხვენიათ, რომ ამას ამბობთ? რად მეწყინებოდა, თუ ღმერთი გრწამსთ, მითხარით. თუ კი გაკეთება მინდა რისიმე და ღონეც შემწევს, განა ჩვენში ცოტა რამ არი გასაკეთებელი? ერთმა რომ ერთი გააკეთოს, მეორეს მეორის და მესამის გაკეთება არ შეუძლიან? ან არა და, რა ისეთი თავმოყვარე, ანგარების მოყვარე და შურიანი მე მნახეთ, რომ ამისთანა ცილსა მნამებთ? მე ვარ მასწავლებელი, ამასთანავე ლოტბარიც. თუნდ რომ სამღვდელოებას მოესურვა, განა შემეძლო ის მძიმე ტვირთი, რომელიც სხვას მიანდო, მე მეკისრნა? გარდა ამისა არავითარი საბუთი არა გაქვთ, რომ თქვენ მიერ „ცნობილს“ ჩემზედ უკეთესად შეეძლოს ნოტების გარჩევა და ხმების ნოტებზედ გადაღება. ეჰ, ქართული ხმების მოყვარევ, სჩანს ქართული ხმები კი გყვარებიან და სამართლიან ლაპარაკთან კი მწყრაღად ჰყოფილხართ.

ანდრია სიმონის ძე ბენაშვილი

137. მწყემსი, 1890, 30 სექტემბერი, № 18, გვ. 6-9

ბ. ან. ს. ბენაშვილს (მისი პასუხის გამო)

ბ. ბ-შვილო! ნავიკითხე თქვენი პასუხი ჩემი წერილის შესახებ და, მართალი უნდა მოგახსენოთ, დიდად გამიკვირდა, რომ ყოველ ჩემ სიტყვაზე სათქმელ პასუხს გვერდს უხვევთ და სხვა რალაცაებს ედებით; ვითომ გინდათ, რომ ჩემი წერილის დედააზრი სრულიად დაჰფაროთ. მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ თქვენი პასუხი ისევე ჩვენს აზრს ეთანხმება თქვენდა უნებლიეთ, თუმცა თავის გასამართლებლად კი სწერთ. აქ ჩვენ მოვიყვანთ თქვენი პასუხის უმთავრესს აზრებს და ზედვე ჩვენს აზრსაც გამოვსთქვამთ. დეე, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ შორის ვინ არის მართალი.

„თქვენი წერილი უსაფუძვლოა“, ამბობს ბ. ბ-შვილი, „ყური დამიგდეთ, გიამბობ ქემ-მარიტებას: როდესაც მე ლოტბარათ დამნიშნეს (შენ დაგნიშნეს თუ სხვა, ეს სულ ერთია. ჩვენ ვამბობთ: ქართულ მგალობლებს მოუკლეს და რუსულს მგალობლებს მიუმატეს), მგალობელთათვის იყო გადაღებული 850 მ. ამ ფულიდან რუსულად მგალობლებს ეძლეოდა ლოტბარიურთ 630 მ. და ქართულად მგალობლებს – 220 მ. მე, როგორც ლოტბარმა და მგალობელთათვის მზურნველმა, მივმართე ყოვლად სამღვ. იმერ. ეპისკოპოსს, რომ რუსულად მგალობელთათვის მოემატებინათ ჯამაგირი... კიდევაც მოუმატეს 400 მ. გახდა სულ რუსულ და ქართულ მგალობელთათვის 1250 მ. ამ ფულიდან მე, ლოტბარს მეძლევა 300 მ. რუსულად მგალობლებს (მათში ათი დიდია და 15 პატარა) (არც იმათი წლოვანების მეტრიკე-ბია საჭირო) 730 მ. და დანარჩენი 220 მ. სამ კაცს ქართულად მგალობლებს“.

ბ. შ-ვილო! როდესაც თქვენ ლოტბარათ დაგნიშნეს, ჯამაგირის მომატებისათვის იზრუნეთ, დღეს თქვენს წინა მოადგილეზე ერთი-ორად მეტს ჯამაგირს ლებულობთ, ე. ი.

ისინი იღებდენ, 630 მ. და თქვენ კი 1030 მ. ამ შემთხვევაში რად გინდათ მეტი ყურადღება დაიძახებოთ მეტი ჯამაგირისთვის? იმათ, რომ ქართველი ქართველების ეკკლესიაში ქართულად გალობის თქმის ვალდებული არა ხარ? მართლმსაჯულება, თუ გნებავს, ეს არის! „პროპორციონალურად“ გაგვიყვია ჯამაგირი, რომ ბრძანებთ, აბა ვინაგარიშოთ, თუ რამოდენ წირვაზე გალობთ თქვენ წლის განმავლობაში: ივნისი, ივლისი, აგვისტო და ნახევარი სექტემბერი ხომ თავისუფალი ბრძანდებით და სადაც გნებავს, იქ დაბრძანდებით. დარჩა რვა თვენახევარი; ამ დროის განმავლობაში ყოვლადსამღვდელო ხან ეკკლესიების საკურთხად დადის სოფლად, ხან მიცვალებულების საწირავად და ხან – სარევიზიოთ. ამ მიზეზების გამო ძალიან ბევრი იქნება, რომ თქვენ წლის განმავლობაში სულ ოცდახუთჯერ აგალობოთ „ხორო“. ოცდახუთ წირვაში, რომ 1030 მ. მიიღოთ, მეტი რაღა გინდათ! აბა როცა ყოვლად სამღვდელო არ ბრძანდება მწირველი, მაშინ ხომ აღარ გალობთ! ეს კი ასე გახლავთ და ფული, ვისაც როგორ გნებავს, ისე დაუყავით. „მე ვალდებული ვარ მგალობლები ვაგალობო რუსულად და ისინი (ქართული მგალობლები) ვალდებული არიან იგალობონ ქართულად“. ვიღას უდგებით ჯიბრში? ვინღა გყვავს დღეს ქართული მგალობლები? ჩემი სიტყვების მნიშვნელობა რისთვის უარჰყავით? ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ ქართულ მგალობელთა რიცხვი დაამცირესთქვა (ორიღა დარჩა), ისინი იმისთვის, რომ სოფელში მღვდელთ მთავრის მსვლელობის დროს მიუცილებელი საჭიროებაზე მესამე ვინმეც მოიხმარონ. სამწუხაროდ, ესეც დროებით გახლავს. აი როგორ: ის ორი მგალობელი, რომ მოჰკვდეს, მათ შემდეგ მგალობელი აღარ იშობა. ბ. ლოტბარო! როგორ ფიქრობთ? მართლა რომ ასე მოხდეს, ინებებთ თუ არა მაშინ ნოტებზე დაწერილ ქართული გალობის მომზადებას, რომ იგალობოთ ეკკლესიაში? რასაკვირველია არა და არა! იმიტომ რომ თქვენ ქეიფზე ბრძანდებით დამყარებული და საბუთად კიდევ ეს მოგყავს, რომ „როგორც ჩემი წინა მოადგილეები არ გალობდნენ ქართულად, არც მე ვიგალობებ და თუ არა, ისინი, არც მე ვარ ვალდებული“-ო! იმას კი აღარ ამბობთ, რომ მაჭავარიანის და სხვების დროს ქართული გალობა არ იყო ნოტებზე დაწერილი, თორემ სიამოვნებით იგალობებდნენ! „630 მ. ლებულოდნენ, ჩვენ დღეს 1030 მ. ვლებულობთ“. მერე იმისთვის არ გალობთ? აგაშენათ ღმერთმა! ეს თუ თავის მართლებათა და ან „ჭეშმარიტება“, ან „მეცნიერება“, ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ.

ჩვენ ვამბობდით: ქართლ-კახეთის კილოს რომ გალობთ, ისე იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის გაძლევთ, ამისათვისაც ის მიიღეთ მეთქი; „გაძლევთ“ ჩვენ ბრჩხილებში ჩავსვით, რადგან სმეტაში პირდაპირ არ არის ნაჩვენები, რომ ქართული გალობისთვის ლებულობთ ჯამაგირს. ეს სიტყვა შენ კი დაგვიხვევია ხელზე და ფიცულობთ ღმერთსა და ხატს, რომ არაფერს მაძლევთო.

„მგალობელთათვის დაწესებული ფულისაგან სამს მგალობელს ეძლევა ჯამაგირი“, ამბობს ბ-შვილი. მართალია, თქვენ ერთს ადგილს თქვენს ჭკუადამჯდარ წერილში უმეცარს მიწოდებთ: „ნათქვამია, უმეცარს ყველაფერი გაუკვირდებაო“, მაგრამ ისეთი უმეცარი კაცი გინახავს კი, რომ სამი კაცი ვერ დაეთვალოს? ასეთი ცილის ნამება როგორ გეკადრებათ თქვენისთანა მეცნიერს? აბა ასნი ხელი მაღლა და დავთვალთ ქართული მგალობლები! მაგრამ თვლა კი ნეკიდამ დაიწყეთ: ერთი ნ. მეძმარიაშვილი და მეორე ნ. კანდელაკი. მესამე ვინ გნებავს? ი. წერეთელი ხომ არ გყავსთ სახეში? ი. წერეთელი გახლავთ იპოდიანოქი და ლებულობს რიცხვთა შორის კრებულთა იპოდიანოქის ჯამაგირს, მაგრამ, როგორც გალობის მცოდნე, ყოვლად სამღვდელოს ბრძანებით საჭიროების დროს ორ მგალობელთან მესამედ გალობს. ყველა ესეები იცის ბ. ბენაშვილმა, მაგრამ დღეს თავის მართლებათა საჭირო „და მეყსეულად დაავიწყდა რაბამ რა იყო“ და ფარხმლად, ვინ იცის, რას არ ხმარობს.

შევიტყვეთ, რომ ქართული მგალობლები აღარ არიან! შენ ქართველი ხარ, ეპისკოპოსის ლოტბარი ბრძანდები, იმერეთში ცხოვრობ. ქართული გალობა ნოტებზე დაწერილი გვაქვს?

მაშ რა გიშლის ხელს? ის, რომ ორი ქართული მაგალობელი კიდევ არის ცოცხალი! საკვირველია ღმერთმანი! აბა ერთი გვიბრძანეთ: ნოტებზე რომ გალობა დასწერეს, ნ. მეძმარიაშვილი და კანდელაკმა უნდა იგალობოს? არ გეკადრებათ! ბრძანებთ: „კახურათ თუ ვგალობ, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო ვიცით“; გარნმუნებთ, რომ ზეპირად ერთი სიტყვაც არ იცით და, თუ ნოტებით გალობთ, იმერული გალობაც ნოტებზე არ არის დაწერილი? ნოტები ხომ კარგად იცით. „ქუთაისში თუ ქართული გალობა ენატრებათ, სად არიან თქვენისთანა გალობის მოყვარე და ამდენი მონატრე, რომ სამი კაცი ვერ იმოვნეს“-ო, ამბობთ. ეკკლესია ხომ თეატრი არ არის, რომ თავისი სურვილით შევიდეს შიგ ვინმე და იგალობოს, ანუ სხვა რამ წარმოადგინოს! ეკკლესიას გამგე ჰყავს, ის ნიშნავს შიგ მაგალობლებს, მნიგნობარს, მღვდელს, დიაკონს და შესაფერჯამაგირს უნიშნავს მათ. იმათ რიცხვში თქვენ მაგალობლად გცნობთ. რადგან ამ დროში საჭირო არის, ამისთვის ჩვენს საკრებულო ტაძრებში რუსულის მცოდნეს ნიშნავენ და ისინი ასე იქცევიან: ხან რუსულად სწირვენ და ხან ქართულად. ნუ თუ მაგალობლებიც ასე არ უნდა მოიქცნენ? თქვენ კი განზე გამდგარხართ და ამბობთ: „იმერლებს სამი კაცი ვერ უშოვია“-ო! კაცებად თუ არ რიცხავთ თავს, არ ვიცი, თორემ სამის მაგიერ ჩვიდმეტი ბრძანდებით. „ვის ვერ მოუხერხებია ესო?“, კითხულობს ბ. ბ-შვილი. – „იმერლებსო“, თითონვე იძლევა პასუხს. „აფსუს იმერლებოო!“ კაცი ლოტბარათ არის დანიშნული, ყველაფერი ხელს უწყობს და იმერულად კი არ გალობს! არ გალობს იმიტომ, რომ ქიზიყში არის დაბადებული და არა იმერეთში! ეგ თუ ეგრე არ იყოს, ბ. ბ-შვილო, აბა თვითონ თქვენ დაუკვირდით თქვენს სიტყვებს. იმერლებმა მაინცა და მაინც იმერული ძეხონ ლოტბარად? როგორ? თქვენ დათხოვნის ქალღიძე ხომ არ შეგიტანიათ! არ მესმის! აგერ რატილმა, ვილაცა უცხოელმა ჩეხმა საქართველოს ყველა კუთხეებიდან შეჰკრიბა სხვადასხვა ხმები და პეტერბურგში წავიდა, რომ იქ ვიგალობებო და შენ იმერლებიდამ თავს ირიცხავ? „ყური დამიგდე, ჭეშმარიტებას ვიტყვიო“. განა ეს ჭეშმარიტება არის? ბ. ანდრო! კახური სიმღერა „შაშვი კაკაბი“ პირველად თქვენ ასწავლეთ ვილაც-ვილაცებს აქ. ეს ხომ უბრალო სიმღერაა, მაგრამ დღეს თითქმის ყველა იმერეთის სოფლებში მღერიან სიამოვნებით, როგორც ქართულ სიმღერას, და შენ ერთმა კაცმა რომ იმერული გალობა იგალობო, რა დიდ ცოდვათ თვლით.

განვიზრახეთ, რომ ქართლ-კახეთის წირვის საგალობლები ოთხ ხმაზე გადამეკეთებინა“... „კილო საგალობლებისა არ შემეცვალა“... „ასეც მოვიქეცი“... „ბანი შევცვალე“... „პირველი და მეორე ხმა თითქმის ხელუხლებელი დავტოვე და მეოთხე ხმაც მიუმატე“... ნამდვილად მართალი კაცი ბრძანდებით, ამბობთ ისე, როგორც მოქცეულხართ! ამას ახსნა აღარა ჭირია, მაგრამ მაინც ვსთქვათ: განვიზრახავს კილო არ შეგეცვალა, მაგრამ შეუცვლელად ველარ მოგიხერხებია და ბანი მთლად შეგიცვლია, პირველი და მეორე ხმა რომ „ხელუხლებელი“ დაგეტოვებია, იმის მაგიერ ხელი შეგიხია „თითქმის“ (თითქმის იმას ნიშნავს, რომ იქა-აქ კი შეგიხიათ ხელი), მერე-მეოთხე ხმაც ზედ უცხო მიგიმატებიათ. აგრეა განა? „განვიზრახე, კილო არ შემეცვალაო“ და ყველაფერი კი შეგიცვლიათ. ამგვარმა თქვენმა პასუხმა ერთი ამბავი მომაგონა: ერთი დარბაისელი არნმუნებდა თურმე მეფეს, რომ ცუდი თავის მართლება, ანუ ბოდიშის მოხდა წყენინებაზე უარესიაო. მეფე კი თავისას ამბობდა: წყენინების შემდეგ თუ ბოდიშს მოიხდის კაცი როგორი ბოდიშიც უნდა იყოს, იგი მაინც უკეთესიაო. დანიძლავდენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფე ღამით ცისკრის ლოცვაზე მიბრძანდებოდა, უკანიდგან დარბაისელმა უცებ ხელი სტაცა, მეფემ შესძახა: ვინ ხარო? დარბაისელმა მოახსენა: უკაც-რავად, დედოფალი მეგონეო! მეფე განრისხდა, მაგრამ დარბაისელმა მოახსენა: ნიძლევი მოგიგეთო. ჩემის მხრით კი (თუ უმეცრებაში არ ჩამომართმევთ), თქვენგან გაკეთებული გალობის შესახებ ვიტყვი შემდეგ მაგალითს: თქვენ რომ კაცმა შორიდან ოთხი კაცი გაჩვენოს, ორი მათგანი შენი კარგი ნაცნობი, მაგრამ ცხვირმოჭრილები; მესამე ნილაბით (მასკით) და მეოთხე ევროპიულად (ანუ ფანტაზიურათ) ჩაცმული, ამაებს ყველას ნაცნობათ იცნობთ?

თქვენგან გადაკეთებული გალობაც ამ გვარი ღირსების იქნება ქართველის ყურისათვის. თუ გულ წრფელად გასჯით ამ სიტყვებს, ვგონებ, ამაზე თქვენც დამეთანხმებით. „ვისაც ვკითხე, ყველამ მოიწონა“-ო. ქუთაისში ვის ჰკითხავდი ქართლ-კახეთის კილოს მცოდნეს, რომ უტყუარი პასუხი ეთქვა? მე ვამბობდი: ქართული ხმები სად და რომელი კუთხისა? უნდა იყოს იგი, ქართველების ყურს მაინც არ ეჩვენება უცხოთ მეთქი, და თუ ჩვენ, როგორც ქართველს, თქვენგან გადაკეთებული გალობა უცხოთ გვეჩვენა, ნამდვილ ქართულ ხმად ვერ ვიცანით და თუ გინდა კიდევაც გაგვიკვირდა (თქვენ თუ გიკვირს არ ვიცი და ჩვენთვის გასაკვირი არ არის, საცინელი რომ არ იყოს), განა ამისათვის გვიკვირებთ „უმეცარს ყველაფერი გაუკვირდებაო“? თქვენ კი იმათ ყველას მეცნიერათ სთვლით, ვისაც თქვენ ჰკითხეთ და მოგიწონათ? ერთის სიტყვით, ვინც თქვენ რამეს მოგიწონებს, ყველა მეცნიერი ყოფილა და, თუ გაგიმტყუნა – უმეცარი! იყავნ ნება შენი.

„აღდგომის მეორე დღეს... ორიოდ საგალობელი, „ანგელოსი ღალადებს“, „განათლდი, განათლდითურთ“, „მამაო ჩვენო“, სამ ხმაზე გადაკეთებული და „ქრისტე აღდგა“... ვაგალობე... ეს საგალობელი გადაკეთებული და გადამახინჯებული არ გახლავს... ეს არის ჩემგან... ფანტაზიურ ევროპიულ კილოზე... აშენებული“ „ანგელოსი ღალადებს“ და „განათლდი, განათლდი“ ჯერ ერთხელაც არ გიგალობნიათ: არც ქართლ-კახეთის კილოზე და არც იმერულ კილოზე, უკეთესი კი იქნებოდა, რომ ჯერ მამა-პაპურად თქმის „ფანტაზია“ მოგვსლოდათ! ეს რა ფანტაზია არის, რომ შინაური შეგაძულათ და გარეულზე ოცნებობთ! „დამახინჯება კი იმასა ჰქვია, როდესაც რამე ქმნილებას ისე გადააკეთებს ავტორი, რომ დედანს ძლიერ ცოტალა წააგავს“. უცხო და პატიოსანი! მეც ეს მოგახსენეთ. მაშ, რით გნებავს დაგიმტკიცო, რომ დედანს ძლიერ ცოტალა ჰგავს? აქ შენგან დასახელებული საგალობელნი, მე არ შემეძლია, რომ „მწყემსი“-ს მკითხველებს უგალობო შენებურად „მწყემსი“-სავე საშუალებით და ისე თუ დამიჯერებთ, დედანს ერთი სიტყვაც არ წააგავს, არც შენი „ანგელოსი ღალადებს“, „განათლდი, განათლდი“ და არც „მამაო ჩვენო“, ეს შენც კარგად იცი და ვისაც მოუსმენია, ყველა გეტყვისთ დაუფარავად.

ქართული ხმების მოყვარე

138. მწყემსი, 1890, 30 ნოემბერი, №22, გვ. 6-8
ივერია, 1890, 5 დეკემბერი, №259, გვ. 3-4

ფილიმონ ქორიძის და საეკლესიო გალობის შესახებ

ამ დღეებში ცნობილი მომღერალი ფილიმონ ქორიძე მოშორდა იმერეთის მხარეს, დადგა რა მან უკანასკნელი, გამოსათხოვარი კონცერტი ქუთაისში. ეს განშორება, ვგონებ, სამუდამოა და მეტი არ იქმნება. ორიოდ სიტყვით თვალი გადავავლოთ მისს მოღვაწეობას. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ქორიძისთანა კაცები ისეთი იშვიათი მოვლინებაა ჯერ ჩვენში, რომ შეუნიშნავად არ უნდა დარჩეს მისი ამაგი, მცირეც რომ იყოს იგი.

ბატ. ქორიძე ამ ბოლო წლებში ქუთაისს სცხოვრებდა. ხუთჯერ-ექვსჯერ თუ გაუვლია ზაფხულობით რამდენიმე დღით სადმე იმერეთის მხრის დაბებისკენ კონცერტების მისაცემად და ადგილობრივის ჰანგების მოსასმენად.

დანარჩენ დროს ქორიძე სულ ქუთაისს სცხოვრებდა, და, ვინც ყურს არ გაისქელებს და

თვალს არ დაიბრმავებს, იგი უთუოდ შეამჩნევს, რა კვალი დააჩნია მან ჩვენის ეროვნული ჰანგების შემუშავებას, მათ განახლბონებას და ევროპულ მუსიკის გემოვნების გაღებას. მაგრამ ჩვენს გულქვაობასთან ბრძოლას ყოველივე სჯობია. ამისთანებზე უთქვამს დიდებულ პოეტს:

„ჩანს, რომ ბუნების კანონი არის –
სისხლი იმღვრიონ, სისხლი დასთხიონ,
ჩვენგან კი უნდა სანაცვლოთ ამის
უმაღურობა ჯილდოდ მიიღონ.“

მიუხედავად ამ უმაღურ-უგვერდულობისა, ბ. ქორიძეს გულსმოდგინება არ დაუკლია მისგან ნატვრით საქმისათვის, უტაამ-ტაშოდ და უბუკ-ნალაროთ. მასს მუდამ ჰყავდა მონაფეები და ხორო ქალისა, თუ კაცისა, ნურთნიდა მათ და ასწავლიდა, უფრო ხშირად უსასყიდლოდ. ამასობაში ქორიძე სილარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრება, კაცს ეგებ თავი გადაგედოს საზოგადო სარბიელზე მუშაობისათვის, მაგრამ ამაში რა დამნაშავეა წვრილი ცოლშვილი, რომელთაც ესაჭიროებათ პური არსობისა. ამ პურს ჩვენში ძნელად თუ რომელიმე საზოგადო სარბიელი იძლევა. ამიტომაც გახდა უილაჯობის მსხვერპლად ქორიძის მეუღლე. მან ველარ აიტანა თავდაუზოგველი შრომა ლუკმა პურისათვის, აქეთ-იქით ტალახ-სიცივეში წონილი ხუთგროშიან გაკვეთილებზე; შეხვდა მოსწრაფებული ქლექი და გადაიტანა კიდეც. მისს დასაფლავებაზე, როცა შეგროვილი იყო მთელი ქუთაისის მაღალი საზოგადოება, მომაგონდა აკაკის მწარე სიტყვები: „ჩვენში ეს იციან – სიცოცხლეში შენ გატირებენ, მოჰკვდები და თვითონ გატირებენო.“ იმ ქალის სიკვდილი არ იყო მარტო კერძო დანაკლისი. იგი იყო თავისის ქმრის ბუნება-ზიარი და ხელოვანი პიანინოს დამკვრელი. ერთის მხრით მისის წყალობითაც არის, რომ ყოველივე ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებული საგალობლები არის ფრიად დამუშავებული, დაწმენდილი და მრავალგვარად აწონილ-დაწონილი. ეს ერთი.

მეორე დამსახურება ფ. ქორიძისა მდგომარეობს იმაში, რომ მას ხანდაზმით შეუდგენია ვრცელი ნოტების სახელმძღვანელო, ანუ „ჭრელის ნუსხა“, როგორც ძველად იტყოდნენ. ერთი ელემენტარული, მოკლე სახელმძღვანელო ხომ ახლახან დაიბეჭდა. ესეც მეორე, ვრცელი. მაგრამ როდის დაინახავს მზის სინათლეს ეს ახალი შრომა, ეს ძნელი გამოსაცნობია, რაკი ვიცით ქორიძის ხელმოკლეობის ამბავი.

მესამე დამსახურება და, ვგონებ ყველაზე უფრო საგანძური ბ. ქორიძისა, ჩვენ გვეგონია, არის საეკლესიო გალობის დანოტვა. იყო დრო და არას შორს, როცა საზოგადოებაში დადიოდა ჭორი, ვითომც ქართული გალობა-სიმღერა ნოტების წესებს არ ემორჩილებაო და თუ გვინდა იგი ქალაღზე გადავილოთო. ამისთვის უნდა სხვა რამ ჩხირ-ხაზები გამოვიგონოთო. ქორიძეს სასაცილოდ არ ყოფნიდა ეს ჩხირები და მალე საქმითაც დაამტკიცა თბილისშივე, რომ ეს არის უგუნურობის და მეშურნეობის ნაყოფი. ქართველ საზოგადოების აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა თბილისში. მოინდომეს კიდეც „კარბელაანთ“ კილოს ნირვის წესის მთლად გადაღება; „ქალმებს ჩავიცომთ და ისე ჩამოვითხოვთ ამ საქმის ფულსო“, მაგრამ რა? – დაჰბერა სხვა ნიავმა, გაჩნდა თვითონ მხურვალეობაში ხრიკები და ოინები, რომელნიც იმერეთს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე აღმოსავლეთის ქართველებს... ამგვარად საქმე ემმაკის ჯგორზე შეჰკიდეს და ცხრა მთა გადაარბენიეს...

სრულიადაც ასე არ მოქცეულა იმერეთის სამღვდელოება. იგი, როგორც ბევრს სხვა საქველო და საშვილიშვილო შემმართველობაში, აქაურ თავგამოდებით შეუდგა საქმეს და თვისდა სასიქადულოდ რაც იკისრა, დაამთავრა კიდეც. მოინვიეს ქორიძე, მიუჩინეს მას სამი საუკეთესო მგალობელთაგანი და ორის წლის მუშაობამ საქმე დამში მოიყვანა. საბედოთ აქ არ გამოჩენილან ის ცრუ „კომპიზიტორები“, რომელთაც აღმოსავლეთის საქართველოში

საქმის ჩაფუშვას ხელი მოუშობდა. იმერეთის სამღვდლოებამ პირდაპირ „პური მეპურეს გამოაცხობია და ერთიც მისთვის არ დაუშურებია“. ვისაც არ უყურებია, თუ რა „ასჯერ გაზომვით და ერთხელ გამოჭრით“ კეთდებოდა საქმე; როგორ ერთის გუნდის დახმარებით გადაღებულის შემდეგში სხვა გუნდი ამოწმებდა... ვისაც ყოველივე ეს არ უნახავს, იგი ვერ დარწმუნდება, რა სინამდვილით არის დანოტივილი ქორიძისაგან საეკლესიო გალობა იმერულის კილოსი.

რის იმერული კილო! ეს არის ნამდვილი კილო მთელის საქართველოს ეკლესიის გალობისა. ისტორიულათ გაგვიგია, გარკვეულის სახით მომდინარებს თვით დავით აღმაშენებლის დროიდან. საეკლესიო გალობის დედა-ბუდე ყოფილა გელათის მონასტერი. აქ ყოფილა უმათავრესი „სასწავლო“ (სკოლა) და აქეთგან ეფინებოდა თურმე გალობა არა თუ მთელს იმერეთის მხარეს, არამედ გადაღმა საქართველოსაც. ესრეთ წოდებული „კარბელაანთ კილო“ სხვა არა არის რა ძირითად, თუ არ იგივე გელათის კილო. სხვაობა „იმერულსა“ და „კარბელაანთ“ კილოს შუა ასეთია: პირველი არის გავარჯიშებული, გაბავლებული, შემუშავებული; მეორეა ელემენტარული, კვირტში გახვეული კუკური, უნდილოდ დარჩენილი, გახვეებული. უფრო ნივთიულად რომ წარმოვიდგინოთ – კარბელაანთ კილო წარმოგვიდგენს მახვილად კუთხეს, მსხვრეულ ხაზს; იმერული კილო კი – დამრუდულ კუთხეს, ტალღურ ანეგ-დანევას; კარბელაანთ კილო არის ცალფათ საგალობელი, საჩინო, სამოსწავლო, პირველ დანყებითი, იმერული კილო კი – მონიფული, გაცხოველებული, გუნდათ საგალობელი, სადას-დასო.

სხვაობა რაშიაც უნდა იყოს, ძირითად ორივე კილო ერთია, წარმომდინარებაც ერთი აქვთ, მხოლოდ თვითიული მათგანი შეესაბამება ამერთ თუ იმერთ ბუნებას. ამისი მსგავსი შეხედულება გაგვიგონია თვით მ. კარბელაშვილისაგან, რომელიც წუხდა: „ჩემი კილო თან წამყვებო საფლავში, როგორც ვხედავო.“ ვგონებ სანახევროდ აღსრულდა კიდეც ეს მისი წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, თორემ ის რომ ცოცხალი იყოს, უფრო ადვილად დამტკიცდებოდა ზემორე თქმული ჩვენი შენიშვნა.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ, როდესაც შესამოწმებლად მოჰყავდათ მგალობლები იმერეთის სხვადასხვა კუთხიდან, აღმოჩნდა, რომ ყველანი ისე თანახმად გალობდნენ, თითქო ერთის კაცისაგან უსწავლიათო. დუმბაძე (გურიითგან), ჭალაგანიძე (სამეგრელოთგან), კანდელაკი (თვით სოფელ გელათითგან), მეძმარიაშვილი (ქვემო იმერეთითგან), იოსებ წერეთელი (ზემო იმერეთითგან), ვ. ქუთათელაძე (ხონითგან) – ყველანი ერთ კილოზე გალობენ. ესენი იყვნენ ქორიძისაგან გადაღებულ საგალობლების შემომწმებელნი ხოლო გადამღებინებლები იყვნენ კიდეც სხვები და ისინიც ამათ კილოზე გალობენ.

ნოტებზე ქორიძემ კი გადაიღო გალობა, მაგრამ მოვალს ჟამი და აწვე არს, რომ ეკლესიური გალობა სრულად აქარდება ჩვენში, თუ მეტი პატივდება არ მიეპყრო მას. როცა იქნება, ხომ დაიხოცებიან ის ზემოჩამოთვლილი მგალობლები და ჩაიტანენ სამარეში აუარებელ, მშვენიერ ძლისპირებს. არა მარტო სამღვდლოებისა, არამედ მთელის საზოგადოების ვალაია, რომ ეს ბრწყინვალე საგალობლები გაუკვდავდეს და გადავიდეს ნოტებზე, ისე როგორც წირვის წესები.

ბ-ნ ქორიძის დამსახურება ზემორე აღნიშნულის მოქმედებით არ თავდება. მას აქვს ოცდაათამდე ნოტებზე გადაღებული საერო სიმღერა, ძველი და ახალი. ესენიც ისე დაკვირვებით არიან გადაღებულნი, რომ ხალხური ჰანგი და სამუსიკო ესტესტიკა საამურად ერთმანერთს შესტკობიან „ყურთა სმენის დასანახად“.

ერთის სიტყვით, ქორიძემ ჩადგა საძირკველი ეროვნულის მუსიკისა ჩვენში, ნიადაგი შეამუშავა და ცოტაოდენი თესლიც ჩაყარა. ან თუ ვინმე ახალგაზრდები საქმეს განაგრძობენ და გაივარჯიშებენ, იმათ ისეთი ეკლიანი არ დახვდებათ წინ, როგორც აუცილებელია პირველის მესვეურისათვის.

ჩვენ არაფრად ვაგდებთ ჩვენს საერო ხმებს, რათგან გემოვნება არა გვაქვს განვითარებული. მაგრამ უცხო კაცს, რომელსაც გულდასმით მოუსმენია ჩვენი ეკლესიური გალობა და დანოტვილი საერო სიმღერები, დიდს ალტაცებაში და განცვიფრებაში მოსულა და უთქომს შემდეგი: „ჩვენთვის, ევროპელებისათვის მეტის მეტად სანუკველია ეგ თქვენი ჰანგები. ჩვენი მუსიკა, მართალია, მაღალ ხარისხზე დგას, მაგრამ რა? – ფრანგული გერმანულს ჰგავს, გერმანული იტალიურს, იტალიური ინგლისურს და სხ. სხვაობა დღეს მხოლოდ კომპოზიტორის თვითებაშია, ინდივიდუალობაში. თქვენი კი არც ერთ ჩვენსას არ ჰგავს, ცალკე დგას, უებარია, მაღალსადღესასწაულო, მამაცური, მხიარული, მკვნესარი... ნუ თუ თქვენ ამას არ ფასობთ!.. მოვა დრო, როცა ევროპელი კომპოზიტორები მოვლენ, გადიდებენ, წაილებენ და თავიანთს კომპოზიტორებში ჩაახაჭაპურებენ. მაშინ კი ველარ იტყვიოთ: ეს ჩვენია“...

მოვლენო... მაგრამ იმას კი ველარ ნახვენ, რაც დღეს იპოება.

X. X. [ლუარსაბ ბოცვაძე]

139. მწყემსი, 1890, 1-30 დეკემბერი, №23-24, გვ. 16-18

პასუხად ქართული ხმების მოყვარეს

წინა წერილში გითხარით მე, რომ ლოტბარათ დამნიშნეს, მაშინ რუსულად მაგალობლებისთვის იყო დანიშნული 850 მან.-მეთქი. მაშასადამე, წინა ლოტბარების დროსაც რუსულად მაგალობლებს ეძლეოდათ 850 მ. თქვენ ამაზედ მიპასუხეთ: „შენ დაგნიშნეს თუ სხვა, – ეს სულ ერთია“ (ვერ მიჰხვდით, რათ ვსთქვიოთ: მე რომ ლოტბარათ დამნიშნეს, ჩემი რა ბრალია?). „ჩვენ ვამბობთ ქართულ მაგალობლებს მოუკლეს და რუსულს მოუმატეს“. რუსულად მაგალობლებს, რიცხვით ოცზედ მეტს, ლოტბარითურთ, ეძლევათ 850 მან. და ქართულად მაგალობლებს, სამ კაცს – 220 მან.¹⁾ ნუთუ სამ კაცს ოცდაორ თუმანზედ მეტი ეძლეოდა და ოცზედ მეტს მაგალობლებს და ლოტბარს კი 850 მან. ნაკლები? ნუთუ თქვენებური ანგარიშით (როგორც წინა წერილში ბრძანებდით) ექვს კაცს ქართ. მაგალობლებს ეძლეოდა 600 მ. და ოც კაცზედ მეტს და ლოტბარს კი – 250 მან?

ძალიან კარგი, წარმოვიდგინოთ, რომ წინა ლოტბარების დროს რუსულ მაგალობლებს მოუმატეს ფული, მაშასადამე ლოტბარები და რუსულ მაგალობლები, როგორც თქვენი მეორე წერილიდგან სჩანს, ვალდებულნი იყვნენ ეგალობნათ ეკლესიაში რუსულადაც და ქართულადაც. მერე, იგალობეს? გაგიგიათ როდისმე, რომ ლოტ. ან უტარნოვს, ან მაჭავარიანს და ან აღნიაშვილს ეგალობოთ ქართულად?²⁾ თუ კი ვალდებულნი იყვნენ, განა უქორიძოთ არ უნდა ეგალობნათ? თუკი მე შეეძელი და ვაგალობე! განა ისინი კი ვერ აგალობებდნენ, თუ კი შეეძლოთ? მერე იცით, გარემოება როგორ ხელს უწყობდა იმ დროს? მათ დროს მაგალობლებს იმდენი თავისუფლება და პატივი ჰქონდათ, რამდენიც ეხლა სიზმრათაც არ დაესიზმრებათ.³⁾

ჩემ წერილში იყო ნათქვამი: მე როგორც ლოტბარმა და მაგალობლებისთვის მზრუნველმა, მივმართე ყოვლად სამღვდელს, რომ რუსულ ხოროსთვის მოემატებინათ ჯამაგირი და კიდევაც მოუმატეს. ამაზედ თქვენ მიპასუხეთ: „რათ გინდათ მეტი ყურადღება დაიმსახუროთ, მეტი ჯამაგირისთვის? იმით, რომ ქართველი ქართველების ეკლესიაში ქართული გალობის თქმის ვალდებული არა ხარ? მართლმსაჯულობა თუ გნებავს ეს არის!“

ყური დამიგდეთ, ქართველი ხმების მოყვარევ, დაწვრილებით გაიმბობთ: ლოტბარათ რომ მნიშნავდენ, თხოვნა მივართვი, ვისაც ჯერ არს, რომ ვიკისრებ ლოტბარობას, უკეთუ მგალობლებს შრომის სასყიდელი მოემატებათ. აღმითქვეს, მაგრამ გავიდა ორი წელიწადი და არასფერი მოემატათ. ხელახლად თხოვნა შევიტანე, რომ ამ სასყიდლით, რაც დღეს მგალობლებს ეძლევა, არ შემოძლიან ხოროს მართვა და განმათავისუფლეთ მეთქი. მოუმატეს 400 მან. მომატებაზედ ვიზრუნე იმიტომ, რომ მგალობლების შრომა დამესაჩუქრებინა. ხომ მოუმატეს; მომატების შემდეგ თვითეულ მგალობელს მოსდის, შუა რიცხვით, სამი თუმანი წელიწადში, და განა ამაზედ მცირე სასყიდელი გავიწილა? ხომ არ გნებავს, ქართული ხმების მოყვარევ, ამ სასყიდელით რუსულ გალობაშიაც ემზადნენ და ქართულშიაც? ხომ არ გნებავთ, მთელი წლის განმავლობაში წირვა-ლოცვაზეც იარონ და იგალობონ. მე ხომ გითხარით, აიღეთ შრომის ფასი, რომელიც გადადებულია ქართულ და რუსულ მგალობელთათვის, გაყავით პროპორციონალურად და მაშინ მიხვდებით, ვის უფრო მეტი ჰხვდება შრომის ფასი მეთქი. გაჰყავით? მერე როგორ იანგარიშეთ? რვა თვე ნახევარს მსახურობთ და „ოცდახუთ წირვაში რომ 1030 მან. მიიღოთ, მეტი რაღა გინდა“-ო. ძალიან კარგი, მაგრამ 1030 მანეთს ოცდახუთ წირვის გალობაში ვიღებთ განა? მე რომ გითხარი წინა წერილში: იქონიეთ სახეში, რომ რუსულ გალობისთვის კვირაში სამჯერ რეპეტიციია საჭირო მეთქი, იქონიეთ? იქნება რეპეტიციებს არაფრად აგდებთ? იქნება გალობის სწავლება ადვილი გგონიათ? აი ამ საქმეში რომ გამოცდილი იყოთ, კრინტსაც აღარ დასძრავდით, მაგრამ რა ამ საქმეში – რა სხვაში! სამხედრო კაცებს ბრძოლის ველზედ გასვლა ათასში ერთხელ მოუხდებათ ხოლმე, მაგრამ ჯამაგირს კი ათასობით იღებენ. რათა? აბა, იფიქრეთ და მიხვდებით.⁴⁾ აქ არ არის საჭირო, ქართული ხმების მოყვარევ, რომ პასუხი დაგიხურდათ. ჰო, იქნება ჩემი ჯამაგირი გებევრებათ. ამაზედ მოკლედ გეტყვი: ცხრა თვის განმავლობაში რეღენტათ ვარ, ვმართავ ხოროს, კვირაში სამჯერ (ხან ოთხჯერ) რეპეტიცია მაქვს მგალობლებთან. საშობაოთ, საყველიეროთ და სააღდგომოთ, როგორც მასწავლებელი, თავისუფალი ვარ, მაგრამ როგორც ლოტბარი დამწყვედელი ვარ ქუთაისში⁵⁾ და დიდი მოვალეობაც მანვეს კისერზედ. ეს შრომა მიღირს მე სამას მან. და ამაზე მეტ შრომას ძალდატანებით და ვისიმე ბრძანებით არ მივიღებ. ჩემის ნებით და ვისიმე პატივისცემით და თანაგრძნობით კი – დიდის სიამოვნებით! ესეც ხომ გაიგეთ, ქართული ხმების მოყვარევ! ერთ რასმეს გეტყვით კიდევ: ქუთაისში, ჩემს გარდა, ორი ლოტბარია: ერთი სავაჟო გიმნაზიაში და მეორე საქალებოში; პირველი იღებს ჯამაგირს 400 მან., მეორე 300 მან. იმათაც ის შრომა აქვთ, რაც მე. ახლა მითხარით: თუ კი ისინი იღებენ ამდენ ჯამაგირს, მე ვილასი „სახარჯო“ გახლავარ!⁶⁾

წინა წერილში მე მოვიხსენიე, რომ სამას ქართ. მგალობელს ეძლევა 220 მან. და ისინი ვალდებულნი არიან იგალობონ ქართულად მეთქი. ამაზედ მოჰყოლიხართ და ვინ იცის, რას არ წანვდენილ-წამოწვდენილხათ. რა საჭირო იყო ან მ-სა და ან წ-ს ხსენება? ჩემ წერილში აზრი ძლიერ სადა და ადვილი გასაგები იყო. აი როგორ: ოცდაორი თუმანი არის გადადებული ქართულ მგალობლებთათვის და 1030 მ. რუსულად მგალობელთათვის. ესე იგი, 220 მან. უნდა მოჰხმარდეს ქართულ გალობას და 1030 მ. რუსულს. თქვენ კი გაგიჭიანურებიათ სიტყვა და გაიძახით: „ქართულ მგალობელთა რიცხვი დაამცირეს თქვა (ორილა დარჩა). ისინი იმისთვის, რომ სოფელში მღვდელ-მთავრის მსვლელობის დროს მიუცილებელ საჭიროებაზედ მესამე ვინმე მიიხმარონ. სამწუხაროდ ესეც დროებით გახლავსთ. აი როგორ: ის ორი მგალობელი რომ მოჰყავდეს“ (რას ემართლებით!) „მათ შემდეგ მგალობლები აღარ იშოვება“ ჯერ ამბობთ: „დაამცირეს“, ორი მგალობლის მეტი აღარ იშოვებაო, მერე ამბობთ: „საჭიროებაზედ მესამე ვინმე უნდა მოიხმარონ“. მითომ როგორ, მე ვერ გამიგია. ძალიან მიდგომით სჯით, ქართული ხმების მოყვარევ, თქვენი ნებაა... რომ ბრძანებთ: „ნოტებზედ გალობა დასწერეს, მეძმარიეშვილმა და კანდელაკმა იგალობოს“-ო? – არ გეკადრებათ. რაო

მითომ, უნოტოთ გალობა არ შეიძლება? მე მოგახსენებთ: ნოტებზედ რომ ქართული გალობა დასწერეს, მისი ჭაპანწყვეტა აუცილებლად ბენაშვილმა უნდა იკისროს? ჰერიჰა! ახირებული ლაპარაკი და დაჟინება თუ გაგიგიათ – ეს არის! მე აგიხსნით, რისთვის გადიღეს ნოტებზედ ქართული საეკლესიო ხმები. ამ საუკუნის ბოლო წლებში ძლიერ ცოტანიდა დარჩნენ, რომლებმაც ზეპირად იციან ქართული საეკლესიო საგალობლები (ისე ცოტანი კი არა, რომ ორის მეტი აღარ დარჩენილიყვნეს, თუნდ მარტო იმერეთში) ამ მგალობლების დაკარგვით დაიკარგებოდა ქართული გალობაც; რომ არ დაკარგულიყო და არ გამქრალიყო ქართული გალობა, ნოტებზედ გადააღებინეს. შემდეგში, ვინ იცის, იქნება ქართულ ხმებს ბედმა გაუღიმოს... მაშინ მსურველთ ყოველთვის შეეძლებათ იხელმძღვანელონ ამ ნოტებით გალობის დასწავლაში. აი მიზანი, რისთვისაც გადიღეს ნოტებზედ. თქვენ კი მოგყავთ ნიმუშად ბ. რატილი და მესაყვედურებით: „უცხოელმა ჩეხმა კი ქართულად აგალობოსო და შენ კი იმერლებიდან თავს ირიცხავ“-ო. რომ კარგათ მიჰხვდეთ საქმის ვითარებას, გავაბამ პარალელს რატილსა და ბენაშვილს შორის.

ბ. რატილმა დასდო მიზნათ, შეადგინოს რუსულ მგალობელთა ხორო და კონცერტები აძლიოს (თუმცა ეს შრომა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იმერულ-ეკლესიური საგალობლების დასწავლა).

ბ. ბენაშვილმა დასდო მიზნათ, შეადგინოს რუსულ მგალობელთა ხორო (ვალდებულია), მზათ ჰყვანდეს და საჭიროების დროს აგალობოს.

ბ. რატილს რომ უთხრან: შენ, რატილო, ქართული ხოროც გყვანდეს და იტალიანური ოპერებიც აძლივო, დარწმუნებული ვარ, უპასუხებს: „ნე მოჟემ, ნე მოჟემ“ (არ შეგვიძლიანო).

ბ. ბენაშვილს ეუბნებიან: „ბენაშვილო, რუსულად ხომ ამზადებ გალობასო, მაშ, ქართულადც მოამზადეო“; იგი უპასუხებს: „კაცო, ვალდებული არა ვარ და ჩემ თავათ შეიძლება ეგეც გავაკეთოო.“ მეტი რალა გინდა!

კიდევ ერთს შედარებას გეტყვი: სასწავლებელში ზოგიერთი ქართველი კაცი რუსული ენის მასწავლებლად არის დანიშნული. ეძლევა დანიშნული ჯამაგირი და რუსულ ენას ასწავლის. მოდი და იმას უთხარი: „შენ ქართველი ხარ, რუსულს რომ ასწავლი, უთუოთ ქართულიც ასწავლეო.“ საფუძვლიანი იქნება ამისთანა მოთხოვნილება?

ყველა-ყველა და ამდენი ცილის წამება ჩემზედ რამ გაიძულათ, ქართული ხმების მოყვარევ? 1) მითომ მე მეთქვას ჩემ წერილში, რომ „იმერლებმა მაინცა და მაინც იმერელი ძებნონ ლოტბარადა“-ო. ფიქრადაც არ მომსვლია ეს აზრი, მე და ჩემმა ღმერთმა, რადგან მე ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს ის რწმუნება, რომ იმერელი, რაჭველი, გურული, მეგრელი, სვანი, კახელი, ქიზიყელი, თუში, ხევსური, ფშაველი, ინგილო და მესხი (გამაჰმადიანებულ საქართველოს მცხოვრებნი) ქართველები არიან, ერთი ოჯახის წევრნი არიან, ერთი მამათ მთავრის შვილნი არიან. 2) მითომ მე მეთქვას: „კახურად თუ ვგალობ, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო ვიცი“-ო. ჩემს პასუხში ეს არ წერია. 3) „გარწმუნებთ, რომ ზეპირად ერთი სიტყვაც არ იცით“-ო; – მარწმუნებთ კიდევ! იყოს ნება თქვენი. 4) „ყველაფერი ხელს უწყობს და იმერულად კი არ გალობს“-ო. – მართალია? დეე, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ შორის ვინ არის მართალი.

და ბოლოს, კიდევ არ იშლით და ჩემს მიერ გადაკეთებულ წირვის წესის საგალობლების შესახებ ლაპარაკობთ. ლაპარაკობთ იმაზედ, რაც მართლა რომ არ გესმით და რაზედაც, მაშასადამე, არ შეგიძლიანთ სამართლიანი მსჯელობა იქონიოთ. ამას ეხლავ ფაკტივურად დაგიმტკიცებთ.

თქვენს წინა წერილში, აი რა სწერია: „აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი აგალობეთ ქართულად, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესამოვნა, მაგრამ ზოგიერთებისაგან რა გავიგე, იცი? ბენაშვილი ერთობ მოკლე პატრიოტი ყოფილაო! რაც ეს ლოტბარათ არის

თუ როდისმე ქართულად აგალობა გუნდი, უსათუოთ ისე უნდა აგალობოს, როგორც ქიზიყში გალობენო“. პირველ წერილშივე და შემდეგ მეორეშიაც იმეორებთ: „ქართველი ხმები, სად და რომელ კუთხისადაც უნდა იყოს, იგი ქართველების ყურს მაინც არ ეჩვენება უცხოთ“-ო.

ხომ გესმით და გაიგონეთ, ქართული ხმების მოყვარევ, რომ ქართველების ყურს უცხოთ არ სჩვენებია ჩემ მიერ გადაკეთებული „ქიზიყური“ ეკლესიური საგალობლები, როდესაც გეუბნებიან ალდგომის მეორე დღეს: თუ როდისმე ბენაშვილმა აგალობა ქართულად, უთუოდ ქიზიყურად აგალობოსო.

მეც წინა წერილში გითხარით, რომ კილო სრულებით არ შემიცვლია, არ დამირღვევია მეთქი; მსმენელებიც ამ აზრისანი არიან და თქვენ კი, მხოლოდ თქვენ კი, ქართული გალობის მოყვარევ, მაგრამ... თქვენ მიერ დანერგულ მეორე წერილში მეუბნებით: „თქვენგან გადაკეთებული გალობა უცხოთ გვეჩვენა, ნამდვილ ქართულ ხმად ვერ ვიცანით და თუ გინდა, კიდევაც გაგვიკვირდა“. ის კი არ არის გასაკვირი, რასაც თქვენ გაუკვირვებინართ; გასაკვირი არის თქვენი ულოლიკობა. გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემ მიერ ოთხ ხმაზე გადაკეთებული ქართლ-კახეთის წირვის წესის საგალობლებში კილო დაცულია, არ არის დამახინჯებული, ასე რომ ეს წირვის წესი ან კახეთში ან ქართლში რომ ვაგალობო ხოროს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართლ-კახეთის კილოს მცოდნე-მსმენელი არ უარჰყოფენ ამას. თქვენ თუ მენინააღმდეგებით, ეს არის ჯიუტობისა, უვიცობისა და რალაცა პიროვნული ან-გარიშის ნიშანი და სხვა არაფერი.

ერთ ადგილას ჩემ ნაწერში ვსთქვი: კრინი (პირველი ხმა) და მოძახილი (მეორე ხმა) არ დავშალე, თითქმის ყველა საგალობლებში ხელუხლებლად დავსტოვე და სხვ. აი როგორ: ყველა საგალობლის პირველი და მეორე ხმა არ დავარღვიე, ხელუხლებლად დავსტოვე, მხოლოდ ზოგიერთი საგალობლის ნაციონალურ ხმებს – პირველსა და მეორეს – ერთ მაგალობელს არ ვუსაკუთრებ, არ ვუთმობ, მაგ.: წვრილი ხმა (დისკანტი) რომ ამბობს რომელიმე საგალობლის კრინს; პატარა ხანს შემდეგ ეს დისკანტი სხვა ხმაზედ გადადის, და იმის ხმას აგრძელებს ტენორი, მერე ტენორი სხვა ხმაზედ გადადის, და იმის ადგილს იჭერს ალტი და სხვ. აქ კილო არ იცვლება, იცვლებიან მხოლოდ მაგალობელთა ხმები, რადგან ერთმანეთს ადგილს უთმობენ. ესეც ათასში ერთ საგალობლებში არის და არა ყველგან. სხვა საგალობლების კრინი და მოძახილი კი დასაკუთრებული აქვთ რომელიმე ხმებს, და თავიდან ბოლომდის ისინი ამბობენ. აი ამის შესახებ ვსთქვი: პირველი და მეორე ხმა თითქმის ყველა საგალობლებში ხელუხლებლად დავსტოვე-მეთქი. თქვენ კი, ქართული ხმების მოყვარევ, ნამოჰყარით ხელი „თითქმისს“ და ვინ, იცის როგორ აგომანეთ. კიდევ გაგიმეორებთ და გეტყვით:

ყველა ტომს (нація) თავისი ნაკუთი (тип) აქვს: ქართველს, სომეხს, ბერძენს, რუსს, ურიას და სხვებს. თავისი განსხვავებული ნაკუთი აქვთ, რომლითაც შეუძლიან კაცს გაარჩიოს ერთი მეორისაგან. აგრეთვე არის ხალხური ეროვნული (національний) ხმები. იტყვიან ხოლმე: ქართული ხმა, ბერძნული, სომხური და სხვანი; შეხვდებით ქართველ კაცს, ვიტყვით ხოლმე: ქართველის ნაკუთი აქვსო, ე. ი. ქართველიაო; იმღერებენ რასმე ქართულს, იტყვიან – ქართული კილო არისო. ახლა წარმოიდგინეთ ნაკუთი ქართველი კაცი, მაგრამ უქუდო და ფეხებდამახინჯებული. ჩვენ რომ ამ კაცს ხელოვნურად ისეთი ფეხები გავუკეთოთ, როგორც შეეფერება მის ტანადობას და ამასთანავე ამ ქართველ კაცს თავზედ დავახუროთ იმისთანა ქუდი, რომელიც შეეფერება მის ტანადობას და წლოვანებას, ე. ი. შნო და ლაზათი მივსცეთ და მერე შევხედოთ, განა ამ კაცს ვეღარ ვიცნობთ ქართველად – მხოლოდ უფრო შნოიანი და მოხდენილი სახით.

აგრეთვე ქართული ხმაა. პირველი და მეორე ხმა ბურჯია კილოსი (ჩემის აზრით, საჭიროა ეკლესიურ საგალობელში პირველი და მეორე კრინი და მოძახილი დაიცვას კაცმა, რომ კილო არ დაიკარგოს ბანი და მეორე ხმა რომ სხვანაირად დაუყენოს, კილო არ დამახინჯ-

დება, მხოლოდ ბოლო კი თვითეულ საგალობლის ყველა მგალობელმა ერთ ხმაზედ უნდა გაათაოს, რადგან ეს არის განსხვავებული ნაკუთი ანუ კუთვნილება ქართულ-ეკკლესიურ საგალობლებსა) ბანი და მეოთხე ხმა კრინსა და მოძახილს დაუმორჩილე ჰარმონიულად და ოთხ ხმაზედ დავაყენე ქართლ-კახურის წირვის საგალობელი, რადგან მიზნათ მქონდა, რომ ეკკლესიაში ხანდისხან რუსულის მაგიერ ეს საგალობელი მათქმევინა მგალობელთა ხოროსთვის.

ანდრია სვიმონისძე ბენაშვილი

- 1) თუ ეს სამი კაცი იმ ოცდაორი კაცის საქმეს აკეთებდა, რატომ იმათაც კი იმდენი არ უნდა მიეცეს, რამდენიც სხვებს?
- 2) უტარნოვს მაშინ ქართული ნოტები არა ჰქონდა და მაჭავარიანმა არც ერთი გალობა არ იცოდა, თუ მართალს იტყვის კაცი.
- 3) თუ არც თავისუფლებაა და არც პატივი, თავის დანებება სჯობს.
- 4) ეს სწორედ არაფერი შედარებაა. ჯარისკაცებს სამს წელში ასწავლიან თოფის ხმარებას და შემდეგ იგინი მზად არიან ომისათვის. კვირაში რომ სამჯერ რეპეტიციები გამართოთ და ოცჯერ წირვაზედ დაესწროთ წელიწადში, სწორედ არ არის მოსაწონი.
- 5) თქვენი ამხანაგებიც დამწყვედელი არიან ქუთაისში? განა შეიძლება ერთი და ორი კვირისთვის სიღნაღში წასვლა? კვირისთვის სიღნაღში წასვლა?
- 6) ისაკიების საკრებულო ტაძრის რეგენტი 1500 მეტსაც იღებს, მაგრამ ისინი ყოველდღე გალობენ და ყოველს კვირას და თქვენ – ძლიერ ძვირად.

რედ.

1891

140. ივერია, 1891, 16 იანვარი, №11, გვ. 1

ახალი ამბავი

თოთხმეტს იანვარს, სიონის ტაძარში დიდის ამბით იდღესასწაულეს მოციქულთა განმანათლებლის – წმიდის ნინოს დღეობა. ცუდის ამინდის გამო ხალხი მაინც არ შეშინდა და ავსებით აივსო ტაძარი. დამსწრე ხალხი თითქმის სულ ქართველობა იყო და იშვიათად ერია იმათში რუსობა... დაბალის ნოდების ხალხი ამ დღეს დიდს თავისუფლებას ჰგრძნობდა და სიამოვნებით ჰღელავდა. მწირველი ბრძანდებოდა ყველასაგან დიდად პატივცემული ეპიზკოპოზი ალექსანდრე თავის კრებულთურთ. წირვის გალობაში მონაწილეობას იღებდა ტფილისის სასულიერო სემინარიის მგალობელთა გუნდი. წირვის გამოსვლისას იქადაგა არქიმანდრიტმა მაკარიმ. ქადაგებას შემდგომ გამოსავენეს წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი, რომელსაც დიდის სასოებით ემთხვია ხალხი.

141. ივერია, 1891, 9 თებერვალი, №31, გვ. 2

სამღვთო წიგნთსაკითხავში, რომელიც იარმუკი დამ გრუზინსკისეულს სახლებში იქმნა გადატანილი და რომელიც აგერ, მეექვსე წელიწადია რაც არსებობს, მსურველნი სწავლობენ ნოტებსაც და ნოტებით საეკლესიო გალობასაც. ნოტებსა და გალობას უსასყიდლოდ ასწავლის ამ წიგნთსაცავში ბ-ნი ფ. ქორიძე.

142. ივერია, 1891, 7 მარტი, №50, გვ. 2

ახალი ამბავი

სოფ. სნოში ადგილობრივმა მღვდელმა მ. გ. სირაძემ და დიაკვანმა ზ. რობიტაშვილმა თავიანთსავე მრევლში 25 ყმაწვილს მოუყარეს ერთად თავი და წერა-კითხვასა და გალობას ასწავლიან. თუმცა ცოტა ხანია მას აქეთ, რაც ეს კეთილი საქმე დაიწყო, მაგრამ ამისთანა მოკლე ხნის განმავლობაშივე მონაფეთა მომეტებულს ნაწილს მშვენიერად უსწავლია კითხვა, გალობა და მოკლედ სამღვთო ისტორია.

143. ივერია, 1891, 14 მარტი, №56, გვ. 1

ახალი ამბავი

სოფ. თერჯოლა (შორაპნის მაზრა): სოფელს თერჯოლაში ძვირად შეხვდებით მისთანა კაცს, რომ ქართული საეკლესიო გალობა არ იცოდეს. ამ შემთხვევაში შესანიშნავ მგალობლებად ითვლებიან აზნაურნი მხეიძენი. ამათ კიდეც წამოემატა ერთი მშვენიერი მგალობელი, აქაური ეკლესიის ახალი მთავარდიაკონი ს. კვირიკაძე, რომელიც ბევრს ადგილას ცნობილია, როგორც შესანიშნავი მგალობელი გურულს კილოზე და რომელსაც აქვს მონაწილეობა მიცემული ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ამ მონაწილის ძალით მას ნება ეძლევა გაავრცელოს გალობა ხალხში და კიდეც ავრცელებს. ერთი უბრალო დღის წირვა ისე არ გათავდება, რომ მსმენელები არ დაატკბოს მშვენიერის გალობით. ამასთანავე ის სასიამოვნო გარემოება უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მთავარდიაკონმა განიზრახა საეკლესიო გალობის სწავლება ამ სოფლის საეკლესიო სამრევლო სკოლაში და დაიწყო კიდეც და დიდის გულმოდგინებით ასწავლის.

144. ივერია, 1891, 28 მარტი, №67, გვ. 1

სახელმწიფო ოპერის თეატრში

კვირას, 31 მარტს, გამართული იქმნება კონცერტი ბ-ნ ქორიძისა. მონაწილეობას მიიღებენ: ახლად შედგენილი მის მიერ ხორო, ქ-ნი სტეფანსი და ბ-ნი ჟიგონი. დასაწყისი 8 საათზე.

145. ივერია, 1891, 10 აპრილი, №78, გვ. 2

ახალი ამბავი

იქიდამვე: როგორც გავიგეთ, ამ თთვის 12-ს, პარასკევს, გორის „სობრანიის“ დარბაზში ბ-ნი ფ. ქორიძე თავის ხოროთი გაჰმართავს კონცერტსაო. გორელებისათვის სასიამოვნოა ეს ამბავი, მით უფრო, რომ დიდი ხანია ქართული წარმოდგენით და კონცერტით არ გვისიამოვნია. კონცერტისათვის სწორედ მოხერხებული დროა არჩეული, რადგან იმ დღეს თავად-აზნაურთა კრებაც არის დანიშნული და სრულიად იმედი გვაქვს ჰნახვენ ქორიძის კონცერტს და მით დააჯილდოებენ მის შრომას და დააფასებენ მის ხოროსა.

146. მწყემსი, 1891, 15 აპრილი, №7, გვ. 14

ახალი ამბები და შენიშვნები

გალობის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ამას წინედ შეადგინა მთავარ-დიაკვანმა მ. იოსებ შარაბიძემ, უწმინდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს მიუღია სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლების ძირა კლასებში.

147. ივერია, 1891, 28 მაისი, №111, გვ. 2

ახალი ამბავი

უწმინდესი სინოდი ცირკულიარით სწერს სასულიერო სემინარიების გამგეობათ, რომ მოსწავლეთა ეხლანდელს გამოცდის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეგირდების მიერ საეკლესიო გალობის ცოდნასა და, ვინც კი სუსტად მომზადებული დაინახოთ ამ საგანში, შემდეგს კლასში ნუ გადაიყვანთ.

ჩვენის გალობის აღდგენის „სიტყვა“-„საქმედ“ (წერილი რედაქტორთან)

ამ ბოლო დროს თანდათან მოხშირებით გაისმის ხმა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენის საისტორიო ვითარების შეტყობისა და გამორკვევისა იმ ბუნდოვანის მდგომარეობისაგან, რომელშიაც ჟამთა ვითარებით ჩავარდნილა სინამდვილე ჩვენის საერო სრბისა, საქვეყნო ისტორიის წარმატების ასპარეზზედ. შორის ნაშთთა საქართველოს გრძნობა-გონების მაღალის განვითარების მაუწყებელთა: ტაძართა, სრათა, ტაგრუცთა, ციხეთა, ხიდთა, ლოდ-წერილთა, ძეგლთა, წიგნთ ხელნაწერთა, ეტრატთა, გრაგნილთა გუჯარ-სიგელთა, წარჩინებულის სიტყვიერების, მოშაირეობის დიადთა გამონათქვამთა, ქანდაკ-მხატვართა საჩინო ნახელავთა და სხვა ამ გვართა ცოდნისა და ხელოვნების, ნიჭისა და ჭკუის ნაღვანთა, – შორის ამა ნაშთთა ერის დიდებულის საესტეტიკო ბუნების მოთხრობილთა არა უდარესი ადგილი უჭირავს გალობას, სიმღერას, ანუ, როგორც წინად ეძახოდნენ, საკრავ-სამგალობლო ხელოვნებას, მუსიკას, რომელიც დღესაც იქა-აქ გაფანტული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიყრუებული, მივინყებული, დაწყვეტილი, დაფარატინებულიც ობოლ მარგალიტ ანგად და გულის მომწყვლელ ხმად ბგერს ყოველის მამულისშვილის ყურისათვის, როგორც მრავალფერადი სულისკვეთება, წინაპართა გადასავალთა გამომეტყველი და გრძნობათა მათში ჩასახულთა გამაცხოველებელი თვით ჩვენს ბუნებაში. მამა და შვილს შუა, ახალსა და ძველს შუა, ძმასა და მეგობარს შუა, უწინდელსა და ახლანდელს შუა არ არის სხვა მისთანა წმინდა, ცხოველი, გულის და სულის დამპყრობი და დამაკავშირებელი ღონე, მისთანა საცნაური, სათვისო, საყოველთაო ენა გრძნობისა, როგორც სამშობლო მუსიკა, მამულისშვილის წინ ხმა-გაზიარებით მოუბარი წარსულთა დროთა რაობისა და მშობელთა სულის ძლიერებისა და მოძრაობის საზომისა. ლოცვა, სასოება, სიმამაცე, შეუპოვრობა, ლხინი, სიმშვიდე, სიტკბოება, სიმწარე, ჯავრი, ჭმუნვა, გლოვა, ზარი, ჩივილი, საყვედური, რისხვა, უშიშრობა, აფოფინება, აღტყინება, თავდადება, განწირულება – ყოველი სახე გრძნობისა, ყოველი ღრმა კვალი ცხოვრებისა, მშვიდობა და შფოთი დროებისა, ერისაგან გამოვლილი, ნათლად და ცხოვლად გამოისმის მისგან შექმნულს სამუსიკო ხმებში, მისგან აღმოტყვევულს ძნობასა და კილოვნებაში და სრულის სინამდვილით წარმოადგენს მშობელის ქვეყნის ჭირსა და ლხინს, რომელსაც ისტორია სიტყვით მოუთხრობს და შენებულეზანი ძეგლ-მონამედ უდგიან და ამ სახით ერთი მეორის შენევენით, ერთად შეწყობით, ჰარმონიულის სისრულით წინ აღგვიმართვენ მთელს სახეს მშობელის ერისას და მისის თავგადასავალისას.

ამიტომაც ყველა მამულიშვილისათვის სასურველ და მიმზიდველ საგნად ლაპარაკისა და მსჯელობისა შეიქმნა საერო ხმები, საერო გალობა, საერო სიმღერა. ყველას გულს უნძრევს ეს ხმები, ყველას რალაც მშობლიურს სიმებს ჰხვდება, თითქო ნაცნობი, სატრფო, ალერსიანი დედის ნანინა ესმოდეს, თითქო ვინმე საპატიო მოხუცი აღმტაცებელს ამბავს საგმიროს ეუბნებოდეს, თითქო ანდერძი და დავედრება მამა-პაპათა აწინდელ შვილთა და მომავალთა მგოსანთა და მესაკრავეთა საკრავ-სამგალობლო ზმნილებაში ჩაებეჭდოთ და ჩვენთვის „ხმა ტკბილმხმობარე“ მოციქულად გამოეგზავნოთ... ასე ყველა სიამით და აღტაცებით ყურს უდგებს სამშობლო ხმათა ბგერასა და ოხვრას, ყველას სურს მოძებნა, მოკრება, აღდგინება დიდებულის სამუსიკო მამა-პაპეულის დანატოვრისა. ეს საერთო ჰაზრია, რომელიც ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში და გზას და სახსარ-გამოსასვლელს მისდგომია და კიდევაც უნდა გაეხსნას კარი ამგვარს ბუნებითს და სამართლიანს გულის წადილს, ჩასახულს თვით ბუნების წესისაგან თავის ცნობისა და ვინაობის გრძნობაში გონებაგამოღვიძებულის მამულისშვილობისა.

მხოლოდ აქამდის, ამ შინაგან ჩვენსა მცხოვრებს ნადილს, ჰაზრს, იდეას ემსახურებოდა მარტო სიტყვა, მარტო წერა; ამაზედ ბევრს გაიგონებდით მახლობელთა მუსაიფში, მეგობართა ლხინში, ნაცნობთა ბაასში, შეკრებილებათა სიტყვის გებაში სამღვდელოთაგანაც და საერთაგანაც, ნასწავლთა და უსწავლელთაგანაც, ამერშიდაც, იმერშიდაც; ერთის სიტყვით, ყოველგან და ყველასაგან ცხადად ჰსჩანდა ამ აზრის საყოველთაოდ მოფენა იმოდენად, რომ აგერ-ეგერ კარგად, თუ ავად, მარჯვედ, თუ უმარჯულად ზრუნვამაც თავი იჩინა, სახსრის ძებნაც აღიძრა: საეკლესიო გალობის კილოზე, ნოტებზე გადაღებაც ხელ-ყოფილ იქმნა და საიმედო ხელშიაც ჩავარდა თვით ეს დიდი და მრავლად სამძიმო საქმე და ამასაც დავსძენ: კიდევაც იმსხვერპლა უმჯობესი დრო სიცოცხლისა და სიმრთელისა და უკეთესი ხანი ნივთიერის მოსაგებელისა მისი, ვისცოცხლასა და ღონეს ეს მინდობილ ექმნა, – ასე ძლიერად შეანძრია ამ მშობლიურმა ჰაზრმა „დიდთა და მცირთა“ გრძნობა და ასე გაიტაცა დამატკობელის გალობის განახლების სურვილმა საქმესთან ახლო მდგომი წრე, რომ გულ-დასმული, საქმიანი, პრაქტიკულის ნიადაგის დამუშავება აღარ დააცალა და მხურვალედ დაწყებული საქმე გალობის აღდგენისა უსაფანალოდ დარჩა და აუცილებლობის უღმობელის ძალით შეწყდა სიკეთის დროს და მისი მოღვაწე, ღონისა და სიმრთელის ჩამლევნი, მოლოდინით მაშვრალი, იმედით მოშივნებული, მრავლის მომსწრები და უმრავლესის მონადინებული ყოველგნით ღონემოსხლეტილი შეიქმნა და გახდა ნაღვანზე გულ-დაწყვეტილი და საღვანზე წყურიელი!.. ეს ამიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს, ყოველს საქებარს და სასურველს თვისებასთან, ერთი ერთობ ნამეტანი პოეტური თვისება გვჭირს: მოსანონი რამ საქმე გავგიტაცებს ხოლმე იმოდენად, რომ ცოტა ხანს აღარაფერს გაგვახსენებს, თითქმის ჭამა-სმასაც კი არა და საჭმლის მკვირვებასაც. ამ საქმესაც საგზალი არა ჰქონდა, როგორც ბევრს სხვას ჩვენში და მარტო „წყალობის ხელზე“ ყოფნით ვერ დარჩებოდა. მოგესხენებათ საჩუქრებით და წყალობით, რაც უნდა დიდი და საზოგადო საქმე ვერ ივარგებს ისე, როგორც დიდი, გადაფანჩული ნიგვზის ხე ვერ გაიხარებს, თუ წვრილ-წვრილი და ბევრად გართხმული ფესვები არ ასაზრდოებს და მარტო დიდს ღერო-ძირზე დადგა. საერო საქმეს ფესვი ერის ნიადაგში უნდა ჰქონდეს გადგმული და საზრდო წვრილ-წვრილად, მაგრამ მრავლად, უნდა ეძლეოდეს, რომ აღორძინდეს მარჯვედ და იცოცხლოს ხანგრძლივად და ნაყოფიერად. მხოლოდ ამ ნიადაგს, რომ არ გაგვალოს, მოვლა და მორწყვა ეჭირვება, მეტი არაფერი არ არის სანაღვლეელი; ეს ყოველმა ჭეშმარიტმა ქართველმა იცის, რომ უგულობა და უგრძობელობა ვერ გაახმობს ქართველის ერის გულის ორნატს, ისე როგორც ქართლის ზაფხულის გვალვა ურწყავ მინებში სადმე ჩავარდნილს საბრალო მოძულეებულს ნერგსა.

საერო საქმე, საერო ნიადაგის ურყეველობაზე დამყარებული, სამშობლო ნიაღში აღმოცენებული, ერთობის შენანევარი და ძმურის გულსმოდგინებით მოვლილი გაიხარებს, აყვავდება და თავს დაისხამს. მხოლოდ საერო ნიადაგში არ დაჭკნება საერო გრძნობათ ნაყოფმსხმოიარე მცენარე, რომელსაც სიუხვე ერის გულისა აძლევს დაუღვენელს წყაროს სიცოცხლისა და წარმატებისას და თვით ერი იზრდება და ახლდება სულით და გრძნობით ან ცხოველმყოფელის და „სულთა მაშვრალთა“ მაკურნებელის ნაყოფისაგან, მისგანვე დარგულ-დაპურებულის ნერგისა. ამ გვარი მიმოქცევა ნაცვალგებითის სიკეთისა და სიცოცხლისა სჯულით თვით ბუნებისა და მაშასადამე უტყუელია. რაც უტყუელია – სანდოა, რაც სანდოა – საყოყმანო აღარ არის, საქმნელია. რაც იცი, გჯერა – შესძლებ. ეს რწმენა არის განუზომელი ღონე კაცისა და ერისა, ეს „სარწმუნოება“ ჭეშმარიტებისა სძრავს „მთათაცა“ და განა ქართველი კაცი მთაზედაც უფრო უძრავია სარწმუნოებისაგან? განა არ გვაქვს საბუთი და მონამე ქართველის სარწმუნოების დიდებულთა ნაღვანთა, რომელთაგან მთანი შეძრულან, კლდენი რღვეულან, ტაძარნი გებულან, ძეგლნი აღმართულან, მტერნი ძლეულან, ქვეყანა შენებულა და გაბრწყინებულა სჯულითა და მეცნიერებითა, ხელოვნებითა

და სახიერებითა, სიქველთა და სათნოებითა, მგოსნობითა და მხატვრობითა, საკრავითა და გალობითა?! ყველა ეს ხმოვანი და უხმონი მონამენი ლაღადებენ, თუ რისი შემძლეა სარწმუნოებით, რწმენით სულდგმული კაცი, ერი, ქვეყანა. რაც ქართველის ხელს უქმნია, ქართველის გონებას მოუგვარებია, ქართველის ნიჭს გამოუთქვამს, ქართველის გმირობას, ახოვნებას, მძლეობას უმუშავნია, სულ ყოველივე, რაც ქართველის სულს წარმოუჩენია და უქმნია, ჩაუმარხავს და ჩაუსახავს უკვდავ სახედ თავისს სიტყვიერებაში, მუსიკაში, შენობაში, მწყობრი ამათი პირდაპირ გვეუნება, გვასწავლის, გვემუდარება, გვიბრძანებს, გვანვევს, გვაჯმუნებს, გვახარებს, გვანუგეშებს, გვაგალებს, გვიძღვის, გვიქუხს, გვიფსალმუნებს, გვარიგებს, გვაქეზებს, გვაფრთხილებს, გვაკისრებს და თანა გვადებს მამა-პაპათა ანდერძის აღსრულებასა და თან უტყუელს გზასაც გვიჩვენებს, რომელსაც გულდანდობით და გულ-მოდგინებით, ძმურად უნდა დავადგეთ, – გზას რწმენისასა და ერთობისას.

დავადგეთ ამ წმიდა გზას, გზას ნაკურთხს დიდთა წინაპართა ჩვენთა ღვანლითა და მხნეობითა და შევსწიროთ „ყოველმა მამულის შვილმა“ თავისი წვლილი და წვლილთა ამათგან აღვაშენოთ, ვითარცა წვლილთა ქვათაგან აღშენებულ-არს დიდი „მთა-პირამიდი“ ქეოფ-ფარაოსი, დიდი და დაუქცეველი ტაძარი საერო, საკრავ-სამგალობო ხელობნებისა და შიგ შევანყოთ და აღვზარდოთ „ხმანი-სამშობლონი“, თვით აღვიზარდოთ „ხმათაგან მშობლიურთა“ გულგაზიარებულნი, სულჩადგმულნი, ვალმოხდილნი, მადლიერნი, დამტკპარნი, გახარებულნი, შეთვისებულნი უწინდელთა და აწინდელთაგან.

მაშ, ხელვყოთ საქმეს, შევუდგეთ ღონისმოკრებას, შევადგინოთ წყარო დაუშრომელი, შევსწიროთ წვლილი, განვაახლოთ და განვაფრცოთ საკრავ-სამგალობო ხმანი მამეულნი, დავდვათ წილი ამ დიდს საერო ღვანლში, „სიტყვას საქმითა სული ჩაუდგათ“, ძმურად, მწყობრად ხელი მოვუმართოთ ერთბამ მამულისშვილებმა და ღმერთიმც შეგვეწევა!

ნ. დადიანი

149. მწყემსი, 1891, 15 ივნისი, №11, გვ. 1

კიდევ ქართული საეკლესიო გალობის შესახებ

1884 წელში თფილისში დაიხურა ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში არსებობდა. ეს კომიტეტი დაარსდა ან უკვე გარდაცვალებულის მაღალ ყოვლადსამღვდელო საქართველოს ექსარხოსის ევსევის თაოსნობით. უკანასკნელ დროში მაღალყოვლადსამღვდელომ, საქართველოს ექსარხოსმა, მთვარეპისკოპოსმა პავლემ იწება, რომ ხსენებულს კომიტეტს ან შეესრულებინა თავისი მოვალეობა და ან იგი დახურულიყო. კომიტეტის წევრებმა, ცოტა არ იყოს, გაიღვიძეს და მუყაითად მოჰკიდეს ხელი გალობის საქმეს. მათ მოიწვიეს საერო წოდებიდგან გალობის მცოდნე პირები და შეუდგნენ საქმეს კიდევ, მაგრამ საქმეში ჩაერიენ ისეთი პირები, რომელთაგან ზოგმა ქართული გალობის სიძულვილით და ზოგმა თავიანთი მორჩილ-მონობით ხელი შეუშალეს გალობის აღმადგინებელ კომიტეტს. ამ დროს პატივცემულმა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა ქართლ-კახური კილოს გალობის ნოტებზედ გადაღება თვითონ იკისრა თავისი ხარჯით. ამის გამო კომიტეტი, რომელიც ოც წელზე მეტი არსებობდა და არასფერი არ გაუკეთებია, სულ დაიხურა. შეიტყო თუ არა ეს საქმე იმერეთის და

სამეგრელოს სამღვდლოებამ, მათ თავიანთ ეპარქიალურს კრებაზედ მოილაპარაკეს და გარდასწავიციეს ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის დაარსება ამ სტრიქონების დამწერის თავმჯდომარეობით. ჩვენ ჩვენის მხრით მივიღეთ ყოველივე ზომა ამ ფრიად საჭირო საქმის სისრულეში მოყვანისათვის, შევავროვეთ ფულები და გადავიღეთ ნოტებზედ ოთხასი საგალობელი. ნოტებზედ გადაღებული გალობა გასაშინჯად იგალობეს აქა-იქ იმერეთში და სამეგრელოში და საზოგადოებამ ყველგან მოიწონა ეს გალობა და დაამტკიცა, რომ ეს ისეთივე გალობა არის, როგორსაც გალობდნენ და დღესაც გალობენ მცოდნე მგალობელნი. ამ ნოტებზე გადაღებული საგალობელთა დაბეჭდვისათვის ბევრი ვეცადეთ, ბევრი ვევაჭრეთ სხვადასხვა ლიტოგრაფიის პატრონებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათი დაბეჭდვა საძნელო შეიქმნა უფულობისა გამო. თუ ეს ნოტებზე გადაღებულ საგალობლები ასე უყურადღებოდ დარჩენ ჩვენი სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგან, ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლოს ეს ამოდენა შრომა სულაც დაიღუპოს.

საზოგადოებაში ხშირად გესმისთ სამღვრავი სამღვდლოებაზედ, რომ მან საეკლესიო გალობა არ იცისო. ჩვენც ვეთანხმებით ამ ბატონებს. მართალია, რომ ჩვენს ეკლესიებში ქართული გალობის მცოდნე პირები თანდათან კლებულობენ და ბოლოს ეს გალობა სულ მოისპობა. მაგრამ გვიკვირს, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში თავის თავს დამნაშავედ არა სცნობს. ვის ეკუთვნის ეკლესია? – მრევლს. ვისი მოსამსახურეა მღვდელი და მედავითნე? – ეკლესიის და მრევლის. როდესაც ეკლესია ცუდ მდგომარეობაშია, დასაძრახავია ამ ეკლესიის მღვდელი, მაგრამ ერთი ორად გასაკიცხია მრევლი. თუ ეს ასეა, ნუთუ საზოგადოება ვალდებული არ არის, იზრუნოს ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის და მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო საქმეში ერთად სამღვდლოებასთან? საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს და იზრუნოს ნოტებზე გადაღებული საგალობლების დაბეჭდვისათვის.

ხშირად ჩვენი თავად-აზნაურობა თავისი ბანკის შემოსავლიდგან სამონყალოდ აძლევს ათასობით და ორიათასობით ისეთ პირთ, რომელნიც გამოუდგერად და უსარგებლოდ ხარჯავენ ამ ფულებს. ამას გარდა, ამისთანა მონყალების მიცემით ჩვენი თავად-აზნაურთა კრება, სამწუხაროდ, ამრავლებს ჩვენში მონყალების მათხოვარ პირთა რიცხვს. ამ მათხოვრებს გვერდში ამოუდგებიან ხოლმე ზოგიერთი მოსამსახურე ჯამაგირიანი პირებიც და ელიტინებიან საზოგადოებას ჯამაგირების მომატებას, რადგან მათ არა ჰყოფნით ათასი და ორიათასი მანეთი!.. ნუთუ საზოგადოება უარს ვერ ეტყვის მათ და თავისუფალს ფულს უფრო კეთილ საქმეზედ ვერ მოიხმარს? ნუთუ არ შეუძლია თავად-აზნაურთა კრებას, რომ ამ ფულებიდგან ცოტაოდენი თანხა გადადვას, რათა ნოტებზედ გადაღებული საგალობლები დაიბეჭდოს?

თუ სრულიად ხმას არავინ გასცემს ჩვენს წინადადებას და არც არავინ ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, მაშინ ზნეობითად ვალდებულია ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ მან შეიძინოს ეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები. თუ ეს საზოგადოება მის დაბეჭდვას ვერ მოახერხებს, საიმედო ადგილას მაინც იქნება შენახული ეს ნაშრომი. იმერეთის და სამეგრელოს სამღვდლოება დიდის სიამოვნებით ათხოვებს ამ დამუშავებულ ნოტებს გადასაწერად და ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსი ალექსანდრეც, თუ თვითონ ვეღარ იკისრებს იპოლიტოვ-ივანოვისაგან ნოტებზე გადაღებულ ქართული საეკლესიო გალობის დაბეჭდვას, ათხოვებს ამ ნაშრომს გადასაწერად ხსენებულს საზოგადოებას. ჩვენის აზრით, ეს დიდი შეძენა იქმნება წერა-კითხვის წიგნთსაცავისაგან. ეს საზოგადოება არ უნდა მოერიდოს ამ მცირე ხარჯს, რომელიც მოუვა მასს ნოტების გადწერისათვის.

*ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის თავმჯდომარე,
ყოფილი დეკ. დ. ლა-ძე [დავით ლამბაშიძე]*

მეათე საუკუნის საგალობელი ნიშნები

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავში ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა მიჩვენა ერთი დიდი წიგნი მეათე საუკუნისა, ეტრატზე ხუცურის ასოებით ნაწერი. ეს წიგნი შეიცავს დღესასწაულთა საგალობლებს. თითოეული სიტყვა საგალობელთა აღნიშნულია სხვადასხვა სახის ნიშნებით, წითელის მელნით დაწერილით, ნიშნებით ნაჩვენებია ზოგი სტრიქონს ზემოთ და ზოგი სტრიქონს ქვეშ, სიტყვების ხმოვან ასოზე. გარდა ამისა ეს ნიშნები ერთმანეთს შორის იმითი განსხვავდება, რომ ზოგი დიდია და ზოგი პატარა, ზოგი სხვილია და ზოგი წვრილი, ზოგი გრძელია და ზოგი მოკლე, ზოგი დაკლაკნილია, ზოგი ორკბილიანია, ზოგი სამკბილიანი, ზოგი ხუთკბილიანი და ზოგი ექვსკბილიანი. ზოგან გრძელი ხაზი ორს-სამს სიტყვას ეხვევა თავზე და გარდააბამს სიტყვებს ერთს მეორესთან, ზოგი იწყება ძირითგან წვრილის ხაზით, ადის ზემოდ და გადაუხვევს მარჯვნივ მსხვილის ხაზით.

ექვი არ არის, რომ თითოეულს ამ ნიშანთაგანს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმათი მნიშვნელობა რომ განვმარტოთ და შევადაროთ ევროპიულს სამუსიკო ტერმინებთან, აი რა დასკვნას დავადგებით: დიდი და პატარა ნიშანი სიტყვაზე თუ სიტყვის ქვეშ აღნიშნავს დაბალის და მაღალის ხმების წყნარად და მძლავრად გამოთქმას. მუსიკალურად ამას ჰქვია: ფორტე, პიანო (*forte, piano*). მსხვილი და წვრილი ნიშნები აღნიშნავს ბანსა და მაღალს ხმებს, გრძელი და მოკლე ნიშნები – გრძლად და მოკლედ ხმების წარმოებას, დაკლაკნილი ხმების თრთოლვასა და მღელვარებას, რომელიც მუსიკალურად ნიშნავს: ვარიაციონა (!), აჯილიტა (!) (*Variatione, adilita*) (!). სამკბილოვანი, ხუთკბილოვანი, ექვსკბილოვანი – იმავე ხმების მღელვარებას, მიხრა-მოხრას და ვარჯიშობას, მაგრამ ცოტა მძიმედ და ლმობიერად. მუსიკალურად ამასა ჰქვია: ტრიოლი, კვინტოლი, სესტოლი (*Trioli, quintoli, sestoli*). გრძელი ხაზი, რომელიც ორს-სამს სიტყვას უვლის თავზე, აღნიშნავს, რომ ის სიტყვები გადაბმულის და ლმობიერის ხმით უნდა ითქვას ხაზის გათავებამდის. მუსიკალურად ამას ჰქვია ლეგატო (*Legato*). ნიშანი, რომელიც იწყება დაბლითგან წვრილის ხაზით და გარდაუხვევს მარჯვნივ მსხვილის ხაზით, აღნიშნავს, რომ ხმა დაიწყება სუსტად და გადავა უეცრად მძლავრს ხმაზე. მუსიკალურად ჰქვია სინკოპე (*Sincopé*). ამ ნიშნით ხმის მოძრაობა საზოგადოდ ხშირად შემინიშნავს ქართულს გალობაში. აგრეთვე ტრიოლის, კვინტოლის და სესტოლის ხმარება ხშირადვე გამიგონია ძველის მგალობლებისაგან. საზოგადოდ ამ ნაირის არეებით, (ინტერვალი) ხმების მოძრაობა, აღმოსავლეთის ერთა გალობა-სიმღერაში მიუცილებელი ჩვეულებაა.

ხშირად ნახავთ ზემოხსენებულს წიგნში, რომ ერთს სიტყვას სამი ნიშანი აქვს: ერთი სიტყვის ზემოთ, მეორე ცოტა იმის დაბლა და მესამე კი სიტყვის ქვეშ. პირველი გრძალი და დაკლაკნილია, მეორე – ცოტა ნაკლები და მესამეც – რამდენიმე კბილიანი. ეს ჰნიშნავს სამხმოვანს გალობას, რომელიც ნიშნებისადა გვარად უნდა აღსრულდეს ვარჯიშობით. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ქართული გალობა თავის არსებობის დასაბამიდგან სამხმოვანი ყოფილა. დაბალის ხმების (ბანების) შესახებ სამი საყურადღებო ნიშანი ვნახე, რომელთაგანაც პირველი არის ნაჩვენები სიტყვაზე, მეორე ცოტა იმის ძირს და მესამე კიდევ მეორეს ქვემოდ. ეს სამი დაბალი ხმა უნდა იყოს ბანი, დვრინი და დუმბი. ეს სამივე ნიშანი დაკლაკნილის სახისაა, მაშასადამე ბანებსაც ჰქონია გალობაში მსწრაფლი მიხრა-მოხრა და ხმების ვარჯიშობა. ახლაკი, საქართველოს ზოგიერთს კუთხეში, ბანი გალობასა და სიმღერაში, თითქმის უწყვეტია და მაღალს ხმებს მისდევს.

ზემოაღნიშნულნი დიდმნიშვნელოვანნი და ძვირფასნი ნიშანნი ცხადად გვიმტკიცე-

ბენ ჩვენის გალობის სიმდიდრეს ძველს დროში. ადვილად შესაძლებელია, ამ ნიშნების სა-
შუალებით მოინახოს ის კილო, რომლითაც გალობდნენ მეცხრე-მეათე საუკუნეში. თუმცა
ამ ნიშნებისაგან ტონები და ზომები განმარტებით არა სჩანს, მაგრამ, თუ იმ ძველს კილოს
გამოვიკვლევთ, ზომისა და ტონის მონახვა ძლიერ ადვილია.

ფ. ქორიძე

151. ივერია, 1891, 3 ოქტომბერი, №209, გვ. 1

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საეკკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მისს
ყოვლადუსამღვდელოესობას, ეპისკოპოს ალექსანდრეს პირობა აქვს შეკრული ტფილისის
სამუსიკო სკოლის დირექტორთან, ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვთან. ბ-ნმა იპოლიტოვ-ივანოვმა
ამ პირობის ძალით უნდა მიიღოს ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან სულ 2000 მან. ამ დღეებში
აქედამ მან უკვე მიიღო 500 მან. სამაგიეროდ ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს დაუწყვია კიდეც
ნოტებად წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილ დიდისა და გრიგოლ ორმეტყველისა.
დარჩენილია დასაწყობად მხოლოდ სძლისპირები. ახლა როგორც შევიტყვევთ, ბ-ნი იპოლი-
ტოვ-ივანოვი მოსკოვს აპირებს წასვლას და იქ უნდა ნოტების მბეჭდველ ბ-ნს იურგენსონს
მოელაპარაკოს, რომ მან იკისროს დაბეჭდვა უკვე დამზადებულის ნოტებისა. მისი ყოვლად-
უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირებია ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს, რომ
რაც დაბეჭდვის ფასი შესდგება, ნაწილ-ნაწილ გადავუხდი იურგენსონსაო.

1892

152. მწყემსი, 1892, 1-29 თებერვალი, №3-4, გვ. 3-6

მკითხველთა და მგალობელთა საყურადღებოდ (რუსულიდან)

გაქებდე უფალსა ცხოვრებასა ჩემსა, უგალობდე ღმერთსა
ჩემსა, ვიდრემდის ვიყო მე. (ფსალ.103, მუხ. 33).
უგალობდით, ღმერთსა ჩვენსა, უგალობდით,
უგალობდით, მეუფესა ჩვენსა, უგალობდით.
რამეთუ მეუფე არს ყოვლისა ქვეყანისა ღმერთი,
უგალობდით მას მეცნიერებით (ფს.46, 6-7).

ისმინეთ, მართლმადიდებელნო მკითხველნო და მგალობელნო, იგულისხმეთ და ერთად
წმ. დავითისთანა უგალობდით ღმერთსა ჩვენსა, რომელმაც შეჰქმნა ცა და ქვეყანა და ყოვე-
ლივე, რაიცა არს მას შინა და ისე შეიყვარა სოფელი ესე, რომ ძე თვისი მხოლოდშობილი

მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს მისი, არა წარწყმდეს, არამედ აქენდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3-16). ღმერთსა ამას უნდა უგალობოთ და მისდამი ყურადღებით აღავლინოთ ლოცვა, თხოვნა, მადლობა და დიდება. ნუ დაგავინწყებთ, რომ სამგალობლო ადგილზედ საქმე თქვენი არის წმიდა, ხოლო ვალდებულება თქვენი – უდიდესი და განსხვავებული. საქმე თქვენი წმიდაა ამისათვის, რომ მუშაობთ უფლისადმი, ხოლო უფლისათვის გმართებთ იმუშავოთ კეთილკრძალულებით. ვალდებულება თქვენი მაღალი და საღმრთოა, რადგან იგი მდგომარეობს მასში, რათა თქვენ, სულიერთა ფსალმუნთა და საგალობელთა შინა თქვენი კითხვა-გალობით უქადაგებდეთ სიტყვასა ღვთისასა ერსა და ძმათა, რომელთათვის ქრისტემან შესწირა თავი თვისი მსხვერპლად, და თქვენ თქვენი პირითა და ენითა ტაძარში მდგომარე მლოცველთა მაგიერთაც უნდა აღავლინოთ ლოცვა ღვთისა მიმართ.

აი, რას ამბობს ამაზედ მოციქული, რომლის სიტყვებს თქვენ ხშირად ჰკითხულობთ: და სიტყვა იგი ქრისტესი დამკვიდრებულ იყავნ თქვენთანა მდიდრად და ყოვლითა სიბრძნითა ასწავებდით და მოძღვრდით თავთა თქვენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერთა მადლითურთ უგალობდით გულთა შინა თქვენთა უფალსა (კოლას. 3, -16).

ნუ დავივინწყებთ, რომ ჩვენ, ეკკლესიის მოსამსახურენი, ვიკრიბებით ხოლმე წმ. ტაძარსა შინა არა მარტო იმისათვის, რომ დაწესებული ლოცვები, ფსალმუნნი და საგალობლები უგულისხმოდ აღვასრულოთ; არა, ჩვენ ვიკრიბებით, და ჩვენთან ერთად ხალხი, წმ. და დიდი საზოგადო საქმის დაცვისათვის. ამიტომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ, წინამდგომნი ეკკლესიასა შინა, მღვდელნი, მკითხველნი და მგალობელნი მოვალე ვართ ვილოცოთ გულისხმიერად და კეთილკრძალულებით. ჭეშმარიტი ლოცვა იქნება მხოლოდ ის, როცა ჩვენ, მკითხველნი და მგალობელნი, ჩვენი ბაგით აღვავლენთ გულსა და გონებასა ღვთისა მიმართ ისე, თითქო ცხადათ ვემუთსაიფებოდეთ უფალსა ყოვლისა მპყრობელსა. მაგრამ ეს კი მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წმ. ტაძარში ვმუშაკობთ ღვთისათვის და ვმუშაკობთ არა მხოლოდ ჩვენი თავისათვის, არამედ ყველა ტაძარში მდგომარე ერთათვის, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ხშირად ისე აჩქარებით და უგულისხმოდ ვკითხულობთ და ვგალობთ, რომ მხოლოდ ერთი ღვთისა მეთი არა ისმის რა ეკკლესიაში. ზოგიერთი მკითხველ-მგალობელთაგანნი, რომ უფრო მალე გაათაოს ღვთისმსახურება, გალობის დროს საიდუმლოდ ჰკითხულობს მხოლოდ მისთვის, რომ ეკკლესიური ტიბიკონის წესი არ დაარღვიოს, თითქო ყველაფერი წაკითხულია გამოუკლებლად. ასე უნდა ვიმუშავოთ უფლისათვის? ეს არის ჭეშმარიტი ლოცვა? ამისთანა ლოცვა, არა თუ სასიამოვნო არის უფლისათვის, არამედ უმეტესად განარისხებს მას და ამისათვის ჩვენი უყურადღებობა მიგვიყვანს ჩვენ წარწყმედასა შინა. აი ამისთანა ლოცვაზედ რას ამბობს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: მახლობელ არს ჩემდა ერი ესე, პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივს მცემს მე. ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან, ამოდ მსახურებენ მე. (მათ. თავი 15, მუხ. 8-9).

უკეთუ ჩვენ, წინამდგომნი, ასე უყურადღებოთ მივიქცევით ღვთისადმი, მარტო ბაგითა და ენით პატივს ვცემთ უფალს, ხოლო გული ჩვენი განშორებულ იქნება მისგან, თვითონ თქვენ გასაჯეთ, რას ისწავლიან ჩვენგან უმცროსნი ძმანი? ნუთუ არ გაუფრილდებთ მათაც გული ჩვენზე და წმ. ეკკლესიაზე? ვაი ჩვენ, უკეთუ დავივინწყებთ, რომ მუშაკნი ვართ ღვთისადმი, და საქმესა ღვთისასა ვასრულებთ უყურადღებოდ და მაცდუნებულად ჩვენთა უმცროსთა! მოციქული პავლე გვეუბნება ჩვენ: ნუ სცდებით, ღმერთი არა შეურაცხ იქმნების, რამეთუ რაიცა იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს (გალ. 6, მუხ. 7). წინასწარმეტყველი იერემია ამბობს: „წყეულ იყავნ კაცი, მომქმედი საქმესა უფლისასა უდებებით“ (48-10).

ესეთი წყევა პირველად ხვდება მღვდელს, როგორც ქრისტეს ეკკლესიის მწყემსსა, რომელიცა ქრისტემან მოიყიდა სისხლითა თვისითა, და ხვდება მას, ვითარცა ეკკლესიის უფროსს. უკეთუ იგი, როგორც მღვდელი, ღვთისმსახურებას ასრულებს უყურადღებოდ და

არ უყურებს მკითხველთა და მაგალობელთა, არ მოაგონებს მათ და არ უჩვენებს, თუ როგორ უნდა იმუშაონ მათ ღვთისადმი. დაბოლოს იგივე წყევა ხვდება თვით მკითხველებს და მაგალობლებს, თუმცა იგინი არ იზრუნვენ, რომ საქმე ღვთისა ჰყონ კეთილმონინებით, და არც მღვდელს გაუგონებენ იგინი, შეურაცხყოფენ მას და წინააღმდეგობას უჩვენებენ თვით წმ. ტაძარში. ვისდამიცა ბევრია მიცემული, მას უფრო ბევრი მოეთხოვება, და ვაი ჩვენ, წინამდგომთა ეკკლესიასა შინა, უკეთუ ჩვენ დავვიწყებთ ჩვენს წმიდა საქმეს! მაგრამ უფალი სულგრძელ და მრავალმონყალეა და გვიხსნის ჩვენ მძიმე პასუხისგებისაგან, მისის მართლმსაჯულებით სამსჯავროსა შინა, შთაგვაგონებს და შეგვეწვევა ჩვენ ვიმუშაკოთ მისდამი შიშითა და წმიდა საქმე მისი აღვასრულოთ კეთილმონინებით სახცოვნებლად ჩვენდა და ერთა.

ამის ღირსნი რომ გავხდეთ ქრისტეს მიერ, რომელმაც ივნო ჩვენთვის, მკითხველებმა და მაგალობლებმა უნდა დაიმახსოვრონ და სიყვარულით აღასრულონ საქმენი ესე ღვთისანი:

1) ყოველივე ეკკლესიური სამსახური და მღვდელმოქმედება აღასრულე ეკკლესიური ტიბიკონისამებრ უკლებლად, კეთილმონინებით და გონიერად; იკითხე და იგალობე გასაგებად და აუჩქარებლად; უმთავრესად ნუ ჩქარობ, როდესაც კითხულობ წმ. ლოცვებს; ვინ მოგდევს? სად მიეჩქარები? ნუთუ შენ გენანება, რომ ერთი საათი კვირაში შესწირო უფალს, გულისხმიერი და ბეჯითი ლოცვით? დაფიქრდი, ნუ არისხებ უფალს, ნუ ამდაბლებ ლოცვებს, ნუ აცდენ ხალხს და ნუ ჩქარობ.

2) იკითხე ხოლმე ისე, რომ შენვე გაიგო, რას კითხულობ და ყოველივე წაკითხული ლოცვები და ფსალმუნები გაიმსჭვალოს შენს გულში ისე, რომ თითქო ლოცვილობდე არა მარტო ბაგითა და ენითა.

3) შენს შემდეგ ნუ დაივიწყებ ხალხს, რომელიც სდგას ტაძარში. იკითხე ისე, რომ ხალხმაც გაიგოს და შენთან ერთად მანაც ერთითა პირითა და ერთითა გულითა ილოცოს და ადიდოს უფალი, რომლისათვისაც ჩვენ ყველანი ვიკრიბებით ეკკლესიაში.

4) უკეთუ შენ ცუდათ კითხულობ, ნუ იქმნები მცონარე, ოჯახში მოემზადე საღმრთო წერილის კითხვაში, რომ ღვთისმსახურების დროს ყოველთვის შეგეძლოს კითხვა კრძალულებით, თავისუფლად, ცხადათ და ყველასათვის გასაგონად.

5) როდესაც სხვა ვინმე ჰკითხულობს და სცდება, ხმამაღლა ნუ გაუსწორებ მსახურების დროს, რადგან ამით ხალხის ყურადღებას ლოცვისადმი შეარყევ, უმჯობესია, შენიშნო თვითონ და შემდგომ მსახურებისა ამხილო კერძოდ.

6) რომელნიც სუსტად კითხულობენ, მათ ნება არ უნდა მისცე ეკკლესიაში კითხვისა, სანამ იგინი შინ არ შეეჩვევიან კარგათ კითხვას.

7) ღვთის მსახურების დროს არ უნდა ახველებდე ხმამაღლა ეკკლესიაში, არც უნდა ილაპარაკო და არც არავინ სიცილი უნდა გაბედოს; თუ თქვენ, მკითხველნი და მაგალობელნი დაინყებთ სამგალობლო ადგილზედ მუსაიფს, სიცილს და ყოველგვარ ხმაურობას, მაშინ როგორღა ილოცავს ხალხი, რომელიც შეკრებილია, თქვენთან ერთად ილოცოს?

8) უკეთუ ღვთისმსახურების დროს შეგხვდეს რაიმე საჭიროებისათვის ეკკლესიაში გავლა, ნუ აჩქარდები, ნუ დაეტაკები ხალხს და უმთავრესად ნუ დააბრაზუნებ ეკკლესიაში ფეხებს, გაიარე წყნარად, მშვიდათ და კეთილკრძალულებით, რომ შენგან ხალხმაც ისწავლოს, თუ როგორ უნდა გაიაროს და დადგეს იგი ეკკლესიაში ღვთისმსახურების დროს.

9) ეცადე უგალობდე უფალსა მეცნიერებით და წმ. გულით, ასე რომ შენმა გალობამ გამსჭვალოს ხალხის გული და აღძრას მათში მხურვალე ლოცვა.

10) იგალობე ისე, რომ შეიძლებოდეს სიტყვების გაგონება, ნუ ჩქარობ.

11) გალობის კილოს ნუ გამოცვლი ხოლმე შენს ნებაზე: დღეს ერთს საგალობელს გალობ ასე, ხვალ კი იგივე საგალობელს იმავე კილოზედ სხვანაირად, რაიცა ყურთასმენისათვის სრულებით სასიამოვნო არ არის.

12) იკითხე და იგალობე ყოველთვის ერთნაირ კეთილმონინებით და გულმოდგინებით, თუგინდ ბევრი ხალხი იყოს ტაძარში, თუგინდ ცოტა და კიდევ რომ სრულიადაც არავინ იყოს, გარდა მღვდლისა, შენსა და მყარაულსა, რადგან რომ შენ მუშაკობ ღვთისადმი და არა ხალხისადმი. სულიერი ფსალმუნითა და გალობითა შენ უნოდებ ხალხს ღვთისადმი და ასწავლი მათ იცხოვრონ ღვთაებრივად, ხოლო უკეთუ რომელიმე შემთხვევისა გამო ხალხი სრულიად არ იყოს ეკკლესიაში, შენ მაინც მათთვის იმუშაკე ღვთისადმი შიშითა და კეთილკრძალულებით.

13) უკეთუ იპოვება ვინმე, რომელთანაც შეგიძლია ისწავლო კარგი გალობა, ნურასოდეს ნუ იქმნები მცონარე და ნუ დასცინი მცოდნე პირების კეთილ რჩევას.

14) უპირატესმა მღვდელმა როდესაც გიჩვენოს რომელიმე შეცდომა და ნაკლულევანება, ნუ გაჯავრდები და ნუ ეწინააღმდეგები მას, არამედ გაუგონე, გაისწორე და მოთმინებით მიიღე ყოველგვარი მისი შენიშვნა და საყვედური სამსახურისამებრ; იგი მოვალეა გიჩვენოს ყოველივე ესე და უკეთუ არ გიჩვენა, თვითონ ჩავარდება პასუხისგებაში.

15) საზოგადოდ რჩევა და განკარგულება მღვდლისა ეკკლესიის შესახებ შენი სამსახურისამებრ ყოველთვის მიიღე ხალისიანათ და სიყვარულობით აღასრულე საქმე ღვთისა.

16) არ უნდა გაჰკიცხო უპირატესი მღვდლის შეცდომილება და ნაკლულევანება. მოიგონე სიტყვები იესო ქრისტესი: ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ (მათ. თავი 7, მუხ. 1), ანუ რასა ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი (მათ. 7, მუხ. 3). შენ, როგორც უმცროსმა ძმამ და ეკკლესიის მომსახურემ, არ უნდა განიკითხო მღვდლის მოქმედება მრევლის წინაშე და ამით არ ჩაუნერგო მათ გულში ცუდი აზრი მღვდელზე. გახსოვდეს, რომ შენი საქმე აქ სწავება კი არ არის, არამედ თვით ისწავო; და მდუმარებდე მის შესახებ, რისიც გასწორება არ ძალგიდს.

17) მრევლის შესახებ შენ უნდა იყო ზრდილობიანი, მომთმენი, არა მედიდური და ამპარტავანი და შენი სიყვარული გამოუცხადო მათ შენი კეთილი სწავლა-დარიგებით; გახსოვდეს, რომ შენ ხარ სახელდობრ ის პირი, რომელსაც თვით იესო ქრისტე უნოდებს თავის უმცროს ძმად.

18) კეთილნი გამგონნი, ღვთის საქმის მოყვარულნი და ერთგულნი მკითხველნი და მგალობელნი აკურთხოს უფალმა და შემწე ეყავნ მათ, რათა შეიქმნენ უკეთესნი და ღირს იქმნენ იგინი სმენად სიტყვისა ღვთისა: კეთილ მორწმუნეო მონაო, შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა (მათ. თავი 25, მუხ. 21), ხოლო დაუდევნელნი და მცონარენი ნუ დაივიწყებთ წინასწარმეტყველის სიტყვებს: წყეულ იყოს კაცი, რომელმან ქმნეს საქმენი უფლისანი უდებებით; ამისათვის ნუ დაილუპავთ თავთა თქვენთა, ნუ შეაცდუნებთ ხალხს, ინვრთიდით და ქმნენით საქმე ღვთისა შიშითა და კეთილკრძალულებითა.

მღვდელი რ. გორგაძე

153. ივერია, 1892, 2 აპრილი, №71, გვ. 1

ახალი ამბავი

თელავი. ჩვენთა ქართველების სასიამოვნოდ, ქართული გალობა ეკკლესიებში თანდათან ხშირდება აქეთ მხარეს. აი მაგალითებრ, სოფ. აწყურში (თელავის მაზრა) იქაურმა სკოლის მასწავლებელმა ბ-ნ შავლიშვილმა შეასწავლა მონაფეებს ქართული საეკკლესიო ხმები და მუდამ კვირას ორპირად აგალობებს მონაფეებს საყდარში. ხალხი ბლომად დაიარება ეკკლე-

სიაში და დიდი საიმოვნებით ისმენს წირვა-გალობას.

თვით თელავის „სობოროშიაც“ მოვისმინეთ რამდენჯერმე ქართული გალობა, პატარა ქალ-ვაჟთა მიერ შემდგარ მაგალობელთა დასისაგან, რომელიც შეადგინა იმავე ეკკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა მაისურაძემ. მაგალობელთა დასი ჯერ ახალია და შემდეგში, როგორც ეტყობა, კარგი დადგება.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა ამ ნაირს მოღვაწეს, ვინც კი სცდილობს, ცოტად მაინც გაავრცელოს ხალხში ქართული გალობა.

154. ივერია, 1892, 18 ივნისი, №126 გვ. 1

ახალი ამბავი

* * *

შაბათს, 20 ივნისს, ქართული ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტს ტფილისის „კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში. დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 საათზედ დანიშნული. ხორო აპირობს, ერთი კონცერტი კოჯორშიაც გაჰმართოს ან კვირას, 21 ივნისს, ან შემდეგ და მერე უნდა ჩრდილო კავკასიისაკენ გაემგზავროს მადნის წყლებზე კონცერტების გასამართავად. ხოროს და მის მოთავეს ბ-ნს რატილს იმედი აქვთ, ჩრდილო კავკასიაში იმდენს ფულს აიღებენ, რომ ერთი ნაწილი მისი ძირის ფულად დაიდოს და გაჭირვებაში მოჰხმარდეს ქართულ გალობა-სიმღერის საქმეს.

155. ივერია, 1892, 8 ოქტომბერი, №212, გვ. 3

ორიოდე სიტყვა ქართულის მუსიკისა და გალობის მოყვარულთა მიმართ

წლევიანდელ ზაფხულს ჩემმა სოფელ-სოფელ ლოლიალმა, სხვათა წვრილმან სიმღერათა შორის, ერთი კარგი და ზორბა ერიში შესძინა ჩემს სიმღერების კოლექციას. ეს ერიში, რომელსაც ჰქვია „მესევა“, გავიგონე თ. ნ. ტ. დ-ნის ოჯახში, თითონ მის და იმისის ქალ-ვაჟის მიერ აღსრულებული ძველებურს, 18 სიმიანს ჩანგსა, ჩონგურსა და ფორტეპიანოზედ. მისმა მუსიკალურმა მოძრაობამ, ჰარმონიულ ინსტრუმენტთა შორის წყობილობამ და თვით პიესის კილომ აღტაცებაში მომიყვანა. შიგ იხატება და გამოითქმის სიმარდე, მამაცობა, კვნესა, სიხარული და გამარჯვება. კილო ქართულის სტილისა უნდა იყოს. რასაკვირველია, გადმოვიღე ნოტებზედ და ფორტეპიანოზედაც მშვენივრად იკვრის. ვინც თვალყურს ადევნებს, სამუსიკო კულტურის შესახები ბევრი რამ კარგი მოიპოვება ქართველ ხალხში. მაგრამ რად გინდა! იპოვნი, დასწერ, ჩასვამ სამუსიკო კალაპოტში, დაუპანტურებ ფორტეპიანოზედ და იტყვი: „ოჰ! რა კარგი, რა მშვენიერი ყოფილა ქართული მუსიკაო!“ და მიაგდე კუთხეში. ჰგდია იქა, ვერც სტამბას ეღირსება და ვერც ქვეყანაში თავის გამოჩენას. რადაო ვითომ? იმიტომ, რომ „მოჭიდავე ხარს ღმერთმა რქები არ მისცაო“. მე იმას მოგახსენებთ, რომ ერთი კაცი, თუნდა მცოდნე თავისი საქმისა, მაგრამ ხელმოკლე, იმისთანა რთულს საგანს, როგორც მუსიკა და

გალობაა, ვერას გაუძღვება. ამისათვის უმორჩილესად მოვეუწოდებ ახალგაზრდა მუსიკის მოყვარე ქართველ ქალებსა და კაცებს და ვთხოვ მობრძანდნენ, ისწავლონ და გაიციონ თავიანთი მუსიკა-სიმღერები და სხვებსაც გააცნონ. ვისაც დილით დრო არ აქვს, სალამოს მობრძანდნენ (ნიკოლოზის ქუჩა, № 13). მასალა ბევრი მაქვს მზად. სახელმძღვანელოდ მუსიკის შესასწავლად შედგენილი მაქვს ქართულს ენაზედ ჩემ მიერ პიესები (სასიმღეროები): სოლო, დუეტი, ტერცეტი, ხორული და სხვანი. იმედი მაქვს საზოგადოებაც არ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას ამ საქმის პირველის ნაბიჯის განსახორციელებლად და მოკლე ხანში, დარწმუნებული ვარ, გავაჩაღებთ საოპერო დასს, რომელიც სასიამოვნო იქნება ყველა ქართველისათვის.

ფილიმონ ქორიძე

156. ივერია, 1892, 16 დეკემბერი, №267, გვ. 3

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო, რავდენისამე მონაფის სახელით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს – ლოტბარს ანდრია სიმონის ძეს ბენაშვილს, რომელმაც თითქმის ნახევარ ფასად დაუთმო თავისი გამოცემული ნოტები, „საეკლესიო გალობა“ ქართლ-კახეთის კილოზედ, გორის სასწავლებლის ზოგიერთ ღარიბ შეგირდებს.

*გორის სასულიერო სასწავლებლის
გალობის მასწავლებელი ს. გოგლიჩიძე
1892 წ. 7 ქრისტეშობისთვის.
ქ. გორი.*

1893

157. ივერია, 1893, 2 თებერვალი, №24, გვ. 3

ახალი ამბავი

ქართული საეკლესიო გალობის საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. ამჟამად ერთი ხორო ქართველ მგალობელთა აგერ თვეზე მეტია ყოველ კვირა დღეს გალობს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ქორიძის ხელ-ობით. ხოროს აქვს ფ. ქორიძის მიერ გადაღებული ნოტები წირვის საგალობლებისა და საკმაოდ მწყობრად და სასიამოვნოდაც გალობს. ნოტების წყალობით აღარ ისმის ის კრიმანჭული ხმები, რომელიც ზეპირად გალობის დროს მოისმოდა. როგორც შევიტყუეთ, ქორიძის ხოროს ლოტბარ მ. შარაშიძისთვის გადაუცია მთელის წლის საჭირო საგალობლები, ნოტებად დაწყობილი, და ამასთანავე ალუთქვამს დახმარება და ხელმძღვანელობა ამ საგალობელთა შესწავლის საქმეში.

ნოტებით ქართულ გალობის სწავლა

გალობას ასწავლის ბ-ნი ფ. ქორიძე, ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თვითუფს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს. გალობის სწავლა შეუძლია ყველა წოდების კაცს, სწავლის ფასი არ ერთმევათ და ნოტების ქალაღდიც მუქთად მიეცემათ. ხოლო უკეთუ ვინმე მოსწავლეთაგანი ისურვებს და თვით გალობის წარმატებისთვის შემოსწირავს რამეს, დიდს მადლობით მიღებულ იქნება. დრო და დღე დანიშნული იქნება თვით მოსწავლეთა სურვილის თანახმად. რადგან ნოტებით გალობა ახალი საქმეა ჩვენში და მისი მოსმენა ბევრისათვის საყურადღებოა, ამისთვის ყოველ დღესასწაულის წინა დღით გამოცხადებული იქნება, თუ რომელს ეკლესიაში იგალობებს მგალობელთა გუნდი. გალობა გადაღებულია ქუთაისში იქაურ საუკეთესო მგალობელთა დახმარებით ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ.

კვირას, 21 თებერვალს, იგალობებენ კალოუზნის ეკლესიაში.

* * *

ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №21 „ქართულ ნიგნთ-საკითხავი“ დაარსდა.

ორიოდე სიტყვა ქართულ გალობა-სიმღერისა და მუსიკის შესახებ

სიამოვნებასა და სიხარულსა ჰგრძნობს კაცი, როცა ხედავს, რომ განათლების საქმე კარგად მიდის მის ქვეყანაში. თუმცა, ხშირად ვკითხულობთ გაზეთში, რომ ქართველები არაფერს აკეთებენო, მაგრამ ესეც არ არის მართალი. შეხედე, მაგალითად, ამ მოკლე დროში რამდენმა კარგმა საქმემ იჩინა თავი და რამდენი აპირებს კიდევ თავის ჩენას. სასიამოვნოა იმათი დასახელება: წერა-კითხვის გავრცელება, ლიტერატურის წარმატება, ბანკების წარმოება, თეატრი, გაზეთები, მეურნეობა, ძველთა და ახალთა ნიგნთა ბეჭდვა, ამხანაგობის შემწეობით სახლების აშენება, რკინიგზის გაკეთება, ნიგნთსაცავების დაწესება და სხვა. მადლობის ღირსნი არიან ამ დიდი საქმეებისთვის მშრომელნი და მოღვაწენი. სასურველია მხოლოდ, რომ მეტი ძალა და ღონე მისცეს გარემოებამ ამ მოღვაწეებს, რათა დაწყობილი საქმენი მეტის მხნეობითა და მეტის წარმატებით აწარმოონ. ვინ არ ისურვებს, რომ ტკბილსა და სასიამოვნო გართობაში შეასვენოს ამისთანა ხალხი დროსა დაღლილობისასა და უიმედო უნუგეშობისასა, რაიცა ასე ხშირია საზოგადო მოღვაწეობაში...

მე ისეთი გართობისა და შექცევის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომელიც სულისა და გულის დამამშვიდებელია. შრომისაგან გადაღლილობის გამქარვებელი, მხნეობისა და მამულის სიყვარულის ჩამგონებელი მოყვასთა შორის უსიამოვნობის გამქარწყლებელი, სიყვარულის აღმძვრელი, ხალხის ხასიათის გამომხატველი, წარსულის მომგონებელი. აი ყოველისავე ამის შემძლებელია მუსიკა და გალობა-სიმღერა.

ჩემი ხელობა სწორედ ეს მუსიკა და სიმღერა-გალობაა და ამიტომ ვცდილობ ამ საქმის

ფეხზე დაყენებას, მაგრამ სამწუხაროდ ასეთ საქმეს ბევრი რამ აფერხებს და აბრკოლებს.

მე, როგორც დამწყები ჩვენი გალობა-სიმღერის მუსიკაზე გადაღებისა, რამდენჯერმე ვცადე, რომ ჩვენი მუსიკისა და გალობა-სიმღერის საქმე კარგ ნიადაგზე დამდგარიყო და თანამგრძობელნიც გამოუჩნდნენ საქმეს.

ყოველსავე ამას თაოსნობა უნდა, ორგანიზაცია. უნდა შესდგეს ცალკე წრე, ამხანაგობა, გინა საზოგადოება, რომელმაც იტვირთოს ყოველივე საქმე მუსიკისა და გალობა-სიმღერის ჩვენში.

ყოველ ამას გარდა არ იქნება ურიგო, რომ ამისთანა საზოგადოებამ გამოიკვლიოს და გადაიღოს ევროპულს ნოტებზე ის ძველი ქართული ნოტები, რომელთა შემწეობითაც გალობდნენ ჩვენი წინაპარნი. ეს ნიშნები ანუ ნოტები, ამას წინათ განვმარტე, მოკლედ შევა-დარე ევროპულს ნოტებს და მოვიხსენე „ივერიაში“.

რაც შეეხება იმას, რომ მსურველნი მუსიკისა და სიმღერა-გალობის სწავლისა ბევრნი აღმოჩნდებიან, ეს ეჭვს გარეშეა. ეხლაც ბლომად არიან ახალგაზრდანი, რომელთაც უნდათ ისწავლონ და გაიციონ თავიანთ ქვეყნის ნოტებად დაწყობილი სიმღერები და ემსახურონ ამ სასარგებლო საქმეს.

ერთი სიტყვით თუ სურვილი და მონდომება იქნება, საქმეს ბევრი აღარა დაუშლის რა. ფეხის ადგმას და ნელ-ნელა წარმატებას უფულობამ, ღონისძიების უქონლობამ პირველსში არ უნდა შეგვაშინოს. კარგ საქმეს, სასარგებლოს, თვით შეუძლია მიიზიდოს ფულიცა და თავისი თავი თვითვე ჰკვებოს და ასაზრდოვოს.

ფ. ქორიძე

160. ივერია, 1893, 1 მაისი, №90, გვ. 2

დაბა და სოფელი (მონერილი ამბავი)

სოფ. სუჯუხა (სამეგრელო) ...ზედ გიორგობა დღეს საყდარში ხალხის ტევა არ იყო. გალობდა მთელი გუნდი მაგალობლებისა ქართულად, გურულ კილოზედ. ამ დღისთვის თითქოს განგებამ შეჰყარა შესანიშნავი მაგალობელნი გურია-სამეგრელოსი. ასე გასინჯეთ, თვით პაპა გურულის გალობისა, აღმადგენელი და განმამტკიცებელი მისი მთელს გურია-სამეგრელოში, ანტონ დუმბაძეც კი ჩამოვიდა აქ. ეს ჭარმაგი მოხუცი მშვენიერად, მოსაწონად, სანდომიანის კილოთი ჰგალობს. ამას გარდა იყო აქა გელაძე და ჭალაგანიძე. რასაკვირველია საყდარში ტევა არ იყო და ბევრმა ვერ გაიგონა ეს საუცხოვო გალობა. საზოგადოდ იმერეთის ეკლესიებში თითქმის ყველგან ერისკაცთა მაგალობელთა გუნდი გალობს. გალობა ხალხს ღვთისადმი სასოებას უღვიძებს და სიყვარულს ეკლესიაში სიარულისას. ამიტომაც არის, რომ აქაურს ეკლესიას კვირა უქმობით ხალხი არ აკლია, როდესაც, რომ ქართლში, მაგალითად ხშირად, ძალიან ხშირად მღვდლისა და მისი მედავითნის მეტი საყდარში სხვა ძე ხორციელი არ მოიძებნება ხოლმე.

ფელეტონი
საკუთარი რამე-რუმე
(წერილი გურიიდან)

* * *

ჩვენ მაინც ისეთს უბედურს ვარსკვლავზედა ვართ დაბადებულნი, რომ არა თუ ისეთი საქმე, რომლის შესახებაც ნება-რთვა და თხოვნა-მუდარაა საჭირო, არამედ ისეთი საქმეც, რომლის მორთვა და მოწყობა საკუთრად ჩვენს ხელშია, გაგვიჭიანურდება და ხშირად ხელი-დამაც წაგვიხდება ხოლმე.

თითქმის ოცი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ფილიმონ ქორიძე გულმოდგინედ შეუდგა ჩვენის ეროვნულის ხმების შეკრებასა და ნოტებზე გადაღებას. ამ ხნის განმავლობაში, ამ უანგარო მუშაკს ბევრი გაჭირვება და განსაცდელი აუტანია, ბევრი შეწუხება და ვაი-ვაგლახი გადახდია თავს, მაგრამ ვერაფერს ვერ შეუფერხებია, ვერაფერს გაუტეხია. დღესაც თითქმის იმავე გაჭირვებით, ხოლო წინანდელზე უფრო მეტის მუყაითობით და ერთგულებით ეწევა ჭაპანს ამ საქვეყნო საქმისას. ეშურება, ეჩქარება, რაც შეიძლება ადრე გადილოს ნოტებზე, როგორც საღმრთო საგალობლები, ისე საერო სიმღერები. ბოლოს დროს ამ საქმეში თითო-ოროლა თანამგრძნობნიც გამოუჩნდნენ და რითაც კი შეუძლიათ შევლიან. სხვათა შორის, განიზრახეს საღმრთო საგალობლის სრულიად და სავსებით გადაღება ნოტებზე. ამ საგალობლის ზედმინეებით მცოდნე გურიაში ამჟამად ერთადერთი კაციღა მოიპოვება და ეს ერთადერთი გახლავთ. აზ. ანტონ დუმბაძე, რომელსაც თუ გალობის ცოდნაში, თუ ხმის სიმშვენიერეში ტოლი და ბადალი არ მოეპოვება. რომ გასწყრეს ღმერთი და ანტონი ან მოგვიუძღურდეს ან ხელიდამ გამოგვეცალოს, მასთან ერთად დაიძარცვება ჩვენებური გალობაცა. ამიტომაა რომ ქორიძე და მისი თანამგრძნობნი ეშურებიან ჩქარა დაითანხმონ ამ კეთილ საქმეზედ დუმბაძე. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ საქმე ჭიანურდება და თავს ვერ მოდის, რადგანაც დუმბაძე, მიუხედავად იმისა, რომ გასამრჯელოს აძლევენ თურმე ვერ დაუთანხმებიათ.

გვიკვირს და საკვირველიცაა ეს ამბავი! ანტონ დუმბაძე ჩვენში შეგნებულად და მიხვედრილ კაცად არის ცნობილი. შვილები ჰყავს და ყველა ნასწავლი და განათლებულნი არიან. ნუთუ ასეთ კაცს არ უნდა ესმოდეს მნიშვნელობა საღმრთო საგალობლის ნოტებზე გადაღებისა? რა მაღლია, რომ ანტონ დუმბაძის შემდეგ დაიკარგოს ეგ ეროვნულ თავისებურობის ბეჭედი? მერე ვინ არ იცის, რომ აქ მარტო ეროვნული თავისებურობაც არ არის, რადგანაც დედა-ენაზე და ეროვნულ კილოზე გალობას დიდი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მნიშვნელობაცა აქვს. ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს ა. დუმბაძემ და არა გვგონია, რომ გაგვწიროს მთელი ერი, რომელიც ემუდარება მამა-პაპათაგან დატოვებული ცოდნა ჩვენც გვინაწილეო, ხოლო ჩვენ სამუდამოდ და საშვილიშვილოდ უზრუნველ ვყოფთ ამ ცოდნასაო. ამითი ა. დუმბაძეს არა თუ არაფერი დააკლდება, პირ-იქით უკვდავი და საუკუნოდ ნეტარ-ხსენებული იქნება მისი სახელი, რადგანაც

„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა...“,

ხოლო,

„თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგი,

რომ ხვალემა მაღლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.“

დათიკო ვერმიცანაშვილი [ლავერენტი წულაძე]

162. ივერია, 1893, 27 მაისი, №108, გვ. 2

ბ-ნ ანტონ დუმბაძის საეკლესიო გალობის შესახებ

ერთი დიდად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს საზოგადოებას. ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ბ-ნ ანტონ დუმბაძეს დიდი ხანია განზრახვა ჰქონია და აქვს, რომ თავისი გალობა ნოტებზე გადააღებინოს სრულად. ამ ამბავმა ისე გვასიამოვნა და გაგვახარა ბევრნი, რომ ამ სიამოვნების და სიხარულის გამოსათქმელად სუსტია ენაც და კალამიც. ან ვის არ გაახარებს ეს ამბავი. ბ-ნ ანტონი დუმბაძე არის სრული წარმომადგენელი ჩვენის გალობისა, იმისი სახელი და ქება მთელს საქართველოს კიდის კიდემდეა მოფენილი; იმას არა ჰყავს სწორი და ბადალი გალობაში. იმისი ტკბილი, ლმობიერი და რიხიანი გალობა ვის გულს არ გაათბობს ტკბილის გრძნობით და არ აღანთებს კეთილის საქმისათვის. იმისი გალობა მთელს წარსულს მოაგონებს კაცს, გულს აუკვნესებს, მომავლის იმედს მისცემს და სიხარულის ცრემლს აფრქვევინებს. გულჩვილსა და სამშობლოს მოყვარულ კაცს ამ დროს ხელსახოცი უნდა ეჭიროს ხელში, რომ ეს გლოვისა და თან ნუგეშის ცრემლი თვალიდგან მოიწმინდოს. მეტადრე ზოგიერთი ისეთი საგალობელია, რომ არ შეიძლება კაცის გული არ აადულოს და დროებით მიინც არ დაავიწყოს ყოველივე სიავე. თუ ბ-მა ა. დუმბაძემ თავისი განზრახვა შეასრულა და გალობა ნოტებზე გადააღებინა, ეს ისეთი განძი იქნება მისის მხრით დატოვებული, რომ ბ-ნ ა. დუმბაძეს პირნათლად შეუძლია წარმოსთქვას: მე ღვთისაგან მოცემული ნიჭი უნაყოფოდ არ ჩავატარე, კარგად მოვიხმარე და კაცობრიობას ვუანდერძეო.

ცოტა იბადება ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომ ამისთანა სასახელო საქმის დატოვება შეეძლოს ქვეყანაზე და ბ-ნი ა. დუმბაძეც ერთი ამისთანა კაცი იქნება. იმის სახელს არ დაივიწყებს მთელი საქართველო და იმის გადაღებულ გალობის ლაღაღებასთან ერთად შეერთებული იქმნება იმისი სახელიც. მართალია, ბევრნი თვალწინებით უყურებენ გალობის ნოტებად გადაღების საქმეს, მაგრამ ბ-ნი ა. დუმბაძე საკმაოდ შეგნებული კაცია. იმას, რასაკვირველია, ბევრჯერ უყურებია უცხო ტომთა ნოტებზე გალობისათვის, საცა მთელი გუნდი, ესე იგი ოცი და ორმოცი კაცი „დანკაპულ“ ჯარსავით თანასწორის ნაბიჯით მიდის და ფეხის ხმაურობასთან ერთად გულსაც ბაგა-ბუგი გააქვს. ეს თანასწორი ნაბიჯი, თანასწორივე მსწრაფლი მიხვრა-მოხვრა და იარალის მარჯვედ ხმარება თვით ლაჩარსაც კი აუძგერებს გულს და მახვილს გააღესინებს მტრის მოსაგერიებლად. მართალია, ჯერ შორი მანძილია იქამდე, რომ ჩვენი გალობა გვერდში ამოვუყენოთ უცხო ტომთა გალობას, რომ შეგვეძლოს თქმა, თუ თქვენ გაქვთ კარგი გალობა, ნაკლები არც ჩვენ გვაქვსო. მაგრამ ამას ჩვენ არ ვესწრაფებით. თუ ნოტებზე გადავიდა ჩვენი გალობა, დაიბეჭდა და გავრცელდა, ოდესმე ხომ მოხდება ესა და ჩვენ ამითიც კმაყოფილი ვიქნებით.

გალობის ერთი მოყვარულთაგანი

დაბა და სოფელი (მონერული ამბავი)

მარტვილი (სამეგრელო) სასულიერო სასწავლებლები ამა ეპარქიისა ერთი ოზურგეთშია და მეორე ახალსენაკში; ერთ-ერთი სასწავლებელი რომ მაინც იყოს ფოთში, მაშინ კიდევ კათედრას არა უშავდა რა; მოსწავლეებიდამ ხოროს შეადგენდნენ ქართულ-რუსულ მაგლობელთა და ეკკლესიაში ხალხი დასტკებოდა სამშობლო ხმების მოსმენითა. დღეს კი მწყობარს, ტკბილს და სასიამოვნო გალობას ფოთის ტაძარი მოკლებულია, რადგან მაგლობლებს ვერ შოულობენ. ჰყავთ ლოტბარიც, მაგრამ რა ჰქნას ლოტბარმა, როდესაც ხმები არ არის, როდესაც ვერვისა შოულობენ. არა მარტო ამ მხრივ, სხვა მხრივაც უხერხულია ფოთი საკათედროდ, მაგრამ აქ მისი დასახელება მეტად მიმარჩნია; თითქმის ყველამ იცის და განმეორება რაღა საჭიროა.

მარტვილში, სანამ ეპისკოპოზი იქ ბრძანდებოდა, წირვა-ლოცვაზედ საუცხოვოდ გალობდნენ ორი გუნდი მაგლობელთა – ქართულ-გურული, დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით და სამაგალითო სამრევლო სკოლის მონაფენი, ქართულ-რუსულად, ბ-ნ გეგეჭკორის ლოტბარობითა. სამრევლო სკოლაში რუსულ გალობას ასწავლის ბ-ნი გ-რი და ქართულ-გურულს გაბრიელ ბერი გურული. საუცხოვო იყო ქართული გალობა დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით, რომელსაც ისეთივე სახელი აქვს გალობაში აქ, როგორც ბ-ნ ა. დუმბაძეს გურიაში. ჩვენ ვიცით, რომ ანტონ დუმბაძე სულითა და გულით ავრცელებს ყველგან გურულ გალობას, სურს, არ დაეცეს, არ დაეკარგოს ქართველებს ეს მშვენიერი სამშობლო ხმები და ამიტომაც იგი არავითარს ღონეს არ ზოგავს, რომ გაავრცელოს. ასევე იქცევა სამეგრელოში ბ-ნი დ. ჭალაგანიძე; ამისი გალობაც იგივე გურულია შეუცვლელად; რამდენჯერმე ყოფილა ესეც მიწვეული ჩვენს გალობის მცოდნე ქართველებთან გალობის ნოტებზედ გადასაღებად. როგორც დუმბაძე, ისე ჭალაგანიძე, ერისკაცნი არიან. საკვირველია ღმერთმანი, რომ უკეთესნი მცოდნენი გალობისა, უკეთესნი გამავრცელებელნი დღეს გალობისა გურია-სამეგრელოში ერისკაცნი არიან. რასაკვირველია, სამღვდელოთა შორისაც მოიპოვებიან კარგნი მღვდელნი, მაგრამ რომ ყველა საგალობელი იცოდნენ, ისე ზედმიწევნით სავსებით, როგორც დუმბაძემ და ჭალაგანიძემ, ასეთი სამღვდელო არ მოიძებნება. ამიტომ ძალიან სასურველია, რომ ბ-ნმა ა. დუმბაძემ, როგორც ხმა ისმის, ნოტებზედ გადააღებინოს თვისი გალობა და მით ქართველობას შესწიროს განძი, რომელიც მისთვისაც უკვდავად სახსენებელი იქნება და მთლად ქართველებისათვისაც. ამისთანა სამაგალითო საქმით ქართველობის გულს დააჩნევს ღრმად სიკეთის კვალს და ისიც მას არ დაივიწყებს. ნათქვამია პოეტისაგან:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების
საშვილიშვილოდ გარდაიცემის“.

ამერ-იმერელი

გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ

დღეს, ამ თვის 16, მიემგზავრება ფ. ქორიძე ქალაქ ოზურგეთს. მაშასადამე, ხვალ ორი მამულიშვილი – ბ-ნი ქორიძე, რომელსაც ფოტოგრაფსავით სისწორით გადააქვს ჩვენი გალობა ნოტებზე და ა. დუმბაძე, რომელიც სრული და შეუდარებელი მგალობელია მთელ საქართველოში, ერთად შეიყრებიან. „წყალობა და მშვიდობა შეიმთხვივნეს და ამბორი უყვეს ურთიერთსაო“, სწორედ ამას ემგვანება ხვალ იმათი შეხვედრაც. ხვალ ერთმანეთზე უკეთესნი და უმჯობესნი, ერთი – ნოტებისა, ხოლო მეორე – ზეპირგალობისა, ერთმანეთს მიესალმებიან და გაუზიარებენ ერთმანეთს სურვილსა და წადილს; ხვალ უნდა გადაწყვიტონ ამათ ჩვენი გალობის ბედ-იღბალი. საკვირველია და აუნერელი ამ ორი კაცის ბეჯითობა, ხალისიანობა და გულგაუტყეხლობა გალობის საქმეში. კაცი რომ დააკვირდეს, ამათის გულისძგერას, უეჭველად ამას ამოიკითხავს: ესენი თან ანუგეშებენ, ამხნევენ და თან ეჯიბრებიან ერთმანეთსა: აბა ვნახოთ, რომელი ვაჯობებთ და რომელი გავიყოლიებთ ბოლომდე ხალისს, რომ გალობა სრულად ნოტებზე გადავიღოთ და მით ჩვენი წადილი შევისრულოთ“.

ვინ არ იცის, რა სიმდიდრე და გვირგვინია ეკკლესიისა და ხალხისათვის გალობა. ეკკლესია უგალობოდ თითქმის აღარ ჩაითვლება და უეკკლესიოდ, უსარწმუნოებოდ და უკეთილსაქმოდ რაღა უნდა იყოს ხალხი. უამისოდ ქვეყნიერი ცხოვრება ბავშვების აშენებულ ხოხოლას ემგვანებოდა და ამ ხოხოლაში ერთს დღესაც არა ღირდა კაცს თავი შეეფარებინა. კაცი კეთილის საქმისათვის არის გაჩენილი და ვინც ამ დანიშნულებას ასრულებს, მარტო იმას შეუძლიან სთქვას, ბედნიერი ვარო; ხოლო ვინც შეძლებისადაგვარად მაინც არ ასრულებს ამ დანიშნულებას, ამისთანა კაცი სულ რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, დიდი მადლი იქნებოდა.

როცა რაიმე კეთილი და სასარგებლო საქმე იწყება, მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ მიხედეთ და გაიგოთ, ვინ რა კაცი, ვის როგორ სწამს კეთილი საქმე და როგორის გულით ეკიდება. ეხლაც, როცა ეს კეთილი საქმე იწყება, გავიგებთ, ვინ არის სიტყვით და საქმით ერთი. ერთის სიტყვით, თითოეულის თანაგრძნობა და შენევნა ამ საქმეში მისი მაჩვენებელიც იქნება, ვინ რა რწმენისაა, როგორ მიაჩნია კეთილი საქმე და ერთგულია, თუ ორგული.

გალობის ერთი მოყვარეთაგანი

ქართული წირვა-ლოცვის და გალობის შესახებ

თანდათან შეიგნო ჩვენმა სამღვდელოებამ, რომ ღვთის დიდება სამშობლოს ენაზედ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ერის სარწმუნოებრივ გრძნობათა გასაღვიძებლად.

არ შემოძლიან არ აღვნიშნო 10 ივნისს 1893 წ. ჩემ მიერ გამოცდილი სიამოვნება, რომელიც გამოიწვია ქართულმა წირვამ მთაწმიდის მამა დავითის ეკლესიაში. ამ დღეს იქ გალობდა ქალების ქართული ხორო მ. მღ. კ-შვილის ლოცბარობით.

თითოეული კაცის ლოცვა უნდა იყოს გონივრული, გრძნობიერი, გამოხატული გარეგანი

ნიშნებით: სხეულის მოძრაობით, სიტყვებით და გალობით.

თუ დაგუბებულს გრძნობას კაცი სიმღერით გამოსთქვამს, იგივე სიმღერა-გალობაა საჭირო, რომ სხვაც გრძნობაზედ მოიყვანოს, სხვაზედაც გავლენა იქონიოს. მაგრამ გაკვლევა და გონივრულად გადაქცევა უსიტყვოდ, ცარიელი ღიღინით, არ შეიძლება. უეჭველად სიტყვებიც უნდა ითქმებოდეს ღიღინით, რომ გალობად გადაიქცეს და გააგებინოს მსმენელს, რას გრძნობს მგალობელი.

მე არ გამოვუდგები ფსიხოლოგიურ გამოკვლევას, თუ რასა გრძნობს კაცი, როდესაც სამშობლო ენაზედ ეუბნები მას „უფალო შემინყალე“, ან მაშინ როდესაც უცხო ენებზედ, თუნდაც ნაცნობი იყოს იგი ენა, ეუბნები: „Deus“, „Θεός“, „Бог“. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვისაც სურს სავსებით გააგებინოს სხვას თავისი ცოდნა, ან გრძნობა, უეჭველად სამშობლო ენაზედ უნდა მიმართოს მსმენელს. დიდი ხანია, რაც რომის პაპის ეკლესია უარსჰყოფს სამშობლო ენაზედ ღვთისმსახურებას, მაგრამ მას ეწინააღმდეგა მართლმადიდებლობა და კათოლიკეებშიც მწვალებლობა გამოიწვია; მართლმადიდებლობამ, ცნობიერი შეგნებული მაღალგრძნობიერი სარწმუნოება აღიარა, საჭირო ქრისტიანობისთვის და ამისთანა სარწმუნოება, თუ არ სამშობლო ენაზედ, სხვა ენაზედ გრძნობას მოკლებულია. უცხო ენა ასეთს სამსახურს ვერ გაუწევს კაცს, ნამეტნავად გრძნობის საქმეში.

კაცობრიობის ბედნიერება მისი გონების წარმატებით განიზომება. თუ მისი ცხოვრება სიმთელით წარმოებს, მაშინ მისი გონება ნიადაგ წარმატებაშია. ამავე კანონს ემორჩილება მართლმადიდებელი ქრისტიანობაც. „იყვებით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ (სახ. მათ. თავ. 5 მუხ. 48), გვითხრა მაცხოვარმა და ამით დაგვისახა ის საუკუნო იდეალი წარმატებისა, რომლისადმი მისწრაფება შეადგენს ქრისტიანი კაცის სულიერს მოთხოვნილებას: რამდენადაც განვითარდება კაცი ქრისტიანობის გზაზედ, იმდენად სავსებით წარმოდგება ზღვა იდეალისა, რომლის მისწრაფებაშიაც ის უნდა ლევდეს სულს. ეს მისწრაფება, ეს განვითარება, კულტურა უნდა აღინიშნებოდეს ისტორიის გზაზედ, უმთავრესად მეტყველება-გალობით, თუმცა სხეულის მოძრაობასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. მეტყველება-გალობა ვითარდებოდა ქრისტიანობის შემოღებიდან საქართველოში, ვიდრე ამ საუკუნემდე. კულტურას ენისას ცხადად გვიჩვენებს ყველა საღვთო წიგნი, რომლებიც შეადგენენ საღვთისმეტყველების ენისას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეტყველებასთან ერთად გალობაც განვითარებაში შედიოდა. ამას გვიმტკიცებს გალობის მოდება მთელს გურიაში, მისი საერთოდ გადაქცევა. ზოგიერთი საგალობელი ნიშნებით დაწერილი წიგნები ძველითგან დაგვრჩენია. ზოგი მათგანი წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთსაცავში მინახავს. ძველად მეტყველება-გალობის განვითარების მოთავედ სამღვდელთა იყო.

იგი წინ მიუძღოდა ერს. ერი მას ანაფორის კალთებზედ ჰყავდა გამობმული. სარწმუნოების და მამულის სიყვარულით გატაცებულნი ფანატიკურად, მედგრად უხვდებოდნენ ერთად სარწმუნოებისა და მამულის მტრებს. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ ერთმა მუჟა ხალხმა შეუძლო ხანგრძლივ ვარამს და, თუმცა დასუსტებულმა, ღონეგამოლეულმა, მაგრამ მტკიცედ დაცული კი მიიტანა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მამა-პაპისაგან საუკუნოებით შემუშავებული მეტყველება-გალობა. ასეთი მოთავეობა აკავშირებდა ერსა და მღვდელს ერთად და მღვდელი მუდამ პატივცემული ჰყავდა საქართველოს ერს, როგორც სულიერი მამა და მოძღვარი. „მოძღვარი“ ტექნიკური სახელია მღვდლისა. ქართველმა მღვდელმა ერის წინამძღვრობით საუკუნოების განმავლობაში დაიმსახურა ეს სახელი საქართველოში, თორემ ბერძნები და სხვა ქრისტიანთა ერები მას ეძახდნენ: „იერეოს“, „პრესვიტეროს“, „პატერ“, „ეპისკოპოს“, „სვიაშჩენნიკ“, „პოპ“... და სხვ., რომლებიც ნიშნავენ მხოლოდ უხუცესს, მამას, წმინდას და სხვ.

ახლა რაღას ვხედავთ მოძღვრის ნაცვლად?... აქ კი სული მეხუთება, რომ ვფიქრდე-

ბი. მოძღვარმა სხვა მხარეს გაიწია, სხვანაირს ნიადაგზედ აღმოცენდა, და ერი კი დარჩა უწინამძღვროდ, მას შერჩა მხოლოდ სასულიერო წესების აღმასრულებლობა, იმ წესებისა მარტო, რომელსაც თვითონ ერი მოსთხოვს. მეტყველება დაეცა, წიგნები გვიობდება და ახლანდელი ქართული გალობაც რილასიც აჩრდილს წარმოადგენს. იგი თუმცა გამოურკვეველია ჩემთვის, მაგრამ ვეება აჩრდილივით კი მესახება თვალწინ.

დღევანდელი მ. კ-შვილის გალობაც აჩრდილია წინანდელისა. იგი ცდილობს შეეფეროს ერის გრძნობას. ვითომ ცდილობს მოთავეობა გაუწიოს, მაგრამ ძალიან უკანაა ჩამორჩენილი. ერმა მხარი შეაქცია ეკლესიასა. ერის მასაზრდოებელნი გამხდარან სოფელში სალაყბოები, დუქნები; ქალაქში ცირკები, ბალები, არფიანკები და სხვ...

მაინც სასიამოვნოა მ. კ-შვილის გალობა და კიდევ სხვათაც, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს ხანგამოშვებით მოვისმენთ ხოლმე ეკლესიებში.^{*)} სასიამოვნოა მიტომ, რომ ადრეული მერცხლებივით გაზაფხულს მოასწავებენ. ვისურვებ, რომ მშობლიური მეტყველება-გალობა უმაღლეს ხარისხამდე ასულიყვეს და ერს წინამძღვრად გაჰხდომოდეს, თორემ სარწმუნოებრივთა გრძნობათა დამახინჯება ერის გადაბირებას ნიშნავს. ვისურვებ, რომ კ-შვილი და მასთან სხვა მღვდლებიც ერთად საზოგადო მოღვაწეებად გადაქცეულიყვნენ, აღედგინოთ და ხელმეორედ დაემსახურებინოთ სახელი მოძღვრისა.

მთ. ი. მ-შვილი [მთავარდიაკონი ილია მათიკაშვილი]

^{*)} განსაკუთრებით შესანიშნავია თავგანწირულობით მეცადინეობა ბ-ნი ქორიძისა, რომელმაც უკვე გადილო ნოტებზედ მთელი წირვა, წარუდგინა ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, მაგრამ საჭირო თანხა არ არის, რომ დაიბეჭდოს. მარტო ამით არ თავდება ბ-ნი ქორიძის ღვანლი. იმას შეუდგენია ქართული ხორო, რომელსაც წაფავს გალობისათვის. აი, ამ კაცს უნდა დახმარება სასყიდლის შეგროვებით, რომ ყოველს ეკლესიას მის მიერ განაფული ხორო ამშვენებდეს. მაგრამ როგორც ყოველთვის, ნამდვილი მოღვაწენი შიმშილით გვიკვდებიან, ვაითუ ბ-ნი ქორიძესაც ეს ღვანლი ერგოს, სანამ ჩვენ თვალს გავიფშვნიტდეთ და მივანვდენდეთ რაიმე წვლილს. მე არ ვამბობ, რომ შეწირულობა გამოვიღოთ უანგარიშოდ. არა! მაგრამ ყოველი ეკლესიისათვის დიდი სასარგებლო და საინტერესოა, რომ მრევლი ერთგულად დადიოდეს წირვა-ლოცვაზე. ეს გაადიდებს ეკლესიის შემოსავალს. ხოლო მრევლი მაშინ ივლის, როცა მის გულს დაატკობს ქართული შეწყობილი გალობა. მაშასადამე, ყოველმა სამრევლო მღვდელმა უნდა იფიქროს ამ საგანზედ და მომავალს სარგებლობის გულისთვის ამთავით გაილოს რამე სასყიდელი ქორიძის ხელის გასამართავად.

რედ.

166. ივერია, 1893, 13 ივლისი, №147, გვ. 1

ახალი ამბავი

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, ბ-ნი ანტონ დუმბაძე და მისი შვილი ბლალოჩინი მ. დავითი უკვე შესდგომიან გალობის ნოტებზედ გადაღებას და რამდენიმე საგალობელი კიდევ გადაუღიათ პარაკლიტონიდგან.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში №138 დაბეჭდილია ბ-ნ აპ-ნ ჭა-ლის წერილი იმ კომიტეტის შესახებ, რომელიც შესდგა აქ, ბათუმში, ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზ გრიგოლის კურთხევით ქართულის საეკლესიო ხოროს დასაარსებლად და, სხვათა შორის, წერილში გამოთქმულია საყვედური ეკლესიის ზოგიერთ მსახურთა მიმართ, რომელნიც „კრავის ტყავში გამოხვეულები“ ხელს უშლიან მშვენიერ და სასარგებლო საქმეს და ხმებს ავრცელებენ, ვითომც „აქედამ არაფერი გამოვა და ფულს ტყუილად დახარჯავთ“... საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ „ივერიის“ პატივცემული მოამბე შემცდარია. საეკლესიო მსახურთაგან არავინ გვეგულება ისეთი, რომელიც ამ საქმეს არ თანაუგრძნობდეს და იმდენად დაემცირებინოს თვისი სახელი, რომ ხელს უშლიდეს ქართულის საეკლესიო გალობის დაფუძნებას ბათუმში. პირიქით, გასაოცარია ის საერთო გულმხურვალება და მხნე ერთობა, რომელსაც განურჩევლად იჩენს მთელი აქაური ქართველობა ყოველს საზოგადო საქმეში, სკოლა იქნება იგი თუ საეკლესიო გალობა და ეკლესიის აშენება და რომელსაც იმედია, შემდეგშიაც არ შეარყევს არავითარი უკადრისი და მავნე შფოთი და უსიამოვნება.

გრ. ვოლსკი

ნაციონალური მუსიკა

...ვისაც გაუგონია მარსელიეზი, როდესაც იმღერის რამდენიმე ათასი კაცი, იგი ადვილად გაიგებს, რომ საფრანგეთის მეისტორიეთა აზრი ამ შემთხვევაში, დიად, ჭეშმარიტია.

მარსელიეზის გაგონება სწორედ რომ იტაცებს ადამიანის აზრსა და გრძნობას და იმ წამში მისთვის დაბრკოლება აღარ არსებობს, ოღონდ კი დაედვას მთლად ძვირფასს სამშობლოს, რომელსაც შემოსევია მტერი.

ამგვარი მუსიკა, რასაკვირველია, ძვირფასია არამც თუ ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, რადგანაც იგი უღვიძებს კაცს გულში მაღალსა და წმინდა გრძნობას, სამშობლოს ერთგულებას და თავის შეწირვას მისი ბედნიერებისათვის.

რალაცა, მზგავსი ამ მოტივისა შეგვხვედრია ჩვენ, გაგვეგონა ჩვენშიც. ერთი არის სვანური „უშკეული“ და მეორე კახური სიმღერა, რომლის სახელი აღარ გვაგონდება. ქართული მუსიკა ჯერ აკვანშია და დიდად ნაყოფიერი და სამნიშვნელო იქნება ამ მუსიკის მოვლა და ზეზე ამოყვანა. ჩვენ ვუსურვებთ ბ. ბ. ფილიმონ ქორიძეს და მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელიც ამ ხანად მიდის კახეთში კახური ხმების გადასაღებად, მხნედ გასძლოდნენ ქართულ ნაციონალურ მუსიკის საქმეს.

რამდენადაც ვიცით, ქართულის მუსიკის ხმები დიდად მოსაწონი და რასაკვირველია, სრულიად თავისებური არის, და იმას, ვინც ამ საგანს მოანდომებს თავის ერთგულ შრომას, სამშობლო დიდ მადლობას ეტყვის.

ხალხს, რომელსაც მუსიკა არა აქვს, ბევრი რამ აკლია, და ხალხს, რომელსაც კი აქვს

საკვირველი და ჰარმონიული მოტივები, როგორც ჩვენ, არ შეენდობა, რომ ნაციონალურ მუსიკაზე ასე ცოტა ყურადღება იყოს მიქცეული.

კიდევ ვიტყვით: მთელი სურათი ერის წარმატებისათვის მარტო უნივერსიტეტით და ნამეტურ იურიდიულ ფაკულტეტით არ შემოისაზღვრება, და ეს არ უნდა იქნეს დავინწყებულ.

მეველე [დავით მიქელაძე]

169. ივერია, 1893, 28 აგვისტო, №184, გვ. 2

ქ. ბათუმი: ბათუმში ტფილისიდან მოწვეულს ბ-ნ ქორიძეს მშვენიერი ხორო ჰყავს გამართული. თუმცა ამ საქმისათვის შედგენილს კომიტეტს ბ. ქორიძესთან პირობა ჰქონია, მოემზადებინა ხორო იმდენად, რომ სამის თვის შემდეგ მაინც ეგალობებინა ეკკლესიაში წირვის წესი, მაგრამ ბ-ნ ქორიძემ დიდის შრომა მეცადინეობით თითქმის ერთს თვეში იმდენად მოამზადა ხორო, რომ ჩვენს ეკკლესიაში, ეს რამდენიმე კვირაა, უკვე გვესმის ნოტებზედ გავარჯიშებული ქართული ხოროს მშვენიერი წყობილი გალობა, რომელიც თანდათან ვარჯიშდება და ხალხსაც ბევრს იზიდავს. ესლა ბ-ნი ქორიძე ავარჯიშებს იმ ხოროს და უმზადებს ლოტბარს. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვისთ ამ საქმის მოთავეებს. დიდის მადლობისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან ისინი. დიდის მადლობის ღირსნი არიან აგრედვე ის პირნიც, რომელთაც ამ სასარგებლო საქმისათვის ღვაწლი მიუძღვით.

ზემოსხენებულ კომიტეტს განზრახვა აქვს შეადგინოს საზოგადოება, რომელმაც შეძლებისადა გვარად შემოტანილის წილის ფულით ფონდი დააარსოს; ამ ფონდის დანიშნულება ის იქმნება, რომ ბათუმში სამუდამო ქართულ საეკკლესიო ხოროს ნივთიერად დაეხმაროს და ქართველების ეკკლესიის ზოგიერთს საჭიროებისთვის მზრუნველობა გასწიოს. ვისურვებთ, რომ ამ კომიტეტმა შემდეგშიც ეგრე იმხნეოს და ამ საქმეს კეთილი ბოლო ექმნას.

170. ივერია, 1893, 8 სექტემბერი, №192, გვ. 2-3

თელავი. 31 აგვისტო. ქართულ საეკლესიო გალობის გაგონება ძალიან იშვიათი მოვლენაა. მართალია, თითქმის ყოველ კვირა დღეს თელავის ტაძარში აქაური სამოქალაქო სასწავლებელის ხორო გალობს ხოლმე, მაგრამ ეს გალობა რუსულს ენაზეა და ამ ეკკლესიის მრევლი კი მომეტებული ნაწილი ქართველობაა. ამისათვის, როდესაც კი ქართველი საზოგადოება გაიგებს ხოლმე, რომ დღეს ქართული გალობის მოყვარულნი იქმნებიან ეკკლესიაში, ყველა სიხარულით მიემშრება ეკკლესიისაკენ.

30 აგვისტოს დილიდგანვე დიდძალი ხალხი შეიყარა. მწირველი ყოვლადუსამღვდელო ბესარიონ ალავერდის ეპისკოპოსი იყო; მგალობელთა გუნდი შედგებოდა მხოლოდ 5 კაცისაგან. მათი გალობა მართლა მშვენიერი იყო. გალობის წმინდა ქართულმა კილომ და ხმების შეთანხმებამ, კარგად შეწყობამ დიდად იმოქმედა მსმენელზე და ბევრს ალუძრა პატიოსანი გრძნობა, სასოებით მიმართული ზეცისაკენ.

მე მგონია, თვით თელავშიც მოიპოვებიან ისეთი სიმღერის მოყვარულნი, რომელთაც

შეუძლიანთ პატარა გუნდი შეადგინონ და დროგამოშვებით დაატკბონ გალობით ეკკლესიაში მოსიარულე ქართველები.

თელავში რამდენიმე გალობის მასწავლებელია და, არ იქნება ურიგო, მათი მოღვაწეობა ამ საქმისაკენაც მიქცეულ იყოს; თუ მოისურვებენ და ითავებენ, ყველანი დიდის სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას და იმედია, კარგი ხორო შესდგება კიდეც!

იმედი გვაქვს, 30 აგვისტო უმნიშვნელოდ არ ჩაივლის და იმ დღეს საზოგადოების მიერ ნათლად გამოხატული კმაყოფილება და მადლობა ზემოქმედებას იქონიებს რომელსამე გალობის მასწავლებელზე, რომელიც შეუდგება ხოროს შედგენას. მართალია, სასწავლებლებში არის ხორო, მხოლოდ მათი დანიშნულება სულ სხვაა.

კიდევ გავიმეორებ: ეს საქმე ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენის ერისთვის და მისი წინ გამძღოლი ღირსეულს პატივს დაიმსახურებს.

ი. ზ. [ილია ზარაფიშვილი]

171. ივერია, 1893, 3 ოქტომბერი, №209, გვ. 1.

ახალი ამბავი

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მის ყოვლადუსამღვდელოესობას ეპისკოპოს ალექსანდრეს პირობა აქვს შეკრული ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან, ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვთან. ბ-ნმა იპოლიტოვ-ივანოვმა ამ პირობის ძალით უნდა მიიღოს ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან სულ 2 000 მან. ამ დღეებში აქედამ მან უკვე მიიღო 500 მან. სამაგიეროდ ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს დაუწყვია კიდეც ნოტებად წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილ დიდისა და გრიგოლ ორმეტყველისა. დარჩენია დასაწყობად მხოლოდ სძლისპირები. ახლა როგორც შევიტყვეთ, ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვს აპირებს წასვლას და იქ უნდა ნოტების მბეჭდველ ბ-ნს იურგენსონს მოელაპარაკოს, რომ მან იკისროს დაბეჭდვა უკვე დამზადებულის ნოტებისა. მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირებია ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს, რომ, რაც დაბეჭდვის ფასი შესდგება, ნაწილ-ნაწილ გადაუხადი იურგენსონსაო.

172. ივერია, 1893, 5 ოქტომბერი, №212, გვ. 1

მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა ფ. ქორიძისაგან ანტონ დუმბაძისა და იმისი შვილის, დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული საგალობლები. საგალობლები გადაღებულია „პარაკლიტონის“ პირველის ხმიდან. აი, ეს საგალობლები: 1) „სამწუხრონი ლოცვანი“, 2) „მოადეგით, ერნო, სიონსა“, 3) „ყოველსა სოფელსა დიდებასა“, 4) „დასდევ საცო პირსა ჩემსა“, 5) „ღმერთი უფალი“, 6) „უფალო, ღალად-ვყავ“, 7) დიდება და ანდა და სხვ. სულ ათი ნაჭერი.

173. ივერია, 1893, 7 ოქტომბერი, №214, გვ. 2

* * *

ივერიის მკითხველთა მოეხსენებათ, რომ ყოვლადუსამღვდელოესის ალექსანდრე ეპისკოპოსის სურვილითა და თხოვნით, ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორად ნამყოფი ბ-ნი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ნოტებად აწყობდა ქართულ საეკლესიო გალობას. როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, უმთავრეს საგალობელთა გადაღება უკვე გაუთავებია და კაპელაში წარუდგენია განსახილველად, რომ შემდეგ დაიბეჭდოს.

ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი სწერს ერთს თავის ნაცნობს ტფილელს: აუწყეთ ყოვლადუსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომ მის ბრძნულის მეთაურობის წყალობით ქართული გალობა და სიმღერა მუსიკის ისტორიაში შესამჩნევს ადგილს დაიჭერსო.

ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი იწერება კიდევ, რომ ამ ცოტა ხანში ჟურნალი „არტისტი“ დაჰბეჭდავს წერილს ქართულ გალობა-სიმღერის შესახებო.

174. ივერია, 1893, 17 ოქტომბერი, №223, გვ. 1

* * *

ს. ქსოვრისი (ქართლი): ბ-ნ კოტე რატიშვილს შეუდგენია ქართველ მგალობელთა დასი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ უმეტესწილად ქალები. ყველა ქალი არის რატიშვილისავე საგვარეულოდამ. დასი შემდგარია შვიდის ქალ-კაცისაგან და გალობს კარბელაშვილის კილოზედ. ქალის ხმის დახმარებით დასი მშვენივრად მწყობრად და ტკბილად გალობს.

175. ივერია, 1893, 5 დეკემბერი, №264, გვ. 2

* * *

მოსკოვი: აქ ჩქარა გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომელზედაც, სხვათა შორის, ქართული სასიმღერო ხმებიც იქნება თქმულნი. ჩვენს სიმღერებს აქაურმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია. ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც კარგად იცნობს ტფილისის საზოგადოება, ამზადებს წერილს ჩვენებურ სიმღერა-გალობის შესახებ ჟურნალ „Артист“-ისათვის. წერილთან დაჰბეჭდავს ნოტებს რამდენისამე გალობისა და სიმღერებისას.

ბათუმის საკრებულო ეკკლესიის ქართულ სამწირველოს მზრუნველობის ანგარიში

გაზეთ „ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის განკარგულებით ბათუმის საკრებულო ეკკლესიაში მოხერხდა ქართული სამწირველო, სადაც სრულდება ქართული ადრიანი წირვა ყოველ კვირა-უქმე დღეს. სამწირველოში ქართული გალობა არ გვექნდა და ამიტომ სამზრუნველომ, ყოვლადსამღვდელის ნებადართვით, მოიწვია ცნობილი გადამღები ქართულის გალობისა ნოტებზედ, ბ-ნი ფ. ქორიძე, რომელმაც დაგვიფუძნა ხორო და შეასწავლა ქართული წირვის წესი. ხოროში თორმეტი კაცია; ლოტბარობს მედავითნე გერასიმე ლორია, რომელმაც წინად ქართულის გალობისა არა იცოდა რა. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან გალობენ და გალობა თანდათან უმჯობესდება. საზოგადოებაც თანაგრძნობით ეკიდება. არ შეგვიძლია განსაკუთრებული მადლობა არ შევსწიროთ მაჰმადიან ქართველს მემდ ეფენდი მჟავანაძეს, რომელმაც სამოცი მანეთი შეგვიგროვა გალობის სასარგებლოდ. მას შემდეგ, რაც გალობა დაარსდა სამწირველოში, მლოცავთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისეთის ხოროთი, როგორც ჩვენა გვყავს, უფრო მდიდარი ეკკლესიაც მოიწონებდა თავს. მზრუნველებს გულს მოდგინებას გარემოებამაც შეუწყო ხელი (მაგ., მგალობლების ნიჭმა და მუყაითობამ და სხვ.), თორემ ასეთი გალობის შემოღება არ არის ადვილი ჩვენს დაქვეითებულ დროში. ამიტომ სასურველია, ეს კეთილად დაწყებული საქმე გაძლიერდეს და არ ჩაიშალოს. ხოროს შენახვას ყოველწლივით დასჭირდება ორმოც თუმნამდე. მზრუნველობამ გადასწყვიტა, სთხოვოს ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს, მოგვეცეს ნება ვიქონიოთ ქართულ სამწირველოში ცალკე განზანაჰი ქართველ მგალობელთა სასარგებლოდ. გარდა ამისა შევადგინეთ ხელწერილის ფურცელი, რომლითაც თვითოეული ხელისმომწერი სურვილს აცხადებს, იხადოს ყოველთვიურად ხუთ-ხუთი შაური სასარგებლოდვე ქართველ მგალობელთა. იმედია, ბევრნი ისურვებენ ამ კეთილ საქმის დახმარებას და ხუთის შაურის გადახდა თვეში არ დაურჩებათ სამძიმოდ. მზრუნველობაც ეცდება ნაყოფიერად მოიხმაროს შემოწირული ფული და უკანასკნელ კაპეიკამდის ანგარიშს მისცემს საზოგადოებას. თუ იმედი აგვისრულდა და მზრუნველობის დაწყობილებას საზოგადოებამ თანაუგრძნო, ქართული საეკკლესიო გალობა ბათუმში მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული.

საჭიროდ მიგვაჩნია, გალობის შემოღებაზე გაღებულ ხარჯის ანგარიში და აგრეთვე შემომწირველთა სიაც გამოვაცხადოთ. სულ დაიხარჯა 375 მანეთი და 4 კაპეიკი, აქედამ 300 მანეთი ბ-ნს ქორიძეს სწავლების ფასად, 10 მანეთი მასვე გზის ფულად, 25 მანეთი და 80 კაპ. ფისგარმონიის გასაახლებლად, 39 მ. 24 კაპ. ჩაისა და სხვა წვრილმან ხარჯისთვის (სამისთვის განმავლობაში დღეში ორჯერ მგალობლებს ეძლეოდათ ჩაი პურით). ყოვლადსამღვდელის მიერ გარდმოცემულ წიგნით კი შემოვიდა სულ 346 მან. და 70 კაპ. ამგვარად, 28 მან. და 34 კაპ. მზრუნველობას ვალი ჰმართებს. აი, შემომწირველთა სიაც:

თითო თუმანი: თ. ნიკოლ. ლოლობერიძემ და გრ. ვოლსკიმ,

შვიდი მანეთი: ეფ. ბერძენიშვილმა,

ხუთ-ხუთი მანეთი: ეგ. გედევანოვმა, ივლ. ლომინაძემ, ვარ. ბერძენიშვილმა, თედ. მიზინმა, მათ. ნიკოლაძემ, გიორგ. მაჭავარიანმა, დიაკონმა ის. ნადირაძემ, სილიბ. სურგულაძემ და სოლ. საბაშვილმა,

ოთხი მანეთი: გერ. ჟოჟიკაშვილმა,

სამ-სამი მანეთი: მის. გოგინოვმა, ივ. კახიანმა, ივ. მესხმა, გიორ. იოსელიანმა, თ. გრიგ. ფალავამ, ნეს. ანჯაფარიძემ, ვარ. ჭილაძემ, ალ. გუგუშვილმა, ფარნ. კუხალაიშვილმა, ფარნ. გეგენავამ და მის. ჩხატარაიშვილმა. სრულიად 109 მანეთი.

*მღვდელი ბათუმის საკრებულო ეკლესიისა
სიმონ თოთიბაძე*

1894

177. კვალი, 1894, 14 იანვარი, №3, გვ. 35

სხვა და სხვა ამბები

* * *

დღეს, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეობას სიონის ტაძარში იქნება ძველი ქართული საეკლესიო გალობა. უეჭველია ქართველი საზოგადოება სიხარულით მიეგებება ამ ამბავს და ისარგებლებს იშვიათ შემთხვევით, რომ მოისმინოს ნამდვილ ქართულ კილოზე ქართული წირვა.

178. ივერია, 1894, 15 თებერვალი, №35, გვ. 1

* * *

მცხეთა: 6 ამ თვისას წმ. ნინოს მონასტერში, სადაც დაარსებულია ქალთა სკოლა მონასტრის პატივცემულ წინამძღვრის ნინოსაგან, მოწაფენი ამ სკოლისა გალობდნენ წირვაზე ქართულად. თითქმის მთელი წირვა გამოიყვანეს გალობითა, თუმცა კი, ეს მათი ცდა პირველი ყოფილიყო, მაგრამ მაინც მაღლობის და თანაგრძნობის ღირსნი არიან, როგორც მღ. კახაბერი, რომელიც თურმე ასწავლის ქართულს გალობას ზემოხსენებულს სკოლაში, აგრეთვე თვით მოწაფენიც. მათ ეტყობოდათ ის სასიქადულო სურვილი მეცადინეობისა, რომლითაც ცნობილ არიან საზოგადოდ ქართველი ქალები, თუკი ოდესმე იკისრებენ ხოლმე რაიმე საქმესა. გალობა საზოგადოდ რიგიანი და ტკბილი იყო, თუ ნუნად არ ჩაეთვლება, როგორც ახლად გამოსულთ და უჩვევთ, ზოგიერთს ადგილებში კოჭლობა. გალობენ უხელმძღვანელოდ, რადგანაც მღ. კახაბერს, მღვდელთმსახურების დროს, მხოლოდ ათასში ერთხელ შეუძლიან ანიშნოს კილო და ხმა დაწყობისა; ეს კი ძალიან ძნელია დაუხელოვნებელ მგალობელთათვის. ამიტომ, სასურველი იქნებოდა, რომ ერთ-ერთი მგალობელი უკეთესად გაავარჯიშოს გალობაში და ხელმძღვანელობა მგალობელთა მას ჩააბაროს.

წერილები რედაქციის მიმართ

დიდი ხანი არის, რაც მთელს საქართველოში იყო აღძრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ შესაძლო იყო თუ არა გარდაღება ქართული საეკლესიო გალობისა ნოტებზედ, რომელზეცდაც მეც იჭვნეული ვიყავ. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მოკლეს ხანში, ამგვარს იჭვნეულობას და ლაპარაკს მოედო ბოლო და მიეცა დასასრული მით, რომ ეს მეხუთე თვე არის, რაც პატივცემული ფილიმონ ქორიძე ყოველდღე დაუღალავად მუშაობს და შრომობს ამ საქმეზედ ქ. ოზურგეთში, ერთად ჩემისა და ჩემის შვილის, მღვდლის დავითისა და ერთის ჩემის შეგირდის, მოლარიშვილის დახმარებით.

მე, როგორც გამოცდილს და მცოდნეს სრულის საეკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ ისე შეუცვლელ და უნაკლულად იმ კილოზედ, როგორც არსებობდა და არსებობს გურია-იმერეთში.

ამას გარდა, კიდევ გამოგვიჩნდა ერთი ყოვლად პატიოსანი მამულიშვილი და გულშემატკივარი ამ კარგის საქმისა, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა განხორციელებას ამ ძვირფასის საუნჯისას. მან არ მიხედა არც შრომას, არც ნივთიერ ხარჯსა და სარჯელს და საუკუნოდ ავალებს საზოგადოებას. ეს კაცი არის, ისევ ერთი გურულთაგანი, მ. შარაძე და მას ეხმარებიან მისი ამხანაგნიც.

მგალობელი ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე

რა დროს არის შემოღებული „მრავალჟამიერ“-ი?

დიდმარხვაში „მრავალჟამიერ“-ზე ლაპარაკს „წარემართეზე“ ლაპარაკი სჯობიან, მაგრამ რადგანაც ყველიერში ასტყდა ამ სიმღერა-გალობის შესახებ ბაასი, ნააღდგომევაამდის გადადება, მივიწყება იქნებოდა კითხვისა, და ამის გამო ნებას ვითხოვ აქვე მოვახსენო „ივერიის“ მკითხველებს ერთს ქუთაისის სადილზედ გამოთქმული სურვილი, – ეკითხოს გაზეთის საშუალებით მცოდნე კაცთ შემდეგი: რა დროს არის შემოღებული ჩვენს ლხინში „მრავალჟამიერ“? ეს სიმღერა ჩვენში არის დაბადებული, თუ გადმოღებულია რუსულიდამ ან ბერძნულიდამ? რომელს ძველს ქართულს წიგნში იხსნება პირველად ეს რუსთველისგან უცნობი „მრავალჟამიერ“?

„მრავალჟამიერ“ ერთობ გავრცელებულია ჩვენში და ცოტად ჩვენს გარედაც და ღირსია, რომ ამის თავგადასავალს მოცლილი დრო ათხოვონ ჩვენმა სწავლულებმა.

მენვრილმანე

181. ივერია, 1894, 3 აპრილი, №72, გვ. 2

* * *

კავთისხევი (ქართლი): ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ შ. ცხვედაძემ შეადგინა მგალობელთა გუნდი კავთისხევის სკოლის მოწაფეთაგან და შეასწავლა მთელის წირვის გალობა. ესლა ეს მგალობელთა გუნდი ყოველ კვირა-უქმეობით ჰგალობს აქაურს ეკლესიებში, თვით ცხვედაძისავე ლოტბარობით და მშვენიერის გალობით იზიდავს ეკლესიებში მრავალს მსმენელს. მადლობისა და ქების ღირსია შ. ცხვედაძე, მით უმეტეს, რომ აპირობს წინარეხის სკოლის მოსწავლეთაც შეასწავლოს მთელი წირვის გალობა. კარგი იქნება ქართული გალობის მცოდნეთ მიჰბაძონ ბ-ნს ცხვედაძეს და ჩვენს დაბა-სოფლებში გაავრცელონ ქართული საეკლესიო გალობა.

182. ივერია, 1894, 9 აპრილი, №77, გვ. 4

წერილები რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ გულითადი მადლობა ვუძღვნა ბ-ნ სანდრო კავსაძეს, რომელსაც წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სასწავლებლის მოსწავლეებისათვის მშვენივრად შეუსწავლებია ქართულ ენაზედ გალობა და აგალობებს ეკლესიაში. ვისურვებ, რომ სხვებსაც მიეძაძოთ ბ-ნ კავსაძისათვის. ამასთანავე, გთხოვთ, ერთი მანეთი გადასცეთ მგალობელთა ყმანვილებს, რომელსაც ამასთანავე წარმოვადგენ.

ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანი

183. ივერია, 1894, 12 აპრილი №79, გვ. 2

კორესპონდენცია

ოზურგეთი: ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ, რომელმაც იმ რვა თვის განმავლობაში, რომელიც ოზურგეთში დაჰყო საეკლესიო გალობისა და ხმების ნოტებზედ გადასაღებად და ამ ხნის განმავლობაში აქაურებს შეასწავლა უსასყიდლოდ ნოტებით ევროპიული, რუსული და ქართული ხმები, გამართა ოზურგეთში კონცერტი. კონცერტში 30-მდე ქალი და კაცი ღებულობდა მონაწილეობას. კონცერტმა საზოგადოდ, თავიდან ბოლომდე მშვენივრად და სასიამოვნოდ ჩაიარა და ის დიდი საზოგადოება, რომელსაც სამხედრო კლუბის დარბაზი ვერ იტევდა, დიდად გამხიარულდა და ტაშის კვრას და „ბრავოს“ ძახილს დასასრული აღარ ეძლეოდა. კონცერტი შესდგებოდა ევროპიულის, რუსულის და ქართულის სიმღერებისაგან, განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს ახალგაზრდა ქალებმა: ნ. და ს. კეჭერაძეებმა და მ. უილამ,

რომლებმაც აღასრულეს ორმა პირველმა დუეტი, ოპერის „ტრუბადურიდამ“ და რომანსები, ხოლო უკანასკნელმა „როსტალის გორდომი“. დიდის გრძნობით დაუკრა ფორტეპიანოზე პ. გ. კეჟერაძემ „სერენადა“ შუბერტისა. ასე ლამაზად თავიდან ბოლომდე კონცერტის ჩატარება, ასეთს პატარა ქალაქში, სწორედ რომ დიდად სასიამოვნოა. ბ-ნი ქორიძე სწორედ მხნედ შრომობს. სწერს საეკლესიო გალობებს, ხალხურ სიმღერებს, ავრცელებს ყველა მსურველთა მუსიკალურ ცოდნას. ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი პატარა ახალგაზრდა ადგილობრივ სიმღერის მოყვარულთაგან კვლავ გაიმართება მსგავსი კონცერტი და არ იქნება ის კონცერტი პირველი და უკანასკნელი.

კონი

ოზურგეთი, მარტი 31

184. ივერია, 1894, 13 აპრილი, №80, გვ. 1-2

*** * ***

ქუთაისი: აქ შესდგა წრე ახალგაზრდა მანდილოსანთა, რომელნიც დიდის გულმოდგინებით და სიამოვნებით შეუდგნენ ქართულის გალობისა და სიმღერის შესწავლას ბ-ნ ა. ბ-შვილის ლოტბარობით. დიდის ყურადღების ღირსია ეს სასიამოვნო მოვლენა და ჩვენ ერთილა დაგვშთენია, ვინატროთ ამ საქმის წარმატება და ის, რომ ამ ახალგაზრდა მანდილოსანთ არ ესუსტებინოთ ამ ჩინებულის საქმისათვის!

185. კვალი, 1894, 17 აპრილი, №17, გვ. 10

სასიამოვნო შემთხვევა (ვუძღვნი ხონის ტაძრის მსახურთ)

ვინ არ იცის, რომ ჩვენი დღესასწაულების წირვა-ცისკრის მშვენება და ჯავარი იყო ჩვენებური საეკლესიო გალობა. ისიც ვიცით, რომ დღევანდელი ჩვენი წირვა-ლოცვა ძვირად არის სადმე გალობით დამშვენებული. იმერეთში სხვათა შორის გალობით და წირვა-ლოცვის სიმშვენიერით ნაქები იყო ხონის ტაძარი; მაგრამ მას მერმე, რაც იქ გარდაიცვალა (1867 წელს) სიმონ-კუტი ფირცხალავა, იქაც ნელ-ნელა გაჰქრა გალობა... დღეს ისეთ ბრწყინვალე დღესასწაულზედაც კი, როგორც არის აღდგომა ქრისტესი და ადგილობრივი ტაძრის დღეობა, ოდესმე განთქმული ხონის გიორგობა, აქაური ტაძარი სამგლოვიარო სურათს წარმოადგენს. თუ არა მგლოვიარებას, სხვას რასა ჰგავს წირვა-ლოცვა უგალობოდ?!

დიალ, როცა გალობით განთქმული ტაძრებიც კი გლოვენ ჩვენში, მათს ძველ მგალობლებს, ამ დროს როგორ წარმოვიდგენდი, თუ ბზობას, იმერეთში კი არა, ტფილისში, სამების ტაძარში, იმერულის გალობის მოსმენით დაგტკებობდი? თუ სული სულს შორიდან-დაც იცნობს, დღეს ჩვენთან ერთად იხარებდა განსვენებული სიმონ მგალობელის სულიცა, სამების ტაძარში დღევანდელ მლოცველთა სულის აღმაფრენას ისიც იგრძნობდა. ჩემს წარ-

მოდგენაში კი მისი გალობის კილოს გაგონებამ იგი გააცოცხლა და მსმენელთა შორის გააჩინა... როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გალობამ სხვებზე, რომელთაც სიმონ მგალობლის სახელიც კი არ გაუგონიათ? ჩემთან იდგა, სხვათა შორის, ერთი მლოცველი, მოსრულის, ახოვანის ტანისა (რაჭველი უნდა ყოფილოყო), რომელიც სმენას არ სჯერდებოდა და თვალთაც უნდოდა დაენახა კი არა, ჩაენთქა მგალობელთა გუნდი. ისედაც ყველაზე მაღალი, ის ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ სათითაოდ გაერჩია მგალობელნი და შეეპყრო ხმები... ნეტა რა დღისთვის ინახავენ ხონის ტაძრის მოსამსახურენი და არ მოიხმარებენ ნოტების ცოდნას, რომ შეადგინონ ადგილობრივ მოსწავლეთა თუ მასწავლებელთაგან მგალობელთა გუნდი და დააშენონ თავიანთი წირვა-ლოცვა? ამით ხომ თავიანთ მოვალეობასაც ასრულებდენ, მლოცველთა გულსაც მოიგებდენ და იმ სიმონ-კუტის, მგალობლის, რომელიც იქვე ასაფლავია, ხსოვნასაც პატივს სცემდენ?!

6. 5. [ნესტორ ნერეთელი]
10 აპრილს, ტფილისი.

186. ივერია, 1894 წ. 5 ივნისი, №118, გვ. 1

როგორც შევიტყუეთ, ბ-ნი რატილი თავისი ქართულის ხოროთი აპირებს იმ კვირას გამგზავრებას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და გზად გაჰმართავს კონცერტებს გორს, ხაშურს, ყვირილას, ქუთაისს, ახალსენაკს, ფოთს, ბათუმს, სოხუმს, ნოვოროსიისკის და იქიდგან ეკატერინოდარში წავა. ხოროს შეადგენს ოცამდე კაცი, ქართულის ქულაჯებით გამონწყობილი. ბ-ნს რატილს ხორო საუცხოოდა ჰყავს განვრთნილი და საკმაო ახალი ქართული საგალობელიც აქვს მომზადებული.

187. ივერია, 1894 წ. 16 ივნისი, №126, გვ. 2-3

ჩვენი საეკლესიო გალობა

წარმოიდგინეთ, კაცი იხრჩობოდეს და იხვეწებოდეს, მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანიო, ხომ საშინელი და თავსზარდამცემი სურათია. ამ დროს, ვისაც კი რამ შეუძლია, მხნეობას იჩენს და თავს არ ზოგავს, ხოლო ვინც დახმარების ღონეს მოკლებულია, გული ეთუთქება, მწარედ ჰკვნესის და სიბრაულის ცრემლსა ჰღვრის. მაგრამ ეს კიდევ მკრთალი შედარებაა იმასთან, რაზედაც უნდა გელაპარაკოთ. მკრთალია იმიტომ, რომ კაცის სიკვდილს შეჩვეულნი ვართ და იმის სიკვდილისათვის გლოვა და მწუხარებაც დროებითია. ხოლო სიკვდილი და დაკარგვა იმისი, რაც მხოლოდ ერთადერთია, აი, ეს არის ნამდვილი სამწუხარო, გულსაკლავი და სამუდამო საგლოვი. ეს ერთი იყო ჩვენი საეკლესიო გალობა. გალობა იკარგებოდა, ვისაც მისი ძალა და მნიშვნელობა ესმოდა, გული სტკიოდა და სჩიოდა, მაგრამ ამ ტკივილსა და ჩივილს, უღონოობისა გამო, გულშივე იკლავდა.

ბოლოს, ჩვენდა საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ამ საქმისათვის ძალის და ღონის მექონნი. სამღვდლოებამ ფული შეჰკრიბა და დიდძალი საგალობელი დაანერინა. მაგრამ სამწუხაროდ, გალობა მაინც ხიფათს ვერ გადარჩა. რვა ხმა, რომელიც ძირია გალობისა და რომელზედაც აშენებულია ყველა საგალობელი, დაუნერელი დარჩა. ამ გარემოებამ შეგვანუხა გალობის მოყვარულნი, ვსთხოვეთ ბ-ნ ფ. ქორიძესა და ბ-ნ ა. დუმბაძეს და დაგვიწერეს: რვა ხმის „უფალო, ღაღადყავ“, „ღმერთი უფალი“, „დიდება და ანდა“, „დასდებელი“ ყველა ხმისა, თავი და ბოლო (პირველი ხმისა სულ), რვა ხმის ყველა „სძლისპირი“, „ანტიფონები“, მისი წარდგომები და აგრეთვე სადღესასწაულოსი; სადღესასწაულოდამვე, ერთი მეორისაგან განსხვავებული დასდებლები თითო მუხლი და ყველა სძლისპირი, რამდენიმე ჭრელი საგალობელი, როგორც „მზისა შემოქმედი“, „ალილო არწივი“, „კურთხეულ ხარ“, აგრეთვე ქორწინების საგალობლები და სხვა, ე. ი. ისეთი, რაც ქუთაისში არ დანერილა. როგორც ბ-ნ ფ. ქორიძე იწერება, დიდძალი საგალობელი შემდგარა ისე, რომ ერთს პატარა ჯვრს დატვირთავს თურმე. მაგრამ ჯვრი კი არა აქლემიც ცოტაა ჩვენის საგალობლებისათვის. როგორც ვსთქვით, გალობა ზოგი პირველსა და ზოგიც სამივე ხმაზე დიდძალი დაინერა, მაგრამ რამდენია კიდევ დასანერი! ათობით და ასობით იყოს, კიდევ ვიფიქრებდით რასმე, მაგრამ გალობა ათასობითაა დასანერი. დასანერის არ დანერამ იქნება ჩვენ არ გვატკინოს ისე ძლიერ გული, მაგრამ მომავლისათვის ხომ დიდი დანაკლისი, სამწუხარო და სავალალო იქნება, რაც რასაკვირველია საქმეს აღარაფერს უშველის. ამისათვის მივმართავთ გურიის ყველა მგალობლებს:

გურიის მგალობელნო, დღეს გაქვთ შემთხვევა, ისახელოთ თავი და უანდერძოთ მომავალს თქვენი მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე გალობა. გურიავე, აკვანო ჩვენის გალობისავ (როგორც სამართლიანად გინოდებენ ყველანი), თვით ბ-ნ ფ. ქორიძეს გიყენებთ შუამდგომლად და გთხოვთ, ნუ დაჰკარგავთ ამ შემთხვევას და გულაცრუებულს ნუ გამოისტუმრებთ ამ ჩვენის გალობის ნოტებზე გადამღებს.

ჩვენ დიდის სიხარულითა და მადლობით მივიღებთ ყველასაგან, თუნდ სულ მცირესა და უბრალო საგალობელსაც და ყურადღების ღირსს, ყველასთვის საყურადღებოსა ვყოფთო.

ვსთხოვთ, ჩვენს ყველასაგან დიდად პატივისაცემს, გამოჩინილსა და თავმგალობელს, ბ-ნს ანტონ დუმბაძეს, რომ შემდეგშიაც არ დაიშუროს თავისი მხნეობა და მეცადინეობა გალობის გადაღების საქმეში და თავისი მაგალითით სხვებიც წაახალისოს ამ ღირსეულსა და სასიქადულო საქმეში.

გალობის ერთი მოყვარულთაგანი

188. კვალი, 1894 წ. 3 ივლისი, №28, გვ. 4-5

მოგონება (ფეხთა ბანა)

გათენდა დიდი ხუთშაბათი. ხანგამოშვებულმა ზარის რეკამ აუწყა ქუთაისელებს: მღვდელმთავარი ბრძანდება დღეს მწირველიო. დიდი და პატარა ყველა მიეშურებოდა გორასაკენ, საიდანაც ბაგრატიის ტაძრის ნაშთები მწუხარედ გადაჰყურებენ არემარეს. მის გვერდით, მერცხლის ბუდეშავით მიდგმული და უგემურად აგებული ახალი საყდარი მლოცველებით აიძსო. ტყვა რომ აღარსად იყო, გალავანიც ხალხით გაიჭედა.

ზარების დახშირებულმა რეკამ სადგურიდან გამოიწვია მღვდელმთავარი და ისიც გამობრძანდა. აიაზმითა და საკმელ-საცეცხურით მიეგება კრებული, ორის მხრით მგალობლები წამოუძღვენ ეკლესიისაკენ. ერთს გუნდს იმერლები შეადგენენ: ოქროპირ კანდელაკი, გოგინა შათაძე და სინო კანდელაკი, მეორეს – სტუმარი გურულები: დათა გუგუნავა, ყარამან თავდგირიძე და ანტონ დუმბაძე. კანდელაკური სადა გალობა იყო და გურული კი კრიმანჭული. ხალხი გაიტაცა მათმა გალობამ, მაგრამ ორ მხარედ კი გაიყო: ერთს გურულები უფრო მოწონდა და მეორეს კი – იმერლები. ახალგაზდები უფრო გურულებისკენ იყვნენ – „არა! – ამბობდენ მოხუცებულები – სად კანდელაკური და სად გურული კრიმანჭული? მართალია, ესენი დაბერდნენ, ხმა დაუპატარავდათ და ისინი კი ახალგაზდები, ხმაძლიერი არიან და კილოზედაც ამბობენ, მაგრამ... მაგრამ მაინც სულ სხვა არის!..

დუმბაძის ბანი ათს ჩაყლაპავს სინოს ბანისთანას, მაგრამ სინო რომ დაუკვერას და გადაჭედ-გადმოჭედს ხმატკბილებით, იმას ველარა შეედრება რა. მე მაშინ გარჩევა არ შემეძლო და ორივე გუნდს თანასწორად ყურს უგდებდი. მანამდი ბევრი კარგი სიმღერა გამეგონა, მაგრამ იმ გალობისთანა არა მსმენია რა! მეგონა, თუ ის ხმები მალლა ციდან ჩამოდიოდნენ, რომ დაბლა ქვეყანა დაეტკბოთ. შებძანდა მღვდელმთავარი ტაძარში და ჩამოჯდა ტახტზე, დიაკვნებმა ლანგრებით მიართვეს შესამოსელი. ორი მთავარდიაკვანი წადგა წინ საცეცხლურის კმევით – ერთი დაიძახებდა: „უფლისა მიმართ ვილოცოთ!“ და მეორე, არხიდაკონი ჯანელიძე გრგვინავდა შესხმით: „შეიბ მახვილი შენი, წელთა შენთა ძლიერო, შვენიერებითა შენითა!“-ო და სხვანი...

შეიმოსა მღვდელმთავარი. დაიწყო წირვა და ჩვეულებრივად გათავდა. თუ იმ დღის ლიტანიობის პირველი საფეხური მგალობლები იყვნენ, გვირგვინიც ჯანელიძის კითხვა იყო, იმ დროში მისთანა არხიდაკონი საქართველოში არსად მოიპოებოდა: მისი, ბრძმედში გატარებული მგმინავი ხმა და მწარ-ტკბილი კილო, სახარების კითხვის დროს, ყველას ერთნაირად ჰხიბლავდა. შეუდგენ ფეხთა ბანას: გამოვიდენ საკურთხეველიდამ მღვდლები ჩამოჯდენ, ჩამოემწკრივენ მწყობრად და გაიხადეს ფეხს; მათი სახის გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ ისინი საღმრთო გულისთქმით ემცილებოდნენ. მივიდა მათთან მღვდელმთავარი და სიმდაბლით მოიყარა მუხლი მათ წინ.

ეკლესიაში საოცარი სიჩუმე იყო, მლოცველების გულის ბგერაც ისმოდა. გამოიტანა ჯანელიძემ სახარება და გადაშალა საკანანახოდ. დაიწყო. ხმა უთრთოდა, თითქო ცრემლებსა ჰყლაპავსო. თითოეულ სიტყვას გალობით ამბობდა რაღაც ამყრყოლის კილოთი, „და მიილო წყალი იგი და დაასხა საბანელსა მას!“ თქვა და ხალხს ჟრუანტელმა დაუარა. მღვდელმთავარმა აასრულა კანანახი. „და დაიწყო ბანად ფეხთა და წარხოცდა არდაგითა მათ!“ განაგრძო მეკანანახემ. ესეც შეასრულა დიდებულ მოძღვრის მოადგილემ. ჯერი მიდგა პეტრეზე, რომელსაც სვიმონ არხიმანდრიტი ადგენდა. მისი სახე სწორედ წმინდა მონამის სახეს მოაგონებდა კაცს. როდესაც შემკრთალი, შეშინებული წამოდგა და ვითარცა უღირსმა, ურჩობით ჰკითხა ათრთოლებულის ხმით: „უფალო, შენ დამბანა?“ ხალხმა მეტი ველარ აიტანა და საქალებოდან მოისმა უეცარი ქვითინი... ქალები ტიროდნენ!... კაცები კი გაქვავებულსავით იდგენ და გაფითრებულ ლოყებზე ცრემლები დაპალუპით ჩამოდიოდნენ. მეც გული ამომიჯდა: მამამ მომკიდა ხელი და გამომიყვანა გარეთ. მღვდელმთავარმა აკურთხა ერი და ისიც ნელ-ნელა დაიშალა, წავიდ-წამოვიდენ თავ-თავის სახლისაკენ. ყველა მოხიბლული იყო, ყველა გამსჭვალული. თვალწინ დიდებული სახე ეხატებოდათ, და ყურში ჯანელიძის ხმა ჰქონდათ ჩარჩენილი.

მას აქეთ ბევრი რამ მინახავს. ბევრი ხმატკბილი და ხმაშენყობილი რამ გამიგონია, მაგრამ რაც მაშინ ვიგრძენი, მისი მსგავსი არა მინახავს რა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთხელ კიდევ დავესწარი ფეხთა ბანას, მაგრამ ყოლიფერი მესხვაფერა. გალობა მეუცხოვა:

ყურს ესმოდა, მაგრამ გულამდი კი ვერ ხვდებოდა. სახარების მკითხველი უცხოგვარად ბობლინობდა და კილოც სხვაგვარი ჰქონდა. მიმოვიხედე და რა შევნიშნე? ხალხი, თითქოს იძულებული გრძნობით იყო გატაცებული და არა სასოებით გამსჭვალული. მომაგონდა ის ძველი, სიყმანვილის ამბავი და ცრემლები გადმომცვივდა!..

ნუთუ საკუთრად ჩემი ბრალია, რომ გრძნობა დამჩლუნგებია და გული ვეღარ ნეტარობს? ვეკითხებოდი თავს და პასუხს არავინ მაძლევდა. მხოლოდ, ამ მოკლე ხანში, შემთხვევით გავიგონე კარგარეთელის სახარების კითხვა და უნებურად შევეკრთი, გული ამითამაშდა!.. მისმა კილომ, მომაგონა ჯანელიძის კილო, თუმცა, ასე როგორც აჩრდილმა ნამდვილი მომაგონა და კიდევ მივხვდი, რომ მეტყველების კილოში ყოფილა იმისთანა ძალა, რომელიც არც სხვისი ენით გამოითქმის და არც კალმით აინერება!.. იმისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და ვაი იმ ხალხს, რომელსაც ის გრძნობის საუნჯე, ის კილო დაეკარგება!..

აკაკი

189. ივერია, 1894 წ. 21 ივლისი, №155, გვ. 2

* * *

ოზურგეთი: ოზურგეთში იმყოფება ამჟამად ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც გადააქვს ნოტებზედ ან. დუმბაძის გალობა. ფ. ქორიძე, ანტ. დუმბაძე და მისი შვილი დავითი დაულაღვად ჰმუშაობენ; საქმე მშვენივრად მიდის, ბევრი დაუნერიათ და რაც დაუნერიათ, სწორედ სამაგალითოდ არის დაწერილი. ცოტა არ იყოს, ბ-ნ ანტონ დუმბაძეს არ სჯეროდა, რომ ასე მოეწყობოდა ნოტებზედ გალობა, ეშინოდა კიდევ, კილო არ დამახინჯდესო, მაგრამ ეხლა სულითა და გულით არის მონდომებული, როგორმე დააბოლოვოს ეს საქმე. ბევრი ხარჯი მოუნდება ამ დიდს საგანს. იმედი არის, საზოგადოება შეენევა ამ საქმის დამწყებთ. საკვირველია, რომ საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღების შესახებ ეკლესიის მსახურნი გაჩუმებულნი არიან!

გვესტუმრა ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი და ორი კონცერტი გაჰმართა. ქართულმა სიმღერამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა.

190. ივერია, 1894 წ. 30 ივლისი, №162, გვ. 1-2

ფელეტონი ბათუმის აკარგიანობა

რატილის კონცერტი. – სადღეგრძელო. – ერის ფანტაზიის ნამოქმედარი და ჩვენი მოვალეობა. – ქართული სამუსიკო საზოგადოება. – ბათუმის სასწავლებლის შენობა. – სამკითხველო.

ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი ბათუმელებსაც გვენვია და 10 და 13 ივლისს ორი კონცერტი გაჰმართა. პირველი კონცერტის დროს თავი იჩინა ბათუმელების ჩვეულებრივმა

გულცივობამ და ხალხი ცოტა დაესწრო, მაგრამ ვინც დაესწრო, დიდის აღტაცებით მოისმინეს კონცერტი. ბ-ნმა რატილმა დაუზარებლად გაიმეორა ბევრი ხმა. კონცერტი რომ გათავდა, მაგალობელი ლოტბარითურთ მიიწვიეს ვახშმად. აქვე სთხოვეს, რომ დარჩენილიყო მეორე კონცერტისთვის და აღუთქვეს ბილეთების გაყიდვით დახმარება.

13 ივლისს გაიმართა მეორე კონცერტი, რომელსაც, პირველთან შედარებით, უფრო ბევრი საზოგადოება დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი გადადებულ იქმნა ქუთაისის ერთის ლარიზის ოჯახის სასარგებლოდ. ხორომ ბევრი საგალობელი განიმეორა საზოგადოების თხოვნით და პროგრამის გარეშეც ბევრი სთქვა. საზოგადოდ, უნდა შევნიშნო, რომ ბ-ნმა რატილმა იმ ოთხის-ხუთის დღის განმავლობაში, რომელიც იგი აქ დარჩა, მოგვხიბლა და მოინადრა ჩვენი გული. წმინდა ქართულ ხმებთან აქა-იქ ევროპიული ხმებიც მოისმოდა, რაც კონცერტს ქართულს ხასიათს არ უქარგავდა. რატილს მისმა პატივისმცემლებმა საჩუქარი მიართვეს.

კონცერტის შემდეგ იგი თავისი ხოროთი მიიწვია ვახშმად ერთმა აქაურმა ქართველმა მოხელემ. გაიმართა ნამდვილი ქართული ქეიფი, რომლის დროსაც განუწყვეტელი მრავალჟამიერი და ხოროს ტკბილი ხმები დიდხანს აღვიძებდნენ ბათუმის „მდიუმებულ ბუნებას“. მაგლობა გამოუცხადეს რატილს, რომ იგი, უცხო ტომის კაცი, შემოგვეკედლა ჩვენ, მისთვის უცხო ერს, დიდის გულმოდგინებით და სიყვარულით შეიმუშავა ჩვენი ხალხური ხმები. რატილმა, თავის მხრივ, დალია სადღეგრძელო ჩვენის ერისა და სთქვა, რომ ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხოსნობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისთვის უძვირფასესი საუნჯე დედაენაა, სამშობლო საგალობლები და ჰანგებიო. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელიაო. „საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმდენი სხვადასხვა საგალობელია, ისეთი მდიდარი ჰანგებია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, რომელიც ამ მხრივ იმას შეეძაროს. მეტადრე მდიდარია საქართველოს ხოროთი სათქმელ ხმებით, რომელთა შორის მრავალი ნამდვილი სიმფონიაა და ჰხიბლავს ევროპიელის სმენასაო“.

იქნება ცოტა გადაჭარბებით იყოს თქმული, რომ საგალობელ ხმებით საქართველოს სიმდიდრეს სხვა ქვეყანა არ შეედრებაო, მაგრამ ის კი მართალია, რომ კაცისთვის სამშობლო ხმაზედ უძვირფასესი საუნჯე არაფერიაო. სხვა ერთა საგალობელ ჰანგებს სჯობია თუ არა, ეს სულ ერთია; საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ჩვენი ხმები ძვირფასია, შეუდარებელია; იმათ მაგიერობას უცხო ერის ხმა და ჰანგი ვერ გაგვიწევს. როგორც დედის ნანა საუკუნოდ ჩარჩება ბავშვს გულში, ისე სამშობლოს ნანა თან შეეზრდება, შეეთვისება კაცს და იმაზედ უტკბილესს ჰარმონიას ველარ მოიპოვებს თავის სიცოცხლეში. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს სამშობლოს ნანა ვიდრე შეიცვლებოდეს, შეიბღალეოდეს, გადმოვიღოთ ნოტებზე, აღვბეჭდოთ და ისე გადავსცეთ შთამომავლობას. იკრიბება ხალხური ლექსები, ზღაპრები, გარდმოცემანი, ლეგენდები და სხვა ხალხის ფანტაზიის ნაწარმოები. ყველგან იგი მიაჩნიათ ხალხის კულტურულ სიმდიდრის ნიშნად. ასევე უნდა იყოს ნოტებად დაბეჭდილი ხალხური სიმღერა-გალობა. ამის საშუალებით, ერთს რომელსამე კუთხეში გავრცელებულს ხმას ყველა გაიცნობს, დაუფინყარად და შეუცვლელად იქმნება შეტანილი ჩვენის კულტურის სალაროში.

ხალხის ისტორიულ ზრდას, როგორც თითოეულის ადამიანისას, რამოდენიმე ჰასაკი, ხანა აქვს. რაც ერთს რომელსამე ჰასაკში ერის ფანტაზიას შეუქმნია, იმას მეორე ხანაში ველარ შეჰქმნის და აი, კიდევ ამიტომ არის საჭირო შეუცვლელად აღიბეჭდოს ყველაფერი, რაც კი ხალხის ფანტაზიის ნამოქმედარს შეადგენს სხვადასხვა დროს. ამნაირად მტკიცდება ხალხის ისტორია, მდიდრდება მისი კულტურა. დროთა ვითარების გამო, ჩვენი თვითმოქმედებითი ძალა შეჩერებულია. სანამ ამ ძალას გაეხსნებოდეს ასპარეზი, იმას მაინც უნდა ვეცადოთ, არ დაგვიკარგოს, არ დავივიწყოთ ის, რაც წინათ შეუქმნია ჩვენის ერის ფან-

ტაზიას. ვალდებულნი ვართ, ეს სამსახური გავუწიოთ ჩვენს ერს და წილი დავუდოთ მისი კულტურის ისტორიის შექმნას.

შანსონეტებს, უცხო რომანსებსა და კინტოურ ხმებს დიდის გატაცებით ვმღერით, და რასაკვირველია, ბევრს არ გაუგონია იმისთანა შესანიშნავი ხორული ხმები, როგორც მაგალითად რაჭაში არის „ქვედრულა“, „ჟღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი“ და სხვა მრავალი. ჩვენ თუ ვერაფერს გავაკეთებთ, ხელი მაინც უნდა შევუწყოთ ამ თითო-ოროლა მუშაკს, რომლებიც ჰკრებენ ხალხურ სიმღერა გალობას, მაგრამ შეიძლება არ აძლევთ ნებას გამოაქვეყნონ თავისი შრომის ნაყოფი. საზოგადოების შეგნებულის ნაწილის მოვალეობაა, არავითარი ხარჯი არ დაზოგოს ამ შრომის გამოსაქვეყნებლად. ბ-ნ რატილს ბევრი ჰანგი ჰქონია დანყობილი ნოტებზე, მაგრამ შეიძლება ნებას არ აძლევს თურმე, რომ დაბეჭდოს.

ვასშმის შემდეგ ლაპარაკი ქართულ სამუსიკო საზოგადოების დაარსების შესახებ ჩამოვარდა. ჩვენში რაც საზოგადოებებია დაარსებული, ხალხის ყურადღებას მოკლებულია, ძლივსღა სულს იბრუნებენ. ვინ ამბობს, რომ საჭირო არ იყოს სამუსიკო საზოგადოება. საჭიროა, დიდი მნიშვნელობაც ექნება, მაგრამ ბოლოს ვერ გავატანთ. ბევრი კარგი საქმე დაწყებულია ჩვენში, ბევრ ლამაზს აზრს გავუტაცინვართ, მაგრამ საქმეს ვერ გავძლოლივართ, ლამაზი აზრები მალე მოგწყენია. საზოგადოების შედგენას სჯობია დროგამოშვებით, როგორც საჭიროება მოითხოვს, გამოვსცეთ ის ორიოდ დავსტამბოთ სიმღერა-გალობა, რომელსაც მოგვანვდიან მუსიკის მცოდნენი. ვაითუ, დრო ნავიდეს და შემდეგ გვიანღა იყოს და შეუძლებელი გახდეს იმისი გაკეთება, რის გაკეთებაც ახლა შეიძლება. მაგალითებრ, „ქვედრულა“-ს ამ ათის წლის წინათ მთელს რაჭაში გაიგონებდით, ეხლა კი დარჩენილა მარტო ზემო რაჭის მთის სოფლებში, სადაც ჯერ არ მოუწევია „მითხარ, მითხარ რას მემდური“-სა და „ბუზიკას“. საჭიროა ვინმემ ითავოს, მიჰმართოს გამოცდილს მუსიკის-მცოდნეს და სთხოვოს, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე შემოიაროს და გულდადებით გადილოს ხალხური ხმები ნოტებზედ. ამ საქმის დაბოლოვებას რაც ხარჯი დასჭირდება, ბათუმელები დიდის კმაყოფილებით ვიკისრებთ ამ ხარჯში მონაწილეობას.

ბათუმელმა ქართველებმა განიზრახა, როგორც მოგეხსენებათ, საკუთარი ეკკლესია და სასწავლებლის შენობა ააგოს, სასწავლებლის შენობას კედლები ამოყვანილი აქვს და უნდა დამთავრდეს სექტემბრისათვის. ეს შენობა ჯდება თორმეტ ათას მანეთამდე, დღევანდლამდე შეგროვილია ხელის მონერით შვიდი ათას მანეთამდე, მაშასადამე კიდევ საჭიროა გაინერონ ბათუმელებმა ხუთი ათასი მან., თუ სასწავლებლის კომიტეტმა სხვა ვერაფერი წყარო გამოჰნახა, უფრო კი საფიქრებელია, რომ კომიტეტი ისევ ხელის მონერას მიჰმართავს და სინამ ამ რიგად ფული შეგროვდებოდეს, ვალს აიღებს და ასე დაასრულებს საქმეს. მაგრამ ბათუმელები, იმედია, თავის დანებულს საქმეს თვითონვე დაასრულებენ და ვალს მალე გადაიხდიან.

ეკკლესიის აგებას, როგორ ამბობენ, დასჭირდება 20 ათასი მან. და ბათუმი ამ საქმეს ეგრე ადვილად ვერ შეუდგება. საეკკლესიო კომიტეტი ჯერ არაფერს შუაშია. საჭირო კი არის, რომ კომიტეტმა საძირკველი მაინც ჩაჰყაროს ამ წლის ბოლომდე, რადგან საშიშია, რომ ქალაქმა უკან არ დაიბრუნოს ის მიწა, რომელიც ეკკლესიისათვის აქვს დათმობილი, თუ დიდხანს არ იქმნა დანებული ეკკლესიის აშენება.

მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო, ნათქვამია. ამ ორ საშვილიშვილო საქმეს, რომ მესამეც მიემატოს, ბათუმელი ქართველობა წილს დაიდებს ჩვენის ერის პროგრესიულ წინსვლაში; ეს მესამე, საფუძვლიანად მონყობილი სამკითხველო და წიგნთსაცავია. სასწავლებელი, ეკკლესია და სამკითხველო ერთმანეთზეა გადაკავშირებული და ძალიან ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრი კარგი წიგნი გვაქვს, კითხვის სურვილიც ბევრსა აქვს (ამას ამტკიცებს ბათუმში გამართული კალანდარიშვილის

და ამხ. ნიგნის ფარდული, სადაც ყოველთვე ორასის მანეთის ქართული ნიგნი იყიდება) და შეუწოდებელი ცოდვა იქნება, თუ ბათუმმა სასწავლებელსა და ეკლესიასთან ერთად, მუშა ხალხს ნიგნიც არ მიანოდა საკითხავად. თუ ცალკე ვერ მოხერხდა სამკითხველოს მოთავსება, კომიტეტი ეხლავე უნდა შეეცადოს, რომ იგი მოთავსებული იყოს სასწავლებლის შენობაში, სადაც სამკითხველოს გამგედ დანიშნული იქნება ერთი მასწავლებელთაგანი.

ნ. პ. [ნესტორ პეტრიაშვილი]

191. ივერია, 1894, 9 აგვისტო, №169, გვ. 1

ბოდბისხევი (სიღნაღის მაზრა). დადგა მარიამობის მარხვა და ხალხიც შეუდგა ზიარებას. თითქმის ყველგან გაისმის სოფლებში ზარის რეკვა და მლოცველნიც მიეშურებიან ეკლესიისაკენ. მაგრამ, რომ დავაკვირდეთ, ყველაზე ბევრი მლოცველი, შედარებით სხვა ახლომახლო სოფლებთან, ჩვენს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიას ჰყავს იქნება იფიქრონ, რომ წინათაც ბევრი მლოცველი იცოდაო, მაგრამ წინანდელთან შედარებით, ეხლა გაცილებით მეტნი არიან. რასაკვირველია, თუ წინათ ბევრი მლოცველი იცოდა სხვასთან შედარებით, ამას სხვა მიზეზი ჰქონდა; ეხლა კი უპირველესი მიზეზი გახლავთ გალობა, რომელიც ასე იზიდავს ხალხს. სიმართლე მოითხოვს, ვსთქვათ, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან სემინარიელნი ბენაშვილი, ნაცვლიშვილი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდანი, რომელნიც რიგიანად ჰგალობენ და ატკობენ მლოცველთ სმენას. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამათ ამხანაგებსაც წაებაძათ ამათთვის და ეგალობნათ ხოლმე ეკლესიებში. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენებურმა მღვდლებმა ამ გარემოებას მიაქციონ ღირსეული ყურადღება და გაიჩინონ თავთავიანთ სოფელში მგალობლების გუნდი, მით უმეტეს, რომ თითო გუნდს სამს კაცზედ მეტი არ დასჭირდება ქართულ გალობაში, რის გამოც აიცდენენ იმ არასასიამოვნო მოვლენას, რომელსაც თვითონ მღვდლები არაერთხელ უჩივიან ხოლმე, ე. ი. ეკლესიაში მლოცველების უსიარულობას.

192. კვალი, 1894, 21 აგვისტო, №35, გვ. 4

მარიობა, ან მიძინების დღესასწაული ღვთის მშობლისა

ნელს სიონის ტაძარში დიდი ხალხი მიანყდა. ღამის მთევლები იმდენი იყვენ, რომ გალავანში ვერ ეტეოდენ. თვით ტაძარში პოლიციელთა რაზმი იყო გარშემორტყმული და სასტიკათ იცავდა წესიერებას. მრავალი იყო ქართველი მლოცველი ქალი და კაცი. სომხობაც არ აკლდა, ის სომხობა, რომელიც მამა-პაპით საქართველოში ცხოვრებს და საქართველოს წმინდა დღესასწაულებზედაც დადის. მიძინება ღვთისმშობლისა, ერთი საერო დღესასწაულთაგანია საქართველოში და სიონი ამ დღეს, უწინდელ დროში, ყოველთვის გაბრწყინებული იყო სადღესასწაულო წირვა-ლოცვითა და მწუხრითა, რომელზედაც საუკეთესო ქართლ-კახეთის მგალობლები ჰქექდნენ და ჰქუხდნენ რვა ხმის გალობას.

ხმა პირველი:

„შობასა ქალწულებად დაიძარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღვთისმშობელო, მიხვედ ცხოვრებად დედა ეგე ცხოვრებისა და ან მეოხებითა შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა“.

ხმა მეორე:

„მეოხებითა შენითა სამარადისოდ მვედრებელი და შეწვენათა უცვალებელი სასოება, ღვთისმშობელო, სამარემან და სიკვდილმა ვერ დაგაბრკოლეს, არამედ ვითარცა დედა ეგე ცხოვრებისა ცხოვრებად მიგცვალა, რომელმან დაამკვიდრა საშო მარადის ქალწულისა“.

ხმა მესამე:

„ქალწული დღეს მდგომარე წინაშე მეფისა გუნდთა თანა წმინდათასა უხილავად ევედრების უფალსა, ანგელოზნი მთავარანგელოსთა თანა თაყვანის ცემენ, ხოლო მოციქულნი წინასწარმეტყველთა თანა განცხრებიან, რამეთუ ჩვენთვის ევედრება ღვთისმშობელი პირველ საუკუნეთა ღმერთსა“

და სხვა.

შენ, მლოცველო ქართველო, მოისმინე ყველა ეს ჭეშმარიტი ქრისტიანული გრძნობის აღმძვრელი ხმები? მოხვდა შენს გულს ეს ზეცადაძალეზებული სიტყვები, რომ იგი გაღებულყო ჭეშმარიტი ქრისტეს სარწმუნოებისათვის, რომ სათნოებით გავსებული გული შენი ზნეობით ამაღლებულიყო და განახლებული კაცთმოყვარებით დაბრუნებულიყავ შენს ოჯახში მარიაშობის ღამისთევიდან? – არა. შენ იქ ისეთი არა გესმოდა რა, რომელსაც თვალთანშენი ყურიც დაეტკბო, გულიც გაგლებოდა და წმინდა ქრისტიანული გრძნობით გამსჭვალულიყავ.

გული შენი დარჩა ისევ უწინდულათ დახშული, მხოლოდ გარეგანი ბრწყინვალება დღესასწაულისა იპყრობდა თვალთა შენთა. როგორი გარეწარიც მიხვედი, ისეთივე გარეწარი დაბრუნდი შინ. შენ ამ ჩვენს დროში იქ მიყავხარ მხოლოდ მამა-პაპის ჩვეულებას, ბრუნდები უკან ყოვლადვე დამუნჯებული, გულგამქისებული ურწმუნოებით იმისათვის, რომ წმინდა დღესასწაულს ვერ შეუძრავს შენი გული, რადგან გულისშემძვრელი სიტყვა შენის სამშობლო ენისა არ მოხვედრია შენს ყურებს. არა შეინირვის ლოცვა მლოცველთაგან, თუ არ სამშობლო ენასა ზედა. „სახლი ჩემი სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქვაბ ავაზაკთა“.

193. ივერია, 1894 წელი, 20 სექტემბერი, №199, გვ. 1

ახალი ამბავი

დიდი ხანია, რაც ტფილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებულია ქართული საეკლესიო გალობა ქართლ-კახურ და გურულ კილოზედ, მაგრამ აქამდის, თითქმის კუს ნაბიჯით მიდიოდა იმისი საქმე. ამ წელს კი თანდათან გაუმჯობესება და განკარგება ეტყობა. ამისი თავი და თავი მიზეზი იმათი გულმოდგინეობა და დაუღალავი მეცადინეობაა, რომელთაც მინდობილი აქვთ საეკლესიო გალობის სწავლება სემინარიაში. დიდი მადლობის ღირსნი არიან მღვდელი მ. ვასილ კარბელაშვილი და ბ-ნი მ. შარაძე, რომელნიც არავითარ

ლონისძიებას არ ჰზოგავენ ქართულის გალობის განკარგებისათვის. წინა წლებთან შედარებით, ქართულს გალობას უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი.

194. ივერია, 1894, 29 ნოემბერი, №252, გვ. 2

* * *

მ. შარაძისა და ამხ. სტამბაში დაიწყო ნოტებად ბეჭდვა ქართულის (გურულ-იმერულ კილოზე) საეკლესიო საგალობლებისა. პირველს წიგნში მოთავსებული იქნება: ოქროპირის წირვის წესი, ვასილ დიდისა პირველშენიერულის, მღვდელმთავრისა, წესის აგებისა: ყრმისა, ერისკაცისა, მღვდლისა და ბერისა. აგრეთვე, მოთავსებული იქნება ნათვლისა, ჯვრისწერისა, პანაშვიდისა, ეკლესიის კურთხევისა, თორმეტი საუფლო დღესასწაულის მეცხრე სძლისპირები და ამავე დღესასწაულებში საჭირო „მოვედით თაყვანისვსცეთ“-ისა და „წმიდაო ღმერთო“ მაგიერი საგალობელნი. წიგნში მოთავსებული იქნება არანაკლებ 174 მუხლისა. მსურველთ მალე დასაკმაყოფილებლად, საქმე ისე მოეწყობა, რომ შეიძლებოდეს დაბეჭდვისათანავე მარტო წირვის წესის ყიდვა ან დაბარება და დანარჩენ საგალობელთა კი მერე მიღება.

195. ივერია, 1894, 30 დეკემბერი, №276, გვ. 2-3

ჩვენი საეკლესიო საგალობელთა ნოტებად გადაღებისა და ბეჭდვის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბევრი კარგი თვისება მოეპოვება ადამიანს, ხოლო არა ვგონებ, თანაგრძნობას რამე აღემატებოდეს. ეს თვისება იმითია კარგი, რომ იგი ნეტარებასა და სიამოვნებას აგრძნობინებს თვით თანამგრძნობსაც და იმასაც, ვისაც თანაუგრძნობ. ამის დასამტკიცებლად, თვით ჩემი ცხოვრებიდგანვე მოვიყვან ერთს უბრალო მაგალითს.

ერთს ბავშვს ღვინით ბოთლი გასტეხოდა და სახლისაკენ ტირილ-ღრიალით გარბოდა. შემებრალა ბავშვი და ბოთლი და ღვინის ფული მივეცი. როცა ბავშვმა ხელმეორედ ღვინო იყიდა და თავისი ტიტველა ფეხებით სახლისაკენ სიხარულით და ხტუნვით გასწია, რაც იმწამს მე სიამოვნება ვიგრძენ, სულ ამისთანა წამებისაგან რომ შესდგებოდეს ადამიანის სიცოცხლე, მაშინ, როგორც საღმრთო წერილი მოგვითხრობს, ქვეყანაზე ცხოვრება „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“ იქნებოდა. ესლაც რომ მოვიგონებ იმ შემთხვევას, პირზე ღმილი მომივა და სახე გამინათლდება ხოლმე.

თუ ამისთანა მცირე საქმემ ასეთის ძალით იმოქმედა ჩემზედ, მაშასადამე, რამდენად ბედნიერი უნდა იყოს ის, ვინც სრული სათნოებია და მომქმედი დიდის საქმეებისა. ამისთანა კაცის სახე, უთუოდ, მუდამ გაბრწყინებული და განათლებული უნდა იყოს და იმისი სხივი ბევრის სულსა და გულს აბრწყინებდეს და ანათლებდეს.

რა თქმა უნდა, ამისთანა მაღალღირსებიანს ადამიანს ამოქმედებს მხოლოდ უზენაესის განუსაზღვრელი სიყვარული, ხოლო ამ სიყვარულს კი ისე მთლად და სავსებით ვერა აგრძობინებს რა ადამიანს, როგორც კარგი და წყობილი გალობა. ამისი დამამტკიცებელი თვით დავით წინასწარმეტყველის ნათქვამი სიტყვებია: „ნეტარ არს კაცი, რომელმან იცის გალობა შენი, უფალო“. თვითონ დავითი როგორს გალობას ამბობდა, არ ვიცი, ხოლო ის კი ეჭვგარეშეა, რომ იმისი ნათქვამი სიტყვები მთელს კაცობრიობას შეეხებოდა; კერძობას და მარტო „ჩემობას“ წინასწარმეტყველი ვერ შეიმშენვედა.

უთუოდ ყოველივე ეს კარგად შეგნებული ჰქონიათ იმათ, ვინც გალობის გადაღების საქმეს თანაუგრძნო და შემწეობა აღმოუჩინა. რასაკვირველია, დიდი მადლობა გემართებს ყველასი, ხოლო ეს მადლობა უფრო მადლიანი, მარილიანი და შემომწირველთა ნამოქმედარის სიკეთის სანაცვლო-სამაგიერო მაშინ იქნება, როცა გადაღებული ფული თავისს და-ნიშნულებას მიაღწევს, იმედი გამართლდება და სანანური შეიქმნება არა დახარჯვა, არამედ დაუხარჯველობა ამ საქმისათვის.

დანაპირები ვიყავ ანგარიშის გამოცხადებას და ეხლა ვასრულებ ამ დაპირებას.

გალობის ნოტებზედ გადაღებისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ მიღებული მაქვს 656 მან. და 5 კ. წარსულის 1893 წლის სექტემბრიდგან ამა წლის 15 დეკემბრამდე ბ-ნ ფილიმონ ქორიძეს სხვადასხვა დროს გაეგზავნა 580 მან., ბ-ნ ანტონ დუმბაძეს – 278 მან., ბ-ნ მოლარიშვილს – 20 მან. სულ 878 მან. მაშასადამე, მეტი დახარჯულა 221 მან. 95 კ. ჩემთან სტამბაში ამხანაგად შემოსულია: ე. კერესელიძისა, ვ. გძელიძისა და ს. ლოსაბერიძის თანხმობით ეს მეტი დანახარჯი ჩაიწერა სტამბის გასავლის არდასაბრუნებლის ხარჯში. ბეჭდვა საგალობელთა უკვე დავიწყეთ, გალობის გადაღების საქმეც შეუჩერებლად მიდის. მხოლოდ ერთი დაბრკოლება უდგას წინ ამ საქმეს: ბ-ნი ანტონ დუმბაძე ოჯახის კაცია და ამისთანა კაცისათვის თითოეული საათიც კი ძვირფასია. ოჯახის საქმე ნებას არ აძლევს მთლად ამ საქმეს შესწიროს თავისი დრო. ღონე და საშუალება ამ საქმის გასწორებისათვის მხოლოდ ერთადერთია.

ბ-ნ ანტონს სულ ნასწავლი, განათლებული და შეძლებული შვილები ჰყავს. ამისთანა შვილებს მოხუცებულის მამის უზრუნველყოფა სულ ადვილად შეუძლიათ. სწავლასა და განათლებას თუკი რამ შეუძლიან, ამაზედ უკეთესს შემთხვევას სადღა შეხვდება კაცი. ბევრი ინატრებს კიდევ იმათს ალაგას ყოფნას. ინატრებს იმიტომ, რომ ღონე და საშუალება ექნება მშობლისა და სამშობლოს ვალი შეასრულოს და ამ მოვალეობის ნაყოფით დასტკეპს.

როგორც გავიგეთ, ერთს მათგანს კიდევ გამოუთქვამს ეს სურვილი, ხოლო რომელია იგი და რომელი დაიწყებს პირველად ამ საქმეს, ამას შემდეგი გვაჩვენებს.

რა არის დანერილი და რა დასანერი, ამას შემდეგ მოვიხსენიებთ. აგრეთვე, ვალდებული ვიქნებით, საგალობელთა დაბეჭდვის ანგარიშიც ვაუწყოთ საზოგადოებას. ჩვენი განზრახვაა: როცა საგალობლები დაიბეჭდება და გაიყიდება, თუ რამ მოგება დარჩება, ისევ საგალობელთა გადაღებასა და გაუკეთესებას მოხმარდეს.

მომქმედი კეთილი საქმისა, თუმცა თითონ არა თხოულობს ჩვენგან არც ქებასა და არც მადლობასა, რადგან იგი ამ ქებასა და მადლობას თავისისავე გაკეთებულს საქმეში ჰპოულობს, მაგრამ მაინც ვალდებულნი ვართ, ამისთანა კაცს თანაგრძნობა გამოვუცხადოთ და იმისი ნამოქმედარი სიკეთე სიტყვით ან წერით გამოვთქვათ. ამით კეთილისმომქმედი წახალისდება და უფრო გულიანად და უფრო ბევრს საქმეს გააკეთებს. ამიტომ, არ შეიძლება დავმალოთ და არა ვსთქვათ, რომ ეხლანდელი გალობის ნოტებზე გადაღების საქმეში დიდი შრომა და მეცადინეობა გასწია ბ-ნმა არისტო ქუთათელაძემ.

მ. შარაძე

196. ივერია, 1895, 11 იანვარი, №7, გვ. 1

* * *

ს. ჩხარი: მთელმა კრებამ ყმანვილკაცებისამ, რომელთაც გალობის სურვილი აქვთ, დაიქირავეს ქართულის გალობის მცოდნე პეტრე კიკნაძე და ამრიგად, ქართული გალობა შეისწავლეს. ს. ფარცხნანში და სხვაგანაც ამჟამად მშვენივრად ჰგალობენ ქართულს საეკლესიო საგალობლებს, რაც ხალხს მეტად სასიამოვნოდ რჩება. კარგი იქნებოდა, სხვა სოფლებსაც მიექციათ ყურადღება და ამ მაგალითისათვის მიეზადნათ, რადგანაც ხალხი უფრო დიდის სიამოვნებით ისმენს წირვა-ლოცვას, როდესაც ეკლესიაში გალობა არის და ზნეობრივი გავლენაც დიდი აქვს კარგს გალობას.

197. ივერია, 1895, 22 იანვარი, №16, გვ. 3

პასუხად მ. ვ. კარბელაშვილს

ჩემს მოკლე შენიშვნაში იყო მოხსენებული, რომ სემინარიის ხორომ ვერ იგალობა ისე კარგად, როგორც მოსალოდნელი იყო... მაგრამ ეტყობა, მღ. ვ. კარბელაშვილმა ვერ მოინგულა ეს მოკლე შენიშვნა და თხოულობს „სიმართლე აღდგენილ იქმნას“. (?) გარდა ამისა, იგი თავისს წერილში საზოგადოებას უმტკიცებს, რომ ამაზედ უკეთესად არსად უგალობნიათ სემინარიელებსაო.

რა არის ეს, თუ არა თავისი თავის უზომოდ ამაღლება? ნუთუ გგონიათ, როგორც ქართული გალობის საუკეთესო მცოდნეს (?), მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ გალობის ღირსების დაფასება და სხვას კი არა? ჩვენის აზრით, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ძილისპირებისა და „უფალო შეგვიწყალებ“-ების უთუოდ კაჭკაჭისავით ზეპირად ცოდნა, რადგანაც ვისაც კი მცირედენი ესთეტიკური გრძნობა აქვს და შეუგნია ერთხელ და ერთხელ ქართულის გალობა-სიმღერის ხასიათი, უთუოდ შეუძლიან დაფასება. „ყური და გრძნობა“ უტყუარი მსაჯულია ამ შემთხვევაში, მაგრამ არა! მაინცა და მაინც თხოულობს მღ. კარბელაშვილი, წარმომიდგინეთ სად და როდის იგალობეს ამაზედ უკეთესადო. ჩვენდა სამწუხაროდ, „ფონოგრაფი“ ეხლა ჩამოიტანეს ტფილისში და მაშასადამე, არ შეგვეძლო ამ მიწერ-მოწერის ნაცვლად მაშინ „ფონოგრაფისათვის“ ჩაგვეძახნა ის სასიამოვნო გალობა, რომელიც კი ოდესმე გაგვიგონია, რომ დღეს ულაპარაკოდ ამოგვეთქმევიანებინა კარბელაშვილის წინაშე და მით გვემხილებინა იმისი თავმოყვარეობის სუსტი გულისთქმა! საკვირველია და ვერ მივმხვდარვართ, რას უნდა მოასწავებდეს სიტყვები: „შებლალული, შელახული ვისგან იყო.“ განა მქონდა ნათქვამი, კარბელაშვილმა ქართული გალობა შებლალა და შელახა მეთქი?“, მაგრამ რა გაეწყობა? ჩანს, დაწერილის სწორედ აღმოკითხვა არ შეძლებიათ.

X. X. [ლუარსაბ ზოცვაძე]

198. ივერია, 1895, 16 თებერვალი, №34, გვ. 3

გუშინდელ №-ში გვექონდა მოხსენებული, რომ ჟურნ. „არტისტის“ იანვრის ნომერში ბ-მა იპოლიტოვ-ივანოვმა ქართულის გალობის შესახებ წერილი დაჰბეჭდაო. წერილს შემდეგი სათაური აქვს: „ქართული სახალხო სიმღერები და მათი დღევანდელი მდგომარეობა“. ამ წერილის ანგარიში გაზ. „მოსკოვსკ. ვედ“-ში მოჰყავს მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს კორეშჩენკოს და ამბობს, რომ ეს წერილი დიდად საინტერესოა მუსიკალურ მეცნიერების მხრივით.

სხვათა შორის, იპოლიტოვ-ივანოვი ამბობს, რომ ძველებური ქართული სახალხო სიმღერების კილო, რომელიც მხოლოდ რამდენსამე სახალხო სიმღერებშია დარჩენილი და მოიძებნება კახეთის მივარდნილს სოფლებში, ქართულს საეკლესიო საგალობლებს ძალიან ჰგავს. ყველა ქართული კილოები დიატონიკურის აგებულებისაა, ე. ი. შეიცავს სრულს ხმას უმეტეს ნაკლებოდ და ასე გადადის ერთის ხმისაგან მეორეზედ, ყველა როგორც სასტიკის ხასიათისაა და მკვრივია, არ ეტყობა ის სრულის ხმის მეტნაკლებობა და გრძნობათა სილამაზე, რომელიც სხვა ეროვნებათა კილო-სიმღერების თვისებას შეადგენსო. ავტორი მაგალითებით ამტკიცებს, რომ ქართული სიმღერები, ნამდვილად ხალხურია და დიატონიკური, დამყარებულია საეკლესიო საგალობლების რომელსამე კილოზედ, რომელიც თანდათან იცვლებოდა და სხვადასხვა ისტორიულ მოვლენათა ხასიათს ითვისებდა: როგორც ხმის ამოთქმის გაგრძელება სპარსელებისა და თათრებისაგან და კლიმანჭურები კიდევ არაბთაგან შეითვისაო. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა მრავალი სხვა კილო-სიმღერები, მაგრამ ქართულის სიმღერების წყობილებაზედ მაინც გავლენა ვერ იქონია არაბთა და სპარსთა სიმღერების ხასიათმაო.

199. კვალი, 1895, 19 თებერვალი, №9, გვ. 3-4

საყურადღებო ამბები

(„კვალის“ რედაქციას)

გუშინ მე შემთხვევით დავესწარი თფილისში, კალოუბნის ეკლესიაში წირვაზე. პატიოსნებას გეფიცებით, რომ მრავალს ადგილას და შესანიშნავ ტაძრებში დავსწრებოვარ წირვა-ლოცვაზე, მაგრამ არც ერთ ეკლესიიდან არ გამომყოლია ისეთი სასიამოვნო ღრმა შთაბეჭდილება, როგორც ამ ეკლესიიდან გამოვიტანე. წირვა იყო აქ ნამდვილი ქართული და გალობაც ქართული. ბევრს ეკლესიაში მოისმინთ წირვას და გალობას ქართულს, როგორც ქალაქებში, ისე დაბებში, მაგრამ აქაური წირვა-გალობა სწორეთ ბევრათ განსხვავდება სხვა კრებულთა წირვა-გალობისაგან. წირავს მღვდელი ნამდვილი ქართული კილოთი და ქართული გამომეტყველებით, ასეთივე კილოთი მთავარ დიაკონიცა. ამ შევნიერ კილოზე გალობენ ქართული მგალობლები. არ იკითხავთ, თუ ვინ არიან ეს მგალობლები? ლოტბარი გახლავსთ ზაქარია ჩხიკვიშვილი და მოწაფეებთ თფილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლენი. სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი ამ მგალობლებს ჰგზავნის ხსენებულ ეკლესიაში მუქათათ, არა საფასით, არამედ თავის მოვალეობის აღსასრულებლათ. შეგირდებს ისე კარგათ შეუსწავლიათ გალობა, რომ ულოტბაროთაც შეუძლიათ გამოვიდენ. სწორეთ სააზნაურო სკოლა, ამ შემთხვევაში, ერთადერთი სკოლაა, რომელიც ჭეშმარიტათ ასრულებს საზო-

გადოების ქრისტიანულ მოთხოვნილებას და ბავშვების აღზრდის საქმე დაუყენებია მკვიდრ საფუძველზე. რატომ არ მოახდენენ განკარგულებას ჩვენი დირექტორები, რომ თავიანთი საგამგებო შკოლის შეგირდებიც მიაჩვიონ წირვა-ლოცვაზე სიარულს და გალობას ისე, როგორც ეს შემოულია სათავადაზნაურო შკოლას?!...

მომეცით ნება, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის საშუალებით, გულითადი მადლობა გამოვუცხადო 1) თფილისის სათავადაზნაურო შკოლის ინსპექტორს, რომელსაც ამისთანა შვენიერი წესი შემოულია რწმუნებულ მისდამი შკოლაში, ქრისტიანული ზნეობის და სარწმუნოების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის, 2) ბ-ნ ლოტბარს ზ. ჩხიკვაძეს მისი გულმოდგინე მეცადინეობისთვის ქართული გალობის შესასწავლებლათ და 3) თვითონ მაგლობელთა შაგირდების გუნდს.

გთხოვთ, ამასთანავე წარმოგზავნილი ხუთი მანეთი გადასცეთ მაგლობელთა გუნდის მოსწავლეებს ხილისათვის და ეს სამოციოდე წიგნები, ჩვენი გამოცემანი ზნეობრივი შინაარსისა და სასარგებლო საკითხავები, ღირებული თხუთმეტი მანეთისა, როგორც მაგლობელთა გუნდს, ისე სხვა მოსწავლეთა. ბ-ნ ლოტბარს მიერთმევა ყველა ჩვენგან გამოცემული ყდებში ცალკე.

არ შემიძლია, აგრეთვე გულითადი მადლობა არ გამოვუცხადო პატივცემულ კრებულს იმ შვენიერი კილოთი წირვა-ლოცვის აღსრულებისათვის, რომელიც მათ ასე კარგათ შეურჩევით, თუმცა ერთ დროს, ან სხვა ადგილზე, ნიადაგ სლავიანურათ წირავდა ხოლმე, და იმ შვენიერი ძმური და მამაშვილური განწყობისათვის, რომელიც მათში სუფევს და ასე შვენივრათ მოქმედობს მათ სამწყსოზედაც.

რა სასიამოვნო იქნებოდა და როგორ საუკუნოთ დაგვაგალებდა, ქუთაისის სათავადაზნაურო შკოლის ინსპექტორსაც, რომ ნაცვლათ სათავადაზნაურო ბანკების საქმეებში გარევისა და მონაწილეობის მიღებისა, წაებადა თფილისის სათავადაზნაურო შკოლის წეს-წყობილებითა და შეგირდების გუნდი გამოეყვანა ეკლესიაში და მლოცველების გული დაეტკობ ამისთანავე გალობით!.. განა ხელს არ უწყობს მათ იმერეთის ხალხის გალობის სიყვარული და შვენიერი ხმები მოწაფეთა!.. ყველაფერი ხელს უწყობს, მაგრამ სურვილი კი არ არის!..

დეკ. დ. ლამბაშიძე

200. მოამბე, 1895, თებერვალი, №2, II განყ. გვ. 60-61

ქართული მუსიკა

[...]

არ შეიძლება არ მოვიხსენოთ აქ შესანიშნავი ქართული ხელნაწერი, რომელიც დაცულია „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავში, და მით დანამდვილებით არ შევამოწმოთ ერთხელ კიდევ ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მუსიკას ჩვენის ერის ცხოვრებაში. ის ხელნაწერი ეტრატზეა დანერილი და შეიცავს ყოველგვარს საგალობელს მართლმადიდებელის ღვთისმსახურებისას. თვითეული საგალობელი დანერილია ხუცურის ასოებით, ხოლო მელოდია საგალობლისა აღნიშნულია ესრედ ნოდებულ ნევმებით, რომელიც იხმარებოდა ნოტების შემოღებამდე.

დასავლეთს ევროპაში ასეთის ნოტების წერას ნევმატური წერა ეწოდებოდა; ეწოდე-

ბოდა აგრედვე Nota Romana. ამ ამბავმა ძალიან გაგვაკვირვა და ვიფიქრეთ, ნუთუ ქართველებსაც ჰქონიათ რამე ამგვარიო. ამ აზრით მოვიხილეთ შემდეგები ჩვენებური და დასავლეთ ქვეყნების ნევები. საეკლესიო გალობის სასწავლებელში, რომელიც უწმინდესის სინოდისაგან არის დაარსებული მოსკოვს, გავსინჯე ევროპელ ერთა ნევები. ხშირად მიფიქრია, რაკი აღმოსავლეთის ეკლესიას ჰქონდა ნევების მსგავსი ნოტები, ქართული ეკლესიაც არ ჩამორჩებოდა უკან და იზრუნებდა ნევებისათვისა მეთქი. ამიტომ აზრად აღარ მომსვლია, რომ შესაძლო იყო ქართულ ეკლესიას თავისი საკუთარი ნიშნები ჰქონოდა, სრულიად განსხვავებული სხვა ერთა ნევებისაგან; მართლაც, შედარებამ აღმოაჩინა, რომ არავითარი მსგავსება არ არსებობს ქართულსა და ევროპულ ნევებს შორის. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართულს ეკლესიას დამოუკიდებლად უწარმოებია ეს საქმე, ჰქონია თავისი ნევები და ნევების მსგავსი ნოტები, რომ მემუსიკობა და მგალობლობა ხელობადაც კი ყოფილა ქართველებში გადაქცეული; საინტერესოა ის, რომ ამ წიგნში, სანოტო ნიშნების გარდა, სხვა სამუსიკო ნიშნებიც იპოვება, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული; ამნაირი ნიშნები სულ ოთხია. თვითეულ საგალობლის თავში ერთ-ერთი ამ ნიშანთაგანი ზის. თვითეული ამ ნიშანთა შორის აღნიშნულია განსაკუთრებულის ფერის მელნითა. ბევრის რამის თქმა არ შემიძლიან ამ ნიშნების განსამარტებლად. ვგონებ მხოლოდ, რომ ეგ ნიშნები სამუსიკო გასაღებნი უნდა იყოს, რომელიც იხმარება ამჟამად იმის გასარჩევად, თუ რა ხმისათვის არის დაწერილი ესა თუ ის პიესა ანუ საგალობელი; რაიცა შეეხება ფერს ნიშნებისასა, ეგ ფერი ან იმიტომ თუ იხმარებოდა, რომ ერთი გასაღები გაერჩიათ მეორისაგან, ან იმიტომ, რომ აღენიშნათ ხასიათი საგალობლისა – სამაჟორო და სამინორო, რაიცა მაშინაც ამას თუ ჰნიშნავდა – მხიარული ან მწუხარო. ამისთანავე ხელთანაწერი, როგორც მითხრა ზემოხსენებულის საზოგადოების მდივანმა (მ. ჯანაშვილმა), დაცულია თურმე სიონის საკათედრო ტაძრის საეკლესიო მუზეუმი. ეს ხელნაწერი კრებულია საგალობლებისი, იმისთანავე ნიშნებივე უსხედს და რამდენსამე კაბადონს შეიცავს. ამ ხელნაწერების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ მუსიკას საქართველოში გზა გაუკვლევია, განვითარების გზას დასდგომია ძველადვე და შეძლება მისცემია გამუდმებულის წინსვლისა და წარმატებისა. ის ხელნაწერი, რომელიც ვნახე „წერა-კითხვის საზოგადოებაში“, მე-X საუკუნეს ეკუთვნის

[...]

ილ. კარგარეთელი

201. ივერია, 1895, 1 მარტი, №45, გვ. 4

ბიბლიოგრაფია

„ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“

მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა

პატივცემულს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს, რომელიც კარგა ხანი იყო (1882-1893 წწ.) ტფილისში, აქაურ მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორად, ზედმიწევნით შეუსწავლია ქართული სახალხო სიმღერები და მოკლე ისტორიული განმარტებით შეუდგენია წიგნი „ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“, რომელსაც დართული აქვს ნოტებზედ გადაღებული 12 სხვადასხვა სიმღერა-რომანსების ნიმუშები.

„ ... ნამდვილი კილო ქართულის სახალხო სიმღერებისა ძველისძველად დარჩენილია და შეუცვლელად შენახულა კახეთის ზოგიერთს მივარდნილს სოფლებში: ყველა ისინი ერთმანეთს ძალიან ემსგავსებიან, რადგანაც ერთისა და იმავე დიატონიკურის აგებულებისანი არიან. კავკასიის სხვა ერთა სიმღერებისაგან განირჩევიან იმითი, რომ მათში ნათლად გამოსჭვრეტს ქართველობის მამაცობა, მეომრობა, მათი სხვადასხვა მეზობელ სახელმწიფოთაგან ისტორიულად შევიწროებული სასტიკი ცხოვრება, განირჩევიან თვისის სიმკვრივით და არ მოიპოვება იმათში ის ხრომატიზმი მგრძნობიარე სილამაზე, რომლებიც კავკასიის სხვა ერთა სიმღერების აუცილებელს თვისებას შეადგენს“; აი, როგორ ახასიათებს საზოგადოდ ქართულს სახალხო სიმღერებს ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი.

იპოლიტოვ-ივანოვის აზრით, ქართულს საეკლესიო საგალობლებსა და სახალხო სიმღერებს ერთი და იგივე ძირი აქვთ, საერთო დედაკილო; ხოლო ამ უკანასკნელთა და ძველს ბერძნულ საერო და საეკლესიო სიმღერებსა და საგალობლებს შუა საერთო ის არის, რომ მთავარი კილო, დედახასიათი ამ ორის ერის სიმღერა-საგალობლებისა ერთი და იგივეა, რომელიც მათის ხალხურის სულიერ თვისებათა შემაერთებელ ძაფად გარდაქმნილა მუსიკის მხრივ.

ამის შემდეგ ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს მოჰყავს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა სახალხო ქართული სიმღერების ასეთი ხასიათის შემუშავებას.

რადგანაც საშუალება არ ჰქონდა ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს, უფრო უძველეს ისტორიითგან შეეტყო ამის შესახებ ცნობები, იგი ქართულ სახალხო სიმღერებისა, თუ საეკლესიო საგალობლების აღორძინებას მე-IV საუკუნეს აწერს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართველობამ ქრისტიანობა მიიღო და ამბობს, რომ სწორედ ქრისტიანობის გავლენის ქვეშ გაკეთილშობილდა და გაფაქიზდა ქართული საგალობლები, თუ ქართული საეკლესიო სიმღერებიო.

ამრიგად, იპოლიტოვ-ივანოვი მხოლოდ ქართულ სახალხო და საეკლესიო სიმღერა-საგალობლებსა და ბერძნულს შორისა ჰხედავს რაიმე ნათესაობას, რომელსაც ამტკიცებს შემდეგით: მაგ. „უფალო შეგვიწყალები“, ფრიგიულს კილოზეა დაწერილი და მოჰყავს ნოტებზე დადალებული ნიმუში, – „ღირს არს ჭეშმარიტად“ დორიულს კილოზე, – ხალხური აკვნის სიმღერა ფრიგიულსა და „რეგვენი პატარძალი“ (არაგვის ხეობაში ჩანერილი) დორიულსაზე. აგრეთვე ასახელებს ეოლიისა და იონიის კილოს, რომლის ნიმუშებადაც მოჰყავს თვით სიმღერა, ნოტებზე დადალებული.

დასასრულ, ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი ამბობს იმასაც, რომ შეიძლება ზოგიერთი ნაკლი ჰქონდეს მის შრომას ენის უცოდინარობის გამო და ამიტომ ეს შემდეგმა მკვლევარებმა შეავსონო. დიდს მადლობას უძღვნის იგი პროფესორს ა. ხახანაშვილს, რომელსაც საჭირო ისტორიული მასალა გადაუცია ამ წიგნის შესადგენად. მადლობას უძღვნის, აგრეთვე, კნენა ს. ვ. ამირაჯიბისას, რომელსაც ნიმუშად მოყვანილის 12 სხვადასხვა სიმღერის ლექსები ქართულიდგან რუსულად უთარგმნია და რუსულის ასოებით ქართულის ტექსტის გამოთქმა უსწორებია.

ამ წიგნს ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი თავის მეგობარს ხარლამპი ივანეს ძე სავანელს უძღვნის.

ინ-ანი [ივანე ახალშენიშვილი]

ქართული გალობის გამო ქუთაისში

ქ. ქუთაისში, კარგა ხანია, რაც იმერეთის ეპისკოპოსის მაგალობელთა ცოდნის ლოტბარად იმყოფება ანდრია სვიმ. ბენაშვილი.

ბ-ნმა ბენაშვილმა პირველი ნაბიჯი გადადგა ჩვენებურის გალობის აღსადგენად. მან პირველად გადაიღო ნოტებზედ ოქროპირის წირვის წესი და რამდენიმე საუკეთესო ქართული სიმღერები. ქართლ-კახური კილო წირვისა გადაიღო კარბელაშვილის დახელოვნებულ მაგალობლების მეოხებით. ლოცვა-ცისკრის წესი მიაწოდა ტფილისიდან მღვდელმა მოლოდინაშვილმა.

ბენაშვილმა როგორც გალობის მცოდნემ, დააყენა ოთხს ხმაზედ წირვა, ლოცვა და მწუხრის საგალობელი. ოთხს ხმაზედ, კილოს შეუცვლელად, აგალობებს ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ბ-ნი ივლიანე წერეთელი ამბობს თავისს ქალაქში, რომელიც მართავა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომ ბენაშვილის გალობა დამახინჯებულია და თავისებურად გადაკეთებულიო...

ამას გარდა, ბ-ნი ივ. წერეთელი აბრალებს ბენაშვილს, ვითომ მას ქორიძისაგან გადაღებული ნოტები მიესაკუთრებინოს და დაემლოს. ეს სრულებით უსაფუძვლოა და სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ის ნოტები ბ-ნის ქორიძისა თვით მღვდელთმთავრის გაბრიელის სახლში აღმოჩნდა.

*ქართული გალობის მოყვარე [ნიკოლოზ მთვარელიშვილი]
ქუთაისი, 1 თებერვალი*

პასუხი ბ-ნს „ქართულ გალობის მოყვარეს“ („ივერია“ №50 1895 წლისა)

„მოყვარე, მტერი მოყვრისა, მტერზედა უფრო მტერია“.
რუსთაველი

ვის ჰქვიან ჩვენში დღეს ჩვენი გალობის ჭეშმარიტი მოყვარე? იმას, ვინც ცდილობს ჩვენი მშობლიური ხმები ნიშნებით, ნოტებით, ქალაქზედ გამოხატოს, რათა ამით გაქრობისაგან დაიფაროს ისინი. მოყვარე ჰქვიან ბ. ფილიმონ ქორიძეს და მისთანათა, რომელნიც აგერ, ამდენი ხანია იღვნიან ამ მიმართულებით. მოყვარე ჰქვიან ბ. არისტო ქუთათელაძეს, რომელმაც კისრათ იღვა, სხვათა შორის, შეაგროვოს ნამდვილ გალობის მოყვარეთაგან მცირეოდენი წვლილი ნოტებზედ გადაღებული ხმების გადასაღებად; მოყვარე ჰქვიან მაქსიმე შარაძეს, რომელმაც განიზრახა უკვე გადაღებული ხმები, ცალკე რვეულებად აქა-იქ მიმალულები, დასტამბოს და ამით ყოველს „მოსალოდნელ ხიფათს“ გადაარჩინოს ისინი. აი,

სწორედ ამ ნამდვილმა გალობის მოყვარებმა მომანდევს მე, შარშან ზაფხულს, ქალაქი მიმერთმია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისათვის. „ნება გვიბოძე“, სთხოვდა ბ-ნი შარაძე მღვდელმთავარს, რათა იმერული საგალობლები, გადაღებული ნოტებზედ ბ. ქორიძისაგან, დავსტამბო და ამით დავიხსნა ისინი მოსალოდნელი ხიფათისაგან“. მისმა მეუფებამ, რასაკვირველია, ნება დართო და დაანერა ზედ: „ნოტები სიით, ხელწერილ ქვეშ, ჩაიბაროს ივლიანე წერეთელმა შარაძის გადასაცემად. და რომ ამასთანაც რამე ხიფათი არ შეჰმთხვევოდა ძვირფასს ხელწაწერებს, ზემოდ მოხსენებულმა ქართულის გალობის ნამდვილმა მოყვარებმა ეს ხელწაწერები ჩააბარეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, საიდგანაც სარგებლობდა ბ-ნი შარაძე.

სამწუხაროდ, ნამდვილ გალობის მოყვარეთა წინასწარმეტყველება, ხიფათის შესახებ, მალე გამართლდა. როდესაც ჩავიბარე ნოტები, დააკლდა ას ცხრამეტი თავი საგალობელი (სულ გადაღებული იყო ოთხასი ნომერი). ამ გარემოებამ ერთობ შეაწუხა ეპისკოპოსი. აღმოჩნდა, რომ საგალობლები წაღებული ჰქონდა სახელმძღვანელოდ ლოტბარს საეპარქიო მგალობელთა ხოროსას ბ. ან. ბენაშვილის მღვდელმთავრისაგან, რომელმაც მაშინვე ოფიციალურად მისწერა ბ. ბენაშვილს 9 სექტემბერს 1894 წელს № 2294, შემდეგი: „მოგწერთ თქვენ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ჩემს კანცელარიაში ყველა ნოტები გამოუკლებლად, რომლებიც ჩემგან გაქვთ წაღებული“. ამ მოთხოვნაზედ ბ. ბენაშვილმა მხოლოდ წარმოუდგინა კანცელარიას გახსნილი რვეული, ესე იგი, ერთის რვეულის მეოთხედი ნაწილი, რომელშიაც არის დარჩენილი მარტო ცამეტი თავი საგალობელი. (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ბ. ქორიძე იღებდა ნოტებზედ ამ საგალობლებს, სამ გადამცემელთა შორის ერთი მე გახლდით. ოთხასი ნომერი გავყავით რამდენიმე რვეულად. თითოეული შეკინძულია ცალკე და ბოლოში ხელმოწერილია გადამცემ-გადამცემელთაგან). ვინაიდან დაკლებული საგალობლები იყო საჭირო ბ. შარაძისათვის პირველ წიგნში მოსათავსებლად, მან კერძო წერილით მიჰმართა ამის შემდეგ მღვდელმთავარს.

ბ. ან. ბენაშვილს კიდევ მოსთხოვეს დაკლებული საგალობლები, მაგრამ პასუხი არავის აღირსა. ვილაცას მოუტანია და გადაუცია ეპისკოპოსის სასახლის წყლის მზიდველისათვის ერთი რვეული, რომელიც შეიცავს სამოცდათერთმეტ თავს საგალობელს. აი, სწორედ ამ რვეულზედ ამბობს ბ. „ქართული გალობის მოყვარე (?), რომ ისინი თვით მღვდელმთავრის სახლში აღმოჩნდაო და მე ვითომ ტყუილად შევწამე ბ. ბენაშვილს მათი მითვისება („ივერია“, №50), მაგრამ თუ ეს მართლა ყოფილიყო, დიალაც, არაფერი მექნებოდა სასაყვედურო ბ-ნ ბენაშვილთან; საქმეც ის არის, რომ კიდევ გვინდა აღმოჩნდეს ორმოცი ნომერი, რომელიც გვაკლია. დიალ, სწორედ იმ დანარჩენ ორმოც საგალობელსაც რომ გადასცემდეს ვისმეს, თუნდა იმავე მენყლეს, ჩვენი საქმე ამ გზობით მორჩენილი იქნებოდა. მე შესრულებული მექნებოდა ის, რაც მომანდეს ქართულ გალობის ნამდვილმა მოყვარებმა და მიბრძანა მღვდელმთავარმა.

(მითვისა თუ არა ბ. ბენაშვილმა ჩვენი საგალობლები, კარბელაშვილის კილო გადაიღო, თუ ჩვენი გადააკეთა – ამაზედ არა გვაქვს ჩვენ ლაპარაკი).

დასასრულ, უნდა ვსთქვათ, რომ ის რვეული, რომელიც დღეს დაკარგულია, ნიშნობლივ ვიცი, მის ხელში იყო. იმ რვეულიდგან ბენაშვილის სახლში გადმოწერა ერთმა ქართულ-რუსული ხორის მგალობელმა, ბ. ივლიანე ნიკოლაძემ მხოლოდ ერთი საგალობელი – „შენდამი იხარებს მიმადლებულ“ და სწორედ ის რვეული ბენაშვილს არ დაუბრუნებია ჩვენთვის. აქვე ვსთხოვთ ბ. ივლიანე ნიკოლაძეს, გამოაცხადოს სინამდვილე მოხსენებულისა. ხოლო ბ. ბენაშვილი, მისი მფარველის მოწყალებით, დღეს ხომ მაინც იძულებულია, ხმა ამოიღოს და გაიმართლოს თავი საქვეყნოდ, თუ რა უყო ის რვეული, რომელზედაც ასე მოუფიქრებლად ასტეხა დავა მისმა მფარველმა.

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ №92-ში ბ-ნი ივლიანე წერეთელი მთხოვს, რათა გამოვაცხადო სიმართლე მართლა გადმოვწერე თუ არა მე ბ-ნ ა. ბენაშვილის სახლში ერთი საგალობელი – „შენდამი იხარებს მიმადლებულო“. მე, უნდა აღვიარო ჭეშმარიტება და უნდა გამოვაცხადო, რომ ის საგალობელი მართლაც გადმოწერილი მაქვს ბ-ნ ა. ბენაშვილის სახლში იმ რვეულიდგან, რომლის ბოლოშიც ასე ეწერა: „გადაღებული ბ-ნ ფ. ქორიძისაგან და მგალობლების დიმიტრი ჭალაგანიძისა, რაჟდენ ხუნდაძისა და ივლიანე წერეთელისაგან“.

მგალობელი ივლიანე ნიკოლაძე

კახური სიმღერა-გალობანი და დირექტორი ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლისა ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი

4 ივნისს თელავში მოვიდა დირექტორი იმპერატორის ტფილისის განყოფილების მუსიკალურ სასწავლებლისა ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი, რომლის მოსვლის აზრი იყო შეეკრიბნა კახეთში საერო და საეკლესიო ხმების ნოტებზედ გადასაღებად. თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა, რომელთანაც დაბინავდა ბ. კლენოვსკი, წაიყვანა იგი რამდენსამე სოფელში, სადაც მისცა შემთხვევა მოესმინა საერო სიმღერები. ბ. კლენოვსკი სიამოვნებით ისმენდა სიმღერებს, მაგრამ გადაღებით კი ვერა გადაიღო რა, რადგანაც მომღერლები ვერ ასრულებდნენ მისს მოთხოვნილებას. ამ მდგომარეობაში იყო იმისი საქმე ექვსი დღე, ათს ივნისს ბ. კლენოვსკი მიწვეული იყო თავადის ი. ზ. სახლში, სადაც უმღერეს იმას კახური „გრძელი მრავალჟამიერი“ ქ. სოფიო ზარაფაშვილისამ და იმისმა დამ, ბარბარე სულხანიშვილისამ, რომელთაც ნასწავლი აქვთ ქართული ხმები თვისის მამისაგან პატიკო სულხანიშვილისაგან, რომელიც ითვლებოდა და ითვლება კახეთ-ქიზიყის პირველ მომღერალთა რიცხვში. ბანს ეუბნებოდა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ნიკოლაური, შემდეგ მრავალჯერ გამეორებისა ჯერ ერთად სამ ხმაზედ, მერე მარტო პირველი ხმისა, შეიგნო ზომა კილოსი, გადილო ნოტებზედ სამივე ხმა და იქვე თვითონ იმღერა ნოტებზედ გადაღებული პირველი და მეორე ხმები. ისე სისრულით იყო გადაღებული, ისე შეუცვლელი იყო კილო და ხასიათი სიმღერისა, ისე იყო აღნიშნული ყოველივე განსაკუთრებით თვისებანი ამ კილოსი, რომ ყველანი დიდად გაგვაკვირვა. რაკი საქმე ასე დატრიალდა, ვსთხოვეთ, ყოველ დღე ეშრომნა და რა სიმღერებიც ამ ორმა დამ იცოდნენ, გადაელო ნოტებზედ. ბ-ნი კლენოვსკი დიდის გულმოდგინებით შეუდგა მუშაობას და სამ დღეში გადილო ხსენებულ პირთაგან გარდა „გრძელი მრავალჟამიერისა“ შემდეგი სიმღერები: 1) „მუშური“, ის ხმა, როცა მუშა სვის გატანის შემდეგ ბრუნდება და როცა სვეზედ მიდის, ან ნამგალს ლესავს; 2) „მაცრული“; 3) „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. ეს ოთხივე სიმღერა ამ ორ დათ მამისაგან

უსწავლიათ; 4) „ორი ოქროს დიელა“; 5) „თეთრო ბატო“ და 6) „უფალო შეგვინყალე“. ეს უკანასკნელი სამი უსწავლიათ თავისის უფროსის ძმისაგან, რაკი ახლა სოფლად მუშაობა არის გაჩაღებული და სასურველს მომღერლებს ვერ მოვუყრიდით თავსა, ამიტომ ვარჩიეთ მოგვეწვია საეკლესიო გალობის მცოდნე მღვდელი კისისხევისა იოსებ ჩიკვაძე, რომელიც ახლა 78 წლის მოხუცია და რომელსაც უსწავლია გალობა ჯერ დავით გარეჯის მონასტერში და შემდეგ ნათლისმცემლის უდაბნოში, დაწყებული 1831 წლიდან 1837 წლამდის. დღესაც ამ პატივცემულ მოხუცს ხმა კარგად აქვს შენახული. იგი 14 წლისა მიუბარებიათ დავით გარეჯის მონასტერში, სადაც წინამძღვრად ყოფილა თეოფანე არხიმნდრიტი, გვარად მაჩაბელი. მონასტერში ყოფილა მუდამ ორი გუნდი მგალობელთა მღვდელმონაზონთა დიდის გერონტისა და პატარა გერონტის ლოტბარობით, გალობა ყოფილა კანანახით, აქედგან გადაუყვანიათ მამა იოსები ნათლისმცემლის უდაბნოში, სადაც წინამძღვრად ყოფილა არხიმანდრიტი სოფრონი, გვარად ერისთავი, რომელიც აღზრდილა გელათის მონასტერში და რომელსაც საუკეთესოდ სცოდნია გალობა. თვით არხიმანდრიტი ყოფილა მასწავლებელი იმ 23–26 მოსწავლისა, რომელნიც აქ ყოფილან მიბარებულნი; მამა იოსებს ჰყავს ძმა მედავითნე სოლომონი, რომელსაც გალობა თვისის ძმისაგან და სხვა მგალობელთაგან უსწავლია. ბანის მთქმელებად მოწვეულნი იყვნენ იგივე ნიკლაური, მღვდელი ნიკოლოზ ჯაჯანიძე და დიაკონი ვასილ მაისურაძე. იკრიბებოდნენ ბ-ნ შიო შიუკაშვილის სახლში, სადაც თვით ბ-ნი შიუკაშვილი და მისი მეუღლე დიდის გულმოდგინებით ხელს უწყობდნენ საქმეს. ესწრებოდნენ მღ. ივანე ხატიშვილი, მღ. ივანე მაისურაძე, მღ. ივანე ნარეკლიშვილი და მასწავლებელნი. გასაკვირველი იყო დაუღალავი მუშაობა მოხუცის მ. იოსებისა! დიდის სიამოვნებით ადევნებდა მოხუცი თვალს ბ-ნ კლენოვსკის მარჯვენასა და ისმენდა თითოეულ ხმას, როცა ბ-ნი კლენოვსკი ნოტებზედ გადაღებულ საგალობელს თვით იგალობებდა. განსაკუთრებით ბევრი დრო მოუწდა „მეუფეო ზეცათაო“-ს, „რომელი ქერაბიმთა“-ს და „ღირს არს ჭემმარიტად“-ს. ბეჯითობამ ყველაფერი დაბრკოლება სძლია და 20 ივნისს დასრულდა გადაღება ოქროპირის წირვის საგალობლებისა.

კახეთს რამდენჯერ სწვევია მსურველნი კახურის სიმღერების ნოტებზედ გადაღებისა, რამდენჯერ მოუყრიათ თავი მომღერლებს თელავში თავ. ნ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით, მაგრამ ვერც ერთს სიმღერა ნოტებზედ ისე არ აღუნიშნიათ, რომ მომღერალთაგან ნათქვამსა და დაწერილს შორის დიდი განსხვავება არა ყოფილიყოს. ყოველთვის ეს გარემოება, ვითომ და მცოდნე პირებს, ისე აუხსნიათ ჩვენთვის, რომ ქართული სიმღერა მუსიკალურ კანონებს არ ემორჩილებაო. დღეს ბ. კლენოვსკიმ დაგვარწმუნა თავისის ნამუშევრის ნაყოფით, რომ ქართული სიმღერა და გალობა სრულიად მუსიკალურს კანონებზედ არის აღმოცენებული და ყველანაირი ზომიერება მტკიცედ არის დაცული, ხოლო თავისებური ხასიათი აქვს და ეს თავისებურება მისი ღირსებაა და არა ნაკლულევანება. გამოდის, რომ თურმე თვით იმ მსურველთ არა ჰქონიათ ჯეროვანი მუსიკალური განათლება და გამოცდილება. თურმე ნუ იტყვიან, გერმანულ მუსიკალური განათლებიდან რუსულ მუსიკამდის და რუსულიდან ქართულამდის დიდი მანძილია და ვისაც ეს მანძილი არა აქვს განვლილი, იმას კახური სიმღერა-გალობანი არავითარი ჰარმონიის მქონედ არ მიაჩნია. პეტერბურგის ან სხვა კონსერვატორიიდან პირდაპირ სკუპის გაკეთება საქართველოსკენ არ შეძლებულა, თურმე გზა-გზა უნდა მოჰყვეს, თითოეული ადგილობრივი გალობა-სიმღერა შეისწავლოს და ამნაირად ჩამოვიდეს საქართველოში, უამისოდ ჩვენის სიმღერა-გალობისას ვერას გაიგებენ. ბ. კლენოვსკი რომ მუსიკალურად ღრმად განათლებულია, ამაში ჩვენ ყველანი, ვინც გარს ვეხვივნით, დარწმუნებულნი ვართ და რომ მკითხველიც ამაშივე დავარწმუნო, აქ მოვიყვან შემდეგ: ბ. კლენოვსკიმ თქვა, რომ ქართულის გალობა-სიმღერის ნაკლულევანება მარტო მეორე და მესამე ხმაშია და განსაკუთრებით უკანასკნელშიო. მოძახილსა და ბანს განსა-

კუთრებით დამოუკიდებელი ხასიათი არა აქვთ და ეს მომღერალ მგალობელთა ბრალი უნდა იყოს. მოძახილი ან დამოუკიდებლად მოქმედებს და ხან კი პირველს მისდევსო. ბანი კი მუდამ ეძებს პირველს და ამ ქებნაში ბევრს ტყუისო: მე მოძახილს და ბანს თავ-თავის ადგილს გავუჩინე, დამოუკიდებლად შევიქმნე და ამით მარტო ჰარმონია გაუკეთესდებო. ამას გარდა, მე მეოთხე ხმასაც მივემატებო და ნახავთ, რომ უკეთესობის მეტი არაფერი განსხვავება არ იქნებაო და სწორედ ის იქმნება, რაც უნდა იყოს ნამდვილადაო. ნიმუშიც დანერა „უფალო შეგვიწყალო“ ოთხ ხმაზედ და მართლა საუკეთესო რამ აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ პირველი ხმის შეუცვლელად ჩვენი სიმღერა-გალობანი ოთხ ხმაზედ იმღერ-იგალობებიან, რაც არაფერს არა სცვლის, წვრილმანებით ისევ ის არის, ხოლო უკეთესად ნათქვამი. ბ. კლენოვსკის შრომამ დაგვარწმუნა, რომ იგი ჩვენ, ქართველობისათვის ჯერ უბადლოა, ამიტომ ვისაც კი ხელი მიუწვდება, უნდა ყოველის ღონისძიებით ეცადოს, რაც შეიძლება სავსებით გადააღებინოს ქართული სიმღერა-გალობანი. 21-ს ტფილისის მიდის, იქიდან 23-ს საზღვარგარეთ გაემგზავრება, მაგრამ პირველი ენკენისთვიდგან ისევ ტფილისს დაბრუნდება. თუმცა დაგვირდა ენკენისთვეში რამდენიმე დღით მოსვლას, მაგრამ შეიძლება გარემოებამ ხელი არ შეუწყოს, და ვერ მოვიდეს, ამ შემთხვევაში უნდა მოხერხდეს, რომ იქ – ტფილისში, მივუყვანოთ მომღერლები. თუ კახეთმა ეს ვერ მოახერხა, თავის მიძინებულ მდგომარეობის გამო, ქართლმა და იმერეთმა არ უნდა დაკარგონ შემთხვევა და უნდა უკვდავყონ იქაური სიმღერა-გალობანი.

ბ. კლენოვსკი გადაღებულს წირვის გალობას შეიმუშავებს საზღვარგარეთიდგან დაბრუნებული და აპირებს გამოცემას ორნაირად: ერთ გამოცემას მხედრულად ექმნება მონერილი საგალობელი და მეორეს რუსულად. იგი დარწმუნებულია, რომ ქართულ ხმებს რუსეთის საუკეთესო მგალობელთა გუნდი იგალობებს. ქართული ხმები გაამდიდრებენ რუსულ საეკლესიო გალობასაო.

ბ. კლენოვსკის აზრით, საზოგადოდ, ჩვენს სასწავლებლებში გალობის სწავლება ისეა დაყენებული, რომ ამ წესით სწავლებას არა დროს ნაყოფიერი ბოლო არ ექმნება. ახლანდელის წესით სწავლების უფროსი ნაკლულევანება ის არის, რომ ახლად მოსწავლე ბავშვს გალობის სწავლებას ნოტებით აწყებინებენო. ნოტების სიმრავლე, მათი მრავალგვარი მნიშვნელობა სხვადასხვა ხაზზედ ბავშვის გონებისათვის მოულოდნელი მასალა არის. ვერც ერთი ბავშვი ვერ შეითვისებს ნოტებს და თუ დიდის ბეჯითების, მრავალგვარი წვლების შემდეგ შეითვისა, იცოდეთ, გონებით არა აქვს შეთვისებული, ყურითა აქვს. ამნაირად შეთვისებული ბავშვს მუსიკალურ მოსაზრებას არ უვითარებს. მარტო ყურითა სმენა არის ვარჯიშობაში და ეს უკანონო გზაა მუსიკალურად განათლებისათვისაო. ერთადერთი წესი პირველად ბავშვების სწავლებისა ციფრების წესია. ბავშვს გააცნობ შვიდ ნიშანს და შვიდი ნიშნით ბავშვი ადვილად მიხვდება გალობა-სიმღერის სწავლებას. ეს შვიდი ნიშანი პირდაპირ გონებაზედ მოქმედებენ და ბავშვის მუსიკალურს მოსაზრებას აძლევენ საზრდოსაო. როცა ბავშვი შეიგნებს შვიდი ნიშნით გალობა-სიმღერით სწავლებას, მაშინ შეიძლება გააცნონ ნოტებიო. თუ ამ გზით ასწავლით, იცოდეთ ყველანი ისევე მცოდნენი იქმნებიან გალობა-სიმღერისა, როგორც წერა-კითხვის სწავლის შემდეგაო. აქ მეტად მცირე მნიშვნელობა ექმნება ხმის ავ-კარგიანობას და იქნება, ვისაც ხმა სრულებით არ უვარგა, მისი მუსიკალური მოსაზრება უფრო განვითარებული იქმნას, ის უფრო მეტად განათლებულად ჩაითვალოს მუსიკალურადო. ეხლანდელი წესით სწავლება 5% ვერ იძლევა მუსიკალურად განათლებულობისას, მაშინ როდესაც შვიდი ნიშნის წესით სწავლებას 100% მოგვცემსო. შვიდი ნიშნით სწავლება გალობა-სიმღერისა შემოუღია საფრანგეთში გამოჩენილს პედაგოგს მგალობელს ჰამონ შევიეს. ამასაც თხუთმეტი წელი უომნია კომპოზიტორებთან, მანამ გაიმარჯვებდა და მთელს საფრანგეთში დამყარდებოდა დაწყებითი სწავლება შვიდი ნიშნითა.

მართლა და, ჩვენი სასულიერო და საერო სასწავლებლები მეტად მცირე ცოდნას აძლევენ გალობა-სიმღერისას. თუ როგორმე ბავშვს ან ხმის ორგანო აქვს დაზიანებული, ან სმენისა, ახლანდელის სისტემით სწავლება სრულიად გალობა-სიმღერის უფიცად სტოვებს ბავშვსა. ასე აღზრდილი ბავშვი მოკლებულია ერთს საუკეთესო საშუალებას თვისის სულის მღელვარებისა და მისწრაფების გამოხატვისას. მისი „ადამიანური“ ადამიანობა სრული არ არის და სხვა და სხვა.

გარდა ამისა, გალობა-სიმღერა, სხვათა შორის, ერთი სრული თავისებურების ნიშანია ხალხოსნობისა. ეს ის „სერია“, რომლითაც ერთი მოდგმა ხალხისა მეორისაგან განირჩევა; ეს ის სერია, რომელიც ბორნეოს მცხოვრებელს ბორნეოსაკენ უზამს ხოლმე პირს და სანდვიჩევის მცხოვრებელს სანდვიჩევისაკენ, რაც უნდა უკეთესი სიმღერა-გალობანი გაიგონ ლონდონში და პარიზში; ეს ის სერია, რომელიც ადამიანს მოიყვანს თავისდა უნებურად ალტაცებაში. ყველა ამ სერის თავისდა მიუხედავად, დადგება ხოლმე იმისთანა უკუღმართი დრო რომელსამე ხალხის ცხოვრებაში, როცა უძლეველნი თავისებანი მძლეთა-მძლე უკუღმართობისაგან იჩაგრებიან და იბლალვიან. ეს უკუღმართობაა მთავარი მიზეზი, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ზურგ შექცევით არის ჩვენს სიმღერა-გალობაზე და მაგიერად დღე და ღამ, დროზე და უდროვოდ გაიძახის – „ეს ოხერი ციება ძნელად მოსარჩენია“, ან კიდევ „ჭირიმე, შენი ჭირიმე, სულის ჭირიმე, გულის ჭირიმე, თავის ჭირიმე, მკლავის ჭირიმე“ და სხვადასხვა. აი, ამისთანა სიმღერები-ლა გვესმის შინ და გარედ ჩვენის მოზარდ თაობისაგან. რასაკვირველია, არ არის შორს ის დრო, როცა საყოველთაო სენად გარდაიქცევა და აღარც ერთი არ გვეყოლება ქართულის სიმღერა-გალობის მცოდნე. დღესაც სიმღერის მცოდნენი სანთლით საძებარნი არიან. მთელს კახეთში სულ ათი პირი აღარ იქნება, რომელთაც იცოდნენ კანონიერად ქართული სიმღერები. მაშ, დროა ყოველი ღონისძიება ვიხმართ, რომ ქართული სიმღერები უკვდავ-ყვით. ჩემის აზრით, ბ-ნ კლენოვსკის ნიჭით, რაც შეიძლება, მალე და სავსებით უნდა ვისარგებლოთ.

ი. [ილია ზარაფიშვილი]

206. კვალი, 1895, 23 ივლისი, №31, გვ. 1-3

ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე

შაბათს, ამ თვის რვას, ყოვლადსამღვდელოესმა ალექსანდრემ იდღესასწაულა შიო მღვიმის მონასტერს ბერობაში სამსახურის ორმოცდაათი წლის შესრულება. მარად მშვიდმა და თავმდაბალმა მეუფემ არ ისურვა აღნიშნული დღის გამოქვეყნება და ამის გამო, გაეშურა შიო მღვიმის მონასტერში წყნარათ, სიმდაბლით ღვთისათვის მადლობის გადასახდელათ ბერებსა და ნათესავთა შორის. რვა ივლისს წირვა შეასრულა არხიმანდრიტმა ლეონიდემ მონასტრის კრებულთან ერთათ. წირვის შემდეგ, სამადლობელი პარაკლისის დაწყებამდე, არხიმანდრიტმა ლეონიდემ მიმართა მოხუცებულ ბიძას შესაფერი სიტყვით, რომელიც დასტამბული იყო „ივერიაში“. შემდეგ პარაკლისის გადახდისა, თვით იუბილარი შეიმოსა სა მღვდელმთავრო მანტიით და კრებულთა ღმობიერი გალობით ტაძრიდან წარემართა იმ ალაგს, სადაც გადაეწყვიტა ბერებისათვის ახალი შენობის აგება. აქ აკურთხა ახლადგაჭრილი საფუძველი და თავადვე ინება ოთხსაგ კუთხით საძირკვლის ჩაყრა. შემდეგ საძირკვ-

ლის კურთხევისა პატივცემულმა ნ. ზ. ცხვედაძემ მიმართა ეპისკოპოსს გრძნობიერი სიტყვით, რომელშიაც მოკლეთ და მარტივათ გამოხატა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს შრომა-ღვანლის მნიშვნელობა სამშობლო ეკლესიისათვის. იუბილარს მოუვიდა მოლოცვის ტელეგრამები: საქართველოს ექსარქოსის არხიმ. ნიკოლოზისა, არხ. კესარიოსისა და მრავალთა სხვათაგან, ვისაც კი შემთხვევით გაეგო ეს გარემოება.

აქვე მოკლეთ მოგვყავს ბიოგრაფიული ცნობები მის ყოვლადუსამღვდელოესობაზე. ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე დღეს 69 წლის არის, მაგრამ ჯერ სრულიად ტანმთელი და შეხედულებით ჯანსაღია. იგი დაიბადა გორის მაზრაში 1826 წ. მამამისი, დავით ოქროპირიძე ერთი სოფლის მღვდელი იყო. უკანასკნელი ფრიად სათნო და გულკეთილი ადამიანი, ნამდვილი წარმომადგენელი იყო ჩვენებური უწინდელი მღვდლებისა. მ. დავითმა თავისი შვილი ჯერ სასულიერო სასწავლებელში მისცა სასწავლებლათ და შემდეგ სემინარიაში გადაიყვანა. ორსავე სასწავლებელში დიდ ნიჭსა და გონების დიდ სიფხიზლეს იჩენდა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ალექსანდრე. მან წარჩინებულ მონაფეთა რიცხვს შორის დაამთავრა სემინარია 1845 წ. ამავე წელს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა თავისი სურვილისამებრ ბერ-მონაზონი შეიქმნა. თფილისის ფერისცვალების მონასტერში შერიცხული 1846 წ. წელს უმაღლესი განათლების მისაღებათ, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ყაზანის აკადემიაში შევიდა. იქ ოთხი წელი დაჰყო და ვრცელი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო განათლება მიიღო. კურსი დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით 1850 წ. ამ წელს შემდეგ იწყება დაულალავი და სრული მოღვაწეობა ეპისკოპოზის ალექსანდრესი, მშობლიური ეკლესიის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლათ და გასაუმჯობესებლათ.

1851 წ. ალექსანდრე ბერი (ასე ეძახდნენ მას) თბილისის სემინარიაში დაინიშნა მასწავლებლათ. მაგრამ აქ დიდხანს არ დაუყვია, რადგან იმავე წელში აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობა მიიღო. აქ ის დიდი გულმოდგინებითა და დაულალავათ ზრუნავდა სასწავლებელსა და მოსწავლეებზე და ამ უკანასკნელთათვის ნივთიერ დახმარებასაც კი არ იშურებდა. ყირიმის ომმა მალე ხელიდან გამოაცალა სამზრუნველო და სატრფიალო სასწავლებელი. იგი დახურულ იქმნა და ალექსანდრე ბერი ქუთაისში გადმოიყვანეს სასულიერო სასწავლებელშივე ზედამხედველათ. ყირიმის ომი გათავდა თუ არა, ალექსანდრე მაშინვე დანიშნეს ილუმენათ აფხაზეთის კათედრაზე. ამავე ე. ი. 1855 წლის გასულს მან არხიმანდრიტობა მიიღო. აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე იმერეთში რომ გადმოიყვანეს, მისი ადგილი ყოვლად უსამღვდელოესობას ალექსანდრეს ჩაებარა. აფხაზეთში მყოფობის დროს დიდი ენერგიით ზრუნავდა და მოღვაწეობდა ეკლესიისა და სასწავლებლის სასარგებლოთ. ამ მიზნისათვის იგი არ იშურებდა არც ფიზიკურსა და არც მორალურ ძალღონესა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ნივთიერთათაც კი ეხმარებოდა ღარიბ მონაფეთ და თავის ხარჯით საყდრებს აახლებდა და აუმჯობესებდა. მაგ.: მან განაახლა საყდარი, რომელიც სოხუმიდან ორი ვერსის მანძილზე იმყოფებოდა და ილორის სასწავლებელს ფულით შემწეობა აღმოუჩინა.

1869 წ. 30 მაისს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ალექსანდრე ქართლის ეპარქიის ვიკარნათ და გორის ეპისკოპოსათ იქნა დანიშნული და მას აქეთ ამ თანამდებობაზე განუწყვეტილი იმყოფება. მხოლოდ 1882 წ. რამდენსამე ხანს დროებით განაგებდა გურიის ეპარქიას. 1869 წელში მას მიანდვეს თავმჯდომარეობა იმ კომისიისა, რომელსაც უნდა განეხილა და გაესწორებინა ქართული დაბადება. 1877-ში უმაღლესი მადლობა მიიღო, რადგან მან თავისი მოვალეობა ამ მხრით ზედმიწევნით შეასრულა. 1878-ში მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ მიიღო წოდება ნევრისა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სასულიერო კომიტეტისა. 1886 წლიდან გამგებელია დავით გარეჯელის უდაბნოსი. ამავე წელს, მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ 2100 მ. შეწირა შიო მღვიმის

უდაბნოს შესაკეთებლათ და გასაუმჯობესებლათ. ამას შემდეგ, შიო მღვიმის უდაბნო მონასტრით იქნა დამტკიცებული, მის გამგებლათ კი ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე დაინიშნა. ამ მრავალგვარის მოღვაწეობისათვის იგი ბევრნაირის ჯილდოთი არის შემკობილი.

მისი ყოვლადუსამღვდლოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე არა საშუალებას არ იშურებს, რათა მშობლიური ღვთისმსახურება მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრდეს და გამტკიცდეს. ამ მიზნით მისაღწევათ მან ხარჯი გაიღო, რათა აღდგენილ იქმნეს ქართლ-კახეთის საეკლესიო გალობის კილო; ძველი ქართული საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნები თავისსავე საფასით გამოსცა იმ აზრით, რომ უმაღლესათ მომზადებულნი და სათნო ღვთისმოსავენი ეყოლოს ჩვენს ეკლესიას. ამიტომ ყოვლადუსამღვდლოესობას სტიპენდიებიც კი აქვს თავის სახელობაზე სემინარიასა და აკადემიაში დანიშნული.

ასეთმა მისმა თავგანწირულმა შრომამ სამშობლო ეკლესიისათვის მოუხვეჭა მას ქართველ ხალხში დიდი სიყვარული. ვისაც კი ჰსმენია მისი წმინდა მოღვაწეობა, ყველანი მიიღტვიან მასთან, რომ დატკბენ მისი სათნოებით სავსე საუბრათ და გახდენ ბედნიერი მისი გაცნობისა. აი, ასეთი თავგანწირული სასულიერო მწყემსმთავრები ეჭირვება დღეს საქართველოს ეკლესიას, რომ თვით გაქსუებული ერი ეროვნულ სარწმუნოებაში ჩააგდოს და თვითცნობიერებაში მოიყვანოს.

207. კვალი, 1895, 27 ივლისი, №32, გვ.1-2.

საყურადღებოთ მეფსალმუნეთა და მგალობელთა

აღმოსავლეთის საქართველოს ეკლესიებში ხშირად შემინიშნავს, რომ წირვაზე მეფსალმუნენი ანუ მედავითნენი (არა ვხმარობ სახელწოდებას დიაჩოქისას და პრიჩეტნიკისას, რადგანაც იგინი ქართული სიტყვები არ არიან), როგორც დასავლეთ საქართველოში ეკლესიის მსახურთა უწოდებენ, ქერობინთა საგალობელს იწყებენ შენდეგი სიტყვებით: „რომელი ქერობინთა“,*) ხოლო კანონიერი ლოგიკური აზრი საგალობლისა მოითხოვს, რომ მრავლობით რიცხვზე უნდა წარმოითქვას: რომელნი ქერობინთა საიდუმლოდ ვემსგავსენით“. ამ საგალობლის პირველ ნახევარს ხშირათ აბოლოვებენ ეგრეთვე სიტყვებით: „და ვითარცა“, ხოლო აზრით ეს სიტყვა მიენერება მეორე ნახევარს საგალობლისას: „ვითარცა მეუფისა ყოველთასა“. კავშირი „და“ სრულიად უსაფუძვლოთ უერთდება სიტყვას „ვითარცა“-ს.***) ამავე საგალობელს შემდეგ განაგრძობენ ესრეთ: „და ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელსა“, ხოლო სიტყვა – „შემწყნარებელსა“ – უნდა უნდა წარმოითქვას მრავლობითათ: „შემწყნარებელთა“. სიტყვა „შემწყნარებელთა“ მიენერება, ამ შემთხვევაში, მლოცველთა ანუ მვედრებელთა, ამჟამათ მდგომარეთა ეკლესიაში, და არ მიენერება „მეუფესა“, რომელსაც მოენმუნენი სულიერათ შეიწყნარებენ ანუ მიიღებენ ღვთისმსახურების დროსა. სიტყვა „შემწყნარებელსა“ რუსულს ენაზედაც არის ხმარებული ამ საგალობელში, მრავლობითათ: „Яко да Царя всех поднимемъ“. მხოლობით რიცხვზე წარმოთქმული სიტყვა „შემწყნარებელსა“, ამ შემთხვევაში, სრულიად უაზროთ გამოდის საგალობელში გრამმატიკულის წესითაც, რადგანაც სიტყვა „მეუფისა“ ნათესაობით ბრუნვას შეადგენს, და „შემწყნარებელსა“ – მიცემითს ბრუნვასა. შემდეგ განაგრძობენ ამ საგალობელსა სრულიად შეცდომით: „ანგელოზთა ებრ უხილავად“. თანდებულსა „ებრ“ აშორებენ სიტყვას „ანგელოზთა“ და უერთებენ სიტყვას: „უხილავად“, რომლითაც სრულიად დაბნელდება უმთავრესი აზრი საგალობლისა.

ქართულს დაბეჭდილ კონდაკში შეცდომით არის შეტანილი ქერობინთა საგალობელში სიტყვა „შემწყნარებელსა“, მხოლოობითათ, უნდა იყოს მრავლობითათ „ შემწყნარებელთა“, ვითარცა ზემოთ მოვიხსენე.

მაშასადამე, მეორე ნახევარი საგალობლისა უნდა განიგრძნოს ესრეთ: „ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელთა, ანგელოზთაებრ უხილავად ძღუნით შემწირველთა ნესთასა“.

მრავალ ამგვარს შეცდომათა შენიშნავს მეცნიერი ლუთისმეტყველებისა და საეკლესიო ტიბიკონისა ქართულს ენაზე. მაგალითებრ, რაოდენ გზისმე მსმენია, რომ დიაკვანი იწყებს სამოციქულოს კითხვას ამ სახით: „ტიმოთელთა მიმართ, ანუ ტიტელთა მიმართ ეპისტოლე წმ. მოციქულისა პავლესი საკითხავი“. მეფსალმუნეს თავის უმეცრებით ჰგონია, რომ ვითარცა წარმოითქმება – „რომაელთა, ანუ ევრაელთა მიმართ ეპისტოლე“, იმავე სახით წარმოითქმებოდეს სახელწოდება სხვა ყოველთა ეპისტოლეთა. სრულიად არა აქუს ცნობა, ანუ შეგნება, რათამცა განარჩიოს საკუთარი სახელი – ტიმოთე, ანუ ტიტე, ერთის პირისა მოციქულის მონაფისა, რომაელთა ანუ კორინთელთა, ანუ ეფესელთა, ანუ ებრაელთა ერის, ანუ საზოგადოების სახელისგან. ანუ სხვა შემთხვევაში დაინწყებოდეს ერეთ: „ტიმოთეს მიმართ, ანუ ტიტეს მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა საკითხავი“. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ დაბეჭდილ საპარაკლისო წიგნში (книга молебных пений) შეცდომით არის დაბეჭდილი: „ტიმოთელთა მიმართ“. ჩვენს უმეცარ მედავითნეთა რაღა გზის არევა უნდა?!

ხოლო უკეთუ შევეხებით შინაარსს წაკითხულისას, უფრო საშინელის გამობის მომსმენი ვართ, მაგალითებრ: „რომელთა ეპისტოლესაგან 13 თ. 7 მუხ. ნაიკითხა ერთმა უმეცარმა დიაკვანმა თელავის მაზრის სოფელ შ. ესრეთ: „მისცემდით უკვე ყოველთა თანანადებსა: სახრაკოსა ხრუკი“. (ჩანს მზარეულობა ყოფილა მისი ხელობა, რომ ეკლესიაშიაც აგონდება მოხრაკვა).

აქედან დაინახავს განათლებული მკითხველი, რამდენათ მოუმზადებელნი არიან ჩვენი ეკლესიის მსახური, რომ სრულიად არ ესმისთ შინაარსი წაკითხულისა ანუ საგალობლისა საღმრთო და საეკლესიო წიგნებისა. ამისთვის, ნულარ გაგვიკვირდება, რომ ესრეთ განუვითარებელთა მეფსალმუნეთა ნაიკითხონ დაბადებაში: „მხეცნი აღყვავნეს მისნი (ისაია წინასწ. 7, 9) ატონ. დაბად.: „მხეცნი აღყვავნეს მისნი.“ ანუ სხვა ადგილიდან: „ნუ წინა დაუდებ ჩვილთა სწავლათ“ (იგავნი სოლომონისნი 23, თ. 13) ათონ. დაბ.: „ნუ განაყენებ ჩვილსა ყრმას სწავლასა“. სამწუხაროთ, ამგვარ შეცდომათა მრავალთა უმრავლესს შეხვდება გონიერი მკითხველი ქართულ „დაბადებაში“, დასტამბულს ტფილისში, 1884 წელსა.

ჩვენდა სამწუხაროთ, ესრეთია გონებითი განუვითარებლობა ქართლ-კახეთის საეკლესიო მსახურთა, რომელთა გალობა და კითხვა მრავალგზის მომისმენია ლუთისმსახურების დროსა.

ხოლო რაღცა შეეხება დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მსახურთა, ამისას ვერას მოგახსენებთ, რადგანაც მათ შორის არა მქონია შემთხვევა ცხოვრებისა. იქნება, მათ შორის ისეთი განვითარებულნიც იყვნენ, რომ საღმრთო წერილის განმარტებაც და დაბადების შედარებაც შეეძლოთ სხვადასხვა ენებზე, მაგრამ ვეჭვობ. ღმერთმან ინებოს, უკეთუ აღმოჩნდებიან ესრეთ განათლებულნი! სულით განვიხარებ მაშინ, ამისათვის, რომელ აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოს შვილნი ერთი დედის შობილნი ვართ, განუყრელათ ორი, მის ძუძუთგან აღზრდილნი. ამისათვის, შურით არ აღვიძვრი და არ ვიტყვი, ვითარ ჭაბუკმან წინაშე მდგომიან მოსესმან, ოდესცა იხილა ორი მოხუცებულნი – ელდად და მოდად, რაჟამს წინასწარმეტყველებდეს იგინი ბანაკსა თვისსა, გარეშე კარვისა წამებასა, და რქვა მოსეს: „უფალო, დააყენენ იგინი“. და რქვა მოსე: „ჰმეშურობა შენ ჩემდად? და ვინ მომცეს ყოველი ერი უფლისა წინასწარმეტყველად, რაჟამს მიჰსცეს უფალმან ხელი თვისი მასზედა“ (წიგნი რიცხვთა 11 თავ. 27, 28 მუხლნი).

ამ მოკლე შენიშვნიდან სცნობენ ყოველნი ქართველნი, რომელნიც მონატრე არიან ქართველთ ერის სულიერი განათლებისა, რამდენათ მიუცილებლათ საჭიროა გახსნა სადიაკვნო სასწავლებლისა, ვითარცა რუსეთს რაოდენიმე ეპარქიებში გაიხსნა, რათამცა ამ სასწავლებელში ღირსეულათ მოემზადებოდენ წმიდა ეკლესიის მსახურებისათვის შეგნებულნი, გონიერი კითხვითა და ტკბილი, სასიამოვნო გალობითა. უკანასკნელს ეპარქიალურს კრებაზე, აღმოსავლეთის საქართველოს სამღვდელთა ქ. ტფილისში მონოდებულს 1893 წელს, თუმცა აღძრულ იქმნა კითხვა ამ ყოვლად უსაჭიროეს საგანზე, მაგრამ სამწუხაროთ, ქართველმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ არა იცის რა აქამდის, თუ რით დაბოლოვდა მსჯელობა ამ საგანზე, ანუ რა მიმართულებას იღებს ეს საქმე.

დეკანოზი პეტრე კვანჭოშვილი (ილნობელი)

-
- *) ქერობინთა – ეს სიტყვა ასეა ხმარებული წმ. მამათაგან საქართველოს მართლმადიდებელის ეკლესიისა, რააცა ჩანს, სხვათა შორის, ქართულის უძველესის „დაბადებიდან“ ათონის ივერიის მონასტრისა.
 - **) როგორც საგალობელში: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ-გვილებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს“ – სრულიად უსაფუძვლოთ ხმარობენ კავშირს „და“-ს.

208. ივერია, 1895, 21 სექტემბერი, №202, გვ. 1

ახალი ამბავი

* * *

ბატონს რატილს განზრახვა აქვს, შეადგინოს ქართველ მომღერალთა რიგიანი გუნდი: ამ გუნდს უნდა გაენიოს დიდი მფარველობა და ხელმძღვანელობა, რომ ამით მომღერალნი წინებულად გამოიწურთნან და მოემზადნენ საგალობლათ. მომზადებისა და განვითარების შემდეგ ბ. რატილი გაემგზავრება რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში კონცერტების გასამართავად და აგრეთვე, დაესწრება სრულიად რუსეთის მაკარიის გამოფენას, რისთვისაც მან მიწვევა უკვე წინად მიიღო. ამიტომ ბ. რატილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ჰსურს მოიპოვოს ქართველთა მომღერალნი, რომელნიც სულითა და გულით მიეცემიან საქმეს და გამოიწურთნებიან აგრეთვე და მით საკმარისს სამსახურს აღმოუჩინენ ქართული სიმღერების აღორძინებას.

209. ივერია, 1895, 14 ოქტომბერი, №221, გვ. 1

იოსებ ივანეს ძე რატილი სთხოვს ყველა მსურველთ ახლავე შეატყობინონ მას მომღერალთ დასში შესვლის სურვილი; რეპეტიციები ამ კვირაში დაიწყება.
ადრესი: ვორონცოვის ქუჩა, №5.

იოსებ ივანეს ძე რატილი

* * *

მე შემთხვევით დავესწარი წირვაზე თფილისში კალოუზნის ეკლესიაში. წირვაზე ჩვეულებრივად გალობდენ თავადაზნაურობის შკოლის მოსწავლენი და ატკობდენ ყურთასმენას. მეზობელი მღვდელი კალოუზნის ეკლესიისა სამ თუმანზე მეტს აძლევს რუსულ მგალობლებს, რადგან თავისი სამრევლო შკოლის მოსწავლეთაგან ვერ შეუდგენიათ მგალობელთა გუნდი. კალოუზნის ეკლესიას იმდენი საშუალება არა აქვს, რომ მგალობელთა სასყიდელი მიეცეს. აი, ამისათვის მადლობის ღირსნი არიან მგალობლებიც და მათი ლოტბარიც, რომ ასე უსასყიდლოთ ემსახურებიან ეკლესიას და საზოგადოებას. განმეორებით გთხოვთ, ნება მომცეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობა გამოვუცხადო სათავადაზნაურო შკოლის მგალობელთა ლოტბარს და მგალობლებსაც. გთხოვთ, ამასთანავე, წარმოგზავნილი ფერგადაუვალი ბრინჯაოს გულსაკიდი პატარა ხატები კეთილმსახურის მეფის დავით აღმაშენებლისა, ოცდათხუთმეტი გადასცეთ მგალობელთა და ერთი ამისთანავე ხატი წმიდა ვერცხლისა ბ. ლოტბარ ჩხიკვაძეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხშირი შეხედვა მეფე დავით აღმაშენებლის სახისა უფრო განაღვიძებს მათში იმ სიყვარულს ქართული საეკლესიო გალობისა და კითხვისას, რომელიც ასე მიმკვდარებულია ჩვენი დროის სამღვდელთა და საზოგადოებაში.

დეკანოზი დ. ლამბაშიძე

ქართული გალობის გამო

ამ ექვსი წლის წინად, ღრმად პატივცემულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მიჰმართა ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორს ბ. იპოლიტოვ-ივანოვს, რომ მას ეკისრნა გადაეღო ქართული საეკლესიო საგალობლები ნოტებზე.

ბ-მა იპოლიტოვ-ივანოვმა ქართული გალობის მცოდნეთა დახმარებით შეასრულა ეს ფრიად სასარგებლო საქმე და ქართული გალობის დამზადებული ნოტები წარუდგინა უმართებულეს სინოდს განსახილველად და დასამტკიცებლად.

როგორც ნამდვილი წყაროებიდამ გავიგეთ, სინოდს გარდაუცია ეს ნოტები მოსკოვის სამუსიკო სკოლის და დირექტორის ბ. სმოლენსკისათვის და მოუთხოვნია აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს ნოტები საეკლესიო გალობის კანონებს და ამასაც წარუდგენია თავისი მოსაზრება, რომლითაც დიდად აქებს ქართულ საგალობელ კილოს. ამავე დროს უმართებულეს სინოდს საქართველოს ექსარხოსისათვის მოუთხოვნია აზრი ხსენებული ნოტების შესახებ.

ცხადია ყველასათვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სარწმუნოებისათვის საეკლესიო გალობას: მშვენიერი საეკლესიო გალობა აღამაღლებს კაცის გონებას, გასწმენდს მისს გულს და სასოებით განუსპეტაკებს გრძნობებს.

ჩვენს წინაპართ დიდად უყვარდათ ეკლესიაში სიარული, რათა მგალობელთა დასთა შორის იმათაც ელაღდნათ უფლისათვის.

ის საეკლესიო მშვენიერი გალობა, რომლითაც მაშინ ბრწყინავდა ქართული ეკლესია და იზიდავდა ხალხს, ეხლა განელებულია.

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული ეპისკოპოსის ალექსანდრეს თაოსნობით ბ. იპოლიტოვ-ივანოვისაგან გადაღებული ნოტები, ექსარხოსის განკარგულებით, მალე იქნება დაბეჭდილი და ამით საქართველოს ქრისტიანენი ეღირსებიან მოისმინონ ეკლესიაში მწყობრი და ჰარმონიული ძველებური საეკლესიო გალობა.

212. ივერია, 1895, 6 დეკემბერი, №264, გვ. 1

ახალი ამბავი

* * *

მისის მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ექსარხოსის ვლადიმირის განკარგულებით ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში იქმნება წირვა ქართულს ენაზე ხვალ, ხუთშაბათს, 7 დეკემბერს. წირვა დილის 9 საათზე დაიწყება და იგალობებს მონაფეთა გუნდი ბ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე დაწერილს ქართლ-კახურს (კარბელაანთ) კილოს, რათა ამრიგად შემოწმებულ იქმნას იგი გალობა (ოქროპირის წირვა) და შემდეგ დაიბეჭდოს. ამისთვის მოვინვევთ ქართველ საზოგადოებას მოისმინოს გალობა და თვისი მსჯავრი წარმოსთქვას – სწორედ არის დაწერილი ნოტებზე თუ არა.

213. ივერია, 1895, 8 დეკემბერი, №265, გვ. 2

როგორც გამოცხადებული იყო „ივერია“-ში (№ 264), 7 დეკემბერს, ქართულს ენაზე შესრულებულ იქმნა ოქროპირის წირვა, სასულიერო სემინარიის ეკლესიაში; იგალობეს ქართლ-კახური (კარბელაანთ) კილო, ნოტებზე დაწერილი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ 1884 წ. გალობა-წირვა მოისმინეს: საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა, ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, სემინარიის რექტორმა სერაფიმმა, ინსპექტორმა მღვდელმონაზონმა გერმოგენმა, არხიმანდრიტმა ნიკოლოზმა, დეკანოზებმა: ელიევმა, პ. ყონჩუევმა და მრავალთა მღვდელთა; საეროთა შორის ჩვენ შევნიშნეთ მრავალნი მასწავლებელნი და ქალნი: ბ. ბ. იოსელიანი, მთვარელიშვილი, რატიშვილი, ქორიძე, საძაგელოვი, სარაჯევი და სხ. წირვის გათავებისას შევნიშნეთ საზოგადოებაში კმაყოფილება მოსმენილის გალობისა გამო. ექსარხოსმა რამდენსამე პირს უბრძანა – 1 იანვრამდე თქვენი აზრი მაცნობეთ ამ მოსმენილ გალობაზედაო. გამოსვლის დროს, ეგზარხოსმა ამბიონიდან ჰკითხა დამსწრე საზოგადოებასა: „მართლმადიდებელნი ქრისტიანენო! მოგნონთ დღეს მოსმენილი გალობა, თუ არა? თქვენი აზრი საჭიროა ვიცოდე, რადგან ეგ გალობა, მოწონების შემდეგ, უნდა დაიბეჭდოს და დარიგდეს საქართველოს ეკლესიებში სახმარებლად“. საზოგადოებამ მოახსენა მოწონება და სთხოვა მალე დაიბეჭდოს.

**დამსწრენი: მღ. პ. კარბელოვი,
მღ. ა. მოლოდინოვი**

ქართლ-კახეთის გალობის კილო, გადაღებული ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვისაგან

ამ თვის 7-ს თფ. სასულიერო სემინარიის ეკლესიაში, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, ქართული წირვა იყო დანიშნული. ამ წირვაზე უნდა ეგალობნათ ქართულათ ოქროპირის წირვის საგალობლები, რომლებიც გადმოიღო ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვმა.

როგორც მოგეხსენებათ, ყოვლადუსამღვდელო ეპისკოპოზმა ალექსანდრემ განიზრახა, გადაეღებინებია თავისი ხარჯით ქართული საეკლესიო საგალობლები ნოტებზე. ეს საქმე იკისრა იპოლიტოვ-ივანოვმა იმ პირობით, რომ თუ ის რიგიანათ აღასრულებდა ამ მინდობილებას და კონსერვატორიაც მოიწონებდა მის მიერ გადაღებულ საგალობლებს, მას უნდა მიეღო ყოვლადუსამღვდელო ალექსანდრესაგან ორასი თუმანი. ამ ფულიდან მან ორმოცდაათი თუმანი კიდევ მიიღო წინდანინ.

იპოლიტოვი შეუდგა საქმეს და მღვდლის მ. კარბელაშვილისა და ზოგიერთი სხვების დახმარებით, გადმოიღო ქართული საეკლესიო საგალობლები. მაგრამ როცა შეიმუშავა თავისი ნოტები, მის ნაცვლათ, რომ კონსერვატორიისთვის წარედგინა განსახილველათ, პირდაპირ უწმინდეს სინოდში წარადგინა. უწმ. სინოდს გაუგზავნია ეს ნოტები ცნობილი მოსკოვის პროფესორის ტანეევისათვის და მოუთხოვია მისი აზრი. პროფესორს მოუწონებია და ძლიერ უქია ეს საგალობლები. უწმ. სინოდს მაინც კიდევ აუღია და საქართველოს ექსარხოსისთვის გამოუგზავნია და მისი აზრის შეტყობა უსურვებია.

მისმა მალაღყოვლადუსამღვდელოესობამ, თავის მხრით, მოახდინა განკარგულება, რათა 7-ს ამ თვეს თფ. სემინარიაში აღესრულებიათ ქართულ ენაზე წირვა და ეგალობნათ ახლათ გადაღებული ნოტებით. წინა დღით ეს ამბავი გამოცხადებული იყო გაზ. „ივერია“-ში ქართველი საზოგადოების საყურადღებოთ.

სამწუხაროთ, წირვა საქმის დღეს იყო დანიშნული და ისიც ძრიელად, ასე რომ, რასაკვირველია, ბევრნი ვერ დაესწრენ.

წირვა აღასრულა მღვდელმა მ. ბერძენიშვილმა. ახალ ნოტებით გალობდნ ხუთი, თუ ექვსი სემინარიის შეგირდი, მამა კარბელაშვილის ლოტბარობით. ჩვენის აზრით, ძრიელად კარგი იქნებოდა, 1) რომ მოხსენებული ნოტებით გალობა მიენდოთ ისეთ მგალობლებისათვის, რომელნიც უფრო დახელოვნებულნი არიან ნოტების ცოდნაში, ვიდრე სემინარიის შეგირდები; 2) წირვა დაენიშნათ უქმე დღეს, რათა ყველას შეძლებოდა დასწრება, ვინც კი ისურვებდა; 3) საჭირო იყო ამასთანავე ამ და ფრიად საყურადღებო საქმის გადასაწყვეტათ, მოეწვიათ ყველა ჩვენი ეპარქიებიდან თითო-ოროლა საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნე პირნი და იმათი აზრიც მოესმინათ.

მაინც კიდევ, ახლად გადაღებული ქართული საეკლესიო გალობის დამსწრე საზოგადოებამ სიამოვნებით მოისმინა და სასურველია, იპოლიტოვის მიერ შედგენილი ნოტები დასტამბულ იქმნენ.

გ. წყალტუბელი [გიორგი იოსელიანი]

* * *

ახლად გამოვიდა და იყიდება „ქართული გალობა, ლიტურგია იოანე ოქროპირისა. მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის“, გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ. გამომცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარდიაკონის რაჭდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გამომცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. გამომცემა მ. შარაძისა და ამხან. (ე. კერესელიძისა, ვ. გძელიძისა და ს. ლოსაბერიძისა). პარტიტურა №1.

ნიგნში მოთავსებულია ხუთნაირი „ისოლლა“, „ღირს არსი“ მღვდლისა და მღვდელმთავრისა, „ტონ დესპოტინ“, „უღზინე“, „იხარებს სული შენი“, „მღვდელთა ხარ ბრწყინვალე“, „აკურთხევს სული ჩემი“, „მხოლოდშობილი“, ცხრა ნეტარება, „მოვედით თაყვანის ვსცეთ“ მღვდლისა და მღვდელმთავრისა, ოთხნაირი, „მრავალჟამიერ“ სამნაირი, „უფალო აცხოვნე“, „წმიდაო ღმერთო“ ოთხნაირი, „და სულისაცა“ და „დიდება შენდა“ სამ-სამნაირი, „უფალო შეგვიწყალენ“ თხუთმეტნაირი, „რიმელი ქერაბიმა“ მღვდელმთავრისა, მღვდლსა და ჭრელი ხუთნაირი, „მეუფისა ყოველთასა“ ოთხნაირი, „მამასა და ძესა“ ორნაირი, „მრწამსი“, „წყალობა მშვიდობა“, „გვაქვს უფლისა მიმართ“, „ღირს არს და მართალ“ ორნაირი, „წმიდაო, წმიდაო“, „შენ გიგალობთ“ ორნაირი, „ყოველთა და ყოველისათვის“, „მამაო ჩვენო“ ორნაირი, „ერთ არს წმიდა“, „კურთხეულ არს მომავალი“, „აქებდით“, კიდევ „აქებდით“ (აღილო არწივი), „მზისა შემოქმედი“, „აღილუია“ სამნაირი, „ნათელი ჭეშმარიტი“ ორნაირი, „ალავსე პირი ჩემი“ ორნაირი, „იყავნ სახელი“ ორნაირი, „უკეთილმსახურესი“ ორნაირი, „პირისა შენისა მადლი“.

ნიგნი 174 გვერდია, დიდი ფორმატისა და ღირს ერთ მანეთად. იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ნიგნის მაღაზიაში და გამომცემელთა სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, №21. რამდენიმე დღის შემდეგ გამოვა ცალფა ხმებიც.

სამაგალითო შრომა

ჩვენმა საზოგადოებამ იცის უკვე, რომ კარგა ხანია, რაც ბ. ფილიმონ ქორიძე შეუდგა ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. თავის დროზე, ქართველი საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა სიხარულით მიეგება ამ განზრახვას, თუმცა აქა-იქ გაიგონებდით „თომა ურწმუნოთა“ ლაპარაკსაც, რომელნიც ეჭვის თვალთ უყურებდნენ ამ საქმის აღსრულების შეძლებას. ამჟამად, თუ დღემდისაც არიან კიდევ „თომანი“, უნდა გაქარწყლდეს სრულიად ყოველივე ეჭვი, რადგანაც საქმე უკვე გაკეთებულია.

სამაგალითო ენერგიით და საქმისადმი გულწრფელის სიყვარულით ბ. ფილ. ქორიძემ სძლია ყოველგვარი დაბრკოლება და დაავგირგვინა საშვილიშვილო საქმე, ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი და ჩვენის ეროვნულის გრძნობისთვის სასიამოვნო, საამაყო. ჩვენ ვინახულეთ ის დიდი ფოლიანტები ნოტებისა, სადაც ბ. ქორიძეს ევროპიულის ნიშნებით, საყოველთაო გასაგებად, შეუგროვებია დიდებული განძი, ჩვენის ერის უცილობელი საკუთრება. ბევრისგან გაგვიგონია, ქართველებს არა აქვთო სავსებით საეკლესიო გალობა. ეს ტყუი-

ლია: არ არის არც ერთ ენაზე ისეთი საგალობელი, რომელიც არ ჰქონდეს ქართველთ, ყოველ საეკლესიო წესს აქვს საკუთარი საგალობელი. სწორედ საკვირველია, რომ ხალხს ასე წმინდად, ასე სავსებით ზეპირად შემოუნახავს ამდენ ხანს ათასი, ათი-ათასი სხვადასხვა ჰანგი. საყურადღებო არის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქართულს გალობას სრულიად განსხვავებული, სრულიად თავისებური ხასიათი აქვს, რაც საუცხოვო ჰარმონიასთან ერთად, ქართულ გალობას მეტად საინტერესოდ ხდის მთელის ევროპის გალობის ისტორიაში.

ეს-ეს არის დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი ნაწილი ბ. ქორიძის სამაგალითო შრომისა. ეს არის მხოლოდ ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის; ეს არის მხოლოდ მეოცედი ნაწილი ბ. ქორიძის მიერ გადაღებული გალობისა. გადაჰხედეთ დღევანდელ ნომერშივე დასტამბულს განცხადებას და თქვენ ცხადად დაინახავთ, თუ როგორ სავსებით არის სალიტურგიო გალობა შეკრებილი, რა მდიდარია თითო საგალობელი ნომრების რაოდენობით! მაგალითად, „უფალო შეგვიწყალებ“ სულ 16 ნომერია, „რომელი ქერაბიმთა“ – ხუთი, „წმიდაო ღმერთო“ – ხუთი და სხვა. ამ ნაწილში მოთავსებული გალობა გადმოცემულია გურია-იმერეთის საუკეთესო მაგალობელთაგან, რაც თავდება, რომ გალობა ნამდვილად და ისე მშვენივრად არის, როგორც იმერეთ-გურიაშია დარჩენილი. ხოლო მას, რომ ბ. ქორიძეს ნამდვილად და სწორედ გადაუღია ნოტებზე გალობა, მოწმობენ კარგი მცოდნენი, რომელთაც მოუსმენიათ ამ ნოტებით გალობა.

ამრიგად, დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს ქართული გალობის ნოტები! ამიერიდამ ადგილი არა აქვს შიშს, რომ ჩვენი ერის მდიდარი და შესანიშნავი განძი დაგველუპება, დაგვეკარგებაო! გავა რამდენიმე წელიწადი და ჩვენს ქვეყანაში გამეფდება ნამდვილი და მწყობრი ქართული გალობა, გაგვიჩნდება მაგაობელთა დასები და სხვა.

ხშირად გაგვიგონია, ამერ-იმერის საეკლესიო გალობის შუა, დიდი განსხვავება არისო. სპეციალისტების საქმეა, გამოსთქვან ამის შესახებ აზრი, ჩვენ კი გვსურს ორიოდ სიტყვა ვთქვათ. ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი გადაჭარბებულია: ქართლ-კახეთისა და გურია-იმერეთის გალობის ძირითადი კილო ერთი და იგივეა სრულიად; მხოლოდ იმერის კილო გამშვენიერებულია, განვითარებულია თვით ამ ძირითადი კილოს, თვით გალობის ხასიათის მიხედვით (самобытно).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სამღვდლოება ყოველს ღონისძიებას იხმარს და მთელს საქართველოს ეკლესიებში გამოიწერს ამ ნოტებს, რათა საეკლესიო გალობის საქმე კარგსა და მკვიდრს ნიადაგზე დაამყაროს სამუდამოდ.

ახლად გამოცემულ პარტიტურის გავრცელებას ძლიერ აადვილებს აგრეთვე მეტისმეტი სიიაფე. მოზრდილი ტომი ნოტებისა (174 გვერდი დიდის ფორმატისა) ღირს სულ ერთ მანეთად! ჩვენ არ გვინახავს ასე იაფად გამოცემული ნოტები საეკლესიო გალობისა რუსულს ენაზედაც: მოსკოვში დასტამბული მდიდარი ფირმის იურგენსონისაგან «Литургия св. Иоанна Златоуста, соч. Чайковскаго» (63 გვერდი შუათანა ფორმატისა) ღირს ორ მანეთად. სჩანს, „ქართულ გალობის“ გამომცემელთაც შეუგნიათ კარგად, რა ღირს სამსახურს უწევენ ერს ამ შრომის მიმღებნი.

როგორც ვსთქვით, ახლად გამოცემული ნაწილი მხოლოდ მეოცედია იმ შრომისა, რომელიც ბ. ქორიძემ შეასრულა. ამ ნაწილის გაყიდვაზეა დამოკიდებული დანარჩენი ნაწილების დაბეჭდვა-გამოცემაც და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი საზოგადოება გულმხურვალედ მიეგება ახალ გამოცემას, ეცდება მისს გავრცელებას, შემოწირულებასაც არ მოაკლებს და სხვა.

ვისურვოთ, რომ ამ შესანიშნავი საქმის გამძღოლთ არ მოაკლდებოდეს ის ენერგია, ის სიყვარული, რომელიც ასულდგმულებდა მათ დღემდის.

217. კვალი, 1895, 23 დეკემბერი, №53, გვ. 17

* * *

მხიარულებით აღვნიშნავთ, რომ ამ წელს დაედგა მტკიცე საფუძველი ჩვენი საეკლესიო გალობის აღდგენას. ეს დიდი ღვაწლი საკუთრათ მიენერება ჩვენს თავგანწირულს მოღვაწეს ფილიმონ ქორიძეს, რომელიც ეს რამდენიმე წელია შრომობს დასავლეთ იმერეთში დარჩენილის ძველი, ნამდვილი საეკლესიო გალობის შეკრებას და ნოტებზე გადაღებას. ახლა მას იმერეთის სამღვდელოებისა და საზოგადოების საფასით გამოუცია პარტიტურა პირველი ამა გალობისა, რომელშიაც მოქცეულია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელმთავრის წირვის საგალობლები სრულათ. მადლობის ღირსნი არიან, აგრეთვე, მ. შარაძე, ე. კერესელიძე, ვ. გძელიძე და ს. ლოსობერიძე, რომელთა სტამბის გამოცემით ერთგულათ შეუწყვიათ ხელი ფ. ქორიძისათვის ამ დიდებული საქმის ასასრულებლათ. დღეიდან, იმედია, ყოველი მღვდელი საქართველოს საეგზარხოსოსი, აგრეთვე ჩვენი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსები ეპარხიებისა და მრევლების დახმარებით შეადგენენ ქართულ მგალობელთა გუნდებს და განაშენებენ კვლავ ძველი გალობით ქართული წირვის წესებს, სადიდებლათ და ასაღორძინებლათ საქართველოს ერისა.

218. მოამბე, 1895, დეკემბერი, №12, გვ. 153-154

შინაური მიმოხილვა

* * *

[...]

ამ ქრისტეშობისთვეში განხორციელდა ერთი, დიდი ხნის დაწყებული საშვილიშვილო საქმე. ჩვენ ვამბობთ ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. ეს საქმე იკისრა ერთის მხრით ყოვლადსამღვდელომ ალექსანდრე ეპისკოპოსმა, რომელმაც, ათიოდე წელიწადია მას აქეთ, ფასი გამოიღო და მიანდო ცნობილს პროფესორს მუსიკისას ბ. იპოლიტოვ-ივანოვს, ქართლ-კახეთის კილოს საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება. ბ. იპოლიტოვ-ივანოვს ეს საქმე შეუსრულებია და 7-ს ამა თვეს საქართველოს ექსარხოსმა ტფილისის სემინარიის ეკლესიაში დანიშნა ქართული წირვა, რომელსაც დაესწრო თვით ექსარხოსი, ალექსანდრე ეპისკოპოსი, მრავალი სამღვდელოება და ქართველი საზოგადოება. შეასრულეს ოქროპირის წირვა ქართულის გალობით. წირვა რომ დასრულდა, ექსარხოსმა მიჰმართა საზოგადოებას და გამოუცხადა, თქვენი აზრი უნდა მაცნობოთ ამ გალობის შესახებ, რადგან მოწონების შემდეგ ეს გალობა უნდა დაიბეჭდოს და ეკლესიებს უნდა დაურიგდეს სახმარებლად.

შემდეგ ამისა, დაიბეჭდა კიდევ ქართული გალობა გურია-იმერეთის კილოსი (ლიტურგია იოანე ოქროპირისა), რომელიც გადაიღო ნოტებზე ბ. ფილიმონ ქორიძემ გურია-იმერეთის საუკეთესო მგალობელთა გადმოცემით. რამდენადაც ვიცით, ბ. ქორიძეს ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვის. მის მიერ ნოტებზე გადაღებული გალობა მხოლოდ მეოცედი დაუბეჭდიათ ჯერჯერობით. დაბეჭდვა ამ ნოტებისა იკისრა მ. შარაძის და ამხ. სტამბამ. ამ გამომცემელთა ცნობილი მხნეობა და საქმის ერთგულობა იმედს გვაძლევს, რომ დანარჩენ ნაწილებსაც ბ. ქორიძის შრომისას მალე ვნახავთ დაბეჭდილებს.

ამ რიგად, შეგვიძლიან ჩვენი სულიერი განძი, რომელიც გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა, გადავსცეთ შეუბღალავად ჩვენს შთამომავლობას. ეს შეგვაძლებინა ჩვენ პატივცემულის ალექსანდრე ეპისკოპოსის უხვმა შეწირულობამ და ბ. ფილიმონ ქორიძის დაულავამა შრომამ.

რასაკვირველია, გალობის ნოტებზე გადაღებით და არც ნოტების დაბეჭდვით ეს საქმე არ ჩაითვლება დამთავრებულად და ჩვენი მოვალეობა არ იქნება შესრულებული. საჭიროა კიდევ, რომ დაბეჭდილი ნოტები გავრცელდეს, გალობა ისწავლებოდეს ჩვენს სასწავლებლებში და შემოღებულ იქმნას ყველა ეკლესიაში. ყოველივე ეს ვალად ადევს ჩვენს სამღვდელოებას. იმედი გვაქვს, რომ ამერ-იმერი სამღვდელოება ერთგულად შეასრულებს ამ მოვალეობას.

[...]

1896

219. კვალი, 1896, 14 იანვარი, №3, გვ. 35

სხვადასხვა ამბები

დღეს, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღეობას სიონის ტაძარში იქნება ძველი ქართული საეკლესიო გალობა. უეჭველია, ქართველი საზოგადოება სიხარულით მიეგებება ამ ამბავს და ისარგებლებს იშვიათ შემთხვევით, რომ მოისმინოს ნამდვილ ქართულ კილოზე ქართული წირვა.

220. მწყემსი, 1896, 15 იანვარი, №1, გვ. 2

ქართული საეკლესიო გალობა

ჩვენ მივიღეთ დაბეჭდილი ქართული გალობა, ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის, გადაღებული ფილიმონ ქორიძისაგან. ეს ნოტები დაბეჭდილია შარაძის სტამბაში და გამოცემულია მ. შარაძისა და ამხანაგობისაგან.

მადლობა ღმერთს! 1860 წელს აქეთ არსებობდა კომიტეტი ქართული გალობის აღდგენისა, რომლის წევრთა ნამსახურებითი სიები, 45 წლის განმავლობაში, შემკობილი და გამშვენებული იყო ამისთანა კომიტეტის წევრების ჩინებული ნოდებით, მაგრამ ქართული გალობის საქმეს ზარალის მეტი არა მისცემია რა. გაუქმდა კომიტეტი, რომლის იმედით ასე იყო ყველა დატყუებული. ცოტა ხნის განმავლობაში, იჩინა თავი დაბეჭდილმა მშვენიერმა ქართულმა გალობამ. ნოტის მცოდნე პირები დღეს ჩვენში ბევრნი არიან და სადაც შინჯეს ამ ახალ დაბეჭდილ ნოტებზედ გალობა, მშვენიერად გამოვიდა და სრული იმედია, რომ ყველა ეკლესია მოიპოვებს ამ ძვირფას განძს თავისს საკუთრებად.

კვირიდან კვირამდე

კვირას, იანვრის 14-ს, ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში ქართველობამ ბლომათ მოიყარა თავი. გამოცხადებული იყო – წირვა ქართულ ენაზე იქნებაო. ყველა მიისწრაფოდა სიონისკენ, რათა სასოებით მოესმინა სამშობლო ენაზე წირვა თავის წარსულით გაბრწყინებულ ტაძარში... სასიამოვნო იყო ჩვენი წყნარი და მომხიბლველი გალობის მოსმენა. ურწმუნოსაც კი ჩაუნერგავდა ღრმით გულში სასოებას... შვენიერი სიტყვა მღვდელმთავრისა სასიხარულოთ დარჩა ყველა ქართველს... წირვაზე გალობდნენ ბ. ქორიძის და ჩვენი სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეთა გუნდნი. ჩვენი მოწაფეთა გუნდის გალობა მეტათ მწყობრი და ხმაშენყობილი იყო, გეგონებოდათ, ციურ ხმებს ისმენთო. ბ. ქორიძის გუნდს ეტყობოდა მოუმზადებლობა. არც გასაკვირველია ეს, გუნდის საქმე ჯერჯერობით მოწყობილი არ არის. ბ. ფილიმონ ქორიძე ცნობილია, როგორც კარგი გადამღები ნოტებზე, როგორც საეკლესიო, ისე საერო გალობისა, აგრეთვე, როგორც ხელოვანი ლოტბარი. ამ ბოლო ხანებში მან გამოსცა თავის დიადი შრომის პირველი ნაწილი „ქართული გალობა“. ამგვარათ გამოცემული წიგნი სხვაგან და სხვა დროს, იქნება, ხუთ მანეთ ნაკლებ არც კი გაყიდულიყო, აქ კი გამომცემელს ერთ მანეთათ დაუფასებია, იმ იმედით, რომ უფრო მეტი გავრცელებულიყო. ჩვენ მივაქციეთ ყურადღება ამ გამოცემას და გვსურს შევიძინოთ!. შემოსავალზე კი დამოკიდებულია ხსენებული შრომის გაგრძელება და დამთავრება. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს შეადგენს ჩვენთვის დაუფასებელ განძს. ამას გარდა, საჭიროა დავებმართო ბ. ქორიძეს სამუდამო გუნდის დაარსებაში. როგორც აქაურ მკვიდრს, მას კარგათ ექნება შეგნებული ჩვენი ხალხის სიმღერა-გალობის საიდუმლოება და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ ჩვენ, ესრეთ წოდებულ, პიონერებს უნდა ყოველივე დახმარება აღმოუჩინოთ, არ გაუუქარწყლოთ იმედი, რომელიც მათ ასულდგმულებს. შევხედოთ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებს. ყოველგან არსებობს გუნდი მომღერალთა და მგალობელთა. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ სიმღერა-გალობა ერთ უმთავრეს ძალთაგანია ეროვნების აღორძინების საქმეში. ეს ფაქტორი დიდი ხანია აღსარებულია, როგორც ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ყველგან, სადაც ხალხი ცდილობს თავის ეროვნული იერფერი შეირჩინოს. ჩვენ კი, ამ მხრით, თითქმის არაფერი გაგვიკეთებია. ვერავინ იტყვის, რომ კარგი ხმის მქონენი არა გვყვანდეს. ვის არ მოუსმენია ჩვენს ოჯახებში ისე უცებ, ხელათ შემდგარი გუნდის სიმღერა და ვინ არ დამტკბარა ჩვენი სახალხო ჰანგებით? ჩეხეთში, მაგალითათ, აი, როგორ არის მოწყობილი ეს საქმე: ჩეხეთის უმთავრეს ქალაქში – პრაგაში – არსებობს საზოგადოება, სახელდობრ „ჰლაჰოლ“ (სიტყვა), რომელიც ცენტრალურ დანესებულებათ ითვლება. ეს საზოგადოება განაგებს სასიმღერო და საგალობო საქმეს. თითქმის ყოველი ჩეხელი მამულიშვილი, ზნეობრივ მოვალეობათ თვლის, წევრათ ჩაენეროს ამ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას დევიზათ ამოურჩევია შემდეგი სიტყვები: „პენიემ კ სერდცუ, სერდცემ კ ვლასტი“, ე. ი. სიმღერა – გულს, გული – სამშობლოს. ამ ცენტრალურ საზოგადოებას მრავალი განყოფილება აქვს დაარსებული ჩეხეთის შესამჩნევ ქალაქ-დაბებში. ეს წრეები მართვენ კონცერტებს, სტამბვენ სახალხო სიმღერების კრებულებს და სხვ. ერთი სიტყვით ცდილობენ შეაყვარონ თავიანთ ხალხს საერო ხმები. ყოველ ჩეხელს კარგათ აქვს შეგნებული ამ დიადი საქმის მნიშვნელობა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, ამგვარათ მოწყობილი საქმე, უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს და გააძლიეროს. ასე ესმის ჩეხელ საზოგადოებას სიმღერის მნიშვნელობა საერო საქმეში. ჩვენ კი აქამდინაც ვერ შეგვიგნია. დროა მგონი, ჩვენმა მეთაურმა განათლებულმა წრემ მიაქციოს სრული თავისი ყურადღება და ჩაუფიქრდეს ამ მრავალგვარათ მნიშვნელოვან საგანს. ერთი საზოგადო სარგებელი კიდევ მოგვემატება!

222. ივერია, 1896, 30 იანვარი, №23, გვ. 1

განვიზრახე შევადგინო რამდენიმე გუნდი ქართული გალობისა და ყველა კუთხის საქართველოს სიმღერებისა, რომლის ჩქარა განსახორციელებლად ვასწავლი ნოტებს, თეორიას მუსიკისას, ლოტაბარობას და სურვილისამებრ, ევროპიულ სიმღერებსაც, იტალიანურად, რუსულად და ფრანგულად. მსურველი ამ სასიამოვნო საგნის სწავლისა, იმედია, ბევრი აღმოჩნდება, რომელთაც ვსთხოვ მოზრდანიდნენ მოსალაპარაკებლად „დგორიანსკი ნომრები“, ცხრა საათიდან თორმეტამდის – დილით და ოთხი საათიდან ექვსამდინ – ნაშუადღეს, თუ არა და, თვითონ შეიკრიბნენ სადაც სურთ და იქ დამიძახონ მოსალაპარაკებლად.

არტისტი მომღერალი ფილიმონ ქორიძე

223. ივერია, 1896, 7 თებერვალი, №28, გვ. 3

ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან)

პეტერბურგის ჟურნალში „რუსკ. მუზიკ. გაზ“-ის წარსულ წლის უკანასკნელ ნომერში, დასტამბულია ორი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ქართულ სიმღერების შესახებ. ერთი შენიშვნა შეეხება ბ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ შარშან გამოცემულ წიგნაკს. ეს გამოცემა ჩვენ უკვე გავაცანით შარშან ჩვენს მკითხველებს და ზემოხსენებულ ჟურნალის ბიბლიოგრაფიულს შენიშვნაში ახალი არა არის რა. მეორე შენიშვნა შეეხება ბ. ქრ. გროზდოვის მიერ გამოცემულს წიგნს „მეგრული ხალხური სიმღერა“. ბ. გროზდოვს ნოტებზე გადაულია 18 მეგრული სიმღერა სიტყვებით და რუსულის თარგმანით. წინასწიტიყვაობაში გადამღებელი ამბობს, რომ შემდეგ გამოსცემს კიდევ მეგრულს უსიტყვო სასიმღერებს, რომელნიც უფრო საყურადღებონი არიანო. ბიბლიოგრაფიულ შენიშვნის ავტორი ბ-ნი ოსსოვსკი, განიხილავს რა ნოტებზე გადაღებულ მეგრულ ხმებს, ამბობს, რომ ისინი თითქმის იგივე ქართული სასიმღეროები არიანო. როგორც ქართული, ისე მეგრული სასიმღეროები ძალიან მოგვაგონებენ ძველ ბერძნულ ან ეგრეთ წოდებულ საეკლესიო ჰანგებსაო. როგორც მეგრული ენა და მეგრულთ ზნე-ჩვეულება წაგავს ქართველთა ენასა და ჩვეულებებს, ისე მათი ჰანგებიც ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთსაო. ცხადია, ბ. ოსსოვსკი შეცდომაში შეუყვანია ბ. გროზდოვის წინასიტიყვაობას და ამიტომ უტრიალებს საგანს ყოველმხრით და პირდაპირ ვერ ამბობს, რომ მეგრელები იგივე ქართველები არიან და რასაკვირველია, სიმღერაც ერთი და იგივე ექნებათ.

„მეგრული მოტივებიო – განაგრძობს ბ. ოსსოვსკი – სრულიად არ ემსგავსებიან საზოგადოთ აღმოსავლეთის (თათრულს და სპარსულს) სიმღერებსაო, არც კრიმანჭული აქვს მეგრულ ჰანგებსაო. მელოდია წყნარი, ზომიერი და მშვიდობიანი არისო. მელოდია მაინც და მაინც მდიდარი არ არის, ფანტაზიაც და სილამაზეც ნაკლებად ეტყობა. პოეზიასა და გრძნობიარობას მოკლებული არისო“ და სხვა.

სჩანს, ბ. გროზდოვის მიერ შეგროვილ სიმღერებს ეჭვის თვალთ უნდა შევხედოთ, რადგანაც რეცენზენტის განხილვა სრულიად არ გვიხატავს მეგრული ხმების ნამდვილ ხასიათს. პირველად გვესმის, მაგალითად, რომ მეგრულ სიმღერაში კრიმანჭული არ იყოს. ბ. გროზდოვის გადმოცემით თუ მეგრულმა ჰანგებმა „პოეზიაც და გრძნობიარობაც“ დაჰკარგეს, რაღა „მნიშვნელობა“ უნდა ჰქონდეს მის ახლანდელსა და დაპირებულ გამოცემებს?!

წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით ოცდაათ მანეთს და გთხოვთ უმორჩილესად, გამოგვიგზავნოთ ახლად გამოცემული ბ-ნ ქორიძის, დუმბაძის და სხვ. მიერ გადაღებული ნოტები, ოთხი ეგზემპლიარი და დანარჩენი ფული გთხოვთ გარდასცეთ ბ-ნ ქორიძეს, ანტ. დუმბაძეს და სხვ. რომელთაც კი მიიღეს მონაწილეობა ნოტების გამოცემა-შედგენაში – ნიშნად ღრმა მადლობისა ამ დაუფასებელი შრომისთვის და დანარჩენი ნოტების გამოცემისთვის. მოხარულნი ვართ, რომ ბ-ნ ქორიძემ, ანტ. დუმბაძემ და სხვ. შესძინეს ჩვენს დაჩაგრულ და დაობლებულ ეკლესიას დაუვიწყარი და დაუფასებელი ნაშთი, რაზედაც ვსთხოვთ უფალს მაგათ დღეგრძელობას მრავალჟამიერ.*)

*დავითი მმართველი ათონის მთის წმ. იოანე
ღვთისმეტყველის საჯანის მღვდელ-მონაზონი იონა,
ქ-ტეს მიერ ძმებითურთ*

*წმ. მთა ათონი
5 მარტს, 1896 წ.*

*) ეს ფული გადაეცა ქართულის გალობის გამოცემელთ მ. შარაძესა და ამხანაგობას, რადგან ეს ამხანაგობა განაგებს გალობის გადაღებისა და დაბეჭდვის საქმეს. საკუთარს ხარჯითა და კერძო შემოწირულობით.

რედ.

მღვდელთა საყურადღებოდ

შარშან, ჩვენმა მოღვაწემ, ბ. ფილიმონ ქორიძემ გამოსცა პარტიტურა იმ ძველი, ნამდვილი ქართული საეკლესიო გალობისა, რომელშიაც მოქცეულია იოანე ოქროპირისა მღვდლისა და მღვდელმთავრის ნირვის საგალობლები და სხვა დანარჩენებსაც, როგორც გვპირდება, მალე მოგვანოდებს. ამის შემდეგ, იმედია, ყველა მღვდელი თავისი მრევლის დახმარებით შეადგენს ქართულ მგალობელთა გუნდებს და განაშენებს კვლავ, ძველი გალობით, ქართულ ნირვა-ლოცვას. ერთ წელზე მეტია, რაც მყავს ქართული მგალობელთა გუნდი დ. ყვირილის წმინდა ნინოს ეკლესიაზე. ამ გუნდს ქართულ-კახურ კილოზე ვაგალობებ. ახლა, რადგან ეს ძველი ქართული გალობა ნოტებზე გადაღებული გამოვიდა, დავინყე ამ გალობის სწავლება და რაც შევასწავლე, მშვენივრად გამოდის. ამის შემდეგ იმედი მაქვს, სრულიად ვასწავლი გუნდს ამ საგალობლებს და რამდენიმე ხნის შემდეგ, დ. ყვირილის წმინდა ნინოს ეკლესიაში, ძველ ნამდვილ ქართულ გალობას გავიგონებთ. ამ ერთს გუნდის მომზადებას, მოგეხსენებათ, დიდი შრომა და ჯაფა დაჭირდება. ამისათვის მე მსურს, რომ ერთ გუნდთან სხვებიც მოვამზადო და მით გავავრცელო ეს ძველი ქართული გალობა. ამისთვის მოუწოდებ შორა-

პნის მაზრის სამღვდლოებას, რომ ვისაც სურს ქართული მგალობელთა გუნდი ჰყავდეს ეკკლესიაში, 1 აპრილიდან 1896 წ. გამოგზავნოს ჩემთან (დ. ყვირილაში) რამდენიმე პირნი, რომელთაც შესაფერი ხმები ექმენათ ამ გალობისთვის კვირაში ოთხი დღე: ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 12 საათიდან საღამოს ხუთს საათამდე და მოუშვადებ ქართულ მგალობელთა გუნდს მცირე საფასით. ჩემთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, დილიდან საღამომდის. ჩემი სახლი იკითხეთ დ. ყვირილის წიგნთსაცავში.

*ლოტბარი დაბა ყვირილის წმინდა ნინოს
ეკკლესიის ქართულ მგალობელთა გუნდისა
სერგი ჯინჭველაშვილი*

226. ივერია, 1896, 16 აპრილი, №82, გვ. 3

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით, უდიდესი მადლობა გამოვუცხადო ნინო ბეჟანის ასულს ყიფიანისას, რომელმაც გადმომცა ქართულის სიმღერების დასაბეჭდად ხუთი თუმანი. ჯერ-ჯერობით, ამ ფულით შევუდგებით ბ. ქორიძისაგან გადაღებულის გურულ სიმღერების პირველი სერიის დაბეჭდვას. როდესაც ეს ზემოხსენებული სიმღერები დაიბეჭდება, ხუთი თუმნის ღირებული ამ გამოცემისა გარდაცემა ნ. ყიფიანისას გასასყიდად სხვა საქველმოქმედო საქმის სასარგებლოდ, რადგან ეს ფული ამ აზრით იყო შეგროვებული. დანარჩენი ეგზემპლარები ამ სიმღერებისა გაისყიდება იმ აზრით, რომ მისი შემოსავლით დაიბეჭდოს შემდეგი სერია ქართულის სიმღერებისა.

*ბ. ბალანჩივაძე
1896 წ. 15 აპრილი*

227. ივერია, 1896, 1 მაისი, №93, გვ. 1

ახალი ამბავი

როგორც ქართველს საზოგადოებას მოეხსენება, ქართული საეკლესიო გალობა სამხმარეო დაწყებული. ამ რამდენიმე წლის წინად ბ. ანდრია ბენაშვილმა მთელი წირვის საგალობელი საცდელად ოთხ ხმაზე დააწყო, ჩაუმატა მეოთხე ხმა „ტენორი“ და, როგორც ვიცით, იგალობა კიდევ რამდენჯერმე ქუთაისში. ამ მიზნის განხორციელება, ამჟამად, ტფილისში უკისრია გალობის საკმაოდ კარგად მცოდნეს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელს ბ. იოსებ მონადირიშვილს; შეუდგენია მგალობელთა გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ოცდაათამდე ქართველი ქალი და ვაჟი და ამ მოკლე ხანში რომელსამე ეკლესიაში იგალობებს, რომ მოისმინონ მცოდნე პირებმა და დააფასონ რამდენად, გამოსადეგია ოთხ ხმაზედ გადაღებული გალობა და ან რამდენად შენახულია ნამდვილი ქართული გალობა.

ქართული გალობის მდგომარეობა

ქართული საეკლესიო გალობა და ლალადება თუმცა, დიდი ხანია, შემცირდა და ზოგან სრულიადაც მოისპო იგი ქართველთა ეკლესიებში, მაგრამ ვისაც კი შერჩა ჩვენი გალობის ცოდნა და ხსოვნა, ეს გალობა დღემდე წმინდად და შეუბღალავად არის დაცული. წინანდელ დროში ქართული გალობა ყველგან გავრცელებული იყო და მისი სწავლის მსურველებიც ბევრი იყვნენ. უმეტეს ნაწილად გალობის სწავლას ეტანებოდნენ სამღვდელთა და თავად-აზნაურთა ოჯახები, ორივე სქესისა. იმ დროს კარგს და დახელოვნებულ მგალობლებს დიდ პატივსა სცემდნენ. ამასთან, მათ ჰქონდათ კარგი შემოსავალი, ჯამაგირი და საჩუქრებიც ეძლეოდათ; მაგრამ ეს პატივი და დიდება დროთა გარემოებამ ჩამოართვა მათ, რაისა გამო, იმათაც გული აიცრუეს ქართულ გალობაზე. მოსწავლეთა რიცხვი თანდათან შემცირდა და გალობის სწავლაც მოისპო. ამ დიდ მნიშვნელოვან მამა-პაპულ განძის და ეკლესიათ განმაბრწყინვალელების ცუდი მდგომარეობა იგრძნო ქართველთა სამღვდელთა და განიზრახა, რომ რაიმე გზით კვლავ აღედგინა ქართული საეკლესიო გალობა. ამ მიზნით თბილისში შესდგა კომიტეტი, გასინჯეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები, დარწმუნდნენ მათ სიკარგეში და შეუდგნენ თავიანთი განზრახვის განხორციელებას, მაგრამ მოუხერხებლობისა გამო, მათმა სურვილმა ვერ მიაღწია დანიშნულ მიზანს და თავი მიაწიეს ამ საქმის წარმოებას. ეს გარემოება ვაცნობთ იმერეთის სამღვდელთა, რომელსაც უკვე მოსმენილი და შეგნებული ჰქონდა ნოტებზე გადაღებული მთელი წირვის გალობა და მიუცილებელ საჭიროდ რაცხდა სრულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. შესდგა სამღვდელთა კრება ქუთაისში. აირჩიეს კომიტეტი და თავმჯდომარედ კომიტეტისა დეკ. დავით ლამბაშიძე. კომიტეტმა, მ. დეკ. დავით ლამბაშიძის მეთაურობით, საქმე შევნიერად წაიყვანა. დამანერინეს 400 ნაჭერი სხვა და სხვა საგალობელთა, რომელნიც ჩავაბარე ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსს გაბრიელს. მ. დეკანოზი ლამბაშიძე ბევრს ეცადა, რომ ეს საგალობლები დაბეჭდილიყო ან თბილისში და ან რუსეთში. დავეკითხეთ ნოტის მბეჭდავთ ბესელს, იურგენსონს და სხვებს, მაგრამ ძლიერ ძვირად ჯდებოდა ამ საგალობელთა დაბეჭდვა: 6000-7000 მანეთამდის გვთხოვეს და გარდა ამისა, კორექტორიც თან უნდა გაჰყოლოდა დასაბეჭდს. ამ მეტისმეტი სიძვირის გამო ნოტებზე გადაღებული საგალობელნი დარჩნენ დაუსტამბავად. 1890 წელს ჩამოვედი თბილისს საცხოვრებლად. აქ გავიცანი ერთი პატარა წრე ლარიბ მოხელე მოჯამაგირეთა. ამ წრემ, ჩემის ხელმძღვანელობით მოკლე დროში შევნიერად შეისწავლა ნოტების კითხვა. მათ იწყეს ნოტებით გალობა და ისე შეუყვარდათ იგი, რომ უკვე დანერილი 400 საგალობელი სცნეს არასაკმარისად საეკლესიო მოთხოვნილებებისათვის. შეჰკრიბეს თავისი წვლილი, ზოგი შემოწირულებაც გაუჩნდა ამ კეთილ საქმეს, მომცეს ცოტაოდენი საშუალება, წავედი გურიამი ცნობილს მგალობელ ანტონ დუმბაძესთან, და ორი წლის განმავლობაში დავსწერე სრული მთელი წლის საგალობლები თავიანთ რვა ხმით (ოკტოიხი) და მრავალი ჭრელებით; ასე რომ, ჩვენი საეკლესიო გალობა სრულად არის ახლა დანერილი. ამ პატარა წრემ, რომელიც ახლა შესდგება ოთხი ამხანაგისაგან, გამოიწერა ნოტის ნიშნები და მათი საჭირო მასალები. ჩემი თვალყურის დევნით და კორრექტორობით დაიბეჭდა ერთი მდიდრული ლიტურღია იოანე ოქროპირისა მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის. ვამბობ „მდიდრული“ იმისათვის, რომ წიგნი შეიცავს 174 გვერდს და მოთავსებულია შიგ სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი სხვადასხვანაირი საგალობლები ერთი და იგივე გალობისა: ესე იგი, „რომელი ქერაბინთა“ ხუთნაირია, „წმიდაო ღმერთო“ ხუთნაირია, „მოვედით თავყვანი

ვსცეთ“ – ოთხნაირი, „უფალო შეგვიწყალო“ – 16-მეტრიანი, მღვდელმთავრის შემოსვლის დროს – სამნაირი და სხვ. ეს წიგნი ღირს ერთ მან. დარწმუნებული ვართ, რომ იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოება, როგორც ამ საქმის დაწყებაში გამოიჩინა მან დიდი სურვილი საგალობელთა ნოტებზე გადაღების შესახებ, ისეთივე სურვილს და დახმარებას გამოიჩინეს ახლაც ამ საქმის განსახორციელებლად. (გურიის ეპარქიას ამ საქმისათვის არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია?!).. აი, რაში მდგომარეობს ეს დახმარება: ეკკლესიისათვის გამოიწერენ თითო წიგნს, რომელიც იმდენად იაფია, რომ მისი ხარჯი არავის არ შეაწუხებს. თავისი ქადაგებით, რჩევითა და მზრუნველობით გაავრცელებს მის სწავლას სასწავლებლებში, სამრევლო სკოლებში, ეკკლესიების მსახურთა შორის და სამწყსოთა შორისაც, რომ ეს ნოტები ადვილად შეისწავლონ მსურველთა. ამისათვის მე გამოვეცი სახელმძღვანელო, რომელიც ძლიერ მარტივად და ადვილ გასაგებად არის შედგენილი ქართულს ენაზედ. ვინც ამ სახელმძღვანელოს რიგიანად შეისწავლის, იგი ადვილად შეიძლებს ნოტების კითხვას, ნოტებით გალობას და ლოტბარობასაც. წიგნების ფასი მოგვცემს საშუალებას ვბეჭდოთ შემდეგი წიგნებიც და ამგვარად, ჩვენი გალობა გავრცელდება და ეკკლესიებში მიიზიდავს მართლმორწმუნეთ, რომელთაც შთაუწერგავს გულში და სულში სჯულისა და კაცობრიობის სიყვარულს და განამტკიცებს მათში სარწმუნოებას.

ფილიმონ ქორიძე

(დასასრული შემდეგში)

229. ივერია, 1896, 17 მაისი, №103, გვ. 1

ახალი ამბავი

13 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ბ-ნის ანდრ. ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაღებულ ნოტებზედ იგალობა მთელი წირვა ბ-ნის ი. მონადირიშვილის ქართულმა ხორომ. ხორო შესდგებოდა ქალებისა და კაცებისაგან. ხალხი მრავალი დაესწრო. გალობა ოთხ ხმაზედ, როგორც პირველი მაგალითი, საკმაოდ კარგად იქმნა მუსიკალურად შესრულებული, თუ რომ ყურადღებას არ მივაქცევთ იმას, რომ პირველად, ცოტა არ იყოს შეკრთნენ მაგალობელნი; შემდგომ კი უფრო გაბედვითა და მეტის ენერგიით გალობდნენ. არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად სავსებით არიან დაცულნი მუსიკის კანონები, ნოტებზედ ოთხ ხმად გადაღების დროს, რადგანაც ეს სპეციალისტთა საქმეა; ჩვენ ვნახეთ ნოტები, შევადარეთ პირველი და მეორე ხმა იმ ნოტებს, რომლებიც ამ რამდენისამე წლის წინად დაბეჭდა ბ-ნმა ბენაშვილმა სამ ხმად და დავრწმუნდით, რომ პირველი ორი ძმა ხელუხლებლად არის დატოვებული; გალობას ჩამატებული აქვს მხოლოდ ტენორი და ბანი შეფარდებული, როგორც გალობის კანონები ითხოვს. ზოგიერთი საგალობლები, თუმცაღა ყური მიჩვეული არა გვაქვს ჯერ და ამიტომ შეიძლება ბევრმა ჯეროვნად კარგი შთაბეჭდილებაც ვერ გამოიტანა, მაინც საკმაოდ სასიამოვნოდ გვეჩვენა. ამისათვის, ჩვენის მხრივ ვურჩევთ ბ-ნს მონადირიშვილს, მეორედაც აგალობოს ხორო ამ ნოტებზედ, რომ უფრო უკეთ შეიძლოს საზოგადოებამ დაკვირვება; უამისოდ შეუჩვეველი ყური ჯეროვნად ვერ დააფასებს თუნდაც ისე, გარეგნულად.

ქართული გალობის მდგომარეობა

(დასასრული)

როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ ეხლა ხელში გვაქვს ყოველგვარი საეკლესიო საგალობლები, თუ მათი გავრცელება და მოფენა ხალხში მოვიწინადინეთ. ცოტა რომ დაგვიანებოდა მათ ნოტებზე დაწერას, ისინი ან სრულიან და ან ისეთნაირად გადაგვარდებოდა, რომ მას კაცი ველარ იცნობდა ქართულ გალობათ, მით უმეტეს, რომ ახლა, როგორღაც დრო დაგვიდგა ყველაფერი კარგის გადაგვარებისა და დამახინჯებისა. ამის თქმას მაიძულებს შემდეგი ფაქტი: საქართველოს ერთ კუთხეში, ერთს უცხოელს ნირვის საგალობელი მოუსმენია და დაუწერია კიდევ. მაგრამ მოძახილი და ბანი გალობისა არ მოსწონებია და უკისრნია თვითონ იმათი, ე. ი. ბანისა და მოძახილის დაწერა. იქონიეთ სახეში, რომ ამ უცხოელმა არ იცის არც ქართული ენა, არც ქართული გალობა, არც მისი ხმათა წყობილება, არც მისი წესი და ხასიათი. ადვილად წარმოსადგენია, თუ მის მიერ მოწერილი ბანი და მალალი ბანი როგორ დაახასიათებდა ჩვენს გალობას. მან, ვისაც კი უკისრნია რომელიმე ხალხის სიმღერისა და გალობის მუსიკაზე დაწყობა, მიუცილებლად უნდა იცოდეს ხალხური ენა, მისი გალობ-სიმღერის ხასიათი და ხმათა წყობილების წესრიგი და კანონები. ყველა ხალხს თავისი გრამატიკა აქვს, როგორც წერა-კითხვისათვის, ისე მუსიკისა და გალობისათვის, ყოველი ხალხი თავისებურად აკეთებს, როგორც სიტყვაკაზმულობას, ისე მუსიკისა და გალობის ხმათა წყობილებას. და თუ უცხოელმა ესენი არ იცის, ვალდებულია დაემორჩილოს ზეპირ გადმომცემლებს, რომელთაც ზედმიწევნით იციან გარდასაცემი საგანი. თუ ვინიცობაა, მწერალი გადმოცემულს ხმებთა შორის შენიშნავს რაიმე უთანხმოებას, რომელიც სმენას ჰგვრის უსიამოვნებას, იმ შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს ნაკლულეგანებაზე და გადმომცემლები თვითონ შეასწორობენ შენიშნულს ნაკლულეგანებას. თავისი განსაკუთრებითი და ხასიათური წყობილება და აგებულება აქვსთ მეთქი; ამისათვის მოკლედ გამოვხატავ ქართული ზეპირგალობის აგებულებას.

ახალ მოსწავლეთა პირველად დაწყებინებდნენ გალობის ხმით, რომელსაც ეძახოდნენ სასწავლებელ ბანს, სასწავლებელ მალალ ბანს და სასწავლებელ დამწყებს. ეს სასწავლებელი ხმები მდგომარეობდა იმაში, რომ დამწყებს მოძახილი ანუ მალალი ბანი მისდევდა დაბლიდან (ძირიდგან) მეხუთე საფეხურით პნკალისა (5 ступень скалы), რომელსაც მუსიკალურად ჰქვია კვინტა (quinta). ბანი მისდევდა პირველსავე ანუ დამწყებს ძირიდგან მერვე საფეხურით პნკალისა (პნკალა გურულად კიბეა, ხოლო იტალიურად სკალა, 8 ступень скалы гаммы) და ჰქვია მუსიკალურად ოქტავა, თუმცა ადვილი გასაგები და დასამახსოვრებელია, მაგრამ მოსამენად არ არის სასიამოვნო, რადგანაც ხმები დამოკიდებულია ერთიმეორეზე. და არც გალობდენ ამნაირ ხმათა წყობილებით კარგი და დახელოვნებული მგალობლები, მხოლოდ ეს იყო ძირი პირველ დასაწყისი გალობის სწავლისა. იმ უცხოელს სასწავლებელის ხმების გალობას მოასმენინებდნენ, რომელიც, რასაკვირველია, მას არ მოეწონებოდა და არც მოსაწონია. როდესაც ამ სასწავლებელ ხმებზე შეასწავლიდნენ გალობას, მერე დაწყებინებდნენ კილო გალობის სწავლას. კილოს გალობა მდგომარეობდა იმაში, რომ პირველს ხმას აძლევდნენ უკეთესს, მელოდიურს მიმოხვრას. ბანსა და მალალ ბანს ცოტად თუ ბევრად აძლევდნენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას პირველი ხმისაგან. უმეტეს შემთხვევაში ამორებდნენ ხმებს, ერთგვარად მიყოლ-მოყოლას. აყენებდნენ თვითოეულს მათგანს შესაფერს ერთმანეთს შორის ადგილას და ამნაირად ასხვავებდნენ და აუმჯობესებდნენ სასწავლებლის ხმებისაგან. ხოლო, კილო გალობაზედ აშენებდნენ ვარჯიშ-გალობას. ვარჯიში გალობა, მოკლედ რომ ვთქვათ, იყო და არის

განვითარებული და დახელოვნებული გალობა, რომელშიაც ხმები მოძრაობენ თავისუფლად ერთიმეორისაგან და დამოუკიდებლად, მწყობრივ, თავისებრივ და ორიგინალურ მიმოხერხვის კავშირით. ქართულ გალობას აქვს თავისი კანონები, რომელთა ტერმინები არიან: სტილი (salto, slancio). სტილი არის ხმის ადგილიდგან ადგილზედ ანუ ნოტიდგან ნოტებზედ კოხტად და რითმულად გადასვლ-გადმოსვლა. სასულე (respiro, pausa) ხმის ცოტა დროით შეჩერება, ანუ სულის მოთქმა გალობაში ერთისა ცალკე ანუ ყველა ხმებისა ერთად. დამუხლება (finale) – შეჩერება ხმებისა და ზომისა, როდესაც აზრი სიტყვისა და მუსიკის მოძრაობისა თავდება. ოიო (fermato) – ხმის, ზომის გარეშე, განუსაზღვრელად გაგრძელება. შესავალი (l'entrata) – როდესაც დამწყები განაგრძობს ხმას და მოძახილი იმავე დროს შეჰკიბავს ძირიდან, შეუერთდება დამწყებს, შეერთებისთანავე დატრიალდება ძირს და იჭერს შესაფერს ადგილს. წართქმა (recitativo) სიტყვების წარმოთქმა ხმათა გაუგრძელებლად, ლაპარაკულად საგალობელთა სიტყვების ხმარება. ზომა (tempo, misura) – რითმულად, თანასწორად და მწყობრად მოძრაობა ხმებისა. ქართული გალობა იწყება და თავდება ორიგინალურად. გალობაში, ხშირად უხმო ასო იხმარება ხმოვანად და სხვადასხვა. ქართული გალობის კულტურას განსაკუთრებით ყურადღება მიუქცევია მოძახილისათვის. მოძახილი, როგორც ორს ხმას შუა მყოფი, გვირგვინია ქართული გალობისა. იგი აძლევს გალობას შნოს, ფერს და სიცოცხლეს. დასტრიალებს პირველსა და ბანს შუა, უნავარდებს და უალერსებს ორივეს, ადის პირველი ხმის ადგილზე და თავისას უთმობს პირველსა, ჩამოდის ძირს და უჩვენებს პირველს ზევით ასვლას. უახლოვდება ბანს, აჩუმებს პირველს და შედის ბანის მიყოლით დასამუხლებელში. დასამუხლებელში უტოებს თავის ხმას პირველს, ანუ დამწყებს და თვითონ სხვა შესაფერ ადგილს იჭერს და მოძახის პირველსაც და ბანსაც. მოძახილს ამგვარ მოქმედებაში ბანიც თავისი მძლავრის ხმით მხარს აძლევს პირველსაც და მეორესაც. იმათი შეტაკების ანუ შეჯახების დროს (disjonante) ამშვიდებს და აყენებს ორივეს შესაფერ ნყობილობაზე (consonante).

არამცოდნე ზემო ჩამოთვლილ კანონთა და ქართული გალობის თავისებურებისა დაუნერს განა თვითონ გალობას ბანს და მაღალ ბანს? რასაკვირველია, დაუნერს და მშვენიერადაც დაუნერს, მაგრამ ის ქართული არ იქნება, არამედ იქნება იმ ტომის გალობა, რომელ ტომსაც ეკუთვნის ის ბ. უცხოელი. აი, გადაგვარებაც ამას ნიშნავს! თუმცა ჩვენ ჩვენი გალობის გადაგვარების და დამახინჯების შიში აღარა გვაქვს, რადგანაც ის ნოტებზეა დაწერილი თავის საკუთარს ჰანგზე, მაგრამ ეს ნოტებად დაწერილი თუ არ დაიბეჭდა, თუ მისი შესწავლა და ცოდნა არ გავრცელდა სასწავლებლებში, ხალხში და არ გაჩაღდა მისი ღალადება ეკლესიებში, მაშინ მოკლებული თავის დანიშნულებას, გადაგვარებაზე უარესს მდგომარეობაში დარჩება.

ფილიმონ ქორიძე

231. ცნობის ფურცელი, 1896, 20 ოქტომბერი, №1, გვ. 4

ახლად გამოვიდა და ისყიდება ქართული გალობა ლიტურგია იოანე ოქროპირისა

მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. გადაღებული ფ. ქორიძის მიერ. გადმოცემული; ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალგანიძისა, მთავარდიაკონის რაჟდენ ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან.

ნიგნი 174 გვერდია და ღირს ერთი მანეთი.

ცალკე ხმები: დამწყობისა. მაღალი ბანისა და ბანისა თვითეული ნიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. ნიგნები ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნიგნის მაღაზიაში, ქუთაისისა და ოზურგეთის ნიგნის მაღაზიებში და გამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქ. №21.

მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში მიიღება ნოტების ბეჭდვის საქმე. საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდან ასოებია გამოწერილი და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი ნიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე ნიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ ნიგნთან ერთად, შიგ ჩართვით.

232. მწყემსი, 1896, 1-15 ნომბერი, №21, გვ. 5-6

ნოტებით ქართული გალობა ოზურგეთის საკრებულო ტაძარში

მკითხველებმა იციან, რომ ჩვენმა ცნობილმა მოღვაწე ფილიმონ ქორიძემ, ამ სამიოთხის წლის წინეთ, იღვანა ქ. ოზურგეთში ქართული გალობის ნოტებზედ გადაღებისათვის. დაასრულა თუ არა თავისი მისსია, იგი გაემგზავრა ტფილისში, სადაც მისივე თვალყურის დევნით და კორექტურობით დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი ნიგნი, მის მიერ ნოტებზე გადაღებული, მღვდლისა და მღვდელთმთავრის წირვის გალობა იოანე ოქროპირისა. ამ ნიგნის დანახვამ ყველა გაგვახარა და გვასიამოვნა და იმაში მოთავსებული გალობის მოსმენა ყველას გვწყუროდა და გვენატრებოდა. ბატონი ქორიძე, გასულს ზაფხულს, კიდევ გვესტუმრა ოზურგეთში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ის გაემგზავრა გურიის სხვადასხვა სოფლებში სახალხო სიმღერების შესაგროვებლად და როცა დაბრუნდა ოზურგეთში, ბ. ქორიძემ ინახულა აქ პატივცემული მამა წინამძღვარი ოზურგეთის საკრებულო ტაძრისა მღვდელი დავით დუმბაძე, რომელმაც სთხოვა ბ. ქორიძეს ნოტებზე გადაღებული წირვის გალობის გაჩაღება მისდამი რწმუნებულს ტაძარში და აღუთქვა ყოველგვარი საშუალებით დახმარება. ბ. ქორიძე დიდის სიამოვნებით დათანხმდა მამა დავით დუმბაძეს წინადადებაზე, მხოლოდ სთხოვა შეკრება ახალგაზდა პირთა, რომელთაც კი სურთ გალობის შესწავლა და წარსულს ენკენისთვის შეუდგა მუშაობას. ჩვენ მოვისმინეთ რამდენიმე საგალობელი ნოტების საშუალებით აღსრულებული, რომელმაც მწყობრის და ხელოვნურის გამოთქმით აღტაცებაში მოგვიყვანა. ეჭვი არ არის, რომ ოზურგეთის ტაძარში დაარსდება მშვენიერი ქართული წირვის გალობა. სრული იმედი გვაქვს, რომ მამა დ. დუმბაძე ამ საქმეს სასიქადულოდ და სახელოვნად დაავიწყებინებს. იგი, როგორც კარგი მცოდნე ჩვენი ქართული საეკლესიო გალობისა, შეიყვარებს და დააფასებს ნოტით გალობას. დარწმუნებული ნოტებით გალობის სიმშვენიერეში, მ. დავითი გაიორკეცებს მხნეობას და მით აღმოუჩენს ამ საქმეს საჭირო საშუალებას.

ილ. აბაშიძე

ახალი ამბავი

ქართული გალობის საქმის დამკვიდრება. ჩვენ მივიღეთ თავ. ნიკო თავდგირიძისაგან შემდეგი წერილი:

„გთხოვთ, თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემ შენიშვნას: ამას წინააღმდეგ მოხსენებულ იყო თქვენს გაზეთში ის ამბავი, რომ პატივცემული ფილიმონ ქორიძე შეუდგა ოზურგეთში ზეპირგალობათა, როგორც საეკლესიოთა, ისე საეროთა, ნოტებზედ გადაღებას და პრაქტიკულადაც მონაფეების ჩვენებურ გალობაში განვრთნას. ეს მოვლენა ისეთი საყურადღებოა, რომ მე მგონი, მარტო გაკვრით, ამ შემთხვევის მოხსენება არ შეიძლება. ვინ არ იცის, რომ თუ ხალხს კი უნდა თავისებური ხასიათი შეირჩინოს, მან უსათუოდ უნდა დაიმკვიდროს ის პირობანი, ის სულიერი ძალა, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ, რომ ერი სცხოვრობს.

ერთი უმთავრესი, ერის სულიერი ძალის და ნიჭის გამომხატველთაგანი არის სიმღერა, გალობა. ამიტომ, ვისაც კი უძგერს გული თავის ქვეყნის ნამდვილ საჭიროებისათვის, ის ვალდებულია ყოველივე ღონისძიებით ხელი გაუწვდინოს დამაგრებას, დამკვიდრებას ჩვენებურ ორიგინალურ გალობას. აი, ეხლა გვიჩნდება შემთხვევა ადვილად დავაკმაყოფილოთ ეს ჩვენი უმთავრესი მოთხოვნილება და ამ შემთხვევით ჯეროვანად ვისარგებლოდ.

ფილიმონ ქორიძისთანა გულმოდგინე, ბეჯით და თვით მისი სპეციალური საგნით გატაცებულ მშრომელს ჩვენ სხვას ვერსად ვიშოვით. ამისათვის, დრო არის შემწეობა აღმოუჩინოთ ამ თავგადადებით მოღვაწე კაცს და მოვახმართ ის ჩვენ საერთო, საერო საქმეს.

ჩვენი საერო სიმღერა-გალობათა შეკრება-შესწავლისათვის უპირველესი ადგილი მაინც უნდა დაგვეთმო გურიისათვის, რადგანაც აქ უფრო შენახულია, უფრო დაცულია ჩვენებური გალობები. აქ უფრო ადვილად მოხერხდება დავაარსოთ რამე პრაქტიკულ სკოლასავით, სადაც ყველა მსურველთ შეეძლება გაიცნოს ჩვენებური გალობა-სიმღერები.

ჩვენ გვაქვს განზრახვა, თუ, რა თქმა უნდა, ყველა ქართველები ყურადღებით მოეპყრობიან ამ საქმეს, დავაარსოთ ფონდი ჩვენი საერო გალობა-სიმღერების დასაფუძვნებლად. ამჟამად ჩვენ ვეცდებით მატერიალურად უზრუნველვყოთ ფილიმონ ქორიძე: მივსცეთ მას ყოველივე საჭირო მომზადება მისთვის, რომ გულდადებით, მთლად ემსახუროს ჩვენებურ გალობათა და სიმღერათა სამუდამოდ დაფუძვნებას და გადაცემას.

ჩვენ რამოდენიმეჯერ უკვე ვიგრძენით სიამოვნება ფილიმონ ქორიძისაგან მომზადებულ ხოროს სიმღერა-გალობით. ეხლაც ოზურგეთის სობოროში ყოველ უქმ დღეზედ არის გაჩაღებული გალობა, რომლითაც სტკებებიან, არა მარტო ჩვენებურები, არამედ უცხოებიც. თუ მართლა ჩვენი აზრი განხორციელდა, გვინდა ფილიმონ ქორიძეს დავავალოთ ზაფხულობით თავის მომზადებულ ხოროთი ჩამოიაროს ჩვენი სოფლები და ყველას დაანახვოს, შეაჩვიოს, შეიყვაროს ნოტებზედ გადაღებული ჩვენებური გალობა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი მოწოდება არ ჩაივლის „ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და ბევრი გულშემატკივარნი აღმოჩნდებიან ჩვენიანები, რომლებიც მოისურვებენ მცირეოდენი წვლილის შემოტანას ამ საერთო საჭირო საქმისათვის. ყოველივე თანამგრძობელს უგულითადეს მადლობას მივუძღვნი. მსურველთ შეუძლიათ გამოავაზონ თავიანთი შესანიშნავი პირდაპირ ოზურგეთში, თვითმმართველობის დარბაზში.

234. ცნობის ფურცელი, 1897, 16 იანვარი, №86, გვ. 2

ახალი ამბავი

ქართული წირვა ნინოობას სიონის ტაძარში. გუშინწინ, ამ თვის 14, სიონის ტაძარში წმ. ნინოს დღესასწაულისა გამო მთელი წირვა ქართული იყო. მწირველი ბრძანებოდა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი კრებულთურთ. ყოვლადსამღვდელომ წირვის შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ხალხს განუმარტა ამ დღის მნიშვნელობა ყოველის ქართველისათვის და წმ. ნინოს ისტორია მოკლედ აუწყა მლოცველებს.

წირვის დროს სამი გუნდი ჰგალობდა: ერთი – სემინარიისა, მამა ვ. კარბელაშვილის ლოტბარობით, მეორე – სათავადაზნაურო სკოლის შეგირდებმა ულოტბაროდ იგალობეს, თავიანთისავე მოწაფის ხელმძღვანელობით, რადგან ლოტბარი – მასწავლებელი, ბ-ნი ზაქ. ჩხიკვაძე დიდის გულმოდგინებით ასწავლის თავისს პანია მოსწავლეთ.

ამასვე ვერ ვიტყვით მამა ვ. კარბელაშვილის გუნდზე. ისე მწყობრად ვერ გალობდნენ, როგორც სასურველი იყო. მაღალს ნოტებს ვერ ერეოდნენ, რის გამოც საერთო ჰარმონია ცოცხათი ირღვეოდა. მეორე ხმას თვით მამა კარბელაშვილი ამბობდა და რასაკვირველია, უნაკლულოდ და დიდის ცოდნითა ჰგალობდა. საზოგადოდ, ამ გუნდს თითქოს შემუშავება აკლდა.

ურიგო არ იყო ბ. მონადირაშვილის გუნდიც, სადაც ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ გუნდმა შეასრულა რამდენიმე საგალობელი, დანერილი ბ-ნ ანდრია ბენაშვილის მიერ, მწყობრივ, ჰარმონიულად და სასიამოვნოდ და ბევრთ ამათი გალობა ძლიერ მოეწონათ, თუმცა ყველანი ცხადათ ამჩნევდნენ, რომ ეს ხმა არც წმინდა ქართლ-კახურია და არც იმერული. პირველიდგანაც და მეორედგანაც [...]ბულია ხმებია და გადაკეთებულია ოთხ ხმაზედ. ამიტომ ზოგიერთი [...]ხლი დედახმისა შეცვლილია მეოთხე ხმის გულისათვის, ანუ საზოგადოდ ჰარმონიის გულისათვის. მსმენელს პირველად ეს გალობა სულ უცხოური ჰგონია, მხოლოდ, როდესაც დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ქართული ხმებია, მხოლოდ ძალიან გადაკეთებული. (ამგვარადვე გადააკეთა ბ. კლენოვსკიმ ქართული საერო სიმღერები.)

წირვაზე იმდენი ხალხი დაესწრო, რომ უადგილობისა გამო, ეზოში და ქუჩაში იდგნენ. პარაკლისის შემდეგ წმ. ნინოს ჯვრის სამთხვევლად ხალხი ისე აირია, რომ ზოგი ლეჩაქს სტიროდა, ზოგი თავის გვერდებს, ზოგი შვილს ეძებდა და მასწავლებელნი წირვაზედ მოყვანილს მოწაფეებს. ნამეტნავად თავდახურულ მანდილოსნებს ადგებოდათ ცუდი დღე.

დილა ადრიანიდგან დაწყობილი გვიან საღამომდე ხალხი მრავლად მოდიოდა სიონში წმ. ნინოს თავყანისსაცემლად.

235. ცნობის ფურცელი, 1897, 24 იანვარი, № 94, გვ. 1

ახალი ამბავი

ქართული წირვა-გალობა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. მამა რექტორის არხიმანდრიტის სერაფიმეს წინადადებით და ყოვლადუსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის

ვლადიმერის კურთხევით, აგერ ორი წელიწადია, რაც სასულიერო სემინარიაში შემოიღეს კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, მონაფეთათვის სემინარიისვე ეკკლესიაში ქართულად წირვა-გალობა. წირვა-გალობას ქართულად ის აზრი აქვს, რომ მონაფეები მოამზადონ ქართულ ენაზე მწირველებად. წირვას ასრულებს, თურმე, სემინარიის მოძღვარი უფროს კლასების თოთხმეტ მონაფეთა თანადასწრებით.

236. ივერია, 1897, 24 იანვარი, №7, გვ. 3

ქართული საეკლესიო გალობა

საქართველო ეწოდება ერთ კუთხეს ქვეყნისას, რომელსაც ჩრდილოეთითა და ზოგიერთს ადგილებზედ სამხრეთითაც გარს არტყია თვალუნვდენელი მთები, ხოლო აღმოსავლეთითა და დასავლეთით „ორთა ზღვათა შუა გადაჭიმულა“. ამ მხარეში მცხოვრებ ხალხს ბევრის შრომით, ბევრის მოთმინებითა და საუკუნეების გამოცდილებით ცოდნა შეუძენია. ჟამთა ვითარების განმავლობაში ხალხის წინმსვლელობა არ შეფერხებულა და, რაღა გასაკვირველია, თუ თავისებური კულტურაც შეუქმნია ამ ხალხს. აუარებელი ნაშთი ხუროთმოძღვრებისა მონმეა მისი, რომ ეს შტო ხელოვნებისა განვითარებული ყოფილა ამ ქვეყანაში. ეხლაც კი სშირად შეხვდებით ეკკლესიებისა და მონასტრების კედლებისა და კოშკების ნანგრევებს, დაინახავთ ქანდაკების ნანარმოების ნახატებს. ეს ნანგრევები ეხლა ყვავ-ყორნების დასაბუდეებელ ადგილად შექმნილა, მინით დაფარულა და ბალახ-ბულახით მოფენილა; აქა-იქ კედლებზედ დაინახავთ ძველის მხატვრობის ნაშთს, რომელიც მტვერს დაუფარავს და რომლის სიმშვენიერე საუკუნოების მსვლელობას შთაუნთქავს. ის ადგილები, სადაც ეხლა ტიტველ მთა-გორასა ჰხედავთ, რამდენისამე საუკუნის წინად შემკული იყო ხუროთმოძღვრების დიდებულების ნანარმოებით. იქ, სადაც ეხლა მარტოლა საფლავებია ხალხის დიდებისა, სიცოცხლით სავსე დაბა-ქალაქნი არღვედნენ ამ დუმილს. ყოველივე ეს ეხლა წიგნად შეიქმნა, რომელშიაც ახლანდელნი მეცნიერნი სწავლობენ ჩვენს წარსულს და ისტორიას ჩვენის ხელოვნებისას. ესღა ბჟუტავს – ნამცეცი ჩვენის ბრწყინვალე ვარსკვლავისა.

როცა წარსულს შეიგნებ, გგონია, რომ ხელოვნებასაც უნდა მიეღნია განვითარების უკანასკნელს საფეხურამდისო, მაგრამ უწყალო ბედმა და საუკუნეთა გულცივმა მიმდინარეობამ შესწყვიტა ეს კანონიერი და მართებული მსვლელობა განვითარებისა. როცა საზოგადოდ ხელოვნების შესახებ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვადასხვა შტო ხელოვნებისა ერთნაირად არ განუვითარებია ერს, არ მიუყვანია ერთსნაირს სიმშვენიერემდის იმ დროს, როცა ხალხის განათლებას უმაღლეს საფეხურამდის მიუღწევია. მაგ., მუსიკის ხელოვნებისა დაგვრჩა რამდენიმე ხელნაწერი სხვადასხვანაირის მუსიკალურის ნიშნებით. ეს მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ მუსიკას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონია და სხვა არაფერს; მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა. ბუნების მოვლენათა მშვენიერება თავისებურად ჰმოქმედებდა ძველს ქართველებზედ და საუცხოო, დაუსრულებელის საიდუმლოს ხილვა ესტეტიურად განავითარებდა ხოლმე მათ. ხალხი ხედავდა რა ჰარმონიას ბუნების მოვლენათა შორის, ბუნების კანონთა შეურყვევლობას სწავლულობდა და სცდილობდა ეს ჰარმონია გამოეხატა, ბუნების დიდებულება გამოეთქვა როგორმე.

ერი სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული იარაღით იცავდა საყვარელ მამულს, თან სცდილობდა დაეტოვებინა ნაშთი თავისის დიდებული ცხოვრებისა. ჩვენთა ლეგენდათა ჰოე-

ზია, ლექსთა მშვენიერება, ჩვენის საერო მელოდიების თავისებურება, რომელიც დღემდისაც დაცულია, შექმნილია იმ ხალხისაგან, რომლის ზნეობრივ სიმტკიცეზედ იყო დაყრდნობილი მისი კეთილდღეობა და მისი წინსვლა. ამ დროის ნაშთებში ერთი უძვირფასესთაგანია საეკლესიო გალობა, და აი, ამ გალობის შესახებ მსურს გაკვირით მოვიხსენიო, თუ სად არის წყარო ამ საყურადღებო განძისა. სემიტელებს შორის უეჭველად უპირატესობა ებრაელთ უნდა დაუსაკუთროთ პოეზიისა და მუსიკის განვითარების მხრივ. როგორც ვგონებ, არც ერთ სემიტის ჯგუფის ხალხს არ მიუყვანია ეს ხელოვნება იმ სიმაღლემდის, რა სიმაღლემდისა და განვითარებამდისაც ებრაელებმა მიიყვანეს იგი. ებრაელთა მუსიკა განვითარდა პოეზიასთან ერთად. პოეზიასთან ერთად მუსიკა თავის დასაბამს იძიებდა ღვთაებაში და პირველყოვლისა ღვთაებას ემსახურებოდა.

ღვთის დიდება, ღვთის მიმართ ვედრება და სამადლობელი ღალადისი შესაძლებელი იყო მხოლოდ ორის ღვთაებრივის ხელოვნების – მუსიკისა და პოეზიის ერთმანეთის დახმარებით, ასე რომ მუსიკა, უნინ, ასე ვსთქვათ, ხელოვნებაზედ უფრო მაღლა იდგა, რადგან იგი იყო ღვთის სამსახურო და არა გამართობელი ხელოვნება, ესტეტიკა კი არა, სარწმუნოება იყო მისი ზემოთმაგონებელი ქრისტიანთა მუსიკის სარწმუნეობრივი შინაარსი, სასტიკი ჰანგები პირდაპირი შთამომავალია ებრაელთა მუსიკისა. საბერძნეთის ხელოვნებამ მოგვცა გარეგანი სიმშვენიერე და წყობილება. აი, ამ მუსიკის ზეგავლენის წყალობით დღევანდელმა საეკლესიო გალობამ მოიპოვა ის საღმრთო ძლიერება, რომელსაც ვგრძნობთ ხოლმე ეკლესიაში ამ გალობის მოსმენით. ქართული საეკლესიო გალობა უდრის სლავიანურსა და პროტესტანტულს დიდებულობითა, მუსიკალურის ენის ძლიერებით. ქართულის საეკლესიო გალობის განსაკუთრებულ თვისებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ გალობაში ხშირია სამგვარ სათვალავის ტაქტები და სხ. სხვადასხვა საგალობელის მელოდიის რითმიული სიმდიდრე აგებულია ხალხის სიმდიდრის მელოდიების საფუძველზედ. აქედამ შეტანილ იქნა საეკლესიო გალობაში სახალხო ელემენტები: სიმარტივე, ჰარმონიული შეერთება სამის ხმისა, მწყობრი მელოდია. აი, ეს თვისებანი აერთებენ საერო გალობას საეკლესიოსთან.

დიდი შრომა დასჭირდება იმას, ვინც მოინდომებს ჩვენის საეკლესიო გალობის შემუშავებას. იგი უნდა ეცადოს იმოქმედოს თავისუფლად, არ შეიქმნეს ყურმოჭრილი მონა დაძველებულის კომპოზიციის იარაღებისა, მაგრამ, ამასთანავე უნდა კარგად იცოდეს ძველი კანონი და რიგი, რათა დაიცვას წმინდა და სასტიკი ჰარმონია ჩვენის გალობისა. კარგი ცოდნა უნდა ჰქონდეს საზოგადოდ ჩვენის ძველის მუსიკისა განსაკუთრებით იმას, ვინც მოინდომებს ახალის ელემენტების შეტანას ჩვენს გალობაში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი გალობა სამის ხმისათვის არის დაწერილი, მეოთხე ხმის შემოღება ამ გალობაში სრულიად ახალია. ბ-ნი ბენაშვილი მოთავსა ამ საქმისა და მართალი უნდა ვსთქვათ, კიდევ გაიმარჯვა, თავისს აზრს მიაღწია კიდევ. მუსიკალურ აზრთა სიახლე, სინამდვილე და მწყობრი მელოდიები არათუ არ მოსპობილა, წინააღმდეგ, უფროც გაძლიერებულია. მეოთხე ხმის, ტენორის შემოღებას არავითარი ზიანი არ მიუცია ძველ საგალობელთა მწყობრის ჰარმონიისათვის. თუმცა კი გალობის ფორმა შეცვლილია, მაგრამ მთავარი აზრი, შინაარსი, თვით მუსიკალური მოთხრობა მეტად კარგად არის დაცული. კომპონისტს აზრის ძლიერება მეტად ძვირფასად მიაჩნია, მას უფრო ფასსა სდებს და ამიტომაც არის, რომ შეხორცებული, ძველი ახალთან, მსმენელზედ კარგადაა ჰმოქმედებს. შეიძლება ჩვენი ცხოვრების პატრიარხულის წესწყობილების დამცველებმა ღვთის გამოხად მიიღონ მეოთხე ხმის შემოღება, მაგრამ ამ აზრს ვერას დროს ვერ დავეთანხმებით, რადგან დიდი შეცდომა იქნება იგი. ხალხი განვითარდა, ჩვენი გრძნობები და აზრები, მისი ჰარმონია თუ გველაპარაკება მშობლიურს ენაზედ, მოგვითხრობს ისე არა, როგორც თხოულობს ჩვენი არსება, ამიტომაც ძველი საეკლესიო გალობა სავსებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ამ სფერო-

ში. აი მიზეზი, რადაც სიამოვნებით ვეგებებით ბ-ნ ბენაშვილის დაუფასებელს შრომას და ვუსურვებთ მომავალშიაც გამარჯვებას და წარმატებას მისს ჩინებულს დაწყობილებას. ჩვენა გვნამს, რომ მისი ახალი აზრი ნათელს მოჰფენს ჩვენს ძველს მუსიკას.

ი. კარგარეთელი

237. ივერია, 1897, 11 თებერვალი, №22, გვ. 2

ქ. ოზურგეთი. 26 იანვარს განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების წლის თავზედ ოზურგეთის ტაძარში ამ ტაძრის მღვდლებმა დ. დუმბაძემ, მ. სიხარულიძემ და გალოგრემ, სხვების თანაშემწეობითაცა, განსვენებულის ნათესავის მ. ჯ. თაოსნობით, გარდაიხადეს პანაშვიდი. ამ ღვთისმსახურებას საზოგადოება მრავლად დაესწრო და მათ შორის ოზურგეთის ქალაქის მოურავი თ. თავდგირიძე, ხმოსნები, თავადაზნაურობა და სხვ. ამ დღესვე ბ-ნი ქორიძის ხორო ქართულად ჰგალობდა ეკლესიაში.

საკვირველია მხოლოდ ერთი რამ, და ეს ერთი რამ ის არის, რომ ბ-ნს ქორიძეს თავისი გალობა არ დაუმთავრებია. მიზეზი ამისა, თუმცა ბევრი გამოვიკითხეთ, ვერა გავიგეთ რა, და კარგი იქმნებოდა, რომ იგი გამომჟღავნდეს.

238. ივერია, 1897, 20 თებერვალი, № 30, გვ. 4

ბ-ნო რედაქტორო,

გაზ. „ივერიას“ მე-22 №-ში შესახებ ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის პანაშვილის ოზურგეთის ეკლესიაში 26 იანვარს გადახდის შესახებ შესანიშნავი ნათქვამი იყო, რომ „ბ-მა ქორიძემ თავისი გალობა არ დაამთავრა და მიზეზი ამისა ვერ გავიგეთ“. წარსულის 1896 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში გავლით ვიყავი ქ. ოზურგეთში, საკრებულო ტაძრის სამღვდლოებამ მიმინვია და მთხოვა, რომ ხსენებულ ტაძარში მეგალობნა ჩემ მიერ ნოტებზედ გადაღებული წირვის გალობა იოანე ოქროპირისა. ორის თვის განმავლობაში სრული წირვის გალობა მოვამზადე და ათ ნოემბრიდგან აქამდე, ხორო გალობს ყოველ კვირა და უქმე დღეებში. დანარჩენ საგალობლების შესახებ არც დავალება მქონია ვისმესგან და მასადაამე, არც უფლება და არც ქონებრივი საშუალება, რომ კიდევ სხვა საგალობლების მომზადება განმეგრძო. ჯერჯერობით ვსთხოვ, ბ-ნ კორესპოდენტს, დაკმაყოფილდეს ამ მოკლე პასუხით, დაწვრილებით და დალაგებით გარემოება ამ საქმისა თავის დროზედ მოხსენდება.

ფ. ქორიძე

ახალი ამბავი

ორიოდე სიტყვა ქართული გალობის შესახებ. ამ დღეებში გარდაიცვალა ფრიად პატივცემული ქართველი. დასაფლავების წესი ქართულად იქმნა შესრულებული; მხოლოდ ჭირისუფალნი გაჭირვებულნი იყვნენ მგალობელთა შოვნაზე და, მგონი, ძლივს შეკრიბეს აქა-იქ ორიოდე კაცი, რომელთა გალობას ცხადად ეტყობოდა, რომ ესენი ხელდახელ შეკრებილიყვნენ, რადგან ხმებს თანხმობა და შემუშავება აკლდა. ამ შემთხვევამ ერთხელ კიდევ აშკარად დაგვანახა, რომ საჭიროა ქართულის მუდმივის ხოროს დაარსება. ამ საგანს უნდა ყურადღება მიაქციონ გალობის სპეციალურ მცოდნეთ, როგორც, მაგალითად, არიან მამა ალექსანდრე მოლოდინაშვილი, მამა ვას. კარბელაშვილი, მამა იოს. ჩიჯავაძე, ბ. ბ. ნიკ. ბერიშვილი, ზაქ. ჩხიკვაძე, იოს. მონადირაშვილი და სხვანი. სავაგლახო საქმეს, რომ სასიხარულოდ გადააქცევდნენ, ამაზე მთელი ტფილისის ქართველობა და სხვანიც დიდს მადლობას გარდუხდიდნენ. ამ პატივცემულ პირთ რომ ერთმანეთს ძმურად ხელი გაუწოდონ, შეადგინონ სრული გუნდი კარგის ხმებით ისეთის პირებისაგან, რომელთაც სურვილი აქვთ სულით და გულით მოეკიდონ ამ საქმეს, დარწმუნებულნი ვართ, მაშინ ტფილისში სამაგალითო ქართული მგალობელთა გუნდი გვეყოლებოდა. ამ სასურველს საქმეში საჭიროა, რომ თბილისის სამღვდელთა ჩაერიოს და მატერიალურად დაეხმაროს. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამრიგად, ყველა ეკლესიამ, საცა ქართული წირვა არის ხოლმე, წლიურად თითო თუმანი რომ გამოიღოს, შესდგება თითქმის თხუთმეტს თუმნამდის, რომელიც ჯამაგირით უნდა დაენიშნოს იმ პირთ, რომელნიც გუნდში მიიღებენ მონაწილეობას. გუნდი მოვალე იქნება რიგით ანუ ჯერით იგალობოს მთელი წლის განმავლობაში იმ ეკლესიებში, რომელნიც არ დაიშურებენ თავისი წვლილი გამოიღონ ამ კეთილის საქმისათვის.

როცა საზოგადოება გაიგებს, რომ ასეთი დახელოვნებული გუნდი არსებობსო, ამ უკანასკნელთ ხშირად მიიწვევენ ქორწილებში, მიცვალებულზე, პანაშვიდზე და სხვა. და ამით იმათი შემოსავალი ძალიან წინ წაიწეოს. მხოლოდ, ამასთანავე, გუნდისთვის საჭიროა, თავისი კასსა იქონიონ და შემოსავლიდან თითო გროში გადასდონ ტანისამოსის შესაძენად და გუნდის სხვადასხვა საჭიროებისათვის. ამასთანავე, როცა გუნდი დახელოვნდება, უეჭველად, ყოველწლივ, დიდმარხვაში ერთ-ორს სასულიერო კონცერტსაც გაჰმართავს და ამით განაძლიერებენ თავიანთ კასსასაც და გუნდის მატერიალურ მდგომარეობასაც. როდესაც გუნდის მეთაურები კასსას შეატყობენ, რომ მკვიდრს ნიადაგზედა სდგას, მაშინ ეკლესიები განთავისუფლდებიან წლიურ გარდასახადისაგან და გუნდში მონაწილეთაც ჯამაგირები მოემატებათ. რაკი ჯამაგირი იქნება დანესებული, მაშინ გუნდში ისეთი პირებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაც სიმღერა გალობის ნიჭიცა აქვთ, კარგი ყურთა სმენაც და ამასთანავე, ესმით მნიშვნელობა და ხასიათი ქართული გალობა-სიმღერისა, და რომელნიც ეხლა სხვადასხვა ადგილებში არიან დაფანტულები დღიურ სარჩო-საბადებლის მოსაპოებლად. ვინც სურვილს გამოაცხადებს გუნდში მონაწილეობის მიღებისას, ჩვენის აზრით, ერთი წელიწადი უნდა უსასყიდლოდ იმსახურონ გუნდში, რომ კარგად შეისწავლონ გალობა და მხოლოდ მას შემდეგ მონაწილედ შეიქმნენ მოგებისა.

გარდა ამისა, ბატონნი მეთაურნი ამით გაავრცელებენ ქართულს გალობას ახალგაზრდათა შორის; ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ ზემოდ დასახელებულნი პატივცემულნი პირნი დროისით შეუდგნენ ამ საჭირობოროტო საქმეს, შეთანხმდნენ, მორიგდნენ და ერთობის მეცადინეობით დაამკვიდრონ ჩვენში ქართულ მგალობელთა გუნდი. ჩვენ დარწმუნებულნი

ვართ, რომ ქართველი საზოგადოება ამ საქმეს უყურადღებოდ არ დასტოვებს; პირიქით, სიხარულით მიეგებება და უეჭველია, მატერიალურადაც დაეხმარება.

მან. იბ.

240. ცნობის ფურცელი, 1897 წ, 26 თებერვალი, № 126, გვ. 3

ახალი ამბავი

ოზურგეთი. ხალხური სიმღერების ნოტებზე გადალება. ფრიად საინტერესო და სიმპატიური კომიტეტი შესდგა ოზურგეთში. ამ კომიტეტს აზრად აქვს შეჰკრიბოს ჩვენი ხალხური სიმღერები და ეროვნული საგალობლები ნოტებზედ გადაიღოს და მით ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენის ერის საუნჯე, მრავალის საუკუნოების ნაყოფი და წინაპართაგან გადმოცემული. კომიტეტი, თვისის აზრის განსახორციელებლად, აგროვებს საჭირო ფულს. ნოტებზე გადალება სიმღერა-საგალობლებისა იკისრა ჩვენმა პატივცემულმა მაგალობელმა ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ყველა მამულიშვილი სიამოვნებით და აღტაცებით მიეგებება ოზურგეთელების ამ განზრახვას და, შეძლებისადა კვალად, დახმარებას აღმოუჩენს. კომიტეტის თავმჯდომარედ ბრძანდება ოზურგეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი, პატივცემული თ. სვ. გუგუნავა, ხოლო წევრებად იმავე კომიტეტისა: ოზურგეთის მაზრის უფროსი კონ. ზ. ალშიბაია, ქალაქის მოურავი თ. ნ. თავდგირიძე, საკრებულო ტაძრის მღვდელი მამა დავით დუმბაძე, მაზრის მმართველის თანაშემწე ალ. გამრეკელი და გურიანთის ბოქაული ბეს. იოსელიანი.

241. ივერია, 1897, 5 მარტი, № 40, გვ. 2

ქუთაისი. თითქმის ორი წელიწადია, ქუთაისელებს, თუმცა ქართული წირვა-ლოცვა გვაქვს, მაგრამ მოკლებულნი ვართ ქართულს გალობას. მხოლოდ საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლე ქალთა გუნდი ხანდისხან თავისის მშვენიერი მწყობრის ოთხ ხმაზედ დაყენებულ ა. ბენაშვილის გალობით გვატკობს ხოლმე. დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მაგალობელნი ქალნი, ეგრეთვე მმართველობა სასწავლებლისა.

242. ცნობის ფურცელი, 1897, 9 მარტი, № 137, გვ. 2

ახალი ამბავი

ქართლ-კახური საეკლესიო საგალობლები ნოტებზედ. პატივცემული მ. ვასილ კარბელაშვილი, როგორც მოეხსენება მკითხველს, დიდი ხანია იღწვის ქართლ-კახურის საეკლესიო საგალობლების ნოტებზედ გადაღებას. ესლა, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მ. ვა-

სილ კარბელაშვილს კეთილი სურვილი უკვე სისრულეში მოუყვანია – ნოტებზედ გადაუღია, აბეჭდინებს კიდეც ლიტოგრაფიაში და ამ მოკლე ხანში ქართველს საზოგადოებას წარუდგენს კეთილად დამთავრებულს საქმეს. სწორედ, დიდად საჭირო და სასარგებლო იყო აქამდისაც ნოტებზედ გადაღება საეკლესიო საგალობლებისა, რადგანაც რაც დრო გადის მით უფრო ავიწყდება ხალხს და ამგვარად, ეს ძვირფასი განძი სრულიად შეუმჩნევლად ეცლება ხელიდამ. ამას გარდა, კარბელაანთ გვარი მხოლოდ ერთადერთი გვარია მთელს ქართლში, რომელშიც სისრულით დარჩენილია ქართული საეკლესიო გალობა და, რასაკვირველა, ამისთანა კაცისაგან ნოტებზე გადაღება მით უფრო საჭირო იყო, რომ საზოგადოთ ქართლში და კახეთში საეკლესიო გალობა ძალიან მივიწყებულია და ახლა, რასაკვირველია, ნოტების დახმარებით ეს ნაკლი შეივსება და გალობაც გავრცელდება.

243. ცნობის ფურცელი, 1897, 16 მარტი, № 144, გვ. 2

ახალი ამბავი

* * *

ქართული საგალობლების ბეჭდვა. 9 მარტს, „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი იყო, რომ იბეჭდება ქართლ-კახური საეკლესიო გალობა კარბელაშვილების კილოვო. დღეს ქართველ საზოგადოებას ვახარებთ, რომ რამდენიმე საგალობელი უკვე მზად არის, რომლებიც დაბეჭდილია მეტად სუფთად და ლაზათიანად. მ. ვასილ კარბელაშვილი თვისის ჩვეულებრივის გულმოდგინებით ცდილობს, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაიბეჭდოს რიგზე მიყოლებით: მწუხრი, ცისკარი, ნირვა და სხვ.

იმედია, შრომის მოყვარე და დაუღალავი პატივცემული მ. კარბელაშვილი ჩქარა გვალირსებს, ვიქონიოთ ჩვენ სახლში ყველა ქართველისთვის სანუკვარი და სასიქადულო გალობა, ნოტებზე გადაღებული, რომელიც ცხადათ გვიხატავს ჩვენს წინაპართა დინჯს, დარბაისელს და აუჩქარებელს ხასიათს. ფრიად დიდი მადლობის და ქების ღირსია პატივცემული მ. ვასილ კარბელაშვილი, რომელიც დაუდგრომლად შრომობს გალობის გასავრცელებლად და ამ კეთილი საქმის კეთილად და ჩქარა აღსრულებაში მოსაყვანად არა ზოგავს არცა თვისის ჯანის სიმრთელეს – მთელს ღამეებს ათენებს ნოტების წერა-სწორებაში – და არც მატერიალურ ხარჯს.

დიდი მადლობის ღირსია, აგრეთვე, ბ-ნი მ. ი. დემუროვი, რომელიც მ. კარბელაშვილის მიერ დანყობილ საქმეს თანაგრძნობის ნიშნად ყველაზე იაფად, ამასთან მეტად სუფთად და ლაზათიანად ჰბეჭდავს თვისს ლიტოგრაფიაში ნოტებს. ბ-ნი დემუროვი, როგორც ნამდვილი ქართველი კაცი, გულწრფელი სიყვარულით და სიხარულით მიჰგებებია ამ სასახელო საქმეს და მიუხედავად იმისა, რომ ლითოგრაფიაში სხვა საქმეებიც ძალიან ბევრი აქვთ, მაინც ნოტების ბეჭდვას მომეტებულად აჩქარებს – ბევრს საქმეს უკან აყენებს და გვპირდება, აღდგომის მერე, ერთს კიდეც მოვიწვევ ნოტების ქვაზედ ამომჭრელს, რომ უფრო ჩქარა გამოვიდეს გულის და სმენის დამამშვიდებელ-დამატკობელი მწყობრი ქართული გალობაო.

ტოტი

წერილი რედაქციის მიმართ

ამა წლის „ივერიის“ მე-40 №-ში დასტამბულია ქუთაისიდგან გამოგზავნილი შენიშვნა, რომლის ავტორიც ამბობს: „თითქმის ორი წელიწადია, ქართულს გალობას მოკლებულნი ვართ ქუთაისელებიო“ და სხვ. ეს შენიშვნა გაკვრით მე შემეხება და ამისათვის, ვისწრაფი ვაცნობო მკითხველთ საქმის ნამდვილი გარემოება.

მე, ამ სტრიქონების დამწერი, მიწვეული გახლავართ არქიელის რუსულ ხოროს ლოტბარად (ქართულ მგალობელთა გუნდიც არის, რომელიც დროგამოშვებით, როგორც წინად, ეხლაცა ჰგალობს) და მაშასადამე, ჩემს პირდაპირს მოვალეობას შეადგენს რუსულის გალობის განყოფილება. მეორეს მხრივ, ზნეობრივად ვალდებული ვარ ქართულს გალობასაც მივაქციო ყურადღება. სწორედ ასეც ვიქცევი. სულ ერთ წელიწადზე ცოტა მეტია, რაც არქიელის ხოროს ლოტბარადა ვარ და ამ დროის განმავლობაში მოუხდი პირდაპირ მოვალეობის აღსრულებას, ე. ი. რუსულის გალობის ცოტად თუ ბევრად რიგაწინად დაყენებას. მოგეხსენებათ, რომ ყოველ ახალ საქმეს ბევრი შრომა უნდა, ყველას თავისი გემოვნება და მიმართულება აქვს და ყოველი კაცი სცდილობს ყოველთვის მის მიერ გაკეთებულ საქმეს თავისივე დალი დაასვას, კარგია იგი თუ ცუდი. სწორედ ამ ჩემს გემოვნებაზედ ხოროს განწვრთნას მოუხდა ეს დროც და ჯერ კიდევ ვერ დამიყენებია ისე, როგორც ეს ჩემთვის სასურველია. ყოველი გამოცდილი და გალობის მცოდნე დამეთანხმება, რომ ეს დრო სრულიადაც ბევრი არ არის ხოროს კარგად განწვრთნისათვის. მეტადრე იმისთანა ადგილას, როგორც ქუთაისია. მაშასადამე, ჯერ მე კაცი ვერ მისაყვედურებს მაინცდამაინც, რატომ ეხლავე ქართული გალობა ვერ შემოიღეო. ამ შენიშვნის დამწერზე არანაკლებ მიყვარს ქართული გალობა და კიდევ ვცდილობ მის შემოღებას. ყველაფერი ერთად არ გაკეთდება. აგერ, თითქმის ერთი წელიწადია, რაც ვშრომობ და მთელი ჩემი თავისუფალი დრო მოვანდომე იმერულს კილოს ოთხ ხმაზედ გადაღებას ბ-ნ ფ. ქორიძის ნოტებიდგან. დავამთავრე კიდევ მღვდელმთავრის სრული წირვის წესი და ეხლახანს დავანყებინე ხოროს მისი შესწავლა. რამდენიმე საგალობელი უკვე შევისწავლე და როგორც ვფიქრობ, მაისამდის სრულად ეცოდინებათ. იმ დროისთვის კი, აზრად მაქვს, გაზეთის შემწეობით მოუწოდო ყოველს ქართულის გალობის მოყვარეს, რათა მოისმინოს – ეს პირველი ცდა რამდენად მოსასმენი იქნება. ეს ჩემი აზრი ხშირად მითქვამს იქაურ ინტელიგენტთა შორის. ბევრმა იცოდა იგი და რამ აიძულა შენიშვნის ავტორი, მაინცდამაინც გაზეთის საშუალებით ეკიჟინებინა – არ მესმის; ის დალოცვილი, ჯერ გაიგებდა და მერე დასწერდა.

ზოგი იმ აზრისაა, რომ ეს გალობა როგორც სწერია, ისე შეასწავლეო, მაგრამ ამ აზრს ვერ დავეთანხმე, რადგან ეს შეუძლებელია ოთხხმოვან ხოროსათვის და თუ მხოლოდ დიდებს შევასწავლიდი სამს ხმაზედ, ეგ ხომ ისევ ის გამოვიდოდა, რასაც არქიელის ქართველ მგალობელთა გუნდი ჰგალობს, და მაშასადამე, ჩვენი შრომა მეტი იქნებოდა, აი ამისათვის გადავიღე ოთხ ხმაზედ და შეძლებისადაგვარად ეროვნული ხასიათიც დაუტოვე, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არას ვიტყვით. ეგ თვითონ მცოდნეებმა განსაჯონ, როდესაც მოისმენენ. თუ იგი მოსაწონი გამოდგა, მაშინ მე აზრად მაქვს ყველა საგალობელი გადავიღო ოთხ ხმაზედ, რომელიც კი დაიბეჭდება.

*ქუთაისის არქიელის რუსულ ხოროს ლოტბარი
მასწავლებელი კორნელი მალრაძე*

წერილი კავკავიდან

ამ თვის 15-დგან კავკავის ქართველობას ეძლევა შეძლება დასტკბეს სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენით. მისმა უწმიდესობამ, კავკავის ეპისკოპოსმა, დართო ნება პატივცემულ მღვდელს ბაკურაძეს, რომ ქართულად აღსრულდეს ღვთისმასახურება აქაურ სასაფლაოს ეკლესიაში. იმისდა მიუხედავად, რომ ეკლესია ცოტა მოშორებით არის, ქართულ წირვა-ლოცვას დანატრებული ქართველობა, მაინც დიდის სიხარულით დაიარება. მაგალითად, კვირას, 16 მარტს იმდენი ხალხი იყო, რომ უადგილობისა გამო, ნახევარზე მეტი იძულებული გახდა გარეთ მდგარიყო და ისე მოესმინა წირვა. კომბილევის ქართველობას სიშორე არაფრად ჩაეგდო (სოფ. კამბილოვკა მდებარეობს 6-7 ვერსის მანძილზედ კავკავიდან და იქ დასახლებულნი არიან საქართველოდგან უადგილობის გამო გადმოსახლებული ქართველები) და ბლომად ამოსულიყვნენ, რომ დიდის ხნით მოწყვეტილნი ქართულ წირვა-ლოცვას, ეხლა მაინც დამტკბარიყვნენ. ბევრ მათგანს სიამოვნებით უბრწყინავდათ თვალები.

წირვის დროს ჰგალობდა აქაური ქართულის სასწავლებლის მოსწავლეთაგან შემდგარი გუნდი, მასწავლებლის ბ-ნ ლ. ბოცვაძის ლოტბარობით. რა თქმა უნდა, აქურ ქართველობის სიამოვნებას აგრძნობინებდა თავიანთის შვილების გალობა, მაგრამ მაინც არ შემოიძლიან გავჩუმდე და არ მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომლის თავიდან აცილებაც დიდად სასიამოვნო იქნება. კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ მათს გალობას და უნდა გამოვტყდე, ვერავითარს წარმატებას ვერ ვამჩნევ. სასურველია, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. მართალია, პატივცემულს ლ. ბოცვაძეს ისეც ბევრი საქმე აქვს, მაგრამ კარგს იზამდა ამ გარემოებასაც ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს. აგრეთვე, არ შემოიძლიან არა ვთქვა, რომ აქაურ ქართველ მასწავლებლებსაც შეეძლოდ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ბ-ნ ბოცვაძისათვის, რომელსაც, როგორც ვთქვით, ისეც ბევრი საქმე აქვს... მართალია, ეს იმათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს, მაგრამ რა სახსენებელია ამისთანა საქმეში „პირდაპირი მოვალეობა“?!

როგორც ამბობენ, ქართული წირვა-ლოცვა მთელს დიდმარხვას გასტანს და იქნება სამუდამოდაც იქნას შემოღებული, თუ კავკავის ქართველობა შეიძლებს საკუთარის საყდრის აგებას. ამჟამად, შინ თუ გარეთ, სულ ამის შესახებ ლაპარაკობენ. საეკლესიო ადგილსაც ასახელებენ (თუმცა არა გადაჭრით). ჩვენის აზრით, ამ საქმეს რიგიანი მოფიქრება უნდა. იმედიცა გვაქვს, რომ ამ საქმის სათავეში მდგომნი რიგიანს ყურადღებას მიაქცევენ, ასწონ-დასწონავენ და საქმეს ისე მოჰკიდებენ ხელს.

კახელი [კოტე ანდრონიკაშვილი]

ახალი ამბავი

სუფსა (გურია). ქართულის გალობის გამო. თქვენი აქაური კორესპოდენტი არ უნდა იყოს „სიმართლისათვის დევნილი“. ის ბრძანებს: „ბ. ტუსკია მშვენივრად ასწავლის თავის

მონაფეებს. მშვენივრად იციან მისმა მონაფეებმა როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიც“ („ცნ. ფურცლის“ №161.) მშვენიერების დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა ბ. კორესპოდენტი და, დანარჩენი კი, სიმართლეს მოკლებულია. როდესაც ვკითხე მე: „ყმანვილო, რატომ ხანდახან მაინც არ გაგვაგონებ ჩვენს ეკკლესიაში ქართულ გალობას, ბავშვებს ხომ ისე შეუძლიათ ისწავლონ ქართულიც, როგორც რუსული“ – მეთქი, მიპასუხა: „რა ვქნა, ბატონო, მე ქართული არ ვიცი ისე კარგად, როგორც რუსული ვიცი“. ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართული სრულიად არ სცოდნია, რადგან თვითვე ამბობს ამას. ასე რომ, ტუსკიას მონაფეებმა არა თუ „ქართული კარგად არ იციან“, არამედ ჰგონიათ, რომ არ უნდა იცოდნენ ეს უკანასკნელი.

ელენორა გურიელისა

247. ივერია, 1897, 18 აპრილი, №73, გვ. 4

წერილები რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 57 №-ში „კახელი“ სწერს კავკავიდეგან, სხვათა შორის, ვითომ ის კარგა ხანია თვალყურს ადევნებს ჩემის მოსწავლეების გალობას, მაგრამ ვერავითარს წარმატებას ვერ ამჩნევს, ამიტომ კორესპოდენტი აცხადებს სურვილს, რომ მიექცეს ყურადღება ამ გარემოებასაო.

ჩვენ იმდენათ უფიცი არა ვართ, რომ სამართლიანი და საბუთიანი შენიშვნა საყურადღებოთ არ მივიჩნიოთ, მაგრამ თუ რომელიმე შენიშვნა სიმართლეს მოკლებულია და თუ მას შეუძლიან საქმისა და გარემოების არმცოდნე დააჯეროს, მაშინ კი იძულებული შევიქმნებით პასუხი გავცეთ ამ შემთხვევაში ბ-ნ კახელს და ვამხილოთ იგი, რომ საქმე სრულიად ისე არ არის, როგორც თვითონა ბრძანებს და მაშასადამე, ვერც თვალ-ყური უდევნებია კარგად გალობისა და მისის წარმატებისათვის. ჩვენ ძალიან იშვიათად მოგვიხდება ხოლმე საჯაროდ გალობა მონაფეებით, ისიც ამ წლიური აქტის დროს სკოლაში და ერთხელ თუ ორჯერ ეკკლესიაში, წირვაზედ. ამ შემთხვევისათვის, ყოველთვის, შეძლებისდაგვარად, მომზადებული გვყავს მონაფეთაგან ხორო და ვაგალობებთ ისეთს საგალობელს, რომლის გალობაც უნაკლულოდ შეუძლიათ. ამ სამის წლის წინად, 14 იანვარს, როცა მწირველი ბრძანდებოდა მისი მეუფება კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსი ვლადიმირი, რუსულ ხოროსთან ჩემის სკოლის მონაფენიც გალობდნენ ქართულად. მღვდელმთავარს ქართული გალობა მოეწონა და ქადაგების დროს, სხვა შორის უთხრა შეკრებილს ქართველობას, რომ თქვენთან ერთად, მეც მოხარული ვარ, რომ თქვენი შვილები დედაენაზედ ასე მწყობრად ადიდებენ ღმერთსაო. ხალხსაც კარგა მოეწონა მონაფეების გალობა. ორის წლის წინად, როდესაც საჯაროდ გაკვეთილებს ვაძლევდი სკოლაში ბ-ნ სახალხო სკოლის დორექტორისა, ინსპექტორებისა და მასწავლებელთა თანდასწრებით, გაკვეთილების შემდეგ, მონაფეები გამოცდილ იქმნენ გალობაში და ასე ჩასწერეს მზრუნველთა მოხსენებაში: „Вполне удовлетворительным найдено и стройным гармоничное пение на русском и грузинском языках“ (იხ. „ცირკულიარი კავკავსიის სამოსწ. ოლქის მზრუნველისა“ №8, 1895 წ.). შარშანდელი შენიშვნები, რომელიც შეეხება გალობის საქმეს და რომელიც ჩაწერილია სკოლის სარევიზიო დავთარში ინსპექტორისა და დირექტორის მიერ, იმასვე ამტკიცებენ, რომ გალობის საქმე შარშანაც კარგად ყოფილა

დაყენებული. წელს, უკანასკნელად მარტში მომხდარ რევიზიის დროს ბ-ნმა ინსპექტორმა, როცა მოისმინა რამდენიმე საეკლესიო და საერო საგალობელი და სიმღერა, ამნაირი აზრი ჩაწერა სარევიზიო წიგნში: „Пение ведется в методическом отношении правильно, ученики поют на три голоса довольно стройно“. ხალხისაგანაც ყოველთვის კარგი ხმები გვსმენია გალობის მოსმენის შემდეგ.

კვირას, 30 მარტს, როდესაც უკანასკნელი ქართული წირვა იყო შესრულებული სასაფლაოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ რამდენიმე ქართველი და სომხებიც მოვიდნენ ჩემთან და მადლობას მიცხადებდნენ ხოროს კარგად განვრთნისათვის. ეს ზემოთ მოყვანილი ცნობები სრული საბუთი უნდა იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში, გალობის საქმე ყოველთვის სასურველად და რიგიანად ყოფილა დაყენებული. აქედგან ჩანს, რომ ერთსა და იმავე საგნის შესახებ ზემოთ ნაჩვენებნი სხვადასხვა აზრისანი არიან და ბ-ნი კორესპოდენტი კიდევ სხვა აზრისა არის. რა საკვირველია, ყველას უფლება აქვს თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ ის სასურველია, რომ კორესპოდენტმა თავისი აზრიც გარკვევით წარმოსთქვას. მაგალითად, კახელს რომ ეთქვა – ყველა საგალობლებს, რაც საჭიროა წირვა-ლოცვის დროს, ვერ ჰგალობენო, – ჩვენც დაუჯერებდით, რადგანაც ამის საჭიროება, ამაზედ მოცდენა, დღემდის საჭიროდ არ მიგვაჩნდა. ამის შემდეგ კი, თუ ღმერთმა ინება და კავკაველ ქართველებს მიეცათ შეძლება თავიანთ დედაენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენისა სამუდამოდ, მაშინ სრული იმედია, საგალობლების მეტი რიცხვი შესწავლაც ადვილად მოხერხდება და მუდმივი ხოროს დაარსებაც. მაშინ, იმედია, ბ-ნი კახელიც ხელს შეგვიწყობს გალობის საქმეში, რადგანაც, როგორც ეტყობა, გალობის მოყვარულიც ყოფილა და მისი ავ-კარგის მცოდნეც. დღეს კი, სრულიად უსაფუძვლო იქნება მოითხოვოს კაცმა ისეთი ხორო, ისიც პატარა მონაფეთაგან შემდგარი, რომელიც ყველაფერს უნდა გალობდეს. ისიც უსამართლობა უნდა იყოს, რომ უსაბუთოდ უკიჟინოს ვინმემ მასწავლებელს, რომ გალობას წარმატება არ ეტყობაო, როდესაც ამ შრომას მასწავლებელი სკოლაშიც და სკოლის გარეთაც თითქმის სრულიად უსასყიდლოდ ეწევა და საქმეც, ასე თუ ისე, რიგიანად აქვს დაყენებული.

ლ. ბოცვაძე

248. ცნობის ფურცელი, 1897, 23 აპრილი, №176, გვ. 3

ახალი ამბავი

ქ. გორი. ქართული გალობა. ოთხშაბათს, 16 აპრილს, აქ ბ-ნმა ვ. მჭედლიშვილმა ჩამოიყვანა ქართული ხორო, რომელმაც კონცერტი გამართა. ხოროს ლოტბარობდა ბ. კავსაძე, რომელიც ხელოვნურად და სისრულით ასრულებდა თავისს საქმეს. კონცერტმა ფრიად კარგად და მწყობრისად ჩაიარა. საზოგადოება ძლიერ ცოტა იყო, რის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ავდრიანი და წვიმიანი დღე. მაგრამ „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმება“. განა არ შეიძლებოდა, რომ ავდარს ვერ დაეშალა! საქმე ის არის, რომ გორელები მუდამ ესე გულგრილად ექცეოდნენ გონებითი და ესტეტიურ გასართობს.

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-69 №-ში ახალ ამბავთა შორის დაბეჭდილი იყო შემდეგი: „ეს ორი წელიწადი იქნება, რაც ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში ქართული გალობა აღარ გაგვიგია. ამ ორის წლის წინად კი გალობდნენ ქართულს ენაზედ თომა ასათიანის ლოტბარობით ყოველს უქმე-დღესასწაულში, რითაც დიდად სტკებოდნენ მსმენელნი და ხშირად დადიოდნენ ეკკლესიაში. ახლა-კი, აგერ ორი წელიწადია ქართული გალობა აღარ გაგვიგონია. ამ დღესასწაულებში შეგროვდნენ ბაზაზის შეგირდები და დაიწყეს ქართული გალობა, მაგრამ იმდენად უცოდინარნი არიან, რომ სრულიად ამახინჯებენ საგალობლებს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამ ეკლესიის ახლად დანიშნული მოძღვარი, მამა მიხეილ ბერძენიშვილი მოიწადინებდეს ქართულად გალობის საქმეს.“ ამ სიცრუემ მე, წმ. მარინის ეკკლესიის მოძღვრად ნამყოფი, ძალიან გამაოცა, მით უმეტეს, რომ დამწერს, რიგორც ეტყობა, არაფერი არა სცოდნია იმ საგნისა, რომელზედაც სწერს.

ავლაბარში, წმ. მარინეს ეკკლესიასთან დავაარსე სამრევლო სკოლა 1886 წ. და მოვიწვიე მასწავლებლად თომა ასათიანი, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა წმინდა საქმეს სწავლისას. ჩემი პირველი და უგულისათდესი თხოვნა ის იყო, რომ უმანკო ყრმათათვის ესწავლებინა ქართული საეკლესიო გალობა და შეედგინა ხორო. ეს ჩვენი წადილი ასრულდა და 1888 წ. თომა ასათიანმა შეადგინა ხორო მოსწავლე ყრმათაგან, რასაკვირველია, წმ. მარინეს სამრევლო სასწავლებელში მყოფთაგან.

თომა ასათიანმა დაჰყო მასწავლებლად 1890 წლამდე, იმას შემდეგ მასწავლებლად დანიშნულნი იყვნენ, გაგუნაშვილი, მერე პართენ ცაგარელი (გალობა იცოდა), შემდეგ, ჩიხლაძე და ამას შემდეგ, ივანე შუაქრიშვილი, რომელიც ეხლაც არის მასწავლებლად. ეს მეოთხე წელიწადია იმ ყმანვილებმა, რომელნიც თომა ასათიანის დროს გალობდნენ ეკკლესიაში, მართალია, შეასრულეს სწავლა და სხვადასხვა სასწავლებლებში გადავიდნენ, მაგრამ ეკკლესიაში გალობისათვის თავი არ დაუნებებიათ და გალობის შესწავლა არ შეუჩერებიათ. ვიდრე ესენი თვითმყოფად დაიწყებდნენ გალობას, წმ. მარინეს ეკკლესიაში ბ-ნ დ. დავიდოვის ან ექსარხოხის კანცელარიის მმართველის თანაშემწის, ლოტბარობით გალობდნენ სემინარიის მოსწავლენი. შემდეგ გიორგი ურმანიშვილის ხელმძღვანელობით გააუმჯობესეს წირვის გალობა და ხელმეორედ დაიწყეს წმ. მარინეს ეკკლესიაში გალობა სწორედ იმ ყმანვილებმა, რომელნიც თომა ასათიანის დროს გალობდნენ და მისგანვე ჰქონდათ საეკლესიო გალობა შესწავლილი. ეს გალობა ჰსუფევდა ავლაბრის წმინდა მარინეს ეკკლესიაში მანამდის ვიდრე მარტის ამა 1897 წ. პირველამდე და მგონი ეხლაც. ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში რომ ქართული გალობა არ შეწყვეტილა დღევანდლამდე და ამ ბოლო ორს წელიწადს უფრო განკარგებულა. ამას დაამტკიცებს მთლად ავლაბრის ქართველები. გარდა ამისა, წმ. მარინეს ეკკლესიის ხოროს რომ სხვა ქალაქის ეკკლესიებშიაც უგალობნიათ, ეს ცხადია ბევრისათვის. აი, ნამდვილი და ჭეშმარიტი ცნობები ქართულის გალობისა ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში.

შენიშვნის დამწერი, მგონი, არც კი ყოფილა ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში წირვაზედ და შეიძლება კიდევ, რომ არც კი იცოდეს რაფერისაა იგი, თორემ მაგას არ დასწერდა. რა უნდოდა იმით ეთქვა, ჩემი დამცირება ჰქონდა განზრახული, თუ ახალის მოძღვრისა, ან იქნება სხვისის შრომის ჩაფუჩეჩება, შემდეგში საბარაქალოდ.

**ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიის მოძღვრად
ნამყოფი მღ. სოლომონ შიოშვილი**

^{*)} ეს შენიშვნა ჩვენ ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიის მრევლთაგანისაგან მოგვივიდა.

რედ.

250. ცნობის ფურცელი, 1897, 12 მაისი, №195, გვ. 2

* * *

სუფსა. (გურია) მგალობელთა გუნდი. ამას წინად, აქ ჩამობრძანდა მგალობელი ბ. ქორიძე და ყველამ უმორჩილესად სთხოვა მას, რომ გალობა გვასწავლეო. ბ. ქორიძემ ეს თხოვნა შეინყნარა და გულმოდგინეთ დაუნყო სწავლება მსურველთ. მოწაფენიც ისე გულმოდგინეთ შეუდგნენ გალობის შესწავლას, რომ იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად და ერთგულად იძახიან: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დოს; რა თქმა უნდა, ბ. ქორიძე ასწავლის ნოტებით; აგრეთვე, აზრადა აქვს ბ. ქორიძეს, რომ სხვაგანაც გავემგზავრები ამ ხოროთი, რადგანაც კონცერტსაც ვასწავლიო; სწორედ დიდი მადლობის ღირსია ბ. ქორიძე, რადგანაც ავრცელებს ქართულს გალობას ხალხში.

251. ივერია, 1897, 28 მაისი, № 102, გვ. 4

ბ-ნ ლ. ბოცვაძის პასუხად

„ივერიის“ მე-73 №-ში ბ-ნი ლ. ბოცვაძე ჩემს შენიშვნას (№ 57) „სიმართლეს მოკლედ ბულს“ უწოდებს და დასძენს, რომ „გალობისთვის თვალყური კარგად არ უდევნებია, თორემ ასე უადგილო შენიშვნას არ მოგვცემდაო.“ აქედან ის დასკვნა გამოდის, ვითომ მე არავითარი საბუთი არა მქონდეს და მხოლოდ ბ-ნ ბოცვაძის დამცირება მდომებოდეს. ვიდრე ჩემს გასამართლებლად ვიტყოდე რასმე, საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ მე ბ-ნ ლ. ბოცვაძესთან არავითარი ცუდი დამოკიდებულება არცა მქონია და არცა მაქვს, პირიქით, დიდს პატივსაცა ვცემ, როგორც მასწავლებელს, რომელსაც დიდი ღვანლი მიუძღვის როგორც აქაურის ქართულის სკოლისა, აგრეთვე წერა-კითხვის გავრცელების საქმის წინაშე. რაც შეეხება მის მოწაფეთაგან შემდგარ ხორის გალობას, იმასვე გავიმეორებ, რასაც ვამბობდი ჩემს შენიშვნაში ე. ი. გალობის საქმე ისე ვერ არის დაყენებული, რომ შესაძლებელი იყოს ვთქვათ: „სასურველად და რიგიანად არის დაყენებული“, როგორც თვით ბოცვაძე ამბობს. ჩემი საბუთები სხვადასხვა ცირკულიარიდან არ იქნება ამოღებული, არამედ მცირედიოც დავკმაყოფილდები.

ბ-ნ ლ. ბოცვაძის მიერ შემდგარი ხოროს გალობა პირველად, ამ ორი წლის წინად მოვისმინე, სახელდობრ წმ. ნინობას, ძველ საკათედრო ტაძარში, მაშინ ხოროს ბევრი არაფერი მოეთხოვებოდა, მაგრამ მაინც კარგად იმოქმედა ყველაზე, მათ შორის ჩემზედაც; რასაკვირველია არა იმიტომ, რომ გალობა უნაკლულო ყოფილიყოს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ყველას იმედი გვექონდა, შემდეგში გალობის საქმე გაცილებით უფრო კარგად წავიდოდა. მას შემდეგ რამდენჯერმე მოვისმინეთ, მაგრამ სამწუხაროდ წარმატება ძლიერ ნაკლებად

ეტყობოდა. ამ წლის იანვრის 14, ნინოობასვე, სკოლის დარბაზში გამართული იყო „სალამო“ ბუნდოვანის სურათებით. სურათები, განსაკუთრებით საღმთო წერილიდან იყო აღებული და ყოველის სურათის ჩვენებას მოსდევდა შესაფერი გალობა, მონაფეთაგან შემდგარის ხოროსი, რომელსაც ჰლოტბარობდა თვით ბ-ნი ბოცვაძე. ჩემთან ერთად ყველამ შეამჩნია, რომ გალობა ვერ იყო მწყობრი. წარსულს მარტში, როდესაც მღვდელმთავარმა დართო ნება ქართულად წირვა-ლოცვისა, აგრეთვე რამდენჯერმე მოვისმინე, მაგრამ უნდა გამოვტყდე, მწყობრად ვერა გალობდნენ. საზოგადოებაში გაისმოდა ჩივილი და უმეტესობა იმ აზრის იყო, რომ სასურველად ვერ გალობენო. მე მგონი, ეს საკმაო საბუთები იყო კორესპონდენტისათვის ის შენიშვნა მიეცა, რომელსაც ბ-ნი ბოცვაძე „სიმართლეს მოკლებულს“ უწოდებს.

რა თქმა უნდა, არავითარი საბუთი არა მაქვს არ ვერწმუნო ბ-ნი დირექტორისა და ინსპექტორის შენიშვნებს, რომლებითაც ბ-ნი ბოცვაძე თავს იმართლებს, მაგრამ მაინც არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო საზოგადოებრივ აზრსაც, რომელიც არ შეიძლება მცირე სიმართლეს არ შეიცავდეს... მართალია, მე სპეციალისტი არა ვარ და არცთუ გალობის დიდ მცოდნედ მიმაჩნია თავი, მაგრამ არც იმდენად უვიცი ვარ, რომ მწყობრისა და არამწყობრის გალობის გარჩევა არ შემეძლოს. სრული თანახმა ვარ – უსამართლობაა, რომ უსაბუთოდ უკიჟინოს ვინმემ მასწავლებელს, მაგრამ რა არის ჩვენს წერილში უსაბუთო? ნუთუ ის, რომ საზოგადოების მიერ ხელმონერილი ქალაქი არ წარმოგვიდგენია. რაც შეეხება იმას, რომ ჯაფას თითქმის სრულიად უსასყიდლოდ ვენუოდო, ეს გალობის სიაგ-კარგის გამო-სარკვევად სულ ერთია, თუმცა კი არ მესმის, რას ჰნიშნავს სიტყვა „თითქმის“. განა ერთისა და იმავეს ღირსების ნივთებს სხვადასხვა ღირსება ექნებათ, თუნდა ერთი ძვირად იყოს ნაყიდი და მეორე იაფად?!

დასასრულ, კიდევ ვიმეორებ, რომ მე პატივცემულ ლ. ბოცვაძის მიმართ არავითარი ცუდი განზრახვა არა მქონია რა, მხოლოდ გულწრფელად ვაცხადებდი სურვილს, რომ გალობას უფრო მეტი ყურადღება მიჰქცეოდა. იქვე, შევნიშნავდი აგრეთვე, რომ ბ-ნ ლ. ბოცვაძეს საკმაო თავისუფალი დრო არა აქვს და სასურველია, სხვებიც დაეხმარებოდნენ მეთქი. აქ არავისთვის საწყენი არა იყო რა, გარდა იმისა, რომ საზოგადო სარგებლობას შეეხებოდა. ამიტომაც, მგონია კორესპონდენტის მოვალეობაა – ამგვარი მოვლენა აღნიშნოს ხოლმე.

კახელი [კოტე ანდრონიკაშვილი]

252. ცნობის ფურცელი, 1897, 28 მაისი, №210, გვ. 1

კომპოზიტორის ა. კორეშჩენკოს მიერ ქართულის ხმების შეგროვება. ჩვენი ძვირფასი სტუმარი, პროფესორი მოსკოვის კონსერვატორიისა, კომპოზიტორი ა. ნ. კორეშჩენკო, რომელიც მონაწილეობას იღებდა 24 მაისს, ჩვენის ახალგაზრდა ნიჭიერის ტენორის ი. კარგარეთელის მიერ გამართულ კონცერტში, საქართველოში იმიტომ ჩამობრძანებულა, რომ ქართული ხმები შეჰკრიბოს და ნოტებზე გადაიღოს. რამდენიმე ხმა უკვე დაუკრა ნიჭიერმა კომპოზიტორმა როიალზე 24 მაისს და დამსწრე საზოგადოებას ისე მოეწონა, რომ „ვასას“ და „ბისის“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ამ ზაფხულს, ბ-ნი კორეშჩენკო, სხვათა შორის, გურიაშიაც აპირობს ნაბრძანებას, რათა იქ შეჰკრიბოს ქართული ეროვნული ხმები. იმედია, გურულები ჩვეულებრივის გულუხვობით დაუხვდებიან და სათანადო დახმარებას

აღმოუჩინენ ამ უცხო სტუმარს, რომელსაც სურს ჩვენი ეროვნული განძი ევროპას გააცნოს. სასურველია, ბ-ნს კორეუმჩენკოს გურიაში, სხვათა შორის, ჩონგურზე დასაკვრელი ხმებიც გააცნონ. იქმნებ, ამ გზით სრულებით არ დაიკარგოს ეს ჩვენი ეროვნული საკრავი. ცნობილს კომპოზიტორს თან დაჰყვება ბ-ნი ხუნდაძე, სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, რომელიც საჭირო ცნობებს აძლევს ბ-ნ კორეუმჩენკოს.

253. ცნობის ფურცელი, 1897, 5 ივნისი, №216, გვ. 3

ახალი ამბავი

სიმღერა, მისი წარმოშობა, მნიშვნელობა და დაფასება ქართველ საზოგადოებისაგან. სიმღერა, როგორც სიტყვა, არის სარკე, რომელშიაც გამოიხატება მთელი შინაგანი სულიერი აგებულობა ადამიანისა და ამისთვის, როგორც სიტყვას, სიმღერასაც ძალუძს გადმოგვცეს და დაგვისურათხატოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა. სიმღერა, თუ არა ვცდები, თავისით არის წარმოშობილი, დამოუკიდებლად ადამიანის სურვილისა; ასე რომ, მის თავდაპირველად წარმოშობაში ადამიანს არ მიუღია მონაწილეობა, როგორც მაგალითად: ცეცხლის გაჩენაში, ორთქლთმავლის გამოგონებაში და სხვა. იგი, ესე იგი სიმღერა, ჯერ კიდევ უწინდელს დროში, ძალაუნებურად აღმოჩნდა ადამიანის გვამიდგან და მხოლოდ ამის შემდეგლა მიუქცევია კაცს ყურადღება და შესდგომია მის შეკეთება-შემუშავებას; მაშ, თუ არა თავისით და სრულიად ადამიანის დამოუკიდებლად, რას უნდა მიენეროს ის შემთხვევა, რომ ზოგჯერ ადამიანი დაღონდება, სიმწუხარეშია კი იმღერს ხოლმე?! მაგალითად, ავიღოთ მთის თუშები; მათში დღესაც ჩვეულებაა: როდესაც რომელისამე ოჯახის წევრი გარდაიცვლება, ჭირისუფალი იღებს ჩონგურს და დამღერს სამგლოვიარო ხმას. სხვისა არ ვიცი და მე კი შემინიშნავს შემდეგი: როცა ყმანვილი ტირის – მისი ხმა, რამდენი ხანიც გადის, იმდენი დინჯდება და სულ ბოლოს ბევრჯერ სიმღერის კილოსაც მიიღებს ხოლმე. მე თვითონ ვიყავი მონმედ ამნაირის შემთხვევისა; ბავშვი, რომელიც დედას კარგა ლაზათიანად მიეტყვიპნა, ჯერ პირველად, წარამარად უსიტყვოდ გაჰკიოდა, ხოლო შემდეგში კი, როდესაც, ცოტა არ იყოს, მოიქანცა, სიტყვებს იძახოდა გაგრძელებით სიმღერის კილოზედ; და ბოლოს, სრულიადაც მოიმზიანა და მისი ტირილი უეცრივ რალაცნაირ მოღურ სიმღერად კი გარდაიქცა, რომელმაც დიდხანს კი ვერ გასტანა, რადგან ყმანვილმა, სრულიად დამშვიდებულმა და გახარებულმა მოულოდნელის სიმღერით, მალე სახლისაკენ მიაშურა. ეს სიმღერა არ იყო ჩვეულებრივი; იგი იყო სულ სხვა, სრულიად ახალი, ჯერ არგაგონილი არავისგან. აი, ეს საბუთიც ცხადად გვიჩვენებს, რომ სიმღერის პირველად წარმოებაში ადამიანს არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიეღოს.

სიმღერის მნიშვნელობა ბევრგვარია და ამასთანავე, დიადიც. იგი არის მთელის ერის წარსულისა და აწმყო დროის მდგომარეობის გამომხატველი და დამახასიათებელი. საკმარისია მხოლოდ დაუკვირდეთ რომელსამე ერის სიმღერას, რომ გაიგოთ, რა გადაჰხდენია მას უწინ და აწ აწმყოში რა მდგომარეობაშია; მაგალითად: თუ ხალხს მომატებული დრო თავის სიცოცხლისა წვალება-ტანჯვაში გაუტარებია, მათი სიმღერაც მომეტებული ნაწილად დარდის აწმლელი და ადამიანის დამაღონებელ-დამადარდიანებელი იქნება. ავიღოთ, მაგალითად, არაგვისპირული „ოროველა“. მარტო ამ სიმღერის გაგონებაც საკმარისია, რომ ადამი-

ანს სევდა-კაეშანი აეშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდეც, როდესაც ხალხს სიმხიარული უფრო ბევრი უნახავს, მაშინ მისი სიმღერაც უფრო სამხიარულო და სასიამოვნოა, როგორც მაგალითად, „მგზავრული სიმღერა“; ამ სიმღერას იმღერდნენ საზოგადოდ მეომარნი, როდესაც გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ ომიდან; ამისათვის გაგიკვირდება, მკითხველო, რომ ეს სიმღერა იყოს წარმომდგარ-წარმოშობილი ომისა და გამარჯვების ზედგავლენით. სიმღერა არის იგივე ისტორია ხალხის ცხოვრებისა, თუ ასე ითქმის, რისთვისაც დიდის პატივით უნდა ეპყრობოდეს ყოველი ერი, როგორც საბუთთა საბუთს მისის წინმსვლელობისას. სიმღერასა აქვს, სხვათა შორის, ის მნიშვნელობაცა, რომ დაღლილ-მოქანცულს ადამიანს ხელს უწყობს და ამხნევებს მას მუშაობის დროს. მაგალითად, აიღეთ მუშაობაში შესული კაცი, თუნდა ყანის მკელი, რომელიც უზომოდ მოღლილა და არაქათი აღარა აქვს ხელის განძრევისა; იმ დროს, რომ მას გააგონოთ მუშური სიმღერა, დაღლილობას თითქმის არც კი შეიმჩნევს და ისე მედგრად და გულმოდგინე სიბეჯითით შეებრძოლება საქმეს, თითქოს ერთი თვის მოსვენებული იყოსო. თუ არადა, წაიკითხეთ ბ. გოგებაშვილის პატარა მოთხრობა „იავენანამ რა ჰქმნა“ და მასში დაინახავთ, უფრო თვალსაჩინოდ, სიმღერის მნიშვნელობასა და მის დიად ღირსებას.

ვინ მოსთვლის კიდეც რამდენი მაგალითებია, რომლებიც ცხადათა და აშკარად გვიჩვენებენ სიმღერის დიდმნიშვნელობას! ესევე ითქმის გალობაზედაო, რომელსაც, როგორც სიმღერას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ცხოვრებისათვის.

დღესაც კი ბევრს ერში უჭირავს სიმღერას საპატიო ადგილი და სახელ-დიდებაც დიდი აქვს მოხვეჭილი. ჩვენში კი რას ვხედავთ? სრულს უკუღმართობას და წარუღმართებლობას ამა საქმისას. არ იქმნა და ვერ მოიპოვა სიმღერამა თუ გალობამ ჩვენში მტკიცე ნიადაგი. ამის უმთავრესი მიზეზი არის დაუდევრობა და გულგრილობა ქართველებისა, საზოგადოდ ყოველი საქმისადმი და უფრო კი სიმღერა-გალობისადმი. მაშ თუ არა ეს მიზეზი, რას უნდა მიენეროს, რომ დღემდის არა გვყავს მტკიცე ნიადაგზე დაყენებული საერო თუ სასულიერო მგალობელ-მომღერალთა გუნდი. თუმცა ზოგჯერ, აქა-იქ იჩენენ ხოლმე თავს მომღერალ-მგალობელნი, მაგრამ, რადგანაც ნოყიერი ნიადაგი არა ჰხვდებათ, ისევე მალე ჰქრებიან. ამის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ გავიხსენოთ ბ. ლადო აღნიაშვილი, რომელმაც შრომა მიიღო და დააარსა ქართველ მგალობელთა გუნდი, მაგრამ დაუდევრობით და ყურის უგდებლობით მალე კი დაიშალა. მის შემდეგ დააარსა ბ. რატილმაც და მისი ხოროც ჩაიფუშა, როგორც უბრალო ჩიტის ბუდე. აი, ზოგიერთნი გარემოებანი, რომელნიც აშკარად გვიჩვენებენ დაუდევრობას და გულგრილობას ჩვენისას. იქნება ყოველმა ქართველმაც კი, კერძოდ აღებულმა, დაიჩემოს სიყვარული სიმღერა-გალობისადმი, მაგრამ ყველა ერთად აღებული კი ყურადღებას არ აქცევს ამ დიდს საქმეს და აი, აქედგან წარმოსდგება კიდეც ჩვენი ცალ-ცალკეობა. სიტყვით რამდენიც უნდა ვიძახოთ, ვილადადოთ, მაინც ვერაფერს გავარიგებთ, თუ სიტყვას საქმეც არ მივადევნეთ. საქმის გაკეთებას კიდეც წარმოშობს საერთო ძალა, ნამეტნავად იმისთანა საქმისას, როგორიც არის მაგალითად, სიმღერა-გალობა. ეს ხომ ყველამ უწყის, რომ ყოველი საქმის გაკეთებას შრომა სჭირია და შრომა კიდეც რომ თავისით ხარჯს ინვესს, ესეც ყველას მოესხენება. რა ქნას ახლა საწყალმა, ხოროს მოთავემ, როგორ გაუძლოს ხარჯს, რომელიც აუცილებელია ხოროს დაარსებისთვის და არსებობისათვის, თუ საზოგადოებაც ხელს არ შეუწყობს? აი, მაგალითად, რანაირად შეუძლიან საზოგადოებას ხელი შეუწყოს მომღერალთა გუნდს: ყოველს კონცერტზედ, თუნდაც ყოველდღე იმართებოდეს ეს უკანასკნელი, ბლომად დაესწროს ხალხი; გარდა ამისა, როცა დაბა-სოფლებში გაჰმართავენ კონცერტს, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არსებობს სათეატრო დარბაზი, თვით საზოგადოებამ დაუთმოს მათ ოთახი, თავისი მორთულობით და უსასყიდლოდ-უვაჭრელად, და თუ ეს უკანასკნელი არ მოეპოება თვით საზოგადოებას, მაშინ დაუქირაოს,

რასაკვირველია, თავის ხარჯით. მერნმუნეთ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხოროს წინ წაწევა და მისი ხანგრძლივად არსებობა.

განსაცვიფრებელს გულგრილობას იჩენს ჩვენი სამღვდელთა საეკლესიო გალობისადმი. გალობის აღორძინება მათზეა დამოკიდებული და იგინი უფრო უნდა ცდილობდნენ მის წინ წაწევას. მაგრამ, არ იქმნა და არა, ვერ ველირსენით მუდმივ ქართულ მგალობელთა გუნდის დაარსებას და მის თანდათანობით გავრცელება-გაფართოებას, რომ მით, ცოტათი მაინც არის, თავი დაგვეხნივა დიაკვნების გალობისაგან, რომელთაც ნამდვილ გალობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ და გაიძახიან, როგორც მოხვდებათ. სხვა არა იყოს რა, მგალობელთა გუნდის დაარსება და მოპოება მათივე (იგულისხმეთ მღვდლები) ხელსაყრელია, რადგან ხალხი იმ ეკლესიას უფრო ეტანება, რომელშიაც კარგი, მწყობრი გალობა ჰსუფევს და ხალხის უმრავლესობით კიდევ რომ ეკლესიას დიდძალი შემოსავალი ეძლევა, ესეც კარგად უწყის სამღვდელთაგან. მაშ, თუ ეს ასეა, რატომ არ ითავებს ჩვენი სამღვდელთა ხოროს დაარსებას? დრო არის, დრო, კეთილი საქმის რიგინად დაწყობისა.

სხვათა შორის, ყურადღებას მივაქცევ ბ. ალ. კავსაძეს და მის მოქმედებას, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც ქართველ მომღერალთა გუნდი შეუდგენია და ცდილობს ქართული სიმღერების გავრცელებას.

მას უკვე გაუმართავს ჩვენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში კონცერტი და ყველგან დიდათ ნასიამოვნები დარჩენილა დამსწრე საზოგადოება, რასაც ცხადად მოწმობენ გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოყვანილნი „კორესპონდენციები“ სხვადასხვა პირთაგან. ქალ. თბილისშიაც ორჯერ გამართა კონცერტი; პირველზე არ ვიცი და მეორეზე კი ცოტა ხალხი დაესწრო. დიდს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოდ მომღერალთა გუნდის მწყობრმა და კეთილხმიანმა სიმღერებმა. კერძოდ, კიდევ თვით ბ. კავსაძის ბუნებით მშვენიერმა და მრავალგრეხილოვანმა ხმამ. ღირსია, ღირსი, მთელი მომღერალთა გუნდი „ვაშა ვაშა“-ს ძახილისა. ღირსია ხოროს გამგე ბ. მჭედლიშვილიც ამ დიად და დიდმნიშვნელოვანს საქმის კეთილად გამგეობისათვის, უფრო დიდის „ვაშა-ვაშა“-ს ძახილისა. და მადლობის ღირსი შეიქმნება ქართველი საზოგადოება, თუ ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და ამ „ხოროს“ მაინც მოუპოვებს მტკიცე ნიადაგს.

ამასთანავე დავსძენ, რომ თუ ბ. კავსაძე თავის მომღერალთა გუნდს საეკლესიო გალობასაც შეასწავლის, უფრო მეტს ყურადღებასა და სახელს დაიმსახურებს.

დასასრულ, ვისურვებ მისგან დაყენებული საქმის კეთილად წარმატებას.

მგალობლიძე

254. ცნობის ფურცელი, 1897, 9 ივნისი, №220, გვ. 2

ახალი ამბავი

ოზურგეთი. ქართულ სიმღერა-გალობის საქმე გურიში. რადგანაც ბევრი ჩვენი მოძმენი შორის კუთხეებიდგან გვანვდიან თავიანთ ნვლილს ჩვენს საერთო საქმეში დასახმარებლად, ამიტომ ზნეობრივ ვალდებულებად ვსთვლით, რომ დროგამოშვებით ვამცნოთ ჩვენს შორეულს თანამგრძობლებს მდგომარეობა ჩვენგან აღნიშნულის საერთო საქმისა. როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, ოზურგეთში დაარსებულია კომიტეტი, რომლის მიზან-

ნია მოიპოვოს საშუალება და დახმარება აღმოუჩინოს ჩვენებურ სიმღერა-გალობის ნოტების შემწეობით ხალხში გავცელებას. ამ მიზნით, როგორც მონოდებიანი ნერილის შინაარსიდან სჩანდა, დაევალა ჩვენს დაულალავს მშრომელს და გალობა-სიმღერის მცოდნეს ბ-ნს ფილიმონ ქორიძეს, ნოტები შეესწავლებინა სოფლის ხალხისათვის და ლოტბარები მოემზადებინა ჩვენებური გალობა-სიმღერების საქმის სამუდამოდ დასაფუძნებლად. ამ მიზნით, ბ. ფილიმონ ქორიძემ ოზურგეთში უკვე დაამთავრა თავისი შრომა: მოამზადა ლოტბარები, შეასწავლა მათ საეკლესიო და საერო სიმღერები.

ამჟამად ბ. ფილიმონ ქორიძე ამავე მიზნით გაემგზავრა სადგურ სუფსაზედ, სადაც შეკრებილი ჰყავს 20-25 ჩვენებური სხვადასხვა სოფლის ყმანვილები, რომელთაც ბეჯითად ასწავლის ნოტების საშუალებით გალობა-სიმღერებს და ამზადებს ლოტბარებად. ამასთანავე, ფილიმონ ქორიძე თავისუფალ დროზედ იწერს გურულებიდან და სხვა ძველებური ჩვენებური გალობა-სიმღერების მცოდნეთაგან საჭირო მასალებს ნოტებზედ გადასაღებად. ამნაირად, ჩვენებური სიმღერა-გალობის დაფუძნების საქმე სასურველადვე მიდის გურიაში.

255. ივერია, 1897, 15 ივნისი, №117, გვ. 5

ახალი ნიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი ნიგნი: „ქართლ-კახური“ გალობა, კარბელაანთ კილოთი. მწუხრი, ნოტებზედ გადაღებული და გამოცემული მღ. ვას. გრიგ-ძის კარბელაშვილის მიერ, ნაწილი პირველი. ნიგნს თითონ მღვ. ვ. კარბელაშვილის წინასიტყვაობა უძღვის, მოკლედ აღნიშნული აქვს გალობის უმთავრესი კანონები და სხვ. ნიგნი შეიცავს 112 გვერდს, დაბეჭდილია კარგის შავის სამგალობლო ნიშნებით, საუკეთესო სქელს ქალაღზედ და ღირს 80 კ.

256. ცნობის ფურცელი, 1897, 16 ივნისი, №227, გვ.1-2

ახალი ამბავი

ქართლ-კახური გალობის ნოტები. ჩვენ მივიღეთ ქართლ-კახურის გალობის ნოტების კრებული, რომელშიაც მოთავსებულია „მწუხრი“, ეგრეთ ნოდებულის „კარბელაანთ კილოზე“ გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ.

„კარბელაანთ კილოს“ გალობა განთქმულია ჩვენში. ამაზე ბევრი უწერიათ, და ამიტომ საჭიროდ არ მიგვაჩნია ნათქვამის განმეორება. მხოლოდ აქ ვიტყვით, ეს „კარბელაანთ კილო“, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ქართლ-კახური გალობა, – როგორც სამართლიანადა ბრძანებს მამა ვას. კარბელაშვილი წინასიტყვაობაში, – ეს წყნარი, აუჩქარებელი, დინჯი, შეუდრეკელი, გულმხურვალეობით აღსავსე გრძნობა-ვედრება უზენაესისადმი – მთელი საუნჯეა საქართველოს ერისა. მისთვის დაშვრნენ ჩვენნი სულმნათნი წინაპარნი: პეტრე მაიუმელი, ძმანი წმ. საბაი განწმენდილის ლავრისაი, უღირსი იორდანეი, გიორგი, იოანე მტბევეარი, არსენ კათალიკოსი იყალთოელი და მრავალნი სხვანი.

დიდმა ჟამმა განვლო მას შემდეგ; ხოლო სულიერი საუნჯე ჩვენი ინახებოდა ჩვენს მონასტრებში, სადაც ბერობა და სასულიერო მწერლობა აყვავებული იყო. გარნა დრონი იცვალნენ: მონასტრული ცხოვრება შემცირდა; შემცირდა თვით გუნდი ბერებისა, ამ დაულალავ მშრომელ-მოღვაწეთა, ჩვენის ეკლესიის დიდებისა და აყვავებისათვის თავდადებულთა. მათს შემცირებასთან ერთად ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ის ტკბილი ქართლ-კახური ღიღინი, რომლითაც ქართველები ეკლესიებში აღავლენდნენ ხოლმე ზეცად თვისს გულმხურვალე ლოცვებსა, ავედრებდნენ უზენაესს თვისს სამშობლოსა. ეს ტკბილი ღიღინ-გალობა მხოლოდ კარბელაანთ გვარში დარჩა. ამ გვარის წარმომადგენელი დღეს ოთხნი ძმანი კარბელაშვილები არიან. მათში მტკიცედ არის დაცული ზემოხსენებული კილო გალობისა. იმათგან ერთმა ძმამ – მამა ვასილ კარბელაშვილმა იმდენი ამაგი დასდო ქართველობასა, რომ განსაცდელი ააცდინა ქართლ-კახურის გალობის კილოსა, გადაიღო ნოტებზე და მთელს ქართველობის ხელმისაწდომი გახადა. ამით მამა კარბელაშვილმა საუკუნო ლოცვა-კურთხევა დაიმსახურა შთამომავლობისა. დღეიდან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კილო არ დაგვაიწყდება, არამედ უფრო მოეფინება ჩვენს ეკლესიებში. როგორც ვიცით, კარგი, ტკბილი გალობა ხალხს ეკლესიებში ძალიან იზიდავს. შენიშნულია, რომ ასეთის გალობის დროს ხალხი უფრო სასოებითა ლოცულობს.

ჩვენ იმისი იმედიცა გვაქვს, რომ ეს კილო დასავლეთ საქართველოშიაც შემოვა. იქ ხალხს მოსწონს და ამის საბუთი კიდევაც გვაქვს. წარსულს აპრილის თვეში ფოთის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ქალმა ან. კოტეტიშვილისამ ქალები „კარბელაანთ კილოზე“ აგალობა ეკლესიაში და მსმენელთ ისე მოეწონათ, რომ სთხოვეს, კვლავ ამ კილოთი იგალობეთო.

როგორც ნოტების წიგნის კანზე ვკითხულობთ, მამა კარბელაშვილს „ცისკარიც“ გადაუღია ნოტებზე და მალე გამოვავ.

წიგნი დაბეჭდილია დემუროვის ლიტოგრაფიაში. შეიცავს 114 გვ. ფასი ზომიერი ადევს – 80 კაპ.

ასეთის წიგნების ბეჭდვა ქართულს ენაზე, როგორც ვიცით, ჯერჯერობით მსხვერპლია გამომცემლის მხრივ. მსხვერპლია იმიტომ, რომ ძალიან განსაზღვრული რიცხვი თუ გაიყიდება წიგნებისა; გაუყიდავის წიგნების ხარჯი კი გამომცემელს ვალად უნდა დაანვეს. თუ არ დავივიწყებთ ჩვენებურის მოღვაწის ხელმოკლეობას, უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი ვალი მეტად ძნელი ასატანია, რომ საშიშოა, ვაითუ წიგნის გამომცემელმა მეორე ნაბიჯის გადადგმა ველარც კი მოახერხოს და ეს კი სამშობლო მწერლობისათვის სავალალო იქმნება, რა თქმა უნდა. ამიტომ, სასურველია, ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით სასულიერო წოდება, განსაკუთრებულის თანაგრძნობით მოეკიდებოდნენ მამა კარბელაშვილის უანგარო ღვაწლსა და ხელს შეუწყობდნენ მისის გამომცემის გავრცელებაში.

257. ცნობის ფურცელი, 1897, 27 ივნისი, №238, გვ. 2

* * *

ახალი გუნდი მგალობელთა. ახლად შემდგარი ქართული ხორო ქ. გორში პირველად აპირებს კონცერტის გამართვას დ. ცხინვალში ბ-ნ ხუციშვილის ლოტბარობით და ალ. გუგუნაშვილის გამგეობით. თუ იქ კარგად წაუვიდათ საქმე, ესევე ხორო გამართავს კონცერტებს დაბა სურამსა და ხაშურში. ღმერთმა ხელი მოუმართოსთ ამ კეთილსა და საზოგადო საქმეში.

ორიოდე სიტყვა ქართული გალობის გავრცელების შესახებ

ხშირად გვესმის და გაზეთებშიაც ვკითხულობთ, რომ ბ-ნმა ფ. ქორიძემ გადაიღო ნოტებზედ ქართული გალობა და სიმღერა და ავრცელებს ხალხშიო. ჩვენ, თუმცაღა გვრწამდა ეს ამბავი, მაგრამ სმენით მის მიერ გადაღებული გალობა არ მოგვესმინა. კვირას, 29 ივნისს, ს. სუფსის ეკლესიაში მოუსმინეთ სრული წირვის გალობას, რომელმაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა მსმენელ საზოგადოებას. ხოროში მონაწილეობას იღებდა 15 კაცი, რომელთაც მშვენივრად, მწყობრად და შეუშლელად აღასრულეს მთელი წირვის წესი. როგორც მოგახსენეთ, გვწამდა ბ-ნ ქორიძის ღვანლი გალობა-სიმღერის ნოტებზე გადაღების საქმეში, მაგრამ თუ ასე მშვენივრად გამოვიდოდა ჩვენი გალობა, ვერ წარმოვიდგენდით.

მე, როგორც მცოდნე ზეპირგალობისა, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ზეპირი გალობა აგრე მწყობრად, მდიდრულად და დიდებულად ვერ გამოვა იმისათვის, რომ ნოტიო გალობას ასრულებს 15 და მეტიც კაცი, რომელთა ხმები მტკიცე ჰარმონიით არის ერთმანეთთან შეერთებული; ხოლო ზეპირი გალობა სამი ოთხი კაცისაგან ითქმის და, რა თქმა უნდა, 15 კაცის მიერ თქმულთან შედარებით მცირეა. წირვის შემდეგ ეკლესიასა და ეკლესიის გალავანში დიდი და პატარა მოდიოდა და მადლობას უცხადებდნენ ბ-ნ ქორიძეს; აგრეთვე, ულოცავდნენ ახალ ნასწავლ მგალობლებს. როგორც გვესმის, ს. ჯურუყვეთსა და ლანჩხუთში აპირებენ ბ-ნ ქორიძის მიწვევას, რომ იქაც ასწავლოს. თუკი ამის სურვილი აქვთ, ეს ამტკიცებ, რომ საეჭვო და საძნელო არა არის რა. ვინც თანაგრძნობით ეკიდება ქართულ გალობა-სიმღერის საქმეს, დროც ახლა არის, რომ შემთხვევით ვისარგებლოთ და სწორედ სასურველია, რომ ჩვენში ყველგან გავრცელდეს ეს სასარგებლო საქმე. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ სიტყვით ვიჩნით დიდს თანაგრძნობას და საქმით კი ვერ ვამტკიცებთ ამას. ცოტა აკლია, რომ ასეთ მოღვაწეს თავი მოსძულდეს საზოგადოებისაგან სრულიად თავის შრომის დაუფილდოებლობისათვის, იძულებული დარჩეს საზოგადო შრომაზედ ხელი აიღოს და კერძო შრომით თავისის მოუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის იზრუნოს.

ჯამბაკურ გურიელი

ქ. ფოთი. კვირას 20-ს ივლისს ბ. ნ. ალ. კავსაძის ლოტბარობით და თაოსნობით გამართულ იქნა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას ლებულობდენ ფოთის ახალგაზდობა. კონცერტი იყო გამართული საქველმოქმედო მიზნით. დადგეს აგრეთვე ცოცხალი სურათები, საზოგადოებაც კარგი ძალი დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა; დიდი მადლობის ღირსია ბატ. კავსაძე.

დამსწრეთაგანი

არ მოსპობილა, მადლობა ღმერთს, და აღარც მოისპობა!

როდესაც საზოგადოება ხედავს, რომ ჩვენს ეკკლესიებში, ასში მხოლოდ ორ-სამ ადგილას გალობენ კიდევ მგალობელთა გუნდნი, როდესაც ხედავ, რომ მედავითნეთა, საზოგადოდ ეკკლესიის მოსამსახურეთა ძლიერ სუსტად იციან გალობა, მასთან, კარგი მგალობლები თანდათან გვაკლდებიან და შესანიშნავ მცოდნე პირებს ვეღარ ხედვენ ერთი-ორის მეტს – რასაკვირველია, იმედდაკარგული ყველა გაიძახის: „ვაი, ჩვენი ბრალი, გაქრა და მოისპო ჩვენი ტკბილი ეკკლესიური გალობა“... მართალია, კაცს გესმის კიდევ აქა-იქ სოფლებში მგალობელთა გუნდის გალობა, მაგრამ როდესაც კარგად ყურს დაუგდებთ ამ გალობას, გული გიწუხს და თქვენს თავს ეუბნებით: ეს ქართული გალობა არ არის, ამისთანა გალობას რომ სულ არ იგალობონ, ის უმჯობესიაო... ზოგი იმისთანა კილოზე გალობს, რომ არაფერი ქართულის კილო არ ეტყობა. აიღეთ, მაგალითებ, ბ–ლის ქართული გალობა. ქართული გალობის მცოდნე კაცს იგი გულს შეუწუხებს და გალობის უცოდინარს კი მოსწონს ისე, როგორც ყოველი უბრალო სიმღერა და ხმის წკრიალი...

ბევრს კარგს ამბობდნენ და ინერებოდნენ ბ. ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებული ქართული გალობის შესახებ, მაგრამ არ გვგონია სწორედ, თუ ასე მშვენივრად იქნებოდა გადაღებული ჩვენი ეკკლესიური გალობის კილო და ისე დაატკბობდა მსმენელის ყურთასმენას, როგორც ეს ვიგრძენით ყვირილის ეკკლესიაში 6 და 10 ამ აგვისტოს.

6 აგვისტოს, ჩვენ გვთხოვეს ტაბაკინში მცხოვრებთ სამსონ მუმლაძემ, თევდორე და სარდიონ წითელაშვილებმა, რომ ნება მიგვეცა მათთვის გალობისა ეკკლესიაში. მათთან ერთად მოვიდა ლოტბარი ბ. ჯინჭველაშვილი, რომელმანც განაცხადა, რომ მან ასწავლა ხსენებულ პირთა ბ. ფ. ქორიძის მიერ გადაღებულ ნოტებზე მთელი წირვის წესი და თვითონ ის ეყოლება მათ ეკკლესიაში ხელმძღვანელად. მე ნება მივეცი. მათ იგალობეს წირვაზე. უნდა განვაცხადო, რომ არასოდეს ქართულ გალობას ჩემი გული და ყურთასმენა არ დაუტკბია ისე, როგორც ზემოხსენებულ პირთა გალობას. ამათმა მშვენიერმა გალობამ მე მომაგონა ის მგალობლები, რომელნიც გალობდნენ დავით მიტროპოლიტის და ძველი მღვდელთმთავრების დროს და რომელთა გალობა დღესაც შთაბეჭდილია ჩემს ყურთასმენასა და გონებაში. განსაკუთრებით „მოვედით თაყვანისვსცეთ“ და „წმიდაო ღმერთო“-ს გალობის დროს თქვენ გრძნობთ ისეთ სიამოვნებას, რომელი სიამოვნებაც არ შეედრება არც ერთ ამქვეყნიურ სიამოვნებას; ამასთან, გალობის სმენის დროს თქვენი გული ივსება იმედით, რომ ჩვენი გალობა აღარ მოისპობა, რადგან ელირსა გადაღება ბ. ფ. ქორიძისაგან და დაბეჭდვა ბ. შარაძისაგან. ჭეშმარიტად ამ ორი კაცის ღვანლი დაუფასებელია და საზოგადოება ეხლანდელი თუ არა შემდეგი მაინც ჯეროვნად დააფასებს მათ ღვანლს. ღმერთმან ინებოს, რომ დანარჩენი საგალობლებიც იქმნენ ამ პატიოსან მოღვაწეთაგან გადაღებული და დაბეჭდილი. მაშინ შიში აღარ გვექნება ჩვენი საეკკლესიო გალობის მოსპობისა... მადლობა ღმერთს, ეხლანდელი სასწავლებლების წყალობით ყოველთვის გვეყოლება ნოტებზე გადაღებული გალობის მცოდნე თითო-ოროლა კაცი. ეს მცოდნე პირნი ისე ადვილათ შესძლებენ ნოტებზე სწავლებას, როგორც ეს შეიძლო ბ-ნ ჯინჭველაშვილმა.

ვისზე არის ეხლა დამოკიდებული, რომ ბ. ფ. ქორიძისაგან დაწყებული საქმე აღორძინდეს და გავრცელდეს ჩვენს ეკკლესიებში? სასულიერო მართებლობამ, დიდი ხანია, შენიშნა საეკკლესიო გალობის დაქვეითება ყველა ეკკლესიებში და ყოველივე ღონეს ხმარობს მის ჯეროვნად დაყენებისათვის. ვეებერთელა ნოტები იბეჭდება და იგზავნება ეკკლესიებში,

რომ ამ ნოტების შესწავლით საეკლესიო გალობა გამშვენდეს ეკლესიებში. ჩვენში რაღას ვხედავთ? დიდ დაუდევრობას და გულგრილობას ამ საქმის შესახებ, როგორც სხვა ყველა საზოგადო საქმეებშიაც. დიდი ხანია მას აქვთ, რაც იმერეთის სამღვდელთების კრებაზე დაადგინეს, რომ თითოეულ ეკლესიას გამოეწერა ბ. ფ. ქორიძის მიერ შედგენილი ნოტების ნიგნი. ეს დადგენილობა ადგილობრივი მთავრობის მიერაც იქნა დამტკიცებული, მაგრამ ეკლესიებს ხსენებული ნოტები დღესაც არა აქვსთ გამოწერილი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენში არ არის სიყვარული და გემო საეკლესიო ტკბილი გალობისა, არ არის გამჭრიახობა საზოგადო სასარგებლო საქმეების გავრცელების შესახებ. ამ კეთილ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ჩვენმა სამღვდელთებამ. დროა გავიღვიძოთ. კმარა ამდენი ძილი, თუ არ გვინდა, რომ სულ ჩამოვრჩეთ ეხლანდელ დროს და საზოგადოების ცხოვრებას.

დეკ. დ. ლამბაშიძე

261. ცნობის ფურცელი, 1897, 19 აგვისტო, №282, გვ. 3

ქართული საეკლესიო გალობა

მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი მწყემსმთავარი გაბრიელი გარდაიცვალა ჩვენ, ქუთათურები, მოკლებული ვიყავით ქართულ გალობას, ნამეტურ საკათედრო ტაძარში მლოცველნი. აგვისტოს, ფერისცვალებაზე დიდი ხნის სურვილი და მოლოდინი განგვიხორციელდა. თუმცაღა აქაურ მთავარანგელოზის ეკლესიაში, როგორც „მწყემსში“ იყო მოხსენებული, თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეს ქართული ნირვა-ლოცვაც გალობაა, მაგრამ დღევანდელმა გალობამ მთელ გურია-სამეგრელოში ცნობილმა მგალობელთა ხორომ ბ. დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით მთელი საზოგადოება სასოებაში მოიყვანა.

გურულ-მეგრელი [ნიკოლოზ ბერიძე]

262. ცნობის ფურცელი, 1897, 3 სექტემბერი, №302, გვ. 3-4

ოზურგეთი. კომპოზიტორის კორეშჩენკოს წასვლა გურიიდან. 14 აგვისტოს ჩვენს სტუმარს, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს, ბ-ნს კორეშჩენკოს გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაუმართეს. ვახშამზე დაესწრო ოზურგეთის რჩეული საზოგადოება. ბევრი გრძნობითი სიტყვა წარმოითქვა. როგორც საზოგადოების მხრივ, ისე თვით ბ-ნ კორეშჩენკოსაც. ჩვენმა უცხო სტუმარმა სხვათა შორის, თავისი კმაყოფილება განაცხადა, რომ შემთხვევა მოეცა საქართველოს ნახვისა. გაუზიარა საზოგადოებას თავისი აზრი ქართულის მუსიკის შესახებ: „ერთ დროს იტალიურის მუსიკას ვიკვლევდი და იმის შესახებ ვსწერდი თხზულებასაო,“ – ბრძანა ბ-ნმა კორეშჩენკომ – „ერთმა ჩემმა მასწავლებელმა მიქო შრომა, მაგრამ თანაც დასძინა, იტალიის მუსიკის შესახებ ბევრი უწერიათ, სჯობს აღმოსავლეთის მუსიკას

მოჰკიდო ხელიო.“ ბ-ნ კორეშჩენკოს მასწავლებლის რჩევა მიუღია და მას აქეთ აღმოსავლეთის მუსიკასა სწავლობდა. მისის აზრით, ქართულს მუსიკას სრულებით განკერძოებული, საკუთარი ალაგი უჭირავს. ქართულს მუსიკაში შემოსულა რამდენიმე სპარსული ხმები, მაგრამ ამ ხმებს, გამოცდილი ყურები, მაშინათვე გაარჩევენ წმინდა ქართულ ხმებისაგან. საკვირველი ის არის, ამდენი ხნის ვაი-ვაგლახისა და ხუთასნაირის ბატონების ხელში ყოფნის შემდეგ, ქართულს მუსიკას როგორ შერჩა თვისი სახასიათო ელფერი და ორიგინალობა.

ბ-ნი კორეშჩენკო, როგორც თვითონ ამბობს, აპირობს ოპერის დანერას, რომელიც უმეტეს ნაწილად ქართულს ხმებისაგან შესდგება. სთქვა, საგაისოდ კიდევ უნდა მოვიდე საქართველოში, რომ განვაგრძო მუშაობა ამ ნიადაგზეო.

მეორე დღეს ბ-ნი კორეშჩენკო რუსეთის გზას გაუდგა.

სასურველია, ბ-ნმა კორეშჩენკომ, თუ საგაისოდ მობრძანდა საქართველოში, გურიის გარდა, ჩვენის ქვეყნის სხვა ადგილებიც ინახულოს და ჩაინეროს სიმღერები. ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ძალიან საინტერესო იქმნება იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, კახეთი და სხვ.

263. ცნობის ფურცელი, 1897, 13 სექტემბერი, №311, გვ. 3-4

ქართველ მაგლობელთა გუნდები და მათი გავრცელება

კაცობრიობის ცხოვრება და მისი წინმსვლელობა, ერთის მხრივ, დამოკიდებულია გონებრივ, ზნეობრივ და ესტეტიკურ განვითარებაზე. რომელი და რა დროც არ ავილოთ, კერძოდ ისტორიული ერის ცხოვრება, მისი კულტურა – სხვა ნაშთებთა შორის შეჭხვდებით ერის გალობას, რომელშიაც იხატება მისი მხიარულება, მისი ნაღველი და თავგადასავალი.

ამრიგათ, ეროვნული გალობის შესწავლას, მისს აღდგენას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დიდი მნიშვნელობა აქვს. ერის სულიერი სიმდიდრე ბევრნაირად იხატება გალობაში, მისს განვითარებაში; რამდენადაც რომელიმე ერის გალობა განვითარებული ყოფილა, იმდენად ის ერი მაღლა მდგარა გონებრივად და მისი ესტეტიკური გრძნობები განწვთნილ-განვითარებული ყოფილა. გონებრივი, ზნეობრივი და ესტეტიკური განვითარება იმდენად გადახლართულ-გადაკვანძულია ერთი-მეორესთან, რომ ძნელად გამოსარჩევია მათში, რომელ ამ მომქმედს აქვს უმეტესი მნიშვნელობა. ჩვენ აქ ვეცდებით შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ, თუ ჩვენს აწმყო ცხოვრებაში სასურველია გავრცელდეს ჩვენი საერო და სასულიერო ძველებური გალობა, თუ შემოვიტანოთ ევროპიული, ე. ი. რუსულიდან გადმოკეთებული გალობა?

ამ კითხვის გარჩევა მით საძნელოა დღეს, რომ ჩვენი გალობა ჯერ მთლად არ არის გადმოღებული ნოტებზე. არ აქვს მიღებული მუსიკალური ფორმა და არც გვყავს იმდენი მოღვაწენი, რომ თავი დასდონ ამ საქმისათვის. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან დიდი პატივისცემა არ გამოვუცხადოთ ბ-ნ ფილიმონ ქორიძეს, რომელმაც გურიაში, თუკი რომელსამე კუთხეში შენახული იყო სასულიერო ან საერო გალობა, გადმოიღო ნოტებზე, დაბეჭდა და გამოსცა შეძლებისდაგვარად; მაგრამ ვკითხოთ თვით ბ-ნ ქორიძეს: აქვს თუ არა მას კიდევ ათჯერ მეტი მოტივები და მელოდიები ჩვენი ეროვნული გალობისა, რომელთა დაბეჭდვას და გავრცელებას მოელიან? ჯერ კი ამის შემძლე არავინ არის! თვით ბ-ნი ქორიძე დიდად შრომობს ამ საქმისათვის, იგი წარმოადგენს ნამდვილს ტიპს «странствующего артиста», გადმოაქვს ნოტებზე ჩვენი გალობა, მაგრამ განა ერთი მოღვაწის შრომა საკმარისია ამისთანა

დიდი და ძნელი საქმისათვის? ბ-ნმა ქორიძემ მხოლოდ გურია შემოიარა, იქ ჩასწერა, რაც მოიძებნებოდა, რაც დარჩენილიყო ზოგიერთ მოხუცებულების გონებაში და რომ არ მოესწრო, ვინ იცის, საუკუნოდ დაიკარგებოდნენ ჩვენის ერის გულის სიღრმიდან ამონახეთი ხმები და ათასგვარი მელოდიები! სამეგრელო, იმერეთი, ლეჩხუმი, სვანეთი დარჩენილია და მგონი საუკუნოდ დარჩეს და მით ჩაივლის დროთა უფსკრულში ჩვენის ერის კულტურული ნაშთები.

რაც შეეხება წირვის წესს, ის უკვე ჩანერილია, კიდევ დაიბეჭდა ერთი ნაწილი და ამ მხრივ შეიძლება სრულიად დაკმაყოფილდეს ჩვენი საზოგადოება და გალობა გაავრცელოს; შეადგინონ გუნდები და ამღერონ ეკკლესიებში. პირველიდანვე ამ საქმის წამოწყება დიდად საძნელო იყო, მაგრამ მხნე მუშაკმა ბ-ნმა ქორიძემ ამ საქმესაც მოაბა თავი. მან პირველად შეადგინა დასი ოზურგეთში, ასწავლა საეკკლესიო გალობა და დღეს მშვენივრად გაჩაღებულს გალობას მოისმენთ აქ. აგრეთვე, მშვენივრად დააყენა ქართული დასები ქ. ბათომსა და ჩოხატაურში. ეხლა ზრუნავს სხვა ადგილებში. აგრეთვე, საპატიო შრომა მიუძღვით საეკკლესიო გალობის გავრელებაში მღვ. ვასილ კარბელაშვილს, რომელმაც გამოსცა თვის მიერ გადაღებული ნოტები და ბ-ნს ბენაშვილსაც.

ეს საქმე დიდმნიშვნელოვანია და ყოველმა შეგნებულმა პირმა, უმეტესად სამღვდელოებად, ხელი უნდა შეუწყოს, რადგან ვისაც სურს ჩვენის საზოგადოების წინმსვლელობა, ამგვარად გალობის გავრცელებას შეუძლია ცოტად თუ ბევრად ზნეობრივად დაანინაუროს ერი, რომელიც თანდათან თახსირდება, ეკარგება ნამდვილი ესტეტიკური გრძნობები და შემოაქვთ სხვა ტომთა მელოდიები. სრულიად უცხონი ჩვენის სმენისთვის. როცა სარწმუნოების გრძნობები ჩვენს საზოგადოებაში თანდათან სუსტდებიან, როცა ძვირად შევხვდებით, რომ ეკკლესიები უქმ დღეებზე სავსე იყოს წირვის მომსმენლებით. ჩვენს ქართულს საეკკლესიო გალობას, თუკი მოისმენენ, დიდის სიამოვნებით დაესწრებიან და ამას კი მათდა უნებურად სარწმუნოების გრძნობებზე შესაფერი გავლენა ექნება.

რომელსამე ქალაქში ან სოფლად საეკკლესიო გუნდის შედგენას კიდევ სხვაგვარი შედეგიც მოეღოს: ადვილად გავრცელდება ნოტების ცოდნა, ეს კი თავისს მხრივ გამოიწვევს სურვილს სხვადასხვა გუნდების დაარსება-გავრცელებისას, საზოგადოება უფრო დაინტერესდება, ქართული გალობა მეტად გავრცელდება, მისი სიყვარული მოიმატებს. სასულიერო გალობასთან საეროც გავრცელდება, რადგან ისინიც ნოტებზე არის გადაღებული და თუკი ნოტების ცოდნა იქნება, სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი მსურველთათვის რალა იქნება! მის მაგიერ, რომ დღეს ჩვენს ოჯახებში გვესმის უცხო ენებზე რომანსები, მაშინ ჩვენს დედაენაზე გავიგონებთ გალობას.

გაფუქსავატებულ და გარყვნილ-გაფუჭებულ ყავახანურ სიმღერის მაგივრად, დაბალი ხალხი, წელგაუმართავად მშრომელი ქალაქებში, მოისმენს დიადსა და მშვენივრად დანყობილს სიმღერას, მას წაბაძავს და მითი მაინც შეიძლება რამოდენიმეთ დაიცვას თავი ცუდ და გამხრწნელ ქალაქის გავლენისაგან. სოფელიც დასტკბება ეკკლესიაში მოსმენილ ქართულ გალობით, იზრუნებს – მან თუ არა, მისმა შვილმა მაინც შეისწავლოს დედაენაზე გალობა.

დიდმნიშვნელოვანია მომღერალთა გუნდებით ქართული გალობის გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში და მისთვის მზრუნველს უხვი შემწეობა და საშუალება უნდა გამოუჩინოს ჩვენმა საზოგადოებამ! ეს ყველასთვის შესაძლოა, მხოლოდ ჩვენი ეროვნული თვისება „დაუდევრობა–ზარმაცობა, მცონარობა“ მუდამ გვხდოდა მსხვერპლად სხვადასხვა შემთხვევათა. დროა შევიგნოთ, რომ ამნაირად ცხოვრება აღარ გვარგია!

პირველი მოვალეობა ამ საქმეში, განესრიგებული ქართული გალობის გავრცელებაში სდევს სამღვდელოებაზედ. მათი ღვაწლი აქ დიდად გამოსადეგი იქნება როგორც ეკკლესიებისათვის, აგრეთვე მრევლთათვისაც. გალობა იწვევს მეტს წირვის მომსმენთ.

ამითი ეკლესიას შემოსავალი ემატება, წინ იწევს და მშვენიერდება. ეს საქმე საძნელო არ არის, მით უმეტეს, რომ ნოტებით ქართული გალობის შესწავლა ბ. ქორიძის გადმოცემით, როგორც პირადად მისგან გავიგონე, ადვილად ხერხდება, თუკი მსურველმა გალობის შესწავლისას იცის ქართული წერა-კითხვა. ბ. ქორიძე ძლიერ დახელოვნებულია და მშვენივრადც ამზადებს მომღერალთა გუნდს, როგორც ჩვენ დავრწმუნდით რამოდენიმე შემთხვევის შემდეგ, რომელიც გვექონდა ოზურგეთში და ჩოხატაურში. ეპისკოპოსებმა, იმერეთისა და გურია-სამეგრელოსამ მთელის სამღვდელოებით უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ქართული გალობის გავრცელებაში გუნდ-გუნდობით, რადგან ეს არც ძვირად ჯდება და არც მიუღწეველი რამ არის. ჩვენ კი ამისი სრულიად იმედი გვაქვს.

მ. დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი ფიქრობს, გაავრცელოს მაგლობელთა გუნდები თავის საბლალორინოში და რასაკვირველია, სამღვდელოება და საზოგადოება დიდს შემწეობას აღმოუჩენს. მამა კანდელაკს, როგორც გავიგეთ, განზრახვა აქვს კიდევ მოინვიოს ფილიმონ ქორიძე, გამართოს მაგლობელთა გუნდი დ. სამტრედიაში. ქორიძეს სურვილი ალუთქვამს და იმედი გვაქვს ახლო მომავალში შევისმენთ ქართულს გალობას. ამ განზრახვას დიდად შეეგებებიან ძმ. სიხარულიძენი, რომლებიც ბევრ კეთილი საქმისთვის ზრუნავენ. ეხლა, ქართველ მაგლობელთა გუნდის გამართვის საქმეს, სამტრედიაში, როგორც შევიტყვეთ სარწმუნო წყაროდან, პირდებიან აღმოუჩინონ ნივთიერი შემწეობა და იმედი გვაქვს, კიდევ კარგად დააბოლავებენ და საზოგადოებაც მისცემს მხარს. როცა სამტრედიაში დაარსდება ქართველ მაგლობელთა გუნდი, შემდეგ მ. ბლალორინს აზრად აქვს გაავრცელოს ბ. ფილიმონ ქორიძის შემწეობით მთელ საბლალორინოში და სამრევლოებსაც სთხოვოს შემოიტანონ თავიანთი წვლილი ამ საქმის დასაგვირგვინებლად.

X.

264. ცნობის ფურცელი, 1897, 29 ნოემბერი, №385, გვ. 3

დ. ხონი. (იმერეთი). ბ. ფილიმონ ქორიძე ხონში. ეს დაულალავი მუშაკი, გადამღები ნოტებზე ჩვენებურის გალობა-სიმღერებისა, დღეს ხონში მოღვაწეობს. ძველთაგან ხონი განთქმული იყო გალობით და აქაური წირვა-ლოცვა ნაქები იყო როგორც ეკლესიის მსახურთაგან სამღვდლო წერილის ცოდნით, ისე მაგლობლებითაც. სამ მაგლობელთაგან, რომელთა ხმებიდანაც გადილო ბ. ქორიძემ წირვის წესი, იმერეთის სამღვდელოების და მისი დაუვიწყარი გაბრიელის მეთაურობით, ერთი – პირველი ხმა ხონში ნასწავლი იყო. ხონის მცხოვრებლებზე ზედ გამოჭრილია ნათქვამი – როგორც ერი, ისეთი მღვდელიო. მთელს იმერეთში ძვირად სადმე ნახავდით ძველად და ჯერ კიდევ ახლაც ისეთს მოყვარულს წირვა-ლოცვისა და ეკლესიისას ხალხს, როგორც ხონელები იყვნენ. აი, სწორედ ამ ხალხში განიზრახა ბ. ქორიძემ დღეს შეასწავლოს მსურველებს ნოტები და ამ ნოტებზე მისგან გადაღებული გალობა. ამ კეთილ საქმეში ბ. ქორიძეს მხარი მისცა ადგილობრივმა საღვდელოებამ და უფრო კიდევ ხალხმა, რომელმაც აღტაცებით მიიღო ეს ამბავი. სურვილი გალობის შესწავლისა ერთობ ბევრმა განაცხადა: ნასწავლმა და უსწავლელმა ქალმა და კაცმა და ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევას“. ცხადია, რომ საშუალება, რომელიც საჭიროა ამ საქმის განსახორციელებლად, აქ ხონში, ადვილი მოსაპოებელია, რადგან ხონელები, სწავლა-განათლებისათვის თავს არ იზოგავენ და რაც შეუძლიათ, იმოდენს იმეტებენ.

265. ცნობის ფურცელი, 1897, 19 დეკემბერი, №405, გვ. 2

დ. ლანჩხუთი (გურია). გალობის საქმე. დიდი ხანია დაბა ლანჩხუთში დაარსებულია სამინისტრო ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც სწავლა კარგად არის და იყო დაყენებული, გარდა გალობისა. ეხლა, ღვთისით, გალობის მასწავლებლობა იკისრა ბ-ნ ივანე ცინცაძემ, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ქართული გალობა და არავითარ სასყიდელს არ ღებულობს შრომისათვის. ამ წლის აგვისტოში ივანე ცინცაძემ დაიწყო სასწავლებელში გაკვეთილები და არ გასულა ორი თვე, რომ გამოიყვანა ორმოცამდე ბავშვი ჩვენს ეკლესიაში და აგალობა, რითაც ძრიელ ასიამოვნა მთელი მრევლი და ყველანი მადლობას ეუბნებოდნენ. ამას წინათ, როდესაც ქვრივი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული მიბრძანდებოდა პეტერბურგისაკენ, მაშინ ივანე ცინცაძე თავისი მგალობლებით და რამოდენიმე მოსწავლე ბავშვებით დახვდა ლანჩხუთის სადგურში და აგალობა რუსული ჰიმნი „ღმერთო, ფარვიდე მეფესა“, რითაც დედოფალი კმაყოფილი დარჩა და მადლობაც გარდაუხადა.

ეხლა არ იკითხავთ, როგორ მოიქცნენ ზოგიერთი შურით და გესლით გატენილი ვაჟბატონები? ჩვეულებრივ კეთილ საქმეს გადაელობნენ. ბავშვებს სასწავლებლისას ზოგიერთი არ უშვებს საგალობლად და ეკლესიაში მოგვესპო ჩვენებური გალობა... „კარგი რამ გჭირდეს – გიკვირდეს, ავი – რა საკვირველია?!“

ლანჩხუთელი

266. ცნობის ფურცელი, 1897, 24 დეკემბერი, №410, გვ. 2

ალილოსათვის შემდგარი ხორო. ჩვენ გვატყობინებენ, რომ შემდგარა ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი. განზრახვა აქვთ ქალაქის ზოგიერთა მცხოვრებლებს მოულოცონ ქრისტეს შობის დღესასწაული და რასაც კი ფულს მოაგროვებენ, სულ გადადებულ იქმნება მომავლის საქალბო სკოლის სასარგებლოდ. მომღერალთა გუნდში უმეტესობა ქალებია.

1898

267. ცნობის ფურცელი, 1898, 17 იანვარი, №429, გვ. 2

გაზ. „ცნობის ფურცელი“ ქ. სიღნაღი

გალობის შესახებ

11 იანვარს, ქ. სიღნაღში, მამა პ. კარბელაშვილმა თავის ნაცნობთა და მეგობართა წრეში წაიკითხა თავისი გამოკვლევა ქართულ გალობის კილოზედ. მამა კარბელაშვილის ის აზრი აქვს, რომ ქართული გალობა თვით ადგილობრივ აღმოსცენდა და არავისგან შე-

მოტანილ-გადმოტანილი არ არის. ქართული კილოები ორიგინალური ქართული კილოებია და ამ საგალობელთ და კილოს ქართული ეროვნული კილოები დაედო საფუძვლად და სარჩულადაო. ამას ამტკიცებს თვით კილოები ეროვნული სიმღერებისაო. აქ დაასახელა რამდენიმე ეროვნული სიმღერის კილოები და საეკლესიო გალობების კილოები, რომელნიც მართლაც და ერთი და იგივენი არიან, მხოლოდ მარტო სიტყვებში თუ არის განსხვავება. თუმცა, ზოგნი ამბობენ, რომ ქართული კილოები ბერძნულის კილოების ჩამომავალნი არიან, მაგრამ ტყუილია, რადგან ბერძნული კილო ერთხმიანები არიან, და ქართული კი უნივერსალური ხმოვანი არიანო. ქართული კილოები მეათე საუკუნისაა, რომელთა ნაშთი ბევრი აღმოჩნდა. ეხლა აშკარად გვიმტკიცებს, რომ ჩვენი გალობის კილოები სულაც არ შეცვლილანო და სხვა მრავალი საბუთები მოჰყავს თავის აზრის დასასაბუთებლად. ამ გალობის გამოკრებათა დასასტამბად დამსწრენმა მაშინათვე გამართეს ხელმოწერილობა და იქვე 35 მან. შეაგროვეს.

გ. იესევი

268. ცნობის ფურცელი, 1898, 28 იანვარი, №440 გვ. 3

გალობა და მისი მიმდინარეობა

ქართულს გალობას*) დიდი კავშირი და ერთობა აქვს სიმღერასთან. ამას ადვილად მიხვდება იგი, ვისაც კი ცოტაოდენი ყურადღება მიუქცევია და ჩაჰფიქრებია და არ დაუვიწყრია ქრისტიანობის გავრცელება ჩვენში და მისი მოწინავე დრო. დღესაც ბევრი საგალობელია, რომელიც კილოთი არ განირჩევა სიმღერისაგან და ბოლო ხომ უფრო აშკარად გვაჩვენებს ამას, როდესაც ნოტებზე დაინერება და დაიბეჭდება ორთავე. ძველსა ნამდვილს კილოს და ახლად შეტანილს კილოთა შორის, დიდი განსხვავებაც არის და მას შეჰნიშნავს არა ევროპიულად აღზრდილი სმენა, არამედ ის, რომელიც დედის ძუძუსთანავე შესჩვევია გალობას და სიმღერას და იმაში ამოუდგამს ენა, რომელთა რიცხვი თანდათან კლებულობს. გალობა ისე მდიდარია, განსაკუთრებით ქართული, რომ იმის შესამუშავებლად არამც თუ ძმანი მ. მ. კარბელაშვილები და ბ. ბ. ქორიძე-დუმბაძენი, არამედ რიცხვი ასჯერ მათზე მომეტებულნი რომ იყვნენ და აღჭურვილნიც უფრორე მომატებულის ცოდნითა და გამოცდილებით მუსიკალურით, ისინიც ვერ აღმოავსებენ სიმდიდრეს ქართულის გალობისას (სიმღერას არ ვეხები ჯერ). ბევრი მასალები გვაქვს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ შრომა არ არის და ყოველისფერი ისეა მოცული, რომ უხერხულად ჰხდება შრომაც. თუ შრომა და მოღვაწეობა ეჭირვებოდა მეცნიერებას და მამულს – ეხლა, ამოდენა მასალებს ვაგროვებთ და მომკალნი კი არსადა სჩანან? ვიღამ იქიშპოს, თუ მომკალნი მკას შეუდგებიან?! ოხ, ღმერთო! ნეტავ ელირსება ჩვენს ქართველებსაც ის დრო, რომ დაადგნენ ჭეშმარიტ გზასა?!

ამ დღეებში, მივიღე სახსოვრად ერთი საგალობელი ამ წარწერით: „სრულ იქმნა, ძალთა ღთისითა, საცისკრო ესე სძლის-პირი, რომელიცა გარდმოწერილ იქმნა, სრულისა და ფიტარულის სძლისპირიდამ“.

„ეკუთვნის მღვდელს დიმიტრი კოჭლაძეს, 1854 წელს“. სადღეგრძელოდ და მარად მოსაგონებლად ჩემისა ვუძღვნი ჩემს ძმას და შვილს მღ. ვას. კარბელოვს მე მღ. დიმიტრი

კოჭლაძე 1894 წ. 4 სექტ. მარად წსენებულ იყოს მეფის ირაკლის ძე ფარნაოზ, საწლობი-
თურთ“.

აბა, ახლა გადავათვალეოთ ეს წიგნი – 368 გვერდია. შესანიშნავი აქ არის ყველაზე
აი, რა: „ნუსხა ქრელისა სრული და მრთელი თავი უცხო რამ კილო განუხრწელად ზედ და
გუარნი ქრელთანი“. აი რა სახელებიც:

ველმნიფე კილო.
ბოხუმი,
საჭექნი,
სამი საბრუნავი,
მცირე სამი საბრუნავი,
უვცხო,
წინა–თქმა,
დიდი წინა–თქმა,
უსტაური,
ოინი,
მცირე ოინი,
ყ-დ წმიდის კილო,
ასამალღებელი,
დიდი ასამალღებელი,
ნოინი,
დაბანება,
ჩაბანება,
ჩაჟანგული,
შეყრილი,
მრავალგუარი,
ამონი,
ახაია,
ოდია,
დასდებლის კილო.

სრულ იქმნა. გუარნი ქრელთანი, ... 24.

იმედია, რომ ჩვენი პატივცემული მოღვაწე მგალობელი დუმბაძენი, ქალაკანიძენი და
სხვანი და მცოდნენი ყურადღებას მიაქცევენ და გაზეთით მოგვანვდიან და შეგვატყობინე-
ბენ თავიანთს აზრს და აღნიშნავენ კიდევ თვითუელის ქრელის მიმოხვრას ან თუ საგა-
ლობლებში, ან თუ სიმღერებში; ჩვენც ვეცდებით ჩვენის მხრით ვაცნობოთ ჩვენი შენიშვნა
ამ ქრელებისა და მათი მიმოხვრა, რამდენადაც კი შესაძლებელია ჩვენთვის.

მღ. ვასილ კარბელოვი

P.S. ეს წერილი დიდი ხანია გამზადებულ მაქვს, მაგრამ არ დავაბეჭდვინე ჩემდა დამოუ-
კიდებელ მიზეზთა გამო. იმედია, რედაქციაც დაამონშმებს.

^{*)} ამაოდ ურევენ ერთი–ერთმანეთში „გალობა იმღერეს“ – „სიმღერა იგალობეს.“

269. ცნობის ფურცელი, 1898, 18 თებერვალი, №458, გვ. 3

ს. მიწიეთი (გურია), კეთილი საქმე. აქამომდე ს. მიწიეთი მოკლებული იყო ქართულ გალობას. ეხლა კი მღვდელმა სერაფიონ კალანდაძემ ქართული გალობის გუნდი შეადგინა და სრულიად უსასყიდლოდ მშვენივრად შეასწავლა წირვის წესები, გვირგვინის კურთხევისა და აგრეთვე ანდერძის აგების გალობა. გული სიხარულით გევესებათ, როცა ამ გალობას ისმენთ ეკლესიაში. როგორც გალობა, აგრეთვე ეკლესიაც საზოგადოდ კარგ ნიადაგზე გვაქვს ამჟამად დამყარებული. ამასთანავე, მღვდელი მამა კალანდაძე ბევრს ცდილობს გზების გაუმჯობესებასა, სკოლის გახსნასა და აგრეთვე, წყლის გამოყვანაზე, რისთვისაც დიდს მადლობის ღირსია.

დამსწრე

270. ცნობის ფურცელი, 1898, 8 მარტი, №475, გვ. 2

ოზურგეთი. ქართული გალობა. თვრამეტ თებერვალს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებელმა, დიაკონმა მაქსიმე სვანიძემ აგალობა წირვაზედ ოზურგეთის სობოროს ეკლასიაში აქაურივე სამრევლო სკოლის მოსწავლეები ქართულად. ბავშვები მშვენივრად მომზადებულნი იყვნენ. ისეთი სასიამოვნო გავარჯიშებული ხმით კი გალობდნენ, რომ ყველას მოეწონა. თან ბავშვებს ლოცავდნენ და თან მისს მასწავლებელს.

აქაური

271. ივერია, 1898, 17 მარტი, №58, გვ. 4

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მდ)

[განხილვა 491 ფურცლიანი ხელნაწერი კრებულისა №85, სადაც შესულია სხვადასხვა საგალობლები. მათ შორის: იოანე შავთელის, არსენ კათალიკოსის, და ტბელ აბუსერძის ისტორიული მოთხრობა].

ამ წიგნში (№85) შეტანილ გალობების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, ვინაიდან ამ საგნის შესწავლას შესდგომია ქართულის გალობის მთვისობი (სპეციალისტი) ვასილ კარბელაშვილი. კარგი იქნება, რომ ამ საქმეში ვასილს შეეწინენ მისგვარნივე მთვისობნი პ. კარბელაშვილი, ალექსანდრე მოლოდინაშვილი, ფ. ქორიძე, ა. ბენაშვილი და სხ. და ერთეულის შრომით აღადგინონ საზოგადო ქართული გალობა, რომელსაც, ვინ იცის რა მიზეზით, დღეს ჰყოფენ

გალობად იმერულად (!) და ქართულად (!). დაივინყებენ, რომ ყოველი კრინი და ბანი, ყოველი ლილინი და გალობა ქართლოსის ძისა არის ქართული გალობა, საქართველოს მუსიკა და არა გალობა იმერთა და ამერთა, გინა დუმბაძეთა და კარბელაშვილთა. დიდება და პატივი ეკუთვნის ყოველს გვარსა და კერას, რომელსაც წმიდად დაუცავს ანუ ქართული გალობა და ანუ რომელიმე მისი კილო, რომელიმე ლილინი და ლალადისი, და სცდილობს ქართულ გალობასთან ერთად უკვდავ ჰყოს თვისი სახელიცა.

[...]

მ. ჯანაშვილი

272. ივერია, 1898, 28 მარტი, № 67, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს ურღმესს მაღლობას ვუცხადებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ქართული გალობის მასწავლებელს ბ-ნს დიმიტრი ჭალაკანიძეს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს სოფ. ნატორჩაოში (სენაკის მაზრა) ახლად დაარსებულ სამრევლო საეკლესიო სკოლაში, ქართულის გალობის სწავლა, უსასყიდლოდ იკისრა. გარდა ამისა ამ სკოლაში სწავლობენ ფრიად ღარიბი და უდედმამო ბავშვები, რომელთაც საშუალება არა აქვთ სასწავლო ნივთები იყიდონ და არც ჩვენ გვაქვს იმდენი შეძლება, რომ ყველა დავაკმაყოფილოთ. ამიტომ მივაქცევ ქველმოქმედ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებას და იმედი მაქვს, რომ სასწავლო ნივთებს მოგვანოდებენ ღარიბ და ობოლ მოსწავლეთა დასარიგებლად.

ადრესი: ახალსენაკი.

*ს. ნატორჩაოს სამრევლო სკოლის მასწავლებელი
ტრიფონ კალანდარიშვილი*

273. ცნობის ფურცელი, 1898, 5 აპრილი, №500, გვ. 4

ქართული გალობის ბედ-ილბალი ჩვენში

საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს და ვრცელდება ქართული გალობა. მაგრამ როგორც საჭიროება მოითხოვს, ჯერ ისე ვერ მიმდინარეობს გალობის საქმე. ჩვენი ქართველური გულცივობის წყალობით, აქამდე მკვიდრ ნიადაგზე ვერ დაგვიყენებია ეს საქმე. არაფრად გვაგონდება ქართული გალობის მნიშვნელობა. მართალია, ქართული გალობის ნოტები ნელ-ნელა მზადდება და კაი ხანია, დაბეჭდილიც არის ქართული გალობა მ. კარბელაშვილის ქართლ-კახურ კილოზე და ფ. ქორიძის იმერულ კილოზე. ამ პირთ თავიანთი შრომა-მეცადინეობა არ დაიშურეს და გულმოდგინეთ იღვანეს ამ საშვილიშვილო განძზე. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღეს მათი ნოტები საწყობებში აწყვია და ობმოკიდებული ლპება.

განძი გვაქვს და ვერ მოგვიხმარნია. განა ურიგო იქნება, რომ ყველა ეკკელსიებში, სადაც კი ქართულად სრულდება ღვთისმსახურება, აღნიშნულ ნოტებზე გალობდეს მაგალობელთა გუნდი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისში, ორ-სამ ეკკელსიაში გალობს ქართველი მაგალობელთა გუნდი, სხვა ეკკლესიებში კი მედავითნის ანაბარად არის მიგდებული მთელი წირვის საგალობლების ასრულება.

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ამ დიდმარხვის პირველ კვირიდან, მ. მარკოზ ტყემალაძემ და ეკკლესიის მნათემ ექ. ხელაძემ, მოიწვიეს ქართული გუნდი ბ. მონადირესშვილის ლოტბარობით, რომელიც შესდგომია ძვირფასი საქმის დაგვირგვინებას. ეს გუნდი შესდგება ნახევრობით ქალებისაგან და ნახევრობით ვაჟებისაგან. იგი გალობს ქართლ-კახურ კილოზე. ამ გალობის მომსმენი ალტაცებაში მოდის და ამის გამო, ყოველ კვირა-უქმეებში დიდძალი მლოცველი იკრიბება.

კალოუზნის ეკკლესიაში გალობენ სათავადაზნაურო სკოლის მოწაფენი, რომელიც დიდს ყურადღებას იმსახურებენ დამსწრე საზოგადოებისაგან, თავიანთის მშვენიერის გალობით. აგრეთვე, წმ. სამების ეკკლესიაში გალობს იმერლების გუნდი, რომელსაც ლოტბარობს ბ. ლოსაბერიძე. დანარჩენ ეკკლესიებში კი მხოლოდ მათი სამრევლო სკოლის მოწაფენი გალობენ უხეიროდ. ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გამუდმებით არ არის გალობა; მხოლოდ ათასში ერთხელ თუ იგალობებენ ბ. ურმანაშვილის ლოტბარობით კერძო პირნი, ისინიც თავიანთის სურვილით, თორემ მათ არავინ ატანს ძალას. საკვირველი ისაა, რომ ყველა ეკკლესიებს სამრევლო სკოლა აქვს და რატომ გალობას არ ასწავლიან.

საჭიროება მოითხოვს, რომ ყველა ეკკლესიებში მოაწყობდნენ გალობის საქმეს. თუ ეს საჭიროება დაკმაყოფილებულ იქმნა, დამსწრე საზოგადოება ალტაცებით მიეგვება ამგვარ კეთილ საქმეს. სასურველია, არ დაზოგავდნენ შრომას გალობის მცოდნენი, რომ ხელს შეუწყობდნენ უსასყიდლოთ მოზარდ თაობას და შეასწავლიდნენ საგალობლებს.

ივ. ვარმიცანა

274. ივერია, 1898, 26 აპრილი, №88, გვ. 3-4

ქართული გალობა 4 ხმაზედ, 23 აპრილს

23 აპრილს, ტფილისის ქუაშუეთის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ეპისკოპოსი ლეონიდე სამღვდელოებითურთ. წირვის დროს, როგორც წინა დღით, მწუხრ-ცისკარზედ ჰგალობდა ხორო ბ-ნ ი. მონადირიშვილისა ოთხ ხმაზედ. დღემდე ბევრი რამ მესმოდა ამ გალობის შესახებ და მხოლოდ ამ დღეს მოვისმინე იგი ჩემის ყურით. ოთხ ხმაზედ გალობა და მეტ ხმაზედაც, ახალი საქმე არ არის. ძველადვე ექვს ხმაზედ გალობდა ხოლმე გუნდი (იხ. წერილი მაჩაბლისა „ცისკარში“ 1864 წ.). 1883 წ. თვით მეც ვაგალობე რამდენიმე საგალობელი ოთხ ხმაზედ, 14 იანვარს სიონის ტაძარში. ზოგიერთმა თავგასულმა კონსერვატორმა მაშინაც „რუსულობა“ შესწამეს ოთხ ხმაზედ გალობას, როგორც დღეს. სხვის კილვა-გაკიცხვაზედ მეტად არა ეადვილება რა კაცსა. ამიტომ ნუგეშსა გცემთ ძველის გალობის ვითომდა ჭირისუფალთა, რომ ჩემ მიერ 23 აპრილს მოსმენილი გალობა არ არის ისე გადამახინჯებული, როგორც აქამდის მესმოდა. მოკლედ განვიხილავ თვითოეულ საყურადღებო საგალობელის თქმასა. „ნეტარ არის კაცი“, საზოგადოდ გაფუჭებულია, მაგრამ არა კილოს მხრივ:

საზომი ხმისა (ТОНЪ) მალ-მალე იცვლება, წარამარად დაბლა ეშვება ხმა და მართლა ერთის შეხედვით ძველებური ელფერი ეკარგება. როგორც ეს ნაკლი, ისე ორიოდ სხვაც, ადვილი მოსაშორებელია თავიდან ხშირის მეცადინეობითა და გულმოდგინე შრომითა. 2) ტროპარი წმ. გიორგისა მთლად შეცვლილია და ძველი კილოსი მხოლოდ ბოლო შევნიშნეთ, საჭიროა ახლად დაინეროს. 3) „აქებდით მონანი უფალისა“ უკეთ არის ნოტებზედ მოწყობილი და სასიამოვნო გასაგონიც ამიტომ იყო. 4) „მოვედით თაყვანი ვსცეთ“, და 5) „რომელი ქერა-ბიმთა“ ეგრევეა, მხოლოდ მოძახილს აქვს ფრთები ოდნავ შეკვეცილი და ძველებრ ველარ ნავარდობს. 6) „მამასა და ძესა“ და სხ. კარგად არის შეთანხმებული. 7) „შენ გიგალობთ“ საუკეთესო კილოა და მისის თქმის დამამშვენებელი მოძახილია, მაგრამ მეტად შეხუთულია და მის მაგიერ ბურთი და მოედანი ბანისათვის მიუკერძიათ. საჭიროა შესწორდეს მოძახილი, თავინდელი კილო კი სწორედ არის დაცული. უმთავრესი ყურადღება ყოველთვის მთქმელს უნდა მიექცეს და ჩვენც ასე ვიქცევით სწორედ. თუ რომელსამე საგალობელში კილო შემოლილია, მაგას ოთხს ხმაზედ გალობას ხომ ვერ დავაბრალებთ? მაგის ნამალი ხელახლა შესწორებაა და სხვა არაფერი. ოთხ ხმაზედ გალობა აქ რა შუაშია? მაგ. ტროპარი წმ. გიორგისა, როგორც შევნიშნეთ ზევით, მე ოთხ ხმას გარდა (წინთქმა, მოძახილი, ბანი და მალალი ბანი) ზოგიერთხელ მეხუთე ხმაც შევნიშნე – დვრინი (ОКТАВА). მთქმელს გაუბედაობა ეტყობოდა და თითქოს მორცხვობდა – ვაითუ კონსერვატორებმა მათრახი გადმომკრანო. მაგრამ მეტად მოხდენილი იყო მეხუთე ხმით თქმა. „უფალო, შეგვიწყალებ“ ითქმებოდა ექვს კილოზედ; მათგან ორი 1867-1871 წლებში სემინარიის რუსულმა ხორომ შემოიღო და მაგ კილოებს ქართული არა სცხია რა. დანარჩენი ოთხი კილო ნამდვილი ქართულია. სასურველია, ყოველმხრივ შემუშავებულ იქნას ოთხ ხმაზედ გალობა ხშირის პრაქტიკით და საქმის კარგად შესწავლით.

მლ. პ. კარბელაშვილი

275. ივერია, 1898, 5 მაისი, №94, გვ. 3

ქართული გალობა ხონში

შარშან, ნოემბერში გვესტუმრა ხონში ჩვენი ცნობილი არტისტი მომღერალი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე. სამღვდელოებამ, გაიგო რა საგანი მისი მოსვლისა, გულმოდგინედ შეუდგა ქართულის გალობის დაარსებას ხონის საკრებულო ტაძარში. სამის თვის განმავლობაში ბ-ნმა ქორიძემ მოამზადა გუნდი მგალობელთა და გაგვაგონა ჩვენი ძველი მამა-პაპეული მწყობრი ნოტიო გალობა წ. ოქროპირის წირვისა, რომელსაც დღემდის გალობენ და მოჰყავთ მსმენელნი აღტაცებაში. მგალობელთა გაიცნეს რა გემოვნება ტკბილისა და სასიამოვნო გალობისა, არ დასჯერდნენ მარტო ოქროპირის წირვის გალობას და სთხოვეს ბ-ნი ქორიძეს, რომ გვასწავლე სხვა საგალობლებიცო. ქორიძემ შეინყნარა იმათი თხოვნა და დაასწავლა წმ. ვასილი დიდისა და აღდგომის წირვის საგალობლები, რომელმაც დიდად და სასიამოვნოდ იმოქმედა ხალხზედ. ახლა ასწავლის ქორწინების და დამარხვის საგალობლებს. განგრძობა გალობის სწავლისა იკისრა ორმა პატიოსანმა ვაჭარმა – ალექსი გეორბელიძემ და ვლადიმირ ავალიანმა, რომელთაც მამა ბლალოჩინმა ერასტი მაჭარაძემ ალუთქვა ქონებრივად დახმარება. მამა მაჭარაძე ღირსეულად და პატიოსნად მოიქცა გალობის დაარსების საქმეში დაბა ხონის საკრებულო ტაძარში. შეაგროვა ახალგაზრდობა გალობის სასწავლებლად, თვალყურს ადევნებდა გალობის სწავლას. რამდენჯერმე წარმოსთქვა საყდარში

სიტყვა, რომლითაც აუხსნა და განუმარტა ხალხს გალობის მნიშვნელობა და მისი აუცილებელი საჭიროება ხალხის ზნეობრივი ცხოვრებისათვის. აღუძრა ხალხს სურვილი ქონებრივად დახმარებისა ქორიდის შრომის დასაჯილდოებლად. იმას მხარი მისცა მისმა თანამწირველმა მღვდელმა სპირიდონ გორდულაძემ და სხვებმაც, რომელთა დახმარება ამ საქმის გასაჩაღებლად ცალკე იქმნება გამოცხადებული. მ. მაჭარაძე პირველი მაგალითია იმერეთის ეპარქიაში ამ ხალხისათვის დიდად საჭირო საქმის დაწყებისა. მასზედვეა დამოკიდებული ამ საქმის წარმატება და დღეგრძელობა. ორ თვეზე მეტია, რაც მაგლობელთა ხოროს ჰმართავს ახალგაზრდა ყმანვილი კაცი ბ-ნი ვ. ქუთათელაძე, მომზადებული ლოტბარად ქორიდის მიერ. ქუთათელაძეს ადვილად შეუძლია სამსახური გაუწიოს გალობის საქმეს, თუ სამღვდლოება უყურადღებოდ არ დააგდებს იმის შრომას.

ვუსურვებთ ხონის ტაძრის სამღვდლოებას, რომ ეს გალობა განაგრძოს და სამუდამოდ დააარსოს ხონში.

გალობის მოყვარე

276. ივერია, 1898, 6 მაისი, №95, გვ. 3

ახალი გუნდი მაგლობელთა

ფერშლის სასწავლებლის გალობის მასწავლებელმა ბ-ნმა მიხეილ ნათაძემ შეადგინა მაგლობელთა გუნდი; უმეტესი ნაწილი მაგლობლებისა ტფილისის ეკლესიების მედავითნენი არიან. ბ-ნმა ნათაძემ შეასწავლა ამათ იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ გადაღებული საეკლესიო გალობა. უფრო ადრე უნდოდა ბ-ნ ნათაძეს შეედგინა გუნდი და შეესწავლებინა ეს გალობა, მაგრამ ამ გალობის ნოტები ვერ იშოვა. 30 აპრილს, პირველად აგალობა თავის გუნდი ბ-ნ ნათაძემ მთანმიდის ეკლესიაში. გუნდს ეტყობა მწყობრობა და ბევრს საგალობლებს სასიამოვნოდ გალობს. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნ ნათაძე ამისთანა კეთილის საქმის დაწყებისათვის, მით უმეტეს, რომ თავის გუნდში მონაწილეობა მიაღებინა ტფილისის ეკლესიების მედავითნეებს, რომელნიც ცოტად მაინც გაისწორებენ თავიანთ გალობის კილოს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი მედავითნეები, ზოგიერთის გარდა, ჩვენ საგალობლებს ჰგალობენ სხვადასხვა ერის გალობის კილოზედ. ის მედავითნენი, რომელნიც ნათაძის გუნდში იღებენ მონაწილეობას, არ შეიძლება არ შეეჩვივნენ კილოს და ეს სასურველიც არის: შეეჩვევიან კილოს და თავიანთ ეკლესიაშიც შეუძლიანთ იგალობონ ამ კილოზედ. სასურველია, რომ ყველა ეკლესიების მედავითნეები ვალდებული გახადოს ადგილობრივმა ბლალოჩინმა, იარონ ხოლმე ბ-ნ ნათაძის გალობაზე და ყური უგდონ და შეეჩვივნენ გალობას. ამ დღეს მლოცველნიც ბევრნი დაესწრნენ წირვას და მრავალმა მათგანმა მადლობა უძღვნა ბ-ნს ნათაძეს შრომისათვის. ადგილობრივმა მღვ. მ. მაჭარაშვილმაც მადლობა გარდაუხადა ახალ მაგლობელთა გუნდს.

გიო

277. ივერია, 1898, 8 მაისი, №96, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ გურულ ხოროს წარმომადგენელს, რომელმაც 23 აპრილს, ქვაშვეთში, წირვის მოსმენის შემდეგ, თანაგრძნობა განაცხადა ჩვენ მიერ შედგენილ ქართულ საეკლესიო ოთხხმიან ხოროს გალობის შესახებ და გადმომცა ერთი თუმანი ხოროს გაძლიერება-წარმატებისათვის. ჩვენთვის დიდად საგულისხმიეროა და წამაქეზებელიც ამგვარი თანაგრძნობა უფრო იმიტომ, რომ ხსენებული შემომწირველი კარგი მცოდნეა გურულის გალობისა და ცნობილი მოღვაწე მისი აღდგინების საქმეში. ეს მოვლენა ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ მცოდნე კაცისთვის, ოთხხმად გალობა, არ წარმოადგენს არავითარს დარღვევას ქართულის გალობის თავისებურობისას.

ხოროს გამგე ი. მონადირაშვილი

278. ცნობის ფურცელი, 1898, 16 ივნისი, №559, გვ. 1

ახალი ამბავი

ქართული გალობა მეტეხის ტაძარში

ბატ. დუმბაძე არც ციხეში ჰკარგავს ცუდ-უბრალოდ დროს. თავისი ნაყოფიერი შრომა აქაც გაუნაწილა თავის თანატანჯულებს. მან სულ ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში შეადგინა ტუსალებისაგან მგალობელთა გუნდი და კვირას, 14 ივნისს, პირველად იგალობეს მეტეხის ეკლესიაში; ამ მცირე ხნის მომზადების შემდეგ გუნდმა მშვენიერად იგალობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ციხეში საზოგადოდ აკრძალულია სიმღერა-გალობა კი არა, ხმის დაძვრაც კი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რა დამატკობელი და სასოებაში მომეყვანია წირვა-ლოცვა მგალობელთა ტკბილის ხმით შეზავებული. აი, სწორედ ამისთვის იყო, რომ გარეშე ხალხით გაივსო ეკლესია და თვით ტუსალებით ხო სავსე იყო, რომელნიც ადრე უგულოდ მიდიოდნენ საყდარში. ბ. დუმბაძე მადლობის ღირსია ამ კეთილ საქმისათვის. მით უმეტეს, რომ აქ მგალობელთა გუნდი არასოდეს არ ყოფილა.

279. ცნობის ფურცელი, 1898, 5 ივლისი, №575, გვ. 1

* * *

იოსებ შარაბიძე. ქუთაისში გარდაცვლილა საკრებულო ტაძრის მთავართ-მთავარი მამა იოსებ შარაბიძე, რომელმაც პირველად გადმოიღო ჩვენში საეკლესიო გალობა ნოტებზე.

წერილი ხონიდან

[...]თითქმის ერთი წელი გადის, რაც ხონში იმყოფება ჩვენი დაულალავი მშრომელი ბ-ნ ქორიძე. გალობის მსურველი აქ პირველადვე ბევრი აღმოჩნდა და საქმეც კარგად წავიდა. შემდეგ კი, ზოგიერთ ვაჟბატონების ჩაგონებით, ბევრმა მიატოვა გალობა. ასე რომ, მგალობელნი ეხლა ორმოცის მაგივრად ათიდან თხუთმეტამდე ძლივს იქნება. ეხლა აქაურ სოფლის მასწავლებლებს განზრახვა აქვთ გალობა შეისწავლონ ბ-ნ ქორიძესთან და ისიც თანხმდება იმათ თხოვნაზედ. ვუსურვებთ აღედგინოს არა მარტო ქართული საეკლესიო გალობა, არამედ ის განთქმული „ვაკის ეპისკოპოსის“ ხორო, რომელიც იზიდავდა ხონში მეფეთა და დიდებულთა...

ხუთშაბათს, 2 ივნისს, ბ-ნ ვიქ. ქუთათელაძის სახლში გამართულ იქმნა საცეკვაო საღამო წიგნთსაცავის სასარგებლოდ. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დარჩა. დიდის მადლობის ღირსნი არიან გამგეობა დახმარებისათვის, ქ. ემელია ქუთათელაძისა, რის. ქუთათელაძისა, გაგუა და ვიქ. ქუთათელაძე.

შავია-ღია

281. ცნობის ფურცელი, 1898, 29 აგვისტო, № 618, გვ. 2

ახალი ამბავი

ს. მარტვილი (სამეგრელო). კონცერტი და საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ. „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს მოეხსენება ის გარემოება, რომ წელს, მარტვილში, საპედაგოგო კურსები იყო; ამ კურსებზე ქართული გალობის და განსაკუთრებით ნოტის შესასწავლებლად მასწავლებელთათვის მოწვეული იყო ცნობილი ლოტბარი ფილიმონ ქორიძე. ამ პატივცემულმა პირმა 12 აგვისტოს გამართა დ. ნაოლაღევი „მუსიკალურ-ლიტერატურული“ საღამო, რისთვისაც ბ. ქორიძეს ადრევე მოემზადებინა რამდენიმე ჩვენებური სიმღერები ნოტებზე მის მიერ გადაღებულნი, რომლებიც საუცხოვოდ იგალობეს მგალობლებმა. საუცხოვო იყო, აგრეთვე, ფისგარმონიის აკომპანიმენტზედ რამოდენიმე კუბლეტები ოპერიდან, იტალიანურად, სადაც ნათლად სჩანდა დიდი ნიჭი ბ-ნი ქორიძისა მუსიკაში, რამაც მსმენელს ურუანტელი მოჰგვარა, მეტად ასიამოვნა და განუწყვეტლივ „ვაშა, ვაშა“ აძახებინა.

მონაწილეობას ლეზულობდნენ აგრეთვე ბბ. ს. მატარაძე, ი. ქუთათელაძე, ა. ბენაშვილი და ს. ძიმისტარიშვილი. ძიმისტარიშვილისაგან წარმოითქვა რამოდენიმე მის მიერ შეთხზული ლექსები. უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ძიმისტარიშვილი ხელოვნურად კითხულობს ლექსებს. ამ შემთხვევაში კი ლექსს ერთი ათად ემატება ღირსება და ღრმად ებეჭდება მაყურებელს გრძნობაში.

პირველი ანტრაქტის შემდეგ, ბ. ბენაშვილის ლოტბარობით მომღერალმა გუნდმა იმღერა კახური სიმღერები, რომლის ოსტატურად გატარებამ აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი.

დასასრულ, მატარაძეს და ქუთათელაძეს თაოსნობით ბუნდოვანი სურათები იქმნა გამართული საბუნებისმეტყველო და საეკლესიო შინაარსით; თითოეულის სურათის, ბბ. მატარაძე

და ქუთათელაძე, მოკლე ახსნას აწოდებდა დამსწრეთ; უნდა ვთქვათ, რომ სურათებით, განმარტებითი სიტყვებით იყვნენ გამორჩეულნი, შესაფერისნი და არა უბრალო შესაქცევარი. საზოგადოდ, სალამომ ჩინებულად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდად კმაყოფილი დარჩა.

შემოსავალი უნაკლულოდ გადადებული იყო სასარგებლოდ მარტვილის უფასო ნიგნთ-საცავ-სამკითხველოსი, რომელიც ხარჯად გამორიცხვით 38 მან. შეადგენს და გადაეცა სამკითხველოს გამგეს ქ-ნ ლიუბა გიორგის ასულს განერელიასას.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნით ბბ. ქორიძეს, ბენაშვილს, მატარაძეს, ქუთათელაძეს და ძიმისტარიშვილს, რომელთა შემწეობითაც ჩვენს სამკითხველოს ეკონომიურად შემწეობა მიეცა. მადლობის ღირსნი არიან, აგრეთვე, თვით გამგე სამკითხველისა ლიუბა განერელიასი და ქქ. პელაგია დგებუაძისა და ქეთევან ტატიშვილისა, რომლებსაც დაუღალავი შრომით დახმარება აღმოუჩინეს „ლიტერატურულ-მუსიკალურის“ სალამოს გამართვაში.

დამსწრეთაგანი

282. ივერია, 1898, 1 ოქტომბერი, №210, გვ. 4

ქართულის გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით, ტფილისის ანჩისხატის ტაძართან, არსდება ქართველ მაგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის – დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მაგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ, მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა – გამოცხადდნენ ჩემთან, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკლესიაში გალობის დაწყებისთანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი

283. ივერია, 1898, 3 ოქტომბერი, №214, გვ. 3

ორიოდე სიტყვა ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ

ვიდრე აქ აღნიშნულ საგნის გამო ვიტყოდე რასმე, ჩემს მოვალეობადა ვსთვლი გაცნობოთ მკითხველებს, რომ ერთი საუკეთესო გალობის მცოდნე კიდევ მოგვაკლდა – მამა იოსებ ჩიკვაიძე.

განსვენებული საუკეთესო მოძღვარი იყო, თუმცა არც ერთ სასწავლებელში არ ესწავლა იოანნე ნათლისმცემლის მონასტრის გარდა. ამ მონასტერს მისთვის საკმაო ცოდნა მიეცა, საზოგადოდ, საღვთისმეტყველო საგნებისა და საუკეთესოდ განესწავლა კითხვა-გალობაში. გალობის მასწავლებლად მის დროს ყოფილიყო არხიმანდრიტი გენადი, გელათიდგან გადმოყვანილი, გურული და მცოდნე გურულის გალობისა. ეს გურული გალობა იცოდა მამა იოსებმა და გალობის ხასიათი სრულიად წააგავს ესრეთ ნოდებულ კარბელაშვილის

გალობას. ამ ოთხი წლის წინათ, მოვიდა თელავში ბ-ნი კლენოვსკი და, სხვათა შორის, მთელი წირვის გალობა გადაიღო მან მ. იოსების ნაგალობებისაგან. ბ-ნი კლენოვსკის რომ დრო ჰქონოდა, მოხუცებული მ. იოსები მზად იყო დღე და ღამე შეენირა და გადაეღებინა სუყველა საგალობელი. ისე დაუღალავად ჰმუშაობდა განსვენებული, რომ ყველას გვაკვირვებდა. ერთს მუხლს საგალობლისას დაუზარებლად ათჯერ და ოცჯერ იმეორებდა, ოღონდ გადამღებს შეცდომა არ მოჰსვლოდა. წირვის გალობა გადაღებულია ბ-ნი კლენოვსკისაგან და, თუმცა არ ვიცი, დღეს რა მდგომარეობაშია, ან ვისთან არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბ-ნი კლენოვსკი არ დაუკარგავს ქართველობას თავისსა და მ. იოსების ნაშრომს. სამწუხარო ის არის, რომ ყველა საგალობელი არ იქმნა გადაღებული. ამასთან, საჭიროა კიდევ გავისხენოთ, რომ ბ-ნი კლენოვსკის მიერ გადაკეთებული ზოგიერთი საგალობელი ოთხ ხმაზე მ. იოსებს მოსწონდა – ამბობდა განსვენებული, რომ „არავითარი გარჩევა არ არის, სული და გული გალობისა ისევე ის არის, ხასიათი და კილო არ იცვლება, ხოლო უფრო დამშვენებულია“. საჭიროდ მიმაჩნია ამისი გახსენება იმიტომ, რომ დიდი აურზაური გამოიწვია ოთხხმაზედ გადაკეთებულმა ბ-ნი ბენაშვილის მიერ წირვის გალობამ. ბ-ნი ა. ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაკეთებულ გალობას აგალობებს დღეს ბ-ნი მონადირიშვილი, რომელსაც უსაფუძვლო მოკამათენი გამოუჩნდნენ. აი, სია ბ-ნი ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაკეთებულ საგალობლებისა:

წ ი რ ვ ი ს ა :

„უფალო შეგვიწყალებ“ (სამნაირი), „ყოველსა ადგილსა უფლებისა“, „მხოლოდ შობილი ძე“, „მოვედით თაყვანის ვსცეთ“, „წმიდაო ღმერთო“, „ალილუია“, „და სულისადაცა შენისათანა“, „დიდება შენდა უფალო“, „რომელი ქერუბიმთა“, „და ვითარცა მეუფისა“, „მამასა და ძესა“, „მრწამს ერთი ღმერთი“, „წყალობა მშვიდობა“, „ღირს არს და მართალ“, „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო“, „შენ გიგალობთ“, „ღირს არს ჭეშმარიტად“, „ყოველთა და ყოვლისათვის“, „მამაო ჩვენი“, „ერთ არს წმიდა“, „ვინ არა გნატრიდეს“, „კურთხეულ არს მომავალი“, „ნათელი ჭეშმარიტი“, „ალავსე პირი ჩემი“, „იყავნ სახელი უფლისა“, „ამინ“, „უპატიოსნესსა“ – სულ 24.

ს ა ღ ა მ ო ს ლ ო ც ვ ი ს ა :

„აკურთხებს სული“, „ნეტარ არს კაცი, რომელი“, „უფალო ღაღად ვჰყავ“, „ნათელი მხიარული წმიდისა“, „უფალო შეგვიწყალებ“ (სამგზით) – სულ 5.

ც ი ს კ რ ი ს ა :

„ღმერთი უფალი“ – მეოთხე ხმაზედ, „ან და მარადის“, „აქებდით უფალსა“, „დიდება მამასა“, „მოციქულთა“, „დიდება მალაღლთა შინა“, „ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის“, – სულ 6.

ს ხ ვ ა ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი :

„მეუფეო ზეცათაო“, „ანგელოზი ღაღადებს“, „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“, „ჩვენთან არს ღმერთი“, „ტონდესპოტინ – ისპოლა ეტი“, „იხარებს სული ჩემი“ – მღვდელმთავრის შემოსვლის დროს, „ისპოლა ეტი დესპოტა“, „გადიდებ შენ, ცხოვრების მომცემელო“, სხვადასხვა დღესასწაულისა. – სულ 8.

პ ა ნ ა შ ვ ი დ ი ს ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი :

„ამინ, უფალო შეგვიწყალებ“, „განუსვენე უფალო“, „დიდება მამასა და ძესა“, „სულთა თანა აღსრულებულთა“, „წმიდაო ღმერთო“ მიცვალებულისა. – სულ 5.

ტ რ ო პ ა რ ე ბ ი :

წმ. ნინოსი, წმ. გიორგისა – მეოთხე ხმაზედ გაკეთებული. წმ. დავითის და კონსტანტინესი, წმ. დავით აღმაშენებლისა, ამაღლებისა, სულთმოფენისა, „ღირს არსის“ მაგიერ,

задостойникъ: ამალღებისა, სულთმოფენისა, ტაძრად მიყვანისა, „სიყრმით ჩემითგან ფრიად“ – სულ 10.

საერთოდ კი 58 საგალობელი.

დღეს ჩვენში გალობის საქმე არეულია. ბ-ნ ქორიძისაგან გადაღებულმა, გამშვენებულმა გურულმა გალობამ ვერ შეაღწია სასწავლებლებს და ვერც შეაღწევსო, ამბობენ მცოდნენი. ამის მიზეზი თვით გალობის მრავალგვარი კილოკავებია. მ. ვასილ კარბელოვისაგან გამოცემულმა მწუხრის გალობამაც ვერ მოიკიდა ჯეროვანად ფეხი სასწავლებლებში, რადგანაც, ჯერ ერთი, დიდ წიგნად არის გამოცემული და მეორე, მარტო მწუხრის საგალობლებია გამოცემული. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელს განზრახვა აქვს, გურული უბრალო გალობა, მისგანვე გადაღებული მარტო ერთ ხმაზედ, გამოსცეს სასწავლებელში სახელმძღვანელოდ. ბ-ნ ა. ბენაშვილსაც სურვილი აქვს, თუ სახსარი აღმოუჩნდა, ოთხ ხმაზედ გადაღებული ზემორე ჩამოთვლილი საგალობლები გამოსცეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ. მ. პ. კარბელაშვილი, ძმა მ. ვასილისა, არ ეთანხმება ძმისაგან გამოცემულ გალობას, ამბობს, რომ გამოცემულში ბევრი რამ შეცვლილია, ბევრი დამახინჯებულია და სხვ. ახლა თავისი შვილის, რომელმაც იცის ნოტები, შემწეობით აპირებს აღადგინოს თვისის მამის გალობა უნაკლებოდ და, რა თქმა უნდა, ეცდება თვისი გამოცემული გალობა სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ მიაღებინოს.

ბ-ნნი: ქორიძე, ბენაშვილი, მალრაძე, – მამანი: ვ. კარბელაშვილი და პ. კარბელაშვილი – ჯერ ხუთნი არიან და შემდეგ შეიძლება ეს რიცხვი გაორკეცდეს. მე წინააღმდეგი არა მაქვს რა, თუნდა ორმოცმა გამოსცეს ქართული საგალობლები; სრულიად თანახმა ვარ იმ აზრისა, რომ რაც ბევრისაგან იქმნება გამოცემული, ის უკეთესია, უფრო უკეთესის არჩევა შეგვეძლება როდისმე.

ნადიკვრელი [ილია ზარაფიშვილი]

(გაგრძელება №215-ში)

284. ივერია, 1898, 8 ოქტომბერი, №215, გვ. 2-3

ორიოდე სიტყვა ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ

(გაგრძელება)

მე არც ერთის გალობის არც მონინააღმდეგე და არც მომხრე არ გახლავართ იმ სახით, რა სახითაც დღევანდლამდის გამოთქმულა ან წინააღმდეგობა, ან მომხრეობა. „ეს იმერულია და ეს ქართლ-კახურია“. „არა, იმერული სჯობსო“, გაიძახიან უთუოდ ლიხთიმერნი. „უკაც-რავად, ქართლ-კახურს იმერული გალობა როგორ შეედრებაო“, გაიძახიან ლიხთამერნი.

ჩემის აზრით, გალობის გავრცელება შეიძლება მარტო სასწავლებლების საშუალებით.

როდესაც გალობის გავრცელებისა და სწავლების შესახებ ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ, უნდა სახეში მივიღოთ გალობის სწავლის მსურველთა ის მხარე, რომელიც ნიადაგად უნდა გაუხდეს სწავლებას და რომელზედაც უნდა აღმოცენდეს თვით გალობის ცოდნა. ჩვენა ვართ ქართველები და ყველა ჩვენი გალობა ქართულია, ხოლო სწავლებაზედ – სხვადასხვა სიძნელისა. რომელი გალობაც ძნელია, მისი შესწავლა მეტს დროს თხოულობს. სასწავლებლებში ქართულის გალობისათვის უწყებელი დრო არის დანიშნული. ამისათვის, ჩვენ

მოვალენი ვართ, შევეუფარდოთ გალობის შესწავლის სიძნელე თვით შესასწავლად დანიშნულს დროს. მაშასადამე, გალობის სახელმძღვანელოები უნდა შესდგეს წლოვანებისა და სასწავლო დროის მიხედვით. ამ სახელმძღვანელოებისათვის უნდა ამორჩეულ იქმნას საგალობლები ყველა გალობიდან იმ უცვალელები და საპატიო კანონის მიხედვით, რომელიც ამბობს: ადვილითგან თანდათანობით ძნელზედ გადადითო. რასაკვირველია, ამასთან ერთად უნდა დაცული იყოს მუსიკაც და ყველა ის, რაც ამ ხელოვნებას შეეხება.

ოთხ ხმაზედ გალობას, ცხადია, უფრო დიდი მომავალი აქვს. უბრალოდ, ებრძვიან ამ ოთხ ხმაზედ გალობის განესრიგებას. თუ გამშვენებული გურული გალობა საპატიოა, თუ მისი განშვენება ქვეყნის დაქცევას არ მოასწავებდა, ოთხ ხმაზედ დაწერილი იგივე განშვენება არ არის? უნდა გამოვუტყდეთ, რომ გურულის გალობის განშვენება დიდი ხანი არ არის რაც მოხდა. ბევრნი დამემონებებიან, რომ იმათს დროს იყო ნაგალობევი ეს გალობა პირველად გელათში და რომ მისის მოსმენის შემდეგ მრავალნი გელათის კრებულთაგანნი, ქრისტეს მმოსავნი კეთილმორწმუნენი უკმაყოფილონი დარჩნენ გალობის კრიმანჭულობისა; ისევ უბრალო გურულ გალობას ამჯობინებდნენ. ამავე საგნის შესახებ დიდად საყურადღებოა აზრი ნეტარხსენებულის იმერეთის მღვდელმთავრის გაბრიელისა, რომელმაც აღუკრძალა ქუთაისის ტაძარში განმშვენებული გურული გალობა ტაძრის ლოტბარს და უბრძანა, რომ უბრალო გურული გალობა და ქართლ-კახეთის, ანუ კარბელოვის გალობა ყოფილიყო.

ნადიკვრელი [ილია ზარაფიშვილი]

285. ივერია, 1898, 11 ოქტომბერი, №218, გვ. 2-3

ქუთაისი. აქ ჩამოვიდა ჩვენი საზოგადოების მიერ კარგად ცნობილი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე. როგორც ვიცით, ბ-ნმა ქორიძემ, ნოტებზედ გადაიღო ქართული (გურული კილო) საეკლესიო გალობა და მრავალი საერო სიმღერა. ბ-ნი ქორიძეს აზრად აქვს ქუთაისში მსურველთ ასწავლოს საზოგადოდ გალობის თეორია და ქართულ-რუსულ-ევროპიული სიმღერები.

286. ცნობის ფურცელი, 1898, 17 ოქტომბერი, №656, გვ. 2

ახალი ამბავი

გორი. ეგზარხოსის ფლაბიანეს ჩამობრძანება. ამ თვის 3-ს, მათ მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ არხიეპისკოპოსმა ფლაბიანემ იწება დათვალიერება გორის თითქმის ყველა სასწავლებლებისა. სხვათა შორის ყოვლადსამღვდელო კირიონითურთ ინახულა ოქონის ნმიდის ხვთისმშობლის ეკლესიასთან დაარსებული, ამ ორი წლის წინათ, სამრევლო შკოლა. შეგირდები ამ შკოლის და კრებული მიეგება მაღალყოვლადუსამღვდელოესს ეკლესიის კარებთან და ბავშვებმა მწყობრად და მშვენივრად იგალობა რუსულად: „ღირსაარს ჭეშმარიტად“, სამნაირი „უფალო შეგვიწყალებ“ მრავალჯერ: სამჯერ – რუსულად და სამჯერ – ქართულად. შემდეგ

შებრძანდა ვაჟების განყოფილებაში და აქაც შეგირდებმა ოთხ ხმაზედ იგალობეს რუსულად: „მეუფეო ზეცათაო“, „ისპოლაეტი“ და სხვა. ასე მოეწონა მათ მეუფებას გალობა ბავშვებისაგან, რომ სკოლის მასწავლებელს გიორგი პარკაძეს და დეკანოზ ლამბარაშვილს გულითადი გალობა უძღვნა და სასწავლებელს დაარქვეს სამაგალითო, სხვა სამრევლო სასწავლებლების შედარებით. მართლაც რომ, ძლიერ მშვენივრად გაუწვრთნიაო პარკაძეს ბავშვები რუსულ გალობაში. სამწუხაროდ, ძრეელ ნაკლებად გალობენ ქართულად; თუმცა, მასწავლებელი შეძლებისდაგვარად სცდილობს ქართული გალობაც ასწავლოს; ეკკლესიაში ზოგიერთ საგალობლებს კარბელოვის კილოზედ გალობენ. როგორც ეტყობა მასწავლებლის მეცადინეობას, ქართული ხოროც ამ ცოტას ხანში აგრეთვე მშვენივრად იქნება დაყენებული, როგორც რუსული. გარდა ამისა, რომ ეს პატარა ხოროს გალობა მსმენელს სიამოვნების ყრუანტელს მოგვრის, მშვენიერი საყურებელია რვა და ცხრა წლის მგალობელი ვაჟი და ქალები, რომლებსაც ლოტბარობს ხოლმე ეკკლესიაში ათი წლის შეგირდივე იოსებ ბოჭორაძე, რომელსაც მაღალყოვლადუსამღვდელოესმა აჩუქა ერთი მანეთი და ბავშვებს კი დაურიგა პატარ-პატარა ჯვრები. ვისაც კი უნახავს ეს პატარა ხორო, აღტაცებაშია მოსული. უ. პარკაძე მადლობის ღირსია ამნაირ შრომის და იმედია სასწავლებელის ზედამხედველი მიაქცევს ყურადღებას.

მართლადე

287. ცნობის ფურცელი, 1898, 19 ნოემბერი, №683, გვ. 2

ახალი ამბავი

ნოტები ქართულის გალობისა. ჩვენის საეკკლესიო გალობის აღდგენის მოტრფიალემ, მღ. ვასილ კარბელაშვილმა, ფრიად ძვირფასი ნაშრომი შესძღვნა ჩვენს საეკკლესიო მწერლობას. ეს გახლავთ კარბელაანთ, ანუ ქართლ-კახურ კილოს საეკკლესიო საგალობლები, ნოტებზედ გადაღებული სახიერის მღვდლის ვას. კარბელაშვილის მიერ. ეს მეორე ნაწილია საგალობლებისა, „ცისკარად“ წოდებული, მის მიერ გადაღებული. ნოტებზედ საგალობლის გადაღება ჩვენში ახალი საქმეა, და მით უფრო ძნელი და გაჭირვებულია. გამომცემელი ასეთი წიგნებისა ყველაზე ნაკლებ მოელის მატერიალურს ჯილდოს. იმისი წამქეზებელი მხოლოდ საზოგადოების სამსახურის აზრია. ამიტომ, ყოველთვის მსხვერპლად ითვლება ასეთი ღვაწლი, სამშობლო ეკკლესიის ტრაპეზზე შეწირული, რომელსაც თუ თანამედროვენი არა, მომავალი მადლიერი თაობა მაინც დააფასებს ჯეროვნად. ამ მეორე ტომს, მამა კარბელაშვილის შრომისას, ჩართული აქვს ლიტოგრაფიულად გადახატული ნიმუში ქართული გალობის ნიშნად წერილობისა (ნოტებისა) IX, X, XI და XII საუკუნისა და თან ნაჩვენებია მათი ხასიათი, რაიცა მეტად საინტერესოა ჩვენის ძველის მწერლობის მოყვარეთათვის. წინასიტყვაობაში მამა კარბელაშვილს, სხვათა შორის, დაუბეჭდავს წერილი საეკკლესიო გალობის მცოდნის, ცნობილის [...] სმოლენსკისა, რომელიც აღტაცებით იხსენებს მამა კარბელაშვილისავე პირველ ტომს საგალობლების ნოტებისას.

იმედი გვაქვს, ჩვენი სამღვდელოება ჯეროვანს ყურადღებას მიაპყრობს ამ ნოტებს, ეცდება ეკკლესიებში შემოღებულ იქმნას, რომ ჩვენში საეკკლესიო გალობა იმით, იქნება, კვლავ აღორძინდეს.

წიგნში 256 გვერდია და ღირს 1 მ. და 50 კაპ.

ფელეტონი

მოსაზრებანი ქართულის საეკლესიო გალობის შესახებ

ამას წინედ, „ივერიაში“ იყო დასტამბული ბ-ნ ნადიკვერელის წერილი ქართულის საეკლესიო გალობის შესახებ. ამ წერილში ბევრი საგულისხმიერო აზრი იყო გამოთქმული და მოკლედ, მაგრამ გარკვევით დასმული კითხვა. ამ წერილში აღძრული კითხვა და აგრეთვე, საქმის სალი შეხედულება, იქვე გამოხატული, მაიძულებს მეც რამდენიმე ჩემი მოსაზრება განვუზიარო მკითხველთ ამ საკითხის შესახებ.

ქართველებმა საზოგადოდ ბევრი ლაპარაკი ვიცით და საქმის კეთება ცოტა. ყველაფერს ვებლაუჭებით, ვითომ ყველაფრის გაკეთება გვსურს და ნამდვილად კი ვერაფერს ვაკეთებთ. მხნეობა, ხასიათის სიმტკიცე გვაკლია და ამისათვის, ერთხელ დაწყებულ საქმეს ძნელად თუ დავაბოლოვებთ ხოლმე.

ხასიათის სისუსტესთან ერთობაც გვაკლია. ჩვენდა სასირცხვილოდ, არ შემძლიან არა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ ვერ გავშორებხვართ იმ საზიზღარ მამა-პაპურ შენ-ჩემისობას, რომელიც ძველს დროში ჩვენ მამა-პაპათ ერთმანეთს აშორებდა და თითქმის ერთი-მეორის მოძულე ამერ-იმერლებად ჰყოფდა. დიად, სამწუხაროდ დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი „ულტრა-პატრიოტი“ ამერელი, რომელიც ამერულ გალობას ამჯობინებს, იმიტომ რომ ამერულია და გაიძახის: „რას მიქვიან იმერული გალობა! იგი ბოლოს მოგონილიაო“, გასაგონადაც კი ეზიზღება, არათუ შეისწავლოს იგი. ბევრია, აგრეთვე, ისეთი იმერელი, რომელიც იმერულ კილოს ამჯობინებს, რადგან იგი იმერულია. ასე ჰსჯიან ეს ვაჟბატონები და სრულიად არა ჰფიქრობენ, რომ ჩვენთვის, სულ ერთია, იმერული თუ ამერული კილო, ორივე ქართულია და კარგია თუ ცუდი – ორივე ჩვენია. დიახ, სამწუხაროა ასეთი მოვლენა და ყოველ საქმეში ხელს შეგვიშლის იგი, თუ როგორმე არ აღმოიფხვრა.

რა არის ქართლ-კახური და რა არის გურულ-იმერული კილო? რომ ავიღოთ და შევადაროთ ერთმანეთს ე. წ. გურულ-იმერული „სადა კილო“ და ქართლ-კახური – ერთი და იგივეა, მხოლოდ აქა-იქ ხმის მიმოხვრით ოდნავ განირჩევა ერთი მეორისაგან. ამ ორისავეგან განირჩევა ე. წ. „განმშვენებული“ კილო. იგი არის ფიცხის ფანტაზიის ნამოქმედარი და გურულის მკვირცხლის ხასიათისა და თავმოყვარეობის ნაყოფი. მართალი მოგახსენოთ, იგი უფრო დამახინჯებულია,“ ვიდრე განმშვენებული და ე. წ. „ჭრელები“ ხომ პირდაპირი გარყვანა ეკლესიურის გალობისა. მაგრამ ამით მე იმას არ ვამბობ, ვითომც ეს კილო დასაკარგი იყოს და ან ყურადღების ღირსი არ იყოს. პირიქით, აუცილებლად საჭიროა მისი დანერა-დაბეჭდვაც და ამგვარად მისი დაცვა. საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენთვის უფრო საჭიროა უბრალო, სადა კილო, რომელსაც უადვილესად შეითვისებს მოსწავლე და მაშასადამე, რომელიც უადვილესად გავრცელდება. ამგვარია ქართლ-კახური და გურული სადა კილო და საჭიროა ისინი დაინერონ, დაისტამბოს ერთად სკოლებში სახმარებლად და, რამდენადაც კი შეიძლება, კიდევ უფრო გაადვილებულ-შესწორებულ იქმნას.

სკოლაა ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღსდგეს და აღმოცენდეს ჩვენი საეკლესიო გალობა.

დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიისათვის, კი წარსულ წელში ქუთაისის სემინარიის მთავრობამ შეადგინა დაწვრილებითი პროგრამა ქართულის გალობისა და დაურთა სასწავლებელთ სახმარებლად. ეს პროგრამა გვარიან-შინაარსიანია და რაც შიგ საგალობლებია მოთავსებული, ისინი რომ შეისწავლონ მოსწავლეებმა, ისიც საკმაოა. ამ

პროგრამით უნდა ვისარგებლოთ და ვეცადოთ, შესდგეს ამისთანა სახელმძღვანელო ქართულის საეკლესიო გალობისა, რომელიც ერთგვარად სახმარებელი იყოს როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლებში. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებული უნდა იყოს საგალობელი, როგორც ქართლ-კახურის, ისე გურულ-იმერულ სადა კილოსი. უფრო საძნელო-ნი და აგრეთვე, „განმშვენებულ“ კილოს ნიმუშები – უფროს კლასებსა და სემინარიებში.

ერთის შეხედვით, ეს საქმე ადვილი ეგონება ადამიანს, მაგრამ როდესაც დაუვკვირდებით, მეტად ძნელია ერთის კაცისათვის ამ საქმის ხელის მოკიდება. საქმე ისაა, დღეს ჩვენ არა გვაქვს ნოტებზედ დაწერილი და გამოცემული ეს კილონი, რომ იმით ისარგებლოს კაცმა და სახელმძღვანელო შეადგინოს პროგრამის მიხედვით. თუმცა არის ქორიძის მიერ გადაღებული წესი, მაგრამ ეს მარტო გამშვენებულის კილოსია და, რაც უნდა იყოს, მაინც მარტო ეს და აგრეთვე მ. კარბელაშვილის მიერ გამოცემული, მისგანვე გადაღებული რამდენიმე საგალობელი საქმეს ვერ უშველის. ამიტომ ჩემის ფიქრით, ისა სჯობია, რომ ჯერჯერობით გამოიცეს ეს კილოები ერთად, საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით დაწყობილი.

ეხლა ჩვენი საეკლესიო გალობა თითქმის სრულიად თუ არა, უმეტესი ნაწილი მაინც დაწერილია და რომელიც არ არის დაწერილი, არც მათი დაწერაა გასაჭირი, რადგან ეხლა, ღვთის მადლით, გვარიანად მოგვეძებნება ნოტების იმისთანა მცოდნენი, რომელთაც შეუძლიათ უნაკლულად გადილონ ნოტებზედ ყოველივე საგალობელი.

ეხლანდელ ჩვენს სამღვდელოებს ბევრი ემდურის და ეს სამდურავი, ბევრ შემთხვევაში, სამართლიანიცაა.

ვიტყვიტ მხოლოდ, რომ, როგორც სხვა საქმეში, ისე საეკლესიო გალობის გავრცელება-გაუმჯობესების საქმეშიაც დიდ გულცივობას იჩენენ ჩვენი მღვდლები. არა სცდილობენ ღვთისმსახურება კეთილგანყოფილ გალობით განამშვენონ. შეიხედეთ ჩვენს სოფლის ეკლესიებში, მიბრძანდით თუნდა თვით ქალაქის ეკლესიებშიაც და ნახავთ, რომ იქ, თითქმის აღდგომა დღესაც კი, მხოლოდ მარტო ერთი მედავითნე აღრაჭუნებს მთქნარებით და რალაც უგულოდ „უფალო შეგვიწყალენ“-სა და, გარდა ამისა და კიდევ ორიოდ საგალობლისა წირვის წესისას, იგი ყველაფერს კითხულობს წიგნში, რადგან გალობა არ იცის. რასაც ჰგალობს, იმასაც ისე ჰგალობს, რომ გალობას სრულიად არ ნააგავს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, იგივე ემჩნევა თითქმის ზოგიერთ ჩვენს მონასტრებსაც. ქალაქის ეკლესიებში კიდევ, ერთი მედავითნე გალობს. ერთი მიბრძანეთ, რამ უნდა მიიზიდოს ხალხი ეკლესიაში? გავიძახით, ხალხს გული გაუგრილდა სარწმუნოებაზედ და ეკლესიას აღარ ეკარებაო! რასაკვირველია, აღარ მიეკარება, რადგან მას იქ აღარაფერი იზიდავს. ხალხს იზიდავს ეკლესიაში კარგი გალობა და მოძღვრისაგან მამა-შვილური დარიგება, მაგრამ აღარც ერთი ჩვენს ეკლესიაში აღარ გაისმის და მარტო ერთი მედავითნის გაჭიანურებული და მასთან გაუგებარი კითხვა ხალხს როგორ მიიზიდავს?

აი, ამისთვისაა საჭირო ისევ თვით სამღვდელოებამ იზრუნოს ღვთისმსახურების განმშვენებისთვის კარგად განწყობილის გალობით. გალობის გავრცელებისათვის საჭიროა ნოტები, რადგან ზეპირდასწავლილი გალობა კაცს მალე ავიწყდება და მასთან, თვით გალობაც მახინჯდება. ამისათვისაა საჭირო, სამღვდელოებამ ითავოს და გამოსცეს საეკლესიო საგალობლების კრებული იმ გვარად, როგორც ზემოთ ვთქვით.

კორ. მალრაძე

გაგრძელება №257-ში.

^{*)} დამახინჯებულად ვსთვლი ჰარმონიის ე. ი. ხმების შეთანხმების მხრივ, ხოლო რაც შეეხება მელოდიურ მხარეს, ე. ი. კილოს, იგი მეტად მდიდარია მუსიკალურის ფორმებითა და ძვირფასს მასალას წარმოადგენს კომპოზიტორისათვის.

ფელეტონი

მოსაზრებანი ქართულის საეკლესიო გალობის შესახებ

(დასასრული) *)

ჩვენს საეკლესიო გალობას რომ შეკეთება ეჭირვება, ამას ლაპარაკი არ უნდა, იმიტომ, რომ დღეს სულ სხვა სიომ დაჰბერა; ჩვენი სმენა ევროპის ზეგავლენით განვითარდა და უფრო მეტ ჰარმონიას ითხოვს, ვიდრე ეს ჩვენს ძველ, სამხმოვან გალობაში მოიპოვება. ამისათვის, იგი გალობა, ძველის ფარ-ხმალთ ბრძოლას ვერ უწევს საუკეთესო თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებულს ევროპიულ ჰანგებს და ძალიან ადვილად უთმობს ადგილს ამ უკანასკნელს. თუ ასე იქმნა, რამდენიც უნდა ვიძახოთ, ჩვენი გალობა მშვენიერებაა და ყველას სჯობიაო, მაინც ხელში შემოგვაქრება იგი და სხვის ანაბარად დავრჩებით. ამის ასაცილებლად საჭიროა ასეთისავე აბჯრით შევმოსოთ ჩვენი გალობაც, როგორც ევროპიულია შემოსილი, ე. ი. ჩვენი კილო უნდა გაკეთდეს ოთხ ხმაზედ საგალობელად, ისეთისავე ჰარმონიის დაცვით, როგორც ევროპულსა აქვს.

ამ ბოლო დროს, ჩვენში კიდევ გაჩნდა ოთხ ხმაზედ გაკეთებული ქართული გალობა, რომელმაც მრავალი მითქმა-მოთქმა და კამათი გამოიწვია. როგორც მახსოვს და გამიგონია, პირველად ამნაირად ქართულის გალობის გაკეთება სცადა ქუთაისის ქალაქის სკოლის ზედამხედველმა, განსვენებულმა მრევლიშვილმა და, როგორც მომსმენთაგან გამიგონია, კარგიც გამოდიოდა. შემდეგ ამავე გზას დაადგა ბ-ნი ა. ს. ბენაშვილი; რამდენიმე საგალობლები გააკეთა ოთხ ხმაზედ და აგალობებდა კიდევ ხოროს. ეს გალობა მე თვითონ მომისმენია რამდენჯერმე და, მართალი უნდა ვთქვა, სრული კმაყოფილება მიმიღია ხოლმე მისის მოსმენით. ამ გალობაში მელოდია, ე. ი. უმთავრესი კილო ნამდვილად შეუცვლელი ჩვენებურია (უმეტესი ნაწილი ქართლ-კახურია), ხოლო ჰარმონია კი – სრული და სასიამოვნო. მაშ, რაღა სჯობია ასეთნაირად გაკეთებულს გალობას და ან რა გვეთქმის იმის წინააღმდეგ? მაგრამ ყოველ ახალ საქმეს, ავია თუ კარგი, მუდამ მოწინააღმდეგე უფრო ბევრი უჩნდება, ვიდრე მომხრე. აქაც ასე მოხდა. ბრალიანმა თუ უბრალომ, მცოდნემ თუ არამცოდნემ ერთბაშად იუცხოფერეს ეს ამბავი, ასტყდნენ ყველანი. ვინ იცის, რა აზრით, რა ექსორია უნდა ექმნათ ბ-ნ ბენაშვილის გალობისათვის, ნეტარხსენებულ გაბრიელს რომ არ გაენია მფარველობა. ზოგი გაიძახოდა: „ეგ კახური კილოა და ჩვენ რად გვინდა ან რისთვის გვახვევთ ძალად თავზეო“; ზოგი ამბობდა: „ეგ კათოლიკების გალობაა და არა ჩვენიო“, და ამგვარ მიზეზს უძებნიდნენ. რასაკვირველია, იყვნენ ბევრნი თანამგრძობნიც, განსაკუთრებით ახალგაზრდათაგანნი, და ესენი ამხნევებდნენ ბ-ნ ბენაშვილს.

ამავე გზას დაადგა ამ სტრიქონების დამწერიც. თანაუფგრძობ რა ჩვენის გალობის შემუშავების აზრს, მეც ვცდილობ რაიმე წვლილი შევიტანო ამ საქმეში ჩემის მხრივ. ამიტომ ავიღე „განმშვენებული“ კილო და უკვე დაბეჭდილი ნოტებიდგან გავაკეთე ოთხ ხმაზედ მთელის წირვის წესი მღვდლისა და მღვდელმთავრისა. რამდენჯერმე კიდევ ვაგალობე ეკლესიაში ხოროს. გადავიღე, აგრეთვე, რვა ხმის „უფალო ღალად ვყავ“–ი თვისის დასადებლებით და დოღმატიკებით და „ღმერთი უფალი“ ტროპარებით. აზრად მაქვს, აგრეთვე, მივყვე და სხვა საგალობლებიც გავაკეთო. ეს საქმე მეტად ძნელი სამუშევარია, განსაკუთრებით, „განმშვენებული“-ს კილოს ოთხ ხმაზედ გაკეთება და ამისათვის, მე ვერ დავიჩემებ მაინცა და მაინც, ჩემი შრომა უნაკლოა-მეთქი, რადგან ახალი საქმეა და ახალ საქმეს შეცდომაც

ბევრი მოსდევს, მაგრამ სინდისი მაინც იმითი მაქვს დამშვიდებული, რომ შეიძლება შემდეგში ჩვენმა (მე და ბ. ბენაშვილისამ) შრომამ გზა და ხილობა გაუწიოს მომავალს, ჩვენზედ უფრო დახელოვნებულს კომპოზიტორს.

ისეთივე მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩემმა შრომამაც, როგორც ბ-ნ ბენაშვილისამ. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, უფრო სწორედ მხედველი, მიუდგომელი და პროგრესიულის მიმართულებისა, თანაუგრძნობს ჩვენს შრომას და საზოგადოდ, ასეთს მიმართულებას. ზოგი კი, ურწმუნო თომასავით გაიძახის: „ბატონო! ამას რას მოვესწარიო! ვის გაუგონია ქართული გალობა და ოცი-ორმოცი კაცისა და ბავშვებისაგან შემდგარი გუნდიო! არიქათ, გვიშველეთ, გაგვირყვნეს მამა-პაპური გალობაო“ და სხვ. არიან, აგრეთვე, „ულტრა-პროგრესისტები“ და „კოსმოპოლიტები“, რომლებიც გაიძახიან: „რა საჭიროა ჩვენის ძველის გალობის ტანჯვა-წვალება და კეთებაო; მან თავისი დრო მოსჭამა და ეხლა ანდერძი უნდა აეგოს, ხოლო მის მაგიერ შემოვიღოთ მზა, ევროპიული კილო და მოვუწეროთ ქართული სიტყვებით“, და ამასთანავე, ასახელებენ რუსულ გალობას, რომელიც ვითომ ამგვარად იყოს გადმოღებული იტალიანურიდან.

პირველები, რასაკვირველია, მართალნი არიან და დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მომავალიც იმათ მხარეზეა; ხოლო რაც შეეხება უკანასკნელთ, ისინი კი შემცდარს აზრზედ სდგანან. ძველის გალობის შეუცვლელი დამცველთ, ალბათ ჯერ კიდევ არ გამოუღიათ ბამბა ყურებიდან და ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი ძველი გალობა ძველის კულტურის ნაყოფია და ახალ კულტურას იმ სახით ბრძოლას ვეღარ გაუწევს. დრონი იცვალენ. რამდენადაც გონებით განვითარდა ხალხი, იმდენად გრძნობაც განუსპეტაკდა და სმენა განუვითარდა. ჩვენის ძველების მოსაწონი ჰარმონია დღეს ჩვენს სმენას ვეღარ აკმაყოფილებს. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ეს არის, რომ რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო იმუსრება ჩვენი გალობა და თითქმის აღარსად გაისმის ჩვენს ეკლესიებში. იგი ჩვენც გვაკმაყოფილებს, თორემ უცხოელთ ხომ სიცილადაც არა ჰყოფნიო! ამიტომ ეჭვირება ჩვენს გალობას ახლის დროის მოთხოვნილებები, სხვადასხვაგვარად შემუშავება, თუ გვინდა, რომ სრულიად ხელიდან არ გამოგვეცალოს. უნდა შევეთქმეთ იგი ჰარმონიის მხრივ ისე, რომ უმთავრესი კილო ანუ სული ჩვენებური ედგას, ხოლო გარეგნობით გალამაზდეს, რომ ჩვენც მიგვიზიდოს და უცხოელების ყურადღებაც დაიმსახუროს. ამგვარად შემუშავებული გალობა რომ უცხო ქვეყნელისთვისაც მოსაწონია, ამის მაგალითისათვის შორს არ წავალ. ერთ კვირა დღეს, როდესაც წირვაზედ ქართულად ვიგალობეთ ოთხ ხმაზედ, წირვის შემდეგ მოვიდა ჩემთან ერთი უცხო ქვეყნელი და გაკვირვებით მითხრა: „ეს რა კარგი გალობა გქონიათ და რატომ ყველა თქვენს ეკლესიებში ასე არა ჰგალობენო? თუმცა არ მესმოდა, მაგრამ მართალი უნდა ვთქვა, მაინც სიამოვნებით მოვისმინე მთელი წირვაო. ეს სულ სხვა ჰარმონიისა და თავისებური ხასიათისაა და ჩვენებურ გალობას კიდევ ემჯობინებაო“. მართალი გითხრათ, ამ სიტყვებმა მეტად გამამხნევა და ზნეობრივად გამამაგრა. ამისთანა აზრი მრავლისაგან გამიგონია. ამის შემდეგ, უფრო დავრწმუნდი კიდევ, რომ ეს გზა სწორი და საუკეთესო გზაა.

ამ გზას დაადგა რუსეთის ეკლესიაც წარსულის საუკუნითგან და დღეს იმ ზომამდის განვითარდა და აღყვავდა რუსეთის საეკლესიო გალობა, რომ თვისის სისრულით ევროპიელებსაც კი აკვირებს. წინათ კი ჩვენს გალობაზედ გაცილებით უფრო ნაკლების ღირსების იყო ეს გალობა. ამავე გზას დაადგნენ დღეს სხვა მართლმადიდებელნი ერნიც: ბერძენები, ბოლგარელები, სერბიელები და სხვ. სომხებიც კი ამ გზას დაადგნენ და უკვე გამოვიდა ოთხ ხმაზედ გაკეთებული სომხური წირვის საგალობელნი. ჩვენ კი ჩინელებსავით შემოვზღუდულვართ კედლით და არავითარის ცვლილებებისა და გაუმჯობესების სურვილი არა გვაქვს. ჩინეთიც იღვიძებს ამ ბოლო დროს, – ხოლო ზოგიერთი ჩვენთაგანი ვერც განათლებულ სახელმწიფოში ყოფნამ გამოაღვიძა, ვერც სხვისმა მაგალითმა და ვერც სხვა გარემოებამ!..

მესამე მიმართულებისანი ე. ი. ჩვენი „ულტრა-პროგრესისტები“ და „კოსმოპოლიტიზმი“, რომლებიც სულ უარჰყოფენ ჩვენს გალობას და პირდაპირ მზამზარეულ ევროპიულ კილოს შემოღებას ჰქადაგებენ, ძალიან დაშორებულნი არიან ქარავანსა და გადაგვარების გზაზედ სდგანან. ისინი ასახელებენ რუსეთის მაგალითს და ამით ამტკიცებენ, რომ მათ არა სცოდნიათ რუსეთის საეკლესიო გალობის განვითარების ისტორია. ნეტა ვინ მოახსენა ამ ვაჟბატონებს, რომ რუსებმა უკუაგდეს თვისი ძველი გალობა და პირდაპირ ევროპიული ანუ იტალიური გალობა შემოიღესო? პირიქით, რაც საუკეთესო და ნამდვილი ეკლესიურის ხასიათის საგალობლებია რუსულში, ყველანი უსათუოდ ძველის კილოდგან არიან ოთხ ხმაზედ გაკეთებულნი. რუსეთის საუკეთესო სასულიერო კომპოზიტორები ძველ საეკლესიო კილოს აკეთებდნენ და ანვითარებდნენ სამსა თუ ოთხ ხმაზედ და თუ რამეს შესთხზავდნენ თავისას, უსათუოდ ამავე ხასიათისას შესთხზავდნენ. რასაკვირველია, გადაჭარბება აქაც მოხდა და ბევრი აზრგახურებული და გატაცებული კომპოზიტორი წრეს გადასცა და ეკლესიურ მელოდიებში ბევრი საეროც შეიტანა. ამით, საეკლესიო გალობას, სათეატრო ხასიათი დაეცყო, მაგრამ ეს არც მოსაწონი იყო და კიდევ აღკრძალა უწმიდესმა სინოდმა ამისთანა საგალობლების ეკლესიაში აღსრულება.

ყოველ ამის გამო, ჩვენთვის კარგი მაგალითია რუსულის საეკლესიო გალობის განვითარების ისტორია და ამიტომ აზრადა მაქვს, თუ გარემოებამ ნება მომცა, შემდეგში მოკლედ მაინც გავაცნო ჩვენი საზოგადოება ამ ისტორიას.

ჩვენთვის სრულიად საჭიროა არა პირდაპირ უცხო კილოს გადმოღება, რადგან ჩვენი საეკლესიო გალობა მეტად მდიდარია და დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ეკლესიურის მუსიკის ფორმებისას; შეიძლება, სხვა ფერობისათვის, რამდენიმე საუკეთესო კილო ისესხოს კაცმა სხვა კრების გალობიდანაც, მაგ., რუსულიდან, ბერძნულიდან, ბოლგარულიდან, სერბიულიდან და სხვათაგან და ეს სრულიადაც არ ჩაითვლება მომაკვდინებელ ცოდვად; ამით ჩვენი გალობა კიდევ უფრო გამდიდრდება. ეს იქნება მხოლოდ ზედმეტი მოსამატი, ხოლო იგივე საგალობელი, რასაკვირველია, ჩვენიც გვექმნება.

როგორცა ვთქვი, ოთხხმოვან ქართულ გალობას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ ეს საზოგადო მოვლენაა: ყოველ ახალ საქმეს ბევრი ჰყავს მტერიცა და მოყვარეც, მაგრამ ბოლოს, მაინც მართალი გაიმარჯვებს. ასე იყო რუსეთშიაც. ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა იქაც საეკლესიო გალობის შემუშავების საქმეს, მაგრამ დრომ თავისი ჰქმნა და დღეს მოწინააღმდეგეთა ჩამი-ჩუმიც აღარსად ისმის. დღეს არც ერთი რუსი არ გეტყვით, ოთხხმოვანს გალობას ძველებური სჯობიაო. ასე იქნება ჩვენშიაც. გაივლის დრო და ჩვენშიაც ოთხხმოვანი გალობა გაბატონდება; მომავალი მისია და რაც ადრე მოხდება ეს ცვლილება, მით უფრო სასურველია...

მოკლედ ვიმეორებთ ჩვენს აზრს: საჭიროა გამოიცეს ჩვენი ძველი საეკლესიო გალობა, ნოტებზედ დაწერილი შეუცვლელად. ამ კრებულში თავმოყრილი უნდა იყოს ორივე კილო – ამერ-იმერული და აგრეთვე „გამშვენებულის“ კილოს ნიმუშები. ეს ნიგნი უნდა დარიგდეს ყველა ეკლესიაში და იგივე შემოღებულ იყოს სახელმძღვანელოდ ჩვენს სასწავლებლებში. შეგირდებმა ისწავლონ ორივე კილო. ამისათვის სამღვდელთაგან უნდა იზრუნოს. ამ საქმეში განსაკუთრებით მესვეურობა უნდა იკისრონ ჩვენმა მღვდელ-მთავრებმა და წინ გაუძღვნენ ჩვენს სამღვდელთაგან, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თანაგრძნობით მოეპყრობა ამისთანა საშვილიშვილო საქმეს. ამავე სამღვდელთაგან მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენის გალობის შემუშავების საქმესაც და ამ სარბიელზედ მუშაკთ ზნეობრივი დახმარება გაუწიოს. განსაკუთრებით დაბა-ქალაქების სამღვდელთაგან უნდა ეცადოს შემოიღოს თვისს ეკლესიებში ქართული გალობა, ოთხ ხმაზედ შეკეთებული, – რადგან ქალაქის ხალხს უფრო განვითარებული აქვს სმენა და სრულიად გაურბის ჩვენს ძველ გალობას, იმას იგი ველარ აკმაყოფილებს.

ჩვენის გალობის შემუშავება მიუცილებლად საჭიროა და ამიტომ სამღველოებამაც, თავის მხრით, წინააღმდეგობა კი არა, დიდი დახმარება უნდა გაუწიოს, თუ უნდა, რომ პირნათლად გამოვიდეს ღვთისა, ერისა და ისტორიის წინაშე...

კორ. მალრაძე

^{*)} იხ. „ივერია“ №256

290. მწყემსი, 1898, 31 დეკემბერი, №23-24, გვ. 9

ქართული გალობის საქმე

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართული გალობა (იმერული კილო) ნოტებზე გადაღებულ იქნა ბ. ფ. ქორიძის მიერ და პირველი ნაწილი, ლიტურღია იოანე ოქროპირისა, უკვე დაიბეჭდა. უსაფუძვლო არ იქნება მოვიყვანოთ აქ ჩვენი მცირე შენიშვნა. როგორც უკვე ვიცით, ქართული გალობა (იმერული კილო) არის ორგვარი: კილო ანუ უბრალო, მარტივი გალობა და ვარჯიში, ანუ გამშვენებული გალობა. ძველი მგალობლების გადმოცემით და, როგორც ჩანს, მეორეგვარი გალობა წარმომდგარია პირველიდან და არის მისი შემდგომი განვითარება. როგორც პირველი, ისე მეორე საჭირო იყო, რათა გადაღებულიყო ნოტებზე და დაბეჭდილიყო, მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, ეს საქმე ასე არ მოხდა. მიაქციეს ყურადღება მხოლოდ გამშვენებულ გალობას და საფუძველი კი ამ გალობისა კილო დასტოვეს, როგორც ვითომ და უმნიშვნელო, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი არანაკლებ საჭირო იყო პირველზე. იყვნენ ძველი მგალობლები, რომელნიც, როგორც ვიცით, მსურველთა ასწავლიდნენ პირველად კილოს და მერე ვარჯიშზე გადადიოდნენ, რაც საფუძვლიანია მეთოდური მხრივ ადვილიდან ძნელზე გადასვლა. ვარჯიში გალობის შეთვისება ბავშვებს საზოგადოდ ძლიერ უძნელდებათ, კილოს კი უფრო ადვილად ითვისებენ. კარგი იქნებოდა, რომ ვარჯიშის გადაღების დროს თვითეულ საგალობელთან იქვე მოეწერათ მისი კილოც. როცა ვარჯიშ-გალობასთან კილოც გვექნება გადაღებული, მაშინ ჩვენი გალობის ისტორიული განვითარება გათვალისწინებული გვექნება და ეს მის მომავალს წინმსვლელობასაც ხელს შეუწყობს.

მასწავლებელი დავით ფოცხვერაშვილი

1899

291. ცნობის ფურცელი, 1899, 28 იანვარი, №736, გვ. 2

საეკლესიო სამრევლო სკოლის შეგირდების გამოცდა. 25 იანვარს, საეკლესიო სამრევლო სკოლების კომიტეტმა, საეპარქიო სამრევლო სკოლების მზრუნველის, ტატიშვილის თავმჯდომარეობით, გამოსცადა რუსულ-ქართულ გალობაში შემდეგის სამრევლო სკოლის

შეგირდები: ქვაშვეთისა, მთანმიდისა, სოლოლაკისა, ვერისა და სამებისა, რომლებშიაც გალობის მასწავლებლად არის ბ-ნი შარაშიძე. გამოცდა მოახდინეს ქვაშვეთის ეკკლესიის სკოლაში. სიმართლე უნდა ვალიართ, რომ ბ. შარაშიძეს არ დაუკლია შრომა და ხსენებულის შეგირდებისთვის, ასე, თუ ისე, შეუსწავლებია სრული გალობა, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ თითქმის ყველა შეგირდები ქართველები არიან და ქართული გალობა მარტო „ამინ“, „უფალო შეგვინყალენ“, „მოგვმადლე“ და „შენ უფალოს“ მეტი არ სცოდნიათ, ისიც მხოლოდ ერთ ხმაზედ. კარგს იზამს ბ-ნი შარაშიძე, რომ ქართულს გალობას უმეტეს ყურადღებას მიაქცევდეს და ყველა ხმებზედ შეასწავლიდეს.

292. ივერია, 1899, 2 თებერვალი, № 24, გვ. 3

სასარგებლო განზრახვა

საქართველოს ისტორიულ წარსულის დიდება ძლიერებას გვიმტკიცებს ჩვენ ის დიდებული და უზარმაზარი ტაძარნი, რომლებსაც დღესაც ვხედავთ მრავლად საქართველოს ყველა კუთხეში. ეს ტაძარი აღშენებულ და გამშვენიერებულ არის ერთი მუჭა მართლმადიდებელ ერისაგან, რომელსაც სახელად ეწოდება „ქართველი“. როდესაც კაცი შეხვდება სიტყვას „ქართველი“ ან „საქართველო“, ძალაუნებურად წინ ეხატება მუდმივი ბრძოლა, ტანჯვა-წვალება, ხმალ-ხანჯალი, სისხლთა დენა, ვაივაგლახი და სხვა. რადა? იმიტომ, რომ საქართველოს მოსვენება არა ჰქონდა გარეშე მტრებისაგან და ქართველიც თავგანწირვით იცავდა რჯულს, მამულს და მეფეს.

თუმცა, საქართველო მუდამ დიდს ტანჯვასა და გაჭირვებაში იყო, მაინც სცდილობდა საზოგადო დონითა და საერთო ძალით ღვთის სადიდებლად მრავლად აშენებინა ეკლესიები და ტაძრები. სხვათა მრავალთა ტაძართა შორის, რომლებიც დასტოვეს ჩვენთა წინაპართ, უწმიდესი, უდიდესი და შესანიშნავი თავისის ხუროთმოძღვრებით არის მცხეთის სვეტიცხოველის დიდებული ტაძარი. დღეს მთელმა საქართველომ იცის მისი დაძაბუნებული, მიხრწნილი და გულჩამთუთქველი მდგომარეობა. ჭერიდგან მრავალ ალაგს წვეთი ჩადის, ბევრგან უკვე გაჯი აცვივწულა და ცალიერი ქვებილა გამოიყურება, მხატვრობა სულ წაშლილა და მთელს ტაძარში ნესტიანი ჰაერი ტრიალებს. ამის გამო, უკვე დიდი ხანია, რაც ტაძრის განსაახლებლად კომიტეტი შესდგა, რომლის თავჯდომარე ბრძანდება საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. ეს კომიტეტი დაარსებითგანვე შეწირულობას იღებს და სცდილობს შეჭკრიბოს საჭირო (ოციათასი თუმანი) თანხა ამ დიდებულის ტაძრის განსაახლებლად. ამდენის ფულის შეგროვება ფრიად ძნელია და კარგი დროც დასჭირდება, ვიდრე ქართველობაში შეკრებდნენ ამ ფულს. ამიტომ ყოველი შეგნებული ქართველი თავის თავს მოვალედ უნდა სთვლიდეს ამ კომიტეტს დაეხმაროს, ვისაც რითი შეუძლიან. ნუ იფიქრებენ, რომ მხოლოდ ფულით შეიძლება შემწეობა. არა, შემწეობა ბევრგვარია. ვისაც რა მოეპოვება, იმით შეუძლია ხელი შეუწყოს კომიტეტს. ზოგს პური აქვს, ზოგს ღვინო, ხე-ტყის მასალა, რკინა, ღვინო, ქვიშა, ზოგს საკლავი საქონელი, სამუშაო საქონელი და ურემი და სხვა. ამით განსაახლებელი თანხა უეჭველად იმატებს, რადგან ყველა აქ ჩამოთვლილი საჭირო საგანს წარმოადგენს მუშაობის დროს, ყველაფერს ფასი აქვს. როდესაც კომიტეტს სია ხელთ ექნება და დანამდვილებით ეცოდინება ამგვარი შემოწირულობანი, მაშინ ყოველ ამას მუშაობის დროს გამოიყენებს.

ამ აზრით, ქვაშვეთის ეკკლესიის მაგალობელთა გუნდის ლოტბარს ბ-ნ მონადირაშვილს განუზრახავს დიდმარხვაში (4 აპრილს) გაჰმართოს ქართული სასულიერო კონცერტი. როგორც შევიტყვეთ, პროგრამა რთული იქნება და, სხვათა შორის, შეასრულებენ: „წმინდაო ღმერთოს“-ს, „შენ გიგალობთ“, „რომელი ქერუბიმთა“, „მამაო ჩვენო“-ს, „ღვთისმშობელო ქალწულო“, „აქებდით“, და სხვას. ეს საგალობლები ოთხ ხმიანებია და გადაკეთებულია ბ-ნ ბენაშვილისაგან. ბ-ნ მონადირაშვილს თავის მაგალობელთა რიცხვი გაუმრავლებია და ეხლა უკვე სამოცზედ მეტნი ქალნი და კაცნი არიან. მათ შორის მანდილოსანნიც კი ურევიათ, რომელთაც სახლ-კარისა და შვილებისათვის თავი დაუნებებიათ და გალობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმიტომ, რომ იციან რა სასარგებლო და საშვილიშვილო საქმესაც ადგანან. სასიამოვნო სანახავი იყო პირველი ვარჯიშობა: ისეთის გულმოდგინებით არჩევდნენ ნოტებს და სწავლობდნენ გალობას, თითქოს საუკუნო მათი მაცხოვრებელი ლუკმა ეს კონცერტი უნდა გახედესო. რადა? იმიტომ, რომ ყველა მათგანს კარგად ესმის მნიშვნელობა ამ კონცერტისა: პირველს სავარჯიშო საღამოს დაესწრო ბ-ნი ნიკოლოზ მთვარელიშვილი და მთელი გუნდი შეაქო ამ კეთილის საქმის განზრახვისათვის. აგრეთვე, მადლობითა და ქებით მოიხსენია ქვაშვეთის ეკკლესიის წინამძღვარი მ. მარკოზ ტყემალაძე, რომელმაც პირველმა შემოიღო ამ ეკკლესიაში ქართული გალობა, და ბ-ნი მონადირაშვილიც, თუმცა ბ-ნ მონადირაშვილისთვის არა ერთხელ და ორჯელ უთქვამთ უსაფუძვლო საყვედური ოთხხმიან გალობის გამო. ბ-ნ მთვარელიშვილმა განუმარტა მოკლედ ისტორია ქართულის გალობისა, ქებით მოიხსენია გრიგოლ კარბელაშვილი (მამა აწინდელ ძმათა კარბელაშვილთა), არქიმანდრიტი მაკარი და სხვანი.

გულით და სულით ვუსურვებთ ბ-ნს მონადირაშვილს, რომ თავისი აზრი სურვილისამებრ დააგვირგვინოს.

მათე [მათე იანქოშვილი]

293. მწყემსი, 1899, 28 თებერვალი, №4, გვ. 6-8

ჩემს შვენიერ შთაბეჭდილებას შენც გაგიზიარებ, მკითხველო!

თფილისში ვარ. კვირა დღე არის, დილის ცხრა საათია. წირვაზე წასვლას ვეპირები და ვფიქრობ, თუ რომელ ეკკლესიაზე წავიდე. გავიგე, რომ ამ დღეს სიონის ტაძარში სწირავს ექსარხო-სი და მასთან ერთად ყოვლადსამღვდელო ლეონიდეო. გავსწიე სიონში. მივედი თუ არა, რეკვაც გათავდა. წირვას ემზადება მარტო ერთად-ერთი დეკანოზი მამა ესტატე ელიევი. მედავითნესაგან შევიტყვე, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდი მწირველია ანჩისხატის ეკკლესიაშიო. ტაძრის კარებთან გამოვედი და ვეკითხები ტაძრის ერთ მოსამსახურეს – ნაბრძანდა ყოვლადსამღვდელო ლეონიდი საწირავად თუ არა? „– აი, ეს არის, ეხლა წავიდა მათი მეუფება ქვეითად და გზაში მიენევით კიდეც თუ გაუჩქარებთ.“ გაუჩქარე ფეხს და სინოდალნი კანტორის ახლოს დავეწიე ყოვლადსამღვდელოს ქვეითად მიმავალს ჯოხით, ჩვენებურად, ძველებურად, წყნარად თავისი მხლებელით და ერთი თანამწირველი მღვდლით. ლოცვა კურთხევის მიღების შემდეგ მეც ვეახლე მათ მეუფებას და მივდივართ ანჩისხატისკენ. აი, კიდეც მივედით. ტაძრის კარებთან მღვდელმთავარს შემოეგებენ თანამწირველი მღვდლები: წინამძღვარი ტაძრისა მამა პ. კარბელაშვილი შემოსილი და ჯვრით, მამა გ. ასათიანი, მამა სიმონ რცხილაძე და ერთიკი კიდეც სხვა უცნობი მღვდელი. სააზნაურო სკოლის მაგალობელთა გუნდი იწყებს შვენიერი ხმით „ღირსაარსი“-ს გალობას და მღვდელმთავარი შებრძანდება ტაძარში და ლოცვა იწყება ხატების წინ. შემდეგ მღვდელმთავარი

შებრძანდა კათედრაზე და იწყეს შემოსვა, მღვდელმთავრის – ეკკლესიაში, ხოლო მღვდლების – საკურთხეველში. გათავდა შემოსვა. როცა მღვდელმთავარს მისცეს ჩვეულებრივი სანთლები, მთავარდიაკონმა დაიწყო: „ესრედ ბრწყინვედი ნათელი შენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი შენი და ადიდებდენ სახელსა შენსა“. დაიწყო ჟამნი. ჟამნობის შემდეგ დაიწყო წირვა. წირვა სრულდება ქართულად, ქართული გალობით. მაგლობელთა გუნდი გალობს „უფალო შეგვიწყალო“-ს სხვადასხვანაირად, რომელი გალობაც მსმენელთა სულსა და გულს ატკობს. ამოასვენეს სახარება და „სიბრძნით აღემართენის“ შემდეგ სამღვდელთა კრებულმა იწყო „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ ისეთი შვენიერის და ტკბილი ხმით, რომ არც ერთი გალობის მოსმენას ისე ჩვენი გული არ შეუძრავს, როგორი გავლენაც ხსენებულმა გალობამ ჩვენზე იქონია. როცა ტრაპეზი სამღვდელთა კრებულმა „წმიდაო ღმერთო“-ს გალობა გაათავა და შემდეგ სამმა პატარა მაგლობელმა „ისპოლლა ეტის“ გალობა იწყეს, სწორეთ იმ აღტაცებაში მოვედით, რაც ინგლისში ერთ განათლებულ ზანგს მოუვიდა, როცა იგი თავის სამშობლოში დაბრუნდა და თავისიანების გალობა მოისმინა. თუ რა შეემთხვა ამ ზანგს, ამას აქვე მოუთხრობთ მკითხველს. ერთ დროს, ინგლისელებმა აფრიკის ერთ ადგილას ადგილობრივი მკვიდრნი დაამარცხეს და სრულიად დაიმორჩილეს. ერთი ამ ველურ ახალგაზრდა კაცთაგანი ტყვეთ წაიყვანეს ინგლისში, სადაც მას შეასწავლეს ყოველგვარი მეცნიერება. ეს კაცი, თავისი მეცნიერებით და სწავლით, თითქმის ინგლისელ განათლებულებსაც სჯობდა. მან მალე გაითქვა სახელი, და ერთი დიდებული ოჯახიდან შეირთო ქალი და სცხოვრობდა ევროპაში ევროპიულად. დიდი ხნის შემდეგ, ეს კაცი თავისი მეუღლით გაემგზავრა თავის სამშობლოში სამოგზაუროდ. როცა თავის ქვეყანაში მივიდა და თავისიანები ნახა, უკვირდა მათი უმეცრება და თან სწუხდა. ერთ დროს, ამ ველურ ხალხს რაღაც დღესასწაულობა ჰქონდა, სადაც ყველანი თავისებურად გალობდენ და იმღეროდენ. ეს ევროპაში განათლებული კაციც დაესწრო ამ დღესასწაულს. იგი ჯერ შორიდან უცქეროდა თავის მოძმეთა შექცევას, გალობას და თამაშს, ბოლოს კი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ თავისი ცოლი მიატოვა, შეერია ამ ველურ ხალხში და მათთან ერთად იწყო დროების ტარება და თამაში. განათლებული მეუღლე გამტყრებით შესცქეროდა თავის ქმრის საქციელს და არ იცოდა რა ექნა.

ანჩისხატის ტაძარში, ქართულმა შვენიერმა გალობამ და მღვდელმთავრის განწყობილმა წირვამ უნებლიეთ მომაგონა ზემოთ აღნიშნული ზანგის საქციელი. არ იფიქროთ, მკითხველო, რომ ჩვენ, ვითომ უკეთესი გალობა არ მოგვესმინოს, არაერთგზის დავსწრებივართ რუსეთის შესანიშნავ ტაძრებში მღვდელმთავრების წირვა-ლოცვას, სადაც თვითონ ხელმწიფის კაპელას უგალობნია და სხვადასხვა შესანიშნავ მაგლობელთა გუნდების გალობაც მოგვისმენია. დარწმუნდი, მკითხველო, რომ ზემოთ აღნიშნულ მაგლობელთა ხმებს რომ შეადარო ბ. სიდამონიძის და გ. ზალიკანოვის შვენიერი და ტკბილი გალობა, დიდ განსხვავებას შენიშნავთ. შეიძლება ამ უკანასკნელ პირთა გალობა სხვა თემის ხალხს გულს უწუხებდეს, მაგრამ ქართველ კაცის გულს კი ატკობს. ასეთია ბუნების კანონი და რას იზამ! სრულებით გასაკვირი არ არის, რომ ქართველს ქართული გალობა მოსწონდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართული წირვა-გალობა ერთმანეთზე რიგიანად არის შეთანხმებული. ზოგიერთ ადგილას, მართალია, ლოცვა და გალობა ისეთი შეუთანხმებელი და შეუგნებელია, რომ თვითონ ქართველის ყურთა სმენასაც აწუხებს და სხვა თემის ხალხზე რაღა კეთილ შთაბეჭდილებას მოახდენს ამისთანა გალობა?

წირვის გათავების შემდეგ მათი მეუფება გამობრძანდა ამბიონზე და მიიქცა მლოცველთადმი მოკლე მაგრამ მეტის მეტად გრძნობიარე სიტყვებით. სიტყვის შინაარსი ამოღებული იყო იმ დღეს წირვაზე წაკითხული სახარებისაგან იესოს მიერ ბრძმის თვალის ახილვის შესახებ. მათმა მეუფებამ ცხადათ დაასურათა ბრძმათა საბრალო მდგომარეობა და ის სასოება და იმედი ღმერთზე, რომელიც ამ საბრალთა აქვსთ. მათმა მეუფებამ აუხსნა მლოცველთ, რომ ასეთი საბრალო ბრძმები მარტო იესო ქრისტეს დროს კი არ ყოფილან, არამედ იგინი დღე-

საც ბევრნი არიან ჩვენ შორის. მლოცველთ ტაძარშივე მიუთითა ასეთ საბრალო პირებზე, რომელნიც მგალობელთა გუნდში იდგნენ და გალობდენ და შეაბრალა იგინი საზოგადოებას. ამ დღეს ტაძარი, თითქმის, სულ გატენილი იყო მლოცველებით, რომელთა გულწრფელ ლოცვა-ვედრებას რომ ვუცქეროდი, სიხარულით მევსებოდა გული.

ხსენებული ტაძრის შინაური მორთულობა მდიდრული არ არის, მაგრამ ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან საქართველოს ეკკლესიებს ჩვეულებათ არ ჰქონებიათ შინაური მდიდრული მორთულობა.

სამწუხაროა, რომ ტაძრის სვეტები, რომლებზედაც წმიდა მონამეები უნდა იყვნენ დახატულნი, სავსენი არიან სხვა და სხვა წარწერებით ტაძრებში დასაფლავებულ პირთა ვინაობის შესახებ. იმედია, რომ ხსენებული ტაძრის ახალი წინამძღვარი ყოველივე ზომას მიიღებს, რომ ანჩისხატის ტაძარმა უწინდებული მნიშვნელობა დაიკაოს თბილისის მართლ-მადიდებელ ტაძართა შორის.

დეკ. დ. ლამბაშიძე

294. ცნობის ფურცელი, 1899, 18 მარტი, №776, გვ. 2

დუშეთი. ქართული სასულიერო გალობა. დუშეთს წინ-მსვლელობა საკეთილდღეოთ თანდათან ეტყობა, და იმედიცაა ჩვენში ჩამორჩენილმა მაზრა-ქალაქმა ზოგიერთ თავმომწონე მაზრა-ქალაქებს გაასწროს.

ამ წლის დასაწყისში, აქ დაარსდა დიდის ხნის სანატრელი წიგნთ-საცავი, საცა სანყალ ხალხს ავ-კარგის გასაგები მასალა მოეპოება და ეხლა კიდევ ერთმა სიკეთემ იჩინა თავი: კნ. მარიამ სვიმონის ასულის ერისთავის მეოხებით და დავით პავლიაშვილის ლოტბარობით აქ შედგა საეკლესიო გალობის ქალ-ვაჟთა გუნდი და ამ კვირას უკვე იგალობეს კიდევ.

იგალობეს „კარბელაანთ“ კილოზე და რიგზე შეწყობილმა ხმებმა გალობა სასიამოვნო და გულის-მოსადგინე გამოიყვანეს, მლოცველებზე უფრო სასიამოვნო ზეგავლენა იქონია ლოცვებმა: „შენ ხარ ვენახი“ და „ოსანა მაღალთა შინა“. ბლალოჩინმა, მღვდელმა მეტრეველმა, მადლობა გადაუხადა მღვთის სახლის კეთილის მოსურნეებსა, აღნიშნა, რომ ამნაირი მოვლენა ღვთისა და კაცის სასიამოვნოა და ღმერთმან ქნას დღეგრძელი.

ამინ.

295. ივერია, 1899, 3 აპრილი, №72, გვ. 1

კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნი ი. გ. მონადირაშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი, მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ.

გუნდი იგალობებს სხვადასხვა ქართულ-კახურ საეკლესიო საგალობლებს დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან.

განცხადება

კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქმნება ბ-ნ ი. გ. მონადირაშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი. მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ, გუნდი იგალობებს სხვადასხვა ქართლ-კახურს საეკლესიო საგალობლებს, დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ კანცელარიაში და სობრანიის მეკარესთან.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 1/2 საათზედ.

ახალი ამბავი

სასულიერო კონცერტი. კვირას, 4 აპრილს ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იყო ბ-ნ მონადირაშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის, სვეტიცხოველის განახლების ფონდის სასარგებლოდ. ამისთანა კონცერტები ჩვენში ჯერ არ ყოფილა, რისთვისაც ჩვენი საზოგადოება, ნამეტნავათ სამღვდელთა, მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს. კონცერტს მრავალი თვალსაჩინო ხალხი დაესწრო. სხვათა შორის, დაესწრნენ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი, რექტორი ტფილ. სას. არქიმანდრიტი ჰერმოგენი, საკრებულო ტაძრის დეკანოზი და მთელი სამღვდელთა, კავკასიის კორპუსის უფროსი გენ. ლეინტ. თ. მ. ქ. ამირეჯიბი, გენ-ლ თ. ი. ს. ჭავჭავაძე, ჩვენი პოეტი აკაკი წერეთელი, მრავალი მასწავლებლობა-მწერლობის წარმომადგენელი, მრავალი მანდილოსნობა და სხვ. ასე რომ, ეს საღამო წარმოადგენდა მთელ ქართველ საზოგადოებას. პროგრამა კონცერტისა ძალიან ხელოვნურად იყო შედგენილი. იგი შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან. ხორო მომღერალთა შესდგებოდა ოცდა თხუთმეტი ქალისაგან და ოცდა ხუთ ვაჟისაგან.

8 ნახევარ საათზედ მობრძანდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, რომელსაც მომღერალთა გუნდმა უგალობა „საარქიელო საგალობელი“. შემდეგ დაიწყო კონცერტი. გუნდმა იგალობა სხვადასხვა ქართლ-კახური საეკლესიო საგალობელი დაწერილი და ნოტებზედ გადაღებული ანდ. ს. ბენაშვილისაგან. მომღერალთა ლობჯინაობა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გალობის მასწავლებელი ი. მონადირაშვილი. პირველი განყოფილება შესდგებოდა ხუთი ნომრისაგან:

1. „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“,
2. „ნეტარ არს კაცი“,
3. ოხითა წმ. ნინოსი.
4. „აქებდით მონანი უფალსა“,

5. „დიდება მაღალთა შინა“.

ყველა ეს ნომრები გუნდმა ძალიან ხელოვნურად შეასრულა და საზოგადოება მეტად ასიამოვნა; საზოგადოებას სურდა თავისი სიამოვნება ტაშის კვრით და ვაშას ძახილით გამოეხატა, მაგრამ ყველა ეს ექსარხოსის თხოვნით აკრძალული იყო.

მეორე განყოფილება შესდგებოდა ექვსი ნომრისაგან:

1. „მოვედი თაყვანი ვცეთ“,
2. „წმინდაო ღმერთო“ (სამი ხმა),
3. „წმინდაო ღმერთო“ (გუნდი),
4. „რომელი ქერაბიმთა“,
5. „წმინდაო (სამჯერ) უფალო საბაოთ“,
6. „შენ გიგალობთ“.

ძალიან ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება მესამე განყოფილებამ, რომელიც შესდგებოდა ხუთი სხვადასხვა კილოზედ შედგენილ ხმებისაგან:

1. „მამაო ჩვენო“ (იმერული კილო),
2. „ვინ არა გნატრიდეს“,
3. „წარემართე ლოცვა ჩემი“ (სამი ხმა),
4. აღდგომის პირველი ირმოსი,
5. „ქრისტე აღსდგა“.

დასასრულს გუნდმა იგალობა „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“. ეს გალობა საზოგადოებამ ფეხზემდგომი მოისმინა.

ამას ზედ მოაბეს „ისპოლადი“... ექსარხოსმა მოიხმო ლოტბარი ი. მონადირაშვილი და აღირსა ეს სიტყვები: „მამილოცნია გამარჯვება, გულითად გმადლობ ამ სიამოვნებისათვის“. მონადირაშვილს გამოუცხადეს მადლობა აგრეთვე ეპისკოპოსმა ლეონიდმა და არქიმანდრიტმა ჰერმოგენმა. ამის შემდეგ, ექსარხოსი ფლაბიანე 12-ის ნახევარზე წაბრძანდა თავისი კრებულით, რის შემდეგ დარბაზში ასტყდა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი იმ დრომდის, ვიდრე გუნდი ხელახლად არ შეიკრიბა და ახლად გალობა არ გაიმართა. გუნდმა განიმეორა რამოდენიმე საგალობელი, რომელთა შორის ყურადღება მიიზიდა ხმამ „ვინ არ გნატრიდეს“, რომელიც რამდენჯერმე იყო საზოგადოების თხოვნით გამეორებული, ასე რომ, კონცერტი გათავდა 12 საათზედ. საზოგადოება ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

ერგნელი

298. ივერია, 1899, 6 აპრილი, №74, გვ. 2-3

დიდი საქმე

/ზ-ნ მონადირიშვილის კონცერტის შესახებ/

რა დიდმნიშვნელოვანია მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარი ქართველთათვის, ამის შესახებ ბევრი ითქვა დღემდე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქართველთა ეროვნულ თავისებურების დედაბოძის განახლების საქმემ, უიმისოთ ძილით დათენთილნი, მძიმენი, უთადარიგონი, როგორც გამოგვაფხიზლა, თვალები მოგვაფშვნეტინა და სამოქმედოთ აგვიძგერა გული. აგრე შესდგა კომიტეტი და გააბა ლაღადი დიდი საქრისტიან-

ნო ერისა შორის, შემწყობისათვის: ჰმართავს ზედიზედ კრებას ასანონ-დასანონად ყოვლის წვრილმანის გარემოებისა, რათა განახლების საქმე უკეთ, საშვილიშვილოდ გამოსაყენებლად იქმნას მონყობილი; აარსებს თვით სვეტიცხოველის დღევანდელ ტაძრის მეცნიერულად შესწავლის საქმეს, რაოდენადმე გასაადვილებლად განზრახულის განახლებისა; იწვევს ყოველს ქართველს მონაწილეობის მისაღებად ამ დიდ საქმეში, გააბა დიდი მინერ-მონერა შესანეგარის მოსაკრეფად და სხვ. აი, ამ დიდმა საქმემ გამოიწვია ახალგაზრდა ი. მონადირაშვილი სამოქმედოთ თავის მაგალობელთა გუნდით და 4 აპრილს, კვირას სალამოს, თავი მოუყარა ქართველთა საზოგადოებას მუხრანბატონის დიდს დარბაზში, რაოდენსამე ქართულ საგალობელთა კილოს მოსასმენათ. კილოები შეადგენენ სალამო ლოცვის, ცისკრისა და წირვის უმთავრეს საგალობლებს. აქ, ჩვენი ყურადღება სასიამოვნოდ მიიქცია თვით მონადირაშვილისა და მაგალობელთა ცდამ, რომ ნაკისრი დიდი საქმე სინდისიერად შეესრულებინათ გაორკეცებულის დიდი საქმისათვის. საზოგადოებაც მხარს უმშვენივრდა ამ სასიამოვნო სახილველსა და სულგანაბული უგდებდა ყურს სამშობლო კილოებს, რაოდენადმე ევროპიულ სამოსელში გამოწყობილებს! აქ ბრძანდებოდა „დიდის საქმის“ სულის ჩამდგმელი, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, აქ ბრძანდებოდა მისი თანაშემწე, დიდ საქმეში ჩაბმული ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, აქ ბრძანდებოდნენ მრავალი საუკეთესო შვილნი ქართველთა ეკლესიისა. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალ. ტფილისის ეკლესიების სულიერნი მამანი ყველანი არ დაესწრნენ ამ ფრიად სასიამოვნო სალამოს.

თვით გალობის ღირსებისა და იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს შეფერებულ-შეხამებული ევროპიული სამოსელი ჩვენს ძველ კილოებს — ჩვენ თავის დროზედ მოვილაპარაკებთ ცალკე წერილით. დღეს კი, მაღლობის მეტი არა გვეთქმება რა „დიდის საქმის“ მოთავეთათვის. პატივი და მაღლობაც მონადირაშვილს თავისის გუნდით, რომ „დიდის საქმის“ შესრულების სურვილი წინ გაიმძღვარა და მეორე „დიდს საქმეს“ რაოდენადმე გაუკაფა ეკლიანი ბილიკები, მოამზადა, გააადვილა და წინ წასწია მისი განხორციელება ერთის ნაბიჯით მაინც.

მე კი, ამ ზემორე ნათქვამით გრძნობააშლილი ისევ მოგმართავთ, წამებულთა მემკვიდრე ქართველობავ! ნუ უღალატებ მამა-პაპის ანდერძს, ნუ უღალატებ შენს სხივ-მოსილს წარსულს! ნუ დააცლი შენის ეროვნული თავისებურების მსცოვანს დედაბოძს ნაქცევასა და დროზედ მიაშველე ხელი მაშველი! ნუ განიშორებ თვალთაგან იმ დიადს სურათს, ჩვენ ყველასაგან ხშირად ნახულს, როდესაც პატარა ყრმა მოწინებით მხარში უზის თავის მოხუცს პაპასა-მამასა, გინა ბებიასა-დედასა და მიჰყავს-მოჰყავს, ამით მოხუცის პატივისცემის გამომხატველი! ნუ უგულებელ ვყოფთ, ძმებო, ჩვენს უდიდეს სინმინდესა – სვეტსა ცხოველსა, „რომელი მცველად და მფარველად მოენიჭა ნათესავსა ჩვენ ქართველთასა“.

ჩვენ ბევრი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ სვეტისცხოველის განახლებაც ხომ „დიდი საქმეა“, ქართველნო! ვინ იცის, იქნება ღმერთმა ინებოს და ამა უწმინდეს ტაძრის განახლებამ ჩვენი სულიერად განახლება გამოიწვიოს! ყოველ შემთხვევაში მუდამ ერთია მშობელი მრავალთა.

სასურველია ბ-ნმა მონადირაშვილმა ამ მომავალ მაისში, ანუ აპრილის გასულში განიმეოროს თავისი, ყოველმხრივ სასარგებლო, დანყებული საქმე.

პ. ცხვილოელი [პოლიევქტოს კარბელაშვილი]

სასულიერო კონცერტი

4 აპრილს, თბილისის საკრებულო დარბაზში გამართული იყო სასულიერო კონცერტი საქველმოქმედო აზრით, რომლის შემოსავალიც მცხეთის სვეტისცხოველის ტაძრის განსახლებელ თანხას უნდა მიმატებოდა. კონცერტს დაესწრნენ საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი, არქიმანდრიტნი, მღვდლები, მრავალი საზოგადოება, თუმცა უფრო მეტის მოლოდინი გვექონდა. საერთოდ, ვის ვუსაყვედუროთ, როდესაც სასულიერო ნოდებამაც საკმაო გულგრილობა გამოიჩინა. ტფილისში, ვგონებ, ორმოცზედ მეტი მღვდელია და აქ კი ათი თუ თორმეტი მღვდელი დაესწრო; თუ კონცერტი არ აინტერესებდათ, თვით კონცერტის საგანმა რატომ მაინც არ გამოიწვია მათი თანაგრძნობა?!

კონცერტმა საერთოდ კარგად ჩაიარა, თუმცა ამ კონცერტში იმდენი კარგი ხმები ერია, რომ უფრო უკეთ უნდა ეგალობნათ. ან რა საჭირო იყო, რომ უეჭველად სამოცი მგალობელი არა ყოფილიყო ხოროში? ნაკლები ყოფილიყო და რჩეული და მაშინ სულ სხვა იქნებოდა. საქმე ხომ რიცხვზედ არ არის. ჩემის აზრით, პირველი ხმების რიცხვი რომ ნაკლები ჰქონოდათ, შეიძლება უფრო მწყობრი გამოსულიყო.

გარდა ამისა, მგალობელთ ეტყობოდა, რომ აკლდათ მუსიკალური წვრთნა. ხშირად რომელიმე ცალკე პარტია იწყებდა გალობით თითქოს გაუბედავად და ამის გამო უდაბლებდა ხმის ნახევრის ან მესამედის ტონით და ორისა და სამის ტაქტის შემდეგ სწორდებოდნენ. ან კიდევ ხან ერთი რომელიმე პარტია და უფრო ხშირად მეორე ხმები მთლიანად იკარგებოდა საერთო ხმებში და ხან უეცრად იჩენდა თავს. საჭიროა, რასაკვირველია, ფორტეს ან პიანოს დაცვა გალობაში, მაგრამ ისე არა, როგორც იმათ მოსდიოდათ. მართო ახსნა ხომ არ კმარა იმისა, რო ფორტე ამას ნიშნავს და პიანო ამასაო; არა, საჭიროა წვრთნა, სწავლა, ვარჯიშობა.

საზოგადოთ, ქალთა გუნდი უფრო სუსტობდა და ნამეტნავად პირველი ხმები. მთლიანობა ირღვეოდა იმათაგან იმიტომ, რომ ძალას ატანდნენ ხმას და გალობის მაგივრად ხშირად არასასიამოვნოდ გაჰკიოდნენ.

ბ-ნს ლოტბარს უნდა ესწავლებინა, თუ რა არის გულით სიმღერა-გალობა და რა არის ბუნებითი სოპრანოს თქმა, ნამეტნავად მაღალის ნოტების შესრულების დროს. ეს ნაკლი, რომ აცილებულ ყოფილიყო, საუცხოვო რამ კონცერტი გამოვიდოდა; თუმცა, როგორც ზევითა ვთქვით, საზოგადოდ კარგად ჩაიარა კონცერტმა, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსია ბ. მონადირიშვილი და განსაკუთრებით, მადლობის ღირსნი არიან გუნდში მონაწილე ქალი და ვაჟი იმ დაუზარელ შრომისათვის, რომელიც მათ გასწიეს.

დამსწრე საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა და მადლობაც გადუხადა ყველას, ვინც ამ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

N. N. [ნიკო ნიკოლაძე]

ახალი ამბავი

ხაშური. მაგლობელთა გუნდი. იმ დღეს აქეთ, რაც ხაშურის რკინის გზის ეკკლესია შეაკეთეს და თან აკურთხეს სუყველისფრით კარგათ და თვალსაჩინოთ მიმდინარეობს ამ ეკკლესიის კეთილდღეობა; ჩვენ, ხაშურის რკინის გზის მოსამსახურეებს, თითქმის განუწყვეტელი გვაქვს თავ-თავის დროზე წირვა, რომელსაც დღემდის მოკლებული ვიყავით და სხვის ხელში შემჩერო, მაგრამ ახლა მადლობა ღმერთსა, მოძღვარიც კარგი გვყავს და ეკკლესიაც მოსაწონათ შემკობილია ყოვლი-ფრით. აქამდისი თუ მარტო რუსულ ენაზედ იყო ამ ეკკლესიაში გალობა, ახლა კი ქართულადაც გალობენ, აი, მაგალითები: ეკკლესიაში მარჯვნივ მხარეზედ დგანან რუსულ ენაზედ მაგლობელთა გუნდი, რომელსაც ლოტბარობას ბ. კსენაფონტოვი, ხოლო მარცხნივ მხარეზედ „კლიროსზედ“ დგანან ქართველთა მაგლობელთა გუნდი. ერთიც და მეორეც თავ-თავის დროზედ იწყებენ გალობას, ქართულ ენაზედ მაგლობელთა გუნდს, ლოტბარობს ბ. იოსებ კვალიევი. ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, მიუხედავად იმისა, სულ მცირე დროა რაც ბ. კვალიევმა დაიწყო მზადება ქართულ გალობის, მაგრამ მაინც მშვენივრათ და დანყობილ კილოზედ გალობენ და მოსაწონიც არის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ასე პატარა ხნის მეცადინეობით კარგათ გაიწვრთნენ ქართული მაგლობლები, შემდეგისთვის ბევრად უკეთესი იქნება. ვუსურვებთ ამ მეცადინეობას უნაყოფოთ არ ჩაეგლოს.

ზანაველი

კვირას, ორ მაისს, ანჩხატის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი. წირვაზედ მლოცველი ხალხი ბევრი დაესწრო. სასიამოვნოდ გალობდა ბ-ნი ნიკოლოზ ბერიშვილის ლოტბარობით ქართველთა მაგლობელი გუნდი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალები. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ბერიშვილი, რომ ასე მალე ქალებსაც კი შეასწავლა მღვდელმთავრული წირვის გალობა. წირვაზედ ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა „მენელსაცხებლე დედათა“ შესახებ, რომელმაც ბევრს დედებს მოჰგვარა თვალეებზედ ცრემლი. რაც ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა დაიწყო ანჩხატის ტაძარში წირვა, ხალხიც დიდძალი ესწრება. ხალხს იზიდავს როგორათაც ღმობიერი გრძნობით სავსე ქადაგება ყოვლადსამღვდელოსი, აგრეთვე მშვენიერი გალობა ქართველთა გუნდისა.

302. ცნობის ფურცელი, 1899, 12 მაისი, №816, გვ. 2

ახალი ამბავი

* * *

ქ. ოზურგეთი. გალობა აქაურ ეკკლესიაში. ამას წინად აქ ბრძანდებოდა ბ. ფ. ქორიძე, რომელმაც შეკრიბა აქაური ახალგაზრდობა და შეასწავლა საეკკლესიო გალობა უსასყიდლოდ და კიდევაც იგალობეს აქაურ სობოროს ეკკლესიაში, რომელმაც დიდათ ასიამოვნა მლოცველი საზოგადოება დაიმედოვნებულაც იყვნენ, რომ უქმე დღეებზედ და წირვის შესრულების დროს იტყოდნენ ეს ახალგაზრდები გალობას და მით დაუტკობნენ მლოცველებს ყურთა სმენას, მაგრამ ბ. ქორიძის წასვლის შემდეგ, მგონი ორ სამჯერ კი გაიმეორეს და მერეთ აღარავის გაუგონია მათი გალობა.

ესლა აქაური ორი-სამი მკვიდრნი გალობენ გურულ კილოზედ, მაგრამ ესენიც გულ-ცივათ ეპყრობიან ამ საქმეს.

სამაგიეროთ, აქაური სასულიერო კლასის მონაფეები ძლიერ კარგათ გალობენ თავიანთ ეკკლესიებში, რაც ბ. ა. მეგრელიშვილი დანიშნეს ლოტბარათ. პირველ მაისს ჩვეულეზრივ აქაურს სამოქალაქო ბაღში გაიმართა საქველმოქმედო მიზნით სეირნობა ქალბატონ ი. ლაზარენკოს გამგეობით, უკრავდა სამხედრო მუზიკა და ბუფეტიც იყო, მომზადებული ჩაით და ტკბილეულობით.

მ.-ლი

303. ივერია, 1899, 15 ივლისი, №149, გვ. 2

დაბა და სოფელი (მონერილი ამბავი)

დ. ლანჩხუთი (გურია). ეს ორი თვე იქნება, რაც ლანჩხუთში, ბლალოჩინის მამა ეპიფანე ჩხაიძის თაოსნობით, მონვეულ იქმნა საეკკლესიო გალობის სასწავლებლად პატივცემული ფილიმონ ქორიძე, რომელიც შეუდგა გალობის სწავლებას 10-15 კაცთან და ამ დღეებში კიდევ დაგვატკობო სასიამოვნო გალობის მოსმენით. ამ შემთხვევამ ყველა დამსწრე აღტაცებაში მოიყვანა და დიდად ასიამოვნა. ბ-ნ ფილიმონის დასს საუცხოვოდ აქვს შესწავლილი ყველა საგალობელი. დარწმუნებული ვართ, ეს გალობა დარჩება მუდამ ჩვენს ეკკლესიაში და მით ბ-ნი ფილიმონ ქორიძეც დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, ასეთი სამსახურისათვის. საჭიროა, ჩვენმა სოფელმა დააფასოს ასეთი ღვაწლი.

ძვირად მოიპოვება ისეთი ეკკლესია გურიაში, სადაც ნამდვილ მგალობელთა გუნდი ჰყავდეს. ამისათვის საჭიროა ეკკლესიების კრებულნი მიიწვევდნენ ბ-ნ ფილიმონ ქორიძეს თავიანთ სამრეკლოში და შეადგენინებდნენ მგალობელთა გუნდს. მაშინ საფუძვლიანად მოიდგამს ფეხს ჩვენი საეკკლესიო გალობა და წირვა-ლოცვასაც მეტი მნიშვნელობა მიეცემა ხალხის თვალში. რაც ამას ხარჯი დასჭირდება, თვით ეკკლესიებსაც შეუძლიან გაიღოს. ამისი თანახმა, დარწმუნებული ვართ, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ალექსანდრე ეპისკოპოსიც იქნება.

არ შეგვიძლიან, აქვე მაღლობით არ მოვიხსენიოთ მამა ეპიფანე ჩხაიძე, რომელიც მოსვლისთანავე ყოველსავე კეთილს საქმეს შეუდგა ჩვენში და სცდილობს, როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად ხალხის წარმატებას.

ი. გოგიჩაიშვილი

304. ცნობის ფურცელი, 1899, 17 ივლისი, №869, გვ. 1-2

პროფესორი მარის შრომა. პროფესორი ნიკოლოზ მარი, ამჟამად, შრომობს მეთაუ საუკუნის ტბეთის ეკკლესიის ხელთნაწერს საგალობლებზე. ეს საგალობლები ჩვენს საუნჯეს შეადგენს და ამიტომ საინტერესოა, რომ იგი გაცნობილ იქმნეს პირუთვნელად და მიუდგომელი დაფასება გამოქვეყნდეს.

305. ცნობის ფურცელი, 1899, 22 ივლისი, №873, გვ. 1-2

ახალი წიგნი. დაიბეჭდა ახალი წიგნი: „ქართული გალობა ქართლ კახური კილოთი“ ლიტურგია. ამ წიგნში, რომელიც შეიცავს 55 გვერდს, მოთავსებულია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი. ეს გალობა ნოტებზედ გადაღებულია მ. მ. იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ ქართული გალობის მცოდნე მღვდელი პ. კარბელაშვილითა, ა. მონადირიშვილის და გ. მღებრიშვილის დახმარებით. წიგნი [...]

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ხარჯით; ფასი წიგნისა მხოლოდ ორი აბაზია.

იმედია ქართველი საზოგადოება, რომელიც მოუთმენლად მოელოდა ამ წიგნის გამოცემას, ხელს შეუწყობს მისს გავრცელებას. წიგნი ისყიდება ყოვლადსამღვდელო ლეონიდის სახლში, სიონის ეზოში.

306. ცნობის ფურცელი, 1899, 2 ნოემბერი, №953, გვ. 1

ახალი ამბავი

ტფილისის სამღვდელოებათა საყურადღებო კრება. ოცდარვა ოქტომბერს მოხდა სამღვდელოების, მართლაც და დიდად საყურადღებო კრება, კრებაზედ დაესწრნენ: ეპისკოპოსნი: გორის ლეონიდე, ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი, სინოდის კანტორის და ეგზარხის კანცელარიის მოხელენი: ს. მგალობლიშვილი, დ. დავიდოვი, ვ. დავიდოვი, ნ. ბერიშვილი, სასულიერო სკოლის მასწავლებელი ნატროშვილი და სხვ. კრებას პირველ საგნათ ჰქონ-

დათ აერჩიათ დეპუტატი, თხუთმეტ ნოემბრისთვის, ეპარქიალურ კრებაზე დასასწრებლად. არჩევანი დაინყო სალამოს შვიდს საათზე და ერთხმად იქმნა არჩეული მღ. მ. ჩიჯავაძე. დეპუტატის არჩევით დაინყო საგულისხმიერო ბჭობა გალობის შესახებ. მათმა მეუფებამ ლეონიდმა, წარმოსთქვა მოკლე და შესაბამისი სიტყვა იმის შესახებ თუ, როგორ არის დაცემული ჩვენს საქართველოში ქართული გალობა, როგორც აღარ ისმის ანგელოზებრივ ჰანგზედ ნაგალობები ჩვენი ქართული გალობა და ან ჩვენც როგორ ყურადღებას არ ვაძლევთ და არ ვაღდგენთ სამშობლოს ტკბილს გალობას. მისმა მეუფებამ ლეონიდმა, აგრეთვე სიტყვასთან უჩვენა კრებას ის გზა, რომელი გზითაც ისევე მოიძებნება, ოდესმე ტკბილათ ნაგალობლები ჩვენი გალობა და ისევე გავრცელდება ჩვენს ბედკრულს ქვეყანაში. მათმა მეუფებამ ბრძანა: დავაარსოთ ქართულ მგალობელთა გუნდი, მოვძებნოთ წყარო, რომლითაც შეიძლებოდეს ქართულ მგალობელთა გუნდის კარგათ შენახვა; ავირჩიოთ კომიტეტი, რომელმაც თვალყური ადევნოს გუნდს და მის შენახვას. ასევე, გუნდი იყოს მოძრავი სკოლა, რომელსაც მიზნათ ის უნდა ქონდეს რომ გაავრცელოს გალობა, გუნდი უნდა იყოფოდეს, საჭიროების დროს, ორ დასათ და მეტათაც, ყოველთვის გალობდნენ მღვდელ-მთავრის წირვაზედ და მორიგეობით ყველა ეკკლესიებში, იმ პირობებით არ შეიძლება, რომ ის ტკბილი გალობა, რომელიც ოდესმე ისმოდა, ისევე არ გადასწყვიტეს დაარსონ „ქართულ მგალობელთა გუნდი“.

შემდგომ ამისა, შეუდგნენ იმ წყაროს მოძებნას, რომელიდანაც გუნდი შეინახებოდეს. მათმა მეუფებამ ლეონიდმა აღუთქვა ყოველ წლივ თავის მხრიდან 100 მ. მისმა მეუფებამ კირიონმაც თავის მხრივ 100 მ. და თავის მონასტრის მხრივაც 100 მანეთი, დიდუბის ეკკლესიამ უნდა იხადოს ყოველ წლივ 150 მ. ქაშვეთისამ 100. დანარჩენი ეკკლესიები დაჰყვეს სამ ნაწილათ, ესე იგი კატეგორიებათ, პირველი კატეგორიის ეკკლესიამ უნდა იხადოს 30 მ. მეორისამ – 20 მ. და მესამისამ – 10 მ. თვითეულმა ქალაქის მღვდელმა – 5 მ. შტატის მთავარდიაკონმა – 2 მ. და მედავითნემ – 1 მ. აგრეთვე, აღუთქვეს ზემოხსენებულმა დამსწრე პირებმა ყოველ წლობით დახმარება. შემდგომ ამისა, ამოირჩიეს კომიტეტი მგალობელთა გუნდის მზრუნველათ, რომლის თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული მათი მეუფება ლეონიდე. კრება დამთავრდა თერთმეტ საათზედ. [...] კრებამ უგალობა ფეხზედ ადგომით: „ღირსარსი“ და „ისპოლა“ და შემდგომ დაიშალნენ.

სერგი [გორგაძე]

307. ივერია, 1899, 12 ნოემბერი, №244, გვ. 3

ქართული მუსიკა

1870-1880 წლებში, ტფილისის სამღვდელეობას აღეძრა ლაპარაკი ქართულის გალობას ნოტებზედ გადაღების შესახებ, რომლის განსახორციელებლად შეედგინათ კომიტეტი და მგალობლებიც მოეწვიათ, მაგრამ, რადგანაც, ვითომდა, მცოდნე კაცებს გარდაენწყვიტათ, რომ ქართულის გალობის ნოტებზე გადაღება შეუძლებელიაო, ამისათვის საქმე ჩაშლილიყო და დავიწყებას მისცემოდა. 1880-1883 წლის საოპერო სეზონებში მოწვეული ვიყავ მე ვეროპიდგან ტფილისის თეატრში. შევასრულე თუ არა ვადა სამსახურისა და დავაპირე ვეროპაში წასვლა, იმ დროს მოვიდა ჩემთან რამდენიმე ქართველი მგალობელი და მკითხეს: „შესაძლებელია თუ

არა ქართულის გალობის გადაღება ნოტებზეო?“ – ძალიან ადვილად მეთქი, – ვუპასუხე. იმათ ეჭვის თვალით შემომხედეს. – მობრძანდით ხვალ, მიგალობეთ რაც გინდათ და მაშინ შეიტყობთ, რაც მოხდება მეთქი – ვუთხარი მე. მოვიდნენ, იგალობეს, დავანყვე ნოტებზედ, ვუგალობე მათი ნათქვამი და ფორტეპიანოზედაც გავაგონე ახალი დანერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართულ გალობის ნოტებზედ დანყობა შესაძლებელი ყოფილა.

ეს ამბავი მოეფინა მთელ ტფილისს. დამანერინეს მთელის წირვის გალობა, რომელიც მოისმინა რამდენჯერმე ქართველმა ინტელიგენციამ, საზოგადოებამ, სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამ, ბ-ნ მაღალაშვილის სახლში და ან განსვენებულმა ექსარხოსმა პავლემ. რუსული და ქართული გაზეთებიც დიდის თანაგრძნობით იხსენიებდნენ ამ სასიამოვნო მოვლენას. საქმე დადგა ისეთ ნიადაგზე, რომ გალობის წერა ტფილისში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ეს ასე აღარ მოხდა. ამისათვის, გალობის წერა დაიწყო ქუთაისში ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სურვილითა და ნებართვით. ნეტარხსენებული გაბრიელი დიდის სიფრთხილით შეუდგა გალობის საქმეს: მომიჩინა საუკეთესო მგალობლები გალობის გადმოსაცემად. დაწერდით თუ არა რამდენიმე საგალობელს, შეამონებინებდა გამოცდილ მცოდნე მგალობლებს. ამ შემონმებულს საგალობლებს მოისმენდა ხან ეკკლესიაში და ხან თავისს დარბაზში. მომყავს ეს წარსული ამბავი იმისათვის, რომ ყოველგვარი ქმნილება ხალხისა, მისი ჩვეულება, სწავლა, გენიოსობა ზეპირი თუ წერილობითი, უნდა დამტკიცდეს ხალხისავე მსჯელობით, დაფასებით, განა ცოტასა ვხედავთ ჩვენ ხალხის ქმნილებას, ჩვეულებას შებღალულსა და დამახინჯებულსა.

დაიწერა საგალობლები დიდისა სიფრთხილით, მოიწონა საზოგადოებამ და სცნო მისი სინამდვილე. ცოტაოდენი დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ სოფელი რას ამბობს? არა სწამს. ის ჩვენებური არ იქნებაო. ხალხის ასეთმა ეჭვებმა და ურწმუნობამ მაიძულა სოფლებშიაც მომესმენინებინა ნოტებზედ დანყობილი გალობა. სამი თუ ოთხი წელიწადი ვიარე სხვადასხვა სოფლებში. ბევრგან გავაჩაღე წირვის გალობა, რომლის მოსმენისთანავე ხალხის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩემდა სასიამოვნოდ, ჩემ მიერ დავლილ სოფლებში ბევრი მშვენიერი სიმღერა დავწერე, ისე რომ ბევრი მშვენიერი სიმღერები მაქვს შეგროვილი, ამ სიმღერებში ყოველგვარ შემთხვევის მოთხოვნილებას იპოვნით; მაგალითად, სამგლოვიარო მუსიკას, იპოვნით ზარს; გარდა ამისა ათასნაირს სამხიარულოს, მუშურს, ნადურს, მგზავრულს, ცხენოსნურს, ლაშქრულს, მაცრულს, ყანურს, კრეფის დროსას, სუფრულს, ოხუნჯურს, აშიკულს, ხელხვავს ოთხნაირს, მოგონებას, მონადირეთა სიმღერას, რომანსებს, დუეტებს (ჩემ მიერ შეკეთებულს), მეგრულს, ქართლულს, კახურს და სხვა.

კარგად ვიცი, რომ მუსიკა არის ხალხის ხასიათის გამომხატველი, წარსულის მომგონებელი, აწმყოს დამაახლოებელი და შემაერთებელი, უცნობთა გამცნობი, მეგობრობის დამაკავშირებელი, მეზობელთა კარის გამღები, უცხოთა შორის თავმოწონეთ გამომაჩენელი, ჭირვარამის ნუგეში და დამამშვიდებელი, სიყვარულის აღმძვრელი; ერთის სიტყვით, მუსიკა არის სულის საზრდო. ამისათვის მოგიწოდებთ და გთხოვთ, ქართველ ახალ თაობას, ქალსა და კაცს, შევიკრიბნეთ, გავიცნოთ ერთმანეთი, შევისწავლოთ ძველი და ახალი ქართული სიმღერები. მასალა ბევრი გვაქვს და ბევრსაც შევიძინთ. შევადგინოთ პატარა ოჯახური წრე, გავმართოთ სამუსიკო საღამოები, მოვამზადოთ კონცერტები, რომელთა შემოსავლის ნაწილი მოვახმაროთ ამ საქმის გაუმჯობესებას და ნაწილი საქველმოქმედო საქმეს.

იმედია, ჩვენი ახალგაზრდა ლოტბარები და მუსიკოსები თანაგრძნობას და დახმარებას ამოუჩენენ ამ საქმეს. იმათის შეერთებულის ძალით ამ საქმეს განვავითარებთ და კულტურულ გზაზედ დავაყენებთ. ვიქონიოთ ერთობა და საქმეც ფეხს მიოდგამს და სასურველი შედეგი იქნება.

ფილიმონ ქორიძე

საეკლესიო მგალობელთა სამუდამო გუნდი

კარგა ხანია ქართველ სამღვდელოების შორის საყვედური გაისმის, რომ ქართული საეკლესიო გალობა დაეცა, რომ ეს გალობა არამც თუ საერო, ბევრმა სასულიერო წოდების კაცებმაც აღარ იციან რიგიანად და წესიერადო. რამდენჯერმე სამღვდელოების შორის ლაპარაკიც კი იყო აღძრული იმის შესახებ, რომ ქართულ საეკლესიო გალობას მეტი ყურადღება მიექცეს, რომ ეს საქმე მოწყობილ და კარგ ნიადაგზედ დაყენებულ იქნასო, მაგრამ ყოველთვის ამ ლაპარაკს უნაყოფოდ ჩაუვლია. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ ბოლო დროს ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მისმა მეუფებამ გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ და მოიწადინა სამღვდელოების დიდი ხნის სურვილის განხორციელება. ამიტომ, იმედია, რომ ამიერიდგან მაინც, ყოვლადსამღვდელო ლეონიდს და სხვათა მეცადინეობით საეკლესიო გალობის საქმე კარგ ნიადაგზედ იქმნება დაყენებული.

წარსულ ოქტომბრის თვის ოცდაორს, ქალაქის სამღვდელოებას კრება ჰქონდა დეპუტატის ამოსარჩევად მომავლის საეპარქიო კრებისათვის. ქალაქის მღვდლების გარდა ამ კრებას სასულიერო უწყების სხვადასხვა დანესებულებათა მოხელენიც დაესწრნენ. მათმა მეუფებამ ლეონიდემ სწორედ ამ კრებაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი გალობის საქმის მოწყობის საჭიროების შესახებ და განაცხადა ის სურვილი, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას ქართველ მგალობელთა სამუდამო გუნდი. მათის მეუფების აზრით, ასეთი გუნდი სკოლის მაგივრობას განეგს. გუნდი იმდენად მოზრდილი უნდა იყოს, რომ რამდენსამე დასად იყოფებოდეს. ამ დასებმა ტფილისის სხვადასხვა ეკლესიაში მორიგეობით უნდა იგალობონ.

გუნდის შესანახად ტფილისის ეკლესიებმა ყოველ წლივ ფული უნდა გაიღონ. კრებამ ტბილისის ეკლესიები, დიდუბისა და ქვაშეთის გარდა, სამ ჯგუფად დაჰყო. პირველი ჯგუფის ეკლესიებმა უნდა იხადონ 30 მანეთი თვითოეულმა, მეორისამ – 20 და მესამისამ – 10 მ., ხოლო დიდუბისა და ქვაშეთის ეკლესიებმა უნდა იხადონ ხუთ-ხუთი მანეთი, შტატის მთავარ დიაკვნებმა ორ-ორი მანეთი. ამას გარდა, შემწეობა აღუთქვეს მათმა მეუფებამ ლეონიდმა, თავისს მხრივ, 100 მანეთი და თავის მონასტრის მხრივაც 100 მანეთი ყოველწლივ და მათმა მეუფებამ კირიონმა აგრეთვე 100 მანეთი თავისს და 1000-ც მონასტრის მხრივ.

შემდეგ ამისა კრებამ აარჩია მზრუნველი კომიტეტი, რომელმაც ფული უნდა შეჰკრიბოს, გუნდის საქმეები განაგოს და სხვა. თავჯდომარედ ამ კომიტეტისა ერთხმად არჩეულ იქმნა მათი მეუფება გორის ეპისკოპოსი ლეონიდე.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი გუნდი ქართველ მგალობელთა დიდს სარგებლობას მოიტანს და გაავრცელებს საეკლესიო გალობას. საჭიროა მხოლოდ, რომ ფული არ შემოაკლდეს კომიტეტს და სამუდამო წყარო ჰქონდეს ამ გუნდის შესანახად. ჩვენის აზრით, კრებას თამამად შეეძლო ტფილისის ეკლესიებზე მეტი ფული გაენერა. ისეთი ეკლესია არ არის ტფილისში, რომელსაც ყოველწლივ სულ ცოტა 50 მანეთის გაღება არ შეეძლოს ამ კეთილ საქმის სასარგებლოდ. მეტი არ იქნება აგრეთვე ეპარქიის საბლალორინოებიც შეეწინივნენ ამ საქმეს და ყოველ წლივ თავიანთი წვლილი მოაწოდონ ხოლმე. შეუძლია აგრეთვე ამისათვის ფული სანთლის ქარხანამაც გადადოს.

ყველა ამას გარდა, საჭიროა ჩვენის აზრით, რომ მზრუნველმა კომიტეტმა ეს გუნდი წამდვილი გალობის სკოლად გარდააქციოს. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ახლად გამწესებულ მღვდელსა და მედავითნესთვის სავალდებულო გახადონ ამ გუნდში ყოფნა და გალობის შესწავლა ორი ან სამი თვით მაინც. ორი ან სამი თვე თუმცა მცირე დროა, მაგრამ მაინც, ეჭვი არ არის, რომ ამ ხნის განმავლობაში კაცი ისწავლის და გაიგებს რასმეს.

როგორც შევიტყვეთ, მზრუნველ კომიტეტს მომავალ გუნდის ლოტბარად ბ-ნი ა. კავ-საძე მიუწვევია. კავსაძე უკვე შესდგომია ხმების მოკრებას და გუნდის შედგენას. ამ გუნდის ყველა მომღერალს გადანყვეტილი ჯამაგირი ექნება.

უცნობი [ზაქარია გულისაშვილი]

309. ივერია, 1899, 3 დეკემბერი, №261, გვ. 3

ქართული მუსიკა

ეს დიდებული სახელწოდება „ქართული მუსიკა“ ზოგიერთს, როგორც შემიმჩნევია, ეჭვი-ანს ღიმილსა ჰგვრის და გაკვირვებით შემოგხედავს ხოლმე, ეუცხოება. ან კი, რა გასამტყუ-ნებელია მისი გაკვირვება, თუ კი არ იცის და არც გაუგონია ქართული მუსიკა. თუმცა, ქართული მუსიკა მრავალგვარია, რთული და მშვენიერია, მაგრამ ჯერ იმას თავი ვერ უჩე-ნია არა თუ უცხოქვეყნელთა შორის და მათ სამუსიკო საზოგადოებაში, არამედ ჩვენშიაც. მე, თქვენი უმორჩილესი მონა, დიდი ხანია, რაც საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებსა ვსწერ და ბევრიც დაწერე ნოტებად ფორტეპიანოს შემწეობით და ქართული ლექსთ-სიმღერებიც გადავათარგმნინე რუსულსა და იტალიურს ენაზე, მაგრამ დაბეჭდვა ხელმოკლეობისა გამო ვერ მოვახერხე. ყველამ ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ მუსიკას წარსულისა და აწმყოს დახასიათებისათვის. ამისათვის დარწმუნებული ვარ, რომ ყველა შეგნებულსა და დარბაისელს ქართველს სასიამოვნოდ დარჩება ამ მრავალმნიშ-ვნელოვანის და საშვილიშვილო მუსიკის გაცნობა, გავრცელება, როგორც ჩვენში, აგრეთვე უცხო ქვეყნადაც. ამისათვის საჭიროა მისი დაბეჭდვა ქართულს, რუსულს და რომელსამე ევროპიულს ენაზედ და ადვილად შესაძლებელია მომავლის პარიჟის გამოფენაზედ იჩინოს თავი. როგორც მოგეხსენებათ, დაბეჭდვას დაუხმარებლად ვერ შევსძლებ, მაგრამ ნივთიერ დახმარების იმედი კი მაქვს ყველა იმ ქართველისაგან, რომელსაც სურს სხვისი ერის მუსი-კა ყველასათვის ხელმისაწვდენი შეიქმნას. დამხმარებელს თითო ეგ ზემპლარი დაბეჭდილის პიესისა მიერთმევა.

ფილიმონ ქორიძე

310. ივერია, 1899, 9 დეკემბერი, №265, გვ. 3

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები:

„საგალობლნი შობის დღესასწაულისა“, ნოტებზედ გადაღებული და გამოცემული მღვ. პ. კარბელაშვილის და ა. მოლოდინაშვილის მიერ. გამომცემლებს აზრადა ჰქონი-ათ ნოტებზედ გადაიღონ და დაბეჭდონ ქართული სასულიერო ძველი კილოები. როგორც თვითვე აცხადებენ, მეორე წიგნში გამოცემული იქმნება პასექის საგალობლნი და სხვანი. „საგალობლნი შობის დღესასწაულისა“ სუფთად არის გამოცემული და ჰღირს ორ აბაზად.

ზ. პ. ფალიაშვილის კონცერტი

წარსულ შაბათს, 10 თებერვალს, ზ. პ. ფალიაშვილმა გამართა კონცერტი თფილისის სობრანიაში, რომელმაც დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი უშველებელ დარბაზში. ასეთი თანაგრძნობის მიზეზათ ჩვენ პირველათ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ბ-ნ ფალიაშვილის ხორომ საქვეყნოდ გამოსვლისთანავე, ცოდნასთან ერთათ მეტი გულკეთილობა, უანგარობა გამოიჩინა: უსასყიდლოთ მიიღო მონაწილეობა „ქარ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამართულ კონცერტში, საიუბილეო წარმოდგენის დღეს თეატრში იმღერა, მიიღო მონაწილეობა განჯაში გამართულ ქართულ სახალხო კონცერტში და სხ. მეორე მიზეზათ კიდევ ის, რომ ბ. ფალიაშვილს, რომელმაც თფილისში სამუსიკო სასწავლებელი გაათავა, უნდა რუსეთში წასვლა სწავლის გასაგრძელებლათ, რათა უფრო მომზადებული შეუდგეს, სხვათა შორის, ქართული ხალხური სიმღერების შესწავლასა და შემუშავებას. ბ. ფალიაშვილი არ ეთანხმება ჩვენი სიმღერების მცოდნეთა უმრავლესობას, რომლებიც მხოლოდ გადმოიღებენ ხოლმე ნოტებზე ხალხურ სიმღერებს თავისი ღირსება-ნაკლულევანებით, ხან შეცდომებითაც, და შემდეგ ბეჭდავენ ცალკე რვეულებათ. იმისი აზრით ეს შეცდომაა: ასეთი სიმღერები უნდა შეადგენდეს მხოლოთ მასალას ეროვნული მუსიკის შესაქმნელათ და ამიტომ, მხოლოდ კომპოზიტორის კაბინეტს უნდა აშვენებდეს, ხოლო გარეთ გამოტანამდის, დაბეჭდამდის მას ეჭირვება შემუშავება, მუსიკის კანონებთან შეთანხმება... რადგანაც ეროვნული სიმღერის სულსა და გულს შეადგენს პირველი ხმა, ამიტომ იგი ხელშეუხებლათ უნდა იყოს დაცული, სხვა ხმები კი გარმონიას უნდა დაემორჩილოს, რათა სასიამოვნო გასაგონი გახდეს შინაურებისათვისაც და უცხოელებისათვისაც... რამდენად მართალია ბ. ფალიაშვილი, ამისი განსჯა ჩვენი სპეციალისტებისთვის მიგინდვია.

რაც შეეხება ხოროს მიერ კონცერტზე ნათქვამ ქართულ სიმღერებს, უნდა ვთქვა, რომ ყველა მეტათ მწყობრათ და სასიამოვნოთ იყო ნათქვამი, მაგრამ აკლდა გრძნობა, აღფრთოვანება... რაც აიხსნება მხოლოთ იმით, რომ მთელი ხორო თითქმის არაქართლვეებისაგან შედგება, რომელთაც ქართული არ იციან, რის გამოც ვერ მოუხერხებიათ ლექსის სიტყვას თავისი შესაფერი გრძნობა გამოატანონ.

მე დარწმუნებული ვარ, ფალიაშვილის ხორო რომ ქართველებისაგან შედგებოდეს, მაშინ ქართული სიმღერები ერთიათად და ოცად უკეთესი გამოვიდოდა.

მაშ, ვუსურვოთ ბ-ნ ფალიაშვილს უმაღლესი სწავლის მიღება, ქართული სიმღერების შესწავლა და ქართული ხოროთი მისი განმტკიცება თავის და ქვეყნის სასახლოდ...

ი. გომელაური

312. ცნობის ფურცელი, 1900, 25 თებერვალი, №1053, გვ. 2

ახალი ამბავი

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს, გურია-მეგრელიის ეპისკოპოსს, ერთი ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს: გადაუნყვეტია ქ. ოზურგეთში გახსნას ქართული გალობა-სიმღერების შესასწავლებელი კაბინეთი, ისეთი, როგორც ტფილისში იყო და სადაც ყველა მსურველები სწავლობდნენ ჩვენებურ გალობა-სიმღერას. ამ აზრის განსახორციელებლად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მოითხოვა დახმარება ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობისაგანაც, რომელმაც ამ კაბინეთისათვის შესაფერი ბინა უნდა იშოვნოს. ქალაქის მოურავმა ყოველნაირი დახმარება აღუთქვა ყოვლადსამღვდელოს ამ საქმეში. პირველად გალობის მასწავლებლად მონვეულია ათონში გაზრდილი და ტფილისის კაბინეთის დამაარსებელი თ. მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელსაც ყ-სამღვდელომ ყოველნაირი ხელის განყოფილება დაჰპირდა, თუ კი ის საქმეს ჯეროვნად დააყენებს. იმედია, ცოტა ხნის შემდეგ უნმ. სინოდის საკმარისი დახმარებას აღმოუჩინს ამ სასარგებლო საქმეს. გურიაში მართლა ნამდვილი საჭიროებაა გალობის მასწავლებლის დაარსებისა: იქ შენახულია ყოველნაირი ჩვენი ძველი გალობის კილო და ცოცხალია დღესაც ბევრი ჩვენებური ზეპირი გალობის კარგად მცოდნე პირები, რომლების ცოდნით, უეჭველად უნდა ვისარგებლოთ, თუ გვინდა აღვადგინოთ ჩვენში ძველი გალობა-სიმღერა.

313. ცნობის ფურცელი, 1900, 26 მარტი, №1083, გვ. 1

კვირას, 26 მარტს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონა-დირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო

კონცერტი

/მეორე/

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ. გუნდი იგალობებს სხვადასხვა ქართულ-კახურს საეკლესიო საგალობლებს.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და „სობრანიის“ მეკარესთან.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 ½ საათზე.

ახალი ამბავი

15 მარტს, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, დაპირებისამებრ, მობრძანდა ქალაქ ოზურგეთში საგალობელი კაბინეთის დასაარსებლად. ამ დროისათვის მოწოდებული იყო ქ. ოზურგეთში მთელი მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან სამღვდელოება, რომელიც შეიკრიბა საღამოს ქალაქის მოურავის, ნიკო თავდგირიძის სახლში, სადაც მოვიდნენ სხვა თანამგრძობელნიც ამ საქმისა. ყოვლად სამღვდელომ გამოუცხადა ყველა შეკრებილთ თავის სურვილი ქ. ოზურგეთში ჩვენებური საეკლესიო გალობის სასწავლებლის დაარსებისა და სთხოვა მათ თანაგრძობა-შემწეობა აღმოეჩინათ ამ ახალი, კეთილი დანყებულობისათვის. შემდეგ ნიკო თავდგირიძემ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ამ საგალობელი კაბინეთის დაარსებისათვის შემუშავებული წესდება, რომელიც ყველასაგან მოწონებულ იქნა. შემდეგ იქვე მთლად შეკრეფილი საზოგადოება ჩაენერა წევრებად და შეძლებისამებრ, ყოველ წლიური შემწეობა აღუთქვეს ამ საქმეს. თვით ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, რომლის მეოხებით, განსაკუთრებული მეცადინეობით და შემოწირულებით არსდება ეს საქმე, მთელმა კრებამ ერთხმად აირჩია სამუდამო საპატიო წევრად; ამჟამად ყოვლად სამღვდელომ ასი მანეთი დასდვა და აღუთქვა ყოველივე საჭიროების დროს დახმარება ნივთიერადაც, სხვა მრავალწიარ ხელის შეწყობა-თანაგრძობის გარდა. აქვე საპატიო წევრად ჩაინერნენ და ასი მანეთი ნაწილ-ნაწილად აღუთქვენ: ნიკო თავდგირიძემ, ბლალოჩინმა არსენ თოხაძემ, ბლალოჩინმა დიმიტრი ქიქოძემ, მღვდელმა ლუკა ურუშაძემ და საეპარქიო კანცელარიის მდივანმა ჩაჩანიძემ; ყოველწლიური შემწეობა ხუთ-ხუთი მანეთით აღუთქვეს ყველა სოფლის მღვდლებმა და ბევრმა დამსწრემ საზოგადოებისაგან; შემდეგ კრებამ აირჩია გამგეობა ამ საქმის მომწყობ-გამძღოლი: საპატიო თავმჯდომარედ – ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, მის თანაშემწედ – ნიკო თავდგირიძე; წევრებად: ბლალოჩინი არსენ თოხაძე, მღვ. ლუკა ხუნდაძე /ხაზინაძერად/ მღვდელი გიორგი თოხაძე და მღვდელი დავით დუმბაძე. ამ გვარად დაიწყო ოზურგეთის საგალობელი კაბინეტის საქმე.

ქართული მეორე სასულიერო კონცერტი

კვირას, 26 მარტს თბილისის „სობრანიის“ დარბაზში ბ. ი. მონადირიშვილის ხოროს მიერ გამართული იყო ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოთ. კონცერტმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. სწორედ 8 1/2 საათზე მობრძანდნენ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოზი ფლაბიანე, ლეონიდე, ეპისკოპოზი გორისა, და კირიონი ეპისკოპოსი ალავერდისა. ხორო, რომელიც შესდგებოდა 60 ქალისა და ვაჟისაგან, დახვდა ესტრადაზე და უგალობა „ისპოლლა ეტი დესპოტა“.

რამდენიმე წამის შემდეგ დაიწყო თვით კონცერტი, რომელიც შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან:

1. „დღეს საღმრთომან“, 2. „იხარებს სული შენი“, 3. „წმ. ღმერთო, მღვდელმთავრისა“, 4. „აღდგომასა შენსა“, 5. „ჯვარსა შენსა“.

II. 1. „წმ. წმ. წმ. უფალო საბაოთ“. 2. „შენ გიგალობთ“. 3. „აქებდით მონანი უფალსა“; 4. „სიყრმით ჩემით“. 5. „ვინ არა გნატრიდეს“.

III. 1. „აკურთხევს სული ჩემი“, 2. „წარემართე ლოცვა ჩემი უფალსა“, 3. „აჰა, ესერა სიძე მოვალს შუალამესა“, 4. „შენ ხარ ვენახი“, 5. „დიდება მაღალთა შინა“ და ბოლოს „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“. პროგრამა ხელოვნურად იყო შედგენილი. აქ იყო ოთხხმიანი საგალობლები და სამხმიანები და აგრეთვე, ქალების „ტრიოები“ და ვაჟების „ტრიოები“. ყველა ოთხხმიან საგალობლებმა კარგად ჩაიარეს და სასურველი შთაბეჭდილებაც მოახდინეს მსმენელებზე; რადგანაც აქ „გონიერი აკკორდებია“ და ოთხხმიან ხოროსათვის არის გადაღებული, სადაც პირველი და მეორე (დისკანტები და ალტები) ქალების ხმები თვისის - „პარალელურ მსვლელობით“ მელოდიას სამხმიანიდან ამოზენ, ხოლო მესამე და მეოთხე ხმა (ტენორი და ბანი) შეფარდებულია საეკლესიო გალობის და ქართული მუსიკის კანონებისამებრ. მართალია, პირველი მოსმენით ეს ოთხ ხმიანი გალობა არაქართული ეგონება კაცს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდა, მაშინვე ცხადად წარმოდგენს, რომ ისევე ქართულია, მხოლოდ გამშვენებულია და ყურთასმენის დამატკობელი, ვიდრე სამ ხმიანი. ჩვენ პატარაობიდანვე სამხმიანი გალობა გვესმის, როგორც საეკლესიო ისევე საერო და ძვალში და რბილში გვაქვს გამჯდარი და ამისათვის ოთხხმიანი, პირველად რომ გვესმის, გვეხამუშება, როგორც შევნიშნეთ კონცერტში ოთხხმიანი საგალობლები ისე არა ჰგონებდა მგალობლებს, როგორც სამ ხმიანები.

როდესაც ოთხხმიან საგალობლებს ამბობდნენ, ხოროს უფრო მეტი სიცოცხლე ეტყობოდა და შთაბეჭდილებასაც კარგს ახდენდა, ხოლო როდესაც დაინყებდნენ სამხმიან საგალობლებს, თვისის „პარალელურ კვინტებით და ოქტავებით“, შთაბეჭდილებას, შედარებით ოთხხმიანებისა, გაცილებით მცირედს ახდენდა და ამასთანავე მგალობლებს ძლიერ ჰგონებდა. ჩვენის აზრით, ბ. მონადირიშვილს სდომებია მოესმენინებინა საზოგადოებისათვის სამხმიანი და ოთხხმიანი საგალობლები, რომ შეადარონ, რომელი მათგანი უფრო ესაბამება აწინდელს მუსიკალურ გემოვნებას და ყურთასმენის კანონებს. დიდი მადლობის ღირსია ბ. მონადირიშვილი თვისი ხოროთი, რომელმაც თბილისში პირველად შემოიღო ჩვენს საეკლესიო მუსიკაში – ოთხ ხმიანი გალობისა და პირველი ნაბიჯი სასულიერო კონცერტებისა ასეთის სიმპატიურის საქველმოქმედო აზრით, როგორადაც არის მცხეთის ტაძრის განახლების საქმე. განახლების საქმის მოსაწყობმა კომიტეტმა დაფინანსა გვირგვინი მთავარ ბ. მონადირიშვილს.

არ შემოიძლიან არ მივაქციო ყურადღება „სობრანიის“ დარბაზის ჰაერს კონცერტის დროს — აქ იდგა მტვერი, თამბაქოს ბოლი, საზოგადოდ ოხშივარი და სხვა რაღაც სულის შემხუთველი სუნი. ამ დღეს ამავე დარბაზში საღამომდინ სხდომა ჰქონდათ თბილისის მოვაჭრეთა და შემდეგ მილაგებისას ჰაერი არ გაესუფთავებინათ. სუფთა ჰაერის უქონლობამ ხოროს ძლიერ შეუშალა ხელი. კარგი იქნება, რომ ხორომ კონცერტი გაიმეოროს აღდგომის შემდეგ.

დამსწრეთაგანი

316. ივერია, 1900, 2 აპრილი, №73, გვ. 4

სასულიერო კონცერტი

26 მარტს, ბ-მა მონადირიშვილმა გამართა სასულიერო კონცერტი, რომელსაც როგორც მოსალოდნელი იყო, დიდძალი ხალხი დაესწრო. საგანი ამ კონცერტისა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყოველთვის დიდძალს ხალხს მიიზიდავს და ამ დიდძალ ხალხსა და საპატიო კაცთ,

კარგი მომზადება და დახვედრაც უნდოდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ბ-ნ მონადირიშვილის ხორო იმდენად მოუმზადებელი იყო და ისე ცუდად ჩაიარა ამ კონცერტმა, რომ სწორედ გახსენებაც კი არა სასიამოვნოა. არ იცის კაცმა, რა მსჯავრი დასდოს ამისთანა უსწორმასწორო გალობას. ჩემის აზრით, ამისთანა მოუმზადებელი ხოროთი კონცერტის გამართვა, ისიც ტფილისში დიდი და დიდი რაინდობაა; ძალიან გამბედავი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასე მოიქცეს და ან მეტისმეტი თავმოყვარეობით გატაცებული, კარგს ავისაგან ვერ არჩევდეს. ის მაინც როგორ არ უნდა ესმოდეს, რომ ქვაშვეთში ნირვა-ცისკრის გალობა და საზოგადოების წინაშე კონცერტის გამართვა, ერთი არ არის. მე ვგონებ, რომ ის დიდად პატივცემულნი კაცნი, რომელნიც მცხეთის ტაძრის შეკეთების საქმეს სათავეში უდგანან, შემდეგისთვის მაინც გვიხსნიან ამისთანა კონცერტის მოსმენისაგან. ეს მცირე შენიშვნა დანერილი მქონდა, როდესაც გაზ. „ცნობის ფურცელში“ ნავიკითხე ბ-ნ „დამსწრეს“ წერილი და ვიფიქრე, რომ ეს „დამსწრე“ ან ისევ თავიანთაგანი უნდა იყოს და სულსა სწვამს სიცრუის თქმით, ან „არ დასწრება“ და ვისგანმეა მოტყუებული-მეთქი.

ქართველი [რომან დამსაშვილი-ცამცივი]

317. ცნობის ფურცელი, 1900, 26 აპრილი, №1106, გვ. 1

ახალი ამბავი

მოზღოკიდან გვწერენ, რომ იქაურს ეკლესიაში, ბ-ნ ბოცვაძის მეცადინეობით, რომელმაც ქართული ნოტები გამოუგზავნაო ეკლესიას, ამჟამად გალობს ქართული ხორო, ბ-ნ ციმილიანსკის ლოტბარობით. ქართულმა გალობამ დიდმარხვის განმავლობაში მეტად ასიამოვნა მოზღოკელი ქართველობა.

318. ივერია, 1900, 27 აპრილი, №90, გვ. 1-3

ფელეტონი

შევეგებნოთ გალვიძებს

მოვლენანი სამშობლო საზოგადოების ცხოვრებისანი გაზვიადებულნი ეხატების გადახვეწილ, მოშორებულს თავისს აღმზრდელ მიწა-წყალს: მცირედი, ხოლოდ მისთვის სასიამოვნო რაიმე დიდ რასმე შესანიშნავად ეჩვენების მას. მაგრამ აი, დაახ სასიამოვნო ფაქტები რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანში ჩვენში განიღვიდა საერო მუსიკის სიყვარულმა: „ივერიიდგან“ ვიცით, რომ ჩვენი მშობლიური სასულიერო (საეკკლესიო) გალობა აღდგენილ იქმნა და შეიძლება ხმაშენყობილ გუნდით მისი მოსმენა, რომ, გარდა ამისა, გამოცემულ იქმნენ საერო სიმღერათა კრებულნი (ბ-ნი კარგარეთელი, ჩხიკვაძე) და შეკრებილია დიდძალი მასალა ქართულ სიმღერა გალობის კილოთა (ბ-ნი ფ. ქორიძე). ერთი სიტყვით, გაცხარებული

მუშაობა ჩვენ მიერ დავინყებულ და სხვის მიერ არცნობილ ქართველთა ერის გენიოსობის მიერ საუკუნოების განმავლობაში შექმნილ სამუსიკო შემოქმედების შესასწავლად.

ეხლანდელ ჩვენის მწერლობის სიტყვით, ჩვენ სასულიერო (საეკლესიო) საგალობელ კილოთა უკეთესი შედეგი ჰხვდა, ვიდრე საეროს, და ეს არც არის გასაკვირველი: ჩვენმა ეკლესიამ და მისთა მსახურთა ამ საგანშიაც იჩინეს თავი ერთგულ დამცველ დარაჯებად, განსაკუთრებით ქართველთ ტომთ კუთვნილ განმახასიებელ თვისებისა, როგორნიც იგინი ყოფილან ყოველთვის მრავალტანჯულ საქართველოს მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი. ვგონებ, რომ იმავე სამღვდელოების წყალობით მოაღწია ჩვენამდის საერო მუსიკის ძველ ქართულ კილომაც, და უკეთუ მას შესამჩნევად დაეტყო უცხო ტომთა მუსიკის გავლენა, გაირყვნა იგი თვით ჩვენი საერო ნოდების საზოგადოებისაგან არაბეჯითად დაცვის გამო. და ეს გარემოება უძნელებს, უორკეცებს ჩვენის საერო მუსიკის შესწავლას მათ, რომელნიც ამჟამად მის შესასწავლებლად მოღვაწეობენ. თანაგრძნობით უნდა მივეგებნოთ ამ მოვლენას და გამოვიკვლიოთ: თუ რა ზომიერება, რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ გავუადვილოთ კეთილად დაბოლოვება ამ დაწყებულ წმინდა საქმესა?

ამის პასუხის მოხსენებას გავბედავ ქვემოთ:

ა) ჩემის აზრით, ქართულ საერო სიმღერების შეკრებაში შეგნებით გონივრულ დახმარებას უნდა მოველოდეთ უფრო ჩვენ ქართველთა მიერ, ვიდრე სხვა ტომის კაცთაგან. ევროპიელთა აზრი (ხშირად ფრიად განვითარებულთაც) შესახებ ჩვენებურ მუსიკისა, ვის არ მოეხსენება?! ერთობ იგინი, თუ არ ევროპიელ, სხვაგვარ მუსიკას მუსიკად არ სთვლიან. კერძოდ, ხომ ჩვენი სიმღერების კილო ვერ გაურჩევიათ ველურ ღმუილისაგან, რომელსაც საერთო არარაი აქვს მუსიკასთან. ამგვარი აზრი განვითარებულ ევროპიელთა დამყარებულია არა მარტო ამპარტავნულ მათ მიერ შეუგნებლობაზედ, არამედ სხვა გასამართლებელ და დიახ, საბუთიან გარემოებაზედაც. ყოველი ტომის საერო მუსიკა მისივე იდეალური ენაა.

სამშობლო მუსიკა იმდენად უფრო განშორებული, კილო, ჰანგი, სამშობლო სიმღერა-გალობათა თავისებურია, თავის განსაკუთრებით ფერისაა, და იმდენად უფრო ნაკლებ გაუგებარია უცხო მსმენელთათვის, რაოდენადაც არ არსებობს ნათესაური კავშირი მსმენელის დედაენის და იმ ერის ენას შორის, რომელსაც ეკუთვნის იგი მუსიკა. სხვათა ეხლანდელ ცოცხალ ენათა შორის, ქართული ენა წარმოადგენს განსაკუთრებით მაგალითს განკერძოებისასა, რომელთა გამო, სწორედ სინამდვილედ გაგება და ნამეტნავად შეთხზვა ნამდვილ ქართულ კილოზედ დამყარებულ თვალსაჩინ სამუსიკალურ რაიმესი, შეუძლიან მხოლოდ ანუ ნამდვილ, ბუნებრივ ქართველს, ანუ ქართველთა შორის სიყრმითვე აღზრდილს, რომელსაც შეუთვისებია, ზედმინენით შეუგნია მათი ავკარგიანობა, მათი ცხოვრება.

ბ) მეცნიერ და ფილოსოფოს ჯონ რასკინის აზრით, საერო ხელოვნება (მათ შორის მუსიკაც) ყოველთვის არის მაჩვენებელი მისი ზნეობითი სიმაღლისა და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა ვერიდოთ არა სინათლეს, რომელიც უნდა მოეფინოს ჩვენ საერო მუსიკასა, არამედ მის ჭეშმარიტ კილოთა გარყვნასა, დამახინჯებასა.

ჩვენ საზოგადოებაში გაღვიძებული სურვილი და მისწრაფება საერო მუსიკისადმი, აგრეთვე გამოცემა საერო სასიმღერო კრებულთა – ერთადერთი თავდება მისი, რომ ჩვენი მამა-პაპური სიმღერა-გალობათა კილონი წესიერად აღდგენილ იქნებიან. ამ საგანთან მისაღწევი ნამდვილი გზა ნაპოვნია, რადგანაც სამშობლო ხმების შესწავლას შეეუდეთ ჩვენ თვით ხალხისგანვე გარდმოცემით, სიმღერით თუ სიტყვით – პირდაპირ ცხოველ წყაროდგან, და ვიდრე ამგვარად არ შევისწავლით ჩვენ სამშობლო საერო ხმებს, მათ კილოს, უკუ უნდა ვაგდოთ ცდა და სურვილი იმგვარი ქართულ ხმების შეთხზვა და გამოცემა, როგორე-

ბიც დღეს, დროგამოშვებით, გამოდის ჩვენში. უწინარეს ყოველგვარ საქმის შედგომისა უნდა შევისწავლოთ იგი, ვინაიდან სახლი შენდების საძირკვლიდან და არა ერდოდან. [...]

*რაფიელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი,
პეტერბურგი*

319. ცნობის ფურცელი, 1900, 16 მაისი, №1126, გვ. 1

ახალი ამბავი

ტფილისის საგალობელ კაბინეტის ერთი წევრისაგან მოგვივიდა დასაბეჭდათ შემდეგი წერილი: „გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-1053 ნომერში წავიკითხეთ სასიამოვნო ამბავი, რომ ქ. ოზურგეთში დაუარსებიათ კაბინეთი გალობა-სიმღერის შესასწავლად და მასწავლებლად მოუწვევიათ ათონში გაზრდილი და ტფილისის კაბინეტის დამაარსებელი თ. მელქისედექ ნაკაშიძე. ამ ამბავში ერთი შეცდომაა, რომელიც საჭიროდ მიგვაჩნია გავასწოროთ. 1886 თუ 1887 წ. კაბინეტი ტფილისში დააარსა მაქსიმე როსტომის ძე შარაძემ; მან შეიძინა ყოველგვარი სასულიერო წიგნები და გაჩაღდა საღამოობით კითხვა. საღმრთო წიგნების აღსახსნელად და განსამარტავად მთავრობამ დანიშნა მამა დეკანოზი პეტრე კონჩუაშვილი. კაბინეტში მოსიარულეთ აღედრათ სურვილი გალობის სწავლისა და მიიწვიეს იმერელი მგალობელი ვინმე სირბილაძე. რამდენიმე წლის შემდეგ კაბინეტის დაარსებისა თ. მელქისედექ ნაკაშიძე გაეცნო კაბინეტს და გამოაცხადა სურვილი გალობის მასწავლებლობისა. კაბინეტმა, მაქსიმე შარაძის თაოსნობით, მიიწვია თ. ნაკაშიძე, რომელმაც შეასწავლა 8 ხმა და რამდენიმე ძლისპირები. 1890 წ. მოვიდა ცნობილი არტისტი მომღერალი ფ. ქორიძე, რომელმაც სურვილისამებრ კაბინეტისა შეასწავლა ნოტები და მათი საშუალებით გალობაც. მას მოჰყვა სიმღერების სწავლა ბ. ქორიძის ხელმძღვანელობით, ისე რომ, კონცერტიც გააჩაღეს ბ. ქორიძის დასაჯილდოვებლად. კაბინეტის მგალობელთა გუნდმა შეიყვარა ნოტებით გალობა, მიანება თავი ზეპირ გალობას და იმდროიდან აქამდე გალობს ყოველ კვირა-უქმე დღეებში სხვადასხვა ტფილისის ეკლესიებში. მკითხველი, ზემო ნათქვამიდან, ცხადად დაინახავს ვინ არის დამაარსებელი ტფილისში გალობის კაბინეტისა. გარდა კაბინეტისა ბ. შარაძემ და მისმა ამხანაგებმა თავის ხარჯით დაბეჭდეს და გამოსცეს ქართული წირვის გალობა, სახელმძღვანელო ნოტების შესასწავლად, შედგენილი ფ. ქორიძის მიერ. საგალობლები მიცვალებულის დამარხვისა, სხვადასხვა წიგნები წმ. მამათა ცხოვრებისა“.

320. მწყემსი, 1900, 30 ივნისი, №12, გვ. 5

ქიზიყის სამღვდლოების ცხოვრებიდან

დღეს ყველა შეგნებულთათვის ცხადია, რომ ცოდნით დახელოვნებული საეკლესიო გალობა და ტკბილხმოვანი და საამებელი ადამიანის სულისა და გულის სასოებით ამმალღებელი და გამასპეტაკებელი ღვთიური ძალაა, რომელიც, ამასთანავე, ერის გულსა და გონებაში

მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრების ერთი დედაბოძთაგანიც არის, მეტადრე სარწმუნოებაზედ გულაცრუებულ ჩვენის დროის ხალხისათვის.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, დღეს ქიზიყშიაც, სამწუხაროდ, ძალიან კოჭლობს საეკლესიო გალობის საქმე, რის გამოც, სიღნაღის მაზრის სამღვდელოების პირველი ოლქის ბლალორინმა მღვ. კირილე ღვთისაგარიშვილმა, 21 აპრილს მოახდინა სამღვდელოების კრება, განუმარტა გალობის დიდი მნიშვნელობა და ბოლოს სთხოვა: „შევიწეროთ ყოველწლივ თითოეულმა კრებულმა ხუთი მანათი და გამოვძებნოთ კიდეც სხვა წყარო გალობის მასწავლებლისათვისო. შეიძლება მეორე, მესამე და მეოთხე საბლალორინოს კრებულნიც შემოგვიერთდნენ ამ საქმეში და მაშინ უფრო გალობის საუკეთესო მასწავლებელ-სპეციალისტს მოვიწვევთ და უფრო ფართოდ გაიდგამს ფესვებს ეს საკეთილო საქმეო“. კრებამ ერთხმად მიიღო ბლალორინ კირილე ღვთისაგარიშვილის წინადადება.

გალობის მასწავლებელი ხირსის მონასტერში იქნება, სადაც მის ყოვლადუსამღვდელოესობის, ეპისკოპოს ლეონიდისაგან დაარსებული სამრევლო სკოლაა დღეს. ქიზიყის დიაკვნები და მონასტრის მორჩილნი პრაქტიკულად შეისწავლიან გალობას მონასტერში ყოველდღე წირვა-ლოცვაზედ, ხოლო თეორიულადაც შეისწავლიან გალობის საქმეს სკოლის უფროსი მონაფენი.

ხალხში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრებისა და მისის გონებრივ განვითარებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი გავლენა აქვს, აგრეთვე, ცოცხალ, ზნეობრივ სიტყვასაც, და აი, ამიტომაც ბლალორინი კირილე ღვთისაგარიშვილი ყოველთვის ურჩევს მღვდლებს: ჩააგონეთ ხოლმე მრევლს სწავლის ძუძუთი აღზრდილი ცოდნა გონების თვალის ასახილებლადო. მამა კირილე არაიშვიათად უქადაგებს მრევლს ეკლესიაში და ხშირად ეკლესიის გარედაც ჭირშიაცა და ლხინშიაც უსაუბრება ხალხს საკეთილო, მამაშვილური სიტყვით. წარსულს წელს თფილისში საეპარქიო კრების დროს ბლალორინმა ღვთისაგარიშვილმავე აღძრა კითხვა: ვთხოვოთ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ფლაბიანეს, რათა მან ნება მოგვცეს მსჯელობა ვიქონიოთ კრებებზედ შემდეგ კითხვების შესახებაცო: 1) შეიცვალოს დღევანდელი წესრიგი კოდის პურის ალებისა, რომელიც დიდის უთანხმოებას ბადავს მღვდელსა და მრევლს შორის სარწმუნოების დასამცირებლადო, 2) ყოველ ეკლესიას მიეზომოს ხაზინისაგან სახნავ-სათიბი მიწებიო და 3) ყველგან აშენდეს საეკლესიო სახლები კრებულისათვისო. ეს წინადადებანი მიღებულ იქმნა და დღეს მის შესახებ კომისიაცაა აღმორჩეული საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით.

კეთილსა და გონივრულს სიტყვას ბევრი რისამე გაკეთება შეუძლიან ხალხში და ბლალორინ ღვთისაგარიშვილმა მაჩხაანის დეპოს დამაარსებელს, ბ-ნს დ. ნადირაძეს დიდი დახმარება გაუწია: მისი რჩევით და დარიგებით ბევრი მღვდელი და ერის კაცი ჩაენერა დეპოს წევრად და ბევრი მუშტარიც შეემატა დეპოს. წრფელის გულითა და სულით ვუსურვებთ ბლალორინს მამა კ. ღვთისაგარიშვილს ყოველ ამ საკეთილო საქმეში გამარჯვებას და მსგავსსავე საქმეებში სხვებისაგანაც წაბაძვას და თავდადებას, ვითარცა თვით მაცხოვარი გვიბრძანებს მოციქულ იოანეს პირით: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვისო“.

ქართული საეკლესიო გალობა¹⁾

დიდ ხანს არ გაუვლია მას აქეთ, რაც ჩვენ საზოგადოებაში აღიძრა ლაპარაკი ქართულ საერო-საეკლესიო გალობის შესახებ და ჩვენი ყოფა-ცხოვრების მეთვალყურეთ გაზეთებიდან უკვე მოეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ეს საგანი. წინეთაც, თუმცა ამ ფრიად საერო და საყურადღებო საგანზე ბევრჯელ ყოფილა ჩვენ ქართულ ლიტერატურაში ლაპარაკი არა ნაკლებ საბუთიანი წერილებით, მაგრამ მათ თავისებური ელფერი და ხასიათი ეტყობოდათ. დღეს ამ საგნის შესახებ სიტყვა საქმეთ გადაქცეულა და ერსა და ბერს, დიდსა და პატარას ხელიხელ მიუციათ, რათა დათესილი მოიმკოს და დაუთესავი დაითესოს.

ქართულმა საეკლესიო გალობამ იმდენათ წაინია წინ, რომ, არამც თუ ხოროები დაარსდა, არამედ თვით ნოტის ლიტერატურაც კი მოიპოვება მსურველთათვის. საკმარისია დავასახელოთ იმისთანა პირნი, რომელთაც შრომა გასწიეს ამ ასპარეზზე, ესენი არიან ბბ. იპპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი (კლენოვსკის ოთხი ხმით შეხამებული ქართული საეკლესიო გალობა მალე გამოვა ქ. მოსკოვში), ქორიძე, ბენაშვილი და სხვა. აი, ეს ამოდენა ნაწარმოები მცოდნე პირთაგან საკმარის მასალას აძლევს საეკლესიო მომღერალთა მეთაურთ.

საუბედურთ, არასასიამოვნო მოვლენას ჰხედავს დღეს ამ საგნის შესახებ ყველა ის, ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენი გალობის ბედ-იღბალს. ეს გახლავთ ქართულ გუნდის მეთაურთა დაზარმაცება და დაუდევრობა. მაშ, რითი აიხსნება ქართულ ხოროების გამგეთა შეხედულობა, რომ რასაც კი კარბელაშვილის სახელი არ დარქმევია, ან კარბელაშვილებს არ დაუსვამთ ბეჭედი, იმას იქით ქართველ ერთაგან არაფერი თქმულაო. ამიტომაც ვხედავთ რომ დღეს, ეგრეთ ნოდებულმა კარბელანთ კილომ, შეაგუბა თითქმის მთელი არემარე და საითაც კი გაიხედავთ, ნებით თუ უნებლიეთ, ეს კილო გაისმის²⁾. ჩვენმა შეგნებულმა და დანინაურებულმა სამღვდლო პირებმაც ამას ხელი შეუწყეს და სასწავლებლებშიაც კი შემოიღეს ეს გალობა სავალდებულოთ. იქნება ოდესმე აკმაყოფილებდა ჩვენ წინაპართა სმენას ამისთანა გალობა, მაგრამ ახლა სხვა კაცია ქართველი სმენით და სხვა დროც დადგა: ხალხი განვითარდა ყოველი მხრით, გონებრივით, ზნეობრივით და სხვ. რასაც სმენის განვითარება მოსდევს; რასაც ალტაცებაში მოჰყავდა ჩვენი წინაპარი, ახლა იქნებ ეს საოცრათაც ერვენოს ჩვენ თაობას. რასაკვირველია, წინაპართა მიმღევარს კეთილი აზრი ახელმძღვანელებდა და იქნება განვითარებას ამ შემთხვევაში სხვა თვალითაც შეხედონ, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტათ, სახელდობრ, ხალხი განვითარდა და, მაშასადამე, განვითარდა მისი სმენაც. აი, აქედან უნდა გამოვიდეს ყველა ის, ვისაც ჰსურს საქმეს სამსახური გაუწიოს და მის გაზრდას დაეხმაროს. ხოროები და ამათი ლოტბარნი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ხალხის გემოვნების და სმენის განვითარებას.

სიმართლეს მოკლებული არ არის ის, რომ ოდესმე ქართული გალობა, დროთა ვითარების გამო, თითქმის მოსპობილა. ამის შესახებ Археограф писмо — ში (т. II) აი, რა ცნობასა ვპოვებთ ანტონ ქათალიკოზის ნაწერებში: იმერეთში ძველი ქართული გალობა აღმოიფხვრა და ამიტომ იმერეთიდან გამოვიწერეთ მგალობელნი ძმანი ანთაძეები და სხ. და მათ ჯამაგირი სახელმწიფო შემოსავლიდან ეძლეოდათ თვით მამის ჩემის ერეკლე მეფის დროსაცო.

კარბელაშვილებს კი ჰგონიათ რომ, მათ მიერ მონათლული კარბელაური კილო თავიდან ბოლომდე მხოლოთ მათ გვარს დაუცავს და უგალობნია!!! მაშ, ამის შემდეგ, ჩვენ არ ვუწყით რითი აიხსნება ეს მოვლენა, რომ აგერ, რამდენიმე წელიწადია ბატ. ქორიძესაგან დაიწერა იმიერი წირვა ლოცვის კილოები და ჯერ ეკლესიაში მოსიარულეთ არაფერი არ გაგვიგონია ამ კრებულიდან. აქ რაღაც არასასიამოვნო მოვლენა და აზრია გავრცელებული ჩვენი მუსიკის წარმომადგენელთა შორის. მე თითონ გავიგონე: ჩვენმა მემუსიკეებმა იგალობეს რამდენიმე

კილო ქორიძის მიერ დაწერილ კრებულიდან და „არ გამოდის“. ეს „არ გამოდის“ ძალიან ადვილათ ასახსნელია ჩვენი აზრით. გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ ქართული უცბათ ვერ შეეხამოს იმიერ კილოებსა და მის სმენას. რომ ბ. ქორიძისაგან დანამდვილებით არიან დაწერილნი ყველა ეს საგალობელი, ამის თავდები იმის ცოდნა და გამოცდილება არის; ამავე აზრისანი არიან ბ. ბარბინი – დირიჟორი ოპერისა, კლენოვსკი და კორემჩენკო, – «Съ музыкальной точки зрѣнія мотыви эти воспроизведены верно» – ამბობენ ისინი. ამასთანავე ვებდავთ ვიქონიოთ ჩვენი აზრიც ამ საგნის შესახებ, რომ კლენოვსკი, კორემჩენკო და ბარბინის შეხედულება გალობაზე უფრო უტყუარია ვიდრე რატილის და კიდევ სხვა ვილაციებისა. ეჭვს გარეშეა, რომ ქორიძის საგალობელი მუსიკის გრამატიკული წესებით არის განვითარებული და დანამდვილებით არიან დაწერილნი, ვიდრე კარბელოვისა. ესეც ეჭვს გარეშეა, რომ ყვირილი „მე“-ს შესახებ არ ცოდნია ბ. ქორიძეს, თორემ ამისთანა ბედი არ ეწვეოდა მის ნაწარმოებს...

ესევე უნდა ვუსაყვედუროთ ბ. მონადირაშვილს, რომლის მოღვაწეობაც განსაკუთრებულ პირობებში დგას და მაშასადამე, მას უფრო ადვილათ შეეძლო თავისი მოვალეობის ასრულება და ხალხის სიამოვნებაც. ჩვენ აღარ გამოვუდგებით თავად-აზნაურთა მონაფეთა გუნდის მოქმედებას, ამაზე ზრუნვა თვითმმართველობის ვალია; სხვადასხვა კილოების შესწავლა სავალდებულოთაც კი უნდა გაუხადოს მონაფეთა გუნდის მმართველს.

ვინ არ უწყის, რომ ზნეობრივი ზრდა ხალხისა თუ კერძო პირისა, ერთ და იმავე კალაპოტით ადუნებს და აერთფერებს სულიერ ცხოვრებას, ერთ გეგმით ცხოვრება აგვარებს ხალხს და უხშობს საუკეთესო სულიერ მისწრაფებათ...

ი. კარგარეთელი

1) ეს წერილი „ივერიამ“ არ დაბეჭდა. ავტ.

2) მოვკარ ყური, ვითომც ერთმა ან განსვენებულმა მონასტრის წინამძღვარმა ალუკრძალა მოძმეთ თავისებური გალობა, მის მიერ რწმუნებულ მონასტერში და ჰსურდა უთუოთ და უთუოთ კარბელანთ კილო ეგალობნათ. აი, სწორეთ ეს არის კეთილი სამსახური ქართული მუსიკისა!!! ამისთანა ხელოვნური გავრცელება ერთისა, ხომ სპობს მეორეს, რაც დროისა და ჟამს შეუქმნია.

322. ივერია, 1900, 8 სექტემბერი, №196, გვ. 1-3

ფელეტონი

ჩვენი საეკლესიო გალობა

რადგანაც ბ-ნ ბენაშვილის მიერ ქართულ საგალობლების ოთხ ხმაზედ გადაღებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში მის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ, ვგონებ დროა საქმის მცოდნეთ თავისი აზრი გამოსთქვან გადაღება-შეკეთებისა და, საზოგადოდ, ჩვენის გალობის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

ბ-ნმა ბენაშვილმა განამშვენებინა ჩვენი გალობა ოთხ ხმაზედ განყოფილ-ხმოვანა ევროპიულ ჰარმონიის შემოტანით, მაგრამ დახეთ უკუღმართობას! – ამ მოვლენამ სიძველის მომხრეთა შორის, როგორც ყოველთვის მოსალოდნელი იყო, ერთი ალიაქოთი ასტეხა: „– არიქა, გვიშველეთ, გალობას გვისპობენო!“ თუ რამდენად საბუთიანია ამათი ყვირილ-ალიაქოთი, ამას შემდეგიდან დავინახავთ.

მუსიკალური განვითარების უმაღლეს საფეხურად უნდა ჩაითვალოს სიმღერა-საგალობელთა ოთხ ხმაზედ თქმა, თუმცა კი, ძირითადი ხმები მუსიკაში სულ სამია და მეოთხე უფრო ხშირად არის ხოლმე განმეორება რომელსამე სამთაგანისა. მაშასადამე, სამ და ოთხ ხმაზე ასრულება სიმღერებისა პირდაპირი შედეგია მუსიკალურ განვითარებისა.

რამდენხმოვანი გალობა გვაქვს ჩვენ დღეს? ნუ გაგიკვირდებათ თუ მოგახსენებთ, რომ ჩვენ დღეს გვაქვს სამხმოვანი კი არა, ორხმოვანი გალობა, თუკი შეიძლება მეორე ხმა ხმად ჩაითვალოს; ე. ი. უფრო მეტის თქმას ვბედავთ. ჩვენ გვაქვს ერთხმიანი, უნისონური გალობა, ჯერ არც სამხმოვანი და არც კმასაყოფელად რიგიანი ორხმოვანი.

მეორე ხმა პირველს მისდევს ხშირად „ტერციით“, თუმცა „სეკუნდითაც“ მიყოლა არა-იშვიათია. მაგრამ სად, რომელ ალაგს „სეკუნდა“ უნდა და რომელს „ტერცია“, ეს თითქმის დაკანონებული არ არის და ვისაც როგორ მოესურვება, ისე ანავარდებს მეორე ხმის დომინანტას საზღვრებში. მესამე ხმის, ანუ ბანის შესახებ თამამად ვბედავთ თქმას, რომ ჩვენს ძველ გალობაში ეს ხმა, როგორც დამოუკიდებელი პარტია, სრულიად არ არსებობს. ის არის პირდაპირი განმეორება მელოდიისა კვინტასა ან აკტავაზე. ამას ხომ ყველა გალობის მცოდნე დაგვეთანხმება, რომ ხმა, რომელიც მელოდიის განმეორებაა აკტავასა ან კვინტაზე, ცალკე ხმად, პარტიად არ ჩაითვლება. ეს იქნება ე. წ. გაორკეცებული ჰარმონია, თუ აქტავით ითქმის მელოდია, და თუ პარალელურის კვინტით, მაშინ დიდი მუსიკალური სისულელე, თუ შეიძლება ასე ითქვას! მესამე ხმის წარმოშობა შეიძლება ასე ავხსნათ: მესამე ხმის შემქმნელი მოკლებული ყოფილა მუსიკალურ განვითარებას, რომ შეექმნა დამოუკიდებელი პარტია და იმასაც არ უციებია, არც უცხელებია, აუღია პირველი ხმის მელოდია და კვინტა-აკტავაზე მიუკერებია პირველი ხმისთვის.

აუცილებელი ხდება ევროპიულ ჰარმონიზაციის შემოტანა ჩვენს გალობაში, მაგრამ ამ შემოტანას დიდი სიფრთხილე უნდა.

აი, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს კომპოზიტორული ნიჭი ევროპიულ ჰარმონიზაციის შემოტანისა, ე. ი. შემოიტანოს ისე, როგორც შეეფერება ქართულ გალობის ვითარებას და გემოვნებას, მის სულს. აუცილებლად საჭირო ხდება, ამ შემოტანით ჩვენი გალობა რომ სრულიად არ გადაგვარდეს, ზოგიერთი მისი ორიგინალური თვისება ხელუხლებლად დარჩეს. მაგ: უნისონური დაბოლოვება საგალობელთა, თუმცა დომინანტური დაბოლოვებაც სჩვევია ჩვენ გალობას; კვინტიური გადასვლა საგალობელთა ნაწილთა ბოლოებში, სადაც კი საჭიროა, და ზოგიერთ შემთხვევაში „სეკუნდაზედ“ თქმა მეორისა პირველთან. დანარჩენი თვისებანი ჩვენის გალობისა ნოტებზედ აღბეჭდილი უნდა დარჩნენ ისტორიის მასალად და ხმარებიდგან სრულიად განიდევნოს, როგორც უვარგისი, მუსიკალურ კანონების წინააღმდეგი და ჩვენის გალობის სახელის გამტეხი.

ზემოდ ვთქვით, რომ ჩვენს გალობაში მესამე ხმა, როგორც დამოუკიდებელი პარტია არ არსებობსო. რასაკვირველია, თუ მესამე ხმა არ გვექონია, მეოთხე ხმა საიდანღა გაჩნდებოდა. მესამე ხმა კი, მართლაც რომ არ არსებობს ჩვენ გალობაში, ამას ყველა გალობის მცოდნე დაგვეთანხმება, ვინც კი ჩაუკვირდება საქმეს. მაშასადამე, საჭირო ხდება მესამე ხმის აღდგენა და მეოთხე ხმის შექმნა ქართულის გალობის ვითარების მიხედვით. ზოგიერთს რომ დაუჯეროთ, ყოვლად შეუძლებელია და ამასთან შეუნყნარებელიც ქართული გალობა ოთხ ხმაზედ დაინეროს.

ამკარაა, ჩვენ საერო გალობა-სიმღერას ისინი ერთ ნერტილზედ შეჩერებას უქადიან, რაც სამწუხაროა. ეს მოვლენა მარტო სასურველად კი არა, ერთნაირ ბედნიერებადაც მი-აჩნიათ, ე. ი. განუვითარებლობა, ერთ ნერტილზე შეჩერება.

(გაგრძელება №197-ში.)

ს-გო [სერგო გორგაძე]

ფელეტონი ჩვენი საეკლესიო გალობა

(გაგრძელება)

ბ-ნ ბენაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა დაიწყო ჩვენის საეკლესიო გალობის შეკეთება და ოთხ ხმაზედ განყოფა, რომელიც სწორედ ისე შეუკეთებია ბ-ნ ბენაშვილს, როგორც შეეფერება ჩვენს გალობას. ამასთან, ძირითადი კილოები, მელოდიები ხელუხლებლად დაცულია შეკეთებულს გალობაში და ზოგიერთი ორიგინალური თვისებანი, რომლებიც, მაინც და მაინც, არ არის მუსიკის კანონების წინააღმდეგი. შენახულია, მაგალითებ: უნისონური გათავება საგალობელთა, პარალელური კვინტა საგალობელთა თითო მუხლის გათავებისას, სადაც კი საჭიროა და სხვ.

ზოგიერთ საგალობლის ალაგას იმისთანა აკორდები შეუქმნია იმის კომპოზიტორულს ნიჭს, რომ ეს აკორდები მარგალითებად უნდა ჩაითვალოს ჩვენს გალობაში. მაგალითებ, ამნაირი აკორდებია „რომელი ქერუბიმთაში“, „წმიდაო-წმიდაოში“, „მამაო ჩვენოში“, ნამეტნავად „დიდება მალალთაში“ და სხვ.

ამას წინეთ შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა „შენ ხარ ვენახი“-ს გალობა, შეკეთებული ბ-ნ ყარაშვილის მიერ. სიმართლე უნდა ვთქვათ, ერთობ მშვენიერი ჰარმონიზაცია აქვს გაკეთებული ამ საგალობელს, მაგრამ ეს საგალობელი ნაკლებადლა ჰგავს ქართულს, სიტყვებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში.

ამ საგალობლების ასრულების დროს ძნელად მიხვდებით, თუ „შენ ხარ ვენახს“ ჰგალობენ. ეს მაგალითი მჭევრმეტყველად ჰმონმობს, ჯერ ერთი, იმას, რომ სრულის ევროპიულ ჰარმონიზაციის შემოტანით ჩვენს გალობას გადაგვარება მოეღის და მეორე, რომ შემკეთებელმა უთუოდ კარგად უნდა იცოდეს ჩვენი გალობა, იმით უნდა იყოს გაჟღენთილი და ევროპიული ჰარმონიზაცია შემოიტანოს ისე, როგორც შეეფერება ამ გალობას.

მოვისმინეთ კიდევ „ჯვარსა შენსა“ ბ-ნ ყარაშვილის მიერვე შეკეთებული. ამ საგალობელს კი ისე მშვენივრად აქვს შეფერებული ევროპიული ჰარმონიზაცია, რომ ბ-ნ ბენაშვილის მიერ შეკეთებულად მივიღეთ, ვიდრე არ დაგვარწმუნეს, ვისგანაც იყო შეკეთებული. სჩანს, ბ-ნი ყარაშვილი „შეფერების“ მომხრე ყოფილა.

დღეს, როგორც შეკეთების მოწინააღმდეგენი არსებობენ, ისეც სრულ ევროპიულ ჰარმონიზაციის შემოტანის მომხრენიც გაჩნდნენ. ჩვენის აზრით, ორივე უკიდურესობაა. შეუკეთებლობა იმითაა უკიდურესობა, რომ დღევანდელი ჩვენი გალობა იმ სახით, როგორც აქამდე არსებობდა, ჩვენის დროის კაცს ველარ აკმაყოფილებს თავისის დისონანსურ ხმათა შეწყობით.

მთლად გადაკეთებაც იმითაა უკიდურესობა, რომ მაშინ ჩვენს გალობას ქართულის სიტყვების მეტი აღარა შერჩება რა, ჩვენი აღარ დაერქმის, და თუ ეს ასე იქნება, მამ რალასთვის ვენვალებით ამდენს, ბარემ პირდაპირ ამოვიღოთ ოპერებიდან, ან სხვა ერთა საეკლესიო საგალობლებითგან საუკეთესო ალაგები, მოუნეროთ მხოლოდ ქართული სიტყვები, მორჩა და გათავდა! მაგრამ ამას ხომ, ვგონებთ, ჭკუაზედ ხელაღებულიც არ იზამს! ჩვენი გალობა რაც უნდა შეკეთდეს, ყოველთვის მაინც ისე უნდა იქმნას დაცული, რომ შიგ ჩვენი ვინაობა, ჩვენი პსიხოლოგია, ჩვენი ერის სულის ვითარება ყოველთვის იხატებოდეს.

ვგონებთ, უკვე ყველა მკითხველებმა იციან, რომ შემდგარია საგანგებო კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს ქართულის გალობის აღორძინება-გავრცელებისათვის და საჭირო თანხაცა

აქვს გამოძებნილი მუდმივ ხოროს შესანახად. ეს ხორო შესდგა, მაგრამ რა გამოვიდა – ყველა-სათვის აშკარა ხდება, რომ ძველებურად გალობის დატოვება, როგორც ეს ხორო ჰგალობს, ყოვლად აუტანელია დღევანდელის კაცისთვის. პარალელური ჩვენ მიერ ყბადაღებული კვინტა უნდა უეჭველად განდევნილ იქმნას, მეორე ხმის „ლიბერალობა“ ალიკვეთოს და ბანს დამოუკიდებლობა მიენიჭოს, თორემ ისევ ძველებურად ხრიალ-გრიალი, ღიღინ-კაკანი ხალხს დააფრთხობს.

ჩვენის აზრით, პირველი საზრუნავი კომიტეტისა ხორო კი არა, ის უნდა იყოს, რომ ვინც რამე იცის ზეპირად, ნოტებზე გადაღებულ იქმნას.

წინადა, როცა ნოტები არ არსებობდა, მონასტრებში რამდენსამე კაცს ზეპირად ასწავლიდნენ გალობას. ვინც ბუნებისაგან ყურთა სმენით და მუსიკალურ მხსიერებით უხვად იყო დაჯილდოვებული, ის თუ შეისწავლიდა პატარა რიგიანად. თორემ დანარჩენთათვის, ამნაირი ნასწავლი, ქარის შემოტანილსა ჰგავდა. 100 კაცში ორ-სამს რომ შეესწავლა საფუძვლიანად, ესეც დიდი ამბავი იყო. ამიტომაც ძველ მაგალობელთა რიცხვი ისე ცოტაა, რომ ხუთ-ექვს კაცს არ აღემატება მთელ გურია-სამეგრელოში-იმერეთ-ქართლ-კახეთში. თუ არ დაშურდა ამ ძველის გალობის მცოდნეთა დახმარებით ნოტებზედ დაწერა, აუცილებელია, რომ იმათი სიკვდილის შემდეგ, იმის გარდა, რაც დაბეჭდილი გვაქვს, დანარჩენი ჩვენის გალობისა სულ დაიკარგება.

დაბეჭდილი კი, შედარებით დაუბეჭდველთან, ძალიან ცოტა გვაქვს. განუსაზღვრელად მადლობელი უნდა ვიყვნეთ ბ-ნ ფ. ქორიძისა იმერულ საგალობლების ნოტებზედ დაწერისათვის, მ. ვ. კარბელაშვილისა მის შრომისათვის, აგრეთვე, იმ პატივცემულ კაცთა, ვინც იპოლიტოვ-ივანოვს წირვის წესი დააწერინა. იმედია, შთამომავლობა ამ მოღვაწეთა შრომას ღირსეულად დააფასებს.

ს-გო [სერგო გორგაძე]

324. კვალი, 1900, 10 სექტემბერი, №37, გვ. 591-592

ქართული გალობის ახალი გუნდი

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, წარსულ შემოდგომაზე, თფილისის სამღვდელოებაში ჩვენი ქართველი ეპისკოპოზების თავმჯდომარეობით, დაადგინა, რომ ქართული სამხმიანი გალობა აღადგინონ და უწინდებულათვე გაავრცელონ საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, გადამწყვიტეს იყოლიონ ჯამაგირით ქართველ მაგალობელთა გუნდი (იგივე მოძრავი სკოლა), რომლის ლოტბარათაც იქმნა დამტკიცებული ბ. კავსაძე. გუნდის შენახვას, რასაკვირველია, ფული მოუნდებოდა და ამისთვის, მათ საჭირო ფული იკისრეს, ზოგი თვით მათ მეუფებათ და ზოგიც გაიწერა თფილისის ეკლესიებზე და სამღვდელოებაზე, რამაც რიგიანი ჯამი შეაყენა. ყველა ეს ძალიან კარგი და კეთილი, მაგრამ უფრო კიდევ დიდ სამსახურს გაუნწევნ იმ საქმეს მაშინ, როდესაც ეს ფული უნაყოფოთ არ გაიფლანგება და ქართული გალობა მართლაც ფესვს გაიდგამს. თუმცა დღეს არ არის უნაყოფოთ გაფლანგული და თვალთ ვხედავთ იმ ნაყოფის ნიმუშს, რომელსაც ვეძებთ და რომლის აღდგენასაც ვცდილობთ. მაგრამ სიფრთხილე გვმართებს ახლავე. ბ. კავსაძე, დამტკიცების დღიდანვე შეუდგა გუნდის შედგენას და შეადგინა კიდევ თხუთმეტი კაცისაგან, რომელთაც მალე თვისი მოქმედება დაიწყეს თფილისის ეკლესიებში. ეს გუნდი ძალიან კარგია და ჯერჯერობით არ არის უბრალოთ გაფლან-

გული ფული და თვალთ ვხედავთ დიდ ნაყოფს, მხოლოდ სადღეისოს და არა სახვალის! აი, როგორ: – სამღვდელოებამ ეს გუნდი დაადგინა იმ მიზნით, რომ მის მხრით გაერცვლდეს საქართველოში გალობა და უწინდებულათვე აღადგინონ სამხმიანი გალობა, ესე იგი იყოს „მოდრავ სკოლათ“, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, ამ გუნდს მგონი, რომ სკოლობისა არა ეტყობა რა, რადგანაც იქ, იმ მიზნით არავინ არის, რომ გალობა გაავრცელოს და საზოგადოებისთვის იზრუნოს რამე. ამ მხრივ, სამღვდელოება ეჭვის თვალთ უცქერის ამ გუნდს და შიშობს, რომ ბ. ლოტბარმა ამ სენს მხარი აუქციოს, პირველათ, უნდა ეცადოს, გუნდში იყოლიოს პატარა ბავშვებიც და არა სულ დიდები, უფრო მისთვის, რომ ბავშვის ხმას სულ სხვა გარმონია აქვს გალობაში. მეორეთ ის, რომ განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა, მიიღოს გუნდში ყველა გალობის მსურველ-მოყვარული, რომელნიც კი იკისრებენ უფასოთ სიარულს სწავლის გულისთვის, გარდა მუდმივ მაგალობელთა. ბავშვები შეიძლება რომ მოიკრიფოს ამორჩევით, თვით სამრევლო სკოლებში, რომლებიც ადვილათაც ისწავლიან, მშობლებიც მადლობელი გახდებიან და ფასითაც ცოტათი დაკმაყოფილდებიან და ან სულაც არაფერს ითხოვენ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ძნელია, რომ ასეთმა გუნდმა გალობა გაავრცელოს და ეს ამოდენა ფული მუქათ არ შთანთქას. იმედია არ იწყენენ ამ მცირე შენიშვნას, რადგან ყოველი კაცი მოვალეა, ნამეტნავათ კი ჩვენ, სამღვდელოება, პირდაპირი ლაპარაკისა.

თფილისის სამღვდელოებათაგანი სერგი

325. ივერია, 1900, 17 სექტემბერი, №202, გვ. 2-3

* * *

ოზურგეთი. 10 ამ სექტემბერს, კვირას, ოზურგეთის საკრებულო ეკკლესიაში ჰგალობდა გასათხოვარ ქალთა გუნდი ეკკლესიის მედავითნის ბ-ნ ისააკ საბაშვილის ლოტბარობით. სულ ოცი დღე არაა, რაც ბ-ნ საბაშვილმა მეცადინეობა დაიწყო და აი, ამ ოცი დღის შემდეგ ეკკლესიაში ვხედავთ მაგაობელს ქალებს, რომლებმაც საუცხოოდ შეასრულეს პირველი და მეორე ხმები, ხოლო თვითონ ბ-ნ საბაშვილმა – ბანი. გასაკვირველი ის არის, რომ ამ მოკლე დროს განმავლობაში მოასწრეს თითქმის მთელი წირვის წესის დასწავლა. ამ დღეს ეკკლესიაში ისეთს ხალხს ნახავდით, რომლებსაც, როგორც ჩვენში იტყვიან: „ქუდი რომ შეუგდო ეკკლესიაში, გამოსატანად არ შევა“; აი, ამნაირი ხალხით იყო სულ სავსე ეკკლესია და მთელს ეკკლესიაში სამარისებული სიჩუმე სუფევდა, რომელიც იშვიათია გურიის ეკკლესიებში. აღნიშნული გალობა ქართლ-კახურ კილოზედ დაუსწავლებია ბ-ნ საბაშვილსა და მშვენიერი სულისა და გულის დამატკობელი სასმენელიც ყოფილა, ნამეტნავად ქალების ხმით. მცირედი ნაკლულევანებაც ემჩნეოდათ, ე. ი. ისე გაბედვით ვერა გალობდნენ, როგორც კახური გალობა მოითხოვს, მაგრამ ეს უნდა იმითი ავხსნათ, რომ პირველი მათი ეკკლესიაში გალობა და შეკრთნენ, რადგანაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

იმედია ბ-ნ საბაშვილი უფრო ენერგიით მოჰკიდებს ხელს ამ საქმესა და შემდეგში იმ ორ-სამ საგალობელს, რომელიც დღეს ბეჯითად არ იცოდნენ, კარგად შეასწავლის და შემდეგისათვისაც აგალობებს; ეს მეორე მაგალითი იქნება გურიის, რომელსაც, იმედია სხვებაც მიბაძვენ.

აგრეთვე სასურველია, რომ ბ-ნმა ისააკ საბაშვილმა გურული გალობაც შეასწავლოს მაგაობლებსა და მით ქართულ ეროვნულ კილოთა რიცხვი გაუმდიდროს გუნდსა.

დამსწრე

ცდა ბედის მონახევრა

ჩვენებური მღვდელი თუ მთავარდიაკონი საეკკლესიო ტიბიკონით მიდის იოლად, იმისდა მიუხედავად, მაღალი სასულიერო სწავლა აქვს მიღებული, თუ შინაურულად არის გამოზრდილი და სრულიად არ ენაღვლება და არც ეფიქრება, რომ ივერიის ეკკლესიასაც სჭირია და კიდევ ეკადრება სალოცავ წიგნების მკაფიო და შეგნებული კითხვა, ქადაგება, შეწყობილი გალობა და მრავალი სხვა რამ, რაც ღვთისმსახურებას გარეგნად ადიდ-მშვენიერებს და მლოცველს სასოებას აღუძრავს.

რითი ავხსნათ, თუ არ ამ ცუდის თვისებით, ის უკულმართი ბედი, რომელიც ქართულის გალობის საქმეს ენია? თითქოს კიდევ მიიწვიეს მუსიკის მცოდნენი და წირვის წესი და სხვა საჭირო საგალობლები ნოტებზედ დაანოტებინეს, მაგრამ ჯერ არსადა სჩანს ნაყოფი და ვაი, თუ ვერც ახლო ხანში ვიხილოთ. ქუთაისში, სადაც ლიხთიქითურის გალობის აღდგენას უფრო მეტის მხნეობით შეუდგნენ, შეწყობილი გალობა უფრო ნაკლებად და, შეიძლება ითქვას, სრულიად არ ისმის. აქ კი, ქალაქში, სადაც ლიხთაქეთური გალობის აღდგენის საქმე მგონია დაუსრულებელი დარჩა, უფრო მეტი ნიშანი სჩანს მისი, რომ გალობის სწავლება წინ წავიდეს. ქაშვეთისა და კალოუზნის ეკკლესიებს გარდა, სადაც ქართული გალობა ყოველ კვირა ისმის, პირველში ბ-ნ მონადირეშვილისა და მეორეში ბ-ნ ჩხიკვაძის ლოტბარობით, სიონის დედატაძრისთვისაც მიუწვევიათ ბ-ნი კარგარეთელი, რომელიც კიდევ შესდგომია ბავშვების განვრთნას, მაგრამ, როგორც სჩანს, ბავშვების სიცოტავე და სავინიცობო მდგომარეობა გალობას მეტად აფერხებს და შესაძლოა, წელიც მოსწყვიტოს, თუ დროით რამე არ ენამლა. საიდგან უნდა გაჩნდნენ მგალობლები, რომ გვარიანი გუნდი დაარსდეს და სიონის შესაფერად გალობაც გაჩაღდეს? ეს მოხერხებული გახდება, ჩვენის აზრით, თუ სიონის გალავანშივე სამრევლო სკოლა დაარსდა. მგალობლები მაშინ ველარაფერს მოიმიზეზებენ, გალობა სხვა საგანთა შორის სავალდებულო სასწავლად ექნებათ და გუნდის დღეგრძელობაც გახდება უფრო სარწმუნო და დამოუკიდებელი სხვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ნება-სურვილისაგან.

გალობის გაჩაღებასთანავე ჩვენს ეკკლესიებში ყოვლად საჭიროა, ვისაც ჰმართებთ, სასტიკ ყურადღებას მიაპყრობდნენ, რომ საეკკლესიო წიგნები ქართულის კილოთა, წყნარად, გონივრულად იკითხებოდეს და ქართულის კილოთივე იტყოდნენ ასამაღლებელს. დღეს თუ ქართულ წირვა-ლოცვას განათლებული ქართველი ნაკლებად ესწრება, მისი მიზეზი ქართულის ღვთისმსახურების ასეთი არასასურველი და სამწუხარო მდგომარეობაა.

პეტრე მირიანაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-202 №-ში დაბეჭდილი იყო: 10 ამ სექტემბერს, კვირას, ოზურგეთის საკრებულო ეკკლესიაში ჰგალობდა გასათხოვარ ქალთა გუნდი ეკკლესიის მედავითნის, ბ-ნ ისააკ საბაშვილის ლოტბარობით. სულ ოცი დღე არაა, რაც ბ-ნ საბაშვილმა მეცადინეობა

დაიწყო და აი, ამ ოცი დღის შემდეგ ეკკლესიაში ვხედავთ მგალობელს ქალებს, რომლებმაც საუცხოვოდ შეასრულეს პირველი და მეორე ხმები, ხოლო თვითონ ბ-ნმა საბაშვილმა – ბანი. გასაკვირი ის არის, რომ ამ მოკლე დროის განმავლობაში მოასწრეს თითქმის მთელი წირვის წესის დასწავლა. ამ დღეს ეკკლესიაში ისეთ ხალხს ნახავდით, რომლებსაც, როგორც ჩვენში იტყვიან: „ქუდი რომ შეუგდო ეკკლესიაში, გამოსატანად არ შევა“; აი, ამნაირი ხალხით იყო სავსე ეკკლესია და მთელს ეკკლესიაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რომელიც იშვიათია გურიის ეკკლესიებში. აღნიშნული გალობა ქართლ-კახურ კილოზე დაუსწავლებია ბ-ნ საბაშვილსა და მშვენიერი სულისა და გულის დამატკობელი სასმენელიც ყოფილა, ნამეტნავად ქალების ხმით.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, დამიბეჭდოთ: გალობა იყო იმერული და არა ქართლ-კახური, აგრეთვე, გალობას ხელმძღვანელობდა ბ-ნ საბაშვილი კი არა, არამედ სხვა ლოტბარი. იმერ-ამერთა გალობის ერთნაირად მოყვარულმა და იმერ-ამერთაგანვე დიდად პატივცემულმა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ოზურგეთში დააარსა კაბინეთი, საცა უსასყიდლოდ ასწავლიან საეკკლესიო გალობას იმ სახით, რა სახითაც წინად ყოფილა და არის დღესაც. მგალობელთა გუნდიც ამ კაბინეთში მოსიარულეთაგან შესდგებოდა იმათის მასწავლებლით. რა განზრახვით მიანერა სხვისი სხვას კორესპონდენტმა, ვერ გაგვიგია. ვისურვებდით, ვინც ყოვლად სამღვდელოს მსგავსად იცის ფასი ერის საუნჯეთა, არ მოაკლონ მხურვალე თანაგრძნობა ამისთანა სასარგებლო დანესებულებას.

კაბინეთის ერთი წევრთაგანი

1901

328. ივერია, 1901, 23 თებერვალი, №42, გვ. 2

ახალი ამბავი

ჩვენ გადმოგვცეს, რომ დედათა პირველი გიმნაზიის გალობის მასწავლებლის ბ-ნ იაიჩკოვის თაოსნობით ტფილისში არსდება „ძველ საეკკლესიო გალობის აღმდგენი საზოგადოება“. წევრობის სურვილი განუცხადებიათ საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს, სემინარიის რექტორს მამა სტეფანეს და სხვათა. წესდება უკვე შეუდგენიათ და სემინარიის რექტორს თან წაუღია პეტერბურგს უწმიდეს სინოდში წარსადგენად და დასამტკიცებლად. ბ-ნ იაიჩკოვის განუზრახავს შეადგინოს დიდი ხორო, შეასწავლოს ძველი რუსულ-ქართული საეკკლესიო საგალობლები და დიდმარხვის ბოლო კვირაში დედათა პირველ გიმნაზიის დიდს დარბაზში შინაური კონცერტი გამართოს. ხოროში მონაწილეობას მიიღებენ ექსარხოსის ხორო, ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ხორო და მრავალნი გალობის მოყვარულნი. ხორო უკვე შესდგომია მზადებას.

დავედრებული კილო

ძველად ღვთის ვედრება ყოველ სარწმუნოებას მარტივი ჰქონდა: მსხვერპლის შემწირველი კმაროდა ვედრების აღსავლენად. მაშინდელ მღვდელმოქმედებას, ასე ვთქვათ, თანამოქმედება და თანამსახურება აკლდა. მასთანვე იგი ხმა-საკრავშეუწყობელი იყო და მხოლოდ დროს განმავლობაში დაერთო მას, ერთის მაგიერ, მრავალთა მსახურება და ხმა-საკრავშეწყობილი წესი. სარწმუნოების განვითარების ისტორია ამას გვიმტკიცებს. დღესაც ვხედავთ, რომ ისრაელის სჯულსა და დასავლეთის ერთა ქრისტიანობრივ სარწმუნოებას ღვთის სავედრებელი წესი ხმა-საკრავშეწყობილი აქვს. აღმოსავლეთმა რად უარჰყო ასეთი წესი, სულ სხვა საგანია და ისლა გვეთქმის დღეს, რომ ჩვენის ერის დიდძალ უმეტესობას რჯულის ღვთისმსახურებას, აღმოსავლეთის ეკკლესიასთან ერთად, მარტო ოდენ ხმაშეწყობილი სავედრებელი წესი აქვს. რაკი ღვთისმსახურების გამომსახველად ესა თუ ის წესი დადგინდა, იმ დროსვე საჭიროებაც დაიბადა, რომ მუსიკიან ანუ მარტივ გალობასა და მღვდელმოქმედთა ხმოზა-ლაღადებას შორის შეთანხმება და ჰარმონია განუწყვეტლივ ყოფილიყო და შეუფერებლობა ვაგლახად არავის შეეტანა. ამას სცდილობდა ყოველის ერისა და რჯულის ეკკლესია და მათ შორის ჩვენიცა, თორემ ძველთაგან ნაშთი, ეტრატზედ ნაწერი ნოტებიანი ქართული საგალობელი, ამას კარგად გვიმონმებს.

მაშ, რა მიზეზია, რომ დღეს ქართული ღვთისმსახურება ამ ხმათა შეწყობისა და ჰარმონიის წესს არ დასდევს? მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესად კი დედაეკკლესიის ავკარგისა და თავგადასავლის უცოდინარობა და, რაც უფრო სამწუხაროა, არცოდნის სურვილი. სწორედ ამისი ბრალია, რომ ჩვენებური ღვთისმსახური, დღეს, ბოხის ხმით კითხულობს სამოციქულო სახარებასა და ამბობს ასამაღლებელს. ნამდვილად კი ქართველს ისე არაფერი უგრძობს გულსა და მიუღებს სასოებას, როგორც ბოხის ხმით წაკითხულის სახარება-სამოციქულოსი, ან თქმულის ასამაღლებლის მოსმენა. ვერა, ვერ გაიგეს, რომ ბოხის ხმით ღვთის ვედრება ქართველს ზნედ არა აქვს და კიდევ რომ მოინადინოს, ნუგეშინის ცემას იმისგან ვერ იგრძნობს, ვინაიდან მისს გვამს ღვთაებას არ აახლოვებს, რათა გული წმინდა დაუბადოს და სული წრფელი განუახლოს. თქმულა – კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო, მაგრამ სავედრებელის კაი თქმას ის დიდი ღირსება აქვს, რომ გამგონეს კარგსაცა და ავსაც სმენად გადააქცევს, სპეტაკისა და მაღალის გრძნობის ერთნაირად ზიარსაყოფელად.

რაკი ქრისტიანეთა სარწმუნოების საფუძველი სახარებაა, ცხადია ყოველი ეკკლესია უნდა ცდილიყო მის ხელოვან კითხვასა და ჩვენი ეკკლესიაც სწორედ ასე მოიქცა, შეიმუშავა რა თავისებური და თავისის ენისა და ბუნების შესაფერი კილო კითხვისა. ქართულის სახარების ქართულად, მამა-პაპათაგან დავედრებულის კილოთი წაკითხვა ურჯულოსაც კი მოაქცევს, ისეთი მადლიანია. მაგრამ დღეს სადღაა ეს მადლი? მარად სახსოვარის დ. ბაქრაძის დასაფლავებაზედ დიდუბეში მამა პროტოდიაკონმა კარგარეთელმა წაიკითხა ქართული სახარება სწორედ იმ სანატრელის მადლის გამოჩენით და აკი იქ დამსწრეთა გულსაც მოხვდა, ზოგმა ამას ცალკე წერილიც კი მიუძღვნა. დიახ, მადლი ქართულ ვედრებას მხოლოდ მაშინ ექნება, თუ მისი კითხვისა და გალობის დავედრებულ კილოს პატივისმცემელი, მოსარჩლე და აღმასრულებელი არ მოაკლდა. ჩვენის საზოგადოების შეგნებულ ნაწილს დიდი ხანია ჰსურს, რომ ქართული წირვა დავედრებულის კითხვა-გალობით მოისმინოს ყოვლად უნაკლულო და უკეთეს დროთა

მომგონებელი, მაგრამ ასეთ სურვილს ბედი მაშინაც კი არ უღიმის, როცა ალო უდგება. ღვთისმსახურება სანუთრო საქმე არ არის, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, დიდშენიერება ეძრახებოდეს. პირიქით, საღვთო წერილი ბრძანებს, შეიყვარე, უფალო, დიდშენიერება სახელისა შენისაო.

პეტრე მირიანაშვილი

330. ივერია, 1901, 18 მარტი, №62, გვ. 1

ქართული თეატრი

კვირას, 18 მარტს, მომღერალ არტისტის ფილიმონ ქორიძის მიერ გამართულ იქმნება კონცერტი.

მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი ევგ. გ. სარაჯიშვილი, ფორტეპიანოზე დამკვერელი ქალი ეკ. გ. სარაჯიშვილი, მომღერალი არტისტი ი. გ. კარგარეთელი, ახლად შედგენილი ქორიძის მიერ ქართული ხორო და თვითონ ქორიძე. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურ, იმერულს, გურულსა და მეგრულს სიმღერებს. კონცერტიდგან შემოსული ფული მოჰხმარდება ქართულის მუსიკის ბეჭდვისა და აღორძინების საქმეს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 ½ საათზე

331. ივერია, 1901, 3 მაისი, №96, გვ. 2-3

ქართული მუსიკის შესახებ

...ერთი, ვითომმუსიკოსი ჰქადაგებდა თურმე და არწმუნებდა რამდენსამე ცნობის-მოყვარეს, რომ კრიმანჭული არ შეიძლება ნოტების საშუალებით დაინეროსო. ფორშლაგ, აპოჯიატურა (appogiatura), მსწრაფლად აღსრულებული თავიანთ მთავარ ნოტებით, კრიმანჭულს გამოხატავს. კრიმანჭული სხვა გვარიც არის. სიტყვა კრინი არის ქალის მაღალი ხმა (soprano), ტენორი, როგორც ვიცით, მკერდში ამყარებს თავისს ხმას. როდესაც ეს მკერდის ხმა გარდასცილდება დანიშნულს მისთვის საზღვარს, მაშინ კრინის ხმას მიჰმართავს და მანჭავს, ჰკვანწავს, ახვევ-ატრიალებს მაღალს ნოტებს და ამისათვის ჰქვია კრიმანჭული. იტყვიან: მაღალს, კრინის მსგავს ტენორის ხმას ჰქვია ფალსეტიო. შეცდომაა. კრინის ხმა ფალსეტს არა ჰგავს. ფალსეტი წვრილი და მაღალი ხმაა ტენორისა და დამყარებულია უფრო თავში, ვიდრე მკერდში (Falsetto voce piccola, accuta piu di testa che di petto). ყოველგვარი ბგერა ადამიანისა და საკრავებისა ადვილად დასაწერია ნოტების საშუალებითა და ბევრიც გვაქვს დაწერილი.

ამისათვის მოვუნოდებ ქართველს ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს და ვურჩევ საფუძვ-

ლიანად შეისწავლონ თავიანთი მამა-პაპური მუსიკა და სიმღერა, რომელიც, ვგონებ ყველა მამულის მოყვარულისათვის, ვისაც კი ნიჭი აქვს მუსიკისა, სავალდებულოა; გაიცნონ მისი ავკარგიანობა, მისი ისტორიული მიმდინარეობა, მისი მნიშვნელობა და მოთხოვნილება სხვადასხვა შემთხვევის დასაკმაყოფილებლად ცხოვრებაში. ხალხური მუსიკა, როგორც მასალა მომავალის კულტურულის მუსიკისა, უნდა აღვადგინოთ, ყველგან გავავრცელოთ, ყველა-სათვის ადვილად ხელმისაწვდომი გავხადოთ. ნურავინ დაინუნებს და ითაკილებს ჩვენთა წინაპართა მშვენიერ ხმების შესწავლასა და აღსრულებას საკრავებით, რომელსაც სიამოვნებით მოისმენს როგორც ჩვენი, ისე უცხო საზოგადოება. ეს ხმები ბუნებრივად დიდად მდიდარია, რომ საკმაოდ განვითარდეს და პატივი დაიმსახუროს. მიჰხედეთ თქვენს მეზობელ ახალგაზრდა ქალებსა და კაცებს, რომელნიც არ იშურებენ არც დროს, არც შრომასა და არც ფულს, რომ თავიანთი მუსიკა შეისწავლონ, კარგს ნიადაგზე დააყენონ, და თქვენ კი, ხომ არა გეხარჯებათ რა ერთი საათის მეტი დღეში. სწავლება და გადმოცემა უსასყიდლოდ გექმნებათ. გარდა ქართულისა, მზადა ვარ გასწავლოთ აგრეთვე ევროპული მუსიკა და სიმღერა, რომელს ენაზედაც გსურთ. საზოგადოდ, ქართველი ხალხი ნიჭიერია მუსიკაში; მაშასადამე, რატომ არ უნდა გვექონდეს იმედი, რომ ჩვენგანიც ვინმე დაიჭერს საპატიო ადგილს სამუსიკო ასპარეზზე.

სხვა თუ არაფერია, ცნობისმოყვარეობამ მაინც გვამხილოს. დავხედოთ აბა განცხადებებსა: ნემეცი მომღერალი, ფრანგი მომღერალი, რუსი მომღერალი, სომეხი მომღერალი და სხვ. და ქართველი კი?... ქართველი?... პასუხი თქვენთვის მომინდვია.

ფილიმონ ქორიძე

ჩემი ადრესი: Саперный пер., домъ Марданова

332. ივერია, 1901, 12 მაისი, №102, გვ. 2

დაბა და სოფელი (მონერილი ამბავი)

სოფ. ფარცხმა (გურია). ადგილობრივის კრებულის მიერ აქ იქმნა გარდახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მგოსნის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. ადგილობრივ მცხოვრებთაგან განსვენებულს ბევრი იცნობდა; ამისთვის წირვასა და პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. გალობდა სამ გუნდათ აქაური ახალგაზრდობა გურულს კილოზედ ბ-ნის სიმონ მოლარიშვილის ლოტბარობით, რომელიც აგერ ოთხი თვეა ყ-დ სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გამოგზავნა ზემო გურიაში¹⁾. იმედია, გურული ხალხი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ასეთ მამა-შვილურს ზრუნვას არასოდეს არ დაივიწყებს და ეცდება კეთილს განზრახვას მოსიყვარულე მამისას, ხელი შეუწყოს, ნაყოფი შესაფერი გამოაღებინოს.

¹⁾ ყ-დ სამღვდელო ალექსანდრემ გურული გალობის აღსადგენად დააარსა გურიაში საეკლესიო გალობის კაბინეტი, მოიწვია ორი მგალობელი თავისისავე საშუალებით: თ. ნაკაშიძე და ს. მოლარიშვილი და დაავალა ამათ, რომ ზეპირად, თუ ნოტებით მუქთად ასწავლონ ხალხს გალობა. ესენიც რიგ-რიგით დადიან გურიის სხვადასხვა ადგილებში და ხალხში საეკლესიო გალობას ავრცელებენ.

წერილი რედაქციისადმი (ქართული გალობის შესახებ)

წასულს ყველიერში, ე. ი. ამა წლის თებერვლის თვეში მოვიდნენ ჩემთან სამი გლეხი, სოფელს მუხურის მცხოვრებნი: დიმიტრი ბუიძე, საბა და პავ. ბაქრაძეები. ამათ მთხოვეს მე, რომ მათთვის მესწავლება ქართული საეკლესიო გალობა, წირვის წესი და სხვა. ამათი სურვილი იყო, ეს დაწერილი გალობა, რომელიც მათ შემთხვევით მოესმინათ ქალაქ ქუთაისში წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გალობდენ ჩემგან კილოზე დაწერილს გალობას ჩემგანვე შედგენილი მონაფეთა გუნდი. მე, სასწავლებელში გაკვეთილების ჰქონების მიზეზით, უარი უთხარი. ამ უარის თქმამ მეტისმეტად შეაწუხა ისინი, დამიწყეს მეტისმეტი შეწუხება, ხვეწნა, საშველს არ მაძლევდნენ. რადგანაც აღარ მომეშვენ და მეც შევატყვე, რომ ძალიან სურვილი ჰქონდათ, შემდეგი რჩევა მივეცი: ეკზამენების შემდეგ სოფელში წამოგყვებით, თუ სხვებიც იქმნებიან ვინმე გალობის სწავლის მსურველები-მეთქი. ამ დაპირებამ ისინი მეტად გაახარა და დიდი მადლობა გადამიხადეს. მსურველები ბევრი იქნებიანო და იმდენი სიკეთე გვიყავით, რომ ეს დაპირება არ შეგვიცვალო. დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ამის შემდეგ ორჯელ კიდევ მომაკითხეს და დანაპირებზე დადასტურდნენ. პირველს ივნისს მივედი მათს სოფელში. დამხვდნენ ის სამი პირი და მათთან კიდევ სხვებიც, სულ 12 გლეხი (წლოვანობით 30 წლიდან 50 წლამდის არიან). ამათში ოთხიოდე ისეთებიც ურევია, რომელთაც წირვის წესი სცოდნიათ გადამახინჯებულად, რომელიც კილოს სულ არა ჰგავს. დავიწყეთ სწავლა და ჩემდა გასაკვირლად, საოცარი ნიჭი გამოიჩინეს. ზევით მოგახსენეთ: პირველს რიცხვს დავიწყე-მეთქი, დღეს მეათე რიცხვია კვირა და მშვენიერად ვიგალობეთ მუხურის წმ. გიორგის ეკლესიაში (გარდა „რომელი ქერაბინისა“, რომლის დასწავლა ასე მალე ვეღარ მოვასწარით). ხალხი მეტისმეტი სიხარულით ისმენდა და ყველას სახეზე სიხარული იხატებოდა; მეტისმეტად წასიამოვნები დარჩნენ და გასაკვირლად ის მიაჩნდათ, რომ ჩვენ თორმეტი ერთად ვგალობდით და იმათ უმეტესობას ჯერ გალობა არ გაეგონა გარდა სამის კაცისა ერთად. ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე ხანში შესულმა კაცებმა სამაგალითო ნიჭი გამოიჩინეს! თუ ასე იმუყაითეს ამ ორი თვის განმავლობაში, ძალიან მტკიცედ დაისწავლიან, როგორც წირვის წესებს, ისე ბევრ სხვა მიუცილებელ საჭირო გალობებს.

ღმერთმა ინებოს, რომ სხვა მრავალ სოფლებშიაც აღმოჩენილიყვნენ ამგვარი ნიჭითა და სურვილით აღჭურვილნი. ჩვენი სასულიერო სასწავლებლებიდან წასული ყმანვილები ბევრია ისეთი, რომელთაც ხელს უწყობსთ გალობის ნიჭი, იციან კიდეც გვარიანი გალობა, შეუძლიათ, რომ მოამზადონ სოფელში მსურველები და ამით მისცენ გალობის საქმეს დახმარება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ შრომას ასში ერთი არ ტვირთულობს, სიზარმაცეს იჩენს და ერთხელვე დასწავლილს ივინყებს, ჰკარგავს! ყველა ესენი და სხვაც მრავალია, რომელნიც ხელს უშლის სოფლად გალობის გავრცელებას, რომლის შესახებაც ერთხელ გვინდა ამაზე ვრცლად მოვილაპარაკოთ.

რადგან გალობის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ქუთაისში წლებანდელი ქართული გალობის კურსების შესახებ. როგორც წელს, ისე წინეთ, ორჯელ იყო ქუთაისში შეკრებილი სამრევლო სკოლების მასწავლებლები კურსებზედ და ქართული გალობის მასწავლებლად ორივეჯელ მე გახლდით დანიშნული. რასაკვირველია, თანახმად უნმ. სინოდისაგან გამოგზავნილი პროგრამისა და კურსების გამგეთა ხელმძღვანელობითა, შეუდექით სწავლას. მიყვევით რუსულს გეგმაზე შედგენილს პროგრამას, ვსდიეთ და რამდენადაც შესა-

ძლებელი იყო, გავიარეთ: წირვის წესები, „უფალო ღალადეყავები“ რვა ხმათა, დასდებლები რვა ხმათა, ტროპარები რვა ხმათა, დღესასწაულის ტროპარები და სხვა. ეკზამენზედ აღმოჩნდა, რომ უმეტესობამ გვარიანად დაიჭირა ეგზამენი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისე მკვიდრად არა, რომ მათ ბეჯითად შეძლებოდათ გადაცემა სოფლის სამრ. სკოლის პატარა მონაფეებზედ. ამგვარად, სასყიდელი საკმაოდ მივიღეთ, შრომა მეტისმეტი გავსწიეთ, როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლეებმა და ნაყოფი კი ისეთი მკვიდრი ვერ მოვიტანეთ, როგორც სანატრელი და საჭირო იყო. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენი სამრევლო სკოლების მასწავლებლების შესაფარდათ ვერ არის გალობის პროგრამმა შედგენილი. ის პროგრამა შეფარდებულია რუსეთის სკოლებზე და მათ მასწავლებლებზედ, სადაც, რამდენი ხანია, მილიონობით ხარჯავენ გალობის გასაუმჯობესებლად ფულებს. გააუმჯობესეს კიდევაც და იქაური მასწავლებლებიც ამ გაუმჯობესებულს გზაზედ ადგიან. ჩვენში კი ორი-სამი წელიწადია, რაც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ცალგვერდათ ჰკიდებენ ხელს გალობის საქმეს სასწავლებლებში, თორემ მანამდის ყველამ კარგად ვიცით, თუ რა გზას ადგა ქართული გალობის სწავლება ჩვენს სასწავლებლებში. ამ ნიადაგზე მომზადებული ჩვენი სოფლის მასწავლებლები როგორ შეძლებენ, რომ ისინი რუსეთის სკოლების გეგმაზე შედგენილს პროგრამას მივაყოლოთ?! როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა და გარემოებაც გვამხელს, ჩემი აზრია, რომ, თუ შეიძლება, ჩვენმა წლებანდელმა კურსების მეთაურებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ქართული გალობის მხოლოდ წირვის წესს. სანამ მტკიცედ არ დაისწავლიან წირვის გალობებს, არას გზით სხვა გალობაზე არ უნდა გადავიდენ და ასე, ამგვარად, შესაძლებელია მასწავლებლებს წაყვეს სახლში მტკიცედ ის წირვის გალობა, რომელიც მუდამ საჭიროა და ამ დროებით დანარჩენს თავი დავანებოთ. გულწრფელად აღვიარებ, რომ მე, რომელსაც ამოდენი ხნის გამოცდილება ვერ შემენია, ვერ დავძლიე იმ სიძნელეს, როგორ გადალახავს და დასძლევს წრევანდელი კურსების – ქართული გალობის მასწავლებელი და როგორ გაივლის მთელს პროგრამას, თუ ისე არ მოვიქეცით, როგორც ზევით ვსთქვით?! მე არ ვიცი, ვინ ასწავლის წრეულს ქართულ გალობას, მაგრამ ვინც უნდა იყოს იგი, ვიცი, რომ იმას ჩემგან ნასწავლი ექნება: – მაშასადამე, ახალი კაცი და ჯერ კიდევ არა დახელოვნებული სწავლების საქმეში. ღმერთმა ინებოს, რომ მასწავლებელს მოსწავლე სჯობდეს, ეს სიძნელე დაეძლიოს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაგრამ ეჭვი მაქვს...

რაც ამ ბოლოს მოვიხსენიეთ, ამას იმედია ტრაბახობათ არ ჩამომართმევთ. გარდა ამისა, ნოტებზე დაწერილი სადა კილოს გალობა ჯერ დაბეჭდილი არა გვაქვს (ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ბეჭდვის დაწყება) და თუ ხელნაწერიდან მაინც გადაინერა მასწავლებელმა სისწორით, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ სამივე ხმებზე უნდა გადაინეროს და ამით იხელმძღვანელოს. კიდევ ვიმეორებ ჩემს აზრს: მარტო წირვის წესზე რომ შევჩერდეთ წრეულს და ამაში კარგად მომზადებული წავიდნენ მასწავლებლები სოფლად, შრომა მიზანს მიღწეულად უნდა ჩაითვალოს; თორემ მარტო ფორმის გამოკიდება და პროგრამის *) სდევნა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე

სოფ. მუხურა
7 ივნისი

*) შეიძლება ვინმემ იფიქროს: უმაღლესად დამტკიცებული „პროგრამის“ შეცვლა შეუძლებელიაო, მაგრამ ეს შეცვლა კი არ იქნება, არამედ შეძლებისდაგვარად შესრულება, რომლის ასე თუ ისე სასარგებლო საქმის დაყენება, ყოველთვის თავის შეხედულებისამებრ შეუძლია სამოსწავლო რჩევას.

მღ. რ. ბ.

კორესპონდენციები

იქიდანვე. 21 ამ თვეს გაიხსნა ქიათურის „სახალხო თეატრი“. ბ. ფ. ქორიძემ გამართა კონცერტი, რომელსაც საზოგადოება ბლომათ დაესწრო. „ხალხის“ წარმომადგენელი კი სრულებითაც არ იყო თეატრში, მაგრამ ბევრი არაფერი წაუგია. კონცერტმა საზოგადოთ ცუდათ ჩაიარა, თუმცა სიმღერები კარგი იყო არჩეული, მაგრამ აღსრულების კი რა მოგახსენოთ! განსაკუთრებით სუსტი იყო ბ. ფ. ქორიძის ხორო. ხორო შემდგარი იყო ათი კაცისაგან, რომლებიც სადღაც მოეგროვებინა ბ. ფ. ქორიძეს. ხშირად გაიგონებდით თეატრში: „მაგათ ჩამოყვანის მაგივრათ აქ შეეგროვებია მომღერლები, ბევრათ უკეთესი იქნებოდაო“, და ეს მართალიც იყო. სოლისტებში ყველაზე მეტათ საზოგადოებამ მოიწონა ქ. კუყერაძე, რომელმაც მართლა საუცხოოვით აღასრულა ზოგიერთი სიმღერები, რომლებიც პროგრამაში არ იყო შეტანილი და საზოგადოების თხოვნით იმღერა.

პარმანი

P. S. აქვე თეატრში პატივცემული ქ. მ. ს. წერეთლის ასული ხელისმონერით აგროვებდა ფულს რაფიელის ფონდისათვის. ეტყობა საზოგადოებაც სიამოვნებით ეგებება ამ საქმეს. ჯერ-ჯერობით შეკრებილია 75 მან.

პარმანი

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კვალის“ 27 ნომერში კორესპონდენტი ბ-ნი პარმანი აძაგებს რა ჩემ მიერ გამართულ კონცერტს ქიათურის სახალხო თეატრში, 24 ივნისს, სხვათა შორის ამბობს: ქორიძეს სადღაც მოეგროვებინა ხორო ათი კაცისაგან შემდგარი, რომელთაც ცუდათ აღასრულეს სიმღერებიო. ამაზე კორესპონდენტს უნდა ვუპასუხო, რომ მე ხოროს სადღაც არ ვაგროვებ; მხოლოთ ვაგროვებ იქ, სადაც ხანგრძლივი ცხოვრება მაქვს; ხმებს უვარჯიშებ, ვასწავლი სიმღერებს ნოტების საშუალებით და როდესაც კარგათ მოვამზადებ გამომყავს სცენაზე. ამგვარი ჩემი დიდხნიდან მოქმედება ყველამ იცის თფილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, სადაც ყოველთვის ყველასაგან მოწონებული ყოფილა ჩემი ხორო და მის მიერ აღსრულებული კონცერტი. მაგრამ სამწუხაროთ, ქიათურაში მოულოდნელმა შემთხვევამ, შეასუსტა ჩემი კონცერტი. ორი პირველი ტენორები მძლავრის ხმებისა ღამით მოგზაურობაში გაცივდნ და ხმა დაკარგეს ისე, რომ კონცერტში ხმა ვეღარ ამოიღეს. დარჩა ერთი ტენორი, რომელმაც ვერ გაუთანასწორა ხმის ძალა შვიდ კაცს და კონცერტიც გამოვიდა სუსტი და არა „ცუდი“, რადგანაც მწყობრობა რითმულ მოძრაობაში ხმებს არ დაურღვევია. საზოგადოებამ, როგორც მსაჯულმა და დამფასებელმა, მიაქცია ყურადღება შემთხვევით მოულოდნელ ნაკლს, მაგრამ მაინც საკმაოთ დააჯილდოვა ხორო ტაშის ცემით და რამდენიმე სიმღერების განმეორებით.

ფილიმონ ქორიძე,
რედაქტ.-გამომც. ან. თ. წერეთლისა

ქართული თეატრის ავ-კარგი

ქართული სიმღერა და გალობა იკარგება. ეს მოვლენა უფრო თვალსაჩინოა რკინის გზის ახლო მდებარე ადგილებში, სადაც ეროვნული სიმღერის ადგილი დაიჭირა ამურულმა კილომ და შარმანკის ჩაგონებულმა ჰანგებმა. ხნიერი კაცი თუ იტყვის ქართულ ძველ სიმღერას, თორემ ახალგაზდობამ კარგა ხანია გასცვალა ეროვნული ხმები ქუჩის სიმღერებზე.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქართული მუსიკის მკვლევარნი და გადმომღებნი; ესენი რომ არ გარჯილიყვნენ, იქნება სულ დაკარგულიყო ქართული კილო. ეხლა რაკი ქართული სიმღერის და გალობის ნოტებზე გადაღების საქმე ცოტად თუ ბევრად დამკვიდრებულია, საჭიროა ამ საქმის გაგრძელება. ჩვენ სახეში გვაქვს ნოტებზე გადმომღებულ სიმღერების გავრცელება ხალხში.

საუკეთესო საშუალება ამ საქმისათვის კარგი გუნდის შექმნაა.

მგალობლების გუნდები კარგა ხანია მოღვაწეობენ ჩვენში, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთს გუნდს არ ჰქონდა ხანგრძლივი სიცოცხლე, – უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, თუ არა ვცდებით, 5 თუ 6 გუნდი მოღვაწეობდა და დღეს არც ერთი არ შეგვრჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა მგალობელს, რომელნიც სხვადასხვა შემთხვევისათვის იკრიბებიან საგალობლად.

ასეთს არასასურველს მოვლენას, რასაკვირველია, თავისი მიზეზი ექნება, ხოლო ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და ამიტომ, საჭიროა ვიღონოთ რამე ამ საქმის მკვიდრს ნიადაგზე დაყენებისათვის.

მომავლის გამოფენის ადმინისტრაციამ ხალხის მოსაზიდავად და ადგილობრივის ხალხების მუსიკის გასაცნობად გამართა სცენა. ამ სცენაზედ გამოფენის დროს, სხვათა შორის, იმღერებს ქართულ ეროვნულ ხმების ხორო, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მომღერალი ი. კარგარეთელი.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ი. კარგარეთელი გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს: გუნდი უკვე მოქმედობს, რეპეტიციებს დღეგამოშვებით ჰმართავს ქართულ თეატრის დარბაზში, მომღერალთა რიცხვი 50 აღემატება და პროგრამა ვრცელი და საინტერესოა.

ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ მომავალ გამოფენაზე, ქართული ეროვნული სიმღერა, სრულად იქნება წარმოდგენილი და ი. კარგარეთელი ამით დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს საზოგადოებას.

გამოფენა 20 ღვინობისთვის დაიხურება და, რა თქმა უნდა, რომ ი. კარგარეთელს მაშინვე მოესპობა საშუალება გუნდი შეინახოს, და ასე კარგად დაწყებული საქმე ჩაიფუშება. ჩვენის ფიქრით, აუცილებლად საჭიროა ი. კარგარეთელის დაწყებული საქმე სათავეშივე კი არ მოისპოს, არამედ სამუდამო გახდეს.

მაგრამ ვინ უნდა შეინახოს მუდმივი ხორო? ზევითაც ვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ კერძო პირს, თუ დიდი შეძლება არ შესწევს, არ შეუძლიან ჯერჯერობით ხოროს შენახვა; ამას აშკარათ გვიმტკიცებს წარსული; მაშასადამე, ამ საქმის ხელმძღვანელობა უნდა იკისროს რომელსამე ჩვენმა დაწესებულებამ. ასეთი დაწესებულება კიდევაც არსებობს და გასაკვირვალად არის, რატომ აქამდის არ უპატრონა ისეთს დიდმნიშვნელოვანს საქმეს, როგორც არის ქართული სიმღერისა და გალობის დაცვა. ჩვენ ვამბობთ ქართულ დრამატიულ საზოგადოებაზედ.

მუდმივის ხოროს შენახვას საშუალება უნდა და ამიტომ ბევრი გვეტყვის, რომ დრამატიულ საზოგადოებას არ ძალუძს ამ საქმის ხელმძღვანელობა ხელმოკლეობისა გამო. მარ-

თალია, დრამატიულ საზოგადოებას ხშირად სეზონის გაძლოლაც უჭირს და ზოგს წელიწადს ზარალით ათავენ ხოლმე, მაგრამ მუდმივი გუნდის შენახვა ისეთი სამძიმო არ არის, რომ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელოს კაცმა და უარი სთქვას მის ყოლაზე.

უმთავრესი ხარჯი ამ საქმეში ლოტბარის ჯილდოს გაღებაა, ხოლო თვით გუნდის ხარჯს, პირველს ხანებში მაინც, ის შემოსავალიც დაჰფარავს, რაც კონცერტების გამართვით და ეკლესიებში გალობით შემოვა.

ესრედ ხოროს შენახვა 600 მანეთზე მეტად არ დაჯდება; და იქ, საცა ათას თუმნობით იხარჯება, სამოცი თუმნის გაღებაც შესაძლებელია ყოველწლიურად; საჭიროა მხოლოდ დრამატიული საზოგადოების მხრით მეტი მხნეობა და ცდა ამ საქმის მოწყობისა და დამკვიდრებისათვის.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, დიდი ხანი არ არის, რაც აირჩია საზოგადო კრებამ, არჩეულთა შორის არის ერთი მუსიკის მცოდნე წევრი და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ნ. ქართველიშვილის დახმარებით, ახალს გამგეობას არ გაუჭირდება ისეთი ეროვნული საქმის დაგვირგვინება, როგორც არის ქართული მუდმივი გუნდის ყოლა.

3. ყ-ნი

P.S. ეს წერილი გათავებული არ იყო, როცა ჩვენ გვაცნობეს რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში უკვე აღძრულია კითხვა სამუდამო ხოროს დაარსების შესახებ და ერთ-ერთ წევრს გამგეობისას მინდობილი აქვს ამ საქმის გამოკვლევა და სავარაუდო მოსაზრების შედგენა.

337. ივერია, 1901, 23 აგვისტო, №181, გვ. 2

* * *

ჩვენმა მომღერლებმა ბ-მა კავსაძეებმა და ბ-მა კარგარეთელმა შეიტანეს გუშინ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში განცხადება, რომ ერთს პატივცემულს ქართველს (რომელსაც საქმის განხორციელებამდე არა ჰსურს ვინაობა გამოამჟღავნოს) გარდუწყვეტია თავის მხრივ ყოველთვიურად ექვსი თუმანი გაიღოს ამ ხოროს სასარგებლოდ, თუ დრამატიული კომიტეტი საქმეს გაუძღვება, იმ პირობით-კი, რომ ხორომ, რომელს ეკლესიასაც კი იგი უჩვენებს ტფილისში, უთუოდ იგალობოს ხოლმე ქართულად ყოველ უქმე დღესა და უქმის ძალზედ. იმედია, ამ ქართველ კეთილსა და მისაბაძ საქმეს დრამატიული საზოგადოების გამგეობა ღირსეულს თაოსნობას გაუნევს.

338. ცნობის ფურცელი, 1901, 1 დეკემბერი, №1657, გვ. 1

ქართული თეატრი

შაბათს, 1 დეკემბერს, 1901 წ. გამართულ იქმნება ქართული კონცერტი. იმღერებს ბ. ქორიძის ლოტბარობით, გურულ ტანისამოსში გამონყოფილი, ოცდაათი კაცისაგან შემდგარი ხორო. ხორო აღასრულებს ორსართულიან ფერხულს. ადგილების ფასები დაკლებულია.

* * *

1 დეკემბერს იმავე ქართულ თეატრში ბ. ფ. ქორიძემ გამართა კონცერტი, თავისი ქართული ხოროთი. ხორომ უმთავრესათ გურული სიმღერები შეასრულა, საზოგადოთ, არა ურიგოთ. უფრო მოენონათ ორ-სართულიანი ფერხული, ინდი-მინდი და სხვ. საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო.

ქართული და ბერძნული გალობათა დამოკიდებულების შესახებ

ამ ბოლო დროს, ქართულს საერო და სასულიერო გალობას დიდი ყურადღება მიაქცევს. ჩვენი მაძიებელნი ძმანი კარბელაშვილნი, ქორიძე, ბალანჩივაძე, კარგარეთელი, ბენაშვილი, ფალიაშვილი, არაყიშვილი და სხვ. აგრეთვე რუსთა შორის, იპოლიტოვ-ივანოვი, კლენოვსკი, კორეშჩენკო შეუდგნენ აღბეჭდვას და გამოკვლევას ქართული სიმღერებისა და გალობისას. ამ პატიოსან მოღვაწეთა აზრი ქართული ხმების – მელოდიების შესახებ ორნაირად გაიყო: ერთნი იმას მონიშნენ, რომ საერო სიმღერა აღმოცენდა სასულიერო გალობის ნიადაგზე და ამჩნევია მას უეჭვოდ ბერძნულთა გალობის გავლენა, მეორენი ამტკიცებენ, რომ ქართულს სასულიერო გალობას კავშირი აქვს საერო სიმღერასთან, რომელიც მთლად დამოუკიდებელია, ნაციონალური შექმნის ნაყოფია. მღვდელი პოლიევკტო კარბელაშვილი სრულიად უარ-ჰყოფს ბერძნულ გალობის გავლენას ჩვენი ეკლესიის მელოდიებზე და ამ აზრს ამტკიცებს, ერთი საყურადღებო საბუთით: ბერძნული გალობა ერთხმოვანია და ქართული მრავალ-ხმოვანია. ამავე დროს, ძმანი კარბელაშვილნი გვარწმუნებენ, რომ მათი გალობა უძველესი დროიდან მომდინარეობს და მეათე საუკუნის ნოტები მიქაელ მოდრეკილისა, ისე არიან ანეულ-დანეულნი, როგორც ამჟამად მათი მიმდევარნი გალობენ. ბ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც საქართველოში შეისწავლა ჩვენი გალობა და სიმღერა, სრულიად წინააღმდეგი აზრისაა: იგი ჰფიქრობს, რომ ჩვენი საეკლესიო გალობა შედგება „იონიული და დორიული ლაღებისა“ და თვით საერო სიმღერა ამ გავლენის ქვეშე არის მოწყობილი. ამ მდგომარეობაშია სიმღერა-გალობის შესახებ საკითხი. რამდენად მართალია ერთი ან მეორე აზრი, მაშინ შეიძლება დამტკიცებით გადაწყდეს, როდესაც დაწვრილებით გვეცოდინება იმ წყაროს დასაწყისი და განვითარება, რომლის გავლენას ერთნი აღვიარებენ და მეორენი უარყოფენ.

მე მოგახსენებთ ბერძნული გალობის შესახებ. აი, სწორედ ეს საკითხი არის აქამდის ბურუსით მოცული და მტკიცედ გამოურკვეველი. ასე თუ ისე, ამ ბნელს საგანს შუქი მოჰფინა კათოლიკეთა ბერმა, პიტრამ პირველად 1867 წ. თავის თხზულებით *Hymnographie de l'église grecque, (Rome)*. ამან აღმოაჩინა ის გასაღები, რომლითაც დაკეტილი ბერძნულთა სასულიერო პოეზიის კლიტე გახსნა და თვალსაჩინო ჰყო, რომ იგი პოეზია დამყარებულია მარცვალთა რიცხვზე და ხმის ანევაზე. ეს აზრი მით არის შესანიშნავი, რომ წინაპარნი მეძიებელნი ამტკიცებდნენ, რომ ბერძნული სასულიერო პოეზია დაწერილია პროზად და არ ექვემდებარება რაიმე კანონს, რადგან მასზედ მეფობს თვითნებობა მგალობელისა. ამ საყურადღებო პიტრას დასკვნას უნდა მიექცეს ჩვენშიაც ყურადღება და მეძიებელთ სჭირთ

გამოიკვლიონ, რამდენად შეესაბამება პიტრას აზრი ჩვენს ირმოსებს და ტროპარებს, ესე იგი, ჩვენი ირმოს-ტროპარებიც აღგებულნი არიან თუ არა მარცვალთა რიცხვზედ (число слоговъ) და ხმის ანევ-დანევაზედ. მე სპეციალისტი არ გახლავართ ამ საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ჩვენი იამბიკონი, რომელთა მწერალნი მრავალნი ვიცით, წარმოშობილნი არიან ბერძენთა მიბაძვით, აგრეთვე ჩვენი აკროსტიხის დასაწყისი საბერძენეთში უნდა ვეძიოთ. ამ გავლენის გვერდით ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს სემიტების ზედგავლენაც, რომელსაც უჩვენებს მღვ. პ. კარბელაშვილი და მას წარმოაშობინებს ქართულს გალობას ბერძენთა დამოუკიდებელივ. აქაც უნდა მოგახსენოთ, რომ საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევა, რადგანაც უკვე ბერძენთა საეკლესიო პოეზიაში აღვიარებულია სემიტების გავლენა (რითმის შესახებ და მაშასადამე, ჩვენ მივითვისეთ უკვე ბერძენთა მიერ გარდაქმნილი სემიტების, უკეთ ვთქვათ, სირიელების გალობა. ეფრემ ასურელი). ამ სირიულს გავლენას აქამდნის ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით, თუმცა მისი ზედმოქმედება ეჭვს გარეშე უნდა იყოს.

ორიოდე სიტყვა კიდევ დასასრულს. მღვ. ვასილ კარბელაშვილმა გამოსცა ნოტებზედ გადაღებული „ცისკარი“ (საგალობელნი) და სხვათა შორის, მოჰყავს სამაგალითო ნაწყვეტები X საუკუნის ნოტებიანი ხელნაწერიდან. ამ ძველის დროების ნოტებს აქამდის რიგიანად ვერვინ კითხულობს, თუმცა თვით ძმანი კარბელაშვილნი ამტკიცებენ, რომ მათი გალობა ეთანხმება მე-X საუკ. ქართულ ნოტებს. ამ ნოტების გამოცემას, ჩემის აზრით, დიდს დახმარებას გაუწევს ეხლახან გამოქვეყნებული ძველი ბერძნული ნოტების ნიშნები იმ კრებულში, რომელიც გამოცემულია სტამბოლში (Известія рус. археолог. Института въ Константинополь, VI, вып. 2-3, София, 1901). ავტორი ამ წერილისა თიბო იკვლევს ბიზანტიურ მუსიკას და მოჰყავს ნოტების ნიშნები, რომელსაც ნააგავს მე-X საუკ. ჩვენის ნოტებიან ხელნაწერს (Etude de musique Byzantine J. Thibaut). მივაქცევ ყურადღებას ჩვენი გალობის მაძიებელთა ამ სტატიაზედ. იგი ჰფენს ნათელს ჩვენი ძველი დროის ნოტების ნიშნებს.

ა. ხახანაშვილი

341. ივერია, 1901, 23 დეკემბერი, №279, გვ. 1-2

ქართული და ბერძნული გალობის გამო

წავიკითხე სასიამოვნო წერილი ჩვენი მეცნიერის ა. ხახანაშვილისა; იგი ფრიად საყურადღებო საგანს ეხება, და საჭიროა მისი განმარტება.

ამას წინადა, ანჩისხატის ტაძარში შემოვიდა ორი რუსი. ერთი მათგანი გამოდგა პეტერბურგის მეცნიერი, პროფესორი პრაზოვი, კარგი მცოდნე ძველის ხუროთმოძღვრებისა და სამხატვრო საქმისა რუსეთში. როდესაც ხელთუქმნელი ხატის მშენიერი სამკაული დაათვალიერა გულდადებით, გადაჭრით თქვა, რომ მეტად შესანიშნავი ბიზანტიური ხელოვნებააო. მე ვკითხე – რაზედ ამყარებთ თქვენს აზრსა მეთქი? – მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნოებში მხოლოდ ბიზანტიაში იყო ეს ხელოვნებაო (ოქრო-ვერცხლზედ გამოყვანა სხვადასხვა ჩუქურთმისა და ქანდაკებისა). მე მოვახსენე მეცნიერს, რომ დიდათ შემცდარი აზრი დამყარდა რუსეთის ისტორიაში: რაც რამ მოსაწონი ხელოვნების ნაშთი შენახულა ჩვენამდე, ყველაფერს ბიზანტიურ ხელოვნებად სთვლიან მეთქი. როგორაო? – გაკვირვებით მკითხა ბ.

პრაზოვმა, – მაშ ეს ბიზანტიური ხელოვნება არ არისო? – სრულებითაც არა მეთქი. მეათე საუკუნის წარწერის ქართული ასოები დღესაც აქა-იქა შენახულა ხატზედ, ხოლო 1191-1196 წლების წარწერა ქართული ასოებითვე მოიხსენებს თამარ დედოფალს, იოანე ეპისკოპოსს ანჩელს და ზარქარს (ოსტატი) ბექასა. ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს, ეს ხელოვნება ბიზანტიურად ჩაითვალოს მეთქი. პროფესორს ვთხოვე კარგად დაეთვალიერებინა ქართული მხატვრობა, ხელსაქმე და სხვ. ჩვენს საეკლესიო მუზეუმში. დაათვალიერა კიდეც და დარწმუნდა, რომ ქართველთა წარსული ბრწყინვალე დროა სხვადასხვა ხელოვნების აყვავებისა და განვითარებისა. ჩვენი ტყავზედ ხელნაწერების მხატვრობანი (მინიატურები) ამჯობინა ბიზანტიისას, დავით კურაპალატის ჯვარმა ხომ გააკვირვა.

იმისი არ იყოს, რა ვქნათ, ბატონო? რუსეთში კი არა, ჩვენშიაც კი ბევრი ცრუ აზრი დამყარდა და მათში, ქართული გალობის შესახებაც, რომ ბერძნული გალობიდან გამოიჩეკაო. რა ვქნა, რომ ჩამომახრჩონ, ამ აზრს ვერ მოვრგებივარ, რადგან ამისი უტყუარი საბუთი ჯერ არსადა სჩანს. იპოლიტოვ-ივანოვი კარგი მცოდნეა ევროპიული მუზიკისა, მაგრამ ვერ ვეთანხმები მის აზრს, რომ ქართული კილოები იონიურ-დორიული (ბერძნების) ლაღების შედეგი იყოს.“ კათოლიკეთა ბერის პიტრას აღმონაჩენში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ კვალს ბერძენთა ლექსთანყობის კანონის გავლენას. ყველას მოგვისმენია ბერძნული კითხვა სახარებისა და ქართული. მერე? განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ ქართული კითხვა (კილო) სახარებისა ფრიად შემუშავებულია და განვითარებული, ვიდრე ბერძნული. იშვიათია, რომ ბერძნულად მკითხველებმა ერთნაირად წაიკითხოს სახარება დღეს და ხვალ; ქართულად კი ისეა შემუშავებული კილო კითხვისა, რომ კარგი მკითხველი ერთნაირ კილოზედ წაიკითხავს შობასაც და აღდგომასაც. მიზეზი ეს იყო, რომ ალავერდში წირვის მომსმენმა რუსის არქიმანდრიტმა იოსებმა (1639 წ.) თავის მოხსენებაში ჩანწერა – „ქართველები სახარებას კი არ კითხულობენ, გალობენო“. სიმღერა-გალობაც ასეა. არცერთი საგალობელი, არც ერთი სიმღერა არა გვაქვს ისეთი, რომ სამი-ოთხი ხმით არ ითქმოდეს. ბერძნულში? იქ ერთი საგალობელიც არ მოიპოვება ისეთი, რომ სამი ხმით ითქვას. ჯერ მარტო საეკლესიო ტიბიკონი ბერძნული დიდად განსხვავდება ქართულისაგან. განა ბერძნებმა სახუროთმოძღვრებო ხელოვნება (ქვაზედ ქანდაკება) აზიელთაგან არ ისესხეს? დღეს თუ ევროპიიდან (დასავლეთიდან) მოიწვეს ცივილიზაცია აზიისაკენ (აღმოსავლეთისაკენ), განა ძველად აზიიდან (აღმოსავლეთიდან) არ მიიწვედა ევროპისაკენ (დასავლეთისაკენ)? ისტორიას ეგ ზნე სჭირს: ერთგან რომ საქორწინოდ გაამხიარულებს ოჯახსა, მეორედგან უბედურებას მოახვევს თავსა: ხან ერთს უცინის, ხან – მეორეს. ქართველებს იოანე დამასკელამდე გაცილებით ადრე ჰქონიათ აღდგომის საგალობელი (რვა ხმა) და იოანე დამასკელი ხომ ბერძენიც არ იყო? დღეს ვიცით, რომ იოანე დამასკელის ახლო ნათესავი სტეფანე საბანმიდელი (780 წ.) გვართ მანსურშიც იყო. ბევრია ძილისპირი ქართულში, რომელიც სამ კილოზედ, ოთხზე იგალობება. მაგ: „სასწაულითა იხსნა ერი“, „აღდგომისა დღე არს“.

ჩემი წიგნაკის (ქართული საერო და სასულიერო კილოები) ბოლოს მიკერებულ ფურცლებზედ, ვგონებ ცხადზე უცხადესად დავამტკიცე, რომ საგალობელი „მამასა და ძესა“ (კილო) არის პირდაპირ აღებულ საერო კილოდგან „ბედზე დაგნატრი, ბარათო“, ხოლო „შენ გიგალობ“ (კილო) აღებულია პირდაპირ საერო კილოდგან „ყურშაო“. ამ მსგავსებას უარყოფს მხოლოდ მტკნარი უმეცრება საქმისა. იქვე მოვიყვანე X საუკუნის ორი სძლისპირი „ღმერთო მოხედენ“ და „მტვირთველმან გამოუთქმელად“, მაშინდელი საგალობლო ნიშნებით და ეხლანდელი ჩვენი კილო მაგ. სძლისპირებისა და ამით დავასაბუთეთ ჩვენი აზრი, რომ ეხლანდელი ჩვენი გალობა კარგად არის შენახული და მაგდენად არ განსხვავდება X საუკუნის კილოებიდგან.

დიდად დაგვავალეს პატივცემული პროფესორი ბ-ნი ა. ხახანაშვილი, თუ მოგვანვდის როგორმე ბერძნული ძველი ნოტების კრებულს და სხვ. დასახელებულ ცნობებს.

ჩვენ ოდესმე ვრცლად მოვილაპარაკებთ ამავე საგანზედ.

მლ. პ. კარბელაშვილი

^{*)} ვინ იცის, იქნება ოდესმე დამტკიცდეს ქართული კილოების გავლენა ბერძნულ კილოებზე; ეგნატე ღმერთშემოსილის ანტიფონები განა ებრაული კილოები არ იყო?

1902

342. ივერია, 1902, 7 თებერვალი, №31, გვ. 1

ქუთაისი. კვირას, 3 თებერვალს, ქუთაისის მიხაილ მთავარანგელოზის ტაძარში, ლიტურ-ღიაზედ ქართულმა ახალმა ხორომ იგალობა, რომელიც მომზადებული იყო ბ. ი. ნიკოლაძის ლოტბარობით; მსმენელთ მეტად მოეწონათ ახალი ქართულის, გალობის ხორო. დიდად სანატრელი იქნებოდა, რომ ასე გულმოდგინედ სხვებიც მოჰკიდებდნენ ხელს ქართულს საეკლესიო გალობას.

343. ცნობის ფურცელი, 1902, 12 მარტი, №1750, გვ. 3

ახალი ამბავი

10 ამ თვეს, საღამოს შვიდ საათზე, ქალთა ტფილისის 1-ლ გიმნაზიის დარბაზში შესდგა კრება ქართულ და რუსულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა ახლად დაარსებულის საზოგადოებისა. გიმნაზიის ეკლესიაში საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ გადაიხადა პარაკლისი და შემდეგ დამსწრენი მიიწვიეს სააქტო დარბაზში. კრების გახსნის შემდეგ საზოგადოების მდივანმა ბ. ბოგოსლოვინსკიმ მოახსენა კრებას საზოგადოების დაარსების მიზანი და მოკლედ გადასცა წესდების შინაარსი. ამის შემდეგ, ბ. იაჩკოვმა წაიკითხა რეფერატი შესახებ სლავიანურ საეკლესიო გალობის აღორძინებისა და განვითარებისა, რის შემდეგაც გალობის მოყვარულთაგან შემდგარმა გუნდმა იაჩკოვის ლოტბარობით შეასრულა რამდენიმე საგალობელი. საზოგადოებას ძალიან მოეწონა რუსული „ღირს არს“-ი, დაწერილი ბ. კლენოვსკის მიერ ქართულ ღირს არსის კილოზე.

გალობის შემდეგ შეუდგნენ გამგეობის წევრების არჩევას; კენჭით არჩეულ იქმნენ: ვ. ნ. ბოგოსლოვსკი, მლ. ს. გოროდცოვი, ვ. კ. ვოსკრესენსკი, ნ. პ. ისაევი, მლ. ი. მიხაილოვსკი,

ა. ა. მირონოვიჩი, ი. გ. მონადირიშვილი, კ. მ. ნაილიონოვი, მლ. ნ. პოკროვსკი, გ. ნ. პახუნოვი, ს. ა. ტროიცი და ლ. მ. იაიჩკოვი.

კრებას დაესწრნენ: საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, საოლქო სამოსწავლო მზრუნველი ბ. ზავადსკი, ტფილისის გიმნაზიის დირექტორი და მრავალნი სხვანი.

344. ცნობის ფურცელი, 1902, 30 მარტი, №1767, გვ. 1

ქართული თეატრი

შაბათს, 30 მარტს, 1902 წელს ტფილისის სათავადაზნაურო თეატრში გამართულ იქნება კონცერტი, რომელშიაც იმღერებს გურულ ტანისამოსში გამოწყობილი ხორო გურულს, ქართულს, იმერულს, მეგრულს და კახურ სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორსართულიან ფერხულს და მეგრულს ნადურს თხოვნით ისე, როგორც ნამდვილ ყანაში ბ. ფ. ქორიძის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

345. ივერია, 1902, 5 მაისი, №95, გვ. 2

* * *

ტფილისი. ამას წინეთ, როგორც უკვე ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, კავკასიის მთავარმართებელმა დაათვალიერა ტფილისის სათავადაზნაურო სკოლა. მთავარმართებელს სკოლის მდგომარეობა ძრიელ მოეწონა და, სხვათა შორის, მეტად ესიამოვნა მოსწავლეთაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი. მთავარმართებელს სკოლის დათვალიერების დროს თან ახლდა ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ტარნოვსკი, რომელიც სიმღერა-გალობის კარგი მცოდნე და მოყვარულია. ახლა ამ ტარნოვსკის უთხოვნია სკოლის ლოტბარის ბ-ნ ზ. ჩხიკვაძისათვის სკოლაში მიერ ნაგალობებ ქართულ ხმებისაგან შედგენილი პოპური ნოტებზე გადამიღეთ და გადმომეცითო, რადგანაც ეს სიმღერა ძლიერ მომეწონა და შეიძლება ჩემის ხარჯით გამოვცეო. ჩხიკვაძეს ეს თხოვნა შეუსრულებია.

346. ივერია, 1902, 12 მაისი, №99, გვ. 2

* * *

ტფილისი. ცნობილ მეცნიერს, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ჰარნაკს, გაუცვინია საიუბილეო წიგნი ყოვლადსამღვდელო კირიონისა: «История Грузинской церкви XIX столетия» და ახლა იგი თხოულობს ნება მისცეს, ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ იქ მოქცეულ წერილის გერმანულად გადათარგმნისა, თავისს ჟურნალში დასაბეჭდად; ამასთანავე ატყო-

ბინებს ეპისკოპოსს კირიონს, რომ თუ იგი ისურვებს რისამე დამატებას მოხსენებულს წერილში, სიამოვნებით დაგბეჭდავთო.

347. ივერია, 1902, 5 ივნისი, №115, გვ. 2

ფელეტონი

ქართულ საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ამ უკანასკნელ ხანში ქართულ საეკლესიო გალობას მუსიკის მცოდნენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. რუსეთში ყველასაგან ცნობილი მუსიკის მცოდნენი ბ-ნი კლენოვსკი და კორეშჩენკო დიდ მნიშვნელობას აძლევენ ქართულ საეკლესიო გალობის მოკვლევის საქმეს. ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურაში ძლიერ ცოტა ცნობებია და რაცაა, ჯერ კიდევ თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილი არ არის. ეპისკოპოსს ალექსანდრეს, კირიონს, მამა კარბელაშვილებს, ფილიმონ ქორიძეს და სხვ., დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ საეკლესიო გალობის საქმეში, მაგრამ ყოველივე ეს შრომა პირველი ნაბიჯია ამ ძნელის საქმისათვის ნათელის მოსაფენად. ამიტომ, ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომელიც წაიკითხა საეკლესიო გალობის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს წევრმა იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილმა, 2 ამ თიბათვეს, ამ საზოგადოების წევრთა კრებაზე.

ბ-ნმა მონადირაშვილმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ საქართველო, კლასიკურ მწერლების მიერ „ივერიად“ წოდებული, ერთი უძველესი კულტურული ქვეყანააო. ქართველმა ერმა აწინდელი ტერიტორიული ბინადრობა ამიერკავკასიაში, სახელდობრ მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის ხეობებში, დაიმკვიდრა ქრისტეს დაბადებამდის მეშვიდე საუკუნეში. ქართველი ერი, კერძო თემებად განაწილებული, დასახლდა უმთავრეს მდინარეების მახლობლად და სულ მოკლე ხანში სავაჭრო აღებ-მიცემობა გამართა შავი ზღვის პირად მდებარე ბერძენების ახალშენებთან. სამხრეთით საქართველომ დაიჭირა დამოკიდებულება, საბაზრო აზრით, ფინიკიელებთან და ასურელებთან, რომელთაც უგზავნიდა მონებს და საქართველოშივე მომზადებულ სპილენძის ჭურჭელს. სწორედ იმ დროს, როცა ქართველებმა განაცხოველეს სავაჭრო კავშირი ევროპასა და აზიასთან, ბევრმა მეზობელმა ერმა მტრულის თვალთ დაუნყო ცქერა საქართველოს. ამ დროს უმთავრესს სავაჭრო ქალაქებს: მცხეთას, სურამს და შორაპანს უნდა ეთავათ სავაჭრო ურთიერთობის დაცვა და მთელის ქვეყნის მტრისაგან უზრუნველყოფა. მტრის წინაშე შიში ქართველთა სხვადასხვა თემებს უახლოვებს ერთმანეთს.

ალექსანდრე მაკედონელის მხედრობის საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში შემოსევამ, მატთან სიტყვით, ბევრად ხელი შეუწყო ქართველების გაერთიანების საქმეს. საქართველოს პირველმა მეფემ, ფარნაოზმა განათავისუფლა ქვეყანა უცხოელებისაგან და ჩასდგა მკვიდრის მოქალაქეობის საძირკველი. ფარნაოზის მეფობის დროს მოგონილ იქმნა ქართული ანბანი „მხედრული“ (!); მის მეფობის დროსვე დამკვიდრდა საქართველოში ცეცხლის კულტი, შემოღებულ იქმნა ზოროასტრის მოძღვრება და აღმართეს არმაზის ღმერთის კერპი. ქართველებს ჰყვანდათ საკუთარი ღმერთებიც, მაგ.: არეი, აინანი, დაინანი და სხვ., რომელთა წინაშე ქართველები გალობდნენ სადიდებელ ჰიმნებს: „იავნანა“, „დიდება“, „მზე შინა“ და სხვას.

საეკლესიო გალობის პირველ დასაწყის ხანად საქართველოში უნდა მივიღოთ მხოლოდ ქრისტიანობის შემოღების დრო.

საეკლესიო გალობის ისტორია შესაძლოა განაწილდეს ოთხ სხვადასხვა ხანად. პირველი ხანა იწყება ქრისტიანობის შემოღებიდან მათე საუკუნემდის; მეორე ხანა მეთორმეტე საუკუნის გასვლამდის; მესამე – XII საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდის და უკანასკნელი მეოთხე ხანა – ვიდრე ჩვენს დრომდის. თვითოეული მოხსენებული ხანა ბ-ნმა მონადირიშვილმა მოკლედ დაახასიათა და გააცნო საზოგადოებას საეკლესიო გალობის უმთავრესი ხასიათი.

ლექტორის სიტყვით, პირველ ხანაში, ქართული საეკლესიო გალობა კერპთაყვანისმცემლობის დროს მზამზარეულ მელოდიებით სარგებლობდა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ლექტორმა განმარტა, რომ ბევრი საერო სიმღერა და საეკლესიო საგალობელი, კერპთაყვანისმცემლობის დროისა, ერთის ხასიათის მელოდიებითაა განმარტებული. მაგალითად, „შენ გიგალობ“ და საერო სიმღერა „ვინცა კაცია, არნანო“ სრულიად ერთისა და იმავე მელოდიითაა განმარტებული, ხოლო ეს უკანასკნელი სიმღერა, ყოველს ექვს გარეშეა, კერპთაყვანისმცემლობის დროის მელოდიააო.

ივერიის ეკლესია თანდათან წარმატების გზას ადგია და ამის მიხედვით საეკლესიო გალობაც წარმატებაში მიდის. ეკლესიაში თანდათან შემოდის დროისა და შემთხვევის შესაფერი საეკლესიო მელოდიები. ამ ხანის საეკლესიო საგალობელთა თვალსაჩინო მთხზველად ჩაითვლება შიო მღვიმელი (VI საუკ.), რომლის მიერ შედგენილი ტროპარები მონასტერში დღესაც იგალობება.

შიო მღვიმელის გარდა, საეკლესიო საგალობლების მთხზველად, ცნობილნი არიან აგრეთვე სინას მონასტრის ბერმონაზონი იოანე და მღვდელი იოანე საბანისძე. IX საუკუნის დასაწყისს ივერიის ეკლესიაში უკვე დამთავრებული საეკლესიო გალობა გაისმოდა. მეორე ხანა ჩაითვლება საეკლესიო გალობის სრული განვითარების ხანად. საზოგადოებამ ამ დროს დიდი სიყვარული და ინტერესი გამოიჩინა საზოგადოდ ეკლესიის და კერძოდ, საეკლესიო გალობისადმი. საეკლესიო გალობას თვითონ მეფეები დიდის გულმოდგინებით სწავლობენ და ამასთანავე დიდ მფარველობასაც უწევენ. მეფე დავით აღმაშენებელი ამ დროის ერთი შესანიშნავი საეკლესიო საგალობელთა მცოდნე იყო. მთელი საქართველო მოიფინა სკოლებით, საცა, გარდა საერო საგნებისა, ასწავლიდნენ აგრეთვე საეკლესიო გალობასაც. ამ სკოლების მონაფენი მიქელ მოდრეკილი, კათოლიკოსი არსენი, ეპისკოპოსი იოანე მტბევარი და სხვანი შემდეგში შესანიშნავი საეკლესიო გალობის მცოდნენი იყვნენ.

ამ დროის საეკლესიო გალობის მცოდნენი უკვე სარგებლობდნენ ერთგვარის ნოტებით, რომლის ნიმუშები დღემდის დაცულია სამს კრებულში; ამათში ორი ინახება საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მესამე, მიქელ მოდრეკილის კრებული – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში. ბ-ნი მონადირიშვილი დანვრილებით აღნიშნავს ამ კრებულთა დიდ მნიშვნელობას საეკლესიო გალობის მკვლევართათვის.

ბოლოს, ლექტორი აღნიშნავს აგრეთვე ორს კრებულს: ალავერდის ძლისპირებს და გულანს, რომელთაც, ბ-ნი მონადირიშვილის აზრით, დასახელებულ კრებულებზედ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

მესამე ხანა საეკლესიო გალობის დაქვეითების ხანად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლამ დიდი გავლენა იქონია საეკლესიო გალობის განვითარებაზედ. შაჰ-აბასის მიერ საქართველოს დარბევის დროს ბევრი მონასტერი იქმნა განადგურებული, ბევრი საეკლესიო გალობის მცოდნენი იქმნენ წამებულნი. ისტორიამ სულ ცოტა, მცირე მასალა შეგვინახა ამ დროის საეკლესიო გალობის შესახებ. მიუხედავად ამ დაქვეითებისა, არაერთი სამღვდლო იღვწოდა კიდევ საეკლესიო გალობის განვითარები-

სათვის. ამგვარ მოღვაწეებად ლექტორმა დაასახელა კათალიკოსი არსენი ბულმაისის-ძე, გიორგი უყრული, მათე გოგიტიძე და სხვ.

მეოთხე ხანას ლექტორი საეკლესიო გალობის განახლების ხანათა სთვლის. საქართველო თანდათან თავისუფლდება მაჰმადიანთა მტარვალობისაგან, სახელმწიფოს წეს-წყობილების მექანიზმი საკეთილოდ იცვლება. ვახტანგ VI, კათალიკოსი ანტონი, გაიოზ მთავარეპისკოპოსი და ირაკლი მეორე დიდის გულმოდგინეობით სცდილობენ სხვადასხვა რეფორმების შემოღებას. სხვა რეფორმათა შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეის საეკლესიო გალობასაც. მცხეთისა, გელათისა და წმ. დოდოს მონასტერში საფუძვლიანად ფეხი მოიკიდა საეკლესიო გალობის გუნდმა. მთელს საქართველოში ამ დროს შესანიშნავ გუნდათ ითვლებოდა გელათის მონასტერში თამაზას საეკლესიო გუნდი. წმ. დოდოს მონასტერში საეკლესიო გალობის განსასპეტაკებლად იღწვოდა კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი.

საეკლესიო გალობას დიდ მფარველობას უწევდა თვით სამეფო გვარეულობა. ტახტის მემკვიდრეებს სავალდებულო საგნად ჰქონდათ მიჩნეული საეკლესიო გალობის შესწავლა. მეფე ირაკლი პირველის მეუღლემ ანნამ მემკვიდრე თეიმურაზ მეორეს მოუწვია საეკლესიო გალობის მასწავლებლად დიმიტრი ხელაშვილი. 1764 წელს ქართველ მღვდელმთავართა კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქმნა კათალიკოსის ანტონის პირველის მიერ, ირაკლი მეორის თანდასწრებით, საყოველთაოდ დაადგინეს – განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართულ საეკლესიო გალობასაო. ყოველ ამ ღონისძიებათა საშუალებით, საეკლესიო გალობა მეტად განვითარდა და სასურველ ნიადაგზე დამყარდა.

ბოლოს, ლექტორი შეეხო საეკლესიო გალობის მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და ამ ხანის უმთავრესი მომენტები დანვრილებით განუმარტა საზოგადოებას.

ა. ყუმისთაველი [ალექსანდრე მიქაბერიძე]

348. მწყემსი, 1902, 15 ივნისი, №11, გვ. 5-7

ქართული საეკლესიო გალობის მოკლე მიმოხილვა

უკანასკნელ ხანებში უწმიდესმა სინოდმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია საეკლესიო გალობას. წინეთ გალობას სასწავლებლებში დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ დღეს მკაცრი ყურადღება არის მიქცეული გალობის ჯეროვნად შესწავლაზე. მრავალ ადგილას იმართება საზოგადოება, ესრედ წოდებულ გალობის მოყვარულ პირთაგან. ეს საზოგადოებანი მართავენ სასულიერო კონცერტებს და ამნაირად საზოგადოება უმეტესად ეცნობა სასულიერო გალობას. 2 ამა ივნისის თვეს, საზოგადოებამ გამართა თფილისის პირველ ქალების გიმნაზიაში სასულიერო კონცერტი. აქ შეკრებილ საზოგადოების ერთმა წევრმა ბ. ი. გ. მონადირაშვილმა გააცნო საზოგადოება მოკლე ქართული საეკლესიო გალობის ისტორიას. სიამოვნებით ვბეჭდავთ ბ. მონადირაშვილის რეფერატს ჩვენი ქართული საეკლესიო გალობის შესახებ.

ბ-ნმა მონადირაშვილმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ საქართველო, კლასიკურ მწერლების მიერ „ივერიად“ წოდებული, ერთი უძველესი კულტურული ქვეყანააო. ქართველმა ერმა აწინდელი ტერიტორიალური ბინადრობა ამიერკავკასიაში, სახელდობრ

მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის ხეობებში, დაიმკვიდრა ქრისტეს დაბადებამდის მეშვიდე საუკუნეში. ქართველი ერი, კერძო თემებად განაწილებული, დასახლდა უმთავრეს მდინარეების მახლობლად და სულ მოკლე ხანში სავაჭრო აღებ-მიცემობა გამართა შავი ზღვის პირად მდებარე ბერძნების ახალშენებთან. სამხრეთით საქართველომ დაიჭირა დამოკიდებულება საბაზრო აზრით ფინიკიელებთან და ასურელებთან, რომელთაც უგზავნიდა მონებს და საქართველოშივე მომზადებულ სპილენძის ჭურჭელს. სწორედ იმ დროს, როცა ქართველებმა განაცხოველეს სავაჭრო კავშირი ევროპასა და აზიასთან, ბევრმა მეზობელმა ერმა მტრულის თვალთ დაუწყო ცქერა საქართველოს. ამ დროს უმთავრესს სავაჭრო ქალაქებს: მცხეთას, სურამს და შორაპანს უნდა ეთავათ სავაჭრო ურთიერთობის დაცვა და მთელის ქვეყნის მტრისაგან უზრუნველყოფა. მტრის წინაშე შიში ქართველთა სხვადასხვა თემებს უახლოვებს ერთმანეთს.

საეკლესიო გალობის პირველ დასაწყის ხანად საქართველოში უნდა მივიღოთ მხოლოდ ქრისტიანობის შემოღების დრო.

საეკლესიო გალობის ისტორია შესაძლოა განაწილდეს ოთხ სხვადასხვა ხანად. პირველი ხანა იწყება ქრისტიანობის შემოღებიდან მათე საუკუნემდის; მეორე ხანა მეთორმეტე საუკუნის გასვლამდის; მესამე – XII საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდის და უკანასკნელი მეოთხე ხანა – ვიდრე ჩვენს დრომდის. თვითოეული მოხსენებული ხანა ბ-ნმა მონადირაშვილმა მოკლედ დაახასიათა და გააცნო საზოგადოებას საეკლესიო გალობის უმთავრესი ხასიათი.

ივერიის ეკლესია თანდათან წარმატების გზას ადგია და ამის მიხედვით საეკლესიო გალობაც წარმატებაში მიდის. ეკლესიებში თანდათან შემოდის დროისა და შემთხვევის შესაფერი საეკლესიო მელოდიოები. ამ ხანის საეკლესიო საგალობელთა თვალსაჩინო მთხზველად ჩაითვლება შიო მღვიმელი (VI საუკ.), რომლის მიერ შედგენილი ტროპარები ამ წმინდანის მონასტერში დღესად იგალობება.

შიო მღვიმელის გარდა საეკლესიო საგალობლების მთხზველებად ცნობილი არიან აგრეთვე სინას მონასტრის ბერ-მონაზონი იოანე და მღვდელი იოანე საბანისძე. IX საუკუნის დასაწყისს ივერიის ეკლესიაში უკვე დამთავრებული საეკლესიო გალობა გაისმოდა. მეორე ხანა ჩაითვლება საეკლესიო გალობის სრულ განვითარების ხანად. საზოგადოებამ ამ დროს დიდი სიყვარული და ინტერესი გამოიჩინა საზოგადოდ ეკლესიის და კერძოდ, საეკლესიო გალობისადმი. საეკლესიო გალობას თვითონ მეფეები დიდის გულ-მოდგინებით სწავლობენ და ამასთანავე დიდ მფარველობასაც უწევენ. მეფე დავით აღმაშენებელი ამ დროის ერთი შესანიშნავი საეკლესიო საგალობელთა მცოდნე იყო. მთელი საქართველო მოიფინა სკოლებით, საცა, გარდა საერო საგნებისა, ასწავლიდნენ აგრეთვე საეკლესიო გალობასაც. ამ სკოლების მონაფენი მიქელ მოდრეკილი, კათალიკოსი არსენი, ეპისკოპოსი იოანე მტბევარი და სხვანი შემდეგში შესანიშნავნი საეკლესიო გალობის მცოდნენი იყვნენ.

ამ დროს საეკლესიო გალობის მცოდნენი უკვე სარგებლობდნენ ერთგვარის ნოტებით, რომლის ნიმუშები დღემდის დაცულია სამს კრებულში; ამათში ორი ინახება საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მესამე, მიქელ მოდრეკილის კრებული, – ქ. შორის წერა-კით. გამავრც. საზოგადოების წიგნთ-საცავში. ბ-ნი მონადირაშვილი დაწვრილებით აღნიშნავს ამ კრებულთა დიდ მნიშვნელობას საეკლესიო გალობის მკვლევართათვის.

ბოლოს ლექტორი აღნიშნავს აგრეთვე ორს კრებულს: ალავერდის ძილის-პირებს და გულანს, რომელთაც, ბ-ნი მონადირაშვილის აზრით, დასახელებულ კრებულებზედ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

მესამე ხანა საეკლესიო გალობის დაქვეითების ხანად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლამ დიდი გავლენა იქონია საეკლესიო გალობის

განვითარებაზედ. შაჰ-აბაზის მიერ საქართველოს დარბევის დროს ბევრი მონასტერი იქმნა განადგურებული, ბევრი საეკლესიო გალობის მცოდნენი იქმნენ წამებულნი. ისტორიამ სულ ცოტა, მცირე მასალა შეგვინახა ამ დროის საეკლესიო გალობის შესახებ. მიუხედავად ამ დაქვეითებისა, არა ერთი სამღვდლო იღწვოდა კიდევ საეკლესიო გალობის განვითარებისათვის. ამგვარ მოღვაწეებად ლექტორმა დაასახელა კათალიკოსი არსენი ბულმაისის-ძე, გიორგი უყრული, მათე გოგიტიძე და სხვ.

მეოთხე ხანას ლექტორი საეკლესიო გალობის განახლების ხანათა სთვლის. საქართველო თანდათან თავისუფლდება მაჰმადიანთა მტარვალობისაგან, სახელმწიფოს წესწყობილების მექანიზმი საკეთილოდ იცვლება. ვახტანგ VI, კათალიკოსი ანტონი, გაიოზ მთავარეპისკოპოსი და ირაკლი მეორე დიდის გულმოდგინებით სცდილობენ სხვადასხვა რეფორმების შემოღებას. სხვა რეფორმათა შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს საეკლესიო გალობასაც, მცხეთისა, გელათისა და წმ. დოდოს მონასტერში საფუძვლიანად ფეხი მოიკიდა საეკლესიო გალობის გუნდმა. მთელს საქართველოში ამ დროს შესანიშნავ გუნდათ ითვლებოდა გელათის მონასტერში თამაზას საეკლესიო გუნდი. წმ. დოდოს მონასტერში საეკლესიო გალობის განსასპეტაკებლად იღწვოდა ქათალიკოსი ზაქარია ქვარიანი.

საეკლესიო გალობას დიდ მფარველობას უწევდა თვით სამეფო გვარეულობა. ტახტის მემკვიდრეებს სავალდებულო საგნად ჰქონდათ მიჩნეული საეკლესიო გალობის შესწავლა. მეფე ირაკლი პირველის მეუღლემ ანნამ მემკვიდრე თეიმურაზ მეორეს მოუწვია საეკლესიო გალობის მასწავლებლად დიმიტრი ხელაშვილი. 1764 წელს ქართველ მღვდელმთავართა კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქმნა კათალიკოსის ანტონის პირველის მიერ, ირაკლი მეორეს თანდასწრებით, საყოველთაოდ დაადგინეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართულ საეკლესიო გალობასაო. ყოველ ამ ღონისძიებათა საშუალებით საეკლესიო გალობა მეტად განვითარდა და სასურველ ნიადაგზე დამყარდა.

ბოლოს, ლექტორი შეეხო საეკლესიო გალობის მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და ამ ხანის უმთავრესი მომენტები დაწვრილებით განუმარტა საზოგადოებას. („ივერია“)

დკ. დ. ლამბაშიძე

(შემდეგი იქნება)

349. მწყემსი, 1902, 15 ივნისი, №11, გვ. 16

დ. ყვირილაში

მასწავლებელი სერგი ჯინჭველაშვილი ოც ივნისიდან ასწავლის ქართულს გალობას: წირვისა, ლოცვისა და მიცვალებულის წესებს ბ. ბ. ფ. ქორიძისა და მ. კარბელაშვილის ნოტების საშუალებით. აგრეთვე, ამზადებს მოსწავლეებს, რომელთაც განმეორებითი გამოცდა აქვთ დანიშნული რუსულ-ქართულ გალობაში.

ბინა: ყანჩაველის სახლები, ზედა ხიდის პირდაპირ.

ქართულ საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

დასასრული*)

ჩვენის მხრით, ორიოდე სიტყვა უნდა დავსძინოთ ხსენებულს საეკლესიო გალობის მოკლე მიმოხილვას.

ამ უკანასკნელ ხანაში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რაც ამ უკანასკნელი საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის შთამომავლობას ემჩნევა. ამ მოვლენის დაწვრილებით მიზეზების გამორკვევას ჩვენ ვერ გამოვუდგებით, ეს ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ბოლო ხანებში უყურადღებობა ემჩნეოდა და ემჩნევა საზოგადოებას საეკლესიო გალობის შესახებ – ის არ იყო სრულებით გავრცელებული ამ ბოლო საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. წინადა საეკლესიო გალობისა ცოდნა გავრცელებული იყო საყოველთაოდ ქართველ საზოგადოებაში და მეტადრე თავადაზნაურობაში, ეს ცოდნა გადადიოდა შთამომავლობიდან შთამომავლობაზე, რომელთა შორის ბევრი სახელგანთქმულიც შეიქნებოდა ხოლმე, ხოლო საშუალო ცოდნა საეკლესიო გალობის შეადგენდა საყოველთაო თვისებას ქართველობისას. მათთვის დიდად სასიამოვნო იყო ერთად შეგროვება და გუნდად გალობის თქმა ეკლესიაში დღესასწაულობაზე და ხშირად ერთსაც არ სჯერდებოდნენ და მრავალგუნდოვან გალობასაც გააჩაღებდნენ ხოლმე ეკლესიებში. ეს ჩვეულება სიამოვნებას გარდა თვითეულს მიაჩნდა თავის ზნეობრივ მოვალოების აღსრულებად. ამნაირად ეჩვეოდა ყველა და თვის შემდეგ მომავალ თაობას უტოვებდა საშვილიშვილო ანდერძად ამ თვისებას. ამას არ სჭირდებოდა არც არავისი დახმარება და არც ქონებრივი ხარჯი. გარდა ამისა, საეკლესიო საგალობლების თქმა შეადგენდა ხოლმე საუკეთესო სიამოვნებას საზოგადო ნადიმებზე და სუფრაზე. არც ერთი ლხინი და საზოგადო სუფრა არ იქნებოდა ისე გამართული, რომ მრავლად სძლიისპირები არ ეგალობნათ, რომელთა შინაარსითაც და კილოთიც სტკებოდნენ მსმენელნი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ჩვეულება წარმოადგენდა საყოველთაოდ გავრცელებულს მოვლენას საქართველოს ყველა კუთხეებში. ესლაც ბევრნი არიან მომსწრენი ამ ჩვეულებისა.

მაგრამ განვლო კიდეც ცოტა ხანმა და უცებ დაეტყო ამ ჩვეულებას შემცირება და სულ სხვა მოვლენამ იჩინა თავი. თანდათან დაეტყო შემცირება ქართული საეკლესიო გალობის მცოდნეთა რიცხვს, უფრო და უფრო საიშვიათო პირებად გახდნენ ნამდვილი მისი მცოდნენი, და ბოლოს არა თუ მრავალგუნდოვანი გალობა, არამედ ერთი გუნდიც აღარ დარჩა ეკლესიებში საგალობლად და მთელს საქართველოში სანთლით საძებარნი გამხდარან კარგი მცოდნენი საეკლესიო გალობისა. ესლა მხოლოდ რამოდენიმე გვარსლა შერჩენია გალობის კარგი ცოდნა და მათი რიცხვიც მეტად მცირეა.

რამ შეუწყო ხელი ასეთ მსწრაფლ დაცემას ქართული საეკლესიო გალობისას ქართველ საზოგადოებაში – ჩვენ ვიმეორებთ, არ შეგვიძლია ამის გამორკვევას შევეუდგეთ – მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ეს მოვლენა, როგორც რომ დასანანებელი და მეტად სამწუხარო. რაც საუკუნოებათა განმავლობაში ვითარდებოდა და თანდათანის გაუმჯობესებით სრულყოფისაკენ მიდიოდა მრავალ შთამომავლობათა შრომითა და მეცადინეობით – ის მსწრაფლად მიეცა აღმოფხვრას და შთანთქმას ამ მცირე ხნის განმავლობაში. და ესლა ამის დაბრუნება გვიანლა და ყოვლად შეუძლებელიც. დიალ! ადვილი იყო ამ ჩვეულების მოსპობა, მაგრამ ადვილი აღარ არის ამ თვისების საყოველთაოდ გავრცელება და ხელახლად თვითეულ ქართველის აუცილებელ კუთვნილებად გარდაჰქმნა. სჩანს, უნდა ყოფილიყო არსებითი რამ

დაბრკოლება, რომლის მეოხებითაც ძალაუნებურად შეფერხდა საეკლესიო ქართული გალობის საქმე და რამაც ხალხი მიიყვანა სრულ გულგრილობამდე ამ საქმეში. მერე, ისიც ისეთ საქმეში, რაც კი შეადგენდა მისთვის საუკუნოებით დამკვიდრებულს და საყოველთაოდ გავრცელებულს სულიერს მოთხოვნილებასა და თვისებას.

ჭეშმარიტად დამაღონებელია და დამაფიქრებელი ეს მოვლენა სხვა სამწუხარო მოვლენებთან ერთად, რომელთა რიცხვი არა ერთი და ორია, არამედ მრავალი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში.

დეკ. დ. ლამბაშიძე

^{*)} იხ. „მწყემსი“ №11, 1902,

351. ცნობის ფურცელი, 1902, 13 ივლისი, №1865, გვ. 3-4

წერილი რედაქციის მიმართ

რადგანაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განზრახვა აქვს დააარსოს საზოგადოების მუზეუმთან სამუსიკო საკრავების განყოფილება, უმორჩილესად გთხოვთ, დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ ჩემს წერილს ხსენებულ საქმის შესახებ.

ქართულის სამუსიკო საკრავების მუზეუმის დაარსება, ამჟამად, მარტო სასურველი კი არა, ძალიან საჭიროც არის, რადგანაც ის იშვიათი და ცოტაოდენი საკრავები, რომელიც აქამდის შეგვრჩა, საცაა დაიკარგება და სამუდამოდ დაივიწყება.

საკრავები კი მოიპოვება კიდევ, დიახ, საგანგებო: ფოთში, მაგალითად, შემხვდა ერთი ცხრასიმიანი ჩანგი, საგონებელია ფინიკიდან წარმომდგარი. მოსკოვში, დაშკოვის საეთნოგრაფიო მუზეუმში კი ვიპოვე თერთმეტსიმიანი ქართული ჩანგი და ერთი ექვსსიმიანი, ისიც, მგონია, ქართული. გურიაში ვნახე ჭიანური, რომელსაც განსხვავება აქვს ქართლ-კახეთში ხმარებულ სპარსულ ჭიანურთან. მითხრეს, რომ სადღაც იმერეთში იპოვება საკრავი, სწორედ ისეთი, როგორიც რუსული „გუსლია“. ისიც გადმომცეს, ვითომც ერთს თავადი-შვილს იმერეთში (გვარი დამავიწყდა) ჰქონდეს რაღაც ქვის საკრავიო, რომელზედაც მისმა პატრონმა, თავის ძმით მხოლოდ იცოდეს დაკვრაო. ამას გარდა, რაჭაში მოიპოვება თურმე ისეთი საკრავი, რომელსაც მნახველის სიტყვით, მსგავსება აქვს ბერძნულ ლირასთან.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ მოიპოვება ჩვენში უგულვებელყოფილი, ხოლო ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ჩვენის კულტურის და სახალხო მუსიკის ისტორიისათვის, და მაგას მოძებნა უნდა და ერთს ალაგას თავის მოყრა. მოსკოვში, დაშკოვის საეთნოგრაფიო მუზეუმში, ჩანგისა, წინწილისა და ლოროტოტოს გარდა, არის ასეთი საკრავები, როგორც: ქართლ-კახური ფანდური, სვანური ფანდური და ჭუნირი, რაჭული სვიტრი, ქართლ-სპარსული თარი, ჭიანური, ჩონგური, დიპლიპიტო, დაირა და სხვ., რომელნიც ტფილისში თუმცა ყველგან ადვილად მოიპოვება, მაგრამ არც ერთს აქაურს მუზეუმს კი არა აქვს. ამას გარდა, დარწმუნებული ვარ, რომ მრავალს ქართველს ოჯახში მოიპოვება ძველებური სამუსიკო საკრავი, სახლში გამოუსადეგი და დავიწყებული ავეჯი, მუზეუმისათვის კი ძვირფასი და მნიშვნელოვანი.

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც კი ასეთი რომელიმე სამუსიკო საკრავი სახლში მოეპოვებოდეს, შემოსწიროს წერა-კითხვის საზოგადოებას სამუსიკო მუზეუმისათვის. ეჭვი

არ არის, რომ წერა კითხვის საზოგადოება ყველა საკრავს დიდის მადლობით მიიღებს და შემომწირველის სახელს დავინწყებას არ მისცემს. შემომწირული საკრავი შეიძლება გამოუგზავნოს ან ნ.-კ. საზოგადოების გამოგებას ან „ივერიის“ რედაქციას, მომავალი მუზეუმისათვის გადასაცემად. კარგი იქნებოდა, რომ შემომწირველებმა დაანერონ გამოგზავნილ საკრავებზე თავიანთი ვინაობა და სადაობა და აგრეთვე, აცნობონ ყველა, რაც კი იციან ან გაუგონიათ შემომწირულ სამუსიკო საკრავის შესახებ.

ძველებურ საკრავების გარდა, ბევრი ასეთი თავისთავად უბრალო და იაფი საკრავია, რომელიც ქალაქში ვერ იყიდება და მუზეუმისათვის შეძენა გასაჭირი იქნება. მაგალითად, მეგრული მეცხვრის საყვირი, სამეგრელოში აბაზზე არა უძვირესი, ტფილისში მას ვერსად ნახავთ და ვერ იყიდით. ვინც კი სამეგრელოში სცხოვრობს, იმისათვის დიდი შესანიშნავი არ იქნება ერთი ასეთი საკრავი გამოუგზავნოს მუზეუმს. იგივე ითქმის სალამურისა, სოინარისა და სხვა ამგვარ საკრავების შესახებ.

სასურველია, რომ იმათ, ვისაც შეუძლიანთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ მომავალს მუზეუმს, გაითვალისწინონ მომავალ მუზეუმს, გაითვალისწინონ ამ დაწესებულების დიდი მნიშვნელობა და, დარწმუნებული ვარ, მაშინ არაფერს დაზოგავენ განზრახულის საქმის ასასრულებლად. ჩვენის სამუსიკო საკრავების კრებული, თავის სპეციალის დანიშნულობის გარდა, დიდს სამსახურს გაუწევს აგრეთვე ჩვენს ისტორიკოზებს, ვით ნივთიერი გამომხატველი ჩვენის მრავალსაუკუნის კულტურისა და ჩვენის აღებ-მიცემობისა და ურთიერთობისა სხვა ხალხებთან.

ამიტომაც უმორჩილესადა ვთხოვ, ყველა განათლებულსა და შეგნებულს ქართველს ხელი შეუწყოს, შეძლებისდაგვარად, ამ საერთო ქართულ საქმეს და არ დაიშუროს ან თავისი შრომა, ან შესანიშნავად რომელიმე სამუსიკო საკრავი, თუ სახლში მოეპოვება.

ვთხოვ, სხვა ჟურნალ-გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

დიმიტრი არაყიშვილი

352. ცნობის ფურცელი, 1902, 27 ივლისი, №1879, გვ. 3

სოფლური შთაბეჭდილებანი და ფიქრები

ამ თვის პირველ რიცხვებში იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი შეუდგა ზემო იმერეთში ხარაგაულის საბლალოჩინო ოლქის ეკკლესიების განხილვას. გავიგე თუ არა მათის მეუფების მობრძანება სოფელ ნიფას, გავემურე იქით, როგორც იმერეთის ეპარქიის მოსამზღვრე მღვდელი, ლოცვა-კურთხევის მისაღებად მათის მეუფებისაგან. ნიფიდან 4 ივლისს სხვებთან ერთად მეც გავყევი პატივსაცემ მოგზაურს სოფელ ხევისჯვრისკენ. გზა მიდიოდა, მთა-მთა, ჯერ მძიმე აღმართით და მერე ამასთანავე თავდაღმართით. რაკი აივაკებთ მთა მაღალია, ალაგ-ალაგ გაშლილიც, და მშვენიერს სანახაობას წარმოუდგენს მგზავრს: აქვთ დასჩერებისხართ სურამს და მთელს ზემო ქართლს, იქით ზემო და ქვემო იმერეთს დავაკებამდე. სამწუხაროდ, დღე ღრუბლიანი იყო და კაცს სავსებით არ შეეძლო დამტკბარიყო ბუნების სიმშვენიერის ჭვრეგით... მთაზე ხუნევის საზოგადოების მამასახლისს მშვენიერი კალმახები ამოეტანა და სხვა საუზმე, ამ აზრით, რომ მთის წვერზე დავმსხდარიყავით, მაგრამ წვიმამ ხელი შეგვიშალა და სოფელ ხევისჯვრამდე გადავდეთ საუზმე...

...სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ. ყოვლადსამღვდელო დიდად სწუხს, რომ ქართლ-კახური და იმერული კილოები ჯერ ვერ შეეუთანხმეთ

ერთმანეთს, დასაწინი ორივეში ვერ დავინუნეთ და მოსაწინი მოვიწინეთ. მათის მეუფების აზრია, საუკეთესო საგალობლები ორივე გალობიდან გამოკრიბოს და ერთნაირად მივიღოთ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში. უპირატესობას ყოვლად სამღვდელო ქართლ-კახურ კილოს აძლევს, თუმცა ჩვენის ფიქრით, ეს აზრი სადავოა. გალობის საქმე ჩვენში საგულისხმი-ეროა და სამღვდელოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. არ ვიცით, უნდა გვიხაროდეს თუ არა, და ამ ბოლოს დროს გამოვიდა საეკლესიო საგალობლები, დაწერილი ეგრედ წოდებული „კარბელაანთ კილოთი“. გალობის ნოტებზე გადაღება და გამოცემა სასურველია მუსიკის მცოდნე კაცთაგან და არა მოვარჯიშეთაგან. თუ რად დაისაკუთრა ერთმა გვარმა მთელის ერის განძი და თავისი სახელი დაარქვა – ეს ღმერთმა უწყის, მხოლოდ ჩვენ კი გვგონია, რომ ეს შეცდომაა. ნუთუ ქართლ-კახეთში ისე დაეცა გალობა, რომ კარბელაშვილების მეტმა აღარავინ იცოდა იგი და თუ იცოდა ვინმემ, რაღა საჭირო იყო საეროვნო გალობის ერთის გვარის მიერ დასაკუთრება? მამ იმერულ გალობასაც დუმბაძისა, ჭალაგანიძისა და სხვათა სახელი უნდა ერქვას!

საზოგადოდ, გალობის საქმემ ვერ მოიკიდა ჯერ კიდევ ხეირიანად ფეხი. ზოგიერთ ახირებულ აზრს აინიჟებს და კი არ იცის, რაზედ არის იგი დამყარებული. იმერულ გალობას, მაგალითად, ყველა აძაგებს, მაგრამ ვიკითხავთ: ბევრს მოუხმენია ეს გალობა მუსიკის კაცის ხელმძღვანელობით? მგონია, არა! ვიძახით კი – იმერული გალობა „იკლიკანტურია“, გაფუჭებულია და სხვა. ცუდად გადაღებული და შეუმუშავებელი გალობა, რასაკვირველია, არსად არ ივარგებს. ახლა იმერეთში საგალობლები გადაუღია ნოტებზე რაჟდენ ხუნდაძეს და სამღვდელოებაც თავისს ხარჯით ჰბეჭდავს თურმე. დამეთანხმებით, რომ მუსიკის ანბანის ცოდნა არა კმარა ამისთანა საქმისათვის. თუ საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიგიღიათ, მოჰკიდეთ საქმეს ხელი, თუ არა და ან თქვენს თავს რად აწუხებთ, ან ქვეყანას? სამღვდელოება მოვალეა ეს საქმე მცოდნე კაცთ მიანდონ...

ქრისტეფორე

353. ივერია, 1902, 27 აგვისტო, №182, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად ვსთხოვ, პატივცემულ რედაქციას მცირე ადგილი დაუთმოს ამ მცირე წერილს. მე მესმის აქეთ-იქიდან, განუზრახავთ და თითქო სისრულეშიაც მოჰყავთ, რომ ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი) ვითომ ერთის და ორის ხმით უნდა გამოსცენო „მწუხრი“ და „ცისკარი“, ან არადა „საგალობელთა კრებული“ სკოლებში სახმარებლად, და ნაჩვენები იქნება ავტორის შრომაო, საიდანაც ამოღებული იქმნებაო. მე ამგვარს შრომას, შემდეგ „მწუხრისა“ და „ცისკრის“ დაბეჭდვისა ჩემ მიერ ვსცნობ შრომის მითვისებად, ვისგანაც უნდა იყოს დაბეჭდილი და ვისის ბრძანებითაც უნდა იყოს გამოცემულ-დაბეჭდილი ჩემ დაუკითხავად. მე ამას არ დავთმობ და კანონით მოვითხოვ შებღალულ უფლების აღდგენას.

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი

ვსთხოვ რუსულ-ქართულ გაზეთების რედაქციებს გადაჰბეჭდოს ეს წერილი თავიანთ გაზეთებში.

3-კ

ბიბლიოგრაფია

И. Г. Каргаретели – Краткий очерк грузинской народной музыки – Цена 30 к.

თავის ბროშურით ბ-ნმა კარგარეთელმა, შეძლებისადაგვარად, შეავსო ის ნაკლი, რომელიც აჩნდა ქართულის მუსიკის ნორჩ ლიტერატურას.

როგორც ჰმარტებდა, ავტორი გვიამბობს ჩვენის მუსიკის ისტორიას ჯერ წარმართობის დროისას და ამის თაობაზედ გვიზიარებს მრავალს საინტერესო აზრს, და მერე – ქრისტიანობის დროისას. საქრისტიანო მუსიკაში ავტორი განარჩევს სასულიერო და საერო მუსიკას და მოჰყავს ისტორიულს რიგზედ ყოველი ცნობა, რაც კი შესახებ ჩვენს ძველს სიტყვიერებაში მოხსენებულია.

მისგან წარმოთქმულს აზრებში ჩვენ მხოლოდ ერთს ვერ ვეთანხმებით: ავტორის თქმით ქართულის მუსიკის ახალი ხანა X საუკუნის ნახევრიდან იწყება; ჩვენ კი გვგონია, რომ ახალ ხანად უფრო სამართლიანად საქართველოს მოქცევის დრო უნდა ითვლებოდეს, X საუკუნის ნახევარი კი მხოლოდ განვითარების შემდგომი ხანაა.

ქართულ სამუსიკო საკრავების განხილვის შემდეგ ბ-ნი კარგარეთელი აღნუსხავს კომპოზიტორებს, რომელთაც თავიანთ მუსიკალურ ნაწარმოებისათვის ქართული სიმღერები გამოუყენებიათ და იმ მწერლებს, რომელთაც ჩვენს მუსიკაზედ რაიმე უწერიათ. პირველთაგანვე ავტორი რომ იხსენებს რუბინშტეინს, ჩვენ ვერ მივემხრობით იმის აზრს, ვითომც რუბინშტეინის «Ноченька» ქართული სიმღერა იყოს. თუ ქართული სიმღერაა, ძალიან გადაკეთებული ყოფილა და თავისებური ცოტა რამ აჩნევია. იმავე კომპოზიტორის მეორე სიმღერას «Какое солнышко»-ს ისეთი გადიდებული სეკუნდა აქვს, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენს „ერიო-ერიო“ შეეფარდოს. რაიცა შეეხება ჩაიკოვსკისაგან ჩვენის „იავნანის“ არაბულ ცეკვად გადაკეთებას, ეგ დიალამც, სახალხო სიმღერის შეგინებაა, თუმცა, შესაძლებელია, შეუგნებლობისაგანაც იყოს წარმომდგარი.

ხოლო როდესაც ბ-ნი კარგარეთელი ჩამოაგდებს სიტყვას იმ მწერლებზედ, რომელთაც ან ქართულ სახალხო მუსიკაზედ უწერიათ რამე, ან ზოგი ჩვენი სიმღერები შეუფროვებიათ, ჩვენა გვგონია, რომ ავტორი მეტად აზვიადებს კლენოვსკისა, კორეშჩენკოსა და იპოლიტოვიანოვის ღვაწლს. დიალამც, ამ მემუსიკეებმა და მეტადრე იპოლიტოვიანოვმა, ამაგი დასდეს ჩვენს მუსიკას, მაგრამ არც ისეთი რამ, რომ მაგოდენა ქება-დიდების ღირსნი ყოფილიყვნენ.

ზემოხსენებულ ნაკლსა და ზოგს სხვა წვრილმანს გარდა, ბ-ნი კარგარეთელის ბროშურაში მოიპოვება მრავალი საინტერესო ცნობა, რომლის შეძენა ფრიად სასარგებლო იქნება, როგორც სპეციალისტისათვის, ისე ყველა განათლებულ ქართველისათვის. ამიტომაც ვუსურვებთ ბ-ნი კარგარეთელის წიგნს გავრცელებას საქართველოში.

დიმიტრი არაყიშვილი

*** * ***

ტფილისი. გამოვიდა და ისყიდება ქართული საეკლესიო საგალობლები, ოთხ ხმაზედ განწერილი ცნობილი რუსი კომპოზიტორის ბ-ნი ნ. კლენოვსკის მიერ. ამჟამად ტფილისის

სათავადაზნაურო სკოლის გალობის მასწავლებელს ზაქარია ჩხიკვაძეს განზრახვა აქვს საგალობლები შეასწავლოს სკოლის მონაფეთა მომღერალ გუნდს და შემდეგ მცოდნე კაცთა თანდასწრებით შეამონმოს, რამდენად სისწორითაა გადაღებული ბ-ნ კლენოვსკის მიერ ხსენებული საგალობლები.

356. მწყემსი, 1902, 15 სექტემბერი, №17, გვ. 2-3

ქართული გალობა ყვირილის ეკლესიაში

დიდის ხნიდან მეცადინეობდა ყვირილის ეკლესიის წინამძღვარი, რომ რიგიანი ქართული მგალობლების გუნდი დაეარსებინა ხსენებულ ეკლესიაში და ბევრიც ეცადა რუსული გალობის მასწავლებლებთან – წერეთელთან, მალრადესთან და კელენჯირიძესთან, მაგრამ არა იქმნა რა. ისინი ამბობდნენ: რუსულად შეგვიძლია ვასწავლოთ და ქართულის არა ვიცით რაო. ივნისის თვიდან მოუწოდა საჩხერის სკოლის გალობის მასწავლებელს – ჯინჭველაშვილს, რომ გაეწყო ქართულ მგალობელთა გუნდი და ესწავლებინა ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებულ ნოტებით. აღმოსჩნდნენ მსურველები, მაგრამ ფულის საშუალება მათ არ ჰქონდათ. ფულის სახსარიც თვითონ დეკ. ღამბაშიძემვე აღმოუჩინა იმ პირობით, რომ შემდეგ გამოურიცხავს მათ მისაცემ ფულიდან, რომელსაც ყოველ წირვაზე გალობისთვის მისცემს მათ და როცა ვალს გაისტუმრებენ, მერე მიცემულ ფულს თავიანთ სასარგებლოდ წაიღებენ. ცოტა დროის განმავლობაში ისე მშვენივრად შეისწავლეს ეს გალობა, რომ ყველას აკვირვებენ. მწუხრზე და ცისკარზე ზოგიერთ საგალობლებს ისე მშვენივრად გალობენ, რომ მეტათ ატკობენ მლოცველთა სმენას...

სოფელ სვირში ამ ზაფხულობით იყო მიპატიჟებული გალობის სასწავლებლად ჩვენი ცნობილი მგალობელი მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე, რომელიც 8-10 კაცს ასწავლიდა ქართულ გალობას. კილო ხუნდაძის გალობისა და ფილიმონ ქორიძის გადაღებული ნოტებით, სხვადასხვა არის და საზოგადოებაში ამ სხვადასხვაობამ რალაც არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა დაბადა. მღვდელმა რ. ხუნდაძემ ითხოვა ყვირილის ეკლესიის წინამძღვრის ნებართვა ყვირილის ეკლესიაში გალობისა 15 მარიამობისთვის. წინამძღვარმა მისცა ნება. მამა ხუნდაძემ მოიყვანა მისგანვე ნასწავლი – სვირში მცხოვრებნი გლეხები სახელდობრ: ივანე გენაძე, ანდრია ორბელაძე, სპირიდონ ხიდაშელი, ალექსი სამსონ წაქაძე და ბასილა მაღლაქველიძე. ამათ იგალობეს მშვენივრად მთელი წირვის წესი ხუნდაძისვე ლოტბარობით. ხშირად შეგხვდებათ გალობის მოსმენა მამა ხუნდაძისაგან ნასწავლთა და ფილიმონ ქორიძის გადაღებულ ნოტებით ნასწავლ გალობას. სამწუხაროა, რომ დღემდისინ არავინ განუმარტა თვით გალობის მცოდნემ ცნობის მოყვარე საზოგადოებას განსხვავება ამ გალობათა. ფილიმონ ქორიძეს მამა ხუნდაძემ, წერეთელმა და ჭალაგანიძემ გადაალებია ქართული გალობა ნოტებზე, მაშასადამე, იმავე რაჟდენ ხუნდაძის გალობა არის ერთიცა და მეორეც და წინააღმდეგობა ამ ორი კილოს გალობაში არა არის რა. ხუნდაძის გალობა, რომელსაც ის ასწავლის ხალხს არის სადა, უბრალო და არა ჭრელი და კლიმანჭურიანი. ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებული გალობა კი, გამშვენიებული და უფრო სადღესასწაულო, გრძელი. გალობის ნოტებზე გადაღების დროს ერთი დიდი შეცდომა მოხდა. პირველად უნდა შედგენილიყო სადა, უბრალო კილო, საადვილო ყველასათვის და შემდეგ გამშვენიებული და გრძელი. თუ საზოგადოებაში უბრალო, სადა კილოს გალობა გავრცელდა, შემდეგ გავარჯიშებული გალობაც ადვილია. რუსებს ერთნაირი, უბრალო კილოს

გალობა აქვთ წირვისა, რომელსაც წირვაზე თითქმის ყველა მლოცველი გალობენ და დღე-სასწაულ დღეებში ან მღვდელმთავრის წირვის დროს კი გამშვენებული კილოთი გალობენ...

ეს ასეც უნდა იყოს. მშვიერ კაცს სხვადასხვა მოხრაკულ და შემწვარს კი არ მიაართმევენ, სულ უბრალო საჭმელებს მიუტანებენ და შემდეგ უფრო კარგად მომზადებულს.

მამა რაჟდენ ხუნდაძეს მშვენიერი აზრი მოუვიდა, რომ უბრალო, სადა კილოს გალობის ნოტები შეადგინა, რომელიც ყველას ადვილად შეუძლია შეისწავლოს ზეპირად და თვით იგალობონ ულოტბაროდ. თუ ასე არ იქნა, ჩვენში გალობა არ გავრცელდება, რადგან ლოტბარს ყველგან ვინ იშოვის და სად არის მათი დასაქირავებელი ფულები? მ. რაჟდენ ხუნდაძისაგან შედგენილი სადა გალობა ძლიერ სასიამოვნო მოსასმენია და ადვილად შესასწავლი. ერთი ათიოდჯერ რომ მოისმინონ ეს გალობა, თითქმის ბევრი შეისწავლის და ამით არის კარგიც. მეორე კარგი მხარეცა აქვს კიდევ მის გალობას. პირველი ხმა შეიძლება ცალკე დაიბეჭდოს ნოტებზე და ამ ხმაზე შეუძლია ყველას იგალობოს კიდევ. იქ კი, სადაც გამშვენებული კილოს გალობა შეისწავლეს, თუ სამი პირი არ არის ერთს არ შეუძლია გალობა. ხუნდაძის გალობა კი, სხვა რიგად არის შედგენილი. პირველი ხმა, რომ დაიბეჭდება მერე მეორე გამოვა, მერე მესამე; პირველი ხმა ერთსა და იმავე დროს ერთსაც შეუძლია და სამსაც.

სამღვდელოების კრებამ გადასწყვიტა თითოეული ეკკლესიიდან თითო მანეთის გამოლება ნოტებისათვის და რატომ ბრკოლდება ეს საქმე არ ვიცით. ამბობენ, რომ ქუთაისში დაიწყეს ამ გალობის ნოტებზე გადატანა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ იბეჭდება კარგადო. საჭირო კი არის ყველა დაეხმაროს ამ საქმეს და მალე დაიბეჭდოს ქართული გალობა ნოტებზე.

დამსწრე

357. ივერია, 1902, 20 სექტემბერი, №200, გვ. 2

ჩვენი საეკლესიო გალობა

არაერთხელ მსმენია და წამიკითხავს კიდევ ქართულ საეკლესიო გალობაზე დაქვეითების შესახები სჯა და ბაასი, მაგრამ რამდენად დამახასიათებელია ეს სჯა-ბაასი ამ დაცემისა და რამდენად ახსნის ჩვენის ეკკლესიის გალობის დაქვეითებას, ამისი კი რა მოგახსენოთ? ყველა ეს სჯა-ბაასი ერთფეროვანი და ცალმხრივი ყოფილა და მუსიკალურ ხელოვნებისა არავითარი ნიადაგი არ ჰქონია, ამ შემთხვევაში აუცილებელ საგნებისთვის გვერდი აუვლია და რა კანონის ძალით სცნობენ ჩვენს გალობას უვარგისად, ან რა გარემოებამ დაჰბადა ეს უვარგისობა და სიმახინჯე ხალხურ საგალობლებში, ესე ყოველი კი მუდამ უპასუხო და განუმარტებელი დარჩენილა.

მართლაც, განა წარმოსადგენია, რომ ხალხს რაიმე დარგში თვისი გენიოსობა შთაებეროს, სული და გული ჩაეტანებინოს და ეს დარგი მახინჯი და უფერული კი იყოს?! ეს თურმე ადვილად წარმოსადგენი ყოფილა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ეხლანდელ ქართლ-კახურ გალობას, ეგრედ წოდებულ კარბელაანთ კილოს.

დიად! დასაჯერებელი არ არის, რომ იმ ხალხს, რომელმაც შეჰქმნა მრავალი მარგალიტი საერო სიმღერებისა და შიგ ჩაანწა, არამც თუ მარტო მედიდური და გენიოსური ჰარმონია ხმებისა, არამედ ამ საერო სიმღერების მიხვრა-მოხვრამ, ხმათა შეთხზვამ მრავალის მუსიკის კანონების ახსნაც კი დაგვიახლოვა. ვამბობ დასაჯერი არ არის, რომ ამავე ხალხის გალობა ისე უფერული, უგულო და მოუხეშავი იყოს. დღეს ქართულ საგალობელთა ზემოხსენებული კილო კი სწორედ ასეთი უფერული, უგულო და მოუხეშავია.

ბევრი მემუსიკე, გვეტყვიან, ყველა ამ კილოს თვისებას თავისებურობას უწოდებდნენ, მაგრამ რა, განა სიმღერის ხელოვნება ხელი-ხელ გადაბმული არ წინმსვლელობს საზოგადოდ მსოფლიო კულტურის განვითარებასთან ერთად? ეს რომ ესე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სიმღერა-გალობა ხომ აფრიკაში იმ ერთის ტომის შავკანიანის ხალხის მუსიკას არ აღემატებოდა, რომელმაც ისეთი თვისება გამოიჩინა, რომ თავის სიმღერას სამხედრო მუსიკის დიდი დალაბანდისთანა ინსტრუმენტი და ტუჩების ტკაცვა-ტკუცი შეუფარდა. ტაშისა და კასტანიეტების მაგივრად, ისინი ქვებსა სცემენ ერთმანეთს, დიდი ხმა ამოიღოსო. ესეც თავისებურობაა ამ ველურ ხალხის სიმღერებისა, მაგრამ განა რა მოსაწონია, ან რომელი ყური მოისმენს ამისთანა მემუსიკობას.

ჩვენი საეკლესიო გალობა კი იქამდის არ მისულა, მაგრამ მას რომ არავითარი მუსიკის ღირსება არა აქვს, დაწყებული ერთფეროვან მელოდიიდან, თვით ხმების შეწყობის კანონებამდე, ამას ყველა მუსიკის მცოდნე იტყვის და ზედაც დასძენს, ნუთუ ამ გალობის მოსმენით ხალხის გულში რაიმე სასოება დაიბადებო? ამაზედ იქნებ ბევრიც ახირდეს და ეგონოს, რომ ეს ასე არ არის! ყველა ამათ თანაუგრძნობ: რაც ჩვენია, ყველა ძვირფასია ხოლმე იმ შემთხვევაშიაც კი, როცა თითქმის დარწმუნებულნიც ვართ, რომ ეს მავნებელია! განა ვინ გაჰკიცხავს ჩვენგანი იმას, რაც ჩვენია, რაც მშობლიურია? მაგრამ პატარა ხანს გრძნობა დაუმორჩილეთ სასტიკს გონებას და ალაპარაკეთ, განიხილეთ გულდასმით, აკმაყოფილებს ჩვენი გალობა გრძნობას თუ არა? ჩვენის ფიქრით, სწორედ რომ ვერ აკმაყოფილებს. არა, შეიხედეთ კვირაობით ეკლესიებში. ვინღა შერჩა წირვა-ლოცვის მსმენელი: ერთი ან ორი კაცი! განა სასოება დაჰკარგა ჩვენმა ხალხმა? ღმერთიც და თავის ეკლესიაც, თუ ძველებურად არა, მაინც ყველაზედ ძლიერ სწამს ხალხსა; მხოლოდ მუსიკის ის დაუსრულებელი ელემენტი, ეგრედ წოდებული „კვინტა“ რომელიც ჩვენს საგალობლებს შერჩენია, დაწყებული „უფალო შეგვიწყალო“-დგან „მამაო ჩვენო“-მდე, ისე ჰლლის კაცის ყურს, რომ ბანგდალეულივით თავის თავისთვის ვერ მიუცია ანგარიში და მიდის შინ ყოვლად დაუკმაყოფილებელი. ხალხის ინსტინქტი, ამ შემთხვევაში, უძლიერესი მასშტაბია, სანამ ჩვენი ცივი გრძნობა და გონების ყოველივე სჯა-ბაასი. მის ალლოს ვერაფერი ვერა ნაიტყუებს რა: თავის მშობლიურ ჰანგს უსმენს. მაგრამ იმ პასუხს ვერ იღებს, რასაც ელის. თუ რა არის კვინტა და რა სიმღერის ელემენტს შეადგენს იგი ჩვენს საეკლესიო გალობაში, ამაზედ სჯას ჯერ ვერ ვიქონიებთ, რადგანაც, საუბედუროდ, ჩვენთვის ჯერ ისეთი დრო და ჟამი არ დამდგარა, რომ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ ამისთანა სპეციალურ საგანზედ ვილაპარაკოთ.

ამჟამად შეგვიძლიან მხოლოდ ისტორიული ხანა გავითვალისწინოთ, სახელდობრ ის საუკუნოები, სანამ ბახი და ჰენდელი შექმნიდნენ საეკლესიო მუსიკას და მრავალფეროვან ჰარმონიის ელემენტებით გაამდიდრებდნენ საეკლესიო მუსიკის უფერულობას, სანამ ჰენდლის პურსელი დააჯერებდა მაშინდელ გამოჩენილს არხიეპისკოპოსს ჰერალდი კემბრენსის, რომელიც ბრმა თავყანისცემელი იყო კვინტებით გალობისა, რომ ამ ელემენტით გალობა მუსიკისაგან შეუნყნარებელიაო; მანამ ყველა მონასტერში იმ დროის წმინდა ბერები მხოლოდ კვინტებით გალობდნენ და ასეთს გალობას უწოდებდნენ სადღესასწაულო გალობას.

აი, ამნაირი სადღესასწაულო ელემენტი აქვს შერჩენილი ჩვენის ეკლესიის გალობის კილოებსა. ამნაირ მუსიკის ხელოვნების ერთ-ერთ შტოს არავითარი ადგილი არა აქვს დღეს საზოგადო ხელოვნებაში დათმობილი და მუსიკის ხელოვნებასაც ჯერ ამ შტოსათვის სახელი არ მოუპოვებია, თუ რომელს კატეგორიას აკუთნოს იგი.

ეს იყო ისტორიული ხანა შუა საუკუნოების მუსიკისა. ნავიდა დრო, როცა ხალხს ამნაირი ჰარმონია აკმაყოფილებდა; ცხადია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენდა საუბედუროდ, ქართულ საეკლესიო გალობას ასცდა ასეთი ბედი: სხვადასხვა კაცთა უფიცმა და გაუგებარმა სამსახურმა მუსიკის ხელოვნებისადმი, ისე შეაფერხა ახალი წინმსვლელობა მისი, რომ თუ

კრიტიკის თვალთ შევხედავთ, ვნების მეტი არა მოუტანია რა ამისთანა ერთგულობას. განა, რა წარმოსადგენია, რომ ამისთანა სიმღერების შემომქმედს ხალხს უგულო, უსასოო გალობა ჰქონდეს, მერე იმ ხალხს, რომლის საეროვნო და საეკლესიო ცხოვრება ისე მტკიცედ იყო ერთმანეთზე გადაბმული. მე, რამდენადაც ვიცი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იმისთანა ხანა ვერ მომიძებნია, როცა ეკლესია და ხალხის მისწრაფება სხვადასხვა გზით მიმდინარებულ იყოს; ჩვენი ხალხი ეკლესიაში ჰპოვებდა ნუგეშს და ეკლესიაც ამითი იყო ბრწყინვალე; ქართული გალობა ოდესმე უპირველეს საზრუნველს საგანს შეადგენდა სამღვდელოებისას და წარმოსადგენია, რომ ასე დაეცა? ის ეკლესიის მოსამსახურენი, რომელნიც ყოველთვის ზრუნავდნენ მნიგნობრობისა და გალობისათვის, შესაძლებელია, რომ უყურადღებოდ დასტოვებდნენ საგალობელთა კილოების განვითარებას? ჩვენი აზრით, ჩვენი ძველებური კილოები კი დაკარგულია, როგორათაც ბევრი საერო სასიმღეროს ძველი კილო.

ერთადერთი მიზეზი ამ დაკარგვისა კი ის არის, რასაც ისტორია არ უცხოვობს და ამისთანა მაგალითები არა ერთი ყოფილა, რომელსამე გალობის მთქმელს, რომელიც მხოლოდ თავისებურად იტყოდა გალობას, გამოუჩნდა ვინმე თავყვანისმცემელი ეკლესიის წინამძღვარი და ძალაუფლებურად ავრცელებდა სამღვდელოთა შორის ამის თქმას. ეჭვი არ არის, რომ ტკბილად მთქმელი უვარგის კილოსაც სასიამოვნოდ იტყვის, მხოლოდ ამ თქმით თვით კილოს არავითარი მუსიკის ღირსება არ მიემატება; თუ მუსიკალურ რამ ნაწარმოებს მდიდარი ფაქტურა აქვს სარჩულად, მაშინ იმას ვერავითარი უფერული თქმა ვერ დაუკარგავს ღირსებას. კახურ მრავალჭამიერს და სხვა ძველებურ სიმღერებს, რაც უნდა უხეიროდ სთქვათ, თავის ღირსებას ვერ წაართმევთ, მსმენელს მაინც მოეწონება, იქამდის ძლიერია მათი ჰარმონია. მე თვითონ, პირადად მახსოვს ზემოხსენებული ძალადობა: ამ 15-20 წლის წინადაც კი, ზოგიერთ მონასტრის მოთავენი ისე გატაცებულნი იყვნენ მოხუც კარბელაშვილის ხმით და კილოების თქმით, რომ ბერებს უკრძალავდნენ მონასტრებში სხვა კილოს თქმას, გინდა თუ არა ეს კილო უნდა შეისწავლოთ. ერთობ კი, ეს კილოები უფერული იყო, და თუ მოსწონდათ, ისევ მოხუცი კაცის მარილიანი ხმა, და მხოლოდ იმას შეეძლო ამ კილოების ტკბილად თქმა. მართლა და, ორს მეზობელს ერთი და იგივე სიმღერების თქმა ერთნაირად ვერ მოუხერხებიათ. უეჭველად ან ერთი, ან მეორე თავის სუბიექტურს ბეჭედს დაასვამს თქმაში; მაშ რით აიხსნება, რომ ამოდენა მონასტრებში ერთსა და იმავე კილოს ამბობენ? აქაც, ისევ იმ არა სასურველ მოვლენას ვხედავთ, რაც ზევით მოგახსენეთ: ჩვენს ეკლესიებში ძალადობამ მოსპო ნებაყოფილობით განვითარება საგალობლებისა.

რუსეთის მონასტრებში, სადაც თავისუფალი განვითარება სუფევდა საეკლესიო გალობისა, აკი აღორძინდა სხვადასხვა კილოებზედ საგალობელნი: კიევის მონასტრისა, იპატივისა, ზნამენსკისა და სხვა, რომელნიც დღეს ნოტებზედ არიან დაწყობილი და საუკეთესო საეკლესიო საგალობლებად ითვლებიან.

ერთადერთი საშველი ისლა დაგვრჩენია, რომ რაც შეიძლება მალე, საერო კილოებზედ დაეწყოს საგალობლები და ისე იგალობებოდეს ეკლესიებში. მაგ., რითი არ არის „გუშინ შვიდნი გურჯანელი“-ს კილო საეკლესიო გალობის ჰიმნი? ამისთანა სადიდებელი კილო საერო სიმღერებში არა ერთი გამოიძებნება და მათი საგალობლებში შეტანა თავიდან აგვაცილებს უფერულს და უგულო კილოთა სმენას; მაშინ თვით საეკლესიო გალობის წინსვლამა და განვითარებამ იქნება სხვანაირად იწყოს ცხოვრებაც და ზრდაც.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გზა და კვალი დავასახელებთ, რითაც შეიძლება საგალობლებს წინსვლა და ზრდა დაეტყოს, თუმცა საშუალება ამ სენისა კი მრავალია და ჩვენს სამღვდელოებას რომ ცოტა ფხა გამოეჩინა, ამას აქამდის განსაკურნებელს რამ წამალს დასდებდა. უნინ, ეკლესიებში მთელი ერი თურმე იტყოდა წირვის დროს დიაკვანთან ერთად გალობას; ეხლაც, სოფელში არა ერთი იმისთანა მოხუცი მოიპოვება, რომელმაც მშვენიერად იცის

გალობა. ჩვენი სამღვდლოება, როგორც მზრუნავი საეკლესიო გალობის გამშვენიერებისა, მოვალეა მოსძებნოს ყოველს კუთხეში ეს მცოდნენი და მათი კილო დაანყობინოს სამუსიკო ნიშნებზედა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმერეთში მონასტრების ძმათა გალობას. აქ, ძმათა მონაზონთ თითქმის სულ სხვა გარემოებაში უცხოვრიათ, აქაურ მონასტრებიდან ვრცელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საგალობლები და, მაშასადამე, აქ უნდა გვეგულებოდეს უძველესი ნაშთი ამ დარგისა. ყველა ამას შეგროვება სჭირია და ამის ჭირისუფალი კი ჩვენი სამღვდლოება უნდა იყოს; მან უნდა იღვას თავს ეს საქმე და მითი განამშვენიეროს საგალობლები და მათი გამშვენიერებით აღამაღლოს ეკლესიის დიდებაც. ამნაირ ნამუშევარს შეუძლიან შეჭმნას იმ ანგელოსთა წმინდა გალობა, რომლითაც ძლიერი იყო ტაძარი წმიდათა წმიდისა, სავედრებელი მამულისა და თავსაფარი ჩვენის ერისა.

ი. კარგარეთელი

358. ცნობის ფურცელი, 1902, 27 სექტემბერი, №1937, გვ. 2

ახალი ამბავი

სახელმწიფო ბანკის მმართველი ბ-ნი პლესკე, რომელიც გუშინს წინ ტფილისს ჩამოვიდა, გუშინწინვე „რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების“ კავკასიის განყოფილებაში ყოფილა. ბ-ნი პლესკე ვიცე-პრეზიდენტიცა ამ საზოგადოებისა. გუშინ დაუთვალა იერებია ახალი სახლი, კავკასიის განყოფილებისა; ეს სახლი, როგორც ვიცით, გრიბოედოვის ქუჩაზე შენდება სამუსიკო სასწავლებლისათვის და 117 ათას მანეთად დაჯდება. სამუსიკო განყოფილების წარმომადგენელთ მოახსენეს ბ-ნი პლესკეს: სახლის დასამთვარებლად ფული აღარ გვეყოფნის, რადგან 45 ათასამდე შემოწირულობით შეკრებილი ფული და 40 ათასიც ამ სახლის დაგირავებით ბანკიდან გამოტანილი სულ ერთიანად შემოგვეხარჯაო. ბ-ნმა პლესკემ მწუხარებით აუწყა. „რუსეთის საზოგადოებაც“ უღონოა და შემწეობას ვერ აღმოუჩენს ამ საქმესო, ფინანსთა სამინისტროც ფულს მაგრად ეჭიდება სხვადასხვა ხარჯების სიბევრის გამოო. ასე რომ, ისევ შეწირულებათა მოგროვებას მიჰყავით ხელიო. მიუხედავად ამისა, სახლი მაინც უნდათ იანვრისათვის სულ დაამზადონ და იქ მოათავსონ ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი. გუშინვე სამუსიკო სასწავლებელში იყო ბ-ნი პლესკე და მოსწავლეთა გამოცდას დაესწრო. საღამოს ტფილისიდან გაემგზავრა.

359. მწყემსი, 1902, 30 სექტემბერი, №18, გვ. 1-2

ქართული საეკლესიო გალობის შესახებ

„ივერიის“ მე № 190-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს ჩვენი ქართული გალობის შესახებ:

როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, ამას წინად, სამს ამ თვეს მოხდა ქალაქის სამღვდე-

ლოთა კრება ეპისკოპოსის დიმიტრის თავმჯდომარეობით. კრებამ ერთ ფრიად საგულისხმიერო საგანზედ ჩამოაგდო ლაპარაკი, სახელდობრ იმაზედ, რომ ქართულ ეკკლესიებში, სადაც აქამომდე ქართულს ენაზედ გაისმოდა ლოცვა და ღალადება, ამ ბოლო დროს, სამღვდელთების დაუდევრობით მთლად მოისპო ქართული წირვა-გალობაო. ახლად ნაკურთხმა დეკანოზმა და სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, მამა ტყემალაძემ ჯეროვნად განმარტა კრების წინაშე თავის წარმოთქმულ სიტყვაში ეს არასასურველი გარემოება და სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ ღვთის მიმართ ღალადი ყველა ენაზედ შეინირების (კურსივი ჩვენია) და, აქ მხოლოდ ჩვენი დაუდევრობაა და სხვა არაფერიო. თვით სასულიერო მთავრობა დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ ჩვენს სურვილს, თუ მოვინდომებთ ქართულ ეკკლესიებში ქართულის წირვა-ლოცვის და გალობის გაუმჯობესებას. ამის დასამტკიცებლად მ. ტყემალაძემ მოიყვანა ექსარხოსად ნამყოფის ფლაბიანეს მიერ დამტკიცებული ოქმი ქართულ საეკკლესიო საგალობელ გუნდის დაარსების შესახებ (კურსივი ჩვენია). ხანგრძლივის ბჭობის შემდეგ კრებამ ამოიჩინა კომიტეტი ქართულ საეკკლესიო გალობის გაუმჯობესებისათვის. კომიტეტში ამორჩეულ იქმნენ: ეპისკოპოზი დიმიტრი, დეკანოზი ს. შოშიაშვილი, დეკ. ტურიაშვილი და ტფილისის სიონის ტაძრის კანდელაკი მამა ანტონ თოთიბაძე.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეხლანდელი აღრჩეული კომიტეტი იზრუნავს როგორც ჯერ არს ქართული გალობის შესახებ, მაგრამ მარტო კომიტეტის დანიშვნა საქმეს არ მოეხმარება. კომიტეტები მრავალჯერ დანიშნულა, მაგრამ გალობის საქმე წინ კი არა, უკან დანეულა... რა ჰქნა დიდის ამბით 1860 წელს თფილისში დაარსებულმა ქართულ გალობის აღმადგენელმა კომიტეტმა, რომლის რაიონს შეადგენდა მთელი საქართველოს საქსარხოსო? განა ეს კომიტეტი დამტკიცებული არ იყო სათანადო მართებლობისაგან? განა ამ კომიტეტში დამსახურებული ჩვენი სამღვდლო პირები არ ყოფილან? 1860 წლიდან 1885 წლამდე ყველა კომიტეტის წევრების ნამსახურებით სიას ამშვენებდა შემდეგი სიტყვები: „მოღვაწეობს როგორც წვერი ქართული გალობის აღდგინებისათვის და ირიცხება კომიტეტის წევრად“... ნამყოფმა ექსარხოსად პავლემ მოისურვა ამ კომიტეტის ნამშუვერის და ნამოღვაწეობის გაგება. მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ მრავალნი გალობის მოყვარულნი. ერთმა საპატიო პირმა, რომელსაც ანგარიში მოსთხოვეს, ასეთი პასუხი მისცა: „ჩვენ არც ნოტები შეგვიდგენია და არც გალობის გუნდი გყვავს, მაგრამ იმედი გვაქვს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომლის ხვედრია საქართველო და წმიდა ნინო, შეგვეწვიან და არ მოსპობენ ქართულ გალობას საქართველოში“. ეს კომიტეტი მოიშალა და მისი წევრები, რომელნიც ზეციდან მოელოდნენ დაწერილ ქართულ გალობის ნოტების ჩამოგდებას, დათხოვნილ იქმნენ და ასეც უნდა მომხდარიყო.

თუ თვითონ საზოგადოებამ არ იზრუნა, რა უნდა ჰქნას კომიტეტმა? განა საზოგადოება ზრუნავს ქართული გალობისათვის? ჩვენი პუბლიცისტები და ჩვენი ესრეთ ნოდებული მეგაზეთეები, ბევრს გაიძახიან ქართული ენის დასუსტებაზე და დავიწყებაზე, ბევრს სწერენ გალობის მოსპობაზე, დიდი ბაასიც აქვთ იმაზე, რომ ქართული გალობა აღდგინდეს, ბევრს ლაყბობენ და სწერენ იმაზედაც, რომ ბორჩალოს მაზრაში ადგილები სომხებისა და სხვა ტომის ხელში არ გადავიდესო, მაგრამ თავიანთი ადგილები მთლად სახლ-კარიანად სახელმწიფო ბანკებში მიაქვთ დასაგირავებლად, თუმცა დარწმუნებულიც არიან, რომ ერთი წლის შემდეგ ბანკს დარჩება მთელი მისი მამული!..

კმარა ამდენი განგებ თავის მოტყუება! არც ერთ კომიტეტს არ შეუძლია ქართული გალობა აღადგინოს, თუ თვითონ საზოგადოება არ ზრუნავს მის აღდგინებაზე და საშუალებას არ აძლევს კომიტეტს მუშაობისათვის. დღეს განა ჩვენს საზოგადოებაში ბევრია ქართული გალობის მოყვარული და ეკკლესიაში მოსიარულე? განა ზოგიერთ ეხლანდელ ქართველების გულს ქართული გალობა დაატკობს? როგორც გნებავთ ისე იგალობეთ – მათთვის სულ

ერთია! ბანქოს თამაშობაში 1000–2000 მანეთს ადვილად წააგებენ, ერთი ვინმე მოსული, მომღერალი ქალის სიმღერის გასაგონად დიდ ფულს დახარჯავენ და მთელი ღამე მღვიძარებენ, მაგრამ ქართული გალობის აღსადგენად ერთ გროშსაც არ გაიმეტებენ!.. ამისთანა საზოგადოებაში კომიტეტი ქართულ გალობას აღადგენს?!

რაიცა შეეხება „ივერიის“ მოთხრობას იმის გამო, რომ „ღმერთი ყოველ ენაზე შეინირავს ღალადს“, ამის წინააღმდეგ კი ვერას ვიტყვით. ეს ხომ წამდვილია და უქადაგებლადაც, მე ვგონებ, ყველამ იცის მაგრამ საქმეს ეს ვერ მოეხმარება...

დეკ. დ. ლამბაშიძე

360. მწყემსი, 1902, 30 ოქტომბერი, №19, გვ. 5-6

წერილი რედაქციისადმი

მ. რედაქტორი! გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს 1879 №-ში წავიკითხე ვილაც ქრისტეფორეს წერილი, რომლის შინაარსი კერძოდ მეც შემეხება. რადგან „ცნობის ფურცელმა“ ამ სტატიის საპასუხო წერილი არ დამიბეჭდა, უმორჩილესაც გთხოვთ, ნება მიბოძოთ, ორიოდ სიტყვა ვსთქვა თქვენი ჟურნალის საშუალებით.

ბ. ქრისტეფორე ქართულ გალობის ამბავს იხსენიებს საზოგადოდ და მასთან ჩემს შესახებ ასე ამბობს: „იმერეთში საგალობლები გადაუღია ნოტებზე რაჟდენ ხუნდაძეს და სამღვდელოება თავის ხარჯით ჰბეჭდავს თურმე. დამეთანხმებით, რომ მუსიკის ანბანის ცოდნა არ კმარა ამისთანა საქმისთვის. თუ საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიგიღიათ, მოჰკიდეთ საქმეს ხელი, თუ არა და, ან თქვენს თავს რად აწუხებთ ან ქვეყანას? (ნეტავი ვიცოდე, თუ მართლა შევანუხებ ქვეყანას ამგვარის შრომით!) სამღვდელოება მოვალეა ეს საქმე მცოდნე კაცს მიანდოს“. ნეტავი რა იცის ბ. ქრისტეფორემ, მე ამ საქმის მცოდნე ვარ, თუ უცოდინარი?! – მართალია, ეს არ ეცოდინება, მაგრამ ისეთი დიდი გენიოსი, როგორც ბ. ქრისტეფორე ბრძანდება, ამბის შორიდან გაგებითაც შეატყობს წინდან ვისგან რა გამოვა! ალბათ ეპატარავება ყურში გასაგონად ჩემი ვინაობა, ამისთვის მიწუნებს და სამღვდელოებასაც ურჩევს: „ეს საქმე მცოდნე კაცს მიანდეთო“ (თუმცა ნახევარზე მეტი საგალობლები დაბეჭდილია, მაგრამ არა უშავს, გადაყრაც შეიძლება). როგორც მისი წერილიდან ვიცით, ბ. ქრისტეფორე მღვდელია და რომ ვინმემ უთხრას: მამაო! რადგან უმაღლესი სწავლა არ მიგიღია, ან თქვენს თავს რად აწუხებთ და ან თქვენს მრევლსო, – ნეტავი რას უპასუხებდა? ვარწმუნებ პატივცემულ მკითხველს, რომ ამ საქმისთვის იმერეთის სამღვდელოებას ანონ-დანონვა არ დაუკლია. ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ აგალობა მისივე მეუფების მგალობელთა გუნდს (რუსულად მგალობლებს), როცა თვით მისი მეუფება ბრძანდებოდა მწირველი და მასთან ერთად, სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ მოისმინა ეს გალობა და მოიწონეს; სამღვდელოებამ დანიშნა კომისია, ამათაც შეამოწმეს სხვადასხვა მუსიკის მცოდნეებთან და სხვ. ამგვარად, ბ. ქრისტეფორეს წერილი თუ უსაფუძვლო არ არის, დაგვიანებული მაინცაა. ყოველ შემთხვევაში, ქრისტეფორეს აზრი „ძილის უწინ სიზმარია“ ამ ხანად. იგი ბრძანებს: „რაჟდენ ხუნდაძეს დაუწერიო“. შესაძლებელია რაჟდენ ხუნდაძე სხვაც იყოს ვინმე, რომელსაც გალობასთან არასოდეს საქმე არ ჰქონებოდა, მაგრამ მე კი, სახელსა და გვარს გარდა, სხვა საცნობი რამეც მაქვს: მღვდელი

ვარ და ქართული გალობის მცოდნე, რომელიც ცხრამეტი წელიწადია გალობას ვასწავლი ქუთაისის სასულიერო სემინარიასა და სასწავლებელში, რომელსაც, ამ ხნის განმავლობაში, დაკვირვებაც მექნება გალობაზე. ჩემს სახელ და გვართან ერთი ან მეორე რომ ეხსენებია ბ. ქრისტეფორეს, უფრო რიგიანი იქნებოდა და ადვილი გასაგები, თუ ვის დაუწერია ეს გალობა. მაგრამ ამის თქმა მის მეცნიერულ დარიგებას იმერეთის სამღვდელთაგანადმი მიმართულს ძალას მოაკლებდა და აბა რად იზამდა ამას! ჩემო ქრისტეფორე! სანამ თქვენისთანა შორსგამჭვრეტელი და საქმის საფუძვლიანად დამწყები თავს მოიყრიდეთ, თითო გალობის დაწერისთვის ათსა და თხუთმეტ მანეთს უბოძებდეთ დიდ დიპლომოსან დამწერლებს (როგორც ჩვენ გვაძლევდნენ გალობის დაწერის დროს 1888 წელში, როდესაც ქართული გალობა დაიწერა ნოტებზე იმერულ გავარჯიშებულ კილოზე), მანამდის პეტრეს დააგვიანდება და პავლეც აღარ დაგრჩებათ, რომ ტყავი გააძროთ. გურიაში ანტონ დუმბაძე, 78 წლისა და მისი შვილი მ. დავითი (რომელთაგანაც მე გალობა მისწავლია), მეგრელიაში დიტო ქალაგანიძე 77 წლისა და იმერეთში კიდევ ი. წერეთელს ახსოვდა ქართული გალობა, რომელიც მღვდლად წავიდა სოფელში და გალობას სრულიად მიანება თავი. აი, მცოდნე მგალობელთაგან – ესენილა შეგვრჩა. მათი წლოვანება გვიჩვენებს, რომ ისინიც მალე გაეშურებიან იქ, საიდანაც დაბრუნება ცოტა არ იყოს ძნელია. მერე შეიკრიბეთ ჩემო ქრისტეფორე თქვენ და თქვენი თანამოაზრენი: მუსიკის მცოდნემ მუზიკა უკრას და დანარჩენმა იცეკვეთ! იქნება ვინმე ფიქრობდეს, გალობა მარტო წირვის წესია ჩვენში და სხვა არა! ამიტომ ყოველთვის შეიძლება გალობის დაწერა და მცოდნე მგალობლების შოვნაო. ასე არ გახლავთ. საეკლესიო წიგნები თითქმის ნახევარი გალობა არის, რომელიც ჯერ კიდევ შენახულა ჩვენში და არ აღგვილა ჟამთა ვითარებისაგან. იკარგება ესენი და ამას დაწერა უნდა ყველას სანამ მთლად დაიკარგებოდეს. ჩვენს წინაპრებს არარაისაგან არსად შეუქმნია მშვენიერი გალობა, ჩვენამდის მოუტანიათ, ჩვენ კი, მამა-პაპათაგან შეძენილ განძს ვკარგავთ. როგორ ფიქრობთ! ყველა ეს გალობები ვისგან უნდა ვეძებოთ, როცა აქ დასახელებული სამი-ოთხი მგალობლები დავწყდებით? ასე ინებეთ, ბატონო ქრისტეფორე, კიდევ მოძებნეთ ვინმე, დაიხმარეთ და დახმარების მაგიერ ზიზლით მოგვიხსენეთ, როგორც მე ისე მ. კარბელაშვილიც... აი, როგორც ვხედავთ, საქმის მკეთებლის ხელის შესაშლელად რისიმე თქმა ადვილია, მაგრამ საფუძვლიანი თქმა კი ვერ არის ადვილი. კრიტიკა ადვილია, მაგრამ საფუძვლიანი კრიტიკა კი ვერ არის ადვილი. სიტყვა ადვილია, საქმე ძნელი.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე

361. ივერია, 1902, 11 დეკემბერი, №265, გვ. 3-4

ბიბლიოგრაფია

Песнопения на литургию св. Иоанна Златоустого. Грузинского (кахетинские) распева Н. Кленовскаго

ამ ოთხი-ხუთი წლის წინად, როდესაც ბ-ნ კლენოვსკი კახეთს იყო კახურ ხმების მოსასმენად, გვესიამოვნა და ვიფიქრეთ, რომ უნაყოფოდ არ ჩაივლის მისი კახეთში წასვლაო, რადგან ვიცით, რომ ბ-ნ კლენოვსკის მოვლილი აქვს მთელს რუსეთის თითქმის ყველა

კუთხე და ამ მრავალფეროვან ხალხის მუსიკა ცოტათი თუ ბევრად, გაცნობილი აქვს. ბ-ნი კლენოვსკი თითქმის ერთნაირის ინტერესით იკვლევს და სწერს სხვადასხვა ერის დამახასიათებელ მელოდიებს თუ სიმღერებს. სხვათა შორის, ბ-ნი კლენოვსკის მრავალფეროვან ნაშრომ კრებულში შეხვდებით ჩვენს ქართულ ხმებსაც (გურულ, მეგრულ და ქართლ-კახურ კილოებს). კლენოვსკის, როგორც მუსიკის განვითარებულ მცოდნეს, ნიჭიც შესაფერისი აქვს. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენი სიმღერები ძალიან კარგად აქვს დაწერილი, თუმცა ზოგიერთები თავისებურათა აქვს შეკეთებული. ბ-ნმა კლენოვსკიმ მოინდომა, აგრეთვე, ჩვენის საეკლესიო გალობის გაცნობა და ნოტებად დაწერა. ამ აზრით, როგორც ზევითა ვსთქვით, ქ. თელავში მოისმინა ნამდვილი ქართული საეკლესიო გალობა; იმისთანა მგალობელთა, რომელთაც თვით ცნობილ გალობის მცოდნე მლ. გრ. კარბელაშვილისაგან ჰქონდათ შესწავლილი. (ესენი იყვნენ მლ. ი. ჩხიკვაძე, ძმა ამისი სოლ. ჩხიკვაძე, კალატოზიშვილი და სხვ.).

მოისმინა და დაწერა კიდევ იქვე სამ ხმაზედ. შემდეგში შეუდგა ოთხ ხმაზედ გადაკეთებას. ჩვენ, დიდის იმედებით აღჭურვილნი, მოუთმენლად მოველოდით ბ-ნი კლენოვსკის შრომის დათავებას. მალე მთლად დაიწერა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რა ილბლისანი გახლავართ, დასაბეჭდათ მომზადებული ოთხ ხმაზედ ჩვენი გალობა გზაში დაეკარგა სხვა ბარგთან ერთად, როცა პეტერბურგს მიდიოდა. როცა პირველად ბ-ნმა კლენოვსკიმ მითხრა ეს, თან მანუგეშა, მგონი ყველა შავები დარჩენილი მაქვს და იმათის შემწეობით დავწერ მეორეთაო.

ასე გრძელი წინასიტყვაობა იმიტომ მოგივიდა, რომ დღეს, როდესაც ხელთა გვაქვს ბ-ნი კლენოვსკისაგან დაბეჭდილი ჩვენი წირვა ოთხ ხმაზედ, იგი ისეთი არ არის, როგორის მოლოდინიცა გვქონდა. გადავათვალიერეთ, დაუკვირდით ყველა საგალობლებს და უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა კარგა მოსასმენათ, ჰარმონიაც მშვენიერია და ორიგინალური, მაგრამ ნამდვილად ვერ არის ყველგან დაწერილი ჩვენი კილო. ბ-ნი კლენოვსკის შრომაში შევამჩნიეთ, რომ პირველი ხმა ყველა საგალობელში, გარდა: „მოვედით თაყვანი ვსცეთ“, „მხოლოდ შობილისა“ და „აქებდისა“, ყველგან თითქმის სისწორით არის დაწერილი, ასე რომ, პირველი ხმა რომ ცალკე იმღერონ და დაუკრან, მიხვდებით, რომ ქართული კილოა.

რაიცა შეეხება მეორე ხმას, ჩვენ ქართულ მეორე ხმას, ლმობიერს, გრძნობით და სასოებით სავსეს, დამახასიათებელს და ჩვენის გალობის სულის ჩამდგმელს, – ასეთ მეორე ხმას – ვერსად შეხვდებით. მთელ საგალობლებში გაბნეულად შეხვდებით აქა-იქ მეორე ხმის მიხვრა-მოხვრას, მაგრამ აქაც ერთნაირად კი არ არის: ხან პირველი ამბობს მეორეს, ხან ალტი და ხან ტენორი და ისე უფერულად გამოდის, რომ ჩვენობა აღარ ეტყობა. ჩვენი მეორე ხმა იმისთანა ხასიათისა და თვისებისაა, რომ თუ ქართული გალობა ოთხ ხმაზედ არის დაწერილი, მეორე ხმა უეჭველად ალტის პარტიას უნდა ჰქონდეს.

ბ-ნი კლენოვსკის ჩვენი გალობის დახასიათება მიუნდვია დისკანტისთვის (პირველი ხმა) და ტენორისათვის და ალტი კი თითქმის ყველგან სადა არის; მხოლოდ „რომელი ქერუბიმთა“-ში ალაგ-ალაგ შეხვდები ქართულ მეორე ხმას.

ბანი ბ-ნის კლენოვსკის წირვის წესში ძალიან ხშირად ორიგინალურია და, სრულიად თუ არა, მაინც ძალიან წააგავს ჩვენს ქართულს ბანს; თუმცა ზოგან ბანი ცოტა მოირუსულეებს კიდევ. ერთის სიტყვით, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს მთელი საგალობლები:

1) არის იმისთანა საგალობლები, სადაც პირველის ხმის მოსმენას ირჩევს მსმენელი, ვიდრე ყველა ხმებისას ერთად, რადგან დანარჩენი ხმები უშლიან ქართულ გალობის დახასიათებას.

2) არის საგალობლები, სადაც ოთხისავე ხმის ერთად გალობა ზედ მიწევნით ჰგავს ჩვენს ქართულ კილოს, მაგ.: „წმ. ღმერთო“, „აღლილუია“, „და სულისაცა“, „დიდება შენდა“, „წყალობა მშვიდობა“, „ღირს არს ჭემმარტად“.

ჩემის აზრით, ზოგიერთ საგალობლის შეუხამებლობა იმის ბრალია, რომ როდესაც მეორეთ შეუდგა ბ-ნი კლენოვსკი ჩვენის წირვის წესის წერას, შეიძლება ყველა საგალობლის შავები არ დარჩა და იძულებული იყო სხვა წყაროებისათვის მიემართნა. ბ-ნ კლენოვსკის, როგორც ამბობენ, ხელთა ჰქონია ბ-ნ გროზდოვისაგან გადაცემული ჩვენი წირვის წესი, სამ ხმაზედ დაწერილი ან გარდაცვალებულ მ. მრეცლოვისაგან, რომელიც ქ. ქუთაისში ყოფილა გალობის მასწავლებლად.

ვინც იცის, შეიძლება მთელი წირვა ბოლომდის არ იყო დაწერილი, ან შეიძლება დაწერილი ვერ იყო სინამდვილით, და უცხოისათვის, როგორც უნდა იყოს იგი, ძალიან ძნელია სინამდვილის აღდგენა.

მართალია, ბ-ნი კლენოვსკი ფრიად განვითარებული კაცია და ნიჭიც შესაფერისი აქვს, მაგრამ მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი და ახლაც ვამბობ, რომ ჩვენი გალობა-სიმღერა უეჭველად ქართველმა უნდა დასწეროს, რასაკვირველია, მუსიკის მცოდნემ. უფრო მეტს ვიტყვი: შეიძლება ისე განვითარებით და დახელოვნებით მუსიკის მცოდნე არ იყოს ქართველი, მაგრამ ქართველს მაინც უფრო გაუადვილდება თავის სამშობლო ხმების წერა, ვიდრე უცხოს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი სიმღერა-გალობა იმდენად ორიგინალურია და იმისთანა განსაკუთრებული თვისებანი აქვს, რომ სხვას, გარეშე კაცს, ევროპიულ მუსიკაზედ აღზრდილს, ძალიან ეუცხოვება და ვერც ადვილად შეატყობს, თუ რას უფრო უნდა მიაქციოს ყურადღება, რა უფრო უნდა დაიცვას, რომ ჩვენს გალობა-სიმღერას სახე არ შეეცვალოს.

შემდეგ ყველა ამისა, ჩემის აზრით, ბ-ნი კლენოვსკი მაინც დიდის მალდობის ღირსია იმ სურვილისათვის და უსასყიდლო შრომისათვის, რომელიც მან იკისრა და აღასრულა კიდევ: თუ მთლად არ აგვისრულა იმედები, არც ისე გამოუსადეგარი და უმნიშვნელოა ბ-ნ კლენოვსკის შრომა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ზოგიერთები თითქმის დაცინვის კილოთი იხსენიებენ ბ-ნ კლენოვსკის შრომას, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყველას სიტყვა როდი უნდა იწყინოს კაცმა.

ზ. ი. ჩხიკვაძე

1903

362. ივერია, 1903, 30 იანვარი, №24 გვ. 3-4

თეატრი და ხელოვნება

Н. Кленовский – Песнопения на литургии Св. Иоанна Злотоустаго Грузинского (кахетинские) распева

ჩვენი საეკლესიო მუსიკა ძალიან ცოტად არი ცნობილი. ჯერ არ გამოჩენილა კაცი, რომელსაც თავი გამოედო ამ საქმისათვის და გამოერკვია ამ მუსიკის თავისებური კანონები ჰარმონიისა და შეთხზვისა (კონტრაპუნქტისა). საერო მუსიკას უკეთესი ბედი ჰხვდა: ამას უფრო იკვლევდნენ, ამაზედ უფრო სწერდნენ, ამის გულისთვის იგზავნებიან სამუსიკო ეკსპედიციები ფონოგრაფათ. საეკლესიო მუსიკისათვის კი ამისთანა არა გაუკეთებიათ რა, და

თუ დანერვილა რამ მის შესახებ, ისიც საზოგადოდ. ეტყობა საეკლესიო მუსიკის ჯერი ჯერ არ მოსულა, ელის თავის მუშაკს, რომელიც ჩასწერს, რასაც კი ჩვენამდე მოუღწევია; შემომწმებს, რაც კი შეკრებილია და შეუდგება დანვრილებით გამოკვლევას. სანამ კი ასეთი მუშაკი გამოჩნდებოდეს, შევჯერდეთ ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებს, რომელიც წარმოგვიდგენს პირველს შემუშავებას ქართულის (კახურის) საგალობლისას ოთხ ხმად.

თავის წინასიტყვაობაში ბ-ნი კლენოვსკი ამბობს, ლიტურგიის წერილი სახალხო სკოლის დირექტორმა ც. ნ. გროზდოვმა გადმომცა. წერილი დანერვილია ორმოციან წლების დასაწყისში, ამ დროს ქუთაისში ცნობილის პედაგოგის ა. ე. მრეველოვისაგან (გარდაიცვალა 1889 წ.), რომელიც ქართულ გალობის მცოდნედ ითვლებოდა. ა. ე. მრეველოვმა ჩასწერა სამივე ხმა – ორის ტენორისა და ერთის ბასისა (პირველი – მთქმელი, მოძახილი და ბანი), კარნახით შუამთის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ სოფრონისა, რომელიც იყო განთქმული ძველებურ კახურ საეკლესიო გალობის მცოდნედ. ეს ხელნაწერი, უეჭველია, პირველი და უძველესია და ამ მხრით დიდ ღირსებათ ჩაეთვლება. „ეს ხელნაწერი დაედო საფუძვლად ჩვენს ნაწარმოებსაო“, – დასძენს ბ-ნი კლენოვსკი.

რა იყო მრეველიშვილის ხელნაწერი, ჩვენდა სამწუხაროდ, არ ვიცით; ბ-ნ კლენოვსკის გადმოღებულში კი შეუძლებელია მის შესახებ კაცმა რაიმე დაასკვნას, რადგანაც ბ-ნ კლენოვსკის ყველაფერი გადაუკეთებია, გარდა პირველის მთქმელისა, რომელიც შეიქმს მელოდიას. თუ იმ ხელნაწერში ხმები სისწორით იყო ჩანერილი, უნდა ამ აზრს დავადგეთ, რომ ჰარმონიისა და კონტრაპუნქტის კანონის მხრივ მრეველიშვილის ჩანერილი საგალობელი ისეთივე, ან თითქმის ისეთივე იყვნენ, როგორსაც ვხედავთ ახლანდელს კრებულებში ბ-ნ იპოლიტოვ-ვიანოვისა, მლ. ვ. გ. კარბელაშვილისა და სხვებისაში. ამის და მიხედვით შეგვიძლიან ვსაჯოთ, რა ღირსებისაა ესა თუ ის ჰარმონიული შემუშავება საგალობლისა, ე. ი. დაცულია თუ არა ზემოხსენებული თავისებური კანონები.

ბ-ნი კლენოვსკი სწერს თავის წინასიტყვაობაში, საგალობლის შემუშავების დროს ვცდილობდი დამეცვა გალობის კილო და მელოდიის სიმართლეო. მაგრამ საკითხავია, რას ნიშნავს ბ-ნ კლენოვსკის თქმით სიტყვა კილო: ევროპულს გამმასა, თუ საშუალო საუკუნეთა გლარეანის კილოსა, ბიზანტიურს კილოსა, არნორდის სწავლისამებრ, თუ ქართულს კილოს გალობისას? უკეთუ ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებს დავაკვირდით, აღმოჩნდება, რომ მისი საგალობელი შემუშავებულია ხან აწინდელ ევროპულს გამმაზედ, ხან საშუალო საუკუნეებისა და ხან ძველ ბერძნულს კილოზედ, რომელიც, დილამც, სრულიად არ ახასიათებენ ქართულ გალობას. ჩვენს საგალობლებში ცხადად სჩანს თავისებური ტექნიკური ნყობილობა, თავისებური კანონები, რომელთაც კაცი გვერდს ვერ აუქცევს, თუ არ უნდა მუსიკის ხასიათი დაამახინჯოს. თუ ამ მხრით ბ-ნ კლენოვსკის თხზულება გავშინჯეთ, ფრიად დიდ ნაკლს შევამჩნევთ. ხშირად ნახავთ, რომ მისი ქართული საგალობელი, ქართულად დანყებული, ჯერ რუსულ-ევროპულს ტერჩანინოვისებურს გალობად იქცევა და მერე გადადის ჰანგებზედ ზოგიერთ რუსის კომპოზიტორებისას, რომელთა ჩვეულებრივი რუსული მელოდიები ძველ ბერძნულს ან საეკლესიო კილოზედ შეუშუშავებიათ; ან არა და, ჯერ ამ კილოებით იწყება და მერე ტერჩანინოვისებურით თავდება. მაგალითად: „წყალობა მშვიდობა“, „და სულისაცა შენისთანაათა“, „სამებისა ერთ არსებისა“ და სხვ.

ისეთს შესანიშნავ მოვლენას, როგორც ჩვენი მოძახილია, ბ-ნ კლენოვსკის თხზულებაში ვერ შევხვდებით; ვერც ისეთს აკორდს, როგორც კვარტსექსტაკორდია, რომლითაც იწყება ჩვენის საგალობლების უმრავლესობა, ვერც ასეთს თავისებურ კადანსებს, როგორც ცარიელი კვინტაა, უნისონი ან ოქტავა, – ყველა ეს გაუქმებულია და ხმის ნაცვლად შემოღებულია ჩვეულებრივი ევროპული სამხმოვანობა, რის გამო, ჩვენი თავისებური საგალობლები უცნაურ და არეულ ევროპეიზმად გადაიქცა.

თუ კაცს უნდა, რომ ქართული გალობა ქართულად დარჩეს, ეგრე უგულვებულ როდი უნდა ჰყოს მისი ტექნიკა, მრავალ საუკუნეების განმავლობაში ხალხისაგან შექმნილი. ბ-ნ კლენოვსკის მთელის წირვიდგან მხოლოდ რამდენიმე საგალობელია ასეთი, რომელსაც ახალს ჰარმონიულს ქერქშიაც მაინც შერჩა ქართული ხასიათი, და მით გვიმტკიცებს, რომ ფრიად შესაძლებელი იყო ასეთივე ხასიათი ავტორს სხვა საგალობლებისათვისაც შეენარჩუნებინა. განა მარტივსა და თავისებურს ქართულს გალობას შეჰშვენის ასეთი აკორდები, როგორც კვინტესეტაკორდი ან დომინანტესეტაკორდი? ეგ მხოლოდ ბორტნიანსკის დროს შეიძლებოდა მაგისტანების შემოღება რუსულს საეკლესიო მუსიკაში! ამრიგად, დასასრულ უნდა ითქვას, რომ ბ-ნმა კლენოვსკიმ ერთობ ვერ დაიცვა ქართული ხასიათი თავის გადმოკეთებულს ქართულ საგალობლებში. ქართულს საგალობელს უნდა ჰქონდეს თავისი ჰარმონია. მართალია, ეს ჰარმონია რთული არ არის, მაგრამ მაინც თავისებურია. დიალამც, არ უნდა დარჩეს ქართული საგალობელი იმ პირვანდელ სახისა, რომელიც აქამდის შეინარჩუნა, მაგრამ არც ისე უნდა შემუშავდეს, რომ ხალხმა თავისად ველარ იცნოს, და ბ-ნ კლენოვსკის ნაწარმოებშიც გვიმტკიცებს, რომ ავტორს შეეძლო ისე შეემუშავებინა საგალობლები, რომ ქართული ხასიათი არ დაჰკარგოდათ.

რასაკვირველია, ქართულ საგალობლების შემუშავება მცირე შრომა როდია და ბ-ნმა კლენოვსკიმაც ჩვენი პატივისცემა დაიმსახურა მით, რომ ეს საქმე პირველმა ითავა. თუ მისს შემუშავებულს საგალობლებში ქართული ხასიათი არ ვეძიეთ და ევროპიულს, ზოგჯერ თავისებურ ხასიათს შევჯერდებით, უნდა აღვიაროთ, რომ მისი საგალობლები მცოდნე მემუსიკეს ნაწარმოებია. მარტო ისეთ საგალობლების ჰარმონიზაცია, როგორც „მრწამს ერთი ღმერთი“ და „მამაო ჩვენო“-ა, იმდენად სასიამოვნო მოსასმენი იქნება საეკლესიო მუსიკის მოყვარეთათვის, რომ უეჭველია, ესენი ბ-ნ კლენოვსკის მაღლიერნი დარჩებიან.

დიმიტრი არაყიშვილი

363. ცნობის ფურცელი, 1903, 11 მარტი, №2033, გვ. 3

ათონის ნოტებიანი ხელნაწერი

წარსულ ზაფხულს, ათონის მთაზედ, ივერიის მონასტრის წიგნთსაცავში ვნახე რამდენიმე ქართული ხელნაწერი, რომელიც არ არის აღნიშნული ა. ა. ცაგარელის მიერ შედგენილს კატალოგში. სხვათა შორის, შემხვდა ერთი საყურადღებო ეტრატი – „სძლისპირნი და მღვთისმშობლისანი“ ნოტებით. პირველს რვეულს აკლია ნ ფურცელი. მეხუთე რვეულის მეხუთე გვერდზე მიწერილია: „ქრისტე, ადიდე გიორგი მეახლე ორთავე სუფევათა ამინ“.. მეცხრე რვეულის მესამე ფურცლის ბოლოს აწერია: „ქრისტე შეიწყალე იოანე, ქრისტე ადიდე ჯუჯკ ერისთავთა ერისთავი ანდა უკუნისამდე. ამინ.“ ეს სახელები – იოანე და ჯუჯკ შეგვხვდა სხვა ადგილსაც ამავე ხელნაწერში. საყურადღებოა, რომ ნოტები იმგვარია, როგორც ვნახეთ ათონზედ ბერძნულს ხელნაწერებში X-XI საუკ.; ამგვარივე ხასიათი აქვს იმ ნოტებს, რომელიც ტფილისში გვინახავს წერა-კითხვის საზოგადოების და საეკლესიო მუზეუმის წიგნთსაცავში. ნათესაობა ქართულს და ბერძნულს ნოტებს შორის ეჭვს გარეშეა. რაც შეეხება ერისთავ ჯუჯკს, იგი უნდა იყოს ჯოჯიკ ერისთავი, რომლის შესახებ სომხეთის მისტორიე ასოლიკი მოგვითხრობს, რომ „დავით კუროპალატმა შეჰკრიბა ივერიის ჯარი ერის-

თავთ ერისთავის ჯოჯიკის წინამძღვრობით და გაგზავნა იგი თორნიკითურთ წინააღმდეგ ვარდასი“, რომელიც აუჯანყდა ბიზანტიის ხელმწიფეს. მართლაც, ბოლოს ამ მოხსენებული ხელნაწერისა ჩვენ ამოვიკითხეთ სიტყვები, რომელიც ეთანხმებიან ასოლიკის დახასიათებას. ოცდამესამე რვეულის მეორე ფურცელზედ აწერია: „ქრისტე ადიდე ბევრის ბევრეულთა წელთა ჯოჯიკ ერისთავთ ერისთავი, უფროს ყოველთა ნაშობთა ქვეყანისათა იყავნ. ამინ“.

თუ ჩვენი გალობის მეძიებელთათვის საჭირო იქნება, შემძლიან ვუჩვენო ფოტოგრაფიულად გადმოღებული ერთი ფურცელი ამ ნოტებიანი XI საუკუნის ხელნაწერიდან.

ალექსანდრე ხახანაშვილი

364. ივერია, 1903, 11 მარტი, №56 გვ. 1

* * *

მარტის 9 კვირა საღამოს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მწუხრი ილოცა ყოვლად-უსამღვდელოესმა დიმიტრი ალავერდელმა. მწუხრზე გალობდა ბ-ნ მონადირაშვილის მაგალობელ ქალ-ვაჟთა გუნდი, რომელმაც, სხვა საგალობელთა შორის, ჩინებულად იგალობა ჩვენი ნიჭიერის კომპოზიტორის, ანდრია ყარაშვილის ოთხ ხმად შეწყობილი „ჯვარსა შენსა თაყვანი ვსცემთ“ და „შენ ხარ ვენახი“. პირველი და მეორე ხმა ორთავ საგალობლისა შეუცვლელად არის დატოვებული და ხმაშეწყობილი, ანუ ჰარმონიზაცია იმდენად მდიდარი და საამური აქვთ, რომ უნებლიედ იპყრობენ ადამიანის ყურადღებას. ვისურვებთ, ბ-ნ ანდრია ყარაშვილის მეცადინეობა ქართულის გალობის გასაუმჯობესებლად ამით არ დაბოლოებულ იყოს.

მწუხრის დასასრულ, მამა სიმონ ჯაჯანიძემ მდაბიურად და მარჯვედ განუმარტა მრავლად შეკრებილ მლოცველებს „მეათე მცნების“ ძალი და მნიშვნელობა. ქართული ქადაგება და სასულიერო მჭერმეტყველება, რომ აღორძინდეს და ღვთის სიტყვას, საჯაროდ საქადაგებელს, მადლი და შნო დაჰყვეს, ყოვლის უწინარეს საჭიროა, ბეჯითად შეისწავლონ ქართული საღვთო წერილი, ქართული ღვთის მეტყველება, რომლის სიმდიდრეს მტერიც კი დაამონწმებს, ქართველი მქადაგებელნი ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, გაბრიელ ქუთათელი და სხვანი, განსაკუთრებით ხერხი და ღონე სიტყვის განმარტებისა, რომელიც სჩვევია ანტონ ჭყონდიდელსა.

365. ცნობის ფურცელი, 1903, 11 მარტი, №2093, გვ. 3

* * *

ტფილისში არსებობს „ქართულ-რუსულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა გუნდი“. როგორც გავიგეთ, ამ გუნდს განუზრახავს მდგომარე დიდმარხვაში, ტფილისის სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, გამართოს კონცერტი. უკვე შედგენილ პროგრამაში არც ერთი ქართული საგალობელი არ არის თურმე შეტანილი. კონცერტი გაიმართება საარტიცტო საზოგადოების დარბაზში.

ფელეტონი ორიოდე სიტყვა ქართულ მუსიკის შესახებ

უმეტესი ნაწილი მეცნიერთა და კაცობრიობის კულტურის ისტორიის მცოდნეთა იმ აზრისაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ მონყობილებას, იმის სიაკვარგეს და სიმშვენიერეს დიდი გავლენა აქვს ადამიანის კულტურულ განვითარებაზე. ეს აზრი ამჟამად მრავალგვარად არის დასაბუთებული, იგი ჭეშმარიტებად ითვლება. ჩვენ არ შევუდგებით დანვრილებით იმის გამოკვლევას, როგორ მოქმედებს ეს ბუნების კანონი საზოგადოდ ხალხის კულტურულ განვითარებაზე; ეს არ შეადგენს ჩვენს საგანს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ შემჩნეულ მოვლენას, რომ ყოველ ხალხის პოეზია, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ქანდაკება – საზოგადოდ ხელოვნება, მართლაც დამოკიდებულია ამა თუ იმ კუთხის გეოგრაფიულ მონყობილებაზე და ამისდა შესაფერად ვითარდება.

მართლაც, ვინ არ იცის ის, რომ რამდენადაც მრავალფერი და მდიდარია რომელიმე ქვეყანა ბუნების სიმშვენიერით, იმდენად მშვენიერი და მდიდარია ამ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხის ხელოვნება. წინააღმდეგ, რამდენადაც ერთფეროვანი და ღარიბია ქვეყანა, იმდენად ერთფეროვანი და უშინაარსოა იმისი ხელოვნური ნაწარმოები. სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ ბუნების მრავალფერი სიმშვენიერე ჰქმნის ხელოვნების ნიჭს, აფრთოვანებს ხალხის ფანტაზიას და როგორც თვითონ ჰსურს, ისე ილაპარაკებს და ამღერებს. ამ ბუნების კანონის მიხედვით პირველ ხანს შეიძლება კაცმა ის აზრი გამოიყვანოს, რომ ყოველ მშვენიერ ქვეყანაში განვითარებულ და აყვავებულ ხელოვნების მქონე ხალხი უნდა სცხოვრობდესო. მართლაც ისე უნდა იყოს, მაგრამ თუ მშვენიერ ქვეყანაში მცხოვრებ რომელსამე ხალხში აქამომდე არ განვითარებულა ხელოვნება და სასურველ საფეხურამდე არ მიუღწევია, ეს მომხდარა სხვადასხვა ისტორიულ ხელშემშლელი პირობების გამო, რომელთაც, როგორც შემჩნეულია, დიდი გავლენა და შედეგი აქვთ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ბუნების კანონი ძნელად ჰკარგავს თავის გავლენას და ცოტად თუ ბევრად მაინც მოქმედებს. ისტორიულ პირობების გამო ხალხში შეჩერებული ნიჭი გროვდება და განთავისუფლდება თუ არა, მაშინვე შეუდგება თავის საქმეს.

ამ სტრიქონების შემდეგაც ადვილი წარმოსადგენია, რა ბედ-იღბალი უნდა ჰხვედროდა საქართველოს და რა სახე უნდა მიეღო ხელოვნების განვითარებას. რასაკვირველია, საქართველოს მშვენიერ ბუნებას არ დაუყოვნებია და შეუმუშავებია ქართველი ხალხისათვის ხელოვნების მდიდარი ნიჭი, მაგრამ მუდმივი ომები და სხვადასხვა ხელშემშლელი პირობებიც არ იყვნენ უსაქმოდ. ყველამ კარგად იცის ის სამწუხარო მოვლენა ჩვენს ისტორიაში, რომ რასაც ჰქმნიდა ერთი მოკლე მშვიდობიანი ეპოქა, იმას ჰნთქავდა და სობდა მეორე. დადგებოდა თუ არა საქართველოში მყუდრო დღეები, იღვიძებდა სწავლა-განათლება და მასთან, საზოგადოდ ხელოვნებაც: ჩნდებოდნენ პოეტები, მომღერლები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები. სწერდნენ პოემებს, სთხზავდნენ სიმღერებს და საგალობლებს; ხუროთმოძღვარი აგებდა ეკლესიებს, კოშკებს, ციხეებს. მრავალფერად აყვავდებოდა საქართველო, მაგრამ მოდიოდა შეუბრალებელი მტერი და ყველა ამას ნაცარტუტად აქცევდა, მრავალფერად აყვავებულ ქვეყანას უდაბნოდ ხდიდა. წარმოუდგენელია, რომ ამგვარ ისტორიულ მსვლელობას ცუდი კვალი არ დაეჩინა ჩვენ ხელოვნებისა და საზოგადოდ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე და ეს ასეც მოხდა, რაც შემჩნეული და აღნიშნულია ჩვენის ისტორიის ფურცლებზე. თუ ჩვენის პოეზიისა, ხუროთმოძღვრების და მხატვრობის ნაშთები, ნაყოფი ორიოდ მშვი-

დობიან დღეებისა, აქამდის გასაკვირველია განათლებულ ევროპიელთათვისაც კი, რა უნდა ყოფილიყო, საქართველოს რომ ბევრი ჰქონოდა ესეთი მშვიდობიანი დღეები.

დიახ, ისტორიულ პირობებს შეუჩერებია ჩვენში როგორც სწავლა-განათლებისა, ისე ხელოვნების განვითარება, მაგრამ მაინც დაწერილა რამდენიმე პოემა, ამართულა კოშკები, ვეპერთელა მაგარი ციხეები, აშენებულან ტაძარი, დაგვრჩენია მხატვრობის ნაშთები და ესენიც საკმარისია საჭიროებისათანავე გვერდში ამოვუყვანოთ სხვა ხალხის ამგვარ ნაწარმოებებს, რომ იმათ სალი შეხედულება იქონიონ ჩვენზე და ველურებად არ მოგვნათლონ.

სამწუხაროდ, აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ქართულ ხელოვნებათა სიაში ერთი უმაღლესი დარგი – მუსიკა არსადა სჩანს. აღნიშნულ ისტორიულ პირობებს უფრო მეტად შეუჩერებიათ ეს ხელოვნება ჩვენში. თუ ცოტა რამე ყოფილა, ისიც საუკუნეებს ჩაუნთქავთ და გამქრალან. ამ ბოლო დროს აღმოჩენილი ქართული სამუსიკო ნიშნები, ჩვენი სამუსიკო საკრავები, ძველ ეკლესიებში მაგალობელთა დასადგომელი ადგილები ჰმონმოზენ, რომ ოდესმე საქართველოში კარგად ყოფილა მუსიკის საქმე დაყენებული. შეიძლება ჩვენის სამუსიკო ნიშნებით ჩანერილია ის საუცხოვო ჰანგები, რომლებზედაც ამბობს შოთა თავის „ვეფხისტყაოსანში“ „რა ესმოდის მღერა ყმისა, მხეცნი სმენად მოვიდიან“-ო. მაგრამ რადგან ეს სამუსიკო ნიშნები ჯერ არ არის შესწავლილი და მათი ნაკითხვა ჯერ არავის უსინჯავს, ჩვენ არ შეგვიძლიან სრული სურათი შევადგინოთ ძველ ქართულ მუსიკაზე. მხოლოდ ჩვენის სამუსიკო საკრავებისა და ზეპირის სიმღერა-გალობების მიხედვით შესაძლებელი ხდება ცოტაოდენი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენ ძველსა და ეხლანდელს მუსიკაზე. რას ვხედავთ ამ ნიშნების შემწეობით? მეტად სასიამოვნო და სანუგეშო რამეს. რამდენადაც დიდმნიშვნელოვანია ჩვენის პოეზიისა და სხვა ხელოვნების ნაშთები, იმდენად მდიდარი და საყურადღებო ჩნდება ჩვენი მუსიკაც. ჩვენი სამუსიკო საკრავების კონსტრუქცია, ის მრავალფეროვანი აკკორდები და ხმის შეთანხმებები, რომელიც შესაძლებელია აღებულ იქმნას ჩვენს ჩანგურსა და თარზე, ჩვენი სიმღერა-გალობების მდიდარი მელოდიები და სამხმოვანი ჰარმონია, – ყველა ესენი ჰმონმოზენ, რომ ქართული მუსიკა დიდის ღირსებითაა და მდიდარია როგორც მელოდიებით, ისე ჰარმონიითაც.

მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი და უცხოელი შემცდარი შეხედულების არიან ქართულ მუსიკაზე. უმეტეს ნაწილად ისეთი აზრი არსებობს ქართულ მუსიკაზე, ვითომც იგი უნდა წარმოადგენდეს ველურ ხმების ქაოსს. ჩვენშიაც ბევრია ისეთი, რომელსაც ქართული სიმღერა-გალობა თითქმის სასირცხვოდ მიაჩნია და თხოულობს შემოღებულ იქმნას ჩვენში იტალიანური მუსიკა ან, თუ მოსახერხებელი იქნება, ქართული მუსიკა გაიტალიურდეს. რატომ ხდება ეს, რომ სხვასთან ერთად ქართველიც კი აღჭურვილია თავისივე მუსიკის წინააღმდეგ? ისტორიაში შემჩნეულია ის მოვლენა, რომ როცა ორი ხალხი უახლოვდება და ეცნობა ერთმანეთს, ის ხალხი, რომელიც განათლების დაბალ საფეხურზე სდგას, ყოველ ღონისძიებას ხმარობს არ შერცხვეს და თავის გაუნათლებლობის და განუვითარებლობის დამამტკიცებელ საბუთებს მალავს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ გაუნათლებლობის საბუთებს, საქმის უცოდინარობის გამო, განვითარების დამამტკიცებელი რამეებიც ზედ მიჰყვება და იფარება. უეცრივ ჩვენში შემოტანილ განვითარებულ ევროპის მუსიკას ჩვენმა მუსიკამ კონკურენცია ვერ გაუწია და პირველ შედარებით მასზე დაბალი და დიდძალზე დაშორებული გამოჩნდა. ჩვენი სამუსიკო საკრავები თანდათან დავიწყებაში წავიდნენ და მათი ადგილი „ბუზიკამ“, „გიტარამ“ და „არლანმა“ დაიჭირა. დავინწყებას მიეცნენ აგრეთვე ქართული სიმღერები, მათ მაგიერ ხალხმა, განსაკუთრებით ქალაქებში, უცხო მელოდია შემოსძახა. როცა ევროპიელმა ქუჩებსა თუ სამიკიტნოებში ლოთური და ახალმოდის მოტივები გაიგონა და ქართულ მუსიკის ავ-კარგიანობის მწერლობითი საბუთები არსად იყო, მან სიჩქარით დაასკვნა: ქართული მუსიკა „ველური ხმების ხაოსია“-ო. მუსიკის თეორიის და მისი ისტორიის უცოდინარობის გამო, გულშემატკივარმა ქართველმა ვერც თავის თავს მისცა ამ

შემთხვევაში ანგარიში და ვერც ევროპიელს გასცა პასუხი; იგი თანდათან, ძალაუნებურად შეურიგდა ევროპელების მიერ ქართული მუსიკის შესახებ შეთხზულ აზრს.

სამწუხაროდ, დღემდის ბევრი უცხოელი და მათი გავლენით ბევრი ქარველიც საქმის უცოდინარობის გამო, ეგეთი ცუდი შეხედულების არიან ჩვენ მუსიკაზე. ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ აქვე შევადართო ქართული სიმღერა-გალობა ევროპიულ მუსიკას, გავარჩიოთ ჩვენი მელოდიები და ჰარმონია ევროპიულ მუსიკის თეორიის მიხედვით და ვუჩვენოთ ღირსება და ნაკლულევანებანი. ჩვენ არ შევხებით ქართულ მუსიკას იმ მხრით, თუ რამდენად სასიამოვნოა იგი ქართველთა და ევროპეელთა ყურისათვის; მუსიკა სუბიექტური ხელოვნებაა და ამისათვის, რაც ერთს მოსწონს, იგი ადვილად შეიძლება მეორეს სრულიად არ ესიამოვნოს.

ეს ხდება არამც თუ მაშინ, როცა სხვადასხვა ხალხის მუსიკას ადარებენ, მაშინაც კი, როცა ევროპის სხვადასხვა სკოლების, სხვადასხვა მიმართულების კომპოზიტორების ნაწარმოებებს ისმენენ.

როგორც ვიცით, ქართული მუსიკა დღემდის ალაღბებზეა მიგდებული, მის განვითარებისათვის ხელოვნურ სკოლას არ უმუშავნია და, რასაკვირველია, არა გვაქვს ისეთი დასრულებული მუსიკალური ნაწარმოები, როგორც არის ორატორია, სიმფონია, სონატა, ოპერა; ჩვენ მუსიკალურ სიმდიდრეს შეადგენს მხოლოდ ხალხური სიმღერა-გალობა და ჩვენი სამუსიკო საკრავების ჰანგები. თითქმის შედარებაც შეუძლებელია: სად ჩვენებური სამუსიკო საკრავები და სად ევროპის მედიდური ორკესტრი? სად ჩვენი სიმღერა-გალობა და სად ევროპიული მესსები, ორატორიები და ოპერები? მაგრამ რაც ხელოვნურად განვითარებულ ევროპიულ მუსიკას მოეთხოვება, ის არ მოეთხოვება ხალხურ მუსიკას. ჩვენ მიერ აღნიშნული ფორმები ხელოვნურ მუსიკის სკოლის შედეგია; ჩვენ არც ამ მხრით შევადარებთ ქართულ მუსიკასა და ევროპიულს. საკმარისი იქმნება, თუ დავახასიათებთ ქართულ ხალხურ მუსიკას და მასში აღმოვაჩინოთ იმ მასალას, საიდანაც ოპერასა და სხვა ნაწვენებ ფორმას ჰქმნიან კომპოზიტორები.

თავდაპირველადვე ჩვენ გვაკვირვებს შემდეგი მოვლენა: რაც განათლებულ ევროპაში ხელოვნურ სკოლას შეუქმნია, ჩვენში თავისთავად მომხდარა, უბრალო ხალხს თავისი ბუნებრივის ნიჭით გაუკეთებია სკოლის საქმე. მაშინ, როდესაც ევროპის ჰარმონია, კონტრაპუნქტი, თავისი ეგრედ ნოდებულის სასტიკ ფორმებით შემუშავებულია ხელოვნური სკოლის შემწეობით, ფიზიკის კანონების გამოკვლევებით, საქართველოში ეს საქმე გაუკეთებია რომელსამე ხალხურ მომღერალს, უბრალო მეჩანგურეს. თავისი მშვენიერი მკაფიო მელოდიები ხან მედიდური და მხიარული, ხან დრამატიზმით და გულამონაკვნესით სავსენი, გადუტანია ქართველს რთულ და მშფოთვარე ჰარმონიის ზღვაში, რომელსაც ისე უბრძანებს და ამღელვარებს, როგორც მომღერალის გული ითხოვს საჭირო გრძნობის გამოსახატავად. ის, რომ ქართული მუსიკა ჰარმონიულია და არც ძველ მაგლობლებს და არც ჩვენ ისტორიას არ ახსოვს, როდის იყო ის დრო, როცა ქართველი ერთ ხმაზედ (УНИСОНЬ) მღეროდა, – ქართული მუსიკის დიდ, განსაკუთრებულ ღირსებას შეადგენს. თითქმის დღემდისაც უმეტეს ნაწილად აზიისა და ევროპის უბრალო ხალხი ერთ ხმაზე მღერის. თუ შევხვდებით სადმე ჰარმონიას (ევროპაში), ისიც მახლობელ ქალაქების გავლენით გაჩენილა და ისეთი პრიმიტიულია, რომ მოხსენებად არა ჰქონდა. ჩვენებური სიმღერა-გალობების ჰარმონია კი ისეთი ღირსებისაა, რომ იგი მოეთხოვება მხოლოდ მათ, რომლებსაც სკოლაში ჰარმონიის და კონტრაპუნქტის თეორია უსწავლიათ. ესლანდელი ჰარმონიის მოთხოვნილება და ღირსებაც ის არის, თუ, მაგალითად, მრავალხმოვან მუსიკალურ პიესაში ყველა ხმები თავის საკუთარ პარტიას მღერის. ამ მხრით, ქართული საეკლესიო და საერო მუსიკა გასაკვირველ რამეს ნარმოადგენს. უმეტეს ნაწილად ხმები ყოველთვის თავ-თავის საკუთარ მელოდიებს მღერიან. პირველი ხმის „დაწყების“ მელოდიას მიჰყვება კონტრაპუნქტი „მაღალი ბანისა“, რომელსაც, როგორც კონტრაპუნქტს და არა უმთავრეს მელოდიას, უფრო უბრალო სახე უნდა ჰქონდეს, მაგრამ ძლიერ ხშირად „მაღალი

ბანი“ თავისი მელოდიით არამც თუ უდრის, – კიდევაც სჯობია პირველ ხმის უმთავრესს მელოდიას. ბანიც ხშირად მღერის როგორც გამმისებურ მიმოსვლებს, ისე თავის საკუთარ მელოდიასაც. (ამის მაგალითებია: „ალი ფაშა“, „ხასანბეგური“, „ნადური“ და მთელი ქორიძის მიერ გადაღებული ნირვის ნესი და სხვა.) ხშირად უმთავრესი მელოდია გადადის პირველი ხმიდან მეორეში, აქედან ბანში. ესეც დიდ ღირსებად ითვლება ჰარმონიაში და ჰიმნობის მომღერლის მუსიკალურ განვითარებასა. ნაჩვენები ღირსებებიც კმარა, რომ ქართულ მუსიკას არ ეწოდოს „ველური ხმების ხაოსი“. მაგრამ რომ უეცრივ ხმა ჩაიკმიდონ მათ, ვინც ქართულ მუსიკას ეგეთი შეურაცხყოფა მიაყენა, ვუჩვენებთ ქართულ სიმღერა-გალობებში კიდევ ერთ გასაკვირველ ღირსებას. ჩვენს მუსიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ ფორმებს, რომლებიც ეგრედ წოდებულ ევროპიულ მუსიკის იმიტაცია-ფუგას მოგვაგონებენ; ეს გასაკვირველი ღირსება ერთნაირად ემჩნევა საერო სიმღერებს და საეკლესიო საგალობლებს. (უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო მუსიკაში). ვინც იცის თუ რა ძნელი შესათხზავია იმიტაცია-ფუგა, თუ როგორი აუცილებელი საჭირო არის ქალაქი, კარანდაში, საშალი რეზინა და ოთახში ჩაკეტა, რაღა ხეირიანი იმიტაცია-ფუგა დაინეროს, იგი პირდაპირ გვაკვირდება ამ შემჩნეული ღირსებით. ჩვენი სამუსიკო საკრავები მოწმობენ, რომ ქართული მუსიკა დიდი ხნიდან ჰარმონიულია. როგორც მათი კონსტრუქციიდან სჩანს, ქართული ჰარმონიის მთხზავი ხმარობდა და ხმარობს როგორც უბრალო აკკორდების მაგიერ ინტერვალებს (ტერციას, კვარტას, კვინტას, ოქტავას), ისე სამხმოვან (трезвучие) და ოთხხმოვან (доминантаккордь) აკკორდებს თავ-თავისი მიმოქცევით (обращение).

თუ ზოგან ქართულ მუსიკას გადაუბიჯებია და ევროპიული მუსიკის კანონების წინააღმდეგ წასულა ან თავისი ორიგინალური ფორმები შეუმუშავებია, ეს არამც თუ ნაკლებუნებად – ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რადგან უამისოდ ქართულ მუსიკას აღარ ერქმეოდა „ქართული“. იგი მოკლებული იქნებოდა ეროვნულ, განსხვავებულ ფორმებს. ამნაირ ფორმებს ეკუთვნის ჩვენს მუსიკაში ეგრედ წოდებული აკრძალული კვინტებით და ოქტავებით მსვლელობა და ყველა სიმღერა-გალობის ერთ ხმაზე (ან კვინტით) გათავება. როცა ამაებს ხვდებიან ჩვენს მუსიკაში, მაშინვე ჰარმონიის განუვითარებლობას მიანერენ. არ ვიცი, რით ხელმძღვანელობენ ამ შემთხვევაში ეს სასტიკი კრიტიკოსები.

ქართველ ხალხისთვის არავის უთქვამს კვინტები და ოქტავები აკრძალულია და ნუ იხმარო; ევროპიულ მუსიკის კანონებით მათი ხმარება დაშლილია, მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად ხმარებაში არიან ევროპიულსავე მუსიკაში. თუ ევროპის კომპოზიტორები ხმარობენ მათ, რატომ ხალხს არ შეუძლია მათით ისარგებლოს? შეიძლება მომავალში ეს დაშლილი კვინტები და ოქტავები დაკანონდნენ, როგორც ეს დაემართა ინტერვალ ტერციას. ეს ინტერვალ, აკკორდის მაგიერ აღებული, დიდი ხანი დისსონანსად ითვლებოდა, ეხლა კი, როგორც ვიცით, საზოგადო ხმარებაშია, როგორც კონსონანსი. ყველა ის დისსონანსები და ჰარმონიული ხმის შეჯახებანი, რომლებიც ხშირად არის ქართულ სიმღერა გალობებში, ადვილად აიხსნებიან ადგილობრივ ხმის მიმოხვრით (голосоведение). ამგვარი ადგილები ძლიერ ხშირია ევროპიულ მუსიკაშიაც. თავის ადგილზე ნახმარი დისსონანსი კონსონანსს სჯობია, ამას კაი ხანია მიხვდა ევროპიული მუსიკის თეორია და მისი ხმარების კანონები შეიმუშავა; ასე რომ, ეხლანდელი ევროპიელი კომპოზიტორი ისე ხმარობს დისსონანს, როგორც კეთილ ხმოვანს და ტკბილ კონსონანსს.

ზევით ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ რა დიდი ღირსებისაა ქართული მუსიკა და რა მდიდარ და დაუშრეტელ მასალას აძლევს იგი კომპოზიტორს. ქართველ კომპოზიტორს შეუძლია ისარგებლოს ყველა იმ ფორმებით, რომლებიც ევროპიულ სამუსიკო სკოლას შეუმუშავებია. ამ ფორმებში გატარებული მელოდიები, მათი ახალი ჰარმონიული სახე, არასოდეს არ დარჩება გაუგებარი და მიუწვდომელი ქართველი უბრალო ხალხისთვის. გინდა კონცერტული ფორმა, მრავალხმოვანი ჰარმონია, ხმების სხვადასხვა დროს ერთი მეორის გამოდგომა

(разновременные выступления), თვით იმიტაცია – ფუგა და კანონი, – არც ერთი ამათთაგნი ქართველ ხალხისათვის უჩვეულო რამეს არ შეადგენს, რაც საკმარისად სჩანს ქართული მუსიკის შინაარსიდან. მთელი ეხლანდელი ევროპიული ორკესტრი, თავისი მძლავრი აკკორდებით, მარდი მელოდირი პასსაჟებით, ცელქი ტრელებით და მრავალფერ აპოჯიატურით, არ გაუეკვირდება ქართველს, რადგან მან დიდი ხანია, რაც ჰარმონიას შეაჩვია ყური; მელოდიაში და მის გამშვენიერებაში ხომ ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. ჩვენი სიმღერების კრიმანჭული ისეთი რთული მელოდიური და მრავალფეროვანია, რომ არამც თუ უბრალო ევროპიულ მუსიკის პასსაჟებს გაუთანასწორდება, დონიცეტის ფლეიტსაც კი გადააჭარბებს.

გასაკვირველია იმ პირების საქმე, რომლებიც ქართული მუსიკის გადაკეთების და განვითარების წინააღმდეგნი არიან. „როგორ შეიძლება ქართული სიმღერა-გალობა სამხმოვან ჰარმონიიდან ოთხხმოვან ან მრავალხმოვან ჰარმონიაში იქნასო გადატანილი? როგორ შეიძლება ქართული, ვითომ და ღარიბი მელოდიებიდან, ოპერა ან სხვა დასრულებული მუსიკალური ნაწარმოები დაინეროსო? როგორ შეიძლება ორკესტრმა რამე ქართული დაუკრას ისე, რომ არ დაამახინჯოს“-ო და სხვადასხვა.

ყველა ამგვარი მსჯელობა მოწმობს, რომ მის გამომთქმელს მუსიკისა არა ესმის რა. თუ სხვა ხალხებმა, რომელთაც მელოდიის მეტი არა მოეძეოდათ რა, შეჰქმნეს სიმფონიური პიესები და ოპერები, ჩვენ კომპოზიტორს რაღა დაუშლის, როცა მას ყველაფერი საჭირო მასალა მზადა აქვს.

რასაკვირველია, ქართულმა მუსიკამ (როგორც საზოგადოდ ყველაფერმა ხალხურმა) არ უნდა დაჰკარგოს ეროვნული განმასხვავებელი თვისებები; ეს არ არის ისე შეუძლებელი, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ და ერთნაირად სასურველია როგორც ჩვენთვის, ისე ევროპიულ მუსიკის ინტერესებისათვის.

ამჟამად, როცა ევროპიული მუსიკა ისეთ განვითარებამდის მივიდა, რომ ევროპიელმა კომპოზიტორმა არ იცის რა შეთხზას და რა დასწეროს იმისთანა, რაც უკვე ნათქვამი და დაწერილი არ აღმოჩნდეს, მთელი ყურადღება მიექცა აღმოსავლეთის მუსიკას, იკვლევენ და ამუშავებენ აღმოსავლეთის მელოდიებს იმ მოლოდინით, რომ მხოლოდ ამ სახით შესაძლებელი იქნება განახლდეს და განვითარდეს ხსენებული ხელოვნება. ჩვენ მელოდიებსაც მოჰკიდეს ხელი და თანდათან რწმუნდებიან, რომ ქართული მუსიკა არ არის ველური ხმების ხაოსი და ამასთანავე, ძნელი შესადარებელია აღმოსავლეთის მუსიკასთან, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ მელოდიურია (თათრული, სპარსული); ქართული მუსიკა კი, როგორც ზევით დავინახეთ, რთული ჰარმონიის მქონეა. ჩვენ მელოდიებს რუსების კომპოზიტორები უფრო ეტანებიან. გლინკას, ჩაიკოვსკის, რუბინშტეინს, ბალაკირევს, იპპოლიტოვ-ივანოვს, რიმსკი-კორსაკოვს და კლენოვსკის, ყველას აქვს თითო-ოროლა მელოდია შემუშავებული. სამწუხაროდ, ეს კომპოზიტორები მხოლოდ ქალაქებში გასცნობიან ქართულ სიმღერებს და უბრალო ქუჩურ მელოდიებზე დაუხარჯავთ შრომა, მაგრამ ეს უბრალო მელოდიებიც მცირე ჰარმონიულ შემუშავების შემდეგ საუცხოვო რამ გამოსულა. როგორც ვიცით, რუბინშტეინის დემონში, ქართული სიმღერები საუკეთესო ადგილს შეადგენენ. რასაკვირველია, რუსები იქნებიან თუ სხვა ევროპიელნი ისარგებლებენ ჩვენის მუსიკით თავის სიამოვნებისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმაო. სასურველია, რომ სიმღერე არ დაგვეკარგოს და ჩვენი მუსიკა ჩვენსავე ნიადაგზე იქმნას შემუშავებული.

მაგრამ რანაირად უნდა მოხდეს ეს, როცა ჩვენში მუსიკის საქმე ალალ-ბედზეა მიგდებული და ვინც მუსიკას სწავლობს, მოცლილ კაცს უძახიან. თუმცა სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხები გვადგია კარზე და პირველი პასუხი იმათ უნდა გაცეს. ამ შემთხვევაში მართლაც ქართულ მუსიკის საქმემ ვითომ ცოტა უნდა მოიცადოს, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ხელოვნება საზოგადოდ და მერე ეგრედ წოდებული მშობლიური ხელოვნება კერძოდ, აუცილებლად საჭიროა ყოველი ხალხისათვის. იმისთანა პირობებში მყოფ ხალხისთვის კი, როგორშიაც

არის ეხლა ქართველი, რომელსაც ყოველდღე შთანთქმა და გადაგვარება მოელის, მშობლიური ხელოვნება კიდევ უფრო საჭიროა. შემჩნეულია, რომ როცა ხალხს სხვა საბრძოლველი იარაღი გაჰვარდნია ხელიდან, ენა, ზნე-ჩვეულება და მასთან საზოგადოდ მშობლიური ხელოვნება, როგორც ეროვნების დამცველი და შემნახველი, ერთადერთ თავდასაფარავ იარაღს შეადგენს. ამისათვის, აუცილებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს ქართულ მუსიკის საქმეს ჩვენში. რადგან, როგორც ზევით დავინახეთ, ქართული მუსიკა დიდის ღირსებისა და საინტერესოა, ადვილად შეიძლება ამითიცი მივიქციოთ განათლებულ ევროპის ყურადღება. მაგრამ ქართველმა არ იცის, რაა მისი სიმდიდრე, ყველაფერი ალალ-ბედზე მიუგდია და გამჭრიახი ევროპელი კი ამით სარგებლობს. ეს სამწუხარო ფაქტი მკაფიოდ დაეტყო ჩვენს ცხოვრებას ამ უკანასკნელ დროს, იგი შეგნებული აქვს ყოველ განათლებულ ქართველს.

ამ შემთხვევაში მუსიკის სიმდიდრეზეა ლაპარაკი და რას ვხედავთ? საქართველოში დღემდის ერთი ხეირიანი საზოგადოება არ დაარსებულა, რომელსაც აზრად ჰქონოდა ქართულ სიმღერა-გალობების შეკრება და მათი ასრულება. მხოლოდ რამდენიმე კერძო პირები, რომელნიც ცხოვრების პირობებისა გამო იძულებულნი არიან თავი ირჩინონ მუსიკალური შრომით, ჰკრებენ სიმღერებსა და ჰმართავენ კონცერტებს. წარმოუდგენელია, რა გაჭირვებაში ვარდებიან ეს საბრალო პირნი: საზოგადოება იმათ ხელს არ უწყობს, მომღერლებს ვერ პოულობენ; ბევრის წვალების შემდეგ, ათასში ერთხელ, მოაწყობენ საქმეს და მაღლობის მაგიერ ხშირად კიცხვით ეგებებიან იმათ ჩვენი სასტიკი კრიტიკოსები და საზოგადოება. ამნაირად ბედზე მიგდებული საქმე არასდროს არ წაინვეს წინ თუ თვითონ საზოგადოებამ არ მიაქცია ყურადღება.

სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ მთელ საქართველოში ერთი ხეირიანი კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე არ მოიძებნება. შეიძლება პიანინოს რომელსამე დამკვრელს ან საეკლესიო ხოროს ლოტბარს არ ესია მოვნოს ეს სიტყვები, შეურაცხყოფადაც მიიღოს, მაგრამ ამათ და მუსიკის სერიოზულად მცოდნეთა შორის დიდი მანძილია. ამას გარდა, ფაქტი თვალწინა გვაქვს: ნაწარმოები არსადა სჩანს.

იმედია, ეს მცირე წერილი გაახსენებს ქართული ხელოვნების და განსაკუთრებით მუსიკის მეცენატ ქართველებს (თუ ამისთანები სადმე მოიპოვებიან ჩვენში), რა მდგომარეობაშია ეხლა ჩვენი მუსიკა და როგორი შრომაა საჭირო, რომ ქართული მუსიკა განვითარდეს და ევროპიულ მუსიკას გვერდში ამოუდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მუსიკას მოელის დაქვეითება და იქნებ სრულიად გაქრობა და დავინწყებაც.

კ. ფოცხვერაშვილი

367. ივერია, 1903, 2 მაისი, №95 გვ. 2

*** * ***

რაც ხანი გადის, თანდათან უფრო ქართულ გალობისა და სიმღერის სიყვარული ფეხს იდგამს. ეს აღორძინება სიმღერისა და გალობის საქმისა, ცხადად ეტყობა ტფილისის ქართველობას. ისე სადმე მიცვალებული არ დასაფლავდება, რომ მისი ჭირისუფლები ქართველ მაგლობელთ არ ჰნატრობდნენ. როგორც ჭირში, ისე ლხინში, უფრო კი ქორწილში, ყველა ხალხის იჩენს სიმღერა-გალობისას.

თუმცა გალობის სიყვარული ასე ცხადად სჩანს, თუმცა ყურადღების მიმპყრობნიც ჰყავს და მაგლობელნიც არიან, მაინც, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრგან მაგლობელთ გუნდი

არ ვარგა, მათი გალობა სასოებას ვერ აღძრავს. ვინც არა მგონია, ბრალიანი და უბრალო, გალობის ოსტატობასა ჩემობს და მით ამახინჯებს ქართულ გალობის ღირსებასაც.

ამას წინადად ტფილისში დასაფლავებულ იქმნა ვინმე ალ. ძ.; მიწვეულ იქმნენ ნიკოლოზის ეკლესიის მგალობელნი. 15 კაცის მაგიერ 5 კაცი მოვიდა და ამ ხუთმა კაცმა ისე წაახდინა გალობა, რომ მწირველმა გალობის განგრძობა აღუკრძალა მგალობელთ. ასეთ მომზადებულ მგალობელთ უნდა აღეკრძალოთ ქართული გალობა და მის დამახინჯებაო! – ამბობდნენ საყდარში მყოფნი.

368. ივერია, 1903, 2 მაისი, №97, გვ. 2

ქართული საეკლესიო გალობა

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, გუშინ, მიიღო პროექტი იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება დაცულ იქმნას ქართული გალობა და თხოვნა, რომ პროექტი თავადაზნაურთა კრებას წარედგინოს განსახილველად.

„ჯერ ასი წელიწადი არ გასულაო მას აქეთ, – ვკითხულობთ პროექტში – რაც საქართველოში ქართული გალობა ჰყვარდაო. ქართლ-კახეთის ოცდაოთხ სამღვდელთმთავრო ტაძრებთან – სვეტიცხოველში, სამთავროში, ტფილისში, მანგლისში, ნილკანში, სამთავისში, ურბნისში, რუისში, ნიქოზში, მარტყოფში, ნინოწმიდაში, სამებაში, ჭერემში, ბოდბეში, ალავერდში და სხვა – მგალობელთა გუნდი ყველგან იყო და საეკლესიო მამულების შემოსავალით სცხოვრობდნენო. ამას გარდა, თავადაზნაურთა ყოველი საგვარეულო თავის კარის საყდრებთან, მეფის ოჯახივით, ინახავდნენ მგალობელთა გუნდსა და საუკეთესო სამღვდელთა; მაგრამ 1811 წ. შემდეგ საეკლესიო გამგეობა შეიცვალა და მას აქეთ ქართულ გალობის საქმეს უკან და უკან წავიდაო.

ქართულ გალობის ძველის კილოების დაცვა კი, როგორც ეკლესიებში სახმარებლად, ისე მეცნიერულად შესწავლისათვის, ფრიად საჭიროაო.

ქართულ გალობის ძველის კილოების დაცვისათვის საჭიროა:

ა) მათი ნოტებზედ დაწერა და დაბეჭდვა და

ბ) მუდმივი ქართველ მგალობელთა გუნდის შენახვა ტფილისის ერთ-ერთი ეკლესიასთანაო.

დღეს, რაკი ძველის საქრისტიანო ტაძრების დამცველი და პატრონი საქართველოს თავადაზნაურობააო და იგივე ჰზრუნავს საზოგადო საჭიროებათათვისაო, ურიგო არ იქნება, ამავე თავადაზნაურობამ, თავის სასახელოდ, ქართულ გალობისთვის იზრუნოს და ოთხის წლის განმავლობაში წელიწადში ორმოცდაათ-ორმოცდაათი თუმანი გადასდოს ქართულ ძველის გალობის კილოების დასაბეჭდათაო, ხოლო მგალობელთა გუნდის შესანახად წელიწადში ას-ასი თუმანი, ვიდრე საკმაო თანხა შესდგება, რომ მისი სარგებელი გაუძღვეს ამ საქმესაო. ამ ფულის დანიშნულებისამებრ დახარჯვა და ამ სიმპატიურ საქმის სისრულეში მოყვანა მიენდოს ან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასა, ანუ ცალკე კომისიას, როგორც თავადაზნაურობა საუკეთესოდ დაინახავსო.

გალობის მოყვარე

ცოტა რამ ქართულ გალობის შესახებ ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში

ყველასათვის ცხადია და თვალსაჩინო, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია და უნდა ჰქონდეს (თუ საუბედუროდ არა აქვს) წმ. ეკლესიისათვის გალობას და როგორა ჰმოქმედებს მლოცველებზედ დინჯი, მწყობრი და „ღმობიერი“ ქართული გალობა. მე აქ საჭიროდ არ ვრაცხ ავსწონ-დავსწონო ქართულ გალობის და საზოგადოდ, მუსიკის ღირსება და აკვარგანობა, ვინაიდან ეს დიდი ხანი ცხადია და ნათელი. ჩვენი საეკლესიო საგალობლების (თუნდა საერო სიმღერებისაც) მდიდარი მელოდიები და ჰარმონია, რის შესახებაც ბევრს უკვე უღვიარებია გაზეთების ფურცლებზედ, ცხადია არა მარტო ჩვენთვის – ქართველთათვის, არამედ უცხოელთათვისაც, ვისაც კი საფუძვლიანად გაუცვინია.

მე მინდა მხოლოდ ვიკითხო: ჯეროვანი ყურადღებაა მიქცეული ჩვენს ქართულს გალობაზედ თუ არა? ღირსეული ადგილი უჭირავს სასულიერო სასწავლებლებში? ვამბობ სასულიერო სასწავლებლებში, რადგან სწორედ სასულიერო სასწავლებლის მონაფეთათვის არის საჭირო ქართული გალობის ცოდნა, როგორც ეკლესიის მომავალ მსახურთათვის.

თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებამ, სცნო რა ჭეშმარიტი სარგებლობა და საჭიროება ქართულის გალობისა ხსენებულს სასწავლებელში, დიდი უნარი გამოიჩინა: უკანასკნელი გროში გაიღო და ცალკე მასწავლებელი მოიწვია მხოლოდ ქართულ გალობისათვის; და განა მისაბაძავი საქმე არ გააკეთა ამით ამ სამღვდელოებამ?

მივიწყებულია ერთი მხარე კიდევ, ე. ი. ის, რომ ცოტა ოდნავ მაინც გაფართოვდეს სასულიერო სასწავლებლებში ქართული გალობის სწავლების პროგრამა. თუ არ გაფართოვდა და მეტი ადგილი არ დაეთმო გალობას სასულიერო სასწავლებლებში, არასოდეს იქ ქართული გალობა სანატრელს ნაყოფს ვერ მოიტანს, თუმცა, რასაკვირველია, ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ცალკე მასწავლებელი უფრო ბევრს გააკეთებს ქართულ გალობის საქმეში, ვიდრე მამინ, როდესაც ორივე რუს-ქართული გალობა ექმნება ჩაბარებული ერთს.

უეჭველია, ამ საქმის გაკეთება არ შეუძლიან მარტოდ თელავის ოლქის სამღვდელოებებს, მაგრამ, განა ეს საქმე, ქართული გალობის კარგად სწავლება სასწავლებლებში მთელის ეპარქიის სამღვდელოებს არ შეეხება? განა თვითეული მათგანი არ უნდა სცდილობდეს, რომ თვის ეკლესიაში ესმოდეს კარგი გალობა?

მაშასადამე, გალობისათვის მეტის ადგილის დათმობის საქმე სასულიერო სასწავლებლებში უნდა ითაოს უეჭველად მთელის ეპარქიის სამღვდელოებამ.

...რა უნდა ჰქნას ქართულ გალობის მასწავლებელმა, თუნდა ზეციდამ ჩამოსული იყოს, ექვსი გაკვეთილით კვირაში (გარდა მოსამზადებელ კლასებისა)? როგორ ასწავლოს შეგირდებს საგალობლები: მწუხრისა, ცისკრისა, იოანე ოქროპირ. ლიტურგიისა, პირველშენიარულისა, ოხითანი საუფლო და წმიდათანი, მიცვალებულისა და სხვ. მაგ, მეოთხე კლასში, უქმეები რომ არ შეჰხვდეს, სულ 25-26 გაკვეთილი ერგება მთელს წელიწადში ქართულ გალობას. როგორ უნდა მოასწროს მასწავლებელმა ამ 26 გაკვეთილით მთელი ზემოხსენებული საგალობლები შეასწავლოს მონაფეებს, თუ მონაფეთა ყურს ხშირად არ ესმის ეკლესიაში მაინც ეს საგალობლები? მე მგონია, ბევრი სემინარიაში, თუნდაც სხვა სასწავლებელში მონაფედ ნამყოფი დამეთანხმება, რომ მომეტებული საგალობლები

(რუსული, რასაკვირველია, რომელიც ხშირად ესმოდათ) შეისწავლეს უფრო ეკლესიაში, ვიდრე გაკვეთილებზედ.

როდესაც თელავის სასწავლებლისათვის სამღვდელოებამ მოისურვა ქართულ გალობისათვის ცალკე მასწავლებლის მოწვევა, ბევრს არ ეგონა, თუ მთავრობა ამას შეინწყნარებდა და დაამტკიცებდა, მაგრამ არაფერი დაბრკოლება არ აღმოჩნდა მთავრობის მხრივ. რად უნდა ვიფიქროთ, ვითომც მთავრობა იმას კი არ შეინწყნარებს, რომ ქართულს გალობას სასულიერო სასწავლებლებში აწინდელზედ მეტი ადგილი დაეთმოს.

მკითხველს ესსომება, ამ ერთის თუ ორის თვის წინად „ივერია“-ში იყო მოთავსებული ახალ ამბავთა შორის, რომ ყ-დ უსამღვდელოსის ეგზარხოსის ალექსის განკარგულებით მიენდო კომისიას ყოვლადსამღვდელო დიმიტრის თავმჯდომარეობით ქართულ საგალობლების წიგნების გადასინჯვა და შეკრება მთელის წლის საგალობლებისა ერთ ჯგუფადაო. ამ საქმისათვის ყოვლადსამღვდელო დიმიტრის განკარგულებით, ამ ცოტა ხანში, მოწვეულნი იქმნებიან გალობის მცოდნე სამღვდელო და საერო კაცნიო.

თუმცა ჯერ არ გამოცხადებულა, როგორ დაათავა ამ საქმის მუშაობა ხსენებულმა კომისიამ, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ მთავრობას ყურადღება აქვს მიქცეული გალობაზედ და ქართული გალობის გაფართოვებასაც მიაქცევს ყურადღებას და შეინწყნარებს თხოვნას, თუ მუყაითად და ბეჯითად მოეკიდება მთელის ეპარქიის სამღვდელოება ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს.

არ იქნება ურიგო, ასეთივე კომისია შესდგეს, რასაკვირველია, მთავრობის ნებართვით და განკარგულებით ქართულ გალობის პროგრამის შესამუშავებლადაც. ქართულ გალობის მასწავლებელი ვერ ისარგებლებს პირდაპირ რუსული გალობის პროგრამით; თუ პროგრამა არ შემუშავდა, ქართ. გალობის მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მონაფეებს ისე, როგორც თვითონ მოისურვებს; განსაკუთრებული კონტროლი არა ჰყავს, ასე რომ, ბედი ქართულის გალობისა სასწავლებელში დამყარებულია მხოლოდ მასწავლებლის სვინდისზედ.

მ. ელიზბარიშვილი

370. ცნობის ფურცელი, 1903, 27 ივნისი, №2193, გვ. 2

ახალი ამბავი

ტფილისში არსდება ახალი ქართული საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება შეჰკრიბოს და გამოსცეს სახალხო სიმღერები, გამოსცეს სამეცნიერო გამოკვლევანი ჩვენის სიმღერა-გალობის შესახებ, ხელი შეუწყოს სამუსიკო ცოდნის გავრცელებას საღამოების, კონცერტების და სხვ. გამართვით. საზოგადოება დაეხმარება, აგრეთვე, ყველა იმათ, რომელნიც მოისურვებენ სწავლას რუსეთსა თუ საზღვარგარეთის, სამუსიკო სასწავლებლებში. საზოგადოების წესდების ძალით, ნება ექმნება გამართოს საკუთარი მუზეუმი სამუსიკო იარაღისა, იქონიოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვ. საზოგადოება შეადგენს, აგრეთვე, მომღერალთა გუნდს. სანევრო გადასახადი 5 მანეთია. საზოგადოების დამფუძნებელ წევრებად ჩაენერა 60 კაცი. წესდების პროექტი უკვე წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს.

371. ივერია, 1903, 3 ივლისი, №143, გვ. 1

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ-ნი ჩახნაშვილი, რომელიც სამრევლო სკოლებში გალობას ასწავლის, ქართულ საგალობელ ნოტებს ამზადებს, რომლებიც მერე პატარა რვეულეზად დაიბეჭდება. ამ გამოცემებისათვის საჭირო ფულს დაჰპირებიან კიდეც. ვისაც ბ-ნი ჩახნაშვილის დასის გალობა მოუსმენია, ის ადვილად მიხვდება, რა ნოტები გამოუვა ამ მთხუზველს. ანჩხატობას რო „ჩვენთანაა ღმერთი“ იგალობა იმისმა დასმა, ქართულ გალობას არაფრით არ წააგავს. ამისთანა მძიმე საქმეს რო ხელსა ჰკიდებს კაცი, წინადავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შრომა მაღლად ჩაუვლის და არა გასაკიცხად.

372. ივერია, 1903, 19 ივლისი, №153, გვ. 1

ტფილისი, 18 ივლისი

ქართული საეკლესიო გალობა ისეთივე ძვირფასი განძია ქართველთათვის, როგორც სამშობლო ენა და მწერლობა. ამისათვის, დიდი დანაშაული იქნებოდა ქართულის თანამედროვე მწერლობისათვის, უკეთუ უყურადღებოდ დასტოვებდა ყოველ იმ გარემოებას, რაც საეკლესიო გალობას შეეხება, მის შეულახავად დაცვას, შეფერხებას ანუ გაძლიერებას. ეს საერო საქმეა და არა კერძო კაცისა, ანუ ჯგუფისა და დასისა. ამისათვის არავინ უნდა დაგვემდუროს, როდესაც ამ საგანს შეეხებით და ჩვენს აზრს გულწრფელად განვუზიარებთ ჩვენს მკითხველებს და თვით იმ მშრომელთაც, რომელნიც ეკლესიასა და ქართულს ერს უანგაროდ ემსახურებიან. მხოლოდ ამ ყველასათვის ადვილად მისახვედრის აზრით გამოვაქვეყნეთ ამას წინად საოცარი ამბავი ქართული საეკლესიო ნოტების შესახებ. ჩვენ გვსურდა ამ მცირე შენიშვნით გამოგვერკვია: ვისგან და რა ნოტები იწერება, მცოდნე კაცს უდვია კისრად ეს მძიმე ტვირთი, თუ არა. ჩვენი მოსაზრება და სურვილი გამართლდა; ეხლა საქმის ვითარება თითქმის გამოირკვა. ჩვენს მცირე ამბავს მეტად გაუცხარებია ბ-ნ გ. ჩახნაშვილი, რომელიც ხარფუხის (ტფილისშია) სამრევლო სკოლებში გალობას ასწავლის. მის მკაცრსა და ცოტად არაზრდილობიანს წერილს ქვემოთ ადგილს ფუთობთ და ვბეჭდავთ უცვლელად (მისი ორფოგრაფიაც კი დაცულია), რომ არავინ შეგვწამოს მომხრეობა ანუ საქმის შეფერხების სურვილი. თვით ამ წერილით და იმ ცნობებით, რომლებიც ბ-ნ ჩახნაშვილმა პირადად გვაუწყა რედაქციაში, გამოირკვა შემდეგი:

ქართული საეკლესიო გალობის ნოტებად გადაღება მოუნადინია აქაურ სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს. ეს მეტად სასიამოვნოა. კავკასიის მთავარმართებელს თ. დ. გ. ს. გოლიცინს ამ საქმისათვის შეუწირავს 1,000 მანათი. თვით საბჭოს გადაუდვია 4,000 მანათი. ასე რომ, ნოტების გადასაღებად და დასაბეჭდათ საკმაო თანხა უკვე არის. ნოტების შემუშავება მიუხედავად ბ-ნ ჩახნაშვილისათვის, რომლის შრომა განხილულ და მოწონებულ უნდა იქმნას განსაკუთრებულ კომისიის მიერ. ამ კომისიას შეადგენს: დეკანოზი ვოსტორგოვი, დეკანოზი ესტატე ელიაშვილი, მღვდელი ნანაბაშვილი, ბ-ნები მონადირაშვილი, ჩახნაშვილი, წერეთელი და შარაბიძე. მიწვეულია კომისიაში სემენარიის მასწავლებელი ვოსკრესენსკი, როგორც რუსულის საეკლესიო გალობის მცოდნე. ამ კომისიის მიერ მოწონებული ნოტები პატარა რვეულეზად დაიბეჭდება და სამრევლო სკოლებში გავრცელდება. კარბელაანთ გალობის კილო დაცული იქმნება, თუმცა არც ერთი კარბელაშვილი არც კომისიაში და არც

ნოტების წერაში მონაწილეობას არ იღებს. ამასთანავე ნოტები სამს ხმაზე კი არ დაინერება, არამედ ერთს ხმაზე, რადგანაც ეს უფრო ადვილიაო.

ბ-ნ ჩახნაშვილის ლაპარაკით ისიც გამოიკვავა, რომ მას მუდმივი თვისი კერძო გუნდი არა ჰყავს, ხოლო სამრევლო სასწავლებელთა შეგირდებს კი აგალობებს ეკკლესიაში და ანჩხატობას კი არა, სხვა დროს უგალობნიათ შეგირდებს მის ლოტბარობით, ანჩხატის ეკკლესიაში. „ჩვენთან არს ღმერთი“ სხვადასხვა კილოზედ იგალობება თურმე და ერთი მათგანი, რომელიც ჩვენს თანამშრომელს მოუსმენია, შესაძლოა, მართლა არ წააგავდეს ქართულ გალობას.

განმარტება ამ ფაქტებისა მეტად მიგვაჩნია, დაფუძნებით მხოლოდ, რომ ქართული სასოებიათი საეკკლესიო გალობა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მთელის ქართველის ერის მიერ შემუშავებული და უკანასკნელ დრომდე მტკიცედ დაცული, არ უნდა გადასხვაფერდეს, თორემ ხალხს სასოება დაეკარგება.

373. ივერია, 1903, 19 ივლისი, №153, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ

143 №-ში, „ახალ ამბებში“, სხვათა შორის, იყო დაბეჭდილი ვითომ ჩახნაშვილი ქართულ გალობის ნოტებს ამზადებს „სთხუზავს“ და გამოსაცემად საჭირო ფულს დაპირებიანო (?) (როგორ თავიდანვე ფული აგონდება!). ეს ამბავი არამც თუ სიმართლეს არის მოკლებული, განგებ გამოგონილი ჭორი გახლავთ ჩვენი „კომერსანტების“ რომელთაც „ტორგში“ ვერ დარჩათ ეს გამოცემა. მე არაფრის ნოტებს არა ვწერ ჩემი ინიციატივით, მე მაქვს მონდობილი სამრევლო სკოლებისთვისა გალობის სახელმძღვანელოს შედგენა იმ კომისიისაგან, რომელიც ამ წინაზედ შესდგა. ამ კომისიაში იღებენ მონაწილეობას გალობის მცოდნე არაკომერსანტები და მგონი ეს გარემოება უნდა ულაგმავდეს ენას ამ „შიკრიკს“, რომელმაც პატივცემული გაზეთი ასე ააღელვა. ცნობილი „შიკრიკი“ ატყობინებს „ივერიას“: „ვისაც ბ-ნ ჩახნაშვილის დასის გალობა მოუსმენია, ის ადვილად მიხვდება, რა ნოტები გამოვა ამ მთხუზველისაგანა, მე დარწმუნებით რო ვიცოდე, რომ ვისმეს ან „ივერიის“ თანამშრომელთაგანს, ან თვითონ იმ „შიკრიკს“ მართლა გაუგონია ჩემი დასის გალობა (რომელიც მე არა მყავს), მაშინ თამამად მოვაგონებდი ერთ, სწორედ „საშიკრიკო“ კრილოვის არაკს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ზემოხსენებულთ არავის ჩემის დასისთვის ყური არც კი მოუკრავს და ამისთვის, მე სრული უფლება მაქვს ვიფიქრო და გავუზიარო სხვას ის, რაც, საუბედუროდ, გაზეთის ფურცლებზედ არ დაინერება. ქვევით „შიკრიკი“ ატყობინებს „ივერიას“: ანჩხატობას რომ „ჩვენთანაა ღმერთი“ იგალობესო ქართულს არა ჰგვანდაო (რა დამტკიცება არის!) აგანგალა განგალა! ტყუილს არამც თუ მოკლე ფეხები, გრძელი კუდიცა ჰქონია. ღმერთი რჯული, რომ მე ჩემს დღეში ანჩხატობას ტფილისში არა ვყოფილვარ და ღმერთმაც დამიფაროს, რადგან ეს დღეობა რაღაც ავსულებს მაგონებს, და რაც შეეხება იმას, ესა თუ ის საგალობელი ქართული არის თუ სადაური, ან რანაირი, დიდის სიამოვნებით გიპასუხებდი ბ-ნო „შიკრიკო“, მაგრამ არ მიყვარს კედელზედ ცერცვის ყრა (რამიაც მგონი შენც დარწმუნდებოდი აქამდის). თავის ამბავს „შიკრიკი“ ღრმა ფილოსოფიით ამთავრებს. დიალ, იქნება ძალიან ძნელიც იყოს „უფალო შეგვიწყალების“ გადაღება, მაგრამ კომერციული მიზნით ხომ არ არის გაუპატიურებული? დასასრულ, ვთხოვ პატივცემულ მკითხველთ კარგა ჩაფიქრდნენ „ივერიის“ ახალ ამბავს, და თვითონ მიხვდებით, ვინ და რისთვის ლაპარაკობს ასე, განა

პატიოსანი კაცი იკადრებს ამ საგნის დაფასებას, რომელიც მას არამც თუ უნახავს და არ გაუგია, ვერც კი შეუძლიან გაიგოს. თუ იმას კეთილი ჰქონდა „ქართული საქმისათვის“ (რომლისთვისაც ასე ჯვარს იცვის(?), შეეძლო მოეცა დარიგება, რასაც მეცა, და დარწმუნებული ვარ კომისიაც, დიდის სიამოვნებით მიიღებდა, მაგრამ, როგორცა ჰხედავთ, ადამიანური ქცევა შიკრიკის საქმე არა ყოფილა, ის მარტო ქუჩა-ქუჩა ატარეთ და ალანძღვინეთ, აკიცხვინეთ ყველა „სამშობლოს ღალატობისთვის“ ამისთანა ცხენით ხო არაერთხელ გაუსეირნიათ „ბულვარზედ“ ჩვენ „შიკრიკებს“, მაგრამ როდემდის?!“)

გ. ჩახნაშვილი

^{*)} ეს წერილი ავტორის სურვილისამებრ შეუცვლელად იბეჭდება.

374. ცნობის ფურცელი, 1903, 31 ივლისი, №2223, გვ. 3.

სვანური მელოდიები (ახლად ჩანწერილი ფონოგრაფით)

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სვანეთში ბ. ხახანაშვილის მოგზაურობას არქეოლოგიურის ძიებისათვის შეუერთდა ბ-ნ ფალიაშვილის მოგზაურობაც მელოდიების შეკრებისათვის. ამჟამად მოგზაურები დაბრუნდნენ სვანეთიდან.

ფალიაშვილის შეკრებილ მელოდიებზე რაოდენიმე ცნობა შეგვიძლიან გავუზიაროთ მკითხველებს. როგორც წინა წლებში, იმას დაეხმარა „წერა-კითხვის საზოგადოებ“-ის გამგეობა, რომელმაც შეიძინა ფონოგრაფი საერო მელოდიების დასაწერად და დღევანდლამდე გურული და კახური მელოდიები შეჰკრიბა. დღეს, ამავე აზრით, დაეხმარა სვანურ მელოდიების მოპოებასა და შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამჟამადაც, როგორც წინა წლებში, საკმაოდ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

დღევანდლამდე ჩვენთვის უცნობი და ძნელად შესახვედრი სვანურ სიმღერების და გალობის კილო ახლა უცნობი აღარ იქმნება. აქამდის არ შეგვეძლო გვეთქვა, რა მელოდიისაა სვანური სიმღერა-გალობა? ჰგავს იგი გურულს, იმერულს, ან ქართლ-კახურს, საზოგადოდ, ქართულ სახალხო მელოდიას თუ არა? ახლა კი ფონოგრაფის წყალობით შეკრებილია სვანეთის სხვადასხვა კუთხის სოფლებში 25 მელოდიაზე მეტი.

ამ მელოდიებში არის სასულიერო გალობაც, საგმირო სიმღერაც, საცეკვაოც, სალაშქროც, სალხინოც, საზაროც (მკვდრის დატირებისა); არის კაცებისაც და ქალებისაც; არის ფანდურზე სამღერი და უფანდუროდ.

ყველა ამ საგალობლებს, სიმღერებსა და ფანდურზე დასაკრავ ხმებს ერთიანად აქვს იგივე კილო ქართული ხმებისა, როგორც მთელს საქართველოში. ჩვენ გავიგონეთ ოცამდე ნომერი და აქედან შეგვიძლიან დავასახელოთ კიდევ რომელი რომელ კილოს ემსგავსება.

საგალობელი მთავარანგელოზისა და წმ. გიორგისა ემსგავსება საეკლესიო ქართულ გალობას, რომელიც ქართლ-კახეთშიაც და იმერეთშიც გვესმის, რაც გვიმტკიცებს ქართულ საეკლესიო გალობის გავლენას.

რაც შეეხება, საზოგადოდ, საერო (და არა სასულიერო) მელოდიებს, სვანური უფრო მომეტებით ემსგავსება რაჭულს მელოდიას. მაგრამ მათში ისეთებიც არის, რომელიც ჰგავს

არაგვის და თერგის ხეობის (მოხევეების) მელოდიას. ორი მშვენიერი მელოდია ემსგავსება „შავლეგოსას“ და მოხევეებშიც რომ მღეროდა „ვერ გაგიგიათ, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია“, (ეს ორი მელოდია არის: „ყანსავ ყიფიანი“ და „იავექალი“) არის ფანდურზე (ჭუნირზე) სამღერი მელოდია, რომელიც ჰგავს რაჭულ მესტვირის კილოს. ფანდურზე სათქმელი მელოდია ნამდვილი იგივეა, როგორც მოხევეებში (თერგის ხეობაში) იცინა. ამ სტრიქონების დამწერს გამიკვირდა, როდესაც გავიგონე მელოდია „ჰოი საბძელა“, რომელიც მოხევეებში (თერგის და სნოს ხეობაში) მსმენია მეფანდურებისაგან.

შესანიშნავია მელოდია ზარისა, მიცვალებულის დატირებაზე. ეს მეტად ძლიერი გულის სიღრმემდის ჩამწვდენი გოდებაა, რომლითაც მეზარეს სწადიან მთისა და ბარის შეძვრა და შემუსვრა ძვირფასის კაცის, თავის წევრის დაკარგვის გამო.

საზოგადოდ, როგორც ვსთქვით, სვანური მელოდია ძალიან ახლოა რაჭულ მელოდიასთან და ხომ ვიცით, რაჭული მელოდია უფრო ახლოა ქართლ-კახეთის მელოდიასთან, ვიდრე იმერულ-გურულთან. უნდა კი მოვიხსენოთ, რომ ორიოდ გურული და მეგრული მელოდიაც შესულა, მაგრამ ისე იმღერიან და სახელითაც იხსენიებენ, როგორც გურულს და მეგრულს.

მოგზაურებს მოუვლიათ სვანეთის ბევრი სოფელი და ყველგან შეუნიშნავთ, რომ ქალები და კაცები ხშირად ერთად მღერიან. საკვირველი კაცური ხმა აქვთ ქალებსა, ცალკე ქალების სიმღერას რომ ყურს უგდებთ, თუ არ იცით, რომ ეს მარტო ქალების ნამღერიაო, ვერ დაიჯერებთ, რომ კაცები არა მღეროდნენ, ისეთი ხმა გესმით.

უნდა ვთქვათ, რომ ქართულის მელოდიების ამგვარად ფონოგრაფით წერა დიდ განცხად უნდა ჩავთვალოთ, არა მარტო ქართველებისათვის. იმედია, საზოგადოდ სამუსიკო სფეროშიც და ეთნოგრაფიაში ღირსეულად დაფასებული იქნება; ამ მხრით, დიდად პატივისცემია შრომა წერა-კითხვის საზოგადოებისა და ბ-ნ ზაქარია ფალიაშვილისა.

სასურველია, რომ რაც დღევანდლამდე შეკრებილა ფონოგრაფით, ფალიაშვილმა ნოტებზე გადაიღოს და მალე გამოიცეს ან ცალკე გამოცემით, თუ სახსარი მოიპოვეს, ან რომელსამე რუსულ ან ევროპიულ სამუსიკო ყურნალში, თუ სახსარი არ გამოჩნდა. ვამბობთ, სასურველია მალე დაიბეჭდოს იმის გამო, რომ ფონოგრაფის ცილინდრები ისე მკვიდრი არ არის, რომ წახდენას გაუძლოს, თუმცა კი ძვირფასია მისი შენახვა. მერმე დაბეჭდვა აუცილებლად საჭიროა, რომ არ დაიკარგოს, რაიცა ჩვენში ხშირია. სამოცდაათი მელოდია ჰქონია დაწერილი პატივცემულ რატილს, უთხოვებია სხვებისთვის და დღეს ჩივის, რომ სულ ისე დამეკარგა შრომის და ამისთანა ძნელის შრომის პატივისცემა. დღეს შეკრებილს ხვალ აბნევენ.

პ. უ. [პეტრე უმიკაშვილი]

375. ივერია, 1903, 20 აგვისტო, №177 გვ. 2-3

ძნელია მართლა ქართულ გალობის მკვიდრ ნიადაგზედ დამყარება ჩვენს ეკკლესიებში?

(წერილი რედაქციის მიმართ)

ცხადია ყველასათვის, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობა, ამ ბოლო დროს, სასტიკ ყურადღებას აცქევეს გალობის საქმეს და ამისათვის არავითარ ღონეს არ ზოგავს – არც მატერიალურს და არც ზნეობრივს, რათა, რაც შეიძლება, უკეთ მოაწყოს გალობა. შეგირდების

გამოცდის დროს საეკლესიო გალობას უცქერიან ისე, როგორც სავალდებულო საგანს. ახლა ვიკითხოთ: სასურველ ნიადაგზედ არის დამყარებული ქართული საეკლესიო გალობა ჩვენს სკოლებსა და ეკლესიებში? ვგონებ, ყოველი მართლის მოყვარე იტყვის – „არა და არაო“. რა არის ამის მიზეზი? მთავრობა ხომ ცდილობს ქართულ გალობის გაუმჯობესებას? დიალაც, განვიმეორებ, ცდილობს და ზოგიერთ სკოლებში საკუთარი გალობის მასწავლებლებსაც კი ჰნიშნავს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ეს ჩვენი განმანათლებლნი ქართველნი ახალგაზრდანი, მარადის და მრავალგზის გვიმტკიცებენ, რომ ქართული გალობის მოწყობა ძალიან ძნელია, კილოს სიძნელისა გამო. ამიტომ მრავალნი მათგანი ან სულ ყურადღებას არ აქცევენ ქართულ გალობას, ან არადა, დიდის ცდა-კვებით ავარჯიშებენ თავისს მოწაფეებს სლავურ გალობაში და ამგვარად აუცილებელ საჭიროებას (ქართულ გალობას) კი გვერდს უხვევენ. გადის დრო და ქართული გალობა არ უმჯობესდება, დავეთანხმით ამ ხსენებულ ვაჟბატონებს, რომ ქართული გალობა მართლა აგრე საძნელოა. ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამ სიძნელეს? საშვალეა კი მრავალია – ხანგრძლივი მეცადინეობა და შრომა, ქართული გალობის სიყვარული და ის შეურყეველი აზრი, რომ ჩვენ, ტეტიებს, მიკიტნებს, დურგლებს, კალატოზებს და კურტნიან მუშებს, რომელნიც არა თუ რუსულ განათლებაზედ მწყრადად არიან, არამედ ქართულადაც კი არ ძალუძთ ხელის მოწერა, სჭირდებათ ქართული და მხოლოდ ქართული ლმობიერი გალობა. მაგრამ აბა, მიბრძანდით რომელსამე ეკლესიაში და ჰკითხეთ: – შეგიძლიანთ, ბ-ნო ლოტბარო, მთელი წირვა, ცისკრის და მწუხრის საგალობლები აგალობოთ ბავშვებს ქართულად? არ გაიკვირვოთ, ბ-ნო მკითხველო, რომ პასუხად მიიღებთ „არას“ და „ძნელიას“. სახეში არ მაქვს ორიოდე ქართველი მასწავლებელი, რომელთაც მშვენივრად შეუძლიანთ აგალობონ მთელი წირვა-ლოცვა ქართულად, მაგრამ, საუბედუროდ, ჰგალობენ მხოლოდ ზოგიერთ საგალობლებს; ამის მიზეზად სთვლიან იმას, რომ ეკლესიაში, ქართველთა გარდა, დაიარებიან სხვა ტომის ხალხიც: რუსნი, ბერძენნი, აისორნი. მე მქონდა შემთხვევა მომესმინა წირვა, ერთ შაბათს დღეს, სამაზრო ქალაქ X-ს ეკლესიაში, რომლის მრევლი შესდგება დურგალ-კალატოზებისაგან და მიკიტან-ბაყლებისაგან. წირვაზედ საეკლესიო სკოლის მოწაფენი გალობდნენ; წარმოიდგინეთ, მთელ წირვის დროს ორიოდე კვერექსზედ იგალობეს „უფალო შეგვიწყალენ“ ქართულად. არაერთგზის სთხოვა ერთმა მრევლთაგანმა, რომ „წმიდაო ღმერთო“ მაინც ეგალობათ ქართულად, მაგრამ ისიც კი ვერ მოახერხეს. ბ-ნი მასწავლებელი ჩვენს კანონიერ თხოვნას მხოლოდ „არ ვიცით“ და „ძნელია“-თი აკმაყოფილებდა. ერთ რუსსაც კი ვერ იპოვიდით ამ დღეს ეკლესიაში. საზოგადოდ, ეს ეკლესია ეკუთვნის ქართულ მრევლს და კაი ქებაა, რომ დიდ დღესასწაულებში, გარდა ჯარისა, ესწრებოდნენ წირვას რუსები. ამისთანა დროს წირვა ყოველთვის სლავურად არის ხოლმე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მასწავლებელი არის განწესებული მხოლოდ გალობის სწავლებისათვის და მასთანავე სემინარიაში კურსდამთავრებული და კარგი გალობის მცოდნე. წირვის შემდეგ მეც დავეკითხე ბ-ნი მასწავლებელს, თუ რატომ ქართულ გალობასაც არ შეასწავლით მეთქი ბავშვებს? მან მიპასუხა: „– რა ვქნა, ბატონო, ძან ძნელია ქართული გალობაო“. მე ვერ მომიფიქრებია, რომ ქართული გალობა სლავურზედ უფრო ძნელი იყოს, როდესაც ჯერ არც საგალობლების შინაარსი ესმით რიგიანად ბავშვებს და არც სწორედ შეუძლიანთ სიტყვების გამოთქმა და ამგვარად ამახინჯებენ საღვთო საგალობლების შინაარსს, მნიშვნელობას.

აბა, ახლა სიტყვების მნიშვნელობაც ჰკითხეთ ბავშვებს და მაშინ მიხვდებით, თუ რა სარგებლობა მოაქვს სლავურ გალობას, როდესაც თვის ტკბილ დედაენაზე არიან მოკლებულნი გალობის ცოდნასა. ან კი, რატომ არ ფიქრობენ ეს ვაჟბატონები, რომ ქართული სკოლიდან ბავშვები ორი-სამი წლის უკან ისევ მშობლებს უბრუნდებიან სახლში, რადგან დიდი ქებაა, ერთი ან ორი ბავშვი ეღირსოს სწავლის განგრძობას და აბა, რა ნაყოფი უნდა მოუტანოს ამგვარ მომზადებულ ბავშვებმა თავიანთ მშობლიურ ეკლესიას, სადაც წირვა-ლოცვა

მხოლოდ ქართულ ენაზე სწარმოებს! ვისი საქმეა ამას თვალ-ყური ადევნონ? რასაკვირ-
ველია – მღვდლებისა, მაგრამ სადა სცალიანთ ჩვენს მღვდლებს...

ამკარაა დღესავით, რომ მუყაით მასწავლებლისთვის ქართული გალობა სრულიადაც
არ წარმოადგენს იმ საშიშ საგანს, რომელსაც უფროსის არაერთი სკოლის ქართველი მას-
წავლებელი. არა, იმას არ ვიტყვი, რომ ქართული გალობა მართლაც ძალიან ადვილი იყო,
მაგრამ მოთმინება და საქმისადმი სიყვარული ყოველს დამაბრკოლებელ მიზეზს დასთრ-
გუნავს და ააშორებს. იქნებ მე ვცდები, ვითარცა არმცოდნე ქართულ გალობის საქმისა,
მაგრამ დასამტკიცებლად ჩემ მიერ ნათქვამისა, რომ მართლაც პატარა სკოლის მონაფეებს
ძალიან ადვილად შეუძლიანთ მოაწყონ ქართული გალობა ჩვენს ეკლესიებში, მივუთითებ
მკითხველს ტფილისის წმ. მარინეს ეკლესიაზე და მის სამრევლო სკოლის მასწავლებელ-
მონაფეებზე.

ჰგალობდა სადიაკვნოზედ ხუთი პანკია გოგონა და ერთი ბიჭუნა! ხოლო ერთი მათგანი,
ესე 11 წლის გოგონა ლოტბარობდა. ამ პატარა ლოტბარ გოგონას სიმალხაზე და გამბედავო-
ბა სწორედ რომ საარაკოა! ნეტავც თქვენს ბედნიერს თვალს აყურებინა ამ პატარა გოგონას
მიხვრა-მოხვრას, გალობის დროს, თუ როგორ იქცევა, თითქოს ერთი დიდი მცოდნეაო. ამ
ექვსი პატარა მონაფის გალობა შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო მსმენელზედ, არამედ
თვით მათზედაც, რადგან ამკარად ეტყობათ რაღაც გამოუთქმელი მხიარულება-აღტაცება,
თითქოს ისინი კარგად ჰგრძნობენ, რომ მათი ტკბილი გალობა აკვირვებს ყველას.

რატომ სხვა ეკლესიებში კი ვერ ვამჩნევთ ამგვარ ფრიად და ფრიად სასიამოვნო მოვ-
ლენას? განა რა უშლით?

რის ნაყოფია ამგვარი, ფრიად სასიამოვნო, ხოლო არაჩვეულებრივი მოვლენა? ყოვე-
ლივე ესე არის ნაყოფი იმისა, რომ ამ პატარა მონაფეების მასწავლებელნი მ. დეკანოზი
ტურიაშვილი და კ. ჩარკვიანი ჭეშმარიტად ჰზრუნავენ ამათ სულიერ მოთხოვნილებათა
დაკმაყოფილებისათვის და ამიტომაც არ ზოგვენ შრომას, რათა უკეთ მოაწყონ ქართული
გალობა, და კიდევ მიაღწიეს თვისს საწადელს. გალობას ამ ბავშვებს სკოლაში ასწავლის
კ. ჩარკვიანი, ხოლო იგი დეკან. ტურიაშვილის სურვილის გამო არ იღებს მონაწილეობას
ბავშვებთან ერთად გალობაში. ამით მ. დეკანოზს ჰსურს შეაჩვიოს ბავშვები თავისუფალ და
სხვის დაუხმარებელი შრომას, და მით, რასაკვირველია, ახალისებს ბავშვებს.

ამ ექვსის ბავშვის ამბავი სხვას რომ ეთქვა ჩემთვის, სწორედ რომ არ დავიჯერებ-
დი, რადგან მე, მათი მოქმედება, საოცნებოდ მიმაჩნია. მე ხშირად მივცემივარ მწარე აზ-
რებს, რომ ქართულ გალობას ბოლო ეღება მეთქი, მაგრამ არა, ჯერ კიდევ არ გამქრალა
უკანასკნელი ნაპერწკალი ქართულ გალობისადმი ტრფობა-სიყვარულისა ზოგიერთ პატიო-
სან მამულიშვილთა გულში.

აი, მკითხველო, ჭეშმარიტი მაგალითი იმისა, თუ რა კეთილის ნაყოფის მოტანა შეუ-
ძლიან პატიოსან და დაულალავ მუშაკს! ვინდა არის მუშაკი ამ შემთხვევაში? რასაკვირვე-
ლია, მოთავე ამ საქმისა პირველად – მ. დეკ. ტურიაშვილი, რომელიც ახალისებს ბავშვებს
და ჰშველის ნივთიერადაც.

შემდგომ მ. დეკანოზისა, ღირსია მადლობისა ბ-ნი ჩარკვიანი, რომელიც, როგორადაც
გვიმტკიცებს ნანახი და გაგონილი, არ ზოგავს შრომას ქართულ გალობის აღორძინებისა-
თვის.

სულ ნახევარ წელიწადს რომ ბავშვებმა შესძლონ წირვა-ლოცვის გალობა მასწავლებლის
დაუხმარებელი, განა საკვირველი არ არის? ისიც ისე თამამად და ღმობიერად, როგორადაც
ჰგალობენ წმ. მარინეს სკოლის პანანკინა მონაფეები?!!

ქართული გლეხი [მიხილ ჯავახიშვილი]

გალობის კურსი სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის ქუთაისში

14 აგვისტოს დასრულდა საზაფხულო გალობის კურსი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა. ხსენებულ დღეს „კურსისტებს“ გალობაში ეგზამენი ჰქონდათ. ეგზამენს დაესწრო მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი. აგრეთვე იმყოფებოდნენ ეგზამენზედ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვასილიევი, შორაპნის მაზრის მეთვალყურე მამა სიმონ მჭედლიძე, მამა ილია მათიკოვი, ლოტბარები: მთავარდიაკონი მამა პლატონ ცქიტიშვილი და ბატონი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩეთვერუხინი და ბევრიც სხვა.

ეგზამენი დაწყდა დილის 8 საათზედ და გასტანა შეუწყვეტლად 12 საათამდე. საეგზამენოდ გაჰყავდათ ოთხ-ოთხი მასწავლებელი, რომელთაც თითო-თითოდ ჰკითხავდნენ გალობის თეორიას, გალობას თავთავის ხმებზედ და ლოტბარობის წესს; კარგად იყო თუ ავად, როგორც იყო, მასწავლებლებმა გაიარეს საეგზამენო გასაჭირი და ბევრი მათგანი იმავე დღეს გაეშურა თავის სოფლისკენ. ასე არის თუ ისე, წლევანდელმა გალობის კურსმა იმდენი სარგებლობა მაინც მოუტანა მასწავლებლებს, რომ შესძინა თეორიული ცოდნა სამრევლო სკოლებში გალობის გასაწყობათ.

როგორც გვქონდა ნათქვამი, კურსისტებს ასწავლიდნენ რუსულ-ქართულ საეკკლესიო გალობას და გალობის თეორიას – ნოტების კითხვას. დილის პირველი გაკვეთილები უნდებოდა რუსულ გალობას და ბოლონდელი – ქართულს. ამგვარად, ქართული გალობა სუსტად მიდიოდა, რადგანაც რუსულ გალობაში დადლილ მასწავლებლებს ხალისი აღარა რჩებოდათ. ამ გარემოებამ აიძულა მასწავლებლები სიტყვიერად მიემართათ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვასილიევისათვის თხოვნით, რომ პირველი გაკვეთილები ქართული გალობისათვის დაეთმოთ. ბ-ნმა მეთვალყურემ შეინწყნარა ასეთი თხოვნა და კურსების დასასრულს ქართული გალობა დილაობით სწარმოებდა.

კურსების დასრულებისთანავე მასწავლებლებს სამგზავრო (პრაგონი) ფული დაურიგდათ, თითოს 15 მან., თუმცა ეს ბევრს არ ეყო. ვინც კურსებზედ ავად გახდა, იმან საექიმო ფულიც მიიღო. ამავე დროს, ლოტბარები იღებდნენ, როგორც გვითხრეს: ცქიტიშვილი 50 მან. და ბ-ნი ჩეთვერუხინი – 180 მანეთს.

მელქისედექ მიდოსვაჟი

თეატრი და ხელოვნება თელავის საკონცერტო განყოფილების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ცნობის ფურცლის“-ს №2226-ში წავიკითხე რეცენზია იმ კონცერტისა, რომელიც ქ. თელავში იყო გამართული; ამ კონცერტში, სხვათა შორის, იმღერეს ჩემგან დაწერილი, ხოლო ჯერ არ გამოქვეყნებული სიმღერები. ეს სიმღერები ჯერ ისევ ყმანვილობაში შევავაროვე,

როდესაც მუსიკის სწავლა არ დამენყო; იმათ კიდევე აკლიათ შემუშავება, მე კი ჯერ შესა-
მუშავებლად არ მცალიან. ამისათვის არც გარემოება მიწყობს ხელსა და არც აუცილებლად
მიმაჩნია, რადგანაც ჯერ არ დამიმთავრებია სწავლა.

და ამიტომ მათი სიმღერა და კრიტიკა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა დაგებეჭდავ და
გამოვაქვეყნებ.

თუ ჩემი შავი რვეულიდამ „მარტო მელოდიები“ ისარგებლა ვინმემ, ამის ნება არავის არ
ჰქონდა და არც ბ-ნი რეცენზენტი უნდა შეხებოდა იმას, რაც არ არის გამოქვეყნებული და
ნება დართული.

ზნეობრივი მოვალეობა, მისი მუსიკალური განათლება (თუ მაქვს), ჩვენი – რეცენზენ-
ტისა და ჩემი ერთმანეთისადმი მეგობრული კავშირი, – ყველა ეს მოვალეად ხდიდა რეცენ-
ზენტს, ჭირვეული მომღერალი ან გამოსვლამდე გაეფრთხილებინა, ანდა გამოსვლის შემდეგ
შენიშვნა მიეცა, რომ სასურველი არ არის იმ სიმღერების მღერა, რომელიც ჯერ ავქსონი-
საგან არ არის გამოქვეყნებული და ნება დართული, და მღერა ისე ცუდად, როგორც კონ-
ცერტში იმღერეს.

ჩემი „მარტო მელოდიები“ ქართულია და თელაველებმა ზურნაზედ და არლანზედ იმ-
ღერეს, ან თვით მომღერალმა გარდაჰქმნა ქალაქურ მელოდიებად, ან რეცენზენტს ყურთა
სმენამ უღალატა, მე აქ რა შუაში ვარ.

„მარტო მელოდიებში“ კვარტებზედ და კვინტებზედ ნახტომი კი შეიძლება და რეცენ-
ზენტის ნათქვამი – „ხმის აწევ-დანევა“-ო, არ გვესმის. ვსთქვათ, ბ-ნ რეცენზენტს ნახტომი
უნდა ეთქვა და ეს ნაკლულევანებად მიიჩნია; ტყუილია, – კვარტებზედ და კვინტებზედ
ხტომა, მით უმეტეს მელოდიაში, მიღებულია და საჭიროდ ცნობილიც, უწყებულ პირობებ-
ში.

ამის განმარტებას თხოულობს: 1) მუსიკალური ყურთა სმენა, (определение и угадывание
интерваловъ, умение сольфеджировать) და 2) თეორიის საშუალებით დაწერილის გარჩევა მე
არა დამინერია რა და მაშასადამე, ჩვენს რეცენზენტს მუსიკალური სმენა აკლია რაც მე არ
მჯერა, რადგანაც იმავე ბავშვობითვე კარგად ვიცნობ მის სმენას.

საერთოდ, შენიშვნები რეცენზენტისა მუსიკის კრიტიკა არ არის.

განსაკუთრებით საქართველოს მუსიკა, სხვანაირ კრიტიკას და მომზადებულ კრიტიკოსს
თხოულობს. თუ როგორ კრიტიკას ან რაგვარ კრიტიკას, ამაზედ თავის დროზედ გვექმნება
ცალკე წერილი. ეხლა ამაზედ მეტის თქმა რეცენზიის შესახებ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ამჟამად კი, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ვსთქვა, რომ მუსიკაზე ლაპარაკი ყველას
შეუძლიან, მხოლოდ გარჩევა და კრიტიკის ცხრილში რომელიმე მუსიკის ნაწარმოების
გატარება კი – ყველას არა, რადგან მუსიკის თეორიის მცოდნენი, ცოტანი გვყვანან
და ვინც არიან, ისინიც იშვიათად იღებენ ხმას. აი, მათი გვარები: 1) არაყიშვილი, 2)
ფალიაშვილი, 3) ნატრაძე და 4) ყარაევი. წელს ბევრი უგავნი კრიტიკები დაიბეჭდა
საეკლესიო თუ სახალხო მუსიკაზედ, მაგრამ ჩვენმა მუსიკის მცოდნეებმა ანი და ბანი
კი არ დასძრეს. ვეცდები შემდეგისათვის ამის გამო ცალკე წერილათ მოველაპარაკო
მკითხველებსა.

კიკრ. [ნიკო სულხანიშვილი]

კიდევ სამრევლო სკოლების მასწავლებლებისა და ქუთაისში მათთვის გალობის საზაფხულო კურსების შესახებ

გაზეთ „ივერიის“ № 161-ში მოთავსებული იყო წერილი ქუთაისში გამართულ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის გალობის საგანგებო კურსების შესახებ. ავტორი ქებით იხსენიებს კურსების ხელმძღვანელებს და ამავე დროს, სავსებით კი არ მოგვითხრობს, თუ როგორ სწარმოებდა კურსებზედ გალობის სწავლის საქმე. ავტორი წერილის პირველ ნახევარში სიმართლეს ამბობს, რომ ჩვენი დღევანდელი საეკლესიო გალობა ვერ არის რიგიანად წარმოებული, რომ ზოგიერთი მღვდლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საეკლესიო გალობას, როდესაც ეს გალობა საუკეთესო საშუალებაა ეკლესიაში ხალხის მისაზიდავად.

და მართლაც, ჩვენი განათლებული, თუ გაუნათლებელი ხალხი იმ ეკლესიას უფრო ეტანება სალოცველად, სადაც კარგი, მწყობრი გალობა გაისმის, და პირიქით – ნაკლებად შედის იმ ეკლესიაში, სადაც მლოცველთა სმენას ვერ ატოკებს საღვთო კეთილხმოვანი გალობა. ბევრს რასმე ჰნიშნავს საღვთო მოქმედების დროს ჰარმონიული, დინჯი გალობა, ეს უღვიძებს მლოცველებს გულში სასოებას, ღმობიერებას და იზიდავს მათს სულსა და გულს. ჩვენ არაერთჯერ გვსმენია ეკლესიაში, მწყობრის გალობის დროს, მლოცველის გულის სიღრმიდან აღმონახეთქი ოხვრა და შეგვიმჩნევია მის თვალზედ ცრემლები სინანულისა, ღმობიერობისა. ასეთი თვალსაჩინო გავლენა აქვს საერთოდ მლოცველზედ საეკლესიო კარგ გალობას. ამ პრაქტიკულ მხარეს გალობისას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და საჭიროდ სცნო გავერცელებინა იგი ხალხში და ეკლესიებში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დახმარებით. ამისათვის, პირველად წელს გამართეს ქუთაისში გალობის საგანგებო კურსები და მოიწვიეს მასწავლებლები გალობის შესასწავლად. დაბარებული იყო სულ 54 მასწავლებელი, აქედან მხოლოდ 33 კაცი მოვიდა.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეხლანდელ კურსებზედ გალობის შესწავლის საქმე, რიგიანად ვერ სწარმოებდა. ასწავლიდნენ გალობას ზეპირად (по слуху). ამისათვის კურსებზედ ყოველ დღე შვიდ-შვიდი გაკვეთილი იყო დანიშნული; ხუთი დილით, ორიც საღამოთი. საქმის მეთაურნიც ძლიერ მონდომილი იყვნენ, რომ ხარჯსა და შრომას ამაოდ არ ჩაეარნა, მაგრამ როგორც სამი კვირის მეცადინეობიდან აღმოჩნდა, ამნაირი ცდა თვალსაჩინო ნაყოფს ვერ გამოიღებს. მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზეპირად და არა ნოტების შემწეობით სწავლება. მაგალითად, ქართულ გალობას ასწავლიან ამ რიგად: ერთს გაკვეთილზედ რომელიმე საგალობელს სამივე ხმაზედ ასწავლიან, ნოტების უცოდინარობისა გამო კი, ეს სამი ხმა ერთმანეთში ერევათ მასწავლებლებს და ამიტომ, ვერც ერთს ხმას რიგიანად ვერ ითვისებენ. სლავიანური გალობის სწავლებაც ამ რიგად სწარმოებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასწავლებლების რომელიმე ცალკე ჯგუფს ერთს რომელსამე ხმას ასწავლის – პირველს, მეორესა, მესამე და მეოთხე ხმებს კი არ იცნობენ; რასაკვირველია ესეც უნაყოფო შრომაა, რადგან ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გალობას გააწყობს ის მასწავლებელი, რომელსაც, მაგალითად, მარტო ბანი შეუსწავლია და სხვა ხმებისა კი არა გაეგება რა. საქმისათვის სამჯობინოა საეკლესიო გალობა გააცნონ თეორეტიულად, ნოტების საშუალებით. ამ გზით შესწავლილი გალობა უფრო საიმედოა, ვიდრე ზეპირად, უნოტოდ შესწავლილი. ნოტების შემწეობით შესწავლილი გალობა, კიდევაც რომ დაავინყდეს კაცს, ისევ გაიხსენებს. ამის-

თვის საჭიროა მხოლოდ ნოტებში ჩახედვა. ზეპირად დასწავლილი გალობა თუ კი დაავიწყდა კაცს, სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მისი გახსენება მცოდნე პირის დაუხმარებლად ყოველად შეუძლებელია.

ჩვენის ფიქრით, შვიდი გაკვეთილის მაგიერ, ოთხი გაკვეთილი თეორიისათვის რომ დაეთმოს და ერთი ცთორეთულად შესწავლილ გალობის ზეპირად ვარჯიშობისათვის, სრულიად საკმარისი იქნებოდა ნოტების გასაცნობად. რაკი ნოტებს გაიცნობენ, მერმე ადვილად შესძლებენ ყოველნაირ საგალობელის გალობას.

აღსანიშნავია აგრედვე ის გარემოებაც, რომ კურსებზედ საერო სიმღერას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ჩვენის ფიქრით, მეტი არ იქნებოდა მოსწავლეთათვის საეკლესიო გალობასთან ერთად გაცნოთ წვრილ-წვრილი საყმანვილო სიმღერებიც. საყმანვილო სიმღერები ბავშვებს აღუძრავს ხალისსა. შეაქვს მათს ბუნებაში მეტი სიცოცხლე. უეჭველია, ყველა მასწავლებელი შეამჩნევდა თავის სკოლაში, თუ რა ხალისით განაგრძობენ გაკვეთილს დაღლილი ბავშვები საერთო მხიარული სიმღერის შემდეგ. სიმღერას, როგორც საუკეთესო საშუალებას გაკვეთილზედ ბავშვების ხალისზედ მოსაყვანად, თვით საუკეთესო პედაგოგები გვირჩევენ. თუმც ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ არ ვიცით, მამა მათიკაშვილმა, რა მოსაზრებით აღუკრძალა მოსწავლეებს სიმღერების შესწავლა. როცა გალობის მასწავლებელს, უნდოდა გადეცა სიმღერა: „ლაშქრად წასვლა მას უხარის“, მამა მათიკაშვილმა შენიშნა: „ასეთ უზნეო და გარყვნილ შინაარსის სიმღერას სამრევლო სკოლებში ადგილი არ უნდა ჰქონდესო. მასწავლებლები არამც თუ უნდა სწავლობდნენ ამ სიმღერას, გასაგონადაც კი უნდა ერიდებოდნენო“. ამ დასკვნამდე მ. მათიკაშვილი მიიყვანა ალბათ სიმღერის სიტყვებმა: „ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძალი ფრთხილი“. მაგრამ ეს სიმღერა არც ისე უზნეო ხასიათისაა, როგორც მ. მათიკაშვილს ჰგონია. ეს სიმღერა ისტორიულია და შინაარსით ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ქართველი კაცი სამშობლოს დაცვისათვის იძულებული იყო დაეტოვებია თავისი ოჯახი და გასულიყო ბრძოლის ველზედ. ამ სიმღერაში გამოხატულია სიხარული შინ დაბრუნებულის, მაგრამ მტერზედ გამარჯვებულ ქმრისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მიტოვებულ ოჯახს გონიერად მოუვლიდა და უპატრონებდა მისი ცოლი. აქ სიტყვა „ლამაზი ცოლი“ აღნიშნავს ქალის როგორც გარეგან, ისე სულიერ თვისებებს: გონიერებას, გამრჯელობას, პატიოსნებას. ასეთი სულით და ხორციით შემკულ ცოლის პატრონს, ქმარს ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა უხაროდეს. და რომ ეს მარგალიტი მას არავინ მოსტაცოს, საჭიროა ან ფრთხილი ძალი, ან დედამთილი. აი, ეს არის გამოხატული ამ სიმღერაში, მაგრამ მ. მათიკაშვილმა სხვანაირად გაიგო ამ სიმღერის აზრი და ბრძანა: „ნუ ასწავლით ასეთს გამრყენელ და უზნეო შინაარსიან სიმღერებსაო“. ვსთქვათ, ეს სიმღერა გარყვნილი და უზნეო შინაარსიანია, სხვა სიმღერებმა რა დააშავეს? ნუთუ ყველა ქართული სიმღერები გარყვნილი და უზნეო შინაარსიანია? თუ კი ასეთ სიმღერებს ასწავლიან რუსულად, ქართველ ბავშვებს, ცუდი არ იქნებოდა ამავე ბავშვებისათვის რუსულ სიმღერებთან ქართულიც ესწავლებინათ.

კურსებზე ჩამოსულ მასწავლებლებს ხარჯის ფულად 12 მან. ეძლევათ. ამ ფასით თავის შენახვა კი გასაჭირია. 12-15 მანეთს აქ დაბალი სასწავლებლის მოსწავლეები იხდიან, და აბა, ვინ აიყვანს 12 მანეთად თვეში 20-30 წლის კაცს? მასწავლებლები, რასაკვირველია ან თავის ჯიბიდან ადებენ, ან და სოფლიდან იბარებენ საჭირო ხარჯს. საჭიროა ამ გარემოებას შემდეგში მაინც მიექცეს ყურადღება.

გალობაშვილი

ნარევი

* * *

ინგლისური საეკლესიო გალობა. განცვიფრებული დარჩება უცხოელი, ინგლისში წირვალოცვას რომ დაესწროს; ეკლესიაში ისეთივე ხშირია გალობა, როგორადაც ჩვენში, მაგრამ ინგლისური გალობა მეტისმეტად მხიარული კილოსი თურმე არის: ხან პოლკის ხმაზედ ამბობენ საეკლესიო საგალობელს, ხან ვალსისას და ხან სხვადასხვა მარშების ხმაზედ.

380. ცნობის ფურცელი, 1904, 7 თებერვალი, №2402, გვ. 5

ქართული მუსიკა

ქართული ზეპირი მუსიკა, აგერ, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ევროპულ სამუსიკო ნიშნების (ნოტების) საშუალებით შემოკობა-შემოსვას ელირსა. ამ დროის განმავლობაში ბევრი დაინერა, ცოტა დაისტამბა და, ავად თუ კარგად, ასრულებულ იქმნა კიდეც საზოგადოების წინაშე. ცხადია, ყოველგვარ ქართულ სიმღერას აქვს თავისი ქმნილება-არსებობის მიზეზი, მიზანი, მნიშვნელობა და მოთხოვნილება ცხოვრებაში. ყველა მათგანი გვისურათებს ამა თუ იმ საგნისა ან პირადისადმი მისწრაფებას. ხალხის გენიოსობით შექმნილი სიმღერა, შეიძლება თხოულობდეს მეცნიერულად განვითარებას, მაგრამ გადაგვარება და დამახინჯება მისი, ცუდ ნიადაგზე დააყენებს მის შნოს, სინამდვილეს და მნიშვნელობას.

წარსულის წლის 22 დეკემბერს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში მოვისმინე რუსულსა, იტალიანურს და ებრაულს სიმღერათა შორის, რამდენიმე ქართული ხმებიც, რომელთა შორის უმეტესი ჩემი ყურადღება მიიქცია სიმღერამ „ინდი მინდი ფერად შინდი“. ეს არის არშიყული სიმღერა ორი ტენორისათვის ხოროთი. აქ, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ ვსთქვა ისტორიული ჩამომავლობა მისა.

ძველ დროში, დიდებულთ, ბატონიშვილებს, თავადიშვილებს ახლდათ აზნაურნი, მსახურნი და სხვა კარის კაცნი. ისინი შეიკრიბებოდნენ, ბაასობდნენ, ლხინობდნენ და მღეროდნენ. აი, ამ „ინდი მინდი“-ს სიმღერას იწყებს ერთი ბატონთაგანი პირველის ხმით, მას მიზღვეს მეორე დიდებული მოძახილით და ამ ორსავე ხმებს მხარს აძლევენ შესაფერის ხმათა შემწეობით ხანდახან ბანები (მხლებლები). ამ ორი ხმის მიმოხვრა ისე მშვენიერად არის შემკობილი, რომ მისი დანუნება სამუსიკო მეცნიერებასაც არ შეუძლია. ეს არის ნამდვილი დუეტი. ბანებს, როგორც მხლებლებს და აღმასრულებლებს ბატონთა სურვილისა, მიმართავენ იგავის სიტყვებით: „ინდი მინდი ფერად შინდი, ამოფრინდი ამობრწყინდი, განმინათლე თვალთა ბინდი“ და სხვ. „ინდი მინდი“ იგი მინდა, რომელსაც აქვს ფერი შინდისაო, ამოფრინდეს, ამობრწყინდეს, განმინათლოს თვალთა ბინდიო და სხვ. ეს სიტყვები, წარმოთქმული სიმღერით პირველ და მეორე ტენორის ანუ დამწყებისა და მოძახილის მიერ გრძნობიერად, დარბაისულად და კოხტათ, სწორეთ სასიამოვნო და ტკბილი მოსასმენია. შემდეგ ამისა პირველი ტენორი, გახარებული, დაიმედებული მიზნის მიხნევაში შემოსძახებს მარტო (solo) მალლა და მაგარის ხმით, (forte) განაგრძობს კარგა ხანს არშიყული სიტყვებით, გათავებისას მას შეუერთდებიან ბანები და მით გათავდება დუეტი.

ბ-ნ ფალიაშვილს სიმღერა „ინდი-მინდი“ გადაუკეთებია ოთხ ხმაზე. კრინისა (soprano) ზილისა (contralto) გამყივანისა (tenore) და ბანისათვის (basso), რომელშიაც დუეტის შენობა დაირღვა, სიტყვების ნიშვნელობა გაუგებარი შეიქნა, რადგან ქალებიც „ინდი მინდის“ გაიძახიან და კაცებიც. ვინ ვის ეარმყებოდა, ვინ ვის უბრძანებდა, ვის სურდა „ფერად შინდი“ და ვინ იყო აღმსრულებელი ბატონის სურვილისა ყველა ესენი სიბნელის მორევში ჩაინთქა. არ ვიცი, რა საჭირო იყო დუეტის ოთხ-ხმაზე გადაკეთება. განა დუეტს ადგილი არ აქვს მუსიკაში? პირიქით, უპირატესი! ხასიათი, ორიგინალობა, თავისებურობა, თვითარსებობა, სინამდვილე ხალხური მუსიკისა მტკიცედ უნდა იყოს დაცული, თუ გვინდა, რომ ქართული მუსიკა იყოს ნამდვილი ქართული და არა რაღაც ფანტაზიური. ქართული სიმღერების დამწერს დიდი სიფრთხილე მართებს. ის უნდა იძიებდეს, იკვლევდეს: ვინ, სად და რომელს სოფელში არიან განთქმულნი მომღერლები, თორემ ერთსა და იმავე სიმღერას გაიგონებთ, სრულიად გადაკეთებულს და დამახინჯებულს. ჩემ მიერ დაწერილი „ინდი მინდი“, რომელიც უკვე დაბეჭდილია, გადმომცეს თავადთ ჯაბა, ვახტანგ და ტელემაკ გურიელებმა, რომელთაც მტკიცედ და შეუბღალავად შენახული აქვსთ ძველი კილო. იმათი „ინდი მინდი“ და სხვა მრავალი სიმღერები განთქმულია ყველგან, თუმცაღა თუ არა მაღალს საზოგადოებაში, იშვიათად გაიგონებთ მათ ტკბილს და მწყობრის სიმღერებს. შესახებ სიმღერის „ინდი მინდი“-სა. მე ამით ვათავებ ჩემს მცირე შენიშვნას, ხოლო სხვა ამ საღამოს პროგრამის სიმღერებზე მერმე ვიტყვი ცოტა რამეს. ბ-ნ ფალიაშვილს მშვენიერად შეუსწავლია თეორია მუსიკისა. მისს ორკესტრში ყველა დასაკრავებს (ინსტრუმენტებს) ხელოვნურად აქვს შემკობილი და დაცული ჰარმონიული კავშირი, დამოკიდებულება და განწყობილება ერთმანეთს შორის, მაგრამ თვით სიმღერის ორიგინალობა და ხასიათი გადაგვარების გზაზე დგას. ამისათვის ვურჩევ მეგობრულად, დააკვირდეს სიმღერების სინამდვილეს და ისე აწარმოვოს ქართული მუსიკის საქმე, რომელიც მხოლოდ მაშინ მიახწვეს თავის მიზანს.

ფილიმონ ქორიძე

381. ივერია, 1904, 24 თებერვალი, №48, გვ. 3

ს. ალისუბანი (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში არის დაარსებული ორკლასიანი სკოლა. სკოლაში ოთხი განყოფილებაა და სამი კლასი. ასე რომ, ამ სკოლის გათავებას შეგირდი უნდება შვიდ წელიწადს. შვიდ წელიწადში შეგირდები საკმაოდ ინვრთნებიან მთავრობის მიერ დანესებულ საგნებში და გამოდიან, შედარებით, საკმაოდ მომზადებულნი წერა-კითხვის სკოლის მასწავლებლობისათვის.

ეს რომ ასეა, ის გარემოება ამტკიცებს, რომ აქედან გამოსული შეგირდები არიან დარიგებულნი სოფლებში მასწავლებლებად და როგორც მთავრობა, ისე საზოგადოებაც ძლიერ მადლობელი არის მათი.

[...]

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ ეს ლიტერატურული საღამო და სახალხო კითხვები, მით უფრო იზიდავს კიდევ ყურადღებას, რომ შესანიშნავად ჰგალობს აქაური გუნდი მგალობლები-სა სხვადასხვა კონცერტებსა და ხალხურ სიმღერებს. გალობის საქმე კარგად უწარმოებია მასწავლებელს ანდრია ხონთაძეს. ასე განვრთნილი გუნდი მგალობლებისა ძვირად მინახავს. ღირსშესანიშნავია, მეტადრე, ხალხური სიმღერები. ამავე ხოროს გალობა მოვისმინე ეკკლე-

სიაში. ნამეტნავად მოსაწონია ქართული გალობა, ოთხ ხმაზედ გადაღებული და ნარევი კახური კილო! ამ გალობამ დამავინყა ფრთებშეკვეცილი ხუნდადის გალობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა მამა-პაპურს კილოს. მახსოვს, ერთ-ერთ გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ თითქო მღვდელი მამა ვლად. სალაძე რუსულად სწირავსო. ეს მტკნარი სიცრუეა და ამისთანა სიცრუე მხოლოდ სიცრუეა და ამისთანა სიცრუე მხოლოდ მყავე პატრიოტებს შეეძლოთ ეთქვათ და გაეგრცვლებინათ. ვინც ერთხელ მისულა ალისუბანში და გონივრულად თვალთ ჩაჰკვირვებია იქაურს გარემობას და საქმის მსვლელობას, არამც თუ გაჰკიცხავს მამა ვლადიმერს, არამედ, პირიქით, მადლობას უძღვნის. ასეა ხშირად: პატიოსანი მუშაკი რჩება შეუმჩნევალი.

[...]

ლადიკო

382. ივერია, 1904, 27 აპრილი, №99, გვ. 3

საეკლესიო გალობა

სხვა განკარგულებათა შორის, თვისის სამწყსოს სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ცხოვრების გაუმჯობესება-ამაღლების შესახებ, მათმა მეუფებამ, იმერეთის ეპისკოპოზმა ლეონიდმა გაითვალისწინა საეკლესიო გალობის უნუგეშო მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. ამ საეკლესიო გალობის გამო გვინდა, შეძლებისადაგვარად, განუზიაროთ მკითხველს საზოგადოებას ჩვენი მოსაზრებანი: „კაცმა თუ თავი არ სთქვა, ბოლო საიდამ იქნებაო“, ჩვენც თავიდაც მოვყვებით.

გალობა (იტალიანურად – Canto, ფრანგულად – Chant, ნემეტურად – Gesäng) არის მუსიკის ძირი, საფუძველი. გალობა წარმოსდგება იმ დროს, როდესაც ადამიანი, სულიერის მღელვარების ზედგავლენის გამო, ჩვეულებრივზე უფრო, ან მალლა აუნევს, ან დაუნევს ხმასა. პირველს ხანებში იგი განვითარდა ეკლესიის მეოხეობით.

ძველი აღთქმიდან ვიცით, რომ მეფე პოეტმა, დავით წინასწარმეტყველმა (1053 წელს ქრისტეს მოსვლამდე) დაწერა ფსალმუნი, ანუ სასულიერო საგალობელთა კრებული (ჩვენებურად „დავითიანი“). ამ წიგნშია ყოველნაირი გრძობანი ადამიანისა: სევდა, სიმხიარულე, სინანული, სინაზე, სიბრალული, შიში და სხვანი. დავითმა დაანესა მგალობელ-მომღერალთა გუნდი, რომელნიც საკრავებზე უკრავდნენ და ზედაც დაჰგალობდნენ დავითს. ბაბილონის ტყვეობის დროს ურიანი, მსხდომარენი „მდინარესა ზედა ბაბილონისასა“, მოიგონებდნენ რა ბედკრულს სამშობლოს, სიონის წარსულს, ჩამოიღებდნენ ძენაზე ჩამოკიდებულს საკრავებს და დაჰგალობდნენ ზედ რაიმე სძლისპირსა. აი, ნაწყვეტი ერთი ლექსისა „სტიროდეთ!“, ბაირონიდამ, ი. ჭავჭავაძესი:

„როს იგალობებს კვლავცა სიონი ღრმა სიტკბოებით ხმათ აღვსებულთა? ან მელოდია როს კვლავ იუდის გამოაცოცხლებს ისევ იმ გულთა, რომელნიც სძგერდენ მის ციურ ხმისთვის?“ ისუ ზირაქი ამბობს: „ვითარცა მუსიკისა ტირილსა შინა, უჟამო ამო უწყებული“ (22 ნ.). მაშასადამე, მუსიკა იმ დროს ხმარებაში ყოფილა. ახალს აღთქმის ეკლესიაშიაც გალობას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. თვით მაცხოვარმა და მოციქულებმა, შემდეგ სერობისა „გალობა წარსთქუეს“ (მათე 26. 30). წმიდა რომანოზის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მან (რომანოზმა) სასწაულით ჰპოვა რა შეხვეული ქალაღი, შეჭამა იგი და იწყო გალობა მისი, რაც მასში ეწერა, რისთვისაც ეწეოდა მეტსახელად „ტკბილად მგალობელი“.

პირველად გამოვიდა ამბროსისა და გრიგორიანული გალობა. მე-8 საუკუნეში დაარსდა გალობის სკოლები მეცსა და ჰალენში. ამ დროს იოანნე დამასკელმა შეადგინა რვა ხმად

საგალობელი ნიგნი „პარაკლიტონი“. მე-12-14 საუკუნოებში გალობა გადაიღეს ნოტებზე. კათოლიკეს ეკკლესიაში გალობა განაშევენეს ალევრიმ, ბაიმ და გაბრიელმა, ხოლო პროტესტანტისაში კი – პრეტორიუსმა და ჰამმერშმიდტმა. იტალიელებმა გალობის განვითარების საქმეში, ყველას გაუსწრეს ნინ და ახლაც უმაღლეს საფეხურზეა გალობა იტალიაში.

საბერძნეთის ეკკლესიაში გალობდნენ თითქმის ყოველსავე იმას, რაც კი საეკკლესიო ნიგნებში ეწერა. იქ იყო ხმარებაში ძველი მსოფლიო ტიბიკონი, რომელიც უცვლელად გამოვიდა მრთელს აღმოსავლეთის ქრისტიანებში: ამ ტიბიკონში სწერია: „როდესაც მღვდელი იტყვის კვერექსს: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“, ერნი გალობით მიუგებენ: „უფალო, შეგვინყალებნ““. ამ დროს რომელიმე ერთი ბერძენთაგანი იწყებს „უფალო, შეგვინყალების“ გალობას ერთის კუთხიდან; ამას აჰყვებიან მეორე, მესამე, მეოთხე და ასე სუყველა თავთავისთვის იწყებენ გალობას. თუმცა შეწყობილი ხმა არ გამოდის, მაგრამ საზოგადო კი არის იგი.

რუსეთის ეკკლესიაში საზოგადო გალობა იმ თავიდანვე თუმცა არ ყოფილა, მაგრამ ახლა კი, თითქმის ყველგან სცდილობენ იმის შემოღებას. გუნდ-გუნდად გალობას კი ბევრგან სცდილობენ და არის კიდევ. საეკკლესიო და საერო გალობის აღყვავების ხანად რუსეთში უნდა ჩაითვალოს მე-18-19 საუკუნოები. ამ დროს შეადგინეს ეგრედ ნოდებული „ობიხოდები“ და გალობის სახელმძღვანელოები, დააარსეს საზოგადოებანი გალობის გავრცელებისა და სხვ. გალობის სულის ჩამდგმელებად უნდა ჩაითვალოს რუსეთში: ჩაიკოვსკი, რუბენშტეინი,^{*)} ბარტინანსკი, სლავიანსკი და სხვანი, რომელთა კონცერტებს სიამოვნებით და აღტაცებით ისმენდა და ახლაც ისმენს საზოგადოება.

საქართველოს ეკკლესიაში გალობამ ისევე გაიდგა ფესვი, როგორც სხვა კულტურულ ერებში, თუმცა უცხოეთის ზედგავლენა ეტყობოდა. პირველად საქართველოს ეკკლესიას უცხოეთმა მიანოდა ყველაფერი: ღვთისმსახურების დროს საჭირო ტიბიკონი, საეკკლესიო ნიგნები; ამიტომ ჩვენებურს გალობას იქაური გალობის ელფერი მიეცა. პ. იოსელიანი მოგვითხრობს თავის მიერ შედგენილ ნიგნში «Краткая история Грузинской церкви»: ჩვენებურს გალობაში ნახმარი „ავი-ივი“ საბერძნეთიდანაა გადმოტანილი. თ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანი გვიამბობს თავის თხზულებაში, რომ „ჩვენსა მოსულ რაჭველების ნაგალობებმა „ჭონამ“ მომაცონა ნამდვილი ქართული კილო“. შემდეგში გალობას წინამსვლელობა მიეცა. მონასტერ-სავანე-ეკკლესიებში გაისმოდა ხმაშეწყობილი, საამური გალობა სასულიერო და საერო პირთაგან. საღვთო მოვალეობად მიაჩნდათ ძველად თავად-აზნაურობას და სხვათა საეკკლესიო გალობის შესწავლა და ეკკლესიაში გალობა. ახლა ეკკლესიაში ზოგიერთები პირველადი სანერადაც აღარ შედიან. საეკკლესიო ქართლ-კახური გალობა უფრო გრძელია, დინჯი, ვით ბუნება თვით ქართლ-კახელებისა, გაბმულია, ხოლო გურულ-იმერული კი – ჩქარი, მიხვეულ-მოხვეული და ხელოვნურია. თუ არ ვსცდებით, ეს უკანასკნელი უნდა იყოს დედანი პირველყოფილის საეკკლესიო გალობისა ჩვენში. ძველად გუნდ-გუნდად გალობა, საქართველოში ძრეულ ხშირად ყოფილა, ხმებიც ბევრნაირი ყოფილა და მაგალობელნი 30-40-მდე. ჩვენი ერი ქირში „ზარის“ გალობით იგრილებდა გულსა, ლხინში საერო გალობას საეკკლესიო სძლისპირსაც მოაბამდა, გზაში „მგზავრულს“ და „ურმულს“ შესძახებდა, ყანაში „ოდელა“ და „ნადურს“ დააგუგუნებდა; ხან „ხევერს“ შეჰსწყვილებდა და ხანაც „მესტირულს“ ჩაარაკრაკებდა და სხვ.

კოტე გრძელი [კოტე ანთაძე]

(დასასრული ხვალ)

^{*)} ამ კომპოზიტორის გასვენებაზე მუსიკის დაკვრის ნება არ მიეცათ. ჟურნალი „ნედელია“ გულის მტკივნეულებით იხსენიებდა ამ გარემოებას.

საეკლესიო გალობა

(დასასრული*)

მე-19 საუკუნიდან დღემდის ჩვენამდე ზეპირად მოსული საეკლესიო გალობა გადი-
ლეს ნოტებზე. გურულ-იმერული კილო 1895 წ. ჩვენმა მემუსიკემ ბ-ნ ფ. ქორიძემ დაჰბე-
ჭდა ჭალაგანიძის, წერეთლის, ხუნდაძის და სხვათა თანამშრომლობით ნოტებზე გადაღე-
ბული. რადგან ეს გალობა ძნელად შესასწავლი და რთული გამოდგა, ამისათვის 1902 წ.
იმერეთის სამღვდელოების და ეკლესიების საფასით გამოვიდა მღ. მ. რ. ხუნდაძის მიერ
ნოტებზე გადაღებული, სადა ქართული გალობა გურულ-იმერულ კილოზე. იმერეთის ზო-
გიერთ სოფლებში, საეკლესიო გალობის მოყვარულები არიან და ხანდისხან კიდევ გალო-
ბენ ეკლესიებში, სამ-სამი კაცი. თუმცა, ვიტყვით თამამად, ჰარმონია და მუსიკა ნაკლები
გამოდის იმათი გალობისა და, რაც უფრო შესანიშნავია, სიტყვებია გადამახინჯებული, მაგ.
„მოვედი (თუთა) თაყვანი ვსცეთ“ – შუაში სიტყვა „თუთა“ გამოვიდა.

ზემონათქვამიდან ჩვენ ის გვინდა დავასკვნათ, რომ ყოველს დროს, ყოველს ეკლესიაში
ყოფილა გალობა, ისიც საზოგადო. მართლმადიდებელ ეკლესიის ტიპიკონი უჩენს: 1) საზო-
გადო გალობას; 2) ამასვე თხოულობს დოღმატიკონი ეკლესიისა, რომელიცაა ერთ ხორც
და ერთ სულ (ეფეს. 5, 4); ამ საზოგადო გალობას ისეთი ღრმა გავლენა აქვს მლოცველზე,
რო ამ დროს, მისი გული ზეცისკენ მიიღტვის. ხალხიც რა თქმა უნდა, რაც ხშირად წესი-
ერი გალობა იქმნება ეკლესიაში, მით უმეტეს ხალისს და გულმხურვალებას გამოიჩენს იქ
სიარულისას. ქართველ სამღვდელოებისა და წესიერ კაცთა საზრუნავია ამჟამად: როგორ
მოიმართოს ეკლესიებში გალობის საქმე, რომ ყველგან რიგიანად განწყობილი მგალობელთა
გუნდი არსებობდეს? აი, ამაზე მსურს მოველაპარაკო მკითხველებს; ჩვენი თავი უცოდველად
არ მიგვანჩნია. მსჯელობაში იქნება გზას ავსცდეთ, მაგრამ რაც ვიცით, იმას მაინც ვიტყვით.

წარსულს თებერვალს ჩვენ დავესწარიტ ერთ-ერთს სამონესრიგო სამღვდელოების
კრებას, სადაც აღიძრა მსჯელობა იმ საგანზე, თუ რა საშუალებით და როგორ დავამყაროთ
მკვიდრ ნიადაგზე ეკლესიებში გალობა. ერთმა იქ დამსწრე სულიერმა მამამ, არც აილო,
არც დაილო, კრებას წარუდგინა ერთი სოფლელი მგალობელთაგანი, ნოტის არ მცოდნე,
და ურჩია მღვდლებს საეკლესიო გალობის ბედ-იღბალი ღირსეულის ჯილდოთი, იმ არე-
მარეზე, იმ კაცისთვის ჩაებარებიათ. ითქვა, გათავდა. ეკლესიებზე ფული გაინერა და (შვი-
დი თუ რვა თუმნით) გალობის საქმეს, ამ სულიერის მამის რჩევით და იმ მგალობლის
იმედით მსვლელობა მისცეს. როდესაც ჩვენ იმ მოძღვრის გადანყვეტილებაზე უარი ვთქვით,
მოლაღატეობა დაგვწამა, გაუნათლებლობა გვიკიჟინა; თვით კი საზოგადო საქმიდან ისკუბა
და პირადი ანგარიში ამოიღო მიზანში.

ჩვენ კი მაშინ ეს აზრი ვსთქვით (ზოგს ახლა მოუმატებთ): თუ გვინდა გალობა რი-
გიანი იყოს ეკლესიებში, უნდა ვეცადოთ მგალობელთა გუნდების შედგენას. გალობა უნდა
იქმნეს ნოტებზე შესწავლილი. სახელმძღვანელოები გვაქვს, მამასადამე, ვეცადოთ უფრო
ხელსაყრელი საქმე გამოვნახოთ. ეს კი შეიძლება მაშინ, თუ სოფლის მასწავლებლებს დაე-
ვალებათ, როგორც მონაფეებს, ისე სოფლელებს ასწავლონ. თუ მედავითნე ნასწავლია და
ნოტები იცის, ისწავლის ჯერ თვითონ, მერე ნოტისა და გალობის არმცოდნე მედავითნეებს
შეასწავლის. ასეც შეიძლება: ერთს არჩეულს ადგილას მიიწვიონ გალობის მასწავლებლე-
ბი და მათგან ისწავლონ მედავითნეებმა და სოფლის მკვიდრთაცა. გარდა ამისა, ძრიელ
კარგი იქნებოდა, ჩვენის გალობის მცოდნე და გამოცდილმა კაცებმა პრესის მეოხეობით

გამოაცხადონ, რანაირად შეიძლება ჩვენში საეკლესიო გალობის რიგიანად წარმოება და რა საშუალებით მივაღწიოთ აზრის განხორციელებას, თორემ მარტო ფულის განწერით და სოფლის ვიგინდარების გალობის საქმეში ჩარევით შორს ვერ წავალთ.

კოტე გრძელი [კოტე ანთაძე]

¹⁾ იხ. „ივერია“ №99

384. მოგზაური, 1904, მარტი-აპრილი, №3-4, გვ. 190-193

განვრთნა და განათლება გვაკლია. ნაკითხულისა და გაგონილის გამო. ბერიკაცის წერილები.

*** * ***

[...]

სიონში წირვა იდგა: ქართველი მღვდელმთავარი, ქართველი სამღვდელოება... იშვიათია სამღვდელო პირი ასე დახელოვნებული, მცოდნე წესისა და კილოსი, როგორც მღვდელმთავარი ექვთიმე ბრძანდება: გამოთქმა, მიხვრა-მოხრა, კმევა, ბრწყინვალე და კეთილი, წყნარი პირისახე, შეფერებული სამოსელი – ნამდვილი ღვთისა და წმინდა მღვდელმოქმედების მონა! მაგრამ ზოგი თანამწირველთაგანნი ხელს ვერ უწყობდნენ, ვერ ამშვენებდნენ! მგალობლები? ღმერთმა შეინახოს. რა უბედურობაა: ასი წელიწადი სემინარია არსებობს და აქამდის სემინარიელებმა წირვის საგალობლებიც არ იციან. სასწავლებლებს და მთავრობას ვაბრალებთ, არ ასწავლიანო. მართალია, მაგრამ ჩვენი ბრალიც არის: „როგორც ერთი – ისეთი მღვდელიო.“ ერთმა ბედშავმა, ვლ. აღნიაშვილმა ერთხელ მთელი საქართველო აამღერა. ეხლაც იმის სიმღერებს ვმღერით. მაშ, იმან როგორ მოახერხა ეს, როგორ ასწავლა? ხომ არც მთავრობა, არც რამე სასწავლებელი არ ეხმარებოდნენ? ჩვენი სამღვდელოება უხვად იხარჯება და სემინარიაში გალობის სწავლების ბადად, რომ ერთ რომელსამე მონასტერში, აი, თუნდა დარიის მონასტერში, დააარსოს ქართული საგალობელი სახლი, უფრო მეტს სიკეთეს იზამდა ხალხისათვის და ეკლესიისათვისაც. რაც ბერიკაცი გ. კარბელოვი აღარ არის, ქართული გალობა გაჰქრა. მართალია, შვილები დარჩა, მაგრამ ეხლანდელ დროში გალობის ლოტბარებს უნდა მუზიკალური განვითარებული განათლება ჰქონდეთ. ჩვენი ყური მიჩვეულია რუსულ გალობას, მუზიკალურად მონყობილსა, რიხიანსა და წყნარსა, და როცა ადარებთ ქართულ გალობას, ეხლანდელი მოუმზადებელი მგალობლებისას, ხრინწიანი ხმებით მყვირალთა და მჩხავანთა, გული გმინავს, და ერთხელ რომ მოისმინო, მეორედ საყდარში შესვლა აღარ გინდა, მოუწყობელი, არეულ-დარეული, უგზო-უყველო გალობა თავს გაბეზრებს. სემინარიელებს ქართული გალობის მასწავლებელიცა ჰყავთ და კვირაში ერთხელ ქართულ წირვა-ლოცვასაც ასრულებენო. მაშ, რა დაემართათ, რომ თოთხმეტს იანვარს წირვის გალობა ვერ მოახერხეს? ის არა სჯობია, რომ სრულიად არ გამოვიდნენ ხოლმე საგალობლად, თორემ უცხოელებს ეგონებათ, რომ ქართული გალობა ასეთია – უმი, უკილო და დუნე. წმ. ნინოს პარაკლისზე სემინარიელებმა ლოთი-ფოთური მრავალჟამიერი შემოსდახეს, ქორწილებში რომ მღერიან ხოლმე, ეგრეთვე იციან სემინარიელებმა კანიკულებში

სოფლებში. სოფლის რომელსამე ეკლესიაში მოიყრიან თავს ხუთი-ექვსი სემინარიელები, მოჰყვებიან გალობას არეულ-დარეულად და სიმღერით ათავენ. არც ერთხელ არ ყოფილა, რომ სემინარიელებს წირვა უდიაკვნოდ დაესრულებინოთ, ყოველთვის საფანელი აკლდებათ. ბევრჯელ მიცვალებულის წესის ასრულებაზედაც ესწრებიან და გალობენ, წინაც უძღვებიან „წმიდაო ღმერთო“ გალობით და წარმოიდგინეთ, როცა შორიდან შემოგესმებათ გალობა, გგონიათ, რომ „მუმილი მუხას“ მღერიათ, მაყრიონი მოდისო. ნეტა ვინ ასწავლათ ეს კილო, ან საიდან შემოიღეს, კარბელოვის „წმიდაო ღმერთო“ სიმღერას სრულიად არ წააგავს!..

მაშ, ისევ ღმერთმა უშველოს ქვაშვეთის ქართულ ხოროს, იმაზე უკეთესი ჯერ საქართველოში სხვა არ არის; თუმცა პრანჭია-დამძრახავები ბევრი ჰყავს და თუ ცოტა ხმებს კიდეც მოუმატებდეს, უკეთესი იქნება და მეტიც აღარა მოეთხოვება რა დღევანდელ ქართულ ლოტბარობის ურარაობაში.

„კავკაზში“ იყო მოკლე ბიოგრაფია ახალ მღვდელმთავრის, ექვთიმესი, მისი მოღვაწეობა და საქმენი, ღირსად მოსახსენებელი. ქართულ გაზეთებში, „ივერიის“ გარდა, ვერსად შემხვდა რამე მოხსენებული პატივცემულ მწყემსმთავარზე. მისმა მეუფებამ მთელი თავისი სიცოცხლე და სამსახური განვლო ჩვენს შორის, ჩვენს ქალაქში; ბევრს ჩვენთაგანს გაუნია შემწეობა და დახმარება, ხოლო სახარების მიმყოლი სიმშვიდით, მარცხენა ვერა გრძნობდა, თუ რას აკეთებდა მარჯვენა ხელი. დიდად პატიოსანი მღვდელმთავარი მომასწავებელი მაგალითია ახლანდელ ჩვენს მწარე ხანში, თუ რანაირად მოვანყოთ ჩვენი კერძო ცხოვრება, რომ არ გავხდეთ მსხვერპლნი უფრო უმეტესი შეწუხებულ განსაცდელისა, მაგალითი უსაზღვრო მოთმინებისა და გულდახურულის მორჩილებისა. ჩვენ მღვდელთა და ახალმოდის ბერებისათვის აღმზრდელი მაგალითია იგი: ვისაც მათგანსა ჰსურს ქართული მღვთისმსახურების წესი და კილო შეისწავლოს, უნდა დაუკლებლივ ესწრებოდეს, როდესაც მისი მეუფება წეს-აღსრულებაში ბრძანდება.

წელს, ხალხი ბლომად დაესწრო თოთხმეტს იანვარს, სიონში. იმედია, სულ ასე იქნება. ღვთისმოსავი მღვდელმთავარი შეჭქმნის სარწმუნოებრივ მიმზიდველობას ჩვენს გაგრილებულს გულში, ხოლო კარგი იქნებოდა, რომ ქართული გალობის საქმე როგორმე მოთავსებულყოფილიყო და მორიგებულყოფილიყო და დიდ სიონში ქართული საკუთარი ხორო იყოს, როგორც ქვაშვეთის ეკლესიაშია. ქართული ხოროა საჭირო სიონში, რუსულისათვის ექსარხოსის ხოროც საკმაოა. ძნელია, ძრეელ ძნელი დაარსება ქართული ხოროსი იმიტომ, რომ ჩვენ უფულონი და უფულონი ვართ, იმიტომ რომ ვართ ერთმანეთის მიუკარებელნი და გულაცრუებულნი, მაგრამ შესაძლო კი არის, რაც ძნელია საქმე გასაკეთებლად; მისი დასრულება და დამთავრება მეტად სასიამოვნო, სასახელოა. „დიდება და პატივი“ თავგამოდებულ მოხელეთა და აღმაშენებელთა!

385. ივერია, 1904, 22 მაისი, №119, გვ. 3

წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად (ბ-ნს ლადიკოს)

მე წავიკითხე თქვენი კორესპონდენცია „ივერიის“ 48-ე №-ში, სადაც ქართული გალობის საქმეს ეხებით. მოგწონთ აღისუბნის სკოლის ბავშვების სიმღერა-გალობები. სწერთ: „ნამეტნავად მოსაწონია ქართული გალობა ოთხ ხმაზე გადაკეთებული და ნა-

რევი კახური კილო! ამ გალობამ დამავინყა ფრთებშეკვეცილი ხუნდაძის (!!) გალობა, რომელმაც ძირი გამოუთხარა მამა-პაპურ კილოსაო.“ ეს უკანასკნელი სიტყვები რომ კერძოდ მარტო ჩემს საკუთარ საქმეს შეეხებოდეს, შესაძლებელი იყო, ხმაც არ გამეცა თქვენთვის, მაგრამ ბ-ნო ლადიკო, თქვენ შეეხეთ მთელ დასავლეთ საქართველოს მამა-პაპათაგან ნაანდერძევ კუთვნილებას, რომელიც ვინ იცის, რა წვითა და დაგვით შეუძენია ღვთის ტაძარში სახმარებლად, ღვთის სადიდებელ წმიდა ღვთისმშობელად მიუმჩნევია და ხალხს სწამს იგი, როგორც წმიდათა წმიდა. ეს საღვთო გალობა ერის სულის სიმტკიცეა, სჯულის რწმენაა და პირველის სანერი იარაღი. წმიდა სამლოცველო ტაძარში უწმიდესი ხმებია, მორწმუნეთა ლოცვის ზეცას აღმავლენელად ხალხის გულიდან ამონაღები. ეს საუკუნოებიდგან ხმარებული, ხალხის რწმენისა და სმენის სიღრმეში ფესვგადადგმული, შემტკბარ-შესისხლხორცებული საღვთო ხმები, რომ კაცმა ხალხს ტაძრიდან გამოუძეოს, ძირი გამოუთხაროს, – როგორც თქვენ ამბობთ, ბ-ნო ლადიკო – ეს იქნება, იგივე ხალხის ტაძრიდან გაძევება, სულიერ საზრდოს გულიდან ამოგლეჯა! ამ ერის სათაყვანებელი საგნის ძირის გამოთხრა, ერთი კაცის გემოზე გადაკეთება. მე მგონია, რისმე გაკეთება კი არა, დიდი და მიუტევებელი დამნაშაობაა! უცვლელად დაცვა და სინამდვილით გადაცემა მომავლისთვის – სავალდებულოა.

პროგრესი ყოველ საქმეშია საჭირო და აგრეთვე, გალობის საქმეშიაც. ამისდა მიხედვით ქართული გალობის გადაკეთება მომავლის სპეციალისტების საქმეა; გადაკეთებულის მოწონება კი, ერისა და კიდევ სპეციალისტების საქმეა, და არა მარტო თქვენი. მე ეს ასე მესმის. თქვენ კი, ამ მძიმე საქმეზე, ერთს ნამსაც არ დაფიქრებულხართ; ისე, ერთის ცულის გამოკვრით მოსპეთ, და გამირონიეთ რამოდენისამე წლის ნაშრომი! საოცარი ცილი დამწამეთ, ვითომ მე, ძირი გამოუთხარე მამა-პაპათა განძს, გალობას! მე, როგორც ქართული გალობის მცოდნემ, ვიკისრე, მევე დამეწერა ნოტებზე ქართული გალობა უცვლელად, სწორედ ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპა გალობდა.

წირვის წესები, მთელი რვა ხმა, პირველი ტონი, ღამისთევის გალობანი სრულად და მრავალი სხვა გალობა დანერილი მაქვს. სამივე წირვის წესები ერთ ხმაზე კიდევაც დაიბეჭდა იმერეთის სამღვდელთა ხარჯით. ახლა „პარტიტურა“ სამივე ხმა უნდა დაიბეჭდოს და ამ დროს, თქვენ ბრძანებთ, რომ მე ძირი გამოუთხარე მამა-პაპურ კილოს!!

გთხოვთ, დაუმტკიცოთ საზოგადოებას ჩემი მძიმე დანაშაული და თქვენის სიტყვების სინამდვილე შემდეგის წესით: დავნიშნოთ ერთი დრო ამ საქმის გასარჩევად ქ. ქუთაისში და გამოაცხადეთ თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი. მე, ჩემის მხრით, ვნიშნავ ყველასაგან ცნობილს და საუკეთესოდ გალობის მცოდნეთა: ბ.ბ. ანტონ დუმბაძეს, მამა დავით დუმბაძეს, დიმიტრი ჭალაგანიძეს, კაცხის მონასტრის წინამძღვარს, არხიმანდრიტს მ. ნიკიფორეს (კანდელაკს) და მღვდ. მამა ივლიანე წერეთელს. სხვა ვინც გნებავთ, თქვენ მიუმატეთ; მობრძანდით თქვენც და გაიხლებით მეც. ამათ მოვასმენინებ მე ჩემგან ნოტებზე გადაღებულს გალობას, საზოგადოების თანდასწრებით. ესენი იქმნებიან საუკეთესო შემომწმებელნი ჩვენი მამა-პაპური გალობისა. გარდა ამისა, თქვენგან არაფრის თავის მართლებას არ მივიღებ და არც საფუძველი ექნება. აქვე დავუმატებ: ვინც ჩვენ ორში გამტყუნდეს, იმან გარდინადოს ხუთი თუმანი სოფლის კალაგონის ღვთისმშობლის ეკკლესიის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე

* * *

ბრიანსკი (ორიოლის გუბერნია, საკუთ. კორესპონდენტისაგან). თიბათვის 22-ს, ყოვლად-სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა, გაემგზავრა ბრიანსკის მაზრის სარევიზიოდ. ხალხი და სამღვდელოება რკინის გზის სადგურებზედ, ყველგან ეგებებოდნენ დიდძალი. ბრიანსკის რკინის გზის სადგურზედ დაუხვდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის თავი პურ-მარილით. ქალაქის თავმა და ადგილობრივმა დეკანოზმა სიტყვებით მიჰმართეს ყოვლად-სამღვდელოს, რომელმაც, თავის მხრით, მადლობა გარდაუხადა. ეკლესიები ხალხით გაჭედილი იყო. დაათვალიერა ეკლესიები და დედათა მონასტერი და ზოგან შესაფერის სიტყვით მიჰმართა ერს. იმ დღეს დაწვრილებით გაშინჯა შესანიშნავი სვენის მონასტერი თვისის სიძველეებით და მეორე დღეს გაემართა ბრიანსკის ქარხნების დასათვალიერებლად. გზაზედ, ქარხნების ადმინისტრაციამ, სალამი უძღვნა ეპისკოპოსს კირიონს, რომელმაც ადგილობრივი ბეჟინის ეკლესიები დაათვალიერა და დალოცა აუარებელი ხალხი. ამ ქარხნებში არის 8000 მუშამდე. თვით ბეჟინი კოპნია ქალაქია, რომელსაც აქვს მშენიერი სახელოსნო, ტექნიკური სკოლა და საავადმყოფო. ქარხნებს ამუშავენ და ანათებენ ელექტრონის ძალით. ქარხნების გასაშინჯათ აპირობენ წამოსვლას ტფილისის სახელოსნო სკოლის მონაფენი. მართლაც, აქ ბევრი რამ არის შესანიშნავი და საგულსხმიერო. ყოვლად სამღვდელომ დაწვრილებით გაშინჯა თითქმის ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი. ქარხნების გამგებელი გაუმასპინძლდა ყოვლად უსამღვდელოესს ეპისკოპოსს კირიონს მშენიერი სადილით. გამგებელმა გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა ეპისკოპოსს კირიონს და წარმოსთქვა მისი სადღეგრძელო. მოულოდნელად გაისმა მშენიერი ქართული მრავალ-ჟამიერი, რომელიც გვერდზე ოთახში სთქვა ქალთა და ვაჟთა გუნდმა. შემდეგ გუნდმა იმღერა: „ღმერთმა ინებოს“ და „მადლობელი ვარ“. ყოვლად სამღვდელომ მოიხსენია ფრიად დიდი ღვანლი ადმინისტრაციისა, კარგი მონყობილება ქარხნებისა და ისურვა მათის რთულის საქმის წარმატება. ამ სადღეგრძელოსაც მოჰყვა ქართული ხმაშენყობილი მრავალჟამიერი. დამსწრეთ ძალიან მოეწონათ მელოდიური, ქართულ სუფრაზედ სათქმელი მრავალჟამიერი. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, რომ ესეთის მშენიერის კილოების მრავალჟამიერი არის საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველგან სცდილობენ ყოვლადსამღვდელო კირიონის სიამოვნებას და ამისთანა შორ გუბერნიაშიაც კი ქართულს მრავალჟამიერით ეგებება მათ მეუფებას ხალხი.

მღვდელ-მონაზონი ტარასი

ტფილისი

* * *

როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, ჩვენს ახალგაზრდა მემუსიკეს ბ-ნ დიმიტრი არაყიშვილს ფონოგრაფზე უკვე გადაუღია წირვის საგალობლები (ლიტურგია). საგალობლები უმთავრესად უგალობნია გიორგი ზალიკანიანს მღვდლის მირონ ომანაძისა, მთავარ-დიაკონის ნიკოლოზ კუჩაიძისა და ალექსანდრე ჩივაძის დახმარებით. იგივე დიმიტრი არაყიშვილი გვთხოვს, იმის მხრივ უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ მღვდელს მ. იროდიონ ნანობაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეში.

პეტერბურგში დაარსდა ამ აგვისტოში ეკკლესიები (sic) მუსიკალურ თეორიისა (კომპოზიცია), სადაც ყველას ხელმისაწვდომ ფასად შეუძლიან სწავლა, განურჩევლად წლოვანებისა. ეს კურსები მით უფრო საყურადღებოა, რომ სწავლა შეიძლება კურსებზე დაუსწრებლადაც. მაგალითად, თუ ცოტათი იცის ვინმემ მუსიკა ან ნოტი, შეუძლიან დასწეროს ნოტები სახელმძღვანელოდ, გაჰგზავნოს პეტერბურგში ს. ტ. აბბაკუმოვის სახელზე (კურსების დამაარსებელი); იქ შეასწორებენ, აღნუსხვენ ყველა ნაკლს და უკანვე დაუბრუნდებიან პატრონთ, რომ იმისდა მიხედვით ისწავლონ. მოსწავლეთ ლექციები უფასოდ დაეთმობათ. სოფლის მასწავლებელთ გარდაჰხდებათ თვეში 2 მანეთი. კარგი იქმნება ჩვენის სოფლის მასწავლებელნი ყურადღებას მიაქცევდნენ ამ სასარგებლო კურსებს.

ბერიკაცის წერილები

[...] აგვისტოს 6-სა ფერიცვალების დღეა. გუშინ „კავკაზ“-ში გამოცხადებული იყო, რომ ღვთაების მონასტერში, ფერიცვალების დღეს, ეპიზოპოზის წირვა იქნება შესრულებულიო. ამ მონასტერს ჩვენი ხალხი დარიის მონასტერს ეძახის და არის ავლაბარში. მდებარეობა იმიტომ მოვიხსენეთ, რომ ბევრმა არც კი იცის, სად არის იგი! ხალხი წირვაზე არ იყო ბლომათ; რაც იყო, ისიც გარეთ იდგა. ეკკლესია ძრიელ ვინროა და სიცხე-პაპანაქებაში შიგნით დგომა შეუძლებელია. წირვა ქართული იდგა, ჟამნობასაც ქართულად კითხულობდნენ. ერთიც ღვდლად აკურთხეს და თქვეს, რომ ნაკურთხი ქართველიაო. ვინაობა იმიტომ მოგვყავს, რომ თმა რომ აღკვეცეს, სლავიანურად ნაუკითხეს ლოცვა და თითონაც ლოცვის წასაკითხი წიგნი სლავიანური მიაწოდეს. შეიძლება, რომ ახლად ნაკურთხმა ქართველმა მღვდლებმა ხუცური არ იცოდნენ? ეხლა ხუცურს აღარა სწყალობენ და ერთხელ „ნადიკვრელმაც“ კი გულმოდგინედ გამოაქვეყნა, რომ ხუცურის სწავლება საჭირო არ არისო, რადგან ქართულის სწავლებას უშლისო!

საზოგადო სენად გადაიქცა ეხლანდელი წირვა-ლოცვის ვითარება ზოგი მღვდლების ხელში. იწყებენ ქართულად, მერე სლავიანურზე გადადიან; ასე რომ, მლოცავს რალაცა თამაშობას მოაგონებს და სასოება ეკარგება. დალოცვილებმა ან სულ სლავიანურად შეასრულონ, ან სრულებით ქართულად, დომხალივით არევა გალობასაც რევს და უშლის. არა მგონია, რომ არეულ-დარეულ წირვა-ლოცვის აკრძალვაში ვინმე მოიმდურონ. თუ ერთბაში შეუძლებელია წირვა, შეიძლება ერთი კვირა ქართული იყოს, მეორე სლავიანურად, ხოლო აურევ-დაურეველი. არეული წესის ასრულებაში ვერც რუსი ლოცულობს და ვერც ქართველი, როგორც გული თხოულობს.

ექვს აგვისტოს, დარიის მონასტერში, ქართული გალობა იყო ორ ხოროდ: ერთში გალობდა შარაძის ორი მგალობელი, მეორეში მონასტრის სამრევლო სკოლის მოწაფეები. მგალობელთ ეტყობოდათ, რომ არ იყვნენ გავარჯიშებულნი ეპისკოპოზის წირვის მოხმარებაში, ეშლებოდათ ხშირად. შარაძის გალობა სასიამოვნო მოსასმენია, უფრო სასიამოვნოა თავისებური გურული კილოთი; გურული გალობა სმენას ასიამოვნებს, ხოლო ცალმხრივი ხასიათიანია და

აკლია სიდიადე და სივრცე უქმი დღის შესაფერი. მაგრამ, ამაზედაც ღმერთმა უშველოთ, სულ არარაობას უღელი ხარიც კარგიაო. სამრევლო სკოლის ხოროსაც დახმარება და დახელოვნება ეჭირება. მონასტერს უნდა ჰყვანდეს საკუთარი დახელოვნებული გუნდი მაგლობელთა. გალობა უფრო წარჩინებული იქნება, თუ მონასტრის გუნდს დაუმატებენ და მიაშველებენ სამრევლო სკოლების ყმანვილებს, ვაჟებისას და ქალების ხმებსაც. ამბობენ, აქამდის მონასტერს არა ჰყვანდა საკუთარი ხორო და ეხლაც რაღა საჭიროაო: ორი-სამი მორჩილი და ზოგი მიჩემებულნიც ასრულებენ მაგლობელთა ვალსაო. აქამდის რომ ხორო არა ყოფილა მონასტერში, ძრიელ სამნუხარო ამბავია და ეხლა უთუოდ უნდა იყოლიოს. წინათ, მონასტერში ბინა არა ჰქონდა ეპისკოპოსს და ეხლა აქვს. მონასტერი ღარიბია და მცირი. ეპისკოპოსის ბინადრობამ უნდა გაამდიდროს იგი და გაადიდოს, აღადგინოს მისი მნიშვნელობა საქართველოს სატახტო ქალაქში. ამ მონასტერში სწავლობენ ახლად ნაკურთხი მღვდლები და მთავრები და ახლად განწესებული დიაკვნები და რა უნდა ისწავლონ, როცა მონასტერში სრულებით გალობა არ არის. სხვაგან რომ სთქვათ სადმე, რომ მონასტერში გალობა არ არისო, არ დაიფერებენ, ჭორად მიიღებენ. წესის აღსრულებაში გამოყვანილი „სტიხარჩიკებიც“ რიგიანი უნდა იყვნენ ჩაცმულობით და ქცევით, თორემ რა წესია, ზოგს ტაოხიანი ხარაზის ჩუსტები აცვიათ, ზოგს „სტიხარი“ ფეხებში ეთრევათ; ტყუილად მოვიშორეთ ბრანძები და სუფთად „სიტიტელის დაუნახვებლად“ დავესწროთ ხოლმე! დაბრანძულები და ფეხშიშველები დავდივართ, როცა არ გვიჭირს და სადაც არ გვეკუთვნის! განა უშნობა, ულაზათობა ჩვენი ნაციონალური ხასიათია. საზოგადო სამსახურში, განვრთნილების არქონა, უზრდელობის ნიშანია და ვერვინ ვერ იტყვის, რომ უზრდელები ვიყვნეთ; ყოველიფერი ჩაუგონებლობით მოგვდის და ჩაგონება ვალია ყოვლის უფროსისა, სადაც უნდა იყოს. ქართველს ჩააგონე და ცოტა ძალაც დაატანე, რომ შეასრულოს და ყოველიფერი წესიერად ექნება. [...]

390. ივერია, 1904, 19 სექტემბერი, №216, გვ. 2

ტფილისი

სათავადაზნაურო სკოლის სიმღერა-გალობის და მუსიკის მასწავლებელი ზაქარია ფალიაშვილი მიწვეულ იქნა საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებელში მუსიკის თეორიის მასწავლებლად.

391. ივერია, 1904, 5 ოქტომბერი, №228, გვ. 2

ტფილისი

დღეს, 5 ოკტომბერს, ტფილისის მისსიონერთა ეკლესიაში, ანდრეევის ქუჩაზედ, გაიმართება პატრიოტული საღამო, რომელზედაც იტყვიან სასულიერო და პატრიოტულ სიმღერა-გალობას და წაიკითხავენ ლექსებს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.

ქართულ საეკლესიო სამხმიან და ოთხხმიან საგალობლებისათვის

25 წლის წინათ იმერეთის განსვენებულ და სახელოვან ეპისკოპოზ გაბრიელის მგალობელთა ხოროს მართვა-ლოტბარობა ვიტვირთე. ამ დროდგან მოვკიდე ხელი, სხვათა შორის, ქართულ საეკლესიო გალობასაც იმ აზრით, რომ რუსულ გალობასთან თანასწორად ქართულადაც მეგალობებინა ხორო.

თუმცა, ჩემს ყმანვილობაში წირვის და ლოცვის საგალობლები ვიცოდი, მაგრამ ეს არ კმაროდა ჩემის სურვილის შესასრულებლად. ამისთვის მოვიწვიე ქიზიყში (ქვემო კახეთში) საუკეთესო საეკლესიო გალობის მცოდნენი და მათის დახმარებით გადავიღე ნოტებზედ საეკლესიო სამხმიანი საგალობლები. ამ საქმეში ბევრად დამეხმარა დეკანოზი ბლალორჩინი (ბლალორჩინად იყო მაშინ) სიმონ ბენაშვილი. აზრად მქონდა შემდეგი: ჯერ დამეწერნა ნოტებზედ სამხმიანი ქართული ქართლ-კახური საეკლესიო საგალობლები და მერე ამ სამხმიანზედ ამეშენებინა ოთხხმიანი. ნადილი ჩემი, შეძლებისადაგვარად ავასრულე: დავსწერე სამხმიანი საგალობლები და მერე ამ სამხმიანზედ დავამყარე ოთხხმიანი, ისე კი, რომ ეროვნული კილო, თვისება და ტემპი არ შევცვალე; ჩემს თავს ზნეობრივ მოვალედ ვრაცხდი, რომ საგალობლებისთვის სრული ეროვნული თვისება შემენარჩუნებინა.

რაკი მგალობელთა ხორო რუსულ გალობაში გავწურთნე (ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო), ხელი მოვკიდე ქართულ გალობასაც და ოთხხმიანს საგალობლებს ვაგალობებდი იმ დრომდე, ვიდრე ეპისკოპოზობდა გაბრიელ ეპისკოპოსი (გაბრიელის მოადგილეს, ეპისკოპოს ბესარიონის დროს ლოტბარობას თავი დავანებე). ვაგალობებდი ამ წესით ერთ შაბათ-კვირას რუსულად და მეორე შაბათ-კვირას – ქართულად.

რაც შეეხება ჩემს მიერ ნოტებზედ დაწერილს საეკლესიო საგალობლების ღირსებას, ამაზედ მცოდნეთ რამდენჯერმე გამოუთქვამთ ჩვენს ქართულ პრესაში თვისი აზრი; სხვათა შორის, მუსიკა-გალობის მცოდნეებმაც, როგორც, მაგ. ბ-ნმა კარგარეთელმა და ს. წერეთელმა; აგრედვე რუსულ გაზეთში ვლადიკავკავის დეკანოზმა და სხვებმა. არც ერთისგან არა მსმენია, რომ ეთქვათ: აქ ქართული კილო არ არისო. ან კი ჩემი აზრი რა იყო, თუ არ ქართული კილოს დაცვა (მხოლოდ ერთხელ „მწყემსში“ ვილაცამ მიკიჟინა: „სულ კახურად რად ჰგალობ, აქ ხომ იმერეთიაო“). გარდა ამისა, აი, შვიდი-რვა წელიწადია, ქართულ გალობას ვანარმოებ იმერეთის ეპარქ. გაბრიელის საქალ. სასწავლებელში და აქაც (კვეხნისაგან ღმერთმა დამიფაროს!) მსმენელთაგან კმაყოფილებას ვხედავდი და ვხედავ.

დავსწერე ნოტებზედ ყველა საგალობლები წირვისა, ლოცვისა, ცისკრისა, პარაკლისისა და პანაშვიდისა. აგრედვე, დიდი უქმე დღეების განიცადენი („ღირს არს“-ის მაგიერი) და რამდენიმე ტროპარი. დიდი ხანია, რაც ზემოხსენებული საგალობლები, – როგორც სამხმიანი, ისე ოთხხმიანი, – მზად მქონდა და დღესაც მაქვს თეთრად, სუფთად დაწერილი, მაგრამ დაბეჭდვას ვერ ველირსე უფრო იმიტომ, რომ ერთმა ცდამ მაზარალა და ბეჭდვის საქმე ველარ განვაგრძე. აი, საქმე როგორ იყო: წარსულ წლებში ჩემის ხარჯით დავბეჭდე მხოლოდ 400 (ოთხასი) ცალი წირვის საგალობელი და ეროვნული სიმღერები. ოთხას ცალის დაბეჭდვაში მივეცი ბ-ნ ტ-ლს ოთხასი მან.; აზრად მქონდა, ამას გავყიდი და შეგროვილ ფულით მერე სხვას გამოვცემ მეთქი. ჩემი სურვილი არ ამისრულდა: ვისაც გავუგზავნე და ვინც წაიღო დაბეჭდილი ნოტის რვეულები, ჩვენთვის აღარაფერი ჩაუბარებიათ. 60 ცალი გორში წაიღეს, 10 სენაკში, 6 სიღნაღში, 25 ცალი კიდევ გორში ერთმა მასწავლებელთაგანმა, რომელმაც მხოლოდ ათი მან. კი გამომიგზავნა და სხვამ ჩაიღურის წყალი

დალია (თვითეული ცალი ღირდა 1 მ. 60 კაპ.), 20 ცალი – ყვირილაში და ამდენ გაცემულ ნოტებში მხოლოდ ათი მან. მივიღე. ორჯელ-სამჯერ წერილიც გავგზავნე, მაგრამ რადგან არაფერი გამოდნა, მეც თავი დავანებე. მხოლოდ პირნათლად დარჩნენ ტფილისში წამლებ-ნი, სხვათა შორის, ალ. მირიანაშვილი, რომელმაც წაიღო სამოცი ცალი და ხვედრი ფული დროგამოშვებით გამომიგზავნა. ასე უგემურად ჩაიარა ჩემმა გამოცემამ და ამით, ჩემი გეგმაც ჩაიფუშა. კიდევ გავბედავდი ჩემის ხარჯით გამოცემას, როგორც სამხმინისას, ისე ოთხმინისას, რომ ეკლესიებსა და სასწავლებლებში შეიტანდნენ და ზარალს არ ვნახავდე, მაგრამ... კარები დახურულია, რადგან ქართულს არა სწყალობენ... ტყუილად არ სჩივის გაზ. „ივერიაში“ ბ-ნი სანო: „ახლად მოვლენილნი ფარისევლები, რომელთაც საკუთარ სამშობლოში კიტრის ფასიც არ ჰქონდათ, ქართულ ეკლესიის დაღონებით თავიანთ ჭიას ახარებენ და ამავე დროს, თავისიანებში იძენენ მამულიშვილობის სახელს“. ოღონდაც! რა ქნას კაცმა? დიდი ხანია, რაც ქართულ ეკლესიებში ქართული გალობა დაეცა და აღდგენის ჭირისუფალი არ ჰყავს. ქართული საეკლესიო საგალობლები დიდად საჭიროა და თუ დაიბეჭდა, იმედია სარგებლობას მოუტანს ჩვენს ეროვნულ საქმეს. მოთხოვნილებაც საკმაოდ არის. ხშირად მთხოვენ ორივენიარ საგალობლებს და მეც შეძლებისდაგვარად ხელს ვუმართავ, მაგრამ ყველას დაკმაყოფილება ხელთნანერებით შეუძლებელია, რადგან საგალობლების გადანერა შრომასა და დროს ითხოვს. ორის წლის წინათ ჰეკტოგრაფით დავბეჭდე ორმოციოდე ცალი. მოკლე ხანში ყველა წაიღეს იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში; რამდენი ცალი გავუგზავნე საჩუქრად სხვადასხვას. ოთხმინი საგალობლების მოთხოვნილება არის უფრო ქალაქებში, მაგ. ტფილისში, ვლადიკავკავში, თელავში, ფოთში. კარგა ხანია, რაც ჩემ მიერ ნოტებში გადაღებული ქართული საეკლესიო საგალობლები მოიფინა სხვადასხვა ქვეყნებში. არ დამრჩა სასიამოვნოდ, როდესაც გავიგე, რომ სასულიერო უწყებამ, ეპისკოპოსის ვენიამინის თავმჯდომარეობით, განიზრახა ქართული საეკლესიო საგალობლების დაბეჭდვა და იმის მაგიერ, რომ ჩემთვისაც რამე ეკითხნათ, მან მიმართა იმისთანა კაცს, რომელსაც ამ ასპარეზზედ ნაკლები ღვაწლი მიუძღვის. თუმცა წლეულს პირად მე მივმართე საოლქო საბჭოს (Окружной Совет) და დანვრილებით ავუხსენი სამხმინი საგალობლების უპირატესობა წინაშე ერთხმინი საგალობლებისა, და უსასყიდლოდაც ვუთმობდი ჩემს შრომას, მაგრამ საბჭომ არ ინება სამხმინის გამოცემა. მან აირჩია ერთხმინი. მივიღე ამნაირი პასუხი:

«Окружной училищный Совет имеет честь уведомить Васъ, что онъ не находитъ возможнымъ въ настоящее время издавать составленные Вами церковныя Карталинско-кахетинскаго напева, положенныя на три голоса.

Председатель Совета Епис. Вениаминъ».

მე დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ დღეს საჭიროა სამხმინიც და ოთხმინიც. ერთხმინი ხალხის სმენას და გემოვნებას ვეღარ დააკმაყოფილებს. გარდა ამისა, სამხმინის საგალობელს ის უპირატესობა აქვს, რომ იმაში ერთხმინიც არის (ე. ი. დანყება – პირველი ხმა შეადგენს ერთხმინის). რაკი ერთხმინი საგალობელი დამზადდება, მეორე – მოძახილი და მესამე – ბანიც ხომ საჭირო იქნება და ის საჭიროება დაკმაყოფილებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამივე ხმა ერთად იქნება მოთავსებული. სამხმინი საგალობელში ყველა ხმები იქნება და, მაშასადამე, მსურველს პირველ ხმითაც შეუძლიან ისარგებლოს, მეორითაც და მესამითაც. ამბობენ: მეტი ხარჯი გვინდება დაბეჭდვაში და იმას გერიდებითო. რუსული ანდაზა: «Дорого да мило, дешево да гныло»-ო. სამხმინი რომ ცოტათი ძვირადაც დაჯდეს, ისა სჯობია, ვიდრე ერთხმინისა, მაგრამ კაცია და გუნებაო...

დღეს შემუშავებული და დამზადებული მაქვს როგორც სამხმინი, ისე ოთხმინიც; მათი დაბეჭდვა დაჯდება, ვგონებ, ასი თუმანი (1, 000 მან.). მე, კერძოდ, არ შემიძლიან, რადგან,

ზემო აღნიშნულ გარემოებათა გამო, ვიცი, ზარალს ვნახავ და ერთის კაცისთვის ზარალი უფრო საგრძნობელია, ვიდრე საზოგადოებისთვის. ეს საქმე, ჩემის აზრით, საზოგადოებაში უნდა იტვირთოს. ქართველ საზოგადოებას შეუძლიან გამოიღოს წვლილი ამ პირობით: თვითუფრო საზოგადოების წევრს შეუძლიან გამოიღოს სამი მანეთი. ეს ფული რედაქციებში უნდა გაგზავნოს და კვიტანციები კი ფულის გამომგზავნთ შეინახონ. როდესაც საკმაო თანხა შესდგება, მაშინ ბეჭდვაც მოხერხდება და რედაქციებში შენახულ ადრესებით, ხელის მომწერთ გაეგზავნებათ როგორც სამხმინის, ისე ოთხხმინის საგალობლების რვეულები. თუ კიდევ გამოჩნდება შეძლებული კაცი და თავის ხარჯით გამოსცეს ნაშრომი, მზად ვარ უსასყიდლოდ დავუთმო პირველი გამოცემა. მხოლოდ კორექტული შეცდომების გასწორება ჩემი საქმე იქნება.

ოთხხმინის საგალობლები, როგორც ზემოთაც ვსთქვი, დამყარებულია სამხმინზედ; სამხმინის დაწყება და მოძახილი, რაც შეადგენს საფუძველს და საძირკველს ქართულ საეკლესიო გალობაში. ოთხხმინში დაცულია ბანი და მეოთხე ხმა ყველაფერში შეწყობილი და დამორჩილებულია პირველ (დაწყება) და მეორე (მოძახილი) ხმებთან. ასე რომ, ვინიცობა ვინმე სამხმინ გალობის ხორო გამართოს, ადვილად შეიძლება ოთხხმინიც მოაწყოს, თუ კი ხორო (მგალობელთა გუნდი) მოზრდილი იქნება და ხმებიც საკმაოდ ეყოლება.

აქ, საჭიროდ ვსთვლი მოვიხსენიო შემდეგი: ჩემ მიერ დანერილ საგალობლებში მოთავსებულია გურულ-იმერული კილოს საგალობლებიც. მაგ. კვერექსები, „და სულისაცა შენისთანა“, „დიდება შენდა, უფალო“, „მამასა და ძესა“, „მრწამსი“, „მამაო ჩვენო“, „აცხოვნე უფალო“, რამდენიმე ტროპარი და „მეუფეო ზეცათაო“.

ძლიერ სასიამოვნოდ დამრჩება, თუ რედაქციები და კერძო კაცები, ჩემ მიერ აღძრულ ამ საგნის შესახებ, თავის აზრს წარმოსთქვამენ და იტყვიან – როგორ სჯობია, რომ კეთილად დავაგვირგვინოთ ეს საქმე.

P. S. ვსთხოვ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას გადაბეჭდოს, უკეთუ შეიძლება, თავის პატივცემულ გაზეთში.

ანდრია სანონის ძე ბენაშვილი

1905

393. ივერია, 1905, 1 იანვარი, №1, გვ. 3

ახალი ამბავი

კრების დასრულება. 30 დეკემბერს დასრულდა საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლების საეკლესიო სლავიანური და ქართული გალობის მასწავლებელთა კრება. კრების დადგენილებათ გავაცნობთ დაწვრილებით მკითხველებს მოკლე დროში.

394. ივერია, 1905, 14 იანვარი, №10, გვ. 2

ახალი ამბავი

ფილარმონიულ საზოგადოებას, სხვათა შორის, წესდების ძალით დავალებული აქვს სასულიერო გალობის მოწყობის საქმეც, მაგრამ საზოგადოების დამაარსებელთა პირველ კრებას არც ერთი მღვდელთაგანი არ დასწრებია. რას უნდა მივანეროთ ეს გარემოება? ნუთუ დაუდევრობას? კვირას, 16 იანვარს, გაგრძელება იქმნება პირველ კრებისა და, იმედია, მაშინ მაინც დაესწრებიან სასულიერო უწყების წარმომადგენლები.

395. ივერია, 1905, 18 იანვარი, №12, გვ. 2

ახალი ამბავი

ერევნიდან გვწერენ: „14 იანვარს, ქ. ერევნის ქართველმა საზოგადოებამაც იდღესასწაულა წმ. მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელი ნინოს დღესასწაული. ქართულად წირვა და პარაკლისი გარდახდებულ იქმნა საკრებულო ტაძარში. დიდძალი ხალხი დაესწრო წირვას. სამხედრო ნოდების მღვდლის დ. ვ-შვილის თხოვნით, განთავისუფლებულ იქმნენ ყველა ქართველი ჯარისკაცი, რომელთაც, უცხო ქვეყანაში გარემოებისა და სამსახურის გამო გადმოხვეწილთ, წირვა მოისმინეს თავიანთ სამშობლო ენაზედ. განთავისუფლებულ იქმნენ, აგრეთვე, ყველა სასწავლებელში ქართველი მოსწავლე ქალნი და ვაჟნი. მწირველი იყო დეკანოზი მამა ი. იორდანაშვილი, რომელმაც ამ დღის შესაფერი სიტყვაც წარმოსთქვა. მაღლობის ღირსია მამა იორდანაშვილი, რომ ყოველ წელს 14 იანვარს ერევნის ქართველობას აძლევს საშუალებას წირვა მოისმინონ ქართულს, სამშობლო ენაზედ. მაღლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქ-ნნი ა. ზედგინიძისა, ქ. ვარდიაშვილისა; ბ-ნნი კასრაძე, ი. ზედგინიძე და მღვდ. დ. ვ-შვილი, რომელნიც ქართულის სასიამოვნო გალობით, ყოველწლივ ნინოობა დღეს, ატკობენ ერევნელ ქართველთა ყურთასმენას“.

396. მოგზაური, 1905, 18 სექტემბერი, №34, გვ. 538-539

წერილი რედაქციის მიმართ

მუშაკი-მოღვაწე ბევრს რამე სასარგებლოს გააკეთებდა მამულისათვის, რომ მას ხელს არ უშლიდეს და ლუკმაპურს პირისაგან არ გლეჯდეს მისი მოძმე. ოცდაორი წელიწადი ვმღეროდი ოპერაში, პირველ როლებს საუკეთესო ევროპის, ამერიკის და რუსეთის სცენებზე, მერე შეუდეგი ქართული ზეპირი მუსიკის წერას და თითქმის უსასყიდლოთ გადავიღე ნოტებზე 1751 ცალი. ვასწავლიდი ახალგაზდობას ქართულს და ევროპულს მუსიკა-სიმღერას, მაგრამ შურმა და მტრობამ აქაც ამოყო თავი. ერთს ჩემს მოსწავლეთაგანს ბ. ნიკოლოზ ზებედეს

ძე ცხვეთაძემ ურჩია, ქორიძესთან ნუ სწავლობ, ის ყრუ არის, სმენა არ აქვსო, რატილთან ისწავლეო. ვინ წარმოიდგენს იმას გარდა მართლაც ყრუისა, რომ ხანგრძლივი მოღვაწე სცენისა და დამწერი მრავალრიცხოვან ზეპირი მუსიკისა ყრუ იყოს. ამისათვის შევეკითხე წერილით ცხვეთაძეს: ვინ ანუ რამ აიძულა ის ჩემი სმენის შებღალვა-დამცირებისათვის. მან წერილით მიპასუხა: „მე თვითონ შეგამჩნიე, რომ სმენა გაკლიაო.“ წინეთ ამ ცილისწამებისა, წერა-კითხვის სასარგებლოთ კონცერტს ამზადებდნენ და მომღერლებს ეძებდნენ. ბ. ცხვეთაძეს ვთხოვე ნება მიეცა ორ ჩემ მიერ მომზადებული მომღერლებისათვის კონცერტში მონაწილეობის მიღებისა, თუ ისინი აღმოჩნდებიან ღირსნი შემდეგ შემონმებისა მცოდნე პირებთან მათი ხმებისა და სიმღერისა ქართულათ და იტალიანურათ. ცხვეთაძემ მაშინვე მათი გვარები მკითხა, გვარები იყო იმერისა... კარგიო, მითხრა, მაგრამ ეს „კარგი“ ავით გარდაქმნა: მე ყრუთ მომნათლა, ჩემს მოწაფეებს გზა შეუკრა, რომ თავი ეჩინათ საზოგადოებაში და მით გამხნევებულიყვნენ სწავლაში და მათი შემხედველნი სხვებიც აღმოჩენილ იყვნენ მსურველნი სწავლისა და ამ გვართ ქართული მუსიკა წინ წაწეულიყო. მაგრამ არა. ბ. ცხვეთაძემ იკადრა აგენტობა ჩემგან მოსწავლეების გადაბირებისა უცხოელ რატილთან. მსურველთ და ღირსთ გზა შეუკრა თავი ეჩინათ საზოგადოებაში კონცერტში მონაწილეობით. რა თქმა უნდა, მტრულმა ცხვეთაძის მოქმედებამ იქონია გავლენა და ჩამომაცალა მოსწავლენი. ჩემს ხანგრძლივ უსასყიდლოთ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება და დიდი სიღარიბე ვითმინე, მაგრამ მე მანუგეშებდა ჩემი შრომა და მისი ნაყოფი, რომელიც მინდოდა გამომექვეყნებია ჩემი მოწაფეების საშვალეობით. ახლა კი აღარც მოსწავლენი, აღარც ის წვრილი შემოსავალი მოსწავლეებისაგან, რომლითაც ვსაზრდოებდი ღარიბულათ აღარა მაქვს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარ მტრობას ჩქარა მოეღება ბოლო და ქართული მუსიკის საქმესაც კარგათ წავიყვან, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოკლებული ვარ ყოველგვარ საშვალეობას. ამისათვის სიმშვილით და სიცივიტ სიკვდილს ვარჩიე მივმართო ქართველთა კაცთმოყვარეობას და ვსთხოვოთ ნივთიერი დახმარება, რომ საქმე დავიწყო და განვაგრძო ჩემი შრომა. ბევრი კარგი რამე მაქვს გამოსაქვეყნებელი, სხვათა შორის ქართული სამუსიკო მოკლე გრამატიკაც მაქვს გასათავებელი. ამისათვის მე თხოვნისა არა მრცხვენია და არც ღირსებას ვკარგავ მით, რადგანაც ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩამაგდო არა ჩემის მხრით დამოკიდებულმა მიზეზმა, არამედ სულმოკლე ცილისწამებამ და მტრობამ.

ფილიმონ ქორიძე

397. მოგზაური, 1905, 9 ოქტომბერი, №37, გვ. 587-588

ქართული მუსიკა

ყოველგვარ ქართულ საქმეში კულტურა თვალსაჩინო ადგილს იჭერს და თანდათან განვითარების, გაუმჯობესობის ნიადაგზე ფუძნდება, მაგრამ ასეთივე არ შემოძლია ვსთქვა ქართულ მუსიკაზე. ვსთქვათ, ქართული მუსიკა ჯერ ნორჩია. იმისი ნოტების საშვალეობით წერა დავაარსე 1885 წელს და მას შემდეგ ბევრიც დავსწერე, მაგრამ გავრცელება მისი საქვეყნოთ არ მოხერხდა... ქართული ზეპირი მუსიკა მდიდარია რაოდენობით, მშვენიერია მელოდიური კილოთი. მას აქვს თავისებური გარმონიზაცია, ტერმინოლოგია. მაგალითად: ავაჯა (Melodia), ხტილი (Intervale), ზომა (Misura, tempo), წართქმა (Recitativo), ბგერა, ტონი (Tono) ჭეჭა (Forté), დამუხლება (Finale), სასულე (Pausa), შეჩერება (Fermato), ფეროვნება (Colorito), და

სხვ. ხტილებს აქვს: სამანა (Trioli) სამჯერ ხმის აწევ-დანევა ერთი ხელის დაკრაში, ხუთა-
ნა (Quintoli) ხუთჯერ ხმის აწევ-დანევა ერთი ხელის დაკვრაში, ექვსანა (Sestoli) ექვსჯერ
ხმის აწევ-დანევა ერთი ხელის დაკვრაში. ქართული მუსიკა შემკობილ-შედგენილია ყოველ
მოთხოვნებისათვის ცხოვრებაში: ჭირში, ღვინვაში, მუშაობაში, მგზავრობაში, ლაშქრობაში,
ნადირობაში, არმიოებაში, ცხენოსნობაში, როკვაში (ცეკვაში) და სხვა. (ყველა ესენი დანე-
რილი მაქვს ნოტებზე და რამდენიმე დაბეჭდილიც არის). ქართული სიმღერების ხმებს აქვს
თავიანთი განსაკუთრებული სახელწოდება: კრინი (Soprano), ზილი (Contralto), გამყივანი
(Tenore) მაღალი ბანი (Baritono), ბანი (Basso), დვრინი (Bassopropfondo), დუმბი (Profondissimo).

ქართულ მუსიკას, სხვათა შორის, აქვს მელოდეკლამაცია. დასავლეთ საქართველოში
მიცვალებულს ასაფლავებდენ საჯარო გლოვა-ტირილით. თითოეული მომტირალი კუბოს
წინ მჭევრმეტყველობით აღნუსხავდა მიცვალებულის წასულს ავკარგიანობას. მომტირალის
დეკლამაციურ სიტყვებს მიყვებოდა „ზარი“ – სამგლოვიარო გალობა უსიტყვოთ, წყნარათ,
წყობილათ. „ზარს“ დეკლამაციასთან ხმას აყოლებდენ რიგ

რიგობით თმაგაშლილი ექვსი ქალიშვილი, კრინისა და ზილის ხმით „უი, უი“-ის სიტყვით.
ყველა ესენი გვიხატავენ ორიგინალ სურათს და თავისებურს მუსიკას. ქართულ მუსიკას აქვს
თავისი კანონები ხმათა შეწყობისა და მათ შორის განწყობილებისათვის, მაგრამ ზოგიერთ
უცხოელთ და ჩვენებსაც დაუნყიათ წერა ზეპირი მუსიკისა, რომელშიც არ არის დაცული
ის კანონი, ურომლისოთ სიმღერა კარგავს სინამდვილეს და იმცირებს ღირსებას. ვამბობ,
ქართული მუსიკა მდიდარია რაოდენობით და მრავალგვარ კილოებით, მაგრამ ეს სიმდიდრე
მთლათ ვერ ჩავიგდეთ ხელში, რადგანაც ხმარება მათი მცირდება და თითქმის ისპობა. ამ
გარემოებას მოულოდნელმა შემთხვევამ გაუღიმა. ჩვენს მოღვაწეს ბ. არისტო ქუთათელაძეს
ზედმინევენიტ ცოდნია ზეპირი ძველი საგალობლები. მას უსწავლია ცნობილ მგალობლის სი-
მონ კუტისაგან ხონში და დამანერინა ნოტებზე 551 ცალი საგალობლები, რომელნიც სავსეა
მელოდიური სიტკბოებით, მეტადრე ჭრელები და წარდგომები, დიდებულათ და ხელოვნუ-
რათ შედგენილი ძველი მგალობლების მიერ. დიდი მადლობის ღირსია ბ. ქუთათელაძე, რო-
მელმაც უსასყიდლოთ შესძინა ეს ძვირფასი განძი ქართულ მუსიკას და დაკარგვას ააშორა.
სულ დავსწერე საგალობლები: ქუთაისში – 400, გურიაში – 500, ქუთათელაძისაგან 551,
საერო სიმღერები საქართველოს ყველა კუთხისა – 300. სულ – 1751.

ფილიმონ ქორიძე

1906

398. ჯვარი ვაზისა, 1906, 30 აპრილი, №6, გვ. 12

საქართველოს სამღვდლოება და რუსის ეგზარხოები

[...]

1801 წ. იანვარში რუსეთის მართებლობა ჩადგა საქართველოში და თავისუფლად დაიწყო
მოქმედება. ჩამოვარდა სამეფო ოჯახში დიდი არევ-დარევა, გაჩნდა მახეზღრობა და ბევრმა
დაიმშვენა გული ზიზილ-პიპილა კავალერებით. გარუსებული ციციშვილი ბეჯითად შეუდგა
აჯანყების ხელოვნურად შექმნასა და ჩაქრობასა. ჯარისკაცნი სახლში უხდებოდნენ დე-

დოფლებს და ბატონიშვილებს. ამ მოხერხებით სამეფო ოჯახისშვილნი თითო-თითო გაისტუმრა რუსეთისკენ, დარია და მარიამ დედოფალნი ყარაულ ქვეშ გაგზავნა იქვე. ამავე დროს ბევრგან ქართლ-კახეთში შემოდგომაზედ სადაც აუცივდებოდათ მოთარეშე ლეკებს, იმ სოფელში დაიზამთრებდნენ ხოლმე და საცოდავ ხალხს ატყავებდნენ. ამ მოთარეშე ლეკების გაძევების მაგიერ რუსის ჯარი თბილათ იყო დაბანაკებული ტფილისში და ქართველ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას დასდევდა და იკლებდა, ვინც კი გაბედავდა ტრაქტატის დარღვევასა და ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ერთგულებასა. ტრაქტატის ძალით მეფობა არ უნდა მოშლილიყო. მაგრამ ვინ დაგიდევდა. პირიქით, ახალმა მთავრობამ ხელი წაატანა საეკლესიო საქმეებსა და ბოლო მოუღო ათის წლის შემდეგ (1811 წ.) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას (თავისუფლებას).

[...]

1814 წ. დაიხურა სასულიერო დეკასტერია (სასამართლო) და მის მაგიერ 1815 წ. გახსნეს სინოდის კანდორა. 1811-1816 წ. საქართველოს ეკლესიის გამგებლად (ეგზარხოსად) დანიშნეს ვარლამ ერისთავი. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ გადაჰკიდეს ერთმანეთს ვარლამი და დოსითეოზ ფიცხელაური და ერთმანეთი ამოაჭმევინეს: ერთიც დაითხოვეს, – მეორეც. ეგზარხოსად დანიშნეს თეოფილაკტე რუსანოვი 14 მაისს 1817 წ. თეოფილაკტემ თან მოიყვანა მთელი რაზმი მოხელეებისა – მღვდლები, ბერები, მწერალ-მწიგნობარნი და სხვ. საეგზარხოსო კანცელარიის მმართველობა თავის ძმას უბოძა, ახლად გახსნილი სემინარიის რექტორობა ბერს ვიტალის, სიონის დეკანოზობა მღვდელს ალექსანდრე ფედროვს¹⁾. აავსო კანცელარია და კანტორა რუსის მწერლებით და „სტრიაპჩებით“. თეოფილაქტე თვითრჯული იყო, მისი ყოველი სახელდახელო ფიქრი და სიტყვა საქმე იყო. მოვიდა თუ არა, მეტად ცივი სუსხი მოიტანა, ყველა მის ყურმოჭრილ ყმად უნდა გადაქცეულიყო.

1817 წ. 1 ოკტომბერს გახსნილ სემინარიაში (ქართული სემინარია მოშალა) დაანესა სხვათა შორის სლავიანური საეკლესიო გალობის სწავლება. ქართული გალობისა და ენის ხსენება კი არსად იყო.

[...]

1) ორი წლის განმავლობაში ამ დეკანოზს ცოლი და შვილი დაეხოცა. ხალხი ამბობდა – სიონის ღვთისმშობელს რუსი დეკანოზი არ ენახა და მაშ რა ხეირს დააყრიდაო. 13/14 სექტემბერს 1823 წ. ეგზარხოსმა იონამ ბერობა შემოსა (ანტონი უწოდა), არხიმანდრიტად აკურთხა და დავით გარეჯის წინამძღვრობა უბოძა. მოხუცი ილარიონ ვაჩნაძე არხიმანდრიტი კი გააძევა.

399. ჯვარი ვაზისა, 1906, 4 ივნისი, №10, გვ. 12

საქართველოს სამღვდელოება და რუსის ეგზარხოსები

[...]

რაც სამღვდელმთავრობო საყდრები დაიხურა, რუსის მთავრობისაგან საქართველოში (ტფილისისა, რუსთავისა, სამთავროსი, წილკნისა, სამთავისისა, ურბნისისა, რუისისა, ნიქოზისა, ნინოწმიდისა, ბოდბისა, ალავერდისა და საკათალიკოზო მცხეთისა, ქუთაისისა, გენათისა, ნიკორწმიდისა, ჭყონდიდისა, ცაგერისა, ცაიშისა, ჯუმათისა, ხარჭაშნოსი) ძველდროდანვე ყველგან მგალობელთა გუნდები იყო განყოფილი. ყველა მღვდელთმთავარი ერთი

მეორეს ეჯიბრებოდა უკეთესი მაგალობელი ჰყოლოდა. მაგალობლებს ყოველ წლივ გადაკვეთილი უღლუფა ეძლეოდათ საეკლესიო შემოსავლიდგან და თავისთავის ტკბილად ცხოვრებდნენ. მაგ. ალავერდის ტაძარში იყვნენ მაგალობლები 1811-1815 წწ. და ეძლეოდათ წელიწადში:

- 1) ზურაბ მაღრაძეს – 3 ცალი ღვინო, 20 კოდი პური;
- 2) ნინის მაღრაძეს – 3 ცალი ღვინო, 20 კოდი პური;
- 3) ბეჟან მაღრაძეს – 1 საპალნე ღვინო, 12 კოდი პური;
- 4) პეტრე მღვდელს – 3 ცალი ღვინო, 12 კოდი პური;
- 5) თეოქთისტე მონაზონს – 22 ჩაფი ღვინო, 12 კოდი პური;

გაიხსნა თუ არა სინოდის კანტორა საეკლესიო შემოსავალი გამოაშორა მღვდელმთავრებს, ანუ გამგებლებს, და ყველანი ერთიანად ხახამშრალი გაუშვა. ამის გამო დაიქსაქსნენ მაგალობლები აქეთ-იქით და ნელ-ნელა მისწყდა მაგალობელთა მწყობრი ხმა. 1833, ეგ ზარხოსმა მოსემ მარტყოფშილა მოისმინა მწყობრი გალობა და ნოტებზედ იწყო გადაღება.

[...]

1907

400. ისარი, 1907, 31 იანვარი, № 22, გვ. 1

ამა 1907 წ. 1 თებერვლიდან მსურველთ ვასწავლი ხალხურ სიმღერებს და გალობას. კვირაში ორჯერ: ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 5–8 ს-მდე ავჭალის ქუჩაზედ, № 29, სახ. ყულუმბეგაშვილისა, ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში. მსურველთ მიმართონ და ჩაენერონ შიო ქუჩუკაშვილთან ნ. კ. გ. ს. კანტორაში და სოსიკო მერკვილაძესთან „ცოდნის“ მაღაზიაში. მოსწავლენიც მიიღებიან.

ა. კავსაძე

401. ისარი, 1907, 3 არილი, №73, გვ. 2-3

კვირას საღამოთი სამღვდლოებამ ქვრივ-ობოლთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართა სასულიერო კონცერტი ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე ტფ. სამღვდლოება საეკლესიო საგალობლები იმღერეს ნამესტნიკის კონვოის, ექსარხოსისა და მონადირაშვილის მაგალობელთა გუნდმა. კონცერტის დასასრულ კონვოის მაგალობელთა გუნდმა „ბოჟე ცარია ხრანი“ იმღერა. ამ მაგალობელთა გუნდმა საერო სიმღერებიც სთქვა და დამსწრენი ალტაცებაში მოიყვანა. რამდენიმე ხმა კიდევ გაამეორებინეს.

* * *

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო დიმიტრი არაყიშვილის შემდეგი წიგნები: 1. «Музыкально-этнографические очерки о Грузинской народной музыке», შედგენილი დიმიტრი არაყიშვილის მიერ. ამ საინტერესო წიგნში მოთავსებულია ნოტებზე გადაღებული ქართული სახალხო სიმღერები და საეკლესიო საგალობლები და ამასთან ვრცელი მიმოხილვა სახალხო სიმღერის და საეკლესიო გალობის განვითარებისა. წიგნი დიდია და ღირს ორ მანეთად. 2. „ქართული (კახური და ქართლული) ეროვნული სიმღერები“. ეს სიმღერები ფონოგრაფის შემწეობით არის ჩანერილი. ფასი 65 კ. 3. „ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები“, ტფ. და ქუთ. გუბერნიების სახალხო სკოლებისათვის შედგენილი. ფასი 20 კ. სამივე წიგნი სუფთად და მშვენივრად არის დაბეჭდილი, პირველი ორი წიგნი მოსკოვში, ხოლო მესამე ტფილისში.

მომავალი სამუსიკო სკოლა

„თუ გინდათ იცოდეთ, რა გვარი
მართვა-გამგეობა აქვს ხალხს,
რა ზნეობის პატრინია იგი,
მოისმინეთ მისი მუსიკა“.

კონფუცი

არაერთხელ გვითქვამს, რომ მუსიკა სარკეა ადამიანის სულისა; საერო სიმღერებში ნათლად გამოსჭვივის ყოველნაირი ხანა ერის ბედნიერებისა თუ უბედურებისა. მართლაცა და, ნამდვილი საერო სიმღერები, რომელსაც თითქმის დაბადების დღიდან ისმენს ადამიანი, ისე სამუდამოდ უჯდება ძვალსა და რბილში და ისე შესისხლხორცებულია იმის სმენასთან, რომ, რუბინშტეინისა არ იყოს, ყოველნაირ გარემოებაში ახსოვს სამშობლო ხმები და არც დროსა და არც მანძილს არ შეუძლიან დაავიწყოს იგი. ან კი რა დასავიწყია ცათ აღმაფრენი ჰანგები, რომელიც გონებისა და გრძნობის მაღალგანვითარების მაუნყებელია! სასოება, ზეიმი, გამარჯვება, სიმამაცე, შეუპოვრობა, სიტკბოება, სიმწარე, ჯავრი, ჭმუნვა, გლოვა, ზარი, რისხვა, თავგანწირულობა, – ერთის სიტყვით, ყოველი სახე გრძნობისა, ერისაგან გამოვლილი, ნათლად და ცხადად მოისმის ქართველის გულიდან ამონაკვეთ სამუსიკო ხმებში. ყველას გულს უტოკავს ეს ხმები, გრძნობათა სიმებს ჰხვდება, ალერსიან დედის ნანასავით გულს მალამოდ ედება და მიწიერს უკვდავად გაგონებს თავს. ასეთის ჰარმონიით სავსე სიმღერების წყალობით რა არ აუტანია ხალხის გულს და რა არ უმოქმედნია იმის მარჯვენას: კლდენი უპია, თვალწარმტაც ტაძრები აუგია, ციხე-ქალაქები უშენებია და საარაკოდ მტერი უძლევია. აი, ამისთანა ძალის მქონე და დიდმნიშვნელოვანია ჩვენი სიმღერა-გალობა და მგონი, ღირსია საზოგადოების ყურადღებისა.

ჩვენი ფილარმონიული საზოგადოება მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ მცნებად მიღე-

ბულ მიზანს პირნათლად ემსახუროს და ამ მიზნის განსახორციელებლად არაფერს დაბრკოლებას არ შეუდრკეს, არ შეუშინდეს. თუ დედააზრი ფილარმონიულ საზოგადოებისა ქართული საერო სიმღერების დაწერასა, შესწავლასა და გავრცელებაშია, საჭიროა მცოდნე პირებიც არა სამი და ოთხი, არამედ ოცი და ორმოცი, რადგან მასალა უღვეველი და უხვია, ხოლო მომკალი ცოტა. რა არის მიზეზი, რომ ასე ცოტა გვყავს მუზიკის მცოდნე? ჩვენი უნიჭობა თუ სიზარმაცე? არც ერთი და არც მეორე. ჩემის აზრით, მიზეზი უნდა ვეძებოთ ჩვენს სიღარიბეში. ჩვენდა საუბედუროდ, ყველა სამუსიკო სასწავლებელი და განსაკუთრებით კონსერვატორია ისეა მოწყობილი, რომ ჩვენი სთანა უბრალო მომაკვდავს არ შეუძლიან თავის ხარჯით შესვლა. რადგან იმდენი შეიძლება არა გვაქვს, თვითეული თავის ხარჯით შევიდეს მთავრობის სამუსიკო სასწავლებელში, ამიტომ საჭიროა თვითონ ჩვენ გავხსნათ საკუთარი სამუსიკო სასწავლებელი, სადაც მსურველნი მცირედის საფასით ისწავლიან იმას, რასაც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებლებში ასწავლიან.

აი, ხვალ სწორედ ამ აზრით ქართულ ფილარ. საზოგადოების გამგეობა იწვევს საზოგადოების წევრთ და არაწევრთ, დაესწრნენ კრებას, რომ საერთო ძალით შეჭქმნან ახალი სამუსიკო სასწავლებელი, საიდანაც, თუ მთლად მომზადებული მემუსიკენი არა, იმდენად მომზადებულნი მაინც გამოვლენ, რომ რუსეთისა თუ საზღვარგარეთის კონსერვატორიების უმაღლეს კურსებზე შესვლას შესძლებენ და მაშინ მრავლად გვეყოლებიან მუშაკნი სამუსიკო ასპარეზზე.

ზ. ჩხიკვაძე

404. ისარი, 1907, 21 სექტემბერი, №206, გვ. 2

*** * ***

მივიღეთ ერთხმიანი საეკლესიო გალობა „მწუხრი“, მღ. პოლიევკტოს კარბელაშვილის რედაქტორობით გამოცემული, ნოტებზე გადაღებული მღ. ფ. კარბელაშვილის მიერ. ეს ნოტების წიგნი შეიცავს 23 გვერდს და ღირს სულ სამი შაური, რაც ნოტებისთვის ძალიან მცირე ფასად უნდა ჩაითვალოს.

405. მწყემსი, 1907, 15 ნოემბერი, №21, გვ. 3

ქართული საეკლესიო გალობა ქუთაისში

მგონი, ბევრი მტკიცება არ დასჭირდება იმას, რომ საეკლესიო გალობას დიდი მნიშვნელობა აქვს წირვა-ლოცვისა და ღვთისმსახურების დროს: ის ასპეტაკებს, აკეთილშობილებს, ამაღლებს ადამიანის სულს და დროებით მაინც ავიწყებინებს ამ ქვეყნიურ სიღუბჭირეს. რაც უნდა ურწმუნო იყოს ადამიანი, მაინც რაღაც სასოებასა გრძნობს, როდესაც კარგ სასულიერო გალობას ისმენს. ეს ძლიერ კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს და სასულიერო გალობას დიდს ყურადღებას აქცევდენ როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ ოცის-ოცდაორი წლის წინადაც კი ქართული გალობის მცოდნეთ ფულს აძლევდენ სოფლის გლეხები და გა-

ლობას სწავლობდენ; თავად-აზნაურობისთვის ხომ სირცხვილიც იყო საეკკლესიო გალობის უცოდინარობა. სოფლებშიაც კი იშვიათად მოიძებნებოდა ისეთი ღარიბი ეკკლესია, რომ მაგალობლები არ ყოლოდეს. მაგალობლებად ითვლებოდნენ სოფლელი გალობის მოყვარენი, რომელთაც თითქმის არავითარი ჯილდო არ ეძლეოდათ, გარდა საპატიო სახელისა და მონონებისა. ვის არ გაუგონია, მაგალითად, კანდელაკების, დუმბაძეების, ჭალაგანიძეებისა და სხვათა გვარები, რომელნიც იმერეთ-გურია-სამეგრელოში საუკეთესო მაგალობლებად ყოფილან ცნობილნი.

სამწუხაროდ, რაც დრო მიდის, ჩვენს საეკკლესიო გალობას საზოგადოების ყურადღება აკლდება, წინანდელი მნიშვნელობა ეკარგება. ეხლა იშვიათად ვისმენთ, განსაკუთრებით სოფლებში, ხეირიანს ქართულ გალობას წირვა-ლოცვის დროს. მაგალობლების გუნდის ადგილზე დგას ერთი მძინარა მედავითნე, რომელიც თვალდახუჭული საცოდავის ხმით კნავის და სასოების ნაცვლად თავისადმი სიბრაულეს ინვეს მაცურებლებში. თითქმის ასეთსავე არასასურველ მოვლენას ვხედავთ ქალაქებშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ „უფალო, შეგვიწყალენ“-ს ან „ტებე, ღოსპოდი“ ღრიალებს გულისშემზარავ ხმით.

ქუთაისში მხოლოდ საკათედრო ტაძარში თუ შეხვდებიან ხანდისხან 4-5 დიაკონისაგან შემდგარს მაგალობელთა გუნდს, რომელნიც ოთხხმოვანს კახურ კილოზე გალობენ, თუმცა ხმების სიცოტავის გამო, თუ კაცი ძლიერ არ დაუკვირდა ორი ხმის მეტს ვერ გაარჩევს. მასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ბევრი საგალობელი სრულიად არ იციან. რაც შეეხება იმერულ სამხმოვან გალობას, რომლის გამშვენიერებასა და ნოტებზე გადალებას განსვენებულ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დროს არსებულმა გალობის აღმდგენელმა კომიტეტმა დიდი შრომა და ხარჯი მოანდომა, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო თითქმის სრულიად განდევნილია და იმერულ კილოს მაგიერ კახურ კილოს გალობას გაიგონებთ აქაიქ. რამდენადაც ვიცი, საკათედრო ტაძრის მაგალობელთა გუნდის დასაქირავებლად ყოველწლიურად 1600 მანეთი ეძლევა. ამ ფულიდან ეხლანდელს მაგალობლებზე იხარჯება თურმე არაუმეტეს 400-600 მანეთისა, დანარჩენი ფული კი ტაძრის სხვა საქროებებს ხმარდება. ხეირიან მაგალობელთა გუნდის უყოლობას იმითა ხსნიან, რომ 1600 მანეთი არ გვყოფნის. საკვირველი ლოგიკაა! 1600 მანეთი ცოტააო, ამბობენ და იმავე დროს ამ ფულის ნახევარსაც კი არ ხარჯავენ მაგალობლების დასაქირავებლად.

ამ სტრიქონების დაწერა გამოიწვია ჩემ მიერ მაგალობელთა გუნდის მოსმენამ, რომელმაც განსვენებულ ილია ჭავჭავაძის პანაშვიდზე რამდენჯერმე უსასყიდლოდ იგალობა. ამ გუნდს ხელმძღვანელობს ცნობილი ფ. ქორიძის განვრთნილი ნამონაფარი ი. ნიკოლაძე, რომელიც, ეტყობა, გალობაში მეტად დახელოვნებულია. ამჟამად მის მაგალობელთა მუდმივ გუნდს შეადგენს 8-10 კაცი, რომელთაც სამხმოვანი იმერული კილო კარგად ქონიათ შესწავლილი. ამ გუნდის გალობამ ისე დამაინტერესა, რომ სრულიად უსასომ რამდენჯერმე თავიდამ ბოლომდის მოვისმინე საკათედრო ტაძარში წირვა და პანაშვიდები მხოლოდ იმისთვის, რომ გალობით დავმტკბარიყავ, და ყოველთვის მეტად ნასიამოვნები დავბრუნდი შინ. თქვენ გესმით სრულიად ძალდაუტანებელი, შეუფერავ-შეუკაზმავი და შეურყენელი ქართული ხმები, ის სანეტარო ხმები, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ატკობდა ქართველის ყურსა და გულში სასოებას უღვიძებდა. ზოგიერთი საგალობელი მაინც იმდენად მომეწონა, რომ მზად ვიყავი „bis“-თქო, დამეძახნა, მაგრამ გამახსენდა, რომ ტაძარში ეს არ შეიძლებოდა, და თავი შევიკავე. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ ამჟამად მაგალობელთა გუნდი მცირეა, განსაკუთრებით მეორე ხმები, რაც, რასაკვირველია, გალობის სიმშვენიერეს ხელს მეტად უშლის. როდესაც ერთ მაგალობელთაგანს ვკითხე, ყოველთვის თქვენ არ გალობთ ტაძარში მეთქი? ისე მიპასუხა: „ჩვენ დიდი სიამოვნებით ვიკისრებთ გალობას, მაგრამ სულ ტყუილად ხომ ვიშრომებთ, ჯილდოს კი არაფერს გვაძლევენო. იმ 1600 მანეთს რომ ჩვენ მოგვცემდენ,

რომელიც მაგალობლების დასაქირავებლად ეძლევა ტაძარს, მშვენიერს მაგალობელთა გუნდს შევადგენდით, რომელშიაც 18-20 კაცი გვეყოლებოდაო!”

იმედია, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს კათედრის ტაძრის ხსენებულ ნაკლულევანებას და იმ ხარჯს, რომელიც გასწიეს გალობის ხმების გადასაღებად, უქმად არ ჩაარონინებს.

დ. ა. [დავით აროშიძე]

406. ისარი, 1907, 8 დეკემბერი, №271, გვ. 4

ცრუ ცნობები ქუთაისში ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ

მიმდინარე წლის „მწყემსი“-ს ოცდამეერთე ნომერში დასტამბულია თავიდან ბოლომდე სიცრუით და უვიცობით სავსე კორესპონდენცია ქუთაისში ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ.

მტკნარი სიცრუეა, ვითომ 1600 მანეთიდან, რომელიც გადადებულია ყოველწლიურად საკათედრო ტაძრის მაგალობელთა გუნდის დასაქირავებლად, იხარჯებოდეს ეხლანდელ მაგალობლებზედ არა უმეტეს 400-600 მანეთისა, დანარჩენი ფული კი ტაძრის სხვადასხვა საჭიროებას ხმარდებოდეს. კორესპონდენტს რომ სიმართლის გაგება ნდომოდა, მიმართავდა ყოფილ ლოტბარს ბ-ნ კ. მაღრაძეს ან ეხლანდელ გუნდის გამგეს ბ-ნ კუჭაიძეს და იმათგან მიიღებდა უტყუარ ცნობებს. არადა, რატომ არ მიიღო შრომა, ჩაეხედნა იმ პირობაში, რომლითაც საკრებულო ტაძარი და მაგალობელთა გუნდი არიან შეკრულნი ურთერთშორის: იქ სიტყვებითაც და ციფრებითაც ცხადად არის ნაჩვენები, რა იხარჯება მაგალობლებზე, მაგრამ ეს ხომ სიმართლე იქნებოდა და სიმართლე კი, როგორც სჩანს, კორესპონდენტს არ ჰყვარებია.

ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქართლ-კახურ კილოზედ არასოდეს სამი მთავარდიაკონის მეტს არავის უგალობნია და სწორედ საოცარია – რა სასწაულებრივს ძალით შეეძლო სამ კაცს ოთხ ხმაზე გალობა! არასოდეს არ გამიგონია, რომ ჩემს მთავარდიაკვნებს ეგალობნოთ როდისმე ოთხ ხმაზე და არც დამივალებია მათთვის ასეთი გალობა, რადგან ჩინებულად მესმის, რომ ერთსა და იმავე დროს თვითეულ კაცის ყელიდან მხოლოდ ერთი ხმა ამოდის და შეუძლებელია, რომ მაგალობელ მთავარდიაკვნებს – კაპანაძეს, ჭიპაშვილს და კუხიანიძეს, გარდა სამის ყელისა, მეოთხეც გამოზმოდათ.

კორესპონდენტი ერთობ მოუხიბლავს და დაუთვრია მედავითნის ნიკოლაძის გალობას და რჩევას მაძლევს, რომ ნიკოლაძეს ანგელოზებრივის ღალადით დავამშვენო საკათედრო ტაძარი. რჩევისა და გულშემატკივარ დარიგებისათვის ბ-ნ კორესპონდენტს გულითადს მადლობას ვუძღვნი, მაგრამ დიდად კი ვებოდიშები, რომ ნიკოლაძეში მე ვერა ვხედავ ვერც ერთ ისეთ ღირსებას, რომ შემეძლოს მისი შეშვება საკათედრო ტაძარში და ლოტბარობის ჩაბარება. რასაკვირველია, კორესპონდენტი, რომელსაც ნიკოლაძის გუნდში მოესმა „სრულიად ძალდაუტანებელი, შეუფერავ-შეუკაზმავი და შეურყვნელი (ეს ალბათ ახალი მუსიკალური ტერმინები და ხმების დახასიათებაა!) ქართული ხმები“, რომელსაც სამი კაცის გალობა ოთხ-ხმოვანად ესმის, ჩემს დაფასებას არაფრად ჩასთვლის და როგორც ქართლელს, მომანერს იმერულ გალობის უცოდინარობას, მაგრამ ღვთის მადლით, ქუთაისში მოიპოვებინა გალობის მცოდნე პირნი, როგორც მაგალითად, ბ-ნი ანდრია ბენაშვილი, კ. მაღრაძე, ძმ. შარაბიძენი, გალაკ თუთბერიძე, წერეთელი, ფოცხვერაშვილი და სხვები და არც ერთ ამათგანისაგან არ მომისმენია ნიკოლაძის შესახებ ისეთი აღტაცებული ქება-დიდება, როგორც

ამას ნებულობს ჩვენი კორესპონდენტი. ნიკოლაძეს სულ ელემენტარული მუსიკალური განვითარებაც არ მიუღია და ამის გამო, ცხადია, რომ არც ლოტბარობა შეუძლიან.

რომ საეკლესიო გალობა მიზიდავს და შეძლებისდაგვარად ვცდილობ მის გავრცელებას სამწყსოში, ამაში ვიმოწმებ მთელ ჩემ ეპარქიის სამღვდელოებას, რომელსაც ეკლესიების რევიზიის დროს ვალად დავუდგინე უეჭველად მგალობლების ყოლა და ნებართვა მივეცი მათთვის საჭირო ხარჯის გაღებისა ეკლესიის შემოსავლიდან. სხვათა შორის, ამაზე უარს ვერ იტყვის თვით კორესპონდენტისაგან დიდად მოწონებული ი. ნიკოლაძე, რომელიც გავამნესე ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძრის მედავითნედ მარტოდმარტო იმ მოსაზრებით, რომ მას ესწავლებინა გალობა ქუთაისის მედავითნეებისა და მახლობელ სოფლებებისათვის, მაგრამ ამაშიაც სასტიკად მოტყუებული დავრჩი, რადგან ნიკოლაძეს დღევანდლამდე არავისთვის არაფერი არა უსწავლებია რა.

როგორცა სჩანს, კორესპონდენტს თავი შეუწუხებია წერილის დაწერით უფრო იმისთვის, რომ გამოეთქვა, ვითომ მე არ მომწონდეს იმერულ კილოთი გალობა და მომხრეობას ვუწვდენდე ქართლ-კახურს კილოს. სამწუხაროდ, ასეთი ხმები გაუვრცელებიათ ბნელ პირებს ადგილობრივ საზოგადოებაში და ამ ერთისთვის წინათ წერილიც მივიღე ასეთის შინაარსისა, ხელმოწერილი რამდენისამე საპატიო პირისაგან. როგორც ქართლ-კახურ, ისე იმერულ კილოებით გალობა ქართულ გალობად მიმაჩნია და არასოდეს არ დამიშორებია ერთი მეორისაგან. ამას დაამოწმებენ ჩემი დროის ლოტბარები – ბ-ნი მალრაძე და კუჭაიძე, რომელთაც თუ უგალობნიათ რამე ჩემ წირვა-ლოცვაზე ქართულად, უგალობნიათ ყოველთვის იმერულის და არა ქართლ-კახურის კილოთი.

სათაკილოდ მიმაჩნია ამ საგანზე ლაპარაკი და სავალალოა, რომ ასეთ ხმებს გასავალი აქვს ადგილობრივ საზოგადოებაში.

რაც უნდა დასწერონ დღეის იქით საეკლესიო გალობის შესახებ სიმართლის მოძულე კორესპონდენტებმა, მე სრულიად ხმას აღარავის აუბამ, მხოლოდ ვთხოვ და გულსმოდგენით ვევედრები მუსიკალურად შეგნებულ და განვითარებულ პირებს, იკისროს მგალობელთა რიგიანი გუნდის შედგენა ჩემდამო რწმუნებულ საკათედრო ტაძარში, 1600 მანეთად წელიწადში და ამით შეიტანონ თავიანთი წვლილი სამშობლო ეკლესიის განვითარების საქმეში.

ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა

1908

407. მწყემსი, 1908, 30 მარტი, №5-6 გვ.10.

ახალი ამბები და შენიშვნები

სასულიერო კონცერტი. ქართული ფილარმონიული საზოგადოება 3 აპრილს მართავს საინტერესო სასულიერო კონცერტს. საზოგადოების ხორო ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს საეკლესიო ხმებს, ოთხ ხმაზე დაწერილს (ქალთა და ვაჟთა გუნდისთვის) ზ. ფალიაშვილის მიერვე. კონცერტი გაიმართება „ტფ. სობრანიეს“ დარბაზში. კონცერტამდე ბ-ნი მონადირაშვილი წაიკითხავს საქართველოს საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიას.

მწარე სიმართლე

თუ რამე სთქვი, მტრებს გადიკიდებ. რალაც უბედურებაა, მართალი ყველას სძულს და, როცა გაიგონებენ, პირში გეცემიან: რა სთქვი, როგორ სთქვი, როგორ გაბედე, როგორ გვკადრე და სხვადასხვა. ეს კიდეც არაფერი. საკმარისია ერთი მართალი ნამოგცდეს ვინმეზე, რომ საუკუნო მტერი შეიძინო, მტერი, რომელიც ეცდება გავნოს მარტო შენ კი არა პირადად, არამედ შენს შვილს და შვილისშვილს. აი სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მართალი სთქვი, მათრახი ხელში დაიკავე და ცხენი შეკაზმული იყოლიე“. სთქვა თუ არა მართალი, მოახტენი ცხენს და გეთ!.. (sic) გასწი შორს, შორს, რომ არ ნახო ის მიდამო, სადაც მართალი ნამოგცდა! სწორეთ გაჭირდა საქმე!.. მაგრამ მართალი ხომ მაინც მართალია, კიდეც რომ არ ვსთქვათ. თვალი ყველას აქვს და ყური და ნუთუ ვერ ხედავენ და არ ეყურებათ?! რა თქმა უნდა, ხედავენ და ეყურებათ, მაგრამ მოქმედებს ჰგონიათ, მათ მოქმედებას ვერ ამჩნევენ, რადგან არაფერს ამბობენ. და არ ამბობენ მიტომ, რომ ცხენი არ ჰყავთ, რომ გაიქცენ; ამიტომ ჩუმთ არიან, მაგრამ ეს სიჩუმე ყვირილზე უარესია: ან ერთბაშათ იფეთქავს მათში დაგუბებული ბოლმა, ან სულ ჩამოგშორდებათ, თუ მაინც-და-მაინც მათ ტყავს აგრერიგად არ ეხება თქვენი უმართებულო მოქმედება. აი მაგ. ავიღოთ, თუ გინდა, სობორო, ქუთაისის საკათედრო სობორო. ვხედავთ, რომ იგი დღითიდღე ცარიელდება და ცარიელდება უხმოდ, უდრტვინველად. მხოლოდ ხანდისხან შემოიჭვრიტინებენ შიგ უკან ხელებმოდებული ჩინოვნიკები, და ისიც მაშინ, როცა ოფიციალურად დაიბარებენ: ამა და ამ დღეს ეკლესიაში მობრძანდით ამა და ამ ფორმითო. ამ დღისთვისაც მაინც და მაინც არ ინუბებენ თავს, მაგრამ სხვა დღეებს რომ შევადაროთ, რალაც არაჩვეულებრივ მოვლენას შევნიშნავთ. რა ვთქვათ? დაბერდა ქრისტიანობა? აღარ აქვს ის სიცხოველე, რომელიც ოცი-ათასობით მსმენელს იზიდავდა ტაძარში? დაელია ქრისტიანობას მხიბლავი იდეალები? შესძულდა ქრისტიანებს ტაძარი, ეს მათი ნმიდა ნმიდათა, ეს მათი მყუდრო ნავთსაყუდელი, სადაც ერთ წამს მაინც შეეძლოთ მოესვენებიათ ტანჯული სული იმ შემზარავ და შემადრწუნებელ მოვლენათაგან, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი ქურჩა? ერთ წამს მაინც ეგრძნოთ, გული ეგრძნოთ, უმაღლესი სინმიდე და სიხარული ღვთის კალთის ქვეშ? შესძულდათ ის ყოველი, რაც მათ აქამდე ხიბლავდა, იზიდავდა, აფრთოვანებდა, აქველებდა, აგულოვნებდა და აბრძოლებდა სიკეთისა და სასუფეველისათვის? უთუოდ! მერე ვინ არის ამაში დანაშაული? ვაი, სირცხვილო! ისევ ტაძრის მსახურნი. დიახ, ტაძრის მსახურნი! ამათ შეაძულეს ხალხს ეკლესია თავის ურწმუნოებით, უგულობით, უსასოებით, თავის კითხვით, გალობით, თავის სიჩუმით, უსიტყვობით.

სხვას ყოლიფერს თავი დავანებოთ და ავიღოთ მხოლოდ კითხვა, გალობა და ქადაგება. ძველი, მოციქულთა დროის და მერმინდელიც (ჩვენ უბედურ დრომდე) წირვა-ლოცვა შესდგებოდა ამ სამი უმთავრესი ნაწილისაგან: კითხვისა, გალობისა და ქადაგებისაგან. კითხვა ეხლაც არის, მაგრამ რას ჰგავს ეხლანდელი კითხვა?! ძველი განმშვენებული კითხვის კილო შეცვლილია რალაც უბრალო კითხვაზე: სამღვთო წიგნებს კითხულობენ ისე, როგორც გაზეთს, მოთხრობას, ზღაპარს, უბრალო წიგნებს. აი, თუ გნებავს, შებრძანდით სობოროში და უყურეთ მედავითნის კითხვას საწიგნზე. გეგონებათ, დემოკრატი შემდგარა ჯრიკზე და ჯიჯგნის ერთხელ და სამუდამოდ დაზეპირებულ „ფრაზებსო“. აბა, ვის აღუძრავს სამღვთო სურვილს – მუდამ ეკლესიაში იაროს? განა არ კმარა ასეთი კითხვა უშინაარსო ფუქსავატ წიგნებისა, რომლებმაც აგვიმსეს უბეები, ჯიბეები, ოჯახები? საღვთო წიგნებს აქვს თავის საკითხავი კილო, რომლის მოქმედება ადამიანის გულზე გამოცდილია უფრო მორწმუნე და ნმიდა კაცთაგან, ვიდრე მე და ის მედავითნე ვართ, რომელიც სობოროში კითხულობს; და ჩვენ გემოზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ კილოს ასე თუ ისე შეცვლა. თუ ამის შეცვლა

ამნაირად შესაძლებელია, მაშ შესაძლებელი ყოფილა გალობისაც „ოდელიას“ ხმაზე თქმა.

გალობა! სად არის ახლა გალობა? რომელიმე გალობა: რუსული, იმერული, გურული, კახური. სად არის ან ერთი? ვის გაუგონია სობოროში იგინი ამ უკანასკნელ ხანებში? რუსული გალობა ხომ არ ჰქვია იმ კუჭაიდის „ГОЛОСЫ““-ს, რომელმაც ამ ორი წლის განმავლობაში ყურები გამოგვიჭედა და თლათ შეგვაძულა რუსული გალობის სახსენებელი. ან კახური გალობა ხომ არ ჰქვია იმ „ო-ჰო-ჰოი მამა, მამაო ჩვენო“-ს „ისპოლლაა ხა-ხა-ხა“-ს, რომელსაც ასე თავმოწონეთ გალობენ ეპარხიალისტები და გალობდა წარსული საუკუნის ყოფილი სობოროს გუნდი? იმერული გალობა? მე დიდი ხნის მომსწრე არ გახლავართ და ამბობენ, კაი დაგემართოს, კაის თურმე ამბობდნენ იმ ნეტარსენებულ დროს, როცა... მაგრამ ვერ ვიტყვით როცა, რადგან რუსული ანდაზა: «кто старое помянет, тому глаз вонь» თავის ძალაშია და თვალის წამოთხრის გვეშინია. ვიტყვით მხოლოდ, რომ წინეთ მონასტრები (განსაკუთრებით გელათი) და სობორო თურმე ბუდე იყვნენ საეკლესიო გალობისა, სკოლა, საიდგანაც ვრცელდებოდა მთელ ეპარქიის ზურგზე საეკლესიო გალობა. ეხლა? ეხლა მონასტრებიც და სობოროც თვით მოკლებულნი არიან გალობას. ორივეგან დიაკვნები ღიღინობენ, როგორც უნდათ ისე. ამას წინათ ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ განიზრახა გელათში ბერებისათვის გალობა შეესწავლებია, მაგრამ, მგონი, ცდამ ამაოდ ჩაიარა, რადგან დღეს სრულებით აღარავინ ცდილობს ამ საგანზე. მაგრამ თავი დავანებოთ მონასტრებს (თუმცა ძალიან კი გვეძნელება მათი თავის დანებება, რადგან ღვთისმსახურება აქ უნდა სრულდებოდეს სავსებით და ყოვლად უნაკლებად), ვილაპარაკოთ სობოროზე, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ეპარქიის ეკლესიებისათვის ისე, როგორც ეპისკოპოსია მღვდელთათვის. რას წარმოადგენს დღეს სობორო გალობის მხრით? სიტყვაც არ გვაქვს, რომ ავსწეროთ მისი უბადრუკი მდგომარეობა ამ მხრით! უსაცილოთ იპოდიაკვნებს კაი ხმა აქვთ და გვარიანადაც გალობენ, მაგრამ მაინც ვერ აძლევენ საღმრთო მსახურებას შესაფერ მშვენებას. და ეს კი დიდი ნაკლია. გალობა სამღვთო მსახურების ერთი უმთავრესი ნაწილია, ნუ დაგვაინწყდება! ამიტომ იგი შესაფერად გამშვენებელიც უნდა იყოს, რომ ადამიანის გულის სიღრმეს სწვდეს და გაუღვიძოს მირუღური, მიძინებული სარწმუნოება და სასოება. გალობა უნდა უთხრობდეს ადამიანის გულს ღვთის დიდებას და მრავალმონყალებას, უხატავდეს ქვეყნიურ ცხოვრების წარმომავლობას და მის არარაობას ღვთის საზღვროების წინაშე, გალობა ქვის გულს უნდა აღხობდეს თავის მომხიბლავ ჰარმონიით და არა ყურებს უჭეკავდეს და თავზარს სცემდეს მსმენელს. და სობოროს აქვს საშვალეობა, თუ მოიხმარს. არიან გალობის მცოდნენიც, რომლებიც სულით და გულით მოჰყიდებენ საქმეს ხელს და ბრწინვალედ შეასრულებენ თავის მოვალეობას. ჩვენ კი, რომლებსაც კიდევ შეგვრჩენია ცოტაოდენი სურვილი ეკლესიაში სიარულისა, მოუთმენლად ველოდებით ნამდვილ გალობის გაგონებას არათუ მარტო სობოროში, არამედ დანარჩენ ქალაქის ეკლესიებშიდაც, რომლებიც სულ აღარაფერს გვანან იმ მხრით.

კინკილეთელი

409. დროება, 1908, 19 დეკემბერი, №27, გვ. 4

ქართლ-კახეთის სამღვდლოების საყურადღებოდ

სანამ ქართლ-კახეთის სამღვდლოების წარმომადგენელნი სთხზავნენ მოხსენებაზე და თავებს იმტვრევენ ეკლესიის საქმეთა გამოსაბრუნებლად, ამავე დროს თითქოს ჩვენი სამღვდლოებავე უწყობს ხელს იმ მოვლენის გამტკიცებას, რომელმაც ასე დასცა ეკლესია.

სოფლად თუ ქალაქად, დიდსა და პატარისაგან, ყველგან და ყველასაგან გაიგონებთ, რომ სამღვდელოებამ ყველაფერი კარგი დაჰკარგაო: აღარ არის აღარც ნირვა-ლოცვის ლაზათი, აღარც სახარების კითხვის კილო და აღარც გალობ-მეტყველობა – ეს გამომხატველი იარაღი კაცის სულიერ არსებისა. მართალია, იქნებ ჩვენ მიერ აქ დასახელებულ თვისებებს გარეგნული მნიშვნელობა ჰქონდეთ ერთის მხრით, მაგრამ სარწმუნოების საქმეში, ჩვენის აზრით, მათ დიდი ადგილი უჭირავთ.

კერძოდ, მე მინდა შევეხო საეკლესიო გალობის დაკნინებას ქართულ სამღვდელოების წარმომადგენელთა შორის, რომელიც სიბრალულს ინვესს და სხვა არაფერს. დღეს ქართული საეკლესიო გალობა განსაცდელს განიცდის სულთმოძრავი კაცივით. უშნო, ულაზათოდ კნავილ-ბლავილი, კილოს ღეჭვა და ზედ მთქნარება – ყველა ეს ერთად იმ მცირერიცხვ მორწმუნეთაც კი აფრთხობს, ვინც ქართულ ეკლესიას შერჩენია. მიზეზი ამ მოვლენისა ძალიან ადვილი ასახსნელია და სულაც არ უნდა მიენეროს ქართულ გალობის უფარვისობას, უფერულობას, რომლისთვისაც ესე მაგრა ჩაუჭიდნიათ ხელი მუსიკის თავისუფალ მოხელეებს და ჰლამობენ აქაც სხვანაირად აანყონ ჰანგი, როგორც ეს ლამის არის გაამეფონ საერო სიმღერებში. თავისუფალი მოხელენი უფრო თავისუფალნი არიან იდეურ ხელმძღვანელობისაგან, თორემ რა წარმოსადგენია, რომ იმ დროს, როცა ყოველი ერი ჰქმნის ნაციონალურ ხელოვნებას, ჩვენში მედგრად ეჭიდებიან რუსულ, ბერძნულ და სხვა ჰარმონიის გადმონერგვას. მიზეზი ამ მოვლენისა კი გალობის უცოდინარობაა ქართულ ეკლესიის მოსამსახურეთა მიერ და სხვა არაფერი. ეს უცოდინარობა გამეფებულია დღეს იქ, სათავეში, სადაც ეკლესიის მოსამსახურე პირნი აღჭურვილნი უნდა იყვნენ ყოველივე ღირსებით, რაც მათ სამსახურს ხდის საპატიოდ. ამისთანა სათავეებად ჩვენ მიგვაჩნია სასულიერო სასწავლებლები და სემინარია. ყველა გულშემატკივარმა უნდა შეიტყოს, ვინ განაგებენ გალობის საქმეს სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში, გალობის მცოდნენი თუ ნოტებისა, ან ვინ უნდა განაგებდეს ამ საგანს. იქონიონ მხედველობაში და იგულისხმონ დღეს ტფილისში შეკრებილთ ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენლებმა, რომ ნოტების ცოდნა კიდევ არა ნიშნავს გალობის ცოდნას და თუნდაც რომ ნოტების ცოდნას უპირატესობა ჰქონდეს, სამღვდელოებამ უნდა იცოდეს, რომ ერთი სახელმძღვანელო არ მოიპოვება, რომ ნოტების ცოდნით აღჭურვილმა შეასწავლოს მონაფეებს გალობა. ქართველ ერს გალობა-ღალადება მეცხრამეტე საუკუნემდის მოუტანია და უანდერძნია საშვილიშვილოდ. ეს დიდი სიმდიდრე გადაიცემოდის ერთი მოდგმიდან მეორემდე უთეორიოდ და უნოტებოდ და დღეს, როცა საღმრთო საგალობელნი აღნიშნულნი არ არიან ნოტებით, ამ საქმეს სათავეში უნდა უდგნენ ისევ გალობის მცოდნენი. რასაკვირველია, ეს ქართველ სამღვდელოებაზე დამოკიდებული, თუ რამდენად მოიახლოვებს იმ დროს, როცა ყველა საგალობელი ნოტზე იქნება დანერილი და რადგან დღეს ამას მოკლებულნი ვართ, მიმართვა და გამოყენება ძველ ნაცად ხერხისა და მით შენარჩუნება და აღდგენა გალობისა ჩვენ ერთადერთ საშუალებად მიგვაჩნია.

დღეს რუსის ბიუროკრატიის მოხელეებს ისეთები ჩაუყენებიათ ამ საქმის სათავეში, რომელთა უცოდინარობითა თავიანთ ვერაგულს საქმეს გამოაკეთებენ. რა ენაღვლებათ იმათ, თუ ქართულმა ეკლესიამ აუარებელ სიმდიდრესთან სულიერი სიმდიდრეც დაჰკარგოს; ქართველი სამღვდელოება, რომელიც ესე გულმოდგინედ ებრძვის ავტოკეფალიის მოპოვებას, იქნებ ოდესმე ეღირსოს თავის სურვილს, მაგრამ რას მიიღებს? ხორციელად გატყავებულს და სულიერად გაღატაკებულ ეკლესიას და სხვა არაფერს. აი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ სამღვდელოების წარმომადგენელნი დღესვე უნდა შეუდგნენ წამლის გამონახვას განსაცდელის ასაცდენად. თორემ მერე დამნაშავეთა აღმოჩენა, რომელნიც პილატესავით ხელს დაიბანენ, ველარას უშველის ხალხის სულიერ გადაგვარებას და გაოხრებას.

ი. კარგარეთელი

მცირე მიმოხილვა ქართული სიმღერა-გალობის

თუ რა კეთილშობილური გავლენა აქვს ხალხის აღზრდა-ცხოვრებაში მუსიკას, ამაზედ კიდევ რამის თქმა მეტად მიმაჩნია, რადგანაც ამ საგნის შესახებ არა ერთხელ და ასჯერ გამოთქმულა აზრი და საზოგადოებასაც, დარწმუნებული ვარ, მტკიცედ აქვს შეგნებული; მაგრამ უპირველესი და მეტად რთული გამოცანა ის არის, თუ რა გზით და როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ იმ ქართველ საზოგადოების უმეტესობას, რომელსაც დღეს მივიწყებული აქვს თავისი საკუთარი, მამა-პაპისაგან შექმნილი და ჩვენთვის ნაანდერძევი გალობა-სიმღერების სიმშვენიერე და გამსჭვალული აქვს სმენა საზოგადო-ევროპიულ მუსიკით, ინტერესი აღვუძრათ და შევაყვაროთ ისა, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის – ეროვნულ-კულტურული განვითარების საქმე. ქართულ სიმღერა-გალობის გავრცელებას და მის გამშვენიერებას, ჩემის აზრით, ერთადერთი საშუალება აქვს: რაც შეიძლება მალ-მალე იმართებოდეს ქართული კონცერტები, საქართველოს სხვადასხვა თემის სიმღერებიდან შემდგარი თუ ეთნოგრაფიული მნიშვნელობით, და თუ, მომეტებულად, შემუშავებული ხელოვნურად ხოროსა, ორკესტრისა თუ ცალკედ (solo) შესასრულებელი. ამისათვის კი საჭიროა, დაარსდეს სხვადასხვა წრეები, რომლებში მონაწილეთაც შეეძლოთ ამ პროგრამის განხორციელება და გავრცელება ხალხში. აი, სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დღეს ჩვენში არსებობს ერთადერთი დაწესებულება – ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომელსაც თუმცა დიდი დაბრკოლებები აქვს წინ აღმართული, თუ მატერიალურად შევინროვების მხრივ და თუ საზოგადოების ერთ ჯგუფ არაკეთილმსურველთაგან, რომლებიც ყოველ ღონესა ხმარობენ ამ საზოგადოების გამგეობისა და მის მუშაკთა დამცირებისა და მათ მიწასთან გასწორებისათვის, მაგრამ „საზოგადოების“ წევრები გამსჭვალულნი რწმენითა, მტკიცედა სდგანან თავიანთ აზრზედ და ამ არანორმალურ პირობებში ცდილობენ თავიანთ პროგრამის განხორციელებას, რამდენათაც ძალა შესწევთ.

ამ საზოგადოებამ 1908 წლის განმავლობაში მიიღო მონაწილეობა შემდეგ სხვადასხვა ქართველთ სადღესასწაულოთ გამართულ საღამოებში: ილიას სახსოვრად გამართული საღამო, აკაკის იუბილე, ქართულ თეატრის გახსნა, სამ აპრილს გამართული სასულიერო კონცერტი და სხვა. ამის გარდა საზოგადოებამ გახსნა თავისი საკუთარი და ყველასათვის ხელმისაწვდომი სამუსიკო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობდა 85% ქართველი ახალგაზრდობა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ამ ზემოხსენებულ კონცერტს და საღამოებს ქართველი საზოგადოება უხვად ესწრებოდა და თუ წინად ქართული სიმღერა-გალობა ათვალწუნებული ჰქონდა, დღეს დიდის ინტერესით ისმენდა და, რამდენათაც შევამჩნიეთ, კმაყოფილიცა რჩებოდა! ეს არაჩვეულებრივი მოვლენა, ჩემის აზრით, მეტად სასიამოვნო აქტად უნდა აღვნიშნოს ჩვენს ცხოვრებაში.*

ეჭვს გარეშეა, ქართული ხელოვნების ასაღორძინებლად საჭირო არის ქართველთ მუსიკოსთა არა ერთმანეთში ჭორებისა და ინტრიგების გავრცელება, არამედ მორიგებით და სიყვარულით, ჩვენი ხელოვნების პატივისსაცემრად მაინც, მუშაობა. მაშინ საქმეც ერთი ათად უფრო გაიჩარხებოდა და საზოგადოებაც, როცა დარწმუნდებოდა ჩვენს ნამუშევრობის კეთილ ნაყოფში, უფრო შეგნებულად დააფასებდა ქართულ სიმღერა-გალობის სიმშვენიერეს და თავის თანაგრძნობას არ მოაკლებდა ამ საშვილიშვილო და საამაყო საქმეს.

მაშ, ჩვენი საახალწლო მილოცვაც გამოიხატებოდა ამაში, რომ ვუსურვოთ ქართულ ხელოვნების საქმეს წინსვლა და მის გულისშემატკივართ კი – მეტი ძალა და მოთმინება, რომ არავითარმა დაბრკოლებამ, რა მხრივაც და მიზნითაც უნდა იყოს გამოწვეული, არ შეაშინოს ისინი და მტკიცედ განახორციელონ მათ თვისი დასახული გეგმა ამ საქმის საკეთილდღეოდ.

ზაქ. ფალიაშვილი
31 დეკემბერი, 1908 წ.

^{*)} არ შემოძლია, არ განვუზიარო მკითხველს ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ რადგანაც ზემოხსენებული კონცერტები გამართული იყო ჩემის ლოტბარობით და ჰქონდა მხოლოდ საზოგადო ინტერესი ქართული ხელოვნების განვითარებისათვის, საზოგადოებამ არ იფიქროს, თუ ამ ქება-დიდებათ მინდოდა ჩემი ზნეობრივი ინტერესების წინ წამოყენება.

411. დროება, 1909, 5 მარტი, №50, გვ. 4

თეატრი და ხელოვნება

სასულიერო კონცერტი. 3 მარტს, სახაზინო თეატრში, საქველმოქმედო აზრით, გაიმართა დიდი სასულიერო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მართლმადიდებელ მგალობელთა გუნდებმა – რუსულმა და ქართულმა, კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანთა,

ყველაზედ უფრო საზოგადოებას მეორე განყოფილება – კათოლიკეთა — მოეწონა და, მართლაც, მათი საინტერესო პროგრამა სასიამოვნოდ იყო აღსრულებული. საკმაოდ მწყობრმა გალობის მოყვარულთა გუნდმა, ბ. სვენციცკის ლოტბარობით, კარგად იგალობა შვეიცერიის „მრწამსი“ და ზინგერ ბერგერის „კირიე ელეისონ“. ამას მოჰყვა ტრიო „ავე მარია“ სასოლისტო ნომრები, „მამაო ჩვენო“ პოლონურად, „შობა“ ალამის მუსიკა, ბეტხოვენის მუსიკა „პიეტა სინიორე“ და სხვა, რომელნიც დიდის სიამოვნებით მოისმინა საზოგადოებამ. რადგან საუცხოო ჰანგებს ფრიად რიგიანად ასრულებდნენ ბ-ნნი ვილიემსი, დურანტა, სპენდიაროვისა და დავიდოვისა და ბ-ნნი საადა, ტრუეცეცკი, პოტემკოვსკი, მუხაჩოვი და სხვანი. ამავე განყოფილებაში გამოვიდა თამარ ძნელაძე, რომელმაც დიდის ხელოვნებით აღარსულეს სკრიპკაზე ანდანტე რელიგიოზო. საზოგადოების თხოვნით ეს ნომერი განმეორებულ იქნა.

კარგად განვრთნილი იყო რუსული ხოროც ბ-ნ დანოვსკის ლოტბარობით. მის მიერ შესრულებულმა „ნეტარ არს კაცი“ ჩაიკოვსკისა, „აღსდევინ ღმერთი“ და ბარტინანსკის ზოგმა საგალობელმა დიდი შტაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე.

არა უშავდა-რა არც სომხების გუნდს, რომელმაც მწყობრად შეასრულა ეკმალიანის მიერ დაწერილი საგალობლები „მამაო ჩვენო“, „წმიდა არს, წმიდა“ ავტორისავე ლოტბარობით.

მწუხარებაში უნდა ვსთქვათ, რომ ქართული განყოფილება ყველაზედ სუსტი იყო. მგალობელთა გუნდმა ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით, შეასრულა მისივე თხზულებები „აქებდით უფალსა ზეცით“, „შენ გიგალობთ“ და სხვა. ამ საგალობელთა მუსიკალურ ღირსება-ნაკლზე დაწვრილებით და ავტორიტეტული სიტყვა სპეციალისტებმა სთქვან; მაგრამ ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებას ისინი არ მოეწონა არც მუსიკის, არც აღსრულების მხრით...

ხალხი კონცერტს აუარებელი დაესწრო.

412. დროება, 1909, 4 სექტემბერი, №196, გვ. 1

*** * ***

შესდგა ქართული ეროვნული ხორო, რომელიც კისრულობს ეკკლესიებში და მიცვალებულთა დაკრძალვაზედ გალობას და კონცერტსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას. მსურველთა შეუძლიანთ მიმართონ ი. კარგარეთელს.

413. დროება, 1909, 3 ოქტომბერი, №218, გვ. 3

*** * ***

ქართული ოთხხმიანი საეკლესიო ხორო, რომელიც შესდგება ოცდაორ კაცისა და ქალისაგან და რომელიც გალობს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში 8 წელიწადი, მიიღებს მონაწილეობას წირვაზე, ქორწილებზე, სცენებზე, პანაშვიდებზე და მიცვალებულებზე. მსურველთა შეუძლიანთ მიმართონ კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს ხარლამპი ნიკოლოზის ძეს ხუციშვილს. შეიძლება სამ ხმაზედაც.

ლოტბარი ნ. ი. ლაბაძე

414. დროება, 1909, 9 ოქტომბერი, №223, გვ. 3

ახალი ამბავი

*** * ***

მომღერალთა გუნდი ნაძალადევში. გვთხოვენ დავბეჭდოთ: უკვე წელიწადია, რაც ნაძალადევში შესდგა ქართული გალობა-სიმღერის მსურველთა ამხანაგობის გუნდი კონსტანტინე ჩარკვიანის ლოტბარობით. გუნდმა შეძლებისდაგვარად ნაყოფიც გამოიღო. გუნდი მიიწვიეს რამდენსამე საქველმოქმედო კონცერტზე, სადაც მონაწილეობას იღებდა. აგრეთვე მიიწვიეს მიცვალებულებზე რამდენსამე ადგილას (უსასყიდლოდ). გუნდში უმრავლესობას უადგილოდ დარჩენილნი შეადგენდნენ. შემდეგში ზოგს საქმე გამოუჩნდა და შეძლება აღარ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო. ზოგიც სხვა ქალაქში წავიდა, რითაც გუნდი ძალზე შესუსტდა. ეხლა ამხანაგობამ ხელმეორედ განიზრახა მომღერალთა რიცხვის გამრავლება. ჩარკვიანი გვპირდება, რომ არ მოგვაკლებს მეცადინეობას და უსასყიდლოდ ასწავლის გუნდს როგორც საერო, ისე საეკლესიო სიმღერებს, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნის ამხანაგობა. ამასთან, მივმართავთ გალობა-სიმღერების სწავლის მსურველთა, მოზრძანდნენ და მონაწილეობა მიიღონ გუნდში. მსურველს შეუძლიან გაიგოს პირობები მეპურე მელიტონ ლოლობერიძესთან. ადრესი: ნაძალადევი, მაგისტრალნი ქუჩა № 2, სახლი ჩარკვიანისა.

ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლის მსურველთა ამხანაგობის გუნდი ნაძალადევში

უკვე წელიწადია, რაც ეგრეთწოდებული ქართულ სიმღერა-გალობის მსურველთა ამხანაგობის გუნდი შედგა ნაძალადევში, კონსტანტინე ჩარკვიანის ლობჯინაძის და უკვე შეძლებისდაგვარათ ნაყოფიც გამოიღო. გუნდი მიიწვიეს რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტებზე, სადაც შეძლებისამებრ მიიღო მონაწილეობა. აგრეთვე მიიწვიეს მიცვალებულზე რამდენსამე ალაგს (უსასყიდლოთ). გუნდში უმრავლესობა უსაქმურები იყვნენ და შემდეგში ზოგს იმისთანა საქმეები გამოუჩნდათ, რომ შეძლება აღარ ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა შემდეგშიც; ზოგიც სხვა ქალაქში წავიდა, რითაც გუნდი ძალზე შესუსტდა. ეხლა: ამხანაგობას ხელმეორეთა სურს გაამრავლოს მომღერალთა რიცხვი, რისთვისაც ბ. კ. ჩარკვიანი გვპირდება, არ მოგვაკლოს თავისი შრომა და ჯაფა და უსასყიდლოთ ასწავლოს გუნდს როგორც საერო, ისე საეკლესიო, რაზედაც დიდს მადლობას უძღვნის მას ამხანაგობა. ამასთანავე მივმართავთ პატივცემულთ გალობა-სიმღერის შესწავლის მსურველთ, ვისაც კი სურს მიიღოს მონაწილეობა გუნდში. მსურველს შეუძლიან გაიგოს პირობები მელიტონ ლოლობერიძესთან. ადრესი: ნაძალადევი, მაგისტრალნი ქუჩა, №2, სახლი ჩარკვიანისა.

საზოგადოების საყურადღებო!

როგორც ვუწყით, ჩვენი მამა-პაპური იმერული გალობა თანდათან ქრება და ადგილს უთმობს უცხო გალობას. ხშირად ვხედავთ, რომ სხვადასხვა მღვდელმოქმედება უგემურად და აჭრელეზულათ სრულდება; ცხადია, რომ ამით სამღვდელოება დიდათ შეურაცხყოფს თავის სამწყსოს სარწმუნოებრივ გრძნობას, მაგრამ ამაში დამნაშავე რამდენათ სამღვდელოებაა, იმდენათ და უფრო მეტადაც მისი სამწყსოა, რომელიც გულგრილად უცქერის და ეკიდება ყოველგვარ, თუნდ უკუღმართ, ცვლილებასაც. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იმერული გალობა თავის განსაკუთრებული მელოდიით, მრავალფეროვანებით და სიმშვენიერით სრულებითაც არ ჩამოუვარდება არც ერთ ხალხთა გალობას და მისდამი გულცივობა მომაკვდინებელ ცოდვით უნდა ჩაეთვალოს ყველას, ვისაც მამა-პაპათაგან გადმოცემული განძი რაიმეთ მიაჩნია და ვისაც მათდამი სიყვარული გულიდან არ წარხოცია. ცოტალა გვიკლია, და „თითზე კბენანი“ გვიანლა იქნება: იმერული გალობის მცოდნენი მოისპობიან და მხოლოდ ტკბილი მოგონებალა დარჩება ჩვენ საზოგადოებას. ამიტომ მამა-პაპულ გალობის მოყვარულთა წრემ, ქუთაისის მთავარანგელოზის სობოროის კრებულის თაოსნობით, განიზრახა გახსნას ყველასათვის ხელ მისანდომი, უფასო სასწავლებელი იმერული გალობისა ზემოხსენებულ სობოროსთან და მიიღო ამ საქმეში დაუვიწყარი დახმარება იმერეთის საეპარქიო სამრევლო შკოლათა საბჭოსაგან და მტკიცე თანაგრძნობა და მაღალი ლოცვა-კურთხევა ყოველადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისა. განზრახულია, ასწავლონ გალობა ნოტიო და უნოტიო. სწავლა დაიწყება მომავალი წლის იანვრიდან. საზოგადოება, იმედია, თანაგრძნობით

შეხვედბა ამ დანყებულებას და აღმოუჩენს მას ზნეობრივ დახმარებას. გალობის შესწავლის მსურველთ შეუძლიათ ეხლავე ჩაენრონ გალობის შკოლაში.

დეკანოზი იოსებ წერეთელი

417. შინაური საქმეები, 1909, 29 ნოემბერი, №33, გვ. 16

პროვინცია

* * *

სოფ. როხი. ამ სოფლის მღვდელმა ტარასი ყუბანეიშვილმა მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია მღვდელს თავის სოფელში, თუ კი მას სურვილი აქვს რაიმე სარგებლობა მოუტანოს მრევლს. მაგ., მან თავის მრევლს განაჩენი დაადგენია და შემოიღო სავალდებულო სწავლება. ყოველი დედ-მამა, ვალდებულია სასწავლო ჰასაკში მოსვლის დროს თავისი შვილი ადგილობრივ სკოლაში მისცეს. ხოლო, წინააღმდეგი მხარე დაჯარიმებული რჩება რამოდენიმე მანეთით სკოლისვე სასარგებლოთ. ამის წყალობით ადგილობრივ სკოლაში 80-ამდე მონაფეა, ბევრს უარი უთხრეს უადგილობის გამო. ესევე მღვდელი მონადინებულია მომავალი წლისთვის უკეთუ მთავრობა ხელს მოუწყობს გადააკეთოს თავისი სკოლა ორკლასიანად. ამავე მღვდელმა მოიწვია ამ ორი წლის წინათ მღვ. რაჟდენ ხუნდაძე, რომელმაც თორმეტ კაცს შეასწავლა წირვის წესი გალობით, აგრეთვე ცდილობს მოიწვიოს კარგი ლოტბარი და გაანყოს კარგი წყობილი იმერული გალობა. ამავე მღვდელმა თავისავე მრევლში გახსნა ქალთა ჭრა-კერვის სკოლა, ერთი სიტყვით დაულალავათ შრომობს თავისი მრევლის გონებრივად და ზნეობრივად განვითარებისათვის. მღვ. ტ. ყუბანეიშვილი ჯერ ახალგაზრდა კაცია და იმედი გვაქვს მომავალში კიდევ გაორკეცებულს ენერგიით შეუდგება მიყრუებულის სოფლის გონებრივად და ზნეობრივად ამალლებას. ბოლოს ვუსურვებთ მღვ. ტარასის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ვისურვებთ რომ ამისთანა მამები ბევრი აღმოგვიჩნოდეს ჩვენდა საკეთილდღეოთ.

დ. ფ-ლი

1910

418. დროება, 1910, 16 იანვარი, №11, გვ. 3

თეატრი და ხელოვნება

ქართული კონცერტი. მალე 25 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც პირველი კონცერტი გამართა ქართულმა ხორომ ბ-ნ რატილის ლოტბარობით და განსვენებულ ლადო აღნიაშვილის თაოსნობით. ამის აღსანიშნავად განუზრახავთ გამართონ კონცერტი იმავე პროგრამით და იმავე ბ-ნ რატილის ლოტბარობით. ხორომში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე მომღერალი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ პირველ ქართულ კონცერტში.

ქართული გალობა ეკკლესიებში

ხმა დადის, ვითომ ახალ ექსარხოსს ჩამოსვლისთანავე ყურადღება მიუქცევია ეკკლესიებში ქართულ საეკლესიო გალობისათვის. უკითხავს ერთისთვის, მეორისთვის, არსებობს თუ არა ქართულ ეკკლესიებში ქართული ხორო, და როცა ჩვენი სულიერ მამებისაგან უნუგემო პასუხი მიუღია და უთქვამს, რომ ჩვენ სამლოცველოებში გუნდის მაგივრად დიაკვნები უღაზათოთ კნავიან, ახლადმოსული ექსარხოსი გაოცებულა. გასამართლებელ იარაღად მოძღვრებს ძველად ნახმარი ფარი წამოუყენებიათ: ეკლესიები ღარიბებია და არ ძალუძთ ხოროები იყოლიონო.

ამისთანა პასუხი დიდი ხნის ნაცნობია, ვინაიდან ვიცით, რომ სულიერი მამები ეხლა უმეტეს შემთხვევაში მარტო ჯიბეებზე ფიქრობენ. სწორედ აი ამ ჯიბემ მოულო ბოლო ქართულ ეკლესიებში გალობას. ხოროს უყოლობა ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია იმისა, რომ მრევლი სამუდამოდ დაუფრთხა ქართულ ეკლესიას. დიდი ხანია ქართველები, ერიც და თვით ბერიც, იმ სიდუხჭირის გზასა და კვალს სწყევლის, რასაც ქართულ სამლოცველოებში წირვა-ლოცვა და გალობა დაადგა. ყველანი, ერთად თუ ცალკე, ვგმობთ იმ მიზეზებს.

ახალ ექსარხოსს თურმე უბრძანებია კიდევ მოახდინონ თათბირი ქართველ მღვდლებში ამ საგანზე. ბრძანებას გაუჭრია: ქართველ მღვდლებს კრებაზე დაუდგენიათ, იყოლიონ სამუდამო ქართული საეკლესიო ხორო, ხოლო შესანახი ხარჯი – 150 მ. თვიურად – გაანერონ ქართულ ეკკლესიებს.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გალობის დაცემის საქმე მარტო აქედან არ მომდინარეობს. თვით სათავეშივეა იგი ამღვრეული. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სემენარი-ში და სასულიერო სასწავლებლებში გალობის უნუგემობას. დღეს იგი აქაც უზომო კრიზისს განიცდის, რადგან დიპლომიანი მასწავლებლები, რომელთაც აქ თავი შეუფარებიათ, შემომწყრალნი არიან ქართულ გალობასთან და, მაშასადამე, ამ ნიადაგზე მათი ნათესი მათვენაირ ნაყოფს გვაძლევს ქართული სიმღერა-გალობის უცოდინართ. რუსის სამუსიკო სკოლებში დიპლომიანნი ჩვენი გადაგვარების პოლიტიკას (არ ვიცით, – ნებისთ თუ უნებლიეთ) ერთგულად ემსახურებიან. აი, ამათ ჩაუყარეს საძირკველი, ამათ აამღერეს ის ანკარა ნაკადული ქართულ გალობისა, რომლითაც ივერიის ეკკლესიას და ხალხს საუკუნოთა განმავლობაში თავი მოჰქონდა.

ი. კარგარეთელი

ქართული გალობა რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა, წინეთ და რა მდგომარეობაშია დღეს

გასაკვირია და მასთან სავალალო ჩვენი გულგრილობა ყოველ საზოგადო საქმეში! ავი-ლოთ თუგინდ მარტო ქართული გალობის საქმე! კიდევ მრავალია იმისი მომსწრე, როდესაც ყოველ სოფელში ქართული საამური გალობით გამშვენებული იყო ჩვენში ეკლესიები. ისეთი საპატიო ოჯახი ძვირათ მოიპოვებოდა, რომ გალობა არ ცოდნოდათ. ყოველი ნადიმი და

პურის ჭამა პირველად გალობით დაიწყებოდა: „დიდება აქვს ღმერთსა“-ო – ღვინის პირველ დაღვევაზე გალობით იტყოდნენ; ამას მოყვებოდა ყოველი სადღეგრძელოს გათავებისას მრავალგვარი სხვადასხვა სძლისპირები; თან პურის ჭამა იყო და თან ღვინის დიდება. სულისა და გულის დამტკობი ხმებით თავდებოდა ყოველი წირვა-ლოცვა და მასთან ნადიმიც. ახლა ეკლესიებში რაღა ხდებოდა? ძვირათ იყო ისეთი ეკლესია, სადაც ორპირათ გუნდი არ გალობდა. საკათედრო ტაძრებში, ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულებში, საგალობლები კანანარხით სრულდებოდა და მთელს წიგნებს გალობით ამბობდნენ (რასაკვირველია, რამდენიმე წასაკითხავს გარდა). ეკლესიაში ტევა აღარ იყო მლოცველებისა, გულდამტკობარნი ბრუნდებოდნენ სასოებით თავიანთ სახლებში. მშობლიურს ენაზე ნაგალობევი წირვა-ლოცვა ერთი ათათ უფრო იზიდავს მლოცველებს ტაძარში, ვიდრე უგალობო წირვა-ლოცვაზე. საიდან გაჩთა ეს გალობა, დიდება ეკლესიისა, ეს სიმდიდრე ჩვენი ერისა, ეს საღვთო საღებური მორწმუნეთა? იქნება ზეციდან ჩამოვარდა, ან ბუნებით იბადებოდნენ მაშინდელი მგალობლები, თვინიერ სწავლისა იცოდნენ და ისე გალობდნენ! არა, ჩემო ბატონო, ჩვენგან დაწუნებულმა წინაპრებმა ყველაფერი წინდანინ მოისაზრეს, რაც მათი შვილებისათვის იყო საჭირო: სჯული, სარწმუნოება, წირვა-ლოცვა, მინა-წყალი, სარჩო-საბადებელი: ერთი სიტყვით ყველაფერი; სასულიერო, საერო, საიმპერეცენო და საამპერეცენო. მათ შორის ეს მშვენიერი გალობაც შექმნეს და იმ უსწავლელებმა ჩვენ, „დიდათ მსწავლულ-განათლებულებს“ დაგვიტოვეს. საცოდვრები ასე ფიქრობდნენ: „ასე სჯობს მამულისათვის – შვილი რომ სჯობს მამასაო!“ ჩვენ, არარასაგან, რაცა გვაქვს ყველასფერი შევქენით; ჩვენი შვილები ჩვენზე უფრო შეგნებული იქნებიან; ჩვენ რასაც უტოვებთ ამას არ დაკარქვენ და კიდევ ერთი ათათ ზედმეტს დაუმატებენ, თვითონ ბედნიერათ იცხოვრებენ და ჩვენი ხსოვნაც არ გაქრებაო... მარა, აგცილდა პატივცემულო მკითხველო ჭირი და კაცხის ზარბაზანი. იმდენათ განათლდით, რომ მამა-პაპის სახელიც კი გვერცხვინება, თორემ იმათი დანატოვარი რაღა სახსენებელია... ჩვენ ახალი უნდა შევქნათ ყოველისფერი; მართალია, დღეს ყველას სხვადასხვანაირად გვესმის თვალით ხილული და უხილავი ყველაფერი, მარა იმედია მალე მოვიყრით თავს და ერთნაირათ ვირწმუნებთ (კიდევ აგცილდათ კაცხის ზარბაზანი მანემდის). ერთი საქმე კი გვაგდებს გასაჭირში: ღმერთს ვერაფელი მოუხერხეთ. ჩვენი ძვლები ამბობდნენ: არისო, როგორც ღმერთი, აგრეთვე საუკუნო ცხოვრებაო. ჩვენ კი ყველაფერზე უარს ვამბობთ. ასეც სჯობს: რათ უნდა ვიმტვრიოთ თავი არის თუ არა?! აქ დავიბადეთ, აქ ავიზარდეთ, აქ ვიცხოვრეთ, აქ დავიხოცებით, დაგვმარხვენ და ვოლოე ჩვენს საქმეს. რაღა სასუფეველი, რაღა საუკუნო ცხოვრება! ამ წესზე თავსაც ადვილათ მოვიკლავთ, თუ ცოტათი ცხოვრებაში ხელი შეგვეშალა. რაღა ცოდვა, რაღა მადლი, რაღა საუკუნო ცხოვრება! ჭამა, სმა, კუჭი, მერე სიკვდილი და ბოლოს არარა! კიდევ შეძლო ლე ჩვენს საქმეს.!! ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, ჩვენი არარაობის მოგონებამ დაწყებული საგნიდან გადამახვევია. იმას გამახსენებდით: ჩვენმა ახალმა განათლებულებმა არც კი იციან, რაც დღევანდელს ჩვენს ეკლესიაში არ მოუსმენიათ, იმის გარდა თუ არის რამე ქართული გალობა! ვაი ჩვენს სივარდას, ჩვენს დაუდევრობას, ჩვენს სირცხვილს! განა დღეს აქვს რომელიმე ერს იმოდენი გალობა, ისიც სხვადასხვა აუარებელს ხმებზე, რამოდენიც ჩვენ გვაქვს?! ბევრს გაუკვირდება ეს ჩემი ნათქვამი და შეიძლება მკვებარაც მიწოდოს, მარა გავბედავ, კიდევ სირცხვილი მათ, ვინაც ის მაინც არ იცის, რომ გვაქვს. ვინ დაკარგა ეს მამაპაპათაგან დიდის ღვანლით შეძენილი და ნანდერძევი განძი, დიდება? პასუხათ გვეტყვიან: ჩრდილოეთის გრიგალმა, მაგრამ ტყვილი თავის მართლებათ! ასე რომ ყოფილიყო, ჩვენი ლიტერატურაც ისე მოისპობოდა, როგორც ქართული გალობა. ქართულ ლიტერატურას, განა არ ხვდებოდა აუარებელი და მძლავრი დაბრკოლებანი? მაგრამ ცდამ შეამაგრა იგი და დღეს არა უშავს კიდევ რა. ვისი პირდაპირი მოვალეობა იყო და არის დღეს, უფრო მედგარი გულსმოდგინეობა გალობის დაუკარგაობისთვის? რატომ დაკარგა სასულიერობამ ის, რაც მათს სამსახურს შნო-

სა და ლაზათს აძლევდა და მორწმუნითა გულს სალბუნათ ხვდებოდა ნირვა-ლოცვის დროს? რალა დაგვრჩა დღეს ისეთი, რომ ეკლესიაში მიგვიზიდოს? მარტო გაუგებრად და უთავბოლოდ კითხვა საღვთო წერილისა მედავითნეთაგან. ისეთს ეკლესიაში ნირვა-ლოცვის მოსმენა, სადაც მარტო ერთი მედავითნე კილოს გარეშე ყინცილობს გალობას, არათუ დღევანდელს ქრისტიანეს, ძველი დროის დაყუდებულს მოღვაწესაც კი მონყინდება. ვის უნდა შეენახა ქართული გალობა, ისე როგორც წინათ იყო? მღვდელთმთავრებს, მღვდლებს, მონასტრებს. როგორ ექცეოდნენ ესენი ამდენ ხანს და როგორ ექცევიან გალობის საქმეს დღეს? აი როგორ: სოფელში თუ კიდე გალობენ, ერისკაცები იქა-აქ წირვის წესს, იმის მაგიერ, რომ ისინი მღვდლებმა წაახალისონ: „მობრძანდით, მგალობლებო, აგაშენოსთ ღმერთმა, ღვთის მაღიდებელი ხარო და ღმერთი შეგვენვათო“, რომ უთხრან ხანდისხან, საკურთხობის დროს თითო ქათმის ბარკალი შესთავაზონ, ეუბნებიან: „კაცო, გააჭირვებ თქვენც საქმე? აჭიანურებთ გალობას და წირვა გრძელდებაო, მე და ჩემი პრიჩეტნიკი ამდენხანს ცხრაჯერ „გამოვწირავდითო!“ ამის შემდეგ კიდე ვილა ისწავლის და უგალობებს ასეთს უმადურ მღვდელს!.. ბოდიშს ვიხდი და შენდობას ვთხოვლობ, რომ აქ მღვდელთმთავრებს უგულობ-უყურადღებობა უნდა გავბედო და ვთქვა ქართული გალობის მოსპობის საქმეში. ქართული გალობის დაკარგვას, განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსიდან დანყებული, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველამ შეუწყო ხელი. განსვენებულმა გაბრიელმა, ამ სასიქადულო მღვდელთმთავარმა და ქართველთა სიამაყემ, ქართული გალობის გუნდიდან (მარტო 6 კაცი იყო (უნდა სამის ადგილი გააუქმა და მათი ჯამაგირი სლავიანური გალობის გასაუმჯობესებლად მიუმატა. ერთხელ განსვენებულმა ბრძანა სადილზე ერთი თავადისას, სადაც დიდი საზოგადოება იყო: შევამჩნიე, რომ როცა სლავიანური გალობაა სობოროში, უფრო მეტი მლოცველები დადისო. არავინ ხმა არ დასძრა, სიჩუმე ჩამოვარდა. მისმა მგალობელმა ნ. მეძმარიაშვილმა მოახსენა (რასაკვირველია, ხუმრობით): რავა გავბედო თორემ, ამ ერთ საქმეში ისეთი რჩევა შემიძლია ვთქვა, რომ სლავიანურ გალობაზე თუ ბევრი დადის, მაშინ სულ ბულვარში მოუცდის კაცი, ეკლესიას მოასკდებაო. და განსვენებულ მღვდ. მთავარს ხშირათ სიამოვნებდა მეძმარიაშვილის ხუმრობა და შეეკითხა: ხო! აბა თქვიო. მეძმარიაშვილმაც აღარ დააყოვნა: ბატონო, ხალხის სიამოვნება თუ გინდათ, ზურნა დააკვრე-ვინე და ყოველი კაცი იქ მივაო. საზოგადოებამ ვერ მოითმინა და სიცილი წასკდათ. თუმცა უგულოთ, მაგრამ განსვენებულმა ყოვლად სამღვდელომაც გაიცინა. მეორე მაგალითი კიდეც, ქართული გალობის გავრცელების ჩაშლისა: ხონის სობოროში იდგა, ერთ სენაკში, საუკეთესო ქართული გალობის მცოდნე (სრულად მცოდნე მგალობელი), სიმონა კუნტი (ფირცხალავა). ამას ეძლეოდა 50 მ. წლიურად საეკლესიო ხაზინიდან, დავალებული ქონდა ქართ. გალობის გავრცელება. მუდამ ყავდა მოსწავლეები და ხონის სობოროში ყოველ კვირა-უქმე დღეებზე გალობა კანანარხით სრულდებოდა. იმისგან წასწავლი დღესაც მრავალია; მაგალითებრ, მღ. ივლ. წერეთელი, ეს ცნობილი მგალობელი მისი გაზდილია. ამ კუნტს ის 50 მანეთი, რომელიც ამ კეთილი საქმისთვის ეძლეოდა, მოუსპეს... და საცოდავი ამ შემთხვევას ტირილით შეწუნუნებდა ყველას. ასე ამგვარად მოხდა მარტვილის საკათ. სობოროს მგალობელთა გუნდის შემცირებაც. ქართველთა შორის ანტონ ღუმბაძისათანა მგალობელი არ იყო ამ ასი წლის განმავლობაში; ამას გურიაში ჯამაგირი მოუსპეს; სახლში იჯდა. მის მაგიერ მღვდელთმთავრის წირვაზე ვილაც დიაჩოქებს აყინცილებდნენ. ასე ამგვარათ არც ერთმა არ მოისურვა იმ დროს ქართული გალობის საქმე კარგათ დაეყენებია და ერთხელვე წამხდარი საქმე დღესაც ისევეა. ქართველის ყურს ქართული საგალობლები: მარხვათა, დღესასწაულებისა და რვა ხმათა სრულიად აღარ ესმის.

(შემდეგი იქნება)

მღვდ. რ. ხუნდაძე

ქართული გალობა რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა, წინეთ, რა მდგომარეობაშია დღეს *)

ვინღა დაგვრჩა გალობისთვის გულშემატკივარი?... 1812 წელში გადმოღმა საქართველოში ქართველი მგალობლები ჟამმა გასწყვიტა და მღვდელთმთავრებმა რაღაც თითო-ოროლა დაშთენილები მოძებნა; ზოგმა პარაკლიტონი იცოდა, ზოგმა მარხვნის საგალობლები, ზოგმაც სადღესასწაულო გალობები და ამგვარათ შეაგროვეს, მოუყარეს თავი და შეავსეს. არ დაზოგეს შრომა, საფასე და გალობა შემოაბრუნეს, არ დაკარგეს. ამ მეცადინეობის წყალობით ქართულ გალობას ამ საუკუნის 70 წლამდის ოქროს ხანა უდგა ჩვენში. ამის შემდეგ კი, თანდათან გაქრა და დღეს დაფშუკვის წერტილზეა მიმდგარი. ჩვენი ერი თუმცა გადაგვარების ხანას განიცდის ყოველგვარ მშობლიურ საქმეში, მარა ქართველ მონასტრებს მაინც ხომ არ შეფერის გადაგვარება და პირდაპირი მათი მოვალეობაა: წირვა-ლოცვა, გალობა და ღვთისადმი ლაღადი?! ამ მხრით რა სამსახურს უწევს ქვეყანას მონასტრები? დღეს მათში წირვა-ლოცვის სიმშვენიერე გამოიხატება შემდეგში: მონასტრის კრებული ყოველ შუალამისას რეკენ ზარებს, შევლენ ეკლესიაში, ერთი მორიგე დადგება სანთიგნესთან, ბუტბუტებს ლოცვას მონყენილათ და სხვები მიმჯდარი არიან იქა-აქ კუთხეში; სთვლემთ დამჯდართ და რაღაც ინსტიქტით ხვდებიან ლოცვაში უსაჭიროეს ადგილს თვალები გაახილონ და პირფვარი იწერონ; ლოცვის გათავების შემდეგ ზმორვით მოდიან კელლინში. აი, მოკლედ და გარკვევით საერო, საქვეყნო მოღვაწეობა მონასტრების ძმათა. დღეს ჩვენს მონასტრებში მკვდარია სიცოცხლე; ძველებური აღარც კითხვაა და გალობა მაინც სულ არარაა არსად. ამას წინეთ გელათის მონასტერში მოვისმინე წირვა და მართალი უნდა მოგახსენოთ, სასობაზე მოსვლის მაგიერ, სულ ჩამშხამდა! მე გალობაზე მოგახსენებთ. წინეთაც მომისმენია აქ გალობა, მაგრამ წირვის წესს გვარიანათ გალობდენ ჩვენებურათ. ამ დღეს კი რაც მოვისმინე არსად მაგნაირი გალობა მე არ გამიგონია. საქმე იმაში გახლავთ, რომ არც ჩვენებურია და არც სხვისებური... ჩვენში ორ კილოს გალობას გალობენ: იმერულს და ქართლ-კახურს. ამ გალობას კი, არც ერთის ნატამალი არ ეცხო. ყველაზე უფრო იმან გამაკვირა, რომ მ. ნ. არქიმანდრიტის სმენა როგორ ითმენს ამას, როგორც იმერული გალობის კარგათ მცოდნის! მაგრამ, შეიძლება ფიქრობს: გადაგვარებულ ხალხს გადაგვარებული რამ რომ არ მოვასმენინოთ, შეიძლება მლოცველები დაგვიფრთხოსო... გელათი წინეთ გალობის ბუდე იყო. როგორც ვიცით, ჩვენი სახელოვანი მგალობლები, განსვენებულნი: ანტონ დუმბაძე, სინო კანდელაკი, დავით ჩხარელი (შოთაძე) და სხვა საუკეთესო გალობლები გელათში იყვნენ გაზდილი. დღეს რასა ვხედავთ! დღევანდელს ჩვენს მონასტრებში, მარტო მამა-პაპათაგან აღნაგი კედლები თუ მოგვიზიდავს, თორემ სხვა აღარაფერი. რატომ არ გაისმის მონასტრებში ძველებურათ კანანარხით გალობის ლაღადი და ღვთის დიდება?! ბერებს მაინც ხომ არ ეთქმის ზოგიერთ მღვდლებივით: გალობის მიზეზით წირვა-ლოცვა გაგვიგრძელდებო! რატომ არ ზრუნვენ წინამძღვრები, რომ მოაწყონ საქმე ისე, რომ გალობით სრულდებოდეს, არ მარტო წირვის წესი, არამედ შაბათ-კვირის რვა ხმათა საგალობელი, დღესასწაულების და დიდმარხვის ლოცვებიც! მარა სამწუხაროთ, მარტო წირვის წესიც არ იციან მონასტრებში.

რაკი საზოგადოთ ასე მიიღია გალობის მცოდნე, ფასი და მნიშვნელობა დაუკარგეს, დღეს ჩვენში მგალობელს უძახიან ყველას, ვისაც ასე თუ ისე წირვის წესის თქმა შეუძლია.

რაკი ამ სახელწოდებას ღებულობენ, ისინიც ამაცობენ და თავი მაგალობლად მიაჩნიათ, თუმცა მარტო წირვის გალობის გარდა არაფელი არ იციან. წინეთ ასე არ იყო; მაგალობელს მას უწოდებდენ, ვინც მართლა გალობა იცოდა. ეს ცოდნა წიგნებით შემოისაზღვრებოდა, ე. ი. ვინაც იცოდა გალობით: პარაკლისნი, სადღესასწაულო, მარხვანი და ზადიკი. ას გალობაზე მეტი მარტო ჟამნში იქნება და ეს უკანასკნელი ხომ უნდა იცოდეს მან, ვისაც მაგალობელს უძახიან დღეს?! წირვის წესი მარტო რა არის? წირვის გალობა სულ 15 ოდე გალობის მეტი არ არის და სხვას არავინ არ სწავლობს და არც ესაჭიროება, რადგან თვითონ შეთითხნის თავის ჭკუაზე და იტყვის, თუ ვინმემ დაავალა რომელიმე გალობის თქმა. ამგვარად, ახლანდელი ქართული მაგალობელი ყველა სრული მაგალობელია, ყოყორობენ და ან კი რათ არ იყოყოჩებ! ვინ თხოვს გალობის ცოდნას? ახლანდელი მაგალობელი ყველა სრული ბატონია თავის საქმეში. ყოველს საგანს ყავს „კანტროლი“ და გალობას არა! ვისაც როგორ უნდა, ისე ასწავლის, თითო-ოროლა ნოტის ფეხის გაკეთება თუ იცის და მასთან ხუთი ხაზი, მორჩა და გათავდა, სრული კომპოზიტორია! შეთხზავს, ასწავლის მონაფეებს, გალობს და თავი მოსწონს, რომ სრული და მასთან დამოუკიდებელი მაგალობელია. აირია მონასტერიო, რომ იტყვიან, მე მგონია ამას ჰქვიან! რაც ჩვენს სასწავლებლებში ქართული გალობის მასწავლებლებია, ერთად რომ შეყაროთ და დაავალოთ: აბა იგალობეთო, თქვენი ცოდვა მქონდეს, თუ იმათ გალობას თავი მოუყარონ. მათგან ნასწავლი მონაფეებიც ისე გახლავთ, ერთი მეორესთან ვერ იტყვიან, რადგან ყველა თავისებურათ შეთხზულ გალობას ასწავლიან., ჩვენს დროს ასე არ გახლდათ: იმერეთ-გურია-სამეგრელოში ვისგანაც უნდა გესწავლა გალობა, სულ ერთი იყო. მაგალობლებს, თუგინდ თავის დღეში არ გენახა ერთმანეთი, პირველ შეხვედრაზე იტყოდით მწყობრათ. ეს რომ ასე იყო, ორიოდე მაგალითს მოგახსენებთ: მე, თქვენი მორჩილი, მეგრელიის ეპისკოპოსის კრებულში ვიყავი სამსახურში. გალობა გურიაში მქონდა ნასწავლი; ჩემს პირველ მისვლაზე მარტვილში, პეტრეპავლობის დღესასწაული შეხვდა. იქაური მაგალობლები: ჭალაგანიძე და გეგეჭკორი მწუხრს რომ იწყებდენ, მაშინ გავიცანი; შევედი ეკლესიაში; შემობრძანდა ყოვლადსამღვდელო და დაინყეს ლოცვა ღამისთევით. მთელი მწუხრი და ცისკრის საგალობელი კანანარხით ვიგალობეთ (ძილისპირ-გადასათქმელები), თუმცა ერთად არასოდეს გვითქვამს, მარა შეუფერხებლათ ვთქვით ყველაფერი. ერთხელ კიდევ განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსთან მივედი საფერისცვალობოდ რაღაც საქმისთვის გელათში (აქ საზაფხულოთ ბრძანდებოდა). მიბრძანა, ერთი მაგალობელი ავათ გამიხდა და შენ დარჩი, ხვალ წირვა მინდაო. დავრჩი; მოვიდენ მაგალობლები – ნ. მეძმარიაშვილი და ი. წერეთელი. ამათ ვიცნობდი; წირვის წესი ბევჯერ გვითქვამს ერთად, მაგრამ ფერისცვალებისას დღესასწაულის გალობები კი არასოდეს არ გვითქვამს ერთათ. ამ დღის მწუხრი და ცისკარი: სამწუხრო დასადებლები და საცისკრო სძლისპირები ერთად გაზრდილებივით ვთქვით. ეს ორი მაგალითი იმიტომ ვახსენე, რომ ასე იყო წინეთ და ასე უნდა იყოს ახლაც, რომ ქართული გალობის მცოდნე სადაური ნასწავლიც უნდა ქონდეს მას, ერთს მეორესთან უნდა შეეძლოს თქმა. ასე მიუცილებელი საჭიროა საზოგადო კილო.

(შემდეგი იქნება)

მლ. რ. ხუნდაძე

*) იხ. შინ. საქმ. №16

ქართული გალობა

რა მდგომარეობაში იყო ქართული გალობა წინეთ და რა მდგომარეობაშია დღეს *)

ახალმა „კომპოზიტორებმა“ ისე შეაძულეს მონაფეებს ჩვენებური ხმები, რომ გასაგონად ეზარებათ. ამ 4 წლის წინათ, ქუთაისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში მომცეს ქართული გალობის გაკვეთილები. ვფიქრობდი: აქ შრომას გამოაჩენს კაცი – მეთქი. საზოგადოდ ქალებს სიმღერა-გალობის ნიჭი აქვთ და მასთან ხმებიც ნაზი. შრომას არ დავზოგავ და ვაჩვენებ ყველას, რომ ქართულ გალობაში იხატება ისეთი ჰანგები, რომელიც ქართველის ყურსა და გულს მოხვდება, როგორც მისი ერის ღვიძლი, გულის და სულის ნაყოფი, ნანარმოები-მეთქი. მარა ფიქრი ფიქრათ დარჩა და ფანტაზია ჩაქრა. აქ მისვლამდი რომ სრული, გარანტიის ქვეშ მყოფი მგალობელი მეგონა ჩემი თავი და ვფიქრობდი, მგალობელი ვარ მეთქი, აქ ვიგრძნე, რომ მგალობელი აღარ ვიყავი! რა იყო ამის მიზეზი?... მონაფე ქალებმა ცალგვერდით დაუნყეს ჩემს გალობას ყურება! რაც რამ ვათქმევინე, ყველაფერს წუნი დასდევს. ანდრეი სიმონიჩი მასე არ გვასწავლიდაო; მაგ გალობა კაცების სათქმელი გალობაა და ქალების გალობა კიდევ სხვააო. ბევრი უმტკიცე, რომ კაცებისა და ქალებისთვისაც გალობის კილო მიმოხვრა ერთია-მეთქი, მარა ისინი მაინც თავის რწმენაზე დარჩენ. გალობის სრულიად უმეცარმა სასწავლებლის უფროსებმაც არ მიაქციეს ამ ბავშვების ყალბ რწმენას ყურადღება და ერთ დღეს მე-6 კლასში ბავშვებმა პირდაპირ უარი მითხრეს: მაგ გალობას ჩვენ არ ვისწავლითო! ერთმა მონაფემ, ლეჟავას ქალმა ისიც კი გამიბედა: შენ რომ გალობა იცი, მაგისტანა გალობა, პრიჩეტნიკია მამაჩემი და იმანაც კი იცისო. მე უთხარი: ცთები შენ-მეთქი. ერთმა მისმა ამხანაგმა ჩაილაპარაკა: კაი მოუა ისაკი ლეჟავას კაი მგალობელი ის იყოსო. ამის შემდეგ მე-6 კლასში სწავლებაზე უარი ვთქვი. ამ გარემოების გამოსარკვევათ ყოვლად სამღვდელო ლეონიდე მობრძანდა სასწავლებელში. შებრძანდა მე-6 კლასში და გამოიკითხა მიზეზი მონაფეთაგან გალობის სწავლის უარყოფისა. იმათ გაუმეორეს ჩემთან ნათქვამი მიზეზი. ყოვლადსამღვდელომ უბრძანა: ქართული მგალობელი ეს არის და ამაზე უკეთეს მგალობელს ვერ მოგიძებნითო და ვერც უკეთეს გალობას შეგიოხზავთო; აბა მითხარით, თქვენ რანაირი გალობა გინდათ და როგორ სწავლობდით, ერთი იმათგანი მიგალობეთო. იმათ დაიწყეს: „მამაო ჩვენო“, რომელიც ახალ ფორმაზე იყო გამომცხვარი. დაიწყეს თუ არა, ყოვლადსამღვდელომ შეაჩერა; უბრძანა, ხელახლა დაეწყით. კიდევ დაიწყეს და როცა ყოვლად სამღვდელომ მოისმინა: „მამა, მამა, მამაო ჩვენო“, უბრძანა: ეს სადაური ქართული გალობააო?! ამგვარი ქართული გალობა თავის დღეში არ მომისმენიაო; ვინ გაიგონა ამდენი მამა, მამა, მამაო ჩვენოვო? ვინ გასწავლათ ესაო? – ანდრეი სიმონიჩმა გვასწავლაო. აი იმას შეუტყვია თქვენი შეგნების სისუსტე და ამ გვარებით უსაზრდოებიხართო... კიდევ იგალობეთ რამეო, უბრძანა ყოვლადსამღვდელომ. იმათ „წმიდაო ღმერთო“ იგალობეს. მერმე ჰკითხა მისმა მეუფებამ: ეს გალობა მოგწონთო? მოგწონსო, მოახსენეს. სადაურია ეს გალობა, შეეკითხა მისი მეუფება. ეს კახურიაო. – მიუგეს. „მე-6 კლასში ხართ და აი როგორ გეტყობათ შეუგნებლობაო“, უბრძანა მისმა მეუფებამ; „ეს მშვენიერი გალობა იმერულია და თქვენ არც კი იცით თუ რას გალობთ და რას სწავლობთ“ – უბრძანა ყოვლადსამღვდელომ.

აი ნაყოფი ახალმოდის „კომპოზიტორობისა“; უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, ქართული სიტყვების სლოვიანურ გალობის ხმებზე მოწერისა... როცა ქუთაისის სემინარიაში გალობას

ვასნავლიდი, მაშინდელმა ყოფილმა ინსპექტორმა, ცნობილმა არხანგელსკიმ მითხრა პედაგოგიურ კრებაზე ერთხელ: გირჩევთ და უკეთესი იქნება, რომ ქართული სიტყვები მოუწეროთ რუსულ ხმებს, და უფრო ადვილათ დაისწავლიან მოწაფეებიო. ქართული სიტყვები ხომ იქნება და სხვა რა საჭიროა, სლავიანური ხმები უფრო საადვილოაო. მე უთხარი ცოტა ღიმილით, თუმცა ცეცხლი ამენთო გულზე: „– რუსული სიტყვები რომ მოუწეროთ ქართულ ხმებს, თქვენი სმენისთვის როგორი იქნება-მეთქი? ჩვენ, ყურისთვისაც ასეა და ესეც რომ არ იყოს, ხალხი რას იტყვის მეთქი? თუ ასეა, მე ხვალიდან მივატოვებ გაკვეთილებს და რუსული გალობის მასწავლებელს გარდაეცით ჩემი გაკვეთილები, რადგან მაგ წესით რუსული და ქართული გალობა ერთი და იგივე იქნება მეთქი.“ განსვენებულმა მაშინდელმა რექტორმა ბენიამენმა თქვა: Прекратите обь этомъ разговоръ пожалуйста, а вы о. Раждень – მომიბრუნდა მე – продолжайте ваше занятие такъ какъ досепорь. არხანგელსკის გველური განზრახვა მაშინ ამითი შეწყდა, მარა მას მერე შინაური არხანგელსკები გაჩენენ, იმათ კი ადვილათ მოახერხეს, ის რაც არხანგელსკის ედვა გულში. ქართულ სიტყვებს უწერენ „ახალი კომპოზიტორები“ ნოტებს ქვეშ სლოვიანურ ხმებს და ქართული ხმების, როგორც არა გაეგებათ რა, არც უნდათ. ან კი რათ უნდა იმტვირონ თავი ქართული ხმების შესწავლისათვის, ვის ესაჭიროება იგი და ან ვინ ითხოვს, რომ ქართული ხმები იცოდეს? ამას ხომ ცალკე სწავლა უნდა და სწავლას შრომა?! ვინ ყავს „კანტროლი“, რომ უთხრას: „რას გალობ, რას ასწავლი მაგას ბოვშებს? ქართულია თუ თათრული ხმა ამგვარათ რომ ასწავლი. ვინ იცის კიდევ მასე სხვამ, რომ შენგან ნასწავლები გამოადგეს, სხვასთანაც თქვას?!“ იმიტომ მოგახსენებთ და ყველა შეგნებული, საქმეში ჩახედული ქართველიც ასე იტყვის: თავ-თავის გემოზე ქართული გალობის ჯიჯგნას ყველამ თავი დანებოს, რადგან ჯერჯერობით იმის შენახვა და თავისი წინანდელი სახით გავრცელება ქართველთა შორის მიუცილებელია. რაც შეეხება იმის ოთხ ხმაზე გადაკეთებას, უნდა შეჩერდეს მანამდის, სანამ ვინმე ქართველი კომპოზიტორი არ გამოჩნდება, რომელსაც ქართული გალობის უმთავრესი თვისებებიც ეცოდინება, ან არა და სანამ შეგნებული კომისია არ დაიწყებს მუშაობას ამ საგანზე, არ მოიწვევს კონსერვატორიაში კურსდამთავრებულ ორ-სამ პირს, რომელსაც თან უნდა ახლდეს ქართული გალობის კარგათ მცოდნე, რომ მან მკაცრი ყურადღება მიაქციოს, გააგებინოს დამწერს და დაიცვან ქართული ხმების უმთავრესი ღირსება-თვისებები, უამისოთ, ჩვენი გალობის გადაკეთება კი არ იქნება, არამედ გადამახინჯება. ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მით რომ ბევრის ცდამ ოთხ ხმაზე გადაკეთებისათვის, ის ნაყოფი მოიტანა, რომ ქართულ ხმებს, რალაცა მეოთხე ხმის მომატებისთვის ყოველი გვერდით ფრთები შეაკვეცა, მიაგვანა ევროპიულ ხმებს, ამოაძრო სული, რომლითაც ქართულ ხმათ იცნობდა კაცი, ჩამოაცალა და დაგვრჩა ხელში უსულგულო მარტო ქართული სიტყვები, უადგილო ადგილს ხმის აწევ-დანევით (უდარენიებით).

იმერეთის ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოს ერთი ძალიან სასარგებლო და მოსაწონი განკარგულება უქნია – დაუდგენია: ყოველწლიურათ 200 მანეთი გადადვას ქართული გალობის გასავრცელებლათ. ამ საქმისათვის მიუწვევიათ ი. ნიკოლაძე. საქმე დაწყებულია. მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში მიუციათ ერთი ოთახი; აქ მოუყრია თავი მსურველებს, მეცადინეობენ აგერ ორ თვე-ნახევარია. საქმე ძალიან კარგია და სიმპატიური, მაგრამ მე მაინც ვერ დავიჯერებ, რომ მათ (საბჭოს) გალობისათვის რამე ზრუნვა ედვათ გულში, მოესმათ იქეთ-აქედან საყვედურები და ამ საყვედურების ასაცილებლად კიდევ კარგი, რომ ეს წვლილი გაიმეტეს!.. რომ ასე არ იყოს, გალობისთვის სამზრუნველოთ, ასე მალე არ შემობრუნდებოდა მათი გული. მალე-მეთქი, ვამბობ იმისთვის, რომ სამღვდელოებამ წირვის წესი ნოტებზე დააბეჭდინა იმ მიზნით, რომ სკოლებში გაეცვლებინათ ქართული გალობა. მე წარუდგინე და ვთხოვე: „ათ-ათი ცალი მაინც შეიძინეთ თითო სკოლისთვის-მეთქი“ (თითო წიგნი 40 კ. ღირდა). ამისთვის ფულები არა გვაქსო, მითხ-

რეს და ისეთი წიგნებისთვის, რომლებიც ფურცლებგაუჭრელი აწყვია სკოლებში მუდამ, ფულებს ყოველთვის ხარჯვენ. მასწავლებლებს რომ აწნესებენ სამრევლო სკოლებში, რატომ არ თხოვენ მათ, იმდენი ნოტები მაინც იცოდენ, რომ რამდენიმეთ მოახერხონ გალობის სწავლება ნოტებით? ყველა მასწავლებელს შეუძლია, ორი კვირის განმავლობაში, დღეში თითო საათის მეცადინეობით შეისწავლონ იმდენი, რომ ნოტებით შეძლონ გარდაცემა გალობისა. მაგრამ ვინ დაავალა სამრევლო სკოლის მასწავლებელი ამაზე?! აი გალობისათვის მზრუნველობა პატივცემული საბჭოსი! ყოველ შემთხვევაში 200 მანეთი წლიურათ გვარიანი თანხაა გალობის გავრცელებისთვის ამ უსულგულო ხანაში, თუ რომ ამ საქმეს მოთავე და ყურის მგდებელი ეყოლება. ნათქვამია: „ციხეს კარი უნდაო და კარს უკან კაცი“, და ვინ მიუჩინეს ამ საქმეს მოთავე და ყურისმგდებელი, გამოცდილი?! ბ. ნიკოლაძე აგერ ორი თვე და ნახევარია, რაც მოწაფეებს ასწავლის და ვინ დახედა ერთხელ მაინც? ვის აქვს მინდობილი, რომ ყური უგდოს მის შრომას! აკეთებს რამეს, თუ არა ყავს მოწაფეები; თუ არა, რას ასწავლის და სხვადასხვა. ი. ნ. ამ საქმისათვის, როგორც იარაღი, გამოსადეგია, მაგრამ მისი მოთავეობით მეცადინეობა, მისი მოსაზრებით საქმის მიყოლა სრულიად გამოუდგეგარია. მაგას უნდა მიუთითო იმაზე, რაც შეუძლია და ამეცადინო, შრომა შეუძლია და წირვის წესებიც იცის, რომლის გავრცელება ასე საჭიროა ჩვენთვის დღეს. რაც მან არ იცის და არც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღეს, არავინ დაავალბდა მას და თუ ეს ასეა, რა მიზეზია ამ ორ თვე ნახევარს მარტო ხუთ გალობას შეაჩერა ამოდენი მოსწავლე (სწავლის მსურველები ბევრ)! ჯერ „უფალო შეგვიწყალენ“ არ იციან და რა მიუცილებელი საჭიროა წინდანის ისწავლონ „ნეტარ არს კაცი“, „აქებდით სახელსა უფლისასა“,**) „ნათელი მხიარული“ და ამგვარები! მერე რამ აიძულა ი. ნიკოლაძე, რომ ამ რალაც უცნობ ხმებს ასწავლის? ეს მოხსენებული გალობები არც ერთი ჩვენებური არ არის, არც ქართლ-კახურია და აბა, ვისი ახალი თხზულებაა ნეტაი? ერთი, რომ ეს გალობები ჯერჯერობით ამ ახალი მოსწავლეებისთვის საჭირო არ იყო და თუ მას სჭიროდა, აგერ მის გვერდში მყოფს, რატომ არ მომაკითხა, რომ ქართული ხმები ცოდნოდა? მისთვის ბევრი მოსწავლეებია და ბევრიც ნოტებზე ჩემგან დანერილი გალობები მიმიცია, როცა მას უთხოვია და ახლაც ხომ არ დაუჭერდი? თუ საძრახია, ის რაც არ იცი, სხვას ჰკითხო და შეიძინო მისგან! იქნება ბ. ნიკოლაძე ფიქრობს, ჩემდამი მონდომილ საქმეში არ შემეცილოსო და ამან შეაყენა! ვარწმუნებ, რომ ეგ ფიქრი ჩემს გულში არ გაივლის და ამ საქმისთვის თვითონაც გამოსადეგია, რადგან ღონეც შეწევს და სწავლებაც შეუძლია; ჩემი სურვილია – ამ საქმეში გაუროო ჩემი რჩევა, ჩემი გამოცდილება და გირჩევთ: ჯერ-ჯერობით წირვის წესი ასწავლოთ მსურველებს. ის წირვის წესი კი არა, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგებმა ბ. ქორიძეს დავაწერინეთ ნოტებზე, არამედ კილო, სადა და საადვილო. ის გალობა, რომელიც ჩვენ ქორიძესთან დავწერეთ, ისეთი კრიმანჭულებით არის დანერილი, რომ პირველ დანყებისას, ჯერ სრულიად უცოდინარი და ხმა გაუტეხელი კაცისთვის მეტისმეტი ძნელია. ერთი, რომ ძალიან დიდხანს ვერ ისწავლის და მეორე არ – შერჩება, ძალიან მალე დაავიწყდება. ეს რჩევა მე დამეჯერება, როგორც ამ საქმეში გამოცდილს. ყოველი სწავლა ამგვარია. მაგალითებრ: როცა წერას ასწავლიან, ჯერ მარტო ხაზების წერას აჩვენებენ, მერმე ნახევარ „ინს“, ან „ანს“. ასე ამგვარათ, ნელ-ნელა სხვა ასოებზე გადადიან, ბოლოს და ბოლოს, ისე გაუვარჯიშდებათ ხელი, რომ გაუნყვეტლათ წერენ სიტყვებს. როგორც სხვა ყველა საგნის სწავლება, ისეა გალობაც; ჯერ კილო, სადათ სწავლა უნდა და როცა ხმას გაივარჯიშებს კაცი, მერმე კრიმანჭულითაც და გავარჯიშებულათაც იტყვის. ამას გარდა, გუნდით თქმაში კილოს გალობა ძალიან ლამაზია. სამ კაცში თითქმის გავარჯიშებულ გალობას ამჯობინებენ. ჩვენთვის მიუცილებელი საჭიროა გავავრცელოთ წირვის გალობა, რომელიც ყოველ

ეკლესიაში საჭიროა და ამას გავარჯიშებული გალობის, „ნეტარ არს კაცი“ და ამგვარი გალობის ჯიჯგნით ვერ გავავრცელებთ. ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: გალობა უნდა ვასწავლოთ კილოზე; როცა 10, 15, თუ გინდ მეტი მსურველი მოიყრის თავს, მაშინ მოსწავლის მიღება უნდა შევაჩეროთ; ამათ უნდა ვასწავლოთ მუყაითათ და 2 თვეს წირვის წესს ისწავლიან. ამის შემდეგ მეორე ჯგუფი უნდა მივიღოთ და ასე ამგვარათ განვაგრძოთ შრომა. დღეს კი ასე არ გახლავთ. ზოგი მოდიან, რჩებიან ერთ კვირას და ისევ მიდიან. კიდევ, რიგი მოდის და რიგი მიდის. არიან კიდევ გალობის მოყვარულები, ძალიან სურვილიც აქვთ და ამათ რასაკვირველია, რომ მიმსვლელ-წამსვლელები დააცთენს. ბოლოს ბ. ი. ნიკოლაძეს ურჩევ: ამ ჩემს გამოცდილებს შემდეგ მოსაზრებულ რჩევას ნუ გადუხვევს; მასთან, თავის თავზე ფანტაზიურათ დიდ წარმოდგენას თავი დაანებოს, რადგან ამგვარ ფანტაზიას დიდი მანძილი არ უდევს და გასავალი მხოლოდ შეუგნებლებში აქვს. წირვის წესები იცის, ამაზე შრომა და გადაცემაც შეუძლია, მარტო ამას ჩაჭიდოს ხელი. ჯერჯერობით მის მინდობილობასაც ეს შეადგენს. ნუ უკადრისობს, მცოდნეს შეეკითხოს საჭირო შემთხვევაში და წმინდა გულით ვეტყვი: მე ჩემის მხრით რჩევას და დახმარებას არ დავმადლი, რადგან ჩემი წმინდა სურვილია: გალობა გავრცელდეს. შრომა და ფულები ტყვილა არ დაიკარგოს.

პატივცემული საბჭო, ამ მათგან ქმნილ განკარგულებასთან, იმასაც ინებებდეს, რომ ვინმე გამოცდილ ყურისმგდებელს მიუჩინდეს ამ საქმეს, ძალიან კარგი იქნება. კიდევ ვიტყვი: „ციხეს კარი უნდაო და კარს უკან კაციო“, ასე უთქვამს ჩვენ ძველებს.

მლ. რ. ხუნდაძე

(დასასრული)

^{*)} იხ. შინ. საქმ. №16

^{**)} აქებდით სახელსა უფლისასა – მაინც ნამდვილ ოკრიბულ ალილოზე არის მიმგვანებული და ზოგიც ალიფაშას გავს და მისი ეკლესიაში თქმა ყოვლად მოუხერხებელია.

423. შინაური საქმეები, 1910, 16 მაისი, №19, გვ. 11

კვირიდან კვირობამდე

ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის განკარგულებით გურიას უკვე ეფინება საეკლესიო გალობა. ამჟამად ცნობილი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე ლანჩხუთში იმყოფება და მისი მეუფების კურთხევით გალობას ასწავლის მსურველთ. ამბობენ, მსურველების რიცხვი სამოცამდე ადისო. ვისურვებთ, რომ ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს, რომ სამღვთო მსახურებისადმი ხალისი ხელახლა გაორკეცებული ძალით აღმდგარიყოს გურიის მკვიდრთა შორის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მეუფება დიდ ღვაწლს დასდებს ამ და სხვა სამღვთო-სარწმუნოებრივ საქმეებისათვის.

მონერილი ამბები

ქ. თელავი. თელავში არსებობს საკრებულოს ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელსაც მარტო სახელი შერჩენია ორკლასიანისა და აკი ამისთვის ტფ. საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განკარგულებით მომავალ სამოსწავლო წლიდან უნდა გადაკეთდეს ერთ კლასიანად და იმედია, თუ ასე წავიდა საქმე, როგორც აქამდე, ყოველ წელს თითო კლასი ჩამოეცლება.

ეს ასეც იყო მოსალოდნელი. იყო დრო, მაგ. განსვენებულ დეკანოზ ხელაშვილის ხელში, როცა სასწავლებელი უკეთესად იყო დაყენებული, სწავლა წესიერად მიმდინარეობდა, ყველა კლასში, მათ შორის პირველი და მეორეშიც მოსწავლენი საკმარისად მოიპოვებოდნენ და მგალობელთა გუნდი ხომ ასე მშვენივრად იყო დაყენებული, რომ სასულიერო სასწავლებლის ხოროს, სადაც სპეციალურადა ჰყავთ მონვეული გალობის მასწავლებელი, ბევრათა სჯობდა.

შემდეგ ამ 7-8 წლის წინად სასწავლებლის გამგებლობა გადავიდა მღვ. იოანე შიუკაშვილის ხელში. ამ ბოლო წლებში, არ ვიცით რა მიზეზით, მოსწავლეთა რიცხვმა თანდათან იკლო და უკანასკნელ სამოსწავლო წელში სასწავლებელში მოიპოვებოდა სულ 90 მოწაფე, მათ შორის მესამე განყოფილებაში 10, პირველ კლასში 5 მოწაფე, ხოლო მეორე კლასში არც ერთი.

ამ გაზაფხულზე ჩამოვიდა ოლქის მეთვალყურე ბ-ნი ოდოევი, გაუკეთა რევიზია და უკმაყოფილო დარჩა: სასწავლებელი არ დაჰხვდა თავის სიმაღლეზე. მეორე კლასში ვერც ერთი შეგირდი ვერ იპოვნა. მეცადინეობაც არ მოსწონებია და შედეგად კლასის დაკეტვა და მასწავლებლების დათხოვნა მოჰყვა.

თუ მართლა მეცადინეობა ცუდად იყო დამდგარი და ამის ბრალია კლასის დაკლება, ეს გასაკვირველი არაა, რადგანაც მასწავლებელთ პროგრამაც კი არა ჰქონიათ, გამგე მეცადინეობაში არა ხელმძღვანელობდა თურმე და სამაზრო მეთვალყურე მღ. იროდიონ შავლიევი ხომ თვალთაც არ დაუნახავთ თურმე მოსწავლეთ.

ჩემი აზრით, თუ მეცადინეობა ცუდათ იყო დაყენებული, ზომები უნდა მიღებულიყო ნაკლის ასაშორებლად და არა კლასი დაეკეტათ. ასე თუ წავიდა საქმე, ადვილი შესაძლებელია პირველი კლასიც დაკეტონ, მერე განყოფილებანი მიჰყვეს და შემდეგ სრულიად გაუქმდეს. ამ სასწავლებლის დაკეტვა კი სასურველი არ არის, რადგანაც აქ იზრდებიან მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ოხერთა შვილები, სოფ. კურდღელაურიდანაც ბევრი დაიარებიან, უსასყიდლოდაც ბევრნი სწავლობენ.

ამასთან ბოროტი ენები გადმოგვცემენ, რომ მეთვალყურეს მ. შავლიევს და გამგეს მ. შიუკაშვილს ვითომ დაუთხოვნიათ კიდევ მასწავლებლები – ქ-ნი ლუკაშვილისა და ბ-ნი ჭიკაძე, ხოლო მესამე მასწავლებელი, თვით გამგის ქალიშვილი ქ-ნი შიუკაშვილისა კი არა. რამდენად მართალია, არ ვიცით, მხოლოდ თვით მასწავლებელთ დაადასტურეს ეს ხმები.

კლერიკალი

წერილი ხონიდან

დაბა ხონის ძველი საკრებულო ტაძარი. ხონის ტაძარი ერთ უძველეს ტაძართაგანია ქვემო იმერეთში და თავის მხატვრობით და შენობით არქეოლოგიურ ნაშთს წარმოადგენს. აქ ისხდნენ ხანგამოშვებით მღვდელმთავრები და მართავდნენ თავიანთ სამწყსოს. ამ ტაძართან არსებობდა სკოლა, რომელიც ამზადებდა სამღვდლო და საღიაკვნო პირთ. როგორც საზოგადოდ მაშინდელ შკოლებში, აქაც უმთავრესი ყურადღება მიქცეული ქონდა საეკლესიო მნიგნობრობას, გალობას და ტიბიკონს... სულ, ქვემო იმერეთში, ზემოხსენებულ საგნების გამავრცელებელი ხონის სკოლა იყო უკანასკნელ საუკუნემდის (იქონიეთ სახეში XIX საუკ.), რომელიც საქართველოს ცხოვრებაში ახალ ხანათ უნდა ითვლებოდეს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ ედგა აქაურ სკოლას სული და თუ დარჩენილა იმერული გალობა და საღმთო წიგნების კარგა მკითხველები ხონში და მის მახლობელ სოფლებში, რომელნიც თითებზე ჩამოითვლება, ისევ იმ სკოლის წყალობით, რომლის უკანასკნელი კითხვის და გალობის მცოდნე-გამავრცელებელი, ეგრედ წოდებული სიმონ-კუტი (ფირცხალავა) იყო; უკანასკნელი მასწავლებელი ხონის ტაძართან ის იყო და მის გადაცვალების შემდეგ ხონში მისმა მახლობელმა სოფლებმა დაკარგა საუკეთესო მცოდნე და ხელმძღვანელი კითხვის და გალობის; შემდეგ აღარ გამოჩნდა ისეთი ვინმე, რომ განეგრძო ხსენებული საქმის გაგრძელება არათუ საეროთა შორის, არამედ თვით იმ კრებულთა შორისაც, რომელიც საქმეს სათავეში უდგა; არ აღიძრა მათში სურვილი, რომ შენახულიყო ძველ ტაძართან ძველი მისი დიდება მნიგნობრობა-გალობისა (მაშინდელი კრებული სულ სხვა რამით იყო გართული, ვიდრე ამისთანა საქმე). ახლანდელ კრებულთა შორის არ მოიპოვება კარგა მცოდნე კითხვა-გალობის, განსაკუთრებით მედავითნეთა შორის, რომელთაც სურვილი და უნარი დაკარგული აქვთ ყოველივე ცოდნის შექენაზედ (აქაური კრებული შვიდწევრიანია). აქაურ საწიგნედგან ვერ გაიგონებ საღმთო წიგნის რიგირან წაკითხვას, რომ მორწმუნე მლოცველი სულიერათ დაკმაყოფილდეს, თუმცა აქაურ სასწავლებლების წყალობით გაისმის ტაძარში კვირა უქმე დღე რუსული და კახური გალობა, მაგრამ ისიც ხანგამოშვებით.*

აქაური მოძღვრები, ტვირთმძიმენი გაკვეთილებით, ძლიერ ცოტას ზრუნავენ ტაძარზედ და სამრევლოზედ, რადგან მათთვის ტაძარი და მისი სამრევლო მეორეხარისხოვან საგნათ აქვთ მიჩნეული (იქონიეთ სახეში, თვითეულს 4-5 გაკვეთილი აქვთ დღეში). ძალიანაც რომ მოინდომონ, ფიზიკური ძალაც ვერ შესწევთ, რომ ყოველივე რიგიანათ ემსახურონ. მკითხველთათვის მიმინდვია, როგორი იქნება დილით ორი გაკვეთილის მიცემა, შემდეგ წირვა და ბოლოს 1-2 გაკვეთილის დამატება, მერმე მრევლში წასვლა მღვდელმოქმედების შესასრულებლათ; სად იქნება მოძღვარი დამშვიდებული, შკოლაში, ეკლესიაში თუ მრევლში მღვდელმოქმედების შესრულებაში? ხონში ჯერ კიდევ მორწმუნე ხალხი ცხოვრობს, რომელიც მიჩვეულია ტაძარში სიარულს, გალობის მოსმენას, გარკვეულ სამღთო წიგნების კითხვას, ლმობიერ წირვა-ლოცვას, უყვარს სჯა-ბაასი ქრისტეს სწავლა-ქადაგებაზედ და სხვა... ხედავს, რომ ეს ყოველივე მას თანდათანობით ხელთ ეცლება და მისი სულის და გრძნობის დამაკმაყოფილებელს ვერას პოებს, მასაც გული უფრილდება და ბოლოს, დადგება ის დროც, რომ მას გვერდი აუაროს, რაც უკვე ბევრთან მოხდა; ეს ბრალი ვისი იქნება? ბევრის და ყველა ჩვენგანის, მაგრამ უდიდესი და უმეტესი სულიერ და მოძღვართა, რადგანაც ძლიერ ცოტას ზრუნავენ ზნეობრივ ქრისტიანულ აღზრდაზე თავიანთ სულიერ შვილების. დროა, რომ მოძღვრებმა მეტი მხნეობა გამოიჩინონ და მინამ მორწმუნე ხალხი გულს გაიგრილებ-

დეს, ეცადონ, ძველ ტაძარს შეანარჩუნონ მისი ქრისტიანული განმაცხოვრებელი ძალა შინაგანიც და გარეგნულიც, არ დაუკარგონ საუკუნოებით მოპოებული და გამტკიცებული.

ხონის ტაძარს წასულ საუკუნითგანვე პატრონ-მომვლელი, გულშემატკივარი აღარ ყავდა, რასაც ამტკიცებს მისი ქონების მითვისება კერძო პირთაგან და თვით ყოფილ მოძღვართაგან. ტაძარს დიდი ადგილები ქონდა დ. ხონში, მაგრამ თანახმათ უმაღლესი ბრძანებისა, საეკლესიო ადგილების გადარიცხვისა სახაზინოთ, მასაც ეს ბედი ეწვია, მხოლოდ მას მაინც საკმაო ადგილები დაუტოვეს, მაგრამ მოუარეს და უპატრონეს მაშინდელმა წინამძღვრებმა? აი, თუნდ აღმოსავლეთით ადგილები, მდებარე მოდებით ტაძარზე – ვის ხელშია დღეს? ტაძრის წინ მოედანი, ეხლანდელი დ. ხონის ბაღი, რომელშიდაც რამდენიმე საფლავია მოყოლილი, მონამე იმისა, რომ ის ტაძრის ეზო და სასაფლაო იყო? დასავლეთით მდებარე ადგილი 3-5 ქცევა, მიყიდული ქავთარაძეზედ როგორდაც მოხერხებით სასულიერო მთავრობის ნებართვით, სულ მცირე ფასათ, რომელიც დღეს 8-10 ათასი მანეთი ღირს და სხვა?...

ასეთივე გულმოდგინე მოპყრობა ტაძრის ადგილზე გრძელდება დღესაც; რით და რას სარგებლობს დღეს ტაძარი იმ მეორე ნაჭერი ადგილით, რომელიც გაუყიდელია? ხონის შუაგულში 3-4 ქცევა ადგილი სულ ოთხ-ხუთ მანეთს აძლევს. ესეც ერთგულებაა!!...

მაგრამ ყველაზე უმეტეს ცოდვად უნდა ჩაითვალოს უპატრონობა ახლანდელ იმ პატარა მოედან-სასაფლაოსი, რომელიც შერჩენია დღეს ტაძარს, რომელზედაც დგას სამრევლო სკოლა და სამი-ოთხი სენაკი. ეს ხსენებული ადგილი გზად გადაქცეულა, მიცვალებულების საფლავები ეტლთ და მგზავრთა ფეხით სათელად გამხდარა. ახლა ზედ, როგორც ხმა დადის, გადივლის სამტრედია-ხონის შარა გზა (რომელიც ეხლა ხან გაყავთ და კეთდება, მუშაობა უკვე დაწყებულია). თუ ეს ასე მოხდა, მართლაც ითქმება, რომ პატრონი აღარსით ყოფილა, არც ახლანდელ კრებულთა შორის და არც მრევლში, როდესაც ხედავენ ასეთ მოქმედებას და ყურს არავინ იბერტყავს. არ შეშვების აქაურ კრებულსა და ყოველივე გულგრილად გადაიტანოს. აბა, რა გადასატანია, თვალთ-წინ მიცვალებულების საფლავზედ იჯიგჯიგოს ეტლებმა, ხან ერთი ბორბალი მოედოს მოცვალებულის საფლავის ქვას, ხან მეორე. ყოველი ერი, რა სარწმუნოებაც არ უნდა იყოს, ის დიდი პატივისცემით ეპყრობა თავის მიცვალებულთა სასაფლაოს. ამ გრძნობას არც ჩვენ უნდა ვიყოთ მოკლებულები. და ამის პასუხს მოითხოვს გონიერება და სარწმუნოებრივ გრძნობა პირველად მოძღვრებიდან და შემდეგ ყოველ შეგნებულ და მორწმუნე ქრისტიანეთაგან. როგორც გავიგე, წელს რევიზიის დროს ყოვლადსამღვდელოს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისთვის და უბრძანებია ადგილობრით ბლალოჩინისთვის, რომ საქმისთვის მსვლელობა მიეცა. თუ ეს მართალია, რათ არის დღემდე ეგ საქმე შეჩერებული და არც ადგილობრითი კრებული და არც ბლალოჩინი ყურს არ იბერტყვს.

ტაძართან არის ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც უფრო კარგ ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებული და სამაგალითოთაც უნდა ითვლებოდეს, მაგრამ ამაზედ შემდეგ მივაქცევ მკითხველთა ყურადღებას.

ძველი [შიო ქუჩუკაშვილი]

^{*)} თუმცა ზოგიერთ პატივცემულ პირთა რჩევით და დახმარებით აქ მოკიდეს ხელი იმერულ გალობის შესწავლას, ნოტებზედ გადაღებულს ქორიძის მიერ. გალობას ასწავლის ბ. ბახტაძე, ლოტბარი აქაური სასწავლებლების; 2-3 თვეა, გალობის მსურველები ძლიერ ცოტანი აღმოჩნდა; ბ. ბახტაძე შრომობს, რაც შეიძლება, მაგრამ იმედი ცოტაა; რომ ბოლომდე დაგვირგვინდეს მისი შრომა, ჩვენებური ქართული გულ-გრილობა თავისას გაიტანს. პატივცემული ბ. ქორიძე თვით მეცადინეობდა და ასწავლიდა გალობას აქ რამდენიმე თვეს, მაგრამ წასვლისთანავე ბ. ქორიძისა, მისი ნასწავლები გალობაც თან გაყვა; უსურვებ ბ. ბახტაძეს, გამოეჩინოს უნარი და თავისი შრომა ბოლომდე დაესრულებოს.

426. სახალხო გაზეთი, 1910, 2 ივლისი, № 46, გვ. 2

ახალი ამბავი

გიორგი ნატრაძე. გუშინ დილით ხოლერით გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი გიორგი ივანეს ძე ნატრაძე. განსვენებულმა ამ 8 წლის წინათ გაათავა მოსკოვის კონსერვატორია და მას შემდეგ იგი მხნედ მოღვაწეობდა მუსიკის დარგში. იგი უკანასკნელ ხანს გალობის მასწავლებლად იყო ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და „განათლების“ სკოლებში. დღეს დილით განსვენებული უნდა გამგზავრებულიყო გერმანიაში, სადაც აზრად ჰქონდა უფრო საფუძვლიანად შესდგომოდა უცხოეთის მუსიკის შესწავლას, მაგრამ საშინელმა სენმა უდროოდ მოულო ბოლო.

427. სახალხო გაზეთი, 1910, 4 ივლისი, № 48, გვ. 3

* * *

პანაშვიდი. დღეს, 4 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, დილის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი გალობის მასწავლებლის გიორგი ივანეს-ძე ნატრაძის სულის მოსახსენებლად.

428. სახალხო გაზეთი, 1910, 22 ივლისი, № 63, გვ. 2

* * *

საეკლესიო გალობა. გუშინ წინ, 20 ივლისს, სემინარიის ძველ შენობაში მოხდა კრება ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ. დაესწრო არქიმანდრიტი ანტონი, მღვდ. ზაქ. გულისაშვილი, მღვ. მონაზონი სერაფიონი, მიხ. კავსაძე, მთავ. დიაკვანი ჭყიშვილი. როგორც ვნერდით, ეს კრება მღვდელ ვასილ კარბელაშვილის თაოსნობით იყო მოწვეული. კრებაზე ყველამ თანხმობა გამოაცხადა, ეხლავე შეუდგნენ საქმეს, დაარსონ ქართულ საეკლესიო გალობის კურსები. ყველა ეკლესიებმა ამ კურსებზე უნდა გაგზავნონ თავიანთი დიაკვნები, მთავრები და სხვანი გალობის შესასწავლად. მეცადინეობა კურსებზე კვირაში სამჯერ იქნება – სალამ-სალამობით კვირას, სამშაბათსა და ხუთშაბათს სალამოს 7 ნახევარ საათიდან 9 საათამდე.

429. სახალხო გაზეთი, 1910, 25 აგვისტო, № 91, გვ. 3-4

* * *

გორი. 1887 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში გალობის მასწავლებლად დაინიშნა ერთი ახალგაზრდა. მთელი ოცდა ოთხი წელიწადი მას შემდეგ მან გაატარა გორში, მასწავლებლობდა თითქმის ყველა ადგილობრივ სასწავლებლებში: საოსტატო სემინარიაში, ქალების გიმნაზიაში, სასულიერო სასწავლებლებში და ვაჟების პროგიმნაზიაში, და ყველგან, როგორც

მონაფეებისა ისე თავისი ამხანაგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს ახალგაზრდა იყო სიმონ გოგლიჩიძე, ვისი სახელიც ყველა გორელმა იცის, ქ. გორში ს. გოგლიჩიძემ შექმნა პირველი ქართული საეკკლესიო ხორო. დაესწრო დიდძალი ხალხი, გორის ოქონის ეკლესიაში ამ ხოროს პირველად გამოსვლას. ბევრს ეხლაც ახსოვს ის დღე. ყველა აღტაცებაში მოიყვანა მგალობელთა ახალმა გუნდმა. ამ ხორომ შემდეგში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრეს ყურადღება და მადლობაც დაიმსახურა. ამ ხორომ აღზარდა ბევრი კარგი გალობის მცოდნე და მათ შორის უფრო აღსანიშნავია სანდრო კავსაძე და გიგა ხუციშვილი. ეხლაც ბევრს მისს ნაშეგირდალს ჰყავს თავისი ცალკე ხორო. სასულიერო სასწავლებლის გარდა ს. გოგლიჩიძე ასევე ერთგულად და გულთადად მუშაობდა ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სასწავლებლებშიც, სადაც ის მასწავლებლობდა. ამის გარდა 25 წლის განმავლობაში გორში არა ყოფილა არც ერთი იმისთანა საქველმოქმედო საქმე, ან კონცერტი-საღამო, სადაც სიმონ გოგლიჩიძეს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. და ან სულის ჩამდგმელი არ ყოფილიყოს. ეხლა კი ბ-ნი გოგლიჩიძე თავისს ნამამგარ გორსა სცილდება. ის გადიყვანეს ტფილისში. პროვინციას საზოგადოდ, ნაკლებადა ჰყავს ბ-ნი გოგლიჩიძესთანა გულშემმატიკივარი და მისი გორიდან წასვლა დიდად დასანანი.

გ.- ნ.-

430. მწყემსი, 1910, 31 აგვისტო, №11-12, გვ. 10-12

ჭირს დამალვა არ არგებს

გვონებ, საწყენიც კი აღარავისთვის უნდა იყოს იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ ქართველი სამღვდელოება თავის დანიშნულებას და მოვალეობას დიდი ხანია აღარ ასრულებს წესიერად წინაშე ღვთისა და ერისა... ეს, რასაკვირველია, შედეგია გარემოების... მაგრამ გარემოების შემოქმედიც რომ თვით წრე, საზოგადოება და პიროვნებაც კია, ამასაც ნუ დავივნიწყებთ.

დიდხანია გამოვიტირეთ დაკარგვა ეკლესიურ თვით-მოქმედების უნარისა, გათახსირება და მივიწყება უმდიდრეს სასულიერო ნაშრომ-ნაწარმოების, დაკარგვა უძვირფასეს ეკლესიურ ავლადიდების, დაკარგვა ეროვნულ ნიადაგისა ქადაგებაში, წირვა-ლოცვაში!

მაგრამ იმ ზომამდის მიღწევა თავის ქნევაში და „ბალი ალას“ ძახილში ჩვენი სამღვდელოება არა დროს არ მისულა, როგორც უკანასკნელ ხანებში... აღარც თავილი, აღარც სინიდისის ქეჯნა: „ძლიერის სურვილი კანონია სუსტისათვის...“ „არ არსებობს ქართველი სამღვდელოება, არიან მხოლოდ სინოდის ნების აღმსრულებელნი და სხვა არავინ“ კრებებზედ პირდაპირ გაიძახიან მოთავენი და თანაც უკვირთ, თუ რატომ ყველასათვის გასაგები არ არის ეს... იმიტომ, რაც გინდა მახინჯი და მავნე მოსაზრება წამოაყენოს კრებაზედ ძალით შემოსილმა უცხოთა წრემ, ყველანი კვერს უკრავენ, ყველანი თავს უკვრენ... – საკუთარი მოთხოვნების წამოყენება ხომ სრულებით უარყოფილ იქმნა ამ ბოლო ხანებში... სადამდის გაგვყვება ეს უკუღმართობა, სწორეთ რომ დამაფიქრებელია...

ტფილისში, სადაც კი ზოგჯერ მაინც გაისმოდა ხოლმე ქართული წირვა, ან გალობა, დღეს მთლად სლავურად შეცვალეს... რუსულ გალობის გუნდი ყველგან მწყობრად გაჰკვივიან – ქართული გალობა კი ყველგან მოისპო. მიცვალებულზედ ფულით ვეღარ გვიშოვია მგალობელთა გუნდი და თუ შემთხვევით რამდენსამე „მგალობელს“ მოჰკრებს ვინმე, მათი ყვირილი სლავურს გაგონებს და არა ქართულს... არ არის საეკლესიო ხორო, რომელიც „ისაია მხიარულს“, „ზესტაფონო მშვიდობითის“ ხმაზედ მღერის და დამშლელი არავინ ჰყავს...

ტფილისში სამიოდ ეკლესია თუ მისდევს ქართულ ტიპიკონს, მაგრამ რას იზამთ, როდესაც „ხოროს“ ვერ შოულობს და დიაკვნების გაუგებარი კითხვა-გალობა მოძღვართ ბევრჯერ სირცხვილის ოფლსა და სინითლეში აგდებს... ამ დღეებში მლ. ვასილ კარბელაშვილმა გამოაცხადა სურვილი ძველ სემინარიის შენობაში გალობის უფასო სწავლებისა, საეკლესიო კრებულთ მიჰმართა გაზეთებითაც, წერილებითაც, მაგრამ 7 კაცი ძლივს შეიკრიბა, მეტი არავინ მისულა...

ანჩისხატის დეკანოზი მ. ზუმბულიძე თვეში 25 მან. იძლეოდა და ქართული ხორო ვერ იშოვა, როდესაც 15 მან. და 20 მანეთად 30 კაცისაგან შემდგარ რუსულ ხოროს ყოველთვის იშოვი. სადღაა მგალობელთა გუნდი ჩხიკვაძის, მონადირაშვილის, აღნიაშვილის? – დაიშალნენ, რადგან ეკლესიის წინამძღვართ ხელი არ შეუწყეს და რუსული „ხოროები“ გაიჩაღეს. საწყალმა პლატონ იოსელიანმა უკანასკნელი გროში მოიკლო, პალესტინიდან ბეთლემის ეკლესიის გეგმა მოიტანა, სოლოლაკის ამაღლების ეკლესია იმ გეგმაზედ ააშენა, დღეს კი შიგ ქართველი მღვდელი სლავიანურად სწირავს და 30 სალდათისაგან შემდგარ ხოროს აგუგუნებს სლავურად. ავლაბრის პეტრე-პავლის ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა სრულებით მოისპო, სამუდამო რუსული ხორო დაწესდა, მრევლი კი ორი წილი ქართველია, ერთი რუსი, მთავარანგელოზის ეკლესია ურუსულეზედ რუსული ეკლესიაა – ქართული იქ გამოდევნილია, 100 კომლი ქართველი კი მაინც მრევლად უჭირავს... ეკლესიურმა უკულმართობამ ქართველს ისე გაუტეხა გული, რომ იგი, ასეთ დიდი საქმეშიაც კი, როგორც ეკლესიის მრევლობაა, არას დაგიდევს და საბოლოოს არა ფიქრობს...

ეპარქიულ სამღვდლო კრებაზედ ყოველთვის ჩივილისა გამო, რომ დიაკვნებმა არც ქართული კითხვა იციან და არცა ქართული გალობა, დიდი ხანია გადაწყვეტინა მედავითნეთა კურსების დაარსება. დარიის მონასტერთან უნდა გაეხსნათ ეს კურსები, სადაც სასულიერო სასწავლებლიდან გამოსულ პირთ შეასწავლიდნენ გაგებით ქართულ სამღთო წიგნების კითხვას, გალობას და განავითარებდნენ საღვთისმეტყველო ცოდნაში.

რუსის და ქართველთ სამრევლო სკოლებშიაც კი სლაურს იმდენად ასწავლიან, რომ უხსნიან საღმრთო წიგნებში სახმარ ძნელ სიტყვებს, იმიტომ ბალღიც კი სლაურად შეგნებით კითხულობს – ჩვენში კი დიაკვანი რას ბუტბუტებს, თითონაც არ იცის... ამ საქირო საქმის შესასრულებლად კრებანი კამისიას ავალებდნენ შეემუშავებინათ ხარჯთაღრიცხვა და პროგრამა კურსებისა... არ იქნა და არ ეღირსად ამ წადილის შესრულება. წელს, როცა სამღვდლოების კრება დაიწყო ტფილისში, კომისიას მარტო მაშინ წარუდგენია ეს გეგმა ეგზარხოსის მოადგილესათვის, ხოლო ამ უკანასკნელს უდროოდ უცვნია შემუშავებული პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა კრებისათვის გადაუცია განსახილველად.

ამბობენ, თუ მთავრობამ დანიშნა რომელიმე ქართველი მღვდელი კომისიაში, სიხარულით ცას მოენევა და თუ კრებამ მოიბუზებაო... „ლობერალად“ არ ჩამთვალოს მთავრობამაო.

[...]

431. სახალხო გაზეთი, 1910, 23 ოქტომბერი, № 139, გვ. 3

მცირე შენიშვნა

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კურთხევა, როგორც გადმოგვცეს ექსარხოს ინოკენტის დაუნიშნავს მომავალ კვირისათვის, ე. ი. 31 ღვინობისთვის. ამ დღეს კურთხევაზე მონვეული იქნებიან ხელმწიფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვარანცოვ დაშკოვი მეუღლითურთ

და მთელი ტფილისის მაღალი წოდება. თვით ეკკლესია მშვენიერს ნიმუშს წარმოადგენს ჩვენის ქართულ ძველის ხელოვნებისას, როგორც გარედან – მოჩუქურთმულ კედელ-სანათებით და გუმბათით, ისე შიგნით – ძველებურის კანკელით, რომელიც ძვირფასის მარმარილოსაგან არის ხელოვნურად გაკეთებული.

როგორც ვიცით, უკვე შარშან, აპრილში ქვაშვეთის ეკკლესიის გამგე კომიტეტმა წინადადება მისცა ტფილ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, რომ მას ეკისრა მოემზადებინა თავისი ხოროთი ნირვა-ლოცვაზე საგალობლად დანიშნულის ფასით. როგორც გავიგეთ, გამგეობა სიამოვნებით შეეგება ამ წინადადებას და შეუდგა ხოროს მზადებას სექტემბრიდან. კვირას, 24 ოქტომბერს, ეს ხორო პირველად იგალობებს მთელს ნირვას ოთხს ხმაზე დაწერილს ზ. პ. ფალიაშვილისაგან. ფრიად საინტერესოა, ვგონებ, ყველასთვის ახალისა გუნდისა და ახალ ნირვის მოსმენა. მე შემთხვევით დავესწარ ერთს რეპეტიციას, 21 ოქტომბერს, და საუცხოოვო შთაბეჭდილება იქონია ჩემზე ამ გალობამ. მართლა დიდი ღვაწლია ქართულის ფილარმონიული საზოგადოების გამგეობისა ასე მოკლე ხანში ამისთანა გუნდისა და ასე კარგად მომზადება.

ხორო შესდგება ქალების და ვაჟებისაგან. სულ 50-მდე მგალობელია ხოროში.

დამსწრე

432. სახალხო გაზეთი, 1910, 27 ოქტომბერი, № 142, გვ. 1-2

ქართულ მუსიკის შესახებ

[...] ქართული გალობა და ქართული მუსიკა, როგორც საზოგადოდ ყოველი ქართული კულტურული საქმე, კრიზისს განიცდის. მთელს საქართველოში თითქმის მოისპო და აღარ ისმის ქართული სიმღერა და გალობა. ეს გარემოება დიდი უბედურების მომასწავებელია, არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არამედ მუსიკის საქმისათვის საზოგადოდაც. ქართული მუსიკა მდიდარი მასალაა სიმფონიურ მუსიკურ შემოქმედებისათვის.

ჩვენში არის რამდენიმე თავგანწირული ადამიანი, რომელსაც კარგად ესმით ქართულ მუსიკის კერძო და საზოგადო მნიშვნელობა და მათის მუშაობის წყალობით ჩვენ უკვე განვლეთ პირველი პერიოდი მუსიკალურის განვითარებისა. ეს პერიოდი – ნოტებზე გადაღება და ჩანერა სახალხო სიმღერებისა და ძველის საეკლესიო გალობისაა. ქორიძე, ბალანჩივაძე, აღნიაშვილი, კარგარეთელი, კარბელაშვილი, ჩხიკვაძე, კავსაძე, არაყიშვილი, ფოცხვერაშვილი, სულხანიშვილი, ფალიაშვილი და სხვანი – ყველა ამათ მიუძღვით ღვაწლი ქართულ მუსიკის აღორძინების საქმეში. მუსიკურ შემოქმედებისათვის მათ მდიდარი მასალა შეაგროვეს, შეიმუშავეს და დაამზადეს. მომწიფებული ყანა მომკალს ელის. ატმოსფერო და ნიადაგი იმგვარია, რომ დღეს-ხვალ უნდა გამოჩნდეს შემოქმედებითის ნიჭით აღჭურვილი ადამიანი ქართულ ოპერისა და სიმფონიის დასაწერად. ამ დარგში უკვე რამდენმა კაცმა სცადა თავისი ნიჭი. ამ უკანასკნელ დროს საპროგრამო მუსიკის ნიმუშიც დაიბადა ჩვენში (ფოცხვერაშვილი). ამ ნიმუშის შესახებ, საუბედუროდ, ვერას ვიტყვი რადგან არ მომისმენია იგი. ვიტყვი მხოლოდ, რომ სახიფათო დარგი ამოურჩევია ახალგაზრდა კომპოზიტორს. საპროგრამო მუსიკა საუკეთესო ფირმად არ უნდა ჩაითვალოს მუსიკურ აზრის გამოთქმისათვის. აქ მუსიკა სიუჟეტს ექვემდებარება და მუსიკას დაკისრებული აქვს სიტყვაკაზმულ შემოქმედების როლი, რაიც, ერთის მხრივ, ავიწროვებს მუსიკურ აღფრთოვანებას, მეორეს

მხრივ კი, სიყალბესაც ჰპედავს. ხმასა და ჰარმონიას თავისი საკუთარი მოქმედების წრე აქვს. იგი ვერც მხატვრობის მაგიერობას გასწევს, ვერც სილოგიზმის იარაღად გამოდგება. მხატვრობა აუცილებლივ კონკრეტულია, მუსიკა კი ყოველთვის ფორმას მოკლებული, სულიერი განწყობილებაა, იგია ირაციონალი თავის ბუნებით და მასში ყოველთვის ისახება ადამიანის ბუნების მეტაფიზიკური და დიონოსისებური (?) ელემენტები.

ახალი, მეორე პერიოდი (რომელიც იწყება ახლა ჩვენში) ქართულ მუსიკის განვითარებისა, ჩემის აზრით, საპროგრამო მუსიკის შემოქმედებიდან ვერ იწყებს სიარულს. მდიდარი შეგროვილი მასალა განუვითარებელი დარჩება. ეს მასალა თვით შეიცავს უკვე მუსიკურ აზრს. საჭიროა მხოლოდ მუსიკურ აზრის თავისუფალი განვითარება, გაშლა, გართულება. და რამდენადაც მესმის, სანამ დადგება მუსიკურ შემოქმედების გაშლისა და მომნიჭების დრო, უნდა კარგად იყოს დაყენებული უკვე არსებულ ხალხურ და საეკლესიო მუსიკის აღსრულების საქმე. საჭიროა კარგად განვრთნილი ხოროები და სიმებიანი ორკესტრები, რომ შესაძლებელი იყოს უკვე არსებულ მდიდარ მასალის ესთეტიკის მხრივ უნაკლებო გადმოცემა. საჭიროა დატკობა იმითი რაცა გვაქვს და მას შემდეგ გაღრმავება და გართულება ამ მასალისა.

ეროვნულ ხმების ჩაწერასთან ერთად დღემდე ამ საქმესაც ემსახურებოდნენ ჩვენი კომპოზიტორები. მაგრამ ეს საქმე ახლაც არ არის რიგიანად მოწყობილი. აღნიაშვილის დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე თითქმის არ არსებობდა ჩვენში იმისთანა ხორო, რომელსაც შეეძლო მუსიკურ გემოვნების გაღვიძება და გაფაჩიზება ჩვენში (ორი სამი შემთხვევა ჩასათვალავი არ არის). საჭიროა მუდმივი რამ და ამასთან დაფასების საზომიც უნდა იყოს აწეული და უფრო სასტიკი. საქმე იმაში კი არ არის, რომ მწყობრად შეასრულონ სიმღერები და გალობანი, საჭიროა ესთეტიური აღფრთოვანება, სტილი, ცოცხალი და ღრმა გამოთქმა, შიგნართულ აზრისა. ამ მხრივ კი სუსტნი ვიყავით დღემდე. ფილარმონიულ საზოგადოების მოვალეობაა სწორედ ამ მხარეს მიაქციოს ყურადღება.

ქვაშვეთის ეკლესიაში წარსულ კვირას აღნიშნულ საზოგადოების ხოროს გალობამ იმედი გაგვიღვიძა მუსიკის აღორძინების შესახებ.

ზ. ფალიაშვილმა ოთხ ხმაზე დასწერა წირვა და დიდის ცოდნით, მოხერხებითა და ენერგიით ლოტბარობდა ხოროს. ხელის გაქნევით როგორც ერთ კაცს ამოძრავებდა ქალვაჟთა მწყობრ ხმებს და ათქმევინებდა მათ სევდით და მწუხარებით გამსჭვალულ გალობას. ოთხ ხმაზე ქართულ გალობის თქმის მოწინააღმდეგენიც უნდა ყოფილიყვნენ კმაყოფილნი. რადგან საქმე ტრადიციის დაცვაში არ არის, არამედ ესთეტიკურ ხასიათის შთაბეჭდილებასა და ქართულ კილოს დაცვაშია. იმ გალობაში კი ორსავეს ჰპოვებდით.

ქართული მუსიკა, განსაკუთრებით ჰსახავს სიცოცხლის ირაციონალ მხარეს. ბემოლები და დისონანსები არღვევს კონკრეტულ ფორმის ინდივიდუალობას, საზღვარდაუდებელ სამეფოსაკენ გიზიდავს. ხოლო გალობის ბოლოში ხმის მაღლა აყვანით და გალობის უცნაურად, მოულოდნელად უნისონით დაბოლოვებით მუსიკური აზრი თითქმის სასონარკვეთილებას გამოსთქვამს შეუგნებელ საიდუმლოების ნინაშე. „შენ ხარ ვენახი“ – ნამდვილი სიმფონიური ტრაგედიაა. მუსიკა გიპყრობს და უფრო გასაგები ხდება სახარების ის ადგილი, სადაც მოთხრობილია სულის ტანჯვა და მწუხარება (იოან. თავი № 15, 16, 17) „რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგიჩინე თქვენ სოფლისაგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა“. და ეს ღრმა წინააღმდეგობა „სოფელსა“ და „არა-სოფლისაგანთ“ შორის არსებული, წინააღმდეგობა ხორცისა და სულისა, ოცნებისა და სინამდვილისა მწუხარებით ავსებს ადამიანის გულს. „რამეთუ ჰსტიროდეთ და ჰგოდებდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდეს და თქვენ ჰსწუხდეთ, არამედ მწუხარება თქვენი სიხარულად გადაიქცეს“. და ჰიმნი თითქოს უგალობს ადამიანის განთავისუფლებას მწუხარებისაგან. „და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს... და არღარა ვარ მე სოფელსა ამასა, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ, მამაო წმინდაო“.

დიდებულის აღმაფრენით ისპობა დუალიზმი ადამიანის ბუნებისა და წინააღმდეგობა სული-
სა და ხორცისა. მაგრამ ეს სიხარული ხანგრძლივი არ არის. დისსონანსი არღვევს ჰარმონიას,
„ხელმწიფება ყოველთა ხორციელთა“ სუსტდება და ხელმეორედ იწყება ტრაგედია სულისა...
ვაშა ზ. ფალიაშვილსა და მის ხოროს!

არჩილ ჯორჯაძე

433. სახალხო გაზეთი, 1910, 21 ნოემბერი, № 164, გვ. 3
მწყემსი, 1910, 2 დეკემბერი, №17-18, გვ. 20

*** * ***

ქართველ მომღერალთა ახალი ჯგუფი. როგორც გავიგეთ, ტფილისში შესდგა პატარა წრე
ახალგაზრდა მომღერლებისა, რომელთაც აზრადა აქვს შეისწავლოს ქართული ეროვნული
სიმღერები და ეკლესიური გალობა, ბ-ნ მიხეილ კაცვასძის ლოტბარობით, შეიძინოს აგრედვე
ეროვნული ტანთსაცმელი (ქულაჯები და გლეხური) და შემდეგ შეუერთდეს ახლადდაარსე-
ბულ „სანთური“-ს საზოგადოებას. იმედია, ამ პატარა სიმპატიურ საქმეს აქედანვე ხელს
შეუწყობენ როგორც „სანთური“-ს საზოგადოება, ისე სხვებიც.

434. სახალხო გაზეთი, 1910, 21 დეკემბერი, № 189, გვ. 3

ახალი ამბები

სასულიერო კონცერტი. მომავალ დიდ მარხვაში ტფ. საარტიტო საზოგადოების სად-
გომში ტფ. სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ სასულიერო კონ-
ცერტი გაიმართება. სხვათა შორის, შესრულებულ იქმნება ქართლ-კახეთის საგალობლები,
4 ხმაზე გადაღებული ბ-ნთ კლენოვსკისა, იპოლიტოვ-ივანოვისა, ფალიაშვილისა, მღვდლის
კარბელაშვილისა და მონადირიშვილის მიერ.

435. განათლება, 1910, დეკემბერი, № 10, გვ. 489-491

სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის სიმღერა – გალობა

პირველი განყოფილება

1. დარიგება, თუ როგორ უნდა ისუნთქონ, იდგნენ და გააღონ პირი სიმღერის დროს, 2.
გაცნობა ნოტის ანბანისა. ადგილობრივი საბავშვო სიმღერები.
მეორე განყოფილება

საუბარი ხმაზე; მუსიკალური ხმები, მაღალი და დაბალი ხმა. ნოტების დაყოფა: მთელი ნოტი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და ბოლოს - მეთექვსმეტედი; წერტილი, პაუზები. გამმა და მისი საფეხურები. ადგილობრივი სახალხო სიმღერები.

მესამე განყოფილება

მთელი და ნახევარი ტონი; ნახევარი ტონების ადგილი გამმაში, „დო“ მაჯორი. სმენით გარჩევა ტონისა და ნახევართონისა. ინტერვალები 1–8 ერთხმაზედ, კონსონანსები ორხმად; ხმის შესაცვლელი ნიშნები: დიეზი, ბემოლი, ბეკარი. ხრომატიული გამმა. საზოგადო ქართული სიმღერა და საეკლესიო გალობა ორ-სამ ხმაზედ.

მეოთხე განყოფილება

გამეორება მოკლედ წინა წლებში ნასწავლისა; მაჟორის გამმა; სახელწოდება, აშენება ერთის, ორის მარტივის გამმისა ბავშვის მიერ. მინორის გამმა: მისი გაკეთება მაჟორის გამმიდან, ამაღლება მეშვიდე მუხლისა. საზოგადო ქართული სიმღერები, საეკლესიო გალობა. სიმღერა – ორ-სამ ხმაზედ.

მეხუთე და მეექვსე განყოფილება

ხასიათი და რიცხვი მაჟორის და მინორის გამმებისა. სმენით გარჩევა გამმებისა: მაჟორის, მინორის, გარმონიულის და ხრომატიულისა. გაცნობა გასალებისა „დო“ „ფა“; განვითარება ხმისა და სმენისა; უფრო რთული საზოგადო ქართული სიმღერები, პატრიოტული სიმღერები და საეკლესიო გალობა. მოკლე საუბრები მუსიკის განვითარების შესახებ საზოგადოთ და ქართული სიმღერა-გალობისა კერძოდ.

შენიშვნა: – კარგი სახელმძღვანელო სახალხო სკოლებში სიმღერა-გალობის შესასწავლად, სამწუხაროდ, ძლიერ მცირეა; მაგრამ ვიდრე ასეთი სახელმძღვანელო გვექნებოდეს, მასწავლებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ზ. ჩხიკვაძის „სალამურით“ და არაყიშვილის სიმღერებით, რომელნიც გამოცემულია სახალხო სკოლებისათვის.

1911

436. სახალხო გაზეთი, 1911, 6 იანვარი, № 210, გვ. 1

* * *

დაიბეჭდა და იყიდება თფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

ზაქ. პ. ფალიაშვილის:

№1. „მრავალ-ჟამიერ“; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით. ფასი 30 კაპ.

№2. ორი ქართული რომანსი: ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

№3. „ქართული საეკლესიო საგალობლები“ (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

№4. რვა ქართული სახალხო სიმღერა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით, ფასი 1 მან.

№5. ქართული სახალხო სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული, სვანური

და ქართლ-კახური), ფონოგრაფიის შემწეობით ჩანერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: ნერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая речь“-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა № 13).

437. სახალხო გაზეთი, 1911, 13 იანვარი, № 206, გვ. 2

* * *

წირვა. 14 იანვარს, წინობას, სიონის საკრებულო ტაძარში მწირველი იქნება ალავერ-დის ეპისკოპოსი დავითი. წირვაზე იგალობებს ქართული ფილარმონიული საზოგადოების მაგალობელთა გუნდი, რომელიც შესდგება 40 ქალ-ვაჟისაგან. შესრულებულ იქნება ოთხ ხმიანი გალობა ზ. პ. ფალიაშვილისაგან სამ ხმიანიდან გადაკეთებული. როგორც ვიცით, ეს საგალობლები უკვე დაბეჭდა ფილარმონიულმა საზოგადოებამ.

438. სახალხო გაზეთი, 1911, 10 თებერვალი, № 228, გვ. 4

ბიბლიოგრაფია* ტფ. ქართ. ფილარმონიულ საზ.-ების მიერ გამოცემული

[...]

დანარჩენებიდან: „საეკლესიო საგალობელნი“ წარმოადგენენ მუსიკანტ-მოხელის შრომას. რომ შეეუდაროთ ეს (ფალიაშვილის) გარმონიზაცია დედანს (იპოლიტოვ-ივანოვის ლიტურგიას) დიდ განსხვავებას ვერ ვპოვებთ. მთელი განსხვავება იმაში წარმოგვიდგება, რომ იპოლ. ივანოვს ჩანერილი აქვს სამ ხმად, ბ. ფალიაშვილს კი გადაღებული აქვს ექვს ხმად შერეულ (смешан.) გუნდისათვის, ალაგ-ალაგ კათოლიკურ კილოს (უფრო „оттенки“-ო) გავლენის ქვეშ.

ძნელი გასაგებია რა მოსაზრებით გაჩერდა ავტორი ამ ლიტურგიაზე, არა ბუნებრივ ტერციების და კვინტების მოძრაობით სავსეზე? რატომ არ აიღო უფრო ღირსშესანიშნავი რამ, მით უმეტეს რომ მომღერლების გვერდზე ყოლა უადვილებს ამას?

სხვა ითქმის „რვა ქართულ სახალხო სიმღერაზე“. აქ ფორტეპიანოს „პრელუდიები“ ზო-გიერთ სიმღერებისა ხელოვნურად არის შესრულებული. მაგალითად „ნეტავი, გოგო, მე და შენ“ და „ცანგალა“-სი; დანარჩენები კი, რუსები რომ იტყვიან – написано рутинно. და ასეთ შთაბეჭდილებას სხვა და სხვა ორკესტრული ნიშნებიც კი ვერ აქარწყლებს.

რომანზეზე შემდეგის თქმა შეიძლება:

„ნანა-შვილო“ ხელოვნურად და საკმაო სილამაზითაა შესრულებული „ახალაღნაგო სულო“ სავსებით დილექტანტური ნაწარმოებია, რუსულ ტექსტში ამნაირის ხმის ამაღლებით: Юной полюбив душою, озарив едеи красою და სხვა...

რასაკვირველია, მეტად სასიამოვნოა რომ ჩვენს ქვეყანაში დაარსდა საზოგადოება, რო-

მელიც მიუხედავად დიდის ხარჯისა, თავის ნევრების შრომებსა ჰბეჭდავს.

მაგრამ რითი უნდა აიხსნას ასეთი გულუხვობა? განსაკუთრებით კი მასალის გაურჩევლობა?

ნუ თუ თანხის სიდიდით?

თუ ასეა, ჩვენ ვიტყვით – ბეჭდეთ ყველაფერი, მაგრამ იცოდეთ, ამით თქვენ თვითონვე ძირს უთხრით საქმის სერიოზულ მნიშვნელობას. გამოცემა მშვენივრად არის შესრულებული.

დიმიტრი არაყიშვილი

^{*)} ვბეჭდავთ ამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას. იმედია მუსიკის სხვა მცოდნენიც, ამოიღებენ ხმას და ფილარმონიულ საზოგადოების გამოცემების შესახებ თავის აზრს გამოსთქვამენ.

რედ.

439. სახალხო გაზეთი, 1911, 6 მარტი, № 248, გვ. 2

*** * ***

ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორის მოადგილეს, 25 მარტს საარტისტო საზოგადოების სადგომში სასულიერო კონცერტი გამართოს ქართულს ენაზე ცნობილ მომღერალის ია კარგარეთელის გამგეობით. შემოსავალი სემინარიის ღარიბ მოსწავლეთ მოხმარდება.

440. სახალხო გაზეთი, 1911, 10 მარტი, № 251, გვ. 3-4

ტფ. ქართულ ფილარმონ. საზოგადოების გამოცემათა გამო

[...]

ბ-ნ არაყიშვილის ბიბლიოგრაფიულმა შენიშვნებმა, და კიდევ იმან, რომ ქართველ მუსიკოსთ არ მიაქციეს ყურადღება „სახ. გაზ.“ მიერ გამოთქმულ სურვილს, გვაიძულა ჩვენ მოკლედ შევეხოთ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამოცემათა და გავარკვიოთ რამდენად მართალია ბ-ნ არაყიშვილის მიერ გამოთქმული აზრი, ვითომ საზოგადოება ამგვარ გამოცემებით „ძირს უთხრიდეს საქმის სერიოზულ მნიშვნელობას“.

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სერიოზულ მუსიკალურ ნაწარმოების დაფასება მუსიკის მცოდნე სპეციალისტთა პრივილეგიას არ უნდა შეადგენდეს; პირიქით, ნაწარმოების დაფასება მაშინ უფრო მიუდგომელი და სერიოზულია, როცა ამ ნაწარმოებს არასპეციალისტი მუსიკის მცოდნე აფასებს. კომპოზიტორი სწერს – მუსიკის მცოდნემ კი უნდა მოისმინოს, გაიგოს და დააფასოსო. მაგალითების მოსაყვანად მაინცა და მაინც დიდი შრომა არაა საჭირო! გამოჩენილ კომპოზიტორის ვაგნერის მუსიკალური ნაწარმოებნი, რომელთაც მთლად ახალი მუსიკალური სკოლა შეჰქმნეს და ძირიანად შესცვალეს მუსიკალურ ნაწარმოებთა წყობილების კანონები, ისე მიუდგომლად და საფუძვლიანად არავინ დააფასა, როგორც მის-

მა თანამედროვემ ფილოსოფოსმა ნიცშემ, თუმცა ამ უკანასკნელს, როგორც მემუსიკეს არავინ იცნობდა. ცხადია, მუსიკალურ ნაწარმოებთა დაფასება შეუძლიან ყველას, ვისაც კი მუსიკა ესმის და გაეგება.

ფილარმონიულ საზოგადოების მიერ მოცემული ზაქ. ფალიაშვილის ქართული საეკლესიო საგალობლები იმდენად დიდმნიშვნელოვანნი არიან, რომ ამის შესახებ ორიოდ კანტიკუნტად წარმოთქმულ აზრს ბიბლიოგრაფიული შენიშვნები არ უნდა ეწოდოს. მართალია, ზაქ. ფალიაშვილის მიერ შემუშავებული ქართული წირვის საგალობლები აღებულია იპოლიტოვიანოვის მიერ ჩანერილ დედნიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ „ფალიაშვილს არაფერი გაუკეთებია“ (старый материал). ხელოვნურად შემუშავება უფრო ძნელია, ვიდრე ახლის, დამოუკიდებელ მუსიკის შექმნა. და აი სწორედ ეს სიძნელე ზ. ფალიაშვილმა სძლია და მის მიერ შემუშავებული საეკლესიო საგალობლები მწყობრად და მხატვრულად არის გადაკეთებული. გარმონიზაცია ამ საგალობლისა ისე ღირსეულად არის შესრულებული, რომ არსად თითქმის მთელ წირვის საგალობლებში არ არის დარღვეული ქართულ მუსიკის ხასიათი. თითქმის ყოველ საგალობელში ხელუხლებლად არის დაცული მელოდია და ის აზრი, ვითომ მელოდია შემუშავებული იყოს კათოლიკურ მუსიკის გავლენის ქვეშ (როგორც ზოგნი ამბობენ) — აბსურდია. კონტრაპუნქტი წირვის საგალობლებისა იმდენად ლამაზი და ბუნებრივია, რომ პარალელურ კვინტების გადახლართვის და სხვადასხვა კრიმანჭულებსაც კი არავითარი გავლენა არა აქვს ქართულ მელოდიაზედ. საზოგადოდ, ძნელია, რომელიმე ერის მუსიკალური ნაწარმოები ისე შემუშავდეს, რომ ევროპულ მუსიკის ხასიათების გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდეს. ძნელია იმიტომ, რომ მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩანერის ტექნიკა ყველა ყველასათვის ერთია; და რომ ამა თუ იმ ერის მუსიკა სავსებით ხელუხლებელი იყოს ამ გავლენისაგან, ამისათვის საჭიროა ყველა ერს თავისი საკუთარი მუსიკალური ტექნიკა ჰქონდეს. მაშინ ბევრ ჩვენ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ეხლა საკუთარ ტექნიკის უქონლობის გამო ისეა გადამახინჯებული, რომ ხშირად მელოდიაც კი იკარგება, (მაგ. „ურმული“, „კახური მრავალჟამიერ“, „ჰოროველა“ და სხვ.) ხასიათი უცვლელად შერჩება და ევროპული ინტონაცია ჩამოშორდება. ზ. ფალიაშვილის წირვის საგალობლებსაც აქვს ეს ინტონაცია, მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით ეს ინტონაცია კათოლიკური კი არ არის, არამედ საზოგადო – ევროპიულია. იგი თუმცა სასურველი არ არის, მაგრამ აუცილებელია.

ზ. ფალიაშვილის მიერ გადაღებულ წირვის საგალობლებს ეს ერთი ხანია ისმენს ქართველი საზოგადოება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში; პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ საგალობლებმა უკვე გამოთქმული იყო ჩვენს გაზეთში და თუ ამ შთაბეჭდილებით და სხვადასხვა გაზეთების ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებით ვიხელმძღვანელებთ, უნდა ვსთქვათ, რომ ზ. ფალიაშვილის მიერ შემუშავებულ წირვის საგალობლებით საზოგადოება ასე თუ ისე კმაყოფილია.

რაც შეეხება დ. არაყიშვილის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საზოგადოდ მუსიკალურ ნაწარმოების დაფასება (მეტადრე თუ იგი ასეთი სერიოზულია) ცალკე კაბინეტში და მარტოოდგან ნოტების ხელმძღვანელობით, ძალიან ძნელია.

და გვგონია, რომ თუ ბ-ნ არაყიშვილს ერთხელ მაინც ექნებოდა მოსმენილი წირვა ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც ფალიაშვილის შემუშავებულ საგალობლებს განვრთნილი ხორო ასრულებს, იგი ამ საგალობლების შესახებ სულ სხვა აზრისა იქნებოდა.

დასასრულ, ჩვენ არ შეგვიძლიან სიხარულით არ მივეგებოთ იმ ღირსშესამჩნევ მოვლენას, რომ ქართული ფილარმონიული საზოგადოება ამ ბოლო ხანს ენერგიულად ეკიდება ნოტების გამოცემის საქმეს და ამით ხელს უწყობს სხვა ერმაც გაიცნოს და შეისწავლოს ქართული ეროვნული მუსიკა.

შალვა ტატიშვილი

441. სახალხო გაზეთი, 1911, 15 მარტი, №255, გვ. 1

ტფილისი არტისტული საზოგ. საკონცერტო დარბაზი

კვირას, 27 მარტს 1911 წ. ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მონაფეთა სასარგებლოდ შესდგება ქართული სასულიერო კონცერტი. სასულიერო სემინარიის ხორობ-ნი კარგარეთელის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ საეკლესიო საგალობლებს კლენოვსკისას, იპოლიტოვ-ივანოვისას, ფალიაშვილისას, მონადირიშვილისას, კარგარეთელისას და კარბელაშვილისას.

დანვრილებით აფიშებში.

442. სახალხო გაზეთი, 1911, 16 მარტი, № 256, გვ. 2

* * *

საეკლესიო მგალობელთა საზოგადოება 27 მარტს საარტისტო თეატრში სასულიერო კონცერტს გამართავს.

443. სახალხო გაზეთი, 1911, 22 აპრილი, № 284, გვ. 3

ტფ. ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების გამოცემების გამო

სურვილი მქონდა, რამდენადაც ძალა და ცოდნა შემწევდა, გამომეთქვა ჩემის მხრით რამდენიმე სიტყვა ბ. ზ. ფალიაშვილის თხზულების შესახებ; მითუმეტეს, რომ ამ შრომების გარშემო ატეხილმა ხმაურობამ და მის შესახებ პრესის საშუალებით გამოთქმულმა აზრმა, ერთის მხრით, თითქოს მეტი ინტერესი მოუპოვეს ამ საგანს, მეორეს მხრით კი საზოგადოებაში შეიტანეს ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ძალუძს უყურადღებოდ დასტოვოს არამც თუ გამოჩენილმა მუსიკოსმა, არამედ ოდნავ მაინც მუსიკალურად განვითარებულმა კაცმა.

ვგონებ, შეგნება იმ მოვალეობისა, რომელსაც აკისრებს სიყვარული და პატივისცემა თვით ხელოვნებისა, აიძულებს ყველას დაადგეს სწორედ ამ გზას.

ამ გვარად საქმე ორკეცდება – ერთის მხრით იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ ზოგად აზრებს, რომელნიც „სამწუხაროდ“ მკვიდრად არიან გამეფებულნი ჩვენ საზოგადოების შეხედულებაში და რომელიც დღეს ერთხელ კიდევ ასე თამამად იყო მიძღვნილი მისდამი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შედგომა თვით გამოცემების კრიტიკულად დაფასებისა. დღევანდელი შენიშვნა კი შეეხება მხოლოდ პირველ მოვლენას.

„სახ. გაზ.“ მე 251 ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ შალვა ტატიშვილის წერილი ზემოხსენებულ საგნის შესახებ. ავტორი წერილისა მეტად ნაკლებ ადგილს უთმობს თვით თხზულების გარჩევას; ცდილობს უსაფუძვლოდ იცნოს ბ-ნ. დ. არაყიშვილის მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და ამ ცდაში გულუხვად უმასპინძლდება მკითხველთ სწორედ იმ, მუსიკისათვის დამამცირებელი, მეტად სახიფათო და ყალბი ფრაზებით ჩვენის ეროვნულ მუსიკალური საქმისათვის.

მე სრულიად აზრად არა მაქვს ბ-ნ არაყიშვილის და მის მიერ გამოთქმულ აზრის დაცვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბ-ნი არაყიშვილი მე იმდენად დარბაისელ და მცოდნე მუსიკოსად მიმაჩნია, რომ ძნელი დასაჯერებელია მისი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა იმ მოსაზრებით იყოს დანერგილი „ტენდეციოზურად“, როგორც ბ. შ. ტატიშვილს ჰგონია.

მაგრამ ბ-ნ შ. ტ. მიერ წარმოთქმული შეხედულობანი მუსიკის და მის დაფასების შესახებ მართლა რომ საოცარია. ბ. ტ. აზრით, „სერიოზულ მუსიკალურ ნაწარმოების დაფასება მუსიკის მცოდნე სპეციალისტთა პრივილეგიას არ უნდა შეადგენდეს; პირიქით, ნაწარმოების დაფასება მაშინ უფრო მიუდგომელი და სერიოზულია, როცა ამ ნაწარმოებს არა სპეციალისტი მუსიკის მცოდნე აფასებს“. თუ ბ-ნ ტ. ამ აზრისაა, მეტად შემცდარი აზრისა ყოფილა. მუსიკალური ნაწარმოები გამონაკლისს არ შეადგენს; იგი ემორჩილება იმავე კანონებს, რომელთაც ექვემდებარება ადამიანის სხვა შემოქმედებაც.

რა „პრივილეგიაც“ აქვს ლიტერატურულ ნაწარმოების დაფასებაში ლიტერატორ სპეციალისტ-კრიტიკოსს, რა „პრივილეგიითაც“ მხატვარი აფასებს თანამოძმის ხელოვნებას, იმავე „პრივილეგიით“ მუსიკაც მოითხოვს მცოდნე დამფასებელს.

ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მუსიკა ვინრო შემოფარგლულ წრის საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ჩვენ გვრწამს, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრების მსვლელობასთან და ამ მსვლელობაში შეაქვს თავისი წვლილი: აკეთილშობილებს მას.

ამ მხრით მუსიკა საჭიროებს თავის საკუთარ დამცველთა და მოგვთა სამსახურს. იგინი იცავენ მის სიფაქიზეს ცხოვრების ტლანქ მოვლენებისაგან და იგინივე ცდილობენ, რომ მუსიკა წინაუძღოდეს ცხოვრების სხვა მოვლენას და არა უკან მისჩანჩალებდეს. აი ეს ღვან-ლი სწორედ მათ „პრივილეგიას“ შეადგენს. მხოლოდ ამ მხრით ედება ფასი მუსიკალურ ნაწარმოებს.

ჩვენ მიერ წარმოთქმულის წინააღმდეგ აზრის დასაცველად ბ. შ. ტატიშვილი მაგალითისათვის შორს წასვლაზე არა სწუხდება და ნიცმეს ასახელებს, როგორც არა მუსიკოსს, მაგრამ ვაგნერის ნაწარმოების საუკეთესო დამფასებელს. რაკი ნიცმემდის მიუღწევია მაგალითისათვის, ბევრი უვლია. არასპეციალისტ დამფასებელთა შორის იქნება ისეთი ყოველმხრით მდიდარი არსება, როგორც ნიცმე, ათი-ათასში ერთიც არ გამოერიოს. ამის გარდა, ასეთ დიდ ძებნაში ბ. ტატიშვილს იმისათვის ვერ მიუგვნია, ვინც უძებნია. ფილოსოფოსი ნიცმე იშვიათად განათლებული და დიდი მცოდნე მუსიკოსიც გახლდათ.

ძნელად დასთანხმდება კაცი ბ. შ. ტატიშვილის მოსაზრებაზე, ვითომ „ხელოვნურად შემუშავება უფრო ძნელია, ვიდრე ახალის, დამოუკიდებელ მუსიკის შექმნა“. ესე იგი თარგმანი თხზვაზე ძნელი ყოფილა. შემდეგ, გასაოცარია ბ. ტატიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ „მუსიკალურ ნაწარმოების დაფასება (მეტადრე თუ იგი ასეთი სერიოზულია), ცალკე კაბინეტში და მარტოოდენ ნოტების ხელმძღვანელობით, ძალიან ძნელია“.

ამგვარი საყვედური „კაბინეტობაზე“ თუმცა თანამედროვეა, მაგრამ ვარწმუნებთ ბ. შ. ტატიშვილს, აქ მეტად უადგილო და აზრმოკლებულია. ძნელი წარმოსადგენია, რომ მცოდნე მუსიკოსს პარტიტურის წმინდა წარმოდგენის აღსრულებამ რაიმე მოუმატოს. ეს ხომ ცხადია, რომ რაც უნდა საუკეთესო აღსრულება იყოს, ვერას მიუმატებს დედააზრს და შინაარსს.

მუსიკოსი კი ნოტების შემწეობით უნაკლულოდ შეაცოცხლებს მას თავის წარმოდგენაში. თუ ბ. შ. ტ. იმის თქმა უნდა, რომ კარგად გალობენ ქვაშვეთის ეკლესიაში – ეს სულ სხვაა.

რაც შეეხება იმას, რომ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ახალ საგალობლებმა და ამასთანავე „საზოგადოება ასე თუ ისე კმაყოფილა“, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ბ. შ. ფალიაშვილის საგალობლები მართლა „ქართულ მუსიკალურ ლიტერატურაში პირველ კაპიტალურ გამოცემად უნდა ჩაითვალოს“.

დასასრულ, უნდა მოგახსენოთ: მუსიკალური მეცნიერება იმდენად ახალგაზრდა და შე-

უმუშავებელია, რომ დიდ კამათს გამოიწვევს ხოლმე სპეციალისტების შორის თვით ევროპაში, სადაც კულტურულ ცხოვრებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია; იქაც კი დიდის კრძალვით და სიფრთხილით ეკიდებიან მუსიკის და კომპოზიტორების გარჩევას. ვიდრე კრიტიკას შეუდგებოდნენ, მეცნიერულად შეიარაღდებიან ცოდნით და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოსთქვამენ თავის აზრს.

ჩვენში კი, საუბედუროდ, ყველაფერი უკულმა ტრიალებს...

ილიკო აბაშიძე

444. შინაური საქმეები, 1911, 24 აპრილი, №11, გვ. 1-3

* * *

ქუთაისი, 24 აპრილი. მაშ, ასე და ასე! არ იქნა და არა, რომ ჩვენ ქალაქის ეკლესიებში ქართული გალობა გაგვეგონა. არაფერმა არ გვიშველა: არც სასულიერო სასწავლებელში მისმა სავალდებულოდ შემოღებამ, არც კერძო დახმარებამ, არც ერის მორწმუნე ნაწილის ჩივილ-ღალადმა. რამდენი ხანია, ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში ქართული საეკლესიო გალობა შემოიღეს, რამდენი ხანია, საუკეთესო მცოდნენი ამ საგნისა იღვნიან ამ სარბიელზე, მაგრამ ვერ ველირსეთ და ვერა ქართულ გალობას ეკლესიებში, განსაკუთრებით ქუთაისისაში. ექვსი თუ შვიდი ქართული ეკლესიაა ქალაქ ქუთაისში და არსად, არათუ ქართული, არაფერი გალობა არ არსებობს. ყველგან მედავითნეთა გულშემანუხებელი ლილინი გაისმის და არსად გამაცოცხლებელი, სასოებისმომგვრელი ქართული გალობა. დღემდის სობოროში მაინც გავიგონებდით ხოლმე ცოტათ თუ ბევრათ ჰარმონიულ სლოვენურ გალობას. დღეს კი ამასაც ვერ ვხედავთ; დღეს სობოროც დაქვეითებულია ამ მხრით. სობოროს ხოროს სააღდგომო გალობა, მაგალითად, არყით გაღეშილ რუსთა ღრიანცელს წარმოადგენდა; საპასეჟო საგალობლები, რომლებიც თავისთავად ასე სიამოვნებით ატოკებენ ადამიანის გულს, ვინც უნდა იყოს იგი – მორწმუნე თუ ურწმუნო, მხოლოდ მწარე დაცინვის ღიმილს გვრიდა მსმენელებს. მთავარანგელოსის ეკლესიაში, სადაც ერთადერთი ქართულ მაგალობელთა გუნდი (?) არსებობს ბ. ი. ნიკოლაძის ლოტბარობით, არაფერ სანუგეშოს არ წარმოადგენს და თავის თავათ მხოლოდ ქართული გალობის პაროდიათ შეგვიძლია შევრაცხოთ. სხვა ეკლესიებზე რაღა მოგახსენოთ? როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მხოლოდ მედავითნეთა ძილისმომგვრელი ლილინი გესმის. ვისი ბრალია ეს, ვინ არის დანაშაული ამ შემთხვევაში სამშობლო ეკლესიის წინაშე? რა თქმა უნდა მღვდელნი, წინამძღვარნი და მმართველნი ეკლესიისანი. მათი პირდაპირი და საღვთო მოვალეობაა, იზრუნონ საღვთო მსახურების კეთილ-წესიერებაზე და განშვენებაზე. ამ საგნისთვის იგინი არ უნდა ზოგავდენ არავითარ ნივთიერ საშუალებას. ეკლესიას თუ რამე გააჩნია, თუ რამე საშუალება მოეძებნება, პირველათ ამ საგანზე უნდა იხარჯებოდეს. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მაგალობელთა გუნდნი თავისთავად იბადებოდენ მორწმუნეთა შორის და სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებოდნენ ეკლესიას; ეხლა ასეთი გუნდები თვით ეკლესიამ, ე. ი. მისმა მსახურებმა უნდა შექმნან განსაზღვრულ საშრომელის დანიშვნით. თქმა არ უნდა, ბევრ ეკლესიას არ შეუძლია ასეთი საშრომელი გაილოს; მაგრამ ასეთ მდიდარ ეკლესიას, როგორც მთავარანგელოზის ეკლესიაა, ადვილათ შეუძლია წესიერი მაგალობელთა გუნდი იყოლიოს. ურიგო არ იქნებოდა, ადგილობრივი სასულიერო მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდეს ამ დიდმნიშვნელოვან საგანს

და ქალაქის რამოდენიმე ეკლესიას მაინც დაავალდებულებდეს, იყოლიონ ჯამაგირით მუდმივი მაგალობელთა გუნდი.

რაიცა შეეხება განსაკუთრებით სობოროს, სადაც 1600 მანეთი საეკლესიო სახაზინო ფულია გადადებული გალობისათვის, უნდა მოგახსენოთ, მიუტევებელ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს აქ ისეთი გუნდის ყოლა, როგორც დღეს გალობს. მაგრამ ესეც უადგილო მომჭირნეობას უნდა მიენეროს, რადგან, როგორც გავიგეთ, 1600 მანეთის მაგიერ გუნდი მხოლოდ 1200 მან. ღებულობს და „იაფფასიან ხორცს რომ კარგი წვენი არ გაუკეთდება“, ესეც ხომ ჭეშმარიტებაა. სობოროს მომჭირნეებს უთუოდ ნაკლებათ ესმისთ გალობის მნიშვნელობა, თორემ არათუ გადადებულ ფულს, არამედ მეტსაც გაიღებენ. და თუ ესმისთ, ისიც უნდა ესმოდესთ, რომ „გლახის ყოლას არყოლა სჯობია“. ყოველ შემთხვევაში 1600 მანეთი უკეთესად მოაწყობს მაგალობელთა გუნდს, ვიდრე 1200 მანეთი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კვლავ არ შეკვეცავენ გალობისთვის გადადებულ თანხას და ეცდებიან ლობტარიც უკეთესი მოიწვიონ. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ მომავალ აღდგომას ასეთივე გალობა (?) მოგვესმინოს ჩვენ ძვირფას მოგონებით საესე სობოროში!.

ხელი [სიმონ მჭედლიძე]

445. სახალხო გაზეთი, 1911, 7 მაისი, №297 გვ.2-3

ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე

[...]

ანინდელი წირვა-ლოცვა და მღვდელმოქმედებანი დიდუბის ეკლესიაში ძლიერ მოუწესრიგებელ და შეუფერებელ მოვლენას წარმოადგენს. ამ ბოლო დრომდის ეკლესიის კრებულს სულ ქართველები შეადგენენ, ამიტომ, თუმცა გალობა სულ სლავიანურად სრულდებოდა, მაგრამ წირვაში შიგადაშიგ ქართველი მთავარი ზოგიერთ მშვიდობიანებს მაინც ქართულად ამბობდა. ეს ერთი წელიწადია დიდუბის კრებულში ჩანიშნეს რუსი მთავარი, რომელსაც არა გაეგება რა ქართულისა. ამიტომ წირვა-ლოცვა ჩვენს ტაძარში ეხლა, გარდა მღვდლების ასამაღლებისა, სულ სლავიანურად სწარმოებს. სახარებას მთავარი სლავიანურად წაიკითხავს ხოლმე წირვაზე, იმავ სახარებას, მთავრის შემდეგ, ქართულად ჰკითხულობს მღვდელი თალაკვაძე! არის ამ ჩვენს ძველთაგან ძველ ტაძარში ერთი ენათა არევა, უსიამოვნება და საყვედურები, რატომ სახარებას ქართულად ჰკითხულობენო, ლოცვა გრძელდებო. არამც თუ წირვა-ლოცვას, ნათვლა-ქორწინება-დასაფლავებასაც კი ხშირად ვერ გვისრულებს ეხლა დიდუბის კრებული ქართულად, ვინაიდან, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ერთ-ერთმა ამ კრებულის წევრმა ქართულისა არა იცის რა.

თუ პირველ ხანებში დიდუბის ეკლესიაში არეული წირვა-ლოცვა გამონვეული იყო რუსთათვის ახლო-მახლო ეკლესიების უქონლობით და ჩვენის მხრით მათდამი თავაზიანობით, ეხლა ამ მხრით არავის არა ეთქმის რა, როდესაც გარშემო ხუთ ეკლესიაში სლავიანურად სრულდება წირვა-ლოცვა და რუსები უზრუნველყოფილნი არიან. ამიტომ, დროა დიდუბის ეკლესიაში ამოდენა რაიონში ცხოვრებ ქართველ მორწმუნეთათვის აღდგენილ იქნას წმინდად ქართული წირვა-ლოცვა და გალობა.

[...]

ძირითადი დიდუბელი

ახალი ამბები

ზ. ფალიაშვილის „ლიტურგია“

საეკლესიო მუსიკის საუკეთესო მცოდნეს ბ-ნს კასტელსკის მოსკოვში გადაუთვალე-რებია ბ-ნ ფალიაშვილის „ლიტურგია“ და მოსწონებია. ბ-ნ კასტალსკიმ ამ წიგნის შესახებ შემდეგი შინაარსის მოკლე რეცენზია მიიღო: „ქართული ლიტურგია, ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილის მიერ შემუშავებული და ნოტებზე გადაღებული, ჩემი აზრით, დაწერილია მშვენიერის სტილით და ღირსია სხვა ამგვარ ნაშრომთა შორის ერთი საუკეთესო ადგილი დაიჭიროს. განსაკუთრებით თანდათანობით არის დაცული ქართულ გალობის დამახასიათებელი პარალელიზმები და უნისონით დაბოლოვება. სიამოვნებით და გულწრფელად ვეგებები ამ ნაშრომის დაბეჭდვას და მით სამუსიკო ეთნოგრაფიის შევსებას“.

ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისსიონერს

თავადს მელქისედეკ ნაკაშიძეს

არაერთხელ დავსწრებივარ, თავადო მელქისედეკ, თქვენს ბეჯითსა და მეტად ხმამაღალს საჯარო მსჯელობას ეგრეთ წოდებულ „კარბელაანთ“ კილოს გალობის შესახებ. თქვენ ყოველგან და ყოველთვის ამტკიცებთ, რომ ეს გალობა საეკლესიო გალობა კი არა, სპარსული ბაიათებისა და თქვენგან დაზეპირებული „მომიყეფე ჩემო მურა“-სებური უბრალო სიმღერების ნაგლეჯიაო. გრიგოლ კარბელოვმაო, ბრძანებთ ხოლმე ხშირათ, არავითარი გალობა არ იცოდა და ამიტომ მთავრობამ გააძევა იგი სემინარიიდანაო. მსჯელობის დროს იმონებთ ხოლმე თითონ მ. პოლუე კარბელაშვილი თავის თხზულებაში, „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ სწერს: ქართლ-კახური გალობა წარმოსდგა „თეთრო ბატო“ და „ყურშას“ სიმღერებიდანაო, ხოლო ეს სიმღერები, თქვენი შეხედულებით, იმავე დროსანი არიან, რომელსაც თქვენი „მომიყეფე“-ს თქმაში. თქვენი ასეთი მსჯელობის მოსმენის შემდეგ გულდასმით გადავიკითხე თავიდან ბოლომდე კარბელაშვილის დასახელებული მეტად საგულისხმო და სერიოზული ხასიათის თხზულება, მაგრამ ვერაფერი იმის მსგავსი ვერ ამოვიკითხე მასში, რასაც თქვენ ასე გაბედულათ ავრცელებთ საზოგადოებაში ქართლ-კახური საეკლესიო გალობის ხასიათის შესახებ. აქედამ იმ დასკვნას დავადექი, რომ თქვენ ან სრულებით არ გინახავთ მ. პ. კარბელაშვილის ზემოთ დასახელებული მეცნიერული გამოკვლევა და იმეორებთ ვიდაცა შეუგნებელი პირისაგან გამოთქმულ მსჯელობას, ან წაკითხული ვერ შეგიგნიათ ჯეროვნად და არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ „თეთრო ბატო“-ს კილოზე. თუ ეს ასე არ არის, გთხოვთ გამამტყუნოთ ბეჭდვითი სიტყვის საბუთების წამოყენებით, რომ პოლუე კარბელაშვილი უსირცხვილოდ ატყუებს საზოგადოებას, როდესაც თავის თხზულებაში მღვდელს გრიგოლ კარბელაშვილს იხსენიებს გამოჩენილი მაგალობლის სახელით.

ამასთან თქვენ არაერთხელ და ორჯერ წარმოგიტყვამთ, რომ ვარ ერთადერთი კომ-

პოზიციონერი მთელს საქართველოში და ხელში მიჭირავს შატბერდის საგალობლების ნოტების გასაღებები. ვინაიდან მთელი ჩვენი სამშობლოსათვის ძველი საგალობო ნიშნების შეგნება დიდს ბედნიერებას შეადგენს, გვევდრებით სამშობლოს სახელით, გამოაცხადოთ, რომელ გაზეთშიაც გნებავსთ, რომ ამ ნიშნების შესაგნებელ გასაღებს გადასცემთ ბ. ბ. ფალიაშვილს, ი. კარგარეთელს და ზ. ჩხიკვაძეს; ასეთი სამსახურით ოქროს ასოებით აღნიშნავთ თქვენს სახელს სამშობლოს ისტორიის კაბადონზე.

თუ ამას არ ინებებთ და ხსენებულ პატივცემულ პირებს არ გადასცემთ ძველი საგალობო ნიშნების აზრს, იძულებული ვიქმნებით ეჭვი შევიტანოთ თქვენს ცოდნაზე და თქვენს საქციელს უწოდოთ შესაფერი სახელი.

ქაჯეთელი [რაჟდენ ხუნდაძე]

448. შინაური საქმეები, 1911, 22 მაისი, №13, გვ. 12-13

* * * ¹⁾

„შინაური საქმეები“-ს მეთერთმეტე ნომერში ხელის ფსევდონიმით მოთავსებულია შემდეგი წერილი: „საზოგადოთ ქუთაისის ეკკლესიებში არ არის გალობა და მედავითნეები გულსაკლავათ ღიღინობენო“ და კერძოთ ეხება ქუთაისის საკათედრო ტაძარს. აქო, ამბობს ავტორი კიდევ რაღაცას გავდა გალობა და დღეს კი იგი მოკლებულიაო ყოველივე გარმონიას, ასე რომ გალობა წააგავს ლოთების ბაიათსო, ამას სასულიერო მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება; აღდგომა დღეს მთვრალი კაცებივით გალობდენ და ვისურვებო, რომ გაისათ ის ლოტბარი არ ყოფილიყოს“. აგრეთვე იმასაც დასძენს, რომ არქიელის ხორი 1600 მანეთს იღებს, რომ როგორც გავიგე 1200-სო. სჩანს ხელის მსჯელობიდან. მას სრულიად არ სცოდნია საქმის ვითარება. ეს იქიდან სჩანს, რომ ის ხან იმას ამბობს, რომ არქიელის ხორი 1600 მანეთს იღებსო და ხან იმას, რომ 1200-საო, ეს ორივე სინამდვილეს მოკლებულია. გარდა ამისა ხელი ამბობს, რომ აღდგომა ღამეს დავესწარით და გამთვრალეებულებივით გალობდენო. როგორც სჩანს უსაფუძვლო სჯა-ბაასია. დამთვრალი თვითონ ხელი ბრძანებულა, რადგან სრულიათ ვერ გაურჩევია ის, რაც ტაძარში ხდებოდა. მას რომ მართლა მუსიკის რამე ცოდნოდა, გაიგებდა, თუ როგორ პირობებში მოქმედობს არქიელის ხორო; ავტორი წერილისა ლოტბარს აგინებს... აბა მეტს ჩვენ ქართველობა რას უნდა მოველოდეთ ერთი მეორისაგან თუ არ გამხნეების ნაცვლათ გინებას, ლანძღვას, ჩანჩხვლას. ქართველებს მეტი რა შერჩენია თუ არ ერთმანეთთან მტრობა – კინკლაობა, ამასვე ჩვენს ისტორიაში ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით. ლოტბარმა რა უნდა ქნას. იგი, ყმარწილი კაცი, მუსიკალური ნიჭით სავსე, (sic!) სცდილობს, მთელს ენერგიას ალევს, მაგრამ ძველი თავის მოადგილედან მუქთახორებით სავსე ხორო, ჯერ კიდევ ვერ დააყენა თავის გემოზე, რადგან ხელის შემშლელი ბევრი ყავს. ახალგაზრდა ლოტბარი ეჭვს გარეშე შრომობს. მან ხოროს ახალი კონცერტი დაასწავლა «Сый(?) языцы» რომელიც სობოროში რამდენჯერმე სთქვეს და ჩინებულათ ჩაატარა და თვითონ არქიელის სახლშიდაც აღდგომის მეორე დღეს და ვისაც კი მუსიკა ესმოდა, უთუოდ მოეწონებოდა; გარდა ამისა ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან შეასწავლა ხოროს სლოვიანური «Свѣте тихій», რომელიც ხოროს წინათ არ სცოდნია; ეხლა შეუდგა ქართული წირვის შესწავლას; ამისთვის მან მიმართა მცოდნე პირებს და მათგან დიდის გაჭირვებით იშოვა ქართული ნოტები ოთხ ხმაზედ გადალებული, იგი ენერგიულათ შეუდგა მათ შესწავლას, ჯერ მან ხოროს "რომელი ქერუბიმთა" დაანყებია შემდეგ კი სხვა

საგალობლების სწავლებას შეუდგება ლოტბარი კიდევაც ნოტებს შოულობს, კიდევაც სწერს და კიდევაც ასწავლის; აი რამდენი შრომა აწევს მას და იმის მაგივრათ, რომ ბ-მა ხელმა უსურვოს მას ენერგია და შრომის გაორკეცება, მას სურს, რომ ეხლავე ჩაჰკლას მასში ეს ენერგია, მაგრამ ის საკათედრო ტაძარშიდაც რომ არ იქნეს, სხვაგანაც გამოიჩინს თავის მუსიკალურ ნიჭსა და ცოდნას, თუ შეიძენს, თორემ არ დაჰკარგავს მას. მხოლოდ სირცხვილია მისი, რომ ახლად აყვავებულ ვარდს ძალით დაჭკნობას უქადის. მე კი უსურვებ ახალგაზრდა ლოტბარს, რომ ის ხორო, რომელშიდაც მავნე შეჩენილი ელემენტები არის, განწმენდილიყოს მომავალში, რათა დამყარებულ იყოს სრული დისციპლინა და წესიერება...²⁾

ხორისტი

1) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელათ ყოველივე თავის ღირსება-ნაკლულეგანებით.

2) ხელის პასუხი ბ. ხორისტის წერილის გამო უადგილობის მიზეზით მეთოთხმეტე ნომრისთვის გადაიდვა. რედ.

449. სახალხო გაზეთი, 1911, 24 მაისი, № 309, გვ. 4

მცირე შენიშვნა დიდუბის ეკლესიის გამო (წერილი რედაქციის მიმართ)

„სახალხო გაზეთის“ მე-297 ნომერში დასტამბულ ბ. ძირითადი დიდუბელის წერილში („ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე“) მოთავსებულია შემდეგი სტრიქონები: „იმ დროიდან (1884 წლიდან) დიდუბის ეკლესიაში... წირვა-ლოცვა სწარმოებდა მხოლოდ ქართულად (ხაზი ყველგან ჩვენია)... მამა ცინცაძემ იმ თავიდანვე (ალბად დღიდან ჩემის დიდუბეში მისვლისა) შემოიღო ქართული სლოვენური წირვა-ლოცვა... და... მოიწვია სლო-ვიანურ მაგალობელთა გუნდი“.

ვინაიდან ამ ამბავმა მკითხველ საზოგადოებაში უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, – მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს, ვაუწყო „სახალხო გაზეთის“ პატივცემულ მკითხველებს, რომ დიდუბის ეკლესიაში ქართულ-სლოვენურად ღვთის მსახურება სრულდებოდა და მაგალობელ რუსთა გუნდიც არსებობდა ჩემს იქ მისვლამდე. ამის მოწმენი არიან ერთის მხრით დიდუბის მღვდელი მ. ი. გურგენიძე და დიაკონი მ. გ. კონტრიძე, ხოლო მეორის მხრით ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრები. ამ დავთრებით მტკიცდება, რომ მაგალობელ რუსთა გუნდი პირველად მიუწვევია მ. ბესარიონ ზედგინიძეს 1891 წლის ივლისში და მას შემდეგ იმ გუნდს ბ. ბ. ნათაძის, ალბოვსკის, მოზგოვოსის, პროსკურინისა და ომანიძის ლოტბარობით გალობა არ შეუწყვეტია. ამ ცნობას უნდა დავუმატოთ შემდეგიც: 1891 წლის აპრილში ეკლესიის მნათედ – მრევლის წარმომადგენლად ამორჩეული ყოფილა ბ. ა. სემინოჟენკო. ქვემოთ ხელმოწერილი კი დიდუბის ეკლესიის მღვდლად ეკურთხა 1893 წლის 13 აპრილს.

დეკ. კ. ცინცაძე

ბ. ხორისტს

ჩვენ წერილს შესახებ საეკლესიო გალობისა ქალაქ ქუთაისის ეკლესიებში¹⁾ მეტათ გაუნიმბატებია ვილაც ხორისტი. მეტათ აქებს სააღდგომო გალობას, ე. ი. თავის თავს და ჩვენს ცუდ შეხედულობას ამ გალობაზე ჩვენს სიმთვრალეს აწერს. დავარწმუნებთ ბ. ხორისტს, რომ ხელი არ ლოთობს მით უფრო, როცა წირვაზე მიდის, მხოლოდ „ხელობს“, ე. ი. გიჟობს, რადგან სიმართლეს ამბობს, სიმართლისთვის კი მადლობელი არავინ არის, ყველა ებღუზება, ყველა ებუტება და მტრად უხდება. სწორედ რომ მთვრალს და გიჟს უნდა მოეწონოს ის საეკლესიო გალობა, რომელიც ერთთავად კივილ-ჩხივილ-ბლავილისაგან შესდგება. თუ ბატ. ხორისტის აზრის არის მთელი „ხორო“ და მისი „რეგენტი“ დღევანდელ თავის გალობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ხოროს გაუმჯობესება არ მოელის და მით უფრო სასურველია მისი განახლება, თუ შეიძლება, თავიდან ბოლომდე.

ბ. ხორისტი მეტათ აქებს უ. ლოტბარის გალობის ნიჭს და მის შრომისმოყვარეობას. ამაზე მხოლოდ ბრძნული ქართული ანდაზით შეგვიძლია უპასუხოთ: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“. მაგრამ ნიჭსაც და შრომასაც მოხმარა უნდა და მოხმარას ცოდნა. სწორეთ ამაზე იტყვის პოეტი: „ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“. მე რომ გალობის ნიჭი მქონდეს და გალობა არ ვიცოდე, რა გამოვა, ან რომ შრომა მიყვარდეს და ჩემი შრომიდან არაფერი გამოდიოდეს, რა იქნება? ნიჭით კაცი არც იქება, არც იგინება, ნიჭი ბუნებითია, უმაღლესი არსებისაგან ბოძებული, იგი „ცოდნით მოიხმარება“ და თუ ცოდნა არ არის ნიჭიც მკვდარი თანხაა. არ გვინდოდა გველაპარაკა, ბ. ლოტბარზე და მის ნიჭზე, რადგან „ჩიტი დევნათ არ ღირს“. მაგრამ ხორისტის ბრალია. წინა წერილში არც სახეში გვექონია მაინც და მაინც ლოტბარი დაგვემცირებია, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვემხილება საკრებულო ტაძრის უადგილო მომჭირნეები, რომლებიც რალაც გროშების გულისთვის ყურადღებას არ აქცევენ საღვთო საქმეს, რომლებსაც საეკლესიო გალობა ღვთის მსახურების მხოლოდ ფორმალურ მხარეთ მიაჩნიათ და არა მის არსებით ნაწილათ. ჩვენ გვინდოდა მათთვის გვეთქვა, რომ სულერთი არ არის „თათრულად იგალობებ თუ სპარსულათ“ ქრისტიანეთა ტაძარში; გვინდოდა გვეთქვა, რომ თუ გალობაზე გადადებულ ფულს შეეკვეცება ფრთები, რატომ არ შეიძლება წირვა-ლოცვაზე გადადებულ ფულსაც, ე. ი. მომსახურე მღვდელ-დიაკვნების ჯამაგირსაც ჩამოაკლდეს ცოტა რამ? ნუ თუ მარტო გალობას უნდა აზღვევინონ ყველაფერი? და რა განტევების თხა გამოჩნდა ასეთი ეს გალობა?

ტყუილა გვისაყვედურებს ბ. ხორისტი, რომ ჩვენ ნორჩი ვარდის დაჭკნობა გვინდა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ვარდი თავის ადგილზე გაიშალოს და ჩვენ წარმოგვიდგეს სრული თავის შვენებით. ეკლესია სასწავლებელი და ნიჭის სავარჯიშო ალაგი არ არის, აქ ყოლიფერი სრული უნდა იყოს, უნაკლო, უზადო. ვარდი ბაღში უნდა გაიშალოს და არა თაიგულში, სადაც იგი მხოლოდ სურნელებას უნდა ჰფენდეს და თავის სრული მშვენებით იზიდავდეს და ხიბლავდეს ადამიანის თვალს.

ათასი სამშობლოს ღალატი და ნიჭის მკვლულობა რომ დაგვწამოს ბ. ხორისტმა, ჩვენ მაინც ვერ შეურიგდებით და საეკლესიო გალობას ვერ ვუნოდებთ იმ ღრიალს, რომელიც, სამწუხაროთ ჩვენდა, ყოველ კვირა უქმი დღეს გვესმის საკრებულო ტაძარში, რომელიც სისრულის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ კიდევ განმეორებით და ხაზგასმით მოვახსენებთ ბ. ხორისტს, რომ არავითარი საქმე არა გვაქვს ბ. ლოტბართან, არამედ მასთან, ვისიც ხელშია დღეს საკრებულო ტაძრის

გამგეობა და რომელიც ასე უდიერათ ეპყრობა საღეთო საქმეს. აი სწორეთ ამ მხრიდგან მოველოდით ჩვენ ჩვენი წერილის პასუხს და არა ბ. ხორისტიდან, რომელის არსებამა მხოლოდ პირველისგან არის დამოკიდებული.

ხელი [სიმონ მჭედლიძე]

^{*)} შინ. საქ. №11

451. სახალხო გაზეთი, 1911, 4 ივნისი, № 318, გვ. 3-4

მცირე შენიშვნაზე შენიშვნა დიდუბის ეკლესიის გამო

„სახალხო გაზეთის“ მკითხველებს ჯერ კიდევ ეხსომებათ, რომ ხსენებულ გაზეთის მე-297 ნომერში, დიდუბის ეკლესიის გარშემო ატეხილი „დავის“ გამო, ჩვენ მოთავსებული გვექონდა წერილი შემდეგი სათაურით: „ცოტა რამ ძველი და ახალი დიდუბის ეკლესიაზე“.

ეს წერილი შეიცავდა მოკლე ისტორიულ-პუბლიცისტურ მიმოხილვას ხსენებულ ეკლესიისას. დედა აზრი ამ წერილისა და ამის გაზეთში დასტამბვისა იყო გამოაშკარავება იმ მდგომარეობისა, რომელშიაც დიდუბის ეკლესია, – ეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი და ნაკვდავანაღვანი ეროვნული სინმინდე, – ჩვენის მოქალაქობრივ სიბეცისა გამო, დღეს იმყოფება.

ამის შესახებ ჩვენ გამოვსთქვამდით გულის წყრომას: „რატომ ან მღვდელს, ან ბერს, ან ბლადოჩინს ან ვინმე სხვას ერთხელ მაინც არ მოგივიდათ თავში თუ სად ილოცონ ამოდენა რაიონის ქართველ მორწმუნეებმა... დროა დიდუბის ეკლესიაში, ამოდენა რაიონში მცხოვრებ ქართველ მორწმუნეთათვის, აღდგენილ იქმნას წმინდად ქართული წირვა-ლოცვა და გალობა... რაც მალე მოწესრიგდება ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვის საქმე ქართულს ენაზე ისა სჯობია“-თქო...

ხსენებულ ეკლესიის მეცხრამეტე საუკუნის დამღვეის წინამძღვართა რიცხვში ჩვენ მოვიხსენიეთ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძეც. ამ უკანასკნელს მიუთითეთ რა, თუ გარემოებები ზოგი როგორ ხელს უწყობდნენ და ზოგიც უკარნახებდნენ მას ქართველ მორწმუნეთაგან მტკიცე სამრევლო ორგანიზაცია შეექმნა დიდუბეში, გამოვსთქვით ის აზრი, რომ „ვერც მამა ცინცაძემ, როგორც სხვა „რუსეთუმე“ მღვდელმა ჩვენში დააღწია თავი განსაცდელს არეულ-დარეულ წირვა-ლოცვის შემოღებისას ეკლესიაში... მამა ცინცაძემ იმ თავიდანვე (რასაკვირველია, „დღიდგან მათი დიდუბეში მისვლისა“ და არა დიდუბის ეკლესიის დაარსებისა!) შემოიღო ქართულ-სლოვენური წირვა-ლოცვა... მოიწვია სლოვენურ მგალობელთა გუნდი“...

როდესაც ამ „ამბავს“ ვსწერდით, ჩვენ სრულებით სახეში არ გვექონდა „მკითხველ საზოგადოებაში უსაფუძვლო (!?) მითქმა-მოთქმა გამოგვეწვია“ და ან ვინმესთვის პირადად რაიმე უსიამოვნება მიგვეყენებინა. მამა ცინცაძე კი „აუწყებს „სახალხო გაზეთის“ (№ 309) პატივცემულ მკითხველებს, რომ დიდუბის ეკლესიაში ქართულ-სლოვენურად ღვთისმსახურება სრულდებოდა და მგალობელ რუსთა გუნდიც (!) არსებობდა ჩემს იქ მისვლამდით. ამის მოწმენი არიან ერთის მხრით დიდუბის მღვდელი მ. ი. გურგენიძე და დიაკონი მ. გ. კონტრიძე, ხოლო მეორეს მხრით ეკლესიის შემოსავალ-გასავალის დავთრები“.

ამ სახით, მამა ცინცადის აზრით, ძირითადი დიდებული, მეტი რო არა ვსთქვათ, სტყუის.

ჩვენ არ ვიცით, რას უმონებენ მამა ცინცადეს მღვდელი გურგენიძე და დიაკონი კონტრიძე. ყური კი ოდნავ მოვჰკარით, რომ ერთმაც, მეორემაც და სხვამაც უარი უყვეს მ. კალისტრატეს თავიანთ ხელის მოწერით დაედასტურებინათ მისი ეხლანდელი ნაამბობი! ამის შემდეგ რალა საჭირო იყო ამათივე მოწმედ გამოყვანა, თუ არ საპოლემიკო ეფექტისათვის, ან ვინ გამოიწვია მამა ცინცადე საპოლემიკოდ?!

მ. ცინცადეს „ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრებიც“ ხელთ ჰქონია და გვიმტკიცებს ციფრებით ხელში, „რომ მაგალობელ რუსთა გუნდი პირველად მიუწვევია (ხაზი მამა ცინცადისაა, – სწორედ აგრე სწერია „დავთრებში“?) მ. ბესარიონ ზედგინიძეს 1891 წლის ივლისში და მას შემდეგ იმ გუნდს (სწორედ იმ გუნდს!?) ბ. ბ. ნათაძის, ალბოვსკის, მოზგოვოის (!) პროსკურინის და ომანიძის (!) ლოტბარობით გალობა არ შეუწყვეტია“!

უნდა მოვახსენოთ მ. ცინცადეს ჯერ ერთი ისა, რომ საზოგადოდ „ეკლესიის შემოსავალ-გასავლის დავთრებში“ არ იწერება მაგალობელთა გუნდი ზედგინიძემ მოიწვია თუ გურგენიძემ. ასეთ დავთრებში სწერია მხოლოდ თუ ვისგან ან რისგან როდის რამდენი შემოვიდა; ვის ან რაში რამდენი როდის მიეცა!

ჩვენ სად მიგვიწვდება ხელი ეკლესიის დავთრების გასაშინჯად, მაგრამ დაბეჯითებით მოვახსენებთ მ. ცინცადეს, რომ არც იმისგან ნახსენებ დავთრებში სწერია – ზედგინიძემ სლოვენურ მაგალობელთა გუნდი მოიწვიაო! იმ დავთრებში ჩვენის ღრმა რწმენით ეწერება მხოლოდ შემდეგი: მიეცა ლოტბარ ნათაძეს ამა წლის (1891) ივლისის თვის ჯამაგირად... თორმეტი მანათი!

ბ. ნათაძე კი განსვენებულ ლადო აღნიაშვილის ხორისტია; ის ქართულად მაგალობელი იყო და, რამდენადაც გვახსოვს, ქალაქიდან კვირა-უქმეებზე თან მოჰყავდა ეტლით ორისამი კაცი და ისე გალობდა დიდუბეში. სამწუხაროდ ბ. ნათაძეს დიდხანს აღარ უგალობნია აქ, ის სამი თუ ოთხი თველა დადიოდა ჩვენსკენ. ნათაძის შემდეგ შიგადაშიგ ადიოდნენ ხოლმე კლიროსზე ორისამი რუსი მუშა და ნელ-ნელა იჩემებდნენ ლოტბარობას. ასეთი „ლოტბარები“ იყვნენ 1892 წლიდან: ალბოვსკი და პროსკურინი. ხოლო მოზგოვოი და ომანიძე სრულებით არ ყოფილან ლოტბარებად დიდუბის ეკლესიაში; პირველი პროსკურინის „პევიჩი“ იყო, გარნა მეორე – ბ. ომანიძე – დიდუბის საეკლესიო სკოლის მასწავლებელი და არა „ლოტბარი სლოვენურ გუნდისა“.

ალბათ მამა ცინცადეს გულდასმით ვერ გაუშინჯავს „დავთრები“, თორემ დარწმუნდებოდა ყოველივე ჩვენ მიერ ზემო ნათქვამის ჭეშმარიტებაში. რომ ვინმესთვის მაინც კარგად გამოეკითხა მამა ცინცადეს, იმასაც ეტყოდნენ, რომ მ. ზედგინიძე ბინადარი კი არ იყო დიდუბეში, – ის თავის სახლიდან (ორბელიანთ ქუჩა) დადიოდა აქ. აქ კი მეორე მღვდელი ჰყავდა. ამასთანავე მ. ზედგინიძე 1892 წლიდან ხშირად ავადმყოფობდა და ასეთ ხანებში უწინამძღვრო ეკლესია თითქმის უპატრონოდ იყო. 1892 წლის აგვისტოს დამღევს მ. ბესარიონი ლოგინად ჩავარდა, ამის შემდეგ მას აღარ დასცლია დიდუბეში მოსვლა, ის გარდაიცვალა 1893 წლის იანვრის 17-ს და მოასვენეს მხოლოდ დიდუბეში დასამარხავად. მწირველი ბრძანდებოდა განსვენებული ბესარიონ ეპისკოპოსი (დადიანი), გალობდა სემინარიის ქართული ხორო ტიტო ვარდიაშვილის ლოტბარობით, გარნა ამ გუნდში იღებდა მონაწილეობას ამ სტრიქონების დამწერიც! „პროსკურინები“ კი არ გამოჩენილან იმ დღეს...

ზემო ნათქვამიდან ცხადად სჩანს, თუ რაშია საქმე; მაგალობელ რუსთა გუნდი მ. ზედგინიძეს კი არ „მოუწვევია“, როგორც სწერს მამა ცინცადე, არამედ ზედგინიძის ეკლესიაში არ ყოფნის დროს თუ იმის ავადმყოფობის დროს რამოდენიმე რუსს უწყია კლიროსზე სიარული, მეორე მღვდელს კი ამ „გუნდის“ გალობა უმჯობინებია დიაკვნის გალობისათვის და ცოტაოდენი (12 მ.) სასყიდელიც უძღვევია ეკლესიიდან...

მ. ცინცაძე ბრძანებს 1893 წლის 18 აპრილს მაკურთხესო, – ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მ. კალისტრატე რამოდენიმე ხანს კურთხევამდისაც დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად ირიცხებოდა და კიდევაც მართავდა ეკლესიას. თუ თავის გამართლებაზე წავა საქმე, ჩვენ გადაჭრით მოვახსენებთ მ. ცინცაძეს, რომ მას სრული საშუალება და უფლება ჰქონდა ჩვენი ძველთაგან-ძველი დიდუბის ეკლესია წირვა-ლოცვა-გალობის მხრით იმავე კალაპოტშივე დაებრუნებინა, რომელშიაც იყო ის მ. ზედგინიძის დროს და რომლიდანაც ამ უკანასკნელის ავადმყოფობის დროს მხოლოდ ოდნავ გადმოსულიყო სულ რვა-ცხრა თვის განმავლობაში!

ამაში მით უფრო დაგვეთანხმება მკითხველი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მ. ცინცაძეს იმ თავიდანვე დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა სასულიერო „სფერებში“, – რასაც მოინდომებდა, იმას გაიყვანდა ხოლმე, – მას ყურს უგდებდნენ ექსარხოები. მას დიდის ნდობით და იმედებით მიეგება ქართველი სამღვდლოებაც. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ახალნაკურთხი კ. ცინცაძე იმ წელშივე ეპარქიალურ კრების თავმჯდომარედ ამოირჩია ქართველმა სამღვდლოებამ... ამისდა მიუხედავად მან „უმრევლოდ“ გამოაცხადებინა მთავრობას დიდუბის ეკლესია და „პროსკურინების“ ხორისტების ნაცვლად მამა კალისტრატემ მოიწვია ნამდვილი ოთხხმოვანი დიდ-პატარებიანი სლოვენურ მგალობელთა გუნდი, რომლის ლოტბარი იმ დროიდან დღემდე განუწყვეტლად აგალობებს ამ გუნდს!

ამაზედაც ხომ უარს ვერ ჰყოფს მამა ცინცაძე?! რატომ მაშინვე არ აღიძრა საკითხი დიდუბის განახლებულ ტაძრის ქართველთ სამრევლო ეკლესიად გამოცხადებისა, რა მიზნითაც ის იყო განახლებულ-გამშვენებული?! ხელით გასახსნელი საქმე კბილით გასახსნელი გახდომიათ დღეს დიდუბელებს!...

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო შორსმჭვრეტელობა, რომელიც საზოგადოდ გვაკლია ქართველობას...

დაგვრჩა მ. ცინცაძის წერილში მოყვანილი ერთი „ცნობაც“. „1891 წლის აპრილში ეკლესიის მნათედ – მრევლის წარმომადგენელად ამორჩეული ყოფილა ბ. ა. სემინოჟენკო“. მე კი 1893 წ. 18 აპრილს ვეკურთხეო, – დიდ მნიშვნელოვნად დასძენს წერილის დასასრულს მ. ცინცაძე!

ამაზე ჩვენ რალა გვეთქმის იმის მეტი, რომ ბ. ალექსი ფილიპეს ძე სემინოჟენკო ქართველ მრევლთა უმეტესობით იქმნა არჩეული, ამას ეხლაც ბევრი დაადასტურებს დიდუბეში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ბ. სემინოჟენკო არ ეკუთვნოდა და დღესაც არ ეკუთვნის იმ საფრთხობელა „ჭეშმარიტ“ ანუ შავრაზმელ რუსთა გუნდს, რომელსაც ჭირივით ეზიზღება ქართველიც, ქართული წირვა-ლოცვა-გალობაც, ყველაფერი არა „რუსული“ და რომ შეეძლოთ ერთ დღეს მოგვსპობდნენ ყველა არა რუსთ. ბ. სემინოჟენკო იშვიათი ადამიანია თავის გულ-კეთილობით და ძმურის განწყობილებით არა მარტო რუსებთან, არამედ სხვა ტომის წარმომადგენლებთანაც. მას კარგად იცნობენ ამ მხრივ რკინის გზის ქართველი მუშა-მოხელეები, რომელთა ლაზარეთის ზედამხედველად იყო ის ამ უკანასკნელ დრომდე.

ბ. სემინოჟენკო დაბადებულა და აღზრდილა ჩვენში; ის თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს ისე, როგორც ჩვენ და მ. კალისტრატე. ის, როგორც სხვა ბევრი კეთილ-გონიერი რუსი, არასოდეს არ შეუშლიდა ხელს მოძმე ქართველებს სარწმუნოებრივ საქმის მათთავე გემოვნება-მოთხოვნილებისამებრ მოგვარებაში.

მაგრამ, თუ „1891 წლის აპრილში ეკლესიის მნათედ ამორჩეული ყოფილა ბ. ა. სემინოჟენკო“, ვის დროსლა ყოფილა ამორჩეული იმავე თანამდებობაზე განსვენებული ნეიმანი?! *Sat! de mortuis aut bene aut nihil!* („მიცვალებულზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერს“)

ჩვენდა ვითომდა გასაბაიბურებლად მამა ცინცაძემ წამოაყენა ზემო აღნიშნული „ცნობები“ რუს მგალობელთა ლოტბარობის მთელი წყების ჩამოთვლით და ბ. სემინოჟენკოს მ. ზედგინიძის დროს მნათედ მიპატიჟებით. რა ღირსებების აღმოჩნდნენ „დავთრებიდან“

ამოღებული „ცნობები“ ჩვენ უკვე ვნახეთ. მაგრამ მამა ცინცაძე არავითარ „ცნობებს“ არ იძლევა მამა ზედგინიძისაგან „ქართულ-სლოვენურ ღვთის მსახურების“ აღსრულებაზე. ალბათ ამის შესახებ „დავთრებში“ არა სწერია რა და ჩვენც რაღა გვეთქმის იმის მეტი, რომ მ. ზედგინიძე არამც თუ წირვა-ლოცვას, პარაკლისებსაც კი ქართულად უხდოდა რუსებს; ეს შეიძლება იმითაც ახსნას კაცმა, რომ მ. ზედგინიძეს სლოვენურ ღვთის-მსახურების წიგნებიც კი არა ჰქონდა, ესენი მ. ცინცაძემ შესძინა დიდუბის ეკლესიას უკლებლად – „უსტავის მიხედვით“...

მაგრამ... ვინც უნდა იყოს ხსენებულ ეკლესიის წირვა-ლოცვის ამრევ-დამრევი, დღეს ჩვენთვის სულ ერთია. განა მათ ვასამართლებდით ჩვენს წერილში?! ან მათი გასამართლება რაიმეს შესძენს დასმულ საკითხს?!

ესლა მხოლოდ საჭიროა დიდუბის ეკლესიაში წირვა-ლოცვის და ღვთის-მსახურების ქართულ ენაზე სასურველად და კანონიერად მოწყობას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ შემდეგში გვიანლა არ იყოს „თითზე კბენანი“!...

ძირითადი დიდუბელი

452. შინაური საქმეები, 1911, 5 ივნისი, №15, გვ. 8

კვირიდამ კვირამდე

30 მაისს ტაძრის დღესასწაულის გამო მისმა მეუფებამ წირვა საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ტაძარში შეასრულა. გალობდა ორი გუნდი საკუთარი მისი მეუფებისა რუსულათ და სასწავლებლისა ქართულათ კახურ კილოზე. გარეშე საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

453. შინაური საქმეები, 1911, 12 ივნისი, №16, გვ. 10

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზ. „შინაურ საქ.“ №11 მონინავე წერილში ბ. „ხელი“ მწუხარებით მოგვითხრობს, რომ მიუხედავად სასულიერო სასწ. ქართული გალობის სავალდებულოდ შამოღებისა, კერძო დახმარებისა, მორწმუნე ნაწილის ჩვილ-ღალადისა და რამოდენიმე ხნის ქართ. გალობის მცოდნეთა მოღვაწეობისა, ვერ ველირსეთ და ვერა ქართულ გალობას ეკლესიებში, განსაკუთრებით ქუთაისში. 6-7 ქართული ეკლესიაა ქ. ქუთაისში და ყველგან მედავითნეთა გულშემანუხებელი ლილინი გაისმის და, რომ ამ საქმეში მოვალენი – ეკლესიის ზოგიერთი წინამძღვრები ყურადღებას არ აქცევენ – სრული ჭეშმარიტებაა ყოველივე ზემოთქმული, მხოლოდ არ შემოიძლია ერთში დავეთანხმო ბ. „ხელს“. ბ. ხელი წერს: „მთავარანგელოზის ეკლესიაში, სადაც ერთადერთი ქართულ მაგლობელთა გუნდი (?) არსებობს ბ. ი.

ნიკოლაძის ლოტბარობით, არაფერ სანუგეშოს არ წარმოადგენს და თავისთავად მხოლოდ ქართული გალობის პაროდიათ შეგვიძლია შევრაცხოთო“ – ეს კი სიმართლეს მოკლებულია და ვერ ვეთანხმები იმიტომ, რომ მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომ გალობენ იმათი ლოტბარი მე არ ვარ და არც ჩემი ლოტბარობით არსებობს, მე მხოლოდ მთ. ანგელ. ეკლესიის ეზოში – საკრებულო სახლში, ეს ერთი ხანია, ვასწავლი სხვა პირებს ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებულ ქართ. გალობას და მსურს კი ალაგ-ალაგ ეკლესიებზე ვაგალობო ჩემგან ნასწავლნი, ქართული გალობის მცოდნენი, თუ ეკლესიის წინამძღვრები ნებას მომცემენ ხანდახან და მაშინ შეუძლია ბ. ხელს თავისი მსჯავრი დასდოს და აგრეთვე თუ ვისმე ღრმად აინტერესებს სავარგისი ქართული გალობის არსებობა, თავისი აზრი მათაც გამოსთქვან ჩემგან ნასწავლი, ქართული გალობის ღირსება-ნაკლებეფანებაზე. ეკლესიებში გალობის დაარსება ეკლესიების წინამძღვრების საქმეა, თუ, სამწუხაროდ, გულცივად არ უყურებენ ამ საქმეს. მე მქონდა შემთხვევა წასულ წელს 8 სექტემბერს და ვაგალობე გელათის მონასტერში ჩემგან გალობაში მომზადებულნი, რისთვისაც მისმა მეუფებამ ლოცვა-კურთხევით დამაჯილდოვა.

მედავითნე ივლიანე ივანეს ძე ნიკოლაძე

454. სახალხო გაზეთი, 1911, 2 ივლისი, №341, გვ. 4

დიდუბის ეკლესიის გარშემო

გაზეთებში ატეხილ კამათის გამო დიდუბის ეკლესიის წარსულ-ანწყობილ მდგომარეობაზე, ორიოდე სიტყვა მსურს გავუზიარო მკითხველებს.

დიდუბის საეკლესიო სკოლაში ორ წელიწადს ვმასწავლებლობდი. შეგირდებს შევასწავლე ქართულად ისეთი რთული საგალობლები, როგორც მაგ.: „წყალობა მშვიდობა“, „შენ გიგალობო“, „ღირს არს ქვემარტად“, „მამაო ჩვენო“. ყველა ამ საგალობლებს პატარა მოწაფეები ყველა ტომისა და სარწმუნოებისა, ვისაც კი კარგი ხმა ჰქონდა, გალობდნენ წირვაზე კვირა-უქმე დღეებში. ყოველ ორშაბათობით კი მთელ წირვას ვაგალობებდი რუსულ-ქართულად. ერთი მაღაკნის დედაკაცი წამეჩხუბა კიდეც, რათ აგალობებ ჩემ შვილს თქვენს ლოცვებსაო.

ამის გარდა, საბალოსნო სკოლის ქართველმა შეგირდებმა მთხოვეს, გვასწავლე ქართული საერო-საეკლესიო სიმღერა-საგალობლები, ხან და ხან გამოვიყენებთ სოფელში, ან ქალაქში. მე დიდი სიამოვნებით მოგვიდე ხელი ამ საქმეს. ჩქარაც შეისწავლეს და დიდუბის ეკლესიაში ჩემ შეგირდებთან ერთად ვაგალობებდი. თუმცა რუსული გუნდი ცალის თვალთ გვიყურებდა, რომ საგალობლებს შუაზე უყოფდით, მაგრამ ხმას ვერა გვცემდნენ, რადგანაც წინამძღვრის განკარგულებით ვგალობდით და საგალობლებსაც მისი ნებართვით ვყოფდით.

ორშაბათობით, მრავალ მლოცველთა შორის, ქართველებიც მოდიოდნენ დიდუბის ეკლესიაში, ქართულად პარაკლის-პანაშვიდების გადახდას თხოულობდნენ. მე ჩემის ნებაყოფლობით ვასრულებდი დიაკვნის თანამდებობას, რადგან მოყვარული ვიყავი გალობისა, ვშველოდი როგორც მ. კალ. ცინცაძეს, აგრედვე მ. იროდიონ გურგენიძეს და არ მახსოვს ან ერთს, ან მეორეს უარი ეთქვათ ვისთვისმე, ქართულად კი არა, რუსულად სხვებთან ერთად გადაგიხდითო პანაშვიდ-პარაკლისსაო.

ტიტო ვარდიაშვილი

455. სახალხო გაზეთი, 1911, 14 ივლისი, №351, გვ. 2

დეპეშა

(საკუთარი კორესპოდ.)

აგარაკი ბახმარო (ოზურგეთის მაზრა). ფილიმონ ქორიძე სიკვდილის პირას არის.

456. სახალხო გაზეთი, 1911, 15 ივლისი, №352, გვ. 1

სამგლოვიარო განცხადება ფ. ქორიძის შესახებ

ბახმაროს საზოგადოება გულითადს მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ქორიძისას, რომ 13 ივლისს, ბახმაროში, ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფილიმონ ქორიძე.

457. სახალხო გაზეთი, 1911, 16 ივლისი, №353, გვ. 3

† ფილიმონ ქორიძე

ან განსველებული ფილიმონ ქორიძე პირველი ქართველი იყო, რომელიც იტალიაში მოღვაწეობდა, როგორც პირველ ხარისხოვანი მომღერალი ბასი, განსაკუთრებით მილანის ლასკალას საოპერო თეატრში. იტალიელები ეძახდნენ კორიჯიოს და დიდის ქება-დიდებათ იხსენიებდნენ მის სიმღერას. იტალიური ჟურნალ-გაზეთების რეცენზიებს განსვენებული მოწინებთ ინახავდა, როგორც თავისი ნიჭის საბუთსა.

ოთხმოციან წლებში საქართველოში ჩამოვიდა, შეუდგა ქართული საერო საეკლესიო სიმღერა-გალობის ხმა შეწყობით შემუშავებას და კიდევ დაბეჭდეს მისი ასეთი ნაწარმოები (გურული გალობა ქართული ღვთის მსახურებისა და საერო სიმღერები). შეადგინა აგრედვე ქართული სახელმძღვანელო მუსიკის შესასწავლად. ჰყვანდა მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც ავარჯიშებდა ქართულ სიმღერებში, ხოლო სიმღერის სწავლებითაც და შემდეგ საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში ჰმართავდა კონცერტებს.

ქართულ საფილარმონიო საზოგადოების დაარსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო და სწუხდა მხოლოდ იმას, რომ ადრე არ დაარსდა, რადგანაც, მისის აზრით, ქართული მუსიკა ისეთი ძლიერი და მრავალფეროვნებით თავისებური დარგია მსოფლიო მუსიკისა, რომ შეუძლიან გენიალ კომპოზიტორთა ყურადღება ერთიან დაიპყროსო.

მისი მემკვიდრე მ. ქორიძე მოვალეა ხელნაწერად დარჩენილ მამის ნაშრომს პატრონობა გაუწიოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, გულწრფელო მოღვაწე და სამშობლო მუსიკის მოყვარულო.

მეგობარი [სოლომონ ახვლედიანი]

458. შინაური საქმეები, 1911, 24 ივლისი, №21, გვ. 8.

კვირიდამ კვირამდე

14 ივლისს ბახმაროს სააგარეკო მთაზე გადაიცვალა ცნობილი მომღერალი და ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადამღები ფილიმონ ქორიძე.

459. სახალხო გაზეთი, 1911, 29 ივლისი, № 364, გვ. 2

ქუთაისის საკათედრო ტაძარში განსვენებულ ფილიმონ ქორიძის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. მღვდ. ვას. დოლაბერიძის თაოსნობით მწირველი იყო კრებული საკათედრო ეკლესიისა. პანაშვიდის შემდეგ მამა დოლაბერიძემ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, თუ საეკლესიო და საერო გალობა სიმღერების საქმეში რა ღვანლი მიუძღვის განსვენებულს, რა ენერგიით და გულმოდგინებით ეკიდებოდა ამ საქმეს სიკვდილამდე. ხალხი პანაშვიდს ბლომად დაესწრო.

460. სახალხო გაზეთი, 1911, 3 აგვისტო, № 368, გვ. 4

დაუვინყარ ფილიმონ ქორიძის ბახმაროელ პატივისცემელთ განზრახვა ჰქონდათ გვირგვინით შეემკოთ მისი ძვირფასი ცხედარი, მაგრამ რადგანაც ეს აქ არ მოხერხდა, გთხოვთ ამ მიზნით შეგროვილი თვრამეტი მანეთი და სამი აბაზი (18 მან. 60 კაპ.) გადასცეთ იმ პირს ან დაწესებულებას, რომლებიც მოაწყობენ მისი ნაწერების დაბეჭდვას. შემოსწირეს:

თითო მანეთი: იასონ მოსეშვილმა, გრიგოლ აბაკელიამ, სიმონ მელიამ, ევტინი ჩხატარაიშვილმა, ფარნა დგებუაძემ, მიხეილ ჩხატარაიშვილმა, ვლადიმერ დავითაიამ, იესე ჩიგოგიძემ, ტარასი მამალაძემ, სერგო მამალაძემ. ათ-ათი შაური: მიხეილ ცეცხლაძემ, სერგო დათუნაშვილმა, არსენ ვადაჭკორიამ, სოფიო ჯაყელისამ, მარო მგელაძის ასულმა, ნინო მამულაიშვილის ასულმა, მუცუცა ჯაყელის ასულმა, ალექსანდრა გაგუას ასულმა, ნონა ჯუღელის ასულმა, დ. მახარაძემ, კაკალა ნაკაშიძის ასულმა, სამსონ ვაშაყმაძემ, ევსევი უშვერიძემ, გიორგი თავართქილაძემ, მიხეილ შარაშენიძემ. ექვსი შაური: ნოე მგელაძემ. თითო აბაზი: ილიკო გოგელიამ, პაჭუ ჟორდანიამ, გოგუცა დემუროვისამ, ტიტკო ჩხატარაიშვილმა.*)

მუცუცა ჯაყელის ასული და ალ. გაგუას ასული

*) რედაქციამ ეს ფული მიიღო და დანიშნულებისამებრ გადასცა.

პასუხათ ბ-ნ ქაჯეთელს

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ ჟურნალ „შინაური საქმეები“-ს მე-12 ნომერში მოთავსებულია ბ. ნ. ქაჯეთელის წერილი ჩემს წინააღმდეგ, ამიტომ გთხოვთ ეს პასუხი დასტამბოთ დასახელებული ჟურნალის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში.

ბ-ნო ქაჯეთელო! თქვენ ბრძანებთ, რომ ბევრჯერ დასწრებისხართ ჩემ მიერ „კარბელაანთ კილოს“ გალობის წინააღმდეგ საჯარო ხმამაღლა ბაასს, სადაც მე ვამტკიცებდი, რომ „კარბელაანთ კილო“ საერო სიმღერებიდან წარმოსდგება, თითქოს ვამბობდე – კარბელაშვილმა არავითარი გალობა არ იცოდა და მთავრობამ ის გააძევა თბილისის სასულიერო სემინარიიდან და ამაზე ვიმონწმებდე გრიგოლ კარბელაშვილის შვილს პოლეს.

თქვენ, თუ გალობის საქმე გაინტერესებდათ, ბ-ნო ქაჯეთელო, როცა მე მაგ საგანზე ვბაასობდი, მაშინ უნდა მოგეცა პასუხი და იქვე დაგიმტკიცებდი ჩემი ნაამბობის სინამდვილეს. მაგრამ, გეტყობათ, ეს ვერ გაგიბედნიათ და ვერც ის გაგიბედნიათ, რომ თქვენი ნამდვილი გვარი გამოგეცხადებიათ, ამოფარებისხართ ფსევდონიმს და გაზეთის საშუალებით მთხოვთ პასუხს. ამაზედაც არ დაგზარდები. – აი ჩემი პასუხიც.

მე, როგორც თითონ მაგლობელი და ლოტბარი არასოდეს უნმანურად და სამასხარაოდ არ ვიღებ გალობის საქმეს; ხოლო თუ ოდესმე რაიმე ვსთქვი, მხოლოდ ის, რასაც მ. პ. კარბელაშვილი ამტკიცებს თავის წიგნში.

მე და სხვა მცოდნე პირები მუდამ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ კიდეც, რომ ქართული გალობის ნამდვილი კილო დაცულია და შენახული ამჟამად მხოლოდ გურიში. ამ საგანზე დიდი სჯა-ბაასი იყო 1878 და 1879 წ.წ. ქალაქ თბილისში. კავკასიის წარჩინებულ ქართველთა და რუსთა თაოსნობით შესდგა თბილისში კომიტეტი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ სხვათაშორის ან განსვენებულნი ალექსანდრე ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი მაკარი, თავ. გრიგოლ ორბელიანი და სხვ. იყვნენ მონვეულნი სხვადასხვა მხრიდან მაგლობლები და აგრეთვე მთელი ეგზარხატის სამღვდელოების დეპუტატები.

კომიტეტმა მრავალჯერ გამოცდის შემდეგ ქართული გალობის მცოდნეთ სცნო გურულები და დაარჩინეს ქ. თბილისში გურულებისაგან შემდგარი მაგლობელთა გუნდი ჩემის ლოტბარობით. ქართლ-კახეთის დიარქების მასწავლებლადაც მე დამნიშნეს და სემინარიამაც მე მომცეს გალობის მასწავლებლობის ალაგი კარბელაშვილის ნაცვლად, ამაზედ მემონებთა თითონ მამა პოლე კარბელაშვილი თავისს წიგნში, გვერდი 92 – საცა ამბობს: „სემინარიის სამმართველომ, 1878 წ. 3 ივლისიდან, №243 მონერილობით... არჩია – გურიის ეპისკოპოსს გაბრიელს მივსწეროთ, საუკეთესო მაგლობლები დაგვისახელოსო, მოვიწვიოთ იგინი თბილისში და ხელი მივჰყოთ ქართული გალობის ნოტებზე წერასო. ასეც მოახდინეს: მოიწვიეს გურიიდან მაგლობელი მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და სამი სხვა გალობის მცოდნენი: მელქისედეკ ნაკაშიძე, ივანე ხაფთასი და ნესტორ კონტრიძე. 14 სექტემბერს 1878 წ. სიონის ტაძარში ორპირად იგალობეს – მარცხნით ვგალობდით ძმები კარბელაშვილები, მარჯვნივ გურული მაგლობლები... კომიტეტმა საჭიროდ სცნო დაბარება მოხუცის მღ. გ. კარბელოვისა; ჩამოვიდა კიდეც 24 სექტემბერს. იმავე საღამოს ანჩისხატის ეზოში, არქიმანდრიტის მაკარის სადგომში, კომიტეტმა კრება მოახდინა. დაესწრო ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოზი ალექსანდრე, მღ. გ. კარბელაშვილი შვილებით, გურული მაგლობლები და სხვ. რადგანაც მაგლობლებად აირჩიეს – ნაკაშიძე, ხაფთასი და კონტრიძე, ჩვენ ძმები კარბე-

ლაშვილები ჩამოვეცალეთ გალობის საქმეს... კომიტეტმა დაუნიშნა მგალობლებს თვეში – ნაკაშიძეს 20 მ. და დანარჩენებს თითო თუმანი და სახლი. დაიწყეს გალობის სწავლება და ნოტებზე წერა. კომიტეტმა დაადგინა ჟურნალი 9 აპრილს 1879 წ. (და ეგზარხოსმაც დაამტკიცა), რომლითაც მგალობლებს თვეში ხუთ-ხუთი მანეთი მიუმატეს“-ო და სხვ.

რაც შეეხება იმას, რომ კარბელაანთ კილოს საგალობლები საერო სიმღერების კილოებიდან შესდგება, ამას ამტკიცებს არა მელქისედეკ ნაკაშიძე, არამედ იგივე პოლე კარბელაშვილი თავისსავე წიგნში მე-29 გვერდზე, საცა სწერს: „საეკლესიო გალობის დედნათ შექმნილან საერო სიმღერები, მაგ. ამგვარ საერო სიმღერებად ჩვენ ვრაცხთ დღეს – „ყურშაოს“, „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“, „შაშვი კაკაბი“, „ბედზედ დაგნატრი ბარათო“, „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო“, „დიდება“ და სხვა მრავალი“.

იმავე გვერდზე სწერია ქვემოთ:

„ვინცა კაცია, არნანო, ჩოხა ჯაჭვია თარნანო და სხვა – ეს კილო წარმოადგენს ქუმარიტს დედანს საეკლესიო საგალობლისას წირვაზედ: „შენ გიგალობთ“, (ხოლო) სიმღერა: „ბედზედ დაგნატრი ბარათო“ – არის დედანი საგალობლისა „მამასა და ძესა“-ო და სხვ...“

ბ-ნო ქაჯეთელო, ეჭვს გარეშეა, თქვენ დიდათ მოგწონთ და თაყვანს სცემთ იმ საერო სიმღერების კილოებზე შემდგარს გალობას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილია მამა პ. კარბელაშვილის მიერ, მაგრამ ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაქციო შემდეგს გარემოებაზე, თუ რას სწერს ამაზე ყველასაგან პატივცემული, ან განსვენებული მწერალი თავ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანი თავისს წიგნში**) (გვ. 211): „როსტომ მეფეს სპარსეთის ჩვეულება შემოუტანია საქართველოში და ის ჩვეულება ასე ეგრგინა მთელს საქართველოს ერსა, რომ საერთოდ იძახდენ თურმე: ყიზილბაშებმა წაგვიბლნეს და გაგვრყვენესო, ამას ვახუშტიცა სწერს“-ო და სხ.

შემდეგ ქვემოთ სწერია, გვ. 226:

„ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურ ყიყინზე ხელი, რა შეედრება ჩვენს მამა-პაპის სიმღერის ხმებსა, რომელიცა ჩვენი ამდენი ათასობით წლების ხმოვანება მხოლოდ ჩვენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ლიღინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიელების შვილისშვილები, ვითარცა პიტალოს ოქროდან, პიტალო ოქრო გამომდინარი...“

როდესაც ამ ზემოხსენებულს სიტყვებს ამბობს დასახელებული მწერალი, ბ-ნო ქაჯეთელო, თქვენ მიერ მოწონებულს გალობასა და სიმღერაზე, ამავე დროს, იგივე მწერალი იმავე წიგნის მე-214 გვერდზე სწერს შემდეგს:

„ჩვენს ეკლესიურს გალობასა: თქმასა, მოძახილსა, ბანსა, კრინსა და დვრინსა, სად არ იგალობებდენ ერთიანსა შეწყობილსა გალობასა ამას, სხვის და სხვის ხმებით? ყველგან თავადი, აზნაური და ბევრი გლეხი გალობდა. ეხლა ევროპიელებს არ მოეწონებათ, მაგრამ მე კი მინახავს, რომ ჩვენს გალობაზედ, სულის საამო ცრემლები უბრქვევიათ მშვენიერის თვალებიდან სპეკალს ლოყებზედ. საკუთრება არის, მეტი კარგი გულისათვის“.

შემდეგ იმავე წიგნში, იმავე გვერდზე მოსთქვამს და გოდებს იმისათვის, თუ „რად დავივიწყეთ ის ჩვენი მამა-პაპების კარგი გალობა, სადაც გნებავდათ ის ხელათ სათქმელი? სად არ გაგვატარებინებდა დროსა და სად განგებისა ღვთისასა, არ მოგვიგონებდა, ის იმისი მიმოხვრილი გალობა?“

ქვემოთ ამბობს:

„გამიგონია, გურიელები კიდევ თურმე გალობდენ მამა-პაპის გალობასა“-ო და ვედრებით ეუბნება გურულებს: „ღვთის გულისათვის, გურულებო! ჩვენი სამშობლოს და ენის სადღეგრძელოთ, თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ თქვენი მამა-პაპის ეკლესიების გალობასა: იმ ღვთის სასიამოვნოს, წყნარსა და მშვიდობიანსა გალობასა, რომელიცა ის ხმა მოგვაგონებს ჩვენს კეთილს ქრისტიანობრივსა ნამდვილსა“.

აქედან მგონი ნათლად სჩანს, რომ ნამდვილი ძველი მამა-პაპური ქართველების გალობა ჩვენში, გურიაში არის დაცული და შენახული. ვინც საქართველოს საეკლესიო ისტორია იცის, იმათ კარგად მოგეხსენებათ, რომ ძველად, სულ ხშირად გურულებიდან ვრცელდებოდა ქართლ-კახეთში საეკლესიო გალობები, სანამ როსტომ მეფემ ყიზილბაშურს ყიყინზე არ გადააჩვია ხალხი. – კიდევ არ გჯერათ, ბ-ნო ქაჯეთელო?

ან ყური დავუგდოთ, რას სწერს თავის მოგზაურობის დროს დეკანოზი ყონჩოშვილი, ან განსვენებული ეპისკოპოსი პეტრე (იხილე „მოგზაურობა წმ. ქ. იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზე, გვ. 181) „ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა კეთილგანწყობილი მწყობრი ტკბილად მგალობელთა 1880 წლებში ვიდრემდის ყოფილან ათონზედ მგალობელთა შორის: თავ. მელქისედეკ ნაკაშიძე, მ. გიორგი მოლარიძე, ღირსეულად მოღვაწე შემოქმედის მონასტერში, გურიაში, მ. მ. კონტრიძე, ჯინჭარაძე და მ. ფ. შარაშიძე, ქართველთა მგალობელთა გუნდსა აღტაცებაში მოჰყვანდა ყოველნი მსმენელნი რუსნი და ბერძენნიცა. ამ ზემოხსენებულ პირთა შეუსწავლიათ ქართული გალობა საფუძვლიანათ რვა ხმაზედ. ბ. ანტონ დუმბაძის ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო ან ქართველები ველარ იქების ამგვარის კეთილგანწყობილის გალობითა. ამისათვის ფრიად სასურველია, კვალადცა განძლიერდეს ქართული გალობა ათონზედ აღსადგენელად ჩვენის ძველი ეროვნულის ღირსებისა, დიდებისა და პატივისა სხვათა ეროვნებათა წარმომადგენელთა მოღვაწეთა შორის ათონის მთაზედ. ოდესმე დროშა პირველობისა ეპყრათ ივერიის კარისა ღვთისმშობლის მონასტრისა ქართველთა ძმათა“.

მელ. ნაკაშიძე

(შემდეგი იქნება)

^{*)} იხ. ისტ. მიმოხილვა „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ მღ. პ. კარბელაშვილისა, გამოცემული 1898 წ.

^{**)} იხ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის ნაწერები, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ 1879 წ.

462. სახალხო გაზეთი, 1911, 10 აგვისტო, № 373, გვ. 3

სოხუმის ცხოვრება

31 ივლისს, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობის თაოსნობით, საკათედრო ტაძარში, განსვენებულ ქართველ ქველმოქმედ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდის წინ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსმა დავითმა. მისმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მით უმეტეს, რომ დიდი ხანია ამ ტაძარში ქართული სიტყვა არავის გაუგონია.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო გარემოება. როცა პანაშვიდის წესი ქართულად სრულდებოდა და მთავარდიაკონი ბ-ნი მეშკოვსკი, ტომით რუსი, ლოცვებს ქართულად კითხულობდა, მგალობელთა გუნდი ბ-ნ სააკაძის ლოტბარობით რუსულად გალობდა. ჩვენი დაუდევრობა ამაზე შორს ვერ წავა. ნუთუ სოხუმის ქართველ საზოგადოებას არ შეუძლიან ქართული მგალობელთა გუნდი იყოლიოს, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში

დაგვიხსნას ხოლმე სირცხვილისაგან! პანაშვიდს საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, თუმცა შესაძლებელი იყო გაცილებით უფრო ბევრი დასწრებოდა. ამის ბრალი ნ. კ. ს. გამგეობას მიუძღვის. ნუ თუ გამგეობას არ შეეძლო, ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში მოეთავსებინა განცხადება და საზოგადოებისათვის ეცნობებინა?.

ი. ჩხარელი

463. სახალხო გაზეთი, 1911, 7 სექტემბერი, №395, გვ. 3

ბ. კლენოვსკის აზრი ზ. ფალიაშვილის ქართულ საგალობლებზე

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ, თავისი გამოცემანი სხვათა შორის ცნობილ მემუსიკეს ეთნოგრაფს ნ. კლენოვსკისაც გაუგზავნა. გამგეობას წერილი მიუღია ბ. კლენოვსკისაგან, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ, რადგანაც იმისი აზრი, როგორც ცნობილ მემუსიკე ეთნოგრაფისა, მეტის ყურადღების ღირსია:

„ღრმა მადლობას ვუძღვნი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც ყურადღების ღირსი გამხადა და თავისი გამოცემის ექვსი ნაწილი გამომიგზავნა.

დიდის ინტერესით გავარჩიე ბ. ზ. პ. ფალიაშვილის ნამუშევარი. ხალხურ ჰანგების შეკრება და უწყებულ მუსიკალურ ფორმებში მათი ჩამოყალიბება ადვილი საქმე არ არის. რაიც შეეხება ქართულ ხალხურ ჰანგებს, მათი შეკრება და შემუშავება მეტად ძნელია; გამმა, რომელზედაც ისინია აშენებული, არაჩვეულებრივი კონსტრუქციისა. ამის გარდა ინტონაციების ნოტებზე გადატანა ყოვლად შეუძლებელია, მიუხედავად ყველა ამისა ზ. პ. ფალიაშვილმა სძლია დაბრკოლებას და საუცხოვოდ შეასრულა დაწყებული საქმე.

სულითა და გულით ვულოცავ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას მისი მოღვაწეობის ბრწყინვალე დასაწყისს და საგაისოდაც ვუსურვებ წარმატებას ქართულ ხალხურ ჰანგების შეკრება-შემუშავებაში.

გულსავსებით ერთგული და მარად თქვენს სამსახურად განმზადებული“.

ნ. კლენოვსკი

464. სახალხო გაზეთი, 1911, 8 სექტემბერი, № 396, გვ. 1

ვასნავლი ქართულ სიმღერა-გალობას (გუნდისთვის)

მიღება და ჩანერვა 20 ენკენისთვემდის.

მონაფეებისთვის და მოხლეებისთვის სამშაბათობით სალ. 5-6 საათამდის. მუშებისთვის და ნოქრებისთვის კვირაობით დილის 8-9 საათამდის.

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11, სახლი ჩემოდანოვისა, მიხეილ კაცსაძესთან.

465. სახალხო გაზეთი, 1911, 8 ოქტომბერი, № 419, გვ. 2

ახალი ამბავი

კვირას, 9 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის ფილიმონ ქორიძის სულის მოსახსენებლად.

466. სახალხო გაზეთი, 1911, 9 ოქტომბერი, № 410, გვ. 2

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამგეობა აუწყებს ბ-ნთ საზოგადოების წევრთ, რომ დღეს, 9 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ამავე საზოგადოების დამფუძნებელ წევრის ფილიმონ ევსეის ძის ქორიძის სულის მოსახსენებლად.

467. სახალხო გაზეთი, 1911, 27 ოქტომბერი, № 435, გვ. 3

ქართული საეკ. გალობა. რამდენიმე თვეა, ტფილისის ქართული მომღერალ-მგალობელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ალ. კავსაძე, ხალხურ სიმღერებთან ერთად ამზადებს ქართულ საეკლესიო საგალობლებსაც. გუნდში მონაწილეობს 30 კაცზე მეტი და გავლილი აქვს წირვის წესი. ამ ახლო მომავალში გუნდი პირველად იგალობებს ტფილისის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიაში.

468. შინაური საქმეები, 1911, 6 ნოემბერი, №36, გვ. 4-5

კვირიდან კვირამდე

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებლად იყო მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, რომელსაც ევალებოდა ხოროს მონყოფა ეკლესიაში გალობისთვის, მაგრამ, რადგანაც მ. ვ. კარბელაშვილი თავისის მრევლის საქმეების გამო, ვერ ასწრობდა სასწავლებლის ეკლესიაში გალობის განყოფილება-გამართვას, ამიტომ დათხოვნილ იქმნა უფროს კლასებში მასწავლებლობისგან. მის ადგილზე დანიშნეს ი. კარგარეთელი. მ. ვ. კარბელაშვილი დარჩა მასწავლებლად მოსამზადებელს კლასებში.

კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედექ ნაკაშიძეს

თქვენი წერილები, რომლებიც მოთავსებულები არიან „შინაური საქმეები“-ს ამ წლის ოცდასამს და ოცდაოთხს ნუმრებში, ისე არ უდგებიან, თქვენდამი მომართულს ჩემს პატარა ბარათს,*) როგორც მდინარე სუფსა მტკვარს. ამის გამო ჩვენ შორის სადაო საგნები ისევ სადაოდ რჩებიან. თქვენ ერთი საბუთიც არ მოგიყვანიათ ქართლ-კახურ გალობის კილოს უვარგისობისა და ქართლ-კახეთში საეკლესიო გალობის გაქრობა-დაკარგვისა. მართალია, მღ. პოლე კარბელაშვილის წიგნიდან ამოღებული სიტყვებით მოგვითხრობთ, თუ როგორ დაგიბარეს 1878 წ. გურიიდან თბილისში სხვებთან ერთად და როგორ იქენით გამწესებული გალობის მასწავლებლად სემენარიაში ნაცვლად კარბელაშვილისა, მაგრამ აი სწორეთ ეს სიტყვებია, რომ ყელსა გჭრიან და მიწასთან გასწორებენ. თქვენ ვერ შეგიგნიათ, რამდენი ნაღველი, მწუხარება და უკმაყოფილებაა ჩანწული მღ. პოლე კარბელაშვილის სიტყვებში: „რადგანაც მგალობლებად აირჩიეს ნაკაშიძე, ხაფთასი და კონტრიძე, ჩვენ, ძმები კარბელაშვილები, ჩამოვეცალეთ გალობის საქმეს 1882 წლის იანვრის პირველადღე-ო.“**) კარბელაშვილის რწმენით თქვენა და თქვენი ამხანაგები აგირჩიეს მგალობლებად არა იმიტომ, რომ თქვენი გალობა სჯობდა ქართლ-კახურ გალობას, არამედ იმიტომ, რომ ასე სურდა არხიმანდრიტებს მაკარს და გრიგოლს, რომლებთაც ამ შემთხვევაში ხმარობდა იარაღად გარეშე ძალა.

ეს რომ ნამდვილათ ასე იყო, ამას კარბელაშვილი ამტკიცებს შემდეგი სიტყვებით: „1881 წ. დამლევს ჩამოველ ტფილისში, რომ გალობის საქმე როგორმე გამეღვიძებინა. 1882 წლის 1 იანვრიდამ ვინყე გალობის სწავლება სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემენარიაში და საეპარქიო დედათა სასწავლებელში. სამ თვეზე მონაფენი უკვე გალობდნენ მწუხრსა და წირვასა. გალობის საქმის საკეთილდღეოთ იმ გაზაფხულზედ უნმ. სინოდმა გამოგზავნა საქსარხოსოს სასულიერო სასწავლებლების სარევიზიოთ გალობის ტრფიალი, რუსეთის ღირსეული შვილი ს. მიროპოლსკი, რომელმაც 1882 წ. 19 მაისს ოთხშაბათს მოისმინა ჩემ მონაფეთა გალობა და სიმღერა, რისთვისაც მადლობა მითხრა როგორც მე, ისე ზედამხედველს სასულიერო სასწავლებლისას ბ. ყორდანიასა; დაგვირდა – ქართული გალობის საქმეს, რაც შემოძლია, დავებმარებო. დაპირება აღგვისრულა კიდევ. ამავე წლის აგვისტოს გასულს ქალაქი მომივიდა სემენარიის სამმართველოდან – მგალობელთა გუნდები შეადგინე სასულიერო სემენარიაში და სასულ. სასწავლებელშიო. სიხარულით შევასრულე ეს მონდობილობა. ამგვარად კვლავ აიდგა ფეხი ქართულმა გალობამ სასულიერო სემენარიაში. თუ რა კეთილად წავიდა გალობის საქმე იმ ხანად, დაამონწმებენ მაშინდელნი მოსწავლენი და მასწავლებლნი“.***) როგორ მოგწონთ, ეს „გალობის გამოღვიძება“, ქართული გალობის ფეხის ადგმა“ სემენარიაში მამა კარბელაშვილის მეცადინეობით და უნარით, თუმცა თქვენა ბრძანდებოდით გამწესებული გალობის მასწავლებლად და ხელმძღვანელად?!

იქონიეთ მოქალაქეობრივი გაბედულობა და ბძანეთ, რა ავტორიტეტი და დაფასება გქონდათ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის? თქვენ დღესაც თავი მოგწონთ და საქებურათ მიგაჩნიათ თქვენი ყოფილი მონაფეხები რომ მოგაგონებენ ხოლმე ეგზამენების დროს, ნაცვლად „მამაო ჩვენოსი“, „რომელნი ქერუბინთასი“, დასდებელის და სძილისპირებისა, რომლებსაც მათ არა გაეგებოდათ რა, როგორ ათქმევინებდით ხოლმე ქუჩურ სიმღერებს. ერთი გვიბრძანეთ, განა ესეთი თქვენი საქციელით ქართულ გალობას არა ლანძღავდით და მასხარათ არ იგდებდით? თუ თქვენი მასწავლებლობა სემენარიაში მთლად ფუჭე არ

იყო ქართული გალობისათვის, გთხოვთ დაგვისახელოთ, რომელმა სემინარიელმა შეისწავლა თქვენგან გალობა? რომელი გუნდი გააწყეთ სემინარიის მონაფეებისაგან, სად გალობდა იგი და როგორ შეხვდნენ თქვენ გალობას ქართული საზოგადოება და პრესა?

თქვენ ამბობთ: „ქართლ-კახეთის დიაჩოქების მასწავლებლათაც მე დამნიშნესო.“ შესაძლოა, მაგრამ დაასახელეთ თუგინდ ერთი დიაჩოქი კახეთელი, რომ თქვენგან „უფალო შეგვიწყალებინ“ მაინც არ დაესწავლოს. თითონ თქვენ გაგიბედნიათ კი როდისმე ქართლ-კახეთის სოფლებში გალობის თქმა?!

თქვენ იხსენიებთ, რომ თბილისის კომიტეტში, რომელმაც თქვენ აგირჩიათ მგალობლად, განსვენებული ეპისკოპოსი ალექსანდრეც ერიოა და ამითი ფიქრობთ დაგვაჯეროთ, ვითომც ხსენებული მღვდელმთავარი მომხრე იყო თქვენი. სიცრუეა, ეპისკოპოსი ალექსანდრე შეურიგებელი მონინალმდევე იყო თქვენიცა და მაკარ-გრიგორისაც. თუ ამის შესახებ კარბელაშვილის ზემოთ დასახელებულ წიგნში მოყვანილ ცნობებს არ იკმარებთ, გაისარჯეთ და გადაავლეთ თვალი ბ. ზაქ. პ. ფალიაშვილის წერილს, რომელიც ჩართულია წინასიტყვაობის მაგივრად თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოებისაგან გამოცემულ იოანე ოქროპირის წირვის საგალობლების წიგნში.

რა გნებავს დაამტკიცოთ იმითი, ბ. მგალობელო, რომ თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის წიგნიდან გადაგინერიათ რამდენიმე გვერდი? მღ. პ. კარბელაშვილი ამტკიცებს, რომ სიმღერები: „ყურშაო“, „ღმერთო, ღმერთო მონყალო“, „ბედზედ დაგნატრი ბარათო“, „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო“, „დიდება“ „ვინცა კაცია, არნანო, ჩოხა ჯაჭვია, თარნანო“ და სხ. იმ დროისანი არიან, როდესაც ქართველები ჯერ ისევ წარმართები იყვნენ და მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ ამ საერო კილოებზე საეკლესიო გალობა მოაწყესო. რა მოსატანია აქ როსტომ მეფე და ყიზილბაშების ყიყინი“?! „საიდან სადაო“, მელქისედექ! წაკითხულს გაგება უნდა და გაგებასთან კი ძალიან პირშავათ ბრძანებულხარ, ბ. ლოტბარო. თქვენ რომ ისტორიულათ გამოგეკვლიათ, რომ ჩამოთვლილი საერო სიმღერები პირველად ხმარებაში შემოვიდნენ როსტომ მეფის დროს, დიალ, ბატონო, მაშინ ხმა აღარ ამოგვეღებოდა და თქვენი დასკვნა უნდა მიგველო, მაგრამ რადგანაც თქვენ ამგვარი რამ აზრათაც არ მოგსვლიათ, სულ ტყუილათ გასჯილხართ და უაზროთ ამოგილიათ ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანის წიგნიდამ ცნობები. მართალია, როსტომ მეფემ მრავალი სპარსული ჩვეულებებით შებღალა ქართლებს ცხოვრება, მაგრამ განა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დასავლეთ საქართველოში ეკლესიური ცოდნა და ეროვნული შეგნება დულდა და გადმოდოდა? სრულებითაც არა. თვალი გადაჰკარით მარი ბროსეს ქართული ისტორიის მეორე ტომის 214 და 215 გვერდზე მოყვანილ შენიშვნებს და თქვენს გატაცებას დასავლეთ საქართველოში სარწმუნოების სისპეტაკის შესახებ ცივი წყალი გადესხმება.

ქაჯეთელი [რაუდენ ხუნდაძე]

(შემდეგი იქნება)

^{*)} იხ. „შინ. საქ.“ № 12.

^{**)} ქართული საერო და სასულიერო კილოები. მღ. პ. კარბელაშვილისა გვ. 73.

^{***)} საერო და სასულიერო კილოები გვ. 93.

კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედექ ნაკაშიძეს (დასასრული) *)

მეტად სადაო და საცილობელ საკითხს ეპოტინებით, როდესაც ამბობთ – ძველათ გუ-
რიიდან ვრცელდებოდა გალობა ქართლ-კახეთშიო. ამის საბუთები რომ ხელში გჭეროდით,
კიდევ ამოიყვანდით, მაგრამ თქვენდა სავალალოთ ასეთი არა გაქვთ რა და ამიტომ მარტო
ლიტონი სიტყვებით რიკაობთ.

მღ. პ. კარბელაშვილს თავის მეცნიერულ ნაშრომში ქრონოლოგიურათ აქვს აღნიშნული,
რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველა საუკუნეში ყოფილან სრული მგალობლები, ყოფილან
ისეთებიც, რომ მეტი გალობა სცოდნიათ, ვიდრე დასავლეთის საქართველოს მგალობლებს.**)

თუ მეჩვიდმეტე საუკუნეში გურიიში ბრწყინავდნენ იაკობ დუმბაძე და იოანე ჩხატარაი-
შვილი, სამაგიეროდ ამავე დროს ქართლს ატკობდნენ და ამკობდნენ სრული მგალობლები:
პაპუნა ყანჩაველი, არსენ დაყუდებული, საბა მგალობელი, ისაკ მგალობელი, იორამ მგალო-
ბელი, იობ ფიტარეთელი, დეკანოზი იესე ტლაშაძე, დავით მესხი, გიორგი მესხი და სხვ.***)

დაამტკიცეთ უტყუარი საბუთებით, რომ ჩამოთვლილი პირები ყიზილბაშურათ ყიყი-
ნობდნენ, რომ ეს პირები გალობდნენ არა ქართლ-კახურ კილოზე და ჩვენ ქედს მოვიხრით
თქვენ წინაშე, მანემდისინ კი ნებას ვიტოვებთ თქვენს მსჯელობას ვუნოდოთ სიცრუე.

განსვენებული ეპ. პეტრეს წიგნიდამ ამოღებული მონაბა, როგორც საერთოდ ყველა
თქვენ მიერ მოყვანილი ციტატები, არასფერს სასარგებლოს და თქვენი სახელის გამოსა-
ჩენს არ შეიცავს. ეს ალაგიც ისე უაზროთ და უხერხულათ გაქვთ მოყვანილი, როგორც ა.
ჯამბაკურ-ორბელიანის წიგნიდამ გამოკრებილი ციტატები. ყოვლადსამღვდელო პატრე აღ-
ნიშნავს მხოლოდ იმას, რაც მას უამბეს ათონის მთაზე იოანე ღვთისმეტყველის საგანის ქართ-
ველმა ბერებმა, მაგრამ დასაჯერებელი და სახეში მისაღებია ეს ნაამბობი თუ ჭორი და მოგო-
ნილია, – იმაზე იგი სდუმს და ესეთი დუმილი თქვენთვის სამსალაში ამოვლებული ისარია.
ყოვლადსამღვდელო პეტრე ძალიან კარგათ გიცნობდათ; სინამ ათონში წაბძანდებოდა, მან
მშვენივრათ იცოდა, რომ ერთ დროს თქვენ ჩაბარებული გქონდათ თბილისის სემინარიაში
ქართული გალობის საქმე; სემინარიაში რომ რამე უნარი გამოგეჩინათ გალობის სწავლებით,
განსვენებული ყოვლადსამღვდელოც ნდობის თვალთ შეხედავდა ბერების ნაამბობს თქვენ
შესახებ, ამ ნაამბობს უსათუოთ დაუმატებდა – თბილისის სემინარიაშიაც ასე სახელოვანათ
ისჯებოდა თავადი ნაკაშიძეო, მაგრამ რაკი ამისთვის მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა,
კრინტსაც არ სძრავს, თითქოს მარტო ათონის მთაზე გაიგონაო პირველათ თქვენი სახელი
და გვარი.

რაც შეეხება მაქსიმეს საბიოგრაფიო წიგნაკიდამ ამონაწერს, ეს მთლად ბაღლობაა თქვე-
ნის მხრით და მაგონებს არაკს, მელას რომ თავისი კუდი მონმედ მოჰყავდა. გადავდივარ
შატბერდის კრებულზედ, ან მიქელ მოდრეკილის საგალობლებზედ.

თქვენ, ენაწყლიანობთ და მახვილაკობით მიბძანებთ: „გამიწყრეს თქვენი ქაჯების მად-
ლი, ბატონო ქაჯეთელო, თუ მესმოდეს სიდან გამოატყვრინეთ შატბერდის საგალობლები
და მისი გასაღებები ქართულს გალობასთან, რომლის მსგავსი მე არასოდეს არავისთან არ
მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ალბათ თქვენ გსურთ ახალი სახელით მონათ-
ლოთ ქართული გალობა, როგორც კარბელაშვილებმა მონათლეს თავიანთი სიმღერების

კილოზე შეთხზული გალობა ქართლ-კახეთის კილოთი“-ო.

შატბერდის საგალობლები და გამოცყვრენა! მაშ დ. ბაქრაძე, პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანიას და ათასი სხვები სულ ცრუები ყოფილან, რომ ამ საგალობლებზე მსჯელობენ და გამოკვლევებს სწერენ, იმათაც მოუჭორავთ, იმათაც სურვებით ქართული გალობის ახალი სახელით მონათვლა!

დღეს სოფლის ერთკლასიანი სასწავლებლის მოწაფემაც იცის, რა დაუფასებელი საუნჯეა ქართული გალობისათვის შატბერდის ან მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული და შენ კი ყოყლოჩინობით მეკითხები – საიდან გამოატყვრინე ეგ კრებული ქართულს გალობასთანაო!

აქ, ბატონო მგალობელო, შენივე საკუთარი ხელით გააცამტერე და მთლათ გაანადგურე შენი თავი, ასე რომ ამის შემდეგ აღარ ღირს შენთან ბაასი, მაგრამ ნათქვამია „მტყვანს ტყუილის კარამდე ჩაჰყე“-ო და მეც ვეცდები ჩავათავო ბოლომდე სიცრუით ავსილი თქვენი წერილი.

სიცრუეა, თქვენი დარწმუნება: „მემუსიკე, რაც გინდა უმაგალითო ნიჭის პატრონი იყოს, ყოველივე მისი ცდა ქართული გალობის გასაღებების საიდუმლოების შესწავლისათვის ამაო იქნება“ და სხვ. კაცმა იეროგლიფები გაარკვია, ლურსმული წარწერები წაიკითხა და არაფერი საეჭვო არ არის, რომ ჩვენი გალობის ძველ ნიშნებსაც უსათუოთ აულებენ აზრს და, ჩვენ თუ არა, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მაინც შეეძლებათ შეუცდომელათ გარჩევა იმ ნიშნებისა, რომლებითაც აჭრელებული არიან შატბერდისა, ალავერდისა და ფიტარეთის საგალობელთა კრებულები. რასაკვირველია, ამას მოახერხებენ ისეთი პირები, როგორებიც არიან კარბელაშვილები, ფალიაშვილები, კარგარეთლები, ჩხიკვაძეები და არა თქვენი მუსიკალური განვითარების პატრონები, ბ. მელქისედექ. აღნიშნულმა პირებმა უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი ჩვენი გალობა-სიმღერის საგანძურში და თქვენ ბევრიც რომ იფხაკუროთ, ვერაფერს წაართმევთ მათ სახელებს. პირიქით, თქვენ რომ წამდვილათ გალობის ერთგული მუშაკი იყოთ, ძმურათ უნდა იყოთ მათთან გადაჭდეული. „გალობის მცოდნე პირები სამის მეტი აღარ არის მთელს ივერიაში. ახალიც აღარავინ სწავლობს, რადგანაც ქართული გალობისათვის არავითარი ჯილდო არ არის დანიშნული“ – ბრძანებთ. ამ ივერიის სამ მცოდნე მგალობელთა შორის ერთპირად, უსათუოთ, თქვენს თავსა გულისხმობთ, მეორედ – დეკანოზს დავით დუმბაძეს და მესამეთ ან დიტო ჭალაღანიძეს, ან მღ. რაჟდენ ხუნდაძეს. ყველას სამსახური გქონდათ და გაქვთ სასწავლებლებში, ყველას საკმაო ჯამაგირით გაჯილდოებდნენ შრომისათვის და არც ჯვარ-მენდლებს გაკლებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ თითონ აღიარებთ თქვენი ტკბილად მგალობელი ენით, რომ დღევანდლამდე ყველა ჯამაგირიან-ჯვარიან-მენდლიან მგალობლებს ერთი მგალობელიც არ გამოგიზრდიათ ივერიისათვის, თუმცა ყველანი ჭაბუკები აღარ ხართ და ხშირი ჭალარა გიბრწყინებთ სახეს. თქვენ, თავადო მელქისედექ, როგორც მაზრის მისიონერს, დღესაც კარგი ჯამაგირი გეძლევათ მთავრობისაგან და განა რაში უნდა მდგომარეობდეს თქვენი მისიონერობა, თუ არა გალობის აღდგენა-გავრცელებაში? რამ შეგიშალათ ხელი, რომ დღევანდლამდე სამი გურული ახალგაზრდისთვის ვერ გადაგიციათ გალობა იმ ზომით, რა ზომითაც თქვენ იცით იგი? საინტერესოა ვიცოდეთ, რა ჯამაგირს ღებულობდა ის სულით განათლებული კაცი, ვინც თქვენი თავით დაასაჩუქრა ივერია. სხვებზე არ ვამბობ, თქვენ კი, ბ. მელქისედექ, მილიონიც რომ დაგენიშნოთ, რაცა ხართ, ეგ იქნებით.

მოხარული ვარ, რომ ჩემს მოკლე ღია წერილს გაუჭრია, სინამდვილე შეგიგნიათ და თქვენს თავს კომპოზიტორათ აღარ სთვლით. ღმერთმა ინებოს, რომ ამ მეორე წერილის შემდეგ გამოგეცხადებინოთ, რა დიდ დანაშაულობას ჩასდინხართ ქართლ-კახურ გალობას რომ ყიზილბაშთა ყიყინად სთვლით. მანემდისინ კი, იცოდეთ ბატონო, რომ თქვენი მოწოდე-

ბა, „ქართველები ნუ გავიყოფით ქართლ-კახელობით და გურულ-იმერლობითო“, უაზრო წყლის ნაყვად და საზიზღარ ფარისევლობად დარჩება. მანემდინ, ბევრიც რომ გენყინოთ, ფსევდონიმს არ ავიხდი, რადგანაც ფსევდონიმების ხმარება ჩემი მოგონილი არ არის და არც რამ საძრახისი იფარვის მასში. თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ გარწმუნებთ კი, რომ ფსევდონიმს ამოვეფარე სწორედ თქვენი პატივისცემის გულისთვის, რომ თქვენ საშუალება გქონდეთ სრული თავისუფლებით და გაბედულობით გამოსთქვათ თქვენი აზრები. მოველი, რომ ტრაბახობა-სიცრუეს ჩამოეთხოვებით და არსებით პასუხს გამცემთ იმ კითხვებზე, რომლებიც წამოგიყენეთ პირველ წერილში.

ქაჯეთელი [რაჟდენ ხუნდაძე]

*) იხ. „შინ. საქ.“ №36.

**) ქართული საერო და სასულიერო კილოები, გვ. 74.

***) იქვე გვ. 75.

471. სახალხო გაზეთი, 1911, 20 ნოემბერი, № 456, გვ. 1

ტფილისის ქართულ მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებული 1919 წელსა), რომელიც აღასრულებს ეროვნულ სიმღერა-გალობას. იღებს მონაწილეობას: კონცერტებში, საღამოებში, წირვისა, ქორნილისა და პანაშვიდის საგალობლებში. გუნდის დაკვეთა და ახალ მომღერლების მიღება მიხ. კავსაძესთან სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით საღ. 5-7 საათამდე. ავჭალის მოედანი № 11.

472. სახალხო გაზეთი, 1911, 31 დეკემბერი, № 489, გვ. 2

*** * ***

გასულ კვირაში ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების კრება მოხდა. სამწუხაროა, რომ კრებას ცოტა საზოგადოება დაესწრო. მიუხედავად ამისა, კრება კანონიერი იყო. თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. ჩიმაკაძე, რომლის წინადადებით სხდომის გახსნისთანავე, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ფილ. ქორიძესა და ნ. კ. მარჯანიშვილის ხსოვნას. შემდეგ დაამტკიცეს წარსულ და მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვა, წესდების რამდენიმე მუხლი შესცვალეს და ბოლოს კენჭი უყარეს თანამდებობის პირთ: გამგეობაში აირჩიეს: იაკობ ჩიმაკაძე, გ. თუთბერიძე, ბონდო მიქელაძე, შავგულიძე, ა. ვაშაკიძე და კორნ. მალრაძე; სარევიზიო კომისიაში: მ. ამირეჯიბი, ვ. ლომიძე, ი. მაჭავარიანი; კანდიდატებათ: მ. ბოლქვაძე, ვ. შავგულიძე, ვ. აბულაძე.

კრების წინადადებით საზოგადოებამ საპატიო წევრებად აირჩიეს: მამა რაჟდენ ხუნდაძე, კონ. მალრაძე და ალ. კავსაძე.

ქართული სამღვთო წერილის შესახებ

გულახდილი აღსარება ყველას და ყველაფერში ვერ მოუხერხებია. მეც ამ რიცხვში ვარ ჩასათვლელი, მხოლოდ ერთი პირობით: რაც ქვემოთ მოგეხსენებათ, ჩემი წრფელი რწმენაა და მისი ეჭვის თვალთ განხილვა შეუწყნარებელი ცილის ნამებათ გამოდგება. შესაძლოა ვინმემ კიდევ მიკიჟინოს „ჩამორჩომილი“ და „დაძველებული“ მსოფლმხედველობის აღსარება, ან გამკიცხოს მეორემ ამჟამად გათახსირებული და აბუჩად აგდებული „პატრიოტული“ გრძნობის გამოთქმისთვის. მე მაინც ჩემსას ვიტყვი, საქვეყნოდ აღვიარებ გულში ნადებს.

მიყვარს ქართული ეკლესია, მიყვარს მისი გარეგანი გეგმაც, იქ მწყობრად მგალობელთა გუნდი და ტკბილ ხმაზე წაკითხული სამღვთო წერილი. მიყვარს ჯერ იმიტომ, რომ მხოლოდ აქ მესმის დიადი და გამომეტყველებელი მამაპაპური ენა, რომელზედაც ღვთისადმი ლოცვას ალაველენდნენ ჩვენი წინაპარნი, აღმაშენებელი მცხეთის, სიონის და გელათის ტაძრებისა. სასოების გარდა, რომელიც ავსებს ჩემს დაწყლულეულს გულს, ქართული სამღვთო წერილი მიღვიძებს ჩაფერვლილ პატრიოტულ სიამაყესაც. როცა ვისმენ სამოციქულოს კითხვას, მაშინ მაგონდება მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც თან დაჰქონდა იგი მოგზაურობის და ომიანობის დროსაც, არ გაატარებდა არც ერთ დღეს, რომ არ წაეკითხა მოციქულთა საქმენი. ჩემი ოცნება აცოცხლებს მაშინ ათასი წლის წარსულ სურათს, ვხედავ ახოვან და სახელოვან მეფეს ხელნაწერ სამოციქულოს კითხვით აღტაცებულს და მასთან ძველ საქართველოს, მორწმუნეს და მტკიცეს ეკლესიის და მამულის დაცვის საქმეში. როცა დაუფჯდომელი გაისმის ღვთისმშობლის ხატის წინაშე და სულს ეწვეთება მალამოსავით აქ ამონაკითხი სიტყვები, მაშინ ცოცხლად ვხედავ თვალცრემლიან მეფე თამარს, რომელიც მუხლმოდრეკით ჩაჰკვირვებია ლოცვანს და შეჰვედრის უფალს საქართველოს დიდებას და ბედნიერებას. როდესაც ჩემი ყური გაიგონებს ნაზად დაწყობილს „მამაო ჩვენოს“, მაშინ გამომებატება მეფე ირაკლი კრწანისის ველზე გულმხურვალედ მლოცავი, რათა ააცდინოს მამულს კარზე მომდგარი საშინელი განსაცდელი. მესმის „ქრისტე აღსდგა“ და წამსვე ვხედავ დავით გარეჯის მონასტრის ბერებს, რომელთაც ზედ აღდგომა ღამეს, ლიტანიობას, დაეცა სპარსეთის შემოსეული ჯარი და მათი უმანკო სისხლით შეღება სავანის ზღუდენი.

წყნარი და საიდუმლოებით მოცული გალობა „რომელი ქერუბიმთანი“ უცებ მაგონებს იმ მოსწავლე ბავშვებს, რომელნიც საეკლესიო სკოლაში ანგელოზის ხმაზე აღულუნებდნენ ამ ლოცვას, განსწავლულს წმ. ექვთიმეს მიერ. ვხედავ ჩამწკრივებულ ბიჭებს, ცეცხლებრივ ანთებული თვალებით, ვხედავ მათ დედ-მამას ხელაპყრობით შემავედრებულს, რათა გაუზარდოს უფალმა შვილი მამულის მცველად და კერის სანთლად. სმენად ვარ გადაქცეული, როცა დიდებულად კითხულობენ სახარებას, მკაფიო ენით გადმოთარგმნილს დაულალავი მუშაკის გიორგი მთანმინდელის ღვანლით. სტკბები კითხვის ძველებური კილოთი, აღტაცებაში მოვდივარ სამღვთო წერილის ღრმა ცოდნით და დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც ერთად ჩააქსოვეს ღირსმა ქართველმა მთარგმნელებმა. სწორედ, აი მაშინ ვგრძნობ სიამაყეს, როდესაც ვუკვირდები ამათ შეუდარებელ შრომას და ვგრძნობ, რა ნიჭით, შრომისმოყვარეობით და შეგნებით ათასი წლის წინად გადმოიღეს ქართულად ეკლესიის საჭირო და აუცილებელი წიგნები. ეს სამღვთო წერილი, რომელიც გაისმოდა ათასი წლის წინად ქართველი ერის ბაგეთაგან, შეგვრჩა აქამდის და მეოცე საუკუნის მორწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის, თა-

მარ მეფის, ირაკლის თანამედროვედ: იგივე ლოცვა იმავე ენით, იგივე გალობა იმავე ხმაზე, იგივე სამოციქულო და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქართველ საზოგადოებასთან. ჰყოფს განუწყვეტლად წარმოშობას და განვითარებას წარსულს და აწმყო საუკუნეებისას. ამიტომ მიყვარს ქართული ეკლესია, ამიტომ თავგამოდებით ღირსია დავიცვათ ძველათ ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის.

ა. ხახანაშვილი

474. შინაური საქმეები, 1912, 26 თებერვალი, №7, გვ. 7-9.

„დიდი რამ არი, ვინც იცის, წაკითხვა წასაკითხვისა“

(ილია ჭავჭავაძე)

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა უკანასკნელ კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა კითხვა იმაზე, რომ ხალხი ეკლესიაზე აღარ დაიარება და რა საშვალეა ვიხმაროთ, რომ ხალხი მივიზიდოთ ეკლესიაში. ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა ამის შესახებ.

ყველა დასახელებული მიზეზები საპატიო იყო და ყველას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ მე მხოლოდ ამ წერილში ერთ საკითხს მივაქცევ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, და აი რას. საქართველოს ეკლესიაში, რომ დღეს მნიგნობრობა, მგალობლობა, და ტიპიკონის ცოდნა დაკნინებულა, ამას ყოველი ჭეშმარიტი საქართველოს მორწმუნე შვილი გრძნობს. აიღეთ თუნდა ქალაქის და თუნდ სოფლის ეკლესია. რა გესმისთ აქ? სრულიად გადაგვარებული კითხვა, გალობა და კილო. მღვდლის და დიაკვნის ხმა სრულიად არ უდგება ერთი მეორეს: ერთი მთისკენ, მეორე ბარისკენო, რომ იტყვიან, ისეა; მათთვის არც კილო სუფევს და არც ხმის შეწყობა. როდესაც მღვდელი საიდუმლოს ლოცულობს, დიაკონი „ვაი უის“ გაიძახის უშნოთ და ულაზათოთ, თითქო სიზმარში არისო. რასაკვირველია ყველაზე არ ითქმის ეს, მაგრამ უმრავლესობა მოუმზადებელია და გულგრილათ ეკიდება საქმეს. ტიპიკონს ხომ ყოველი ეკლესიის კრებული თავის სურვილზე ასრულებს და კიდევ რომ უნდოდეს, რიგიანათ შესრულება, რომელიმე მღვდელმოქმედებისა, მაინც არ ძალუძს, რადგან მოუმზადებელია. კარგათ მომზადებული ქართულ მგალობელთა გუნდი ხომ არც ქალაქებშია და არც სოფლებში.

დიდი ხანი არ არი, რომ ერთი საპატიო პირი დაასაფლავეს. ორმოცდაათამდი მღვდელი დაესწრო წესის აგებას, დაინყეს მუხლა-მუხლათ კითხვა წესის აგებისა და რა აღმოჩნდა! ამოდენა სამღვდელოებაში, ორმა თუ სამმა წაკითხა კურთხევანი ხეირიანათ, დანარჩენი ძლიერ კოჭლობდა.

თუმც მცხრამეტე საუკუნეში თანდათან დაკნინდა საეკლესიო მნიგნობრობა-მგალობლობა, მაგრამ მაინც ბევრი იყო სამღვდელთა შორის, რომელთაც ზედმინევნით იცოდენ საღმრთო წერილი და მნიგნობრობა-გალობა. მაგ. ნიკოლოზ არქიმანდრიტი, ნიკიფორე არქიმანდრიტი, იესე დეკანოზი გიორგაძე, დეკანოზები ქუთათელაძე ნიკოლოზ, ვასილ, დეკანოზი დავით წერეთელი, მღვდელნი სიმონ და ოქროპირ ჩარკვიანები, დევიძე, დავით კაპანაძე და სხვანი. ეს უკანასკნელი ჩემი ამხანაგი იყო და უნდა აღვიარო, რომ მისი მკაფიო ჯავარიანი ხმა, მშვენიერი კილო კითხვა-გალობისა, საღმრთო წერილის კარგად ცოდნა

დღესაც ყურში ჩამძახის და როცა ეკლესიაში შევდივარ ყოველთვის შენდობას უთვლი. დღეს თუმცა სემინარიელები ბევრია სოფლათ თუ ქალაქათ, მაგრამ, ზოგიერთების გამორიცხვით, ყველა მათგანი ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებებს მოკლებულია და ეს მათი ბრალი არ არის, რადგან სასწავლებელში მათ ეს არ უსწავლიათ. სად სწავლობდნ ნინეთ საღმრთო წერილს, მნიგნობრობა-მგალობლობას? მონასტერში, სადაც უმაღლეს ხარისხამდი იყო ესევეთარი აყვანილი, მაგრამ დღეს აღარც მონასტრებშია რიგიანი მნიგნობრობა და აღარც სოფელში. როგორ შეიძლება, რომ ძველი სახელოვანი მნიგნობრობა-გალობა და ტიპიკონის ცოდნა აღსდგეს ისევ საქართველოს ეკლესიაში? როგორც ამბობენ, ალისუბნის ორკლასიანი შკოლა გელათის მონასტერში გადააქვთ. თუ ეს მართალია, აი ამ შკოლაში უნდა გაიხსნას კურსები საღმრთო წერილის კარგათ კითხვისა, გალობისა და ტიპიკონისა, სადაც ყოველი სამღვდელო, სადიაკვნო და სამედავითნო პირმა, თუნდა სემინარიელიც იყოს ეს, უნდა გაათავოს ეს კურსები. მასწავლებლები ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა უნდა მიიწვიონ კარგათ მცოდნე ხსენებული საგნებისა და რაოდენიმე ათეული წლის შემდეგ ყოველივე გასწორდება, საქართველოს ეკლესიაში გავიგონებთ მშვენიერი საღმრთო წერილის კითხვა-გალობას, რაიცა მსმენელებს მოიზიდავს ეკლესიაში. ასე უნდა იქნეს გახსნილი კურსები საღმრთო წერილისა ქართლ-კახეთის ეპარქიაშიაც.

სხვათა შორის დღეს ზოგიერთები იმ აზრის არიან, რომ ჩვენი ნასწავლი ესრეთ წოდებული ინტელიგენცია ეკლესიას გაურბისო, მაგრამ მათში კიდო მრავალი პირია, რომლებიც დიდი სიამოვნებით მოისმენენ წირვა-ლოცვას, ოლონდაც იყოს რიგიანათ შესრულებული. ამის მაგალითი მრავალია უწინ და ეხლაც. აბა ვინ იყო უწინ ილია ჭავჭავაძეზე ღრმად განსწავლული, რომლის სიტყვებითაც ეს ჩემი წერილი დავიწყე, მაგრამ როგორც მისი ნაწერებიდანაც სჩანს, ის იყო ღრმად მორწმუნე. დიმიტრი ყიფიანის გასვენებაზე ყოვლადსამღვდელო აღექსანდრეს ეწირა, წირვა ქართულად შეესრულებია მრავალი სამღვდელოს თანდასწრებით. წირვა მოუსმენია ილია ჭავჭავაძეს და მთავარდიაკვნის კარგარეთელის სახარების წაკითხვას აღტაცებაში მოუყვანია, რომელსაც „ივერიაში“ ვრცელი წერილი უძღვნა ზემოთმოყვანილი სიტყვებით. რამოდენიმე ხნის შემდეგ აკაკი წერეთელს მოუსმენია წირვა იმავე მთავარდიაკვნის თანამწირველობით და იმასაც მოსწონებია მისი ხმა და კილო. აკაკიმაც უძღვნა წერილი, მგონია „კრებულში“, ამ საგანს. მაგრამ ეს ადარებს თავის წერილში კარგარეთელს, განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის არქიდიაკონს ჯანელიძეს; თუმცა მოსწონს კარგარეთელი, მაგრამ ჯანელიძის აჩრდილს უწოდებს. მეც მახსოვს ჯანელიძე და მისი ჯავარიანი ხმა და წირვაც მომისმენია, აგრეთვე კარგარეთელისთვისაც მრავალგზის მიყურებია წირვა, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ თუმცა კარგარეთელს მძლავრი, ტკბილი და უხინო ხმა აქვს, მაგრამ ქართულ წირვაში მას გამოუდის რუსული ხმის ბგერა, რაიცა არ შეშვენის ქართულ წირვა-ლოცვას. სხვა მთავარდიაკვნებზე რომ ვიქონიოთ მსჯელობა, მათი ქართულად წირვა, ხმა და სახარების კილო ძლიერ დაშორებულია ქართულ კილოს, ჯავარიან და მკაფიოთ გამომეტყველ ხმას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეიძლება ზოგიერთებს კიდევ ეწყინოსთ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ მოყვარეს პირში უძრახე და მტერს ზურგს უკანო. მონდომება, თორემ ყოველივე გასწორდება და ილია ჭავჭავაძის სიტყვები ქება-ქებათა იქნება ჩვენი სამღვდელოებისათვის.

დეკ. ი. წერეთელი

სიჩუმე ყოველთვის თანხმობის ნიშანი არ არის

შარშან ორიოდ სიტყვით დავგმეთ ბ. სობოროს ლოტბარი და მისი ხორო. გამოვსთქვით ის აზრი, რომ ხოროს ძირიან-ფესვიანა ეჭირვება გადაკეთებო. ამაზე ვილაც ხოროსტმა პასუხი მოგვცა და ბრალი დაგდვა, ვითომ ჩვენ ნიჭის სათავეშივე ჩაქრობა გვსურდეს. მცირე პასუხის შემდეგ გავჩუმდით, ველოდით, როდის გაიფურჩქნებოდა ბ. ლოტბარის ნიჭი, როდის იხეთქავდა დაგუბებული მორევი მისი ცოდნისა და უნარისა, მაგრამ ტყუილა ჩაგვიარა ლოდინმა; ვერაფერი ამის მსგავსი ვერ შევამჩნიეთ ხოროს ცხოვრებაში, თუმცა ზოგიერთ არასასურველ პირების დათხოვნით და ახლის შემომატებით რამოდენიმეთ განახლდა ხორო. მთელი წლის განმავლობაში ერთი ხეირიანი, ერთი სასოების მომგვრელი საგალობელი არ გაგვიგონია სობოროში! შარშანდელი ჩვენი სამართლიანი გულისწყრომა აღდგომის საგალობლებმა გამოიწვიეს. გვეგონა, წლეულს მაინც აღარ გავიგონებდით ამ გალობის საცინლათ აგდებას, გვეგონა ბ. ლოტბარი ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ეს აღდგომის საგალობლები მაინც ზედმინვნით შეესწავლებია და დამსწრე საზოგადოების სააღდგომო მხიარულება სასაცილოთ არ გაეხადა, მაგრამ მოვტყუვდით. ჩვენ არ გამოუდგებით ბ. ლოტბარის და მისი ხოროს დაწვრილებით კრიტიკას. ეს არც საჭიროა, რადგან ნაკლის ჩვენება იქ არის საჭირო, სადაც გასწორების იმედია. აქ კი ყოველი გასწორების იმედი დაკარგულია. ჩვენ არ გვნამს და ათასჯერ არ გვნამს, რომ ხორო გამოკეთდეს. მხოლოდ ვსთხოვთ სობოროს ლოტბარს შეიბრალოს მსმენელი და მლოცველი საზოგადოება. თუმცა ნათქვამი კია სულ არაობას ცალი ხარი სჯობიაო, მაგრამ ჩვენ, მლოცველებს, ერთი კაი მგალობელი მედავითნის ცალფა ლილინი გვიჩვენია ოცი კაცის უთავბოლო სიცილის აღმძვრელ ღრიალს. გთხოვთ ნუ გეწყინებათ, როცა მართალს მოგახსენებთ. იცოდეთ საზოგადო სარგებლობა გვალაპარაკებს და არა რომელიმე პირადი ინტერესი. ფიცით ვამტკიცებთ, რომ სობოროში ლოტბარობა არ გვინდოდეს.

ხელი [სიმონ მჭედლიძე]

* * *

სადგური სუფსა. 1912 წლის 25 მარტი ღირსშესანიშნავია ჩვენ სუფსის მცხოვრებთა გულში, მაგრამ ის არ იფიქროთ ბ. მკითხველო, რომ მარტო იმითი იყოს შესანიშნავი რომ ხარება და ბრწყინვალე აღდგომა ერთად შეხვდა. არა! ეს ქმნილა და კიდევაც იქნება. აი ჩვენი აღფრთოვანების მიზეზი 1898წ. აწ განსვენებულის თ. ჯამბაკურ-გურიელის საშვალეებით მონოდებულ იქმნა სად. სუფსაზე ყველასაგან პატივცემული ფილიმონ ქორიძე, რომ მას ესწავლებია მსურველთათვის ნოტებზე გადაღებული გალობა. ეს განზრახვა არ დარჩენილა უყურადღებოთ და მღ. ბ. ჩ-ლმა მაშინვე შეკრიბა რამოდენიმე კაცი, რომელთაც სიამოვნებით სურვილი განაცხადეს გალობის სწავლისა, და ექვსი თვის შემდეგ მართლაც მშვენიერი გალობა ატკობდა ჩვენს ყურს. ამ ახლად გამოჩეკილ მგალობელთა გუნდში აღმოჩნდა ერთი, ყველაზედ საუკეთესოდ ცნობილი ბ. ფილიმონისაგან, გაბრიელ სარჯველაძე და სწორეთ ამ პირს ჩააბარა წინამძღოლობა ამ დანყებული საქმისა. ამ დღიდგან რამოდენიმე წელიწადს მართლაც ყურის

დამატკობელი გალობა გაისმოდა ჩვენს ტაძარში, მაგრამ შემდეგში ამ ისედაც მცირე გუნდს ბევრი ხმები გამოაკლდენ, ზოგი სალდათად წაიყვანეს და ზოგიც აქ დროებით მცხოვრებნი იყვნენ და ამრიგათ, თითქმის უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქმე, მაგრამ ბ. სარჯველაძე მაინც არ იტყვდა გულს და ის დღითი-დღე იზიდავდა გალობის სწავლის მსურველებს. აი მაგალითად, სადაც შეხვდებოდა ბ. სარჯველაძე ჟურნალ-გაზეთებში ნოტებზე გადაღებულ სიმღერებს, „მაგალითად: „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ „დელი ოდელი ოდელა“ „მოკლეს ილია“ და სხვა, ის მაშინვე მიიწვევდა თავისთან ყმანვილებს და ასწავლიდა ამ სიმღერებს. ამან იმ ზომამდე გაუღვიძა ბევრს სურვილი, რომ დღეს ყმანვილების საკმაო რიცხვი არის შეკრებილი, რომელნიც გულმოდგინეთ სწავლობენ საეკლესიო გალობას და სხვა სიმღერებს, და აი, სწორეთ ამითი იყო ბედნიერი ჩვენი ტაძარი 25-ს მარტს. სწორეთ მაღლობის ღირსია ბ. გ. სარჯველაძე. ვიმედოვნებთ, რომ მისი მაცადინობა დიდ ნაყოფს გამოიღებს.

№

477. შინაური საქმეები, 1912, 13 მაისი, №18-19 გვ. 17

ქართული საეკლესიო გალობის დამახინჯება

დ. ჩხარი. გასაკვირველია რომ სოფლად ხშირად ქართული საეკლესიო გალობა გადაგვარ-გადამახინჯებულ გზაზედ ადგია და ჩვენი მღვდლებ-ბლალორჩინები კი ყურსაც არ ათხოვებენ ხოლმე, მაგრამ რა მამების ბრალია, როდესაც სამრევლო შკოლების რევიზორები დადიან, რომლებსაც გალობის სმენა სრულებითაც არ აქვთ და უვიც მასწავლებლებს იწონებენ, და გალობის გამო, სხვაზედ მაღლა აყენებენ. შესაძლებელია ეგრეთწოდებული „ქანქარიც“ შვრებოდეს-ანონებდეს.

ერთი ამისთანა გარემოების მოწამე მე თვითონ ვარ. ამ მოკლე დროში შემთხვევით კვირა დღეს დავესწარი ს. ჩხარში და გავიგონე თუ არა, რომ იმ დღეს ადგილობრივი ქალების სამრევლო შკოლის მონაფეები იგალობებენო, სწორეთ, როგორც მოტრფიალე გალობისა, გავეშურე ტაძრისაკენ. მით უმეტეს, რომ სასულიერო კლასის მეორე მოსამზადებელიდამ დაწყებული დღემდის ქართულ და რუსულ საეკლესიო გალობაში ვარ, ხან კიდევ ვლოტბარობ. ვისმენდი რუსულ-ქართულ გალობას ეკლესიაში და სწორეთ ვერ გამეგო გალობის კილო. დავინტერესდი საიდან შეითვისა მასწავლებელმა ეს გალობა აქო და ბოლოს შევიტყვე, რომ ალისუბნის ორ-კლასიანი შკოლიდან გამოუტანია. მინდოდა გამეცნო, მაგრამ ვიცოდი, ვერ მოვითმენდი, ვეტყოდი „უძალლო ქვეყანაში ყოფილხარ და ჯონი არ დაგჭირდებათქო“ და სკანდალს ამიტყვდა. მინდოდა მღვდლის ნახვა, მაგრამ ამხანაგმა მითხრა: ისე ყავს მასწავლებელს შეშინებული მთავრობასთან ჩუმათ დაბეზლებით, რომ მისს (მასწავლებლის) შესახებ სულსაც ვერ დაბერავსო.

იმედია, ზემო გარემოებას მიაქცევს ყურადღებას ადგილობრივი მღვდელი, არ შეუშინდება მასწავლებლის დანოსებს, და ყველა ქართული გალობის მოყვარული გამოესარჩლება მას.)

მონაფე

*) შენიშვნა. გასაკვირველია, რამ მოაფიქრებია ბ. მასწავლებელს რუსული გალობა იმ ეკლესიაში, სადაც ერთი რუსიც არ შევა წელიწადში.

რედ.

ჩვენი მაიმუნობა

ღმერთმა დაგვიფაროს იმ რწმენისაგან, რომ ადამიანი მაიმუნის ნათესავათ მიგვაჩთეს, მარა ჩვენ ქართველებს მიმბაძველობაში, დიდი ნათესაური კავშირი გვაქვს მაიმუნთან! ძალიან უცბათ ვიცით ნახული და გაგონილის მითვისება, მარა თავის დღეში არ ვუკვირდებით მას, კარგია თუ ცუდი. სამწუხაროდ, მავნებელ ჩვეულებას კი უფრო ადვილათ ვითვისებთ, ვინემ უვნებელს და სასარგებლოს. მაგალითების ძებნა არ დაგვჭირდება, რადგან ახლა ისე ხშირია იგი, რომ ველარც კი ვამჩნევთ მამა-პაპურ ზნე-წესზე ვდგავართ, თუ ნაბაძულობის მორევში ვცურავთ. აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტი მაინც: რუსები რომ ჩამოვიდა ჩვენში, რასაკვირველია, რომ მათ თავისი სახელი და გვარები ჩამოყვათ. დავინახეთ თუ არა ეს, ჩვენც მათებრ მოუმატეთ ბოლოზე ჩვენს გვარებს: „ოვი“ (ეს მიბაძვა კი, თავიან-ფეხებიანათ ამერლებს ეკუთვნის საკუთრათ და რაკი ასე უყვართ ღმერთმა მოახმაროთ). შინაგანი და გარეგანი სახე ყველაფერი მოდად გადაკეთდა: ღვთის უარისყოფა, სარწმუნოების უკუგდება, წირვა-ლოცვის მიტოება და სხვა ამგვარი სულის გამწმედი ზნეობრივი თვისების უარყოფაც მოდათ გადავაქციეთ და, როცა მღვდელმთავარი საღვთო წირვას ასრულებს, იმ დროს ტაძარში მუშა ხალხი და საფლავის კარზე მიმდგარნი თუ არიან, თორემ სადა ვართ?! ბულვარი კი, რომელიც ხუთ საჟენზეა ტაძრიდან, გაჭედილია ხალხით. საღვთო და საერო საქმე, ეს არის სინმიდე, ერის აღმაფროთოვანებელი განძი, თავმოსაწონებელი სიამაყე აბურად ავიგდეთ და თვით არ ვიცით რას ჩავდივართ. ანგარიშ-მიუცემლათ არარაობის უფსკრულში მივცვივით ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ. შეიძლება ზოგს ეს სიტყვები გადაჭარბებულად ეჩვენოს და აქ ჩამოთვლილი ფაქტები მცირედ მიიჩნიოს, მარა შეცდომაა. ნათქვამია: ზღვა კოვზით დაილიაო. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენ მამაპაპათა საქები, ჩვენთვის სასარგებლო ზნე-წესი და ჩვეულება დავკარგეთ, რომ გულდასმით აღვრიცხოთ, განვიხილოთ და შევაფასოთ, ვნახავთ, რომ ბევრი რამ უძვირფასესი დაგვიკარგავს. სამაგიეროთ წყალ-წყალა ჩვეულება შემოგვიღია, რომელსაც ჩვენში ნიადაგი არა აქვს, მარა ჩვენი სასარგებლო თვისებების ამოსაფხვრელათ დიდი ძალა აქვს. ჩვენ ადვილათ ვიტყვით, რას დააკლებს ქვეყანას ქალები, რომ ბულვარებში თავზე ძრებით გულ და მკლავებ ტიტველა, თითო მტკაველ ცხვირიან პოლსაპოშკებით და შანტეკლერებით დაბორკილათ იარონო, მარა ამას ყველაფერს თავისი დამაბრკოლებელი მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბატონო. გულუბრყვილონი ადვილათ იტყვიან: დეე, ვისაც შანტეკლერებით კისრის ტეხვა უნდა, ღმერთმა ხელი უწყოსო, მარა იმათ რომ კითხოთ, ქართველი ვართო გეტყვიან და ყველას რომ ქართული სძულთ ამაზე რას მიბრძანებთ?! ყველგან და ყველა უცხო ენით ტყლიპინობს. სასირცხო და სავალალო ისაა, რომ არც ის იციან და სასაცილო ჯიყჯიყის არ ცხვენიათ! ქართულს სულ არ ლაპარაკობენო, რომ ვთქვათ სიცრუე იქნება, ქართულს ლაპარაკობენ, მარა ჭრელა-ჭრულათ, ნახევარი რუსული და ნახევარი ქართული. რაც უფრო არეული იქნება ერთმანეთში, მით უფრო „ნასტავლობის“ ნიშანია. ეს ბრალი, განა მარტო ქალებს ადევთ? არა, ბატონო, ვაჟები ამ არევ-დარევში კიდევ უფრო დახელოვნებული ბრძანდებიან... ეკლესიაში რალასა ვხედავთ?—ერთს „პაკი პაკის“ ამბობენ, მეორეს „მერმე და მერმეს“. ერთს „ლოსპოდი პომილუის“, მეორეს „უფალო შეგვინყალენს“. არხიდიაკონი ამბობს: „სიბრძნით აღემართენით!“ და იქვე მოაყოლებს: „პრიიდიტე პოკლონიმსიას“. არხიდიაკონი კი, როგორც თავის თანამდებობაში ისე გალობაშიაც კარგი ნიჭის პატრონია, მარა რაფერ გაეცეს დიდი ხნით

შამოღებულ წესს. ყველა ამგვარებს ჩვენ, ისე შევეჩვიეთ, რომ მამა-პაპური დაკანონებული რჯული გვგონია. იკითხავთ ეს არეგ-დარევა რა ამბავიაო? ეტყვიან, ეს იმიტომ, რომ აქ რუსებიც დადიან და ქართველებიცო, მარა წირვაზე, რომ მიბრძანდეთ, ნახავთ, რომ თუ ვინმეა ეკლესიაში – ყველა ქართველებია. აბა რა მიზეზიაო იკითხავთ? ფორმაა, ბატონო და განათლება, განა არ შეიძლება, როცა საჭიროა რუსული მსახურება იყოს, დანარჩენი ქართული? ვინ აიძულა ქალაქის მღვდლები, რომ ასე იქცევიან? არავინ. ვინ დაავალა ისინი, სებისკვერზე სლავიანურათ დაანერეთო, მარა წაბაძვის სურვილით ქართული წარწერიანი სებისკვერის ბეჭდები დაამტვრიეს, სლავიანური დაანერინეს ბეჭედზე, ამას აჭდევენ სებისკვერებზე და ამაზე სწირავენ! რატომ? ღმერთმა ქართული არ იცის თუ? იცის როგორ არა, ღმერთმა ყველაფერი იცის მარა, სხვისი ყველაფერი სჯობს ჩვენსას, ჩვენი არ ვარგა, და ბარემ დროთი გვირჩევნია ჩვენი ყველაფერი უარვეყოთ, იავარვეყოთ!...

ამ ღვთის ქართულის ცოდნაზე ერთი ამბავი მომაგონდა: ყოვლადსამღვდელო გაბრიელს, ერთხელ აფხაზეთის ეპისკოპოსი ესტუმრა (რუსი). ამ დროს გაბრიელთან იყო გელათის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიონ (ახვლედიანი). მას აფხაზეთის ეპისკოპოსი შეეკითხა რაღაცას. გაბრიელმა მოახსენა, ამან რუსული არ იცისო. რუს ეპისკოპოსს გაუკვირდა და იკითხა: როგორ მოხდა რომ მონასტრის წინამძღვარმა რუსული არ იცისო? გაბრიელმა გადაუთარგმნა ეს გელათის წინამძღვარს. მერმე არქიმანდრიტმა თხოვა გაბრიელს (თითქმის გულმოსულმა), უთხარი მაგასო: „თქვენ, მღვდელმთავარმა, როგორ არ იცით ის, რომ ღმერთს ყველა ენები ესმისო“. გაბრიელმა პირდაპირ ასე გადასცა ეს სიტყვები რუს ეპისკოპოსს, მან გაიცინა და უთხრა არქიმანდრიტს: „კმაყოფილი ვარ მით, რაც თქვენ მომიგეთო“. ეს ასეა, მარა ჩვენ ქუთათურ მღვდლებს და თუ გნებავთ თბილისელთაც ეს არ სჯერათ და თუ სლავიანური არ უწერიათ სებისკვერზე, ეშინიათ, რომ წაწყდენ... საწყალი ჩვენი მღვდლები! თურმე რა ცოდვა წაყვა ამ მხრით! ეს ნაწყვეტები მაგალითისათვის ვიხსენეთ და ვინ იცის რამდენი რა დავკარგეთ, რამდენგვარათ გადავგვარდით, ჩვენ კი ნორმალურ კალაპოტში ვდგავართ გვგონია. ისე შევეჩვიეთ ყველაფერს უცხოს, რომ ჩვენი საკუთარი, მამაპაპური გვგონია. ერთი მცირე მაგალითიც: „შინაური საქმეების“ მე 14 №-ში ბ. „ხელი“ ეხება სობოროს ლოტბარს და სლავიანური გალობის ვითარებას. სწუხს რომ უკეთეს მწყობრათ ვერ გალობენ რუსულ გალობას. შეგვიბრალეთ მლოცველები, კაი რუსული გალობა გაგვინყვეთო. ბ. ხელმა ძალიან კარგათ იცის, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ქართული გალობა გვაქვს და, როგორც ყოველთვის წინეთ, ისე დღესაც უნდა გალობდენ „სობოროში“. მარა იმ შეჩვევამ, რომ „სობოროდამ“ კარგი ხანია ქართული გალობა გააძევეს, მუდამ სლავიანურათ გალობენ და ქართული გალობა აღარ ისმის, ბ. ხელსაც, ამ საზოგადო საქმეზე გულშემმატკივარ ადამიანსაც კი ერთი წამით მაინც დაავინწყა, რომ „სობოროში“ მარტო რუსული გალობა არაა სავალდებულო. აკი მოგახსენეთ შეუმჩნეველათ შევეჩვიეთ ყველაფერს სხვისას და ჩვენი დავკარგეთ მეთქი?! (მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ხელი დამეთანხმება ყველა ამებზე). ეს ასეა თორემ, რომ ასე არ იყოს ქართულ გალობაზე უფრო გულმტკივნეულობას გამოვიჩინოთ, ვინემ რუსულზე, რომელიც ქართულზე ასჯერ უფრო ვითარდება ჩვენში. ჩემთვის რომ ეკითხა ვისმეს, ასე ვიტყოდი: რუსულ გალობას, როგორც არის გვარიანათ გალობენ, მარა ქართულათ, რომ სულ არ გალობენ, ეს რა ამბავია მეთქი! წინეთ თუ კანანარხი იყო გაჩაღებული ყველაფერს გალობით ამბობდენ ქართულათ, დღეს ერთი ტროპარიც რომ აღარ იციან, რა ღვთის წყრომია მეთქი?!

იოთამ თარხანიძე

* * *

ქუთაისში ამჟამად ქართული საეკლესიო გალობის კურსებია. გალობის მასწავლებლად მონვეულია სოფ. ზეგნის სამრევლო შკოლის მასწავლებელი ვარლამ გორგოძე. კურსებზე ოცდაათამდე მასწავლებელია – სულ შორაპნის მაზრიდან. მასწავლებლებს ხარჯის ფულს არ აძლევენ, ამიტომ ბევრი წავიდა და ბევრიც წასვლას აპირებს უსახსრობის გამო.

ხმა სამრევლო შკოლის მასწავლებლისა

რომ სხვა მოთხოვნილებათა შორის საპედაგოგო კურსების მომართვა უფრო საჭიროა სოფლის შკოლის მასწავლებლებისათვის, ეს მგონი, ყველასათვის ცხადია, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენი სამრევლო შკოლების მთავრობა და ხელმძღვანელები ამ საგანს ან სულ არ აქცევენ ყურადღებას, და თუ ვინიცობაა ყურადღება მიაქციეს და მოაწყვეს, გამოვა ისე მოუხერხებლად, ისე ცუდათ, რომ სარგებლობის მაგიერ ზარალს უფრო მისცემს მასწავლებლებს. ამის მაგალითს ცხადად წარმოგვიდგენს წლევიანდელი კურსები. წელს დამდეგ ივლისისათვის მოიწვიეს სამრევლო სკოლის მასწავლებლები კურსებზე, საეკლესიო გალობაში სავარჯიშოთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კურსების დამაარსებლებს არავითარი წინააღმდეგობა შედეგნილი გეგმა არ ქონიათ. ასე გასინჯეთ, ისიც კი არ მოუფიქრებიათ, თუ რომელი კილოს შესწავლა უფრო საჭირო იქნებოდა მასწავლებლებისათვის, და მაშინ დაიწყეს კითხვა, ხუნდაძის კილო გვირჩევნია თუ სხვაო, როცა კურსები უკვე გაიხსნა. განსაკუთრებით ბევრი მასწავლებლები ჩამოვიდნენ შორაპნის მაზრიდან ადგილობრივი სკოლების მეთვალყურის მ. იაკობის მუქარა მიწერილობის გამო, რომელშიდაც არის სხვათა შორის მოხსენებული: „გედლევათ ხარჯის ფულად თვეში 20 მანეთი და თუ არ გამოცხადდებით, რაც მოგივათ თქვენ თავს დააბრალეთო“; რომლის ძალით კიდევ ჩამოვედით ქუთაისში, გამოვეცხადეთ მთავრობას ხარჯის ფულის მისაღებათ, მაგრამ ასე გვიპასუხეს: „ჩვენ მხოლოდ ისინი დავიბარეთ, ვისაც სურდა გალობის შესწავლა თავის ხარჯით, ამიტომ ხარჯის ფულად ერთი კაპიკიც არ მოგეცემათო“. ამის გამო ყურები ჩამოვეყარეთ და შინისაკენ ვეშურებით. მასთან, ვუცხადებთ უკმაყოფილებას მას, ვინც ტყუილად მოგვახარჯიანა ისედაც დაღარიბებული მასწავლებლები. კიდევ არ შემოიძლია დავივიწყო ის გარემოება, რომ ერთმა საბჭოს წევრმა დაქადნით გვითხრა: „რალამც ჩამოდით, არავინ წახვიდეთ, თორემ დაისჯებითო“. ნეტავ ეს ვაჟბატონი რომელი კანონის ძალით გვემუქრება?! უმრავლესობა არ უჯერის და მიდიან სოფლისაკენ. როდის იქმნება უბადრუკ მასწავლებლებს მზის შუქი მიადგეს? ...

მასწავლებელი

მუსიკოსის მოგზაურობა ქიზიყში

ჩვენი ნიჭერი მემუსიკე და გალობის მასწავლებელი ნიკო პაატას ძე სულხანიშვილი ივლისის შუა რიცხვებში ქიზიყს ეწვია. მას განზრახული აქვს შეჰკრიფოს ძველი საეკლესიო და საერო სიმღერა-გალობები. ამჟამად იგი ფეხით სოფელ-სოფელ დაიარება. არ უდრკება არავითარ დაბრკოლებას და გაჭირვებას და დიდის ენერგიით ანხორციელებს დასახულ მიზანს.

დღეობა იქნება თუ ტირილი, ყველგან ესწრება. შეჰკრებს მოხუც ხალხს და ამღერებს, ხოლო თვით ნოტებზე იწერს. ჯერ-ჯერობით ქვემო ქიზიყის სოფლებში ჩაწერა მრავალნი უძველესი გალობანი.

ქვემო მაჩხაანში დოიკო (დავითი) მენტეშაშვილისგან გადაიღო: 1) 8 ხმის ირმოსისა „მმვენიერმან იოსებ“, 2) აღდგომის ირმოსი. ამავე სოფელში, როდესაც მიცვალებულს გამოასვენებდნენ, მოზარე დედაკაცისგან გადაიღო ნოტებზედ ტირილი „ზარი“ (სოლო).

ზემო მაჩხაანში არავინ აღმოჩნდა ძველი სიმღერების მცოდნე.

არბოშიკში მედავითნე ბალაშვილისა და მჭედლიშვილისაგან გადაიღო 1) 5 ხმა ირმოსისა, 2) „მრავალჟამიერ“ პარაკლისისა. შემდეგ, ამ სოფლიდან, ალადაშვილების დახმარებით, სხვა სოფლებისაკენ გაემგზავრა. სოფელ ოზაანში და ცლუნკანში მომღერლები არ აღმოჩნდნენ.

ხირსაზე (ტიბაანში), სადაც მდებარეობს 7 საუკუნეში აღშენებული წმინდა სტეფანეს მონასტერი, აღმოჩნდა მოხუცი არქიმანდრიტი სვიმონი, ვისგანაც გადაიღო: 1) სახარების კითხვის ძველებური კილო, 2) 1 ხმა ირმოსისა.

გურჯაანში ეწვია ამ ჟამად ქიზიყში მყოფ ა. შანშიაშვილს, სადაც დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული. აქვე ნიკო სულხანიშვილის პატივსაცემად მცირე ნადიმი იქნა გარდახდილი. ნიჭირემა მემუსიკემ თავის „პატარა კახიდან“ იმღერა სხვადასხვა არიები. მისმა ჰანგმა ძველი ქართველები ააცრემლა.

მეორე დღეს მოხუც ბეჟანა (დავითი) მატიამვილისგან გადაიღო: 1) უძველესი ეკლესიური „მრავალჟამიერი“, 2) „წმიდაო, წმიდაო“, ვასილი დიდის წირვის დროს საგალობელი, როდესაც მღვდელმთავარი არის მწირველი და 3) თვითხმოვანი (самогласный) „ხორციტა მიიძინე“.

აქედან ნიკო პაატას ძე სულხანიშვილი სხვა სოფლებისაკენ გაემგზავრა. იმედია სხვა სოფლებშიაც ხელს შეუწყობენ ამ დიდებული აზრის განსახორციელებლად.

დამსწრე

პასუხად ბ. მონაფეს

შინაური საქმეების №18, და 19. ბ. მონაფის წერილია მოთავსებული, რომელშიაც ეხება საზოგადოთ ქართული გალობის მდგომარეობას შკოლებში და განსაკუთრებით, მე, ჩხარის საქალბო შკოლის მასწავლებელს.

ქართული გალობა, რომ კარგათ არ არის დაყენებული ჯერჯერობით ჩვენს შკოლებში, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაიცა შეეხება ამ საგანს იმ შკოლაში, სადაც მე ვმსახურებ,

გალობის საქმე, რომ თავის ქებათ არ ჩამომერთოს, რაც მოსახერხებელია, კარგათ არის დაყენებული და იმ კილოზე სწარმოებს, რომელიც საზოგადოთ მიღებულია სამრევლო საეკლესიო შკოლებში; ამ გარემოებას გარდა მეთვალყურეებისა, ადგილობრივი გამგისა, სხვაც ბევრი დამიმონმებს, ვისაც კი ჩემდამი რწმუნებულ შკოლაში შემოუხედაია.

რაც შეეხება რუსულ-ქართულ გალობას ეკლესიაში, უნდა მოვახსენო ბ. მონაფეს, რომ მე ჩემი ახლო მთავრობის ბრძანებას გვერდს ვერ ავუვლი. შესცვალეთ საზოგადო წეს-წყობილება ჩვენი სახალხო შკოლებისა და მაშინ მოსთხოვეთ მასწავლებელს მხოლოდ ქართული გალობა. მიკვირს, რატომ მხოლოდ ჩემზე გამოილაშქრა ბ. მონაფემ, როდესაც ჩემს მგალობელთა გუნდს „რომელი ქერუბიმთასა“ და „შენ გიგალობთ“-ის მეტი არ უთქვამთ რუსულათ, ხოლო მეორე გუნდი კი რომელსაც შეადგენდა ადგილობრივი სამინისტრო შკოლის მასწავლებელი თავისი მონაფეებით, სულ რუსულათ გალობდნენ.

დაბეზლების შესახებ მე პირადად არაფერს ვიტყვი, ბ. მონაფევ და ვსთხოვ ადგილობრივ გამგეს, იხმაროს მოქალაქობრივი გაბედულობა და მოურიდებლად განაცხადოს, თუ ვისთან და ან რაში გამოიხატება ჩემი მატებლობა.

მასწ. იონა გაბეხაძე

483. სახალხო გაზეთი, 1912, 18 ნოემბერი, № 753, გვ. 2

მედავითნეთა კურსებზე, დარიის მონასტერში ქართულ გალობისა და მუსიკის მასწავლებლად მიიწვიეს ნ. პ. სულხანიშვილი.

484. შინაური საქმეები, 1912, 16 დეკემბერი, № 44, გვ. 12-13

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთის „შინაური საქმეების“ უმახლობლეს ნუმერში მოათავსოთ ეს ჩემი საპასუხო წერილი.

„შინაური საქმეების“ 34 ნუმერში მოთავსებულია მასწავლებლის იონა გაბეხაძის საპასუხო წერილი ამავე გაზეთის 18-19 ნუმერში დასტამბული ბ. მონაფის წერილზე ჩხარში გალობის დამახინჯების შესახებ. ჩემი მხრით, როგორც ადგილობრივი მღვდელი და შკოლების გამგე, ორთავეს ვუპასუხებ შემდეგს:

მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ ჩხარის შკოლებში და ეკლესიაში ქართული გალობის საქმე კარგათ დამეყენებია და კიდევაც მოვახერხე – უვარგისი გამოვაცვლევი და ქართული გალობის კარგათ მცოდნე მასწავლებელი დავანიშნე. მაგრამ სამწუხაროთ, დიდხანს არ შეარჩინეს ჩხარის შკოლას ეს მასწავლებელი. საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, იგი გადაყვანილ იქმნა ბაღდათის შკოლაში, რადგან, როგორც საბჭოს დადგენილებაში სწერია, „ბაღდათის შკოლას გალობის კარგათ მცოდნე მასწავლებელი ესაჭიროება“.

ჩემი მხრით არც სიტყვა და არც კალამი არ დამიზოგავს, რათა გაეუქმებიათ ეს შეუფერებელი დადგენილება; ან იგივე მასწავლებელი დაეტოვებიათ ჩხარის შკოლაში და ან სხვა, საგნის მცოდნე პირი გამოეგზავნათ. ვარწმუნებდი, თუ ბაღდათის შკოლას ესაჭიროება კარგი მასწავლებელი, ჩხარის შკოლასაც კარგი სჭირია-თქო. მაგრამ ამათ! რაც დასწერეს, აღარ წაშალეს და მით ერთ შკოლას დედობა გაუწიეს და მეორეს დედინაცვლობა.

აქ საჭიროთ მიმანია აღვნიშნო, რომ მოხსენებულ დადგენილებაში არავითარი წილი არ უდევსთ მეთვალყურეთ: ბ. ავერკიევს და მ. გველესიანს.

გადაყვანილი მასწავლებლის მაგივრათ გალობის მასწავლებლათ დანიშნეს ი. გაბეხაძე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ძლიერ ნაკლები გალობის მასწავლებელი გამოდგა. ბ. გაბეხაძის გალობა არ შეეგუება ქართული გალობის არც ერთ კილოს. იგი არის უშნო – უსიცოცხლო, მშრალი და წარმოადგენს უღაზათო ხმის გაგრძელებას და ანეგ – დანეგვას. ეს ნაკლი მეთვალყურე მ. გველესიანმაც შენიშნა და თავის სარევიზიო წარწერაში კიდევ გააფრთხილა, რომ ნაკლი გაასწოროს. ურიგო არ იქნება, რომ ბ. გაბეხაძე შეეცდებოდეს ამ ნაკლის შევსებას, თორემ თავის თავის ქებით მარტო თავის თავს მოატყუებს და სხვას ვერავის.

რაც შეეხება ეკკლესიაში რუსულ გალობას, ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: გაზეთში აღნიშნულ დროს, წირვის წინ ჩემთან საკურთხეველში შემოვიდა ბ. გაბეხაძე და მთხოვა რაც მოწაფე ქალებმა ქართულათ არ იციან წირვის ნესში, რუსულათ ვაგალობებო. მეც ნება დავრთე და რაც ქართულათ არ იცოდნენ, რუსულათ იგალობეს, როგორც ქალებმა, ისე სამონასტრო შკოლის მოწაფე ვაჟებმა.

რომ ეს ასე იყო, ამას ბ. გაბეხაძეც აღნიშნავს თავის საპასუხო წერილში, მაგრამ ძლიერ მიკვირს, რომ ამასთანავე ბ. გაბეხაძე იმავე წერილში ამბობს, ვითომც მთავრობა ავალებდეს მას რუსულ გალობას. ადგილობითი ეკკლესიის უმახლობელესი უფროსი მე ვარ და თუ მთავრობა რაიმე ამგვარ განკარგულებას ინებებდა, უსათუოთ მე მომივიდოდა იგი, მაგრამ არც საეპარქიო მთავრობისაგან, არც საეპარქიო საბჭოსაგან და არც მეთვალყურეთაგან ამის მსგავსი არა მიმიღია, არც წერილობითი და არც სიტყვიერი. ამის შემდეგ კარგი იქნება, რომ ბ. გაბეხაძე გვიპასუხებდეს, რომელმა მთავრობამ უბრძანა მას ქართულ ეკკლესიაში რუსული გალობა?

ყოველივე აქ დაწერილს შემდეგ შეიძლება კიდევ ვინმე შიშობდეს, რომ ჩხარი გადაგვარების გზაზე იყოს დამდგარი. თუ ამის შიში ვისმეს გაქვსთ, მაშინ „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი, ნუცა ეშინინ!“ გრწმენინ რამეთუ ის იყო ის შემთხვევა, რაც გაზეთში დაინერა და შემდეგ კი ჩხარის ეკკლესიაში მოწაფე ქალების გალობა აღარ გვსმენია, მაგრამ მარტო რუსული კი არა, არამედ ქართული გალობაც აღარ გაგონილა. რატომ? მიტომ, რომ ბ. გაბეხაძემ კარგათ იგრძნო, თუ რა უკმაყოფილო დარჩა მლოცველი საზოგადოება მისი დამახინჯებული გალობით; კარგათ იგრძნო, რომ იგი თავის ადგილზე არ არის და დადუმება არჩია. რაზომ დამახინჯებულია ჩხარის შკოლაში გალობა, ყოველივე ეს ნათლათ დაინახა უკანასკნელი რევიზიის დროს მაზრის მეთვალყურე მ. იაკობ გველესიანმა და აღგვითქვა ამ ნაკლის ახლო მომავალში გამოკეთება, რითაც დიალაც ვნუგეშობთ და იმედიც გვაქვს, რომ სიტყვა საქმეთ იქცევა.

ბ. მოწაფეს საიდგანლაც გაუგია, ვითომც ბ. გაბეხაძეს მთავრობასთან დაბეზლებით დავეშინებო. ქუჩაში აკრეფილი სიტყვების დაჯერებას, ბ. მოწაფევე ისა სჯობდა ჩემთვის გეკითხათ და მეც გვიპასუხებდით, რომ ბ. გაბეხაძეს დაბეზლებით არ დავუბეზლებივარ. მაგრამ კიდევ რომ დავებულებიე, თუ რამე სიმართლეს იტყოდა, რაღას ვემართლებოდი და თუ დაბეზლებას ცრუ ფაქტებზედ ააშენებდა, მაშინ ხომ იცით, სიცრუეს მოკლე ფეხები აბია, შორს ვერ წავა კაცი სიცრუით, მალე დაიჭერენ და მერე მართალსაც აღარ დაუჯერებენ. ამნაირათ, ცრუ მაბეზლარა თავის თავს უფრო ავენებს, ვინემ სხვას.

მღვდელი იასონ აბესაძე

მაქსიმე როსტომის ძე შარაძის ხსოვნას

(† 26 თებ. 1908 წ.)

„რაც სათნოება, უმაღლესი ზნეობა,
დიდი გრძნობა სიყვარულისა
ერსა ჰქონდა ძველად შეთვისებული,
მემკვიდრეობის კანონით, თითქო
მაქსიმეში გამოიხატა, მაქსიმეს
ჰქონდა შემოსილი“ (გრ. ყიფშიძე)

არიან ადამიანები, მათი რიცხვი ძალიან მცირეა, და რადგანაც ამასთან ერიდებიან „ერდოთა და უბანთა ზედა“ გამოცხადებას, ამისთვის ისინი თითქმის უჩინარნი ხდებიან. ცოტა ლაპარაკი და ბევრი საქმე, – აი ორი სიტყვით ხასიათი ამ ადამიანების მოქმედებისა, ქვაკუთხედი მათი ჩუმი, მაგრამ მრავალნაყოფიერი ცხოვრებისა. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის მაქსიმე როსტომის ძე შარაძეც. სულ მცირე თითებზე ჩამოსათვლელ პირებში თუ იციან ჩვენში, ვინ იყო მაქსიმე. თუ არ ვცტები, ჩვენი ცხოვრების მატრიანეში ხეირიანი ნეკროლოგიც არ მოთავსებულა ამ იშვიათი ადამიანის შესახებ. ნამდვილად კი, მე მგონია, მაქსიმემ საკმაოდ დაიმსახურა საპატიო და ღირსეული ადგილი საქართველოს ერთგულ და უკვდავ მუშაკთა შორის, განსაკუთრებით დაუფინყარი ღვანლი და სამაგალითო მსხვერპლი შესწირა მან საქართველოს უპატრონო და განცამტვერებულ ეკკლესიას. ვინ იყო მაქსიმე? რა მოიმოქმედა ამ უჩინარმა ადამიანმა? მოგახსენებთ მოკლეთ.

არა ერთი და ორი ზეგარდმო მადლით ცხებული ადამიანი მოუცია გურიის პატარა, მაგრამ კურთხეულ და მარად მკვირცხლ კუთხეს. მაქსიმეც გურიაში დაიბადა, ს. ენერში. ამბობენ, რომ მაქსიმეს პატარაობიდანვე არაჩვეულობრიობა ეტყობოდა. მაქსიმეს დედა ღრმად მორწმუნე ქალი ყოფილა და ტკბილ ძუძუსთან ერთად ამ კურთხეულ დედას უმანკო სარწმუნოებაც ღრმად შეუსისხლხორცებია თავის საყვარელი შვილისთვის. „ხშირად მოეფარებოდა პატარა მაქსიმე დედას თვალთაგან და სახლის ერთ-ერთ ყურეში დაიჩოქებდა, ალაპყრობდა თვალებსა და ხელებს მალლა და ლოცულობდა. იმისი ლოცვა ეს იყო თურმე: ღმერთო კაი ჭკუა მომეც და კაი კაცი გამომიყვანეო. ძალიან ხშირად გაეპარებოდა ხოლმე დედას, რომ მარტოდმარტო ელოცნა. დაუწყებდა დედა ძებნას, მიიბრუნდა ბავშვებში, იქ ხომ არა თამაშობსო. მაგრამ იქ ასე უპასუხებენ: იმას ჩვენთან თამაშობა არ უყვარსო. ერთხელ დედამ ყური დაუგდო, აბა, სად იმალება ბავშვიო; მაქსიმე ჩვეულებისამებრ ჩუმად თურმე გაიპარა და დაიწყო ლოცვა. დედამაც დაინახა, – ბავშვი დაჩოქილია და ლოცულობს. მეტისმეტის სიხარულით თავი ველარ შეიმაგრა და ტირილი მოუვიდა“ (იხ. მაქსიმეს ბიოგრაფია, მისი ამხანაგებისგან შედგენილი თბ. 1909 წ. გვ. 10). ცხრა წლის მაქსიმე სოფლის სასწავლებელში შეუყვანიათ. სწავლაში სამაგალითო გულსმოდგინებასა და ნიჭს იჩენდა. ასე წარმოიდგინეთ მასწავლებელს სასტიკად უცემია, რადგან მაქსიმე ხშირად შესჩივლებდა დედას, მასწავლებელი იმდენს არ მასწავლის, რამდენის სწავლაც შემიძლიაო. სამწუხაროდ, სიღარიბემ ნება არ მისცა მაქსიმეს ნიჭს, ფართო სწავლის მიღების სრულად გამოემყლავნა თავისი იშვიათი სიღიადე. ვისაც უნახავს მაქსიმე რჩეულ ადამიანთა ნიშნით აღბეჭდილი ურვეუ-

ლო გამომეტყველება, ვისაც ერთხელ-ორჯერ მაინც მოუსმენია მაქსიმეს ღრმა და მიმტაცო ბაასი, მისთვის უეჭველია, რომ ეს ადამიანი ბევრი რამის აღმთქმელი იყო, გარემოებას რომ არ შეეკრა მისთვის დამთავრებულის უმაღლესი სწავლის მგზნებარე წყურვილი. მაქსიმეს მდიდარი ბუნება ამით მაინც არ ჩამჭანარა. ცხოვრების პირობებით სწავლის გზა-მოჭრილი, სიღარიბით შებორკილი, მაგრამ დიადი ბუნების, ძლიერი სულის და ზღვა ენერჯის პატრონი მაქსიმე ანგრევს ყოველსავე დაბრკოლებას და ძლევამოსილად გამოდის რჩეულ გმირთა სამოღვაწეო გზაზე. სოფლის სასწავლებელდამთავრებულმა მაქსიმემ ჯერ ოჯახში მამასთან მუშაობას მიყო ხელი. მდიდარი ბუნება კი არ ასვენებდა მას და უფრო ფართო, მნიშვნელოვან ასპარეზისკენ იწვევდა, და აი კიდევაც, ერთ დღეს, შინაურთა შეუმჩნეველათ მაქსიმე სტოვებს სამშობლო კერას და თფილისისკენ ფეხით მიემგზავრება. ნათესავებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ. მკვდრად ჩასთვალეს და გამოიტირეს კიდევაც. ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმე სწერს ნათესავებს: „ნათესავებო! მე დღეის შემდეგ ამ ქვეყანაზე აღარა ვარ, ყველამ მკვდრად ჩამთვალეთ, რადგან, ღვთის შენეებით, საიქიო ცხოვრების გზას დავადექი. თქვენს თავს უპატრონეთ. ჩემი იმედი ნულარა გაქვთ. მაქსიმე. წერილს ზედ ეწერა: „წერილი საიქიოდან“.

მეოთხმოცე წლების პირველი ხანებია. მაქსიმე თფილისშია უბრალო მოსამსახურედ. იქიდან იწყება მისი თავგანწირული მოღვაწეობა. რა სურდა ამ უჩვეულო ყმანვილს? რით იყო გატაცებული? დაუგდოთ ყური მისი ბიოგრაფი-ამხანაგებს: თავისუფალ დროს მაქსიმე სულ კეთილ საქმისათვის ზრუნავდა. საღმრთო წერილს კითხულობდა და სხვებსაც უკითხავდა. ბევრი ნაცნობი და მეგობარი შეიძინა. ყველა თაფლივით ეტანებოდა მაქსიმესგან საღმრთო წერილის კითხვას და ტკბილ ქადაგებას. მისი პატარა ოთახი ყოველ საღამოთი სავსე იყო ხალხით. ვეღარც კი ეტეოდნენ, იმდენი იყვნენ მსურველნი საღმრთო წერილის სწავლისა და სახარების სიტყვების მოსმენისა. თუ სადმე ქალაქში წმიდათა ცხოვრების წიგნები იშოვებოდა, უყიდავი არ გაუშვიათ. სულ ყველას სხვადასხვა წიგნი მოქონდა და კითხულობდნენ. ამ წიგნებს იქვე ინახავდნენ. ხანდახან იმდენი ხალხი შეიკრიბებოდა საღმრთო წერილისა და ქადაგებების სასმენელად, რომ სამი იმისთანა ოთახიც არ ეყოფოდათ; მაშინ მინდვრად გავიდოდნენ ხოლმე.

მაქსიმე ძლიერ გახარებული იყო. ხალხში ისე ღმობიერად კითხულობდა ქადაგებას, სახარებას და წმიდათა ცხოვრებას, რომ ცრემლს ვერ იმაგრებდი. კვირა-უქმე დღეს, მღვდელის ნებართვით ეკლესიებშიაც უკითხავდა ხალხს სხვადასხვა ქადაგებას. ერთხელ მაქსიმე ბილიარდის მოთამაშებთან შევიდა და უთხრა:

– აბა, ძმებო, გთხოვთ ყური დამიგდოთ, ერთი რამ კაი ამბავი უნდა წაგიკითხოთ.

თამაში შეაჩერეს და მაქსიმემ დაიწყო წმ. გიორგის ცხოვრების კითხვა. – ისეთს ღმობიერებაში შევიდნენ მოთამაშენი, რომ ყველამ ტირილი დაიწყო, სათამაშო ჯოხები დაყარეს და მაქსიმეს აღარ მოშორდნენ, თან გაყვნენ, ბინა ისწავლეს და სხვებთან ერთად ისინიც საღამოობით იკრიბებოდნენ (22-23). ადგილი ნებას არ მაძლევს განვაგრძო დამატყვევებელი სურათები მაქსიმეს ამ დროის ცხოვრებიდან. მკითხველს არა მჯერა, რომ ასეთი ადამიანი ჩვენს დროში ცხოვრობდა, არა მჯერა და ოცნება მგონია ეს პირველ ქრისტიანეთასებური (sic) აღმაფრენი სახეები. და ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ მოხდა. უბრალო, უსწავლელმა ადამიანმა შესძლო ის, რასაც დღეს „მისიონერთა“ ლეგიონები ვერ ახერხებენ. ვინ იცის, ეს ლეგიონები რომ არ იცავდნენ ქრისტეს, ეგებ უფრო ნათლად დაინახოს ხალხმა ქრისტე მაცხოვრის ციურ უბრალოებით და წარმტაც სიდიადით გაბრწყინებული სახე.

მალე ჩვენში მაქსიმეს გარშემო თანამგრძობთა მრავალრიცხოვანი წრე შესდგა. ასეთ წარმატებით გამხნეებული მაქსიმე შეუდგა წრის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. მან განიზრახა უფასო სასულიერო სამკითხველოს დაარსება. საგულისხმოა მაქსიმეს საუბარი

ამ საქმის გამო საქართველოს ექსარხოსთან. – „თუმცა დიდის სიხარულით ვეგებებით ამ თქვენს კეთილ საქმეს, ეუბნება ექსარხოსი, – მაგრამ თქვენ უსწავლელი ხალხი ხართ; ამიტომ ძალიან მეშინიან, ვაი თუ იმისთანა ნასწავლი კაცი შემოვიდეს თქვენთან, რომელიც დაგინყებთ სარწმუნოებაზე სჯას და თქვენის გამოუცდელობით ურწმუნოების გზას დაადგეთ.“ მაქსიმემ მიუგო: „ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, ნამდვილი ბრძანება არის, არიან იმისთანა ნასწავლნი, რომელთაც დაუხმავთ სასუფევლის კარი, თვითონ არ შედიან და შემავალთაც აყენებენ, რომ არ შევიდნენ.“

ჩვენ ახლავე ვიცით, რომ ამისთანა უმეცარი ნასწავლი კაცი ბევრი გამოგვიჩნდება, მაგრამ უფალმა გვიბრძანა, არ ვინვრთიდეთ სიტყვის საგებელად: მაშინ სული წმიდა არს მეტყველი და მე მოგცე პირი და სიბრძნეო. ჩვენ უნდა გვეკონდეს საქმით შემკობილი მტკიცე ჭეშმარიტი სარწმუნოება და „ყოველივე შესაძლო არს მორწმუნისა მიერ“. სადაც შეიკრიბება ორი ან სამი სახელითა ჩემითა, მე მათ შორის ვარო. მნამს, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, რომ სადაც ღმერთი არის, სიბრძნეც იქ არის“.

ექსარხოსმა ნებადართო სამკითხველოს გახსნისა და ზედამხედველად დეკანოზი პეტრე კონჩოშვილი დაუნიშნა (შემდეგ ეპისკოპოსი).

სამკითხველო წრის წევრთა ხარჯით ინახებოდა. მალე სამკითხველოსთან მოაწყვეს გალობის სწავლაც. გალობის მასწავლებლად მოიწვიეს სხვათა შორის თ. მელქისედელ ნაკაშიძე. მაქსიმემ ისე შეითვისა მოკლე ხნის განმავლობაში ქართლ-კახური და იმერული კილო, რომ მალე თფილისის სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებლად დანიშნეს. ამავე დროს მაქსიმე ილია ჭავჭავაძესთან მუშაობდა „ივერიის“ ეკსპედიტორად (1886-1900 წ). 1891 წელს მაქსიმე ამხანაგთა დახმარებით აარსებს სტამბას. მისი მიზანია ზნეობრივ-სარწმუნოებრივ წიგნაკების ბეჭდვა და ხალხში უფასოდ გავრცელება. გააჩაღეს მუშაობა სტამბაში, მაქსიმე თვით თარგმნიდა რუსულით სხვადასხვა ზნეობრივ შინაარსიან წიგნებს (მას სულ უთარგმნია და შეუდგენია 80-მდე წიგნაკი). ლებულობდა აგრეთვე სხვებისაგან მიწვდილ ამგვარივე შინაარსის ხელთნაწერებს, შეუწყვეტლად ბეჭდავდა და ათასობით არიგებდა ხალხში. ეს ცოტაა. გამოიწერა რუსეთიდან ნოტების ასოები (მგონი პირველად შემოიღო საქართველოში) და გაბრიელ ეპისკოპოზის ნებართვითა და კურთხევით მიყო ხელი იმ საგალობლების ბეჭდვას, რომლებიც იმერეთის სამღვდელოების ხარჯით იყო გადაღებული, მაგრამ მტვრის საჭმელად მიგდებულნი.

როგორც დრო მოდიოდა, ისე მაქსიმეს ძმობის საქმე უფრო და უფრო ფართოვდებოდა. „ძმობამ“ შეიძინა საკუთარი ჩინებული სახლი მოსკოვის ქუჩაზე, სტამბაც შიგ მოაწყო და შესამჩნევად გააფართოვა. ძმობის წევრებმა მაქსიმეს თაოსნობით ასეთი პირობა დასდვეს ერთმანეთთან: ძმობის ქონება არავის გადაეცეს კერძო საკუთრებად. ძმობის თითოეული წევრი უანდერძებს თავის წილს ძმობასვე, ვიდრე ძმობის ქონება არ გადაეცემა ისეთს საღმრთო დანესებულებას, რომელიც განაგრძობს „ძმობის“ მიზანს.

საოცარმა ჯაფამ უდროოდ მოსწყვიტა წელი რკინის ენერჯის მექონ მაქსიმეს. მღევ-გმირული მუშაობა, დაულალავი ზრუნვა ვერ აიტანა მისმა მოსვენებაუნახავმა სხეულმა. 1901 წ. მძიმე ავათ გახდა და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მიაბარა თავისი უმანკო და მოღვაწეობით შემკობილი სული ღმერთს 1908 წ. 26 თებერვალს.

აი ვინ იყო მაქსიმე. აი რა შეძლო ყოვლად უქონომ, მაგრამ სულით მდიდარმა და კეთილ-მისწრაფებით მგზნებარე ადამიანმა. ჭეშმარიტად არარაისგან მან საოცარი საქმე დაატრიალა, საცვიფრო ნაყოფი გამოიღო და ამავე დროს ნათლად გვაჩვენა, საქმით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენში ჩვეულებრივი წუნუნი და უსაქმობის გამართლება უღონობითა და უქონობით მხოლოდ სულით დაქუცმაცებულ და ცეცხლჩამქრალი ადამიანის ფსიხოლოგიაა. სამწუხაროდ, ჩვენში ბოლო რას ქონია, რომ მაქსიმეს დაფუძნებულ საქმეს მისცემოდა. სანამღ

მაქსიმეს ძლიერი სული თავს დასტრიალებდა „ძმობას“, იგი მკვიდრ ნიადაგზე იდგა. მოკვდა მაქსიმე და ძმობის საქმეც ჩქარი ნაბიჯით უკან გაექანა. ამხანაგებმა ვერ გამოიჩინეს ნების სიმტკიცე და ერთხელ დასახულ მიზნის ერთგულება და მაქსიმეს ნაჭირნახულები საქმე მსწრაფლ დააქციეს და გაანიავეს, თითქო მაქსიმეს სიკვდილს შეეყურებდნო. მაქსიმეს შემდეგ ძმობის ქონების ბატონ-პატრონად ზემოსხენებულ ანდერძის ძალაან (sic) მისი ორი ამხანაგი დარჩა. მთელი ქონება მათ მალე შუაზე გაიყვეს. ერთმა მათგანმა ცოლი შეერთო და ძმობის ეზოში ლამაზად ჩაესახლა, მეორეს კი თავისი წილი სტამბა ძმისწულებისთვის გადაუცია საწარმოოდ.

მაქსიმეს ღვანლი? ძმობის ანდერძი? კარგი, ამხანაგობის წევრებს უფლება აქვთ თავიანთი წილი, როგორც უნდათ ისე მოიხმარონ. გამონირვა შემწირველის ზნეობრივ საზომის საქმეა და ამის შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ რა იქმნა მაქსიმეს წილი? ნუთუ არაფერი ერგო იმ კაცს, რომლის ღვანლითა და სისხლის ოფლით აღმოცენდა „ძმობა“ მთელი მისი ქონებით, და რომლის საფლავს დღეს უბრალო ძეგლიც არ ფარავს, ასე რომ დღეს თუ ხვალ მისი კვალიც წაიშლება, მაქსიმეს ღვანლი, მისი მსხვერპლად შეწირული ცხოვრება, მისი საღმრთო ანდერძი აბელისებურად ღალატებს მის ამხანაგების წინაშე და ვუსურვებთ მათ შეისმინონ ეს სამართლიანი ღალადი. ხოლო შენი კი საუკუნოთ იყოს ხსენება, პატიოსანო ადამიანო და იშვიათო მუშაკო მაქსიმე. სწუხს შენი სული, რომ შენი დიდი მცნება შენმა მემკვიდრე-ამხანაგებმა ვერ დაიტიეს. შენ მარტო არ გწვევია ასეთი ბედი. ასე სწუხან ყველანი დიად აზრების გმირნი და მსხვერპლნი.

ონოფრე მწირი [ონოფრე ისლამის ძე შუშანია]

486. კლდე, 1913, 14 აპრილი, №16, გვ. 8

უკანასკნელი ამბები

აღდგომის კვირაში თბილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, ემგზავრება კონცერტების გასამართავად დასავლეთ საქართველოს ქალაქებში: ჭიათურას, ქუთაისს, ბათუმს, და სხვ. გუნდში მონაწილეობას იღებს 25 კაცი ეროვნული ტანსაცმელებით.

487. კლდე, 1913, 19 მაისი, №21, გვ. 16

ბიბლიოგრაფია

ახლად დაარსებული მიხეილ კავსაძის მიერ „თბილისის ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ პირველად ჰმართავს კონცერტს სახალხო სახლში კვირას დილით 26 მაისს 1913 წ. გუნდში მონაწილეობს 10 კაცამდე; გამონყობილი იქნება ეროვნულ ტანისამოსში (ჩერქეზულად) და შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. სხვათა შორის, იქნება შესრულებ-

ბული რაჭული სიმღერებიც. კონცერტის წინაღ მიხეილ კავსაძე ნაიკითხავს მოხსენებას მუსიკაზე: „ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) და მისი მდგომარეობა – განვითარება“.

488. ოქროს ვერძი, 1913, 26 მაისი, №2, გვ. 32

* * *

დღეს, თბილისში, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში „პირველ ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს სახალხო კონცერტს. კონცერტის დაწყებამდე მიხეილ კავსაძე ნაიკითხავს თავის მოხსენებას „ქართული მუსიკა და მისი განვითარება“.

489. გაზ. თემი, 1913, 2 სექტემბერი, №139, გვ. 3

ქართულ სიმღერა-გალობის მოყვარულთა საყურადღებოდ

არსდება „ივერიის ქართულ-ეროვნული მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ ვასო მათურელის ლოტბარობით, რომლის მიზანიც არის და იქნება ხელი შეუწყოს სამხმინ ქართულ სიმღერა-გალობის ხალხში გავრცელებას და მით შეურყეველი ნიადაგი მოეპოვოს ნამდვილ ქართულ სიმღერა-გალობას, რომელიც შესაძლებელია რომ სრულიად დაგინწყებას მიეცეს, რადგან ამჟამად უფრო ოთხ-ხმიანი და კიდევაც მეტი სიმღერა-გალობა არის მოდაში, რომელსაც ნამდვილ ქართულთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

გუნდი ეცდება ყოველი ძველი თუ ახალი ქართული სიმღერა-გალობა გადასცეს მსმენელს ისე, როგორც ამას მღერიან თვითონ გლეხები და არა ისე, როგორც ზოგიერთნი, რომელნიც ჯერ თვითონ სწავლობენ გლეხებისაგან სიმღერას და მერე თავიანთ გემოვნებაზედ ასხვაფერებენ.

საზოგადოდ ამა თუ იმ სიმღერას მაშინა აქვს ფასი და მნიშვნელობა, თუ ის ისე ითქმის, როგორც თავდაპირველად მისმა გამომგონმა შემოსძახა და თუ მას მიუმატებთ, ან გამოვაკლებთ რასმეს, იგი სრულიად დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

თითქმის ყველა სიმღერაშია ორმაგად ჩაქსოვილი ხალხის გული, გრძნობა და გონება, ამისათვის სიმღერის ასე თუ ისე შეცვლა თუ გადასხვაფერება იქნება თვით ხალხის გულისა და გრძნობა-გონების ჩაკვლა და შეგინება. ვისაც უნდა რომ რაიმე ცვლილება შეიტანოს ქართულ სიმღერაში, ჯერ ხალხის გული და გრძნობა-გონება უნდა შესცვალოს, და შემდეგ სიმღერა, რადგან ეს უკანასკნელი გამონვეულია ადამიანის სულიერ მდგომარეობის ზედგავლენით.

ზემოხსენებულ გუნდის მიზანია — ყველგან და ყოველთვის უსასყიდლოდ დაეხმაროს სიმღერა-გალობით კერძოდ ყველა იმ პირს და საზოგადოდ კიდევ ყველა იმ დანესებულებას, რომელნიც კი საქველმოქმედო მიზნით მოაწყობენ სალიტერატურო დილა-სალამოებსა და სხვ.

გუნდში ჩანერა შეიძლება ვერაზედ ილიკო ფიცხელაურთან, გუდარის შესახვევი, სახლი სარაშვილის №1 და ავლაბარში ილიკო გოძიაშვილთან, ავლაბრის ქუჩა №10.

ს. გურჯაანში არსებული მგალობელთა გუნდი*)

ს. გურჯაანში ეს მეორე წელიწადია ადგილობრივ მთავარანგელოზის ეკკლესიასთან დაარსდა მგალობელთა გუნდი ლევან მულალაშვილის ლოტბარობით. გუნდი შესდგება ქალ-ვაჟთაგან, რომელნიც მწყობრად და სასიამოვნოდ ჰგალობენ საეკლესიო საგალობლებს. თვითონ დამაარსებელი, ლოტბარი ამ გუნდისა, ლევან მულალაშვილი, თითქმის სულ უსწავლელია, ე. ი. სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით გაუკაფავს ცხოვრების გზა. უმსახურნია ჯარის კაცად, შეუსწავლია ნოტები; შემდეგ მონადიროვის გუნდში ყოფილა მგალობლად; ეს რამდენიმე წელიწადია ადგილობრივ სამრევლო სკოლის გალობის მასწავლებლად არის და გულმოდგინედაც ეკიდება თავის საყვარელ საქმეს. აქ მოთავსებულ სურათში ქალები სამრევლო სკოლის ყოფილი მონაფეხები არიან, რომელთაც სწავლა დაამთავრეს, მაგრამ მის გუნდს არ ჰალალოებენ და ახლაც განაგრძობენ გალობას ღვთისმსახურების დროს. ვაჟები ცალკე მღერიან აგრედვე საერო სიმღერებს და ცდილობენ შეისწავლონ მეტადრე ძველი ქართლ-კახური სიმღერები. ადგილობრივი ინტელიგენცია დიდის თანაგრძობით ეკიდება ამ გუნდს.

დ. ჯავახიშვილი

*) იხ. დღევანდელი სურათებიანი დამატება

ქართული ეკლესიები და ქართული გალობა

საოცარია ჩვენი მდგომარეობა! შედიხართ ქართულ ოჯახებში – ქართული ენა არ გესმით, შედიხართ საზოგადო დანესებულებებში – ქართული არ გესმით, სკოლებიდან ქართული განდევნილია, ქართველების კრებებზე შემსვლელი უცხოელი ვერასგზით ვერ წარმოიდგენს, რომ იქ ქართველები შეკრებილან – ყველანი რუსულად ლაპარაკობენ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შენობაზე ვეებერთელა რუსული წარწერაა, ქართულ ეკლესიებიდანაც კი თანდათან განდევნეს ქართულ წირვა-ლოცვა და გალობა. ამის მიზეზად მუდამ პირობებს ვასახელებთ, სხვებზედ ვუთითებთ; ამ დროს კი უმთავრესი მიზეზი თვით ჩვენა ვართ. ორიოდ კაცი თუ გამოვა პროტესტით, ისინიც მხოლოდ ლაპარაკობს, წუნუნებს და საქმეს კი არ აკეთებს.

აი, მაგალითად! მოზრძანდით ძველ მამა დავითის ეკლესიაში, რომელიც ეგრე მედიდურად, ქართველურად გადმოჰყურებს მთელ ტფილისს, საქართველოს უძველეს დედაქალაქს; განა ოდესმე გაიგონებთ იქ ქართულ გალობას? ჩვენი მღვდლები მუდამ იმას გვიპასუხებენ: რა ვქნათ, ხალხი არ დაიარება, მგალობლები არა გვყავსო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ეს მათთვის გასამართლებელი საბუთი არ არის. ისინიც დამნაშავენი არიან, რადგან „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელებით იჭმევასო“, ნათქვამია.

ეხლახან დიდუბის ეკლესიის მოძღვარმა მ. მირიანაშვილმა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას მიმართა განცხადებით: ეკლესია საკმაო თანხას გაიღებს და დიდუბეში შესაფერი მაგლობელთა გუნდი მოგვინწყვეთო. როგორც გავიგეთ, ფილარმონიული საზოგადოება დიდის სიხარულით შეგებებია მირიანაშვილის კეთილ განზრახვას. ფილარმონიულ საზოგადოების გუნდის ლოტბარს ზ. ჩხიკვაძეს განუზრახავს შეადგინოს ერთი დიდი გუნდი, იგი ყველას ერთად შეასწავლის ქართულ საეკლესიო გალობას. შემდეგ დაჰყოფს ნაწილ-ნაწილად. ერთი ნაწილი ქაშვეთის ეკლესიაში იგალობებს, სხვა ნაწილები კი დიდუბისა და ანჩისხატის ეკლესიებში.

საჭიროა ამ საუცხოვო იდეიას ხელი შეუწყოს თვით ხალხმა. ეს ხელის შეწყობა იმაში გამოიხატება, რომ კარგი ხმების პატრონი ქალ-ვაჟნი არ დაიშურებენ ცოტა დროს ეროვნულ საქმისათვის და სიამოვნებით ჩაენერებიან გუნდში. შემდეგ ყოველი მათგანი იმ ეკლესიაში იგალობებს, რომლის ახლოსაც სცხოვრობს და რომლის მრევლშიაც ჩაწერილია. მეორე მხრით საჭიროა ჩვენი სამღვდლოებაც შეეგებოს ამ კეთილ საქმეს. ჩვენი ეკლესიებისათვის საძნელო არ არის შესაფერი თანხის გადადება. კარგი გუნდის ყოლა ეკლესიისათვის სასახელოა. ამაში მაინც გამოიჩინოს ჩვენმა სამღვდლოებამ სიცოცხლის უნარი. მიბაძონ მ. მირიანაშვილის მაგალითს, და მაშინ არავინ ეტყვის მათ საყვედურს.

კორდელი [სოსო გოგოლაშვილი]

492. განათლება, 1913, ნოემბერი, № 9, გვ. 709

ახალი ამბები

ბაქო. ნელს ბაქოს ქართულ სკოლაში მეოთხე განყოფილება გახსნეს და ეხლა მეოთხე მასწავლებელიც მოიწვიეს – ცნობილი მემუსიკე ნიკ. სულხანიშვილი, რომელმაც სიმღერა-გალობაც უნდა ასწავლოს ბავშვებს. სხვათა შორის სულხანიშვილს აზრადა აქვს ამ ცოტა ხანში მოაწყოს ხორო და კონცერტი გამართოს. მუშაობას უკვე შეუდგა. ვისაც ხოროში ჩაწერის სურვილი აქვს, უნდა ქართულ სკოლაში სულხანიშვილს მიმართოს.

493. სახალხო გაზეთი, 1913, 31 დეკემბერი, № 1080, გვ. 3

საეკლესიო გალობის აღდგენა ძველ იმერულ კილოზე

კვირას, 22 დეკემბერს, ქუთაისის საკრებულო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი. წირვის დროს გალობდა მამა რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით მის მიერ ათი გალობის მოყვარულ პირთაგან შემდგარი ქართული გუნდი, რომელმაც პირველად სცადა წირვის წესის გალობა სადა ძველებურ იმერულ კილოზე, ხუნდაძის მიერ შედგენილ ნოტებზე, სამი ხმით. მე თუმცა გალობის მცოდნე არა ვარ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ გალობამ, როგორც ჩემზე, აგრეთვე გალობის მცოდნე პირებზე, დამსწრე

საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და გაიძახოდნენ ტაძარში, „სწორებით დაგვატკბო ამ დღეს გუნდმაო“. ეს ამ დღეს პირველი ცდა იყო, თუმცა ნაკლიც ეტყობოდა, მაგრამ უფრო მეტი ნაწილი საგალობლებისა კი საუცხოვო იყო. ყოვლადსამღვდელო გიორგი მეტად კმაყოფილი დარჩა, უსურვა გუნდს წინმსვლელობა. გუნდს განზრახვა აქვს ხშირად ივარჯიშოს და იგალობოს წირვის დროს, აგრეთვე გაადიდონ თავისი წევრთა რიცხვი და მიიღონ გალობის მოყვარულნი. როდესაც კარგად შეისწავლიან, აზრად აქვთ გამართონ სასულიერო კონცერტები. მადლობის ღირსია ლოტბარი მამა რაჟდენ ხუნდაძე და დამაარსებელი წევრები გუნდისა, რომ მათ უკისრიათ ფრიად სიმპატიური საქმის ინიციატივა. ძველებური იმერული კილო საეკლესიო გალობისა თანდათან დავინწყებაში მიდიოდა, იკარგებოდა. სასიამოვნოა, რომ ხსენებულ პირთ უკისრიათ ეროვნული გალობის აღდგენა და გავრცელება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისში თანამგრძობნი და მსურველნი გუნდში ჩანერისა აღმოჩნდებიან, რასაკვირველია გალობასთან გაცნობილნი და მისი მოყვარულნი. ჯერჯერობით გუნდს შეადგენენ შემდეგნი პირნი: ლოტბარი მამა რაჟ. ხუნდაძე, მღვდელი პლატონ ცქიტიშვილი, მღვდელი იასონ კაპანაძე, დიაკონი ბართლომე კუსიანიძე, დიაკონი ფილიმონ ცინცაძე, დიაკონი ონიფანტე ჭიპაშვილი, ბესარიონ მინდელი, დანიელ ბარათაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, ევგენი ჭარხალაშვილი.

როგორც გადმომცეს, მამა რაჟდენს 400-მდე სხვადასხვა საგალობელი გადაუღია და კიდევ განაგრძობს გადაღებას. სულით და გულით ვუსურვებ მას ასეთი დიდებული საქმის განხორციელებას და კეთილად დაგვირგვინებას.

ლადო ბზანელი

1914

494. სახალხო გაზეთი, 1914, 21 მარტი, № 1145, გვ. 3

აკადემიკოს ნ. მარის წერილი ქართული გალობის შესახებ

პეტერბურგში 16 მარტისთვის დანიშნული იყო ქართული სასულიერო კონცერტი კ. ფოცხვერაშვილის და არხანგელსკის ხელმძღვანელობით. ამის გამო გაზ. „რეჩში“ დაბეჭდილია აკად. ნ. მარის წერილი სახელად „აზრები ძველი აღმოსავლეთის სარწმუნოებრივი გალობის შესახებ“, რომელსაც აქვე ვსთარგმნით:

„სხვა პირობებში დღევანდელი კონცერტი „ქართული მართლმადიდებელ ქართლ-კახურ და იმერულ-გურულ საგალობლებისა“, როგორც ეს აღნიშნულია აფიშაზე, დიდი კულტურული დღესასწაული იქნებოდა თანამედროვე ადამიანის სულისათვის, რომელსაც არა მარტო მექანიკურად წარიტაცებს ზეცა, არამედ რომელსაც შეუძლიან ფსიხოლოგიურად მისწვდეს ჩვენი სულიერი საგანძურის ფესვებს, ხანდახან შეეხოს ან იხილოს, ხანდახან კიდევ მოისმინოს ეხლანდელი კულტურის წინაპრების ქმნილებანი. კონცერტი მარტო საეკლესიო გალობის მოყვარულთათვის არ უნდა იყოს ფრიად საინტერესო. სხვა პირობებზე მე არ ვგულისხმებარც არც იმას, თუ როგორაა ჩანერილი საგალობლები, არც იმას, თუ როგორ იქნება შესრულებული. უეჭველია, ამ მხრივ ყველაფერი იქნება გაკეთებული, ამის თავმ-

დებია არხანგელსკის ხოროს მონაწილეობა, მისი პირადი ხელმძღვანელობა და ენტუზიაზმი საქმის მეთაურებისა. კონცერტის ამ მხრივ გარჩევა სპეციალისტების საქმეა.

სხვა პირობები, რომლებიც ზევით ვახსენე, საჭირო იყო ჩვენი საზოგადოების, თუნდ მისი უფრო განათლებულის ნაწილს, მოსამზადებლად, რათა ისტორიულად სწორედ შეითვისოს და დააფასოს აღმოსავლეთის კულტურის შემოქმედების ნაშთები. მაგრამ ამის იმედი სუსტია, თუმცა საქმე შეეხება არა ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოცხადებას, როგორც შეიძლება აფიქრებინოს ვისმე აფიშამ, არამედ საუკუნეთა სიღრმიდან აღმსდგარ საერთო-საკაცობრიო გენიოსის შემოქმედებას.

საქმის მეთაურები, ეტყობათ, ჰგრძნობდნენ, რომ უნაყოფოა საზოგადოების ფართო წრეებისადმი მიმართვა; მათ, სჩანს, არც საეკლესიო გალობის მოყვარულთა ვიწრო წრის ცოდნის იმედი ჰქონდათ და შეეშინდათ, სიტყვა „ქართული“ რამე მწვალებლობად არ მიიღონო, ამიტომ აფიშაში „ქართულ ეკლესიას“ დაურთეს სიტყვა „მართლმადიდებელი“, თითქოს არსებობდეს სხვა ქართული ეკლესია. არსებობენ კათოლიკე ქართველები და მაჰმადიანი ქართველებიც, მაგრამ ქართული ეკლესია ერთია, დიდხნის ეკლესია, რომელიც დაარსდა რუსეთის გაქრისტიანებამდე რამდენიმე საუკუნით წინ და რომელიც ჯერ აღმოსავლეთურ-მართლმადიდებელი იყო და მერე ბერძნულ-მართლმადიდებელი. და ეს ქართული ეკლესია, რომელსაც 15 საუკუნის სიცოცხლე აქვს, არის შემნახველი და დამცველი ძველი სახალხო სარწმუნოებრივ გალობისა.

ამ გალობის გაქრისტიანულება არ მომხდარა საქართველოში ქრისტეს მოძღვრების დამკვიდრების პირველ დღიდანვე... მხოლოდ როცა ქრისტიანობა შეითვისა ფართო მასამ და მოხდა ერის ქრისტიანიზაცია და ამავე დროს ქრისტიანობის ნაციონალიზაცია, ეკლესიამ შეითვისა ძველი სარწმუნოებრივი გალობის კილო, რომელიც ჩაექსოვა ქრისტიანულ საგალობლებს.

ეს შემოქმედებითი დრო საქართველოში იყო VII-VIII საუკუნოებში, როცა განვითარდა ეროვნული ეკლესია. არის ლიტერატურული საბუთები, რომლებიც პირდაპირ ეხებიან IX-X ს. ქართულ საეკლესიო გალობას. დღემდის მოიპოვება ხელნაწერები ძველი საეკლესიო გალობის სანოტო ნიმუშებით როგორც საქართველოში, ისე იერუსალიმში, სინას მთაზე და ათონში.

ამას წინად ტფილისში გამოსცა სამშობლოს სიძველეთა ახალგაზრდა ენტუზიასტმა ინგოროყვამ მიქელ მოდრეკელის საეკლესიო საგალობელთა ძველი ხელნაწერი, სადაც ბერძნულ საგალობლებთან ერთად დასახელებულია ადგილობრივი ქართული. არის პირდაპირი საბუთი იმისა, რომ XI-XII საუკ. ქართული გალობა გავრცელდა საქართველოს გარეშე არსებულ ქართულ მონასტრებში და დაიკავა იქ ბერძნული გალობის ადგილი. სინას მთაზე შენახულია ანდრია კრიტელის მარხვანი, მეთორმეტე საუკ. ქართველი მწერლის არსენის მიერ ნათარგმნი, რომელსაც დართული აქვს წარწერა მთარგმნელისა; ეს წარწერა ამტკიცებს, რომ თარგმნილი საგალობლებისთვისაც ქართულს კილოს ხმარობდნენ. ქართველი მეფენი და მაღალი წოდება ყველაზე მეტად ხელს უწყობდა ძველადვე ახალს ეროვნულ კილოს შეტანას საეკლესიო გალობაში.

ძველებური ხალხური ტრადიციების წყალობით საეკლესიო გალობა საქართველოში არ გაიყინა გარედან გადმოღებულ ქრისტიანულ კილოზე და ხალხური ტრადიციების ორი შტო – იმერული და ქართლული დაედვა საფუძვლად ერთის ქართული ეკლესიის იმერულ-გურულ და ქართლ-კახურს საგალობლებს.

(დასასრული იქნება)

აკადემიკოს ნ. მარის წერილი ქართული გალობის შესახებ

(დასასრული) *)

ქართველების რელიგიური მუსიკალური ტრადიციები მარტო ორ კილოში არ გამოიხატება. ყოველ შემთხვევაში, საეკლესიო საგალობლებად გარდაქმნილ რელიგიურ სიმღერებთან ერთად არსებობს ძველი კულტის რელიგიური სიმღერების ნაშთი – სახორო სიმღერები. გურულებს და მეგრელებს ეს შერჩათ საერთო სიმღერის სახით: სხვების სიმღერებს კი, მაგალითად, სვანებისას და აფხაზეთისას, აქამდის, მეტნაწილად, რელიგიური გალობის ხასიათი აქვს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველების მუსიკალური ტრადიციები კავკასიის ნიადაგზე აღმოცენდა. ამ ტრადიციებში ჩვენ ვხედავთ უძვირფასეს ნაშთებს წინა აღმოსავლეთის იმ ძველის-ძველ კულტის ხმებისას, რომელიც დაიმკვიდრეს ქართველებმა ელამსა და მის ახლო-მახლო მცხოვრებ თავის მონათესავე უძველეს ტომისაგან. ამ ხმების სიძველე ისეთი დიდია, როგორც სიძველე წინა აზიის რელიგიებისა, რასაც მონაშობს ლურსმული წარწერები. ამ შორეულის, უძველეს დროიდან მომდინარეობს არა მარტო რელიგიური კილოები ქართველებისა, არამედ მათი რელიგიური ტერმინებიც, თუმცა სრული გაქრისტიანულება ეტყობა ერთსა და მეორესაც.

აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქრისტიანე ეკლესიებთან ურთიერთობის დროს, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ქართული საეკლესიო გალობა დაემორჩილა ამა თუ იმ გავლენას, მაგრამ ამ გალობის საფუძველს შეადგენს აღმოსავლეთის ხალხური ტრადიციების შემოქმედება, რომელიც გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ქართველების გაქრისტიანება და თვით ქრისტიანობის წარმოშობა საზოგადოდ. ქართველების სიმღერები ნაშთია ძველი აღმოსავლეთის რელიგიური კულტისა და არა სემიტურ და არიულ ტომებისა, არამედ მეცნიერების მიერ ახლად გამოკვლეულ იაფეტურ ტომებისა, რომელთა ცოცხალი წარმომადგენლები დღესაც არიან და იცავენ დედამიწის უძვირფასეს ნაშთებს. როგორც სომხეთის ხუროთმოძღვრების შესწავლის დროს, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო ბოლო დროს, იძულებულნი ვართ მივიდეთ სემიტებისა და არიელების წინა დროს სახუროთმოძღვრო ხელოვნების ფესვებამდე, ამგვარადვე ქართული სიმღერის და გალობის გამოსაკვლევადა უნდა მივმართოთ წინა აღმოსავლეთის უძველეს ნაშთებს...

ძველი კულტი არ გამოიხატება მარტო არქიტექტურულ ხაზებში. კულტის ისტორიას არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს ხმათა ნაშთები, რომლებიც ისე მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიასთან, განსაკუთრებით, როცა ამის შესასწავლად არსებობს წყაროები. თუ სახუროთმოძღვრო ნაშთების აღმოსაჩენად საჭიროა გათხრა, ფრთხილი და რთული, დადგება დრო, რომ გამოკვლევა ყურადღებას მიაპყრობს სულ სხვა მხარესაც, სახელდობრ ეთნოგრაფიულს. კავკასიის ეთნოგრაფიის გამოკვლევა, ცოცხალ სიძველეთა შესწავლა უეჭველია მოგვცემს იმას, რაც აკლია დღეს არა მარტო ქართული ეკლესიის და ქართული ერის ისტორიას, არამედ წინა აღმოსავლეთის ძველ კულტურულ კერის ისტორიასაც, იმ კერის, სადაც იყო აკვანი თუ მთელი კაცობრიობის არა, ჩვენი ევროპის კულტურისა მინც. მაგრამ სანამ ფილოლოგია იგვიანებს, მიტომ რომ კვლევის ძველებურ სქოლისტურ მეთოდს მისდევს, თუ საკმაო სახსარი არ მოეპოვება, ცხოვრება არ იცდის: გატაცებულმა მუშაკებმა სხვა მხრივ შემოუარეს საქმეს და დაამუშავეს ძვირფასი ნაშთები, რომლებიც გაუცნობლად

ილუპებიან. და ჩვენ არა დაგვრჩენია რა იმის მეტი, რომ მოვისმინოთ ის, რაც სხვა პირობებში უნდა მოესმინა არა მარტო განვითარებულს (თუმცა ცალმხრივად განვითარებულს) ყურს.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1145

496. შინაური საქმეები, 1914, 31 მარტი, № 2, გვ. 11-12

ს. მათხოჯის დედათა სავანე

მაშინ, როდესაც მათხოჯის შესახებ მრავალი წერილი დაწერილა და პატარა, უმნიშვნელო საკითხსაც კი დიდი აურზაური გამოუწვევია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათხოჯის დედათა სავანე – ეს ერთადერთი სიამაყე ამა სოფლისა, – სრულიად შეუმჩნეველად დარჩენილა; აქაურ კორესპონდენტებს კრინტიც არ დაუძრავს, გაკვრითაც არ მოუხსენებია მისი უნუგეშო მდგომარეობა ქართულ თუ რუსულ პრესაში.

მდებარეობით დედათა სავანეს საუკეთესო ადგილი უჭირავს; ლამაზათ მორთულ მთა-გორაკზე ულამაზესი ადგილი უკავია. მშვენიერი სანახავია ეს ადგილი! – მწვანე მოლით შემოსილი მინდორი, ლამაზი, მომხიბლავი ბუჩქები და იქვე ამაყით მდგომარე ასწლოვანი მუხა, რომლის ტოტებსაც თითქმის ნახევრათ დაფარული აქვს იქაურობა, რალაც ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს... ზაფხულს პაპანაქებაში, როცა ქვევით, სოფელში სიცხის აღმუხრი სდგას, აქ შეუჩერებლათ დაქრის ნელი სიო და შესამჩნევათ გრილა. მშვენიერი სანახავია ეს მონმენდილ დილას, როცა გორაკის სიმაღლიდან გადმომდგარი ათვალიერებ მახლობელ სოფლებს. აუარებელი სურათი იშლება შენს წინ, მაყურებელი სტკბები სხვადასხვა სანახაობით, ხედავ სოფლელების ფაცა-ფუცს, მატარებლების მიმოსვლას, შავ ზღვაში გემების ქროლვას და ყველა ეს აუნერელ სიამოვნებას გგვრის ადამიანს.

ერთ ადგილს უძრავათ სდგებარ და სულ გინდა უცქირო და დასტკბე მხიბლავ სურათებით. იქვე მახლობელ მთა-გორაკებიდან გესმის დაუცხრომელი ჭიკჭიკი ფრინველთა, ამას უერთდება მწყემსის სალამური, რომლის მომჯადოებელი ხმები ერთობ ხიბლავს და სიამოვნების ბურანში ხვევს მაყურებელს... სწორეთ მომხიბლავია ეს ადგილი! აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ეკლესიას შემოვლებული აქვს დიდი, გრძელი შენობა, რომელიც მრავალ სენაკს შეიცავს. ამ სენაკებში სცხოვრობენ მონაზვნები, რიცხვით ორმოცდაცამეტამდე და აგრეთვე პატივცემულნი პირნი სავანისა, – წინამძღვარი ქალი პატივცემული ბ-ნი ალათი ცომიას ასული და მღ. დავით ჯინჭარაძე.

ლეგენდარული გადმოცემით ეს მონასტერი უნდა დაეარსებოდა ვილაც მთავარს ჭილაძეს, რომელსაც თავისივე ხარჯით აუგია ეკლესია, მაგრამ საუბედუროთ, ეს ეკლესია ცეცხლისთვის მიუციათ თათრებს“ (1717 წ.) უნუგეშოთ დატოვებულნი მონაზონები მთა-ლრეებში იმალებოდნ და ლოცვაში ატარებდნ თავიანთ სიცოცხლეს, ხალხმა მაინც აღარ დაივიწყა ეს წმინდა ადგილი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ეკლესია ააგო. მაშინ კი საშვალეა მიეცათ მონაზვნებს თავისუფლათ ეცხოვრათ, მაგრამ ხანმოკლე შეიქნა მათი სიხარული. ცოტა ხნის შემდეგ ხალხს მოსწყინდა სალოცავათ გორაკზე სიარული და მოისურვეს მისი დარღვევა და უფრო დაბალ ადგილს ჩამოტანა, რაიც შესრულებულ იქმნა.

მრავალგზით დატანჯული მონაზვნები ისევ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნენ...

უკანასკნელად გაყიდეს თუ რამ ებადათ, შეაგროვეს ფული და მათხოჯის საზოგადოებისაგან შემოწირულების მიმატებით, ააგეს დღევანდელი სამლოცველო.

ათასცხრაას შვიდ წლამდე დედათა სავანეს არ ყოლია საკუთარი მღვდელი-მწირველი, ვინაიდან სასულიერო მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ და თითონ მონაზვნებს კი, სად შეეძლოთ მღვდლის დაქირავება? ვისაც კი მიმართავდენ თხოვნით, ყოველთვის ასეთ პასუხსა ღებულობდენ: „ბევრი ხარჯი გვაქვს და არ შეგვიძლია მაგ სამსახურიო“, ეს იყო მათი გასამართლებელი მიზეზი. მიუხედავად ამისა, ორ კვირაში ერთხელ მონაზონთა თხოვნა – მუდარით ესა თუ ის მღვდელი სწირავდა ხოლმე. ათასცხრაას შვიდ წელს, პატიოსანმა, კეთილ გრძნობებით აღჭურვილ მღ. დავით ჯინჭარაძე, შევიდა მონაზონთა უმწეო მდგომარეობაში და აღუთქვა მათ მუდმივი უფასო დახმარება... გადამეტებულათ რომ ვსთქვათ, ეს ერთადერთი ოქროს ხანაა მათხოჯის დედათა სავანის მონაზონთა ცხოვრებაში, ამ ხნიდან საშვალეა ეძლევათ მათ ღრმად ჩანვდენ საღვთო წერილს, შეისწავლონ იგი და ყოველ დღე მოისმინონ ღვთაებრივი წირვა-ლოცვა.

დაახ, ღვთაებრივი-თქო ვლაპარაკობ, – და არც ვცთები მგონი.

ბევრ ადგილს მომისმენია წირვა-ლოცვა, მაგრამ ასეთი გარკვეული, მწყობრი და თანდამატკობელი გალობით შეზავებული კი – იშვიათად. სწორედ ამაზედ შეიძლება ითქვას: „მათ სამლოცველოში რომ ვიდექი, არ ვიცოდი სად ვიყავი, მიწაზე თუ ზეცაში“... აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პატ. მღ. ჯინჭარაძეს კარგათ მონყობილი მგალობელთა ხორო ყავს (რომელიც მონაზვნებისაგან შესდგება) და თითონაც იშვიათი ბარიტონი აქვს. ოც წელზე მეტია, რაც ეხლანდელი დედათა სავანე არსებობს ამავე საზოგადოების, თუ კერძო შემოწირულებათა საშვალეებით და, სწორედ საკვირველია, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოსვლია სასულიერო მთავრობას ფიქრათ ცოტა დახმარება მაინც აღმოეჩინა მისთვის – და მით საშვალეა მიეცა უმწეო მდგომარეობაში მყოფ მონაზვნებისთვის მატერიალური მხრით შეუწუხებლათ, თავისუფლათ ელოცათ ღმერთი. ძლიერ გაკვირვებული ვარ მონაზონთა ხასიათის სიმტკიცით და მათი ღვთისმოყვარეობით... ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფთ, ერთხელაც არ მოსვლიათ აზრათ დაეგმოთ თავიანთი ცხოვრება მაშინ, როდესაც სასულიერო მთავრობის ზოგიერთ მონასტრებში ბევრი ბოროტმოქმედება ხდება. სწორეთ საკვირველია სარწმუნოების სიმტკიცე დებთა შორის!..

ბევრჯერ გამოვლაპარაკებოვარ მონაზვნებს, მსურდა გამეგო, თუ რამდენათ ღრმა და შეგნებული სარწმუნოებისანი იყვნენ და ყოველთვის გავკვირვებულვარ მათი პასუხებით. ყველა ამაში, რასაკვირველია, მადლობის ღირსია პატ. მღ. ჯინჭარაძე, რომელმაც ასე განვრთნა ისინი.

წირვა-ლოცვა და საერთოდ ღვთისმსახურება აქ წმიდა ათონის წეს-რიგზეა. დღიდან ჩამობრძანებისა პატ. მღვდელი ჯინჭარაძე მუდამ ამ დედათა სავანის კეთილდღეობისათვის ფიქრობდა და ცდილობდა.

ორი-სამი წლის წინათ დედათა სავანის წინამძღვრათ დაინიშნა დიდად პატივცემული ქალი აღათი, ცომაიას ასული, რომელიც დღიდან დანიშვნისა თავდაუზოგველათ ცდილობს დედათა სავანის კეთილდღეობისათვის... მისი მეოხებით შესამჩნევათ გამოკეთდა საქმე და, იმედი უნდა ვიქონიოთ, დღეს თუ ხვალ მონასტრათ დამტკიცდება ჩვენი დედათა სავანე და მით ასრულდება აუტანელ გაჭირვებაში მყოფ მონაზვნების დიდი ხნის ნატვრა-სურვილი. როგორც დანამდვილებით გავიგე, მათი ღვანლით უკვე საქმე გაჩარხულა და დღითი დღე მანანასავით მოელიან მონასტრათ დამტკიცებას. ვუსურვებ ღრმად პატივცემულთ წინამძღვრ აღათის და მამა დავითს საქმის დაგვირგვინებას, რომ ღრმა მოხუცებულობის ჟამს ორთავეს თამამათ შეეძლოსთ სთქვან: „ან განგვიტევე ჩვენ მონა შენიო“...

ლ. იმერელი

მიქელ მოდრეკილი და მისი საგალობელი

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“
შოთა

მე-10 საუკუნის დიდებულ მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს ბრწყინვალე ვარსკვლავი ქართული გალობისა — მიქელ (მიქელ) მოდრეკილი. საზოგადოდ და სამწუხაროდ, მოღვაწეობა და ცხოვრება დიდებულ პირებისა ბევრი გვაქვს დაკარგული და გამოურკვეველი. ვინ უწყის, რამდენი დიდებული პირი შთანთქა ისტორიულმა ქარიშხალმა, რამდენი ისტორიული ცნობა მისცა ფერფლს მტრის უღმობელმა ცეცხლმა! მაინც საკვირველია, თუ იმ ცნობათ, რომელნიც კი გვაბადია, დღევანდელ დღემდის როგორ მოაღწიეს, ისეთ უბედურ ისტორიულ პირობებში, რომელშიაც იმყოფებოდა 12 საუკუნის ტანჯული ივერია, რომლის დიდება იყო აკვანი ერისა და ტრიუმფი მისი დიდებისა!..

ძველად, სასულიერო პირთა გუნდი იყო უმთავრესი ბოძი ჩვენი ლიტერატურისა. თუ მათ არ ეშრომნათ და ეღვაწნათ თავის დროს, მაშინ ჩვენი მდიდარი ენა იქნებოდა ისეთივე დაუმუშავებელი, როგორიც იყო მისი შექმნის პირველ ხანებში. თვით მე-12 საუკუნემდე, არა სჩანს ისეთი საერო მგოსან-მწერალი, რომელიც შეედრებოდეს მაშინდელ სასულიერო მწერლებს... ეს სასულიერო პირნი იყვნენ, როგორც საღვთისმეტყველო მწერალნი, ისევე მგოსნებიც (გიორგი მთაწმინდელი), ისტორიკოსებიც (იოანე ბერაი და სხვ.) და სხ. ერთი ამ პირთაგანია გალობის დიდი მცოდნე მიქელ მოდრეკილი.

მიქელ მოდრეკილი მოღვაწეა მე-10 საუკუნისა. თანამედროვე პირია დავით კურაპალატისა, სუმბათ და გურგენ მეფეთა. აგრედვე იგი ბიძაა დიდებულის შატბერდის კრებულის აქსონისა, - იოანე ბერაისა... ამას თვით იოანე ბერაი მოწმობს თვის კრებულში:

„მოლუაწებიტა და (თანადგომიტა) დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისათა და სხვა არა არავის ჰრთავს, თვინიერ სიგლახაკისა ჩემისა და შევწირე შატბერდის საყოფელსა წმინდისა ლუთისმშობლისა, რომელსაც შინა აღვიზარდე“. მიქელის სიტყბუკის შესახებ ჩვენ ცნობანი თითქმის არც კი მოგვეპოვება, ხოლო 948 წელს, იგი სჩანს ოშკის ლავრაში. შემდეგ იგი გადასულა კლარჯეთში მყოფს შატბერდის ლავრაში, სადაც დასწერა დიდებული ნაშრომი „საგალობელი“. მიქელს თვისი შესანიშნავი თხზულება დაუწერია 980-995 წლებში. თხზულების შედგენისთვის: საგალობელი ზოგი თვით შეუთხზავს, ზოგი შეუკრებნია და ზოგი სხვა ენიდან გადმოუღია. მიქელ მოდრეკილი, თვისს თხზულების შესახებ ამბობს: „შენეწინიტა ღვთისათა: რომელი: იგი არს: მიზეზი: ყოველისა: კეთილისა: მე გლახაკ-მან: მიქელ მოდრეკილმან: ძმისწულმან: ღმერთშემოსილისა: მამისა დავითისამან: ვიღვანე: და ყოველიტ კერძო: შრომატ ვაჩუენე: უზეშთაეს: ძალისა: ჩემისა: და ფრიადიტა: ხარკებიტა: და გულსმოდგინედ: ძიებიტა: შეეკრიბენ ძლისპირნი ესე: ყოველიტ კერძოვე: რომელნი: ვპოვენ ენიტა: ქართველთათა: მეხურნი: ბერძულნი: და ქართულნი: სხოვლნი: ყოველთა: განგებიტა: და დავწერენ: წმიდასა: ამას შინა: წიგნსა: ყოველთა განმარტებიტა: და ჭემმარტებიტა: და ესრეთ: განვანესე: თავით: თვისით: და უმჯობეს ვყავ: უმეცრებიტა: სიგლახაკისა: ჩემისათა: რამეთუ ყოველსა: ამასა: პირველ: უფალო: ღალადმეტყვისა: ძლისპირნი: დავწერენ: და შემდგომად: გალობათანი: თვინიერ ქერაბიმისა: და ყოველიტურთ: საღმრთო ძალიტა: და შეწეწინიტა: დიდად: სახიერისა: მხოლოსა: ღუთისასა: /გვ. 49/.

მიქეილის საგალობელნი დაცულია ტფილისის საეკლესიო სიძველეთა საცავში, დანერილია ტყავზე, ხუცურის ასოებით. ტანი მისი შეიცავს 54 (?) გვერდს. მიქელის თხზულება დიდი განძია ჩვენთვის. ჟორდანიასი არ იყოს, რომელიც ამბობს: „დიად, რომ ის ხელნაწერი დიდი საუნჯეა არა თუ ჩვენი ძველი მწერლობისათვის, არამედ უმეტეს მეცნიერებისათვის. ამისთანა ძველი და უცხო კრება საგალობელთა არავგონებ მეორე მოიპოვებოდეს ევროპიელთ მუზეუმში. მეცნიერულად შესწავლა ამ საუნჯისა შუქს მოჰყენს საგალობლების ბნელს ისტორიას და მრავალს საბუთს მოგვცემს იმის შესახებ, თუ რამდენად სხვაობდნენ ერთმანეთში აღმოსავლეთის, საბერძნეთის და ქართველთა ეკლესიები. მაგრამ არა ნაკლებ შესანიშნავია გალობის ნიმუხებიც, რომლითაც უნდა ისარგებლოს მუსიკალურმა მეცნიერებამ და ხელოვნებამ“ /ჟორდ, ქრონიკები, გვ. 111/

მთელი ხელნაწერი მიქელისა დანერილია სუფთად, ლამაზად, უშეცდომოდ და კილოს სისწორით... დიახ! დიდებულნი გვყავდნენ წინაპარნი, რომელთა სახელის შემწეობით ვამაყოფთ ამ ფუქსავატობის დროს.

გ. ლეონიძე

498. თეატრი და ცხოვრება, 1914, 25 მაისი, №12, გვ. 10-11

მუსიკა და ქართველი მემუსიკენი

თუმცა მუსიკის ხელოვნება კაცობრიობის აღზრდა-განათლების ისტორიაში ახლად აღნიშნული დარგია, მაგრამ ძნელად მოიძებნება მსოფლიოდ აღიარებული ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი დროისა, რომელსაც ამ ხელოვნების არსებობა და მნიშვნელობა არ აღენიშნოს.

მართლაც, მუსიკობა რალაც საოცნებო ცის კიდეთა სფეროდან გადმოვალს ქვეყნად; იგი კვნესაა დაუსრულებელ ჟამისა ღვთის მიერ შექმნილ უსულო და სულიერთა შორის, იგი ბგერაა უკვდავის მარადისობისა. მუსიკის ხელოვნება გამონაკვეთი ხმაა სულ სხვა, უხილავ ქვეყნისა, რომელიც ჩვენგნით შორს, შორს ისაზღვრება, სადაც მთვარე-ვარსკვლავთ კამკაში და მუსიკა სულიერების უკვდავ ჰარმონიას ჰქმნიან.

მუსიკის ხელოვნება შემოქმედების მიერ უხილავ მხარედან ხილულ ქვეყნად მომადლებული ნიჭია, რომლის ძალთა ძალნიც ცის ქვეშე სულდგმულთ შეგვაერთებენ მის საქებასადიდებლად; იგი ერთადერთი საურთიერთო ენაზედ დაწყობილი ლოცვაა, რომლითაც იდიდების უზენაესი ძალა; ეს ხელოვნება თვისის ანგელოზებრ ტკბილის ხმის ბგერით გვანიჭებს შეძლებას მიმოვავლოთ თვალი უკუნითი უკუნის სამზღვარს და შევიგნოთ მისი დიდება.

დაუსრულებელი, უსაზღვრო და დიდებული საზოგადოთ მუსიკა და აკი თანამედროვე კულტურულმა განვითარებამ ეს ხელოვნება აღვიარა ერთ-ერთ უსაჭიროეს ღერძად ხალხის წინსვლისა და შეგნებისა! ახლა ძნელად მოიპოვება შეგნებული კაცი, რომ სთქვას, ხალხისათვის მუსიკობა დრომოცლილობაა, ბრძნული ხმათა შეწყობა კომპოზიტორისა – ფოკუსობაო. განა შეხვდებით კიდევ ევროპაში მოქალაქეს, რომელიც ხალხის მელოდიის რეალურ მნიშვნელობას უვიცობასა და ქეიფზედ ახურდავებდეს? განა მუსიკის მოქმედებით გამოწვეული ზეციური აღმაფრენა მიუნდომელობისადმი, რომელიც ასე ღრმად ხვდება და ატოკებს ადამიანის სულის ზრახვათა სამფლობელოს, განუცდელ და განუზომელ უფსკრულიდან წარმოშობილს, გამონვეულია შემთხვევითი, ანუ წარმავალ რამე მიზეზით?

ქართული მუსიკა ჯერედ ნორჩია, ახლად ფეხადგმული დარგია და შესაძლებელია დღეს თუ ხვალ თვალსაჩინო თაიგულად გარდაიქცეს. ამის ნიშნებსაც ვხედავთ.

სამი ათეული წელიწადი არც კი იქნება, რაც ამ დარგმა ქართველებს შორის თავი წამოჰყო და რას შეადგენს 25-30 წელიწადი შედარებით იმ ხანასთან, რაშიც იქმნება ხოლმე მიმართულება, ფორმა და ტრადიცია! ამ ელემენტების შექმნა-დანყოფას კი უნდა მთელი საუკუნეები; ჩვენისთანა დავრდომილი ხალხის ცხოვრების პირობები ხომ ამ ელემენტების შექმნას არც კი ევლებიან, ვინაიდან თავისუფალი ხელოვნება იქ იკიდებს ფეხს, სადაც ხალხი თავისუფლად სუნთქვას და ვისიმე ბატონობას არა გრძნობს. მიუხედავად ამისა, მუსიკას იმთავითვე ქართველი საზოგადოება სიყვარულითა და მეგობრულად დახვდა; ამ სიყვარულისა და მეგობრობის უტყუარი ნიშანია ის გარემოება, რომ დღეს ამ ხელოვნების ასპარეზზედ არა ერთი და ორი მუშაკია გამოსული, რომელიც ჰქმნის და აცნობს საზოგადოებას ამ ხელოვნების სხვადასხვა ფორმას.

საგრძობელი და საგულისხმეო მომენტი ქართული მუსიკის აღორძინებისა იყო 1885 წელი. ამ წელში დაარსდა პირველი ქართული ხორო. მოთავე ამ საქმისა იყო აწ განსვენებული ვლადიმერ დიმიტრის ძე აღნიაშვილი. თუმცა მას სამუსიკო განათლება არსად მიუღია, მაგრამ მას ამ ხელოვნების მნიშვნელობა კი ღრმად სწამდა. განსვენებული აღნიაშვილის ამ კეთილ განზრახვასაც სხვა იდეა ედვა სარჩულად: დიმიტრი აგრენევ-სლავიანსკის ხოროს მოგზაურობამ ევროპასა და ამერიკაში დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთლად განათლებულ ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში. რუსული სიმღერა განათლებულმა ევროპამ კულტურულ შემოქმედებად სცნო. სლავიანსკის ხოროს გულმოდგინეთა და მონინებით უსმენდა და იგი იმ კულტურულ ნაწარმოების აღდგენის პიონერად დასახა. განსვენებული აღნიაშვილის არსებაში ამ მითქმა-მოთქმამ კეთილი ნიადაგი იპოვა. ამ მითქმა-მოთქმის შთაბეჭდილების გავლენამ აღნიაშვილის არსება მთლად შეიპყრო. იგი აარსებს ხოროს არა მარტო იმისთვის, რომ საქართველოს დაბებსა და ქალაქებში ჩამოუაროს თავის ხალხს და მშობლიური სიმღერით გულისყურში ჩააგდოს და გამოაფხიზლოს, არამედ სამშობლო სამზღვარსაც გასცდეს და იქ, დიდს რუსეთში, მოსკოვსა და პეტერბურგსაც მოასმენინოს ქართული ჰანგი, აჩვენოს ჩაცმა-დახურვა ქართულ ხოროსი, გააცნოს სიმღერებით განათლებულ საზოგადოებას ზნე-ჩვეულება და შემოქმედება თავის ერისა. აი ის დედაზრი, რა განზრახვითაც მან დაარსა ხორო.

აღნიაშვილმა თუმცა თვისი განზრახვა ვერ განახორციელა, მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე კი ნაციონალური საქმე იყო, რომ საზოგადოების თანაგრძნობას არ ყოფილიყო მოკლებული, განსვენებულის ენერგიას წინ ვერა აღუდგებოდა რა. ყოველ შემთხვევაში მის მიერ დაწყებული საქმე შეიქმნა სათავედ იმ ინტერესისა მუსიკისადმი, რაიც დღეს ქართველ საზოგადოებაში სუფევს. სხვა რომ არა იყოსრა, ამ ხოროდან გამოვიდნენ ზოგიერთი ის პირნიც, რომელთაც საგნად ამ ხელოვნების სამსახური გაიხადეს და, ცოტად თუ ბევრად, მშობლიურ ნიადაგზედაც მუშაობენ.

ი. მარალაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

499. სახალხო ფურცელი, 1914, 5 ივნისი, № 4, გვ. 3

ქართული საეკლესიო მუსიკის გამო

ყოველთვის, როდესაც კი ტფილისში ჩამოვდივარ, ასე თუ ისე, ქართულ მუსიკის თაობაზე მიხდება საუბარი. ამ ჯერადაც მსურდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩვენი საეკლესიო საგალობლების თაობაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დარგი ჩვენში ყოველად მიყურსებული და მივინყებულია. თუ სახალხო სიმღერების საქმეში მცირეოდენი რაიმე მაინც კეთდება,

საეკლესიო საგალობლების საქმეში, შეიძლება ითქვას, სრულებით არაფერი, მაშინ როდესაც ეს დარგი ნაკლები ყურადღების ღირსი არ არის, ვიდრე სახალხო მუსიკა. ამ საგალობლებშიაც, როგორც პირველში, გამოსჭვივის ჩვენი ისტორიული ცხოვრება, ყოველივე მოვლენა საქართველოს სულიერი ცხოვრებისა. ამის გამო ჩვენთვის საეკლესიო გალობა ნაკლებ ღირებულებას არ წარმოადგენს, საერო სიმღერებთან შედარებით. ამის გამო ამ საკითხს უალრესის გულმოდგინებით უნდა ვეკიდებოდეთ.

მაგრამ კეთდება რამე, ამ ჩვენი ისტორიული სულიერ კულტურის მოწმეთა შესანახად? ინერება ამ დარგიდან რამე, ან იბეჭდება? რა თქმა უნდა, არა! ამ საქმეს კი დაგვიანება არ უნდა, არც ერთის დღით, არც ერთის წუთით.

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა გავცნობოდი ზ. ი. ჩხიკვაძის ხელნაწერებს, რომელიც შეიცავს ფრიად საგულისხმო კრებულს საეკლესიო საგალობლებისას; ზოგი ვარიანტებია უკვე დაბეჭდილი საგალობლებისა, ზოგი კი სრულებით ახალი და უცნობია.

ზ. ი. ჩხიკვაძეს უნდა მათი დაბეჭდვა, რასაც არ შეიძლება გულწრფელის თანაგრძნობით არ შევეგებოთ! საქმეს აფერხებს ნივთიერი მხარე, რომელშიაც ჩვენი საზოგადოება მოვალეა დაეხმაროს. მაგრამ საქმე მხოლოდ ბ-ნ ჩხიკვაძით როდი უნდა დაბოლოვდეს. ქართველი საზოგადოება ვალდებულია ამ დროში სხვა მოღვაწეებსაც დაეხმაროს. მაგალითად მე ვიცი, რომ ბ. ნ. სულხანიშვილსა, ბ-ნ ი. გ. კარგარეთელსა და მამა ვ. კარბელაშვილს აქვთ ძვირფასი საეკლესიო საგალობლები.

ამგვარად, თუ ის მაინც დაიბეჭდა, რაც უკვე არის, ეჭვს გარეშეა, ამით ერთი ნაბიჯი მაინც იქნება წინ გადადგმული. მაგრამ ქართველი საზოგადოება ამაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდეს. იგი ეხლავე უნდა შეუდგეს ჯერ კიდევ მცოდნე მოხუცებულებში დაცულ საეკლესიო საგალობლების შეკრებას, რომელნიც დღეს არა, ხვალ სამარეში ჩაიყოლებენ იმას, რასაც საუკუნოებით ჰქმნიდნენ და ჰგალობდნენ ქართველი საგალობელთა შემოქმედნი და მგალობელნი.

დ. არაყიშვილი

500. თეატრი და ცხოვრება, 1914, 8 ივნისი, №14, გვ. 11

[გაგრძელება]

აღნიშვილის ხოროდან გამოვიდა ი. გ. კარგარეთელი. ყველამ ვიცით ვინც არის ბ. კარგარეთელი; მისმა უანგარო მუშაობამ ამ ასპარეზზე ჩვენ თვალწინ გაიარა და დღესაც, იმ შავბნელ და უკულმართ დღის შემდეგ, რაც მას უბედურება შეემთხვა, განახევრებული კაცი, ფარს ხელიდან არ აგდებს. სამუსიკო განათლება მოსკოვში მიიღო; ჯერ კიდევ აქ ყოფნის დროს იგი მონაწილეობდა რუსეთში პირველად გამართულ ეთნოგრაფიულ კონცერტში, რომელიც მოანყო მოსკოვის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ. მოსკოვში ყოფნის დროს, ქართველ სტუდენტების ერთ ჯგუფში, სადაც კარგარეთელი დაახლოვებული იყო, დაიბადა აზრი სამუსიკო საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც უნდა ეზრუნა ქართულ ხალხურ სიმღერების აღორძინებაზე; ამ ჯგუფის წევრებს და კერძოდ ექიმ ლამბაშიძესაც, ამისთანა საზოგადოების დაარსების იდეა, კარგად უნდა ახსოვდეთ. მოსკოვიდან ბ. კარგარეთელი სამშობლოში რომ დაბრუნდა, აქ მოიპოვა თანამოაზრენი, 1902 წ. თავის ბინაზე მოიწვია

იგინი და თავისი განზრახვა განუზიარა, რამდენიმე ყრილობის შემდეგ აირჩიეს კომისია და მიანდეს წესდების შედგენა. ამ კომისიაში იყვნენ: ბ. ბ. კარგარეთელი, მირიანაშვილი და ყარაშვილი. შემუშავდა წესდება და გუბერნატორს წარედგინა.

1903 წ. წესდება დამტკიცდა და მას აქეთ ამ წესდებით მოქმედობს ან არსებული „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“.

ბ. კარგარეთლისვე თაოსნობით დაარსდა 1910 წ. ქართული ხოროს საზოგადოება „სანათური“, თუმცა კი ამ საზოგადოების მოღვაწეობა დღემდე არაფრით არის თვალსაჩინო. კარგარეთელმა დასწერა რუსულს ენაზე მოკლე ისტორია ქართულ მუსიკისა, შეადგინა კრებულები ხალხური სიმღერებისა, დასწერა ქართული რომანსები, აქვს აუარებელი ნაწერი რუსულისა და ქართულს ენაზე ქართულ მუსიკის შესახებ.

მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები და თქმულებანი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დრო-გამოშვებით დღესაც იბეჭდება ხოლმე, იგი ყველას წაუკითხავს და იცის რა დიდის არჩევითა და დაკვირვებით არის შეკრებილი.

ამავე ხოროში მღეროდა კორ. მალრაძე; სამუსიკო განვითარება თუმცა არსად მიუღია, მაგრამ სიმღერა-გალობის მცოდნედ კი ითვლება. მას გულწრფელად უყვარს ქართული მუსიკა; კ. მალრაძემ დასწერა სასიმღერო დუეტი „ჩემს ვარსკვლავს“ და სხვ.

აღნიაშვილისვე ხოროში მონაწილეობას იღებდა ბ. ზ. ჩხიკვაძეც; იგი სწერდა ქართულ მუსიკის შესახებ გაზეთებში. შეადგინა ხალხური სიმღერების კრებული „სალამური“. თუმცა სამუსიკო განათლება არსად მიუღია, მაგრამ დღეს იგი ლოტბარობს ქართულ ფილარმონიულ ხოროს. აქვს აგრეთვე დაწერილი საეკლესიო საგალობლებიც.

მუსიკის ასპარეზზე მოღვაწეობდა აგრეთვე ბ. მ. ბალანჩივაძე. აღნიაშვილის ხოროს დაარსებამდე იგი რუსულ დასში მღეროდა. 1890 წ. წავიდა რუსეთს და მას აქედ თითქმის იქ ცხოვრობს. მ. ბალანჩივაძემ დასწერა რომანსები „შენ გეტრფი მარად“ და „ნანა“. ამბობენ, მანვე დასწერა ოპერა „თამარ ცბიერი“. ზოგიერთი ადგილები ამ ოპერიდან ქართველ საზოგადოებასაც მოუსმენია, ხოლო მთელი ოპერის დაბეჭდვასა და დადგმას საზოგადოება დღესაც მოუთმენლად მოელის.

ბალანჩივაძეს გვერდში უნდა ამოუყენოთ ფ. ქორიძე. ფ. ქორიძეს დიდებული ხმა ჰქონდა. სიმღერა შეისწავლა იტალიაში. ერთ დროს იგი რუსულ ოპერის დასში იღებდა მონაწილეობას. დასწერა ქართული რომანსები, სიმღერები; უფრო თვალსაჩინო ნამუშავარი ქორიძისა არის საეკლესიო საგალობლების კრებულები იმერული კილოთი „ცისკარი“ და „მწუხრი“. სწერდა აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქართული მუსიკის შესახებ.

ი. მარალიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)

501. თეატრი და ცხოვრება, 1914, 15 ივნისი, №15, გვ. 7

(დასასრული)

ქართულ მუსიკაში თვალსაჩინო მოღვაწე იყო აგრეთვე განსვენებული ბენაშვილი; მან გარდააკეთა სამხმიანი ქართული გალობა ოთხ ხმაზედ; დასწერა მრავალი ქართული ხალხური სიმღერა.

უფრო მხნედ და თვალსაჩინოდ მუშაობს ახალი თაობა. ეს მოვლენა იმედს უსახავს მუსიკის მომავალზედ იმათ, ვისაც ერთი ფეხი სამარეში უდგიათ. ამ თვალსაჩინო მომუშავეთა შორის უნდა ჩაითვალოს დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ა. ყარაშვილი და სხვანი.

კ. ფოცხვერაშვილზე ლაპარაკი მეტია; მისი კონცერტები ყველას მოუსმენია და ქართველი საზოგადოება მას კარგათ იცნობს. მერმისი მისი დიდია, მთელი რუსის განათლებულ საზოგადოებას მოუსმენია ქართული სიმღერა. ამ მხრივ ფოცხვერაშვილი დიდს სამსახურს ეწევა. აქვს დანერგილი მრავალი ხალხური სიმღერა ორკესტრისათვის. სიმფონიური პოემები; სწერს ქართულ ოპერასაც „კერპების დამხობა“.

ზ. ფალიაშვილმა სამუსიკო განათლება რუსეთში მიიღო. ჯერეთ ყმანვილი კაცი, იგი დიდს მომავალს გვიქადის, ეხლაც თავგანწირვით მუშაობს. ფილარმონიულ საზოგადოების დაარსებიდან იგი ამ საზოგადოებას სათავეში უდგია; შემოიარა კახეთი და დასწერა მრავალი ხალხური სიმღერა; მანვე დასწერა ქართული რომანსები, სიმღერების კრებული, გადილო ოთხ ხმაზედ ქართ. წირვის საგალობლები, დასწერა ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელიც ჩვენ საზოგადოებას უკვე მოუსმენია.

არანაკლებ თვალსაჩინოდ მოღვაწეობს ქართ. მუსიკოსი ბ. დ. არაყიშვილი. სამუსიკო განათლება რუსეთში მიიღო. იგი ითვლება მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოების ნამდვილ წევრად; ამ საზოგადოების დავალებით მან რამდენჯერმე შემოიარა საქართველო და ჩასწერა აუარებელი ქართული სიმღერები. გამოცემულია ამავე საზოგადოების ხარჯით მისი ფრიად საინტერესო მოხსენებანი ქართულ მუსიკაზე. მანვე დასწერა ქართული რომანსები, შეადგინა საყმანვილო სიმღერების კრებული სახალხო სკოლებისათვის. დასწერა აგრეთვე ქართული ოპერა „რუსთაველი“, რომლის მოსმენასაც ქართველი საზოგადოება მოუთმენლად მოეღოს.

ქართულ მუსიკის წინაშე სათვალწინო ამაგი მიუძღვის ა. ყარაშვილსაც. სამუსიკო განვითარება რუსეთში მიიღო, აქვს დანერგილი ფორტეპიანოსათვის ქართული ჰანგები, რომანსები და სხვა. მასვე ეკუთვნის ცნობილი სიმღერა „სამშობლო“.

ქართულ მუსიკის ასპარეზზე მომუშავეთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერდა გ. ნატრაძე, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა იგი უდროვით გამოასალმა წუთისოფელს. სამუსიკო განათლება განსვენებულმა რუსეთში მიიღო; ერთ ხანად იგი წევრი იყო ქართ. ფილარმონიულ საზოგ. გამგეობისა.

ქართულ მუსიკის ასპარეზზე მუშაობენ აგრეთვე სულხანიშვილი, ირ. ჯაბადარი, მ. კავსაძე, ალ. კავსაძე, ძმ. შარაბიძენი.

საეკლესიო გალობის დარგში თვალსაჩინო მოღვაწეებად უნდა ჩაითვალოს ძმ. ვას. და პოლ. კარბელაშვილები, მღვდ. რაჟ. ხუნდაძე.

მღვ. ვ. კარბელაშვილის მიერ გადაღებულია ნოტებზე „მწუხრისა“ და „ცისკრის“ საგალობლები.

მღვდ. პ. კარბელაშვილს აქვს დანერგილი მოკლე მიმოხილვა საეკლესიო გალობისა.

მღვდ. რ. ხუნდაძეს აქვს გადაღებული წირვის წესი იმერული კილოთი.

ყოველგვარი ხელოვნება ერთ-ერთი ღერძია პროგრესისა, ერთ-ერთი ღონისძიება სოციალურის ურთიერთობისა; ხოლო მუსიკას, რომლის მოქმედების სფეროც კი უახლოვდება სულის ძვრათა სამფლობელოს, სადაც ჩნდება და ისახება სიმპატია და ანტიპატია, უფრო მეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცთა საზოგადოების სხვადასხვაგვარ და ტომობრივ განსხვავებულ ერთმანეთობისა და კავშირის დამყარებაში, თანაგრძნობისა და სიყვარულის განმტკიცებაში. აუარებელი ღონისძიება აქვს მუსიკას ხელთ ზედმოქმედებისათვის, ძლიერად და ფართოდ ხვევს ეს ზედმოქმედება ადამიანის სულის თი-

თოეულ კერძობას; შეიძლება გენახოთ კიდეც მუსიკით აღტაცებულნი, აღძრულნი, ღრმად გრძნობათა შეტოკებულნი. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი მუსიკოსნი მოუპოვებენ ამ ხელოვნებას ჩვენ სამშობლოშიც მოქალაქობრივსა და მათის მეცადინეობით იგი შემოვა ცხოვრებაში არა როგორც ხელოვნება რჩეულთათვის, არა როგორც ღონისძიება გართობისა და ქეიფისა, არამედ როგორც ფრიად საყურადღებო ელემენტი აღზრდისა და სოციალურის ურთიერთობისა, ქართველი ხალხის სულიერად გარდაქმნისა და გადახალისებისა.

ი. მარალიძე

502. თეატრი და ცხოვრება, 1914, 6 ივლისი, №18, გვ. 16

წერილი ამბები

* * *

მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი, 20 კაცისაგან შემდგარი, მ. კავსადის ლოტბარობით 12 ივლისს დაბა-ქალაქებისკენ გაემგზავრება და კონცერტს გამართავს გორს, ცხინვალს, ახალქალაქს, ხაშურს, სენაკს, ბორჯომს, წალვერს, ბაკურიანს, ჭიათურას, საჩხერეს, სამტრედიას, ლანჩხუთს, ხონს, ოზურგეთს, ქობულეთს და სხ. გუნდი შეასრულებს ქართველ მუსიკოსთა მიერ გადაღებულ ხალხურ სიმღერებს, სოფლის სცენებს ფანდურზე დაკვრით და სხვ.

503. თეატრი და ცხოვრება, 1914, 20 ივლისი, №20, გვ. 2-3.

სიმღერა სკოლებში

„თეატრი და ცხოვრების“ მე-18 №-ში წავიკითხე ბ. გ. საყვარელიძის წერილი, რომელიც ეხებოდა ბ. დ. არაყიშვილის თხზულებებს. ამ საგულისხმო წერილმა ბევრი რამ გამახსენა, რაც სრულიად ადასტურებს ბ. საყვარელიძის წერილის შინაარსს. სიმღერა-გალობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში საზოგადოთ და კერძოდ სკოლებში, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. სიმღერა და გალობა – ჭირის, ლხინის გამომთქმელი და ღვთის სადიდებელი, ვედრების გამომხატველი ჰიმნია, როგორც ჭამა-სმა არის ცხოვრებაში საჭირო, ისევე მიუცილებლად საჭიროა სიმღერა-გალობაც; ვისაც ეს ასე არა სწამს, ის ცხოვრების დაუკვირვებელი ადამიანია. ტირის კაცი, ამ დროს ზარს მღერის და მით მწუხარებას ხატავს; ლხინის დროს საერო სიმღერებს მღერის და ამ სასიამოვნო ხმით სტკებება; ლოცვის დროს კი საღვთო საგალობელს გალობს და ყურთა სმენის დამატკობელი ხმებით აღავლენს ღაღადებას ზეცათ. ყოველ ყურთა სმენის ადამიანს, თუ გინდ მას სრულიად გალობის ნიჭიც არა ქონდეს, გალობა-სიმღერა უთუოდ ესიამოვნება; ყრუ-მუნჯსაც კი ხშირად შეხვდებით, როცა მარტო ჩაფიქრებული ზის, ან გზაში მიდის, რაღაცას ღიღინებს. მრავალი მაგალითი წავიკითხავს, რომ მხეცის სმენაც კი დამტკობარა ყურთა დამატკობელი სიმღერის სმენით

და მით მხეცური გააფთრება დაჰმშვიდებია. სამწუხაროდ ასეთ დიდ მნიშვნელოვანს და კულტურულ საგანს ჩვენში ძალიან მცირე ყურადღება აქვს მიქცეული. რა ქნას ბ. არაყიშვილმა და გინდ მისთანა ათმა და ოცმა,*) თუ კი ამ საქმისადმი საზოგადოების სიყვარული, თანაგრძნობა, საჭიროების სიღრმე და მნიშვნელობა არ გაორკეცდა? გული გიკვდება, როდესაც ბ. საყვარელიძის წერილში ბ. არაყიშვილის თქმულ სიტყვებს კითხულობთ: ჩემი შედგენილი სასკოლო სიმღერები, სულ ოციოდე ცალის მეტი, არ გავრცელებულაო (თუმცა ამ გამოცემის შემდეგ აგერ ათი წელია!). ვის უნდა გაეგრცელებია სასკოლოდ გამოცემული წიგნები? უთუოდ სახალხო სკოლის მასწავლებელს, მაგრამ სამწუხაროდ ამ უკანასკნელთა ბანაკში ძალიან იშვიათად შეხვდებით ნოტების მცოდნეს, რომ მათ ნოტებზე დაწერილი სიმღერები სასკოლოდ გამოიყენონ. კიდევაც ეს არის მიზეზი, რომ სასკოლო სიმღერები დაწერილა და უმოძრაოდ აწყვია. რა საშუალება იხმარა ამ ნოტების გამომცემელმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ამის გავრცელებისთვის საზოგადოდ სკოლებში? განა მარტო დაბეჭდვა და უმოძრაოდ დაწყობა კმარა სახელმძღვანელოსი! თუ კი „დედა ენა“ ვრცელდება სკოლებში, სიმღერები კი რალა უმნიშვნელოა ჩვენი სკოლებისათვის? ვინ და როდის დასწერა ამ სასკოლო სიმღერების სახალხი სკოლებში მიუცელებელ საჭიროებაზე? მაგრამ არ შემოიძლია გულწრფელად არ ვალიარო ის, რასაც ვგრძნობ: ჩვენთვის უდიდესი და ფასდაუდებელი დაწესებულება ნ. კ. საზოგადოება ძალიან ცოტას ზრუნავს ჩვენს მამა-პაპათა ხალხურ გალობა-სიმღერის გავრცელების, ან სულ დაკარგვისაგან შემობრუნების შესახებ, თითქოს გალობა-სიმღერა ზედმეტი ბარგი იყოს ქართველთა კულტურულ დარგში. კიდევ კარგი, რომ ამ ორი წიგნაკის გამოცემა უკისრნია.

წელს 1 ივნისიდან ქუთაისს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები გაიხსნა; მიმინვიეს ქართული გალობის მასწავლებლად. საოლქო სკოლების მეთვალყურემ მ. დეკ. პაშკევიჩმა მითხრა: მასწავლებლები გამოვცადოთ, გავყოთ ორ, ან სამ ჯგუფად (группы), კარგად ნოტების მცოდნე ერთ წყობაში მოვათავსოთ და დანარჩენი კიდევ რიგზეო. გამოცდამ გვაჩვენა, რომ 90 კაცში ათიოდეს მეტმა სრულიად ნოტის არა იცოდა რა. მე დარწმუნებული ვარ ხონის კურსებზედაც ასეთები იქნებოდენ, თუმცა არ ვიცი იქ ასწავლიდენ გალობასაც თუ არა. ასე აბუჩად არის აგდებული გალობა-სიმღერის საქმე საზოგადოთ ჩვენში, მაშინ, როდესაც რუსეთში და სხვაგანაც მილიონობით ხარჯვენ გალობა-სიმღერის გასაუმჯობესებლად და გასავრცელებლად. კვირა და თვე ძალიან ძვირად გაივლის ისე, რომ რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან არ მოგვივიდეს პრეისკურანტები: ნოტების ესა და ეს ახალი გამოცემა სახელმძღვანელო იყიდეთო. ინერს და ყიდულობს კიდევაც ბევრი, მაგრამ ქართულ ასეთ გამოცემას კი ქართველი განა იყიდის?! ასე, „მოდის“ მიმდევარი გახლავართ...

საჭიროა ბ. ბ. სახალხო სკოლების მასწავლებლებმა მიაქციონ ყურადღება სკოლებში სიმღერა-გალობის გავრცელებას და თანდათანობით ნოტების შესწავლას ვინც არ იცის. ხალხურ სიმღერებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენს სკოლებში, როგორც ენას.

მღვ. რ. ხუნდაძე

*) მართლაც, ღვთით ახლა გვყავს კომპოზიტორ-გადამღებ-მენოტეები.

504. სახალხო ფურცელი, 1914, 31 აგვისტო, № 76, გვ. 3

ახალი ამბავი ტფილისი

წირვა და პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად. პარასკევს, 29 აგვისტოს, დიდებულ მოამაგის ილიას ტრაგიკულ გარდაცვალების შვიდი წლის თავის შესრულების გამო, მამადავითის ეკლესიაში ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა წირვა. ამ დღეს მწირველი იყო ყოვლადსამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, მამადავითის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ნ. მაჭარაშვილისა და ქალაქის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის დროს გალობდა ფილარმონიულ საზოგადოების ხორო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა ანტონმა სამღვდელოების თანამწირველობით პანაშვიდი გადაიხადა ეკლესიის გალავანში, განსვენებულ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის საფლავზე. წირვა-პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო. აქ იყვნენ წარმომადგენელი: ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობისა, ქალაქის თვითმმართველობისა, პრესისა, ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და სხვა საზოგადო და საკულტურო დაწესებულებებისა.

505. სახალხო ფურცელი, 1914, 11 სექტემბერი, № 84, გვ. 3

ახალი ამბავი ტფილისი

სამძიმარი. სიონის ტაძრის კანდელაკის პირით გრაფ. ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის მხრივ სამძიმარი გამოუცხადა განსვენებულ მთავარ-დიაკონის კ. გ. კარგარეთელის ოჯახობას.

506. თეატრი და ცხოვრება, 1914, 30 ნოემბერი, №39, გვ. 10-11

კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი

(23 გიორგობისთვის)

ვიდრე თვით კონცერტზე გადავიდოდეთ, არ შეგვიძლიან მხარი აუქციოთ იმ საშინელ განცდას, რომელიც გამოიარა ბ. ფოცხვერაშვილმა კონცერტის გამართვისათვის. ყველასათვის ცხადია, რომ იდეა თბილისში სასულიერო კონცერტის გამართვისა (ამ უამად), ეკუთვნოდა ბ. ფოცხვერაშვილს; მაგრამ როდესაც კომპოზიტორმა უკვე ნება და კურთხევა მიიღო ყოვლად უსამღვდელოეს საქართველოს ექსარხოს პიტირიმისაგან და საქმეს უნდა შესდგო-

მოდა, მაშინ რალაცა გარეშე ძალთა წყალობით, ფოცხვერაშვილს, ანუ უკეთ მის კონცერტს მოახვიეს რუსული სასულიერო კონცერტი, სულ სხვა დანიშნულებით, ვიდრე ეს განზრახული ჰქონდა ბ. ფოცხვერაშვილს, და რუსულ-ქართულ განყოფილებას დაუმატეს პატრიოტული განყოფილება.

ჩვენ, რასაკვირველია, არც რუსულ სასულიერო კონცერტის წინააღმდეგ გვეთქმის რამე და არც პატრიოტულ განყოფილებისა, ჩვენ მხოლოდ იმას ვაქცევთ ყურადღებას, რომ სასულიერო მთავრობამ თითქმის ვერაგულად ისარგებლა ბ. ფოცხვერაშვილის იდეით, თვით გამართა დიდი სასულიერო კონცერტი და ამ იდეის შემქმნელს კი დაუთმო მარტო ოთხი ნომერი.

ეს ერთი.

მეორე. ვიტყვით რა ბოლოს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საეკლესიო კონცერტს ქართულ მუსიკა-გალობის ისტორიისათვის და აღორძინება-განვითარებისათვის, ახლა არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ის ბოროტი გულციობა, რომლითაც შეხვედრიან კომპოზიტორს ზოგიერთი ქართული დაწესებულებანი.

კომპოზიტორს არ ჰქონია ადგილი მომღერალთა გუნდის გასანვრთნელად, რისთვისაც მიუმართავს ქართულ გიმნაზიის დირექტორისათვის, რომ ერთი ოთახი დაეთმო საღამოობით, მაგრამ ცივი უარი მიუღია „უადგილობისა“ გამო. მერე მიუმართნია „ახალი კლუბისათვის“, მაგრამ იქაც მამასახლისთა საბჭოს უარი უთქვამს.

მხოლოდ სომხის საზოგადოება გამომდგარა სულგრძელი და თავაზიანი, რომ ბ. ფოცხვერაშვილისათვის დაუთმო უსასყიდლოდ დიდის ვადით „არტისტ საზოგადოების“ დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც გუნდი მომზადებულა.

ასე რომ, ჩვენ დიდი მადლობა უნდა გადაუხადოთ „არტ საზოგადოებას“ იმ საუკეთესო და შესანიშნავი კონცერტისათვის, რომელიც კომპოზიტორმა მოგვასმენინა თბილისის სასახლეში.

არ შეიძლება ერთ გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება. ბ. ფოცხვერაშვილი შეჰკითხებია ქართულ გიმნაზიის დირექტორს, თუ როგორ მოექცეს გიმნაზიის იმ მონაფეთა წრეს, რომელიც რეპეტიციებზე დაიარება და სურს კონცერტში მონაწილეობა მიიღოს, – მიიღოს თუ არა გუნდში, რაზედაც ბ. დირექტორს ცივი უარი უთქვამს იმ მიზეზით, რომ მონაფეებს კონცერტისათვის არა სცალიანთო.

ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლეთ და სემინარიელთ სცალიანთ, მათ ექსარხო-სი ნებასა რთავს კონცერტში მონაწილეობა მიიღონ, თვით ეს სასულიერო კონცერტიც ექსარხოისგან ნებადართულია, ქართულ გიმნაზიის დირექტორი კი უარს ეუბნება მისმა მონაფეებმა მონაწილეობა მიიღონ ამ საეროვნო საქმეში. ნეტა ვიცოდეთ, რა საქმეში არიან გართულნი ქართულ გიმნაზიის მონაფენი?

მე პირადად დიდს ბოდიშს ვიხდი ქართულ გიმნაზიის დირექტორის წინაშე, აგრედვე „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს წინაშე, მაგრამ მე მალაპარაკებს მხოლოდ უკიდურესი მიუდგომლობა და მწვავე სურვილი, რომ შემდეგში ამისთანა სამწუხარო მაგალითი არ განმეორდეს, რომ თუ ჩვენ თითონ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან, სხვას მაინც შეუწყნოთ ხელი და ნუ დაუშლით მას დიდის საქმის შექმნას.

და რომ ბ. ფოცხვერაშვილის საკონცერტო ნიმუში დიდი საეროვნო საქმეა და არა ვინრო ეკლესიური, ამას შემდეგ ნომერში დავინახავთ.

გ. საყვარელიძე

ქართული სახიობა

ქართ.-რუს. სასულიერო კონცერტი კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გაიმართა მეფის მოადგილის სასახლეში კვირას, 23 გიორგობისთვის. კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფ-მა ტაში და ექზარხოსის მხრით მადლობაც დაიმსახურა. დანვრილებით შემდეგ.

კომპ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო

(სხვადასხვა გაზეთის აზრი)

დღეს, 7 დეკემბერს, „არტ.საზ.“ დარბაზში ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი მართავს სასულიერო კონცერტს საერო განყოფილებით. ყოველი ქართველი ფრიად დაინტერესებული უნდა იყვეს ასეთი კონცერტებით, რომელნიც დიდად უწყობენ ხელს ჩვენი მუსიკის განვითარება-შესწავლის საქმეს. უცხოელნიც კი ალტაცებაში მოჰყავს ჩვენს ხალხურ სიმღერა-საგალობლებს და სირცხვილი იქნება ჩვენთვის, ერთხელ მაინც არ მოვისმინოთ ისინი ევროპიულ ჰარმონიზაციით დამუშავებული. აი, რას სწერდენ კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის შესახებ, რომელიც მან გამართა პეტროგრადში 1914 წ. 16 მარტს. არას ვიტყვიტ ნ. მარრის წერილის შესახებ, რომელიც ქართველ საზოგადოებას წაკითხული აქვს („სახალხო ფურცელის“ აპრილის ერთ-ერთ №-ში), მოვიყვანთ მხოლოდ სატახტო გაზეთების კრიტიკოსების აზრსა:

„... ქართული საეკლესიო მუსიკა ძლიერ ძველი დროისაა, რადგანაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო მე IV საუკუნეში ბერძნებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენ მღვდელ-მსახურებმა თან მოიტანეს ბერძნული საღვთისმსახურო საგალობლები, საქართველოში შედარებით მალე შეიცვალა იგი ეროვნულ ნიადაგზე. რადგანაც საეკლესიო საგალობლები ყველგან უკედ ინახებოდა, ვიდრე საერო ხალხური, ამიტომ ქართული საეკლესიო საგალობლებიც უფრო წმინდადაა დაცული. ამ მხრით ქართული საეკლესიო საგალობლები დიდ ინტერესს იწვევს არამც თუ მხოლოდ ეთნოგრაფიულის, არამედ წმინდა მხატვრულის მხრივაც, რადგან ქართველები ძლიერ მუსიკალური ხალხია, რომელსაც აქვს ბუნებრივი მუსიკალური ხელოვნება“...

(გ. ტიმოფეევი გაზ. „რეჩი“ 18 მარ. 1914 წ.)

„... საღამო ძლიერ საინტერესო იყო სხვადასხვა თვალსაზრისით. მსმენელთა წინაშე გაიარა დიდებულმა საეკლესიო საგალობლებმა, ძლიერ ორიგინალური ჰარმონიული კონსტრუქციისა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ნომრები, რომელიც უცვლელად წარმოადგენდა ნამდვილად ჩანერილ ქართულ სახალხო საგალობლებს... შეუძლებელი იყო ტაში არ დაგვეკრა, თუმცა საეკლესიო საგალობლების შესრულების შემდეგ ტაში აღკრძალული იყო... ქართული

საეკლესიო საგალობლების საღამო ამასთანავე იყო კულტურულ-ეროვნული პროპაგანდის იარაღიც. მცოდნე პირები ირწმუნებოდნენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის დროს დიდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიას აქვს საკუთარი თავისებური რელიგიური მუსიკალური კულტურა“...

(სი გაზ. „დენი“ 18 მარტს, 1914 წ.)

„... საღამო მხატვრული და სამეცნიერო თვალსაზრისით ბევრის მთქმელი იყო. ქართულ საეკლესიო საგალობლებზე დიდი გავლენა მოუხდენია ქართულ ხალხურ სიმღერებს“...

(ა კ. „ბირჟევია ვედომსტი“)

ყველაზე საყურადღებოა გამოჩენილის კრიტიკოსის ბ. ბერნშტეინის რეცენზია, დაბეჭდილი „პეტერბურგის ვედომოსტებში“ 19 მარ. 1914 წ.

„... ნამდვილი ქართული ხალხური შემოქმედების ჰარმონიული განსაკუთრებული თვისებანი ძლიერ საყურადღებოა. ევროპელების ყური სრულებით არაა შეჩვეული ასეთ საოცარ თავისებურ მუსიკალურ კომბინაციებს.

ძლიერ საყურადღებოა „წმიდაო ღმერთო“, იმერულ-გურული კილოსი, ჩანერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ძლიერ საინტერესოა მის მიერ ჩანერილი „ალილო“...

„ყოველ შემთხვევაში, ეს ძველებური საგალობლები მოწმობენ თავისებურ ხმების კულტურას იმ საქართველოში, რომელიც საერთოდ მდიდრად და გულუხვად დაჯილდოებული ბუნების მხრივ“...

ასეთი დაფასების შემდეგ, ვიმედოვნებთ, ქართველები ჩვენსავე მარგალიტებს გულგრილად არ შევხვდებით და ჩვენის თანაგრძნობით ნავაქეზებთ მისს დაულალავ მუშაკს.

სოგოლი [სოსო გოგოლაშვილი]

509. თეატრი და ცხოვრება, 1914, 7 დეკემბერი, №40, გვ. 6-7

კომპ. კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი

(23 გიორგობისთვის)

ბ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტს ჩვენ წინა წერილში ვუწოდეთ დიდი საერო საქმე და არა ვინრო ეკლესიური, რასაც სავსებით ამტკიცებს პროგრამის ორი ნომერი ალილო (იმერული ვარიანტი) და წმიდაო ღმერთო.

ბევრი გაიფიქრებს, ალილო ყოველმა ბავშვმა იცის და რა უნდა იყოს მასში საყურადღებოვო. საყურადღებოა ალილოში დამუშავებული ის რთული მუსიკალური ფორმა, რომელსაც ჰქვიან კონტრაპუნტი. მაგრამ არავის ეგონოს, ეს რთული მუსიკალური ფორმა კომპოზიტორის შეტანილიაო. სრულიადაც არა! ეს ფორმა ხალხის გეგნის ნაყოფია, შექმნილი რამოდენიმე საუკუნის წინად.

მაშინ, როდესაც ჰოლანდიაში 15-16 საუკუნეებში გამოჩენილი თეორეტიკოსები იხსდნენ და თავს იმტრევდნენ რთულ მუსიკალურ ფორმის (კონტრაპუნტის) შექმნისათვის, ქართველი ხალხი, სრულიად უფიცი მუსიკის თეორიაში, ჰოლანდიელებზე ბევრი საუკუნით წინ,

თავისი გენიოსური ალლოთი, ზეპირად ჰქმნიდა რთულ მუსიკალურ ფორმას, რაიც სავსებით გამოსჭვრეტს როგორც საზოგადოდ ბევრ ხალხურ ნაწარმოებში, აგრედვე კერძოდ ალილოში.

მეორე ნომერიც „წმიდაო ღმერთო“, რომელიც ასე საუცხოვოდა აქვს კომპოზიტორს ნოტებზე გადაღებული და დამუშავებული, უძველეს დროის ჩამომავლობისა არის და არა შექმნილი ქრისტიანობის მიღების, შემდეგ. ამას ამონებს ჯერ ერთი თვით საგალობლის ძველი ფორმა, რომლითაც იგი იგალობება და რომლითაც იგი წააგავს უძველეს ქართულ სიმღერას „ყურშაო“-ს, მეორე კიდეც ის გარემოება, რომ ამ კილოს იმერეთში ბევრს სოფელში მღერიან ამ სიტყვებით:

მზეო, დამბადო სოფლისა,
იყავ კურთხეულ;
„მზეო, მეუფევე ყოვლისა
იყავ დიდებულ;
„მზეო კეთილის მომნიჭევე
გვექმენ მფარველად“...

საგალობლის ძველებური კილო და მერე თვით ამონაწერი სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ საგალობელი ხალხისაგან შექმნილია ბევრად ადრე, ვიდრე ჩვენ ქრისტიანობას მივიღებდით.

აქედამ კი ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ჩვენს ეკლესიურს გალობას ძალიან დიდი კავშირი აქვს საერო სიმღერებთან, რომ საეკლესიო საგალობლებში ბევრი ხალხური სიმღერაა შეტანილი და ამ განძს, როგორც ერთ-ერთ ნაკვეთს ხალხის გენიოსას, დიდი გაფრთხილება და მოვლა უნდა.

სწორედ ამ მხრით არის კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილის დანყება დიდი საერო საქმე, რომ მას საეკლესიო საგალობლები სისტემაში მოჰყავს, ჰკრეფს უნდილ მასალას, ჰფურჩქნის, სთლის, აშალაშინებს და მით ჰქმნის მასალას როგორც ჩვენთვის, ისე უცხო ერთათვის ტკბილ მოსასმენად. რუსის კომპოზიტორები გრეჩანინოვი, კომპანეისკი, ჩესნოკოვი და ბევრნი სხვანი მით არიან საყვარელნი და პატივსაღებნი, რომ იგინი ეძიებენ ძველ სლავიანურ კილოებს, ჰქმნიან მათ კანვად და მათზე ჰქსოვენ საუცხოვო საეკლესიო საგალობლებს.

კ. ფოცხვერაშვილისთანა მუშაკნი მით უფრო არიან ჩვენთვის საჭირონი, რომ დასამუშავებელი მასალა ძალიან ბევრია, მუშაკი კი ძალიან ცოტა და თუ ვინმე გამოვიდა ამ დარგის ასაღორძინებლად, მას უსათუოდ წინ ბევრი ხელშემშლელი გარემოება უნდა გადაელობოს.

დიდად საჭიროა ამ გარემოებას ჩვენმა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს, გადადოს თანხა, მოიწვიოს მცოდნე პირნი და კონკურსით დაავალოს მათ სხვა და სხვა საეკლესიო საგალობლების შემუშავება, თორემ ავტოკეფალიასა და ეროვნულ ეკლესიაზე რომ ლაპარაკობენ, რითი ჰსურთ გაუმასპინძლდნენ მლოცავთ? ნუთუ იმ მასალით, რომელსაც ქაშვეთის ეკლესიაში 20-25 წლის განმავლობაში გალობენ?...

კონცერტის ქართულ განყოფილებამ, როგორც ტენიკურად, ისე ესთეტიურად ძალიან მწყობრად ჩაიარა. ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სადა საგალობელმა „დიდება მაღალთა შინა“, რომლის ჰარმონიზაცია თვით კომპოზიტორს აქვს დამუშავებული. ორიგინალური მოსასმენი იყო წმიდა ნინოს ტროპარი, რომლის ჰარმონიზაციაში შედის ორი ფრაზა თვით ქართულ ტროპარისა, დანარჩენი ნაწილი კი კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის და ეს საკუთარი და ხალხის ქმნილება ისე არის შეზავებული, რომ უცხო კაცი, თუ არა მცოდნე თვით ქართულ ტროპარისა, ამას ვერ შეამჩნევს. –

გ. საყვარელიძე

ქართული სახიობა

კომპოზიტორ კ. გ. ფოცხვერაშვილის სასულიერო და საერო კონცერტი გაიმართა კვირას, 7 ქრისტეშობისთვის საარტ. საზ. საკონცერტო დარბაზში. ამ კონცერტის გამართვა მძიმე პირობებში მოხდა: გუნდისთვის შესაფერი ადგილი არ იყო, ქერში გაეკრათ ხავერდული, რაც შეთანხმებულ ხმიანობას არღვევდა. მიუხედავად ამისა კომპოზიტორმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი მაღალი სამუსიკო და ორგანიზატორული ნიჭი. მისი ნაწარმოებნი მდიდარია, მრავალფერი და წმიდა ხალხური სულით გაჟღენთილი. დიდძალმა დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა ეს ქართული მუსიკის დევეგმირი მუშაკი. განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია სასულიერო განყოფილებამ „დიდება მაღალთა შინამ“, „ღმერთი უფალი“ და წმ. ნინოს ტროპარმა, სასოებით შესრულებულმა და მრავალმეტყველმა; საერომ – „ლილემ“, „ვახტანგ მეფემ“, პროგრამის გარეშე საზოგ. თხოვნით შესრულებულმა „კერპთა დამხობიდან“ (ქურუმთა და ქურუმ-ქალთა საღმრთო როკვა და ჭეჭა-ქუხილი). ზოგიერთი ნომერი გაამეორებინეს კიდევ. მისი ახალი რთული მუსიკალური ნაწარმოები „მუმლი მუხასა“ (ფუგა) და „კუჩხა“ ვერ შესრულდა. მთლიანობით კონცერტი დასრულდა „გოგონათი“ (პროგრამის გარეშე). მართლა კაცი ჯადოსანი უნდა იყოს, რომ ასეთი რთული სიმღერები შეასრულოს ახალგაზრდა მონაფე ქალ-ვაჟთა გუნდის და ორკესტრის დახმარებით, ურეპეტიციოდ. როგორც პატივცემულმა მუსიკოსმა გამოაცხადა – სასულიერო მთავრობამ თვის მონაფეთ კონცერტში მონაწილეობის ნება მისცა, მაგრამ რეპეტიციის საშუალება კი თითქმის მოუსპო. ჩვენი მდიდარი მუსიკა ახლად მუშავდება ევროპიულის წესით, ყოველი მისი ნაბიჯი ჩვენის მუსიკის წინსვლას მოასწავებს და ამიტომ ფრიად საჭიროა ამ ასპარეზზე მომუშავეთ ხელი შევუწყოთ. უნდა ყველამ ვიცოდეთ, რომ სანამ ჩვენის ხალხის სასულიერო და საერო სამუსიკო შემონაქმედი ევროპიული წესით არ დამუშავდება, ვიდრე მასალა არ მოგროვდება, ძნელია რაიმე რთული სამუსიკო ნაწარმოების შექმნა. ამ მხრით დიდათ საქებარია კომ. კ. ფოცხვერაშვილი, ეს თავისებური თვითშემოქმედი ხელოვანი, რომ დაუღალავად მუშაობს: მის ღვანლს ალბად მომავალი და მუსიკის საუკეთესო მცოდნენი დააფასებენ ღირსეულად. მრავლად დამსწრე საზოგადოების შორის სასულიერო წოდების წევრნიც იყვნენ, მაგრამ ძლიერ ნაკლებ: ნუთუ ქართველი სასულიერო წოდება აღარაა?

უსავანო [იოსებ იმედაშვილი]

წვრილი ამბები

სასულიერო საგალობელთა კრებულის გამოცემა განუზრახავს (გასულ კვირას გამართულ კონცერტის შემოსავლით) კომ. კ. ფოცხვერაშვილს. კრებულში მოთავსებული იქნება თვით კ. ფოცხვერაშვილისა და სხვა ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებნი.

1915

512. თეატრი და ცხოვრება, 1915, 15 თებერვალი, №7, გვ. 15

წერილი ამბები

დიდი სახალხო კონცერტი გაიმართება დღეს სახალხო სახლში თბ. ქართ. მომლ. მგალობელთა შეერთებული გუნდისა (60 კაცზე მეტი) მიხეილ კავსაძის ლოტბარობით. გუნდის გადანწყვეტილებით შემოსავლის 10% გადაეცემა ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდს.

513. თეატრი და ცხოვრება, 1915, 15 თებერვალი, №7, გვ. 16

ხაშმელ გლეხთა მგალობელმა გუნდმა დაკრძალვის დღეს საერთო ყურადღება დაიმსახურა. ამ გუნდმა ორშაბათს დიდუბეში ისტორიკოს დ. ბაქრაძის (ხაშმელი იყო) პანაშვიდი გადაიხადა.

514. თეატრი და ცხოვრება, 1915, 5 აპრილი, №14, გვ. 16

წერილი ამბები

პირველად თელავში სასულიერო კონცერტს გამართავს ნ. კ. ს. თელავის განყოფილებასთან არსებულ მგალობელთა გუნდი კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით 5 აპრილს.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმომადგენლების მმართველ წრესთან დაარსდა: 1) ქართული მომღერალ-მგალობელ ქალ-ვაჟთა გუნდი და 2) მემუსიკეთა გუნდი. გუნდისა და ორკესტრის გასაძლიერებლად ინვევენ ყველა მსურველს. პირობების შესატყობად და ჩასაწერად მიჰმართონ გუნდის ლოტბარს ბ. შაქრო ხატიაშვილს (მთავარ ანგელოსის სამრევლო სკოლა, საღამ. 4-7 საათამდე). 3) ორკესტრის ხელმძღვანელს (კოპელმეისტერს) ბ. ნიკოლაბაძეს (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში), და 4) ორკესტრის და გუნდის დამაარსებელს ბ. თომა ნასიძეს (შემახის ქუჩა №5, თბილისის პოლკის კაზარმების გვერდით, კახეთის ქუჩა).

სამუსიკო განყოფილება აკაკის დილაზე, 8 მარტს *

ძალიან საზრიანი ნაბიჯი იყო კომიტეტის მხრივ, რომ მან მუსიკალურ განყოფილები-სათვის სამს მუსიკოსს მოუყარა თავი: ბ. ბ. ფალიაშვილს, კარგარეთელსა და ფოცხ-ვერაშვილს. ორი უკანასკნელი მუსიკოსი გამოვიდა თავისი ნაწარმოებით, მხოლოდ ბ. ფალიაშვილმა შეასრულა ორკესტრით შოპენისა და ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარშები, მაგრამ უფრო სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, ბ. ზ. ფალიაშვილიც თავის საკუ-თარი ნაწარმოებით გამოსულიყო და სწორედ აქ ვერ გამოუჩენია აკაკის დამკრძალავ კომიტეტს შორსგამჭრიახობა, რომ ამ დილისათვის შეეკვეთნა სამგლოვიარო მარში ან კიდევ სხვა რაიმე დილის შესაფერი მუსიკალური ნაწარმოები, რითაც კომიტეტი ჩვენ მუსიკალურ ლიტერატურას დიდს სამსახურს გაუწევდა და თვით მუსიკოსებსაც გონიერს კონკურსს გაუჩინდა...

შოპენის სამგლოვიარო მარში და ნამეტნავად ბეთჰოვენის უკვდავ „საგმირო სიმფონიი-დამ“ ამოღებული მარში სასიამოვნო მოსასმენი იყო, მაგრამ უფრო ძლიერ შთაბეჭდილე-ბას დასტოვებდნენ, რომ სიცხოველე შეეტანა. ორთავე მარში შესრულებული იყო მდარედ, უფერულად, აკლდა ლოტბარის ციური ნაპერწკალი. არ შეიძლება ლოტბარმა პარტიტურაში თავისი სხივიც არ შეიტანოს. ბეთჰოვენი ხომ კარგია და ჰენიოსი, მაგრამ იმასაც დიადი შესრულება უნდა. მხატვრული ასრულება ნაწარმოებისა ორკესტრით ლოტბარისათვის დიდ რადმე მიგვაჩნია და ამ მხარეს შემდეგში კიდევ შევეხებით, როდესაც ვრცლად გვექნება ლაპარაკი ზ. ფალიაშვილზე როგორც საზოგადო მოღვაწესა და კომპოზიტორზე.

ორიგინალური, მაგრამ სასიამოვნო მოსასმენი იყო ბ. ია კარგარეთელის ანდერძი, საგალობლებად გადაღებული. ანდერძს ჩვენში არ მღერიან, მხოლოდ კითხულობენ და რომ მოსაწყენი არ იყოს, არამედ უფრო სასიამოვნო მოსასმენი, ბ. კარგარეთელს ეს ანდერძი ნოტებზე დაუწერია. საგალობლები ფრიად ტკბილი მოსასმენია, კარგადაც იყო ხოროსაგან შესრულებული. მაგრამ ვშიშობთ, რომ ეს გალობით ანდერძი ვერ გამოდგეს, ვინაიდან თუ მთელი ანდერძი იგალობეს, მაშინ პანაშვიდი თითქმის ნახევარ დღეს გასტანს.

ბ. ფოცხვერაშვილმა შეასრულა ორი საგალობელი: „სულთა თანა აღსრულებულთა მართალთასა“ და „წმიდათა თანა განუსვენე“... „სულთა თანა აღსრულებულთა“ ქარ-თული საგალობელია ოთხ ხმაზე დამუშავებული, „წმიდათა თანა“ კი თავისი საკუთარი თხზულება არის, ქართული ელფერი სავსებით არის დაცული. ორივე საგალობელი ძალიან სადათ არის დაწერილი. ადვილი შესათვისებელი, ამასთანავე ძალიან სასიამოვნო მოსასმენი. გლოვის ზარი სავსებით არის მათში დაცული და გულსაკლავ შთაბეჭდილებას სტოვებს. მხოლოდ არ შეგვიძლიან ლოტბარს არ უკიჟინოთ ის, რომ იგი ყოველ საგალო-ბელს ძალიან აჭიანურებს, აგრძელებს. ლოტბარი არ კმარობს მძიმე ზომას, იგი ყოველ ფრაზის შემდეგ იმოდენა ფერმატოს აკეთებს, რომ მსმენელს სული ხდება, რადგანაც პატარა საგალობელი, რომელიც უნდა ნახევარ წუთში გათავდეს, ბ. ფოცხვერაშვილის ასრულებით 3-5 წუთი გრძელდება. არ შეიძლება მძიმე საგალობელში ბევრი ფერმანტოს შეტანა, მით უფრო, რომ ეს ხოროსათვისაც სახიფათოა, იმ მხრივ, რომ გაუწვრთნელი და სისტემატიურ სკოლას მოკლებული მომღერალი დიდ ხანს ვერ იკავებს ხმას, ატოკებს მას და სცდება წესიერ ნოტს; სწორედ აქედამ წარმოსდგებოდა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ხან სოპრანოები, ხან ალტები სცდებოდნენ წესიერ ტონს და აფუჭებდნენ საგალო-

ბელს. ამას კომპოზიტორმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ იმის ხელოვნურ ასრულებას მეტი სიმშვენიერე ახლდეს.

გ. საყვარელიძე

^{*)} ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენს უნებლიეთ დაგვიანდა.

რედ.

516. თეატრი და ცხოვრება, 1915, 26 აპრილი, №17, გვ. 11-12

ქართული საერო და საეკლესიო გუნდები

არ გვახსოვს ქართულ გუნდის მიერ გამართული ისეთი კონცერტი, რომ ხალხი, საზოგადოება, ალტაცებით არ მიჰგებებოდეს.

ჩვენს ერს სწყურიათ ეროვნული სიმღერა-გალობის მოსმენა.

ასეთი მოვლენა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

მოგეხსენებათ, ქ. თბილისში არსებობს არა ნაკლებ 10 გუნდისა, კერძო პირთა თაოსნობით. ამას რომ მიუმატოთ ქართ. ფილ. საზოგ., სემინარიისა, „განათლების“ სკოლისა, საეპარქიო სასწავლებლისა და ქართ. გიმნაზიისა და სხ., აღმოჩნდება, რომ თბილისში 16-17 ქართული გუნდი მოიპოება.

ჩვენ ხელთა გვაქვს მასალა, თუ რომელ გუნდში, რამდენი იღებს მონაწილეობას და გუნდებს რა მიზანი დაუსახავთ.

ეს მასალა გვაჩვენებს, რომ ქართულ გუნდებში დაახლოვებით მონაწილეობს 500-სამდე ქალი და კაცი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ გუნდების დამაარსებელთა და ამ გუნდებში მონაწილეთა მიზნად დაუსახავთ მხოლოდ სახალხო სიმღერებისა და საეკლესიო გალობის შესწავლა-გავრცელება და არა მარტო მატერიალური მხარე (ერთი თუ ორი გუნდის გარდა).

ამ გარემოებას საჭიროა აუცილებლივ მიექცეს დიდი ყურადღება...

მოგეხსენებათ, ყოველი გუნდის ლოტბარი თავის გუნდს ასწავლის იმას, რაც თითონ იცის, იმ კილოზე, როგორც მას აქვს შესწავლილ-შეთვისებული, ე. ი. თავის გემოვნებაზე, და ამიტომ, ხშირად, ჩვენ ერთსა და იმავე სიმღერას ანუ საეკლესიო საგალობელს სულ სხვადასხვა გემოვნებით და კილოთი ასრულებულს ვისმენთ. ამიტომ საზოგადოებისთვის გამოურკვეველი რჩება, რომელი კილოა ამ სიმღერაში ეროვნული და სინამდვილით შესრულებული.

თუ ამ გარემოებას არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, შესაძლებელია, ჩვენდა უნებურად ისე დავამახინჯოთ ეროვნული სიმღერა-გალობა, რომ, როგორც იტყვიან „ძალი პატრონსაც კი ველარ სცნობდეს“.

რა გზით მოუარო საქმეს? რა საშუალება ვიხმაროთ, რომ ჩვენს ქართულ სიმღერა-გალობას თავისი ეროვნული ელფერი არ დაეკარგოს და ჩვენს შთამომავლობას გადავცეთ წმინდად?

ჩვენის აზრით, საჭიროა შესდგეს საერთო კრება ყველა არსებულ ქართულ გუნდთა ლოტბარებისა და ყოველ გუნდიდან არჩეულ თითო მომღერლისაგან.

ამ კრებამ უნდა ითავოს საერთო გეგმის შემუშავება, მონვევა რომელსამე კომპოზი-

ტორისა, მონყობა და მოწესრიგება საერთო ეროვნულ კონცერტისა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ქ. თბილისში არსებული ყველა ქართული გუნდები.

ეს კრება უნდა მოინვიოს მომღერალთა საზოგადოების „სანთურის“ გამგეობამ, ქარ. ფილ. საზ. ან ბ. მ. კავსაძემ, როგორც კერძო გუნდების ძველმა წარმომადგენელმა.

ამისთანა შეერთებული ძალით მოქმედება ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს გათვითცნობიერებას, ერთის მხრით, და მეორეს მხრით კი ნივთიერადაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს ეროვნულ დაწესებულებათ.

ჩვენის აზრით, საკმარისია ამ შეერთებულმა ქართულმა გუნდმა წელიწადში 5 კონცერტი გამართოს, სახელდობრ: 1) 14 იანვარს – წმ. ნინოს დღეს – საეკლესიო კონცერტი; საერო კონცერტები: 2) ილიას, 3) აკაკის ფონდის გასაძლიერებლად, 4) ქ. შ. ნ. კ. ს. სასარგებლოდ და მე-5-ე – 1 მაისს თამარ მეფის დღეს. – უკანასკნელი 1 მაისისთვის (თამარის დღე) გამართულ საერო დღესასწაულში, გარდა ქ. თბილისში არსებულ გუნდებისა, მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელ საქართველოში არსებულმა ქართულმა გუნდებმა.

ექვს გარეშეა, ამ დიად საქმის განსახორციელებლად დაგვჭირდება ფულები, მაგრამ ჩვენის აზრით ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია, ვინაიდან, ჯერ ერთი, ზოგიერთ ქართულ გუნდს აქვს კასაში ფული და ვფიქრობთ მომღერალნი არ დაერიდებიან ხარჯს, ოღონდ ეს დიადი საქმე განხორციელდეს, მეორეც – თითო მომღერალმა ამ საქმისათვის თითო მანათი რომ გამოიღოს, სათაურში მდგომთ მიეცემათ საშუალება – როგორც კომპოზიტორის მოწვევისა, აგრედვე ყოველ წლივ საერო დღესასწაულების მართვისა, ისეთი დღესასწაულებისა, როგორც იმართება ლიტვაში და სხვაგან.

ეს საკითხი დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია და იმედია ყურად იღებენ ვისაც შეეხება.

თუ როგორ და რა სახით ჰმართავენ ეროვნულ დღესასწაულებს სხვა, ჩვენსავით დაჩაგრულნი ერნი, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

თომა მალაროელი

517. სახალხო ფურცელი, 1915, 5 მაისი, № 274, გვ. 3

შესდგა გალობის მსურველთა გუნდი, რომელიც სისტემატიურად იგალობებს ქართულად სამ ხმაზე საკრებულო ტაძარში ყოველ კვირა-უქმე დღეს. განზრახულია აგრეთვე სთხოვონ ამ ტაძრის წინამძღვარს, რათა ცისკარი საღამოს ლოცვას მოაბან ხოლმე. საღამოს ლოცვა-ცისკარზეც იგალობებს ხსენებული გუნდი.

518. სახალხო ფურცელი, 1915, 9 მაისი, № 278, გვ. 3

ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია დღეს, თავის დღესასწაულს უქმობს. მწირველია გორის ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრიტების – ნაზარისა და პიროსის თანამწირველობით. იგალობებს ქალ-ვაჟთა გუნდი ნიკ. ლაბაძის ლოტბარობით.

519. თეატრი და ცხოვრება, 1915, 10 მაისი, №19, გვ. 16

წვრილი ამბები

* * *

სიმღერა-გალობის მასწავლებელს ნ. კავსაძეს განუზრახავს შეაერთოს ყველა ქართული გუნდები და ერთი დიდი კონცერტი გამართოს სანდრო კავსაძის ლოტბარობით დაზარალებულ აჭარელთა და ქართ. თეატრის სასარგებლოდ.

* * *

ნ. სულხანიშვილის სასულიერო კონცერტი, რომელიც ამას წინადა უნდა გამართულიყო თელავში, გაიმართება დღეს 10 მაისს.

520. სახალხო ფურცელი, 1915, 16 მაისი, № 282, გვ. 3

* * *

ანჩისხატის ტაძარში. კვირას, 17 მაისს, საქართველოს ექსარხოცი პიტირიმი მწირველია ანჩისხატის საკრებულო ტაძარში. იგალობებს ქართული გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით. წირვის შემდეგ ხელთ-უქმნელ პირიღვთის ხატის წინაშე პარაკლისი იქმნება გადახდილი.

521. თეატრი და ცხოვრება, 1915, 23 მაისი, №21, გვ. 3

* * *

მუსიკოს-ლოტბარი სანდრო კავსაძე ამ მოკლე ხანში აპირებს პირველი დიდი ქართული ეროვნული კონცერტის გამართვას.

522. თეატრი და ცხოვრება, 1915, 23 მაისი, №21, გვ. 16

* * *

ბორჯომის ქართ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი შაქ. ტალიკაძის ლოტბარობით კვირას, 24 მაისს, ბორჯომის მუავე-წყლის თეატრში გამართავს ქართულ კონცერტს, გლეხური სურათებით.

სახალხო მოღვაწენი

ხალხურ სიმღერა-გალობის ლოტბარი, იოსებ ალექ. გოძიაშვილი (1887-1915), მოულოდნელად გარდ. 21 მაისს და იმავე თვის 24, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს. დაიბ. ქ. თბილისში 13 მარტს 1887 წ. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო წმ. მარინეს სამრევლო სკოლაში, შემდეგ თბ. სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მოძრაობის დროს თვითგანვითარებას შეუდგა, მოძრაობის ხანაში თავისი წყნარი მუშაობით მუშათა შორის ხელს უწყობდა ძმობა-ერთობის და სიყვარულის განმტკიცებას. სწერდა ლექსებსაც, მაგრამ საერთო სიყვარული ლოტბარობით დაიმსახურა. სიმღერა-გალობა ბავშვობიდანვე უყვარდა. ექვსი წლისამ დაიწყო გალობა წმ. მარინეს ეკლესიაში კ. ჩარკვიანთან, შემდეგ სემინარიაში მლ. კარბელაშვილთან, ბოლო დროს სანდრო და მ. კავსაძეებთან და მ. ლაბაძესთან პირველი ადგილი ეჭირა. მ. კავსაძის ძველ გუნდში გამგეობის წევრადაც იყო. 1913 წ. გიორგობისთვეში დააარსა ქალთა გუნდი, მთელი 1913 წ. თავის გუნდით ემსახურა უსასყიდლოდ თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას, 1914 წ. დააარსა ვაჟთა გუნდიც. სიმღერა-გალობას დიდის ენერგიით ასწავლიდა უსასყიდლოდ. დროგამოშვებით საზოგადო კონცერტებს მართავდა. იგი თავის სიმღერებშიც კი მუშათა ცხოვრებას გვიხატავდა: მან პირველმა გამოიყვანა 1913 წ. სახალხო სახლში 50 ქალისაგან შემდგარი გუნდი, რომელმაც პირველად შეასრულა: „მუშებო, თქვენი მარჯვენა“, „სტირიან თუშის ქალები“, „მაყრული“, „ჟუჟუნა“, „მოკვდი მტერო“ და სხვ. ეს ახალგაზრდა ბევრს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ხალხურ სიმღერა-გალობის საქმეს, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ აცალა.

განისვენე მშვიდად, ხალხის წყნარო და უანგარო მუშაკო.

შ-რო

წვრილი ამბები

* * *

მგალობელ-მომღერალთა ლოტბარის ი. გოძიაშვილის ორმოცის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია სადღესობად წმ. მარინეს ეკლესიაში.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო. ვაჟა-ფშაველას დაკრძალვა

2 აგვისტოს წირვა დაიწყო ქვაშვეთის ტაძარში, დილის 8 ნახ. საათზე. მწირველი ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდი, გორის ეპისკოპოზის ანტონისა, არქი-

მანდრიტების ნაზარისა და პიროსისა და პროვინციებიდან ჩამოსულ და თბილისის სამღვდელთა თანამსახურებით. 11 საათზე დასრულდა წირვა, როცა ეკლესიაში მობრძანდა საქარველოს ეგზარხოსი, მაღალყოვლადუსამღვდელთა პიტირიმი, რომელმაც, ზემოაღნიშნულ ეპისკოპოსთა, არქიმანდრიტთა და სამღვდელთა თანამსახურებით, წესი აუგო განსვენებულ მგოსანს. ეკლესიაში გრძნობით და შინაარსით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვეს ეპისკოპოსმა ლეონიდემ და დეკანოზმა კეკელიძემ. ცოცხალი ყვაილებით მორთული კუბო ეკლესიიდან გარეთ გამოასვენეს მწერლებმა, პრესის წარმომადგენლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. გალავანში გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების წარმომადგენელმა ლ. ბოცვაძემ და თუშების წარმომადგენელმა დავ. ქადაგიძემ. შემდეგ ამისა კუბო დასვენებულ იქმნა სამგლოვიარო ეტლზე და სამგლოვიარო პროცესია გაემართა, გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით და მიხეილის პროსპექტით, დიდუბისაკენ. ქართველ ერის სახელით მოძღვნილი გვირგვინი მიჰქონდათ მგოსან სანდრო შანშიაშვილს და კ. მაყაშვილს. სამგლოვიარო ეტლს გარს ეხვივნენ ქართველი მწერლები, პრესის წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწენი. გზაში რიგ-რიგობით ჰგალობდა 4 გუნდი: მ. კაცაძისა, ფილარმონიულ საზოგადოებისა, ჩარკვიანისა და დიდუბის ეკლესიისა. სახალხო სახლთან მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. კუბოს მიაცილებდნენ მგოსნის სახლობა, ნათესავები, სხვადასხვა ქალაქთა, წოდებათა, კორპორაციათა, საზოგადოებათა წარმომადგენელი და მრავალ ათასოვანი ხალხი. სხვათა შორის იყვნენ თავად-აზნაურობის მხრივ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, კ. ი. სვიმონიშვილი, თავ. კ. დ. ერისთავი და სხ. თბილისის თვითმმართველობის მხრივ გ. ა. ჯაბარი და ბ-ნი ათაბეგოვი, წარმომადგენელი მუსულმანთა, სტუდენტობისა, ჭიათურელ და ადგილობრივ მუშათა კორპორაციებისა და სხ. დაესწრო მუსლიმანთა საზოგადოება და პრინცესა კაჯარი. პროცესია მივიდა დიდუბის ტაძრის გალავანში ნაშუადღევს 2 საათზე. იქ სიტყვა წარმოსთქვეს: მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა სულთანოვმა, მუსულმანთა სტუდენტების წარმომადგენელმა ბ-ნმა ფიფიანოვმა, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელმა გრ. ლალიძემ, თბილისის მშრომელ ხალხის წარმომადგენელმა ივ. ბალიაშვილმა, ჭიათურის შავი-ქვის მუშათა წარმომადგენლებმა – იოსელიანმა და ხიზანაშვილმა, მღ. მირიანაშვილმა, თბილისში მყოფ სტუდენტთა წრის წარმომადგენლებმა, სტუდენტმა კოტეცაშვილმა, ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების წარმომადგენელმა ბეს. კელენჯერიძემ, მგოსანმა ბაჩანამ, ვაჟას შვილიშვილმა და სხ. ნაშუადღების სამ საათზე, მცირე პანაშვიდის შემდეგ, ძვირფას მგოსნის გვამი მიაბარეს. მწარედ დაღონებული ხალხი დაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო, წესიერება არ დარღვეულა.

526. სახალხო ფურცელი, 1915, 6 აგვისტო, № 351, გვ. 2

ახალი ამბავი

ფერისცვალება. დღეს დარიის ფერისცვალების მონასტერი თავის დღესასწაულს უქმობს. მონასტერში მწირველია გორის ეპისკოპოსი ანტონი. იგალობებს ხაშმელ გლეხების ხორო, შედგენილი გიორგი ეპიტაშვილის მიერ.

წვრილი ამბები

ფერისცვალობას დარიის მონასტერში ანტონ ეპისკოპოსის მწირველობით მრავალი ხალხი შეიკრიბა. წირვაზე გალობდა ს. ხაშმელ გლეხთა გუნდი გ. ეპიტაშვილის ლოტბარობით. ხაშმელ გლეხთა გუნდმა, 7-8 კაცისგან შემდგარმა, ბევრი საგალობელი საუცხოვოდ შეასრულა და თვისი ხალხური, ნამდვილი ქართული კილოთი ფრიად საამო შთაბეჭდილება მოახდინა. გლეხთა შეწყობილი ტკბილი ხმა და გარეგნობა – დაკოჟრილი ხელები, ჩოხა-ახალუხი და თექის ქუდები საერთო ყურადღებას იქცევდა. როგორც შევიტყეთ, ყოვლად სამღვდლო ანტონის განუზრახავს, სხვადასხვა სოფლებშიაც გლეხთა ასეთი გუნდების შედგენა-მოწყობას ხელი შეუწყოს.

528. საქართველო, 1915, 16 სექტემბერი, №169, გვ. 2

ქართული გალობის გარშემო

ამ ცოტა ხნის წინათ ქართ. გაზეთებმა დასტამბეს ანგარიში თბილისის მღვდელთა კრებისა, რომელიც მომხდარა ყოვლადსამღვდლო ანტონ ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. სხვა საქმეთა შორის, სამღვდ. კრება შეხებია ქართულ საეკლესიო გალობის მდგომარეობასაც სასულიერო სასწავლებლებში. როგორც მოსალოდნელი იყო ქართველ სამღვდლოებამ ყოველივე უნარსა და გულწრფელობას მოკლებულმა, ეხლაც ბევრი ილაპარაკა იმაზე თუ ის სახელი, ის დიდება ეკლესიისა, როგორ წაახდინეს და გახრწნეს, თვითონ კი არა, სხვებმა. ზოგიერთი ორატორი, ყურადღებას მიაქცევდა სასულიერო სასწავლებელში გალობის დაქვეითებაზე და ისურვებდა, დღეს თუ ასეა, ხვალ უკეთ უნდა მოეწყოს ეს საქმეო.

სანამ ქართულ ეკლესიის მესვეურებს დავასახელებდეთ და მივუთითებდეთ იმ დანესებულებაზე, რომელიც მართლაც ღვთის რისხვად მოვლინებია ქართ. ეკლესიასაც და გალობასაც, გვინდა ჩვენ ვიცოდეთ: რა სახით და როგორ უნდა მოაწყონ ეკლესიის მოსამსახურებმა სასულიერო სასწავლებლებში გალობის შესწავლა ნორმალურად, რომ ეს მეცადინეობა ნაყოფიერი იყოს.

თუ ქართულ ეკლესიის მოსამსახურეთ ჰგონიათ, რომ სასულიერო სასწავლებლების წიგნთსაცავებში თაროებზედ დასტა-დასტად დევს მათ მიერ გამოცემული საეკლესიო საგალობლები, სხვადასხვა ავტორების, ეს შემცდარი აზრი იქნება. ქართველ სამღვდლოებამ, რომელიც დღეს გალობის აყვავებაზე ლაპარაკობს, იოტის ოდენაც არ გაუკეთებია რა ამ საგნის სასარგებლოდ და ამიტომაც არის რომ სასულიერო გალობის ლიტერატურა ნახევარ გირვანქას აინონის და მეტს არა. ვისთვის რა დასამალია, და განა ყველამ არ იცის, რომ მთელი რიგი აუარებელი საგალობლებისა ჯერ ნოტებზედ გადაუღებელია, ბევრი მათგანი მივიწყებულია, რადგანაც მცოდნე საიქიოს გამგზავრებულა და თან ჩაუტანია ეს საუნჯეც. დღეს საქართველოში გალობის შესწავლა ზეპირ-გადმოცემით სწარმოებს, როგორათაც იყო უხსოვარ საუკუნეებში და ამ პრიმიტიულს საშუალებას ამა თუ იმ კილოს შენარჩუნებისა კიდევ გასავალი აქვს ეხლა, მეოცე საუკუნეში, როცა განათლება-განვითარებამ ყოველივე

დარგსა და მეცნიერებაში ათასნაირი ხერხი მოუპოვა საზოგადოებას, ამა თუ იმ საუნჯის უკვდავსაყოფათ. რა იღონა ქართველმა სამღვდელოებამ გალობის აღსადგენად, მრავალწელთა განმავლობაში? სულაც არაფერი! მართალია პეტროგრადიდან იგზავნებოდნენ ჩვენში ეკლესიის მოსაწყობად ისეთი პირები, რომელნიც ქვას ქვაზედ აღარ უშვებდნენ და ივერიის ეკლესიას დედამიწის პირიდგან აღგვას ემუქრებოდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ხომ იყვნენ იმისთანებიც, რომელთაც მართალია, თითქოს სურდათ რაიმე გაეკეთებიათ ივერიის ეკლესიისათვის. რატომ არ ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ ამ კეთილგანწყობილებებით და არ სთხოვა ამ დიდ პირს რაიმე თანხა გალობის მოსახმარებლათ? დიდი საქმე იყო, რომ ამ პირის წყალობით, რამდენიმე ათასი მანეთი გადაღებულიყო გალობის გასამშვენებლად, ან სასინოდო კანტორის დიდი თანხიდან, ან იმ ფულიდან, რომელიც ქართულ ეკლესიას ეძლევა სინოდისაგან? არაფერი არა იფიქრა რა ჩვენმა სამღვდელოებამ, როგორც ყოველთვის, ვერავითარი ვერც მომენტი, ვერც განწყობილებებით ვერ ისარგებლა, თუმცა შესაძლებელი იყო თუ ერთიდან, მეორედგან არა, მესამედგან გამოენახათ რაიმე წყარო გალობის აღსადგენად, იმისთანა კეთილი სურვილები, როგორც ითქვა ხსენებულ კრებაზე, წინადაც ბევრი გაგვიგია ქართველ სამღვდელოებისაგან და არსებითად ამ სურვილებს არავითარი ნაყოფი არ მოუტანია და დღეს აკი ქართულ ეკლესიაც და გალობაც უნუგემო მდგომარეობას განიცდიან!.

ქართველი სამღვდელოება დღესაც დიდი თავყანისმცემელია ზეპირგადაცემისა, და ეს ზეპირგადაცემა გალობაში მას დიდათ სწამს. აი ფაქტები და მაგალითებიც; ამ რამოდენიმე წლის წინათ ექსარხოსის ნებადართვით თბილისში მოეწყო საგალობელი კურსები; ამ კურსებზედ დაიარებოდა სულ ექვსი-შვიდი კაცი; ამ რიცხვმაც თანდათან იკლო, მესამე კვირაზედ კურსების მომწყობმაც მიაწება თავი. იკითხავთ მიზეზს კურსების დახურვისას. მიზეზი ის გახლდათ, რომ თვით მასწავლებელს გალობისას ცოტა უნარი ებადა ზეპირ გადაცემაში; მსმენელი ორჯერ-სამჯერ მივიდა, ვერა შეითვისა რა და იძულებული იყო დაენებებინა თავი. ესევე უნაყოფო შედეგი აქვს გალობის ზეპირგადაცემით შესწავლას, დარიის მონასტერში მედავითნეებისათვის დაარსებულ კურსებზედ. სხვა საქმეა როცა მოსწავლეს წინ უძევს ნოტებით დაწერილი საგალობელი; თუ ზედმინეენით არ ეცოდინება გალობის ანბანი თვალთ ხომ ხედავს ნიშნების სიმაღლე სიდაბლეს ერთს ხაზზედ. აი ეს უპირატესობა აქვს ნოტებით დალაგებულ გალობის შესწავლას ზეპირ გადაცემით შესწავლის წინაშე. ამისათვის აქნობამდისაც უნდა ყოფილიყვნენ ქართველნი მღვდელნი და გულშემატკივარნი საგალობლები ნოტებზე გადაღებულიყო, რომ ეს საუნჯე ყველასათვის მისახდომი და მისაწვდომი გამხდარიყო.

სემინარიაში და სასწავლებლებში უკეთ უნდა მოეწყოს გალობის საქმეო. ვის აქვს ეჭვი, – ფრიად კეთილი სურვილია: მაგრამ დაკვირვებია კი ვინმე ამ გარემოებებს რანიც რკალივით გარს არტყიან ყოველივე ქართულს ამ სასწავლებლებში და კერძოთ გალობასაც? ამ საგანზედ მე მილაპარაკნია ეხლანდელ გალობის მასწავლებელთან ბ-ნ კარგარეთელთან, რომელიც უარყოფის თვალთ უყურებს გალობის ნაყოფიერებას სასწავლებლებში. მე, როგორც სასულიერო სასწავლებელში გავილის, მახსოვს გალობის გაკვეთილები; ძალის დამტანი არავინ გვყავდა, გვინდოდა მოვიდოდით გაკვეთილებზე, გვინდოდა – არა. „ორს“ მნიშვნელობა არა ჰქონდა და გაკვეთილის გაშვებას ცოდვით არავინ სთვლიდა. ამ ორი წლის წინედ ვილაც ანანია „Зак. Речъ“ სწერდა წერილს სამღვდელოებათა კრების საყურადღებოთ და მიუთითებდა, რომ ყველაზედ მეტი გაშვებული გაკვეთილები გალობის საგანზედ მოდისო. ეს წერილი რომ წავიკითხე, ჩემი თავი მომაგონდა: ჩვენ ეზოში ვმოლტაობდით, მასწავლებელი კი ცარიელ ოთახში გვიცდიდა; ერთი სიტყვით ეხლაც და წინათაც გალობის ვალდებულება ფიქტიურია, რალა ვთქვა თვით სწავლაზე; ჩემთვის უთქვამთ შეგირდებს:

სახელმძღვანელოების უქონლობის გამო მასწავლებელი დაფაზე გვანერინებს ლოცვებს და ისე ვსწავლობთ; და განა ამ გარემოებებში მეცადინეობა რაიმე ნაყოფს მოიტანს?

და განა მართო სასწავლებლებში დაეცა გალობა? რატომ სამღვდელოებამ არ იცის გალობა? უნინ, თქვენ დროსაც ხომ კარგარეთელები და ფალიაშვილები არ ასწავლიდნენ გალობას? მახსოვს ერთი გარემოება: შემთხვევით ერთ დღესასწაულზე სასწავლებელში ვიყავი მიწვეული; პარაკლისის დროს ეგზარხოსმა წინადადება მისცა ქართველ არქიმანდრიტებსა და მღვდლებს ეგალობნათ ქართულად საგალობელი; დაინყეს გალობა, მაგრამ რომ არ დაეძრათ კრინტი ისა სჯობდა; ერთი ალთას მიდიოდა, მეორე ბალთასა; სირცხვილით აღარ ვიცოდით სად წავსულიყავ, ბოლოს ისე გუნდმა გამოიყვანა ქართველი სამღვდელოება უხერხულ მდგომარეობიდან. ეს უტყუარი ფაქტი ჩემის თვალთ ვნახე და ყურით გავიგონე და აკი ამიტომაც ღრმად შემორჩა ხსოვნას. ნათქვამია: რა ენა ნახდეს, ერიც დაეცესო; გალობაც ერთ-ერთი ენაა გრძნობათა წყებისა; ქართველი სამღვდელოება ნახდა, ეკლესია განადგურდა და გალობაც დაეცა. მიზეზი გალობის დაცემისა ჩვენი მოუწყობელობა და უნუგემო მდგომარეობაა და დამნაშავეს ძებნა სულ ამოიქნება.

და თუ მისი მოსპობა საშიში იყო იმის მოსაზრებით, რომ ივერიის ეკლესია უმღვდლოდ არ დარჩენილიყო, მოვითხოვდი, რომ ეგზამენებზედ სამღვდელო პირთაგან ჯერ გალობა მოეთხოვათ და მერე სხვა რამე. ამას უნდა ჩაუკვირდეს სამღვდელოება და ანგარიში გაუწიოს.

საზოგადოდ ქართველ სამღვდელოებას ძალიან უყვარს წამხდარ საქმეზე ლაპარაკი და ყველა დამნაშავედ მიაჩნია, თავის თავის მეტი. ეს რომ ასე არ იყოს აქამდის ჩვენი ეკლესიის დიდს სატკივარს იქნებ ცოტა რამე შველებოდა. დავანებოთ წუნუნს თავი, მოვსპოთ დამნაშავეების ძებნა, რათ გვინდა ჩვენს მიერ გაოხრებული საქმე სხვას გადავაბრალოთ. გაამხილეთ თქვენი თავი, თქვენივე სინდისის წინაშე, და მერე ჩამქოლეთ ავი სიტყვით, თუ ეს მართალი არ იყოს.

ეს, აქ ლათინურად გალობენო, აქ რუსულად უქცევენო, აქ ეს ევროპიულია და სხვადასხვა. თქვე დალოცვილებო, მამ როგორ გინდათ რომ იყოს; მამ თქვენ უნდა უარყოთ ყველა ის კარგი, რაც ევროპამ შექმნა სიმღერა-გალობაში? სხვა რომ არა იყოს რა ეს სასაცილოა: გაისხენეთ მანც რუსული „ობიხოდის“ შედგენის ისტორია; თქვენ გგონიათ რომ აქ სულ რუსულია და არა ევროპიული. მაგრამ რომელი იტყვის რომ ის რუსული გალობა არ არის?

პირადათ მე დიდს მნიშვნელობას არც კი ვაძლევ სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიამში გალობის კარგად დაყენებას; განა არ ვიცით, რომ ეხლა, როცა სემინარიამ ყველა უფლება მოიპოვა, გიმნაზიებისა, აღარავინ არ წავა მღვდლათა; ამ შვიდ წელიწადში სემინარიიდან ორი ქართველი წავიდა მღვდლათა და ერთიც ბერძენი.

მონაფე გადადის თუ არა მეოთხე კლასში, მაშინათვე სტუდენტის ქუდს აკერინებს; ამიტომაც არის, რომ მეოთხე კლასში 60-70 კაციდან 6-8 კაცი გადადის მეექვსეში, დანარჩენები მიდიან რუსეთისკენ. იქნებ გგონიათ, რომ ის ექვსი ვაჟი მიდიოდა მღვდლათა? ნურას დროს ნუ იფიქრებთ მაგასა. ესენიც ზოგიც მასწავლებლად მიდის, ზოგიც სამსახურში შედის ხელმოკლეობის გამო.

მამ, ქართველი ეკლესია უმღვდელმსახუროთა რჩება? — იკითხავს გაცემული მკითხველი; აქ მივედით იმ დაწესებულებასთან, რომელიც მღვდლობას ისე ურიგებს, როგორც ჭიან ტყემალს. მღვდლობისთანა ადვილი და იაფი ეხლა აღარაფერია. რათ გინდა ან სემინარიის გათავება, ან სასწავლებლისა. მიდი ეგრეთ წოდებულ სამღვდელო კომისიაში ან ნაცნობობით, ან მეგობრობით და საქმე გაჩარხულია. მხოლოდ იცოდე კი ცოტა ოდენი წესი მღვდელთმსახურობისა და მღვდლის ფორმას წინ არა უდგია რა; არც გალობის ცოდნაა საჭირო, არც სამღვთო წერილისა, არც სახარება-სამოციქულოს კითხვისა; ამისთანა

მღვდლებით აივსო ჩვენი ქვეყანა, მიბრძანდით რომელ სოფელშიაც გნებავთ, თუ იქ ან წირვას, ან გალობას ან სასოიან კითხვას მოისმენ; მედავითნებზედ აღარაფერს ვიტყვი, ან ღირს მათ მომზადებაზედ, ან მოუმზადებლობაზედ ლაპარაკი? მეკრძალვის მკითხველისა, თავად ისეც გაგვიგრძელდა სიტყვა, თორემ იმისთანა მაგალითებს მოვითხოვდი, რომ ყურებში თითდასაცობი იყოს. ან კი ვინ მოსთვლის მათ უწესრიგობას ან კითხვაში, ან გალობაში. აკი ამიტომაც დაცალიერდა ეკლესიები. ერთი მიბრძანეთ: სემინარისტები არიან ესენი, თუ სხვა ვინმენი? მე კი რომ სამღვდელოებაში სიტყვა მეთქმოდეს, მოვითხოვდი, რომ ეს ქართული ეკლესიის გამათახსირებელი კომისია სულაც მოესპოთ და თუ ქართველ სამღვდელოებასაც ჰსურს დღეგრძელობა თავის გალობისა, უნდა მოისპოს ეს მრავალფეროვანობა, რომელსაც განვითარების შტო აღარ ამოსდის და უფრო ისტორიული ხასიათი აქვს. უნდა შეჰქმნან მათ ერთფეროვანი გალობა, რომელიც საფუძვლად დაედება გაუმჯობესებას. თუ ამ გაუმჯობესებას არ შეეგუება ჩვენი მღვდლობა და იგი ეხამუშება მის შორს მხედველობას, მაშინ დაჯდეს და იმდენი იკივლოს ის სამხმოვანი კილო, სანამ მოეწყინებოდეს; ის სამღვდელოება რომლისთვისაც არც ავტორიტეტს აქვს მნიშვნელობა, არც გამოცდილებას, ღირსია მხოლოდ კარბელაშვილებისა და მათი მომხრეებისა, რომელთაც ყველა ქართული ეკლესიის მოლაღატედ მიაჩნიათ, თავის თავის მეტი, მხოლოდ იმიტომ, რომ ესენი ისე შაბლონურად, ისე ტლანქად ზორზოხად არ მსჯელობენ საეკლესიო გალობის საქმეში, როგორც პირველნი.

სამ. მ-ლი

529. თეატრი და ცხოვრება, 1915, 10 ოქტომბერი, №41, გვ. 16

წერილი ამბები

ხაშმელ გლეხ-მგალობელთა გუნდი ლეონიდე ეპისკოპოსმა შიო-მღვიმეს გაიხმო. აგალობა, მოუნონა, დაასაჩუქრა, წიგნები დაურიგა საკუთარის საგულისხმო წარწერებით და მომავალი ნინოობისთვის ფოთს გაიწვია.

530. თეატრი და ცხოვრება, 1915, 10 ოქტომბერი, №41, გვ. 16

ჩვეულებრივ ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალწვერების მიღება-ჩაწერა იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბათ., ოთხშაბათ და პარასკეობით საღამოს 6–9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს. ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ქართული გალობის საკითხი

ამ დღეებში სინოდის კანტორაში ეპ. ანტონის თავმჯდომარეობით მოხდა წლიური კრება, სიონის ტაძართან არსებულ „ღვთისმშობლის სახელობის ძმობისა“. კრებას მოხსენდა 1914 წლის ანგარიში. მიმდინარე წელს ძმობას გამოუცია წიგნაკები და ბროშურები, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსისა და არქიმანდრიტ პიროსის ნაშრომისადმი „განმარტება მათესა და მარკოზის სახარებათა“. კრებამ ანგარიში უცვლელად დაამტკიცა.

„ძმობის“ საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ ერთხმად ყოვლადსამღვდელონი: კირიონი, დავითი, ლეონიდი, გიორგი, ანტონი; არქიმანდრიტები: ამბროსი, იოანე (მარლიანი) და ნაზარი. არჩეულ იქმნა აგრეთვე ახლად ძმობის პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ – არქიმანდრიტი პიროსი, მის თანაშემწედ – დეკ. მ. ტყემალაძე, საბჭოს წევრებად: დეკ. ი. მირიანაშვილი, მღ. შუბლაძე და დეკ. ს. შოშიაშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად: დეკ. ნ. მაჭავარაშვილი, მღ. დ. იაშვილი და დეკ. გ. ასათიანი.

კრება შეეხო ქართულ გალობის საკითხს. კრებას მოხსენდა, რომ საოლქო სამოსწავლო საბჭოს, რომელიც სამრებლო სკოლებს განაგებს, თავის დროზე ჰქონია მსჯელობა მღ. პ. კარბელაშვილის და მის შვილის ფილიმონის საგალობელთა კრებულის გამოცემაზე. ძმობას გამოუწახავს თანხა და მოუმზადებია დასაბეჭდათ. ამასთანავე კრებას მოხსენდა, რომ საოლქო სამოსწავლო საბჭოში ყოფილა 1000 მანეთამდის, ქართულ გალობის საჭიროებისათვის. თანხა უნდა გადაეცეს ია კარგარეთელის ახლად შემუშავებულ საგალობლების გამოსაცემად, რაზედაც ექსარქოსს სრული თანხმობა განუცხადებია. ამ საკითხმა ხანგრძლივი და მეტად მხურვალე კამათი გამოიწვია.

მღ. ვ. კარბელაშვილმა მოითხოვა, სანამ ეს კრებული დაიბეჭდებოდა, განხილულ იქმნეს ადგილობრივ კომისიაში ამ ახლად დაწერილ საგალობლების ღირსება-ნაკლებულების გამოსარკვევად, თუ რამდენად იგინი არ დაშორებულან წმინდა ქართულ კილოს. ქართული გალობის კილო ირყვნება თავისუფალ კომპოზიტორებისაგან. მათ ჯერ უნდა დასწერონ, შეისწავლონ ძველი ძირითადი ქართული კილო და შემდეგ ამ საფუძველზე შეუძლიან ავარჯიშონ თავისი მუსიკალური ნიჭი და უნარი. უსაყვედურა თბილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას და ამ საზოგადოების საეკლესიო გუნდს, რომ ამ გუნდმა სულ ერთიან შერყვნა ქართული გალობა და დიდი არევ-დარევა გამოიწვია ქართულ გალობის გემოვნებაში.

მას უპასუხა არქ. პიროსმა, რომელმაც მიუგო, რომ არც კარბელაანთ გალობით არიან კმაყოფილნი. თვითონ ძმები კარბელაშვილები ვერ მორიგებულან მათ გვარში დაცულ გალობის კილოს შესახებ და რა გასაკვირველია, რომ მ. კარბელაშვილს სხვისი გალობები არ მოსწონდესო. მ. ვ. კარბელაშვილის დაწერილი საგალობელთა ნოტები მძიმე შესასწავლია და ვერ გაიკაფა გზა საზოგადოებაში, დასძინა მ. არქ. პიროსმა.

კრების თავმჯდომარემ განმარტა: ჩვენ ეხლა გამოვსცემთ აღნიშნულ კრებულთ (ი. კარგარეთელის და პ. კარბელაშვილის) და თუ ვისმე გაქვთ დაწერილი ან გეგულებათ სადმე და რომელსაც საზოგადოება მოისურვებს, იმას დავბეჭდავთო.

კრებას მოხსენდა, რომ ბ-ნ ნ. პ. სულხანიშვილს აქვს ფრიად კარგი ღირსების ნაშრომი ქართული საგალობლები. მას მოუვლია ქიზიყ-კახეთი და ჩაუნერია მრავალი საეკლესიო საგალობელი, რომელნიც უსახსრობისა გამო ვერ გამოუმზევებიაო და საჭიროა მათი გამოცემაცო.

(დასასრული იქნება)

დამსწრე

ქართული გალობის საკითხი

(დასასრული)

შემდეგ დაისვა საკითხი, რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული ქართულ გალობის აღსადგენად ქალაქის სამრევლო ეკლესიებში და საზოგადოდ მთელ ეპარქიაში, თანახმად ამ „ძმობის“ წესდებისა, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ეს დიდი ნაკლი ჩვენი ეკლესიისა.

კამათში მიიღეს მონაწილეობა მთავარდიაკონმა ბაკურაძემ, დეკ. დ. იაშვილმა, დეკ. ი. მირიანაშვილმა, დეკ. კ. ცინცაძემ, დეკ. ნ. მაჭავარიანმა, მღ. ვ. კარბელაშვილმა და სხვათა. მოხსენებული იყო პალიატიური ზომები, რომელიც ძირიანად საჭიროებას ვერ ეხებოდნენ. მაგალითად, წარმოითქვა აზრი, რომ თბილისის ეკლესიის დიაკვნები დრო და დრო იკრიბებოდნენ, ივარჯიშონ გალობაში და შემდეგ მრევლში გაავრცელონ გალობა და შექმნან პატარ-პატარა გუნდები. ითქვა ისიც, რომ ეთხოვოს სასულიერო მთავრობას ეკლესიებში გაიგზავნოს სემინარიელთა პატარა გუნდები, რომელნიც იგალობებენ ეკლესიებში. დეკ. ნ. თალაკვაძის აზრით, ყველა ეს ზომები მნიშვნელობას არ არის მოკლებული, მაგრამ საჭიროა ქართულ გალობის აღსადგენად უფრო არსებითი ზომები. გალობა უნდა ისწავლებოდეს სისტემატიურად, ისე როგორც ეს არის დაყენებული რუსეთის ეკლესიაში. რუსეთში მთელი ერი გალობს დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი. გალობენ ყველა უწყების სასწავლებელში; გალობენ ჯარში, სახლში თუ ეკლესიებში და ამიტომ არის განვითარებული და გავრცელებული გალობა. ამ გზით უნდა ეშველოს ჩვენს გალობის საქმესაც. ის უფრო საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, ვიდრე დღეს. ქართული გალობა უნდა უფრო საფუძვლიანად ისწავლებოდეს ქართულ გიმნაზიებში თბილისში თუ ქუთაისში, ქართულ საქალებო სასწავლებლებში. იქ უნდა მოიწყონ ეკლესია, გაჩაღდეს ქართული წირვა-ლოცვა და გალობდნენ ადგილობრივი ძალები. მაგალითად, ქალაქის ქართულ გიმნაზიაში 800 მოწაფე სწავლობს და საკუთარი ქართული გუნდიც არა ჰყავთ. ასევეა ქ. ქუთაისშიც. ვის რა ხმა ამოგვეღება ამის შემდეგ?!. გალობა უნდა გაჩაღდეს სოფლად, სამრევლო და სამონასტრო სკოლებში და მოწაფეებიდან უნდა შესდგეს გუნდნი ადგილობრივ ეკლესიებში საგალობელად. დღეს კი ამ სკოლების ხელმძღვანელები არ ასწავლიან თავიანთ მოწაფეებს არც საერო და არც საეკლესიო გალობას და ამ სახით გადაგვარების გზაზე მიჰყავთ მთელი ახალი თაობა.

უნდა ქართულ გალობას გაუკაფოთ გზა ქართველ ერის ცხოვრებაში, უნდა ვეცადნეთ მთელმა ქართველმა ერმა იგალობოს და ამისათვის საჭიროა ნოტების შესწავლა, ამ ნოტებზე ჩვენი ძველი ქართული მარტივი კილოს გადაღება, საჭიროა დაინეროს ის მარგალიტი საგალობლები, რომელთა მშვენიერება ატყვევებს ადამიანის სმენას და რომელთათვისაც ჩვენს თანამედროვე კომპოზიტორებს ზურგი შეუქცევიათ და მათ ნაცვლად რაღაცები შეუთხზავთ და უღაზათოდ გაჰკვივან. ჯერ ეკლესიებში გალობა ვერ დაგვიყენებია როგორც რიგია და ჩვენი კომპოზიტორები კი ოპერებსა და ოპერეტკებს სდგამენ ქართულად. ეს იმასა ჰგავს, რომ ადამიანს შალვარი არ ეცვას და ზევით კი ფრაკში იყვეს გამოწყობილი. ეს სასაცილოა, მეტი რომ არა ვსთქვათ. ეს გზა მიმაჩნია რადიკალურ ზომად ქართულ გალობის აღსადგენად, დასაცავად და ერში გასავრცელებლად. ამ გზას კი სამღვდელთა მარტო ვერ განვლის, თუ მთელმა ერმა არ მიიღო ორგანული მონაწილეობა მუშაობაში. მარტო მღვდლებს არ ძალგვიძს ამ დიად საქმის გამოზრუნება. დღესდღეობით საჭიროდ მიმაჩნია აღდგენილ იქმნას ქართველ მგალობელთა გუნდი იმ სახით, როგორც ეს არსებობდა ყოვლადსამღვდლო ლეონიდისა და კირიონის დროს, მაგალითად, განსვენებულ ნ. თ. ბერიშვილისა და

შემდეგ ალ. კავსადის ლოტბარობით. ამ გუნდის შესანახი ფული უნდა გამოიღოს ადგილობრივმა ეკლესიებმა, შემწეობა უნდა მოგვცეს სანთლის ქარხანამ და ეთხოვოს საქართველოს ექსარხოსს აღმოგვიჩინოს წყარო ქართულ საეკლესიო ხაზინიდან, საიდანაც არქიელის სლავიანურ გუნდს წლიურად 5000 მანეთი ეძლევა.

კრებას მოეწონა მ. თალაკვაძის აზრი და ცალკე კომისია აირჩია ამ საკითხის შესამუშავებლად.

დამსწრე

533. თეატრი და ცხოვრება, 1915, 14 ნომბერი, №46, გვ. 16

წერილი ამბები

* * *

ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდი (ქულაჯებში) ალ. მაისურაძის ლოტბარობით, ამ მოკლე ხანში სახ. სახ-ში კონცერტს გამართავს 4 განყ. შემოსავლის ნაწილი წყალდიდობისგან დაზარალებულთ გადაეცემა.

534. სახალხო გაზეთი, 1915, 4 დეკემბერი, № 175, გვ. 3

წერილი თელავიდან

საეკლესიო გალობა და თელავის სამღვდლოება

თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართულ გალობის დაქვეითებაზე ამ ბოლო დროს გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, რომ ეს საგანი ვერ არის თავის რიგზე დაყენებული, ნაკლები ყურადღება ექცევა და სხვა.

წინაა, როდესაც ქართული გალობა ამ სასწავლებელში დაბლა საფეხურზე იყო დამდგარი და წირვა-ლოცვაზე სულ რამდენიმე საგალობელს ასრულებდნენ ხოლმე, ბევრად უკეთესად იყო მოწყობილი ქართული ხორო.

ამ ბოლო დროს, როცა ჩვენმა სამღვდლოებამ რეფორმები მოახდინა, შემოიღო მარტო ქართულ გალობის სწავლება და დაანესა სასწავლებლის ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა, რაც სასულიერო მთავრობამ დააკანონა კიდევ. ქართული გალობა და მგალობელთა გუნდი თითოთ საჩვენებელი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს, იგი სავალდებულო საგნად არის მიჩნეული, რისთვისაც საკუთარი მასწავლებელი მოწვეული ჰყავთ, მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, ქართულს გალობას ამ ღირსეულ დონეზე დამდგარს ვერ ვხედავთ.

იმისდა მიუხედავად, რომ გალობის მასწავლებელს მღვდელს მიხეილ ელიზბარაშვილს გალობის ცოდნაც აქვს და ნიჭიც, იგი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს. ჩვენის აზრით, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მამა ელიზბარაშვილი მაცდურ მამონის წყალობით, თუ სხვა მიზეზით, სხვადასხვა თანამდებობითაა დატვირთული. იგი, ჯერ ერთი, მღვდელია და წირვა-ლოცვას ასრულებს, მაშინაც კი, როცა ვალდებული არ არის. მაგ., სამობაო-

სააღდგომოდ, რისთვისაც მომღერალ მონაფეთ იტოვებს, პატარა მრევლიცა ჰყავს; მეორე – სასწავლებელში საქმის მწარმოებელია აქვე, მგონი, სხვა თანამდებობაც უჭირავს; მესამე – სამღვთო სჯულის მასწავლებელია; თელავის ქალთა გიმნაზიაში იყო ამავე საგნის მასწავლებლად, სადაც, მგონი, თავი დაუნებებია; მეოთხე – აქ მჯდომ ჯარის ნაწილში, თუ შემთხვევა მიეცემოდა, სიამოვნებით მწყემსობს და სხვა.

ყველა ამას, ეჭვგარეშეა, დრო უნდა და შეიძლება, გულითაც რომ ჰსუროდეს მამა ელიზბარაშვილს საქებურად გუნდის მომზადება, ზემო ნათქვამ პატივსაღებ მიზეზებისა გამო მოეტყუებოდა.

ჩვენის აზრით მ. ელიზბარაშვილმა უმთავრესი ყურადღება თავის პირდაპირ მოვალეობას – ქართულ გალობას უნდა მიაქციოს, რისთვისაც, არა თუ მაგალობელი გუნდი უნდა დააყენოს რიგინა და სხვა და სხვა საკონცერტო საგალობლების შესრულებით სასოება უნდა გაუღვიძოს მლოცველეს და დაატკბოს მსმენელია სმენა, არამედ მოსწავლეთაგან უნდა შეადგინოს პატარა-პატარა მაგალობელთა გუნდი, რომლებიც აქაურ ეკლესიებში იგალობებენ მცირე საფასურათ. ეს მოსწავლეთათვის კარგია: შრომის ფასის მიღების გარდა, გალობაშიც დახელოვნდებიან.

სხვა არა იყოს რა, მაგალითი მეზობელ სომხებისაგან მაინც ავიღოთ. ამათ საგანგებოდ მოიწვიეს მასწავლებელი და ამ ჟამად სომხის სკოლას მონაფეთაგან ისეთი ოთხ-ხმიანი ხორო ჰყავთ შემდგარი, რომ ქართველები სიამოვნებით მიდიან თელეთში გალობის მოსასმენად.

მაგალობელთა გუნდი არც სხვა ქართულ ეკლესიებშია. თელავის საკათედრო ტაძარშია წინანდელ მოსწავლეთა მწყობრი გალობა, ზაქარია დიაკვნის მარტო ხმით შეიცვალა, რადგან მამა ივ. შიუკაშვილის მფარველობის ქვეშე მყოფი ამ ტაძრის სამრევლო სკოლაში კლასები დაკეტეს და გალობის მასწავლებელი სხვაგან გადაიყვანეს. მხოლოდ მამა შიუკაშვილის თანამოტრაპეზეს, – გალობის კარგის მცოდნეს და თვით უკეთეს მომღერალს – მღ. ე. მაისურაძეს ფიქრადაც არ მოსდის გალობის მოყვარე გუნდის შედგენა, ვინაიდან მისი ყურადღება სავსებით მიპყრობილია სასამართლოს დარბაზისაკენ, სადაც მოწმებს აფიცებს და ქანქარას ითვლის. ისეთივე მოსაწყენი მედავითნის გაბმულ გალობა გვესმის სხვა ტაძრებშიაც, თუმცა ღვთაების ეკლესიაში მღ. პერტაიას მეოხებით ხანდახან შემდგარა მომღერალთა გუნდი, მაგრამ ბოლო არ მიუდევნებია, რაც შეეხება პატარა ეკლესიას, მღ. ს. ალადაშვილს თავისი ეკლესია აღარც კი აგონდება, მას თბილი ადგილი უმოვნია სამოქალაქო სასწავლებელში და ახლა სამინისტრო სკოლაშიაც ცდილობს.

ასო

1916

535. საქართველო, 1916, 15 იანვარი, № 10, გვ. 2

ახალი ამბავი

მმ. წინობა. დღეს სიონის ტაძარში, სადაც დაცულია ჯვარი ვაზისა, მთელი წირვა შესრულებულ იქმნება ქართულ ენაზე. მწირველია მაღალყოვლადუსამღვდელოესი პლატონი, საქართველოს ექსარქოსი. მთელ წირვას იგალობებს ქართული გუნდი თბ. ფილარმონიის საზოგადოებისა ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

საკითხი ძველი ქართული გალობის შესახებ

ამ საკითხის შესახებ ადგილობრივ პრესაში დიდი პოლემიკა იმართება ხოლმე და პოლემიკა უკიდურესობამდის მიდის. ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენ კიდევ ორი თუ სამი გალობის მცოდნე შეგვრჩენია და ისინიც ძალზე მოხუცებულნი. ეს საკითხი ჩვენში ერთ საჭირობო-ტო საკითხად არის მიჩნეული და მოწესრიგებაც დროზე სჭირდება.

ამის შესახებ ნაკითხული იქმნა დეკანოზ ვასილ დოლაბერიძის შემდეგი წერილობითი მოხსენება:

„ყოველს ფსიხოლოგიურ მოვლენას, ყოველს პსიხოლოგიურ ნამოქმედარს თავისი ევოლიუცია, თავისი წარსული და მომავალი, თავისი ისტორია აქვს. თუ რომ გვინდა ამა თუ იმ მოვლენის ანმყოფი შეგნება, მისი წარსული უნდა შევისწავლოთ და თუ მომავალის გათვალისწინება გვსურს, ანმყოფი უნდა შევიგნოთ, რადგანაც ნამყოფი მშობელია ანმყოფი და ანმყოფი კი – მომავლის. ესევე ითქმის ჩვენი საეკლესიო გალობის შესახებაც. ჩვენმა გალობამ ზრდა-განვითარების მხოლოდ ორი საფეხური განვლო. ამ გალობის დასაწყისი საბერძნეთია (მამა ივ. მარგიანი კითხვას აწყვეტინებს: „ტყუილია, ამ გალობის საფეხური ჩვენშია და არა საბერძნეთში“). კითხვას განაგრძობენ: – ჩვენმა ხალხმა სარწმუნოებასთან ერთად (!) გალობაც საბერძნეთიდან მიიღო, საბერძნეთიდან გადმოიღო. იმ დროს საბერძნეთშიაც გალობა პირველ საფეხურზე იდგა. მაშინდელი გალობა უბრალო ლილინს უფრო მოაგონებს კაცს, ვინემ დამუშავებული გალობის კილოს. ეს იყო ეგრეთ წოდებული „unison“-ი. აზიაში ზოგიერთი „unison“-ს ჯერაც არ გასცილებია. მაგრამ მათ თავი მოაქვთ მიუხედავად იმისა, რომ მათი უღაზათო ცალფა ლილინი სტანჯავს ევროპიულად გემოგანვითარებულ ადამიანს. ჩვენმა ხალხმა კი მათ გაასწრო და განვითარების მეორე საფეხურზე შესდგა.

ჩვენმა ხალხმა ეს გალობა გაამშვენიერა, ეროვნული სული შთაბერა, გაასამხმოვანა და მეცხრამეტე საუკუნემდის მიაღწია. აქ კი მისი ბედიც უკულმა დატრიალდა. განვითარების ნაცვლად ერთ წერტილზე შეჩერდა და დღემდე ამ წერტილს ვერ შორდება. შეიძლება დღესაც ახსოვდეთ, თუ როგორ იყო გაჩაღებული გალობა ჩვენს ეკლესიებში.

ჩვენი ეკლესიისა და სუფრის დამამშვენებელი ეს გალობა იყო. მაშინდელი მოლხენა ძილისპირების თქმით გამოიხატებოდა. სწავლება ამ გალობისა ამ რიგად იყო დაყენებული: – „მასწავლებელი და მოსწავლენი თავს იყრიდნენ სენაკებში ზამთრის ვრცელ ღამეებში და გატაცებით სწავლობდნენ მას. არავითარი ძალდატანება არ სუფევდა. ყველა, ვისაც ხმა და სმენა ნებას აძლევდა, ყველა ცდილობდა, რომ წირვა-ლოცვა გაემშვენიერებინა. მაშინ ეკლესია ჩვენში არ მოიძებნებოდა, რომ ორპირი გალობა არ ყოფილიყო. მაგრამ დრო შეიცვალა. ყველას თავისი საქმე მიეცათ და გალობაც სპეციალურ საგნათ შეიქნა და იგი სენაკებიდან გადატანილ იქნა კონსერვატორიებში და კაპელებში. აქ ის გაათხხმოვანეს, გაამშვენიერეს და უმაღლეს წერტილამდის აიყვანეს. ჩვენ კი კონსერვატორია კი არა, უბრალო გალობის სკოლაც არ მოგვეპოვება და ამიტომ არის, რომ ჩვენი გალობის საქმე ერთ წერტილზე გაიყინა და საზრუნავად ის დაგვრჩა, რომ ძველი გალობა სულ არ დავინწყებულიყო. დღეს ამ განსაცდელს ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით და განსვენებული ფილიმონ ქორიძის დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით რამდენიმე თავი დავახსნიეთ ნოტებზე გადაღებით. ამ ნოტების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოიცა, დანარჩენი ვის აქვს ან სად არის, არ ვიცით.

„აგრეთვე კიდევ ბევრი საგალობელია ნოტებზე გადასალები და ამის საშუალება არა გვაქვს. ნოტებზე გადასალებსაც და გადაღებულსაც მეცნიერულათ დამუშავება უნდა. ამ საჭიროებებისთვის საჭიროა ყოველ წლივით გადაიდვას ჩვენი სანთილის საწყობიდან 2500-3000 მანეთამდის. საჭიროა, რომ მოვიწოდოთ ჩვენი გალობის მცოდნე კომპოზიტორი, რომ თავისი განსაკუთრებული კილო-ღირსება არ დაუკარგოს და შეუნარჩუნოს მას. დღეს კი ჩვენი გალობის ნაცვლად უცხო გალობა იჭერს ადგილს. უცხო გალობამ ჩვენში მონი-ნავე პოზიციები სკოლებსა და ეკლესიებში უკვე დაიკავა და მას თუ ჩვენი მეცნიერულად დამუშავებული გალობა არ დაფუყენეთ წინ, იგი მთლად გაბატონდება და შემდეგ ძნელი შეიქნება მისი ჩვენი ეკლესიებიდან გაძევება.“

მოსხენების გარდა იყო აგრეთვე შეკითხვა, თუ სად ინახება სამღვდელოების ფასით გადაღებული ქართული საეკლესიო საგალობლები და ან თუ მთლიანად არის დაცული.

რაჟდენ ხუნდაძე (ძველი გალობის ზედმინვენიტ მცოდნე): ბატონებო! ჩვენში სოფლად და ქალაქად ძველ გალობას ზედმეტ ბარგათ სთვლიან. ჩვენ ერთი ტროპარის მაგალობელიც არ გვყავს. ძველად ეს ასე არ იყო. ჩვენ რომ სურვილი გვქონდეს გალობის შესწავლისა, ტროპარის კი არა, მთელი საგალობლების შესწავლაც ადვილად შეიძლებოდა. პირიქით, ხელი შევუწყვეთ ჩვენი ძველი გალობა დაგვევიწყა და უცხო ხმები შეგვესწავლა. რომ ისიც არ გამოგვეცალოს ხელიდან, რაც ამჟამათ შეგვრჩენია, დიდი მაცადინობა გვჭირდება. ბ. დოლაბერიძე თავის მოხსენებაში თავისებურათ იცავს გალობის საკითხს. შევისწავლოთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს, რომელიც სულს ლაფავს. მაგალობელს წინადა იმას ეძახოდნენ, ვისაც მთელი წიგნები გალობით ჰქონდა შესწავლილი. საქმე, ბატონებო, ისე დაკნინდა, რომ (ტრაბახობით ნუ ჩამომართმევთ) მთელს იმერეთის ეპარქიაში მაგალობლის მცოდნე მარტო მე დავრჩი. ვინც იყვნენ, ისინი უკვე დაიხოცნენ. იმათთან შედარებით ბატონებო, მე ლანდი ვიყავი. მათთან მე ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი. არც სხვა ეპარქიაში მოიძებნება მაგალობლის მცოდნენი. არის სამეგრელოში დიტო ჭალაგანია, მაგრამ ისიც ძალზედ მოხუცებულია და დღეს თუ ხვალ სულს დაღვეს. როგორც დოლაბერიძის მოხსენებაში არის მოხსენებული, ეპისკოპოზ გაბრიელის დროს გადაღებული იყო 400 საგალობელი. სამღვდელოება დ. ჭალაგანიას, ივ. წერეთელს და მე პირობით შეგვეკრა. ჩვენ სამი ვგალობდით და ფილიმონ ქორიძე ნოტებზე იღებდა. სამღვდელოებას ამ ნოტების გადაღება სულ დაუფჯა 4411 მანეთი. ეს ნოტები თუ დაიკარგება, სამუდამოდ დაიკარგება ძველი გალობაც. როგორც მე მახსოვს, ეს ნოტები ინახებოდა კანცელარიაში და ნოტები დასაბეჭდავათ მოითხოვა მაგალობელმა მაქსიმე შარაძემ. მან რამდენიმე საგალობელი კიდევ გამოსცა, დანარჩენი კი, ჩემის ფიქრით, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული. ამას წინათ განსვენებულმა ანდრია ბენაშვილმა გადასწერა რამდენიმე ნოტები, მაგრამ თავისებური კილო მისცა და დაამახინჯა. წაღებული ნოტები კი სად წაიღო არ ვიცი. და თუ ეხლა, სად ინახება ის ნოტები, ვერ მივაგენით, საქმე სამუდამოდ ნახდება.

მაგალობელი ივლიანე ნიკოლაძე წინადადებას იძლევა, რომ გალობის საკითხი მონასტერში გამოაკეთოს.

რაჟ. ხუნდაძე: ბ-ბო საშუალება უნდა ვიხმაროთ, ავირჩიოთ კომისია, რომელსაც მივანდოთ საქმის მოგვარება.

მღვდელი სპირიდონ ლეკვეიშვილი: მამა ხუნდაძის სიტყვიდან ის დასკვნა გამომყავს, რომ გაუნწვია ჩვენს სამღვდელოებას ხარჯი და შრომა, მაგრამ ნაშრომის შემწახველი არავინ ყოფილა. მ. რაჟდენ ხუნდაძეს ვერ ვუსაყვედურებ, მაგრამ ვიტყვი მაინც, სად იყვნენ იმ დროს, როცა საქმის შველა შეიძლებოდა, რათ არ დაიცვეს ინტერესები ასეთი დიდის საკითხისა, რაზედაც სამღვდელოებას 4411 მანეთიც კი დაუხარჯავს!.. ამ საყვედურის

ღირსია ყველა ისინი, ვინც იმ დროს ახლოს უდგნენ ამ საკითხს. ეხლა რასაკვირველია ზომები უნდა მივიღოთ, მაგრამ შეიძლება ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში არც კი იყვეს ეს ნოტები. ეხლა მივაქციოთ ყურადღება საზოგადოებას. იგი კრიჭაში გვიდგას, – გაიძახიან, „გალობას ყურადღებას არ აქცევენო“. სად არის თვით საზოგადოება, ისინი თვით რათ არ გვაქცევენ ყურადღებას და რათ არ გვეხმარებიან? ჩვენ ბევრ საქმეს ვაკეთებთ. მე ვიცი ისეთი მღვდლები, რომელნიც 19 მანეთს ღებულობენ, კიდეც საერო საქმეს ეხმარებიან. გალობის საკითხი ისე უნდა დადგეს, რომ მთელი ერი მოგვეშველოს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში გალობა სულ არ არსებობდა, იმერეთიდან წაიყვანეს რამდენიმე მგალობელი, შეადგინეს რამდენიმე გუნდი სხვადასხვა ხმებისა. შესდგა ფილარმონიული საზოგადოება, ყველამ მიიღო მონაწილეობა გალობის გასაუმჯობესებლად და საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენეს. აქ კი ასე არ არის. ამას წინათ კომპოზიტორ ფოცხვერაშვილმა თავის კონცერტზე სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სამღვდლოებას მინასთან გვასწორებდა.

ამ ორი წლის წინათ საადგილ-მამულო ბანკმა ქართულ მომღერალთა გუნდის განკარგულებაში გადადგა 500 მანეთი, თუ რამდენი არ მახსოვს, რომ ფირფიტებზე ნოტები გადაეღოთ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ჩვენ უფრო ვართ დაახლოებული ამ საკითხზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ შევქმნით საზოგადოებას ძველი გალობის აღსადგენად და მოვთხოვთ ქართულ ეროვნულ დაწესებულებებს დახმარებას, ისინი არაფერს დაიშურებენ და დიდი ხალისითაც დაგვეხმარებიან. და ამ საკითხს დასასრული უნდა მიეცეს მანამდის, სანამ ის კაცები გამოგვეცლებოდნენ ხელიდან, რომლებმაც ძველი გალობა იციან. იგინიც უნდა დაგვეხმარონ და ვაჭრულად არ უნდა მოგვექცნენ. უნდა დავაფასოთ საზოგადოება, შევადგინოთ წესდება, დავისახოთ მიზნათ შეკრება და დაბეჭდვა საგალობლებისა იმ პირების საშუალებით, რომელნიც კიდეც ცოცხლობენ. მარტო სამღვდლოებას ამ საკითხის მოწესრიგება არ შეუძლია, თუ თვით ერის კაცები არ მოგვეშველენ. მაშ ბატონებო, დავაარსოთ „ქართულ გალობის აღმდგენელი საზოგადოება“.

მღვდ. მაჭარაშვილი: გალობა, ეს არის სული და გული ადამიანისა, რომლისთვისაც ჩვენი ქველმოქმედები და დაწესებულებები არას დაიშურებენ. დავაარსოთ საზოგადოება და ისინიც ჩვენთან გაჩნდებიან.

რაჟ. ხუნდაძე ეხება რა ამ საკითხს, დასძენს, რომ ეს საქმე უსათუოდ სამღვდლოებამ უნდა იდგას თავზე.

ვლადიმერ ფოფხაძე: რასაკვირველია, ბ-ბო, ეს საკითხი ჩვენ უნდა მოვაგვაროთ და ამისთვის კომისია ავირჩიოთ.

თავმჯდომარე სამსონ დევიძე: ავირჩიოთ კომისია, მაგრამ ამ კომისიას დიდი შრომა სჭირდება. მან არ უნდა დაიძინოს, როგორც სწადიან სხვა კომისიები. თუ საზოგადოება შესდგება, ეს საზოგადოება, ჩვენ შემდეგ შემოგვიერთდებიან ერის კაცნიც. აგრეთვე საჭირო იქნება კომისიას მიეცეს ფულით დახმარება საქმეების მოსაგვარებლათ.

დასასრულ, კომისიაში აირჩიეს: არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, რაჟდენ ხუნდაძე, სამსონ დევიძე, ვ. დოლაბერიძე, ერ. ვეფხვაძე, ვლადიმერ ფოფხაძე, იასონ წერეთელი და ტრიფონ ჯაფარიძე.

კომისიის განკარგულებაში გადადევს ჯერ-ჯერობით 500 მანეთი.

კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე.

შემდეგი კრება 21 იანვარს.

ნამი [ბეგლარ ახოსპირელი]

გარეკანის ბოლო გვერდი

ჩვეულებრივ ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბათ., ოთხშაბათ და პარასკეობით საღამოს 6-9სდე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობრძანდნენ აღნიშნულ დღეებს. ვასწავლი მუშა ხალხსაც.

დაბა-სოფლები

ს. უკანეთი (ქუთაისის მაზრა) 31 იანვარს ჩვენი მთის არწივის, დიდებული ვაჟას გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ადგილობრივ ეკლესიაში, მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. დღესასწაულის გამო წირვა-პანაშვიდს დიდ ძალი მდაბიო ხალხი დაესწრო. იყვნენ გარეშე სოფლებიდანაც. უკანეთის სამონასტრო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლის, ბ-ნ ნუცუბიძის და სტუდენტის, გრიშა დეისაძის ლოტბარობით, მწყობრად იგალობეს. როგორც წირვაზე, აგრეთვე პანაშვიდზედაც მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიდებული ვაჟას მოღვაწეობა და ვინაობა. სოფლები სულითა და გულით მონადინებული არიან გაიცნონ ჩვენი მრავალტანჯული მგოსნები და მწერლები, მაგრამ პატრონი არ ჰყავსთ. საჭიროა ამ საქმეში სოფლის ინტელიგენციამ მეტი ფხა და უნარი გამოიჩინოს.

აქაური

ქართველ მუშა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა მ. კავსაძის ლოტბარობით, სახ. სახლში კვირას 31/1, გამართა კონცერტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. კონცერტის დაწყებამდე ლოტბარმა მ. კავსაძემ წაიკითხა თვისი მოხსენება „ქართული მუსიკა“ (სიმღერა-გალობა), რომელშიაც ბევრი მწვავე სიმართლე გამოამჟღავნა (ეს მოხსენება ჩვენის ჟურნალის მახლობელ ნომერში დაიბეჭდება). გუნდმა იმღერა ქართლ-კახურ-იმერულ-გურულ-მეგრული და სხვ. კილოს სიმღერები; ზოგიერთ სიმღერის შესრულებას ერწევა სწორედ ის ნაკლი, რომელიც თვით ლოტბარმა აღნიშნა, ე. ი. ქართული სიმღერის ბუნების შერხევა, გადაგვარება; საერთოდ კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, განსაკუთრებით უკანასკნელმა განყოფილებამ, რომელშიაც გლეხურად გამოწყობილმა მომღერლებმა ხალხური სიმღერები გვასმინეს. აქ აკვნესდა ჩვენი დღევანდელი სოფელი,

საუცხოო იყო ვანო უსტიაშვილის მიერ ფანდურზე დამღერება (ამ ლექსს მომავალ ნომერში დავბეჭდავთ); დამსწრეებმა რამდენიმე სიმღერა გაამეორებინეს.

გუნდი შედგენილია სხვადასხვა კუთხის და დარგის მუშათაგან. მეტი დრო რომ ჰქონდეთ ლოტბარსა და გუნდის მონაწილეთ, ალბად უფრო უკეთესი იქნებოდა მათი ნაშრომი.

ღვანლი მათი კი ფრიად საპატიოა: ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილთ ერთად უყრიან თავს, მათს სულის შემონაქმედს ერთ მთელად აზავებენ და თვით ხალხს საკუთარ მშობლიურ მუსიკას აზიარებენ.

სასურველია გუნდს საშუალება მიეცეს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც ასმინოს მშობლიური ხმები, რა თქმა უნდა, რჩეულ სიმღერებისა. ხსენებულ საღამოს რამდენიმე ახალი სიმღერაც იმღერეს.

უსავანო [იოსებ იმედაშვილი]

540. თეატრი და ცხოვრება, 1916, 7 თებერვალი, №6 გვ. 16

წვრილი ამბები

* * *

მღ. პ. კარბელაშვილს შეუკრებნია და გადაუღია ქართული ეროვნული სიმღერა-საგალობელნი. საჭიროა გამომცემელი.

541. საქართველო, 1916, 12 თებერვალი, № 33, გვ. 3

მცირე განმარტება

გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს თბილისში არსდებოდეს „გურულების ახალშენი“, რომელსაც მიზნად ექნება დასახული უმუშევრათ დარჩენილ გურულებს სამუშაო უშოვოს, კერძო საკუთრება შეიძინოს, გონებრივი და სულიერი საზრდო მიაწოდოს და იკისროს გურული საეკლესიო და საერო გალობა-სიმღერის დაცვა-აღდგენა და სხვა.

ამ ცნობამ ზოგიერთებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია და არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთები ამაში ხედვენ საერთო ძალთა დაქუცმაცებას და რაღაც განკერძოებულ მისწრაფებას. ხსენებული ამბის წამკითხველს ამნაირი დასკვნის გამოტანა შეუძლია, მაგრამ ეს წამდვილი არ არის. თბილისში არსდება მხოლოდ და მხოლოდ გურულ გალობა-სიმღერების მოყვარულთა წრე, რომელიც ეცდება ხსენებულ საქმეს უწინამძღვროს, თბილისში იყოლიოს გურულ ტანისამოსში (ჩაქურა) გამოწყობილი მგალობელ-მომღერალთა გუნდი, გადაიღოს ნოტებზე გურული ხმები და სხვა. ამ ჯგუფს განზრახვა აქვს ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ჩაენეროს და იქ გურულების ცალკე სექცია დაარსოს. როგორც ხედავთ, ეს არც გამოყოფაა და არც მთლიანობის დარღვევა, პირიქით, ეს სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთმა გურულმა, ბ-ნმა ნოე სიხარულიძემ („ნოეს“ სასტუმროს პატრონმა) 300 მან. უკვე შესწირა გურული ტანისამოსის შესაძენად.

ერთი წევრთაგანი

542. საქართველო, 1916, 19 თებერვალი, № 39, გვ. 3

ექსარხოსის ლექცია

დღეს საქართველოს ექსარხოსი, ყოვლადუხამღვდელოესი პლატონი, არტისტ. საზოგ. საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს ლექციას, დალუპულ მეომართა ობლების სასარგებლოდ. ლექციის გარდა, მონაწილეობას მიიღებს: 1) ექსარხოსის გუნდი ბ-ნ ი. გ. ელცოვის ლოტბარობით, 2) ქართველ მომღერალთა ამხანაგობის გუნდი ბ-ნ სვანიძის ლოტბარობით და მეფის ნაცვლის ამალის გუნდი, თბილისში ცნობილ ბ-ნ მ. ნ. კოლოტილინის ლოტბარობით. იმედია, საზოგადოება გულისხმიერად მოეკიდება ლექციის მიზანს და თავისი წვლილის შეტანას არ დაიშურებს.

ბილეთები დღეს დილით 10-2^{1/2} საათ. და საღამოს 5-8 საათამდე გაიყიდება თეატრის კასაში.

543. საქართველო, 1916, 26 თებერვალი, № 44, გვ. 3

* * *

სასულიერო კონცერტი. ბ-ნი ია კარგარეთელი ამ დღეებში „[]ხალ. კლუბი“-ს დარბაზში გამართავს ქართულ სასულიერო კონცერტს, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიღება სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

544. საქართველო, 1916, 10 მარტი, № 55, გვ. 3

სასულიერო კონცერტი

კვირას, 13 მარტს, ქართულ კლუბში გაიმართება სასულიერო კონცერტი სემინარიის მგალობელთა გუნდისაგან, რომლის შემოსავალიც განაწილდება გაჭირვებულ მოწაფეთა შორის. ეს კონცერტი მარტო იმით კი არ არის საყურადღები, რომ საქველმოქმედო მიზანი აქვს დასახული, არამედ იმითაც, რომ ამ საღამოს შესრულებული იქნება მთელი რიგი იმ საგალობლებისა, რომლებიც დღევანდლამდე ქართულ ეკლესიაში არ იგალობებინ, არამედ კითხვით ითქმინ. აი ეს საგალობლები უნდა მოისმინოს ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ერთი ორად უნდა იყოს დაინტერესებული. საზოგადოთ, ქართული გალობა დღევანდლამდის უგულვებელ ყოფილია მცოდნე პირთაგან, რომლებიც თითხედ ჩამოითვლებიან, – არ ვიცით იმისთვის, რომ იგინი ამ დარგს საუნჯეთ არა სთვლიან, თუ სხვა რამე მიზეზით, ხოლო ეს კია, ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ჯერ ქართული გალობა ხელუხლებელია და იგი მუშასა და ყურისმგდებელს ელის. თუ სასულიერო კონცერტები ჩვენში იშვიათია და ჩვენი მემუსიკენი ამ დარგში უგულოდ ირჯებიან და გაუბედავთ ადგამენ ნაბიჯს, ქართველმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ თავის ყურადღებით ამ კონცერტისადმი მაინც დაუმტკიცოს მათ, რომ ეკლესია და მისი გალობა მათთვის საუნჯეა და ყოველნაირ მუშაობას და მომუშავეს ამ დარგში იგინი აფასებენ და უყურადღებოთ არ ეპყრობიან.

გაფრთხილება

გაზეთებში აღნიშნული იყო ბ. ნოე სიხარულიძისაგან დანიშნული პრემიები ჩონგურის საუკეთესო დამკვრელთათვის. ბ. ნოე სიხარულიძის წრფელი გულშემატკივრობა ეროვნული საქმისთვის დიახაც რომ საქები და მისაბაძი მაგალითია, მაგრამ არ შემოიძლია ყურადღება არ მივაქციო ერთ მხარეს, რომელიც სახიფათოდ მიმაჩნია...

ქართული სიმღერა-გალობა დიდი ეროვნული განძია და მისი შენახვა-განვითარება ეროვნული მოვალეობაა; მხოლოდ რაც შეეხება ჩონგურ-ჭიანურის პროპაგანდას ახალგაზრდებში (აქ ახალგაზრდობა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ჩვენი კულტურული წინმსვლელობის იმედი), რაც შეეხება ჩონგურ-ჭიანურის მნიშვნელობის მომავალს ჩვენს მუსიკალურ განვითარებაში – ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მათ ანაბრად არ დავრჩეთ!..

ჩონგური, ჭიანური თარი და გიტარა-მანდოლინაც მხოლოდ „საყველ-პურო“ მუსიკალური საკრავებია და არც მომავალი აქვთ ხელოვნებაში; ჩონგური და ჭიანური მხოლოდ ხალხურ საკრავებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მათ ღარიბ შინაარსს შეუძლიან დააკმაყოფილოს მხოლოდ მდაბიო ხალხის განუვითარებელი გემოვნება. ჩონგურ-ჭიანურის მუსიკალური პოტენცია მეტად სუსტია და ხელოვნების განვითარების შორ გზას ვერ გაჰყვება; ამ საკრავებს ჩვენს მუსიკაში ისეთივე ალაგი უკავიათ ზედმინვენით, როგორც, მაგალითად, ძველებურს უზარმაზარ გუთანს ჩვენს მეურნეობაში: ჩონგურ-ჭიანურის „გალმერთება“ ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც ძველებური გუთნით ხვნა-ჭაპანწყვეტა!

გაზეთების თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით: „სახელგანთქმული ანრი მარტო.. გოფმანი.. კუბელიკი.. ვილლი ფერერო.. რახმანინოვი.. გუბერმანი.. ხეიფიცი“ – და არსად არც ერთი ნაცნობი გვარი!.. ღმერთმა აკურთხოს და გაამრავლოს ეს მშვენიერი ხელოვანი ადამიანთა საბედნიეროდ, მაგრამ ამ უცხო გვართა ყურწართმეულს გული სევდით გევსება, რომ მათ რიცხვში არ არის არცერთი ქართველი!

გვსურს თუ არა, რომ ქვეყნიერებაში ჩვენც სხვის თანასწორნი ვიყვნეთ? გვსურს თუ არა, რომ კაცობრიობის საუნჯეში ჩვენც შევიტანოთ რამ და არა მარტო მივიღოთ სხვისგან, როგორც მონყალეა უქნარა-პარაზიტებმა? რა შეგვაქვს ჩვენ დღეს საერთაშორისო ცხოვრებაში ჩვენი მუსიკალური საუნჯიდან? თითქმის არაფერი!.. ან კი საიდან? დღეს ჩვენ ისევ შემჭვარტლულ ბუხარს ვუსხედვართ და ჩონგურს ვაჩხლაკუნებთ.

განა გოფმან-კუბელიკების მამა-პაპათ კი არა ჰქონდათ ჩონგურები, მაგრამ დიდი ხანია, რაც იმათ ისტორიას ჩააბარეს ეს ძვირფასი ეროვნული საკრავები და ახალგაზრდობა კი აღზარდეს როიალზე, ვიოლინოზე, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების განვითარება უმაღლეს წერტილამდე. დეე, ჩონგურ-ჭიანური დარჩეს ხალხში, ვიდრე ეს აკმაყოფილებს მის მუსიკალურ მოთხოვნილებას და მეტს ხელი არ მიუწვდება, ჩვენი მომავლის იმედს – ახალგაზრდობას კი ავაცდინოთ ეს სახიფათო ჩვენი ეროვნული მიდრეკილება!

არ უნდა დაიკარგოს ან დამახინჯდეს ქართული სიმღერა-გალობის არც ერთი კილო, არც ერთი ჰანგი; უნდა გადაღებულ იქმნას ნოტებზე და შენახული, როგორც დიდებული ეროვნული განძი; ახალგაზრდობა აღზარდოთ ნამდვილ მუსიკალურ სასწავლებლებში, შევიშავოთ ჩვენი მდიდარი მუსიკალური მასალა – აი რას უნდა შევალიოთ ჩვენი ჯანი და ღონე და არა ჩონგურ-ჭიანურის პროპაგანდას!..

ჩემი ყურადღება მიაპყრო კიდეც ერთმა უცნაურობამ: აღძრულია საკითხი ქართულ

მუსიკაზე, ეროვნულ მუსიკაში გამრყენელ ელემენტების შემოჭრაზე, ახალგაზრდობის მუსიკალურად აღზრდაზე და ამ სპეციალურ მიმღე საკითხებით მიუმართავთ ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის!..

თბილისში არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება და, თუ არა ვცდები, მას „ცოტაოდნად“ შეეხება წამოყენებული საკითხები. მაგრამ ამაზე შემდეგ...

ნ. შიუკაშვილი

546. თეატრი და ცხოვრება, 1916, 13 მარტი, №11, გვ. 16

ნვრილი ამბები

* * *

სასულიერო კონცერტი, ჩვენი დამსახურებული მუსიკოსის ია კარგარეთელის ხელმძღვანელობით, თბ. სასულ. სემინარიის ქართველ მაგლობელთა გუნდის მიერ გაიმართება დღეს, 13 მარტს დილით, „ახალი კლუბის“ დარბაზში. პროგრამა ახალი საგალობლებისაგან არის შემდგარი და საყურადღებოა.

547. საქართველო, 1916, 16 მარტი, №60, გვ. 3

† იოსებ მონადირიშვილი

სამწუხარო ამბავი უნდა გაუზიაროთ ჩვენს მკითხველებს. 14 მარტს ნაშუადღევს 3 საათზე თავის ბინაზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი მუსიკის ერთ-ერთი მესვეურთაგანი, იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილი. განსვენებული ჯერ კიდევ ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა კაცი იყო. პროფესიით მასწავლებელი სხვადასხვა საგნებისა ქართულ გიმნაზიაში, მონოდებით ნამდვილი მუსიკოსი. მის მოღვაწეობას შემდეგ ნომერში დანვრილებით მოვისხსენიებთ, ესლა გულწრფელ სამძიმარს გამოვთქვამთ ჩვენი მუსიკოსის და ნამდვილ მამულიშვილის უდროოდ დაკარგვის გამო.

548. საქართველო, 1916, 17 მარტი, №61, გვ. 3

მოგონება

(ი. გ. მონადირიშვილის გარდაცვალების გამო)

მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე მე და ჩემი ამხანაგი დაღვრემილები მივდიოდით და რალა-ცაზე ქართულ ენაზე ვმსჯელობდით. ამ დროს ერთმა შუახნის კაცმა გვერდზე ჩამოგვიარა

და თვალები მოგვაპყრო. ჩვენც ძალაუვნებურად დაუწყეთ ცქერა, „ნეტა ვინ არის, ან რა უნდა, რომ თვალებს არ გვაშორებს?“ – მომმართა ამხანაგმა. „ალბათ ნაცნობებათ თუ მიგვილო“ – მიუგე მას და განვაგრძეთ საუბარი.

ამავე დღეს, საღამოთი, გავემგზავრე ერთ ქართულ ოჯახში, სადაც ქართველი სტუდენტები თავს ვიყრიდით და ჩვენ სამშობლოს ქირ-ვარამზე ვმუსაიფობდით ხოლმე. ეს ოჯახი გვაერთებდა ყველას; ქართველი მანდილოსანი, ბურჯი ამ ოჯახისა, თავს დაგვეტრიალებდა. მისი ორი სტუდენტი შვილიც ყოველთვის სახლში დაგვხვდებოდა ხოლმე და ჩვენ სიამოვნებას საზღვარი არ უჩანდა.

შევალე ამ ოჯახის კარი და შევჩერდი. მოულოდნელად ის კაცი, იქ დამხვდა. „ქართველი ყოფილა“ – გავიფიქრე. გადავდგი ფეხი და გავეცანი. „მონადირიშვილი!“ გამომინოდა ხელი და მალე მუსაიფი გავაჩაღეთ.

ამ დღეს ჩვენი სიამოვნება გაორკეცდა. მისი ტკბილი გულახდილი ლაპარაკი სამშობლოს და მის საჭირბოროტო საკითხების გარშემო ტრიალებდა, არ ივინყებდა აგრეთვე თავის საყვარელ ქართულ გიმნაზიის მონაფეებსაც, სადაც მასწავლებლობდა, რომლებიც დროებით დაეტოვებინა და მოსკოვის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოსულიყო.

ამის შემდეგ ხშირად შევხვდებოდი ხოლმე იოსებ მონადირიშვილს მოსკოვში და დავრწმუნდი, რომ მას სამშობლო მხარე თავდავინყებით უყვარდა. მან ერთი თვეც ვერ შეძლო ცივ უმწეო ქვეყანაში დარჩენა და მალე საყვარელ თბილისისაკენ გამოემგზავრა.

მის შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასულა და ქართველ საზოგადოებას, ჩუმი მუშაკი იოსები 15 მარტს მოულოდნელად ხელიდან გამოეცალა.

საუკუწოდ იქნება ხსენება მისი ჩვენ შორის.

ს. კ-ძე [სარგის კაკაბაძე]

549. სახალხო ფურცელი, 1916, 17 მარტი, №529, გვ. 3

† იოსებ მონადირიშვილი

ტფილისში გარდაიცვალა ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იოსებ მონადირიშვილი. განსვენებული ოცი წელიწადი ემსახურებოდა ქართულ გიმნაზიას და მთელი ამ ხნის განმავლობაში იშვიათის კეთილსინდისიერებით ემსახურებოდა თავის მოვალეობას. მშვიდი და წყნარი მუშაკის მოღვაწეობა ქართულ გიმნაზიაში სამსახურით არ განისაზღვრებოდა. ქართველი საზოგადოება განსვენებულს იცნობდა როგორც ლოტბარს. ქართული საეკლესიო გალობის საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღვის. მისი მშვენიერად დაყენებული ხორო დიდხანს გალობდა ეკლესიაში და აღვიძებდა ინტერესს ქართული გალობისადმი.

განსვენებულმა ბოლო დროს ავადმყოფობა დაიწყო. ცოტახანს მოკეთდა იმდენად, რომ კვლავ დაიწყო გარედ გამოსვლა, მაგრამ ერთბაშად დამბლა დაეცა და გარდაიცვალა.

განსვენებულს დარჩა ცოლი და შვილები.

ი. მონადირიშვილის დაკრძალვა

გუშინ ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და ანდერძი აუგეს უდროოდ გარდაცვალებულს იოსებ გიორგის ძის ცხედარს. წირვასა და ანდერძს დაესწრნენ წარმომადგენელნი ქართულ კულტურულ საზოგადოებათა, ქართულ გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელნი და მრავალი პატივისმცემელნი განსვენებულის ხსოვნისა. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინები ამკობდა ცოცხალი ყვავილებისა; სხვათა შორის, ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციისაგან, ქალთა ქართულ გიმნაზიის მოწაფეთაგან, თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან და სხვ. ანდერძის წინ შემდეგი სიტყვით მიმართა მოწაფეთ დეკ. კ. ცინცაძემ:

„ყმანვილებო, არა მგონია რომელიმე თქვენთაგანი ასცდენოდეს აქა მდებარე იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილის მამობრივ ზრუნვას და ამისათვის გეცოდინებათ, რომ მან ადრე იტვირთა მძიმე უღელი მასწავლებლობისა, თავიდანვე შეუდგა მოზარდი თაობის აღზრდა-განსწავლას და ამ უჩინარ ასპარეზზე მოღვაწეობას შესწირა სიცოცხლე“...

„თავისთავად, ამგვარი ღვანლი პატივსაცემია და ერთის ადამიანისათვის სრულებით საკმარისიც, მაგრამ ეს ჩვენი ჩუმი, ტკბილი და დაულალავი იოსები არ სჯერდებოდა მართო პატარა ქართველებისათვის ზრუნვას და ამიტომ ხელი მიჰყო დიდრონ მამულიშვილთა სწორე გზაზე დაყენებასაც. ამ დიდებულს მიზანს რომ მიდგომოდა, მან გამართა მგალობელთა საუცხოვო გუნდი და მუსიკალურ-ესტეტიურად გამშვენებულის გალობით ქართველ საზოგადოებას განაცდევინებდა სარწმუნოებრივ გრძნობის სინაზე-სიფაქიზეს, ხოლო უცხო ერთა შვილთ პატივისცემით ქედს ახრევინებდა ქართულ საეკლესიო გალობის წინაშე...

„ჩვენც მოვიხაროთ ქედი ჩვენის ქვეყნისათვის კარგის მამულიშვილის ცხედრის წინაშე, დავიხსომოთ ღვანლი მისი და ვბაძავდეთ სარწმუნოებასა მისსა. ამინ!“

ანდერძის აგების შემდეგ განსვენებულის კუბო მასწავლებლებმა და ამხანაგებმა ასნიეს და პეტრე-პავლეს სასაფლაოზე წაასვენეს, სადაც გიმნაზიის მასწავლებელთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა პ. მირიანაშვილმა.

მუსიკოს-მასწავლებელი

† იოსებ გიორგის ძე მონადირიშვილი

ულმობელმა სიკვდილმა არ დააყოვნა. ჩვენს საზოგადოებრივ ბანაკს კიდევ ზარი ჩამოურეკა და ქართველ მუსიკოსთა მცირე გუნდს ერთი ნიჭიერი წევრი წარსტაცა....

სამშაბათს, 15 მარტს, თბილისში მოულოდნელად სიდამბლით გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (45 წ.) მუსიკოს-მასწავლებელი იოსებ გიორგი ძე მონადირიშვილი..

ი. მონადირიშვილი დაიბადა თელავში 1871 წ. 28 ქრისტეშობისთვეს. სწავლობდა თელავის სასულ. სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა თბ. სას. სემინარიაში, სადაც 21 წლისამ დაამთავრა კურსი (შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე). მასწავლებლობდა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში (2 წელიწადს), შემდეგ ქართულ გიმნაზიაში

სიკვდილამდე. დარჩა ცოლი და სამი წვრილი ბაილი (უფროსი მათგანი 7 წ.)

მუსიკის სიყვარული და ნიჭი ი. მონადირიშვილმა სიყმაწვილიდანვე გამოიჩინა: საერთოდ ქართულ მუსიკაში და განსაკუთრებით სამხმოვან გალობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. დანერგული აქვს სხვადასხვა რომანსები, პასექის ტროპარები და სხვ.

იგი ცნობილი იყო, ვითარცა ნიჭიერი საეკლესიო ლოტბარი. ამ რამდენიმე წლის წინათ შეადგინა მგალობელთა გუნდი; კარგა ხანს საუცხოვოდ აგალობებდა ეკლესიაში და მშობლიურ გალობის სიყვარულს აღვიძებდა.

კურთხეულიმც იყოს სახელი მისი და ხსოვნა კი უკვდავი.

ი.ი.

552. თეატრი და ცხოვრება, 1916, 20 მარტი, №12 გვ. 13

ცაცია ხელი

(ია კარგარეთელის სასულიერო კონცერტის გამო 13 მარტს „ახ. კლ.“)

აინია ფარდა...

სცენაზე თბ. სასულიერო სემინარიის გუნდია, მის წინ ზურგშემოქცეული შავად მოსილი კაცი...

წუთიც და ამოდრავდა ცაცია ხელი, მოისმა ხმა...

ცაცია ხელის პატრონი გუნდის ლოტბარია, მუსიკოსი ია კარგარეთელი, რომელიც მხოლოდ მარცხენა ხელს ამოდრავებს, მარცხენათი სწერს და ლოტბარობს, მარჯვენა კი დადუნებული აქვს, თითებდაკვლანჭული უბედური შემთხვევისა გამო, ამ ათი წლის წინად რო დაჰმართა ბოროტმა ხელმა.

მაგრამ ეს გარეგნული ნაკლი კი არ ამცირებს ჩვენ საყვარელს მუსიკოსს: არა, კიდევ უფრო შუქსა ჰფენს მის გულგაუტეხაობას, საქმის სიყვარულსა და მაღლიან მუშაკობას...

„ვისაც ჩემი სიჭაბუკე არ უნახავს, ნურც ჩემს სიბერეს უჩვენებსო“ – უთქვამს ჩვენი ხალხის სიბრძნესა, და მართლაც, ახლაც თვალწინ მიდგას რომანსების მეფე, ია კარგარეთელი, ამ 20-23 წლის წინად, თბ. ძველ სახაზინო თეატრში მთელი, ქართველი და უცხო საზოგადოება რომ მოაჯადოვა თვისი „დღეს მერცხალი“-თ და სხ.

მაგრამ არც მეორე ანდაზაა მცდარი: „ბებერი ხარისა რქანიც კი იწვეიანო“

მართალია, იას სიბერემდე ჯერ ბევრი უკლია, სწორედ ახლა მოველით მისგან უფრო დასრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს, მაგრამ სიჭაბუკის ცეცხლი მაინც თითქო მიჰნელბია.

და სწორედ ამ გარეგნულად მინელებული, მაგრამ შიგნით უქრობი ცეცხლის გამონა-შუქია მისი უკანასკნელი სასულიერო საგალობელი, 13 მარტს სასულიერო კონცერტის სახით შესრულებული „ახალი კლუბის“ დარბაზში.

წყნარი, სასოებისმომგვრელი, არაამქვეყნიურ განცდათა აღმძვრელი, სულის ამჩუყებელი – აი როგორი იყო იგი...

მართალია, საგალობლებს ერთფეროვანება, ერთკილოვანება ეტყობა (თვით პროგრამა ერთფეროვან საგალობელთაგან იყო შემდგარი), მაგრამ ნუთუ ჩვენი წარსული გრძელი ისტორიული ცხოვრება, ტანჯვა-წამებით აღსავსე, უმეტესად ერთფეროვანი არ იყო?!

და ჩვენმა ეროვნულმა ეკლესიამაც ერის სულისკვეთება, იდუმალი მოთქმა ხალხის სიდუხჭირეთა, სულიერ განცდათა სინამდვილით აღბეჭდა: მთელი გალობა თითქო განუწყვეტელი სინანულის ლოცვააო...

ნაკლი?

მაგრამ რომ იყოს კიდეც, ჯერ საგალობელთა ნაკლის აღსანუსხავად არა გვაცლიან...

საღამოს ნაკლი უპირველესად ის იყო, რომ ვინც უფრო მეტის ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს სამშობლო ეკლესიას – ქართველი სამღვდელოება – ნაკლებად დაესწრო: სულ ოციოდე ქართველი სასულიერო პირი...

სამაგიეროდ დაესწრენ პლატონ ექსარხოსი, რუსები, სპარსეთის საელჩოს წარმომადგენელი და თათრებიც კი და... განმარტება საჭირო აღარაა...*)

მეორე ნაკლი – ქართული მუსიკის ზოგიერთ მუშაკთა აღმაცერად ლაპარაკი, თითოეულის მათგანის მიერ თავისთავის გარეშე სხვისი ნაშრომის არარად აღიარება...

უმთავრესი ნაკლი კი ისაა, რომ ჩვენს საზოგადო, სამუსიკო, სასცენო თუ სამოქალაქო ცხოვრებაში ჯერ კიდევ მხოლოდ ცაცია, მარცხენა ხელი საქმობს, მარჯვენა კი დადუნებულია... ჯერ კიდევ ცალი ხელით – მარცხენათი ვმუშაობთ, ჩვენს საერო საზოგადო საქმეებს ჯერ კიდევ რამდენიმე კერძო კაცი თაოსნობს, ბევრი გაჭირვებით, და მარჯვენა, მძლავრი მხარე კი...

ნუთუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მარჯვენა ხელი აღარ ამუშავდება?!

ექიმი შტოკმანი [იოსებ იმედაშვილი]

*) ქართველ სასულიერო პირთაგან დაესწრენ ეპ. ანტონი, არქ. იოანე და ნაზარი, დეკ. ნ. თალაკვაძე, ნ. მაჭარაშვილი, კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე, ს. შოშიაშვილი, მღ. ვ. კარბელაშვილი, ი. მირიანაშვილი, ნ. და ლ. ნათიძენი, ა. კავკასიძე, მიქელაძე, ფხალაძე, სარალიძე და ორიოდეც სხ.

553. თეატრი და ცხოვრება, 1916, 27 მარტი, №13 გვ. 15-16

ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)

მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება

(სახალხო სახლში 31 იანვარს წაკითხული, ავტორის მ. კავსადის მიერ)

თავი პირველი

ა) მშობლიურ მუსიკის მნიშვნელობა, დაფასება და მისი გავლენა სხვაგან და ჩვენში; ბ) ქართულ სიმღერა-გალობის ახლანდელი მდგომარეობა; გ) ჩვენი სამღვდელოება და საეკლესიო გალობა; დ) ჩვენი პრესა და ქართული მუსიკა; ე) ქართველი მუსიკოს-კომპოზიტორნი, მათ მიერ დამუშავებული სიმღერები, საგალობლები და ოპერები.

რუსეთში და საზღვარგარეთ მშობლიურ მუსიკას, სახალხო სიმღერა-გალობას პატივისცემით, ხალხისთ ეპყრობიან და ემსახურებიან. დიდსა და პატარას აუცილებელ კარგად აქვს დასახულ-მიღებული, როგორათაც კეთილშობილური, ადამიანის გულისა და სულის დამამშვიდებელი, გონებრივად, ესთეტიურად და ზნეობრივად განმავითარებელი დარგი ხელოვნებისა. სიმღერა-გალობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ნამეტნა-

ვად ბავშვებისათვის. სიმღერა-გალობა ბავშვს დიდ სიამოვნებას, სიცოცხლეს, ხალისსა და სიმხნევეს ჰმატებს, და არც ის დედ-მამანი მოსტყუვდებიან ჩვენში, თუ თავიანთ შვილებს დაბადებიდანვე „ნანინათი“ და მშობლიურ ჰანგების ზეგავლენით აღზრდიან: ყოველი ბავშვი, რომელიც აღიზარდება თვისი ერის სიმღერა-გალობით, მუდამ თავის თავს იცნობს, შეიგნებს და შეიყვარებს თავის მშობელ კერას, შეისწავლის წარსულს და მომავალზე იფიქრებს!

საერთოდ, მუსიკას და კერძოდ კი მშობლიურ სიმღერა-გალობას ასეთი ნაყოფიერი გავლენა აქვს არათუ ადამიანზე, არამედ პირუტყვზედაც კი. მრავალ მეცნიერის და დიდებულ კომპოზიტორ-მუსიკოსის მიერ დამტკიცებულია, მუსიკა როგორ იმორჩილებს ნადირ-ცხოველს. და ამიტომაც ამ ხელოვნების დარგს შეგნებული და განვითარებული ერები მაღლა აყენებენ და დიდს მნიშვნელობასაც აძლევენ.

ჩვენში კი სამწუხაროდ ჯერჯერობით არ არის ასე!

ყველამ უწყის, რა დღეშიც იმყოფება დღეს ქართული ენა და თუ კარგად ჩაუკვირდებით, უარეს დღეშივეა ჩვენი მუსიკა, სიმღერა-გალობაც.

სიმღერა-გალობის საქმე რამდენათაც სხვა კულტურულ ერებში, მაგ. იტალიასა, ფინლანდიასა, ჩეხიასა, უკრაინასა და რუსებშიაც კი განვითარებულია და ფასი აქვს, იმდენად ჩვენში დაცემულია, და შეიძლება თავისუფლადაც ითქვას, „აბუჩად არის აგდებული“ ეგრედწოდებულ ჩვენი ქართველ „მონიტელიგენტე“ და უფრო არისტოკრატიულ, მონინავე წრეების მიერ. ბევრს არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვს, რა ნაყოფის მოტანა შეიძლება ხალხის ცხოვრებაში მშობლიურ მუსიკის წყალობით. თითქმის ყველგან გამოდევნილი ქართული სიმღერა-გალობა მეტ საგნად და ბარგად მიგვაჩნია; ასე გასინჯეთ, ვერცერთ საზოგადოებას ჩვენში, ვერცერთ მოღვაწეს, ქველმოქმედს, კერძო, სასულიერო ან საერო პირს ვერ დავასახელებთ, რომ ამ მეტად სიმპატიურ და წმინდა საქმისთვის თავი გამოედოს, ან გროში შეეწიროს, მზრუნველობა, ან უბრალო დახმარება გაენიოს (ნუ დაგავინწყდებით კი, რომ ყოველ ნაბიჯზე სიმღერა-გალობის მოთხოვნილება!), და ვინც კი რამე გაიმეტა, ფრიად უმნიშვნელო და ისიც უსარგებლოდ, რომლის ანგარიშიც კი არ მოითხოვა, არ იკითხა: ვის მისცა, რათა, რისთვის, რას და როგორ მოხმარდა: ქართულ მუსიკის აღორძინებას თუ ჩინურისას?

მ. კავსაძე

(გაგრძელება იქნება)

554. თეატრი და ცხოვრება, 1916, 27 მარტი, №14 გვ.16

კომპ. კ. ფოცხვერაშვილი, როგორც სჩანს, მშობლიურ მუსიკას ამირანად მოვლენია: ჰსურს მგზნებარე სიტყვა-მუსიკით აღაგზნოს თვით ურწმუნოთა გულნიც და დაარწმუნოს, რომ ჩვენი ხალხური სიმღერა-გალობა დიდი ყურადღების ღირსია თვით დაწინაურებულ ერთაგანაც, რადგან მასში მოიპოვება ბევრი ისეთი რამ, რაც სხვა ერთ არ მოეპოვებათ: „ქართული კონტრაპუნქტი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე დღემდე შექმნილი ევროპიული კონტრაპუნქტი, რითმი ქართული მუსიკისა გენიოსურია, ევროპიული კი ბავშვური (?) და აღმოსავლეთის მუსიკის რითმაზედაც მაღლა სდგასო... გურიის სიმღერებს შერჩენია უმაღლესი ფორმები რითმისა, ჰარმონისაო.* დამსწრე მსმენელთ მაგალითებით უჩვენა, რა მარგალიტები იპოება ჩვენს მუსიკაში (გრამაფონით ამღერა გურული „ხელხვაავი“, „ორი შაშვი“, „იერიში“) და როგორ შეუძლებელია, უცხოელი ჩასწვდეს ჩვენი მუსიკის სიმშვენიერე-სილა-

მაზეს და ბგერათა მრავალგვარობას. დამსწრეთ უჩვენა, როგორ იკითხება სახარება (თუმცა მღვდლებმა წაიჩურყულეს – უკეთესად შეიძლებაო) და სხ. გარდა ამისა, პატივ. კომპოზიტორმა ამავე საღამოში მონაწილეობა მიაღებინა სხვადასხვა ჰანგის (სოპრანო, ტენორი, ბასი) ქართველ მომღერალ-დამკვრელთ. დებმა შავერზაშვილებმა საამო შთაბეჭდილება მოახდინეს თვისი ნიჭით და ცოდნით: ერთმა ფორტეპიანოზე ხელოვნურად დაუკრა კ. ფოცხვერაშვილის „თქმულება ამირანზე“, ხოლო მეორემ (სოპრანო) მოხდენით იმღერა „ნათელას სიმღერა“ და „ჩანგური“ (კ. ფოცხვერაშვილისა), „მზე შინაო“ და „ოროველა“ (არაყიშვილისა). მეტად ტკბილი, ნორჩი ხმა აქვს ბ-ნ ჭუმბურიძეს (ტენორი), რომელიც საგანგებოდ ბაქოდან იყო ჩამოსული. შეასრულა ირაკლის არია („ლალატი“, იპოლიტოვ-ივანოვის), გოჩას არია („თამარ ცბიერიდან“ მ. ბალანჩივაძის) და „მთანმინდა“ (კ. ფოცხვერაშვილის და შარაბიძის), რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. ბ-ნ ლეჟავის (ბასი) მძლავრი, მოქნილი და უკვე დამუშავებული ხმა აქვს. დიდი ოსტატობით შეასრულა „ელეგია“ (იპ-ივანოვისა) და „დავრომილი სნეული“ (ყარაშვილის). ყველა მონაწილენი საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ფ-ლის ლექციის პირველი ნაწილი უფრო განყენებული, საეგებო დებულებებით იყო გადაჭარბებული, სამაგიეროდ მეორე ნაწილი – შინაარსიანი, ნათელი და მკაფიო. მაგრამ თავის თავზე რომ ნაკლები ელაპარაკნა, ყოველივე თქმული (ევროპიული და ჩვენებური მუსიკის შესახებ) ჩვენი და ევროპიის მუსიკალურ ნიმუშთა შესრულებით რომ ეჩვენებინა და რიხი, სხვათა არარად ჩაგდება არ დაეწყო, გაცილებით ემჯობინებოდა. მიუხედავად ამისა, მრავლად შეკრებილმა საზოგადოებამ (საარტ. საზ. დარბაზში) დიდის ყურადღებით მოისმინა ეს პირველი მუსიკა-სიტყვაობა, რაიც გათავდა ნაშუალამევის 1 ს.

სიმი [სიმონ გაჩეჩილაძე]

555. საქართველო, 1916, 5 აპრილი, № 75, გვ. 3

დიდუბის ეკლესიაში ქართული გუნდი ხელახლად შესდგა და გალობა დაიწყო. გუნდის ლობტარად ისევ მთავარი კ. ჩუტკერაშვილია მიწვეული.

556. თეატრი და ცხოვრება, 1916, 17 აპრილი, №16 გვ. 12

ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)

ეხლა თვალი გადაავლეთ საეკლესიო გალობას: აბა, გაისარჯენით, განგებ შეირეთ ჩვენს ეკლესიებში, თუ ქართულ გალობას მოისმენთ?! არსად, და თუ სადმე არის – გადამახინჯებულ-გადაგვარებული. ამ გადაგვარებულ გალობას ხელს უწყობენ ზოგიერთი

ჩვენი სამღვდლო პირნი, რომელნიც პირდაპირ მოვალენი არიან აღადგინონ ჩვენი ძველი და მეტად ტკბილი საეკლესიო გალობა..

ჩვენს დაბა-სოფლებში ხომ სულ მივიწყებულ-მიძინებულია. მართალია, გვყვანან ამ საქმის გულშემატკივარნი რამდენიმე სამღვდლო პირნი, მაგრამ მათ რა უნდა გააწყონ, თუ სხვებიც არ დაუჭერენ მხარს, რომ ეს კეთილი საქმე საერთო ძალ-ღონით მოავარონ.

მოდით და ამის შემდეგ დაემდურეთ ხალხს, რომ „ეკლესიაში არ დაიარებაო“.

ბევრ ქართველს, დიდს თუ პატარას, ენატრება ქართული წირვა-ლოცვა თავის ტკბილი გალობით. მართლაც, სადღა არის ჩვენი ქართული დარბაისლური საეკლესიო გალობა?! 15 წელიწადზე მეტი იქნება, იგი ჩაქრა და აღარავინ ფიქრობს იმის აღგზნებას. სრულიადაც მოისპობა, თუ აქედანვე არა ვიღონეთ რამ. ჩემის აზრით, ერთი კაცი, კერძო პირი ამ რთულ საქმეს ვერ იკისრებს, და თუ გამოჩნდება ვინმე, ჩვენს სამღვდლოებას და საზოგადოებას ჰმართებთ დიდი მზრუნველობა და პატრონობა გაუწიონ ძველ საეკლესიო გალობის მოსაქმე მუშაკთ.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჩვენი მართლაც ნიჭიერი და მხოლოდ უცხო ტომის მუსიკაში დახელოვნებულნი ახლანდელნი კომპოზიტორ-მუსიკოსნი მარტო უმაღლეს მუსიკალური განათლებით და თეორიებით არ უნდა ხელმძღვანელობდენ ამ საქმეში, არამედ საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციონ ეროვნულ ფარგლებში პრაქტიკულად მოღვაწეობას.

მართალია, ზოგიერთები შრომობენ, ფუფუნებენ, ხოლო იგი შრომა, ფუსფუსი ნაყოფიერია და ჩვენი სიმღერა-გალობის აყვავებას სამსახურს უწევს თუ არა, ამაზე გაჩუმებულნი ვართ, ხმას არ ვიღებთ; არ გვინდა სამართლიანის კრიტიკით, სიფრთხილით და დაკვირვებით განვიხილოთ, დავაფასოთ ის შრომა, მუშაკს ნაკულუევანებაზე მივუთითოთ, გამოვამყლავნოთ მის ნაწარმოების, ნამოქმედარის ავი და კარგი. გვემძიმება პირისპირ და გულახდილად გავუზიაროთ ამ დარგის სასარგებლო აზრ-შეხედულებანი და სხვა!.. ამის ნაცვლად ჩვენი მუსიკოს-კომპოზიტორნი, ძველი მცოდნე პირნი, ლოტბარნი ან მომღერალ-მგალობელნი შურის თვალთ უცქერიან და არც კი ეკარებიან ერთი-ერთმანეთს, ხშირად დაცინვის კილოთიც იხსენიებენ ხოლმე ერთმანეთს. თუ გამოერი ვინმე და ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა რომელიმე ახალგაზრდა მუსიკოს-კომპოზიტორთაგანმა, ნახეთ ახლა, რა ყოფას დაანევენ ხოლმე მათ ძველი სიმღერა-გალობის მცოდნე პირნი! ხშირად გამიგონია უკანასკნელებისაგან წუნუნნი, როცა ახალგაზრდების სამუსიკო ნაწარმოებთა შესახებ შევკითხებივარ; „– ეჰ, ჩვენ როგორ უნდა ამოვილოთ ხმა განათლებულ მუსიკოსების წინააღმდეგ; მაგათ უმაღლესი მუსიკალური ცოდნა აქვთ და როგორ უნდა შეუხირდეთ?!..“ განა ამგვარ სიტყვებით, ასეთი გულცივი მოპყრობით ხელოვნების საქმეს ეშველება რამე?.. რასაკვირველია, არა!..

ყველა ამ საქმეში ჩახედული პირი მოვალეა ხმამაღლა, გულახდილად წარმოსთქვას თავისი აზრი; ზურგით უკან ლაპარაკი, ერთი-ერთმანეთისადმი შურის განევა და დაცინვა კი ამ ხელოვნების დარგს არ განავითარებს. ახალგაზრდა მუსიკოსებსა და ლოტბარებსაც ჰმართებთ მეტი ყურადღება მიაქციონ ძველ და გამოცდილ პირებს, რომელთაც ბევრი რამ სასარგებლო იციან და მათგან შეიძლება ისწავლონ რამ.

მ. კავსაძე

(გაგრძელება შემდეგ)

თამარობა დიდუბეში

1 მაისს დილიდანვე დიდუბის ეკლესიის გალავანში ხალხმა იწყო დენა. მოდიოდნენ, ეკლესიას ჩვეულებრივად გარს უვლიდნენ და მომეტებული ნაწილი უკანვე ბრუნდებოდა. ათი საათისთვის ეპისკოპოზი ანტონი უნდა მობრძანებულიყო. ხალხი კარგა ბლომად შეიკრიბა. მეთერთმეტე საათზე ეპ. ანტონი ავტომობილით მობრძანდა. მას კრებული დაჰხვდა. წირვა და პარაკლისი სულ მთლად ქართულად იყო, გუნდიც ქართულად გალობდა მთავარი კ. ჩუტკერაშვილის ლოტბარობით. მწყობრი და შეთანხმებული გალობა ჰმონწობდა, რომ მას ხელმძღვანელობდა გამოცდილი და მცოდნე ლოტბარი. ყურადღებას იპყრობდა საპარაკლისო გალობა, რომელიც თვით კ. ჩუტკერაშვილის ნაწარმოებს წარმოადგენს. ეპისკოპოზ ანტონის შეუნიშნავს რა მისი ღირსება და დიდად ნასიამოვნებიც დარჩენილა. ეპისკოპოსმა ანტონიმ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა თამარის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის.

წირვის შემდეგ თამარის ხატით ეკლესიას ყველამ ერთხელ გარს შემოუარა.

დამწრეთ სიამოვნება და დღეობის ნიშანი ეტყობოდათ. ეპისკოპოზის თანამწირველი ხუთი მღვდელ-დეკანოზი იყო.

ხალხი 1^{1/2} საათ. დაიშალა.

ეკლესიის გალავანში ახალგაზრდა ქალები წიგნაკს „თამარ მეფის დღესასწაული“ და გაზ. „საქართველოს“ ჰყიდდნენ.

ქართული მუსიკა

(სიმღერა-გალობა)

(გაგრძელება იხ. „თ. და ც“. №21)

ჩვენი მუსიკის საქმეში პრესასაც მიუძღვის დანაშაულობა. არაერთხელ ყოფილა, რომ ქართულ სიმღერა-გალობასთან ახლომდგომ პირებს, ან ძველ გალობის მცოდნეებს ქართული მუსიკის შესახებ წერილები მიუტანიათ ჩვენებურ რედაქციებში, რომელთაც სრულიად უმიზეზოდ არ დაუბეჭდიათ.

ხშირად ესეც ყოფილა, რომ იმავე რედაქციებს იმისთანა პირებისათვის გამოუცხოობინებიათ წერილები და კრიტიკული განხილვანი მუსიკაზე, რომელთაც არც კი იციან, მუსიკა „ხელოვნებაა თუ სხვა რამ!“

ამ უცოდინრობას თვით წერილების ავტორნი გადმოგვცემენ ასე: „თუმცა, ჩვენ ამ საქმეში სპეციალისტნი არ ვართ, მაგრამ ჩინებულად ვითარდება ქართული მუსიკაო!“

ქართულ მუსიკის ყალბ ჭირისუფალთა, სუსტ დამფასებელ-კრიტიკოსთა არსებობა ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ ჩვენი მუსიკა ყალბსავე განვითარების გზას ადგია, ვერ ატარებს თავის განვითარებაში მშობლიურ ნაპერწკალს, ბუნებრივ კენესა-ვაება-ნეტარებას.

ეს გარემოება კი საკმარისად ჰმონწივებს, რომ ჩვენში ამ ხელოვნების დარგი აბუჩად არის აგდებული, უყურადღებოდ მიტოვებული.

ჩვენს ახალგაზრდობაზე ხომ მეტია ლაპარაკი; მას ქართულ სიმღერა-გალობის შესწავლისა და შეთვისების არავითარი ხალისი და პატივისცემა არა აქვს. უმრავლესობას ქართულ სიმღერა-გალობის გემოვნება შერყვნილი აქვს. იშვიათად შეხვდებით ქართველ ახალგაზრდას ქართულად მომღერალს, ან მგალობელს. მას უფრო აინტერესებს ოპერისნაირი სიმღერები, რომანსები, გიტარა, მანდოლინები, ვიდრე მშობლიური მუსიკა.

ჩვენში ათას ახალგაზრდაში ერთი თუ გამოიჩინება, რომ ამ დარგის პატივისმცემელი იყვეს, როდესაც სხვა ქვეყნებში მთელი ახალგაზრდობა და მოხუცებულებიც კი გატაცებული არიან და ვალდებულნიც ემსახურონ ამ კეთილშობილურ საქმეს.

ვერ წარმომიდგენია აგრეთვე, რა გასაგალი უნდა ჰქონდეს ჩვენში ნაადრევ ქართულ ოპერებსაც, როდესაც ჩვენ ჯერ მოუშადადებლნი ვართ?! როგორ უნდა დავაფასოთ ეს რთული ნაწარმოები, როდესაც არა გვაქვს მოსმენილი მეთათათასედი ნაწილი, ჯერ შეუკრებელ, გადაუღებელ და გაუფრცვლებელ ჩვენს ხალხსა და საზოგადოებაში მრავალფეროვანი სიმღერა-საგალობლებისა, რომ ვიცნოთ იმ ოპერებში მშობლიურ მუსიკის ჰანგები და ვსთქვათ: „ჰო, ეს ქართული ოპერა არის, ქართული ჰანგებიდამ აღებული“!..

ეს ოპერებიც, ვიდრე სახალხო სიმღერა-საგალობლების საქმე არ იქნება წესიერად დაყენებული, და რაც შეიძლება, უცვლელად გავრცელებული, რომ ჩვენმა გემოგადაჩვეულმა საზოგადოებამ შეითვისოს და შეიტკბოს მშობლიურ ჰანგების გემოვნება, სული; არ არის დასაჯერებელი, რომ ეს ოპერები სავსებით იყოს შეზავებულ-შექმნილი მშობლიურ კილოებით: და აკი ამიტომაც მათ მიერ დამუშავებულ სიმღერა-საგალობლებს ევროპიულ-რუსული გავლენის დალი აზის და ქართულ ნიშანწყალი ნაკლებათ ეტყობათ.

აი მაგალითიც:

ამ რამოდენიმე ხნის წინად თბილისში ქართულ კონცერტებზე ერთ არაგვისპირელ კეთილშობილ პირს, რომელიც დიდი მოტრფიალვა ამ საქმისა, ზედმინვნით მცოდნე ძველ ქართულ სიმღერებისა და საუკეთესო მომღერალი, მოუსმენია ერთ-ერთ ჩვენ კომპოზიტორის მიერ დამუშავებული „სუფრული“ (ეს სუფრული შესანიშნავი სიმღერაა, რომელსაც გლეხები ასრულებენ ჩინებულად არაგვისპირში). უკვირდა ამ ადამიანს და გულნატკენი იძახდა (როდესაც ამავე დროს ჩვენი მოწინავე საზოგადოება აღტაცებით ისმენდა ამ შეცვლილ სიმღერას):

– „ამას ჰქვიან განვითარება ჩვენი მუსიკისა“?! „თუ ყველა ქართული სიმღერები ესეა დამუშავებული და შემდეგშიაც ასე დაამუშავებენ, რალა გვინდა? „აგვიშენდა ოჯახი“-ო?!“

„თუ არ გაგიგონიათ, ბატონებო, აი ეს გახლავთ განვითარება, ესეა „მუსიკის კანონები“; თუ გნებავთ, მისმინეთ, თუ არა და – რა არის, რა გაგიხდათ ის ძველი, უშნო, ტეტიური სიმღერები და დიაკვნური ულაზათო გალობაო, უნდა ახალი რამ შევიტანოთ ამ დარგში, აუცილებლივ საჭიროა ევროპიულ გემოვნებაზე გარდაქმნა ჩვენი სიმღერა-გალობისა, ამნაირი მოთხოვნილებაა; ჩვენი ხალხი, საზოგადოება განათლებისაკენ მიისწრაფვის ჩქარის ნაბიჯით. ეს საქმეც არ უნდა ჩამორჩეს, თორემ ჩვენი მუსიკა სულ მოისპობა“-ო! მიუხედავად პირში იმ დარბაისელ არაგვისპირელისათვის თურმე გვერდით მჯდომ ვილაცას

მიხეილ კავსაძე

ქართული წირვა-ლოცვა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში

ილორის ეკლესიაში წირვა-ლოცვა სრულდებოდა უძველესი დროიდან უკანასკნელამდე ქართულად, მაგრამ დღეს ჩვენდა სამწუხაროდ, მარტო კვერექსებს თუ გაიგონებს მლოცველი მთავარდიაკვანისაგან ქართულად, თორემ დანარჩენი სრულდება რუსულ ენაზე. მღვდელ-დიაკვანს თუ სცოდნოდა წირვა რუსულად, ვინ ათქმევინებდა კვერექსებს ქართულად.

ეს ეკლესია 1907 წლიდან ინახავს თავისი ხარჯით ერთს მასწავლებელს, რომელმაც უნდა ასწავლოს ილორის სამრევლო სკოლაში ქართული ენა და გალობა. უკანასკნელ დრომდე, სანამ ამ ეკლესიას მდებარედ ედგა ორი სამღვდლო პირი, ცოტათ თუ ბევრად დაცული იყო ამ ეკლესიაში ქართული წირვა და გალობა. შარშან მაისში, ერთი ამ დამცველთაგანი წირვა-ლოცვისა, გადაყვანილი იქმნა სოხუმის არქიელისაგან სხვა მრევლში და მის მაგივრად დაინიშნა იმისთანა პირი, რომელსაც ეჯავრება ქართული წირვა-ლოცვა. ეს მ. ბლალაოჩინი უკრძალავს აქაური ეკლესიის ფულით დაქირავებულ რეგენტს-მასწავლებელს იგალობოს ეკლესიაში ქართულად. ამ მოვლენაში, მგონი, ბ-ნ გ. ბურჭულაძეც დაგვეთანხმება, რომელიც შევიდა ამ ეკლესიაში წარსულ დიდს მარხვაში, როდესაც ის დაბრუნდა სოხუმიდან, სადაც იგი იყო გაგზავნილი სარევიზიოდ ქ. შ. ნ. კ. გ. ს. სკოლებისა და მოწმე იყო შემდეგი მოვლენისა: უმცროსი მღვდელი მ. ხელაია ქართულად სწირავდა იმ დღეს და ბავშვებისაგან შედგენილი გუნდი კი რუსულად გალობდა. ბ-ნ გ. ბურჭულაძემ მიჰმართა მ. ხელაიას წირვის შემდეგ შემდეგი კითხვით: „რა მოვლენას ვხედავ დღეს თქვენს ეკლესიაში, ნუ თუ ბავშვებმა ქართული გალობა არ იციან?“ მ. ხელაიამ შემდეგი პასუხი გასცა: „ჩვენ მთავრობის გვემინიან და თუ ვწირავთ, ისიც ფარულად“. მკითხველს იქნება აინტერესებდეს, თუ ვინ დადის ამ ეკლესიაში უფრო მეტი – ქართველი თუ რუსები, რომ მართლა საჭირო იყოს რუსულად წირვა არაქართველთათვის. მაგრამ ამ ეკლესიაში, ურიცხვ მლოცველებში თუ ურევია ორი არაქართველი, რომლებსაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ესმით, დანარჩენი კი ყველა ქართველებია.

როგორც პირადად ვიცი, რეგენტი, რომელსაც ჯამაგირს აძლევს ილორის ეკლესია, შესაფერად მცოდნეა ქართული გალობისა და დავსწრებივარ მისი დამზადებულ ბავშვებისაგან შედგენილს გუნდს არაერთხელ. გუნდს შეუძლიან იგალობოს მთელი წირვის წესი ქართულად, მაგრამ სამწუხარო მოვლენას შეადგენს ის, რომ ამ ეკლესიის ახლად დანიშნული წინამძღვარი მღვდელი უკრძალავს რეგენტს ადიდოს ეკლესია ქართული გალობით. პირადად მე ვიყავი იმისი მოწმე, თუ როგორ ხელს უშლიდა იგი რეგენტს ქართულ გალობაში. ერთი თვის წინად სახელმწიფო უქმი იყო და იმ დღეს ვისურვე მომესმინა წირვა და შემდეგ პარაკლისი ილორის ეკლესიაში. ჩემდა საუბედუროდ, წირვას ვერ მივუსწარი და გავხდი მარტოკა ღირსი პარაკლისის მოსმენისა. პარაკლისი სრულდებოდა რუსულ ენაზე და გუნდიც გალობდა ამ ენაზე. პარაკლისის ბოლოს გუნდმა ისურვა ხელმწიფის საკეთილდღეოდ ეგალობა „მრავალჭამიერი“ ქართულად. კიდევაც დაიწყო და არ გაეთავებია პირველი მელოდია, რომ დაიყვირა წინამძღვარ-მღვდელმა: „Не петь по грузински!“ ამის შემდეგ გუნდმა ძალაუხერბლივით შეასრულა გალობა რუსულად.

ეკლესიას ილორისას ყოველ დღესასწაულებზე მრავალი ხალხი მიედინება და ამ დღესაც ეკლესია იყო გაჭედილი ურიცხვი მლოცველებით, რომლებიც შეადგენდნენ მეგრულ-ქართველობას, ჩამოსულნი სალოცავად სხვადასხვა კუთხიდან. ასეთმა საქციელმა ეკლესიის წინამძღვრისამ დიდი აურზაური ასტეხა მლოცველებში. ეკითხებოდნენ ერთი-მეორეს, ნუ

თუ ილორის ეკლესიაში აკრძალულია ქართული გალობა და წირვა-ლოცვა? განა ეს ჩვენი, ქართველების ეკლესია არ არის? ბოლოს რეგენტს პირადად დავეკითხე, რატომ თქვენდამი ბავშვებისაგან დამზადებული გუნდი ქართულად არ გალობს ეკლესიაში? მან მითხრა: „ეკლესიის წინამძღვარი-მღვდელი გვიკრძალავს გალობას ქართულად, თორემ პირდაპირ მზადა ვარ ვიგალობო ქართულად“.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი დიდებული ილორის ეკლესია, შემნახველი სასწაულთ მომქმედ წმ. გიორგის მთავარი ხატისა და მრავალი დაუფასებელი ისტორიული განძის. საქართველო[ს] ამისთანა ეკლესიას არ ეღირსა თავისი ხარჯით დაქირავებული რეგენტისაგან დაუბრკოლებლად ქართული გალობა.

ჩვენის მხრით ყველა ქართველი მღვდელი, რომელსაც შერჩენია სიყვარული თავისი დედაენისა, მოვალე უნდა იყოს ხმა ამოიღოს და საყვედური გამოუცხადოს იმისთანა წინამძღვარს, რომელიც სპობს თავის ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვას.

გრ. ქავთარაძე

560. თეატრი და ცხოვრება, 1916, 22 მაისი, №21 გვ. 14-15

ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)

(დასაყისი იხ. „თეატრი. და ცხოვრება“. №20)

არიან ისეთი მუსიკოსნი და არა მუსიკოსნიც, კერძო პირნი (უფრო განათლებულნი და მაღალ წრიდამ), რომელნიც ქართულს, ძნელად ასასრულებელს, რთულს სიმღერა-საგალობლებს, რისთვისაც საჭირონი არიან მათთან ბუნებით შეზრდილნი და მხნე მუშაკნი, სწორედ იმ სირთულისა და სიმთელისა გამო ნათლავენ ამ დროის ვითომ სრულიად შეუფერებელ და „მხეცურ მუსიკა“-დაც; საქმე კი სულ უბრალოდ აიხსნება: არ ძალუძთ ჩვენი ასეთი რთული ვოკალური (სიმღერა-გალობის) მუსიკა გაიცნონ, უნაკლულოდ გადაიღონ და თვით მუსიკას კი იხსენიებენ ამნაირ უპატიოდ!..

ჩვენს ბუნებით მეტად საამაყო, მარგალიტებით სავსე სიმღერა-საგალობლებს ათასნაირად კორტნიან, სჯიჯგნიან, ასადავებენ, თავიანთებურად ასხვაფერებენ, უსპობენ ხალხურ გემოვნებას, ვითომც ყოვლად უფარვისს, „ალაზათიანებენ, ამშვენიერებენ“, მუსიკის კანონებზე აწყობენ და ისე სთავაზობენ ჩვენს საზოგადოებას. მოდით და ხელი შეუწყეთ ამისთანა დამუშავებულ ქართულ სიმღერა-გალობის გავრცელებას!

უფრო სასურველია და სასარგებლოც შემოღება ჩვენში იმგვარ, წმინდა ევროპიულ კილოებისა, როგორიც ჰქონდა შემოღებული თავის გუნდის რეპერტუარის (პროგრამის) სხვადასხვაობისათვის განსვენებულ იოსებ რატილს; მაგ. შემდეგი სიმღერები: „აღსდექ გმირთ-გმირო“ (ფინლიანდიელების მარში), „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ (შვედების კილო), „მიდის გემი“ (მუს. მენდელსონის), „ლაჟვარდ ცაზე“ (ჩეხური კილო) და სხვა მრავალი ნამდვილი ევროპიული სიმღერები ქართული ტექსტით (სიტყვებ-ლექსებით), რათა ქართველ მომღერალ-მგალობლებმა, საზოგადოებამ და ხალხმა გაიცნონ სხვა ეროვნების ხალხის მუსიკაც, როგორათაც ჩვენი მსახიობები უცხოელების პიესებს; მწერლები სხვათა ეროვნების ლიტერატურას და სხვ.

ჩვენს მდიდარ ხალხურ, ხალხისავე შექმნილ სიმღერა-საგალობლებში კი „ევროპეიზმი“-ს

შეტანას სხვა გემოვნებაზე მომართვა-დანყობა ჰქვიან, გადაგვარება-გადარჯულება, და არა განვითარება და წინსვლა ჩვენი მუსიკისა.

რომელი ადამიანი იქნება განათლება-განვითარების წინააღმდეგი ამ დროში, მაგრამ ისეთი „განათლება“, რომელიც ჩვენ გადაგვარჯულებს და დაგვიკარგავს ჩვენ ნამდვილ სახეს – ვერაფერი სასურველია.

არც ოპერების და სხვა რთულ მუსიკალურ ნაწარმოების წინააღმდეგი იქნება ვინმე, მხოლოდ ჩემის აზრით, ჯერ მკვიდრი საძირკველი უნდა ჩაეყაროს საერო, სახალხო სიმღერა-გალობის საქმეს, მის წესიერად გავრცელებას, მწყობრ საერო და საეკლესიო გუნდების გამრავლებას, ხალხის და საზოგადოების მომზადებას, რომ წმინდა ქართული მუსიკის გემოვნება შეითვისოს და მერე ზედ აშენდეს ისეთი რთული ნაწარმოები, როგორც არის ქართული ოპერა, სიმფონია და სხვ., რომ უკანასკნელნი მართლაც შეზავებულნი იყვნენ ქართული სულითა და ხასიათით; წინააღმდეგი მოვლენანი კი, ამისთანა არაჩვეულებრივი ნახტომები, უსარგებლოა და უნაყოფო.

მიხეილ კავსაძე

561. საქართველო, 1916, 1 ივნისი, № 120, გვ. 3

ღია წერილი რედაქციის მიმართ

ეს რამდენიმე ხანია ოზურგეთში ხმა დადის, ვითომ ერთ დროს მისიონერად ნამყოფი ბ. მელქისედეკ ნაკაშიძე, მორიგეობდეს რომელიღაც გრამოფონის საზოგადოებას, რომ რამდენიმე სასულიერო და საერო სიმღერები ჩაამღერონ გრამოფონში, რისთვისაც შესაფერ გასამრჯელოს მიიღებენ. ამ მიზნით ბ. ნაკაშიძეს მოლაპარაკება აქვს გამართული ზოგიერთ აქაურ მომღერლებთან და ადგენს კიდეც მომღერალთა გუნდს.

ადგილობრივ მცხოვრებთა და გალობის მცოდნეთა შორის საყვედური გაისმის, ვითომ ბ. ნაკაშიძემ ძლიერ სუსტად იცოდეს ეროვნული, როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო სიმღერა-გალობანიც და სრულიად შეუფერებელი პიროვნება იყოს იმ საქმისთვის, რასაც ის აპირებს.

კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას ფილარმონიული საზოგადოება ან სხვა რომელიმე კულტურული საზოგადოება და ერთხელ და სამუდამოდ ალაგმავდნენ ჩვენი ერის არამკითხე ჭირისუფლებს.

გ. მუმლაძე

562. საქართველო, 1916, 4 ივნისი, № 123, გვ. 3-4

პატარა საუბარი ქართულ მუსიკაზედ

ვიდრე სიმღერა-გალობის განხილვას და მის დაფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროა შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა ადგილი უჭირავს მას ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში და ან რა სახისა უნდა იყოს იგი.

როდესაც მუსიკაზედ ვლაპარაკობთ, რომელიც უსათუოდ ეროვნულ ნიადაგზედ უნდა იდგეს, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ გვეშლება ერის სულიერო განწყობილება, ვინაიდან მუსიკა არის მისი სული და გული, მისი ღვიძლი შვილი და მის ტანჯვა-ვაების და სიხარულის გამომხატველი.

მუსიკა ერის განძია და, როგორც ასეთს, დროთა ბრუნვაში მას არ შეუძლიან ერთ წერტილზედ გაჩერება; იგი უნდა იყოს ერის თანამგზავრი და მისი სულის გამომხატველი. თუ ეს დებულება დაირღვა და მუსიკა ერთს ადგილას შეჩერდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ერის ცხოვრებასაც წერტილი დაესვა. ამ გვარი ცხოვრების შეჩერება კი ერისათვის ბედის გადამჭრელ საკითხად გადაიქცევა, რადგანაც მას მოჰყვება თვით ერის არსებობის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მაგრამ ჩვენ მეორე მხარეც უნდა მივიღოთ მხედველობაში; განსაკუთრებით ის, რომ ხშირად ერი თხოულობს თავის ცხოვრების ფარგლების გაფართოვებას, მაგრამ მისი შვილები ნებით თუ უნებლიეთ ცხოვრების კანონებს აუმხედრდებიან ხოლმე და იმის მაგიერ, რომ წინ იცქირონ, წარსულ ცხოვრებას მისტირებენ. ამ შემთხვევაში ისინი სცდილობენ ცხოვრების კანონის შეცვლას, ე. ი. ცხოვრების შეჩერებას, რაც რომ შეუძლებელია, თუ რომ ერს ცხოვრების წყარო არ შესწყვეტია. ამგვარი კონსერვატორების მოქმედება ხელოვნებაში იმის მომასწავებელია, რომ ძველი დროს მოტრფიალებმა ამ გვარ მოვლენას ანგარიში არ გაუწიონ და მთელის თავის ძალ-ღონით არ აუმხედრდნენ პროგრესს, რაც ერის მაჯის ცემას შეადგენს.

ვიდრე ქართული მუსიკის განხილვას შეუდგებოდეთ, აქ ურიგო არ იქნება მოკლედ შევეხოთ რუსეთის მუსიკის განვითარების საკითხს. გადავავლოთ მის მსვლელობას თვალი და აშკარად დავინახავთ, თუ რა დიდი ცვლილება ეტყობა მას ამ უკანასკნელ სამი საუკუნის განმავლობაში.

XVII საუკუნემდის რუსეთს არ ჰქონია ეგრედ წოდებული მრავალხმოვანი გალობა, მანამდის გალობა სწარმოებდა ერთხმოვანი. XVII საუკუნეში ეს ერთხმოვანი გალობა ერთფეროვანი იყო და ამიტომ ერის გემოვნების დაკმაყოფილება ხანგრძლივად აღარ შეეძლო. სწორედ ამიტომ პეტრე დიდმა მოისურვა მრავალხმოვანი გალობის შემოღება, რისთვისაც მონვეულ იქმნენ იტალიიდან ცნობილი კომპოზიტორნი: სარტი, ტოპპისი, გალუპი და სხ., რომლებმაც შექმნეს რუსეთისათვის მრავალხმოვანი გალობა. მათ, რა თქმა უნდა, ისარგებლეს შემთხვევით და თავიანთ შემოქმედებას შთაჰბერეს ნამდვილი იტალიური სული. პირველ ხანებში მათ მიჰბაძეს მათმა შეგირდებმაც: ბერიოზოვსკიმ, ვედელმა, ბორტინანსკიმ, დეზტიარევმა, ტურჩანინოვმა და სხ. მაგრამ ესენი მალე მიხვდნენ შეცდომას და იტალიურ კომპოზიტორების მიერ განვრთნილმა რუს-კომპოზიტორებმა თავიანთ სამშობლოს შესძლვნეს ისეთი საგალობლები, რომლებიც სავსებით, მთელის თავის შინაარსით რუსის გულისა და სულის სარკეს წარმოადგენს.

ავიღოთ მაგ. ბორტინანსკის – „მშვენიერმან იოსებმან“, ანდრია კრიტელის – „ძილისპირი“, ტურჩანინოვის – „ღირს არს“-ის მაგიერნი და მრავალი სხვ.

ამრიგად, რომ ავწონოთ და შევადაროთ დღევანდელი მუსიკა-გალობის განვითარება რუსეთში, იმას, თუ რა იყო სამი საუკუნის წინად, დიდ ცვლილებას დავინახავთ და დავრწმუნდებით, თუ რამოდენა სარგებლობა მოუტანია ევროპას რუსეთისათვის, როგორი ფასდაუდებელი ამაგი დასდო მან და რამდენად წინ წასწია იგი და სულიერად აღამაღლა.

ამგვარად, რუსეთში ერთხმოვანი გალობა XVII საუკუნიდგან ცვალებადობას განიცდის და მრავალ ხმოვან ფორმას ითხოვს.

ქართულ მუსიკას უფრო დიდი წარსული და უპირატესობა აქვს რუსეთის წინაშე. ჩვენ XVII საუკუნემდე გვექონდა მრავალ ხმოვანი (სამხმოვანი) სიმღერა-გალობა და ამ სახით მან თითქმის უცვლელად რამდენიმე საუკუნე გაიარა. ჩვენ ამის მიზეზების განხილვას არ შევუდგებით, აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი მუსიკაც დღეს შეკეთება-გამრავალხმოვანებას მოითხოვს და ჩვენც ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ქართველ ერის ცხოვრებაში, რა დარგსაც უნდა მოვკიდოთ ხელი, ყველგან ახალ სიოს ვამჩნევთ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ეროვნული სახე ეკარგება, არამედ იმას, რომ ეროვნულ სულს ფორმები ეცვლება. ამ გვარი ფორმების ცვალებადობა ქართულ სიმღერა-გალობასაც ემჩნევა. მაგალითად, სამხმოვან გალობის მაგივრად, დაიბადა ოთხხმოვან გალობის მოთხოვნილება. რასაკვირველია, როგორც ყოველივე ახალს, აქაც თავში მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ, რომელთაც დროთა ბრუნვაში სძლევს ერი, მაგრამ გაუგებარია ჩვენთვის ის მოვლენა, რომ დღეს ამ სამხმოვან სიმღერა-გალობის დამცველად „თეატრი და ცხოვრება“ გამოდის. რედაქციამ არც კი აღნიშნა, რომ იგი ყველაფერში არ ეთანხმება ბ. კავსადის წერილებს, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში ჟურ. „თეატრი და ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა. ბ. კავსადე მუსიკოს კონსერვატორად უნდა ჩაითვალოს, როგორც ყოველივე ძველის მოტრფიალე. ვისაც კი ბ. კავსადის წერილები წაუკითხავს, დაინახავდა, თუ რამდენად იცავს იგი სამხმოვან სიმღერა-გალობას და მხოლოდ აქ ხედავს ეროვნულ მუსიკის აღორძინებას. მას „გადაგვარებად“ მიაჩნია, თუ რომ ერს გემოვნება და მოთხოვნილება შეეცვალა. მერე რით ასაბუთებს ამას? არაფრით. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ჩვენი ეროვნული ძველი მუსიკა ძვირფასია და მდიდარია. კეთილი და პატიოსანი. მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი? ჩვენი ეროვნული სიმღერა მართლაც რომ მდიდარია, მაგრამ ცხოვრებაში თვით ღირსების მნიშვნელობაც ხომ იცვლება? დეე, ჩვენი სამხმოვანი სიმღერა-გალობა დარჩეს ერის შემოქმედების განძად, მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა, რომ ერის შემოქმედება არ გაიყინოს და მით დათვური სამსახური არ გაუწიოთ მას.

„დაიცავით ძველი სიმღერა-გალობა“, – გვეუბნება ბ. მ. კავსადე. მერე, ეს არის, თქვენის აზრით, ერის შემოქმედება? არა მგონია, რომ ჩვენი ერი ყოველთვის სუფლიორის როლს თამაშობდეს, მას უნდა მოქმედებაც. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ძველ ქართულ მუსიკას, მთელი თავის სიმშვენიერით, დღეს არ შეუძლიან სავსებით დააკმაყოფილოს ჩვენი გემოვნება. დღეს ერი ეძებს ახალს და აკი ჰპოვა კიდეც განსვენებულ ან. ბენაშვილის მიერ შეკეთებულ ოთხხმოვან სიმღერა-გალობაში, რომლის შესრულებითაც განსვენებული მონადირიშვილის გუნდი თვით ურწმუნოთაც კი იზიდავდა.

დროა ხელი შეუწყოთ ჩვენ ეროვნულ ხელოვნებას, რომ სხვებთან კუდში მოსიარულედ კი არ გადავიქცეთ, არამედ ძველებურად ხელოვნებაში მებაირალტრედ გამოვიდეთ. ეს კი მოხდება მაშინ, თუ ქართული ეროვნული სახე ბურჯად დაედება ევროპის მუსიკის ფორმებს.

კ. ჩუტკერაშვილი

563. თეატრი და ცხოვრება, 1916, 19 ივნისი, №25 გვ. 14-15

ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება

(თავი მეორე)

ლადო აღნიაშვილი, იოსებ რატილი, ფილიმონ ქორიძე, ანდრია ბენაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ძმანი კარბელაშვილნი, ია კარგარეთელი, ალ. მოლოდინაშვილი და სხ. ქართულ მუსიკის სიმდიდრე – ჩვენი სიმღერა-გალობის განვითარება თუ დაცემა? სასწავლებლებში ქართულ სიმღერა-გალობის მოსპობა, ჩვენი ქალები და ქართული სიმღერა-გალობა. უმთავრესი პირობანი ჩვენი მუსიკის განვითარებისა ეროვნულ ფარგალში – დასკვნა.

სახალხო სიმღერებისა და ძველ საგალობლების გადაღება, შეკრებისა და გავრცელების საქმე ამ ბოლო დროს შესამჩნევად შეფერხდა.

მას შემდეგ, რაც დაუფინყარმა ლადო აღნიაშვილმა ამ ოცდაათი წლის წინად დაიწყო ეს დიდებული საქმე, შეადგინა პირველად მომღერალ-მგალობელთა გუნდი უანგარო მუშაკის იოსებ რატილის ლოტბარობით, დასავლეთ საქართველოს კილოების მცოდნე ფილიმონ ქორიძემ, მელიტონ ბალანჩივაძემ, ია კარგარეთელმა და სხვათა, რომელთაც უფრო ფოტოგრაფიული სისწორით გადაიღეს რამდენიმე სიმღერა, აგრედვე მღვდლებმა ძმ. ბასილმა და პოლიექტო კარბელაშვილებმა და ალ. მოლოდინაშვილმა, რომელთაც შერჩათ ქართული გალობის კილო, შეჰკრიბეს ქართლ-კახური ძველი საგალობელნი და ზოგიც გამოსცეს განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოსის მეოხებით.

მას შემდეგ ბევრი არარაფერი გაკეთებულა, გარდა ჩვენი სიმღერა-საგალობლების და-მახინჯებისა და გადაგვარებისა, შურისა, ერთი-ერთმანეთის დაცინვისა და უმოქმედობისა.

აბა, ერთი მიზრძანეთ, სად არის ის სიმღერები, რომლითაც ქართველი ერი ამაცობდა და სულდგმულობდა? სად არის ის ჭირსა და ლხინში სალიღინო მაღალსასოების მომგვრელი, ნაზი საგალობლები, რითაც ქართველი მწუხარება-ჭირ-ვარამში ნუგეშს ჰპოვებდა?!.. სად არის ის კილოები, რომლებიც ქართველ მუშა-გლეხს ჯაფაში ახალისებდა და აქეზებდა?!

ბევრი სიმღერა დაიკარგა ჩვენი დაუდევრობით, გაჰქრა, მაგრამ კიდევ ბევრი მოგვეპოვება სოფლად, მთა-ბარში, მუშა-გლეხკაცის სულსა და გულში!

სანამ სულ არ გამქრალა ეს სიმღერებიც, ისევ ხალხისაგან გადმოვიღოთ, ისევ მათგან ვისწავლოთ და ვისარგებლოთ აქედანვე, თორემ დახანება არ ივარგებს, რადგანაც რაც დრო გადის, ჩვენი გლეხიც უპატრონობისგან გადაგვარების გზით მიდის.

განა უნდა დავივიწყოთ, გადავამახინჯოთ ისეთი, ხალხის მიერ შექმნილი, მეტად რთული, ჰარმონიული და მდიდარი, გულში ღრმად ჩამწდომი, ხან მხიარული და მჭექარე, ხან ნაზი და ტკბილი, ათასფრად აჭრელებული სიმღერები, როგორიც არის მაგ. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში: „მკისა“, „თოხნისა“, „ნამგლური“, „გუთნური“, „კალოური“, „ურმული“, „სუფრული“, „მაცრული“, „მგზავრული“, „ლაშქრული“, „ქორნილისა“, „ლამის-მეხრისა“, „მეტიური“, „ალილო“, „ჭონა“, „ზემყრელო“, „თამარ ქალო“, „ყურმა“, „ჩაკრულო“, „ჩონგურო“, „ღმერთო ღმერთო“, „გვიბძანე“, „ჯავახური“, „ხეური“, „ბერი-კაცია“, „მოჯამაგირის სიმღერა“, „ზამთარი“, „მონურული“, „ძმური“, „კახური მრავალჟამიერები“ და სხვ. დასავლეთ საქართველოში (იმერეთ-გურია-სამეგრელოში) და სხვაგან, სიცოცხლით და სიმკვირცხლით სავსე სიმღერები: „ხასანბეგურა“, „ხელხვაგი“, „ალიფაშა“, „ნადური“, „რაშორერო“, „ცხენოსნური“, „სანადირო“, „ოდური“, „მესტვირული“, „ქვერული“, „კობახური“, „შვიდ-კაცა“, „ადილა“, „ჩვენ მშვიდობა“, „ქაჯური“, „კუჩხა“, „ლილე“ ფერხულები“, „ცეკვისა“ და სხვ.

დიდძალი სიმღერები და საგალობლები გადაუღებელია და გაუფრცველებელი. ყოველი ქართველი, ვისაც კი მცირედი ნაპერწკალი უღვივის გულში თავის ქვეყნისა და მინა-წყლისადმი, მოვალეა ხელი შეუწყოს ამ საქმეს. დიდი, დიდი მომაკვდინებელი ცოდვაა და ღალატი ერისა, ასეთი თავთავის დროზე წეს-რიგზე, მაღალ ბუნებრივად შექმნილ-შენწყობილი კილოების მივიწყება, ან გადაგვარება, დამახინჯება.

ნუთუ ამ ჩამოთვლილ სიმღერებს და ჩვენს ეკლესიებში კიდევ ნამდვილ ტკბილ ქართულ გალობას მოკლებულნი უნდა ვიძახდეთ და ვაზვიადებდეთ, რომ „ქართული მუსიკა განვი-თარდა“-ო?!.. ეს ხომ ჩვენი თავის მოტყუებაა, უპატივცემლობაა ერისა და ხელოვნებისადმი!.

მიხეილ კავსაძე

(დასარული იქნება)

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, უმორჩილესად, დამიბეჭდოთ ეს პატარა წერილი: „საქართველო“-ს 4 თიბათვის ნომერში მოთავსებულია დიდუბის ეკლესიის მთავარ-დიაკონის კ. ჩუტკერაშვილის წერილი ამ სათაურით „პატარა საუბარი ქართულ მუსიკაზე“, სადაც აღნიშნავს, ვითომც მე ქართულ მუსიკის განვითარების წინააღმდეგი, შემაფერხებელი ვიყვე, ვითომც მევე დათვურ სამსახურს ვუნევედე ამ საქმეს და სხვა.

პატივცემული მკითხველი მიხვდება, რომ კ. ჩუტკერაშვილის წერილში საუბარი კი არა, არამედ ჩემი ლანძღვა და დამცირება ჰქონია მიზნად – ნუ თუ უნდა გაილანძლოს ის კაცი, ვინც ძველ ქართულ სამხმოვან სიმღერა-გალობას ეტრფის? რაღა მეთქმის საპასუხოდ იმის მეტი, რომ გაგიმეოროთ მამაო, მთავარი: თუ ძველი ხალხური სიმღერა-გალობა არ გვეცოდინება და არ შევისწავლით, მე და თქვენ ამ საქმეს ვერ განვავითარებთ!

მ. კავსაძე

ქართული მუსიკა

ქართული სიმღერა გალობის ასაღორძინებლად, სხვათა შორის, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს მოზარდ თაობას, სასწავლებლებში და ბავშვობას.

გასაოცარია სწორედ, რომ აგერ რამოდენიმე ხანია ჩვენს სასწავლებლებში, ეს ბავშვების გონებრივად და ზნეობრივად განმავითარებელი საგანი რიგიანად ვერ მოეწყო. ვერც ერთ ქართულ სკოლაში ქართულ სიმღერებს ვერ გაიგებთ, გალობა ხომ ყველგან მოსპობილია. გასაოცარია იმიტომ, რომ ახლა სპეციალისტი მასწავლებლები ჰყავთ, რომელნიც წინანდელ გალობის მასწავლებლებთან შედარებით უზრუნველყოფილნი არიან.

რას ვხედავთ ახლა იქ? არასფერს, და თუ არის რამ – არაქართული. იქაც სხვა ჰანგებზე მართავენ ბავშვებს; ან არადა, ღვთის ანაბარად არის მიგდებული ეს საგანი. ბევრი კიდეც ასე ფიქრობს: „რა საჭიროა ეს საგანი ბავშვებისთვის, რის გამოსადეგიაო?“ და სხვა.

ჩვენს ქალებსაც ხომ სრულიად არ ეინტერესებათ ქართული სიმღერა-გალობა.

წინ და სულ ახლო წარსულშიც თუ თითოეულ ქართულ ოჯახში რამოდენიმე ქალი იყო მომღერალ-მგალობელი, ეხლა მთელ საქართველოში სანთლით რომ ეძებოთ, ერთ ქალსაც ვერ იპოვით ქართულათ მომღერალს და თუ შეხვდებით, ძალიან იშვიათად. აბა ახლა, თვალი გადაავლეთ, რამდენ ქართველ ახალგაზრდა ქალს აქვს მიღებული თუ უმაღლესი არა, საშუალო მუსიკალური განათლება მაინც?! როგორც ყმანვილი კაცები, ისე ქალებიც მრავლად მოგვეპოვებინ მუსიკის მცოდნენი როიალ-პიანინოზე, სკრიპკაზე და ნამეტნავად გიტარაზე დამკვრელნი, ოპერისა და რომანსების მომღერალნი. მაგრამ რა გამოვიდა?! ნუთუ იგინი რასმეს ჰმატებენ მშობლიურ მუსიკას?!.. სრულიად არაფერს!.. ისინი აღზარდა სამშობლომ, რომელიც ისე აქვთ დავინყებულნი, რომ არათუ ქართული სიმღერა-გალობა აღარ ახსოვთ, ქართულ ლაპარაკსაც აღარ კადრულობენ!..

სხვას აძლევენ თავიანთ ცოდნას, ნიჭსა და არც კი აგონდებათ, რომ მშობლიურ მუსიკაში პატარა წვლილი მაინც შეიტანონ... მაგალითი არ ყოფილა, რომ ქართველ ქალს შეედგინოს ქალების მომღ.-მგალობ. გუნდი, ან რომელიმე ქალთა წრეს, ან ქალთა საზოგადოებას თავისთან დაეარსებინოს ქალთა გუნდი და მზრუნველობა გაეწიოს.

ამრიგად, ჩვენი მუსიკის წინმსვლელობისთვის ამ ოცდაათი წლის განმავლობაში თვალსაჩინო რამ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია.

ამიერიდან მაინც უნდა ვიზრუნოთ ამ საქმის ნაყოფიერად მოგვარებაზე, რომლის ასაღორძინებლად და ასაყვავებლად უპირველესად საჭიროა შეერთება, შეთანხმება მუსიკისა ძველ ქართულ სიმღერა-გალობის მცოდნე პირებთან და ლოტბარებთან ერთად; საჭიროა ფართო პროპაგანდა საკუთარი მუსიკალურ ორგანოს გამოცემით, ხშირად კითხვა ქართულ მუსიკის შესახებ ლექციებისა, მოხსენებისა, უმთავრესად კი სიმღერებ-საგალობლების გადაღება-გამოცემისა და გავრცელების მონყობა. უნდა დაარსდეს ქართული, სახალხო მუსიკალური საზოგადოება, რომელმაც გახსნას ქართულ სიმღერა-გალობის სპეციალური სახალხო სკოლა, ანუ კურსები თეორიულ-პრაქტიკულ სამეცადინოდ მასწავლებლებისა, ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალ-მგალობლებისა და სხვათათვის. საზოგადოებისავე ხარჯით შესდგეს (გალობისა კი სამღვდელოების ხარჯით) ერთი სამაგალითო მუდმივი საამო ხმებით შეწყობილი გუნდი (არა ნაკლებ 25 კაცისაგან შემდგარი), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ყოველივე მოთხოვნილებას სიმღერა-საგალობლების გადასაღებად. საქართველოს ყოველ კუთხეში უნდა იგზავნებოდენ მცოდნე პირნი ფონოგრაფით, წელიწადში ერთხელ მაინც, დაბა-სოფლებიდან მოწვეულ უნდა იქმნენ იქაურივე შესანიშნავი ძველი მომღერალ-მგალობელნი, რომელთა მონაწილეობით იმართებოდეს საერო და სასულიერო კონცერტები. სხვა ქვეყნების მსგავსად უნდა მოვანყოთ დიდი „სიმღერა-გალობათა უქმეები, მომღერალ-მგალობელთა გაჯიბრება და ნიჭიერნი ლოტბარნი, ან გუნდნი დაჯილდოებულნი უნდა იქმნენ საზოგადოების მიერ სხვათა წასახალისებლად. საქმის ამგვარად მონყობა კი, ვიმეორებ, მოითხოვს მცოდნე პირების შეერთებას, მუყაით, ერთგულ მუშაობას, გატაცებულ სიყვარულს და უმთავრესად კი საზოგადოების და ჩვენი ქართველი სამღვდელოების მზურვალე თანაგრძნობას და მატერიალურ დახმარებასაც. დროა ერთხელ და სამუდამოდ მონესრიგდეს ეს კეთილი საქმე; ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მუშა მდაბიო ხალხიც. უნდა ვეცადნეთ, ეს საქმე ხალხოსნურ ფარგალში იყვეს ჩაყენებული და ჩვენი მშობლიური მუსიკა მხოლოდ მაშინ გამოვა იმ თითქმის გაქვავებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება და აღორძინება განვითარების გზას დაადგება.

მიხეილ კავსაძე

566. თეატრი და ცხოვრება, 1916, 9 ოქტომბერი, №41 გვ. 16

* * *

ქართული საეკლესიო გალობისა და დიაკვნობის კურსებს აფუძნებს სამების მონასტერში (ს. ხაშმთან) მწირი გიორგი ეპიტაშვილი. ასწავლიან სამედავიტნოს, რუსულ-ქართულ წერა-კითხვას და სამშობლოს საერო-საეკლესიო ისტორიას. აქ სწავლადასრულებულნი დიაკვნებად გამწესდებიან.

ჩვენი ძველი წესები და მათი მნიშვნელობა

(გაგრძელება, იხ. „საქარ.“ № 242)

დროს გატარებას ქართველი კაცი უერთებს რომელსამე ოჯახურ ბედნიერ დღეს: დაბადებას ოჯახის წევრისას, ნათლობას, ნიშნობას, ქორწილს და აგრეთვე, საეკლესიო დღეებს: შობა-კალანდა-აღდგომას და სალოცავ დღეებსაც (სამიქელ-გაბრიელო, საღვთო და სხვ.). არის სალოცავი დღეები მარტო ქალებისთვის და მარტო ვაჟებისთვის ან მარტო მცირეწლოვანებისთვის, ან მარტო მწყემსებისათვის. ყველა დღეობას რო თავი მოუყაროთ, ცხადად დავინახავთ, რომ სოფლის დაბეჩავებულ გლეხებსაც კი იმდენი დროს გასატარებელი დღესასწაულები აქვს დაწესებული, რომ მთელი წლის განმავლობაში ოჯახი ვერ იგრძნობს მოწყენას, არც მოუნდება მას დუქან-ყავახანაში მიმართოს გასართობად: წელიწადში რო გლეხმა სამი დღესასწაული გამართოს და მოყვარეები მოიპატიჟოს, სამაგიეროდ მასაც სამ-სამჯერ მიიპატიჟებენ ოჯახიანად თითოეული მისი მოყვრები, ისე რომ გლეხის ოჯახობა მთელს წელიწადს მხიარულად ატარებს. მოწყენისაგან დაზღვეული იყო ქართველი კაცი, სანამ მტკიცედ მოქმედებდა ესეთი წესი, თვით ერის გენიოსობისაგან შექმნილ ჩვეულებათა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ყველა კვირის დღეებს, აღდგომიდან მკათათვის დამღევამდე (ე. ი. მთელ ზაფხულს), ქართველ ერის ჩვეულებით, მთელი სოფელი დროს ატარებდა „მოედნებზე“, სადაც გაიმართებოდა ბევრნაირი ფერხულები, სიმღერა, ბურთაობა, ხშირად ჯირითობაც.

თვით გლეხური მუშაობაც ისე იყო ჩვენში მოწყობილი, რომ განუწყვეტელს მხიარულებას წარმოადგენდა. შემოღებული იყო „მამითადობით“ მუშაობა (ნადობა) ე. ი. თითოეულ მეზობლის სამუშაოზე რიგრიგობით იკრიბებოდა ათიდან ოცამდე ან მეტიც, მუშა, რომელნიც მთელ სამუშაო დღეს ატარებდნენ დაუცხრომელ სიმღერაში, სიცილ-ოხუნჯობაში, სიამოვნებაში. სადაც ფიზიკური შრომა ასე გონივრულად დაყენებულია, იქ ადგილი არა აქვს არც დაღლას, არც მოწყენას და თვით მუშაობაც ბარაქიანდება.

ამ ნაირს კულტურულს ორგანიზაციას უნდა მიენეროს ის გარემოება, რომ ქართველი ერი სხვა ერებზე მხიარულია, უდარდელი, მომღერალი, მეოხუნჯე, პურ-მარილიანი, ქეიფობის მოყვარე, გაუტყხელი. მართალია, რუსულ კრეპოსტნიკობის მოკლე ხანამ მძიმე დაღი დააჩნია ჩვენს ერს, მაგრამ ამ სამარცხვინო ხანას არსებითად ვერ შეუცვლია ბუნებრივი თვისება ქართლ-კახელებისა; ხოლო დასავლეთს საქართველოში კრეპოსტნიკობა სულ ოციოდე წელიწადილა მძლავრობდა და ამიტომ ღრმა კვალი ხალხის ცხოვრებაზე არ დაუჩენია. მაინც უნდა ითქვას, რომ აქაც ჩვენ კულტურას წარსულმა საუკუნემ მძიმე ლახტი მოახვედრა და იმდენად დაქსაქსა ჩვენი ძველი წყობილება, რომ ბევრი რამ დღემდის საძიებელი გვაქვს და გამოსაკვლევი. დასაფარავი არ არის, რომ უბოროტესი მტერი ჩვენს კულტურას აქაც შინაურებში გამოუჩნდა. ეს იყვნენ ესრედ ნოდებულები „თერგდალეულები“, ე. ი. რომელნიც სწავლის მიღებისათვის თერგისკენ გამგზავრებულან (რუსეთს ან საზღვარგარეთ), იქ გადაგვარებულან და აქ დაბრუნებულებს ჩვენებური კულტურა უარუყვიათ სიტყვით და საქმით.

რაც შეეხება თვით ქართულ ეროვნულ სიმღერებს, უნდა აღვიაროთ, რომ აქ ქართველებს ტოლი არა ჰყავთ სიმღერათა თავისებურობაში, კილოების სხვადასხვაფერობაში, ჰანგთა სიმრავლეში, ხმის ქცევათა დაუღვენელ სხვადასხვაობაში. თუმცა ქართული სიმღერა ჯერ კიდევ არ არის ევროპიულად გავარჯიშებული, მაგრამ ამ ჩვენს კულტურულს დარგში იმდენი ბუნებრივი ნიჭი და ძალაა ჩამარხული, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სხვანაირია ვაჟკაცობით და სიხარულით აღსავსე სიმ-

ღერა კახელებისა, სხვაა დინჯურის სიხარულით დამტკბარი საერო სიმღერა ქართველებისა (მრავალბანიანი); სულ სხვა ხმები გესმის იმერულ ფერად-ფერადობით წარმტაც სიმღერებში (სამხმოვანი) და გურულ-მეგრელების გიჟურ ხმებში. სულ სხვაა იმავე ქართველთა თემების „ლილინები“ და საცალხმო სიმღერები, საურმულო თუ საჩონგუროები.

უფრო შესანიშნავია ხალხისგან შედგენილი გალობა: დღეობების მილოცვა და სადღესასწაულო ჰიმნები, დიდ წმინდანების ძილისპირნი, სამტირალონი („ზარი“) და სხვ. თუმცა არა თუ „თერგდალეულები“, არამედ ხანდისხან თანამედროვე ნასწავლი კაცებიც კი, სასირცხვილოდ, უარჰყოფენ ხალხურ გალობას, მაგრამ დღესაც კი შეიძლება ხალხური საერო ჰიმნი აქა-იქ მოიკრიფოს საქართველოს კუნჭულებში და მომავალს თაობას გადაეცეს ხალხის გენიოსობის ნაწარმოები. არას ვიტყვი ქართულ საეკლესიო გალობაზე, რომლის უაღრესი ღირსება უკვე ცნობილია სპეციალისტებისაგან. ქართული გალობა, დევნილი თვითონ „თერგდალეულ“ ქართველებისაგან, ძლივს სულსა ლაფავდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროებში მას ქართველ ახალთაობაში მხნე შემწეები აღმოუჩნდნენ და ნიჭიერი მუშაკები. ამათის წყალობით საეკლესიო გალობისაგან ნატამალი მაინც შეგვრჩება და ესეც ხომ დიდი იმედია. ამ ნახევარი საუკუნის წინ, როგორც ყველამ ვიცით, იმერეთის დიდ-დიდ მონასტრებში და საკრებულო ეკლესიებში ფართოდ იყო დაყენებული საეკლესიო გალობა. რვა ხმად იგალობებოდა ყველა საგალობლები და წირვაც. რომელი ხმა იდგა ტიბიკონით – მღვდელმთავრები იმ ხმაზე მოითხოვდნენ გალობას და სხვა ხმებზე გადასვლის ნებას არ აძლევდნენ. ახლა ამ ცოტა ხანში ისე დამცირებულა ჩვენი გალობის ცოდნა, რომ ამ ძველ ქართველთაგან შექმნილის დიდ კულტურისაგან ნატეხების აღდგენალა შესძლეს ჩვენის კულტურის მოყვარე გმირებმა.

მას შემდეგ, რაც ქართულ ეკლესიის კათედრაზე იჯდა თეოფილაქტე რუსანოვი, პირველი რუსი ექსარხოსი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თავისუფლებას ზედიზედ დასცხეს კეტები. ჯერ თეოფილაქტემ გადააგდო ალაპები, ეს პირველ საუკუნეთაგან განუწყვეტლად მომდინარე საეკლესიო ჩვეულება მკვდრების სულის მოსახსენებლად დადგენილი. ეს ჩვეულება ქრისტიანობასთან და ქართულ საღმრთო წიგნებთან ერთად მივიღეთ ჩვენ საქართველოში დასახლებულ ებრაელ ქრისტიანებისაგან¹⁾, რომელთაც ეს ჩვეულება (ზვარაკების დაკვლა) შეირჩინეს ძველის აღთქმიდამ ბრძანებისამებრ მაცხოვრისა, რომელიც ძველ სჯულს თვითონაც ასრულებდა და მოწაფეთაც ურჩევდა მისს ასრულებას, ე. ი. ზვარაკის შეწირვას ტაძარში. მეექვსე მსოფლიო კრებამ კანონიერად სცნო ქართველ-სომეხთაგან ზვარაკების შეწირვა, ოღონდ კურთხევა ხორცისა („საკურთხი“) უბრძანა თუმცა შიგ ეკლესიაში, მაგრამ არა ტრაპეზზე, სადაც შეწირვის მარტო უსისხლო მსხვერპლი.

ეს წყობილება, დაკანონებული მეექვსე მსოფლიო კრებისაგან 681 წელს, არავის დაურღვევია და ქართული ეკლესია დღემდე მისდევდა მას. რუსის ექსარხოსები კი უარჰყოფენ ამ ძვირფასს თავისებურობას ქართულ ეკლესიისას, რომელიც მომდინარეობს თვით ანდრია მოციქულის დროიდან. თითქმის ერთი საუკუნე მიდის, რაც იდევნება ესეთი ჩვენი სამართლიანი უფლება, რომელსაც რუსის ეკლესია უნდა იცავდეს ყოველ ღონით, როგორც პირველ საუკუნეთა წყობილების ნაშთს, როგორც სხვანიცა ბევრნი ჩვეულებანი (მაგალ. მთელის პურის განტეხა და მათზე ღვინის დასხმა – უპირველესი სახე ზიარებისა. მკვდრის დამარხვაზე ზიარების ნიშნად სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხი ზოგან ხმარობენ II-III საუკუნის სახეს ზიარებისას: ღვინით სავსე ჯამში ნატეხ პურს ჩაჰყრიან, აქედან ხალხი თითო ღვინით გაჟღენთილ ლუემას ამოიღებს, მკვდარს მოიხსენიებს და მიიღებს, როგორც ზიარებას, მონივნით.

თ. ყორდანი

(დასასრული იქნება)

1) ამავე ახლო ხანში გამოვსაც (ცალკე გამოკვლევა). ახალ გამოკვლევით ქრისტიანობა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში და აქედან ხალხშიც შემოიტანეს მოციქულებმა ანდრია და სვიმონ კანანელმა მონაფეხითურთ პირველს საუკუნეში. ხოლო წმ. ნინომ სრული ძლევა მისცა ქრისტიანობას მეფის და დიდკაცობის მოქცევით, როდესაც ხალხში ქრისტიანების რიცხვი ბევრად სჭარბობდა წარმართებისას.

568. საქართველო, 1916, 13 დეკემბერი, № 278, გვ. 4

ქართული გალობა და ჩვენი სამღვდლოება (მომავალ სამღვდლოების კრებებისა გამო)

ისეთი გულცივობა და უყურადღებობა, როგორსაც ქართველი სამღვდლოება იჩენს ქართულ ძველ გალობისადმი, ყოვლად შეუწყნარებელია. აი, ამ უყურადღებობამ და დაუდევრობამ იქამდის მიიყვანა ქართულ საეკლესიო გალობის საქმე, რომ დღეს არცერთ ეკლესიაში სოფლად თუ ქალაქად, არცერთ სასწავლებელში (სასულიეროსა თუ საეროში) ქართული გალობა აღარ ისმის, და თუ არის სადმე, იქაც გადამახინჯებულ-გადაგვარებული. ზოგნი ამ გადაგვარების ბრალსა სდებენ ჩვენ კომპოზიტორ-მუსიკოსებსა და ლოტბარ-მასწავლებლებს, რაშიაც ჩვენ დავეთანხმებით. მაგრამ ამით ვერ გაიმართლებს თავს სამღვდლოება, რომელსაც ყველაზედ მეტი დანაშაულობა მიუძღვის ამ საქმისადმი. სხვა არა იყოს რა, უნდა თვით სამღვდლოებას ეკისრნა ეს საკუთარი საქმე, რაც ადვილი შესაძლებელი იყო და ეხლაც შეიძლება, თვით უნდა გამხდარიყო ბატონ-პატრონი და არა სხვების საგლეჯ-სანინკნად გაეხადნათ გალობა. ვინც არა მგონია, ქართულ გალობასა სთხზავს, სხვა კილო-გემოვნებაზედ, თავის ჭკუაზედ. ასე გასინჯეთ: „ზესტაფონის“ კილოზედაც კი არის ქართული საგალობელი, რასაც მე გადამეტებულად არ მოვასხენებ პატივცემულ მკითხველთ, და ყოველსავე ამას ნათლავენ „განვითარებულ-გამმეხინჯებულ, მუსიკის კანონებზე დანყობილ გალობად“. ამას იქით შეუძლებელია ამ გზით სიარული ამ დარგში. ეს დიდი ცოდვა და დანაშაულობაა არამც თუ მარტო სამღვდლოებისა, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისაც. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთ სასულიერო და საერო პირებსაც ვხვდებით, რომელნიც ან სრულიად უარს ჰყოფენ ამ საქმეს, ან არადა ხელს უშლიან ქართულ გალობის განვითარებას.

მშობლიური გალობა-მუსიკა უდიდესი სიტკბოება-სიამოვნებაა ადამიანისათვის და უკეთილშობილესი აზრების დამთესია ერის ცხოვრებაში. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა იყვეს და რა არის ეხლა ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა უმგალობლებოდ; ამავე დროს, ნახეთ ახლა რუსების და სომხების ეკლესიებში, როგორ გაჩაღებულია გალობა! ამიტომაცაა, რომ ჩვენი ხალხი უფროთხის ეკლესიას. მიზეზი ხალხის დამორებისა ეკლესიისაგან სწორედ ეს გახლავთ. ეხლა ზედაც დაუმატეთ ახლად ნაკურთხ მღვდელთმთავრების უფერული, ულაზათო და უკილოო ხმები, დიაკვან-მედავითნების უშნო კითხვა და ცალხმაზედ ღრიალ-გალობა, აი მდგომარეობა და ვითარება ქართულ საეკლესიო გალობისა. გვეყო ამდენი ნამება, კმარა ამდენი ცოდვების ზიდვა და ნაკლულევანების დაფარვა; გამოვამზეუროთ ყოველისფერი, ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს საეკლესიო გალობა.

იმედია სამღვდლოების მომავალ კრებებზედ ამ დიდმნიშვნელოვან საგანს ჯეროვნად ყურადღებას მიაქცევენ.

ლონგინოზ მღვდლისშვილი [მიხეილ კავსადი]

3 და 4 ხმიანი ქართული სიმღერა-საგალობელი

დიდ არევ-დარევას, მითქმა-მოთქმას და თითქმის გაუგებრობასაც იწვევს ხოლმე ქართულ საზოგადოებაში, და მით უმეტეს მომღერალ მგალობელთა შორის 3 და 4 – ხმიანი სიმღერა-საგალობელი. 3 და 4 – ხმიან სიმღერა-საგალობის მომხრეთა ქიშპობის ისტორია კარგა ხანია არსებობს; პირველად გალობის მასწავლებელმა, ან განსვენებულმა ანდრია ბენაშვილმა შემოიღო 4 – ხმიანი, რუსულ გემოვნებაზე დაწყობილი ქართული გალობა. ამასთანავე ჩვენ ხალხთა გვაქვს ბენაშვილის მიერვე სამაგალითოდ გადაღებული 3 – ხმიანი ხალხური სიმღერა-საგალობლების წიგნებიც ნოტებზე დაწყობილი, რომელშიაც მოთავსებულია ნამდვილი ჩვენი ხალხის გულიდამ ამონაკვესი კილოები და თამამად შეგვიძლიან ჩავთვალოთ ეს შრომა დიდ განძად ბ. ბენაშვილის მოღვაწეობისა სამუსიკო ასპარეზზე. შემდეგ თითო ოროლამ მიჰბაძეს და სცადეს ოთხხმიანი სიმღერა-საგალობელის შემოღება და ნამდვილ ქართული სამხმიანის განდევნა, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს, რადგანაც ქართველი ხალხი (თუ არა გადაგვარებული) ბუნებით ვერ ეთვისება უცხო მიმართულებას ამ დარგში; შესაძლებელია, დროებით შეეწყოს და შემდეგ კი მალე უბრუნდება თავის მშობლიურს, მით უმეტეს, რომ ჩვენი მუსიკა ეროვნული ხალხური სიმღერა-გალობა, როგორც ამტკიცებენ ჩვენი მუსიკოსები (რომელნიც სთხზავენ 4 – ხმიან სიმღერა საგალობელს) და უცხოელნიც, თუ მალა არა სდგას სიმდიდრითა და თავისებურობითა სხვა ტომების მუსიკაზე, — არც ნაკლებია. ვადარებთ რა 3 – ხმიან რთულ და სასიამოვნო სიმღერა-საგალობელთ 4 ხმიანთან, გვიკვირს, რად დასჭირდათ ეგრეთ გასადავება, დახურდავება ჩვენის სიმღერა-საგალობელისა და 4 და მეტ ხმებზედ?... თუ კარგად ჩაუკვირდებით, 4 ხმიანი სიმღერა-საგალობელი ვერაფერს ახალს და თვალსაჩინოს ვერ წარმოადგენენ: აი, მოკლეთ მათი ღირსება: აღებულია ერთხმიანი მელიოდა (ისიც დამახინჯებული) რომელსამე სიმღერისა და საგალობელისა, მას მისდევს უბრალოთ, სადათ (tercia)-თი II ხმა (ჩვენებურათ მოძახილი, რომელიც დამამშვენებელია ქართულ სიმღერასა და გალობისა). მათ მისდევს გაჭიანურებულად მესამე ხმა, რომელიც გაჰკვივის სულ ერთ ნოტას და ბანი მეოთხე ხმა მესამე ხმასთან (ounisson)-ით, როგორც მოისმინოთ სწორეთ რუსული გალობა. ერთის სიტყვით, ამას მტკიცება არ უნდა, რომ ყოველ ქართულ სიმღერა გალობას, რომელიც დამუშავებულ-დაწყობილია 4, 5 ან მეტ ხმაზედ, ქართული ელფერი ეცვლება და იღებს ევროპიულ რუსულ სახეს, ჰკარგავს ქართულ სახეს, ჰკარგავს ქართულ ხასიათს და თავისებურობას. სულ ეს სიმღერა ავლადიდება გახლავთ ოთხ-ხმიან სიმღერა საგალობლები-სა და მათი ავტორნი კი ჩვენცა და უცხოებსაც გვარწმუნებენ, რომ სწორეთ ესენი არიან ქართულ სიმღერები და საგალობელიო! ჩვენის აზრით, არავითარ განვითარებას, წინსვლასა და სარგებლობას ვერ ვხედავთ იმაში, რომ 3 ხმიანი სიმღერა საგალობელი გადაკეთდეს 4 ხმიანად, რადგანაც ვიმეორებთ, რომ შევადაროთ 3 ხმიანი სიმღერა-გალობა, ღირსებითაც და ჰარმონიულადაც გაცილებით მალა სდგას 4 ხმიანზედ; განა რა შეედრება მთქმელს (პირველი ხმა), მოძახილს (მეორე ხმა) და ბანს (მესამე ხმა), ნამეტნავად მოძახილს, რომელზედაც დამყარებულია ყოველივე სიმშვენიერე-სილამაზე ქართულ 3 ხმიან სიმღერა-საგალობლებისა; როგორც გველი დაიკლაკნება და მოეხვევა რასმე, ისე ქართული მოძახილიც ეხუტება და ეხვევა მთქმელს (პირველი ხმას) (მდიდარი conrta punct)-ი; მთქმელიც არ ჩამოუვარდება ხოლმე თავის ქართულ გუგუნა და ტკბილის ბანით. სადაც უნდა ადამიანს და როცა უნდა, 3 ხმაზედ

სულ მუდამ ახერხებს გაუჭირებელივ მღერა-გალობას; ადვილი, მიმზიდველი და ხელსაყრელია სამხმიანი სიმღერა-გალობა, რასაკვირველია, თუ კარგი ხასიათის ხმები და ბუნებრივი შემსრულებელნიც არიან. ევროპიულად დამუშავებული ხმა კი რასაც არ დაამახინჯებს ქართულ სიმღერას და გალობას, არაფერს კარგს არ შეჰმატებს. მოკლეთ რომ ითქვას, ევროპიულს მუსიკის გავლენის ქვეშ ქართული მუსიკა იჩაგრება, ობოლივით ხდება და ემსგავსება ციხეში გამომწყვდეულ ტუსაღსა. ეს იგივეა, რომ ჩვენ ქართველებს ენა შეგვეყრყინას უცხო სიტყვებით, აჭრელებული ქართული ვილაპარაკოთ და ვწეროთ. 3 ხმიანი სიმღერა-საგალობელში მომღერალს ხმა უვითარდება, სიცოცხლე და ხალისი ემატება, თამამდება და მეტს თავისუფლებას და სიხარულსაც კი გრძნობს, რადგანაც მშობლიურია, ვიდრე 4 ხმიანი. 4 ხმიანი სიმღერა-გალობა ერთგვარ შემოფარგლულ წრე-ჩარჩოს წარმოადგენს, რომლის იქით გადაცილება შეუძლებელია და აკრძალულია; ამასთანავე, მომღერალს განვითარების მაგივრათ ხმა უსუსტდება მეტისმეტ ერთფეროვანი გაჭიანურებისა გამო ქართულ 4 ხმიანი სიმღერა გალობაში.

ჩვენ ზემონათქვამიდან ის კი არ უნდა გამოვიყვანოთ და ვსთქვათ, რომ ევროპიული მუსიკა ჩვენა გვეძულდეს, ან პატივს არა ვცემდეთ; სრულიადაც არა, – მხოლოდ ყველას თავისი ადგილი აქვს. ზოგიერთი კერძო საუბრის დროს, როცა ქართულ მუსიკას ეხებიან, ორ ბანაკად იყოფიან და გამოდის, რომ ერთი მხარე საშინელი მომხრეა ქართულ სიმღერა-საგალობლების 4 და მეტ ხმიან ან გაევროპიულებისა და ამტკიცებს, რომ „მართალია ჩვენი სიმღერა გალობა, მუსიკა, თუმცა მდიდარია ბუნებით, თავისებურია, მაგრამ მაინც განვითარება საჭირო ევროპიზმით, 4 და მეტ ხმების საშუალებით, თორემ ამ დარგში ერთ ადგილას გავიყინებით“-ო, იძახიან ისინი; ის კი ავიწყდებათ ამ დალოცვილებს, რომ მაგ გზით სიარული ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს მუსიკას და საკუთარსაც რომ ჰკარგავენ და ჰკარგავენ... იგინი ამასთანავე ამყარებენ ქართულ მუსიკის განვითარების მსვლელობას მხოლოდ მშრალ თეორიებზედ, ევროპიულ-რუსული ტიპების სამუსიკო სკოლებზედ და თაყვანისცემით და მოწყალების თვალთ შესცქერიან ევროპას, მათ კანონ-წესებს და სხვა; ამათ არავითარი ენერგიული, პრაქტიკული და საქმის ზედმინწვნითი ცოდნა და მუშაობა არა სწამთ. 4 ხმიანი ქართული გადაკეთებული სიმღერა-გალობის მოტრფიალენი აგრეთვე დარწმუნებულნი არიან, რომ ვინც ძველ ქართულ მუსიკას, 3 ხმიან სიმღერა-გალობას მისდევს და ემსახურება, სწორედ ისინი ყოფილან შემაფერხებელნი ქართულ მუსიკის განვითარების და წინმსვლელობისა და თვითონ კი, რომელთაც უდიდესი ცოდვა-დანიშნულება მიუძღვით ამ დარგისადმი, იმას კი არა გრძნობენ. მეორე ბანაკი (რომელშიაც თქვენი უმორჩილესი მონაც გახლავართ) სულ წინააღმდეგად სჯის და ისიც ამტკიცებს, „ეხლანდელი მდგომარეობა ქართულ მუსიკასა და ესეთი განვითარება (როგორც ამტკიცებს პირველი ბანაკი) იქამდის მიიყვანს, რომ ყოველისფერი დაგვეკარგება; როგორც ზღვაში სისხლი, ისე ჩვენი მუსიკაც გაითქვიფება ევროპიულ-რუსულ მუსიკაში“-ო.

ერთის სიტყვით, დღეს ქართველ საზოგადოებაში ორი მიმდინარეობა – მიმართულებაა ამ ხელოვნების დარგში და, რაც დრო გადის, თანდათან მწვავედება და ეს კი სასიამოვნო არ არის. ამიტომაცაა, რომ ეს ხელოვნების დარგში გადაგვარება-გადამახინჯების გზას ადგია.

ჩვენ გვიკვირს აქამდის რათ არ არკვევენ, არ ხსნიან და არ განუმარტავენ საზოგადოების მცოდნე პირები ამ დარგის ეგრეთ ბურუსიან მოვლენებს.

იმედია, ამის შემდეგ მაინც, ვისაც კი ქართულ მუსიკის, სიმღერა-გალობის ბედ-იღბალი აინტერესებს, ფართოდ და გულახდილად გამოსთქვამენ თავიანთ აზრს, რომ შემდეგში ნათლად და გარკვეული გზით განვითარდეს ჩვენი მუსიკა.

მიხეილ კავსაძე

570. თეატრი და ცხოვრება, 1917, 19 თებერვალი, №8, გვ. 15.

ქართული ეკლესია პეტროგრადში (წერილი პეტროგრადიდან)

იანვრის 14 ღირსშესანიშნავი დღეა აქაურ ქართველობისათვის. დღეს პირველად გაისმა აქ ქართული წირვა-გალობა. ვისლის კუნძულზე, ანდრია პირველწოდებულის სობოროს გვერდით პატარა ეკლესიაში მღ. მამა ჩიჯავაძემ გადაიხადა ქართული წირვა, რომელსაც აუარებელი ქართველობა დაესწრო. წირვაზე ბრძანდებოდნენ ეპისკოპოსნი ანტონი და კირიონი. ჰგალობდა აქ მყოფ მოსწავლე ახალგაზრდათა გუნდი. მამა ჩიჯავაძემ მოკლედ დაახასიათა წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა. განმარტებულ იქნა აგრედვე ის, რომ ვიდრე აქაური ქართველობა აიშენებს საკუთარს ეკლესიას წმ. ნინოს სახელობაზედ, დღეიდან ამ ეკლესიაში არსდება ქართული მრევლი და შესრულდება ქართული წირვა-ლოცვა, სადაც ყოველს ქართველს შეუძლიან სამშობლოს ენაზე მოისმინოს ღვთისმსახურებაი.

ნიკო ასლამაზაშვილი

571. თეატრი და ცხოვრება, 1917, 26 თებერვალი, №9, გვ. 5

ქართული ეკლესია და სამღვდელოება (ერთის თვალის გადავლებით)

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ №8)

როგორც საქალაქო უწყებამ, ისე სასულიერომ, აუცილებელ მიზნად საქართველოს ერის და ეკლესიის გარუსება დაისახა მიზნად. პირველმავე რუსმა ექსარხოსმა თეოფილაქტემ, გვარად რუსანოვმა პირველი ქვა გარუსების ჩვენი ეკლესიის საძირკველში ჩასდო: მოსპო გვარების წერა ქართულის დაბოლოვებით „შვილი“ და „ძე“ და შემოიღო დაბოლოება „ოვ“ და „ევ“. იმ დღიდან იწერება გვარები ისე, მაგ. ხიზანიშვილი – ხიზანოვ, უტურაშვილი – უტუროვ და სხვ. სამღვდელოთა გვარების გარუსებას მოჰყვა თავადაზნაურთა გვარების გარუსებაც. ამისი დიდი მომხრე ყოფილა ატენელი გიორგი ერისთავი, დიდ გიორგად წოდებული, რომელიც იმ დროს, როდესაც თავადაზნაურთა გვარტომობა ირაკლი მეფის სიებით მტკიცდებოდა, დიდს როლს თამაშობდა თურმე. თეოფილაქტე ექსარხოსი ცდილობდა სიონში მომსახურეთა გვარების შეცვლასაც და კიდევაც შეუცვალა რამდენიმეს. მაგ. მანსვეტოვი, გერმანოვი, პროტოპოპოვი და სხვადასხვა. მანსვეტოვის გვარი ყოფილა ცოფურაშვილი, პროტოპოპოვისა – დეკანოზიშვილი, და ასე ამგვარად. პირველ შეხედვით, თითქო ეს უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ ღრმად რომ ჩაუკვირდებით, სულ სხვას ამოიკითხავთ. ამ მცირე ფაქტებზე ნელ-ნელა, თანდათანობით ამოშენდა კედლები და ჩვენი ეკლესია და ახალი თაობა გადაშენების და გადაგვარების გზას დაადგა.

ეკლესიის ცარიელი კედლებილა შეგვრჩა. მე კარგად მახსოვს გადმონაცემი ჩემის წინა-

პარისა, რომელიც მომხრე იყო რუს ექსარხოს თეოფილაქტის მმართველობის დროისა. „გახრწნეს სრულიად ჩვენი დიდებული ტაძრებიო“ – იტყოდა ხოლმე იგი, რომელიც თვით სამღვდლო პირი იყო და დიდად აღშფოთებული იყო სასულიერო მთავრობის „უღვთო“ საქციელითა.

ჩემის აზრით, არც ერთს ექსარხოსს იმდენი არ უშრომნია და არ გაუკეთებია ჩვენის ეკლესიის და სამღვდლოების გარუსებისათვის, რამდენიც შესძლო ხუთის წლის განმავლობაში ექსარხოსმა თეოფილაქტემ: იგი ყოფილა ფრიად განვითარებული, შესანიშნავი ადმინისტრატორი, გამბედავი, თავნება და იშვიათის ენერგიისა. ასე ასურათებს მას ეპ. კირიონი. თეოფილაქტეს ჩამოსვლისას სიონის კათედრის დეკანოზად ყოფილა იოსებ ფალავანდიშვილი, რომელსაც შემდეგი ბრძანება თურმე მისცა: „ამიერიდან სიონის ტაძარში, კვირა უქმე და დიდ დღესასწაულების გარდა, ღვთისმსახურება რუსულ ენაზედაც უნდა იქმნეს კვირაში სამჯერ, რომელსაც შეასრულებენ ჩემთან ჩამოყოლილნი სამღვდლონი, სახელდობრ: სამშაბათს, პარასკევს და შაბათს, დანარჩენს სამს დღეს ქართულად ქართველმა სამღვდლოებამ.“ ამანვე დააფუძნა სასულიერო სასწავლებლები ტფილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ამასვე ეკუთვნის სემინარიის დაფუძნება. მაგრამ ამ სასწავლებლებში ქართული ენის სახსენებელი არ იყო, იგი არ ისწავლებოდა, როგორც საგანი. აკითხებდნენ მხოლოდ კვირაში ერთხელ-ორჯელ ხუცყურად ჟამნ-დავითნსა. ბავშვებს მშობლის ოჯახში უკვე ჰქონდათ ქართული წერა-კითხვა ბეჭზე ნასწავლი და ხუცყურ-მხედრული, ქართული ლოცვები, ჟამნ-დავითნის კითხვაში ხომ დახელოვნებულნი იყვნენ. თეოფილაქტედან დაედო ამნაირი საფუძველი ქართულის ენის სწავლებასა და გასტანა 1882 წლამდე.

ექსარხოსი თეოფილაქტე ცდილობდა აღმოეფხვრა ქართველობაში, ეკლესიაში სიყვარული და პატივისცემა ქართველ მღვდელმთავრებისადმი. იმის დროს ჯერ კიდევ იმერეთში მღვდელმთავრობდნენ გელათელი და ქუთათელი მიტროპოლიტნი. თეოფილაქტემ თვისი რუსიფიკატორობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში შეიტანა, უბრძანა მღვდელმოქმედება ქუთაისშიაც ისე აესრულებინათ, როგორც სიონის ტაძარში, კვირაში სამ-სამჯერ ქართულად და რუსულად. თვისი პოლიტიკის გადმონერგვა აღმოსავლეთიდან დასავლეთშიც მოინდომა. ამ უგვანმა პოლიტიკამ გამოიწვია ამბოხება. შეიპყრეს მიტროპოლიტნი გენათელი და ქუთათელი[...]. სასულიერო სასწავლებლებმა და სემინარიამ გვაძლია გადაგვარებული სამღვდლოება. [...]

სოფლად მოედო ასეთი სამღვდლოება. შინაურული შესწავლა ქართულის წერა-კითხვისა, ქართული ლოცვისა, სარწმუნოებრივი გრძნობა მოისპო. ამისი მიზეზი იყო ნახევრად გარუსებული სამღვდლოება.

ძველი სამღვდლოება, აღზრდილი მონასტრებში, განსწავლილნი სამშობლო ენაზე, ნელ-ნელა ჩამოვიდნენ ასპარეზიდან; ეკლესიამ დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა ხალხის თვალში. აღარ ისმოდა ძველი მღვდლების მშვენიერი, მეტყველი, მარგალიტი წირვა-ლოცვა, გალობა, ულმობიერესი, სულისა და გონების დამატყვევებელი სამოციქულო-სახარების კითხვა. ახალი სამღვდლოება განცხრომას მიეცა. მრევლისათვის სრულიად არა ფიქრობდა, არა ზრუნავდა, სმა-ჭამას დიდად შესარგს გამოუდგა და მით უარჰყო დიდი შოთას ანდერძი: „სმა-ჭამა, დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“. სამღვდლოება სოფლად მოვაჭრე, მოვახშე და წურბელა გახდა, ერთი მეტი ხორცმეტი ხალხისათვის. სრულიად აღმოიფხვრა ძველებური მამა-შვილური განწყობილება მოძღვარსა და სამწყსოს შორის. ეკლესიაში აღარ ისმოდა ლმობიერი და მეტყველი წირვა-ლოცვა, გალობა, ქადაგება; ხალხ-

მა ზურგი ადრიკა ეკლესიას, სარწმუნოებაზე გული გაუგრილდა, სამღვდლოება შეიძულა, დაუნყო მას კილვა და ძრახვა. ყველა ეს იყო და არის შედეგი ექსარხოს თეოფილაქტეს და სხვათა პოლიტიკისა.

გაგრძელება შემდეგ.

ს. მგალობლიშვილი

^{*)} საქმე სინოდ. კანტორისა 1817 წ, №28, ეპ. კირ. გვ. 20

572. საქართველო, 1917, 15 აპრილი, №81, გვ. 3-4

ქართული სიმღერა-გალობის ბედი

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა სიმღერებმა და საგალობლებმა არაჩვეულებრივი ქუჩური ხასიათი მიიღო. შეიჭრა მუსიკაში სულ სხვა გემოვნება, სხვა მიმართულება; მოდას ვერ ასც-და ჩვენი სიმღერები და საგალობლებიც.

როგორც მშობლიურ მუსიკის მოყვარული, თვალყურს ვადევნებდი და ეხლაც ბევრი შემთხვევა მქონდა, მომესმინა და გამეგო ყველგან, საზოგადოებასა, ეკლესიაში, სცენაზედ, ოჯახში, სასწავლებელში და სხვაგან, როგორ და რა შინაარსიან სიმღერა-გალობას ასრულებს ჩვენი ხალხი, ინტელიგენცია და მოსწავლე-ახალგაზრდობა. ვიტყვი მოკლეთ და გადაჭრით, რომ ყველგან გადაგვარებაა. ბევრი იმ აზრისაა, ვითომც ჩვენი მუსიკა ვითარდებოდეს. ეგ დიდი შეცდომაა და ვინც ღრმად ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ ქართველები აღარ ვმღერით ჩვენს მშობლიურ კილოებს, აღარ ვგალობთ და არავისაგან გვესმის დარბაისლური ქართული, სასოების მომგვრელი ნაზი და ტკბილი გალობა. ეს კი ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია იმისა, რომ ჩვენი ხალხი გაურბის ეკლესიას, სკოლებშიაც სრულიად არაფერს ასწავლიან ან თუ ასწავლიან, ასწავლიან სხვა კილოებს ქართულის სიტყვებით, რასაც მშობლები ყურადღებას არ აქცევენ, არ უწევენ ამ მოვლენას ანგარიშს და რასაკვირველია, ამას მოსდევს ჩვენი ბავშვების დამახინჯება-გადარჯულება. არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართულ სკოლების მონაფეების მშობლებს მოეთხოვნათ, რომ სავალდებულოდ ყოფილიყო ქართულ სიმღერა-გალობის სწავლება, რაც ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი მომავალი თაობისათვის. ქართველთა ოჯახებიდანაც განდევნილია ქართული სიმღერები; მათს ნაცვლად მღერიან სულ რუსულ შაბლონურ რომანსებს; ხანდისხან ქართულ რომანსებსაც წამოიძახებენ და ამბობენ, ქართულიაო. მაგრამ კილოები სულ სხვებისაა, ჩვენი მხოლოდ სიტყვებია. აი მაგალითად, ავიღოთ „გენაცვალე“ ნეაპოლიტანური მუსიკა და სიტყვები ჩვენი ახალგაზრდა პოეტის გრიშაშვილის ლექსისა, და ბევრი კიდევ უცხო ხალხის კილოებია. და ჩვენ კი ჩვენად ვნათლავთ. ეგეც კია, რომ ქართველებს რომანსები ცოტა გვაქვს და რაც არის, იმასაც მიმბაძველობითი ხასიათი აქვს და ევროპიულ რომანსების მინაგვარი. დღეს საქართველოში აღარ მოგვეპოვებიან და იშვიათია ქართველი მომღერალ-მგალობელი გუნდი არც საეროვნო, არც საეკლესიო. თუ ვინმე ქართულ სიმღერა-გალობის მცოდნენიც აღმოჩნდა ჩვენში ორიოდე კაცი, იმათაც გზას არ ვაძლევთ.

გადავხედოთ ახლა სოფელს: ქალაქებში ნამყოფი სოფლის ხალხიც არ ჩამორჩა ამ მო-

დას. ქართლში გორის მაზრის ერთ სოფელში გლეხების თოხნური „ახ ზაჩემ ეტა ნოჩ“-ის კილოზედ მოვისმინე. დასავლეთ საქართველოს მკვიდრნიც არიან ჩამორჩენილნი ამ დარგში. იქაც ჩვენებურ შესანიშნავ ცოცხალ კილოების მაგიერ, როგორიცაა „ალი ფაშა“, „ხასანბე-გური“ და სხვა აულიათ რუსული ფანდურა-გიტარა. იქაურ ახალგაზრდობას ქალია თუ კაცი, უჩხარუნებენ გაუთავებლად „ტრიპაკ“-ს გარშემო და დამღერიან „პასლედნი ნონიშკი დე-ნოჩის“ და სხვა. ქართველ ქალს ეთაკილება და რცხვენია, რომ დაირაზედ მაინც დაუკრას ან ჩონგურზედ — ყოველივე ამის მიზეზები კი შეიძლება ბევრმა ძველ, ნარსულ დროს, ძველ მთავრობას, ძველ რეჟიმს მოთხოვოს, რაზედაც არ დავეთანხმებით და ვიტყვით, რომ ქართულად გვემღერა და გვეგალობნა, განა ძველი მთავრობა დაგვიშლიდა და აგვიკრძალავდა?! რასაკვირველია, არა!

ჯერ ეხლაც, როდესაც ყოველივე უფლებით ვსარგებლობთ — გამოდიან ისეთი გადაგვარებული ვაჭბატონები, რომლებიც კიდევ არ იშლიან და ეტრფიან გადაგვარებულ-სავე სიმღერა-გალობას და ცდილობენ გაასაღონ ერთი ასად თავიანთი დამპალი საქონელი, ე. ი. 4 და მეტ ხმიანი გადამახინჯებული სიმღერა-საგალობელნი, გულმოსაკლავია უფრო იმიტომაც, რომ ამ საქმეში სამღვდლო პირებიც ურევენ და ხელს უწყობენ ამ არასაკადრის საქმეს. ჩვენ მოვითხოვთ უშიშრად და ხმამაღლა: არ გვინდა მაგათი „გან-ვითარებული მუსიკალურ კანონებზედ დანყობილი სიმღერებ-საგალობელნი, თავისთვის შეინახონ“. ჩვენ გვსურს წმინდა ქართული 3 ხმიანი ძველებური კილო-სიმღერები და დარბაისლურნი საეკლესიო საგალობელნი! დიდი სიფრთხილე ჰმართებს ამ შემთხვევაში სამღვდლოებას; უნდა მოიწვიოს მცოდნენი, შეაკავშიროს, აიღონ და დაიღონ, იმსჯელონ საგანზე, გამოირკვიონ ყოველიფერი ავ-კარგი, გაიგონ და მოისმინონ, რა არის ქართული და რა არის გადაგვარებული, და შემდეგ ისე გადასცენ ქართულ გალობის ბედ-იღბალის საქმე იმ პირთ, ვინც აღმოჩნდებიან მართლა ზედმინევით მცოდნენი ჩვენი მუსიკისა. სჯობია, ჯერ ასჯერ გაზომო და ერთხელ გადაჭრა. ველით მოუთმენლად და იმედია, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება და კეთილად დაგვირგვინდება ჩვენის სამღვდლოე-ბის წყალობით ქართულ საეკლესიო გალობის საქმე.

ლონგილოზ მღვდლისშვილი [მიხეილ კავსაძე]

573. თეატრი და ცხოვრება, 1917, 27 აგვისტო, №34, გვ. 6-7

ქართული საეკლესიო კითხვა-გალობა

მარიამობის 15 საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს.

ამ დღეს სიონის დიდებულ ტაძარში მრავალი სამღვდლოებისა და დიდძალი ერის თანდასწრებით აღადგინეს სწორედ ერთის საუკუნის წინად გაუქმებული თბილელ-მიტროპოლიტობა. მიტროპოლიტად კურთხეულ იქმნა ლეონიდე მღვდელმთავარი.

ამ ამბავმა ბევრ დამსწრეს სასოების ცრემლი მოჰგვარა.

თითოეული ქართველი მორწმუნის გული ნეტარებითა სცემდა, რომ უსამართლოდ ფეხ-ქვეშ გაქეპილი უფლება ერისა აღდგენილ იქმნა.

და ულოცავდნენ ურთიერთს.

ამ ბრწყინვალე დღემ ბევრი სიმწარეც განგვაცდევინა.

ერთი საუკუნის მონობის შედეგი მთლად თვალწინ დაგვეხატა.

ჩვენის ეკლესიის გარეგნობასა თუ შინაგნობას – სხეულსა თუ სულს – საშინელი გადაგვარება ეტყობა.

ძველისძველი საკათოლიკო-სამოციქულო ივერიის ეკლესია ძალადმაცხონე ბატონის უხეშმა ჩექმამ ფეხქვეშ გაქელა და მთლად გაცამტვერებას უქადადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

დღეს, როგორც ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბევრი სხვა მხარე, უცხო გავლენისაგან განწმენდა-განკურნებას ითხოვს, ისევე ეკლესიაც: უნდა განიწმინდოს იგი!

თანამედროვე ქართველის სულსა და გულს რუსულ ყაიდაზე მორთული წესრიგი აღარ დააკმაყოფილებს.

საქართველოს ეკლესია მორწმუნეთათვის უნდა აღსდგეს მთელის თვისის ღირსებით.

ქართული ღმობიერი გალობა, ავაჯით და მკაფიოდ გამოთქმული განსაკუთრებით მონასტრული, ეს ხომ სულის ცათამდე აღმყვანია, ნამდვილი ქართული ძველებური კითხვა სახარების, სამოციქულოსი, დაუჯდომელის, მარხვანის (სამსაგალობელით), დავითნის და სხვ., ეს ხომ სულისა და გულის დამატკბობელი ჰიმნია!

მერე შეგხვედრიათ სადმე? – იშვიათად.

ხომ გინახავთ, თავმინებებულ ყანას გვირილა რო მოედება, ანუ ოხრად დარჩენილ ვენახს ნარ-ეკალი გადაუვლის, – სწორედ ასე გადაიარა ჩვენს საეკლესიო თუ საერო კულტურაზე რუსის ბერების მოუხეშაობამა და გააველურა...

კითხვა კითხვას არა ჰგავს, გალობა – გალობას.

ყოველივე უკუღმართი, ველური უნდა განიდევენოს ქართული ეკლესიიდან.

საქართველოს ეკლესიამ თანამედროვე ცხოვრების თანახმად შინაგანი ცვლილებანიც უნდა მოახდინოს: წირვა-ლოცვის დროს შემოკლება თუ სხ.

ქართველ ბერთა შორის აქა-იქ კიდევ მოიპოებიან ქართული გალობა-კითხვის მცოდნენი.

ამერეთში, სხვათა შორის, ასეთები არიან ტარსია მღვდელმონაზონი (კანდელაკი), არჩილ ბერი (თარაშვილი), გიორგი მწირი (ეპიტაშვილი) და სხ. ესენი გალობდენ დარიის მონასტერში.

უკანასკნელი მათგანი – გიორგი მწირი – თითქმის 20 წელიწადია მოღვაწეობს საეკლესიო გალობისა და კითხვის გავრცელების ასპარეზზე.

საჭიროა მათი ცოდნის გამოყენება.

უყურადღებოდ არ უნდა დაიტოვოს ნიკოლოზ (კიკუშა) სულხანიშვილიც, რომელიც ქართულ გალობის მცოდნედ ითვლება...

ვინ იცის კიდევ იმერეთში რავდენია მიმალული ასეთი ძალა?

საჭიროა მათი მოძებნა... და საზოგადოთ იმ ძალთა ამოძრავება, რომელნიც ჩვენის ეკლესიის ეროვნულ ელფერს აღადგენენ.

დიახ, ჩვენი ეკლესია განახლების გზას უნდა დაადგეს არა მხოლოდ სახელით, გარეგნულად, არამედ სულიერადაც – შინაგანის არსებითაც.

იოსებ არიმთიელი [იოსებ იმედაშვილი]

574. თეატრი და ცხოვრება, 1918, 11 მარტი, №5 გვ. 15

წერილი ამბები

მაგლობელთა გუნდი შესდგა თბილისის მილიციონერთაგან, გრ. სოლომონოვის თაოსნობით. გუნდის ლოტბარად მონვეულია სახელგანთქმული ლოტბარი მელქისედეგ ნაკაშიძე. გუნდი ჩაენერა ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირში.

575. თეატრი და ცხოვრება, 1918, 5 მაისი, №7, გვ. 3-4

წერილები ხელოვნებაზე მუსიკა

[...] სიბნელით მოცულ ნავთლულის ქუჩებში სადარაჯოზე დგას ერთი მოხუცი მილიციონერი, რომელიც მიყრდნობია თავის თოფს და ჩუმად ლილინებს... ვინ იცის, რომელი ავაზაკის ტყვია გაუგმირავს მას გულს? და ეს მოხუცი არის ჩვენი სახელგანთქმული მელქისედეგ ნაკაშიძე.

ლოტბარი, საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი, პირველი მცოდნე საქართველოს საეკლესიო გალობის თუ მწიგნობრობის და სხ., ოდესღაც დიდი შეძლებული თავადი...

მან ყოველივე შესწირა ხალხს და იფიქრა, უკანასკნელ წლებს საზოგადოება შეიფარებდა... მაგრამ მოსტყუვდა: მელქისედეგ ძვირფასი იყო მათთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც შეძლება ჰქონდა, მისი ქველმოქმედებით სარგებლობა შეიძლებოდა, ახლა კი იგი ყველასაგან მოძულებულია და იძულებულია, ამ იშვიათმა მცოდნემ და სასარგებლო კაცმა შიმშილის შიშით მილიციაში იმსახუროს.

კიდევ სირცხვილი!"

ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირმა განცხადება შეიტანა კათოლიკოსის საბჭოში და სთხოვა დაეარსებინათ მედავითნეთა კურსები და ხელმძღვანელად ნაკაშიძე მიენვიათ, სპეციალისტი ლოტბარი დასავლეთ საქართველოს გალობისა.

მაგრამ განცხადება ჯერ განცხადებათ დარჩა...

თუ გვინდა, ჩვენს ხალხში გაიღვიძოს მიძინებულმა სამშობლო ხელოვნების სიყვარულმა, უნდა ვიზრუნოთ საეკლესიო ხელოვნების ასაყვავებლად, რომელიც არათუ არ ჩამოუარდება საეროს, არამედ მასზე წინაც დგას.

უკანასკნელი მტერი ჩვენი ეკლესიისა ეპისკოპოსი თეოფილაკტე თავის ამქრებით საკათალიკოსო შენობებიდან გააბრძანეს, როგორც დაუპატიჟებელი სტუმრები.

ახლა ეს შენობა განთავისუფლდა.

ასე რომ, შესაძლებლობაზე ახლოს ვსდგევართ, მოვიხმაროთ ეს შენობები სწორედ ჩვენი საეკლესიო ხელოვნების ასაყვავებლად.

აი, საღსარიც და ბინაც!

სვ. წერეთელი

მუსიკა და სახიობა

* * *

კ. ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რაოდენი ორგანიზატორული უნარი შესწევს. მუშაობს მეტად აუტანელ პირობებში და მიუხედავად ამისა, მაინც შესძლო საერო ჰიმნ-საგალობელთა კონცერტების გამართვა (ივნისის 2 საქართველოს სახელმწიფო თეატრში, ხოლო იმავე თვის 8 – სახალხო სახლში). ორივე კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო და დიდის პატივისცემით შეხვდა. კ. ფოცხვერაშვილი რავდენათაც მუსიკოსია, იმდენად იდეური მუშაკი-მქადაგებელი: სამშობლო მუსიკის გავრცელებას იგი სიტყვიერი ქადაგებით უფრო ფიქრობს და ამიტომაც არის, რომ მისი კონცერტების დროს უფრო მეტი სიტყვა-ლექცია ისმის. მუსიკოსი კი, ჩვენის აზრით, უფრო მეტად თავისი შემოქმედებით, თავისი უდიდესი ენით – მუსიკით უნდა მეტყველებდეს, – განა სიმღერა-გალობაზე უფრო ძლიერი სხვა რომელიმე ენა მოიპოვება? თუმცა, ყოველივე მისი ნათქვამი უადგილო არა ყოფილა და ბევრი რამ გადასცა საზოგადოებას. კომპოზიტორმა მოგვასმენინა ჰიმნი – დიდება და ლოცვა. პირველი ნაწარმოები გმირული, მჭექარა აღმაფრთოვანებელია, შიგადაშიგ თითქო უცხო მუსიკის გავლენა ემჩნევა; მეორე – ლოცვა უფრო ლბილია, სასოების მომგვრელი. საზოგადოებამ ჰიმნი გაამეორებინა და დიდის ტაშით დააჯილდოვა კომპოზიტორი. ამავე კონცერტზე კ. ფოცხვერაშვილის თხოვნით მ. ბალანჩივაძემ შეასრულა თავისი ჰიმნი. ეს ჰიმნი უფრო დამუშავებული, უფრო ნაზი გამოდგა. შეატყობდით, რომ ორი სხვადასხვა ხანის ჰანგი იყო: ერთი კ. ფოცხვერაშვილისა – რევოლუციონური ხანის, დემოკრატიის გამძღვარების, მეორე მ. ბალანჩივაძის – მშვიდობიან დროის, სალონურ-არისტოკრატიული.

წინამძღვარი [იოსებ იმედაშვილი]

წერილი ხელოვნებაზე

საზამთრო სეზონის დამთავრების შემდეგ ქართული წარმოდგენები ხშირად იდგმება ქართულ კლუბის სცენაზე. რეპერტუარი არაჩვეულებრივ ორიგინალურია: ლალატი, სამშობლო, ქეთევან წამებული, დიდი მოურავი, მედეა და სხვა.

აღსრულება – კრიტიკის გარეშე.

უგულოდ როლების შესრულება, სტატისტიკის ჩონჩხებივით სიარული სცენაზე, სცენის გარებიდან უცხო მაცურებლების ჭყეტა... სრული ილუზია იკარგება.

რეჟისორის ხელი სრულიად არა სჩანს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული წარმოდგენები ასე უფერულად არასოდეს არ იდგმებოდა, როგორც ამ აღორძინების ხანაში.

ჩვენმა მსახიობებმა ანტრეპრენიორობას რომ მოკიდეს ხელი, ტეხნიკურს მხარის შესრულებისთვისაც უნდა მიექციათ ყურადღება.

თუ პიესების ავტორნი არ ებრალებათ, მაცურებლები მაინც შეიბრალონ.

ჯობს, თვეში ოთხჯერ ვნახოთ ქართული პიესა რიგზე შესრულებული, ვიდრე კვირაში სამჯერ და ისიც ყოველად უვარგისად...

მართალია, ჩვენს მსახიობთ გარდა სამი ოთხი პირის ტექნიკა არა აქვთ შესწავლილი, მაგრამ ბუნებრივ ნიჭს მოკლებულნი არ არიან.

კარგი რეჟისორი ყოველთვის შეიტანს წესრიგს.

ალ. ნუნუნავას და ვალიკო შალიკაშვილის რეჟისორობის დროს ჩვენ თეატრიდან უკმაყოფილონი არ წამოვსულვართ.

საჭიროა საჩქაროდ მოისპოს ზემოხსენებული სამწუხარო მოვლენა, თორემ დაგვიბრუნდება ის შავი დრო, როდესაც ქართველ კაცისათვის ქუდი რომ შეგეგდო ქართულს თეატრში, მაინც არ შევიდოდა.

1917 წელს ენკენისთვეში დაფუძნდა ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი.

მისი უმთავრესი მიზანია ეროვნულ ჰანგების აღორძინება: ქართულ ორიგინალური ოპერების დადგმა, სიმღერა-გალობის სასურველ დონეზე დაყენება, ლოტბარების მომზადება და სხვა.

ამ კავშირის გარშემო მოიკრიბნენ ყველა ქართველი სპეციალისტი-მუსიკოსნი.

ვიდრე კავშირი დაარსდებოდა, ჩვენი სამუსიკო ხელოვნების შესწავლა როგორც მშობლიურ ენის, თითქმის სირცხვილად მიაჩნდათ.

ეხლა კი... ვინ არ გინდა, სულო და გულო, რომ არ ლოტბარობდეს: საცა არ გაიხედავ, ყველა ამზადებს „ეროვნულ გუნდებს“ დამახინჯებულ ჰანგებზე. შედით, მაგალითად, ჩვენს განთავისუფლებულ ეკლესიაში. მაგლობელთა ბღაველი გულს უღონებს მორწმუნე კაცს. და ეკლესიის გარეშე ამჯობინებს ლოცვას, ვიდრე მეორედ შიგ შესვლასა.

და ნამდვილი საეკლესიო ლოტბართ: ნ. სულხანიშვილს, მ. ნაკაშიძეს და სხ. თოფის გასროლის მანძილზე არ უშვებენ ეკლესიაში და იწვევენ ლოტბარად უვიც პირებს.

აუცილებელივ საჭიროა, კავშირის სპეციალისტთა კომისიამ დაამონწმოს ცოდნა სალოტბაროდ მსურველისა და მისცეს მას შესაფერი მონაწილეობა. უამისოთ არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება ლოტბარობისა.

ამითი აილაგებიან ის ცრუ ლოტბარნი, რომელთაც უფრო ნივთიერი მხარე აინტერესებს და სამშობლო ხელოვნებას დათვის სამსახურს უწევენ.

ს. წერეთელი

578. საქართველო. 1918, 7 ივლისი, №132, გვ.2

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ მეორის დაკრძალვის ცერემონიალი

მისი უწმინდესობის ნებთის დაკრძალვა მოხდება დღეს, 7 ივლისს. ცხედარს გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძრიდან, დილის სწორედ 9 ნახ. საათზე. სამგლოვიარო პროცესია გაიმართება სიონისკენ, ანჩისხატის, მუხრანის, პუშკინის და შუაბაზრის ქუჩებით. წირვა, ანდერძი და დაკრძალვა მოხდება თვით სიონის ტაძარში.

პროცესიის რიგი ასეა შემუშავებული: 1. ფარანი, 2. მთავრები საცეცხლურებით, 3. ჯვარი, 4. ორი ხატი, 5. დროშები, 6. კუბოს თავი, 7. მაგლობელი გუნდები, 8. სამღვდე-

ლოება, 9. ეპისკოპოსნი, 10. მიტროპოლიტნი, 11. განსვენებულის რეგალიები: ბარტყულა, პანაგია, კვერთხი, ლამპარი, მანტია, დიკირ-ტრიკირი, პროტოდიაკონები საცეცხლურებით. 12. კუბო რიპიდებით, 13. საკათალიკოზო საბჭო და სასამართლოს წევრები, 14. ნათესავები, დელეგატები და სხვ. პროცესიაში მონაწილეობას იღებს ამქარი და ჯარი.

დაკრძალვის ცერემონიალში და ანდერძის აგებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ჯერ-ჯერობით შემდეგ მაგლობელთა გუნდებმა: 1. სამხედრო კავშირისა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის, 3. საკათალიკოსო გუნდი, 4. უკრაინელთა გუნდი. სხვათა შორის, სამხედრო გუნდი, კომპოზიტორ სულხანიშვილის ლოტბარობით შეასრულებს მის მიერ საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის დაწერილ „სულთა თანას“.

579. საქართველო. 1918, 9 ივლისი, №133, გვ. 2

კირიონ მეორის დაკრძალვა

ყველა ქართველის გონება, სულისკვეთება და მწუხარება ერთ ტაძარში იყო თავმოყრილი, ძვირფასი ცხედრის სულის პატივსაცემად. აქვე დაესწრო სხვა უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი.

მტერი მოვიდა, რომ აღენიშნა ყოველივე ჩვენი სუსტი მხარე და ესარგებლნა მას ამით. მხოლოდ, მოყვარე – გამოუცხადებდა სრულ თანაგრძნობას დაობლებულ ერს. მე არ შევეცხები სხვა მხარეს, გარდა მუსიკისა. რას წარმოადგენს საეკლესიო გალობა? ეკლესიამ (რჯულმა) რამდენიმე საუკუნე, ე. ი. რუსეთთან შეერთებამდის, შეინახა ქართველი. მისი ძლევამოსილება და სულის სიმდიდრე რჯულში გამოიხატებოდა და ეს არის მისი შემაერთებელი შემნახავი ძალა. საქართველოს გარშემორტყმული ჰყვანდა არაქრისტიანნი და რაც უნდა უკიდურესს მდგომარეობაში ყოფილიყო ერი ჩაყენებული მტრისაგან, არავითარი სასტიკი ზომები, არც წამება, ვერ აღალატინებდა ჯვარს. რჯული, რწმენა ქართველს ჰხდოდა ვაჟკაცს, რაინდს და პატიოსან-ერთგულ მამულისშვილს. ასე რომ, ეკლესია უდგავდა ქართველს სულს და სწორედ ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საეკლესიო გალობა, რომელიც ჩვენი მუსიკის ბურჯად ჩაითვლება. რა ჰანგიც უნდა აიღოთ, ყოველივე სიმღერას საეკლესიო ელფერი ეტყობა. დიდად სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ჩვენი გალობა წარმატების მაგიერ, გაყინულია ერთ ადგილას. მოგვაკლდა არაერთი ძველი, საუკეთესო მცოდნე მაგლობელთა პირნი. ზეპირი გადმოცემით ჩვენი მუსიკა დრო-მსვლელობით მახინჯდება. ის გუნდები, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ – მოყვარულნი არიან. გუნდი მოკლებული შინაარსს, არავითარი შეზავება, ასრულება მუსიკალურის მხრივ, რაიმე სიფაქიზე მას არ ეტყობა და ყველაფერი ეს აქარწყლებს გუნდის არსებობას. ჩვენ არ გვყავს გუნდი, რომელიც სისტემატიურად მუშაობდეს, სწავლობდეს მუსიკას, ვითარდებოდეს და სპეციალურ ხასიათს იღებდეს ამ დარგში.

არა გვყავს შტატი მასწავლებელ-მაგლობლისა, რომ სულს უდგამდეს გუნდს. ამ მხრივ, ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოგვცა ახლადშემდგარმა სამხედრო კავშირის ქალვაჟთა გუნდმა, რომელიც გამონაკლისს შეადგენდა, სხვა გუნდებისაგან, თავის შეზავებით, წყობილ გალობით, და საერთო დისციპლინით. ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ სამხედრო კავშირის გუნდი უნაკლოა და ჩვენ სიამაყეს შეადგენს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჩვენ მომავალ მუსიკალურ კულტურის აღორძინებისათვის. თვით დრო მოითხოვს, რომ ჩვენ შევქმნათ აღმასრულებელი ძალა, ე. ი. გუნდი, რომელიც გაგვაცნობს ჩვენ მუსიკალურ ლიტერა-

ტურას და თავის საუკეთესო სამსახურით დაატკბობს ჩვენ სმენას და განავითარებს ჩვენ სულ-გრძნობას.

დიდად საყურადღებოა და ჩვენთვის მოულოდნელი განძია ის გარემოება, რომელიც აღვნიშნეთ დღეს: ეკლესია გამოესალმა საუკეთესო თავის მღალადებელს, ერთგულ მწყემსს, მოცულია ცრემლით – დავმარხეთ ტანჯული ჩვენი კათალიკოსი კირიონი მეორე. ამ კუბოსთან ერთად, გლოვის ზართან, მოგვეფინა ჩვენ დაობლებულ ერს ახალი სასიხარულო შუქი. დავმარხეთ ერთი – დაიბადა მეორე. ეს არის მუსიკა ნ. სულხანიშვილისა. დღემდის ჩვენი გალობა იყო ერთფეროვანი და პრიმიტიული. ნამეტნავად ბანი განირჩეოდა თავისის სიღარიბით. ტონიკა და სუბსეკუნდა შეადგენდა ამის სიცოცხლის ძარღვს. ნ. სულხანიშვილმა გალობას („სულთა თანა“) დაჰბერა ახალი სიო და ამით გააცოცხლა მთელი ჰარმონია. ბანს მისცა თავისუფალი ხმის მსვლელობა, დამოუკიდებლობა და სიცოცხლის ენერგია. ნ. სულხანიშვილის მუსიკაში არ ისმის მიყურება, არამედ – კონტრაპუნქტულად ხმების დამუშავება, მათი შეზავება, ერთი-ერთმანეთში შეჯიბრება, თავისუფალი განვითარება, ფორმა და ტექნიკა ევროპისა, ფრიგის სკალის ფარგლებში, მაგრამ ყველა ეს ჩამოყალიბებულია ქართულ კოლორიტით. ამნაირად, ნ. სულხანიშვილმა ცხადად დაგვანახა, რომ ევროპულ დახელოვნებულ ფორმაში იგი ქართველია და თავის გრძნობას, სულისკვეთებას ქართველურად გამოხატავს.

დაიხ, ნ. სულხანიშვილი თამამად ჩაითვლება პიონერად ახალ მუსიკალურ-ფორმის განვითარებაში. ეს არის სასიხარულო რეფორმა და აღორძინების პირველი ეროვნული ნაბიჯი.

ილიკო აბაშიძე

580. თეატრი და ცხოვრება, 1918, 28 ივლისი, №11, გვ. 12-13

ხელოვნება რელიგიაში

ადამიანმა რელიგიას მაშინ მიჰმართა, როცა სააქაო, ქვეყნიურმა, ხორციელმა იგი ვერ დააკმაყოფილა, როცა სიცოცხლის აზრი ვერ ჰპოვა აქ და სასონარკვეთილებას მიეცა. ამ დროს მან ზეცისაკენ იწყო ცქერა, მოინდომა დიდი საიდუმლოების ყოფნა-არყოფნის მდგომარეობისათვის ფარდა აეხადა. ამისათვის საჭირო იყო გაეკვლია გზა ცისკენ, ქვეყანა მიეტოვებია ერთი სიტყვით მოინდომა ადამიანმა ცა – ქვეყანას შუა გზა და ხიდის გადება. შესაძლებელია კი ის როგორმე დაახლოვებოდა ზეცას? აქ მაშინ დაპირდაპირდენ ორი რამ: მატერია და სული. ადამიანი თანდათან ქვეყნის ზედაპირს მოშორდა, ავიდა ზევით, გონებით ამაღლდა ზევისაკენ. მასალად ცა და ქვეყნის დასაკავშირებლად ურთიერთშორის, სხვათა შორის, ადამიანმა გამოიგონა ხელოვნება. ხელოვნებამ უნდა გამოსახოს სინამდვილე; იგი უნდა ემსახურებოდეს და ექვემდებარებოდეს ამ სინამდვილეს. არჩილ ჯორჯაძე ხელოვნებას ასე განმარტავს: „ხელოვნება მართლაც დაჰსახავს სინამდვილეს, ხოლო მის მიერ დასახული სინამდვილე არასოდეს არ არის ფოტოგრაფიული ასლი (ხაზი ჩვენია) რეალურ სინამდვილისა. ხელოვნება არასოდეს არ არის მარტოდ ის, რაც არის სინამდვილე, არამედ ზედმეტი რამ, რაც სინამდვილეში არ არის!“

ლ. ნ. ტოლსტოი ამბობს: „ხელოვნებას აზრად ჰქონდა გამოენვია ადამიანში ღვთისა და კაცის დამოკიდულების ახსნა. ხელოვნება, განსაკუთრებით დრამატიული ხელოვნება, რომელიც თავისთვინ მოითხოვდა დიდს სამზადისს, ხარჯს, ღვანლს, ყოველთვის რელიგიოზური იყო“.

რელიგიურმა ხელოვნებამ თავი იჩინა ებრაელების გარეგნულ ღვთისმსახურებაში. როცა ებრაელებმა დიდი ხნის ძებნის შემდეგ დაინახეს ღმერთი სინას მთაზე ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მეორმოცდაათე დღეზე ელვა-ჭექა-ქუხილში, ღმერთმა მოსეს გადასცა ამ მთაზე ორი ქვის ფიცარი, რომელზედაც დანერილი იყო ათი მცნება.

ცა და ქვეყნის დაახლოვებისთვის საჭირო შეიქნა კულტის შექნა: ტაძარი, მათი მსახურ-ნი და ღვთისმსახურება. ტაძარი პირველ ხანებში მოძრავი, გაიყოფებოდა სამ ნაწილად: ეზო, წმიდათა და წმიდანწმიდათა. ეზოში ებრაელები იდგენ სალოცავად, წმიდათაში მღვდლები ლოცულობდნენ და წმიდა წმიდათაში იდგა სჯულის კიდობანი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე სოლომონი აგებებს დიდებულს უძრავ ტაძარს შესანიშნავ სიმდიდრით და ხუროთ-მოძღვრებით. ღვთისმსახურების აღმასრულებელი პირნი იყვნენ: ლევიტელი, მღვდელი და მღვდელმთავარი, რომელნიც განირჩეოდნენ ერთმანეთიდან შესამოსლით და მოვალეობით. მაგ, მსხვერპლის შეწირვა. მგოსანმა მეფე დავითმა შეადგინა ფსალმუნთა კრებული, საგალობლები, რომლებსაც გალობდნენ წინწიბაზე, ებანზე, ბობლანზე და სხვადასხვა სამუსიკო იარაღებზე.

გადავიდეთ ახლა ქრისტიანობაში. ქრისტიანობაშიც ხელოვნება იყო ღვთისმსახურება ტაძრებში. ხანდისხან სრულდებოდა საიდუმლოება და ჩვეულებრივ ლიტურგია – წირვა. შემდეგში, როცა ამ ღვთისმსახურების ხელოვნების ფორმები არ კმაროდა, გაჩნდნენ მისტერიები. 13-ე და 14-ე საუკუნეებში მისტერიებს სცვლის ახალ-ახალი ფორმები, - მორალურ-დრამატული წარმოდგენანი, ალეგორია. ცნობილია, მაგალითად, რომ დღესაც ერთ – ერთ სახელმწიფოს სოფელში განსაკუთრებულ დროს გარეთ, ცის ქვეშ წარმოადგენენ ხოლმე დრამას იესოს ცხოვრებიდან და მომქმედნი პირნი არიან: ქრისტე, ქალწული მარიამი, იუდა და სხვები. ამ წარმოდგენაზე აუარებელი ხალხი ესწრება ხოლმე.

ხელოვნების დარგია საზოგადოთ ოთხი: პოეზია, მხატვრობა, პლასტიკა და მუსიკა. ღვთისმსახურებაში მკაფიოთ არის ეს ოთხივე დარგი: ერთია საღვთო წიგნებში, მხატვრობა – ღვთის, ქრისტესი, მარიამის და სხვადასხვა წმიდათა ნახატები, პლასტიკა – ტაძრები, მათი ხუროთმოძღვრება, განსაკუთრებით ქართული თვისის ხვეულებით, წნული-ჩუქურთმებით, ფრესკებით, ორნამენტებით და ყველაზე უფრო, რომელზედაც მივაქციო მკითხველის ყურადღება, თვალსაჩინოა მუსიკა.

ყველა ერებზე უფრო განვითარებულია ქართველებში ხელოვნების ეს დარგი – მუსიკა. ჯერ კიდევ 10-12-ე საუკუნეებში მიქელ მოდრეკილები სასწაულებს ახდენდნენ თვისის გალობით და როცა საკუთარს გზით იწყო სიარული ჩვენმა ეკლესიამ, მას შემდეგ ხომ პროგრესიულად ვითარდებოდა მუსიკა. ქართველ ერს ჭირსა და ღვინში, შიგნით და გარეთ, გზაში და ტყვეობაში ყველგან, ყოველთვის სხვადასხვა, შესაფერისი სიმღერა-გალობა ჰქონდა.

აი, იგივე ჯორჯაძე რას ამბობს ქართულ მუსიკაზე: „ქართული მუსიკა განსაკუთრებით ჰსახავს სიცოცხლის ირაციონალურ სახეს. ბემოლები და დისონანსები არღვევს კონკრეტულ ფორმის ინდივიდუალობას, საზღვარდაუდებელ სამეფოსაკენ გიზიდავენ; ხოლო გალობის ბოლოში ხმის მაღლა აყვანით და გალობის უცნაურად, მოულოდნელად უნისონით დაბოლოვებით მუსიკური აზრი თითქმის სასონარკვეთილებას გამოსთქვამს შეუგნებელ საზოგადოების წინაშე.“ მუსიკა გიპყრობს და უფრო გასაგები ხდება სახარების ის ადგილი, სადაც მოთხრობილია სულის ტანჯვა და მწუხარება (იოან. 15, 16, 17), „რამეთუ არა სოფელისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა“. აი ეს წინააღმდეგობა ხორცისა და სულისა მწუხარებით ავსებს ადამიანის გულს.

საქართველოს ეკლესიასთან უფრო დაკავშირებულია ორი დარგი ხელოვნებისა: მუსიკა და ხუროთმოძღვრება. საჭიროა ამისათვის თუ გვინდა ეკლესია ეკლესიობდეს და, აკაკის არ იყოს, ზარები უხმობდეს ერს: „მოდით მოდითო და არა წადით“, როგორც აქნამდინ იყო,

– საეკლესიო კულტის გამშვენება, საეკლესიო გალობა- განვითარება და ძველი ტაძრების აღდგენა-განახლება.

ეს ჩვენი პატარა სუსტი წერილი გამოწვეულია იმ ღრმა შთაბეჭდილებით, რომელიც ჩვენზე მოახდინა (და მგონი არ შევცდები, თუ სხვების მაგივრადაც ვიტყვი) 7 კვირიკობისთვის სიონის ტაძარში სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ მეორის დაკრძალვის დღეს კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის გუნდის განგებ იმ დღისათვის შედგენილის „სულთა თანას“ გალობამ. ეს გალობა თქვენ ამ ბინძურ ბოროტ ქვეყანას გაძულებდათ და შორს კამკამა ცის კამარაში გინოდებთ, სადაც არაა „არც ქირი, არცა მწუხარება, არამედ სიხარული იგი დაუსრულებელი“.

ყოველივე დარგი ხელოვნებისა ჯერ ან გადაუთვალეიერებელი – გაუფურჩქენელია, ან ახლა იწყებს ფეხის ადგმას, წელში გამაგრებას. ასეა სიმღერა-გალობაც. უნდა გადაღებულ იქნეს ნოტებზე და ჩანერილი ძველი სიმღერა და საეკლესიო გალობა უფროს. ეკლესიას ერი გაურბის. დროა, ჩვენი ეკლესიის სათავეში მყოფთ მიაქციონ ამას ყურადღება, და ეს კი მაშინ მოხდება, თუ მუსიკას ის ადგილი ეკავება ჩვენ ეკლესიაში, როგორც ჰქონდა მას წინედ, ანა და ისეთ პირობებში ჩაგდება, როგორშიაც სასურველია იყოს.

კ. გრძელი [კოტე ანთაძე]

581. საქართველო, 1918, 31 ივლისი, №152, გვ. 4

ფხიზელი ნაბიჯი ქართული გალობის საქმეში

კვირას, 28 ივლისს, თბილისში მიტროპოლიტმა ლეონიდემ მოუწოდა ქართველ საზოგადოების მორწმუნე ნაწილს და წინადადება მისცა თითონ საზოგადოებასვე ეზრუნა ქართ. საეკლესიო გალობის ისე დაყენებისათვის, როგორც ეს შეეფერება თანამედროვე მოთხოვნილებას. ამითი მისმა მეუფებამ ქართულ გალობას თავიდან ააცილა ის კაბინეტური კარჩაკეტილობა, რომელსაც ჩვენი გალობის საქმე კერძო ინიციატივას შეადგენდა ყველასათვის, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ანუ როდესაც მოეპოვებოდა, მაშინ გალობდა ეკლესიაში. წინამძღვარნი მოიწვევენ ამა თუ იმ ლოტბარსა, საეკლესიო თანხებისადაგვარად, გაურიგდებოდენ გასამრჯელოს ფასსა და დაიმშვიდებენ გულს: ეხლა კი მუდმივი გალობა გვექნებაო. მაგრამ „გაჩნდებოდა“ თუ არა მიცვალებული, გუნდი იქით მირბოდა, და ხშირად, ამიტომ მღვდელმთავრის წირვა მომცდარა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიონის ტაძარშიაც კი აგერ აღდგომის აქეთია, გუნდი აღარა გალობს, გარდა 3-4 კაცისა, რომელნიც შრომას აღარ ზარობენ და (უსასყიდლოდ, რასაკვირველია) მიტროპოლიტს საშვალებას აძლევენ სწიროს და უქადაგოს მორწმუნეთ.

ეხლანდელს უკუღმართს დროში აუარებელი ფულია საჭირო, რომ კაცი შიმშილით არ მოკვდეს. ეკლესიას ფული არა აქვს. მაშასადამე, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც კიდევ შერჩენია სარწმუნოება და ერთი-ორი გროში მოეპოვება ზედმეტად, უნდა ითავოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმის მოგვარება; საჭიროა, რომ გუნდი ასრულებდეს გალობას საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით. ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე დღესასწაულს აქვს საკუთარი საგალობლები, არსებობს 8 ხმოვანი და სხვა ჩვენი გალობის სიმდიდრე. აი, ამ სხვადასხვაობაში გამოიხატება და თუ ამას არ ვიქონიებთ სახეში, დაგველუპება ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენმა მორწმუნე მამა-პაპამ დაგვიტოვა.

მისმა მეუფებამ, სჩანს, სწორე კვალს მიაგნო ამ საქმის გამოსაბრუნებლად, და რამდენადაც კვირის სხდომამ დაგვანახა, თანაგრძნობაც მოიპოვა მორწმუნეთა შორის.

რამდენიმე ასი თუმანი წლიურად უკვე შემოსწირეს ამ საშვილიშვილო საქმეს ჩვენმა ქველმოქმედებმა. ამას გარდა, შესდგა კომისია, რომელიც კვლავ იზრუნებს ფულების შეგროვებაზედ.

კრებაზედ მცირე კამათი გამოიწვია იმან, თუ რა გზით ავაცვაოთ გალობის საქმე — ჯერ ნოტებზედ (3 და 4 ხმაზედ) გადავილოთ და დავბეჭდოთ ქართ. გალობა (რისთვისაც აუარებელი ფული დაგვჭირდება, განაცხადეთ ამ აზრის მომხრეთ) და მერე გუნდი ისე დავაარსოთ, თუ გუნდის დაარსება ეხლავე არის საჭირო? — საქმე იმაშია, რომ ზოგს ასე ჰგონებია, ვითომ ჩვენი გალობა ჯერ ნოტებზედ არ გადაგვიღია და გუნდი რომ დავაარსოთ, რეპერტუარი არ ექნება სრულიო.

როდესაც კრებას მოვახსენე, რომ უკვე დანერგილი გვაქვს სამ ხმაზედ: 1. სრული რვა-ხმოვანი მწუხრისა, ცისკრისა და წირვისა (ეს 4 ხმაზედაც არის დანერგილი კილოს დაცვით), 2. მარხვანი, 3. სადღესასწაულო, 4. ზადიკი, 5. კურთხევანი, 6. მღვდელმთავრის წესი, 7. იამბიკოებში ქართველთა წმინდათა, 8. თვითხმოვანები და მრავალი დედანი, და მაშასადამე, აუარებელი ფული აღარ დაგვჭირდება ამ საქმისათვის-მეთქი — შემოხსენებული მოსაზრება განიფანტა და კრება იმ აზრს დაადგა, რომ ეხლავე უნდა დაარსდეს გუნდი, რომელიც დაიწყებს გალობას 3 ხმაზე და შეასრულებს ჩვენ ძველ კილოებს; ამავე დროს ჩვენ ძველ კომპოზიტორებს გადაეცათ ხსენებული მასალა 4 ხმაზედ გადასაღებად, ვინაიდან 4 ხმიანი გალობა დამყარებული უნდა იყოს ძველ ქართულ გალობაზედ და არა შეთხზული თვით ბოლომდე. ეს გუნდი მერე 4-ს ხმაზედაც ასრულებს გალობას. ამნაირად, ჩვენი გალობა არც ეროვნულს ელფერს დაჰკარგავს და გამშვენებულიც გამოვა.

რაკი გუნდს შესაფერი საზრდო ექნება და სწორედ დამუშავებული მასალა, აქეთ-იქით ქელეხებში წანწალს აღარ დაიწყებს და ჩვენ ეკლესიას ერთი მუდმივი ხეირიანი გუნდი მაინც ეყოლება, გალობის საქმის გასაფართოებლად და ყველა ეკლესიაში გუნდის შექმნაზედ ღმერთი შეგვაძლებინებს ფიქრს შემდეგში.

ამნაირად, თბილელის მიტროპოლიტის ნაბიჯი ფხიზელია და გონივრული. ასე ფეხადგმული საქმე ასე ივლის, ასეთს ისტორიულს განძს, როგორცაა ქართ. საეკლ. გალობა, ხელიდან არ გაუშვებს და ავსცდებით ჩამომავლობის საფუძვლიან საყვედურს.

მღ. ფ. კარბელაშვილი

582. საქართველო, 1918, 4 აგვისტო, №153, გვ. 3

საეკლესიო გალობის ბედი

აგერ, მეორე წელიწადია, რაც საქართველოს ეკლესია მონობისაგან განთავისუფლდა და იქამომდე არამც თუ სხვა ეკლესიაში, სიონის საკათედრო ტაძარშიც არ ისმის მუდმივი გუნდის რიგიანი გალობა. ამ ნაკლულებას კარგა ხანია ყურადღება მიაქცია თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ, რამდენჯერმე დააპირა ამის შესახებ ხალხისადმი მიმართვა, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა მოვლენათა გამო დღითი დღე საკითხი რჩებოდა უშედეგოდ. ბოლოს დუმილი შეუძლებელი გახდა და იმავე მიტროპოლიტმა წერილობით მიმარ-

თა ქართველ საზოგადოებაში ცნობილ და პატივცემულ ზოგიერთთა პირთ. დანიშნა კრება 28 მკათათვეს. ხალხი საკმაოდ ბლომად შეიკრიბა. კრება გახსნა მიტროპოლიტმა შემდეგის მიმართვით:

„ღრმად პატივცემულნო ქალბატონებო და ბატონებო! თქვენ მიერ მიღებული მოსაწვევი ბარათებიდან მოგეხსენებათ, რომ მივიღე კადნიერება და გთხოვეთ აქ მობრძანება ქართული გალობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ამ ხელათ ნებას არ მივსცემ ჩემს თავს, შეგანუხოთ სიტყვის გაგრძელებით იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკლესიურ ცხოვრებაში გალობას, რა ღირსებისაა ქართული გალობა, რა ისტორია განვლო მან და სხვ. არა, მე მსურს თქვენი ძვირფასი ყურადღება მივაქციო იმ სამწუხარო გარემოებას, რომ აგერ მეორე წელიწადში გადადის ჩვენი განთავისუფლებული ეკლესია და დღევანდლამდე მასში ქართული გალობა არ არსებობს...

ვერ ვიტყვი, რომ ეს სამწუხარო მოვლენა იყოს შედეგი ეკლესიის მსახურთა გულციობა-დაუდევრობისა; ღმერთია მონამე, რომ ეკლესიის მსახურთ თავისი მხრით არაფერი არ დაუზოგნიათ ამ საქმის აღდგენა-გაძლიერებისათვის, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს, ვერ სძლიეს მრავალი დაბრკოლება და გალობისა საქმეში ვერ გადადგეს წინ ნაბიჯი. ყველაფერი ეს უნდა მიენეროს ასჩვიდმეტი წლის ჩვენს მონობას.

მთელი წლის გამოცდილებამ ნათელჰყო ჩვენთვის, რომ საეკლესიო გალობის გამოცოცხლება, ფეხზე დაყენება და მუდმივი წინსვლის გზაზე გამოყვანა ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ მორწმუნე საზოგადოებას, მრევლს, იმათ, ვინც ეკლესიას შეადგენენ, ურომლოთაც ეკლესია მხოლოდ ცივი ქვის შენობაა და მეტი არაფერი.

ქართული ეკლესია კვლავაც ხალხოსნური, დემოკრატიული ყოფილა და ეხლა ხომ განსაკუთრებით ასე უნდა დავახასიათოთ იგი, დღეს ხომ ჩვენი ეკლესიის ერთადერთი სრული გამგე და პატრონი ხალხია და ხალხის ნებადაურთველად შეუძლებელია ეკლესიაში ნაბიჯის გადადგმა!

ამიტომ საეპარქიო საბჭომ ჩემთან ერთად, შემდეგ შესაძლო მოსაზრებათა, შემდეგ მრავალგვარი ალებ-დადებისა და მრავალგზის ანონ-გაზომვისა, გამოიტანა ასეთი საერთო დადგენილება: გალობის აღდგენის საქმე გადავცეთ მრევლს და ჩვენც მრევლს ამოუდგეთ გვერდში.

სხვათა შორის, ასეთი გეზის აღება გავგაბედინა იმ გარემოებამაც, რომ თვით მრევლში ამოჩნდნენ ნათელი იმედების ჩამსახველი პირები. ამ მხრივ, მეტად ნამაქეზებელი იყო ბ. ი. გ. ივანიძის მაგალითი, რომელმაც აღგვითქვა თავისი სიცოცხლის განმავლობაში ყოველთვიურად ათ-ათი თუმნის გაღება გალობის საქმის მოსაგვარებლად და შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ყველგან კეთილად ცნობილი და უგულისთადად პატივცემული მ. გ. მაჩაბელი, რომელმაც საჯაროთ აღმიქვა: ოღონდ ქართული გალობა გაჩაღდეს ჩვენს ეკლესიაში და მგალობელთა გუნდის შესანახი ხარჯების შოვნას მე დავიკისრებ, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ყავარჯენს დავიჭერ, ჩემს ნაცნობებს შევაჯერებ და საქმისათვის საჭირო ფულებს შევაგროვებო...

ფრთებშესხმულმა, ამ კურთხეული მამულიშვილების გამამხნეველები საქციელით, მოგიწვიეთ დღეს, რომ შე[გ]ავედროთ: ბატონებო! სულს ღაფავს, ხელიდან გვეცლება, დღითი დღე ქრება და იკარგება ჩვენი უმდიდრესი და მუსიკალურად უძვირფასესი საეკლესიო გალობა. მარტო სამღვდელოებამ ვერ შესძლო ამ საშვილიშვილო განძის მოვლა-პატრონობა. ახლა თქვენ გამობრძანდით ასპარეზზე, თქვენ დაუდექით დარაჯებად ამ კულტურულ ძალას, საკუთარი მზრუნველობის ქვეშ მიიღეთ საეკლესიო გალობა, დააარსეთ ღირსეული გუნდი და ამ უკანასკნელის შესანახი სახსრების მოსაპოვებლად შექმენით საკუთარი კომიტეტი საქმის მოყვარულ და მოქმედების უნარით ცნობილი პირებისაგან.

ეს არის თქვენდამი ჩემი უმხურვალესი ვედრება. ამით ვათავებ სიტყვას და ბედნიერი ვიქნები, თუ ამ სუსტიმა მონოდებამ ფეხი მოიკიდა თქვენს გულში.“

კრება დიდის აღტაცებით შეეგება მღვდელთავრის წინადადებას და აღუთქვა სრული დახმარება გუნდის შესანახად საჭირო თანხის გამოძებნისათვის. აირჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა სახსრების შეკრება და აღნიშნულ საკითხის ჯეროვნად მოწყობა.

სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ დღეიდან მკვიდრი საძირკველი ჩაეყრება საეკლესიო გალობის აღორძინებას.

დიდი ლიახველი

583. თეატრი და ცხოვრება, 1918, 2 სექტემბერი, №12, გვ. 4

ქართული საეკლესიო გალობა

ჩვენმა ბედკრულმა საქართველომ, უკუღმართი რუსეთის უღვთო და წაწყმედილი მადაგახსნილობით დამოუკიდებლობა დაკარგა. წარსული საუკუნის განმავლობაში მონობის უღელსკვებმ გვატარა. ჩვენი ყველაფერი კულტურული დარგი საფლავის კარზე მიაგდო. უცხოვარ დროიდან, წმინდა მამათაგან კრების დადგენილებით დამტკიცებული, ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა, ავტოკეფალობა მოსპო და ჩვენი უფლებამოსილი ეკლესია მის (რუსეთის) უუფლებო ეკლესიას დაუმორჩილა და ვინ იცის, რა უცნაური ძალმომრეობა არ იხმარა. მარა, ნამეტანმა ატროკებამ და უღვთო მოქმედებამ იგი დასცა...

თქმულება გამართლდა: „გზა ნაგზურს და წყალი – ნარწყულს“.

ჩვენმა ქვეყანამ კვლავ იხილა სინათლე. სამეფო აღზდგა და ეკლესიის ავტოკეფალობა განახლდა. ასრულდა ნატვრა ქართველთა. ჩვენი სიხარულის ბოლო დაუსრულებელია.

ჩვენი უღირსი შვილების მიხლა-მოხლა დროული და გარდამავალია. ლობიო რომ იხარშება, კაკლები ირევიან ჭურჭელში, მაგრამ როცა მოიხარშება, კაკლები ერთი მეორეზე დალაგდება... „წყალნი წარვლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“.

ახლა საჭიროა ჩვენის მხრით ყოველგვარ კულტურულ დარგში მუშაობის გაძლიერება, რომ წარსულ უკუღმართ დროს მოუწყობელი და შეფერებული გამოანყოს და რიგში ჩააყენოს, ყოველგვარი ჩვენი გადარჯულება გადმოარჯულოს და გააქართულოს.

ჩვენს ეკლესიაში, მადლობა ღმერთს, წირვა-ლოცვა ქართულად სრულდება, არ დაგვიწყებია იგი. მაგრამ გალობის შესახებ რა ვთქვათ? იგი აღვიღა, ჩვენს ეკლესიებში მხოლოდ ნასახია მისი. ქართველი ეკლესიისთვის და ქართველთა ყურთათვის შეუსაბამოა იგი. ქართველთა გულსა და სულს ვერ სწვდება. იგი მოსწონს მხოლოდ ქართველთა გადაგვარებულ ყურსა და გულს. ამ დარდს ჯერ ჩვენს განახლებულ ხანაში არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

ორი თვის წინეთ, ყ-დ სამღვდელიო ქუთათელ მიტროპოლიტმა ანტონიმ გადაწყვიტა, რომ ყოველგვარი საშუალება იხმაროს ამის შემობრუნებისა და მშობლიურ ნიადაგზე დაყენებისთვის; დაბეჭდა მონოდება გალობისათვის გულშემატკივართა, საპატიო პირთათვის. ინვევდა მათ, სათათბიროთ რო აერჩიათ კომისია ამ საქმის კეთილდასაგვირგვინებლათ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ათასგვარმა მიხლა-მოხლამ შეაჩერა ღრეობით და დაბეჭდილი მონოდებები ჯერჯერობით უმოძრაოდ აწყვია (ეს იყო ბათუმის დაცემის დროს).

ასეთივე მონოდება ჩვენ წავიკითხეთ „საქართველოს 153 №-ში, მაღალყოვლადუსამღვდელესის, თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესი, რამაც ჩემში მეტი სიხარული გამოიწვია მით, რომ გალობის აღდგენას კიდევ ყოლია გულშემატკივარი პატივცემული ბ.ბ. ი. გ. ივანის და მ. გ. მაჩაბლის სახით და იმედი ორკეცდება, რომ ქართულთა საზოგადოებაში კვლავ მრავალი აღმოჩნდება ასეთი დამხმარე... მაგრამ თუ როგორი სახით და რა წარმატებით განხორციელდება ეს, საქმე ამაშია.

ჩემი ღრმა რწმენით, საეკლესიო გალობას არავითარი ჯიჯგნა არ უნდა დაუნყოს ვინმემ გადაკეთების სახით. ჯერჯერობით იგი უნდა აღსდგეს იმ წესით და სახით, რა განვითარებითაც იგი იყო, როცა ჩვენი ყველაფერი ჩვენობდა და უცხო ხმებით არ იყო იგი აფორი-აქებული. სანამ ის თავის სისრულით აღდგებოდეს, უნდა დარჩეს იგი სამხმიანი, სადაც სამს კაცსაც შეუძლია იგი იგალობოს სასიამოვნოთ და თუ გნებავთ, ასსაც. როცა ამ ნამდვილ ქართულ კილოკავებს თვისი ეროვნული თვისებით შესწავლის სიმტკიცით ჩვენი დღევანდელი გალობის გადაკეთების მოსურნე კომპოზიტორი (მე სახეში მაქვს მთელი საგალობლები, რომელნიც არა ერთი და ასია და არა მარტო წირვის გალობა), მაშინ შეეძლება ჩვენი გალობის გადაკეთებაში სამსახურის განევა, მაგრამ აქაც საჭიროა სიფხიზლე. დამწერნი, ორისამი კარგათ განსწავლულნი მუსიკოსნი უნდა იყვნენ და არა ერთი რომელნიმე, თავის ჯინის და გემოს შემსრულებლნი. ასეთი სიფრთხილე მიტომაა საჭირო, რომ ჩვენს გალობას არ დაეკარგოს თავისი ნაციონალური სახე. ხშირად, ოთხ ხმაზე დანერის დროს ზოგ მუხლებს კვეცენ, რომ მეოთხე ხმას შეენყოს და ამით ქართულ ხმებს ეკარგება თავისი სახე და როცა ასე ხდება, ის გალობა ქართული აღარაა. ქართული გალობა ქართველის სულსა და გულთანაა შესისხლხორცებული და თუ ისე გადავქმენით, რომ ის ხალხმა თავისათ ველარ იცნო, ეს გაკეთება კი არა, გაკეთებულის სიკვდილი იქნება.

დღევანდელი ჩვენი განათლებული საზოგადოება, მასთან ჩვენი კომპოზიტორებიც ევროპის ყაიდაზე სჯიან, მათი ყურთასმენა სლავიანურ ხმებზეა უფრო შეჩვეული და არა ითქმის, რომ სლავიანური ხმები უფრო არ მოსწონდეთ ერთსაც და მეორესაც. ამ მხრივ ძალიან დაკვირვება მართებთ, რომ ეს ეროვნული დიდება, ერის სიმდიდრე გაკეთების მაგიერ არ წარვახდინოთ.

დეკანოზი რ. ხუნდაძე

1919

584. საქართველო, 1919, 5 მარტი, №50, გვ. 4

ქართული გალობისათვის

„საქართველოში“ (იხ. №39 ამ წლის) იყო დაბეჭდილი „აბესალომ და ეთერის“ რეცენზია ბ. ინენისა, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქართველმა ხალხმა შორეულ წარსულში, სადაც არავითარი შეცნობილი კანონი სიმღერისა არ არსებობდა, შეიქმნა ასეთი ჰანგები, რომელიც ხშირად თვით მცოდნე მუსიკოსებსაც კი აკვირვებს თავისი საკვირველის ხმანყობლებით და რომელშიც განხორციელებულია რთული მუსი-

კალური კანონები და ფორმები. ბ. ინენის დასკვნა შემცდარია. ქართველ ხალხში შორეულ წარსულში უფრო იყო შეგნებული კანონი სიმღერისა, გალობისა, ლილინისა, ვიდრე ახლა, თუ გნებავთ!

აბა, მოიარეთ მთელი დუნია და მიჩვენეთ უძველეს ერთა მუსიკა, სადაც მრავალხმოვანი სიმღერა თუ გალობა ჰქონდეს ვისმე, თუნდ იმისთანავე ბუნების პატრონს, როგორც აგვიწერა წართქმაში? უძველეს ხალხის მუსიკა-სიმღერა თუ გალობა არის ერთხმოვანი და არა გუნდოვან-ხმაშენყობილი. აიღეთ თვით ჩინელ, სპარსელ, არაბელთა სიმღერა. თუ იქ შეჰხვდებით ამისთანა მოვლენას? ვერ შეხვდებით! აიღეთ ბერძენთა, ასსირო-ბაბილონელთა, რომაელთა, სომეხთა და სხვა ერთა პირვანდელი დრო, თუ შეხვდებით ამას? ვერც იქ შეჰხვდებით: ეს არის ნაყოფი იბერიულ ერის შემოქმედებით ნიჭისა, მუსყაითობისა და დაუღალავი შრომისა. შეიღს რომ მამა ასწავლიდა, ანდერძისავით ევალეობდა და მომაკვდინებელ ცოდვით ეთვლებოდა, რომ უმთავრესი კილოსათვის ელაღატნა და იქ იმას შეეთხზა რამე და შეხანხლული ერისათვის მიეკუთვნებინა. ეს დიდი ღირსება არის ერისა.

ამის გარდა, მომღერლებსა და მგალობლებს, მეფიდან დაწყებული, უბრალო გლეხამდისინ, დიდ ყურადღებას აქცევდნენ და დიდ დახმარებასაც უჩენდნენ და ამისი საბუთიც მრავალია. პურმარილობა და გულუხვი სტუმართმოყვარეობა — ეს ხომ ქალდეველ ქართველთა ერის პირველი ღირსება იყო და არის! „სუფრა უღიღინოთ და უსიმღეროთ, უგალობოთ არ ივარგებს“-ო. ეს თვისება ქრისტემდისინ ჰქონდა, აქვს და მგონის, მომავალშიც შეჰრჩება ქართველ ხალხს. ქართველური ელფერი როგორ შეინარჩუნეს სპარსეთში გადასახლებულთა 1616 წ. და რუსეთში სარაფანოვკაიაში, შელკოვკაიაში და ალექსანდროვკაიაში (სტანციებია), სადაც „ჩაკრული“, „სუფრული“, „ალილო“ და სხვა სიმღერები მშვენიერად შეუნახამს.

კანონი რო არა ყოფილიყო, ნუთუ ეს ძველი საგალობო ნიშნები, რომლებსაც ვხვდებით ხელთნაწერებში VIII-XII საუკ. გადანერილებს და არა დაწერილებს, არ ჰხატავენ იმ კანონებს, რომელთა მიუხედავად ვერცერთი მგალობელი, მცოდნე და არცა მოტრფიალე იმას ზურგს ვერ შეაქცევს და აქამომდე ეს წესი და კანონი გალობისა დაცულია მცოდნეთა მიერ და არა უვიცთა მიერ?

ქრისტეს შემდეგ, ჩემის ღრმა რწმენით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და პირველი ადგილი ჰქონდა დაჭერილი გალობასა და სიმღერასა ქართველი ერის ცხოვრებაში და მათ წოდებრივ ურთიერთობაში, ჭირში, ლხინში და გაჭირვებაში ერთი იყვნენ და მტერი მაშინა სძლევდა ხოლმე ქართველთა, როდესაც მათ ერთიანობას გასტეხდა ხოლმე. თავისს სიმღერებშიაც სწორედ ამასა ჰხატავდა ქართველი ერი, დროის შესაფერათ და გარემოების მიხედვით.

ავიღოთ „ბატონების სიმღერა“, ძეობის დროს, ნათლობისა და ქორწინების დროს; დიდ-მარხვის დროს არავითარ სიმღერას არ იტყვიან, გარნა წლისთავზედ, წელიწადი შესრულდებოდა გარდაცვალებისა დღიდგან, ოჯახს ახსნიდნენ, მეორეთ შესანდობარს დალევდა სახლის მოძღვარი, შესაფერს დარიგებას ეტყოდა, მიირთმევდა დანაშთენსა სადღეგრძელოს და დაიძახებდა ხოლმე ისევე „სუფრულს“.

პროფ. კორეშჩენკომ დადებითად დაამტკიცა გავლენა ქართულისა „სპარსულ-არაბულ“ ბაიათებზეც, მუხლებიც კი გამოსწერა და უჩვენა „ეს ქართულია და არა სპარსული თუ არაბულიო.“

დეკ. ვას. გრიგ. კარბელაშვილი

თეატრი და მუსიკა

სასულიერო კონცერტი. პარასკევს, მაისის 16-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ახლადდანიერილი ლიტურღია, მუსიკა დ. არაყიშვილისა. ამ კომპოზიტორის ქართული ოპერა უკვე ჩვენმა საზოგადოებამ მოისმინა და ღირსეულად დააფასა. დ. არაყიშვილი პირველი მერცხალია ქართული ოპერისა და რა თქმა უნდა, ჩვენ დიდის სურვილით ველით ამ კონცერტს და იმას თუ რამდენად ტიპიურად და ხელოვნურად არის დანიერილი ქართული ლიტურღია.

დ. ი. არაყიშვილის ახალი ლიტურღია

„კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდა“.
ხალხ. ანდაზა

ვიღებ კალამს ხელში და, შეიძლება ზოგს დაგვიანებულიც ეგონოს, მაგრამ ჩემის სურვილის წინააღმდეგ მინდა ჩემი გაკვირვება გამოვთქვა იმ აურზაურის და მითქმა-მოთქმის შესახებ, რომელიც მოხდა ცნობილი კომპ. დ. არაყიშვილის სასულიერო კონცერტის გამართვის შემდეგ. ვამბობ ჩემი სურვილის წინააღმდეგ მეთქი მიტომ, რომ ახალ საქმეს და „ახალ ლიტურღიას“, როგორც თვით ამ კონცერტის სათაურში სწერია, კარგად დაკვირვება სჭირია, ახლო გაცნობა და შესწავლა ახალი ნაწარმოებისა და მერე მისი სამართლიანი მსჯავრის დადება. ეხლა, როდესაც ბ. არაყიშვილის „ახალი ლიტურღიის“ პარტიტურა წინ მიდევს და ვაკვირდები, ვარჩევ და განმეორებით ყურს ვუგდებ როიალს, რომელიც უტყუარად გადმოგვცემს ავტორის ქმნილებას, მაკვირვებს ზოგიერთების ბრაზმორეული ლაპარაკი. რა მოხდა ბატონებო? რას უწუნებთ ბ. დ. არაყიშვილს?

მუსიკის კანონების უცოდინარობას, თუ შემოქმედებითი ნიჭის უქონლობას? ერთზედაც და მეორეზედაც მე ვგონებ მისი „ლიტურღიის“ დამწუნებლები უარს არ იტყვიან, მაგრამ ვიცი ამას მეტყვიან გაჯავრებული: გაიგონე კაცო! ნამდვილი ქართული ეკლესიური კილოები არ არისო. შეიძლება მეც ზოგიერთ საგალობლების შესახებ დაგთანხმდეთ, მაგრამ მე მიგითითებთ თვით ამ სასულიერო კონცერტის პროგრამის სათაურზედ: „პროგრამა უმთავრესი ნომრისა დ. ი. არაყიშვილის ახალი ლიტურღიისა“.

აქ დიდი წერტილი ზის და ამის იქით უკვე აღარაფრის წაკითხვა აღარ შეიძლება. ბ. დ. არაყიშვილს რომ თავის ნაწარმოებზედ დაენერა ნამდვილ ეროვნულ კილოზედ დანიერი ლიტურღიააო ან ისე როგორც მეორე პატივც. კომპ. ზ. ფალიაშვილმა დაანერა მისგან დანიერილ ნაშრომს: „ქართული (ქართლ-კახური კილო) საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესიან“, მაშინ სხვანაირ კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გაგვეტარებინა. მაგრამ ახლა რას ერჩით! ბ. არაყიშვილი ხომ არ გეუბნებათ რომ ქართული საეკლესიო კილო მთლად ხელუხლებლად დაცულიაო. ნაიკითხეთ პროგრამა სათაური. ახირებულა, ღმერთმანი, ამ თავისუფლების ხანაში, კომპოზიტორს აუკრძალო თავისუფლად წერა და მის შემოქმედებით ნიჭს ყადაღა დაადო. ჯერ იქავე კონცერტზედ პირველ განყოფილების შემდეგ ბევრი

მკითხავდა ჩემ აზრს ახალ საგალობლების შესახებ და რომ გათავდა, მაშინ ხომ კითხვები დაუსრულებელი იყო. ერთმა პატივცემულმა ქართ. მოღვაწემ ხალხში ასე მომმართა: „ჩემის აზრით ამ კონცერტის ნოტები უნდა დავხიოთო, მხოლოდ მე ვიცი ეხლა შენ გაიტრუნებო და მე კი მინდა უეჭველად შენი აზრი პრესის საშუალებით გამოამჟღავნოვო“. ზოგმა კი, ბატონებო, უსახელო წერილებიც კი მომწერეს, გაგონილა! რა მოხდა ხალხნო! ილუპება საქართველო? ღმერთმა დაიფაროს!

კარგად დააკვირდით ნაშრომს, მოისმინეთ იგი არაერთხელ, დიდი გუნდისაგან კარგად შესრულებული და ზოგიერთები ქართულობას თუ დაუნუნებთ, დასახევად ხომ მაინც აღარ გაიმეტებთ.

მართალია, მე წინადაც და ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენი მამა-პაპათაგან სამ ხმად შეთხზული სასოებით სავსე საგალობლები უეჭველად უნდა ხელუხლებლივ დაიბეჭდოს, რომ არ დაგვეკარგოს და მსურველს ეხლა თუ შემდეგ, ქართველს თუ უცხოელს შეძლება ჰქონდეს, როდესაც იგი მოისურვებს გაეცნოს ნამდვილ ჩვენ ქართულ ეკლესიურ საგალობლებს; მე ვგონებ არც ერთი კომპოზიტორი ამისი წინააღმდეგი არ იქნება, მაგრამ აკრძალვა და გაკიცხვა თავისუფალ შემოქმედებისა ჰანგათა სფეროში თუ სხვა რომელიმე დარგში – საოცარია.

ზ. ჩხიკვაძე

587. სახალხო საქმე, 1919, 17 ივნისი, №551

თეატრი და ცხოვრება სახალხო სიმღერა-გალობის კურსები

მომღერალ-მგალობელთა სახალხო გუნდი მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით ამ ზაფხულსაც სისტემატიურად მართავს სახალხო სიმღერა-გალობის კურსებს; ყველას შეუძლიან ისწავლოს და გაეცნოს მშობლიურ კილოებს. სიმღერები და საგალობლები ისწავლება ადვილად, ზეპირგადმოცემით და ნოტებითაც. სახალხო მასწავლებლებისათვის, მოწაფეთა და ჯარისკაცთათვის შეღავათიანის პირობებით.

588. სახალხო საქმე, 1919, 1 ოქტომბერი, № 641, გვ. 4

პატარა საუბარი ხალხურ სიმღერასა და გალობაზე

დედამინის ზურგზე არსებობს მაზე(?) გარჩევა მიწისა და წყლისა; წყალშიაც მდინარისა და ტბისა; მიწაშიაც მთისა და მინდორ-ველისა, წყალი და ხმელეთი, მინდორი და მთა-გორაკი, ტყე და ტიალი წარმოადგენენ ერთ თაიგულს, რომელსაც ჩვენებურად „დედამინა“ ეწოდება. ამ დედამინის ზურგზე ცხოვრობს კაცობრიობა, კაცობრიობაში არსებობენ ერნი; ერში კი კაცი, რომელსაც ესაჭიროება სხვადასხვანაირი განვითარება სხვადასხვა დარგში.

სხვადასხვა ადგილში ცხოვრებამ წარმოშვა სხვადასხვაგვარი სახე კაცობრიობისა. ერი კაცისაგან განსხვავდება ისე, როგორც მიწა მიწისაგან, წყალი წყლისაგან. შემაერთებელი

თვისება პიროვნებას მეტი აქვს თავის ერთან, ვიდრე კაცობრიობასთან. ამ ერისაგან გამოაქვს მას თავისი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, სატირალი, სასაცილო, სამწუხარო, სასიამოვნო სასიმღერო კილო, აქ ძლება ის ტირილით და მწუხარებით და აქ იქარვებს ის ჯავრს და სიამოვნობას, და ეს თუ მუსიკაა, აქ ჩამოასხამს მისი მხიარულების სასმენს ფერს.

კაცობრიობის პატარა კუთხეში სხვადასხვა ერის შორის ქართველსაც აქვს, ჩემის აზრით, ადგილი და ეს იმისათვის აქვს, რომ მან თავისი განვითარება ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური წარმოშვა საკუთრად, განსხვავდა სახით, აზრით, მოქმედებით და ინიციატივით საკუთარ ცხოვრების პროცესში. და ეს ადგილი ჯერ თუ ცოტათი შეგვრჩენია, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ევროპის მთელში არ გავთქვეფილვართ. ხოლო, სამწუხაროდ, ნაწილი ჩვენი გადაგვარებულ ინტელიგენციისა აქედანაც გვიპირებენ გაძევებას. რა დააშავა ქართველმა ერმა თუ კი მან თავისი გალობა არ გააევროპიელა, არ გაათხზნოვანა და შეინარჩუნა საკუთარი? ის განა, რომ ევროპიულად განვითარებულს გემოვნებას სამხმოვანი გალობა ყორნის ჩხავილად ესმის და მომაკვდავ კაცის ხრიალად ეჩვენება?! განა საჭიროა ყველაფერი ის მოისპოს, რაც ევროპიელთ გემოვნებას უფუჭებს და რასაც ევროპიელნი ვერ შესთვისებიათ? იქნება ბევრს აღარ მოსწონს ჩვენი ენა – რომელ ენაზე ვილაპარაკოთ, რომ მათი გემოვნება არ გავაფუჭოთ? რა ვქნათ? გადავგვარდეთ არა? მოგახსენებთ, რაკი ჩვენი სული, ჩვენი ლხენა და ტირილი, ჩვენი ლოცვა და რისხვა, ჩვენი ეროვნული სამხმოვან სიმღერა გალობაშია, ჩვენი მამა-პაპულში და თანამედროვეში, ჩვენ იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ, რომ ეს სიმღერა და გალობა გავაევროპოთ და გავათხზნოვანოთ, არამედ, რომ შეგვრჩეს ჩვენი სახე, კილო სიმღერისა და გალობისა, საშუალება მხიარულებისა და მწუხარებისა – ხალხური სიმღერა და გალობა ძველებური, რომელზედაც ჩვენ თავისუფლად ჩამოვაფრქვევთ ცრემლებს მწუხარებისას და სიხარულისას.

ჩვენი მდებარეობა, ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი მოსაწონი და დასაწონი მხარენი აქ არის ჩამარხული და ეს უნდა გვქონდეს ჩვენ, რადგანაც ჩვენა გვაქვს და მხოლოდ მით ვგრძნობთ და ვაგრძნობინებთ თავსაც და სხვასაც. ეს საკუთარი კლიტა ჩვენი სულისა და დავკარგავთ რა მას, სხვა ჩვენთვის არ გაიჭედება და სხვისი კლიტის მოიმედე მშრალზე დავრჩებით.

შ[ოთა] რ[უსთაველი] ამბობს: „ჩემი ჩემებრ არვინ უწყის რა მამნარებს, რა მატკბუნებსო“. ჭეშმარიტად – ვინც დააკვირდება თავის თავს და თავისი ერის ზნესა და ჩვეულებას, იმისთვის ადვილია ზემო ბრძნული უკვდავი პოეტის სიტყვები.

და თუ მართლა უფრო საკუთარს ტკივილებს – მწუხარებას და სიხარულს მეტად ვიგრძნობთ, მაშ ვეცადოთ, რომ აღვადგინოთ ჩვენი მკვდარი თავისი სახით, თორემ სხვისი სახით შენ მკვდარს შენ ვერ იცნობ და ვერც ის გიცნობს. გავაცოცხლოთ, რომ გავაცოცხლოს თავისივე სახით, რომ ის ჩვენ ვიცნოთ და ჩანვდეს რა ჩვენს გულში, აღადგინოს მან ჩვენში მიყუჩული და მიძინებული გრძნობანი.

გავაცოცხლოთ, რომ გავაცოცხლოს. საჭირო გაითხზნოვანება კი არ არის, არამედ სამხმოვანის აღდგენა, ნოტებზე გადაღება და გამშვენიერება მისი.

ძუკუ ლოლუა

589. სახალხო საქმე, 1919, 11 ოქტომბერი, № 650, გვ. 4

ლევან მულალაშვილი და მისი მომღერალი გუნდი

დროთა განმავლობაში ჩვენ ქართველებმა ბევრი სიმღერა დავკარგეთ, ეროვნული კილო მივივიწყეთ და მხოლოდ ეხლა იწყება მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებული მისი კვლევა-ძიება.

ბევრჯერ მოგვისმენია სხვადასხვა სიმღერა ქალაქებში, მაგრამ ყოველთვის უკმაყოფილებას იწვევს გრძნობა იმისი, რომ ეს, რაც მოვისმინეთ, მშობლიურ ჰანგზე შორსა სდგას და უნდა იყოს სადღაც ის შენახული, უმნიკვლო, სუფთა და ფაქიზი.

ეს ჰანგები კი უმთავრესად ხალხშია, სოფელში შენახული. მისი სადგური გლეხის გულია, რასაც სიმღერების წარმოშობის ისტორიაც გვიმტკიცებს.

სოფელ გურჯაანის დიაკვანი ლევან მულალაშვილი ერთ იმ პირთაგანს ეკუთვნის, რომელსაც მიზნად დაუსახავს ეროვნულ კილო-ჰანგების დაცვა-შენახვა.

აგერ, 15 წელი იქნება, რაც ეს კაცი სოფ. გურჯაანში შეუდგა ამ საქმეს და მას შემდეგ მუდმივი გუნდი ჰყავს, საეკლესიოც და საეროვნოც.

ვისაც ჰსურს ნამდვილი ეროვნული კილო გაიგოს, მულალაშვილის გუნდი სავსებით დააკმაყოფილებს. გრძნობით აღსავსეა მისი კახური ორნაირი „სუფრული“, „გრძელი და მოკლე ჩაკრულა“, „შავლეგო“, „დიამბეგი“, „ალილო“, „მუშური“ და მრავალი სხვა.

აქვს მულალაშვილს საკუთარი ნაწარმოებებიც, როგორცაა მაგალითად, დინჯი და ზღვა-სავით ღრმა „ალავერდის ტაძარი“, აკორდებით სავსე „სამშობლო“. სხვადასხვა კილოების ხლართულია „ქალი ვნახე ფენშიშველა“, მხიარული „ჰერი, ჰერი“ და რამდენიმე სხვა.

მისი გუნდი რამდენჯერმე იყო მინვეული სიღნაღის და თელავის სხვადასხვა სოფლებში და ყველგან აღტაცება გამოიწვია.

სამუსიკო საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ ამ გუნდს და სრული იმედი გვაქვს, რომ ლევან მულალაშვილს ტფილისში გაიწვევს თავის გუნდით, მომავალ სეზონში რამდენიმე კონცერტის დასადგმელად. მართალია, არტისტული, დამუშავებული ხმები ამ გუნდს არა ჰყავს, მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით, ბუნებრიობა ეროვნული კილოებისა და ასრულების სიმწკრივე მსმენელზე დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს და ჩვენს ხალხს, საერთოდ და ინტელიგენციას კერძოდ, – ეროვნულ სიმღერებისადმი დიდს ინტერესს გაუღვიძებს.

გვგონია, ამ გუნდის მისაწვევად გადადებული თანხა დიდს სარგებლობას მოიტანს, მით უფრო, რომ ეს საქმე ტეხნიკურად ადვილად მოსახერხებელია და ჩვენს კომპოზიტორებს აუარებელ მასალას მისცემს ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარების საქმეში.

დავ. კარბელაშვილი

1920

590. თეატრი და ცხოვრება, 1920, 7 მარტი, №9, გვ. 14

სახალხო მომღერალ-მგალობელთა შესახებ

ვინ არ იცის, რა ღვაწლი მიუძღვით ერისა და ეკლესიის წინაშე სახ. მომღ. მგალობლებს. მხოლოდ მათი შემწეობით ინახებოდა სახალხო კილო, და თუმცა შემდეგ იგი ყოველმხრივ მიივიწყეს, მაინც, მისი მუშაკნი, მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა და დაუფასებლობისა, ერთგულად ეწევიან შრომას. ჯერ კიდევ რუსის მთავრობის დროს, როდესაც სდევნიდნენ ქართულ წირვა-გალობას, სახელმწიფო ხარჯით ინახებოდა რუსის მგალობელთა გუნდები, დათმობილი ჰქონდათ მთავარი ადგილი, მეტადრე რაიმე დღესასწაულის დროს და სწორედ

ამ დროს სამი-ოთხი ქართველი მაგალობელი დიდის თხოვნით მიმართავდა რუს ლოტბარს, რათა მას ნება დაერთო რამდენიმე მუხლის ქართულ ენაზე შესრულებისა. რა თქმა უნდა, აუნერვლია ის გრძნობა, რასაც იმ დროს, რუსულ წირვის დროს ქართველი საზოგადოება ისმენდა თავის ენაზე რამდენიმე საგალობელს.

აი, სწორედ ამ დროს არსდებოდა ქართ. მომლ. მაგალ. გუნდები თითო-ოროლა ლოტბარის ხელმძღვანელობით, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ როგორც ფულის, ისევე უბინაობის მხრივაც. არ ჰქონდათ სახსარი მოენვიათ ხალხური სიმღერის კარგი მცოდნენი და შემსრულებელნი. მრავალი საუკეთესო ხმა და სიმღერა უპატრონობით მიტოვებული იყო.

სამწუხაროდ, ეს პირობები დღესაც არ გაუმჯობესებულა. დღესაც ისევე არიან დაქსაქსულები, როგორც აქნობამდე იყვნენ. შეიძლება იმიტომ არიან უყურადღებოდ მიტოვებულნი, რომ ალბათ ჰგონიათ, სახალხო მომლ. მაგალობელთა დანიშნულება არას ნარმოადგენსო. მაგრამ ეს დიდი შემცდარი აზრია.

შესაძლებელია, პირველი დანაშაული თვით სახალხო მომღერლებსაც მიუძღოდეთ. თითქმის ყველა დარგის ხელოვანთ, მსახიობთ, მუსიკოსთ, მწერალთ და სხვ. აქვთ თავიანთი კავშირი, სადაც შეუძლიანთ თავიანთი ჭირ-ვარამი ერთი მეორეს გაუზიარონ. მაგრამ სახალხო მომღერლებს ვერ იქმნა და ვერ ეღირსათ ერთად შეკავშირება; გრძნობდნენ აშკარად, რომ ყოველი მათგანი დიდ გაჭირვებას განიცდის ცალკე მუშაობით და მიუხედავად ამისა, ოდნავაც არ ცდილან საქმის გაუმჯობესებაზე. შეიძლება ითქვას, რომ უფრო შურია გამეფებული მათ შორის, ნაცვლად მეგობრული განწყობილებისა. მაგრამ ეტყობა უკვე იცვლება პირობები. ნამდვილად ვიცი, რომ სწარმოებს მოლაპარაკება წმ. სახალხო მომღერალ-მაგალობელთა საზოგადოების დაარსებისა. რა თქმა უნდა, ყოველი ქართველი კაცი სიხარულით უნდა შეეგებოს ამ საქმეს. ვისურვოთ, რომ თვით მომლ. ლოტბარებსაც კერძო ინტერესები დაევიწყებინათ და დროით შეერთებულიყვნენ ერთ ჭერქვეშ.

სახ. მომლ. მაგალობელთა გუნდის ლოტბარი ა. მაისურაძე

591. საქართველი, 1920, 5 სექტემბერი, №92, გვ. 4

ქართული საეკლესიო გალობის შერყვნა

დღიდგან საქართველოს განთავისუფლებისა, არაერთხელ მომისმენია ქართული გალობა ქვაშვეთში, სამხედრო ტაძარში და ამ თვის 27, 28 და 29 კი სიონში და ანჩისხატში. სადღა არის ის ძველი, ტკბილი, სულისა და გულის აღმაფრთოვანებელი ლალადისი? აზმენილ (?) გალობა როგორც მე მოვისმინე, სრული უვიცობაა გალობისა, საეკლესიო წესისა (ტიბიკონით) მაგალობელთა და მკითხველთა მიერ, რომელიც არ თქმულა და არც გაგონილა არაბების და სელჯუკების დროსაც. ასეთი ყვირილი, რაიც ხშირად ღრიალზე გადადის, ქართულ გალობამ არ უწყის, საქართველოს ეკლესია არ ინყნარებდა ყვირილსა; თვით მთავარდიაკონსაც არ შეეძლო ზედმეტის მაღალი ხმით ეთქვა რაიმე, არათუ ეგალობა, და აი, ეხლა, ამ განთავისუფლების ხანაში მესმის უცხო ხმა. რათ? რისთვის?

ბრძოლა წინათაც გვიხდებოდა ამ ნიადაგზე, მაგრამ რუსების დროს უფრო კარგ პირობებში ვიყავით: ისინი როდესაც გვეუბნებოდნენ, რუსულ გალობას ქართული ტექსტი მიუნერეთო, ჩვენ ბრძოლას ვუცხდებდით. დღესვე(?) ეს საშუალებაც მოსპობილი გვაქვს.

განახლებულ საქართველოს ეკლესიას დაჰპატრონებიან ბ. ფოცხვერაშვილი, დანოვსკი და მათი კომპ[ოზიციები] და „ტონდესპოტისპოლებს“ (?) ბარტნიანსკისას ისევე ასრულებენ ქართულად, როგორც ჟებინოვი და აპოლონ ცამციევი 1867-70 წ. ევსევიის დროს ნირვაზედ. განახლებულმა ეკლესიამ, განახლებულ-აღდგენილ საეკლესიო იერარქიით, განამხოლოდ ძველი კულტურის ნაშლას უნდა მოანდომოს მთელი თავისი განახლებული ძალღონე?! ნეტავ ესმოდეთ მაინც რას გალობენ; ვაი, სირცხვილო! საქმე ისაა, რომ არცა სცდილობენ შეისწავლონ ჩვენი გალობა. ახლა, როგორც ურევენ ერთმანეთში საგალობლებს: რაც პირველ ხმაზე უნდა ითქვას ან მეორეზე. გალობენ მეოთხეზე ან მერვეზე. ბ. ფოცხვერაშვილი მეორე ხმის ოხითას გალობს მერვე ხმაზე, სამწუხრო გადბირზე (?) და მეორეს ხმის „ღმერთი უფალი“ გალობს მეოთხე ხმაზე. ბ. დანოვსკი მეოთხე ხმის ოხითას გალობს ხმაზე. სიონში „ვნატრის“ კილოს გალობენ მერვე ხმაზედ, კათალიკოზის ღვთისმსახურების დროს. ბ. ფოცხვერაშვილი კათალიკოზის შემოსვლაზე აგალობებს „შენ ხარ ვენახი“ და სხვ. ჩვენს ეკლესიას ძველადგანვე ჰქონია წესათ მის (კათალ. ეპისკ.) შემოსვაზე „იხარებს სული შენი“!

ვერავინ იტყვის, რომ ეს კილო მოხდენილი[ი] და საამო ქართული არ იყოს. მაშ რა დაგვემართა, რომ „შენ ხარ ვენახს“ ვერ წაუვადით? ეს ტიბიკონის წინააღმდეგია. მეცხრე სძლისპირებზე ნულარას ვიტყვით – დიდი კვერექსი „უფალო შეგვიწყალო“-ის კილოს დაცვით იგალობეს, ოთხ ხმაზე. განა რა უშავს. თუ მაინცდა მაინც აღარ დაუშლიათ, რომ ასეთივე (?) გადააკეთონ სხვა საგალობლებიც კილოს დაცვით? ბ. არაყიშვილმაც სცადა სრულიად ახალი ლიტურდია შემოელო და შესთხზა კიდევ, მაგრამ რა ქნა? ის დიდებული თხზულება დიდებული კომპოზიტორისა, ყველას ეხსომება, რომ ორჯელ-სამჯერ თეატრში და ერთხელ სიონში განმეორების შემდეგ ამ ლიტურდიამ ჩვენს ეკლესიაში ნიადაგი ვერ მოიპოვა. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ქართული გალობა ქართულს ნიადაგზე უნდა განვითარდეს.

მე, ჩემის მხრივ, ძმებით და ძმისწულებით, რომელნიც (ძმები) შეგნებით ვანარმოებთ ამ საქმეს 1867-ნი (?), პროტესტს ვაცხადებთ და ამგვარ მათ საქციელს ვუნოდებ ბარბაროსობას, ჯალათობას, მოღალატეობას და გამცემლობას! ჩვენ, ჩვენი კილოები გვაქვს და ნუ გვირყვნიან! სლაჯური გალობა სულ სხვა[ა] და ქართულ გალობას ვერ დაენათესავება ვერასოდეს. ამასთანავე, ჩემ მიერ დაბეჭდილ და გამომზევებული კილოების შერყვნისათვის დამნაშავეებს პასუხისგებაში მივსცემთ და მოვითხოვთ ამ უფლების შეწყნარებას ყველასგან.

ვსთხოვ ყველა ქართულ-რუსულ რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი

592. საქართველო, 1920, 9 ოქტომბერი, №117, გვ. 4

საქართველოს საეკლესიო გალობა

ქართული საქრისტიანო კულტურა ისეთი სივრცეგანუზომელი და დიადი რამაა, რომ ღირსია უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული კათედრები არსებობდნენ ამ კულტურის შესასწავლად! ფასდაუდებელი რამ განძია იგი და იმით სამართლიანად იამაყებდა ყოველი განათლებული ერი! და ჩვენთვის ეს კულტურა იმდენად მრავალმნიშვნელოვანი და დიადია, რომ ვთქვათ, ის რომ ამოიშალოს ჩვენ ისტორიიდან, იქ აღარაფერი დარჩებოდა! გულდასაწყვეტია ბევრი რომ დავკარგეთ ამ ძვირფასი განძიდან. რაც გადარჩა და ჩვენამდე

მოაღწია, იმას უნდა შეველა და მოვლა! ამ მხრივ დიდს შრომას ეწევა ჩვენი საისტორიო საზოგადოება. დიადა ამ საზოგადოების ღვაწლი და მისი სამოქმედო ასპარეზიც ვრცელია, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ამჟამად ერთ რასამზე მივუთითოთ. დარწმუნებული ვარ, რომ არც ეს „ერთი რამე“ დაგინწყნიათ ჩვენს მკვლევართ, მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიტყვი. მე მოგახსენებთ ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ.

სპეციალისტები ამონებენ თუ როგორი მაღალი ღირსებისაა ეს გალობა. ჩვენს ქვეყანაში ამ დარგს თავისი გულშემატკივარი ჰყავდა და, ღვთის მადლით, ახლაც არიან ასეთები, მაგრამ ნივთიერი საშუალება არც ერთს მათგანს ხელს არ უწყობს თავისი გულშემატკივრობა ამ საქმისადმი ღირსეულად დააგვირგვინოს. ვის არ ახსოვს სასონარკვეთილი მონოდებანი ამ საქმის გამო ძმათა კარბელაშვილებისა, დეკ. რაჟდენ ხუნდაძისა და სხვათა, მაგრამ მათი ხმა დღემდე რჩება ხმად მღალადებლისად უდაბნოსა შინა! არ მოგვეტევება ასეთი უგულობა! იკარგება და ისპობა დიდი კულტურული განძი! ბევრი რამაა დასაწერი და მცოდნეები, ზოგი გარდაიცვალა უკვე, ვინც კიდევ დარჩა – ყურადღებას არავინ აქცევს! აი, ეხლაც გელათის მონასტერში ცხოვრობს ბერი ევთიმე კერესელიძე, რომელსაც სიყმანვილითვე ამ საქმის დიდი სიყვარული ჰქონია, და მერე იცით, ამ სიყვარულს რა განძი შეუკრებია და დაუნერია?! გამოჩენილ მაგალობელთაგან – დ. ჭალაგანიძის, ანტ. დუმბაძის, რაჟდ. ხუნდაძის, კანდელაკებისა და სხვებისაგან გადმოცემული 27 დიდტანიანი ნიგნი აქვს დაწერილი, ზოგი ცალ ხმაზე, ზოგიც განწყობილი სამ ხმათ! მ. ევთიმეს იქ შეუკრებია 9500 სხვადასხვა საგალობელი, რვა ხმანი, სამწუხრო-საცისკროები. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ქართველ წმინდათა ტროპარ-კონდაკები და მთელი საგალობლები გამართული! ეს, ამდენი განძი უწყვია მ. ევთიმეს, დასტრიალებს მას თავზე და ელის ვის? ყველას, ვისაც გული შესტკივა და რათმე უღირს ქართული კულტურა და მამათა ღვაწლი! ქართული საისტორიო საზოგადოება, საქართველოს საკათალიკოზო, კერძო შეძლებული პირები, დამფუძნებელი კრება, საქართველოს მთავრობა... „არ ვიცი, კიდევ უნდა მივმართო!“ – შემომჩივლა ამას წინათ მ. ევთიმემ. მიიღეთ ეს განძი, დაბეჭდეთ, იბრუნეთ მისთვის, რომ არ დაიღუპოს, თქვენი სახელიც ადიდეთ და სამშობლოცაო!

ნეტავი თუ ვინმე გამოჩნდება, რომ შეისმინოს ამ ჩვენი თანამედროვე მიქაელ მოდრეკილისა!

დ. ო-ძე [დომენტი ოყრეშიძე]

593. საქართველო, 1920, 16 ოქტომბერი, №123, გვ. 3

მცხეთობა

ღამის თევა

სვეტიცხოვლის ისტორიული ტაძრის დღესასწაულმა 14 ღვინობისთვეს (1 ღვინობისთვეს ძვ. სტ.) ტრადიციული ადათი არც წელს დაარღვია.

[...]

შემდეგ ამისა დაიწყო სადღესასწაულო წირვა. მწირველი ბრძანდებოდა კათალიკოსი, დეკ. ცინცაძე და სოფლიდან ჩამოსული სამღვდელოების თანამწირველობით. წირვაზე ძველ ქართულ საეკლესიო კილოზე გალობდნენ გუნდი, მ. ხახუტაშვილისა და დავითაშვილის მონაწილეობით. წირვაზე კათალიკოსის მიერ დაჯილდოებულ იქმნა ენქერით დეკ.

კონტრიქე. წირვის შემდეგ კათალიკოსმა შემოსილ სამღვდელოების და მლოცველთა თანხლებით ლიტანიით შემოუარა ტაძარს სამგზის და შემდეგ აღზევებულ ხალხს მეტად მხურვალე პატრიოტულ, ძველქართულ, გზნებით აღსავსე სიტყვით მიჰმართა.

[...]

ს. დ. პ.

1921

594. სახალხო საქმე, 1921, 14 იანვარი,

* * *

მგალობელთა გუნდი შესდგა თბილისის მილიციონერთაგან გრ. სოლომონოვის თაოსნობით. გუნდის ლოტბარად მონვეულია სახელგანთქმული ლოტბარი მელქისედეგ ნაკაშიძე. გუნდი ჩაენერა ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირში.

595. სახალხო საქმე, 1921, №1051. 12 თებერვალი,

ახალი ამბები

სახალხო სიმღერა-გალობის კურსები ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა პარასკევს, თებერვლის 18, ხსნის სახალხო სიმღერა-გალობის პრაქტიკულ კურსებს მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით ბავშვთა და მოზრდილ ქალ-ვაჟთა მუდმივ გუნდების დასაარსებლად. მეცადინეობა იწარმოებს კვირის ორჯელ, ოთხშაბათობით და პარასკევობით. სწავლა იქნება ბავშვებისათვის 4-5 საათამდე, მოზრდილთათვის 5-6 საათ. მიღება და ჩაწერა ყოველდღე სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში 6 საათ. ბავშვების ჩაწერა მშობლების ნებართვით. კურსები გაიხსნება პარასკევს, 11 თებერვალს.

პერიოდიკის საძიებელი

ჟურ. „განათლება“ – 435, 492.

გაზ. „დროება“ – 5, 7, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 21, 22, 23, 24, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 50, 52, 54, 55, 56, 57, 58, 59, 61, 63, 64, 66, 67, 68, 71, 76, 78, 80, 84, 85, 409, 411, 412, 413, 414, 418, 419.

გაზ. „თეატრი“ – 76.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ – 498, 500, 501, 502, 503, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 519, 521, 522, 523, 524, 527, 529, 530, 533, 537, 539, 540, 545, 546, 551, 552, 553, 554, 556, 558, 560, 563, 565, 566, 570, 571, 573, 574, 575, 576, 577, 580, 583, 590.

გაზ. „თემი“ – 489.

ჟურ. „ივერია“ – 6, 8, 18, 20, 25, 26, 732.

გაზ. „ივერია“ – 87, 89, 90, 92, 93, 95, 96, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 106, 107, 109, 110, 111, 112, 113, 114, 116, 119, 120, 121, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 135, 138, 140, 141, 142, 143, 144, 145, 147, 148, 150, 151, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 186, 187, 189, 190, 191, 193, 194, 195, 196, 197, 198, 201, 202, 203, 204, 205, 208, 209, 211, 212, 213, 216, 222, 223, 224, 226, 227, 229, 236, 237, 238, 241, 244, 245, 247, 249, 251, 255, 258, 271, 272, 274, 275, 276, 277, 280, 282, 283, 284, 285, 288, 289, 292, 295, 298, 299, 301, 303, 307, 308, 309, 310, 316, 318, 322, 323, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 336, 337, 340, 341, 342, 345, 346, 347, 353, 354, 355, 357, 361, 362, 364, 367, 368, 369, 371, 372, 373, 375, 376, 377, 378, 381, 382, 383, 385, 386, 387, 388, 390, 391, 392, 393, 394, 395.

გაზ. „იმედი“ – 44.

გაზ. „ისარი“ – 400, 401, 402, 403, 404, 406.

ჟურ. „კვალი“ – 165, 177, 185, 188, 192, 199, 206, 207, 210, 214, 217, 219, 221, 259, 311, 321, 324, 334, 335, 339.

გაზ. „კლდე“ – 486, 487.

გაზ. „მომამბე“ – 200, 218, 379.

გაზ. „მოგზაური“ – 384, 389, 396, 397.

ჟურ. „მწყემსი“ – 60, 62, 69, 70, 72, 74, 75, 77, 79, 81, 82, 83, 86, 88, 91, 94, 105, 108, 115, 117, 118, 122, 134, 136, 137, 138, 139, 146, 149, 152, 220, 225, 228, 230, 232, 260, 290, 293, 320, 333, 348, 349, 350, 356, 359, 360, 405, 407, 430, 433.

ჟურ. „ოქროს ვერძი“ – 4885.

გაზ. „საქართველო“ – 525, 528, 531, 532, 535, 536, 538, 541, 542, 543, 544, 547, 548, 550, 555, 557, 559, 561, 562, 564, 567, 568, 569, 572, 581, 582, 584, 592, 593.

გაზ. „სახალხო გაზეთი“ – 415, 424, 426, 427, 428, 429, 431, 432, 433, 434, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 445, 446, 449, 451, 454, 455, 456, 457, 459, 460, 462, 463, 464, 465, 466, 467, 471, 472, 481, 483, 490, 491, 493, 494, 495, 497, 534.

გაზ. „სახალხო საქმე“ – 585, 586, 587, 588, 589, 595, 595.

გაზ. „სახალხო ფურცელი“ – 499, 504, 505, 517, 518, 520, 526, 549.

ჟურ. „ფასკუნჯი“ – 410.

ჟურ. „შინაური საქმეები“ – 408, 416, 417, 420, 421, 422, 423, 425, 444, 447, 448, 450, 452, 453, 458, 461, 468, 469, 470, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 482, 484, 485, 496.

გაზ. „შრომა“ – 49, 51, 53.

ჟურ. „ცისკარი“ – 1, 2, 3, 4.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ – 231, 233, 234, 235, 239, 240, 242, 243, 246, 248, 250, 252, 253, 254, 256, 257, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 273, 278, 279, 281, 286, 287, 291, 294, 296, 297, 300, 302, 304, 305, 306, 312, 313, 314, 315, 317, 319, 338, 343, 344, 351, 352, 358, 363, 365, 366, 370, 374, 380.

ჟურ. „ჯვარი ვზისა“ – 398, 399.

პირთა საძიებელი

- ა
- ა. ს. ბ-შვილი (ბენაშვილი ანდრია) – 134.
- აბაკელია გრიგოლ – 460.
- აბაშიძე ილიკო – 232, 443, 579.
- აბბაკუმოვი ს. ტ. – 388.
- აბესაძე იასონ, მღვდელი – 484.
- აბრაამ არქიმანდრიტი – 28, 31.
- აგრენევ-სლავიანსკი დიმიტრი – 498.
- ავალიანი ვლადიმირ – 275.
- ავერკიევი ბ. – 484.
- ალ. ძ. – 35.
- ალადაშვილები – 481.
- ალადაშვილი ს., მღვდელი – 534.
- ალბოვსკი – 449, 451.
- ალეგრი – 382.
- ალექსანდრე ეპისკოპოსი – 5, 7, 13, 14, 17, 18, 19, 20, 25, 26, 32, 33, 35, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 48, 52, 67, 74, 76, 77, 80, 81, 84, 86, 89, 92, 93, 94, 100, 114, 115, 120, 121, 127, 129, 140, 149, 151, 171, 173, 206, 211, 213, 214, 218, 234, 303, 312, 314, 332, 347, 429, 461, 469, 474.
- ალექსანდრე ბერი – 206.
- ალექსანდრე მაკედონელი – 347.
- ალექსი ეგზარხოსი – 343, 369.
- ალიხანოვი – 45.
- ალშიბაია კონ. – 240.
- ამბროსი არქიმანდრიტი – 531.
- ამბროსი ნეკრესელი – 364.
- ამერ-იმერელი – 109, 163.
- ამირაჯიბი მიხაილ – 28, 472.
- ამირაჯიბისა ს. ვ. – 201.
- ამირეჯიბი მ. ქ. – 297.
- ანა (მეფე ერეკლეს პირველი მეუღლე) – 347.
- ანდ. იაგ. – 75.
- ანდრია კრიტელი – 494, 562.
- ანდრია მოციქული – 567, 570.
- ანდრონიკაშვილი ი. ზ. – 205.
- ანდრონიკაშვილი კოტე (კახელი) – 245, 251.
- ანდრონიკოვი იასე – 28.
- ანდრონიკოვი მიხაილ – 28.
- ანთაძე, ეპისკოპოსი – 40.
- ანთაძე გერასიმე – 47.
- ანთაძე გიორგი – 47.
- ანთაძე კოტე (კოტე გრძელი) – 382, 383, 580.
- ანთაძე ოთარ – 47.
- ანთაძეები (ძმანი) — 309.
- ანტონ პირველი კათალიკოსი – 347.
- ანტონ ჭყონდიდელი – 364.
- ანტონი, არქიმანდრიტი – 428.
- ანტონი, ეპისკოპოსი – 348, 504, 518, 525, 526, 527, 528, 531, 552, 557, 570, 583.
- ანტონი, კათალიკოსი – 47, 321.
- ანჩბატელი (პეტრე უმიკაშვილი) – 45, 46, 47, 48, 49, 50, 54.
- ანჯაფარიძე ნეს. – 176.
- აპ-ნ ჭა-ლი – 167.
- არაგველი (დავით კეხელი) – 8, 18, 25, 43.
- არაყიშვილი დიმიტრი – 351, 354, 362, 377, 387, 402, 432, 435, 438, 440, 441, 443, 499, 503, 554, 585, 586, 591.
- აროშიძე დავით (დ. ა.) – 405.
- არსენ დაყუდებული – 470.
- არსენი ბულმანისის ძე კათალიკოსი – 256, 347, 348.
- არხანგელსკი – 422, 494.
- ასათიანი გ. დეკანოზი – 531.
- ასათიანი გ. მღვდელი — 281.
- ასათიანი თომა – 249.
- ასათიანი – 93, 94.
- ასლამაზიშვილი ნიკო – 570.
- ასო – 534.

ასოლიკი – 363.
აუშევი ვასილ (დიაკვანი) – 13, 32, 40.
აქაური – 270, 538.
ალათი ცომიას ასული – 496.
ალნაშვილი ვლადიმერ დიმიტრის ძე – 98, 104, 113, 114, 121, 136, 139, 253, 384, 418, 430, 432, 451, 498, 500, 563.

ახალშენიშვილი ივანე – 201.
ახვლედიანი სერაფიონ, არქიმანდრიტი – 478.
ახვლედიანი სოლომონ (მეგობარი) – 457.
ახუნდოვი დავით – 28.

ბ

ბ-ლი (პავლე ყიფიანი) – 260.
ბაგრატ IV – 87.
ბაგრატიონი თეკლა – 1.
ბაირონი – 96, 382.
ბაკურაძე, მღვდელი – 245.
ბაკურაძე, მთავარდიაკონი – 532.
ბა-ლაკირევი – 366.
ბალანჩივაძე ბ. – 226.
ბალანჩივაძე მელიტონ – 88, 91, 168, 226, 340, 432, 500, 554, 563, 576.
ბარათაშვილი დანიელ – 493.
ბარბინი – 321.
ბაქრაძე დიმიტრი – 329, 470, 513.
ბაქრაძე პავ. – 333.
ბაქრაძე საბა – 333.
ბალაშვილი, მედავითნე – 481.
ბახი – 96, 357.
ბეზურიშვილი გერონტი – 47.
ბეთჰოვენი – 96, 515.
ბენაშვილი (ბენაევი) ანდრია სიმონის ძე – 51, 53, 75, 85, 93, 94, 104, 106, 113, 130, 136, 137, 139, 156, 184, 191, 202, 203, 204, 227, 229, 234, 236, 241, 263, 271, 281, 283, 289, 292, 295, 296, 297, 321, 322, 323, 340, 392, 406, 501, 536, 562, 563, 569.

ბენაშვილი სიმონ, დეკანოზი – 392.
ბენიამინი – 422.
ბერიაშვილი ნ. თ. –
ბერიევი იოსებ – 4.
ბერიოზოვსკი – 562.
ბერიშვილი ნიკოლოზ – 87, 99, 101, 102, 104, 239, 301, 306, 532.
ბერიძე ა. ი. – 44.
ბერიძე ილია, მღვდელი – 28.
ბერიძე ნიკოლოზ (გურულ-მეგრელი) – 261.
ბერშტეინი – 508.
ბერძენიშვილი ეფ. – 176.
ბერძენიშვილი მიხეილ – 249.
ბერძენიშვილი მ., მღვდელი – 214.
ბერძენიშვილი ვარ. – 176.
ბესარიონ არქიმანდრიტი – 91.
ბესარიონ ეპისკოპოსი – 129, 170, 392.
ბესელი – 228.
ბზვანელი ლადო – 493.
ბიძინა არქიმანდრიტი – 10.
ბლ. მღ. დ. ლ-ძე (დავით ლამბაშიძე) – 81.
ბლიაძე – 1.
ბოგოსლოვინსკი – 343.
ბოლქვაძე მ. – 472.
ბორტნიანსკი – 362, 382, 556. 585..
ბოცვაძე ლ. – 125, 245, 247, 251, 317, 525.
ბოჭორაძე იოსებ – 286.
ბროსე მარი – 37, 469.
ბუაჩიძე მიხეილ, მღვდელი – 538.
ბუიძე დიმიტრი – 333.
ბურჭულაძე გ. – 559.
ბუჭყიევი კონსტანტინე – 28.

გ

გ.-ნ. – 429.
გ. ლ-ლი (გ. ლვინაშვილი) – 130.

გაბეხაძე იონა – 482, 484.
 გაბრიელ ბერი, გურული – 163.
 გაბრიელ ეპისკოპოსი – 5, 18, 88, 107, 108, 115, 118, 143, 165, 202, 203, 228, 237, 238, 261, 264, 284, 307, 382, 392, 405, 420, 421, 461, 478, 485, 536.
 გაგუა – 280.
 გაგუა ალექსანდრა – 460.
 გაგუნაშვილი – 249.
 გაიოზ მთავარეპისკოპოსი – 347, 348.
 გალობაშვილი – 378.
 გალობის ერთი მოყვარულთაგანი – 73, 162, 164, 187.
 გალობის მოყვარე – 275, 368.
 გალოგრე – 237.
 გალუპი – 562.
 გამრეკელი ალ. – 240.
 გარსიევი ზაქარია – 28.
 განერელია ლიუბა გიორგის ასული – 281.
 გეგენავა ფარნ. – 176.
 გეგეჭკორი – 163, 421.
 გედევანოვი ეგ. – 176.
 გელაძე – 160.
 გენადი არქიმანდრიტი – 283.
 გეორბელიძე ალექსი – 275.
 გერმანე ეპისკოპოსი – 206.
 გერმოგენი მღვდელმონაზონი – 213.
 გერონტი დიდი – 10, 19, 46, 205.
 გერონტი პატარა – 10, 19, 46, 205.
 გენაძე ივანე – 356.
 გველესიანი იაკობ – 484.
 გიგაუროვი რაჟდენ, დეკანოზი – 79.
 გიო – 276.
 გიორგაძე იესე, დეკანოზი – 474.
 გიორგი, იმერეთის ეპისკოპოსი – 416, 493, 531.
 გიორგი – 256.
 გიორგი მთაწმინდელი – 473, 497.
 გიორგი უყრული – 347.
 გლინკა – 366.
 გლურჯიძე ვასილ – 28.
 გოგებაშვილი იაკობ – 44, 49, 253.
 გოგელია ილიკო – 460.
 გოგინოვი მის. – 176.
 გოგიტიძე მათე – 347, 348.
 გოგიჩაიშვილი ი. – 303.
 გოგლიჩიძე სიმონ – 156, 429.
 გოგოლაშვილი გერმანე, ეპისკოპოსი – 18.
 გოგოლაშვილი სოსო (კორდელი, სოგოლი) – 491, 508.
 გოლიცინი გ. ს. – 372.
 გომელაური ი. – 311.
 გორგაძე რ., მღვდელი – 152.
 გორგოძე ვარლამ – 479.
 გორგაძე სერგი – 306, 322, 323.
 გორდულაძე სპირიდონ, მღვდელი – 275.
 გოროდცოვი ს., მღვდელი – 343.
 გოფმანი – 545.
 გოძიაშვილი ილიკო – 489, 524.
 გრენჩანინოვი – 509.
 გრიგოლ არქიმანდრიტი – 28, 31, 56, 57, 61, 67, 469.
 გრიგოლ ეპისკოპოსი – 91, 167.
 გრიგოროვიჩი – 105.
 გრიშაშვილი – 572.
 გროზოვი ქრისტეფორე – 75, 223, 361, 362.
 გუბერმანი – 545.
 გუგუნავა დათა – 18, 57, 188.
 გუგუნავა სვიმონ – 68, 240.
 გუგუნაშვილი ალ. – 257.
 გუგუშვილი ალ. – 176.
 გულისაშვილი ზაქ., მღვდელი (უცნობი) – 308, 428.
 გურგენ მეფე – 497.
 გურგენიძე იროდიონ, მღვდელი – 449, 451, 454.

გურიელი ჯაბა – 380.
გურიელი ტელემაკ – 380.
გურიელი ვახტანგ – 380.
გურიელი ჯამბაკურ – 258.
გურიელისა ელეონორა – 246.
გურულ-მეგრელი (ნიკოლოზ ბერიძე) – 261.
გძელიძე ვასილ – 195, 215, 217.

დ

დ. ა. (დავით აროშიძე) – 405.
დ. ვ-შილი – 395.
დ. ო-ძე (დომენტი ოყრეშიძე) – 592.
დ. ფ-ლი – 417.
დ. ლ-ძე, მღვდელი – 80, 81.
დადიანი გიორგი, არქიმანდრიტი – 32.
დადიანი გრიგოლ, არქიმანდრიტი – 41, 42.
დადიანი ბესარიონ, ეპისკოპოსი – 451.
დადიანი ნიკოლოზ – 42, 148.
დავიდოვი დ. – 249, 306.
დავიდოვი ვ. – 306.
დავით ალავერდის ეპისკოპოსი – 260, 437, 462, 531.
დავით აღმაშენებელი – 138, 210, 347, 348, 473.
დავით კურაპალატი – 341, 363, 497.
დავით მღვდელი – 179.
დავით ჩხარელი (შოთაძე) – 18, 421.
დავით წინასწარმეტყველი – 382.
დავითაია ვლადიმერ – 460.
დავითაშვილი – 593.
დათუნაშვილი სერგო – 460.
დამსწრე – 71, 269, 316, 325, 356, 431, 481, 531, 532.
დამსწრეთაგანი – 259, 281, 315.
დანოვსკი – 411, 591.
დარია დედოფალი – 398.
დგებუაძე ფარნა – 460.

დგებუაძე პელაგია – 281.
დევიძე გიორგი – 28.
დევიძე სამსონ – 536.
დევიძე – 474.
დეზტიარევი – 562.
დეისაძე გრიშა – 538.
დემუროვი მ. ი. – 243.
დემუროვისა გოგუცა – 460.
დიდი ლიახველი – 582.
დიდი მოურავი – 577.
დიმიტრი ეპისკოპოსი – 359, 369.
დიმიტრი ბერი – 46.
დიმიტრი ალავერდელი – 364.
დიმიტრიევი პეტრე – 28.
დოლაბერიძე ვასილ, დეკანოზი – 459, 536.
დონიციტი – 366.
დუმბაძე ანტონ ნიკოლოზის ძე – 73, 160, 161, 162, 164, 166, 172, 179, 187, 188, 189, 195, 215, 224, 228, 360, 385, 420, 421, 461, 592.
დუმბაძე დავით, მღვდელი – 166, 172, 189, 232, 237, 240, 314, 360, 385, 470.
დუმბაძე იაკობ – 470.
დუმბაძე ნ. – 231.
დუმბაძე – 138, 278.
დუმბაძენი – 271.

ე

ეგნატე ლმერთშემოსილი – 341.
ევსევი ეგზარხოსი – 19, 149, 591.
ევსევი იერომნახი – 28, 31.
ევსტრავი არქიმანდრიტი – 41.
ელენე ბაგრატიცის ცოლი – 87.
ელიაშვილი ესტატე, დეკანოზი – 372.
ელიევი ესტატე, დეკანოზი – 28, 89, 213, 293.
ელიზბარაშვილი მიხეილ – 369, 534.
ელიოზიშვილი იოსებ – 116.

ელცოვი ი. გ. – 542.
ეპიტაშვილი გიორგი – 526, 527, 566, 573.
ერგნელი – 297.
ერეკლე (ირაკლი) მეფე – 1, 10, 47, 321, 347, 348, 473.
ერთი წევრთაგანი – 541.
ერისთავი სოფრონ, არქიმანდრიტი – 19, 46, 205.
ერისთავი მარიამ სვიმონის ასული – 294.
ერისთავი რაფიელ – 44, 59, 332.
ერისთავი ვარლაამ – 398.
ეფ. შ-ძე, მღვდელი (ეფრემ შარაბიძე) – 118.
ეფრემ ასურელი – 340.
ექვთიმე მღვდელთმთავარი – 384.
ექვთიმე წმ. – 473.
ექიმი შტოკმანი (იოსებ იმედაშვილი) – 552.

3

ვაგნერი – 440, 443.
ვადაჭკორია არსენ – 460.
ვაკის ეპისკოპოსი – 280.
ვაჟა-ფშაველა – 525, 538.
ვარდა – 363.
ვარდიაშვილი ტიტო – 451, 454.
ვარდიაშვილისა – 395.
ვარდოშვილები – 44.
ვარმიცანა ივ.– 273.
ვასილიევი – 376.
ვაშაკიძე ა. – 472.
ვაშაყმაძე სამსონ – 460.
ვანჩაძე ილარიონ, არქიმანდრიტი – 398.
ვახვახოვი ალექსანდრე – 28.
ვახვახოვი ათანასე – 28.
ვახვახოვი რევაზ – 28.
ვახვახოვი ზაქარია – 28.
ვახვახოვისა ბაბაღე – 28.
ვახვახოვისა ბარბარე – 28.

ვახვახოვისა ეკატერინე – 28.
ვახვახოვისა მელანია – 28.
ვახტანგ VI – 347, 348.
ვახუშტი – 1, 461.
ვედელი – 562.
ვენიამინ ეპისკოპოსი – 392.
ვერმიცანაშვილი დათიკო
(ლავრენტი წულაძე) – 161.
ვეფხვაძე ერ. – 536.
ვიტალი ბერი – 398.
ვიქტორინი, არქიმანდრიტი – 8, 19.
ვლადიმერი, ეპისკოპოსი კავკავისა და
მოზდოკისა – 247.
ვლადიმერ ექსარხოსი – 212, 213, 235.
ვოლსკი გრ. – 167, 176.
ვორონცოვ-დაშკოვი – 431, 505.
ვოსკრესენსკი – 343, 372.
ვოსტორგოვი – 372.

ზ

ზავადსკი – 343.
ზალიკანიანი (ზალიკანოვი) გიორგი – 293, 387.
ზანაველი – 300.
ზარაფაშვილისა სოფიო – 129, 205.
ზარაფოვი (ზარაფიშვილი) ილია (ნადიკვერელი)
– 28, 170, 205, 283, 284.
ზარაფოვი ქრისტეფორე – 28.
ზარქარი (ოსტატი) ბეჟა – 341.
ზაქარია დიაკვანი – 534.
ზედგინიძე ბესარიონ, დეკანოზი – 16, 28, 31, 395, 449, 451.
ზედგინიძისა ა. – 395.
ზირაქი ისუ – 382.
ზნამენსკი – 357.
ზუმბულიძე, დეკანოზი – 430.

თ

თავართქილაძე გიორგი – 460.
თავდგირიძე ნიკო – 233, 314.
თავდგირიძე თ. – 339.
თავდგირიძე თ. ნ. – 237, 240.
თავდგირიძე ყარამან – 188.
თაზიშვილი გიორგი – 19, 46.
თალაკვაძე, მღვდელი – 445.
თალაკვაძე ნ., დეკანოზი – 532, 552.
თამარ მეფე (დედოფალი) – 341, 473, 516, 557.
თარაშვილი არჩილ, ბერი – 573.
თარხანიძე იოთამ – 478.
თეიმურაზ მეორე – 347, 348.
თეოფილაქტე ეპისკოპოსი – 575.
თეოქსიტე მონაზონი – 399.
თიბო – 340.
თოთიბაძე ანტონ – 359.
თოთიბაძე სიმონ, მღვდელი – 176.
თომა მალაროელი – 516.
თოხაძე არსენ – 314.
თოხაძე გიორგი, მღვდელი – 314.
თუთბერიძე გალაკ. – 406, 472.
თუშუროვი გრიგორ, მღვდელი – 28.

ი

ი. (ილია ზარაფიშვილი) – 205.
ი. ზ. (ილია ზარაფიშვილი) – 170.
ი. – ი. – 551.
ი. ს-ი – 81.
ი. ხ-ძე, მღვდელი – 78.
იაჩკოვი – 328, 343.
იაკობი, მღვდელი – 480.
იანქოშვილი მათე – 292.
იანუილი დ., დეკანოზი – 531, 532.
იერემია წინასწარმეტყველი – 152.

იესევი გ. – 267.
ივანიძე ი. გ. – 582, 583.
ივანოვი – 92, 119, 120, 130.
ივერიელი დ. – 50.
ივერიელი ლ. – 18.
ივერიელი ნარი – 52, 54.
ივერიელი – 25.
ილ. მ-ლაძე – 30.
ილარიონ იერომონახი – 38.
იმედაშვილი იოსებ (უსაევანო, ექიმი შტოკმანი, იოსებ არიმათიელი, წინამძღვარ-ი) – 510, 539, 552, 573, 576.
ინაევი სიმონ, მღვდელი – 19.
ინაევი ზოტიკე, მღვდელი – 19.
ინ-ანი (ივანე ახალშენიშვილი) – 201.
ინენი – 584.
ინგოროყვა – 494.
ინოკენტი ექსარხოსი – 431.
იოანე ბერმონაზონი – 347, 552.
იოანე ანჩელი, ეპისკოპოსი – 341.
იოანე ბერაი – 497.
იოანე დამასკელი – 341, 382.
იოანე მიტროპოლიტი – 19.
იოანე მტბევარი, ეპისკოპოსი – 256, 347.
იოანიკე მიტროპოლიტი – 56.
იოანნე ბერ-მონაზონი – 348.
იოანნიკე ეგზარხოსი – 29, 47.
იოზ ფიტარეთელი – 470.
იონა ეგზარხოსი – 398.
იონა მღვდელმონაზონი – 224.
იორამ მაგალობელი – 470.
იორდანე – 256.
იორდანიაშვილი ი. დეკანოზი – 395.
იოსებ არიმათიელი (იოსებ იმედაშვილი) – 573.
იოსები, რუსი არქიმანდრიტი – 341.
იოსები, მღვდელი – 205.

იოსელიანები – 125.
იოსელიანი ბეს. – 213, 240.
იოსელიანი გიორგი – 176, 214.
იოსელიანი პლატონ – 382, 430.
იპოლიტოვ-ივანოვი – 65, 100, 103, 104, 113, 114, 115, 149, 151, 171, 173, 175, 198, 201, 211, 212, 213, 214, 218, 223, 276, 305, 321, 323, 340, 341, 354, 362, 366, 434, 425, 427, 441, 554.
ირაკლი პირველის მეუღლე – 348.
ისაევი ნ. პ. – 343.
ისაია წინასწარმეტყველი – 152.
ისაკ მგალობელი – 470.
ისიდორე ეგზარქოსი – 75.
იურგენსონი – 151, 171, 216, 228.
იშხნელი ელისეი – 28.

კ

კ-შილი, მღვდელი – 165.
კაბინეტის ერთი წევრთაგანი – 327.
კავკასიძე ა. – 552.
კავსაძე ალ. (სანდრო) – 182, 248, 253, 259, 308, 324, 400, 429, 432, 467, 472, 519, 521, 523, 532, 562.
კავსაძე მიხეილ – 428, 433, 471, 486, 487, 488, 501, 502, 512, 516, 520, 523, 525, 530, 537, 539, 553, 556, 558, 560, 563, 564, 565, 568, 569, 572, 587, 595.
კავსაძე ნ. – 519.
კავსაძეები – 337.
კაკაბაძე სარგის (ს. კ-ძე) – 548.
კალანდარიშვილი ტრიფონ – 272.
კალანდაძე სერაფიონ, მღვდელი – 269.
კალატოზიშვილი – 361.
კალატოზოვი დიმიტრი, მღვდელი – 28.
კანდელაკები – 592.
კანდელაკი ნიკოფორე, არქიმანდრიტი – 385.
კანდელაკი ერმალაოზ, დეკანოზი – 263.
კანდელაკი დიმიტრი – 18.
კანდელაკი ნიკოლოზ – 107, 108, 118, 137.
კანდელაკი ოქროპირ – 188.
კანდელაკი სიმონ – 18.
კანდელაკი სინო – 188, 421.
კანდელაკი – 57, 138, 139.
კაპანაძე დავით – 474.
კაპანაძე იასონ, მღვდელი – 493.
კაპანაძე ვანო – 129.
კარბელაშვილები ძმები – 25, 47, 64, 67, 76, 120, 130, 132, 243, 256, 268, 271, 292, 340, 347, 469, 528, 563, 592.
კარბელაშვილი (კარბელოვი) – 6, 9, 11, 13, 15, 16, 17, 22, 35, 45, 48, 53, 56, 75, 84, 85, 87, 100, 138, 202, 203, 214, 273, 284, 288, 321, 349, 357, 360, 372, 432, 434, 441, 523.
კარბელაშვილი (კარბელოვი) გრიგოლ – 4, 6, 7, 8, 10, 19, 25, 38, 67, 77, 104, 292, 361, 384, 447, 461.
კარბელაშვილი დავ. – 589.
კარბელაშვილი ვასილ – 133, 193, 197, 234, 239, 242, 243, 255, 256, 263, 268, 271, 283, 287, 323, 340, 353, 362, 428, 430, 468, 499, 501, 531, 532, 552, 563, 584, 591.
კარბელაშვილი (კარბელოვი) პეტრე – 8, 19, 46, 399.
კარბელაშვილი პოლიევქტოს (პოლე) – 16, 67, 92, 103, 213, 267, 271, 274, 282, 283, 293, 298, 305, 310, 340, 341, 404, 447, 461, 470, 501, 540, 563.
კარბელაშვილი (კარბელოვი) ფილიმონ გრიგოლის ძე – 3, 4.
კარბელაშვილის (კარბელოვი) ფილიმონ პოლიევქტოსის ძე – 404, 531, 581.
კარგარეთელი – 188, 318, 326, 337, 340, 354, 392, 432, 441, 515, 528.
კარგარეთელი ია (ილია) – 200, 236, 252, 321, 330, 336, 357, 409, 412, 419, 439, 447, 468, 499, 500, 531, 543, 546, 552, 563.
კარგარეთელი კ. გ. – 505.
კარგარეთელი, მთავარდიაკონი – 329, 474.
კასრაძე – 395.

კასტელსკი – 446.
კახაბერ მღვდელი – 178.
კახელი (კოტე ანდრონიკაშვილი) – 245, 247, 251.
კახიანი ივ. – 176.
კეკელიძე, დეკანოზი – 525.
კეკელიძე კ. – 552.
კელენჯერიძე – 356.
კემბრენსი ჰერალდი, არქივისკოპოსი – 357.
კეჟერაძე ნ. – 183.
კეჟერაძე ქ. – 334.
კეჟერაძე ს. – 183.
კერესელიძე ექვთიმე – 195, 215, 212, 586.
კესარიოს (კესარი) არქიმანდრიტი – 28, 31, 206.
კვალიევი იოსებ – 300.
კვანჭოშვილი (კონჭოშვილი) პეტრე, დეკანოზი (ილწობელი) – 207.
კვირიკაძე ს. მთავარდიაკონი – 143.
კიკნაველიძე – 70.
კიკნაძე დავით – 28.
კიკნაძე დიმიტრი – 28.
კიკნაძე პეტრე – 196.
კიკრ. (ნიკო სულხანიშვილი) – 377.
კინკილეთელი – 408.
კირილე არქიმანდრიტი – 91.
კირიონ მეორე კათალიკოსი – 286, 306, 308, 315, 346, 347, 386, 531, 532, 570, 571, 578, 579, 580.
კლენოვსკი ნიკოლოზ სიმონის ძე – 205, 234, 283, 321, 340, 343, 347, 354, 355, 361, 362, 366, 434, 441, 463.
კლერიკალი – 424.
კობიევი მიხაილ – 28.
კოზმანიშვილები – 44.
კოლოტილინი მ. ნ. – 542.
კომიტეტის წევრი – 13.
კომპანისკი – 509.
კონტრიძე, დეკანოზი – 593.

კონტრიძე ნესტორ ე., მღვდელი – 24, 55, 215, 231.
კონტრიძე მ. გ., დიაკონი – 449, 451.
კონფუცი – 403.
კონჭოშვილი (კვანჭოშვილი, კონჩიევი, კონჩოშვილი, კონჩუაშვილი) პეტრე, მღვდელი, დეკანოზი – 28, 207, 319, 485.
კორდელი (სოსო გოგოლაშვილი) – 491.
კორეშენკო – 252, 262, 321, 340, 347, 354, 584.
კორიჯიო (ფ. ქორიძე) – 457.
კოტე გრძელი (კოტე ანთაძე) – 382, 383, 580.
კოტეტიშვილი ან. – 256.
კოჩი – 183.
კოჭლაძე დიმიტრი, მღვდელი – 28, 31, 268.
კენაფონტოვი – 300.
კუბელიკი – 545.
კუჭაძე ნიკოლოზ, მთავარდიაკონი – 387, 406, 408.
კუხლაიშვილი ფარნ. – 176.
კუხიანიძე ბართლომე, დიაკონი – 406, 493.
კუხიანიძე, მთავარდიაკონი – 406.

ლ

ლ. იმერელი – 496.
ლაბაძე მ. – 523.
ლაბაძე ნიკო ი. – 413, 514, 518.
ლადიკო – 381, 385.
ლაზარენკო – 302.
ლალი – 216.
ლამაკინი – 41.
ლანჩხუთელი – 265.
ლეკვეიშვილი სპირიდონ, მღვდელი – 536.
ლეონიდე ეპისკოპოსი – 274, 293, 297, 298, 299, 301, 305, 306, 308, 315, 320, 352, 360, 376, 382, 405, 406, 408, 423, 525, 529, 531, 532.
ლეონიდე მიტროპოლიტი – 573, 581, 582, 583.
ლეონიძე გ. – 497.

ლეჟავა – 554.
ლესსინგი – 96.
ლოლუა ძუკუ – 588.
ლომიანიძე ივლ. – 176.
ლომიძე ვ. – 472.
ლონგილოზ მღვდლისშვილი (მიხეილ კავსაძე) – 568, 572.
ლორთქიფანიძე ბერი – 80, 81.
ლორთქიფანიძე იოსებ – 493.
ლორია გერასიმე – 176.
ლოსაბერიძე ს. – 195, 113, 215, 273.
ლუკაშვილი – 424.

მ

მ. -ნი – 115.
მ. ფ. – 62.
მ-ლაძე ილ. – 30.
მათე (მათე იანქოშვილი) – 292.
მათიკაშვილი ილია, მთავარდიაკონი, მღვდ. – 133, 165, 376, 378.
მათურელი ვასო – 489.
მაისურაძე ალ. – 533, 590.
მაისურაძე ვასილ, დიაკონი – 205.
მაისურაძე ივ., დიაკვანი – 28.
მაისურაძე იოსებ – 28.
მაისურაძე ე., მღვდელი – 534.
მაისურაძე ივანე, მღვდელი – 205.
მაისურაძე – 153.
მაიუმელი პეტრე – 256.
მაკავეისკი – 105.
მაკარი არქიმანდრიტი (ბატატაშვილი) – 3, 4, 8, 9, 10, 11, 13, 16, 19, 20, 23, 24, 28, 29, 31, 32, 33, 35, 36, 40, 41, 48, 57, 60, 61, 63, 67, 71, 292, 461, 469.
მაკრინა მონაზონი – 2.
მამათელი – 16.
მამალაძე სერგო – 460.
მამალაძე ტარასი – 460.
მამნიევი – 131.
მამულაშვილის ასული ნინო – 460.
მან. ინ. – 239.
მანსვეტოვი – 71.
მანსურიძე – 341.
მარალაძე ი. – 498, 500, 501.
მარგიანი ივ., მღვდელი – 536.
მართალაძე – 286.
მარი ნიკო – 304, 494.
მარიამ დედოფალი, თეოდორეს ასული – 265, 398.
მარტო ანრი – 545.
მარლიანი იოანე, არქიმანდრიტი – 531.
მარჯანიშვილი ნ. კ. – 472.
მასწავლებელი – 480.
მატარაძე ს. – 281.
მატიაშვილი ბეჟანა (დავით) – 481.
მალალაშვილი ლუარსაბ – 58.
მალალაშვილი – 307.
მალალოვი დავით – 28.
მალლაქველიძე ბასილა – 356.
მალრაძე – 283, 356.
მალრაძე ბეჟან – 399.
მალრაძე კორნელი – 244, 288, 289, 406, 472, 500.
მალრაძე ნინი – 399.
მალრაძე ზურაბ – 399.
მაყაშვილი კ. – 525.
მაჩაბელი აბესალომ – 28.
მაჩაბელი დავით – 2.
მაჩაბელი თეოფანე, არქიმანდრიტი – 205.
მაჩაბელი მ. გ. – 582, 583.
მაჭავარაშვილი ნ., დეკანოზი –
მაჭავარიანი გიორგ. – 176.
მაჭავარიანი ვლადიმერ ივანეს ძე – 182.
მაჭავარიანი ი. – 472.
მაჭავარიანი მიხეილ – 5, 6, 7, 8, 9, 13, 15, 21,

- 25, 27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 36, 40, 41, 43, 44, 45, 49, 75, 136, 137, 138, 139, 176.
- მაჭავარიანი ნ., დეკანოზი – 532.
- მაჭავარიანი ქაიხოსრო – 28.
- მაჭარაშვილი ნ., დეკანოზი – 504, 531, 552.
- მაჭარაშვილი მ., მღვდელი – 276, 536.
- მაჭარაძე ერასტი, მღვდელი – 275.
- მახარაძე დ. – 460.
- მახვილაძე – 28.
- მაგლობლიშვილი ს. – 306, 571.
- მაგლობლიძე – 253.
- მგელაძე ნოე – 460.
- მგელაძის ასული მარო – 460.
- მეგობარი (სოლომონ ახვლედიანი) – 457.
- მეგრელიშვილი – 302.
- მეველე (დავით მიქელაძე) – 168.
- მელია სიმონ – 460.
- მელიქოვი ლევან – 31.
- მემნონი ეპისკოპოსი – 105.
- მენტეშაშვილი დოიკო (დავით) – 481.
- მენტეშაშვილი ყ. – 130.
- მერკვილაძე სოსიკო – 400.
- მესხი გიორგი – 470.
- მესხი დავით – 470.
- მესხი ივ. – 176.
- მესხი სერგეი – 126.
- მეტრეველი, მღვდელი – 294.
- მელვინეთ-ხუცესოვი სვიმონ – 28.
- მეშკოვსკი, დიაკონი – 462.
- მექმარიაშვილი ნიკო – 18, 91, 57, 107, 108, 137, 138, 139, 420, 421.
- მენჯრილმანე – 180.
- მთ. ი. მ-შვილი – 165.
- მთვარელიშვილი ნიკოლოზ – 28, 127, 213, 292.
- მიდოსვაჟი მელქისედეკ – 376.
- მიზანდარი – 45, 49.
- მიზანდარიშვილი – 26.
- მიზინი თედ. – 176.
- მინდელი ბესარიონ – 493.
- მირიანაშვილი – 500.
- მირიანაშვილი აღ. – 392.
- მირიანაშვილი ი., დეკანოზი – 491, 531, 532, 552.
- მირიანაშვილი პეტრე – 326, 329, 550.
- მირიანოვი მათე, მღვდელი – 28.
- მირონოვიჩი ა. ა. – 343.
- მიროპოლსკი – 469.
- მიტროფანი იერომონახი – 38.
- მიქაბერიძე ალექსანდრე (ყუმისთაველი) – 347.
- მიქაელ მოდრეკილი – 340, 347, 470, 494, 497.
- მიქელანჯელო – 2.
- მიქელაძე – 552.
- მიქელაძე ბონდო – 472.
- მიქელაძე დავით (მეველე) – 168.
- მიხაილ არქიმანდრიტი – 41.
- მიხაილი, მღვდელი – 55.
- მიხაილოვ-ჩიჯავაძე – 44.
- მიხაილოვსკი ი., მღვდელი – 343.
- მოამბე (დიმიტრი ნადირაძე) – 130.
- მოზგოვოი – 449, 451.
- მოლარიშვილი სიმონ – 179, 332.
- მოლარიძე გიორგი, მღვდელი – 461.
- მოლოდინაშვილი (მოლოდინოვი) ალექსანდრე, მღვდელი – 13, 15, 28, 31, 32, 41, 65, 92, 130, 202, 213, 239, 271, 310, 563.
- მონადირაშვილი (მონადირიშვილი) იოსებ გიორგის ძე – 195, 227, 229, 234, 239, 274, 277, 283, 292, 296, 297, 298, 299, 313, 315, 316, 321, 326, 343, 347, 348, 364, 372, 401, 407, 430, 434, 441, 490, 547, 548, 549, 550, 551, 562.
- მონადირიშვილი ა. – 305.
- მონადირიშვილი გ. – 295.
- მოსე ეგზარხოზი – 399.
- მოსე – 580.

მოსეშვილი იასონ – 460.
მოქალაქე – 127, 129.
მოცარტი – 2, 96.
მონაფე – 477, 482, 484.
მუჯანაძე მემედ ეფენდი – 176.
მრევლიშვილი – 95, 289.
მრევლოვი (მრევლიშვილი) ანდრია – 5, 7, 8, 10, 13, 18, 39, 75, 361, 362.
მრევლოვი ეგნატე, დეკანოზი – 39.
მუმლაძე გ. – 561.
მუმლაძე სამსონ – 260.
მულაშვილი ლევან, დიაკვანი – 490, 589.
მღებრიშვილი (მღებრიევი) გრიგოლ, მღვდელი – 9, 13, 15, 28, 31, 32, 41, 45, 47, 92, 305.
მჭედლიშვილი – 253, 481.
მჭედლიშვილი ვ. – 248.
მჭედლიძე სიმონ, მღვდელი (ხელი) – 376, 444, 450, 475.
მხეიძენი აზნაურნი – 143.

ნ

ნ. პ. (ნესტორ პეტრიაშვილი) – 190.
ნ. ნ. (ნესტორ წერეთელი) – 185.
ნადიკვრელი (ილია ზარაფიშვილი) – 283, 284, 288, 389.
ნადირაძე დ. – 320.
ნადირაძე ის., დიაკონი – 176.
ნაზარი არქიმანდრიტი – 518, 525, 531, 552.
ნათაძე მიხეილ – 276, 449, 451.
ნათიძე ლ. – 552.
ნათიძე ნ. – 552.
ნაილიონოვი კ. მ. – 343.
ნაკაშიძე მელქისედეკ გ. – 24, 36, 47, 48, 54, 55, 133, 215, 231, 312, 319, 332, 423, 447, 461, 469, 470, 485, 561, 574, 575, 577, 595.
ნაკაშიძის ასული კაკალა – 460.
ნამი (ბეგლარ ახოსპირელი) – 536.

ნანობაშვილი იროდიონ – 387.
ნანაბაშვილი, მღვდელი – 372.
ნარეკლიშვილი (ნარეკლიევი) ივანე, მღვდელი – 28, 205.
ნასიძე თომა – 514.
ნასყიდაშვილი მიხეილ – 87.
ნატრაძე გიორგი ივანეს ძე – 377, 426, 427, 501.
ნატროშვილი – 306.
ნაცვალოვი იოელ, დეკანოზი – 19.
ნაცვლიშვილი – 191.
ნეიმანი – 451.
ნიკანორ არქიმანდრიტი – 105.
ნიკიფორე არქიმანდრიტი – 474.
ნიკიფორე ბერი – 10.
ნიკოლაძე ივლიანე ივანეს ძე – 203, 204, 342, 405, 406, 422, 444, 453, 536.
ნიკოლაძე მათ. – 176.
ნიკოლაძე ნიკო (N.N.) – 15, 299.
ნიკოლოზ არქიმანდრიტი – 206, 213, 474.
ნინო მონასტრის წინამძღვარი – 178.
ნიცშე – 440, 443.
ნუცუბიძე – 538.

ო

ოდოევი – 424.
ომანაძე მირონ – 387, 449, 451.
ონოფრე მწირი (ონოფრე შუშანია) – 485.
ორბელაძე ანდრია – 356.
ორბელიანი გრიგოლ – 16, 28, 461.
ორბელიანი იოსებ – 16.
ორბელიანი სულხან-საბა – 1.
ორბელიანისა ელისაბედ – 28.
ორბელიანისა ქეთევან – 28.
ოსსოვსკი – 223.
ოქროპირიძე დავით – 206.
ოყრეშიძე დომენტი – 592.

პ

პ. – 114.

პ. უ. (პეტრე უმიკაშვილი) – 20, 25, 26, 374.

პ. ყ-ნი – 336.

პავლე ექსარხოსი – 67, 91, 307, 359.

პავლე მოციქული – 152.

პავლე მთავარეპისკოპოსი – 72, 115, 149.

პავლიაშვილი დავით – 294.

პავლიევი გრიგორ, დეკანოზი – 19.

პაიჭაძე – 28.

პალადინ ეგზარხოსი – 120, 129.

პარმანი – 334, 335.

პარკაძე გიორგი – 286.

პაშკევიჩი, დეკანოზი – 503.

პახუნოვი გ. ნ. – 343.

პერტაია, მღვდელი – 534.

პეტრე დიდი – 562.

პეტრე ეპისკოპოსი – 461, 470.

პეტრიაშვილი ნესტორ – 190.

პეტრიევი გრიგორ, მღვდელი – 28, 31.

პიროსი არქიმანდრიტი – 518, 525, 531.

პიტირიმი ექსარხოსი – 506, 520, 525.

პიტრა ბერი – 340, 341.

პლატონი ეგზარხოსი – 535, 542.

პლეზკე – 358.

პოპედონოსცევი – 92.

პოკროვსკი ნ., მღვდელი – 343.

პრახოვი – 341.

პრეტორიუსი – 382.

პროსკურინი – 449, 451.

პურსელი (პერსელი) ჰენრიხ – 357.

პუშევი ვასილ – 41.

ჟ

ჟიგონი – 144.

ჟებიროვი – 591.

ჟოჟიკაშვილი გერ. – 176.

ჟორდანია პაჭუ – 460.

ჟორდანია – 469, 497.

ჟორდანია თ. – 470, 567.

ჟლენტი საბა (იოანე ბოდბელი) – 19, 47.

რ

რაჟნოვი – 44.

რასინი – 2.

რასკინი ჯონ – 318.

რათილი იოსებ ივანეს ძე – 98, 113, 124, 137, 139, 154, 186, 189, 190, 208, 209, 213, 253, 321, 396, 418, 560, 563.

რათიშვილი კოტე – 174.

რაფაელი – 2.

რახმანიოვი – 545.

რეიტერი ივანე – 28.

რეიტერი კონსტანტინე – 28.

რეიტერი მიხაილ – 28.

რიმსკი-კორსაკოვი – 366.

რობიტაშვილი ზ., დეკანოზი – 142.

როჟნოვი – 25.

როსტომ მეფე – 1, 461, 469.

როსტომაშვილი ივ. – 113, 129.

როსტომაშვილი პ. – 127, 129.

რუბინშტეინი – 354, 366, 382.

რუსანოვი თეოფილაქტე, ეგზარხოსი – 398, 567, 571.

რუსიევისა თინათინ თამ. – 135.

რუსიევისა მართა – 135.

რუსიევისა ნინო ივ. – 135.

რცხილაძე სიმონ, მღვდელი – 28, 293.

ს

ს.– გო (სერგო გორგაძე) – 322, 323.

ს. ი., მღვდელი – 80.

ს–ის მღ–ლი – 79.

- ს. დ. პ. – 593.
- ს. კ-ძე (სარგის კაკაბაძე) – 548.
- ს. მოქალაქე (სერგეი მესხი) – 126.
- სააკაძე – 462.
- საბა დიდი – 19.
- საბა მგალობელი – 470.
- საბა სინკელი – 2.
- საბანისძე იოანე – 347, 348.
- საბაშვილი ისააკ – 325, 327.
- საბაშვილი სოლ. – 176.
- საბლერი – 92.
- სავანელი ხარლამპი ივანეს ძე – 20, 25, 26, 31, 32, 33, 34, 40, 45, 49, 201.
- სალაძე ვლადიმერ, მღვდელი – 381.
- სამ. მ-ლი – 528.
- სამადალოვი ბესარიონ, მღვდელი – 28.
- სამადოვი ბესარიონ, მღვდელი – 31.
- სანო (სტეფანე ქრელაშვილი) – 392.
- სარალიძე – 552.
- სარაჯევი – 213.
- სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე – 462.
- სარაჯიშვილი ევგ. გ. – 330.
- სარაჯიშვილი ეკ. გ. – 330.
- სარაჯოვი – 8.
- სარტი – 562.
- სარჯველაძე გაბრიელ – 476.
- საყვარელიძე – 28, 90.
- საყვარელიძე გ. – 503, 506, 509, 515.
- საძაგლიშვილი (საძაგლოვი) – 129, 213.
- სემინოჟენკო ა. – 449, 451.
- სერაფიმე არქიმანდრიტი – 213, 235.
- სერაფიონი მღვ. მონაზონი – 428.
- სერგი (გორგაძე) – 306.
- სერგი, თბილისის სამღვდელთაგანი – 324.
- სვანიძე – 542.
- სვანიძე მაქსიმე, დიაკონი – 270.
- სვიმონ არქიმანდრიტი (ხირსის წმ. სტეფანეს მონასტერში) – 481.
- სვიმონ არქიმანდრიტი (ქუთაისში) – 188.
- სვიმონ კანანელი – 567.
- სიდამონიძე – 293.
- სიმართლის მომხრე – 76.
- სიმეონი არქიმანდრიტი – 122.
- სიმი – 554.
- სიმონ კუტი (სიმონ ფირცხალავა) – 18, 185, 397, 420, 425.
- სირაძე გ. – 142.
- სირბილაძე – 319.
- სიხარულიძე მ., მღვდელი – 237.
- სიხარულიძე ნოე – 541, 545.
- სიხარულიძენი ძმანი – 263.
- სლავიანსკი – 382.
- სმაილსი – 49.
- სმოლენსკი – 211, 287.
- სოგოლი (იოსებ გოგოლაშვილი) – 508.
- სოლომონ მეფე – 580.
- სოლომონოვი გრ. – 574, 595.
- სოფრონ არქიმანდრიტი – 10, 362.
- სტეფანე არქიეპისკოპოსი – 8.
- სტეფანე, მღვდელი – 328.
- სტეფანე საბანშიდელი – 341.
- სტეფანსი – 144.
- სულხანიშვილები – 44.
- სულხანიშვილი ნიკო პაატას ძე (კიკუშა, კიკრ.) – 377, 411, 432, 481, 483, 492, 499, 501, 514, 519, 531, 573, 577, 578, 579, 580.
- სულხანიშვილი პატიკო – 205.
- სულხანიშვილისა ბარბარე – 205.
- სუმბათ მეფე – 497.
- სუმბათაშვილი ლუარსაბ – 1.
- სუმბათოვი დავით – 28.
- სურგულაძე სილიბ. – 176.
- სუხიევი მაქსიმე – 28, 31.

ტ

ტალიკაძე შაქ. – 522.
ტანევი – 214.
ტარასი არქიმანდრიტი – 5.
ტარასი მღვდელ-მონაზონი – 386.
ტარიელოვი პლატონ – 28.
ტარიჭისძე იოანე – 2.
ტარნოვსკი – 345.
ტატიშვილი – 115, 291.
ტატიშვილი ქეთევან – 281.
ტატიშვილი შალვა – 440, 443.
ტიმოფეევი გ. – 508.
ტლაშაძე იესე, დეკანოზი – 470.
ტოლსტოი ლ. ნ. – 580.
ტოპპისი – 562.
ტოტი – 243.
ტროიცნი ს. ა. – 343.
ტრუფი – 63, 64, 67.
ტურიაშვილი, დეკანოზი – 375.
ტურჩანინოვი – 362, 562.
ტუსკია – 246.
ტყემალაძე მარკოზ, დეკანოზი – 273, 292, 359, 531.

უ

უილა მ. – 183.
უმიკაშვილი პეტრე – 20, 113, 114, 374.
ურმანიშვილი გიორგი – 249, 273.
ურუშაძე ლუკა, მღვდელი – 314.
უსავანო (იოსებ იმედაშვილი) – 510, 539.
უტარნოვი – 136, 139.
უყრული გიორგი – 348.
უშვერიძე ევსევი – 460.
უცნობი (ზაქარია გულისაშვილი) – 308.

ფ

ფალავანდიშვილი იოსებ – 571.

ფალიაშვილი ზაქარია – 311, 340, 374, 377, 380, 390, 407, 410, 431, 432, 434, 436, 437, 438, 440, 441, 443, 446, 447, 463, 469, 501, 515, 586.

ფარნაოზ, მეფის ირაკლის ძე – 268, 347.

ფალავა – 91.

ფალავა გრიგ. – 176.

ფერდოვი ალექსანდრე, მღვდელი – 398.

ფერერო ვილლი – 545.

ფილარეტი ილუმენი – 41, 130.

ფირანოვი სოლომან, დეკანოზი – 28.

ფირცხალავა სიმონ – იხ. სიმონ კუტი.

ფიცხელაური დოსითეოზ – 398.

ფიცხელაური ილიკო – 489.

ფიცხელაური მიხაილ – 28.

ფლაბიანე ეგზარხოზი – 286, 292, 297, 298, 299, 315, 320, 328, 359.

ფოფხაძე ვლადიმერ – 536.

ფოცხვერაშვილი დავით – 290.

ფოცხვერაშვილი კოტე – 366, 406, 432, 494, 501, 506, 507, 508, 509, 510, 511, 515, 536, 554, 576, 591.

ფხაკაძე ი. – 136.

ფხალაძე – 552.

ქ

ქადაგიძე დავ. – 525.

ქავთარაძე გრ. – 559.

ქართველი (რომან ძამსაშვილი-ცამციევი) – 6, 25, 316.

ქართველიშვილი ნ. – 336.

ქართველოვი გიორგი – 31.

ქართლელი (დ. ქ. ყიფიანი) – 56.

ქართლელი გლეხი (მიხეილ ჯავახიშვილი) – 375.

ქართული გალობის მოყვარე (ნიკოლოზ მთვარელიშვილი) – 25, 26, 104, 106, 202, 203.

ქართული ხმების მოყვარე – 134, 136, 137, 139.

ქაჯეთელი (რაჟდენ ხუნდაძე) – 447, 461, 469, 470.

ქეთევან წამებული – 2, 577.
ქელბაქიანი მ. – 57, 136.
ქვარიანი ზაქარია, კათალიკოსი – 347.
ქვლივიძე მ. – 129.
ქიქოძე დიმიტრი – 314.
ქობულაძე ივანე – 28.
ქორიძე ფილიმონ – 26, 38, 57, 58, 59, 61, 63, 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 73, 84, 86, 88, 91, 97, 105, 107, 108, 110, 111, 112, 113, 115, 134, 138, 139, 141, 144, 145, **150, 155**, 157, 158, **159**, 161, 164, 165, 166, 168, 169, 172, 176, 179, 183, 187, 189, 195, 202, 203, 204, 213, 215, 216, 217, 218, 220, 221, **222**, 224, 225, 226, **228, 230**, 231, 232, 233, 237, **238**, 240, 244, 250, 254, 258, 260, 263, 264, 271, 275, 280, 281, 283, 285, 288, 290, 302, 303, **307, 309**, 318, 319, 321, 323, 330, **331**, 334, 335, 338, 339, 340, 344, 347, 349, 356, 366, **380**, 383, **396, 397**, 405, 432, 455, 456, 457, 458, 459, 460, 465, 466, 472, 476, 500, 536, 563.
ქორიძე-დუმბაძენი – 268.
ქრისტეფორე (ციციქვილი), მღვდელი – **352**, 360.
ქუთათელაძე არისტო – 195, 203, 397.
ქუთათელაძე ემელია – 280.
ქუთათელაძე ვასილ, მღვდელი – 18, **107, 108**, 138, 275, 474.
ქუთათელაძე ვიქ. – 280.
ქუთათელაძე ი. – 281.
ქუთათელაძე ნიკოლოზ, დეკანოზი – 474.
ქუთათელაძისა რის. – 280.
ქუთათური დათიკო (დავით ნაზარიშვილი) – 111.
ქუჩუკაშვილი შიო (ძველი) – 400. **425**.

ლ

ლამბარაშვილი (ლამბაროვი) გრიგორი დეკანოზი – 19, 286.
ლამბაშიძე დავით, დეკანოზი – 78, **80**, 81, 83, 107, 108, 110, 115, **149, 199, 210, 228, 260, 293, 348, 350, 356, 359, 500**.
ლვთისავარიშვილი კირილე, მღვდელი – 320.

ლვინიაშვილი გ. – **130**.
ლოლობერიძე მელიტონ – 414, 415.
ლოლობერიძე ნიკოლოზ – 176.

ყ

ყაზბეგი რაფიელ ნიკოლოზის ძე – **318**.
ყანჩაველი პაპუნა – 470.
ყარალაშვილები – 44.
ყარანგოზიშვილი გ. გ. – 129.
ყარაშვილი ანდრია – 364, 501.
ყარაშვილი დ. – 501.
ყარაშვილი (ყარავეი) – 323, 377, 500, 554.
ყირასოვი მიხაილ, მღვდელი – 28.
ყიფიანი დიმიტრი – 8, 28, 474.
ყიფიანი ნინო ბეჟანის ასული – 226.
ყიფშიძე გრ. – 485.
ყონჩოშვილი პ. (ყონჩუაშვილი, ყონჩუევი) – 133, 213, 461.

ყუბანეიშვილი ნესტორ, არქიმანდრიტი – 536.
ყუბანეიშვილი ტარასი, მღვდელი – 417.
ყუმისთაველი ა. (ალექსანდრე მიქაბერიძე) – **347**.

შ

შ-რო – 523.
შავგულიძე – 472.
შავია-დია – **280**.
შავლიშვილი (შავლიევი) იროდიონ, მღვდელი – 153, 424.
შათაძე გოგინა – 188.
შალიკაშვილი ვალიკო – 577.
შანშიაშვილი სანდრო (ალექსანდრე) – 481, 525.
შარაბიძე – 118, 372, 554.
შარაბიძე ეფრემ, მღვდელი – **118**.
შარაბიძე იოსებ არქიმანდრიტი – 88, 91, 123, 146, 279.
შარაბიძენი ძმანი – 406, 501.

შარაპენიძე მიხეილ – 460.
შარაშიძე – 291.
შარაშიძე მ. ფ. – 157, 461.
შარაძე მაქსიმე როსტომის ძე – 172, 179, 193, 194, 195, 203, 217, 220, 224, 231, 259, 319, 389, 485, 536.
შაჰ-აბასი – 347, 348.
შერემეტიევი – 41.
შიო მღვიმელი – 347, 348.
შიოშვილი სოლომონ, მღვდელი – 249.
შიუკაშვილი იოანე, მღვდელი – 129, 424, 534.
შიუკაშვილი ნ. – 545.
შიუკაშვილი შიო – 129, 205.
შიუკოვი ილია – 28.
შოთა რუსთაველი – 366, 497, 588.
შოპენი – 515.
შოშიაშვილი სოლომონ, მღვდელი – 131, 132, 359, 531, 552.
შუაქრიშვილი ივანე – 249.
შუბლაძე ი., მღვდელი – 531.
შუშანია ონოფრე – 485.

ჩ

ჩაიკოვსკი – 354, 366, 382.
ჩარკვიანი – 525.
ჩარკვიანი გ. – 21.
ჩარკვიანი კონსტანტინე – 375, 414, 415, 523.
ჩარკვიანი ოქროპირ, მღვდელი – 474.
ჩარკვიანი სიმონ, მღვდელი – 474.
ჩაჩანიძე – 314.
ჩახნაშვილი გ. (ჩახნიაშვილი) – 372, 373.
ჩახნიაშვილი – 371.
ჩეთვერუხინი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე – 377.
ჩესნოვიკი – 509.
ჩიგოგიძე იესე – 460.
ჩივაძე ალექსანდრე – 387.
ჩიკვაიძე იოსებ, მღვდელი – 135, 205, 239, 283.

ჩიკვაიძე რ[...]დენ ნიკოლოზის ძე – 90.
ჩიკვაიძე სოსიკო – 28.
ჩიკვაიძე სოლ. – 361.
ჩიკვაიძისა ნინო იოს. – 135.
ჩიკვილაძე ივანე – 28.
ჩიმაკაძე იაკობ – 472.
ჩიჯავაძე, მღვდელი – 570.
ჩიჯავაძე მ., მღვდელი – 306.
ჩიჯავაძე სოლომონი – 205.
ჩოლოყაევი ერასტი – 28.
ჩოლოყაშვილი ილარიონ, მღვდელმონაზონი – 38.
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ – 38, 39, 205.
ჩუდეცკი, დეკანოზი – 115.
ჩუტკერაშვილი კ., მთავარდიაკონი – 555, 557, 562, 564.

ჩუხუროვი აბრამ – 28.
ჩხაიძე ეპიფანე – 303.
ჩხარელი ი. – 462.
ჩხატარაიშვილი ევტიხი – 460.
ჩხატარაიშვილი მაქსიმე, მღვდელი – 16, 461.
ჩხატარაიშვილი მიხეილ – 176, 460.
ჩხატარაიშვილი, მღვდელი – 18.
ჩხატარაიშვილი ტიტვიკო – 460.

ჩხერელი ს. – 90.
ჩხიკვაძე ი., მღვდელი – 361.
ჩხიკვაძე – 210, 318, 326, 430, 432.
ჩხიკვაძე ზაქარია – 127, 129, 199, 234, 239, 345, 355, 361, 403, 447, 435, 491, 499, 500, 504, 535, 586.
ჩხიკვაძე სოლ. – 361.
ჩხიკვიშვილი ზაქარია – 199.

ჩხიკვაძე ი., მღვდელი – 361.
ჩხიკვაძე – 210, 318, 326, 430, 432.
ჩხიკვაძე ზაქარია – 127, 129, 199, 234, 239, 345, 355, 361, 403, 447, 435, 491, 499, 500, 504, 535, 586.
ჩხიკვაძე სოლ. – 361.
ჩხიკვიშვილი ზაქარია – 199.

ც

ცაგარელი ა. ა. – 363.
ცაგარელი პართენ – 249.
ცამციევები, ძმები – 25.
ცამციევი – 45, 54.

ცამციევი აპოლონ – 25, 591.
ცამციევი (დამსაშვილი) რომან – 6, 25, 44, 49, 54.
ცეცხლაძე მიხეილ – 460.
ციმლიანსკი – 317.
ცინცაძე ივანე – 265.
ცინცაძე კალისტრატე, დეკანოზი – 449, 451, 454, 532, 550, 552, 593.
ცინცაძე ფილიმონ, დიაკონი – 493.
ციციშვილი – 398.
ციციშვილი ნიკოლოზ – 19.
ციციშვილი ქრისტეფორე – 352.
ცოტა გალობის მცოდნე – 67.
ცქიტიშვილი პლატონ, მღვდელი – 376, 493.
ცხვედაძე ნიკოლოზ ზებედეც ძე – 206, 396.
ცხვედაძე შ. – 181.
ცხვილოელი პ. (პოლიევქტოს კარბელაშვილი) – 46, 54, 298.

ძ

დამსაშვილი-ცამციევი რომან – 6, 25, 44, 49, 54.
ძველი (შიო ქუჩუკაშვილი) – 425.
ძიმისტარიშვილი ს. – 281.
ძირითადი დიდუბელი – 445, 451.

წ

წაქაძე ალექსი სამსონ – 356.
წერეთელი – 356, 372, 383, 406.
წერეთელი აკაკი – 66, 138, 188, 297, 410, 474, 515, 516, 580.
წერეთელი ან. თ. – 335.
წერეთელი დავით, დეკანოზი – 474.
წერეთელი ი. – 88, 137, 360, 421.
წერეთელი ი., დეკანოზი – 474.
წერეთელი იასონ – 536.
წერეთელი ივლიანე – 88, 91, 107, 115, 202, 203, 204, 210, 226, 385, 420, 536.
წერეთელი იოსებ, დეკანოზი – 138, 416.

წერეთელი ნესტორ – 185.
წერეთელი სვ. – 392, 575, 577.
წითელაშვილი თევდორე – 260.
წითელაშვილი სარდიონ – 260.
წიკლაური – 205.
წიკოლა (სოფრომ მგალობლიშვილი) – 87.
წინამძღვარ-ი (იოსებ იმედაშვილი) – 576.
წმინდა ნინო – 516, 567, 570.
წმინდა რომანოზი – 382.
წულაძე ლავრენტი – 161.
წუნუნავა აღ. – 577.
წყალტუბოელი გ. (გიორგი იოსელიანი) – 214.

ჭ

ჭავჭავაძე ილია – 25, 44, 96, 98, 297, 382, 405, 410, 474, 485, 504, 516.
ჭალაგანიძე (ჭალაგანია) დიმიტრი – 18, 88, 91, 107, 115, 138, 160, 163, 204, 215, 231, 261, 268, 356, 360, 383, 421, 470, 385, 536, 592.
ჭარხალაშვილი ევგენი – 493.
ჭეიშვილი, მთავარდიაკვანი – 428.
ჭელიძე გიორგი, მღვდელი – 39.
ჭიკაძე – 424, 496.
ჭილაძე ვარ. – 176.
ჭიპაშვილი, მთავარდიაკონი – 406.
ჭიპაშვილი ონიფანტე, დიაკონი – 493.
ჭიჭინაძე ზ. – 44, 461.
ჭრელაევი გრიგოლ – 13, 75.
ჭუმბურიძე – 554.

ხ

ხავთასი ი. – 24, 461, 469.
ხატიაშვილი ივანე, მღვდელი – 28, 205.
ხატიაშვილი შაქრო – 514.
ხატიევი იოელ, მღვდელი – 19.
ხახანაშვილი ალექსანდრე – 201, 340, 341, 363, 374, 473.

ხახუტაშვილი მ. – 593.
ხეიფიცი – 545.
ხელაევი დავით – 28.
ხელაევი მიხაილ, მღვდელი – 28, 39, 424.
ხელაია მ., მღვდელი – 559.
ხელაშვილი დიმიტრი – 347, 348.
ხელაშვილი თეოდოსე, არქიმანდრიტი – 19.
ხელაძე, ეგზარხოზი – 273.
ხელი (სვიმონ მჭედელიძე) – 444, 448, 450, 453, 475, 478.
ხიდაშელი სპირიდონ – 356.
ხირსელოვი იერემია, მღვდელი – 28.
ხონთაძე ანდრია – 381.
ხორისტი – 448, 450, 475.
ხუნდაძე რაჟდენ (ქაჯეთელი) – 69, 88, 107, 115, 117, 136, 204, 215, 231, 252, 314, 333, 352, 356, 360, 381, 383, 385, 417, 420, 421, 422, 447, 469, 470, 480, 493, 501, 503, 536, 583, 592.
ხუციშვილი – 257.
ხუციშვილი გიგა – 429.
ხუციშვილი ხარლამპი ნიკოლოზის ძე, მღვდელი – 413.

ჯ

ჯაბადარი ირ. – 501.
ჯავახიშვილი დ. – 490.
ჯავახიშვილი მიხეილ – 375.
ჯამბაკურ-გურიელი – 479.
ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე – 48, 382, 461, 469, 470.
ჯამბაკურ-ორბელიანი თამაზ – 1.

ჯანაშვილი მოსე – 150, 200, 271, 470.
ჯანდიერები – 44.
ჯანელიძე, არქიდიაკონი – 188, 474.
ჯაფარიძე ტრიფონ – 536.
ჯაყელი მუცუცა – 460.
ჯაყელისა სოფიო – 460.
ჯაჯანიძე ნიკოლოზ, მღვდელი – 205.
ჯაჯანიძე სიმონ, მღვდელი – 364.
ჯინჭარაძე – 461.
ჯინჭარაძე დავით, მღვდელი – 496.
ჯინჭველაშვილი – 260, 356.
ჯინჭველაშვილი სერგი – 225, 349.
ჯორჯაძე – 580.
ჯორჯაძე არჩილ – 432.
ჯორჯაძე დიმიტრი – 28.
ჯოჯიკ ერისთავი – 363.
ჯუღელის ასული ნონა – 460.

კ

კამმერშმიდტი – 382.
კარნაკი – 346.
კენდელი – 357.
კერმოგენი, არქიმანდრიტი – 297.
კომეროსი (ომიროს) – 2.

N, X, №

N. N. (ნიკო ნიკოლაძე) – 10, 13, 15, 299.
X. – 263.
X. X. (ლუარსაზ ბოცვაძე) – 138, 197.
№ – 476.

ტოპონიმთა საკიებელი

- ა**
- ავლაბარი – 93, 94, 133, 249, 389, 489, 514.
ავლაბრის პეტრე-პავლეს ეკლესია – 430.
ავლაბრის ქუჩა – 489.
ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესია – 131, 249, 273.
ავლაბრის წმ. მარინეს სამრევლო სკოლა – 132, 133, 249.
ათონი (ათონის მთა) – 224, 363, 461, 470, 494, 496.
ათონის ივერთა მონასტერი – 207.
ათონის მთის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სა-
ვანე – 224, 470.
ალავერდი – 127, 341, 347, 348, 368, 399, 470, 589.
ალექსანდროვკა – 584.
ალისუბანი – 381.
ალისუბნის ორკლასიანი შკოლა – 474, 477.
ანდრია პირველწოდებულის სობორო – 570.
ანჩისხატის (ანჩხატის) ეკლესია (სობორო) – 8, 14, 15, 23, 24, 30, 31, 37, 45, 46, 47, 282, 293, 301, 341, 372, 461, 491, 520, 578, 591.
ანჩისხატის საეკლესიო სახლები – 32.
არბოშიკი – 481.
არტოზინი – 39.
აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი – 206.
ალაიანი – 47.
ანყური – 153.
ახალსენაკი – 163, 186, 272.
ახალქალაქი – 502.
- ბ**
- ბაგრატის ტაძარი – 188.
ბათუმი (ბათომი) – 167, 169, 176, 186, 190, 263, 486, 583.
ბათუმის საკრებულო ეკლესია – 176.
ბაკურიანი – 502.
ბაქო – 492, 554.
ბაღდათი – 484.
ბახმარო – 455, 456, 458.
ბეთლემის ეკლესია – 430.
ბეჟიჩი – 386.
ბოდბე – 3, 4, 368, 399.
ბოდბე (სოფ.) – 8.
ბოდბის წმ. ნინოს სობორო – 3, 8, 19, 41.
ბოდბისხევი – 191.
ბორჩალოს მაზრა – 359.
ბორჯომი – 502, 522.
ბოსტანა – 118.
ბრიანსკი – 386.
- გ**
- განჯა – 311.
გელათის მონასტერი (სობორო) – 18, 52, 138, 205, 284, 347, 348, 408, 421, 453, 473, 474, 478, 592.
გელათი (სოფ.) – 138.
გენათი – 399.
გორი – 56, 74, 87, 156, 186, 248, 257, 286, 392, 429, 502, 571.
გორის მაზრა – 206, 572.
გორის ოქონის ეკლესია – 87, 429.
გორის სასულიერო სასწავლებელი – 25, 99, 156.
გორის სობოროს ეკლესია – 56, 145.
გრიბოედოვის ქუჩა – 358.
გუდაურის შესახევი – 489.
გურჯაანი – 481, 490, 589.
- დ**
- დავით გარეჯის მონასტერი – 205, 206, 398, 473.
დავით გარეჯის უდაბნო – 41, 206.
დარიის ღვთაების მონასტერი – 384, 389, 430, 483, 526, 527, 528, 573.

დაშკოვის საეთნოგრაფიო მუზეუმი – 351.
დედათა პირველი გიმნაზია – 328.
დემუროვის ლიტოგრაფია – 256.
დიდუბე – 308, 329, 491, 513, 525, 557.
დიდუბის ეკლესია – 306, 308, 445, 449, 451,
454, 491, 525, 555, 557, 564.
დუშეთი – 294.

ე

ეკატერინოდარი – 186.
ერევანი – 395.
ენერი – 485.

ვ

ველისციხე – 130.
ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია – 328.
ვლადიკავკავი – 392.

ზ

ზაქათალის ოლქი – 129.
ზემო მაჩხაანი – 481.
ზესტაფონი – 107, 108, 525.

თ

თბილისი (ტფილისი, თფილისი) – 6, 8, 9, 10,
15, 16, 18, 19, 30, 32, 35, 38, 40, 41, 42, 43,
44, 45, 47, 49, 50, 52, 55, 56, 60, 61, 67, 71,
72, 85, 86, 96, 98, 100, 103, 104, 113, 114,
115, 119, 124, 129, 132, 133, 138, 149, 154,
169, 175, 185, 201, 202, 205, 207, 227, 228,
232, 239, 253, 273, 274, 293, 298, 299, 306,
307, 308, 312, 315, 316, 319, 320, 324, 328,
335, 337, 345, 346, 355, 359, 365, 367, 368,
370, 372, 373, 392, 398, 399, 402, 409, 429,
430, 431, 433, 436, 446, 461, 467, 469, 485,
488, 491, 499, 504, 506, 516, 523, 525, 528,
532, 541, 542, 545, 548, 549, 551, 558, 571,
574, 581, 589, 595.
თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელი – 468.
თბილისის (ტფილისის) თეატრი – 307.

თბილისის კალოუბნის ეკლესია – 31, 158, 199,
210, 273, 326.
თბილისის მაზრა – 58, 129.
თბილისის მისიონერთა ეკლესია – 391.
თბილისის საგალობელი კაბინეტი – 319.
თბილისის სათავადაზნაურო სკოლა – 99, 101,
199, 227, 297, 345, 355.
თბილისის საიმპერატორო თეატრი – 63.
თბილისის საკრებულო დარბაზი – 295, 296,
297, 299, 311, 313, 315, 380.
თბილისის სამუსიკო სკოლა (სასწავლებელი) –
114, 151, 171, 173, 211, 311, 358.
თბილისის სასულიერო სასწავლებელი – 104.
თბილისის სასულიერო სემინარია – 5, 18, 19,
65, 105, 128, 140, 181, 193, 206, 235, 365,
441, 485, 551.
თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესია –
212, 214, 218.
თბილისის სახელოსნო სკოლა – 386.
თბილისის ფერისცვალების მონასტერი – 206.
თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია – 343.
თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება – 394, 403, 407, 410, 436, 440, 466,
469, 491, 500, 531, 536, 545, 561.
თბილისის წმ. მარინეს ეკლესია – 31, 93, 94,
249, 375, 524.
თბილისის (ტფილისი) წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი – 127.
თელავი – 8, 38, 39, 44, 49, 74, 113, 116, 127,
129, 135, 153, 170, 205, 283, 361, 377, 392,
514, 519, 551, 571, 589.
თელავის მაზრა – 39, 153, 207.
თელავის ოლქი – 369.
თელავის საკათედრო ტაძარი – 170, 534.
თელავის სასულიერო სასწავლებელი – 25, 127,
205, 369, 534, 551.
თელავის უეზდი – 31.
თელავის ღვთაების ეკლესია – 135, 534.
თელეთი – 534.
თერგის ხეობა – 374.

თერჯოლა – 143.
თიანეთი – 129.
თფილისი – იხ. თბილისი.

ი

იერუსალიმი – 2, 461, 494.
ივერიის ეკლესია – 347.
ივერიის მონასტერი – 363.
ილორის სასწავლებელი – 206.
ილორის წმ. გიორგის ეკლესია – 559.
იოანე ნათლისმცემლის მონასტერი – 283.
იოანე ნათლისმცემლის უდაბნო – 31, 47, 205.
იოანე ღვთისმეტყველის სავანე – 470.
ისაკიების საკრებულო ტაძარი – 139.

კ

კავთისხევი – 181.
კავკავი – 245, 247.
კალაგონის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრევლო სკოლა – 385.
კამბილოვკა – 245.
კაცხის მონასტერი – 385, 420.
კიევი – 77.
კიევის მონასტერი – 357.
კისისხევი – 44, 205.
კონდოლი – 39.
კოჯორი – 154.
კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 31, 99.
კულაში – 111.
კურდღელაური – 424.

ლ

ლანჩხუთი – 258, 265, 303, 423, 502.

მ

მათხოჯი – 496.

მათხოჯის დედათა სავანე – 496.
მამა დავითის ეკლესია – 31, 165, 276, 491, 504.
მანგლისი – 368.
მარტვილი – 91, 107, 108, 163, 281, 421.
მარტვილის საკათედრო სობორო – 91, 420.
მარტვილის სამრევლო სკოლა – 163.
მარტყოფი – 8, 368, 399.
მაჩხაანი – 320.
მეორე სადმელი – 118.
მეტეხის ტაძარი – 278.
მთავარანგელოზის ეკლესია – 261, 406, 422, 430, 444, 453, 490.
მილანი – 457.
მინიეთი – 269.
მოზდოკი – 317.
მოსკოვი – 175, 216, 321, 351, 402, 446, 498, 500, 548.
მოსკოვის სამუსიკო სკოლა – 211.
მუხრანბატონის დიდი დარბაზი – 298.
მუხრანის ქუჩა – 578.
მუხურა – 333.
მუხურის წმ. გიორგის ეკლესია – 333.
მცხეთა – 178, 292, 295, 296, 297, 298, 299, 313, 315, 316, 347, 348, 399, 473, 593.
მცხეთის სვეტიცხოველი – იხ. შვეტიცხოველი
მცხეთის ქალთა სკოლა – 178.
მცხეთის წმ. დოდოს მონასტერი – 347.
მცხეთის წმ. ნინოს მონასტერი – 178.

ნ

ნაოლაღევი – 281.
ნატორაო – 272.
ნატორაოს სამრევლო სკოლა – 272.
ნიკოლოზის ეკლესია (თბილისი) – 367.
ნიკორწმინდა – 399.
ნინოწმინდა – 368, 399.
ნიქოზი – 368, 399.

ნოვოროსიისკი – 186.

ო

ოდესის სასულიერო სემინარია – 105.

ოდიში – 42.

ოზანი – 481.

ოზურგეთი – 80, 81, 97, 163, 164, 179, 183, 189, 232, 233, 237, 238, 240, 254, 262, 263, 270, 302, 312, 314, 319, 325, 327, 335, 502, 561.

ოზურგეთის ეკლესია – 233, 237, 238, 325, 327.

ოზურგეთის მაზრა – 455, 447, 469.

ოზურგეთის საგალობელი კაბინეტი – 314.

ოკრიბა – 422.

ორბელიანთ ეკლესია – 16.

ორიოლის გუბერნია – 386.

ოქონის წმ. ღვთისმშობლის ეკლესია – 286.

ოშკის ლავრა – 497.

პ

პალესტინა – 430.

პარიზი – 309.

პეტერბურგი – 41, 103, 223, 328, 341, 361, 388, 494, 498.

პეტრე-პავლეს სასაფლაო – 550.

პეტროგრადი – 508, 528.

პირველი სადმელი – 118.

პუშკინის ქუჩა – 578.

რ

როხი – 417.

რუისი – 368, 399.

რუსთავი – 399.

ს

საარტიტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზი – 401.

საბა განწმენდილის ლავრა – 256.

საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ტაძარი – 452.

სათავადაზნაურო სკოლა – 231.

საკრებულო ტაძარი – 395.

სამების ეკლესია – 31, 87, 185, 273, 368.

სამების მონასტერი სოფ. ხაშმთან – 566.

სამთავისი – 368, 399.

სამთავრო – 368, 399.

სამტრედია – 263, 425, 502.

სამხედრო ტაძარი (თბილისში) – 591.

სასულიერო სემინარიის ეკლესია – 213.

სარაფანოვკა – 584.

საჩხერე – 356, 502.

სენაკი – 392, 502.

სენაკის მაზრა – 91, 272.

სვენის მონასტერი – 386.

სვეტიცხოველი – 292, 297, 298, 368, 593.

სვირი – 356.

სინას მთა – 494, 580.

სინას მონასტერი – 347.

სიონი – 5, 6, 8, 17, 20, 22, 305, 326, 384, 473, 571.

სიონის საკათედრო ტაძარი (სობორო) – 7, 9, 26, 30, 37, 40, 46, 48, 121, 140, 177, 192, 219, 221, 234, 274, 293, 359, 505, 531, 535, 573, 580, 581, 582, 591.

სიონის საკათედრო ტაძრის საეკლესიო მუზეუმი – 200.

სილნალი – 8, 38, 77, 129, 139, 267, 392, 571, 589.

სილნალის მაზრა – 77, 191, 320.

სოლოლაკის ამალეების ეკლესია – 31, 430.

სნო – 142.

სნოს ხეობა – 374.

სოხუმი – 186, 206, 462, 559.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა – 172, 194, 215, 218, 220, 231.

სურამი – 257, 347, 352.

სუფსა – 246, 250, 254, 476.

სუფსის ეკლესია – 258.

სუჯუნა – 160.

ტ

ტაბაკინი – 260.

ტბეთის ეკლესია – 304.

ტიბაანი – 481.

ტფილისი – იხ. თბილისი.

უ

უკანეთი – 538.

ურბნისი – 368, 399.

ფ

ფარცხმა – 332.

ფარცხნანი – 196.

ფერშლის სასწავლებელი – 276.

ფიტარეთი – 470.

ფოთი – 163, 186, 259, 351, 392, 529.

ფოთის სამრევლო სკოლა – 256.

ფოთის ტაძარი – 163.

ქ

ქალაქის პირველდარსებითი სასწავლებელი (თბილისი) – 400.

ქალთა სკოლა – 178, 343.

ქართული გიმნაზია – 551.

ქაშვეთის (ქვაშვეთის) წმ. გიორგის ეკლესია – 13, 31, 41, 101, 102, 229, 273, 274, 277, 292, 306, 308, 316, 326, 364, 384, 427, 431, 440, 465, 466, 491, 525, 550, 578, 591.

ქვემო მაჩხაანი – 481,

ქიზიყის წმ. ნინოს მონასტერი, (სობორო) – 13, 53.

ქობულეთი – 502.

ქუთაისი – 5, 45, 68, 69, 70, 79, 82, 83, 84, 90, 95, 106, 109, 110, 112, 113, 134, 138, 139, 158, 184, 186, 202, 206, 227, 228, 241, 244,

279, 285, 326, 333, 335, 342, 356, 361, 362, 378, 385, 397, 399, 405, 406, 436, 444, 450, 453, 479, 480, 486, 493, 503, 504, 532.

ქუთაისის გუბერნია – 52.

ქუთაისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი – 422.

ქუთაისის მაზრა – 538.

ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესია (ქუთაისის საკრებულო ეკლესია, საკათედრო სობორო) – 18, 51, 53, 79, 105, 107, 108, 202, 284, 342, 406, 416, 444, 448, 459, 475, 478, 493.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა – 199.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი – 53, 156, 283.

ქუთაისის სასულიერო სემინარია – 288, 360.

ქუთაისის ქალაქის სკოლა – 289.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესია – 333.

ქსოვრისი – 174.

ღ

ღვიარა – 118.

ყ

ყაზანის აკადემია – 206.

ყვირილა – 80, 90, 91, 186, 225, 349, 392.

ყვირილის ეკლესია – 260, 356.

ყვირილის ნათლისმცემლის ეკლესია – 75, 88.

ყვირილის წმ. ნინოს ეკლესია – 225.

შ

შატბერდი – 447, 470, 497.

შელკოვია – 584.

შიო მღვიმის მონასტერი – 206.

შიო მღვიმის უდაბნო – 206.

შორაპანი – 347.

შორაპანის (ყვირილის) ნათლისმცემლის ეკლესია – 75.

შორაპანის მაზრა – 90, 143, 381, 479, 480.

შუაბაზრის ქუჩა – 578.

შუამთის მონასტერი – 38, 39, 41, 130, 362.

ჩ

ჩოხატაური – 263.

ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 128, 133, 157, 518, 530.

ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა – 80, 530.

ჩხარი – 196, 477, 482, 484.

ც

ცაგერი – 399.

ცაიში – 399.

ცხინვალი – 257, 502.

ძ

ძეგანი – 479.

წ

წაღვერი – 502.

წილკანი – 368, 399.

წინარეხი – 181, 352.

წიფა – 352.

წყალტუბო – 125.

ჭ

ჭაკანი – 111.

ჭერემი – 368.

ჭიათურა – 486, 502.

ჭიათურის სახალხო თეატრი – 335.

ჭყონდიდი – 399.

ხ

ხაზაროვის სახლები – 69.

ხარაგული – 352.

ხარფუხის სამრევლო სკოლა – 372.

ხარჭაშნო – 399.

ხაშური – 186, 257, 300, 502.

ხევისჯვარი – 352.

ხირსა – 481.

ხირსის წმ. სტეფანეს მონასტერი – 19, 320, 481.

ხონი – 18, 91, 138, 264, 275, 280, 397, 502, 503.

ხონის საკრებულო ტაძარი (ხონის წმ. გიორგის სობორო) – 18, 107, 108, 185, 275, 420, 425.

ხონის სამრევლო სკოლა – 425.

ხუნევი – 352.

ჯ

ჯგილათი – 90.

ჯიხაიში – 111.

ჯრუჭის მონასტერი – 122.

ჯუმათი – 399.

ჯურუყვეთი – 24.